ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე

წერილები იტრიის წისქვილიდან



არჩილ ჯორჯაძის
ცხოვრების ქრონიკა

თბილისი
2008

იყო დრო, როდესაც არჩილ ჯორჯაძის სახება და სახელი კულტად დამკვიდრდებოდა ქართულ სინამდვილეში.

მას აღიარებდნენ ილია ჭავჭავაძის უპირველეს სულიერ მემკვიდრედ.

მიიჩნევდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წინამძღოლად.

ესახებოდათ დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს სახელმწიფოს პრეზიდენტად.

წინამურის ტრაგედიის შემდგომ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალება გახლდათ უმძიმესი ლახვარი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რადგანაც ქვეყნის სათავეში ეელარ მოვიდოდა ის პოლიტიკური ძალა, ვინც გადაარჩენდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ქვეყანას გაიყვანდა საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომაცაა 1913 წლის იანვარი – ამ რჩეული პიროვნების გასვლა ამიერ სოფლიდან – კიდევ ერთი საბედისწერო თარიღი ჩვენი ერის ისტორიულ ცხოვრებაში. ამ ფონზე სხვა ძალასა და მნიშვნელობას იძენს მისი ლიტერატურულ-ესთეტიკურ-ფილოსოფიური და პოლიტიკურ-პუბლიცისტური ესეები და სტატიები, რადგანაც ეს მწერლური მემკვიდრეობა იმ ძვირფას სულიერ მონაპოვართაგანია, ორიენტირად რომ რჩებიან წარსულის შეცნობისაც და მომავლის განჭვრეტის ჟამსაც.

არჩილ ჯორჯაძე ბიოგრაფიული რომანის ავტორიცაა დიმიტრი ყიფიანზე.

და ის დროც უნდა დამდგარიყო, როდესაც თვითონაც გადაიქცეოდა ბიოგრაფიული რომანის გმირად.

მისი მღელვარე, დრამატული, დიდი სულიერი გარდატეხით აღბეჭდილი, საქართველოს ბედისწერას უშუალოდ გადაჯაჭვული ცხოვრება ისეთი მადლიანი მასალაა მწერლისათვის, ყველა რომ ინატრებს, და კარგა ხნის წინათაც შეიქმნებოდა ბიოგრაფიული რომანი მასზე, არჩილ ჯორჯაძის სახელი და ნაწერები პირწმინდად რომ არ აეკრძალა საბჭოთა რეჟიმს, როგორც ამ სისტემის შინაგანი ამაოებისა და გარდუვალი რღვევის მაუწყებელი.

ტრიუმფით დაუბრუნდებოდა ეს ძვირფასი სახელი და მისი პუბლიცისტურ-დოკუმენტური თხზულებანი კიდევ ერთხელ დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოს, როგორც სასიცოცხლო ძარღვი ცხოვრების ნაღმა-უკუღმა ტრიალში გზის გასაგნებად.


ცხადია, წარმოუდგენელი იქნებოდა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანთა ციკლი არჩილ ჯორჯაძის გარეშე და მნიშვნელოვანია ჩვენი სალიტერატურო და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რომ აღარ გადაიდო მისი შექმნა.

და მკითხველი თვითონვე დარწმუნდება, რატომ აღიარებულიყო არჩილ ჯორჯაძე რჩეულ სახელად, ილია ჭავჭავაძის გზის უპირველეს გამგრძელებლად და ყველაზე უკეთეს პრეტენდენტად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ტახტზე... და რაოდენ ძნელი გადასატანია ხალხისათვის ბედისწერისაგან გამქრალი ოცნებანი!..

რედაქტორი ოთარ ჩხეიძე

დიზაინერი კარლო ფაჩულია

როსტომ ჩხეიძე. 2008



გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიერ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურასდროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული.

ვაჟა-ფშაველა

თავი პირველი

ჟემაპიდან იტრიამდე, პროვანსიდან ზემოქართლამდე

ნეტა არჩილ ჯორჯაძის დანახვაზეც თუ განცვიფრდნენ ბაჭიები?

ალფონს დოდეს დანახვას ისე განეცვიფრებინა, ეს განცდა იქნებ იმ წინაპართაგან გადმოსცემოდათ ბაჭიების ახალსა და ახალ თაობებს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც იმის მომხიბლავ ნოველებს შეეღწია და ყოფითი რეალობის გვერდით და თანაბრად ქმნიდა მხატვრულ სინამდვილეს, წარმოსახვის ჩხირებით ქსოვდა იმ იდუ-

მალებას, რომელიც აღარც განარჩევინებდა ადამიანს ამ ორ რეალობას, ერთმანეთს ასე შეთვისებულსა და შეზავებულს.

ნეტა არჩილ ჯორჯაძის დანახვაზეც თუ...

ალფონს დოდე ადვილად მიუხვდებოდა ბაჭიებს განცვიფრების მიზეზს – ამდენი ხანია ხედავდნენ, რომ წისქვილის კარი ჩაკეტილიყო, კედლები და მოედანი კი ბალახით შემოსილიყო და, რა გაემტყუნებოდათ, თუკი იფიქრებდნენ: მეწისქვილეთა მოდგმა სამუდამოდ გადაშენებულაო.

ადგილიც ადგილად მოსწონებოდათ კურდღლების ნაშიერთ და ერთგვარ მთავარ შტაბადაც ექციათ, სტრატეგიულ ოპერაციათა ცენტრად.

ჟემაპის ბაჭიების წისქვილიო – ჩაიღიმებდა დოდე და ხსოვნაში ძალდაუტანებლად ამოუჩნდებოდა, თუ როგორ დაემარცხებინა საფრანგეთის რევოლუციურ ჯარებს ავსტრიელთა არმია 1792 წელს ამ შემოგარენში.

ღამით შეაღებდა წისქვილის კარს და ოციოდე ბაჭიას მაინც წაადგებოდა, წრედ რომ შემომსხდარიყვნენ და თათებს ითბობდნენ მთვარის შუქზე. ვერც კი მოასწრებდა სამერცხულის გაღებას, ფრრ და მთელი ბანაკი წამოიშლებოდა და ბაჭიების აპრეხილი კუდები ტყეში მიიმალებოდა.

გული ჩასწყდებოდა მწერალს, მეწისქვილეობას რომ იჩემებდა, ასე უეცრად რატომ გაქრნენო, და იმ იმედს ჩაეჭიდებოდა, ოდესმე მაინც დაბრუნდებიანო.

ნეტა არჩილ ჯორჯაძესაც გაუელვებდა ეს იმედი?..

და ნეტა არჩილ ჯორჯაძის დანახვაზეც თუ დარჩა დიდად გაკვირვებული მეორე სართულის ბინადარი ბებერი, პირქუში ჭოტი, რომელსაც მოაზროვნის თავი ჰქონდა?

ამ მოაზროვნეთავიან პირქუშ ჭოტსაც დოდეს დანახვა გაკვირვებდა, ოც წელზე მეტია ისიც წისქვილში ცხოვრობდა და ახლა მაღლა დახვდებოდა, ოთახში, თავხეზე გარინდებულად მჯდარი, ბათქაშისა და ჩამოცვენილი კრამიტის გროვაში. ერთი წუთით მიაპყრობდა თავის მრგვალ თვალს და შემდეგ ცოტა დაბნეული იმის გამო, რომ შემოსული ვერ იცნო, დაიწყებდა ძახილს: ჰუ! ჰუ! და მტვრისაგან განაცრისფერებულ ფრთებს ააფართხალებდა გაჭირვებით.

ბაჭიებივით ისიც რომ სადმე გადაკარგულიყო?!.

ალფონს დოდე დროულად დაიჭერდა თადარიგს, რაკიღა გამოცდილება უკვე შეეძინა და ეს წყნარი მდგმურიც სხვებზე მეტად

მოეწონებოდა მისი მოხამხამე თვალებითა და მოღუშული სახით, და საჩქაროდ განუახლებდა ხელშეკრულებას.

სწორედ ამ სიტყვათშეთანხმებას იყენებს: ხელშეკრულება განვუახლეო. და თხრობის ისედაც ფაქიზი შინაგანი რიტმიკა უფრო ღრმა ინტიმურობით ივსება. მხიარულ მზერას ერწყმის სამყაროს იდუმალებასთან ზიარების ის მძაფრი, დაუშოშმინებელი წადილი, რამაც მწერალი წისქვილში მიიყვანა და საფრანგეთისა და პროვანსის ცხოვრების მდინარება, ქვეყნის ამ კოლორიტული და სასწაულებრივი მხარისა, დოლაბის რიტმული მელოდიის ფონზე სულ სხვაგვარად წარმოუსახა.

ფარულმა მოკარნახემ დოდე აზიარა ამ სამყაროს, დოდემ კი მთელი ქვეყანა.

ქრებოდა რაღაც, თუ რა – გამორკვევა გაძნელებულიყო, მაგრამ გაქრობით ქრებოდა, ხელიდან ეცლებოდათ ის რაღაც – მეტად ძვირფასი და სანუკვარი, ყველაზე ღრმა და მშობლიური, და რათა სახელი შეერქმია და მერე უკვე ეწამლა კიდეც იმ იარისათვის, რომელიც ჯერ ბოლომდე არ მოლიავებულიყო, მაგრამ ერთხელაც იქნებოდა საბედისწეროდ გადაიხსნებოდა, წისქვილს აირჩევდა ალფონს დოდე სულიერ სავანედ, მაინცდამაინც ამ კერას გამოძებნიდა დღედაღამ საყურყუტოდ და იმ უამრავი ადამიანისათვის ყურის მისაგდებად, ცხოვრების ბრუნვა-ტრიალის ცხელ-ცხელი ამბები უშურველად რომ მოჰქონდათ და მიჰქონდათ.

წყლის ნაკადი ბრუნავდა.

სარეკელა რაკუნობდა.

დოლაბი ტრიალებდა.

ჩამოდიოდა ფქვილი და მარცვალ-მარცვალ იმეორებდა მიმსვლელ-მომსვლელთა სიტყვებს, იმ ენობრივ მელოდიას ასდევდა, იმ მიმოხვრას, პროვანსულ მეტყველებას რომ გამოარჩევდა სხვა კილოთაგან და დოდეც ისე მინებდებოდა ამ იდუმალ მუსიკას, თითქოს ქვეყნიერების გაჩენის ჟამია და დრო შეჩერებულა, გარინდულა დიდი დაძვრის, მარადიული წრებრუნვის წინო.

ხელშეკრულება ბებერსა და პირქუშ ჭოტს წინანდებურად არგუნებდა წისქვილის ზედა სართულს, შესასვლელი სახურავზე რომ ჰქონდა.

თვითონ დოდე?

– ჩემთვის ქვედა ოთახს ვიტოვებ, პატარა ოთახს, კირით თეთრად შელესილს, დაბალსა და თაღიანს მონასტრის საოსტიგნესავით.

მონასტრის საოსტიგნეს მხოლოდ შედარებისათვის არ გაგვახსენებს, მკაფიოდ და ნიშანდობლივად მიგვანიშნებს, რომ წისქვილიც და მისი სიმბოლური ხატიც მარტოდენ გარეგნული იერით არ უნდა აღვიქვათ, თუნდ იმ კოლორიტულობით, რაც თავისთავად ასეთი მიმზიდველი და შთამბეჭდავია. აქ უფრო მეტია შეფარული თუ ნაგულისხმევი – სწორედ ის სულიერება, წისქვილს ეკლესიადაც რომ მოაჩვენებს და თავის ოთახს – საოსტიგნედ. ჩვენც ამიტომ დაგვიბეჭითებს.

ნეტა არჩილ ჯორჯაძესაც თუ გაახსენებდა წისქვილი ეკლესიასა და საოსტიგნეს?

ნეტა ისიც თუ გააღებდა კარს მზეზე ფართოდ და ფერდობზე სინათლის გაბრწყინებულ ფიჭვნარს გახედავდა, შორს კი მოხდენილ მწვერვალებს?

დოდე – ალპებს.

ეს – კავკასიონს.

ნეტა საგანგებოდ თუ ჩაუკვირდებოდა, რომ არავითარი ხმაურობა არ მოისმოდა, მხოლოდ დროდადრო თუ გაიელვებდა სალამურის ხმა, ღალღის ჭუკჭუკი სუმბულში ან გზაზე მიმავალი ჯორების ეჟვანთა ჟღარუნი?

და რომ მთელი ეს მშვენიერი პეიზაჟი მხოლოდ სინათლით გაცხოველებულიყო?

დოდესათვის – პროვანსული.

ამისათვის – ზემო ქართლური, სურამ-იტრიის მხარისა.

ახლა როგორღა გინდათ, რომ გული დამწყდეს თქვენს მშფოთვარე და ბნელ პარიზზეო, – ნიშნსაც მოუგებდა დოდე თანაქალაქელებს და შეახარბებდა წისქვილსა და პროვინციის სიმშვიდე-მყუდროებას: სწორედ ასეთ კუთხეს ვეძებდი, პატარა, სურნელოვან და თბილ კუთხეს, ათასი ლიეთი დაშორებულს გაზეთსა, ეტლებსა და ბურუსს, და რამდენი ლამაზი რამ არის ჩემს გარშემოო.

აი, თუნდაც ის სასწაულებრივი მოვლენა, ფერმაში ფარის დაბრუნება რომ ჰქვია. და ვინც ამ რიტუალის შემსწრე შეიქნება, ამ სანახაობას დოდესავით არ გაცვლის ყველა პრემიერაზე, რომელიც იმ კვირას დაიდგმოდა პარიზში.

ნეტა არჩილ ჯორჯაძესაც თუ სპექტაკლებს მოაგონებდა ცხვრის ფარის ხილვა და ჩუმად ჩაადუდუნებდა: არ გავცვლიო?

ნეტა ისიც თვალმოუშორებლად თუ გაჰყურებდა მტვრის შარავანდში და ისეთი განცდა უჩნდებოდა, თითქოს მთელი შარაგზა იძ-

ვრის ფარასთან ერთადო; ფეხების ბაკუნს კი ნიაღვრის ხმაურობას მიამგვანებდა?

რაღაც უჩვეულოს ელოდა ალფონს დოდე, პროვანსისაკენ რომ მოეშურებოდა, გული უგრძნობდა და აქეთ მოაქანებდა, მაგრამ ერთიერთმანეთს მიწყობილი მოულოდნეობანი – გარშემოც და მის სულშიც – კიდევ უფრო გამაოგნებელს ხდიდა სამყაროს, რომელიც ფარის დაბრუნებას ერთბაშად აემოძრავებინა.

ოქროსფრად ალივლივებულმა მწვანე ფარშევანგებმა ქანდარიდან უნდა იცნონ დაბრუნებულნი და საყვირის საშინელი ძახილით მოესალმნონ, ყველა და ყველაფერი გააღვიძონ და ჩათვლემილი საქათმეც წამოშალონ – მტრედებიო, იხვებიო, ინდოურებიო, ციცრებიო... უკანა ეზო თითქოს გაგიჟდაო, და ქათმები ისე კრიახობენ, ღამე უძილოდ უნდა გავატაროთ ქეიფშიო.

თვითეულმა ცხვარმა თავისი მატყლით, ველური ალპის სურნელებასთან ერთად, ცოტაოდენი მთის ჰაერიც ხომ არ მოიტანა, რომელიც ათრობს და ცეკვის სურვილს იწვევს? – საგონებელშია ჩავარდნილი დოდე, ძაღლებს უკვირდება, მათ ფაციფუცსა და ფიქრის გორგალს, რომლის წვერიც მთაში დარჩენილა, მკაცრ ქვეყანაში, სადაც მგლები იცის და დიდი, მუქი წითელი ფუტკარას ფოთლები ცვრითაა სავსე პირთამდე.

წყლის ნაკადი ბრუნავს.

სარეკელა რაკუნობს.

დოლაბი ტრიალებს.

ჩამოდის ფქვილი და მარცვალ-მარცვალ ჩამოაქვს კოსმოსის სუნთქვაც და წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალის იდუმალებაც.

შემთხვევას მოეყვანა ალფონს დოდე წისქვილში.

შემთხვევას თუ... იმ სუნთქვისა ან ბრუნვა-ტრიალისათვის მიყურადების დაუძლეველ ნადილს, დაუდგრომელობისა და ხეტიალის იმ ძველთაძველ ჟინს, ყოველ დროსა და ეპოქაში, და ყოველ ქვეყანაში, თავისებურ ნიუანსებს რომ იძენდა; ის იდუმალი ძახილი თავისებურად იცვლიდა სახეს და ამ სახეცვალებადობას განესაზღვრა ალფონს დოდეს ადგილიც წისქვილში, მის გამოჩენას ჯერ ბალახი რომ იგრძნობდა, დიდხანს ტერფდაუდგმელი და ახლა ერთბაშად გადაქელილი, მერე კარი – საიმედოდ ჩარაზული და ახლა ერთბაშად გადახსნილი, და ის ოცამდე ბაჭია, მთვარის შუქზე რომ ითბობდნენ თათებს, ახლა კი ერთბაშად იშვერდნენ ფეხს და ტყეს შეერეოდნენ.

მისდევდათ, მისძახოდათ დოდე: წისქვილი ყველას გვეყოფა, ერთმანეთს ხელს არ შევუშლით, ისე მოვთავსდებითო, მაგრამ ბაჭიებს ასე უეცრად ვერ შეეტყოთ მეწისქვილედ გარდასახული მწერლის გულისწადილი და ისე გაურბოდნენ, როგორც ენქიდუს ის ცხოველები, რომელნიც ბედისწერისა და აქადელი ეპიკოსის განჩინებით ისტორიისა და პრეისტორიის საზღვარზე შემდგარიყვნენ და თუ ვინმესი აღარ სჯეროდათ, უკვე ენქიდუსიც – თავიანთი ძველი თანამოძმისა, ვისაც კაცებრივი იერი შეემოსა და, ფერნაცვალი, გამოცალკეებოდა იმ ცნობიერებას.

აქ ზედმეტია დაზუსტება, რას გამოეწვია ენქიდუს ფერისცვალება.

მთავარია, რომ შემოძარცვია სუმუკანის სამოსი და:

– ხედავს ენქიდუ – გარბის ქურციკი, და ველურ ჯოგსაც ზურგი უქცევია. წამოხტა ენქიდუ – შეკვრია სხეული, მუხლები დაუდგა, ჯოგს ველარ მიჰყვება. დასუსტდა ენქიდუ, ვერ ირბენს ძველებურ, მაგრამ გაბრძენდა, განევრცო გონება.

სადაც შეჩერებულა აქადური ეპოსის გმირი, იქიდან სურს ისტორიის გაგრძელება ალფონს დოდეს, ეს შორეულზე შორეული ნახტომი, ამ ვეება სივრცის ამოვსება და ბუნებასთან გაწყვეტილი ძაფების გამრთელება, ისეთი შეკავშირება, ბაჭიებმაც თავისიანად რომ მიიღონ და ფეხი კი არ იშვირონ ტყისაკენ წისქვილის კარის შეღებისთანავე, მიიწ-მოიწიონ და ადგილი დაუთმონ: ჩვენთან გერჩივნოს, ძმობილოო.

ამაო ოცნებაა?

არ დაყრიდა ასე ადვილად ფარ-ხმალს დოდე და მოებღაუჭებოდა ყველაფერს, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა, დროის მსახვრალი დინების შესაოკებლად თუ ვერა, იმ სანუკვარის შესანარჩუნებლად მაინც მხატვრულ სიტყვაში, ურომლისოდაც ხეშეშდებოდა, ტლანქდებოდა სული, იძარღვებოდა უკეთეს ნიშან-თვისებათაგან და მერე უკვე ველარაფერი იხსნიდა.

... და ასპარეზად შეერჩია პროვანსის ერთი გამოკეტილი წისქვილი.

დაე კვლავ ებრუნა წყლის ნაკადს.

ერაკუნა სარეკელას.

ეტრიალა დოლაბს.

და მარცვალ-მარცვალ ჩამოფქვილიყო წუთისოფლის გამოცანებიც.

* * *

წყლის ჩხრიალსა და სარეკელას რაკუნში, დოლაბის ტრიალსა და წუთისოფლის გამოცანების მარცვალ-მარცვალ ჩამოფქვაში უეცრად რაღაც იელვებდა და, გადაიკარებდა თუ არა, გონების თვალისათვის საჩინო და ხელმისაწვდომი შეიქნებოდა:

ხის ჯვარედინი ამომართულიყო.

ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა არჩილ ჯორჯაძე, ნეტა სიცოცხლის აზრის ძიებაში არ გამომეტარებინა ჩემი წუთისოფელი და შექცევა და მხიარულება გამეხადა არსებობის შინაარსად, მაშინ ეს ჯვარედინი ხე ასე ძალიან აღარ ამაფორიაქებდაო, მაგრამ მეორე წამსვე ირონიულად შეხედავდა საკუთარ თავს, გინდ სიცოცხლის აზრსა და მნიშვნელობაზე წუთითაც არ დამეხარჯა გონება, ეს ხე მაინც წამომემართებოდა და მისი ხილვა უმღელვარებოდ მაშინაც ვერ გადაივლიდაო.

ვერა, მის უხილველად ვერ გადარჩებოდი.

წუთისოფლის ულმობელობა ამ სიმბოლურ ხეში განივთებულიყო და ვის როდის მოეწეოდა და ვის როდის.

მისი ჟამიც დამდგარიყო.

შეჰყურებდა ზღაპრული ეპოსიდან გადმოსულს და ზედ წარწერასაც მკაფიოდ გაარჩევდა.

– უკან მიბრუნდები, ამწვანებული მდელო, გაზაფხული და სიხარულია.

წინ... წინ რაღა გელოდა?

– დაინახავ არემარეს, შემჭკნარ და გაყვითლებულ ფოთლებით ავსილს, ხოლო იქით, კიდის ბოლოში – წყვდიადით მოცულ არარაობას.

მაშ წინ ვიღა გასწევდა, ერთი-ორი თავზეხელაღებულის გარდა, ვისაც სიცოცხლე ჩალად არ ეგულებოდა და, რაც მალე შეერთვოდა იმ წყვდიადსა და არარაობას, ის ერჩივნა.

უკან შემობრუნდებოდი – ფიცხლავ და მტკიცედ.

მაგრამ... მაგრამ ეს შემობრუნებაც შეუძლებელი რომ გამხდარიყო და მარტოდენ მოგონებებში ჩაძირვას გულისხმობდა? მეხსიერებიდან ამოკრებილ სასიამოვნო თუ სასიხარულო წუთებს ერთად შეაკავშირებდი და იქნებ სულიც მოგეთქვა შემჭკნარი და გადაყვითლებული არემარის წინაშე მდგარს, რადგანაც უხილავი ძალა მაინც წინ მიგაქანებდა და არ დაგიდევდა, იქით გამგზავრება სულ რომ არ გერჩივნა.

ამომართულიყო ხის ჯვარედინი.

და თვალს რომ გადაავლებდა თავის გზასავალს, უკან დარჩენილსა და ბურუსში ჩაკარგულსაც, სიბერის აჩრდილი მოელანდებოდა და, ნაცვლად იმისა, გულიანად გაეცინა, რა დროს ჩემი სიბერეაო, ის შეგონება ამოუტივტივდებოდა ხსოვნაში: სიბერის ტრაგედია ის კი არ არის, რომ ბერდები, არამედ ის, რომ ყმაწვილად რჩებიო.

თვითონაც თუ რჩებოდა ყმაწვილად?

ჯერ გულს არაფერს ჰკითხავდა და ისევ გონების კარნახი ერჩივნა – ჭვრეტა, განსჯა, გამორკვევა. და რაკიღა „ერთი ბრძენის“ ის შეგონება დიდად ვერ დაუშოშმინებდა მღელვარე ფიქრს, ფაუსტს მიმართავდა ცოტაოდნავ სულის მოსათქმელად. დიდად დაშორებული იმისი წუხილიც არა ყოფილა ამ შეგონებისაგან, მაგრამ ახალი ნიუანსი შემოჰქონდა იმ ფილოსოფიურ ფორმულაში და არჩილ ჯორჯაძეც ამ ნიუანსს მოებღაუჭებოდა: საკმაოდ დავბერებულვარ, ზიზილ-პიპილებს გავაყოლო გული, და ამასთან, ძლიერ ახალგაზრდა ვარ, რათა გულში სურვილები აღარ გამაჩნდესო.

გული მოიწევდა ზემოთ, გონებაც ეჯახებოდა და სიბერის აჩრდილსაც ის უფრო გაუმკვეთრებდა, დაღლილი, მოშვებული გული, და თუ ერთიმეორესაც შებმოდნენ განცდა და აზრი, იმ შემთხვევაში სავსებით შეთანხმდებოდნენ, რომ ერთად თავმოყრილიყო და ტომებში ჩალაგებულიყო ის ყოველივე, რაც მათი პატრონის არსებიდან გამოწურულიყო ფურცელზე, შეჯამებულიყო არა უღელტეხილი, არა გარკვეული ხანა, არამედ ამქვეყნიური ცხოვრების ქარგა, ერთად დასრულებულიყო სუნთქვაც და თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაც.

ესღაა ეოცნებებოდა.

და ძალიან რომ ეჩქარებოდა გამოცემის მოთავება, სიცოცხლის ვადას კი არ იმცირებდა, გრძნობდა, ჰოი, რა სიცხადით გრძნობდა შაგრენის ტყავის შეკუმშვას, რომლის გამალებულ სისწრაფესაც ტომების გამოცემა ვერაფრისდიდებით ვერ აჰყვებოდა.

იქნებ დრო-ჟამის შეჩერება ეცადა.

ამ სამყაროში, ხორცშემოსილი არსებობის ჟამს თუ სრულიად შეუძლებელი გახლდათ ამგვარი განზრახვის აღსრულება, თუკი ისუ ნავე არ იყავი და გაბაონის თავზე შეყოვნებას არ ეხვეწებოდი მზესა და მთვარეს, სული ხომ მაინც შეიძლებოდა წამიერად გასუ-

ლიყო საზღვრებიდან და ისე ჩაძირულიყო ნირვანაში, თითქოს ბუდისტი ბერი ასრულებს წმიდათაწმიდა რიტუალსო.

ბრძანებით ვერ უბრძანებდი.

თვითონვე უნდა შეეგრძნო გაყინული დრო-ჟამის სუნთქვა და შერთვოდა კიდეც... გამოხსნოდა და ისევ შერთვოდა... მერე ისევ...

ამომართულიყო ჯვარედინი ხისა.

სიბერის აჩრდილი სხვაგვარად შეუჯანჯღარებდა ფიქრსაც და გრძნობასაც, ცვალებადობის უცნაური პროცესი უფრო კანთიელად გადაეშლებოდა თვალწინ და იმ ხის აქეთაც და იქითც ერთნაირი იდუმალება ჩაიბუდებდა.

– არ იცი, საიდან მოდის, არ იცი, სად მიდის, არ იცი ამ გზის თავი და ბოლო.

და მაინც, ახლა კიდევ ერთხელ აღმოეჩინა სამყარო, ხელახლა დაბადებულის შეუბღალავი მზერით.

თვითონ უკვირდა, ეს რა საოცარი გარკვეულობითა და სიმკაცრით ვიგრძენო.

ჭეშმარიტება, მოგეხსენებათ, ჭეშმარიტებად მაშინ ითქმოდა, როდესაც თვითონვე მიაკვლევდი; და ცვალებადობის უცნაური პროცესი იმ უამრავი შინაური ფრინველის წყალობით გაცნობიერდებოდა მისთვისაც, იმ წიწილებისა და ჭუჭულების მეოხებით, საადგარაკო სახლის ეზოს რომ მოსდებოდნენ.

თვითონ ურჩევნია მხოლოდ ნისქვილი ახსენოს.

რეალისტური სურათი სიმბოლოს შარავანდით შემოსოს და მთელი სამყარო ნისქვილად და მის შემოგარენად იგულისხმოს.

ვითომ მხოლოდ ახლა იხილა წიწილები და ჭუჭულები?

ყოველ შემთხვევაში, ამდენი ერთად არასოდეს ენახა და ამანაც შეუთრთოლა სული?

შესაძლოა, განა არა.

მაგრამ ერთი, ერთადერთი წიწილასთვისაც რომ მოეკრა თვალი, უკვე ისე შეძრულიყო მისი არსება ჭეშმარიტების კიდევ ერთხელ აღმოსაჩენად, ის ერთიც სავსებით იკმარებდა ფილოსოფიური განზოგადებისათვის.

საქათმეში სიცოცხლე დუღს.

ვეღარ უნდა იმყოფინოს შორიდან თვალიერება და ერთხელაც შიგნით შეიხედოს.

დიასახლისი იმ წუთას იქ უნდა იმყოფებოდეს.

და დაანახვოს კვერცხი, შიგნიდან ნისკარტით რომ გაპობილა.

ნისკარტის წვერი ოდნავ უნდა მოჩანდეს, თანდათან იზრდებოდეს, აქეთ-იქით ინძრეოდეს და ნისკარტის პატრონი დიდ ცდაში იყოს, როგორმე ორად გააპოს ნაჭუჭი და საპყრობილედან გათავისუფლდეს.

და მართლაც ორად გაიპოს კვერცხი და იქიდან ამოძვრეს უცნაური, მოყვითალო, სველი და გაბურძგვნილი არსება, ცოცხალი არსება – წიწილა.

ამას აღელვება დაეტყობოდა.

პირველად შეესწრო სიცოცხლის დაბადებას?

გაგონებით მაინც არ გაეგონა, თუ როგორ იჩეკება წიწილა?

ეგაა, ყურადღებას არ აქცევდა.

– ისე, როგორც არ ვაქცევთ ხოლმე ყურადღებას ბევრ რასმეს იმისთანას, რაც ხშირად საკვირველებით აღსავსეა.

ეს უკვე წიწილა აღარაა მის თვალში. სიცოცხლის დაბადება ძალდაუტანებლად განზოგადდება, მთელს სამყაროს გადაწვდება და თვალწინ აუსვეტავს წუთისოფლის იდუმალებასა და კაცთა მოდგმის ერთხელ და სამუდამოდ დასაზღვრულ ბედისწერასაც – ხედვის ისრის სიმოკლესა და სიცოცხლის დასაბამის დაფარულობას და მის მიღმა მსუფევ არარას, საიდანაც მოვედინებით და საითაც მიდის ეს სიცოცხლე.

ხის ჯვარედინი ამომართულიყო.

მამების თაობა დაბერებულიყო, შვილების თაობა უკვე ჯეჯილად ამობიბინებულიყო, თვითონ კი, თავის თაობასთან ერთად, სადღაც შუაში გარჩენილიყო – მამებისათვის შვილების თაობელები, შვილებისათვის – მამების ტოლები. თვითონ სიბერეს უგრძნობდა გული, გაწამებული სიცოცხლე ყელში უჭერდა და თუ ხელშესახებად გამოცდიდა გულისტკენასაც, დაკნინებასაც, სისუსტესაც, სევდასაც, რაღაც იდუმალი ქროლა საიდანღაც აგრძნობინებდა მომხიბლაობასაც, სისავსესაც, ძალასაც და სიხარულსაც და მეწისქვილეს ეკითხებოდა: ბენჟამენ კონსტანის ის ორი ნახატი თუ გინახავს, საკუთარი შვილი რომ გამოუსახავსო.

მეწისქვილეს არც გაეგონა კონსტანის სახელი და არც ის ნახატები აღელვებდა, მაგრამ მის სტუმარს იმხელა შარავანდი მოჰყოლოდა, ისე აფორიაქებულიყო იქაურობა მისი ჩამოსვლით და ვინ აღარ აკითხავდა, ისეთი ცნობისწადილით მიაჩერდებოდა, თითქოს ამ სიტყვების მოუსმენლად მისი მეწისქვილური ყოფა აზრს დაკარგავდა.

არჩილი ამ დაკვირვებას სხვასაც კი გაუზიარებდა, თუნდ სტუმრად ჩამოსულ გრიგოლ რობაქიძეს, ვისაც, იქნებ, არანაკლები ნიუანსობრიობით შეეცნო, გაეაზრებინა და მეხსიერებაშიც აღბეჭდოდა ეს ნახატები, მაგრამ ისეთი სურვილი მოუვლიდა, მაინცდამაინც მეწისქვილესათვის გადაეშალა გული, თითქოს ამ სიტყვების აქ ამოუთქმელად მისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური ყოფა აზრს დაკარგავდა.

ამ აუცილებლობას ჩაეყვანა იმ წუთას წისქვილში.

წყლის ნაკადი ბრუნავდა.

სარეკელა რაკუნობდა.

დოლაბი ტრიალებდა.

ჩამოდიოდა ფქვილი და მარცვალ-მარცვალ ჰყვებოდა ზღაპრულ ამბავს, რომელსაც არჩილი სხვა დროს მთელი არსებით მინებდებოდა, ახლა კი ფრანგი მხატვრის ის სურათები ედგა თვალწინ და მეწისქვილეს უხსნიდა, ერთი სურათიდან ახალგაზრდა კაცი გამოიყურება, სტუდენტი, ქალწულის ლურჯი თვალები აქვს, წაბლისფერი ნაზი თმები, კოხტად გადავარცხნილი და აქა-იქ შუბლზე დახუჭუჭებული. გამომეტყველება სახისა და ლურჯი თვალებისა ისეთია, რომ თვალს ვერ აშორებთ. გინდათ უცქიროთ, განუწყვეტლივ სტკბებოდეთ მშვენიერი ახალგაზრდობის ძლევამოსილებით, აქ იმედი, ოცნება და ძალაა და, ამასთან, ოდნავ გადაკრული მელანქოლია, წინამგრძნობი მომავლის სევდისაო.

რა დამატყვევებელი საუბარი სჩვეოდა.

მონუსხულიყო მეწისქვილე.

და მეორე სურათზე?

იგივე ადამიანი, უკვე დავაჟკაცებული, ცხოვრებით მოღლილი და იმედგაცრუებული. იგივე ლამაზი თვალებია, მაგრამ რაღაც სიმკაცრე და დაღალვა მოჩანს სიღრმიდან. აქაც ვერ აშორებთ თვალს, რადგან, თუ ჭაბუკი ხართ, გრძნობთ, რომ ეს არის თქვენი მომავალი ბედი. ხოლო თუ კარგა მანძილი გაქვთ გავლილი ცხოვრების სარბიელზე, ხედავთ თქვენს საკუთარ თავს, თქვენს საკუთარ სახეს, ნაოჭებით დაღარულს, და მოქანცულ, გაშტერებულ და სევდით მოცულ თვალებსო.

ბრუნავდა წყლის ნაკადი.

რაკუნობდა სარეკელა.

ტრიალებდა დოლაბი.

საკუთარ სულში აფათურებულიყო მეწისქვილის მზერა.

ასეთია სიცოცხლე და მისი კანონიო, – უმტკიცებდა არჩილი და: ასეთიაო, – მწუხარედ ეთანხმებოდა მეწისქვილე და თავს მორჩილად დაუკანტურებდა იმ სიტყვებსაც: მიუხედავად ამ უიმედობისა, ყოველი ადამიანის გულში საიდუმლო ნატვრა და სურვილი ბუდობს, ნატვრა და მისწრაფება მარადისობისა და სიცოცხლის სიმტკიცისადმი, და განა ეს საკვირველი არ არისო?!.

საკვირველია, საკვირველიო, – სარეკელას რაკუნს შეერეოდა ეს თანხმობაც და არჩილი, ფიქრებს ადევნებული, ფრანგულად გაიხსენებდა სიული პრიუდომის სტრიქონებს და მეწისქვილესაც მოასმენინებდა იმ მელოდიას, შვებისა და სევდის შერწყმა რომ ბადებს.

იქვე სახელდახელოდ გადმოიტანდა ქართულად და სინანულსაც ვერ დაფარავდა, რატომ არ მომდევს პოეტური ნიჭი, ნაცვლად შინაარსის გადმოცემისა, სრულყოფილად რომ განმეცდევინებინა ქართველობისათვის ამ შედევრის მშვენიერებაო.

ყველა საწუხარს წუხდა პრიუდომი:

ამ წუთისოფელში ხმება იასამანი და ფრინველთა გალობაც ხანგრძლივი არ არის, მე ვოცნებობ იმგვარ ზაფხულზე, რომელიც სამუდამოაო...

ამქვეყნად ტუჩი ტუჩს ოდნავ ეწაფება და ამ დაწაფებაში ერთმანეთს არ უზიარებენ თავიანთ ხავერდს; მე ვოცნებო იმგვარ კოცნაზედ, რომელიც სამუდამოაო...

ამ წუთისოფელში ყველანი დასტირიან ზოგი მეგობრობას, ზოგი სიყვარულს, მე ვოცნებობ იმგვარ კავშირზე, რომელიც სამუდამოაო...

სამუდამო... სამუდამო... სამუდამო...

რაღაც უცნაურად იგრიხებოდა ეს სიტყვა მის ბაგეზე, ისე წარმოთქვამდა, თითქოს ცაში უნდა შეინავარდოსო, მაგრამ რაღაც უხილავი წვდებოდა ზევით ატყორცნილს და ქვემოთ მოაქანებდა, მიწაზე ანარცხებდა და ამსხვრევდა.

სწორედ მსხვრევის ხმად ჩაესმოდა და მეწისქვილეს ისე მიაჩერდებოდა, ეს ხმა მასაც თუ მოესმის, ჩემსავით გაფაციცებით დააკვირდება მიწასო. ის თვალებში შემოჰყურებდა და ისეთი მონდომებით ლამობდა ყველა სიტყვის სიღრმეს ჩაწვდომოდა, არჩილს რაღაც თბილი ჩაელვრებოდა გულში.

რაკუნობდა სარეკელა.

ტრიალებდა დოლაბი.

მოქშუოდა წყალი.

და ეს ყოველივე სულ სხვაგვარად შეიქნებოდა მახლობელი მისთვის, სხვაგვარად მოანდომებდა ამ გარემოში ჩარჩენას. დეკორაცია, ეგზოტიკა იმ სასწაულებრივ იერს შეიძენდა, წინილას დაბადებას რომ ამოჰყოლოდა და თანდათან ყველასა და ყველაფერს მოედებოდა.

მეწისქვილეს გაეჭრა ბილიკი მისთვის ამ იდუმალებაში ფეხის შესადგმელად თვალებში ჩაგუბებული ცნობისწადილი გადაუხსნიდა ამ კიდევ ერთ შრეს სამყაროს იმ დაფარული მშვენიერებისა, რაც ყოფითობაში ისე ათქვეფილიყო, გამორჩევა ძალიან ჭირდა და ყოფის პროზაულობაც ამიტომ დარქმეოდა. მზერის სისუსტე გარემოს ბრალდებოდა და დამცირება-დაკნინებად აეკიდებოდა. მაგრამ გადაიწმინდებოდა დაბინდული მზერა და საგნები ამიტომაც დაიბრუნებდნენ პირვანდელ ხიბლს – სამყაროს შექმნისა თუ ცივილიზაციის გარიჟრაჟის ხანისა.

და არჩილს გული ჩაეთუთქებოდა, ნუთუ სიკვდილის აჩრდილს ასე უნდა მოეჭირა ყელში ჭანგები, ის პირვანდელი სიხასხასე თვალდათვალ რომ ამოჩენილიყოო!..

თავი მეორე

ახალი ფსიქოლოგია ან რას გაეგულისებინა ილია ჭავჭავაძე

ნოე ჟორდანიასთან შეხვედრის შემდეგ – 1897 წლის მიწურულს – ილია ჭავჭავაძე მარტო იმაზე კი არ აიყრიდა გულს, არამედ ყველაზე, ვინც ახალი და პროგრესული აზრების ქადაგებას ჩემულობა. ასეთი მიწვევა, ასეთი შეთავაზება და პატივი ბევრს არა ღირსებია; და არამარტო ჩვენს ქვეყანაში. აბა, გადააავლეთ თვალი ცივილიზებული სახელმწიფოების ლიტერატურასა და ჟურნალისტიკის ისტორიას – აღიარებული მოღვაწე ასეთი მხურვალებით რომ შეგებებოდეს ვინმეს, თითებზე ჩამოითვლება, და ამ ჩამონათვალში ერთი თითი ნოე ჟორდანიას სახელზეც ჩაიკეცება.

დაბრუნებას ვერც მოასწრებდა ტფილისში და პუბლიცისტიკის სარბიელზე კალმის მოსინჯვას, ლამის ფიანდაზივით გაეგებოდა ფეხქვეშ „ივერია".

ილია გადაწყვეტდა ასე.

ენერგია და მიზანსწრაფა მოხიბლავდა ახალბედასი, და თუმც მისი სოციალისტური და დემოკრატიული იდეები დიდად ვერ აღიტაცებდა, გუნებაში შეუნდობდა, მე განა ნაკლებ ვიყავი რევოლუციური შეხედულებებით ანთებული, განა ნაკლებ მაღელვებდა სოციალური უთანასწორობა და განა ნაკლებ მიმაჩნდა მისი გამოსწორება მოღვაწის უპირველეს მიზნადო.

მართალია მისთვის ამ მიზანს ზედ გადაჯაჭვოდა ეროვნული თავისუფლების აუცილებლობის რწმენაც და ეს რწმენა ნოე ჟორდანიას პუბლიცისტურ გამოსვლებში არსად მოჩანდა, მაგრამ ესეც იმდენი არაფერი, გამოერკვეოდა ახალგაზრდა კაცი სოციალისტური ბანგისაგან, სოციალურ ტკივილებს ცოტა უკან გადასწევდა, დავიწყებით რატომ დაივიწყებდა, და ჯერ ოცნების საქართველოს დამკვიდრებას შესწირავდა ძალ-ღონეს, დამკვიდრებას უპირველეს იდეალად, რათა ოცნებას რეალობაში ხორცშესხმა მოჰყოლო-

და, მერე კი გულმოდგინედ იზრუნებდა სოციალური ჭიდილის მოგვარებაზეც.

ოღონდ ის კი არ უნდა დავიწყნოდა, რომ ქართული რეალობა სრულიად განსხვავდებოდა ევროპული თუ რუსული რეალობისაგან ამ მხრივაც, თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის არსად მოჩანდა ის შეურიგებელი დაპირისპირება, რითაც გადავსებულიყო იქაური საისტორიო ქრონიკები. გამუდმებული საომარი ყოფა და ურთიერთთანადგომის აუცილებლობა სხვაგვარად მსჭვალავდა საქართველოს მკვიდრთა ფსიქიკას, სხვაგვარ მოვალეობას აკისრებდა ერთიმეორის მიმართ თავადაზნაურობასა და გლეხობას და, ნაცვლად გამძაფრებული, სისხლისღვრამდე მისული ჭიდილისა, მამაშვილური სარჩული ამოეკერებოდა ამ ორი ნოდების ცხოვრების მდინარებას, ერთიმეორეში ძალდაუტანებლად რომ გადადინ-გადმოდინდებოდა.

გაიცინებდა ნოე ჟორდანია მამაშვილობის ხსენებისას თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის?

ეგეც არაფერი – თავიდან აკი თვითონ ილიასაც ეცინებოდა და ლუარსაბ თათქარიძის თავგადასავალში ირონიულად გაურევდა ასეთი მამაშვილობის მოტივს. ყველა იოლად მიუხვდებოდა, რასაც გულისხმობდა და ვისაც წასდავებოდა – მისთვის ძვირფას პიროვნებას; მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა ალექსანდრე ორბელიანიც შემცდარიყო? შეცდომაც არის და შეცდომაც. და უკვირდა ილიას, ასე როგორ მონდომებულა დაუმტკიცებლის დამტკიცებას ეს ამხელა გონების კაცი, ილუზიები რეალობად მოჩვენებიაო.

და თუ თვითონ ნელ-ნელა შეიცვლიდა თვალსაზრისს და მამაშვილობის თეორიას არამცთუ სავსებით მართებულად, აუცილებლობადაც კი აღიარებდა, დაე ახლა სხვას ჩაეცინა, სხვას ჰგონებოდა გულუბრყვილობა. ადრე თუ გვიან ის სხვაც ნოე ჟორდანია იქნებოდა თუ მისი მიმდევარი, ჩახვდებოდა ამგვარი მტკიცების სიკეთეს – გზას ნოდებათა შორის ურთიერთობის გამწვავების შესანელებლად და, იქნებ, სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლადაც.

ილიასთან საუბრებს უნდა დაეჩქარებინა შეფასებათა გადაფასება. ის, რისი სრულყოფილი შეცნობისთვისაც „ივერიის“ რედაქტორს წლები მოენდომებინა, ამას ძღვენივით მიერთმეოდა.

უცნაური კი მოჩანდა ილიასაგან ეს საქციელი, ეგრე ადვილადაც არავის დაიახლოვებდა, არავის გადაუხსნიდა გულს, არც „ივე-

რიას" შესთავაზებდა: ოღონდაც მობრძანდი და შენ განაგე რედაქტორის სრული უფლებითო.

თუ მათ შორის აზრთა დიდი სხვაობა გაჩნდებოდა?

ილიას ესეც გაეთვალისწინებინა:

მე ჩემსას დავბეჭდავ, თქვენ თქვენსასო.

სხვები რომ სთხოვდნენ გაზეთის გადაცემას?

მათ არ გადავცემ, გამოცდილებით ვიცი მათი ამბავი, თქვენ თუ აიღებთ, მზად ვარ გადმოგცეთო.

ივანე მაჩაბელი შეეტკბო და შეეთვისებინა ასე, ეს გამონაკლისიც არსებობდა მის ბიოგრაფიაში, ასე... ასე სავალალოდ დასრულებული. მით უფრო უნდა გაფრთხილებულიყო. მაგრამ შორს აღწევდა მისი მზერა, ძალიან შორს, დახშულ, დაგუბებულ წლებს მიარღვევდა და ამ გადასახედიდან მოჩანდა აუცილებლად ნოე ჟორდანიასთან საერთოს გამონახვა. ნუ დამეგობრდებოდნენ, თანამოაზრენიც ნუ იქნებოდნენ, მაგრამ რაღაც საერთო გამოძებნილიყო. ბოლოსდაბოლოს, თუკი ის „ივერიას" არც იყაბულებდა, ისე გადიდგულებულიყო და მარქსიზმიც ისე ამოჭროდა გულში, სხვას ვერაფრისდიდებით შეუზიარდებოდა, ის მაინც გამხდარიყო შესაძლებელი, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ გადაჰკიდებოდნენ ერთმანეთს.

სტუმარს იქვე მზად ჰქონდა უარი, მაგრამ თავაზიანობა შეაჩერებდა: ასე მიხლა უხეშად არ გამომივიდესო, – და ნდობისათვის მადლობას რომ შესწირავდა, მე ეს არ დამიმსახურებიაო, მოსაფიქრებლად დროსა და მეგობრებთან მოთათბირებას ითხოვდა.

არამცთუ მეგობრებს არ მოლაპარაკებია, გიორგი წერეთლისთვისაც არაფერი უთქვამს, „კვალი" ვისაც გადაეცა მისთვის სარედაქტოროდ, დაპირებისამებრ ეახლებოდა ბანკში ილიას და უარსაც მოახსენებდა.

საბუთებითო, – ასე გვამცნობს მემუარებში.

თუმც მათგან ერთსაც არ გვიმჟღავნებს და ზოგადი მინიშნების იმედად უნდა დავრჩეთ.

ისე ნეტა რა საბუთები მოისაბაბა?

გუნებაში თუნდ ძალიანაც სწყენოდა ილიას, „ივერიაში" მოსვლაზე უარს რომ ეტყოდა, არც შეიმჩნევდა და თხოვნით სთხოვდა: ხელს მაინც ნუ შევუშლით ერთიმეორესო.

ის არაფერს დაპირდებოდა.

ხელშეუშლელობას დათანხმდებოდა კი არა, უპირველეს მიზნად „ივერიის" რედაქციის მოშლასა და ილია ჭავჭავაძის სახელის

გატეხვას დაისახავდა, მის სამოქალაქო სიკვდილს ჩაითქვამდა და ფილიპე მახარაძესაც გვერდით ამოიყენებდა: გახსოვს, ბავშვობისას გველეშაპის დამარცხებასა და წყაროს გამოხსნაზე რომ ვოცნებობდით, აგერ ის გველეშაპი, ხალხის ჭეშმარიტი სწრაფვა რომ დაუთრგუნავს, ზედ გადაფოფრებია და დროზე თუ არ გამოვაცალეთ ხელიდან წყარო, სულ მოწამლავს და აამტუტებსო.

ამოიყენებდა და ისიც ისე მონდომებით ამოუდგებოდა, წააჭარბებდა კიდეც და გადამწყვეტი წუთების წინ სულაც თვითონ იგდებდა ხელთ სადავეებს. თუმც, ცხადია, ნოე ჟორდანია ისევ ებღაუჭებოდა ცალ სადავეს, თორემ მანამდე ის წვრთნიდა ფილიპეს და ხელმოსაჭიდ მასალებსაც შეურჩევდა, საიდან სჯობდა თავს დაეარათ ილიასათვის.

უკვე იქ განასკვულიყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და აგვისტოს სისხლიანი 30 ბუნებრივად დააბოლოვებდა „კვალის“ გამოჩენის მიზანს ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილეში. არა კულტურულში, რასაკვირველია, თუმც პოლემიკური მასალები ლიტერატურული ფაქტებითაც გადაიძეძგებოდა.

მათი ლიტერატურა პოლიტიკური კონიუნქტურა გახლდათ, არც ერთი მისხალით მეტი, არც ერთი მისხალით ნაკლები, და სწორედ პოლიტიკური კონიუნქტურის სარეცელზე მოუნდომებდნენ ილიას მხატვრულ ნააზრევსა და პუბლიცისტიკას გამოჭრას, იქ გამოჭრილი კი რა განცდა-განწყობილებებსაც იწვევდა სოციალ-დემოკრატების თვალში, ულმობლად შეანთხევდნენ გაზეთების ფურცლებიდანაც და თავიანთ მიმდევართა ათასგვარი ხრიკებიდანაც.

სულ უფრო შემოურკალავდნენ ასპარეზს.

სულ უფრო მიჩეხავდნენ.

და ილია ჭავჭავაძე რევოლვერსაც კი შეიძენდა და საგურამოში თავის აივანზე გადმომდგარი ერთი კუთხისაკენ გავლას ძალიან ერიდებოდა, ოდნავ შებინდდებოდა თუ არა და ის კუთხე სიბნელეში ჩაიძირებოდა – ხეებშემორტყმული, აქეთ მხარეს გადმოინაცვლებდა და თუკი ძალიან მოუნდებოდა მაინცდამაინც იქით გავლაც, ხიფათის მიმზიდველობა აცთუნებდა რევოლვერის სასხლეტს დააჭერდა თითს და ფრთხილად, ფრთხილად გასწევდა იქითაც.

იქნებ მოსცილდე აქაურობას, ტფილისსაც გაერიდო და ერთხანს ყვარელში შეაფარო თავიო, – ურჩევდნენ, და რუსთველის შეგონებასაც ისე შეახსენებდნენ, თითქოს თვითონ სულ პირზე არ ეკერა ის შეგონებანიც და ის სტრიქონებიც: საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო.

თავმოყვარეობა ვითომ რატომ უნდა შელახოდა, აგერ „ვეფხისტყაოსანი“ არწმუნებდა: კარგისა მამაცისაგანო.

მარტო ხალხურ სიბრძნეს არ უნდა მოაქცევდეს რუსთველი პოეტურ ფორმულაში, პირად გამოცდილებასაც უნდა შეურევდეს და ამით ანიჭებდეს მეტ სიცხოველეს.

საცა არ უჯობდა, გაეცლებოდა და თავს იმით ინუგეშებდა: კარგისა მამაცისაგანო.

მაგრამ ყოველთვის იქნებ არც გასცლოდა და ზედ შეხლა ემჯობინებინა? გონების მტკიცება გულის კარნახს გადაეფარა და საცა არ უჯობდა, სწორედ მის შუაგულშიც შევარდნილიყო?

კიდეც დავადასტურებდით, მისი ბიოგრაფია რომ გვქონდეს ხელთ, ასე გუმანით კი იმის თქმა შეიძლება, რომ ადამიანის ცხოვრება არ არის სწორხაზოვანი და სქემებსა და ფორმულებში მოქცეული, რაოდენ სახეიროც უნდა მოჩანდეს ესა თუ ის სქემა ან ფორმულა. ქვეცნობიერი საით მიგაგდებს, თვითონაც ვერ ახსნი, არამცთუ სხვებმა მოინდომონ მისი განმარტება და ილია რევოლვერმომარჯვებული რომ უახლოვდებოდა აივნის დაბნელებულ კუთხეს, ხეებით გადაბურულ მხარეს და გული ძალუმად აუბაგუნდებოდა: არა ვარ არსად წამსვლელიო, – ეს შინაგანი ძახილი შეერეოდა გულის ბაგუნს და არ იყო ძალა ქვეყანაზე, ვინც ამ განზრახვას გადაათქმევინებდა.

ჯერ ნოე ჟორდანიას მოაცილებდა კარისაკენ და მხურვალედაც გამოემშვიდობებოდა.

ხელს მაინც ნუ შევუშლით ერთიმეორესო...

შეურაცხყოფისა და ცილისწამების ნაკადში რომ მოჰყვებოდა, კიდეც აიყრიდა გულს პროგრესისტებზე და გულშიც აღარ გაივლებდა არჩილ ჯორჯაძის მიწვევას თავისთან და ხელსაყრელი დასაყრდენის შეთავაზებას შემდგომი მოქმედებისათის – რედაქცია იქნებოდა, ბანკი თუ წერა-კითხვის საზოგადოება, რათა საქვეყნო სარბიელზე ახალგამოსულს გაადვილებოდა მოღვაწეობა.

იქნებ სწორედაც ის სჯობდა, რომ არ გაადვილებოდა? თორემ რა გამოდიოდა – იმის იმედად ყოფნა, ერთხელაც იქნება გამოეხსნება სოციალიზმის იდეას და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას გაიხდის უპირველეს მიზნადო, როდემდე შეიძლება გაგრძელებულიყო. იმედი მწარედ გაცრუებოდა არაერთხელ და ისევ მას ველარ ჩამოეკიდებოდა.

პროგრესისა და სიახლის შემოტანა-დამკვიდრებას ვინც იქადდა, ილია ყველას „ახალმოსულის“ ფსევდონიმით გამოეპასუხებოდა.

ფსევდონიმშიც გაურევდა ირონიას, ახალმოსულობას ახალმოსულობითვე შეერკინებოდა, იმათ უმთავრეს მტკიცებას თავმოსაწონებლად და საზოგადოებრივ სივრცეში დასამკვიდრებლად, იმათებურივე ხერხით დაუხვდებოდა და სატირული მანერით უკიდურესობამდე რომ მიიყვანდა და გააშარჟებდა იმათ ახალ აზრებს, ფსევდონიმით კიდევ ერთხელ გამოჰკვეთდა, სწორედ აქეთ მიდის თქვენი ქადაგება, კონტრაქციებით გაჟღენთილი და მიწას მოწყვეტილი, და, შეუფერხებელი გზით თუ იარა და რეალური დაბრკოლება არსად აღემართა, სრულ გაუგებრობაში გადაიჩეხება თქვენგანვე წაქეზებული „ახლების“ ხელშიო.

თორემ აგერ ეს ახალმოსულიც, ვის სახელსაც აიფარებდა ილია გამჭვირვალე საბურველად, აქებ-ადიდებდა ივანე გომართელის ფილოსოფიასაც და არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგიასაც და სწორედ ქება-დიდებას გადააქცევდა სარკაზმად.

ნება მიბოძე გაქო გაბითურების მიზნითო, – თავისთვის რომ იწერდა პატარ-პატარა სატირულ ლექსებს გალაკტიონ ტაბიძე, ამ სტრიქონებსაც გამოურევდა და, თვითონ რა ჩაეთქვა, აქ სად გავყვეთ, საგულისხმო ისაა, რომ ილიას იმ მწვავე პუბლიცისტურ სტატიაზეა ზედგამოჭრილი, თითქოს მისი ლაკონური რეზიუმეაო.

ეპისტოლურ ქარგას გამოუძებნიდა ამ სატირულ ჩანაწერს – „ივანე გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგია“, „ივერიის“ 1902 წლის 21-ე ნომრის ფურცლებზე რომ გამოჩნდებოდა; ვითომდა მეუღლეს სწერდა ვრცელ ბარათს და ამუნათებდა ძველი აზრების ერთგულებას, თვითონ კი – ახალი აზრების უკვდავების წყაროს დაწაფებული „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ ლოცვითა და კურთხევით – ასეთ საყვედურებს უმიზეზო წუწუნათღა ღებულობდა გუნებანაქცევი დედაკაცისა.

წარმოსახვით მეუღლეს თეკლეს შეარქმევდა.

ცხადია, ნებისმიერადაც შეიძლება იყოს ამორჩეული ეს სახელი, მაგრამ სტატიის სულისკვეთების ფონზე ისე მოჩანს, რომ შემთხვევით არ უნდა წამოევლოს ხელი და ამ სახელშიც სიმბოლურსა და ღრმა შინაარსს უნდა გულისხმობდეს. თეკლეს ხსენება ძალდაუტანებლად წამოუტივტივებდა მკითხველს თეკლა ბატონიშვილის სახებას, ეროვნული ტრადიციების დიდი ერთგულისა და კონსერვატული იდეოლოგიის დამცველის, ვისი გავლენაც შვილების წყალობით, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისა, კვლავაც კანთიელად ტრიალებდა საზოგადოებრივ შეგნებაში და ილიასაც შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, დითირამბს აღუვლენდა, როგორც ივე-

რიის დამარხული დიდების მხთრობელს, მახსენებელსა და ჭირისუფალს, და როგორც კარგად განათლებულსა და ჭკუით, სიბრძნითა და სათნოებით შემკულ პიროვნებას.

ამ ასოციაციების ფონზე უფრო ხელშესახებად უნდა გამოჩნდეს ახალ აზროვნებად მონათლული იდეოლოგიის ცალმხრივობა, უმწიფარობა და – ზოგიერთ შემთხვევაში – სრული უგვანობა და ცოდვიანობაც.

თუ შენი ჯვარდაწერილი ცოლი არ გაგონდება, ეს შენი ოჯახი მაინც რატომ არ მოიკითხეო, – იწერებოდა ოცნებას შერეული ქალი და ქმარი კი: ოჯახის მოკითხვა და გახსენება რა პატიოსანის კაცის საკადრისია. რა სახსენებელია ეგ შენი ობმოკიდებული „მცნება“, ეგ შენი ოჯახი ეხლანდელ დროში, როცა „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ წყალობით ახალი მეცნიერება, ახალი მიმართულება, ახალ-ახალი აზრები დუღან და გადმოდიანო, – გონებაში უბეჭდავდა და უკვე მეორედ იხსენიებდა ამ ორ გაზეთს, როგორც თანამოაზრეთ.

იმათ თუ ეგონათ, სხვადასხვა საძირკველზე ამოვშენებულვართო, ილია ოდნავადაც არ განასხვავებდა. დარწმუნებული გახლდათ, ან ხელოვნურად თხზავენ ვითომდა დაპირისპირების არსებობას, ან მართლა ეჩვენებათ, არადა, სინამდვილეში ერთ სულად და ერთ ხორცად გამოკვეთილანო.

მაშ ოჯახი მოსაკითხი კი არა, დასანგრევი და დასაქცევი ყოფილა? ასე უნდა ერწმუნათ, რაკიღა ოჯახის აუცილებლობას ხავსმოკიდებული ძველები ღაღადებდნენ, დანგრევას კი – ახალი დროის ყარამან ყათილ სააპყირანი გომართელი.

სოციალიზმი გულმოდგინედ უტრიალებდა სიყვარულსაც და სექსსაც, მიხვედრილიყვნენ მისი პირველივე თეორეტიკოსები, რომ რაღაცნაირად თუ არ მოუვლიდნენ ამ განცდასა და სწრაფვას, ძალიან შეუშლიდათ ხელს იმ წყობისა და სახელმწიფოს დამკვიდრებაში, რაც ასე ეოცნებებოდათ და ეჭვიც არ ეპარებოდათ, მიწიურ სამოთხეს გავაჩენთ და კაცობრიობა აქვე, წუთისოფელშივე ჰპოვებს იმ გულისთქმის აღსრულებას, რისი ხორცშესხმაც მიღმა სამყაროში ეგულებოდათო.

სექსუალური კომუნიზმი უნდა დამყარებულიყო.

საამისოდ კი ოჯახი უნდა მოშლილიყო – უსათუოდ და უეჭველად.

აღარავის ეყოლებოდა დედ-მამა, აღარავის ეყოლებოდა და-ძმა და ეს გარემოებაც გაათანასწორებდა ყველასა და ყველაფერს, ოჯახის მოშლა ეროვნულ საზღვრებსაც გაცილებით იოლად მოარღევდა,

თვითმყოფადობის ნიშნებს პირწმინდად გადაფხეკდა და საზრუნავი აღარავის აღარაფერი ექნებოდა, გარდა კომუნიზმის ნათელი მომავლის, შემდგომ კი კომუნისტური საზოგადოების ემბაზში ამოვლებისა.

აბსტრაქტული კაცობრიობა გადაიქცეოდა ერთადერთ რეალობად.

თეორიულად ეს ყოველივე ყველასთვის თუ არა, ბევრისათვის მიმზიდველადაც გამოიყურებოდა, ერთადერთ აუცილებლობადაც, და სული უსწრებდათ, როდის დამკვიდრდებოდა ყოფა-ცხოვრებაში, მაგრამ რევოლუციების ქარ-ცეცხლი სოციალისტურ წყობას მართლა რომ ააცხადებდა და კომუნიზმის მოღაჟღაჟე მწვერვალებს სულაც ხელის გაწვდენაზე მოუთითებდნენ ამ წეს-წყობილების მოთავენი ხალხს, ოჯახის მოშლა მთლად ისე მარჯვედ ვერ გამოუვიდოდათ, როგორც წარმოსახვაში ეიოლებოდათ. შეეცდებოდნენ, განა არა, სექსუალური კომუნიზმის დამკვიდრებას, საამისო პროპაგანდისტებსაც დააგზავნიდნენ და საჯარო სცენებსაც მოაწყობდნენ, თუ როგორ უნდა დაბრუნებოდა ადამიანი ცხოველურ ყოფას და დაბადების მისტერია აღარც განსხვავებულიყო ლეკვებისა თუ კნუტების შობისაგან.

აქტებიც ბარემ საჯარო გამხდარიყო – განა ცხოველებს ერცხვინებოდათ, ხომ არავინ გვიყურებსო?

შეეცდებოდნენ და... იქვეც ჩაიფუშებოდა განზრახვა, იმ პირველივე პროპაგანდისტებთან, რომელთაც ის თითო სახალხო გაშიშვლება და ერთიმეორის მიდგომა შერჩებოდათ, ეგაა და ეგ. გაისუსებოდა ახალი სახელმწიფო რეჟიმი და გახსენებითაც აღარასოდეს გაიხსენებდა, ოდესღაც სოციალიზმის მედროშეებს ამ იდეითაც რომ უხურდათ თავი. ისე დაასრულებდა არსებობას რუსეთის საბჭოთა იმპერია, ცენზურას ისიც კი დაეევალებოდა, არსად გაჭაჭანებულიყო ოჯახის მოშლისა და სექსუალური კომუნიზმის იდეოლოგია, ოჯახის გადაგვარებისა რატომაც არა, ოღონდ ამ გზით მოშლას ჩამოხსნოდნენ.

ჯერ ჩვენი სოციალისტებიც მოეზიდებოდნენ ამგვარ შეხედულებებს, ევროპული და რუსული ნაკადი საქართველოშიც ხომ არ უნდა დარჩენილიყო გამოძახილის გარეშე და ივანე გომართელი სიახლის მოქადაგის მანტიით რომ გადმოისროდა ხალხში ოჯახის დრომოჭმულობის შეხედულებებს, ვინ უნდა გადაღობებოდა უწინარესად, თუ არა ილია ჭავჭავაძე, სატირის დარჯაკში რომ გამოატარებდა ახალ ქადაგებას:

ძლივს არ გავიგე, რომ ოჯახი ადამიანის პროგრესის ბორკილი ყოფილა, და ბორკილი ხომ ბორკილად, ოჯახს სხვა ჭირიც სჭირებია, თურმე ადამიანის ძალ-ღონეს არ უშვებს საზოგადოებრივი იდეალებისაკენ და წინსვლა კიდეც შეუყენებიაო.

ესეც იმდენი არაფერი თურმე, დროგასული და ძველი ყოფილა და:

– ეხლანდელს დროში დრო-გადასულის და ძველის ქომაგობა და კეთილად ხსენება ხომ საციმბირო საქმეა, „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტ-ფილოსოფოსებს რომ ჰკითხო.

ეს ორი გაზეთი კვლავ ერთმანეთს უნდა შეტყუპებოდა, ოღონდ ციმბირის ხსენებაც არ არის შემთხვევითი და გამჭვირვალე მინიშნებაც ძნელი ამოსაცნობი. სოციალიზმის მოქადაგენი ჯერ ისე არ მომძლავრებულან, საციმბიროდ გაუხადონ ვინმეს საქმე, იქ გადასახლება თვითონ უფრო უწევთ. ხან რომელი მათგანი აღმოჩნდება იქ და ხან რომელი. და მაშ რა ხდება, ილიას ციმბირი რამ ათქმევინა? რამ და: ეროვნულ ტრადიციებსა და თავისებურებებს ერთსულოვნად დაპირისპირებიან მეფის ხელისუფლებაც და სოციალისტური წრეებიც. თვითონ სოციალისტებიც სხვადასხვა მხარეს მიიწევენ და ერთმანეთთან საერთოს ვეღარ ჰპოვებენ, სულაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებიან ერთმანეთს, მეფის ხელისუფლება არცერთ მიმდინარეობას არ მოსდის თვალში და ხელისუფლებაც ყველას თავის მტრად მიიჩნევს, მაგრამ როდესაც ეროვნული ზნე-ჩვეულებანი ჩნდება თვალსაწიერზე, ავიწყდებათ ქიშპი და ასერიგად შეურიგებელნი... ერთბაშად თანხმდებიან. ეროვნული ტრადიციები უნდა მოისპოს, თანაც პირწმინდად – ეს უპირველესია, სხვა მხრივ კი რაღაც-რაღაც დათმობებიც შეიძლება. სათქმელადაც არა ღირს ეს დათმობანი.

დროგადასული და ძველიო...

ეს ის პოლიტიკური იარლიყია, რომელსაც თუ არ გამოეხსენი, ციმბირის გზაც წამდაუწუმ ამოგიჩნდება თვალწინ და აივნის დაბურული კუთხისკენაც რევოლვერმომარჯვებული თუ გადადგამ ნაბიჯს.

სოციალ-დემოკრატია და პოლიტიკური ტერორი განუყოფელი ცნებანი გამხდარა.

უკვე დროა, რომ არჩილ ჯორჯაძის სახელიც გამოჩნდეს სტატიაში და, ცხადია, მასაც ირონიული ქარგა შემოევლება გარშემო თავიდანვე: ღმერთმა უშველოს, იმან მიხსნა ბოროტისაგანო.

ჯერ მკითხველი ისე კარგად არ იცნობს ამ ახალ პუბლიცისტს? გააცნობს, ყური დაუგდონ და მის პორტრეტსაც შემოხაზავს, იმ მთავარ კონტურებს გამოჰკვეთს, თუ რატომ არ შეიძლება იყოს

საიმედო მისი მოვლინება. ფსევდოსიახლეთა მარაქაში გარეულთა ვისაც სწამს, დაე მან იწამოს ამისიც, ილია კი რჯულამდე ჩაჰყვება და ჯერ ორიოდ სიტყვით ასე წარუდგენს საზოგადოებას:

– ეს ის ახალი კაცია, რომელიც მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს.

მწარე შეფასებაა, ძალიან მწარე, როდესაც შენს პირველივე ლიტერატურულ ცდებს ფარისევლობად მოგინათლავენ. შემაერთებელი ხიდის როლს კი არ გაკისრებენ ამ ორ მრწამსს შორისს, არამედ მზაკვრულ ხერხიანობას, შენი შეხედულებანი მარჯვედ შემოაპარო საზოგადოების ცნობიერებას, გულმხურვალება უმტკიცო და თან მისი შინაგანი სიმტკიცის მორღვევას შეეცადო.

რა შთაბეჭდილებაც დარჩენოდა ილიას, ის უნდა გამოეთქვა წრფელად და არც ამჯერად გაეწია ანგარიში, ვის რა განცდებს დარევდა ხელს მისი სიტყვების მოსმენისას.

არჩილ ჯორჯაძეც ისევე გაცოფდებოდა, როგორც ნოე ჟორდანიას დაეკარგა წონასწორობა გაგულისებისაგან და დიდსა და პატარას უმხედრებდა? დაე ესეც მიმატებოდა მის მოძულეთა გუნდს და ყველა მოსახვევში ემტკიცებინა, ვიდრე ეგ გვეყოლება ბაყბაყდევად, ახალსა და ბედნიერ ცხოვრებას არ უნდა ველოდეთო.

ისე თუკი სულ იმის ცდაში გახლდათ, ახლებისთვისაც ეამებინა და არც ძველები მოემდურებინა, საამისოდ ის პუბლიცისტური ხერხი უნდა გამოეყენებინა, რასაც ილია, ირონიულად, ბრძნულს შეარქმევდა და ზოგად შინაარსს ამ ლაკონურ ფრაზებში ჩატევდა:

– ძველები, მართალია, მიხვდნენ, რომ საქმე ახლებსავით კარგად ვერ გამოშიგნეს, გულ–ღვიძლი კარგად ვერ გაუჩხრიკესო; მიხვედრა ძველებისაა, გამოჩხრეკა – კი ახლებისაო.

ასე შეშველებოდა არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფია ივანე გომართელისას და მისი სტატიის დედააზრი უკვე ამ შევსებული სახით გადმოჰქონდა ილიას თავის მწვავე გამოხმაურებაში, ლაკონურ დასკვნას გაშლიდა და ასე აწვდიდა მკითხველს:

– ძველებს არა სცოდნიათ საიდამ მისდგომოდნენ ოჯახს, რომ სამუდამოდ დაექციათ. თუმც ალღო–კი აღებული ჰქონიათ... თუ რისამე დანგრევა-დაქცევა გინდა და ერთბაშად დაფუშვა, საძირკველი უნდა მოუნახო და მთლად გამოუთხარო. ოჯახი რომ გამოშიგნო, გულ-ღვიძლი რომ გაუჩხრიკო, ჰნახავ, რომ საძირკველი მისი ცოლ-ქმრობაა.. ოჯახის ძირიან-ფესვიანად ამოგდება არ შეიძ-

ლება, თუ ან არსებული ცოლ-ქმრობა არ შეიმუსრა, არ დაირღვა, არ გაუქმდა.

ცოლ-ქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმედ მიაჩნდა ქართველობას და, თუ არა პატივსადები მიზეზი, ასეთი გადაწყვეტილება ვერც გაებედათ?

აგერ, თუკი გომართელის მიერ მოწოდებულ აზრებს აღიარებდნენ, ცოლ-ქმრობის დარღვევა არამცთუ სათაკილო საქმე, ქვეყნისათვის დადებული ღვაწლიც აღმოჩნდებოდა, სასახელო და საქებ-სადიდებელი, და თუ ცოლ-ქმრობა შეიმუსრებოდა და ოჯახები ერთიმეორის მიყოლებით დაიქცეოდა, ასე წაწყმდებოდა ძველი და იხარებდა ახალი.

ქონების გაყოფა როგორღა უნდა მომხდარიყო გაყრილ ცოლ-ქმარს შორის?

თითქოს დამაბრკოლებელ გარემოებად ეს ჩნდებოდა, მაგრამ აქაც არჩილ ჯორჯაძე მოევლინებოდა შემწედ გომართელის მტკიცებებს და ილიას პუბლიცისტური სტატიის ირონია იმითაც გამკვეთრდებოდა: დარიგებისათვის ჯერ გომართელს მივაშურე, მაგრამ რადგანაც იგი ტფილისიდან სადღაც წასულიყო, არჩილ ჯორჯაძეს მივადექი და მას მოვახსენე ჩემი ჭირ-ვარამიო. ეს ბელეტრიზებული ჩანართი ისე გრძელდება, რომ მას „ცნობის ფურცელი“ მიუჩეჩებია ხელში მთხოვნელისათვის და უთქვამს: შენი დარდის პასუხი აქა წერია, სხაგან ვერსად იპოვნი, სანთლითაც რომ ეძებოო.

იქვე კიდევ ერთი ირონიული ნესტარი:

– ვთქვი, უსათუოდ გასაღება უნდა „ცნობის ფურცლისა“ და ამიტომ მაჩეჩებს ხელში-მეთქი. მეტი გზა არ იყო, ვიყიდე ის ნომერი და შინ წამოვიღე.

გალაკტიონმა როგორ?

ნება მიბოძე გაქო გაბითურების მიზნითო, არა?

და ილია ერთიერთმანეთს მიაწყობდა სადიდებელს:

– წავიკითხე და სიხარულით ფეხზე ვეღარ დავდეგ.

– აი, ღმერთმა აცოცხლოს არჩილ ჯორჯაძე, მისი ახალი მიმართულება, მისი ახალი მეცნიერება და მისი ახალი ფსიქოლოგია.

– ვერ წარმოიდგენ, ქვეყანას რა დოვრანი დასცემია, რა იღბალი ჰქონია და დღეს – აქამომდე კი არა სცოდნია.

– აი თურმე ახალი ფსიხოლოგია ადამიანისა რას ჰღაღადებს!..

– ეს მე რომ მეთქვა, არ დამიჯერებდი. ამას არჩილ ჯორჯაძე ამბობს, ის არჩილ ჯორჯაძე, რომელიც თავის ქადილისამებრ ადამიანის გულში კარგად ჩახედულია.

– ეს ახლად-გამომცხვარი ფსიხოლოგი გვიქადაგებს.

ნაბიჯ-ნაბიჯ აღარ გაჰყვებოდა მის სტატიას, ყველა დებულების უარყოფას არ განიზრახავდა, ერთს გამოარჩევდა ნიმუშად და მასზე ააგებდა თავის მსჯელობას და არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა გაბიაბრუებას:

„კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისით სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვისას შეჰყურებს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ შეივსოს თავისი დანაკლისი“.

განა ბევრია ქვეყანაზე იმისთანა კაცი, რომ რაცა აქვს, მას დასჯერდეს და კმაროდესო, – ეცინებოდა ილიას, ამ სტრიქონებს რომ გადაავლებდა თვალს და როტშილდი და სხვა ამერიკელი მილიონერები ახსენდებოდა: ყელთამდე ოქრო-ვერცხლით აღვსილან, მაგრამ არა სჯერდებიან, რაცა აქვთ და დღე-ღამ იბრძვიან და იღვწიან მეტის შესაძენადო. რა გამოდიოდა – დიდად დიდი ნაწილი კაცობრიობისა არა კმარობდა მოპოვებულს და სულ იმის ფიქრსა და ცდაში ყოფილა, „სხვისით“ შევივსო დანაკლისიო.

რაკი ასეა, მე რაღა წითელი კოჭი ვბრძანებულვარო, – წარმოსახვით მეუღლეს უმტკიცებდა, – მე რატომღა არ უნდა ვიყო სულ იმის ფიქრსა და ცდაში, რომ „სხვისით“ შევივსო დანაკლისი და იოლად წავიდეო.

მაგრამ ეს „სხვისით“ შევსება დანაკლისისა როგორ უნდა მოხდეს ისე, რომ ციმბირს იქით არ გიკრან თავი?

ძველებს ხომ მხოლოდ ასე წარმოედგინათ, „სხვისით“ შევსება დანაკლისისა მარტოდენ მაშინაა შესაძლებელი, რომ ან მოიპარავ, ან გაძარცვავ და ან მოიტაცებ. ის „სხვისი“ თუ მართლა სხვისაა, პატრონმა თავისი ნებით რატომ უნდა დაგანებოს და არც დაგანებებსო.

მაგრამ თუ ცოლის მზითევი შენს ხელთაა?

არჩილ ჯორჯაძის „საამური ფსიხოლოგია“ კიდეც გადმოგილოცავს.

სითამამესა და თავდაჯერებასაც ეს გმატებს:

– ღმერთი, რჯული, მეც, ბევრ სხვასავით, არა ვჯერდები და არა ვკმარობ იმას, რაცა მაქვს. მაშ ღვთით და არჩილ ჯორჯაძის წყალობით ნურას უკაცრაოდ, რომ არც ვაცხელო, არც ვაცივო და ჩემის დანაკლისის შესავსებად ვსთქვა, აფუ მე-მეთქი და შენი მზითევი შევიტყაპუნო. თუ მე ამაში გამატყუნოს ვინემ არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგიის შემდეგ, ჩემი კისერი და შენი ხმალი.

მწვავე სარკაზმი მხოლოდ ასე თუ დაბოლოვდებოდა: აღარ ვიცი, რომელი უფრო დიდი მეცნიერია და რომელი უფრო წინ მირბის „საზოგადოებრივ იდეალებისაკენ" – გომართელი თუ ჯორჯაძე, ეს კი ვიცი, რომ ეს მეოცე საუკუნე ქართველებს კარგ ეტლსა და ვარსკვლავზე დაგვებადა, ხუმრობაა, ორი ამისთანა კაცი მოგვევლინა, როგორც ფილოსოფოსი გომართელი და ფსიხოლოგოსი ჯორჯაძეო.

რაც ნოე ჟორდანიასთან დაემართა, მეორედ აღარ უნდა მოსვლოდა და აღარც მოუვიდოდა. რატომ დაებარებინა თავისთან და ფიანდაზად გაგებოდა – რაც გენებოს, შენს ხელთ იყოს, ან თუ მაინცდამაინც მხარდამხარ არ გავწევთ ჭაპანს, ხელს მაინც ნუ შეუშლით ერთმანეთსო. ამ მხურვალე შეხვედრასაც ალბათ ისეთივე შედეგი მოჰყვებოდა, რაც ნოე ჟორდანიას გაუთავებელი თავდასხმებისაგან გამოეცადა და ბარემ უკვე დაწყებულიყო ეს ახალი დაპირისპირება: ილია ჭავჭავაძე – არჩილ ჯორჯაძე. და ბარემ იმ სიმწვავით, რაც ისედაც მოსალოდნელი გახლდათ.

ითაკილებდა თავმომწონე ფილოსოფოს–ფსიქოლოგი ასეთ შეგებებას და თვითონაც დაუნდობლად გამოილაშქრებდა?

დაე თავისი მოესინჯა, გამოჩნდებოდა, რას მოიხვეჭდა ილიასთან დავიდარაბით.

ნოე ჟორდანიას რა დოვლათი ეშოვნა?

ჩაერიეთ, მომეშველეთო, – აღმა-დაღმა დარბოდა და მომხრეებს აქეზებდა, – ახლა მჭირდებით, თუ მჭირდებით, საპროტესტო წერილები შეადგინეთ და მოითხოვეთ ილიას წერილების აკრძალვაო.

დოვლათი მერე გამოჩნდებოდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ისეთი რეალური რომ გახდებოდა, თვითონ ჟორდანიაც ვეღარ გადავიდოდა განგების ნებას და აღიარებდა და სულაც გამოაცხადებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუმც გული ძალიან წყდებოდა, ნაციონალურ საზღვრებში ვემწყვდევით და მსოფლიო პროლეტარიატის მხარდამხარ ბრძოლა ცოტა არ იყოს გაგვიძნელდება, ჩვენი ამ მთავარი მიზნისა და ოცნების აღსრულებაო.

ყველაზე ძლიერი მეტოქე სახელმწიფო მეთაურის სავარძლისათვის ბრძოლაში კარგა ხნის წინათ ჩამოეცილებინა, სამოქალაქო სიკვდილი მიესაჯა და ბოლშევიკური ფრთისათვის გადაელოცა სიკვდილის განაჩენის აღსრულება. სხვებს იოლად მოერეოდა, თანაპარტიელ ნოე რამიშვილსაც კი ჩამოიცილებდა მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან და „ახალ მოსედ" მოევლინებოდა ქვეყანას.

ჯერ არ უწყოდა, მოვლენები როგორ დაეწყობოდა ერთმანეთს და გავეშებული მისტანებოდა ილიას სახელს, არჩილ ჯორჯაძესაც ვერ იგუებდა საქვეყნო ასპარეზზე და ფარული კრთომით მიაჩერდებოდა, ჩემზე მეტი სახელი არ იშოვნოს, ჩემზე მეტ გავლენას არ მიაღწიოს, თორემ მერე უფრო გამიძნელდება მისი დამხობაო.

ჯერ შორიდან ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

ნოე – გულში ჩაგუბებული ბრაზით.

არჩილი – ოდნავი ირონიით.

ისე უნებური მოკავშირეები ხომ არა ხდებოდნენ ილიას წინააღმდეგ?

ვიდრე ილია მძლავრად გამოიყურებოდა და ბარიერად აღმართოდა სოციალისტურ მოძღვრებას, იქნებ ერთმანეთისათვის ხელის გაწვდენა უჯობდათ და ჯერ ამ კაცის ჩამოცილება, ყველასა და ყველაფერს რომ გადაფოფრებოდა?

ერთმანეთთან ჭიდილს ყოველთვისაც მოასწრებდნენ.

აგერ საბაბიც გამოსჩენოდა არჩილ ჯორჯაძეს, ილიას თვითონ გადაეგდო ხელთათმანი მისთვის, შენი გამოჩენით ახალი საუკუნე კარგ ეტლსა და ვარსკვლავზე დაგვებადაო, ამ მათრახსაც არ დაინანებდა და მის მერუსულეობასაც მწარედ გადაწვდებოდა.

გახსოვთ ციტატის ის ფორმა?

„კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისით სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს“.

იცინებდა ილია ჭავჭავაძე:

იქნება იკითხო, – „თავისით სჯერდება“ სადაური ქართულიაო? გარუსებული ქართული გახლავსო.

და ასე სიცილ-სიცილით მოადევნებდა:

– მართალია, ძველი ქართველი ამ შემთხვევაში იტყოდა, – „სჯერდება რას? – თავისას“ და არა თავისით; მაგრამ „კვალსა“ და თვით ბ–ნ გომართელს არა-ერთხელ კვერი დაუკრავს და ბეჭედი დაუსვამს, რომ ჩვენ, ქართველები „ევგაევროპიელდით“ და რათ გიკვირს, რომ არჩილ ჯორჯაძემ ქართული გაარუსულა და ამით გააევროპიელა, სურვილისა და ნატვრისამებრ „კვალისა“ და გომართელისა. თუნდ ეგეც არ იყოს, სიტყვას რას დასდევ!.. შენ აზრი გაუსინჯე, აზრი, და სიტყვას თუნდ ჯანაბამდე გზა ჰქონია.

მტკივნეულ ადგილას აჭერდა ფეხს, ენობრივ უხერხულობას უნებლიე შეცდომად კი არ ჩამოართმევდა, გულგარეთ კი არ გადაატარებდა, გარუსებულ ქართულს შეარქმევდა.

თითქოს უკვე გადაელახა „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტს ის დაბრკოლებანი, ქართულ ენას რომ აშორებდა, ჯიუტი ნებისყოფით გამოეკვალა გზა მშობლიური ენისაკენ, ეამაყებოდა, მალე რომ აღედგინა ქართულად მეტყველებაც და წერის უნარიც, მითუმეტეს, პუბლიცისტური სტატიისა; და... ილიას თვალს კი არაფერი გამოეპარებოდა.

ეგაა, ცოტა არ იყოს უცნაური ჩანდა, რომ ეს მკვეთრი შემობრუნება მშობლიურ ძირებს მოწყვეტილი კაცისა თავისი ენისა და მიწა-წყლისაკენ სასიხარულოდ კი არ დაურჩებოდა და ახალბედა პუბლიცისტს შეგულიანებით კი არ შეაგულიანებდა, კიდევ უფრო სრულჰყავი ენობრივი სტილიო, თითქოს თავიდან მოცილება ერჩივნა, ისეთ რაიმეს უწუნებდა, რასაც, ვინ იცის, ისე გაეღიზიანებინა არჩილ ჯორჯაძე, სულ აეღო ხელი ქართულად წერაზე.

ან რაღა თითქოს...

იცილებდა და ეგ არის.

არ დაგიდევდა ამას ილია – აეღო და აეღო ხელი, მაინც არა სწამდა მისი მოღვაწეობისა და ისედაც მწარე ირონიაში ენობრივ დამახინჯებასაც წააკეცავდა.

არადა, თვითონ არჩილს როგორ უხაროდა წერაში გაწაფვა და... უკვირდა კიდეც საკუთარი თავისა, გამიმართლა, თორემ ასე მალე არ ველოდიო.

თედო სახოკიას კიდევ უფრო უკვირდა და ხან დაჟინებითაც მიაჩერდებოდა, თვალი ხომ არ მატყუებს, ეს ის არჩილია თუ არაო.

ჯერაც ტოლსტოველად მოჰქონდა თავი, ცოტაოდნავ განელებოდა ფანატიკური გატაცება, მაგრამ კვლავაც ტოლსტოის სახელი და მისი მოძღვრება ეკერა პირზე და თედო სახოკიასაც ჩასჩიჩინებდა, უკეთესი გზა არც არსებობს კაცისათვის, ვიდრე ამ მრწამსის მიმდევრობა, ინამე და შენც იგრძენ ადამიანის ხსნისათვის მონიჭებული მადლი, განიცადე, რას ნიშნავს, მთელ სამყაროზე რომ ზრუნავ და არა მიწის პატარა ნაგლეჯზე, რომლისთვისაც შენი სამშობლო შეურქმევიათ და მისი მორჩილება კი ტვირთად აუკიდიათ, და, თუ არ გამოეხსენი ამ მოვალეობას, მთელი ცხოვრება ბორკილებივით უნდა ატარო, იგრძენ უფრო დიდი მოვალეობა, ვიდრე შენს საკუთარ წვენში ხარშვაო.

პანთეონის მოედნის სასტუმროში გაემართათ ეს სჯა-ბაასი, პარიზში, 1900 წლიდან წელიწად ნახევარს მაინც, ვიდრე არჩილ ჯორჯაძე საქართველოში გამოემგზავრებოდა.

ის უკვე აღერღილიყო წამოსასვლელად.

ეს ახლა შესცქეროდა გაოცებული თვალებით პარიზის ზეცას, მოსდებოდა ქალაქის ქუჩებს, არაფერს ტოვებდა მოუჩხრეკავს, თითქოს ქალაქიც წიგნსაცავად გადაქცეულაო, და: რას მიაღწია მაინც, მთელი მსოფლიო რომ აღიარებს გემოვნების კანონმდებლად და ყველა მისი სტილის განმეორებას ლამობსო, – ფიქრობდა.

სულ ფრანგულ კულტურაზე უნდოდა ლაპარაკი, სულ ფრანგულ ლიტერატურას უტრიალებდა და არჩილიც გაბეზრებული ჰყავდა, მაგრამ ის მაშინვე ტოლსტოისაკენ გადაუხვევდა, იმ გადმოსახედიდან განსჯიდა და აფასებდა ყოველივეს და: ამას უკვე აღარაფერი ეშველებაო, – გული წყდებოდა თედო სახოკიას. ენანებოდა ამხელა ერუდიცია, ამხელა ტალანტი, ამხელა გამჭრიახობა, ამხელა სულიერება ტოლსტოველობის ქადაგებაში ჩაშრეტილიყო.

პეტროგრადში სწავლისას გაგიტაცა ტოლსტოის მოძღვრებამო? – ეკითხებოდა თედო. ეს ისე, სხვათა შორის, თორემ დასაეჭვებელი რა იყო, იქ ყოფნისას რომ ჩაფლობილიყო ამ ახალ მიმდინარეობაში.

მაგრამ იმან:

არა, ვარშავის უნივერსიტეტში, პეტროგრადში ბუდიზმი მხიბლავდა ყველაზე ძალიანო.

იქ ციხის კომენდანტად გენერალი გიორგი ყაზბეგი დაენიშნათ, მისი ნათესავი, „თურქეთის საქართველოზე“ სამოგზაურო წიგნის ავტორი და წერა-კითხვის საზოგადოების მომავალი თავმჯდომარე – წინამურის ტრაგედიის შემდეგ. და ამ მარჯვე შემთხვევით ესარგებლა, რათა ერთხანს ეს უნივერსიტეტიც მოესინჯა.

სარგებლობით კი ესარგებლა, მაგრამ ტოლსტოველობა ისე მოეჭდობოდა გულზე, ისე მიიჩნევდა კაცობრიობის მხსნელ მოძღვრებად, ვარშავაში გული აღარ დაუდგებოდა და იმის ძიებას დაიწყებდა, ტოლსტოველებს ყველაზე ძლიერი წრე სად შეუქმნიათო.

ეძიებდა და ჰპოვებდა, ოღონდ რუსეთის ქალაქებში არა, ინგლისის საგრაფოში, სწორედაც ინგლისის საგრაფოში, სადაც ვლადიმერ ჩერტკოვს მოეკიდებინა ფეხი, ტოლსტოის ყველაზე დიდ აღმსარებელსა და ერთგულ მოწაფეს და არჩილსაც შეითვისებდნენ, ორ წელიწადს აყურყუმელავებდნენ თავიანთი კოლონიის სულიერ გარემოში, თუ რაიმე დაფარული მხარე არსებობდა ამ მიმდინარეობისა, ყველაფერს შეასწავლიდნენ, ამ იდეოლოგიით განმსჭვალავდნენ და, თვითონ რომ ვეღარ მოაბამდნენ თავს ტოლ-

სტოვური ახალშენის არამცთუ გაძლიერებას, შენარჩუნებასაც კი, გამოისტუმრებდნენ ქვეყნიერებაზე: იქნებ შენ მეტი სიმარჯვე გამოიჩინოო.

პარიზში ყოფნას რა სჯობდა და ტოლსტოვური წრის შექმნას, მაგრამ მარტო სწრაფვა და წადილი არა კმაროდა, უფულოდ ყოველგვარი წრე ჰაერში გამოეკიდებოდა და არჩილის განზრახვაც ამიტომ დაფარფატებდა ზემოთ-ზემოთ. ოცნების ქალაქი ვერაფერში შესწეოდა და, სხვა რა გზა დარჩენოდა, შინ დაბრუნებას უნდა შეჰგუებოდა.

მართალია საქართველო მეტად მცირე ასპარეზი გახლდათ საკაცობრიო მოძღვრებისათვის, მაგრამ ნივთიერი გასაჭირი ყელში ჩაფრენოდა ავ სნეულებასავით და თადარიგსაც იჭერდა და ფეხიც უკან რჩებოდა – სორბონის უნივერსიტეტიც, პარიზიც როგორი დასატოვებელია, და ასე ნელ-ნელაობაში წელიწადნახევარი კი გადაიკეცებოდა.

თედო საოკიას მემუარული ჩანაწერებიდან მხოლოდ ძალიან ზოგადად და შორეული მინიშნებით ვიგებთ მათი მაშინდელი საუბრების შინაარსს:

– ტოლსტოის ფილოსოფიაზე ჯერ კიდევ ხელი არ აეღო. ყოველსავე შემთხვევაში, მასთან ბაასისგან იმ შთაბეჭდილებას კაცი ვერ გამოიტანდა, რომ არჩილი საქართველოს ბედ-იღბლის უღელში შეებმებოდა ოდესმე და, კერძოდ, ქართულ მწერლობაში მიიღებდა მონაწილეობას. იმას მაინც ვერ იფიქრებდით, რომ არჩილ ჯორჯაძე გახდებოდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგად და თეორიულ ხელმძღვანელად.

თედო სახოკიას წინაშე იდგა თხემით ტერფამდე კოსმოპოლიტი და მსოფლიო მოქალაქე, ვის ამ სულიერ მისწრაფებასაც უკიდურესად ამძაფრებდა ის გარემოება, რომ მშობლიური ენა თითქმის დავიწყნოდა.

– ქართულად საყველპურო ბაასს თუღა ახერხებდა.

ენების შესწავლის ნიჭი ქართულს ვეღარ წვდებოდა და სრულყოფილად რომ შეისწავლიდა რამდენიმე ევროპულ ენას – გერმანულს, ინგლისურსა და ფრანგულს – თუ იქაურობას სამუდამოდაც შერჩებოდა, იქნებ 22 ენამდეც ასულიყო ჯეიმზ ჯოისივით, მაგრამ მასავით აღარ შერჩენოდა სურვილიც კი მშობლიურ ენაზე მეტნაკლებად გამართული მეტყველებისა. წერით ხომ სტრიქონსაც აღარ დაწერდა ქართულად.

თედოს ლამის ხელი ჩაექნია, რა იზიდავდა მისკენ, თვითონაც ვერ აეხსნა, ვითომ სიყმანვილის ნოსტალგია?

ჯერ კიდევ გიმნაზიიდან ახსოვდა, როდესაც არჩილი მერვე კლასის მოწაფე იყო.

მის ხასიათსა და პიროვნებაში თედოსათვის მთავარი ის კი არ არის, რომ ეს დინჯი, დაფიქრებული და მეტად სანდომიანი გარეგნობის ყმაწვილკაცი ტოლ-ამხანაგებში გამორჩეულია და ყველა სიმპათიას თავისკენ იზიდავს, არამედ ის, რომ ამ ყმაწვილკაცის საზრუნავად ქცეულა საკუთარი თავიც, ორი დაც და ერთი პატარა ძმაც, რეალური სასწავლებლის მეოთხეკლასელი.

და თვალწინ ამოესახებოდა ხოლმე თედოს, თუ როგორ ზრდიდა და ერთ ღარიბულ სასადილოში როგორ აჭმევდა სადილებს უმცროს ძმას კერძო გაკვეთილებში აღებული ფულით – თვეში სამი მანეთი ერგებოდა.

– მთლად მშობლიურ ზრუნვად გადაქცეული თვით საზრუნავი ყმაწვილი კაცი!..

მშობლები ნაადრევად გამოთხოვებოდნენ შვილებსაც და წუთისოფელსაც, ვერ გადაეტანათ ორი გოგონას ტრაგიკული აღსასრული და ეს ოთხნი დაეობლებინათ.

ბედნიერი ოჯახი ასე უეცრად ჩაიმსხვრეოდა და საკმაო შეძლებაც ჩაინაცრებოდა.

ამ უბედურებებს დაეკაცებინა ასე ადრე არჩილი.

ამ მხრივაც გამოერჩეოდა ტოლებს.

და თედოს ვითომ ეს მაშინდელი განცდა-განწყობილება აკავებდა, რომ სამუდამოდ არ გამოთხოვებოდა საქართველოსათვის უკვე დაკარგულ კაცს?

ალბათ.

ეს კი არის, დიდხანსაც ვეღარ გაგრძელდებოდა მათი მისვლა-მოსვლა, ერთხელაც იქნებოდა ჩამოინგრეოდა ხელოვნურად ნაკოწიწები მეგობრობის შენობა და კოსმოპოლიტი და ნაციონალისტი თავთავის გზას გაუდგებოდა.

– არჩილი მაშინ ეკუთვნოდა ქართველი ახალგაზრდობის იმ წრეს, რომელსაც, რუსულად ნასწავლ-აღზრდილს, ქართული ფიზიონომია დაკარგული ჰქონდა და თვით საქართველოს პოლიტიკურ კალოს გალეწილად სთვლიდა... ამ წრეს სამშობლოსათვის ზრუნვა, ქართველი ხალხის აღდგენისათვის ფიქრი და მისთვის მეცადინეობა, მეტი რომ არა ვთქვათ, მოცლილი ადამიანის საქმედ მიაჩნდა...

ერთი და ორი რომ ყოფილიყო ქართველ სტუდენტთაგან თუ ემიგრანტთაგან ამ მსოფლხედვისა და მიდრეკილების, იქნებ არც არაფრად ჩაგეგდო, მაგრამ ეს წრე თვალდათვალ იზრდებოდა, ღონიერდებოდა, გავლენას გავლენაზე იმატებდა და თავისი ქვეყნისათვის კი არაფერი ემეტებოდა ამ ღონიდან და გავლენიდან. ტვირთივით შეიგრძნობდნენ ქვეყნის ბედსა და ისტორიას, ეკალბარდებად – ეროვნულ ფესვებს, და რაც მალე და პირწმინდად მოიკვეთდნენ, ის ერჩივნათ.

მათგან არც გამოარჩევდა არჩილ ჯორჯაძეს.

და ვერაფრისდიდებით ვერ ახსნიდა, რას გამოეწვია მისი ასეთი მკვეთრი შემობრუნება.

იქნებ თედოს ლაპარაკსაც გამოეღო სასიკეთო ნაყოფი.

მარტო ლაპარაკი, და თუნდ მიზანდასახული ჩიჩინი, ვერ გაწვდებოდა, ცხადია, პიროვნების მსოფლხედვის სრულ შეცვლასა და იმისათვის თავის გადადებას, რაც ყოვლად უმნიშვნელოდ ეგულებოდა და დროის ფუჭ კარგვად ნიჭიერი და ენერგიული კაცისათვის, დრომოჭმულობად და ჭეშმარიტ სწრაფვათაგან აცდენად. ვერ გაწვდებოდა, მაგრამ თავის ზეგავლენას იქონიებდა და იმ დიდ სულიერ ბრძოლაში, რაც გარეშე თვალისათვის უხილავად ამტყდარიყო არჩილის არსებაში, ფესვების ძახილი იძალებდა, მიწის ყივილიც რომ შეერქმეოდა ორი ათეული წლის შემდეგ – ჯერ მკრთალად აშმაშურდებოდა რაღაც, თვითონაც ვერ შეატყობდა, რა დამართნოდა, მერე იმატებდა იდუმალ სიმთა ჟღერა, სიცოცხლის ფეთქვა სხვაგვარად გამოიხლართებოდა ამ სიმებში და შემოდგომის იმ ერთ საღამოს თედო რომ მიადგებოდა, მასპინძელი აღსარებასავით გაანდობდა.

სწორედ აღსარებად მოეჩვენებოდა და გაოცდებოდა, მე რომელი მოძღვარი მნახაო.

მაგრამ იმას უკვე გადაეწყვიტა გადასაწყვეტი:

– მომბეზრდა ამდენი უგზო-უკვლო და, თუ გინდა, უმიზნო ცხოვრება. გადავწყვიტე სამშობლოში დავბრუნდე, მაგრამ ისე არ მინდა მივიდე ჩემიანებთან, თუ წინასწარ რამდენიმე წერილი არ დავბეჭდე „ცნობის ფურცელში“ და ასე თუ ისე ჩემი თავი არ გავაცანი საზოგადოებას აქედანვე.

მოულოდნელი გახლდათ, ძალიან მოულოდნელი ასეთი განზრახვა იმ კაცის თვალში, ჩამოშორებას რომ აპირებდა არჩილისაგან, ოდნავადაც ვერ ჩავუსახე თავისი მიწის სიყვარულიო.

და უცებ: ამდენი უგზო-უკვლოო... უმიზნოო... სამშობლოო...

არა, თედოს იმ მხრივ არაფერი დააეჭვებდა, გულწრფელია თუ რაღაცას ფარისევლობსო. საფარისევლო ანკი რა იყო – სიწრფელე სახეზე აღბეჭდოდა, გული თვალებში იმზირებოდა და თანამოსაუბრეს თავიდანვე ნდობით განმსჭვალავდა, მაგრამ ხომ შეიძლება უეცარ ატაცებას გამოეწვია სამშობლოსაკენ ლტოლვა, რწმენას კი არა, წამიერ განწყობილებას... ალბათ სწორედაც განწყობილებას, თორემ თედო არ იყო, გაგულისებული რომ გამორბოდა მასპინძლისაგან, აქ ფეხის დამდგომი აღარ ვარ, გინდაც არა სჯეროდეს ეროვნული ენერგიისა და საერთოდ ნაციონალური სახელმწიფოებისა, ცოტა დიპლომატიურობა მაინც გამოიჩინოს და ასე ნუ მიბიაბრუებს, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და სანუკვარიაო.

უეცარი გატაცება ვერაფერს შესძენდა დაბეჩავებულ ქვეყანას, ასეთი შვილები, გუნება-განწყობილების ამყოლნი, სიმხნევით ვერ აღავსებდნენ. ერთს თუ შეუძახებდნენ იმედიან სიტყვას რწმენის განსამტკიცებლად, მალევე გამოცლითა და გადაკარგვით კიდევ უფრო დააძაბუნებდნენ და იმ ნიშატსაც გამოაცლიდნენ, რაც შერჩენოდა.

ამიტომაც არ აფოფინდებოდა სტუმარი და, ილუზიებს კი არ შემოახვევდა, რეალობას შეახედებდა:

– ქართულად წერა რომ არ იცი, ჩემო არჩილ, როგორ უნდა დასწერო რამ?

თურმე გაუთვალისწინებელი არც ეს დარჩენოდა მასპინძელს:

– მართალია, მაგრამ ერთი-ორჯერ შენ მათარგმნინე რუსულიდან, ერთი–ორჯერაც ჩემი ქართული გამისწორე და მერე ვნახოთ.

ზერელედ რომ აჰყოლოდა უცბად და რატომღაც გაჩენილ სულიერ ბიძგს, ცხადია, გაიიოლებდა მოღვაწეობის გზას და ქართული ენის აღდგენას კი არ მოინდომებდა და თედოსაგან შემწეობას კი არ ითხოვდა, ადვილად გადაწყვეტდა, მთავარია ქართული საზოგადოებისათვის საჭირბოროტო თემებზე გამოვთქვა ჩემი აზრი და რა მნიშვნელობა აქვს, ეს შეხედულებანი რომელ ენობრივ სამოსელში მოექცევაო.

სახვალიოდაც არ გადადებდა.

ესეც გარდამტეხი ჟამი მის ბიოგრაფიაში.

ორ კვირას თუ ცოტა მეტხანს უსხდნენ ასე მაგიდას.

მემუარული ჩანაწერი რომც არაფერს გვატყობინებდეს, რა მიხვედრა უნდა, რომ თავიდან ძალიან გაუძნელდებოდათ ასეთი

თანაშემოქმედება. ვინ იცის, რამდენჯერ აეყრებოდა გული ან ერთს, ან მეორეს – იქნებ არ ღირდეს და დროზე ჩამოვეხსნათო... მაგრამ არჩილ ჯორჯაძის გადაწყვეტილების სიმტკიცე და თედო სახოკიას მოთმინების უნარი ბოლოს თავისას გაიტანდა. რუსული მეტყველება თვალდათვალ შეიცვლებოდა ქართული მეტყველებით და პუბლიცისტური აზროვნების ენაც სრულიად გარდასხეულდებოდა.

– შემდეგ თვითონ ახერხებდა პირდაპირ ქართულად ეწერა; ბოლოს და ბოლოს, მსუბუქი შალაშინის გაკვრაღა სჭირდებოდა მის ნაწერებს.

თავიდან იქნებ გულსაც უკეთებდა: კარგია, კარგიაო, – მაგრამ ხელშესახებად რომ არ გამოჩენილიყო შეგირდის წარმატებანი, თედო აღარ შეაგულიანებდა. ვინ უნდა მოეტყუებინათ – საქვეყნო ასპარეზზე ვერც მჭლე და უნიათო სტილით გამოჩნდებოდა ვერავინ, თუკი მკითხველის აყოლიება განეზრახა, შინაგანი ექსპრესიის გარეშე ზეგავლენა მოაკლდებოდა თუნდ ყველაზე ღრმა და მიმზიდველ შეხედულებებსაც, მითუმეტეს, არჩილ ჯორჯაძეს ახალი აზროვნების დამამკვიდრებლად ეგულებოდა თავი.

მსუბუქი შალაშინი რაღა სათქმელია.

მერე აღარც ეს მსუბუქი ხელის გაკვრა დასჭირდებოდა.

და ეს ყოველივე ორ კვირაში. ცოტა მეტი იყოს, თუ გნებავთ.

და ეს ყოველივე იმ კაცისაგან, ვინც მშობლიურ ენაზე ბაასსაც საყველპუროდ თუ ახერხებს და ქარაფშუტობად მიაჩნია საკუთარი ქვეყნისათვის გარჯა.

ისეთი სისწრაფით გაარღვევდა ენობრივ ბარიერს, თითქოს ენქიდუა და ცხოველური სამყაროდან კაცთა მოდგმაში უნდა გადმოინაცვლოს, კაცობრივ წესს ეზიაროს და სამუდამოდაც შერჩეს აქაურობასო.

ეპოსის გმირებს სჩვევიათ დრო-ჟამის ასეთი დაჩქარებაც, შეჩერებაც, სჩვევიათ ამგვარი ფერისცვალებანიც ერთი უკიდურესობიდან მეორეში.

ყოფითი სინამდვილეც არანაკლებ მოულოდნელობებს გადაგვიშლის თვალწინ.

ეს მოულოდნელობა იმითაც დადასტურდებოდა, „ცნობის ფურცლის“ ნომრები არჩილ ჯორჯაძის სტატიებითაც რომ შეივსებოდა და ერთობლივი და თავდადებული გარჯის ნაყოფს მოუთმენლად რომ დაელოდებოდნენ ეს ორნი, ხელიდან სტაცებდნენ ერ-

თმანეთს და ისეთი გატაცებით კითხულობდნენ, თითქოს პირველად ეცნობიანო.

ეს ერთბაშად წარმატება ბუნდოვანებაში ჩამალულ იმედს აახლოებდა.

ეს ამხელა წინააღმდეგობა თუ გადალახულიყო, სხვა წინააღმდეგობანი ვითომ რატომ დარჩებოდა აუღებელი.

კალკები ან სხვა ენობრივი უხერხულობანი თუ შეერეოდა აქაიქ მის ნაწერებს, ამას მის დროებით გარუსებას ვეღარც დააბრალებდი. ისეთ ბადეში მოექცია რუსულ ენას ქართული, ისეთი ძალით უტევდა და სულს უხუთავდა, სასაუბრო მეტყველებასაც დაეჩნეოდა და საგაზეთო-საჟურნალო ენასაც, მწიგნობრულ მეტყველებას საერთოდ, და ისეთ კალმოსნებსაც შეიძლება გამორეოდათ კალკები თუ ბარბარიზმები, რუსული ენის ცოდნით დიდად რომ ვერ მოიწონებდნენ თავს. და ხომ შეიძლება არჩილ ჯორჯაძის ის უხერხული ფრაზაც , საქვეყნოდ გამოჭენებული, როგორც რაღაც დიდი რამ ცოდვა, ასე ახსნილიყო? მაგრამ ილიას კარგად მოეხსენებოდა მისი ბიოგრაფია და სწორედ იქ უკაკუნებდა დაჟინებით, რაც ყველაზე ძალიან ემწვავებოდა მოპაექრეს.

და არც ის სარკასტული სიცილი ამოუვიდოდა ასე ადვილად ყურიდან: ეს მეოცე საუკუნე ქართველებს კარგ ეტლსა და ვარსკვლავზე დაგვებადაო.

წამქეზებელი არაერთი გამოუჩნდებოდა არჩილ ჯორჯაძეს – ვინ მისი წრფელი მომხრე, ვინ ილიას მოძულე, ვინ სეირის მოყვარე, ვინ ფარისევლურ თანაგრძნობაში გამოახვევდა არჩილის კიდევ ერთხელ გაბიაბრუების ხილვის წადილს.

მოუთმენლად შლიდნენ „ცნობის ფურცლის“ ახალ ნომრებს.

საპასუხო სტატია არსად ჩანდა.

იქნებ ასე საჯაროდ კი მორიდებოდა, მაგრამ სამაგიეროს გადახდა გულში ჰქონოდა ამოჭრილი და მარჯვე შემთხვევას ეძებდა?..

უფრო ხელსაყრელი შემთხვევაც რა უნდა ყოფილიყო, უფრო გამაღიზიანებელი და თავმოყვარეობის შემლახავი, როდესაც არჩილ ჯორჯაძის სახელის ხსენება ერთ სასიკეთო, უაღრესად სასიკეთო განზრახვას ფრთას შეუკვეცდა.

ჩაშლით ვერ ჩაშლიდა, რაკიღა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და უშუალოდ არჩილისათვის ეს ლამის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე გახლდათ, ერთი ყველაზე რეალური გზა საქართველოს ავტონომიის მოსაპოვებლად.

„ცნობის ფურცლის“ თავგამოდება არა კმაროდა, ცენზურა დასდგომოდა თავს ასასივით და ძნელდებოდა ყველაზე მნიშვნელოვან შეხედულებათა გაღწევა გაზეთის ფურცლებზე, მითუმეტეს, იმ სიმწვავით, თვითონ როგორც განეზრახათ. სიმძაფრე აკლდებოდა სიტყვას, მტკივნეული, საჭირბოროტო თემები საბურველში ეხვეოდა, ქარაგმებსა და მინიშნებებში გადადიოდა და, რაკიღა აქ იატაკქვეშა გაზეთის ან ჟურნალის გამოცემა ამაო ოცნებად რჩებოდა, პარიზში მოინდომებდნენ ბრძოლის ველის გადატანას ავტონომიის მომხრენი.

ასე დაარსდებოდა ჟურნალი „საქართველო“ პარიზში.

და მისი ფრანგულენოვანი დამატება „ლა ჟორჟი“ – ფრანგსა და ევროპელ მკითხველს რომ ედევნებინა თვალი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფისათვის და ყველაზე სანდო და უახლესი ცნობების ამოკითხვის იმედი ჰქონოდა.

რედაქტორობა არჩილ ჯორჯაძეს ჩაბარდებოდა.

ასეთი გამოცემების შექმნა ჩვენი ქვეყნიდან ასე შორს, მოგეხსენებათ, რა თანხებსაც მოითხოვდა, და დავით სარაჯიშვილთან მისასვლელ გზასაც მოსინჯავდნენ ამ მეტად გაბედული განზრახვის მოთავენი. თუ ვინმე გახლდათ შემძლეც და შემწეობით ხელის გამომწვდენიც, ეს ქველმოქმედიც გახლდათ, მასთან მისასვლელი გზა კი ილიას უნდა გაეწალდა. ყველაზე ძალიან ამის რჩევასა და მოსაზრებას აფასებდა და მომავალი სოციალისტ-ფედერალისტებიც ჯერ ილიას მიაკითხავდნენ.

ამ შეხვედრის მეტ-ნაკლებად დეტალური ჩანაწერი არ შემოგვრჩენია, არადა, მრავალმხრივ საგულისხმო, უაღრესად ფსიქოლოგიური სცენა იქნებოდა.

რას ვიზამთ, ერთი, ერთადერთი ფრაზა უნდა ვიკმაროთ სამსონ ფირცხალავას მოგონებებიდან:

– ილიამ უარი გვითხრა, რომ გაიგო, არჩილ ჯორჯაძეა ჟურნალის ხელმძღვანელიო.

ასე პირდაპირ მიახალათ თუ ეს მხოლოდ ავტონომისტთა დელეგაციის ეჭვია?

ეჭვი იმის ეჭვია, რომ შესაძლოა კიდეც გამართლდეს, მაგრამ ისიც შესაძლოა, არავითარი რეალური საყრდენი არ გააჩნდეს, არამცთუ გაზვიადებული იყოს.

სახეზე შეატყეს?

მზერაზე მიუხვდნენ?

იქნებ სულ სხვა მიზეზიც იყოს და ამათ კი არჩილ ჯორჯაძის რედაქტორობას გადააბრალეს?

ნეტა ორი-სამი ფრაზაც ემატებოდეს, და ზოგად სურათსაც და ილიას სულის მოძრაობასაც მკაფიოდ აღვადგენდით.

ეჰ, სადაა ის ორი-სამი ფრაზა.

ასეა თუ ისე, დელეგაცია ამგვარად ამცნობდა ათასგვარად შეჭირვებულ რედაქტორს, ილიამ შენს გამო არ გვიყაბულაო. და ოდნავ მინავლებულ ცეცხლს ისე გადაესხმოდა ნავთი, უარესი მიზეზი, თანაც ხელმოსაჭიდი – ქართულ საქმეს ზურგი შეაქცია პირადი ურთიერთობის გამოო – რაღა უნდა ყოფილიყო.

ასეთი ეჭვი მეგობრებს დააშორებდა, არამცთუ დაპირისპირებულნი შეეტაკებინა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე რომ არ ყოფილა ის კაცი, საქვეყნო საქმე პირადი ურთიერთობისათვის ენაცვლებინა?!.

უფრო გამწვავებული ჭიდილიც რა უნდა იყოს, ივანე მაჩაბელს რომ შეხლოდა და არცერთი არ იხევდა უკან ნაბიჯითაც კი. და ასეთ დროს ილია მოინდომებდა გაჭირვებაში ჩავარდნილი მაჩაბლისათვის ფული შეეგროვებინა, რათა „დროება“ არ დახურულიყო. და გარშემო ყველას გააფრთხილებდა, ვანომ არ გაიგოს, მე რომ ვთაოსნობ ამ შემწეობას, ვაითუ ითაკილოს ჩემგან დახმარება და იმ ფულს აღარც გაეკაროსო.

მაშ ახლა რა ხდებოდა?

ეტყობა, როგორც უნდა განაწყენებულიყო ივანე მაჩაბელზე, მაინც თანამოაზრედ მიაჩნდა, თავისი ყალიბის პიროვნებად და ენანებოდა, რომ იმის ენერგიას გასაქანი არ მისცემოდა.

არჩილ ჯორჯაძეზე კი აყროდა და აყროდა გული.

ან შინ რა მოხელე იყო, ან პარიზში რა უნდა ეკეთებინა ისეთი, ფულის განიავებად ღირებულიყო.

ამიტომაც მოღუშავდა მისი სახელის ხსენება.

ასე მოეჭრებოდათ დავით სარაჯიშვილთან მისასვლელი გზა?

შუაკაცს სხვას ვერავის გამონახავდნენ, მაგრამ უეცრად ამ განთქმულ კომერსანტს პარიზში მოუწევდა ჩასვლა. არჩილი და გიორგი დეკანოზიშვილი ვაივაგლახით ახერხებენ „საქართველოს“ ნომრების გამოცემას, ლუკმაპურს იკლებენ და უკვე ესეც აღარ ჰყოფნით – დიდია ხარჯი. სულს ღაფავს, უკვე ინავლება ის წამოწყება, რომელსაც ასეთი იმედით შეჰყურებენ, და არამარტო ავტონომისტები. და თითქოს ცა გაიხსნაო, დავით სარაჯიშვილის იქ

ყოფნას რომ შეიტყობს არჩილი. რაც იყოს, იყოს, პირდაპირ მივადგებიო, გადაწყვეტდა, ქართველი კაცია და თავისი ქვეყნისათვის თავგადადებული, არაფერს იშურებს და რაღა ამ ჟურნალს არ გადააფარებს მოწყალების კალთასო.

ისეთი იმედით მიაშურებდა, თითქოს წყალობა უკვე ხელთ ჰქონდეს და მხოლოდ მადლობის გადასახდელად სტუმრობდეს.

ის ხალისით შეხვდებოდა და სტუმარს იმედი გაუთკეცდებოდა.

ეს მთისაო, ის ბარისაო.

პირდაპირ თხოვნას ხომ არ აჯახებდა.

საქართველოს ბედიო, მისი გამოხსნის გზებიო... და ჟურნალის ხსენების წუთიც დადგებოდა.

მიზანს, დანიშნულებას თვალსაჩინოდ გადაუშლიდა. ის არ გააწყვეტინებდა, თავაზიანად მოუსმენდა, გაბეზრებას ოდნავადაც არ დაიტყობდა, მაგრამ ხალისით კი არ აჰყვებოდა და არჩილს გული რეჩხს უზამდა. იქნებ არც ღირდა შემწეობის თხოვნა? თუმც არჩილი საკუთარ თავს შეუწყრებოდა, როგორი უნდო გავხდი, ყველას მიმართ ასე როგორ დავეჭვდი, საუარო აქ რა იქებაო.

და დახმარებასაც ახსენებდა.

მოგვიანებით ირწმუნებოდა, მხოლოდ სიტყვა გადავუკარი და, როგორც კი უფრო სერიოზული საუბრისათვის მოვემზადე, კიდეც გადამასხა ცივი წყალიო.

ამის ქარაგმულ მინიშნებას ის მკაცრ პასუხს შეაგებებდა:

– თქვენს მუშაობას არ თანავუგრძნობ და მეტად მიმაჩნია.

არჩილისათვის თითქოს თოფი ეკრათ, წამოხტებოდა და გამოუმშვიდობებლად გამოვარდებოდა.

ვერ მოისვენებდა შინ დაბრუნებული, ძილი მოკიდებოდა კი არა, ლამის კედლისათვის ეხალა თავი, ვერ აპატიებდა ასეთ ცივ უარსა და მისი მოღვაწეობის გაბიაბრუებას და მკაცრ წერილს მისწერდა, ერთხელ და სამუდამოდ რომ დააშორებდა ამ ორ მოღვაწეს.

მისწერდა და... იქნებ უნებურად ილიას სახელიც წამოტივტივებოდა გონებაში. სულ არ იყო აუცილებელი, მაინცდამაინც წინასწარვე გაეფრთხილებინა დავით სარაჯიშვილი, არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინოო. ან ეამბნა: მეც მომაკითხეს და ცივი უარით გავისტუმრეო. ის განწყობილება, რაც „ივერიის“ რედაქტორს არჩილისადმი გასჩენოდა, არავისთვის არა ყოფილა დაფარული, ის მწარე სტატიაც – „ივანე გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“ – პასუხგაუცემელი რჩებოდა და ილიას მომ-

ხრენი ისედაც მოვალედ მიიჩნევდნენ თავს, ამ გეზიდან არ გადაეხვიათ და ილიასათვის ოდნავი წყენაც არ მიეყენებინათ იმ კაცის გამო, ვისი ნდობაც არ შეიძლებოდა, თუკი ქვეყნისათვის რაიმეს ზრუნავდი.

ყელში აწვებოდა ბოლმა არჩილ ჯორჯაძეს.

მკაცრი პირადი წერილი ცოტაოდნავ დაუშოშმინებდა დავით სარაჯიშვილისაგან მოყენებულ ტკივილს, მაგრამ ილიასათვის როდემდე მოეყრუებინა ყური, მისი მუნათი სადამდე მოსდევდა და ჯერაც სადამდე გაჰყვებოდა.

დგებოდა თუ არა ის წუთი, როდესაც არჩილ ჯორჯაძე ხელს გამოიღებდა და ყველაფრის სამაგიეროს ერთად გადაუხდიდა?

დაე გაგრძელებოდათ დავა-კამათი. ამას ვიღა ჩიოდა, როდესაც წყენას წყენა ემატებოდა და ერთი გაფიქრება, გულმოსულსა და ბრაზისაგან აცახცახებულს, იქნებ ისიც გაკრთომოდა გონებაში, ვინ იცის, სულ მომიჭრას გზები, ყველა კომერსანტზე მოახდინოს ზეგავლენა და ყველამ დაკეტილი კარის მიღმა დაგვტოვოს მეც და სხვა ავტონომისტებიცო.

სიბრაზემ იცის გაზვიადება, მითუმეტეს, საამისო ნამცეცები უხვად თუ მიმობნეულა გარშემო.

და ყურიდან არ ამოგდის სარკასტული სიცილი:

ეს რა საუკუნე გაგვითენდა ქართველებს, ეს რა კაცი მოგვევლინა ჩვენდა მხსნელად და საკაცობრიო ცხოვრებაში დამამკვიდრებლადო.

საუკეთესო, ხელსაყრელზე ხელსაყრელი დრო კი დასდგომოდა არჩილს. პოლემიკებში გახლართულიყო ილია ჭავჭავაძე, ყოველი მხრიდან მოსეული სოციალ-დემოკრატების გამკლავება უხდებოდა, ვეღარც მოეთავებინა ეს რკენა-ჭიდილი, ვეღარც გამოშვებოდა. კიდევ ახალი მოპაექრე აკლდა? თანაც ამხელა განათლებისა და პუბლიცისტური გზნების? ჰა, თითქოს ივანე მაჩაბელი გამოცხადებია ხელახლაო. მაგრამ რა არჩილ ჯორჯაძის ბრალი იქნებოდა, თვითონ იწვევდა ილია ჭავჭავაძე, შემორიგებას კი არ ესწრაფოდა, გამწვავებას არ ერიდებოდა.

... ახლოვდებოდა ის წუთი.

ჰა, გაწყდებოდა, სადაც წვრილი იყო?.. გაწყდებოდა თუ...

თავი მესამე

მხოლოდ ტოლსტოველობა – სხვა არაფერი

სად ქართველი კაცის ბუნება და სად ტოლსტოიზმიო, – გაოცებას ვერა ფარავდა მიხაკო წერეთელი და ვერაფრისდიდებით ვერ დაეკავშირებინა არჩილ ჯორჯაძე და ტოლსტოველობა.

ორ მოპირისპირე პოლუსად უფრო წარმოესახებოდა ეს ორი პიროვნებაც, მათი ზნეობრივი მრწამსიცა და პოლიტიკური იდეალიც:

მაგრამ ამ მოძღვრების მიმდევრობა არჩილისათვის არავის დაებრალებინა, თვითონვე აჰყოლოდა მთელი გატაცებით და მის შუაგულშიც ისე გადაეშვებოდა, უკან აღარც მოიხედავდა, სანანური არაფერი დარჩებოდა. თვითონ ეგონა ასე – არაფერი მრჩება სანანური და არც ნოსტალგიის განცდა შემაწუხებს, ეს რაღაც ქიმერა, პოეტების გამონაგონი, სამყაროს აზრის შესაცნობად შემართული კაცისათვის სრულიად გამოუსადეგარიო.

მიხაკო წერეთელი კი:

სად ქართველი კაცის ბუნება და სად ტოლსტოიზმიო.

მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდება, როდესაც არჩილი საბოლოოდ გამოეხსნება ამ მოძრაობას, ჯერ კი იმ კვალზე შემდგარა და თუ რაიმე ეოცნებება, მხოლოდ ეს – რაც შეიძლება თავი არ დაზოგოს და ღირსეულად გამოადგეს ამ მოძღვრების განმტკიცებას.

ეს ხდება მისი ცხოვრების აზრიც და მიზანიც –

თავი შეწიროს ტოლსტოიზმს.

ქართველი კაცის ბუნებას რომ არ შეჰფერის იმისი ნააზრევი?

არ ინაღვლის, დათმობს თავის ბუნებას, თავის ქართველობას და ეგ იქნება.

რა სინანული, რის ნოსტალგია!..

თვალწინ ისე მაცდურად გადაშლილა უშორესი სივრცეები, და სულიერი მოგზაურის ჟინიც როგორ დაგაოკებს, სწორედ იქ განავარდებას არ მიესწრაფო.

ლევ ტოლსტოის ასეთი ფანატიკოსებისა ეიმედებოდა, როდესაც ცხოვრებისეულ, ფილოსოფიურ და რელიგიურ დაკვირვებებს ერთ სისტემაში უყრიდა თავს.

მოუყრიდა და... თვითონვე გაიოცებდა, ეს რამხელა გაქანებისათვის მიმიღწევიაო.

აზრი და განზრახვა მართლაც თვალშეუდგამი გახლდათ.

და არც ის ყოფილა გადაჭარბება, ვგრძნობ მის ხორცშესხმას სიცოცხლე შემიძლია შევწიროო.

არც ყმაწვილური ჟინიანობა ყოფილა, რეალობასთან შეხლა ერთბაშად რომ გამოგაფხიზლებს და, აზრსა და მისწრაფებას თუ არ გამოგიბერტყავს გონებიდან, სიცოცხლეს უფრო დანანებით შეგახედებს და შენთვის გულში გაფიქრებინებს, განა არ გავწირავდი, მაგრამ, რომ ვუკვირდები, აუცილებელი სულაც არ არისო.

სიცოცხლის უკანასკნელი დღეებით დაამტკიცებდა, რომ ძალიც შესწევდა ქადილისა.

აზრად და სწრაფვად კი გასჩენოდა:

ახალი რელიგიის დაარსება.

გაბედულად გამოთქვამდა დღიურში ამ განზრახვას, თუმც იქვე შეჭოჭმანდებოდა, ახალი კი მინდა, მაგრამ მთლად ახალიც რომ არ არისო? და დააზუსტებდა:

– ქრისტეს რელიგიისა, მაგრამ სარწმუნოებისა და საიდუმლოებრიობისაგან განწმენდილის.

რელიგია კი არა, სექტა ყოფილა თურმე.

თუმც ყველა რელიგია – თითქმის ყველა – სექტანტობით დაიწყებდა და მსოფლიო მოვლენად გადაიზრდებოდა. და თუმც ლევ ტოლსტოი ჯერჯერობით იესო ქრისტეს ჩრდილში აპირებდა თავის შეფარებას და საამისოდ გადაედო სიცოცხლეც, გულის კუნჭულში ელამუნებოდა იმედი, ვინ იცის, სადამდე გადაწვდეს ჩემს მიერ წამოწყებული მოძრაობა, ჯერ კი დაე ქრისტეს რელიგიის თავისებური რევიზიაც დაერქვასო.

ეს წამოწყება მოგვიანებით შტეფან ცვაიგს მარტინ ლუთერის გამოსვლას გაახსენებს რომის ეკლესიის წინააღმდეგ და მკვეთრ შემობრუნებას რელიგიური ცხოვრების გზაზე, თუმც ასერიგად ვერ ამაღლდებოდა ტოლსტოის მოძღვრება, ამდენ მიმდევარს ვერ გაიჩენდა და ბოლოს სულაც ჩაინავლებოდა და რელიგიისა და ლიტერატურის ისტორიასღა შემორჩებოდა. უფრო მაინც ლიტერატურის.

ვერ ილუთერებდა ტოლსტოი.

თუმც თვითონ მაცხოვარს ატოლებდა მხრებს, და, ფრიდრიჰ ნიცშესაგან განსხვავებით, თამამად და გულუშიშრად კი ვერა, მორიდებითა და აქეთ-იქით მიხედვ-მოხედვით.

არა წინააღუდგეთ ბოროტსაო – იმეორებდა იესო ქრისტეს მრწამსს, პაწია ცვლილებასაც შეიტანდა ამ შეგონებაში („არა წინააღუდგეთ ბოროტსა ძალით“) და მთელს თავის ეთიკას ამ ფორმულაში ჩაწურავდა. და ისე მოხდებოდა, რომ... მარქსამდელი მარქსიც ის აღმოჩნდებოდა, როგორც იმჟამად ყველაზე რადიკალური სოციალისტი.

შტეფან ცვაიგს სხვა შთაბეჭდილება არც დარჩებოდა, როდესაც ამ სტრიქონებს ამოიკითხავდა:

– საკუთრება ყველა უბედურებისა და სატანჯველის ძირია და შეჯიბრების საშიშროება იმათ შორის არსებობს, ვინც ჭარბად ფლობს მას და ვისაც არაფერი არ გააჩნია.

საკუთრება თავს როგორ დაიცავს და გავლენას რა გზით შეინარჩუნებს?

რა გზით და:

სახელმწიფოს წარმოშობდა და ძალმომრეობის ორგანიზებულ ფორმებსაც შექმნიდა: ეს ჯარიო, ეს მართლმსაჯულებაო... ძალდატანების მთელი სისტემა გამოჩნდებოდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთრების დასაცავად და მაშ რა გამოდიოდა – ვინც სახელმწიფოს ეგუებოდა, ვინც მის აუცილებლობას აღიარებდა, ნებით თუ უნებლიეთ, ძალმომრეობის მონაწილე ხდებოდა.

ყველას არ გაეგებოდა, სახელმწიფოს აღიარება თუ დანაშაულს უთანაბრდებოდა?

ეს ადამიანის პასუხისმგებლობას ოდნავადაც არ ამსაბუქებდა. ტოლსტოისათვის განსხვავება არ არსებობდა შეგნებულ საქციელსა და გულუბრყვილობას შორის.

და ქრისტიანული ეკლესია?

ვიდრე თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას ასრულებდა, კიდეც უპირისპირდებოდა სახელმწიფოს, მაგრამ დაჰკარგავდა თუ არა პირვანდელ მადლსა და იდეალს, ყალბ წარმოდგენებში მოექცეოდა და მომხრედ მოევლინებოდა უსამართლო მსოფლიო წყობას.

ხელოვანნი, სინდისის ქომაგობას ვინც იჩემებდნენ და ადამიანის უფლებათა დამცველობას?

ისინიც უნებური მოკავშირენი გამხდარიყვნენ ძალმომრეობისა, რაკიღა თავიანთ სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტვა ყველაფერს ერ-

ჩივნათ და ისე უნანავებდნენ სინდისს, ღრმად ძილით ჩააძინებდნენ და თვითონაც ერთხელ და სამუდამოდ მოისვენებდნენ, სათავშისაცემო რომ აღარაფერი დარჩებოდათ. თვითმოტყუება თუ ასე ამშვიდებდა ადამიანს, დაე გზის მანათობელ ვარსკვლავად სწორედ თვითმოტყუება გაეხადათ და ირონიულად ემზირათ რომელიმე თავზეხელაღებული თანამოძმისათვის, ვინც გამოაკლდებოდა საერთო ჯაჭვსა თუ ფერხულს და სიცოცხლის აზრის ძიებას ილუზიებიდან ზეცისა და მიწის ჰარმონიული შერწყმის გარემოში გადაიტანდა.

ლევ ტოლსტოივით.

სოციალიზმსაც აღიარებდა, როგორც ერთადერთ გზას განსაკურნავად, რევოლუციონერებსაც დაუფასებდა სამართლიანობას, როგორც ერთადერთთ, მსოფლიო წყობის ძირფესვიანად შეცვლა რომ შეეძლოთ, მაგრამ იმ გარდაქმნილ სინამდვილეში სახელმწიფო ორგანიზაციების შენარჩუნებას რომ მიელტვოდნენ ეს ჩვენი რევოლუციონერები, ნუთუ ვერ გრძნობდნენ, ძალმომრეობას ახლა თვითონ რომ უდგებოდნენ დარაჯებად?!.

სახელმწიფო მმართველობის გაუმჯობესების მცდელობა?

აბა, რა სათქმელია. სახელმწიფო თუ შენარჩუნდა, მერე გინდ დემოკრატიული ყოფილა, გინდ ფილანთროპიული, გინდ პაციფისტური და გინდ რევოლუციური.

ამიტომაც:

თვითონ ადამიანები უნდა გარდაიქმნან.

საამისოდ კი რელიგიურმა რევოლუციამ უნდა განსაზღვროს კაცობრიობის ბედი და სამომავლო გეზი.

ყველაფრის შეცვლის მოთხოვნა აპოვნინებდა საერთოს სოციალ-დემოკრატიას ტოლსტოის მოძღვრებასთან, რელიგიურ შეფერილობას გამოაცლიდნენ და ხელთ ის მრწამსი შერჩებოდათ, რასაც თვითონვე ასე ერთგულობდნენ, და რაღას დაგიდევდნენ „ანა კარენინას“ შემოქმედის განწყობილებას, სახელმწიფოსთან ერთად პოლიტიკურ პარტიებსაც რომ უარყოფდა.

ამიტომაც ვერ დაინახავდა ვერაფერს უცნაურს თუნდ ცვაიგი, როდესაც ფრთხილად კი არა, დაბეჯითებით გამოთქვამდა თავის დაკვირვებას: თვით ტროცკი და ლენინიც კი, თეორიულად, ერთი ნაბიჯითაც არ გასცილებიან ტოლსტოისეულ თეზისსო, – და რელიგიურ-ფილოსოფიურ ძიებებს კი ასე შეუფასებდა: იგი მზად არის კაცობრიობის მთელი კულტურული საგანძური, ხელოვნება, მეცნიერება გააცამტვეროს, რათა ახალი და უკეთესი (თვითონ

როგორც სწამს) თეორია გაამართლოს. და შესაძლოა ეს რელიგიური მეცნებე არც არასოდეს დაფიქრებულა მის მიერ წამოწყებულ კერპთა მსხვრევის პრაქტიკულ შედეგებზე და ვერც ის გაბედა ვერასოდეს, გამოეთვალა, რამდენ სიცოცხლეს დაიტანდა ასეთი უკიდეგანო მსოფლიო ნაგებობის ანაზდეული დამხობაო.

იქნებ კიდეც ანგარიშობდა თავისთვის, კოსმიური გარდაქმნა რას გამოიწვევდა და უკიდურესობამდე იმიტომაც მივიდოდა, შეუძლებელს იმიტომაც წაეპოტინებოდა, თავი ენუგეშებინა, გრანდიოზულობას ველარ გავწვდიო. მცირე, სულ მცირე წამოწყება დაეგვირგვინებინა რეალური შედეგით... მაშ დღიურის ის ჩანაწერი საკუთარი უილაჯობის ქვეცნობიერი გამჟღავნება ყოფილა, ათტომიან ფილოსოფიას უფრო ადვილად შექმნი, ვიდრე ერთ რომელიმე წამოწყებას პრაქტიკულად შეასხამ ხორცსო.

თვით შტეფან ცვაიგიც, ვინც სახოტბო თხზულებას ქმნის ლევ ტოლსტოის ფსიქოლოგიური პორტრეტის ქარგაზე და ალაგ-ალაგ ისე აჭარბებს, თითქოს ერთს კი არა, რამდენიმე ტოლსტოის გულისხმობდეს ერთდროულად, ადასტურებს, რომ ევროპამ ტოლსტოის სოციოლოგიურ თეორიათა მთელი დასტა ლიტერატურულ არქივში მოათავსა, და თუმც კრძალვით განმსჭვალულიყო მისი სანიმუშო ეთიკური ნებელობის მიმართ, მაინც განზე გადადო ისინი – სადღეისოდაც და სამარადჟამოდაც.

მიზეზსაც, ასე თუ ისე, ამოხსნიდა:

ჩვენი დროის ამ უძლიერეს კრიტიკულ გადამხვნელს ერთი მარცვალიც კი არ ჩაუთესია ჩვენს ევროპულ მყობადში და ამ მხრივ იგი პირწმინად რუსია, მთლიანად თავისი რასისა და მოდგმის გენიაო.

უფრო ღრმად აღარ – ან ველარ – ჩასდევს, მაგრამ მთავარს მაინც ამბობს, ევროპული კულტურულ-ფილოსოფიური რეალობიდან ამოვარდნილი რატომ აღმოჩნდა იმ კაცის ნააზრევი, ვის მხატვრულ ქმნილებასაც ასე ძალიან აფასებდნენ, ეგაა, ზუსტი სახელი ველარ დაურქმევია.

ვითომ ასე გაგვიძნელდება შესაფერისი სახელის მონახვა?

როდესაც მიზეზი ამოხსნილია, სახელის დაზუსტებას წინ რაღა დაუდგება.

თუ მანამდე ყურადღებას მოგტაცებდათ სიტყვა „გადახვრა", რომელიც ავტორს ძალიან მოსწონებია და მსჯელობისას კიდევ ერთხელ იმეორებს.

ახალი დროის არცერთ ხელოვანს ისე არ გადაუხნავს და აუფორიაქებია ჩვენი სული, როგორც ტოლსტოისა და დოსტოევსკისო – შტეფან ცვაიგი რომ ირწმუნება, ამ თვალსაზრისს პირად დაკვირვებად კი არა გვთავაზობს, არამედ განზოგადებულ შეხედულებად. ევროპული მორალი ვერ ითავსებს პირადი დაკვირვების გამოცხადებას საყოველთაო თვალსაზრისად, თუ მართლა შეჯერებული არ არის სხვათა შეხედულებებთან და განზოგადებაც ძალდაუტანებლად მოუპოვებია.

და სწორედ საყოველთაო ევროპული განცდაა, რომ ახალი წესრიგის შესაქმნელად ვერცერთი მათგანი ვერ დაეხმარათ. და ვერ შეეწეოდა იმ უბრალო მიზეზით, რომ სულის უფსკრულებიდან მომდინარე საკუთარი ქაოსი მსოფლიოს დედააზრად სურდათ მოეჩვენებინათ:

– ვინაიდან ორივენი, ტოლსტოიცა და დოსტოევსკიც, იმ თავზარს გაურბიან, რომელსაც ნიჰილიზმის ხახადაბჩენილი უფსკრული სცემთ, პირველყოფილი შიშისაგან რელიგიურ რეაქციას აფარებენ თავს, ორივენი მონურად ებღაუჭებიან ქრისტიანულ ჯვარს, რათა საკუთარ შინაგან უფსკრულში არ გადაიჩეხონ, და ღრუბლებში ხვევენ რუსულ სამყაროს იმ დროს, ოდესაც ნიცშეს გამწმენდი ელვა არღვევს ყველა კუშტ ღრუბელს და ევროპელ ადამიანს ხელთ აძლევს, როგორც წმინდა უროს, საკუთარი ძალისა და სიაზატის რწმენას.

და კიდევ:

– ფანტასტიკური სანახაობაა: ტოლსტოი და დოსტოევსკი, მათთვის მშობლიური რუსეთის ეს ორი უძლიერესი ადამიანი – ორივენი აპოკალიფსური ძრწოლით ატანილნი, ერთბაშად სწყდებიან თავიანთ საქმეს და ორივე ერთსა და იმავე რუსულ ჯვარს აღაპყრობენ, ორივენი ქრისტეს შეჰღაღადებენ – თან თვითეული მათგანი განსხვავებულს, თავისებურს – მოუხმობენ, როგორც დაცემული მსოფლიოს მხსნელსა და მაცხოვარს.

ევროპულ მზერას შესაძლოა შუასაუკუნეების ბერებადაც მოსჩვენებოდა ორივე – თვითეული საკუთარ ამბიონზე მდგარი და მტრულად განწყობილი ერთიმეორის მიმართ სულისკვეთებითაც და ცხოვრებაშიც.

დოსტოევსკი კიდეც დასცინოდა რევოლუციურ მოძრაობას და ძრწოლაც აიტანდა, საიდუმლო პატარ-პატარა პოლიტიკური წრეები რომ გაჩნდებოდა. უდიდეს საფრთხეს დაინახავდა მათ

მომძლავრებასა და მათი განზრახვის მოსალოდნელ აღსრულებაში. ტოლსტოი უფრო შემწყნარებლურად შეხედავდა, უფრო იოლად, თუმც ზურგის შექცევა მასაც მოუწევდა, 1917 წელს რომ მოსწრებოდა, განსაკუთრებით ბოლშევიკურ გადატრიალებას, და პანიკურ შიშთან ერთად სინანულის მძაფრი განცდაც დარევდა ხელს, ესენი ვინ გამომიზრდიაო... თუმც მერე იქნებ მოწონებაც ვერ დაემალა, ვინც უნდა იყვნენ, რუსეთის იმპერია კი შეგვინარჩუნესო.

აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი!..

ტოლსტოის თუ სძულდა შექსპირი, ვისაც გვიყვარს, კიდევ წამდაუწუმ გვახსენებს თავს მისი სტრიქონები.

რაო ცვაიგმა?

პირწმინდად რუსეთიო...

და ეს მთლიანად თავისი რასისა და მოდგმის გენიობა სხვა არაფერია, თუ არა რუსული შოვინიზმის, დიახ, შოვინიზმის, ნაირსახეობა, რელიგიურ საბურველს ამოფარებული პოლიტიკური მიზნები – ყველასა და ყველაფრის ათქვეფა თავის წიაღში, სხვათა ტრადიციების, ეროვნულ ნიშან-თვისებათა გაქარწყლება და რუსული ტვიფარით აღბეჭდვა.

ევროპა ამას ვერ აჰყვებოდა.

არც საქართველო უნდა შეგუებოდა ნებაყოფლობით.

დროებით ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ეს ჩვენი უბედური ქვეყანა ისე ეფლობოდა მარქსიზმში, ტოლსტოველობა ვეღარ მოხიბლავდა და მიიჯაჭვავდა.

უარეს სატანჯველში ეფლობოდა და არსაით მოჩანდა საშველი.

თუ მაინცდამაინც, ვითომ ისევ ტოლსტოველობა სჯობდა?

ერთი შეგეწვა და მეორე შეგეცხო.

რუსული შოვინიზმი საიდან წაგლეკავდა, რა ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა.

მარქსიზმი უარესად იმიტომ გვეჩვენება, რომ გამოვცადეთ, მწარედ ვიწვნიეთ და გვზარავს ყოველი მისი გახსენება, ტოლსტოველობა კი თითქოს უფრო უწყინარია, რაკიღა არჩილ ჯორჯაძე აჰყვა, ილია ნაკაშიძე და კიდევ ორიოდ კაცი, თითებზე რომ ჩამოითვლება. აბა, ბედისწერას სხვაგვარად განერიგებინა და ამ მოძღვრების ხახაში ჩავეგდეთ... მარქსიზმისათვის გავწირულიყავით და... მოცურავდა მის ტალღებზე ნოე ჟორდენია.

ილია ჭავჭავაძეს ტყვია ჩამოაშორებდა.

არჩილ ჯორჯაძეს – სნეულება.

და სხვა აღარავინ მოჩანდა მისი შემტოლებელი.

თუმც ეს ყოველივე მერე მოხდება, მერე და მერე.

იმჟამად არჩილ ჯორჯაძე დიდი ხნის გამოთხოვებულია ტოლსტოველობას – მოძღვრებასაც და მოძრაობასაც.

ჯერ კი ტოლსტოველობა ქცეულა მისი ცხოვრების აზრად და მიზნად.

მისი ჯგუფის წევრნი არ გამოირჩევიან ტოლსტოისადმი ასეთივე ფანატიკური სიყვარულით, მაგრამ ეროვნულობა მათთვისაც ვიწრო საზღვრებში მომწყვდევა-ჩაკეტვას გულისხმობს და ყველა ერთად ამიტომაც გამოცალკევებია დანარჩენ ქართველ სტუდენტობას, რომელთაც უფრო ქართული ცხოვრება, ქართული მწერლობა და ისტორია აინტერესებდათ.

– ამ ნიადაგზე ერთნაირი გათიშვაც კი იყო ჩვენს და მათ შორის. ჩვენ პოლიტიკა გვიტაცებდა, იმათ კი აპოლიტიკობა ემჩნეოდათ.

არჩილის ჯენტლმენობა ხიბლავდა სამსონ ფირცხალავას, მისი თავდაჭერილობა, მაინცდამაინც დავა-კამათს რომ არ გაუმართავდა ეროვნული სულისკვეთებით ანთებულ სტუდენტებს და მთლად სულაც არ ეუცხოებოდა მათი ზრახვა და მისწრაფება, მაგრამ უკვე მაშინ გაუჩნდებოდათ ეჭვი იმ ახალგაზრდებს, არჩილი სამუდამოდ მოწყდება ჩვენს ცხოვრებასო.

ენანებოდათ, ძალიან ენანებოდათ დასაკარგავად, მაგრამ მისი შემომბრუნებელი არავინ ჩანდა.

ისე რეალობა მაინც არ ანებებდა, მარტოდენ სულიერ ძიებებში ჩაფლულიყო და, როდესაც მწვავედ შეიგრძნობდა მისი ფრთის გაკვრას, სულიერი სამყაროდან ამოყვინთავდა.

ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ის კრება, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე უთავმჯდომარებდა, ტრაგიკულ ეპიზოდს მიეძღვნებოდა. პოლიტიკურად დამნაშავე კურსისტ ქალს ისე გაამწარებდნენ პეტრე-პავლეს ციხეში, რომ ნავთს გადაისხამდა და თავს დაიწვავდა. სტუდენტობა აღშფოთდებოდა და გადაწყდებოდა, ხვალ ყაზანის მოედანზე დიდი საპროტესტო დემონსტრაცია გავმართოთო. უჩუმრად არაფრისდიდებით არ უნდა ჩაევლო ამ საბედისწერო ამბავს.

მაგრამ ქართველი სტუდენტები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ? მიეღოთ თუ არ მიეღოთ იმ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა? თავმჯდომარე მოუწოდებდათ:

სხვებს ნუ გამოვეთიშებით და ჩვენი ხმაც შევუერთოთ სტუდენტობის საერთო ხმასო.

განაცხადებდა და მაშინვე შეატყობდა, რომ უმცირესობაში მოქცეულიყო.

უმეტესობა შეეწინააღმდეგებოდა და ისეთ არგუმენტს მოიტანდნენ, ადვილად ვერ გაუბათილებდი. ამ საპროტესტო აქციას განაზოგადებდნენ და ერის ბედისწერას დაუკავშირებდნენ:

– ქართველობა ცოტა ვართ, ისედაც უამრავი საქმე გვაყრია თავზე და სიდინჯე გვიჯობს, ჩვენი ძალ-ღონის გაფრთხილება ყველაფერს გვერჩივნოსო.

თავმჯდომარე არ იყაბულებდა ასეთ გადაწყვეტილებას, ყველას ერთობლივ შეებმოდა, თავის მტკიცებას მღელვარედ გაიმეორებდა, მთელს თავის ორატორულ ხელოვნებას მოუხმობდა, მაგრამ მოსმენითაც დიდად აღარ მოუსმენდნენ და მის მხარეს ხომ აღარ გადაიხრებოდნენ და აღარ. თითო-ოროლა მომხრეც შემოეფანტებოდა და კრების განაჩენი უიმისოდ გამოცხადდებოდა: ტაძრის წინ არცერთი ჩვენგანი არ მივიდესო.

მე მაინც მივალო, – უკან არ დაიხევდა არჩილ ჯორჯაძე, არ შეეპუებოდა კრების გადაწყვეტილებას და ერთ-ორ მეგობარს გადახედავდა დამანამუსებელი მზერით, იქნებ თქვენ მაინც არ მიმატოვოთ და ხვალინდელ დემონსტრაციას ნუ გამოვაკლდებითო.

არც სამსონ ფირცხალავას მოგონებებში, არც სხვა მემუარულ თუ ეპისტოლურ ჩანაწერში არსად აღნიშნულა ეს მტკიცე ფრაზა: მე მაინც მივალო. არც მისი დამანამუსებელი მზერა გაიელვებს არსად, მაგრამ მხოლოდ მთხრობელის წარმოსახვას ნუ მიაწერთ ამ სურათს. წარმოსახვა არაფერს თხზავს, ის მემუარული გადმოცემის შინაგანი ლოგიკის მიხედვით აღადგენს რეალურ სცენას, და აზუსტებს და ავსებს სიუჟეტურ ქარგას იმ არსებითი რეალიებით, ურომლისოდაც ცოტა აუხსნელი იქნებოდა მეორე დღის ის უჩვეულო მოვლენა, რომ მთელი გუნდი ქართველი სტუდენტობისა, პირველიდან ბოლო კაცამდე, ყაზანის მოედანზე გავიდოდა და დემონსტრაციაშიც მხურვალედ იმონაწილევებდა.

მიუხედავად გუშინდელი დადგენილებისა.

მშვიდად იმიტომაც ვერ დაიშალნენ, წყნარად იმიტომაც ვერ დაიძინეს და ერთმანეთთან შეუთანხმებლად ყველას ის აზრი იმიტომაც გაუჩნდა, იქ რომ არ მივიდე და არჩილ ჯორჯაძეს გვერდით

არ დავუდგე, ჩემს თავს ამას ვერასოდეს ვაპატიებო, რომ ის ფრაზა ან რაღაც იმგვარი აუცილებლად ითქვა.

არჩილ ჯორჯაძე მაინც მივიდოდა.

და ის სიტყვები და ის მზერა ისე ააფორიაქებდათ, აღარ გაახსენდებოდათ, რომ ისედაც მცირერიცხოვანთ სიდინჯე, ძალ-ღონის შენახვა გვიჯობდა და მისი მოხმარება ჩვენი ქვეყნისათვის. ის უამრავი საქმე ხომ არ მოაგონდებოდათ და არა.

წამიერი ექსტაზი გადაფარავდა მსოფლხედვას.

პირველიდან ბოლო კაცამდეო...

ასეთი ერთსულოვნება ეროვნულ საქმეთა აღსრულების ჟამს რომ გამოგვეჩინა ხოლმე!..

ეს რა გრანდიოზული აქცია გამოგვივიდაო, – ამის გამეორება კარგა ხანს არ მოწყინდებოდათ, – ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ პირველი გამოღვიძებაა რევოლუციური სულისკვეთებისაო.

არჩილი?

– მის მომხიბლავს სახეს კიდევ უფრო ალამაზებდა ღრმა სიამოვნება. უხაროდა არა ის, რომ მისმა აზრმა გაიმარჯვა, არა, სიხარულს განიცდიდა იმით, რომ კეთილშობილურმა ახალგაზრდულმა გრძნობამ დასძლია მშრალი, განყენებული მსჯელობა და ქართველები მხარში ამოვუდექით სხვებს.

ისე გამოდის, რომ ძალ-ღონის შენახვა შენი სამშობლოსათვის მშრალი, განყენებული მსჯელობა ყოფილა.

სამსონ ფირცხალავა შეუძლებელია ასე ფიქრობდეს, მაგრამ მანიფესტაციის სულისკვეთებისა და განწყობილების აღდგენა ძალაუნებურად იქცევს გავლენის ქვეშ და ასეთ სიტყვებსაც კი წამოაცდენინებს.

არჩილი სამსონ ფირცხალავას მოთხრობის პერსონაჟი ხომ არა ყოფილა, გამოგონილი, კრებითი სახე. და ასე დაბეჯითებით საიდან შეეტყო, რას ნიშნავდა მის სახეზე აღბეჭდილი სიამოვნება? იქნებ სწორედაც ის უხაროდა, რომ მისმა აზრმა გაიმარჯვა და ამდენი ხალხი გაიყოლია თან, გაიყოლია ისინი, ვინც ასე მტკიცედ აღუდგნენ წინ და კრების დადგენილებაც კი გამოიტანეს, მის რჩევას რომ ასამარებდა? დასამარებული უეცრად ამოსვეტილიყო მიწიდან და ყველას გულისთქმა ერთობლივად გამოება საბელზე, მიდიოდა და მიიდევნებოდა.

რატომ არ უნდა შეტყობოდა ამხელა გამარჯვების სიხარული?

მაგრამ მემუარისტი იმიტომაცაა დარწმუნებული თავისი ფსიქოლოგიური დაკვირვების უტყუარობაში, შორეული გადმოსახე-

დიდან ამიტომაც აფასებს არჩილის განცდას ამგვარად და არა გამარჯვებულის ნეტარებად, რომ კარგა ხანს ჰქონდა საამისო საშუალება, გულდასმით დაკვირვებოდა არჩილის პიროვნულ ხასიათსა და ნამოქმედარს, საშუალება – „ცნობის ფურცლის“ რედაქციასა და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში ერთად ყოფნისას. სხვათა მოსაზრებანიც მოესმინა და მკაფიო შეხედულებაც შექმნოდა თანამებრძოლისა და იმ დროების ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწის შესახებ.

ნუთუ ამდენს ველარ მიხვდებოდა, რა სულისკვეთება, რა განცდები იყო წარმმართველი არჩილის ბუნებაში?

რა აღიტაცებდა – გარეგნული წარმატება თუ მოვლენის დაფარული არსი, გულისგული სამყაროს შეცნობის გზაზე?

წინ არ მიყელყელაობდა, ჩაკარგულიყო დემონსტრანტთა შორის, მაგრამ ქართველ სტუდენტთა მზერა მას დაეძებდა, მას გამოაცალკევებდა საერთო დუნდგოდან და ისე უბრალოდ და ძალდაუტანებლად აღიარებდნენ თავიანთ წინამძღოლად, თითქოს სულ ცოტა ხნის წინათ დიდი შეხლა-შემოხლა არ მოსვლოდეთ სწორედ მასთან და ერთსულოვნად არ შეექციოთ ზურგი.

ისე თავიანთ მრწამსს ასე ადვილად არ გადავიდოდნენ.

ამ დღის წინამძღოლად მიიჩნევდნენ, თორემ ქართველობას დიდი მღელვარებებისა თუ მეხთატეხისას რა გზა უნდა აერჩია, ერთი ეპიზოდი ამას ვერ განსაზღვრავდა. ვერც ერთი პიროვნება – ვინც გნებავთ ყოფილიყო.

ვინ სხვათა გვერდით დგომას ამჯობინებდა, რუსეთის საზოგადოების შუაგულში ტრიალსა და მსოფლიო მოქალაქეობაზე ოცნებას.

ვინ მოერიდებოდა ძალ-ღონის დახარჯვას სხვათა ბრძოლა-ჭიდილში და საქართველოს თავზე დაყრილი უამრავი საქმისა და სატკივრის მოგვარებას არჩევდა.

ეს ორი მსოფლხედვა ხან შედარებით დაშოშმინდებოდა და ხანაც უკიდურესი სიმწვავით შეეხლებოდა ერთმანეთს, მაგრამ შინაგან დაპირისპირებას ყოველთვის შეინარჩუნებდა. მოურიგებლობის მორიგება ანკი როგორ მოხერხდებოდა.

კეთილშობილურმა ახალგაზრდულმა გრძნობამ დაძლია მშრალი, განყენებული მსჯელობაო...

ეს არჩილის მაშინდელი განწყობილება უფროა.

რუს დემონსტრანტებს რომ აჰყვები, კეთილშობილებას ნიშნავს თურმე.

და უპირველესად შენს ქვეყანაზე რომ ფიქრობ, სწორედ იმ რუსთა ხელიდან გამოხსნისათვის იოკებ აღტკინებას და ინახავ თავს, მშრალი, განყენებული მსჯელობის იქით არ მიდის შენი გულისთქმა თურმე.

კეთილშობილება თუ მშრალი, განყენებული მსჯელობა?

ქართველთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარედ სამსონ ფირცხალავას რომ აირჩევდნენ და მსოფლიო საზოგადოების გულისყური კუნძულ კრეტას მიეჯაჭვებოდა, საბერძნეთისა და ოსმალეთის ომის შუაგულში რომელიც მოქცეულიყო, პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა გადაწყვეტდა თანაგრძნობის გამოცხადებას ათენელი სტუდენტებისათვის დეპეშით. საბერძნეთის ელჩს მიაკითხავდნენ და ის ურჩევდათ, თანაგრძნობის დეპეშის გაგზავნას მოერიდეთ, თქვენთვის ეს სახიფათო იქნება, ჩვენს მთავრობას კი პირადად მე გადავცემ თქვენს თანაგრძნობასო.

სათვისტომოს კრებაზე დიდი სჯა-ბაასი შეექმნებოდათ და გადაწყვეტდნენ, ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს დაჰკითხოდნენ რჩევას.

ეს ორნი გამოერჩიათ.

ორივეს თავთავისი პატივისმცემელი ჰყავდა, თავთავისი მომხრე და მიმდევარი.

ორივეს სახელი გარკვეულ მრწამსად გასიმბოლოვებულიყო და, სტუდენტობაშიც ორი დასი რომ გამოკვეთილიყო, რაღა მათი ჭიდილი და რაღა მათ იდეურ მეთაურებად აღიარებული მოღვაწეებისა.

ეროვნული და კოსმოპოლიტური ეხლებოდა ერთმანეთს.

ზოგადად ისინი ერთიერთმანეთს უნდა გულისხმობდეს და განსაზღვრავდეს, მაგრამ კოსმოპოლიტურის ის ნაირსახეობა, სოციალისტური მოძღვრების ფესვზე დამყნობილი და რუსულ-იმპერიულ ყაიდაზე შეფერილი, დაშორებოდა ჭეშმარიტ კოსმოპოლიტიზმს და ეროვნულთან ამიტომაც ველარ ჰპოვებდა ვერავითარ საერთოს.

ან საერთო ძაფების გაბმას ვინ ჩივის – მისი დათრგუნვა და მოსპობა ჩაეთქვა უმთავრეს მიზნად და იარაღად რევოლუციური გარდაქმნები მოემარჯვებინა.

თანდათანობითი ფერისცვალება, რასაც ეროვნული მრწამსი და მისი იდეოლოგი ეყრდნობოდა, მეტად უკმარად მოჩანდა ამ დასისა და მის მიმდევართა თვალთახედვით და... იზრდებოდა ჭიდი-

ლი და შეურიგებლობა მათ შორის, და პოლიტიკურ პარტიებს დაირქმევდნენ, საზოგადოებრივ წრეებსა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას, კონფლიქტის შუაგული ყოველთვის ეს ორი მსოფლგანცდა იქნებოდა.

კამათს რომ შეესწრებოდი, რა თემაც გინდა ყოფილიყო, რა მოსაზრებებსაც გინდა ეტრიალა, ჩაჰყვებოდი ძირამდე და... კვლავ და კვლავ ის ორი მსოფლხედვა ამოჰყოფდა თავს, მათი დაპირისპირება ჩამალულიყო კამათის სარჩულში და მოდავეებს იქნებ მკაფიოდ ვერც გაეცნობიერებინათ, რა აგულიანებდა მათ გზნებას, რა არ ანებებდათ საერთო აზრის გამოძებნას.

და სათვისტომოს კრებაზეც იმ მღელვარე სჯა-ბაასისას ამ ორ პიროვნებაზე ამიტომაც შეჩერდებოდა არჩევანი – გულნაკლული არცერთი მხარე არ დარჩებოდა.

ჩვენთვისაც ისევე ძვირფასია თავისუფლება, როგორც კრიტოსელთათვისო, – ირწმუნებოდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები და: ჩემი სრული თანაგრძნობა მოჰყვება თქვენ კეთილშობილურ თანაგრძნობას გმირი ხალხისადმიო, – წააქეზებდათ გიორგი წერეთელი 1897 წლის 3 აპრილით დათარიღებულ ბარათში და წუხილს მხოლოდ იმის გამო გამოთქვამდა, რომ ამ დროში საქართველოს არ შეეძლო უფრო ნამდვილი საქმით მიშველებოდა დაჩაგრულ ხალხს, გაეგზავნა საბერძნეთს ქართველ მებრძოლთა თავისუფალი რაზმი („ვაი საქართველოს დამცირებას და დამდაბლებას...“), თორემ თანაგრძნობის წერილის შედგენა ჩინებული განზრახვა გახლდათ და გაგზავნა – აუცილებელი.

ერთი პასაჟის ამოშლას ურჩევდა, სახელმწიფოთა ანგარებას რომ შეეხებოდა, ვაითუ ამ ფრაზებმა უსიამოვნება მოგაყენოთო; მაგრამ გაბედულებას დიდად დაუფასებდა: დგება ცხოვრებაში ერთი ისეთი წამი, როდესაც კეთილშობილური გული ზარბაზნის ყუმბარასაც უნდა დაუდგეს წინო.

ამ პათოსით განმსჭვალავდა ბარათს და ამ აკორდითვე მოათავებდა:

– გულით მსურს ეს თქვენი აღტაცებული გრძნობა თავისუფლებისადმი სიკვდილამდე შეგრჩენოდეთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და მტლად დადებოდეთ მომავალში თქვენ გაჭირვებულ ქვეყანას.

როგორც უნდა აჰყოლოდა თავისი ვაჟისა და მის თანამოაზრეთა იდეებს, როგორც უნდა გაეხსნა გზა მათთვის და „კვალიც“ გა-

დაებარებინა სამოქმედო ასპარეზად, საიდანაც ისარს ისარზე და ყუმბარას ყუმბარაზე სტყორცნიდნენ ეროვნულობის ციტადელს, სამშობლოს სიყვარულ-ს ის ძველი განცდები მაინც მოჰყვებოდა გიორგი წერეთელს, 60-იანი წლების ნიშატი მაინც იჩენდა თავს მის სიტყვასა თუ საქციელში, თანმიმდევრულად თუ ვერა, ხანდახან მაინც ამოხეთქავდა და ცოტა არ იყოს ბუზღუნებდნენ მესამედასელები, მაინც ძველი კაცია და დრომოჭმულ წარმოდგენებს ამიტომაც ვეღარ გამოეხსნაო.

მტლად დაედეთ სამშობლოსო... მაგრამ უქებდათ მარჯვენას, ბერძენთა თანაგრძნობის, საიმპერატორო კარის თვალში კი იმპერიის მიმართ საპროტესტო წერილი რომ შედგენილიყო, ოღონდ საპროტესტო არა უშუალოდ საქართველოს გულისათვის.

თქვენმა წერილმა ორ ცეცხლშუა დამაყენაო, – ამას ილია ჭავჭავაძე მისწერდათ, – ერთი მხრივ თქვენი ყოვლად პატიოსანი გულისძგერა დამიდგა თვალწინ, გულისძგერა საქვეყნო, გულისძგერა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშეც აღტაცებითა და სასოებით უნდა მოიდრიკოს მუხლი ყოველმა რიგიანმა კაცმაო.

მაშ უწონებს განზრახვას და ეგაა, ისღა რჩება, ზოგიერთი შენიშვნა გაუზიაროს, პირწმინდად რედაქციული, ესა თუ ის ფრაზა როგორ შესწორდეს?..

მაგრამ ამ ყაიდაზე და ასე ერთბაშად არ მოთავდება „ივერიის“ რედაქტორის საპასუხო ბარათი. თავისი გული უნდა გადაუშალოს თვალწინ სტუდენტებს, მისი მოძრაობა გაუშიშვლოს და რეალობაც ყოველმხრივ წარმოუსახოს – არა ერთი რომელიმე სარკმლიდან, არამედ საქვეყნო გადასახედიდან, რომლის ნათელშიც ერთად უნდა შედუღაბდეს და განისაჯოს მარადიული და ამწამიერი, და ხელაღებით არც ერთს არ მიენიჭოს უპირატესობა.

ამ გადასახედიდან, მარადიულისა და ამწამიერის ჰარმონიული შერწყმის ნათელში კოსმოპოლიტური განცდა ეროვნული მრწამსის გაგრძელებად მოჩანს და არა მის უარყოფად.

ოღონდ ძნელი კი არის, ძალიან ძნელი ამ ჰარმონიის შეგრძნება.

და ყველამ თვითონ უნდა შეიცნოს, თორემ თუნდ ბრძენკაცის მტკიცებას უშინაარსო რიტორიკად აღიქვამს და სხვა არაფრად.

ილიას თავისი უნდა ეცადა.

ასე ეცდებოდა.

– კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართს და მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ მოვა დრო და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელითაც დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსაო, – განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა ერთი მუჭა ბერძნობის თავგამოდებას და განაზოგადებდა არა მხოლოდ ოსმალთა უღლის დამხობის წადილად, არამედ მონაწილეობად მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებში, დიდი გარდატეხა რომ უნდა მოჰყოლოდა საკაცობრიო ცხოვრებაში. თუნდ ძალიან გაჭიანურებულიყო გარდატეხის ხანა და მეოცე საუკუნის ბოლომდეც გადაწვდენილიყო, და ოცდამეერთის დასაწყისიც კვლავ დიდი მღელვარება-ჭიდილის ფონად დარჩენილიყო, ისტორიისათვის ეს ხანა ერთ-ორ წუთად დაიწურებოდა და ილია დრო-ჟამის სწორედ ისტორიულ განცდას იგულისხმებდა, როდესაც გარდამტეხ შემობრუნებას სასოებდა.

მკაფიოდ ხედავდა, საით მიექანებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დინება, საით მიიყოლიებდა აბობოქრებულ ხალხს და უკეთესი ყოფა ხელის გაწვდენაზე სულაც არ ეგულებოდა.

ქართველ სტუდენტთა ანთებულ გულს კი, თანაგრძნობითა და კვნესით რომ შენატროდა ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლიდა, ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისა, პატიოსანი გულისძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში როგორ უნდა აფარებოდა წინ?

და მაინც:

– ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას... ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისა–ღა იმედზედ დარჩეს? აშკარაა იგი რაც თქვენც პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.

დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიტყდაო, – ქარაგმით მიანიშნებდა ეროვნული მოძრაობის მცდელობებსა და იმ წინააღმდეგობებზე, რაც ქვეყნის თვითმყოფადობის ნიშნების შენარჩუნებას

ელობებოდა წინ, და აფრთხილებდა: მთავრობას ჩვენზე ავი თვალით მოხედვის საბაბს ნუ მივცემთ, თორემ ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპებაო.

ნუ ეგონებოდათ ახალგაზრდებს, რომ მათი წერილის შინაარსი საიდუმლოდ დარჩებოდა. ნუ იქნებოდნენ ასეთი გულუბრყვილონი.

მაშ საშიშროებაც ჩნდებოდა, რომ მთავრობას ხელზე დაეხვია და ჩვენდა თავშისაცემად გამოეყენებინა, აი, სად და საით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

ასეთი განსაცდელის წინაშე ილია უფლებას აძლევდა თავს, მარტოდენ საკუთარი კი არა, ქვეყნის სახელით მიემართა სტუდენტებისათვის: სასწავლებლად წასულხართ და ისწავლეთ და ცოდნა შეიძინეთ, ჯერჯერობით ნურც იქით გაიხედავთ და ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორი უძლიერესი ფარ-ხმლით მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასო.

დაძრახავდნენ ასეთი რჩევისათვის?

ახალგაზრდებს თავიანთი წადილის დადასტურება ენებათ მისგან და არა განზრახვისათვის ფრთის შეკვეცა?

ძრახვის მეტი რა მოესმინა ილია ჭავჭავაძეს და ბარემ ესეც მიმატებოდა, დაე ახალი მაგინებელ-მკილავნიც შეეძინა, მაინც ვერ ურჩევდა იმას, რასაც გიორგი წერეთელი წააქეზებდათ და რაც ასე მიმზიდველად გამოიყურებოდა, ამაღლებულის საბურველში გამოხვეულად.

მკაცრი რეალობა რასაც კარნახობდა ადამიანს, ამ სენტენციად გამოიკვეთებოდა:

– იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირე განსაცდელიც კი...

იქნებ აჭარბებდა და არც ასეთი საშიში ყოფილიყო ამ ყაიდის წერილების შედგენა?

ამის პასუხიც მზად ჰქონდა:

ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კიო.

აღტკინებულ ჭაბუკურ გულს ეს დარიგება რომ არ შეესმინა და წამიერ ატაცებას მინდობოდა?

კიდევ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, კიდევ ვანაცვალებთ ამ სიყვარულს ყველაფერს, მაგრამ ბერძნებს მაინც უნდა გამოვეხმაუროთ და ჩვენი თანადგომა ვაცნობოთო?

ამასაც გაითვალისწინებდა და ღაღადისის სტილისტიკაზე აგებულ ბარათს რუსთველური შეგონებით დაასრულებდა, იმ პარადოქსული რჩევით, ცხოვრების დიდ ჭიდილსა და მღელვარებაში რომ გამოტარებულიყო და საკაცობრიო გამოცდილებას იქნებ პირადი გამოცდილებაც შეზავებოდა.

კარგისა მამაცისაგანო, – იქნებ „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედსაც დასჭირებოდა თავის სანუგეშებლად და სხვებსაც მოათქმევინებდა სულს – თანამედროვეთაც, შთამომავალთაც... დაე პეტერბურგელ სტუდენტებსაც ამ სტრიქონში ეძიათ ნუგეში.

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო...

არჩილ ჯორჯაძესაც ამასვე ურჩევდა, სათვისტომოს იმ კრებაზე რომ მოხვედრილიყო უნებურად ანდა მაშინაც დაჰკითხოდნენ: გავიდეთ თუ არა ყაზანის მოედანზეო. ის დანარჩენი სტუდენტები თითქოს მის გულში ისხდნენ.

მაგრამ არ შეისმენდა მის შეგონებას თავგამოდებული სტუდენტი, ყველაზე დახვეწილი, სულაც გენიალური ყმაწვილი, რომელიც თუნდ ქართველთაგან ერთადერთიც ჩადგებოდა რუს დემონსტრანტთა შორის იმ მტკიცე რწმენით, ახალგაზრდული გრძნობა სძლევს მშრალ, განყენებულ მსჯელობასო.

მიჰყვებოდა დაუსრულებელ ნაკადს არჩილ ჯორჯაძე, გადასდიოდა ბაგეზე ბედნიერების ღიმილი და სახეც ისე გაცისკროვნებოდა, დიდი გამარჯვების მოპოვებას რომ მოსდევს.

რა გასაკვირია, ამხელა დემონსტრაციას მთელი პოლიცია ფეხზე რომ დაეყენებინა და დიდი მითქმა-მოთქმაც გამოეწვია სახელისუფლებო და პოლიტიკურ წრეებში.

მთავრობა რა გზას გამონახავდა?

გამწვავებას მოერიდა და მარტო სამი დღით დაგვატუსაღეს დემონსტრაციის მონაწილენიო, – სამსონ ფირცხალავამ.

ვერც არჩილი გადაურჩებოდა სატუსაღოს, თუმც მალევე რომ დაადგებოდა გზას დიდი ბრიტანეთის კუნძულისაკენ, იმიტომ არა, რომ მთავრობის მზერას მორიდებოდა. საბაბი იქნებ ესეც იყო, მაგრამ უმნიშვნელო საბაბი, რამაც იქნებ ერთი-ორი დღით დააჩქარა მისი გამგზავრება, მაგრამ მთავარი მიზანი ტოლსტოველთა ახალშენში მოხვედრა გახლდათ, ვლადიმერ ჩერტკოვთან დაახლოებისა

და მისი ერთგულების წადილი, რათა სრულყოფილად ზიარებოდა ამ ფილოსოფიურ-რელიგიურ სამყაროს და მისგან გამოხსნა აღარც არასოდეს ეფიქრა.

შემოდგომის დღე იდგა, უსიამოვნო და ცივი.

ვასილის კუნძულიდან შეცურავდა ზღვაში უბრალო სავაჭრო გემით.

გააცილებდნენ ზურაბ ავალიშვილი და ნიკოლოზ ჯაყელი.

ზურაბს არჩილ ჯორჯაძე ჯერ კიდევ ტფილისის გიმნაზიიდან ახსოვდა და მის თვალში ეს ერთი წლით უფროსი ჭაბუკი გაიდეალებულად წარმოდგებოდა. უკვე მაშინვე, და განსაკუთრებულ სიყვარულსა და კრძალვას ყოველთვის შეინარჩუნებდა, შემდგომ კი მისი ხსოვნა იქნებოდა ყველაზე ძვირფასი და, სულიერი ჭიდილისას, გზის გამკაფავი.

რას იზამდა, როგორ მოიქცეოდა არჩილი, ახლა რომ ცოცხალი ყოფილიყო?

განსაკუთრებით საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში დაჭირდებოდა მისი სახების გამოხმობა, როდესაც დიპლომატიური მისიით შეუყვებოდა ევროპის გზებს – შეგვეწიეთ, დაგვეხმარეთ, რუსეთის შემოსევა აგვარიდეთ და თქვენს ოჯახში მიგვიღეთ, ევროპულ ქვეყნად გვცანითო.

სულხან-საბა ორბელიანის წარუმატებელი მისია ახსოვდა საქართველოს ბედისწერას.

ზურაბ ავალიშვილის წარუმატებელი ხეტიალიც დაამახსოვრდებოდა.

თუმც ამჯერად გაიბმოდა რაღაც ძაფები, მაგრამ უღმერთოდ დაწყვეტდა თებერვლის ის სუსხიანი დღე, დაასამარებდა მაისს და ემიგრაციაში გადახვეწილი ზურაბ ავალიშვილი ახლა იმის გამორკვევას ცდილობდა, ნეტა არჩილი ასეთ დროს რა გზას აირჩევდაო.

პალტოს საყელოები წამოეწიათ და ადგილსაც წამდაუწუმ მოინაცვლებდნენ, რათა გამთოშავი სიცივისაგან თავი დაეცვათ, გამობრუნებით კი არ გამობრუნდებოდნენ, ვიდრე გემი თვალს მიეფარებოდა.

ვინ იცის, როდისღა შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ან შეხვდებოდნენ კი!..

ზურაბ ავალიშვილი გემსაც გაჰყურებდა და თვალწინ კადრივითაც ჩაუქროლებდა მათი ურთიერთობის სურათები.

ჯერ შორი ნაცნობობა გიმნაზიაში, არჩილი ყურადღებას თავისი სევდითა და მიტოვებულობით რომ მიიქცევდა, ობლის ტკივილით, ლამის უპატრონო ყმაწვილს რომ ჰგავდა, მაგრამ პირველი შეხედვისთანავე რაღაცაც გიზიდავდა. თვალთა სიღრმე და მზერა? საერთო იერი? გიზიდავდა კი, და აღარც ის უნდა გაგკვირვებოდა, რომ უთვისტომო ყმაწვილი გიმნაზიელთა ერთი ჯგუფის, თანაც ყველაზე დაწინაურებული ჯგუფის, ხელმძღვანელი გახლდათ.

აქედანვე დაებედებოდა.

პირველობისაკენ სწრაფვის ჟინი არასოდეს გასჩენია, უჩინრად ყოფნა, თავის ფიქრებში ჩაძირვა ყველაფერს ერჩივნა. დაე სხვანი ყოფილიყვნენ პირველებიც და მეთაურებიც, სხვებს მოეხვეჭათ გავლენაც და სახელიც... მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ ყველგან და ყოველთვის, რომელ წრეშიც უნდა მოხვედრილიყო, ყველა ძალაუნებურად აღიარებდა მის ხელმძღვანელობას. სადავეებს მას გადასცემდნენ და ისიც გადაიბარებდა, რადგანაც უკეთესი გზა არ მოჩანდა მოქმედების წარმართვისათვის. ასე ივლიდა და ასე აღმოჩნდებოდა ემიგრანტული ჟურნალისა და მერე სულაც პოლიტიკური პარტიის სათავეშიც, თუმც ლონდონისაკენ მიმავალი ერთადერთი სწრაფვით სულდგმულობდა, ისე ჩავეფლო ტოლსტოურ მედიტაციებში, ისე შემოვისაზღვრო სულიერებითა და რელიგიური ძიებებით, რეალობისათვის თვალი ოდნავადაც აღარ შემავლებინაო.

მეთაურის გზა კი გიმნაზიელთა იმ წრიდან იწყებოდა, ხელნაწერი ჟურნალის გამოცემასაც რომ მოჰკიდებდნენ ხელს, და მთავარი პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე იქნებოდა.

ვერ გადაჰყრიდა კაეშანს სწავლა, ძიება, საქმიანობა.

სულით ობლობას დიდი ტრაგედია დაერთვოდა და სევდადარდს ვეღარც დააღწევდა თავს.

დედა ადრე დაეკარგა.

მამა სამსახურს მიატოვებდა და სოფლად გადასახლდებოდა.

ეს სამსახური გახლდათ – სამხედრო პირის მუნდირი – ქუთაისშიც რომ მოუწევდა ოჯახს ერთხანს ცხოვრება, კონსტანტინე ჯორჯაძეს პოლკის უფროსად რომ გაამწესებდნენ, და... ის ტრაგედიაც მაშინ დატრიალდებოდა.

მონაშეთის ეკლესიის სიახლოვეს მდინარეში საბანაოდ ერთად შევიდოდა არჩილის ორი და – ნინო და ლიზა – და... ერთადვე დაიხრჩობოდნენ.

* * *

ტრაგედიამდე კი...

ბიოგრაფოსებს ზოგჯერ ძალიან სჩვევიათ გულუბრყვილო გაზვიადებანი და ეს ცრუმოდელიც გაზვიადებათა აუცილებელი საყრდენია – გმირის სიყმაწვილე უსათუოდ უნდა შეიმოსოს რაღაც განსაკუთრებულობით, უკვე მაშინვე უნდა ეტყობოდეს იშვიათი გამორჩეულობა, შუბლზე მკაფიოდ უნდა ეწეროს მომავალი და ამ მომავალს მაშინვე ამოიცნობდეს ესა თუ ის გამოჩენილი პიროვნება და ყმაწვილს დალოცავდეს დიდი გზებისათვის.

თუკი ამგვარი ლეგენდა ვერ შეუთხზეს, მაშინ იმასღა კმარობენ, რომ ყმაწვილი გამოაცალკევონ ტოლ-ამხანაგებისაგან, დასახონ მჭმუნვარე ფიქრებში ჩაძირულად, უკვე ქვეყნის ჭირ-ვარამზე მოფიქრალად.

აი, ყმაწვილები თამაშობენ, ერთობიან, თავდავიწყებას მისცემიან, ერთი კი განზე დგას და სადღაც შორეთში გაიცქირება. – მოდი ჩვენთან, ითამაშე, – ეპატიჟებიან სხვანი, ის კი: მაცალეთ, საქართველოს გათავისუფლებაზე ვფიქრობ. და ავტორის ჩანაფიქრით რაღაც ღირსშესანიშნავი, ამაღელვებელი სურათი გემოვნებიანი მკითხველის თვალში ერთბაშად გადაიქცევა კომიკურ სცენად.

ამგვარი მოდელები თავთავისი ვარიანტებით, დაე დავუტოვოთ ამ ყაიდის ბიოგრაფოსებს და არჩილ ჯორჯაძის სიყმაწვილე აღვადგინოთ ისეთი, როგორც თვითმხილველთ შემოუნახავთ – სიცელქის, თავაწყვეტილი მხიარულების, ხან სულაც ოინბაზობის ეპიზოდები მაინცდამაინც საძებნელი რომ არა ჩანს მისი ცხოვრების ქუთაისურ ხანაში.

კარგად შეკაზმული ვირით, რომელსაც ვირიკელას ეძახის, ხან ერთი მოსახლის ეზოში უნდა შეინავარდოს და ხან მეორეში, დაფეთებული მოსამსახურე მისდევდეს, მისძახოდეს, მისი დაოკება კი ვერაფრით ხერხდებოდეს, დაღლა არ იცოდეს, სირბილი არა წყინდებოდეს.

ამ სირბილ-ჭენაობას მოჰყვებოდა – იმ ზაფხულს ჭობაში, გოგიჯანაშვილების სახლში მდგმურად დამდგარ ჯორჯაძეების ოჯახს არჩილი ჩვეულებისამებრ რომ გაექცეოდა და... საზარელი ყვირილი შემოესმოდათ თუ არა, გულშემოყრილსა და ხელმოტეხილ ყმაწვილს შინ შეიყვანდნენ.

მაშინდელ ხელის მოტეხვას რა უჭირდა. მოტყდებოდა და შეხორცდებოდა. საბედისწეროდ ის მოგვიანო ფათერაკი გაუხდებოდა, ხელი მაჯაში რომ წანყდებოდა.

ბანაობით თავის მეგობარ ვასილ ბალანჩივაძესთან ერთად უყვარდა ბანაობა, და ერთხელაც ტიტლიკანები დაჭრილ, ფრთამოტეხილ ყვავს რომ გაეკიდებოდნენ დასაჭერად, არჩილის დედა შორიდან დაინახავდათ ხვილიფის პირას მოტანტალე ბავშვებს და განგებ მსახურს მოაპარინებდა მათ სამოსს. მხოლოდ მას შემდეგ გამოუჩენდა, როდესაც ტიტლიკანებს სახლის კიბეზე აიყვანდა.

დიდი ხნის შემდეგ პეტერბურგში რომ შეხვდებოდნენ ბავშვობის მეგობრები, არჩილი სინანულით გაიხსენებდა:

– ნეტა იმ დროს, ვასიკო, ჩვენ რო ვბანაობდით და დედაჩემმა მთელი ეზო ტიტლიკანები შემოგვატარა.

ახლა გიმნაზიაში?

გულკეთილობა და ხათრიანობა გულკეთილობად და ხათრიანობად, არც ის ავიწყდებოდა, რომ შინიდან წამოღებული საუზმით მესამე გაკვეთილის შემდეგ ამხანაგებსაც გამასპინძლებოდა, მაგრამ წერის მასწავლებელი, გულკეთილი ბერიკაცი, კლასი რომ ვერ დაემორჩილებოდა, გამოჩნდებოდა თუ არა, არჩილი რატომღაც სკამებში უნდა ჩამძვრალიყო და კატასავით დაეკნავლა, სხვანიც აეყოლიებინა და ამტყდარიყო კლასში აურზაური. მასწავლებელი დაიხურავდა ქუდს და მუქარით გაბრუნდებოდა: ყველაფერს ინსპექტორს მოვახსენებო. არჩილი პირველი უნდა გაკიდებოდა, სხვებიც მოჰყოლოდნენ, ტალანის ბოლოს დასწეოდნენ და ხვეწნით მოებრუნებინათ უკანვე. მაგრამ შემოვიდოდა თუ არა კლასში, არჩილი კვლავ სკამებში უნდა ჩამძვრალიყო და დაეკნავლა... და გაკვეთილიც მთავრდებოდა.

ხან როდესაც გაკვეთილი უცდებოდათ, გიმნაზიის ეზოში გაუშვებდნენ სასეირნოდ, ოღონდ არ უნდა ეხმაურათ და სხვა გაკვეთილებისათვის ხელი არ შეეშალათ. რამდენიმე წუთს კი წყნარად იქნებოდნენ, მაგრამ მერე საიდანღაც ბურთი უნდა გაჩენილიყო და ესენიც ყიჟინით გაკიდებოდნენ. გამოვიდოდა კლასების დამრიგებელთა თანაშემწე, წაართმევდათ ბურთს და გაუყვებოდა სამასწავლებლოსაკენ.

ვერავინ ბედავდა მიკარებას. არჩილი კი რას შეეპუებოდა, მიეკარებოდა, გამოჰკრავდა თითს ბურთს, გამოაცლიდა ხელიდან და,

ვიდრე თანაშემწე გონს მოეგებოდა, ბურთს უკვე მთელი კლასი დასდევდა.

ეს ის დროა, როდესაც ყმაწვილებში გაბედულება ყველაზე მეტად ფასობს და არჩილსაც ამით მოუპოვებია სახელი მათში.

მერე ნაკითხობა და განათლება უნდა დაფასდეს და არჩილი უკვე ამ თვისებებით გამოირჩეს.

ჯერ უზრუნველ ყოფას მისცემია და ხელის მოტეხვაც ვერ გადააბევინებს სიცელქე-გართობიდან.

მაგრამ...

ის ტრაგედიაც მაშინ დატრიალდებოდაო...

არჩილიც წყალწითელას ნაპირას იდგა და დებს მის თვალწინ შთანთქავდა მორევი. აკივლდებოდა და რას აკივლდებოდა პატარა ბიჭი, ამოუვარდებოდა გული, ყელი ამოეხახებოდა. აქამდეც ჭყლოპინითა და წივილ-კივილით დასდევდა დებს, ებღოტიალებოდა, ეთამაშებოდა, მდინარეში შესულებს კენჭებს ესროდა. მოარიდებდა, მაგრამ ისინი ყასიდად მაინც ემუქრებოდნენ: ამოვალთ და ნახავ შენს დღესო. იცინოდნენ, კისკისებდნენ, სიცოცხლეს შეჰხაროდნენ, მზეს შესცინოდნენ, ტალღებში ჩაინთქმოდნენ და ისევ ამოსხლტებოდნენ. იმ დღესაც ასე იყო. იმ წუთებშიც ასევე გრძელდებოდა ლამის რიტუალად გადაქცეული მდინარის თამაშობა. არ შემოხვიდე, დაიხრჩობიო, – აფრთხილებდნენ ბიჭს. ის უკადრისობდა: მე უკვე დიდი ვარ და რა დამახრჩობსო. კენჭებს ისროდა წყალწითელაში. არ მოგვარტყა, თორემ ინანებო, – შემოკისკისებდნენ დები, გაეხვეოდნენ ტალღებში და... სურათიც გაჩერდებოდა, გაიყინებოდა ერთხელ და სამუდამოდ. ტალღებს თამაში დაავიწყდებოდათ, იმ ერთი წუთით, მაგრამ დაავიწყდებოდათ კი და ისე ულმობლად შეიმართებოდნენ, თითქოს რაღაც ეშმაკი მიჯდომიათო.

მზესაც რაღაც ჩამოეფარებოდა.

ფარდასავით, სხვა კი არაფერი, მაგრამ კლდესავით განმტკიცდებოდა ყოველი მიკარებისას და ხსოვნის ჯურღმულში ჩაძირული არჩილი ვეღარასოდეს მოახერხებდა მის გადაწევასა და თუნდ წამიერად და ცალი თვალით შეჭვრეტას მის მიღმა.სალი კლდე არ გადაიხსნებოდა.

ანკი რა გადახსნის სალ კლდეს.

მაშინ კი აწივლდებოდა, აკივლდებოდა: ნი-ნოოო, ლი-ზააა! ლი-ზაა, ნი-ნოოო! – და მოშორებით მყოფი მშობლები და ახლობლები,

ცოტა არ იყოს, გაბეზრდებოდნენ – ითამაშოს, გაერთოს, მაგრამ ასე რატომ აიკლო აქაურობაო.

– კარგი ახლა, ცოტა წყნარადო, – გამოსძახებდნენ.

ვერ წყნარდებოდა, ცა ჩამოჰქონდა, მზემიტოვებული ცა, და ხელში შერჩენოდა ობოლი კენჭი...

მთელი ქუთაისი შეიძვროდა ამ საცოდაობით.

არჩილისათვის სამუდამოდ ამოიშლებოდა წყალწითელაც და ქუთაისიც. წლები გავიდოდა, ბევრი რამ გადაფასდებოდა მის არსებაში, ბევრი ჭრილობა მიყუჩდებოდა ან სულაც გაქრებოდა,იმ დღის საშინელება კი ოდნავადაც ვერ ჩაცხრებოდა და სიცოცხლის ბოლომდე ამიტომაც გაურბოდა ამ ქალაქსა და მხარეს, ვერავინ და ვერაფერი აიძულებდა მის მონახულებას. სიძულვილი არ იცოდა და წყალწითელა და ქუთაისი შესძულებოდა. რა გრძნობააო, ვერ გაერკვია. გახსენება რომ არ უნდოდა, ამას გრძნობდა და ყოველნაირად განდევნიდა თავისი ცნობიერებიდან. მაინც მოეჭდებოდა ფსიქიკაზე ის უმწარესი წუთები, მაინც უთხრიდა გულს. ამისთვის რა ეშველა, თორემ ქუთაისისათვის ზურგის შექცევა რა ბედენა გახლდათ.

ამ ტრაგედიასთან რა იყო ის უბედურება, თავისთავად რაოდენ მძიმე, არჩილს თოფის გასროლა საბედისწეროდ რომ გადაექცეოდა – ლულა აუფეთქდებოდა ხელში და ისე დაიჭრებოდა, მარცხენა მკლავის მაჯის მოკვეთა გახდებოდა აუცილებელი.

მთელი ცხოვრება დაღად დააჩნდებოდა ის ყმაწვილური გართობა. გაუფრთხილებლობით არ მოსვლია, თოფი იყო გაუმართავი და რაღაც ეშმაკად წამოავლო ხელი...

პროთეზს მოირგებდა მოგვიანებით, თუმც მორგება პირობითად ითქმის – ხისა და ფოლადისა ექნებოდა პროთეზი, ტყავგადაკრული, და შავ თათმანსაც წამოიცვამდა ხოლმე. გარეშე თვალს იქნებ ვერც აღექვა, მაგრამ სიმძიმით ემძიმებოდა, აწუხებდა და შინ ყოველთვის მოიხსნიდა. სულზე დაჭდეული ტკივილი როგორ მოეხსნა, თორემ...

კიდევ კარგი, მარჯვენა ხელი არ წამაწყვიტაო, – გულს ამით იკეთებდა, თუმც მარჯვენაც რომ წაეწყვიტა, წერის ჟინს ესეც ვერ გაუნელებდა, ყველა ჟინზე მძაფრ ჟინს – მარცხენა ხელით გაიწაფებოდა ისე, ვეღარც გაიგებდა, მარჯვენა რომ გაუქმებოდა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს აირჩევდა ხელნაწერი ჟურნალის თანამშრომლად, გულითად მეგობარს, პეტერბურგის უნივერსი-

ტეტშიც რომ ერთად გასტუდენტდებოდნენ და ფილოსოფიურსა და რელიგიურ ლიტერატურაშიც ერთადვე შთაითნქმოდნენ.

ყველას აოცებდა – და ამ გაოცებას ნინო ნაკაშიძე დიდი ხნის შემდეგაც გაიხსენებდა – რა აქვთ საერთო მელანქოლიურად განწყობილ არჩილსა და მხიარულ ლუარსაბსო, მაგრამ ძმებივით კი შეთვისებოდნენ ერთმანეთს.

ჯერ გიმნაზიაში ისმენდნენ ვასილ წერეთლის საბუნებისმეტყველო საუბრებს. ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი შემთხვევით და დროებით შერჩებოდა ტფილისს და ამ ყმაწვილებს რომ გადაეყრებოდა და მათ დიდ ცნობისწადილსაც შეიტყობდა, მთელს თავის ცოდნას დააფრქვევდათ თავზე. ერთხელ კვერცხის თაობაზე ლექციებსაც წაუკითხავდათ. ინტერესით მოისმენდა არჩილი, მაგრამ გონებას მიეფარებოდა კვერცხიდან სიცოცხლის ამომზევების დიდი მისტერია, ვიდრე ისტორიაში ყოფნისას – განსაკუთრებულ გუნებაზე დამდგარი – წინილის დაბადებას არ შეესწრებოდა, საოცრებად მონათლავდა და სიკვდილ-სიცოცხლის იდუმალებაში მოინდომებდა შეჭრას იტრიის წისქვილის ეპისტოლური ციკლით.

უმცროს მონაფეებს რომ გადააველებდა თვალს, ვინ მოჩანს მათში საიმედო, ვისი დაახლოება ღირს და საქვეყნო საქმეთათვის შემზადებაო, ზურაბ ავალიშვილსაც დაადგამდა მზერას და ესაუბრებოდა და ესაუბრებოდა მასაც, სხვათაც, ქართული აზროვნება რომ გამოელვიძებინა მათში.

– ესეც უკვე იყო ყოველგვარი საზოგადო მოღვაწეობა, თუნდაც რომ ვიწრო ფარგლებში.

თითქოს უკვე გამოკვეთილა მისი გზასავალი – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ საქმეთათვის თავგადადებული... მაგრამ ასე ბევრისა გამოკვეთილიყო, თვითონაც და სხვებსაც რომ ეგონათ, ამ გზის ერთგულება სიცოცხლის ბოლომდე შენარჩუნდებაო. ასე მოჩანდა და... სულ სხვაგვარად კი წარიმართებოდა – ეროვნული მრწამსი კოსმოპოლიტურ განცდაზე გადაიცვლებოდა და ხან სულაც მის უკიდურეს ნაირსახეობებზე.

სწორხაზობრივი არც არჩილ ჯორჯაძის წილი წუთისოფელი აღმოჩნდებოდა.

არამცთუ სწორხაზობრივი, დიდ სულიერ რყევებში მოჰყვებოდა და ერთი პოლუსიდან მეორისაკენ გადაქანდებოდა...

ჯერ უმცროსკლასელები გაფაციცებით უსმენენ მის მონათხრობს და ეოცნებებათ, რომ სწორედ მას დაემგვანონ.

გაემგზავრებოდა პეტერბურგში და ლეგენდასავით გადმოუვიდოდათ მისი სახელი.

* * *

1892 წლის აგვისტოა, როდესაც არჩილი პირველად უნდა განეშოროს თავის ქვეყანას, პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხოს და... თანდათან სულიერადაც მოწყდეს აქაურობას. ლამის ათწლიანი ყარიბობით ამ ქალაქსა და შემდგომ უკვე ევროპის ქალაქებში – ეს ვარშავაო, ეს ლონდონიო, ეს პარიზიო, ეს ჟენევაო – დიდ შინაგან ფერისცვალებას გამოცდიდა და უმწვავესი სულიერი რყევების მთელს მრავალფეროვნებას გადაიტანდა ერთი უკიდურესობიდან მეორემდე.

ჯერ მხოლოდ სწავლის გაგრძელებას ეშურებოდა, თუმც ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი მალევე არ მოუვიდოდა თვალში, სხვას ამჯობინებდა, იმას ითხოვდა და უკვე 29 სექტემბერს იურიდიულ ფაკულტეტზე გადაიყვანდნენ. ისედაც სუსტი ფილტვები იქ კიდევ უფრო გაუმიზეზდებოდა, ხელმოკლეობა საკუთარი თავის წესიერად მიხედვას არ დაანებებდა და, შეფიქრიანებული, ასე თუ გაგრძელდა, რა მეშველებაო, განათლების მინისტრს გარკვეულ შეღავათს სთხოვდა და თავის უნუგეშო ყოფას შეუფერადებლად ამცნობდა:

მატერიალური სახსრების უქონლობა ხელს მიშლის პეტერბურგში ვიცხოვრო და უნივერსიტეტში საკუთარი ხარჯით გავაგრძელო სწავლა, ჩემი ავადმყოფობა კი (მარცხენა მაჯა მოკვეთილი მაქვს) მაბრკოლებს გარეშე შრომით მოვიპოვო სათანადო თანხა, ამიტომ იქნებ სტიპენდია დამინიშნოთ და სწავლის ქირისაგან გამათავისუფლოთო.

თხოვნას პასუხად დუმილი მოჰყვებოდა.

არჩილი ახლა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს მიმართავდა თხოვნით, ხელმოკლეობა დამიდასტურეო. იქნებ ამ შუამდგომლობას მაინც გაეჭრა... მაგრამ თავადაზნაურთა მარშალს – რა გასაკვირია – ის ზეგავლენა არ გააჩნდა მთავრობის კარზე, მისთვის ყური ეთხოვებინათ. ასე რომ, დადასტურებით კი დაუდასტურებდა და შესაფერის დოკუმენტსაც მაშინვე გაუშანშალებდა ხელმოწერილსა და ბეჭედდასმულს – 3 დეკემბერს, მაგრამ განათლების მინისტრის დუმილს ოდნავადაც ვერ დაარღვევდა.

მაშინ იყო, სასოწარკვეთილს გიორგი ყაზბეგი რომ მოევლინებოდა მხსნელად – იმხანად ვარშავის კომენდანტი, და არჩილიც, მისი მფარველობითა და წრფელი დაპირებით გულმოცემული, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს მიართმევდა განცხადებას: საარსებო სახსრების უქონლობის გამო ამ ქალაქში ველარ ვიცხოვრებ, იძულებული ვარ გავემგზავრო ნათესავთან ვარშავაში, და უმორჩილესად გთხოვთ, გასცეთ შესაბამისი განკარგულება ვარშავის უნივერსიტეტში ჩემს გადასაყვანადო.

ესა და ეს კაცია მანდ ჩამოსული, ნახეთ და გაიცანითო, – საქართველოს განთავისუფლების ლიგის წევრებს შეუთვლიდნენ ვარშავაში პეტერბურგიდან.

ეს ლიგა იატაკქვეშა ორგანიზაციად ჩაეფიქრებინათ იქ ჩასულ ქართველ სტუდენტებს და – თედო სახოკიას მოსწრებული ფრაზისა არ იყოს – 1891 წლის ახალ წელიწადს კიდეც გაითენებდნენ სამშობლოს გასათავისუფლებლად საჭირო პროგრამის შემუშავებაში – ასე შეიქმნებოდა ფარული წრე და ამ გადაწყვეტილებას რუსეთის იმპერიის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქს ამცნობდნენ, რათა ქართველი სტუდენტობა ამ წრისა და წესდების ირგვლივ შემოკრებილიყო.

ვარშავა პეტერბურგთან გააბამდა ძაფებს, პეტერბურგი – ტფილისსა და ქუთაისთან და 1892 წლის ივნისსა და 1893 წლის ივლისში აქ გაიმართებოდა ყველა წრის წარმომადგენელთა ყრილობანი – თუ როგორ შეკავშირებულიყვნენ ქართველი და რუსი სტუდენტობა მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციურ მოძრაობაში; მაგრამ ამ შეკავშირების გარდა საქართველოს პოლიტიკური ყოფა აღელვებდათ უპირველესად და მისი უფლებების აღდგენა ეწადათ. მათთვის არ კმაროდა ხელისუფლების შეცვლა, აუცილებელი იყო დიდ შემობრუნებას იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოსათვის თავისუფლება ერგუნებინა.

თუკი ეს მიზანი ამოქმედებდათ, ფარული ორგანიზაციის უმთავრეს ბირთვში ფილიპე მახარაძე საიდან მოხვედრილიყო?

ნუთუ იმხანად ჯერ კიდევ არ მიეჩნია ეროვნული განცდა დრომოჭმულად და გადასაგდებად და არც აგდებულად გამოჰყურებდა საქართველოს მსოფლიო მოქალაქის მანტიამოსხმული?

თუ...

ისე კი მოხდებოდა, რომ 1892 წელს ლიგის უკლებლივ ყველა საბუთს... ჟანდარმერიას ჩააბარებდა და ამ ფარულ წრეს საციხედ გაწირავდა.

თედო სახოკია დარწმუნებულია, ვარშავის ქართველი სტუდენტობის მიერ საქართველოს გათავისუფლების ლიგის შექმნის ამბავი მთავრობას შესაძლოა სულაც ვერ გაეგო, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ძალიან გვიან გამოერკვია, რომ არა ამ ლიგის ერთ-ერთი წევრის, მეტი რომ არა ვთქვათ, უტაქტო საქციელიო.

„მეტი რომ არა ვთქვათ, უტაქტო“ უკვე თავისთავად ღაღადებს, რომ მემუარული ჩანაწერის ავტორს გაცილებით მეტი ჰგონია, ვიდრე აღნიშნავს – „უტაქტო“ გამჭვირვალედ მიანიშნებს გამცემლობაზე.

უფრო პირდაპირ და დაბეჯითებით ვერ განაცხადებდა.

ცენზურა არც „ერთ-ერთი წევრის“ ვინაობას გაამღავნებინებდა.

თვითონ კარგად მოეხსენებოდა გამცემის გვარ-სახელი, იმ ფილიპე მახარაძესი, ვინც მალე სოციალ-დემოკრატიულ ბაირაღს ააფრიალებდა და შმაგი ჟინით იცლიდა ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო მოკვლამდე და იქიდან უკვე წიწამურის ტრაგედიამდე. და მოეხსენებოდა შიო დედაბრიშვილისაგან, ვინც ლიგის გამჟღავნების ერთ-ერთი მსხვერპლი აღმოჩნდებოდა, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას კი არაგვისპირელის ფსევდონიმით შემორჩებოდა.

მაშინ კი ის წერილი პეტერბურგიდან სწორედ შიოს მიუვიდოდა.

იწერებოდა ვარლამ ჭიჭინაძე, შემდგომში განთქმული დანტისტი:

– ჯორჯაძეს ძლიერ აქებენ, ის წრის წევრია, მაგრამ ავადმყოფის გამო კრებებზე ვერ დადის. ნახეთ ის, ავადმყოფი კაცია, მე მას ვიცნობ, მაგრამ არც ერთხელ არ მქონია მასთან ბაასი საზოგადო საკითხებზე. ვინც მას იცნობს, ყველა აქებს, ამბობენ, ეხლა მეტაფიზიკამ გაიტაცაო, რამდენად მართალია არ ვიცი.

რაღაც განსაკუთრებული ღვაწლი არ დაუდევს არჩილ ჯორჯაძეს საქართველოს გათავისუფლების ლიგის საქმიანობისათვის, მაგრამ რაკილა გაწევრიანებულა, ისე არ გაჩერდებოდა, ცეცხლი არ გაეღვივებინა პეტერბურგშიც და ვარშავაშიც.

პუბლიცისტური სტატიაც ამ წრესთან დაახლოებას შთაეგონებინა მისთვის – „სამეცნიერო კვლევა“, ქვესათაურად „დაფარული სენი“ რომ წაეწერა და თბილისში გამოეგზავნა ახალდაარსებული „კვალისათვის“, სოციალ-დემოკრატიას რომ ჩაეგდო ხელთ და თანდათან გამოკვეთილ საყრდენად აქცევდა ეროვნულ მოღვაწე-

თა და მათი მრწამსის წინააღმდეგ. თავიდან, ცხადია, ასე მკვეთრად არ დაჩნეოდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია და, თუნდაც შესამჩნევი ყოფილიყო, არჩილს ეს ვერ დააბრკოლებდა, რადგანაც იმჟამად მისი პოლიტიკური თვალსაზრისები უფრო ამ მოძღვრებისაკენ იხრებოდა.

„კვალის“ რედაქცია მოწონებით შეეგებებოდა ახალი, აშკარად არაორდინარული სახელის გამოჩენას და 1893 წლის 24 და 31 ოქტომბრის ნომრებში გაგრძელებით გამოაქვეყნებდა, ოღონდ ინიციალებით: ა.ჯ. – როგორც თვითონ ავტორს ენება.

ნეტა ვინ იფარება ამ ფსევდონიმის ქვეშო, მაშინვე მიაქცევდა ყურადღებას და ვინაობითაც დაინტერესდებოდა პეტრე უმიკაშვილი. მისი გამოცდილებისა და გემოვნების პიროვნებას შეუძლებელია გამოპარვოდა, რომ რიგით პუბლიცისტურ თხზულებას არ გასცნობია და მოვალედ მიიჩნევდა თავს 25 დეკემბერს – ზესტაფონში მყოფი – ამ სიტყვებით შეხმიანებოდა „კვალის“ ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემელს ანასტასია თუმანიშვილი-ნერეთლისას:

– რამდენიმე ახალი მწერლის გამოჩენამ „კვალში“ მასიამოვნა. მაგალითად, ა.ჯ.

იმ რამდენიმეშიც გამორჩეულის.

ესაა პასაჟი პირადი ბარათიდან, რომელიც შემდგომ სულ სხვა მნიშვნელობასა და ფასს შეიძენს, როგორც პირველი აღიარება მისი ნიჭიერებისა. გამოხმაურებანი არ მოაკლდება არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტურ სტატიებსა თუ ნარკვევებს, მისი სახელი ხშირად იტრიალებს პოლიტიკოსთა თუ მწერალთა მემუარულ ჩანაწერებში, დღიურებსა თუ კერძო მიმოწერაში, მაგრამ პეტრე უმიკაშვილს სხვებზე ადრე განეჭვრიტა იმ პუბლიცისტური თხზულების დაფარული ავტორის მომავალი, პოლიტიკაშიც რომ ჩაუდგამს ფეხი და ზესთასოფლის იდუმალებასაც უკვე ძალუმად აუყოლიებია.

რამდენიმე წლის შემდეგ ლევ ტოლსტოი უნდა აღფრთოვანდეს მისი ლიტერატურული ხელოვნებით: შემახვედრეთ, გამაცანითო.

ჯერ კი ვარშავის ჰავამ სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს მის ჯანმრთელობაზე და ამ წლის დამლევს უკვე ისე მომაგრებულად იგრძნოს თავი, პეტერბურგში დაბრუნებას აღარ შეუშინდეს, მიაკითხოს უნივერსიტეტს და ამჯერად უკვე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ამჯობინოს სწავლის გაგრძელება.

ასე ადვილად ვერ შეჯერდებოდა მისი მაძიებელი სული ერთ რომელიმე დარგს.

ამასობაში კი ჟანდარმერია ნელ-ნელა უჭერდა ყულფს საქართველოს გათავისუფლების ლიგის ვარშავულ ცენტრს, აზუსტებდა, თუ ვინ დაეტუსაღებინა და 1894 წლის ივნისში კიდეც წამოკრეფდა ამ – ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილი – მოძრაობის წამომწყებთ.

არჩილი კი სულ უფრო და უფრო ინთქმეოდა მეტაფიზიკურ წარმოსახვებში.

პოლიტიკა თვითონ არ ეშვებოდა, თორემ არჩილს იქნებ უკვე მაშინ აეღო ხელი ამქვეყნიურ მოღვაწეობაზე და სულიერ ბილიკებს მისცემოდა.

* * *

გაემგზავრებოდა პეტერბურგში და ლეგენდასავით გადმოუვიდოდათ მისი სახელიო...

რუსეთსა და საფრანგეთს შორის სულ უფრო მეტი სიახლოვე შეიმჩნეოდა, და რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა ყოფილიყო მათი მორიგება ევროპის პოლიტიკისათვის, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა დიდად განაწყენდებოდა და პირად შეურაცხყოფად აღიქვამდა რესპუბლიკისა და აბსოლუტიზმის თუნდ დროებით, დიპლომატიით ნაკარნახევ შეკავშირებას. რუსი სტუდენტებისათვის საფრანგეთის რესპუბლიკა სანიმუშოდ მოჩანდა, ნავსაყუდელად, საითაც თვითონ მიისწრაფოდნენ, და გულს ის უხარებდათ, რომ რესპუბლიკური წყობა მხოლოდ თეორეტიკოსთა გონებაში კი არ არსებობდა, თვით რეალობაშიც ასე დიდებულად წამომართულიყო. მაგრამ ეს რა ხდებოდა – რესპუბლიკას რა საერთო შეიძლება აღმოსჩენოდა იმპერიის აბსოლუტურ ძალაუფლებასთან? რუსეთის იმპერატორის დამხობა ფრანგ რესპუბლიკელთა იმედად ეოცნებებოდათ და, თუ ისინი უღალატებდნენ ამაღლებულ იდეალებს, ეს ხომ რევოლუციონერთა საქმისათვის ზურგში ლახვარის ჩაცემას ნიშნავდა და სხვას არაფერს. დიახ, ფრანგებს ღალატის გზა აერჩიათ და რუსი ახალგაზრდობა მათ ვეღარ მიენდობოდა, რადგანაც ისინი ასე ახდილად სთავაზობდნენ დესპოტიას დახმარების ხელს.

რუსი ხომალდები ტულონში ეწვეოდნენ ფრანგებს.

ისინი კრონშტადტში სტუმრობით გააბედნიერებდნენ რუს ხელისუფალთ, საფრანგეთის ფლოტის ადმირალ ჟერვეს ესკადრა ჩამოდგებოდა და საიმპერატორო კარი დიდი ზარ-ზეიმით შეეგებებოდა.

რევოლუციური სულისკვეთება ყალყზე დადგებოდა, ჩუმ დრტვინვას აღარ იკმარებდნენ და საპროტესტო გამოსვლებით აფორიაქებდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტსაც.

ზურაბ ავალიშვილის კლასს ბერძნული ენის გაკვეთილი აქვს. შემოდის მასწავლებელი, საერთოდ გულკეთილი, თუმც დიდი გონიერებით არ გამოირჩევა, ახლა კი აშკარად გაღიზიანებული ჩანს. საახალწლოდ ტფილისელი სტუდენტები რომ დაბრუნებიან მშობლიურ კერას, იმათ ჩამოუტანიათ პეტერბურგული დემონსტრაციის ამბები და სათითაოდ დაუსახელებიათ ქართველი პროტესტანტები.

ამჯერადაც ისე მომხდარა, რომ ვისაც არ მიუღია მონაწილეობა ამ აკრძალულ გამოსვლაში, აბეზღებდნენ მათ, ვინც მიიღო.

მასწავლებელს იმათგან შეეტყო და ისე გაგულისებულიყო, გიმნაზიელებსაც აღარ მოერიდებოდა, მითუმეტეს, მათთვის ჭკუის სასწავლი იქნებოდა, მისაბაძად ვინ ჰყოლოდათ.

– მესმის ეს, ვთქვათ, იქსისაგან ან კიდევ სხვისაგანო – ებრაელის გვარს დაუსახელებდათ, მაგრამ... არჩილ ჯორჯაძეცო!..

– მან როგორ მიიღო გამოსვლაში მონაწილეობა! ნუთუ დაუვიწყებია, რაც ყველამ ვიცით!

და დაიმოწმებდა 1801 წლის მანიფესტის ცნობილ სიტყვებს: არა ისედაც უდიდესი იმპერიის განსადიდებლად, არამედ მარტოოდენ კაცთმოყვარეობის გულისთვის ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს გამგეობის ტვირთსო.

ეს წარწერა სამხედრო მუზეუმის კედელზეც გაეტანათ, ის-ის იყო რომ აეშენებინათ პირველი გიმნაზიის პირდაპირ. არა კმარობდა, გაუთავებლად რომ ჩაგჩიჩინებდნენ სიცრუეს, კედლებიც უნდა მოფენილიყო ამ და ამგვარი წარწერებით, თითქოს ბაბილონის ხანააო. თუმც... ბაბილონის ხანა იყო, აბა, რა იყო!.. ფეხის შემოდგმისთანავე თავდაყირა გიყენებდნენ რეალობას და ისტორიულ წარსულსაც ისევე გიფხეკდნენ ცნობიერებიდან, როგორც ფრესკებს ეკლესია-მონასტრებში.

კაცთმოყვარეობის გულისთვისო...

საქართველოს სამეფო გამგეობის ტვირთიო...

თითქოს ათწლეულობით ამზადებდნენ აგენტურულ ქსელს ჩვენი სამეფო კარის სიმტკიცის შესარყევად და ხალხისათვის სულიერი სიმხნევისა და ეროვნული იდეალის წასართმევად.

თითქოს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევასა და კრწანისის ტრაგედიაშიც ვეებერთელა წილი არ ედოთ.

გიმნაზიელებმა ამდენი აღარ იცოდნენ, იატაკქვეშ მოქცეულ ისტორიულ ანალებამდე ხელი არ მიუწვდებოდათ, მაგრამ მკრთალად, ნამცეცებად მაინც აღწევდა წარსულის ხსოვნა, რაღაცას მიგახვედრებდა, რაღაცას გაგრძნობინებდა, ვიღაც ყოველთვის გამოერეოდა, ვისაც სხვაზე მეტი მოეხსენებოდა, იმ ნამცეცებს აგროვებდა და სულის პურივით უზიარებდა თანატოლებსა თუ უმცროსებს.

ბერძნულის მასწავლებელი წარჩინებული სწავლისათვის აფასებდა არჩილ ჯორჯაძეს, გიმნაზიელებისათვის ამაზე მეტად ქვეყნის სატკივარზე წუხილით ამაღლებულიყო არჩილი და ახლაც გულში უხაროდათ, ასე გამომწვევად რომ ივიწყებდა მანიფესტის შეგონებებს, არ სცნობდა დამპყრობლის სიმართლეს, როგორც იდეოლოგიურ ფანდს, და მოკავშირეებად საქართველოს ხსნის გზაზე რევოლუციურად განწყობილი რუსი ახალგაზრდობა ეგულებოდა.

დიმიტრი ყიფიანს იმპერატორისა სწამდა, ქართველ მეფეში არ გამოერჩეოდა, და ისე ჩავიდოდა სამარეში, ვერც გააცნობიერებდა, სწორედ საიმპერატორო კარის დავალებით რომ მოაცილებდნენ წუთისოფელს, როგორც იმპერიისათვის საშიშ მეამბოხეს, ვისაც ვერაფერი გამოასწორებდა.

ილია ჭავჭავაძის თვალში გაუფასურებულიყო იმპერატორის კეთილშობილება და მზრუნველობა საქართველოსათვის, მზრუნველობა, რომელსაც ვითომდა ზნედაცემული ჩინოვნიკები არ ანებებდნენ. სამაგიეროდ, რუსეთის დემოკრატიული მოძრაობისას იწამებდა და იმედად ეს ჩაესახებოდა, მათი შემწეობით გადავაგდებთ მონობის უღელსო... ჩაესახებოდა, ვიდრე თანდათან არ გამოარკვევდა, რომ რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო მძიმე უღელს გვიმზადებდა, უფრო სასტიკსა და დამთრგუნავს, უღელს, რომელსაც ის ევალებოდა, რომ ერთბაშად მოეთავებინა ქართველი ერის შერწყმა თავის შიგანში – რამდენიმე წელი ეკმარათ საამისოდ, რაც ათწლეულობით ჭიანურდებოდა შედარებით (მათთან შედარებით!) ლმობიერი იმპერატორის ხელში. გამოარ-

კვევდა და მეფის რეჟიმისა და რევოლუციონერთა შეურიგებელი ჭიდილისას ისევ იმ რეჟიმს ამჯობინებდა გულშემოყრილი, რომ ნამდვილი არჩევანის საშუალება არ დაეტოვებინა ბედისწერის ულმობელ ტრიალს.

არჩილ ჯორჯაძეც მივიდოდა ამ რწმენამდე, ოღონდ ერთბაშად, ჯადოსნური კვერთხის აქნევით – ცხადია, ვერც ის. ჯერ დიდი სულიერი გვემა უნდა გადაეტანა, მანამდე კი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობა საქართველოს გულისათვის თავგამოდებად მიეჩნია, რუს რევოლუციონერთა მხარდამხარ ვეზიარებით თავისუფლებასო, მიეჩნია, ვიდრე... ეროვნული საზღვრების არსებობას სულაც კარჩაკეტილობად აღიქვამდა და ხელისშემშლელად პიროვნულ – ამ უზენაესს – თავისუფლებასთან შედარებით.

არჩილ ჯორჯაძეს იქ რა უნდოდაო, – წყრებოდა პედაგოგი და თავს იმით ინუგეშებდა, იმან თუ მიმტყუნა, ჩემმა წარჩინებულმა მოსწავლემ, ამათ მაინც ავარიდებ იმ მოლიპულ გზასო.

მერმის მეც თავის გვერდით მიგულოსო, – ჟრჟოლა უვლიდა ზურაბ ავალიშვილს. ამ ფიქრს არსად აღნიშნავს თავის მემუარულ ჩანაწერში, მაგრამ არ უნდა იყოს ძნელი ამოსაცნობი ყმაწვილის ეს გულის მდუღარება თხრობის ზოგადი სულისკვეთებიდანაც და ამ ეპიზოდის საგანგებო მოხმობიდანაც, მაინცდამაინც პედაგოგის იმ უცნაური ამოძახილით რომ უნდა მოათავოს არჩილის ბიოგრაფიის ერთი ხანა, თანაც ასე დაწურულად შედგენილი ბიოგრაფიის.

შენიშვნებიო, – თვითონ ასე მოიხსენიებს ამ სქემატურ მონახაზს, ერთიერთმანეთზე საგულისხმო რეალიებით სავსეს. სამეცნიერო ნაშრომის აპარატურის სახელით შეეცდება მისი ჟანრის განსაზღვრას. უკმარისობას გრძნობს და შენიშვნებად მონათვლას ამიტომაც ამჯობინებს. არადა, რომ არ ჩაინიშნოს, ესეც არ შეუძლია. დაე ჯერჯერობით ეს შენიშვნები იყოს, ვინმეს ესეც საკმაოდ წაადგება, არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსახვას ვინც მოინდომებს, ანდა სულაც მთელ მის ცხოვრებას შემოხვევს ხელს, თავგადასავლებით აღვსილს სულიერადაც და გარეგნულადაც.

იქნებ თვითონვე ეცადა ზურაბ ავალიშვილს და სხვათათვის არ გადაებარებინა? ეს მონახაზი იქნებ ბიძგადაც წაადგეს ბიოგრაფიული ქრონიკის გაშლისათვის. ბევრს არ მოსდევდა კალამი ისე, როგორც მას. „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–21 წლების სა-

ერთაშორისო პოლიტიკაში" არამარტო პირუთვნელობით, ცნობების სიუხვით, დოკუმენტური ფონის სისავსითა და ხედვის სიფართოვით გვხიბლავს, არამედ მწერლური ხელოვნებითაც, იმ უნარით, ბიოგრაფიული რომანის შექმნას რომ სჭირდება.

და გწყდება გული, „შენიშვნებიდან" მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება რომ არ ამოიზარდა.

ეპოსის ქარტეხილები, ზედ გადაჯაჭვული ზურაბ ავალიშვილის ბედის დრამატიზმს ფუფუნებად აქცევდა ამ ბიოგრაფიული ქრონიკის შექმნას.

ფუფუნებისათვის კი ვერ მოიცლიდა.

„შენიშვნები" სინანული უფროა დაუწერელ წიგნზე.

ჯერ კი ვასილის კუნძულის სანაპიროზე დგას.

და ერთდროულად ირევა გონებაში იმწუთიერი და გარდასული სურათები.

იქით – უკვე შორს შეცურებული გემი.

აქეთ – იმპერატორის სასახლის ერთი ოთახიც, მხატვრის სამყოფელად გადაქცეული.

იქით – არჩილ ჯორჯაძე, მსოფლიო მოქალაქის სამოსში, დარწმუნებული, საბოლოო მიზანი ამიცხადდა და ტოლსტოვურ ახალშენში დავლევ სიცოცხლის დღეებს, ამქვეყნიურ სამოთხეშიო.

აქეთ – ყმაწვილი არჩილი, პაჟის სამოსში, ცოცხალ სურათად დადგმულ სცენაში.

ამ სცენას ზურაბ ავალიშვილი თვითონ არ შესწრებოდა და ასე ცხოვლად როგორ აღბეჭდოდა მეხსიერებაში?

როგორ და:

მიხაი ზიჩს კარგი სახელი და მეგობრები დაეტოვებინა საქართველოში და პეტერბურგშიც თავისი ბინის კარი ყოველთვის გადახსნილი ჰქონდა ქართველებისათვის. ოღონდაც სტუმრებოდნენ, მოენახულებინათ, ახალი ამბები ჩამოეტანათ და მისი მოგონებანიც მოესმინათ. რაღაც სხვაგვარად შეთვისებოდა აქაურობას და „ვეფხისტყაოსნის" დასურათებაც ამიტომ გადაეწყვიტა. გაიხარებდნენ ქუთათურები და ცოცხალ სურათებს დადგამდნენ რუსთველის პოემიდან, მხატვარს რომ გაადვილებოდა განზრახვის ხორცშესხმა.

ასეთ დროს, ცხადია, ის სურათიც უნდა წარმოსახულიყო, თუ როგორ მიართმევს შოთა რუსთველი თამარს „ვეფხისტყაოსანს". საგანგებოდ შეარჩევდნენ მოდელებს და არჩილ ჯორჯაძესაც მიუ-

ჩენდნენ პაჟის როლს – ძველქართული კაბა ეცვა და ხელთ ვერცხლის სურა ეპყრა.

ძალიან ლამაზი და ცოცხალი ბავშვი იყო და ჰგავს სახით მერმინდელ არჩილსო, – ზურაბ ავალიშვილს არც იერის ეს საგულისხმო მსგავსება გამორჩებოდა – ფოტოსურათიც ენახა და ნახატიც. თვითონ არჩილისაგან სმენოდა, ასე და ასეო, და ამიტომაც მოიძევდა ერთსაც, მეორესაც, და პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველკურსელი – 1894 წელს – მიხაი ზიჩს რომ მოინახულებდა, ზოგად ცნობისწადილს ეს პირადი განცდაც შეერეოდა, სხვა რომც არაფერი, უნგრელ მხატვარს მისი მეგობარიც აღებეჭდა ძველქართული სამოსით.

ბინა სასახლეში ჰქონდა, კარისკაცად მსახურობდა და თავის ხელობასაც არ ეშვებოდა. ამ სტუდენტსაც გადმოუღებდა ნახატებით სავსე ერთ ძვირფას რვეულს, ფანქარს, კალამსა და წყლის ფერადებსაც უჩვენებდა, მომავალი სამუშაოსათვის ვემზადებიო. ახალისებდა, როგორც ყველა ხელოვანს, ახალგაზრდების ცნობისწადილი. თურმე არც ისეა, როგორც სკეპტიკურ გუნებაზე მყოფს გეჩვენება – რას ველტვოდი, რისთვის დავშრიო. ჭეშმარიტი ღირებულება ყოფილიყო და ცნობისმოყვარე თუ პატივისმცემელი არც არასოდეს მოაკლდებოდა.

ასე როგორ ჰგავს ეს ბავშვი მერმინდელ არჩილსო, – გაკვირვება ვერ დაეფარა ზურაბ ავალიშვილს.

გარეგნულადაც შეენარჩუნებინა ის ყმაწვილური იერი.

სულიერად – კიდევ უფრო.

გაწყდებოდა ის ძაფები და... ისევ გამრთელდებოდა, ის ყმაწვილური საწყისი გაამთლიანებდა, სადღაც მიკარგულ-მიბინარებული, მაგრამ ძარღვი დარჩენილიყო ძარღვად, და სულაც იდეალად ზურაბ ავალიშვილისათვის.

მიცურავდა გემი, იკარგებოდა შემოდგომის სიცრიატესა და ნისლში და თან მიჰყვებოდა გამცილებელთა გულისთქმაც, იქნებ ჩვენც ასეთივე უბრალო სავაჭრო გემით მოგვიწიოს ევროპის გზებზე შედგომაო.

თავი მეოთხე

ტოლსტოვური ახალშენის ხიბლი და მარცხი

ტოლსტოველობის არსი, სიცოცხლის ტრაგიზმის შეცნობისაკენ ეს სწრაფვა ამ ფორმულაში მოექცეოდა, არჩილ ჯორჯაძისათვის ასე ძვირფასში:

– სიცოცხლის ბედშაობის აღიარება სიკვდილის წინაშე, ტიტანური ბრძოლა სიკვდილთან.

დროისა და სივრცის გადალახვას ლამობდა „ანა კარენინას" შემოქმედი, თვალწინ გადაშლილი რეალობისათვის ზურგის შექცევას და მოქმედებისა და ლტოლვის შუაგულის გადატანას სააქაოდან საიქიოში.

კი მაგრამ, ამგვარ სწრაფვას ახალი რელიგიური მოძღვრება რატომ უნდა დარქმეოდა, ან თუნდაც მიმდინარეობა ქრისტიანული რელიგიის წიაღში?!.

აზრი ახალი არ არისო, – მისი თაყვანისმცემელიც კი ვერ ფარავს კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟიდანვე მეტ-ნაკლები სრულყოფილებითა და შთამბეჭდაობით გამოხატული და ნაცნობი შეხედულების საყოველთაობას, ბევრგვარი ვარიაციით განფენილს სამყაროს კიდიდან კიდემდე.

და თუ ახალი არ არის...

და თუ ყველა რელიგიური მოძღვრების საერთო ელფერი სწორედ ამ ყაიდისაა...

ტოლსტოის რაღა რჩება?..

– ახალი არის აქ მხოლოდ ის, თუ როგორ განიცადა დიდებულმა ადამიანმა სიცოცხლის ტრაგიზმის პრობლემა და რა ფორმებში გამოსახა მან ძველის-ძველი სიბრძნე კაცობრიობისა.

ტოლსტოი აღიარებდა ქრისტიანობას, ოღონდ ეკლესიას არა სცნობდა შუამავლად ადამიანსა და ზეცას შორის, უარყოფდა ყოველგვარ ორგანიზაციას – სახელმწიფოსაც, ოჯახსაც და იდეალად დაესახა მგზავრი, მწირი და არა მობინადრე თუ მკვიდრი.

რაციონალურია მისი რელიგია სხვა რელიგიებთან შედარებითო – ამ გარემოებასაც მოეხიბლა ქართველი სტუდენტი, ვინც ველარ იგებდა, თანდათან როგორ წყდებოდა სამშობლოსთან შემაერთებელ ძაფები, როგორ უცხოვდებოდა მშობლიურისაგან და შეჰხაროდა ტოლსტოის მოძღვრებას, რომელიც – საიმქვეყნო მისწრაფებისა და იდეალის მიუხედავად – თავისი არსით საამქვეყნო რელიგიად რჩებოდა, საამქვეყნოდ, რაკიღა შეგაგონებდა, მიწიერი სიცოცხლე საფეხური და ეტაპია უფრო მაღალი სიცოცხლის მიღწევისათვისო.

მაგრამ მიწიერი არსებობა ტანჯვით რომ აღვსილიყო?

აუცილებელი გახლდათ ეს ტანჯვა, რადგანაც ის მხოლოდ მიწაზე ხდებოდა, მიწა კი გვირაბი იყო საიმქვეყნოში გასაღწევად. ამიტომ ვისაც სიცოცხლე ენება, ტანჯვაც უნდა აეტანა, გვირაბი გაევლო და ზიარებოდა ჭეშმარიტი სიცოცხლის სამეფოს.

– ამგვარად, ტოლსტოიზმი ცხოვრებიდან გაქცევას არ ჰქადაგებს. მისი რელიგია მომქმედია. თუმცა... მოქმედებისათვის იგი იმას წააქეზებს, ვისაც სჯერა, რომ ეს ჩვენი წუთი-სოფელი მხოლოდ ერთი მომენტი და გარეგანი გამოსახულებაა დიად და მარადიულის სიცოცხლისა. და ვისაც ეს არა სჯერა, იგი აუჯანყდება ამ სიცოცხლეს და მასში გამეფებულ ტანჯვას და ვერას გზით ვერ შეიწყნარებს ტანჯვის აუცილებლობის საჭიროებას.

ხიბლავდა ისიც, ტოლსტოველობას თავი რომ დაეღწია ოფიციალური ქრისტიანობის დოგმატებისათვის და არც უკვდავება განესაზღვრა მატერიალური სიცოცხლის ტერმინებით: აქ არ არის არც მკვდრეთით აღდგომა მატერიალური პიროვნებისა, არც მატერიალურად დასახვა „ედემისა“, სადაც მაჰმადიანთა რწმენის მსგავსად, უკვდავნი შეექცევიან ამა ქვეყნის სიამეთა გრძნობებითო.

ჩემი სიცოცხლე რომ თავდება და ეს აზრი მაწუხებს და მაშინებს, რის სიკვდილს მოველი და რა მეცოდებაო? – საკუთარ თავსაც ეკითხებოდა ლევ ტოლსტოი და ყველასაც, ვინც სასმენელს მიაპყრობდა.

ნუთუ ხორცი? მაგრამ ხორცი და ნივთიერება არასდროს და ერთი მისხალიც არ იკარგება და მაშ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანი, ყველაფერი გადარჩებაო.

ნუთუ კერძო კაცი, ვთქვათ, ლევ ნიკოლოზის ძე? მაგრამ განა რომელიმე ადამიანი დღესაც იგივეა, რაც თუნდ 20 წლის წინათ იყო? ყოველ ცისმარე დღეს იცვლება ადამიანი და ბარემ ახლაც შეიცვალოს.

იქნებ შეგნება ენანება, საკუთარი „მე“ არ ემეტება გასაქრობად? მაგრამ ადამიანის შემეცნებაც განა ყოველთვის ერთი და იგივეა? ერთი წლის წინათ სხვა იყო, ათი წლის წინათ სხვა და მანამდე კიდევ უფრო სხვა.

რაც შენი თავი გახსოვს, სულ იცვლებოდიო, – შეგაგონებდა ეს ახალი მოძღვარი, – მაშ რა მოგეწონა ისეთი შენს ახლანდელ შემეცნებაში, რომ ასე გენანება მისი დაკარგვა? კიდევ მესმის, ის რომ ერთი და იგივე, უცვლელი ყოფილიო, მაგრამ მუდამჟამს ცვალებადობაში იმყოფებოდა. იმის დასაწყისს ვერა ხედავ, ვერ მოგიძებნია და, აბა, რანაირად გინდა, რომ დასასრული არ გააჩნდეს და ის შემეცნება, რაც ამჟამად შენში სუფევს, სამუდამოდაც დარჩესო.

და მეტაფორებსაც მოიშველიებდა:

შუაგზაზე მოგიღწევია და ერთბაშად თითქოს გაგეხარდა, თითქოს კიდეც შეგეშინდა, დამდგარხარ, გაჯიუტებულხარ და ფეხის მოცვლა აღარ გნებავს, და წინ მხოლოდ იმიტომ არ დგამ ნაბიჯს, რომ ვერა ხედავ, იქ რა იმალება. მაგრამ ის ადგილიც ხომ არ გინახავს, საიდანაც მოხვედიო.

მოსვლით კი მოსულიყავ, შემოსასვლელი ჭიშკარი შემოგეღო და გასასვლელი კარიდან გაბრძანება აღარ გსურდა.

კარის შემოღება თუ ბუნებრივ აქტად გელიარებინა, კარის გამოხურვა რატომღა გეჩვენებოდა ძალდატანებად?

გიყვავებდა მოძღვარი, ბალღივით დაესვი მერხთან და ანა-ბანასავით თანდათან გაჩვევდა და გაგუებდა იმ აზრს, რომ რაკიღა მთელი შენი სიცოცხლე ხორციელი არსებობის პირობებში მოძრაობა იყო, ახლა იმისა რატომ შეგშინებოდა, რასაც მუდამ სჩადიოდი? დიდი ცვლილება აკი დაბადების ჟამსაც განგეცადა და ამით შენთვის ცუდი არა გამოსულიყო რა, პირიქით, ისეთი კარგი რამ გეპოვნა, მასთან განშორება არაფრისდიდებით აღარ გენება, და მაშ ხორციელი გარდაცვალების დიდი ცვლილებისათვის, არ სჯობდა, სულ სხვა თვალით რომ შეგეხედა?

და მთელი ეს მსჯელობა ამ დამაგვირგვინებელი თეზისით იკვროდა:

– ხოლო თუ იმისი დაკარგვა გეშინიან, რაც ხორციელი არ არის, ესე იგი განსაკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი, ის, რითაც შემოხვედი ამ სიცოცხლეში, შენ კარგად იცი, რომ იგი შენს დაბადებასთან არ შობილა. იგი არსებობს შობილ ხორცი-

ელობის დამოუკიდებლად, ამიტომ ამ ხორცის სიკვდილი მას ხელს ვერ შეახებს.

აქ არის ძარღვი ტოლსტოის ფილოსოფიისაო, – დასძენდა არჩილ ჯორჯაძე, განსაკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი უკვდავი და მარადიულია, რადგანაც ის იყო ფიზიკური სიცოცხლის გაჩენამდე და იქნება მისი სიკვდილის შემდეგაცო.

აქვე არის, თუ გინდათ, სისუსტე ამ ფილოსოფიისაო, – ამასაც დაუმატებდა, მაგრამ ეს უკვე მოგვიანო ხანის თვალსაზრისი გახლდათ, როდესაც არჩილის თვალში გაიფანტებოდა ტოლსტოველობის გამორჩეული ხიბლი. არა, მისადმი სიყვარულს სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებდა, კვლავაც მომხიბლავი ფერებით წარმოსახავდა მის ზოგად იერსაც და ამ სულიერი მოძღვრის პორტრეტსაც, მაგრამ ის გზა მაინც დაეგდო, ცხოვრების უმთავრეს აზრად კი აღარ, – ერთ-ერთ ფილოსოფიურ მრწამსად მიაჩნდა და აღარც ტოლსტოველობის ნაკლოვანებანი დაიფარებოდა მის თვალში. ამიტომაცაა – სისუსტეო.

ეს იმიტომ, რომ ტოლსტოი თითქოს ვერა ბედავდა იმ შეხედულების გამოთქმას, რომ ეს „განსაკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი" თავისთავად არაფერს ნიშნავდა, თუ მკაფიოდ არ დაისახებოდა სუბიექტი და პიროვნება, ვისაც ჰქონდა ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ქვეყნისადმი:

– უკვდავ პიროვნებაზე ლაპარაკი ტოლსტოის არ ეხერხება, ერთის მხრივ, ორტოდოქსალურ ქრისტიანობის შიშით, რომელსაც ეს პიროვნება მატერიალურის თვისებებით აქვს წარმოდგენილი, მეორეს მხრივ, რაციონალურ მეტაფიზიკის უარ-ყოფის გამო, რომლის საბუთები მის ინტუიციასა და გრძნობაში გადადუღებულ აზრებს არ ეხამუშებოდა.

ჯერ ადრეა დაეჭვებაც ამ მრწამსში და ეჭვის სულ უფრო გაღრმავებაც, ნისლში იკარგება სანაპირო, ზღვაზე მიირწევა გემი, გონების თვალი კი უკვე ესექსის საგრაფოს დასტრიალებს, სოფელ პერლიკოკლასს, ერთ დროს უდაბურ მიდამოს, ტოლსტოელთა ახალშენს ბაღნარად რომ გადაუქცევია და ინგლისელ მოახალშენეთ რუსეთიდან დაძრული ნაკადიც შემატებია, ხელისუფლებისაგან გამოძევებული: როგორ თუ დუხობორებს გამოეხმაურეთ თანაგრძნობით და შემწეობასაც არ აკლებთო.

ეს სექტა, იმპერიის სხვადასხვა მხარეში მიმოფანტული, ბორჩალოს მაზრაშიც შეფარებულიყო და, ცხადია, არც ისინი აპირებ-

დნენ სამხედრო სამსახურის აღსრულებას: ერთ-ერთი საღვთო მცნებაა – არა კაც ჰკლა, იესო მაცხოვარმა დაჰგმო მკვლელობა, რა მიზნითაც უნდა ყოფილიყო ჩადენილი, დაჰგმო მტრობა და სიძულვილი, და მისი მმოსავნი იარაღით ვერ გამოვალთ ბრძოლის ველზეო.

იტყოდნენ და... ნათქვამს არც გადავიდოდნენ.

ადგილობრივი ადმინისტრაცია რომ ვერაფერს გახდებოდა, საიმპერატორო კარს აცნობებდა, იქიდან კი ტფილისის გუბერნატორს ბრძანება მოუვიდოდა: ძალით გამორეკე ეს ჯიუტი და უცნაური ხალხიო.

კიდეც მიესეოდნენ კაზაკთა რაზმები და მათრახის ცემით გამოირეკავდნენ, დუხაბორები კი მათრახების ტყლაშა-ტყშულს ფსალმუნთა გალობით მიეგებებოდნენ.

გამაოგნებელი და შემძვრელი სცენაა!..

როგორ გინდა, ეს ადამიანები მოდრიკო?!. გუბერნატორი იმ საშუალებას გამოძებნიდა, რომ ამ რწმენის მიმდევართ ქართლის სოფლებში მიმოფანტავდა საცხოვრებლად, ასე ცალ-ცალკე გაუძნელდებათ შენარჩუნება თავიანთი შეხედულებებისაო, მაგრამ ისე აღვსილიყვნენ ქრისტეს რჯულის ამ ნაირსახეობის სულით, რომ დედოძარღვს ასე ადვილად ვერ მოწყდებოდნენ, მითუმეტეს, გარიყულებად სულაც არა გრძნობდნენ თავს, რადგანაც ქართველობა, თვითონ ძალიანაც შეჭირვებული, ყოველმხრივ შეეწეოდა და უმსუბუქებდა ამ მძიმე ტვირთს.

რწმენისათვის თავგანწირვას დაუფასებდნენ.

მოგვიანებით, როდესაც დუხაბორთა ამ რბევა-შევიწროებას გაიხსენებს, არჩილ ჯორჯაძის თხრობის კილოში კვლავაც მკაფიო იქნება თანაგრძნობა და სიბრალული ამ დევნილი ადამიანების მიმართ, და აღტაცებაც – მათი სულიერი გაუტეხელობით, მით უფრო ხელშესახები უნდა ყოფილიყო ეს უშუალოდ რბევის ჟამს – მის კაცთმოყვარეობას დაემატებოდა ტოლსტოისა და მის მიმდევართა თავგამოდება მონათესავე სექტის გადასარჩენად – ყოველნაირად ხელის გამართვა მათთვის და ზრუნვა ამ სასტიკი სახელმწიფოსაგან თავდასაღწევად და კანადაში გადასასახლებლად – მასობრივად და არა თითო-ოროლა სექტანტისა.

ეს გაუხდებოდათ მიზეზადაც და საბაბადაც ვლადიმერ ჩერტკოვსა და მის თანამოაზრეთ იმპერიიდან გასაძევებლად და ინგლისურ ახალშენში თავშესაფარებლად, ესექსის საგრაფოში, საი-

თაც არჩილ ჯორჯაძეც მიეშურებოდა იმ განზრახვით, სამუდამოდაც აქაურობას შევრჩებიო. სამუდამოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ორ წელიწადს კი დაჰყოფდა იქ და ირიბად ასე მოეხდინა დუხაბორთა ბედს გავლენა მის ხვედრსა და ბიოგრაფიაზეც.

ოღონდ არა უფრო მეტად.

დუხაბორებში გამორევა არც განუზრახავს და არც მათთან ერთად გამგზავრება და ცხოვრება კუნძულ კვიპროსსა თუ კანადაში.

ტოლსტოველებს აჰყვებოდა, დუხაბორებს – არა.

და ტოლსტოველობასაც იმიტომ, რომ ეროვნულ გრძნობას თანდათან დაუჩლუნგებდა მსოფლიო მოქალაქეობის იდეალი და საქართველო თითქოს... თითქოს თვალში ეპატარავებოდა.

არ აჰყოლია, თუმც თვითონ ლევ ტოლსტოი დაავალებდა, შეხვედროდა ევროპაში გახიზნულ დუხაბორებს და ხელიც შეეწყო ამერიკაში მათი გადასახლებისათვის.

არჩილ ჯორჯაძის სახელს რუსი მწერალი ჟურნალ „სევერნი ვესტნიკის“ 1897 წლის მე-12 ნოემრში მიაქცევდა ყურადღებას, საბუელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიას რომ გაეცნობოდა კვაკერთა მოძრაობის შესახებ („ზნეობრივი ცხოვრების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცდა“), ავტორის ვინაობას გამოიკითხავდა და, როდესაც მოსკოვში ილია ნაკაშიძეს გაიცნობდა, თავის თავგადაკლულ მიმდევარს, მისი ქართველობა მაშინვე არჩილ ჯორჯაძის სახელს წამოაგონებდა და ჰკითხავდა: ხომ არ იცნობთ თქვენს ამ თანამემამულესო.

ეს თავს გამოიდებდა, ვიცნობ და კარგად ვიცნობო, და მის თავგადასავალსაც უამბობდა.

– დიდის ყურადღებით მოისმინა დიდებულმა მწერალმა ამბავი ჩვენი ძვირფასი არჩილის ცხოვრების შესახებ და მითხრა, ამ ახალგაზრდას ცხოვრების ღრმა დაკვირვების ნიჭი ატყვიაო.

ტოლსტოის რანგისა და გამოცდილების მწერალი ცხოვრების დაკვირვების ნიჭს რომ შეგიქებს ოცდახუთი წლის კაცს, მართლაც განსაკუთრებული სიღრმით უნდა გქონდეს გააზრებული საზოგადოებრივი მოვლენებიც და ადამიანის ფსიქიკაც.

შეთვლით, ეტყობა, მაშინ შეეთვალა დუხაბორების საქმეში ჩარევაც და მათი ამერიკული კოლონიის დაარსებისათვის ზრუნვაც.

მაინცდამაინც არ მოგვეპოვება ცნობები, რას ეცადა არჩილი და რას მიაღწია. ტოლსტოის შემონათვალს რომ გულის ფიცარზე დაიწერდა და მიდგებ-მოდგებოდა, ისედაც საფიქრებელია, და თა-

ვის წვლილს მართლაც დასდებდა დუხაბორთა გადასახლებას, თუმც რაღაც განსაკუთრებულს არა.

გაყოლით ხომ არ გაჰყოლია მათ და არა.

* * *

სერგეი ტოლსტოის ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ მის წინაშე სოციალ-დემოკრატი იდგა. არჩილი არასდროს დაიჩემებდა ამ პოლიტიკური მოძრაობის წევრობას, მაგრამ მისი შეხედულებანი უფრო აქეთ რომ იხრებოდა, მაინცდამაინც ძნელი შესატყობი არა ყოფილა, ისევე, როგორც უკვე საკმაოდ მორეული ჭლექი.

ლევ ტოლსტოის ვაჟს მეტად სასიამოვნო პიროვნებად მოეჩვენებოდა ერთი შეხედვითვე, ამიტომაც აღნიშნავს საგანგებოდ თავის მოგონებაში არჩილის გარეგნულ სილამაზეს და კიდევ ორიოდ დეტალსაც ჩართავდა, მათ შორის, სწორედ იმ სოციალ-დემოკრატიას, რაც მთლად ზუსტიც არ არის, მაგრამ არც ტყუილუბრალოდ მიეწერება.

დუხაბორების ბედს რომ აეღელვებინა ვლადიმერ ჩერტკოვი და რჩეულ ტოლსტოველებისათვის თავი მოეყარა, ცხადია, არც არჩილ ჯორჯაძე გამოაკლდებოდათ და კიდეც შეიქმნებოდა დუხობორების ემიგრაციის ხელშემწყობი კომიტეტი და უკვე დასახავდნენ 2075 ხელოსანი დუხობორის გადასახლების გეგმას.

ლაკონურ ჩანაწერში ყველაზე კოლორიტულად არჩილი წარმოდგება, სხვანი თუ მხოლოდ ჩამონათვალში იხსენიებიან, მისი სილუეტი უფრო მკაფიოა და ამას ერთადერთი რამ შეიძლება იწვევდეს – ღრმა სულიერება და გამორჩეულობა, პირველი ნახვისთანავე რომ შეგივარდება გული მასზე.

სოციალ-დემოკრატიო...

ამ დოქტრინისადმი თანაგრძნობა რომ არა, ანკი პეტერბურგის ფარულ წრეში საიდან მოხვდებოდა, სნეულება იქ ენერგიულად მოქმედებას რომ უძნელებდა, მაგრამ მოშვებით მაინც არ ეშვებოდა.

* * *

ისე თუ დაუკვირდით მის ფსევდონიმს: საბუელი.

საქართველოს აღარ აღიარებს თავის სამშობლოდ, გაუცხოებულა მისგან და... კახეთის ეს შორეული სოფელი რა არის ამისთანა,

მითუმეტეს, მისი ბავშვობისა და სიყმაწვილის ხანა დიდად არ გადაჯაჭვია ამ მხარეს... სამშობლოს შელევია და ერთ პატარა სოფელს ვერა? იქნებ მხოლოდ ეგზოტიკაა მისთვის, ან იქნებ სუსტ ძაფად ინარჩუნებს, ბუნდოვან, მყიფე შემაკავშირებლად იმ ფესვებთან, რაც მალე უნდა გაქრეს, ოღონდ ვიდრე გაქრებოდეს, იყოს ეს პაწია, საცოდავი ძაფი, ისეთს რას ავალდებულებს ან დაუშავებს.

ტოლსტოველობას აჰყვებოდა, დუხაბორებს – არაო...

მაგრამ ივანე მაჩაბელს, იმ მაჩაბელს, იმჟამად ძალიანაც რომ მოჭარბებოდა ეროვნულობის შეგრძნება – საერთოდაც, რაკიღა მის ნაწერებში არსად მოჩანს აბსტრაქტულ-მატერიალისტურ მოძღვრებათა გავლენის კვალი, მაგრამ იმ წლებში საკმაოდ მორეული სნეულება კიდევ უფრო რომ გაუმძაფრებდა ქვეყნის რაც შეიძლება მალე გამოხსნის წყურვილს, ნერვი რომ აღარ დარჩებოდა, ერთი ნერვიც, ამ რწმენით არა ყოფილიყო ანთებული და აფორიაქებული – რატომ უნდა დაბრალებოდა დუხაბორთა წრეში ჩართვა, გადუხაბორება და მათთან ერთად გამგზავრება კვიპროსზე – თანაც ისე ფარულად, სამუდამოდ რომ დარჩენოდა გამოურკვეველი ქართველი საზოგადოებისათვის მისი ასავალ–დასავალი?!.

არჩილ ჯორჯაძე არ გაკიდებია დუხაბორებს, იმხანად მათივე მონათესავე სული, და ივანე მაჩაელს რა საერთო შეიძლება ჰქონოდა რუსულ რელიგიურ-სექტანტურ მოძრაობასთან, პირწმინდად რუსულთან – და იმის გულისათვის ორთოდოქსული ქრისტიანობაც უარეყო და თავისი სამშობლოც.

ნეტა ვის გონებაში იშვა ასეთი მჩატე, ყოვლად გაუგებარი აზრი?

ვინ დაჰყარა ეს ჭორები, შეგნებულად თუ შეუგნებლად, თავის დროზეც რომ აიყოლია ისინი, რომელთათვისაც შეუცნობელი გახლდათ ივანე მაჩაბლის პიროვნული ბუნებაც და საქვეყნო იდეალებიც, და ათწლეულთა შემდგომაც იჩინა თავი სათავგადასავლო ჟანრის მოყვარულ მკვლევართა ძიებებში, თუკი ძიებანი დაერქმევა სრულ გაუგებრობაზე აღმოცენებულ ვარაუდებს?..

სათავგადასავლო თუ დეტექტიური სიუჟეტები არ მოაკლდებოდა ივანე მაჩაბლის იდუმალებით მოცულ გაუჩინარებას, თითქოს რეალური პიროვნება კი არა ყოფილიყოს, არამედ ლიტერატურული პერსონაჟი, ვისაც ისე მოეპყრობოდა მწერლისა თუ მხატვრული ჟანრების მოყვარულ მეცნიერთა ფანტაზია, როგორც მოეგუნებებოდათ. რომელიმე პერსონაჟი მაჩაბელი შესაძლოა მართლა მიჰყვებოდეს დუხაბორებს კვიპროსზეც, კანადაშიც, სა-

მუდამოდ ემშვიდობებოდეს თავის სახლ-კარსაც და მეობასაც, სხვა ტყავს იმოსავდეს, სხვა სულსაც ჩაიდგამდეს... რეალურ მაჩაბელს ეს არ დაემართებოდა – წამიერადაც კი არ გაჰკრავდა ამისი სურვილი და ცოდვაა მისი სახება, ამ ჭორებსა და გაუგებრობაში გახვეული.

დუხაბორებს არჩილ ჯორჯაძე არ გაკიდებიაო...

მათ შემწე-ქომაგებს გაჰყვებოდა, მათი ცხოვრებით იცხოვრებდა ერთხანს და ყველაზე კოლორიტულ წევრებს რუსი მოახალშენებისას პატარ-პატარა ჩანახატებს უძღვნიდა მოგვიანებით შექმნილ ნარკვევში – არ იკმარებდა ტოლსტოველობის არსის გადმოცემას, ახალშენის ცხოვრების აღწერას და სილუეტებსაც ჩააბნევდა თხრობაში, ისეთი ფსიქოლოგიური სიღრმითა და მწერლური ხელოვნებით წარმოსახულს, გიკვირს, ბელეტრისტობაც რომ არ მოესინჯა. ხასიათთა იმ გალარეის შემქმნელი იქნებ თვალსაჩინო ოსტატადაც მოვლენოდა ჩვენს მხატვრულ პროზას, თორემ დოკუმენტურ პროზას წარმატებულ კვალს დააჩნევდა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების მატიანის შექმნითაც და იტრიის წისქვილში შედგენილი წერილებითაც, რომელიც განზრახული ციკლის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა, მაგრამ ისე მკაფიოდ, ისე ხელშესახებად შეემჩნეოდა მხატვრული ფონი – გუმანითაც ნაკარნახევი და რელიგიურ-ეთიკური ძიებანიც ჩინებულად მოიხდენდა ასეთ ფონს.

აგერ ჩერტკოვი – არისტოკრატი და მოქეიფე ოფიცერი, ფულის ფანტვა ღირსებად რომ მიუჩნევია, ვიდრე ზურგს აქცევდეს უდარდელ ცხოვრებას ღრმა სულიერი დრამის შემდეგ, მისი ნებისყოფა სძლევდეს ყოველივეს, რაც მანამდე სულს უბორკავდა და სინდისს უჩაგრავდა, ხელს ჰკიდებდეს იაფფასიანი წიგნების გამოცემასა და გავრცელებას და ტოლსტოველთა წრეში ყველაზე დიდი გავლენისთვისაც მიეღწიოს, ზიარებოდეს ისეთი ცხოვრების წესს, რაც მის იდეალად დაისახებოდა, მაგრამ არჩილის თვალს არ გამოეპარებოდა, რომ მისი გული არ იყო საბოლოოდ დამშვიდებული და დაწყნარებული.

აგერ ბირიუკოვი – ტოლსტოის ვრცელი ბიოგრაფიის შემდგენელი, თვითონ მწერალი რომ მიაწვდიდა აუარებელ ცნობას, რაკიღა მისი ბიოგრაფოსობის ტალანტისა ძალიან ეიმედებოდა; ერთდროს მეზღვაურ-ოფიცერი, მერე ჟურნალის გამომცემელიც ჟენევაში, ახლა ძლიერ კმაყოფილებას იმით რომ განიცდის, ბოლოკი და კარტოფილი ჩემი ხელით მომყავსო.

აგერ ბულანჟე – მოსკოვის რკინიგზის დიდმოხელე, ადამიანურ მოვალეობას რომ შეწირავდა ამ კეთილდღეობას და, ნვრილშვილის პატრონი, უსახსროდ დარჩენასაც არ მოერიდებოდა.

აგერ ხილკოვი – რიაზანის გუბერნიის „მუჟიკს“ რომ მოგაგონებდათ. ერთ დროს ბრწყინვალე ოფიცერიც ყოფილა და ქუთაისშიც უმსახურია იმხანად, როდესაც იქ პრინცი ოლდენბურგი იმყოფებოდა. არჩილს სიყმაწვილისას სწორედ ქუთაისში ენახა იგი და მეხსიერებაშიც აღბეჭდოდა. და ახლა ძალიან გაოცდებოდა, როდესაც ნაზი, ქერათმიანი და ლურჯთვალა ახალგაზრდა კაცის ნაცვლად მხარბეჭიანსა და გაბარდღულწვერიან „მუჟიკს“ იხილავდა. კაცის სრული შეცვლა შეუძლებელი ყოფილაო, გაჰკრავდა გულში არჩილს, როდესაც ლაპარაკისას ისევ ის ახალგაზრდა ოფიცერი გამოისახებოდა ხოლმე მის თვალწინ. უპირველესად მაინც რა ნიშნით? არჩილი ჩაუკვირდებოდა, ჩაუკვირდებოდა და... მიხვდებოდა: ფიქრისა თუ აზრის გამოთქმა-გამოსახვის ძველი მანერა გამოჰყოლიაო.

აგერ ევგენიც – ჩუმი და ჩაფიქრებული, თვითონ არავის ეკარება, მუშაობით კი კარგად მუშაობს, მაგრამ თქვენ თუ არ გამოიწვიეთ, იქნებ მთელი წელი კრინტიც არ დაძრას, ეგაა, ხმას თუ გასცემთ და როგორმე სალაპარაკოდ წაახალისებთ, ისე აყბედდება, მისი გაჩერება შეუძლებელი ხდება. თითქოს აზრი და გრძნობა დაგუბებული ჰქონდაო. ნაფიქრის გამოთქმა ეძნელება, თვითონაც იტანჯება და მსმენელსაც ტანჯავს, ვიდრე უცნაურად შემოხედავდეს და, თითქოს საუკუნოდ დადუმებული, კვლავ მიწის თხრას შეუდგებოდეს.

აგერ სლოვაკი ექიმი შკარვინი – ტოლსტოის კითხვა გულს რომ ააყრევინებდა სამხედრო ექიმის ხელობაზე, სამხედრო სისტემა კაცისმკვლელ ორგანიზაციად მოეჩვენებოდა და ისე შეძულდებოდა ისიც და მის ერთ-ერთ რგოლად მყოფი საკუთარი თავიც, სამსახურისათვის თავის დანებებას მოინდომებდა, თანაც რა დროს – ვადის შესრულებამდე ორი კვირაღა აკლდა. მოეცადა ეს ორი კვირაც და თავისუფალი ადამიანი ისედაც გახდებოდა, მაგრამ სწორედ ეს ორი კვირა ისეთი ძალით დააწვებოდა გულზე, უფროსობას მოახსენებდა, აქ გამჩერებელი აღარა ვარო. შეგონებას მოუნდომებდნენ და რას შეაგონებდნენ, ისეთ სიმტკიცეს შეაწყდებოდნენ: დაატუსაღებდნენ, გიჟადაც შერაცხავდნენ... ციხეში ცხრა თვის ყურყუტის შემდეგ თავისუფლებას უბოძებდნენ და ისიც გახარებული

გამოქანდებოდა ტოლსტოის, ჩერტკოვისა და სხვათა გასაცნობად და მერე უკვე ინგლისის ახალშენში დასასახლებლად.

მართლაც ამ მხრივ საკვირველია ადამიანის ბუნებაო, – ეს ხასიათი როგორ დაეტოვებინა გაუანალიზებელი და განუზოგადებელი, როგორ არ ეცადა ფსიქიკის ყველაზე ღრმა შრეებში ჩაღწევა, როდესაც მის თვალწინ იმ ადამიანებსაც ჩაექროლათ, რომელნიც წლობით ითმენდნენ დამცირებას, წლობით ცხოვრობდნენ თავიანთი სინდისის, აზრისა და რწმენის წინააღმდეგ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მათ გულში მომწიფდებოდა რაღაც ახალი ძალა და ამ ძალას თვითონაც ვეღარ აღუდგებოდნენ წინ – გაჰყვებოდნენ და ან დაიღუპებოდნენ, ანდა თავიანთ გულისთქმას მიაღწევდნენ; და ის ადამიანიც გამოჩენილიყო, ვის არსებაშიც თანდათან მწიფდებოდა სინდისის გადაწყვეტილება, მაგრამ მომწიფდებოდა თუ არა, ისე ერთბაშად ამოხეთქავდა, ისე გამომზევდებოდა, როგორც ეს ექიმ შკარვინს გამოეცადა და ერთ წუთსაც ვეღარ გაძლებდა ძველ გარემოში.

და აგერ ხილკოვი – კაზაკთა პოლკის ოფიცერი, ერთ დროს უომრად რომ ვერ წარმოუდგენია ცხოვრება, მაგრამ ოსმალებთან ერთი შეტაკებისას მასზე ისე უნდა იმოქმედოს მტრის თავმოკვეთილი ჯარისკაცის თვალებში ჩარჩენილმა მრისხანებამ, რაღაც შიშმა თუ მუდარამ, რომ სამუდამოდ დაერღვეს გულის მყუდროება და აქედანვე დაიწყოს მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობა.

მისი ცხოვრების წესის კიდევ ერთი ცვლილებაც აღინიშნებოდა არჩილ ჯორჯაძის ნარკვევში: რევოლუციის ჟამს მან ხელი აიღო ტოლსტოის მიმდევრობაზე და ესერთა პარტიაში გადავიდაო, – მაგრამ მთავარი მაინც ხასიათთა ეს წყებაა, რომელნიც სხვის ხელში უთუოდ გადაინაცვლებდნენ რომანის ფურცლებზე, ამ ნარკვევში კი თავისებურ ნოსტალგიად შემორჩენილან ავტორის ხსოვნაში, კარგა ხნის წინათ გამოცლია მათ, მაგრამ დავიწყებით ვერ დაუვიწყებია და, მისცემია თუ არა საამისო საშუალება, სილუეტებად გამოუხმია თორმეტი წლის წინანდელი ხანიდან.

ტოლსტოი ახალ მასალებს ახალ მასალებზე უგზავნიდა ესექსის საგრაფოს მოახალშენეებს და ვლადიმერ ჩერტკოვი მდიდარ კოლექციას შეაგროვებდა მოძღვარის დაუბეჭდავი ნაწერებისას. „აღდგომის“ გამოცემასაც უხელმძღვანელებდა იქვე დაარსებულ სტამბაში და განსაკუთრებით სექტანტთა ცხოვრებას მიადევნებდა თვალს ჟურნალში „სვობოდნოე სლოვო“, დუხაბორების შესა-

ხებ სულაც ბროშურებს გამოსცემდა და კვლავაც რელიგიური თავისუფლების დამცველად მოჰქონდა თავი.

გარდუვალი ხდებოდა ტოლსტოველთა და დუხაბორების სულ უფრო დაახლოება და ერთად ცხოვრების პერსპექტივა.

ამ ახალშენს იმ ხანებში ახლოს ვადევნებდით თვალყურსო, – გაკვრით აღნიშნავდა და აღარ დააზუსტებდა, იქ რატომ მოხვედრილიყო. მგზავრი გახლდათ და ცოტა ხნით ჩამოესვენა სტუმართმოყვარე მასპინძლებთან თუ თვითონაც ერთ-ერთი წევრი იყო იმ კომუნისა, რომელნიც ერთობლივად ამუშავებდნენ მიწას და ცდილობდნენ თავიანთი ყოველი მოთხოვნილება თვითონვე დაეკმაყოფილებინათ.

ერთობლიობა ერთობლიობად, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის მზერა ორ მიმართულებას გამოარჩევდა მოახალშენეთა შორის.

ერთნი – კმაყოფილნი თავიანთი ცხოვრებითა და მუშაობით.

მეორენი – თითქოს შეწუხებულნი და მოუსვენარნი.

ის ერთნი ირწმუნებოდნენ, ჩვენს წარსულ ცხოვრებასთან შედარებით სინდისი ახლა დამშვიდებული გვაქვს, რადგანაც ვმუშაობთ და საკუთარ თავს თვითონვე ავდივართ. უკომპრომისოდ არც დღეს ვცხოვრობთ, მაგრამ ვცდილობთ და ვმოქმედებთ ჩვენი ძალღონის შესაფერისადო.

ეს მეორენი მუშაობით სულიერ სიმშვიდეს ვერ აღწევდნენ: როგორც უნდა გავისარჯოთ, ჩვენს ყველა მოთხოვნილებას ვერ ვიკმაყოფილებთ, იძულებულნი ვართ ბაზარს მივაკითხოთ. შესაძენი გვაქვს არამარტო ტანსაცმელი, სანოვაგეც კი, რადგანაც ამ ჩვენს პატარა მიწაზე კარტოფილისა და ბოსტნეულის გარდა არა მოგვყავს რა, და რაკიღა ბაზარში დავდივართ და მასთან გვაქვს ურთიერთობა, კიდევ უნდა ვემორჩილებოდეთ მის წესსა და ზნესო. თუ გასაყიდი გვაქვს რაიმე, უნდა ვცდილობდეთ ისე გავყიდოთ, რომ სარგებელი გვრჩებოდეს, თუ შესაძენი გვაქვს, აქაც ჩვენი ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ, ერთი სიტყვით, მიუხედავად გარჯისა, ჩვენც ვართ ჩათრეულნი თანამედროვე სოციალური წყობილების ქსელში და ჩვენც ვმონაწილეობთ უსამართლო და უვარგის საქმეშიო.

ეს მოსდევს შეურიგებელთა მორიგებისაკენ სწრაფვას.

ეს მოსდევს ქრისტიანობისა და სოციალიზმის მორიგება-შერწყმის ცდას.

წარმოსახვაში მაცდუნებლად ელვარებდა ბედნიერების სავანე, რაც თითქოს ამ მორიგება-შერწყმის საბოლოო მიღწევა უნდა ყო-

ფილიო. ფურცელზე კი მომხიბლავად გადმოდიოდა ოცნების სურათები, მაგრამ რეალობაში მოსინჯვა – კომუნის დაარსება – ერთბაშად შექმნიდა სირთულეებს, რასაც ყოველი ახალი დღე უფრო და უფრო გააღრმავებდა.

ახალშენის დაშლა შორს აღარ იდო.

ისედაც კარგა ხანს გაძლეს – ორ წელიწადს.

დაკვირვებული თვალი დაშლის მიზეზს უცდომელად გამოარკვევდა.

და კიდეც გადმოგვიშლის არჩილ ჯორჯაძე ხელისგულზე.

„კმაყოფილნი" თანდათან ჩაიძირებოდნენ და ჩანანავდებოდნენ თავიანთ კმაყოფილებაში, პიროვნების განუწყვეტელი წინსვლის აუცილებლობის იდეა მათთვის სრულიად გაუგებარი გახდებოდა და თავს დაიმშვიდებდნენ, სულიერი მყუდროება უკვე მიღწეულია და რიღასთვის ავიფორიაქოთ არსებობაო.

„უკმაყოფილონი" კი გაჰყვებოდნენ პიროვნების მშფოთვარე სინდისის მოთხოვნას – ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ ქრისტიანული მოძღვრების დედააზრი, რომელიც მათ სისრულისა და თავგანწირულობისაკენ იწვევდა. მაგრამ სოციალისტური შეხედულებანი ისეთი თავისუფალი მოქმედებისაკენ აქეზებდათ, რომ კავშირი უნდა გაეწყვიტათ საკუთრებასთანაც, ფულთანაც და ყოველგვარ ორგანიზაციასთანაც. აქეზებდათ – გადაქცეულიყვნენ უბინაო მაწანწალებად და გარჯით შეწეოდნენ ხოლმე მათ, ვისაც ეს დახმარება სჭირდებოდა, ანუ გლეხობას.

ბზარი თანდათან ნაპრალად გადაიქცეოდა, ნაპრალი სულ უფრო გაიზრდებოდა და ორ შორეულ ნაპირად გაიტოტებოდა.

„კმაყოფილნი" კერძო საკუთრებასა და არსებულ წესს მოებღაუჭებოდნენ.

„უკმაყოფილონი" კი განშორდებოდნენ მათ უზენაესი მოვალეობის აღსასრულებლად.

რაღაც განსაკუთრებული კი არაფერი მომხდარიყო.

კიდევ ერთხელ გახდებოდნენ ადამიანები შემსწრენი იმ ჭიდილისა ოცნებასა და რეალობას შორის და ილუზიების გაფანტვისა, რაც ლევ ტოლსტოისაც სიჭაბუკიდანვე მოეხსენებოდა და დღიურში ამ გულისტკივილს კიდეც ჩაინიშნავდა:

– უფრო იოლია 10-ტომიანი ფილოსოფიის შექმნა, ვიდრე ერთი რომელიმე წამოწყების პრაქტიკულად ხორცშესხმა.

ეგაა, მერე ამის აღიარება აღარ უნდოდა.

იოლია ზოგადი განსჯა, თუკი შენ არ შეგეხება, თორემ მის შუაგულში თუ მოექეცი, გრძნობებს ველარ იმორჩილებ და ერთი წამოწყება რა არის, ლამის წამოწყებათა წყებაც ხელმისაწვდომი გგონია... და ჩაშლას კი აბრალებ გაუთვალისწინებელ წვრილმანებს...

მაგრამ ბედისწერა არ არის შენი პერსონაჟი.

თუმც პერსონაჟიც რა – ადვილი წასაყვანია შენს ნებაზე? ხშირად ისიც აღარ გემორჩილება და, თუკი ნამდვილი მწერალი ხარ, კალამომარჯვებულმა უნდა სდიო და ჩაიწერო, რასაც იტყვის და მოიმოქმედებს.

უფრო ადვილი იყო ათტომიანი ფილოსოფიის შექმნა.

კერძო წამოწყების პრაქტიკულ ხორცშესხმას ასეთი დავიდარაბანი მოსდევდა და გადალახვა ყველას არ შეეძლო.

მხურვალე შეთანხმება, სინამდვილეში თურმე ქვიშაზე ამოშენებული, დიდხანს ვერ გასტანდა და საბოლოო განხეთქილების საბაბი კი უკვე იოლად გამოჩნდებოდა.

ამიტომაც გაიწევდნენ ცალკე „კმაყოფილნი“, ცალკე „უკმაყოფილონი“.

ახალშენის საზღვრები შორსა და შორს გადაწეულიყო და ვეება სივრცე შემოემტკიცებინა კი არა, იქიდანაც ფეხი უნდა ამოჰკვეთოდათ.

ვერა, სხვას ვერავის გადააბრალებდნენ.

ეს ჭიდილი, ეს დაპირისპირებაც აუყრიდა გულს არჩილ ჯორჯაძეს ტოლსტოურ იდეალსა და აღთქმაზე, ზეციური ოცნებებიდან მინაზე ჩამოიყვანდა და ხელშესახებს გახდიდა იმ რეალობას, ამგვარი კომუნების არსებობას მეტისმეტად სათუოს რომ ხდიდა – წამიერად ალბათ ესეც შეიძლებოდა – გასართობად, დასასვენებლად, ცხოვრების მომაბეზრებელი ერთფეროვნებისაგან თავდასაღწევად, ოღონდ შენს ცხოვრებას არსებობის ამ წესსა და რიტმზე ვერ გადაცვლიდი, რადგანაც გაიდეალებულ, ამაღლებულ ადამიანურ ურთიერთობათა ნაცვლად აქაც, ამ ნაოცნებარ გარემოში კვლავ წვრილმანებში ეფლობოდი, ადამიანური სიმდაბლენიც და ათასგვარი მწვირეც წამდაუწუმ იჩენდა თავს და ხვდებოდი, რომ სულიერი სავანე აქ არ უნდა დაგეგულებინა.

სამშობლოს ბედისწერა ჯერ არ გეძახდა.

ჯერაც აბსტრაქტული იდეალებით, მსოფლიო მოქალაქეობის ცდუნებით იქნებოდი შემოგარსული, მაგრამ სექტანტური მოძრა-

ობისათვის რომ არ უნდა გენაცვალებინა საკუთარ არსებობა, ამას უკვე მიხვედრილიყავ და „კმაყოფილთა“ და „უკმაყოფილოთა“ ორი დაშორებული ნაპირიდან არცერთზე არ შეაჩერებდი არჩევანს. დაე თავთავისი გზით ედინა ორივე ნაკადს, ანდა სულაც გამქრალიყვნენ. თან ხომ ვერ გადაყვებოდი. კმაროდა ის ორი წელი, რაც იმათთვის შეგეწირა.

* * *

სოფელი პერლი-კოკლასი მინდვრებით გარშემორტყმულიყო, ჭალებითა და პატარა გორაკებით. მინდვრები და სახნავ-სათესი მიწები ისე სულაც არ გაშლილიყო, რაც არჩილ ჯორჯაძეს საქართველოდან ახსოვდა. მიწა დაეყოთ და ხის ღობეებითაც გარსშემოევლოთ. მოინდომებდა მინდვრად გასეირნებას და, ყოველ ნაბიჯზე რომ მოუხდებოდა ღობეზე გადახტომა, ამ გარემოებას რა დააავიწყებდა; და იმ პეიზაჟის დახასიათებას რომ დააპირებდა, უპირველესად ამას ამცნობდა თანამოსაუბრეს – მინდორში სეირნობა ისე არ წარმოიდგინოთ, ჩვენში როგორც დაჩვეულხართო.

ღობე ჭალებისთვისაც შემოერტყათ და საიმედოდაც დაეცვათ იქაურობა.

დიდი ტყეც ხომ არ?.. არა, ტყე იქ არსად ჩანდა.

დაცვით კი ჭალებს ნადირობისათვის იცავდნენ.

ამ მიდამოებში აუარებელი კურდღელი ბუდობდა, იმდენი, იმდენი, რომ ასობით გამოეფინებოდნენ მინდვრად და ნადირობის დაწყებამდე სრულებით არა ფრთხებოდნენ ადამიანის დანახვაზე.

სამყაროს დასაბამიერი ყოფა აღმდგარიყო თუ რა?

გაოცებას არ დაიმჩნევდნენ ალფონს დოდეს კურდღლებივით, წისქვილში იმისი ფეხის შედგმისთანავე რომ წამოიშლებოდნენ და მათ აპრეხილ კუდებსღა მოჰკრავდა წამიერად თვალს.

ცხადია, არც არჩილ ჯორჯაძეს გაერიდებოდნენ.

მაგრამ დადგება შემოდგომა და მათი ცოდვისკითხვაც იწყება.

ახლომახლო ქალაქებიდან მონადირეები იხუვლებენ და, ძველ დროში თუ მხოლოდ ლორდები ნადირობდნენ, ახლა ყველა გამონადირევებულიყო, სპორტულ ჟინად გადაქცეოდათ და თავმოწონება-თავმოწონებაში მუსრს კი ავლებდნენ საბრალო კურდღლებს, რომელთაც ვერა და ვერ დაეჯერებინათ, ეს ყოვლად მშვიდი და უსაფრთხო ადამიანები ასე რას გაეხელებინა.

არჩილი შეესწრებოდა, როგორ ჩამოვიდოდა ქალაქებიდან ორმოც-სამოცი კაცი და ქალი ერთად, მშვენიერ ცხენებზე მსხდარნი და გრძელ შოლტმომარჯვებულნი. ჭალებიდან გამოარეკინებდნენ კურდღლებსა და ბაჭიებს, დამფრთხალნი რომ მოედებოდნენ მინდვრებს, იქ კი მონადირენი ცხენდაცხენ შოლტებით გაჟლეტდნენ.

გუკვირდებოდა არჩილს: ამ შეღობილ ადგილებში როგორ აჭენებენ ცხენებსო. მაგრამ წინასწარვე გაეწრთვნათ ისე, მიადგებოდნენ თუ არა ღობეს, ზედ ფრინველივით გადაფრინდებოდნენ.

შორიდან კარგ სანახაობად გამოიყურებოდა?

ვერ უარყოფდა არჩილ ჯორჯაძე მის გარეგნულ მიმზიდველობას, მაგრამ ოდნავი დაკვირვებაც ამ გასართობზე, რაღაც ველურობას აღმოაჩენინებდა და შეზარვით შეზარავდა.

ქვეითი მონადირენი კი ძაღლების საშუალებით მელიების სოროებს დაეძებდნენ და გარშემო მხოლოდ თოფის გრიალი და ტკაცა-ტკუცი გაისმოდა.

ჩათავდებოდა ნადირობაც გიორგისთვეში და სოფლის არემარეს ისევ მყუდროება და დუმილი მოეფინებოდა. დღე დაპატარავდებოდა, ბურუსი და ნისლი დაბურავდა ყველაფერს და დღეც ბინდში ჩაიძირებოდა. ზღვამ იცის ბურუსი და ჯანღი და ზღვით გარშემორტყმული ინგლისის ყოველი კუთხე-კუნჭული ამიტომაც დამგვანებოდა ერთმანეთს.

ჩაყუჩებულია სოფელი. აღარავინ მუშაობს მინდვრად. სამაგიეროდ, ფერმერთა სახლ-კარში გაჩაღებულა შრომა, მეურნეობა ერთბაშად მრეწველობად გადაქცეულა და მზადდება ლონდონში გასაყიდი საქონელი – რძე, ყველი, კარაქი...

თავისით იქნებ არც არასოდეს აღეწერა ეს გარემო არჩილ ჯორჯაძეს, ნინო ნაკაშიძის დაჟინება რომ არა, ეს მოგვიანებით მოხდება, 1909 წელს. ის საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულს“ რედაქტორობს და გრძნობს ბავშვების, განსაკუთრებით უფრო მოზრდილთა დიდ ინტერესს მოგზაურობისადმი. ორ სტატიასაც გამოაქვეყნებს ამ თემაზე და კიდევ უფრო გაუცხოველებს ცნობისწადილს. რედაქციაში წერილიც მიუვათ, იქნებ კიდევ და კიდევ გაგრძელდეს სამოგზაურო ჟანრი თქვენი ჟურნალის ფურცლებზეო.

მაშინ მიმართავდა რედაქტორი არჩილ ჯორჯაძეს: რაიმე დაგვიწერე შენი მოგზაურობის შესახებო.

ის შორს დაიჭერდა იმ მიზეზით, რომ საყმაწვილო მწერლობა იოლ ხელობად სულაც არ მიაჩნდა, დიდ პასუხისმგებლობას იგ-

რძნობდა და შეფიქრიანდებოდა, ვაითუ ვერ გავამართლოო. ამიტომაც ვერ ითანხმებდნენ:

– ბავშვებთან საქმე არასოდეს არ მქონია, არ ვიცი, შევძლებ იმათვის გასაგებად წერას თუ არა.

ის კი ჯიუტობდა, მაგრამ ნინო ნაკაშიძე კიდევ უფრო ჯიუტი გამოდგებოდა და ასე შეიქმნება ჩინებული სამოგზაურო ნარკვევი „საზღვარ გარედ /მოგონებანი და შთაბეჭდილებანი/“, „ნაკადულის“ 1910 წლის პირველ სამ ნომერში რომ გამოქვეყნდება გაგრძელებებით.

არ ვიცი, შევძლებ თუ არაო...

უფროსკლასელებს ძალიანაც მოხიბლავდათ მისი თხრობის მანერა და შინაც კი ესტუმრებოდნენ მადლობის სათქმელად.

მეხსიერებაში კი ამოდიოდა და ამოდიოდა ჯანღიანი ლონდონის სურათები.

დედაქალაქში ხშირად ჩადიოდა. რკინიგზით საათნახევარს უნდებოდა. ერთხელ სწორედ ბურუსიან დღეს მოუხდებოდა იქ წასვლა და თანამგზავრად მისტერ მოოდი რომ არ გამოსჩენოდა, ძალიან დაიბნეოდა. იმასაც კი დასძენს: თქვენს მტერსო... თანამგზავრი სწორედ გამოცდილი კაცი გახლდათ, ლონდონში აღზრდილი და გულსაც ეს დაუმშვიდებდა. ერთი ეს უკვირდა, ყოველთვის უქუდოდ დაიარება და შვილებსაც თავშიშველებს ატარებსო. მერე გამოარკვევდა, რომ ლონდონში ერთი საშუალო სასწავლებელი ყოფილა, სადაც შეგირდებს პატარაობიდანვე უქუდოდ სიარულს აჩვევდნენ. თუ რა მიზეზი იყო ამისა, სამუდამოდ დაფარული დარჩებოდა არჩილისათვის. გული კი არ მოუთმენდა, რომ რამდენჯერმე არ გაევლო იმ სასწავლებლის ეზოზე და საკუთარი თვალით არ დარწმუნებულიყო, რომ შეგირდები ზამთარშიც უქუდოდ დაიარებოდნენ.

ჯანღიან ლონდონში ჩასულს ისეთი გრძნობა გაუჩნდებოდა, თითქოს სადღაც ქვესკნელში ჩამძვრალიყოს, სადაც სიბნელესა და გულშემხუთავ ბინდს ელექტრონის გაზის სინათლით ებრძოდნენ. ისე ჩაბნელებულიყო ირგვლივ ყოველივე, ორ ნაბიჯზეც აღარაფერი ჩანდა ხოლმე და ასეთ დროს როგორ არ გაკვირვებულიყო, რომ ასეთ წყვდიადშიც ომნიბუსების, დროგებისა და ეტლების უზარმაზარი მიმოსვლა არა წყდებოდა და ადამიანთა ზღვა ტორტმანებდა.

არჩილს იმასაც ამცნობდნენ: ამისთანა დარში ბევრნი ბრმების საშუალებით დადიანო. და მაშინვე დაიჯერებდა, რადგანაც ბრმას

თუ კარგად შეესწავლა გზა, სიბნელე ხელს ვერ შეუშლიდა, მისი ყოფა ხომ ისედაც სიბნელეში ჩაძირულიყო.

სიახლეს ისე მიელტვის, სულ განახლებაზე ისე ოცნებობს, ერის სისხლსა და ხორცში გამჯდარი ჩვეულებანი – გარეგნულად იქნებ მართლაც დრომოჭმული სხვა ხალხთა თვალში – უცნაური და აუხსნელი ეჩვენება და ინგლისსაც გაკილავს: საკვირველი ქვეყანაა, კულტურით სხვა სახელმწიფოებს არ ჩამოუვარდება, მაგრამ ვერსად იპოვნით ძველი ცხოვრების იმდენ ნარჩენს, რამდენსაც აქ, ამ ჩვეულებას წინათ ჰქონია თავისი აზრი, ახლა კი უშინაარსო ფორმად გამხდარა, ხოლო ხალხი მაინც ებღაუჭება და არ ივიწყებსო.

როგორც სოციალისტურ თეორიათა მიმდევარს, რა გასაკვირია, არ გამორჩეს და საგანგებოდაც მოიხსენიოს ამ უზარმაზარ ქალაქში ორი დიდი სამეფოს არსებობა: სიღარიბის, სიღატაკისა და უბედურებისა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, სიმდიდრის, ძლევამოსილებისა და ფუფუნების. და ეს ორივე სამეფო თურმე ისე ახლოსაა ერთმანეთთან, თითქოს ზედ მიჰკვრიანო.

პუბლიცისტური ნაკადი იჭრება თხრობისას და აღარც ის ნახევრად რიტორიკული შეკითხვა გიკვირს: რად დაიარება მშიერ-მწყურვალი ეს უთვალავი ხალხი და რა მიზეზია, რომ ცივილიზაციის ცენტრში ასეთი უსამართლობა და ბარბაროსობა არსებობსო?

მთლიანად პუბლიცისტურ პათოსში ვერ ჩაეფლობოდა, მაგრამ ამ მოვლენის ერთ მიზეზს კი გამოაცალკევებდა: დიდ მექარხნეებს შორის დიდი ქიშპობაა გაჩაღებული, ერთმანეთს ორმოს უთხრიან, წარმოების გასაადვილებლად მეცნიერებს ამუშავებენ, გამოაგონინებენ რაიმე მანქანას, რომელიც მუშების მაგივრობას სწევს და ხარჯს ერთიორად ამცირებს, მეზობელი კი ქიშპობას ველარ უძლებს და იძულებულია დაკეტოს ქარხანა, ასე რჩება უსაქმოდ აუარებელი ხალხი, რომელიც წინათ ქარხნით იკვებებოდაო. და ამას მოსდევს მძაფრი ტირადა, რომ: ამიტომაცაა ექვს მილიონ მცხოვრებში დიდი რიცხვი უმუშევრებისა, მაწანწალებისა, მათხოვრებისა, ლოთებისა, ქურდებისა და ავაზაკებისა.

მანქანა-დანადგარების ბრალი ყოფილა, სრული იდილია რომ არა სუფევს!..

არჩილ ჯორჯაძე, ვინც თავგადაკლული მომხრეა ყოველგვარი სიახლისა და პროგრესი ეგულება კაცობრიობის ხსნად, კერძო შემთხვევაში ასეთი სიმკაცრით ილაშქრებს მანქანა-დანადგარების, წარმოებაში სიახლის დამკვიდრების წინააღმდეგ.

თითქოს გახლეჩილა მისი შეგნება – თან მოსწონს, თან უპირისპირდება, თან სიკეთეს ხედავს მეცნიერთა გარჯაში, თან სიავესაც ამჩნევს.

წინააღმდეგობა იჭრება მის მსოფლხედვაში და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა სოციალისტური თეორიის მიმდევარისათვის, რადგანაც თვითონ ეს პოლიტიკურ-ეკონომიკური მოძღვრებაა შინაგანად გაორებული, ურთიერთსაპირისპირო საწყისთა მექანიკური, ძალდატანებითი ნაერთი და იმთავითვე განწირული თვითამოწურვისა და მარცხისათვის.

პუბლიცისტური ნაკადი პუბლიცისტურ ნაკადად, მაგრამ ლონდონის ქუჩებში რომ დაიარება არჩილ ჯორჯაძე, მაინცდამაინც დიდ სისუფთავეს ვერ ატყობს, განსაკუთრებით ღარიბ და სავაჭრო უბნებში, სადაც მუდმივი დატვირთვა-გადაზიდვაა საქონლისა და ქაღალდი, ჩალა, ბზე, ნაფოტი და სხვა ამგვარები ბლომად გროვდება ქუჩაში.

მაგრამ ითქმის კი ლონდონზე, ჯანმრთელობისათვის ძლიერ მავნებელიაო?

არჩილი ამ მხრივ საკმაოდ მგრძნობიარეა, რადგანაც სხეულის სიმრთელით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა და სნეულება კიდეც ძალიან გატანჯავს და მოინელებს. და თუ ლონდონი მავნებლად მოქმედებს ადამიანზე, სწორედ მას არ უნდა გამოეპაროს. აქ ხომ ამდენი კვამლია და მტვერი, მაგრამ ის როგორღაა, ჰაერი რომ არ იწამლება?

მიზეზი ამ დიდი ქალაქის შესანიშნავი კანალიზაცია გახლდათ, რომლის წყალობითაც უსუფთაობა ერთ ადგილას არა გროვდებოდა და არც ჰაერი იწამლებოდა. ამიტომაც იყო, რომ ლონდონში ყოველ 1000 კაცზე 17 გარდაცვლილი მოდიოდა, მაშინ, როდესაც მოსკოვში ერთიორად ჭარბობდა სიკვდილიანობა.

ლონდონელებს დიდ შვებას ანიჭებდა მშვენიერი უზარმაზარი ბაღები – სკვერები, გაშენებულნი ქალაქის სხვადასხვა ადგილას და, არჩილიც ქალაქში ყოველი ჩასვლისას ამ სილამაზითაც რომ იხიბლებოდა, შთაბეჭდილებებში საგანგებოდ ჩაურთავდა: ეს ბაღები კი არა, ნამდვილი ტყეებია, დიდებული მცენარეულობით შემკული და აყვავებულიო.

თანაც, აქ არავის უშლიდნენ ბალახზე თავისუფლად წამოწოლას, „გოროდოვოი“ არ მიადგებოდა მძინარესა თუ მთვლემარეს და არ დააფეთებდა და არც პასპორტს მოსთხოვდა. ეს ერთი დეტა-

ლიც როგორ განასხვავებდა ინგლისის თავისუფალ გარემოს რუსეთის იმპერიის მმართველობითი რეჟიმისაგან – ტფილისში კი არა, მოსკოვშიც ვერ წამოგორდებოდი ბალახზე, მაშინვე წესრიგის დამრღვევად რომ არ შერაცხულიყავი და პასუხიც მკაცრად არ მოეთხოვათ.

შუაგულ ლონდონში კი, ტყე-ბაღების გარდა, ბევრი სათამაშო, საბურთაო მოედანიც გაემართათ, ვრცელი მინდვრები, სადაც ბავშვებიც და მოზრდილებიც ან ფეხბურთს თამაშობდნენ, ან კროკეტს.

ლონდონელებს მიმოსვლისათვის უკვე აღარ ჰყოფნიდათ მიწის ზედაპირი და მიწის ქვეშაც აემოქმედებინათ რკინიგზა.

ქართველი მკითხველი ვერ მიუხვდებოდა, მიწის ქვეშ რაღა უნდა რკინიგზასო?

აუხსნიდათ: იქ, ქუჩებს ქვემოთ მკვიდრი თაღებითაა გამაგრებული ლიანდაგი და მატარებლები წუთითაც არ წყვეტენ მოძრაობასო. მერე პარიზშიც რომ მოინახულებდა მეტროს, შედარების საშუალებაც მიეცემოდა: პარიზში ეს საქმე, როგორც უფრო ახალი, უფრო კარგადაც არის მოწყობილი, იქ ელექტრონის ძალით ამუშავებენ მატარებელს, ლონდონში კი ორთქლით, გვირაბი და ვაგონები კვამლით ივსება, თვალებსა გწვავს და პირისახესაც გიმურავს, სიცხეში უსიამოვნოა იქ მოგზაურობაო.

უსიამოვნო გახლდათ თუ რა იყო, კი უწევდა მაინც და, შინ რომ ბრუნდებოდა და პირს დაიბანდა, ტაშტი შავად იღებებოდა.

მითუფრო აკვირვებდნენ ინგლისელი ქალები, რომელთაც ძალიან უყვართ თეთრი კაბები და მიწისქვეშა რკინიგზითაც თეთრად მოსილნი დასეირნობდნენ. როგორ სუფთად და თეთრადაც ჩაეშვებოდნენ ქვემოთ, ისეთივენი ამოდიოდნენ დღის სინათლეზე, მათ ტუალეტს ოდნავადაც ვერაფერს შეატყობდი.

მაშ თვითონ რა ემართებოდა, მენახშირესავით გამურული რატომ ამოაღწევდა ხოლმე მეტროდან?

ვერც მაშინ ახსნიდა და ვერც წლების შემდგომ მიხვდებოდა, ასე უსამართლოდ რატომ ისჯებოდა.

როგორც ჩანს, ძალიან იყო მონდომებული, რომ სისუფთავე შენარჩუნებინა და, რაკიღა ვერასოდეს ვერ მიაღწია, მენახშირეს არ დამგვანებოდა, ბედის მკაცრ განაჩენად ამიტომაც ეჩვენება.

ლონდონის ქუჩებში ბევრ რაიმეს წაწყდომია ისეთს, რასაც გაუკვირვებია და მათგან საამბობლად შეარჩევდა და მკითხველს გა-

აცნობდა საზოგადოებას „სელკეიშენ არმი“ (ჯარის გადარჩენა), რომელიც თავს უყრიდა გალოთებულსა და გარყვნილ ადამიანებს და გარკვეული რეჟიმის მეოხებით ცდილობდა მათ განკურნება-გამოსწორებას. ეს ორგანიზაცია რელიგიურსაც ჩამოჰგავდა და სამხერო დაწესებულებასაც, თავისი მუსიკაც შეექმნათ და დიდი ზეიმითა და ცერემონიალით დაიარებოდნენ ქუჩებში მწკრივ-მწკრივად.

მისი წევრნი ქალებიც იყვნენ, რომელნიც უმთავრესად რელიგიური პროპაგანდისათვის ჰყავდათ შერჩეულნი. ქალაქის ქუჩა-მოედნებზე, განსაკუთრებით შაბათობით, გამოჰქონდათ ფისჰარმონია და მის აკომპანიმენტზე იწყებდნენ რელიგიურ გალობას. გროვდებოდა ხალხი და ზოგი წრფელად, ზოგიც ოხუნჯობასა და გართობის გულისათვის ხმას აყოლებდნენ გალობას და ასე იქმნებოდა უცნაური, სახელდახელო ქორო. გალობას ხან ქადაგება ცვლიდა, ქადაგებას კამათი მოსდევდა, ქალები წიგნაკების გასაღებას ცდილობდნენ.

ცხადია, მათ შორის ერივნენ ისეთნიც, რომელნიც არჩილ ჯორჯაძესავით ცნობისწადილით მისჩერებოდნენ ამ სანახაობას და არც გულწრფელად აპირებდნენ გალობის აყოლას და არც ოხუნჯობით.

ეგზოტიკაა მათთვის ეს ყოველივე, სხვა ეგზოტიკურ სცენათაგან გამორჩეული უცნაური ნაზავის წყალობით, და მაინც უფრო იმიტომ მიმზიდველი, რომ კეთილშობილურია ამ ორგანიზაციის შექმნის განზრახვა, იქნებ თავისებურადაც გასათვალისწინებელი – არა მექანიკურად გადმოსაღები, არამედ სწორედაც გასათვალისწინებელი – სხვა ქვეყნებშიც.

არჩილ ჯორჯაძე საამისოდ არაფერს მიანიშნებს მკითხველს, ჰყვება, როგორც ლონდონის ცხოვრებისათვის ნიშანდობლივ მოვლენას, მაგრამ როდესაც ეს ორგანიზაცია ასე გამოცალკევდება და ერთგვარად განზოგადდება კიდეც, რა გასაკვირია, მკითხველს ძალაუნებურად ჩააფიქრებდეს ამ მხრივაც, მითუმეტეს, ამ ყოველივეს ჰყვება არა შორეულ გზებზე თვალგასახარად დამდგარი მოგზაური, ვისაც სხვა არაფერი არ ანაღვლებს, არამედ მსოფლიო მოქალაქე, ვისაც თავისი უშუალო მონაწილეობის გარეშე ვერ წარმოუდგენია ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები.

ინგლისის საზოგადოებრივი ყოფა იმიტომაცაა ფასეული მისთვის, რომ აქაც – როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში – სრული თა-

ვისუფლებაა კრებისა და სიტყვისა, სადაც გენებოს და რაც გენებოს ილაპარაკე, ოღონდ კანონსა და ჩვეულებას ნუ დაარღვევ.

მას შემდეგ ათი წელიც გავა და, ქართველ ახალგაზრდობას რომ უამბობს იქაური ყოფა-ცხოვრების ეპიზოდებს, კვლავაც ეხარბება და ამათ კი უბეჯითებს, ცხოვრება მარტო ის არ გეგონოთ, რასაც შეჰყურებთ და თავისუფალი სიტყვა ყველგან იზღუდება, არსებობს ქვეყნები, სადაც ცხოვრების გაცილებით მაღალი საფეხურისათვის მიუღწევიათ და ორიენტირადაც ის უნდა დაისახოთო.

თავისუფალი კრება, თავისუფალი სიტყვა.

თურმე ხუმრობენ კიდეც: გნებავს კრივიც გამართე ქუჩაში, ოღონდაც მოკრივენი კანონიერების საზღვრებს არ გადასცდნენო.

სიტყვას მოჰყვება და იგრძნობს, ამ თემაზე მსჯელობის გაგრძელებით ყმაწვილკაცებს ძალიან დავაინტერესებო:

კრივს „ბოკსს“ ეძახიან და „ბოკსს“ თავისი წესი აქვს, ვთქვათ, ცხვირ-პირში გარტყმა აკრძალულია და მოკრივეებმა მხოლოდ ბეჭები და მხრები უნდა უზილონ ერთმანეთსო. სმენოდა და საგანგებოდაც ჩაურთავდა, ერთ პოლონელს „ბოკსის“ დროს უკანონო ადგილზე გაურტყამს მოპირდაპირისათვის და იმ წამსვე საიდანღაც გაჩენილა პოლიცია და კანონიერების დამრღვევი დაუპატიმრებიათო.

„იმ წამსვე, საიდანღაც“ გულისხმობს, რომ პოლიცია შორიდან გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს კრივს, ოღონდ მის ჩქამსაც ვერავინ გაიგონებს და თვალში არავის მოხვდებიან, თუ კანონიერება დაცული იქნება.

და მონათხრობი ისე უნდა განზოგადდეს, რომ:

– კანონი და ჩვეულება ინგლისელს დიდადა სწამს.

ლონდონის გარეთ სახალხო დღესასწაულსაც დასწრებია. იქ უმეტესად მუშა ხალხი დაიარება შუა საუკუნეთა ერთ ციხე-დარბაზთან შემოდგომობით აუარება ხალხი იყრის თავს და რიტუალის აუცილებელი ნაწილია ციხის სარდაფებში ძვლებისა და კედელზე მიკრული ჯაჭვების დათვალიერება – ძველი დროის ნაშთისა.

ტრიბუნებიც იმართება და ორატორებშიც ცხარე სიტყვით გამოდიან. არჩილ ჯორჯაძე აქ პირველად იხილავდა ინგლისელთა აღფრთოვანებას, ერთი ორატორის მოსმენისას ხშირ-ხშირად რომ გამოხატავდნენ მოწონებას, და გაიფიქრებდა: ერთად შეჯგუფულ ხალხს ყველგან რა ერთი და იგივე თვისება აქვსო:

– მიუხედავად იმისა, რომ იგი შესდგომოდა აქ თავდაჭერილ და „ცივ“ ადამიანებისაგან, ერთმანეთთან სულიერ ხელშეხების დროს რაღაც ნაპერწკალი გაუღვივდა გულში და ამ ნაპერწკალმა აჩქარებული და გულწრფელი კილო მისცა ლაპარაკს, სიცილს, დროს გატარებას.

რაკიღა სახალხო დღესასწაულია, დიდ მინდორზე, თოკებშემოვლებულში, შეჯიბრიც უნდა გაიმართოს ბურთის მოთამაშეთა და სწრაფად მოსიარულეთა შორის. ხუთი-ექვსი კაცი გამწკრივდებოდა რიგზე და, ნიშნის მიცემისთანავე, გასწევდნენ თოკის ირგვლივ იერიშით. პირველად მისულს ჯილდო ერგებოდა.

საგულისხმო ფსიქოლოგიური დეტალი:

არჩილს წამიერად დაავიწყდება, რომ ინგლისში იმყოფება, და სამშობლოში ეგონება თავი.

საღამოს მატარებელი რომ გაივსება შექეიფიანებული და მომღერალი ადამიანებით, უფრო „მარსელიოზას“ მღერიან.

ეპოქის ნიშანი თუ ხარკი.

აქ ერთი სახალისო ეპიზოდი უნდა გაიხსენოს. სახალისო ამ გადასახედიდან, როდესაც წარსულში ყოველივე რომანტიკული და მომხიბლავი ფერებით იმოსება, თორემ მაშინ გასართობად და სამხიარულოდ ნამდვილად არ ექნებოდა საქმე. ლონდონში დაღამებულზე ჩამოვიდოდა და იმ მატარებელს, სოფლისაკენ რომ უნდა წაეყვანა, ძლივს მიუსწრებდა. ამას რა უშავს, ხომ მიუსწრო მაინც. მარცხი გზაში უნდა მოუვიდეს. იცის, რომ ერთ სადგურში უნდა ჩამოვიდეს და სხვა მატარებელში გადაჯდეს, მაგრამ როგორღაც გამოითიშება და სადაც მისი გზა არ არის, იქით გაასრიალებს მატარებელი. უილაჯოდ იყურება ფანჯარაში და წყვდიადში ჩაძირული ქვეყანა არაფერ სანუგეშოს არ ეუბნება.

პირველი გაჩერებისთანავე კი ჩამოვა, მაგრამ რა იღონოს, საით წავიდეს ამ უცნობ ქვეყანაში?.. სადგურის ეზოში გამოვიდოდა და ერთ დროგს წააწყდებოდა. იქ თითქოს ისე არა ბნელოდა, როგორც ვაგონის ფანჯრიდან მოჩანდა და ცოტათი, სულ ცოტათი გამოუკეთდებოდა გუნება. თითქოს უმწეოდ გრძნობს თავს, მაგრამ ვარსკვლავებს მაინც ახედავს და მათ ლამაზ ციმციმსაც შეიგრძნობს.

თითქოს იმანუელ კანტის იდეალი განსხეულებულა არჩილ ჯორჯაძის არსებაში: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მის ზემოთ და მორალური კანონი მასში.

ცოტა ხანში რამდენიმე ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდებოდა ამ „ბლანქარდს“ და დაცარიელებული ყუთებით დატვირთავდნენ. არჩილი თავის გასაჭირს უამბობდა. – შორს წამოსულხარ, კოკლასი აქედან 15 მილის მანძილზე იქნება, – ეტყოდნენ, მაგრამ ნუგეშითაც ანუგეშებდნენ, – არაფერია, ათიოდე მილს ჩვენ გაგატარებთ, მერე გზას გაჩვენებთ და ფეხითაც მიხვალო. ეს ყმაწვილები მოჯამაგირედ მსახურობდნენ თურმე ერთ ფერმერთან, ლონდონში რძე და ყველი წამოეღოთ და ახლა ფერმაში ბრუნდებოდნენ. სწორედ არჩილის ბედად!.. ვინაობას გამოჰკითხავდნენ და უხაროდა, რომ სხვადასხვა კითხვას აძლევდნენ. ეტყობა, საქართველოთი დაინტერესდნენო.

დაილოცა ახალგაზრდობაო, – ჩაურთავს, – ყველგან უმანკო და წრფელია თავისი წადილებითა და განზრახვითო.

ინგლისელ ყმაწვილკაცებსაც მოიგონებს მადლიერებით და ქართველ ყმაწვილებსაც გულს გაუთბობს ამ ფრაზით, აგრძნობინებს, რაღაც უჩვეულო კი არაფერი ჩაუდენიათ, ისევე მოიქცნენ, თქვენ როგორი გულისხმიერებითაც მოექცეოდით, გასაჭირში ჩავარდნილი კაცი რომ გენახათო. მოიარებით, ფრთხილად ჩაუტარებთ სიკეთის გაკვეთილს, რათა დიდაქტიკა თვალშისაცემი არ იყოს. მაინც სამოგზაურო ნარკვევია და ეს ტენდენცია გამოკვეთილად არ დაშვენდება.

გამომშვიდობებისას ყმაწვილებს ფულს რომ შეაძლევს და ისინი იუარებენ, ძალიან შერცხვება თავისი საქციელის. სიბრიყვისაო, – ამის თქმასაც არ მოერიდება, რადგანაც იმათი გულისხმიერების გაზომვა ფულით მოინდომა. ამასობაში უკვე ნაცნობ გზას უნდა დაადგეს, თავისი კოტეჯის კარებთან შეყოვნდეს და ერთი კიდევ მიიხედ-მოიხედოს.

ეს რაღა აუცილებელია?

არჩილ ჯორჯაძეს უკეთ მოეხსენება:

– სალამი მივეცი გარინდებულ ღამეს და მოციმციმე ვარსკვლავებს და შევედი ჩემს ოთახში.

დასასრული მხოლოდ ასეთი პოეტური შეიძლება ყოფილიყო. არა საგანგებოდ ნაძიები მოხდენილი აკორდი კომპოზიციური ქარგის ამოსახვევად, არამედ მისთვის ბუნებრივი ჟესტი.

ეს ფრაზა რომც არ ეწეროს, არჩილის პიროვნული ბუნების ამოცნობა ისედაც მიგვახვედრებდა, რომ იგი ღამით გარინდებულ წყვდიადსა და მოციმციმე ვარსკვლავებს უნდა უძღვნიდეს სალამს, დილით კი – მზის ამობრწყინებას.

რაოდენ მეტყველია და ტევადი ეს – გვახსოვს – ძალისძალით შედგენილი სამოგზაურო ჩანაწერი. გული გწყდება, რომ ასე საჩქაროდ მოთავდა და უამრავი სურათი თუ ეპიზოდი სამუდამოდ დაიმარხა არჩილთან ერთად. და თანაც ასე განმარტოებულად რომ შემოგვრჩა ეს ნარკვევი და აღარ მოჰყოლია პარიზული, ჟენევური, თუნდაც პეტერბურგული მოგონებანი და შთაბეჭდილებანი; და სულაც წიგნად არ შეიკრა, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ერთ თვალსაჩინო ძეგლად.

ძალიან გაახალისებდა, ყმაწვილები რომ ესტუმრებოდნენ, მისი ნარკვევით მოხიბლულნი. მოწონებით სხვანიც მოუწონებდნენ და ნინო ნაკაშიძეც – თუმც მოგონებაში აღარაფერს ამბობს – უთუოდ დააძალებდა ამ ციკლის გაგრძელებას.

სნეულება ცალკე ტანჯავდა, აუარებელ საქმეებს ვეღარ ასდიოდა და, სულამომდინარი, ისევ ამ ჟანრს გასწირავდა.

თავისად ვერ იგუა.

ნინო ნაკაშიძე ისე დაუფასებდა ამ ერთ პატარა ნარკვევსაც, საბავშვო მწერლობის მნიშვნელობის მცოდნეთაგან ამ ორს გამოარჩევდა – არჩილსა და იროდიონ ევდოშვილს. იმ მხრივაც დააკავშირებდა მათ სახელებს, რომ ცხოვრებაში უბედურნი იყვნენ და ორივე ერთსა და იმავე სენს – ტუბერკულოზს – ემსხვერპლა, მაგრამ თვითონ ის ფრაზა, არჩილ ჯორჯაძეც რომ მოიხსენიება საყმაწვილო მწერალთა შორის, საგულისხმოა და ლონდონურ შთაბეჭდილებებთან ერთად იმ დაუწერელ მოგონებათა აკიდოზეც მიგვანიშნებს.

თუ მიაქციეთ ყურადღება:

სოფელი პერლი-კოკლასი რომ წარმოსახა, გაელვებითაც არ ჩაურთავს ტოლსტოვური ახალშენის არსებობა, არამცთუ ცალკეული სურათები აღედგინა მოახალშენეთა ყოფიდან.

შემთხვევითობაა?

უნებურად გამორჩებოდა?

თუ რაიმე სხვა მიზეზია?

რა შემთხვევითობა შეიძლება იყოს და გამორჩენითაც როგორ გამორჩებოდა, კოკლასური პეიზაჟის აღწერა ძალაუნებურად ჩამოუტივტივებდა ახალშენის ყოფას. ამიტომაც – განზრახ ამჯობინებს დუმილს. მის თვალში სრულიად გაფერმკრთალებულა ის იდეალი, რამაც აქეთ უბიძგა და სულაც ეგონა, რომ მისი ცხოვრება სამუდამოდ გადაეჯაჭვებოდა ტოლსტოის რელიგიურ-ეთიკუ-

რი მოძღვრების დამტკიცებას რეალობაში. სინამდვილეს თვითონვე გაუუფასურებია ცხოვრების ამ წესის გარეგნული მიმზიდველობა, შინაგანი წინააღმდეგობანი თვალნათლივი გაუხდია და არჩილ ჯორჯაძე კიდეც შიშობს, ამ თემაზე სიტყვის ჩამოგდებამ ვაითუ ყმაწვილ მკითხველთაგან ჩემსავით აცთუნოს ვინმე და შემდგომ კი ილუზიების გაფანტვამ სულიერი ტკივილი მიაყენოსო. ამიტომ – ვითომც ამ ახალშენში ცხოვრების განზრახვით სულაც არ გამგზავრებულა ინგლისში, მოგზაურობის ჟინმა აიყოლია, ეგ იყო და ეგ...

ნახავ, პარიზული შთაბეჭდილებებითაც როგორ მოიხიბლებიან ჩვენი მოწაფეები, შენ ოღონდ თავი მოაბიო, – ცდას არ დააკლებდა ნინო ნაკაშიძე.

* * *

1900 წელი – წელი მსოფლიო გამოფენის.

პარიზი.

ლათინური უბანი, პანთეონის მოედანი, სასტუმრო „ოტელ დე გრან-ზომი“, ჟან-ჟაკ რუსოს ძეგლის ჩრდილში.

აქ ცხოვრობენ – სხვადასხვა სართულზე – ანდრია დეკანოზიშვილი და არჩილ ჯორჯაძე, უკვე ძველ პარიზელებად აღიარებულნი ახალჩასულ ქართველთა თვალში.

ზურაბ ავალიშვილსაც ძველი პარიზელივით შეეგებებოდა არჩილი.

ვასილევის კუნძულზე გამომშვიდობებას ერთად გატარებული პარიზული დღეები შეცვლიდა.

თუმც უფრო მნიშვნელოვანი მათი ის ხელმეორე შეხვედრა აღმოჩნდებოდა საფრანგეთის დედაქალაქში, რამდენიმე წლის შემდეგ რომ მოუწევდათ.

ანდრია დეკანოზიშვილი არაერთი ახალჩასულის პატრონობას ითავებდა და, მათ შორის, იაკობ ნიკოლაძისას, ოგიუსტ როდენს ვინც დაემოწაფებოდა და საქართველოს თვალსაჩინო მოქანდაკედ მოევლინებოდა.

ჯერ პარიზის სადგურზე ჩასულს ანდრია უნდა დახვდეს და სასტუმროში წაიყვანოს.

და არჩილ ჯორჯაძე იქ უნდა გაიცნოს, პირველი შეხვედრისთანავე რომ მოიხიბლებოდა მისი სიმშვიდით, სიტყვაძუნწობითა და

თვალებში გამომჭვირვალე სევდით. სახეზე ისეთი ფერი გადასდიოდა, თითქოს რაღაც აწუხებსო. და სკულპტორის მზერა მაშინვე შეამჩნევდა მის განსაკუთრებულ, ფრიად დამახასიათებელ მჯდომარე პოზასა და ხელების დაჭერის მანერას, რასაც ფიზიკური ნაკლი იწვევდა.

გაივლის წლები – სამწუხაროდ, არცთუ ბევრი – და სწორედ იაკობ ნიკოლაძე ითავებს არჩილის საფლავზე ძეგლის დადგმას.

ჯერ დიდ ყურადღებასა და გულისხმიერებას იგრძნობდა მისგანაც, რაც გაუადვილებდა პარიზულ ცხოვრებასთან შეჩვევას, მაგრამ მასთან და იქაურ ქართველობასთან ხანგრძლივი საუბრები სოციალურ თუ პოლიტიკურ თემებზე, იაკობ ნიკოლაძესაც იმავე შთაბეჭდილებას დაუტოვებდა, რაც სხვებს.

გახსოვთ თედო სახოკიას: არჩილს სამშობლოსათვის ზრუნვა მოცლილი ადამიანის საქმედ მიაჩნდაო?

არც მოქანდაკე დაფარავდა:

– არჩილი მაშინ ისეთ საკითხებსა სწავლობდა, რომელთაც შემდეგ ცოტა კავშირი ჰქონდა ბოლო ხნის მის ნაწერებთან; მისი შეხედულებანი მაშინ მეტად კოსმოპოლიტური იყო.

და კიდევ:

– ეძნელებოდა ლიტერატურული წერა ქართულ ენაზე.

იაკობი ახალჩასულია და ჯერ ნივთიერ შეჭირვებას ისე ძალიან არ განიცდის. მის ძმას პარიზში შვიდი წელი ეცხოვრა და უმცროსს წინასწარვე დაარიგებდა: ძვირი ქალაქია და საუზმის შინ მომზადება გერჩივნოსო. ანდრია დეკანოზიშვილი სხვაგან სადილობდა და იაკობს სთხოვდა, არჩილი მეტად შეჭირვებულია და იქნებ ისე მოახერხო, რომ შენთან ისაუზმოსო. ეს სიამოვნებით კი გაუნაწილებდა საუზმეს, მაგრამ მოსახერხებელიც ის გახლდათ, რომ არჩილის თავმოყვარეობა არ შელახულიყო, თორემ ძალიან ითაკილებდა და ვერარა ძალა ვერ დაიყაბულებდა.

და მოქანდაკის იმ ფრაზაში აშკარად იგრძნობა თავმომწონეობა თავისი სიმარჯვით:

– შემდეგ მე და ის ხშირად ვსაუზმობდით ერთად.

დილაადრიან სამხატვრო აკადემიაში მიდიოდა და შინ საუზმისათვის 12 საათზე რომ ბრუნდებოდა, არჩილი ჯერაც ლოგინში იწვა ხოლმე. ეს მიადგებოდა მისი ოთახის კარს და ერთ რახარუხს აუტეხდა.

რა ზარმაციაო, – ფიქრობდა.

მხოლოდ მოგვიანებით უნდა შეიტყოს, რომ ეს ზარმაცი არჩილი... თურმე ღამით განუწყვეტლივ მუშაობდა და ხშირად დილის 6-7 საათზე იძინებდა.

აქვე ერთი საგულისხმო დეტალიც პარიზელ ქართველთა მაშინდელი ყოფიდან:

– შემდეგ ყველანი ქ-ნ ნიკოლაძესთან ვსადილობდით. მაგრამ ჩვენი სადილები ერთი აურზაურით თავდებოდა ხოლმე, რადგან მუდამ დიდი შეჯახება იყო სხვადასხვა აზრებისა.

რამდენიმე ხანში პატარა ატელიეს დაიქირავებდა და მოაწყობდა და იქ ჭიქა ყავასა ან ღვინოზე იკრიბებოდნენ ქართველი ახალგაზრდები, გართობითაც ერთობოდნენ და ქვეყნის ბედზეც ბევრს ლაპარაკობდნენ.

იაკობს ძმა შემოუთვლიდა, რომ ერთ საქმეზე მოელაპარაკა ძლიერ მდიდარსა და სახელგანთქმული გამომცემლობის დირექტორთან ფურნიესთან. ფრანგული ჯერ რიგიანად არ შეესწავლა და არჩილს სთხოვდა წაყოლას თარჯიმნად. ფურნიესთან რომ შევიდოდნენ, იაკობი ჯერ თვითონ მიეახლებოდა, გაეცნობოდა და შემდეგ არჩილს ასე წარუდგენდა:

– თავადი ჯორჯაძე.

მეტი ფრანგული მგონი აღარც იცოდა.

ფურნიე მაშინვე წამოხტებოდა და დიდი თავაზიანობით გაუბამდა არჩილს ბაასს. და როდესაც მასპინძელს გამოემშვიდობებოდნენ, არჩილი თანამგზავრს ნაწყენი კილოთი ეტყოდა:

– რა საჭირო იყო ჩემი თავადობის გამჟღავნება. ჯერ ჩემი ტანისამოსისათვის შეგეხედნა და მერე დაგესახელებინე.

საყვედური მხოლოდ იმას არ გამოუწვევია, რომ ჩაცმულობით ვერ შეეფერებოდა ქართველ თავადიშვილს. თურმე საერთოდაც ძალიან მოსდიოდა გული, როდესაც თავადს უწოდებდნენ. მემუარისტი ამ დეტალს კი გვამცნობს, თუმც მიზეზს აღარ გვიმხელს. ან აღარ უკვირდება, ან ზედმეტად მიიჩნევს მის გაშიფრვას. არადა, რა გასაკვირია, თავადად მოხსენიება რომ ეხამუშებოდეს – ანარქისტობს, სოციალისტობს, კოსმოპოლიტობს და მსოფლიო მოქალაქის სახელი ურჩევნია თავადისას, რაც ყოველთვის შეახსენებს ქართულ წარმომავლობასა და ეროვნულ ტრადიციებს. გამოსცილებია ამ წოდებას, დაგმობით არ დაუგმია, მაგრამ გამოსცილებია კი და წამდაუწუმ შეხსენება კარგ გუნებაზე ვერ დააყენებს. ეს ახლა, თორემ განა რამდენიმე წლის შემდეგაც იხამუშებდა ასე ძალი-

ან. სოციალისტური შეხედულებანი შერჩენოდა, მაგრამ ეროვნული ფესვებიც მძაფრად შეახსენებდა თავს.

ისე ის ცნობაც რაოდენ საგულისხმოა, რომ:

არჩილს პარიზში „რომანიც" ჰქონია...

რომანი იაკობ ნიკოლაძეს წინწკლებში იმიტომ მოუქცევია, რომ მთელი სასიყვარულო ამბავი სულ ენაა –

მოსვენებას არ აძლევს ერთი ქალი (ვინაობა დაშიფრულია: ს-ნა), უგზავნის ოთახში ვარდებს, ხილეულსა და შამპანურს. ეს ძლიერ ჯავრობს, როდესაც ქალის გზავნილს დაინახავს და საჩქაროდ უკანვე ატანს მსახურს.

იაკობი ასეთ გარიდებას იმით ახსნიდა: არჩილი ისე გაუტაცნია თავის იდეებს, ყველა ამქვეყნიური სიამოვნება დავიწყნიაო.

ნაცნობ-მეგობრები ბევრს იცინებდნენ და იხალისებდნენ ქალის ამ დაჟინებაზეც და არჩილის ასეთ თავგამოდებაზეც, ერთხელაც რომ არ შეხვდებოდა ს–ნას, სიტყვასა და ღიმილსაც არ აღირსებდა, თავაზიანობის განსახიერებად აღიარებული მადლობასაც კი არ შეუთვლიდა. თუმც რა მადლობა, წონასწორობას ჰკარგავდა და, დიდი შინაგანი კულტურა და დახვეწილობა რომ არა, შეთვლა მაშინ გენახათ.

ისიც რა მიდეგა გამოდგებოდა.

ესეც რა ჯიუტი.

როგორ მიდის შენი რომანიო, – შეეხუმრებოდნენ მეგობრები, – ვარდებს თუ უბრუნებ, ხილი და შამპანური მაინც დაიტოვე ჩვენთვისო.

რამდენიმე წლის შემდეგ პარიზში დაბრუნებული მოქანდაკე ისევ რომ შეხვდებოდა კვლავ მიბრუნებულ არჩილსაც, გამხდარსა და გაყვითლებულს იხილავდა, ლოგინში გაუნძრევლად მწოლიარეს და მოერიდებოდა ის ქალი გაეხსენებინა... ღიმილისა და ხუმრობის გუნებაზე ვეღარ დადგებოდა და მხოლოდ სიკვდილის დაღს დააჩერდებოდა, ასე ულმობლად დაჩნეულს სპეტაკ სახეზე.

თავი მეხუთე

ძე შეცდომილის დაბრუნება

როგორ იყო დარწმუნებული: სიცოცხლის აზრი ვპოვეო.

როგორ ეიმედებოდა: ჩემი ღვთისმაძიებლობა ფუჭად და უნუგეშოდ არ ჩამივლისო.

გზა უკვე ეპოვნა, ღმერთთან მისასვლელი და ამ ბილიკებით ის ბერიკაცი დაატარებდა, ლიტერატურული სამყარო სულგანაბული რომ მისჩერებოდა და მაცხოვრის ნამდვილი სახის საძიებლად ანთებული ადამიანებიც მის რჩევებს გაიხდიდნენ მანათობელ ჩირაღდნად.

სხვა მოძღვარი არცა სურდა.

მისი თვისტომი რომ არ იყო?

რა ბედენაა თვისტომობა, როდესაც ყველა ადამიანი ერთმანეთის ძმა და თვისია. და ტერიტორიული საზღვრები ისედაც უნდა მოიშალოს – და რაც დროულად, მით უკეთესი.

როგორ დარწმუნებულიყო და... როგორ გადაუტრიალდებოდა აზრიც და სწრაფვაც, როგორ შეირყეოდა სული და მოპოვებული ჭეშმარიტებანი ქვიშის მარცვლებივით ჩაებნეოდა ხელში.

ყველაფერი აიბურდებოდა და დალაგდებოდა.

ლიბრი გადაეწმინდებოდა თვალებს.

და მზერას პირველხილვის გზნება და სიცხოველე, სინათლე და მკაფიობა დაუბრუნდებოდა.

უძლები შვილი, გასავათებული და სინანულით შეპყრობილი, უახლოვდებოდა ჭეშმარიტ მამას – ყალბი, მოჩვენებითი მამის ნაცვალს.

ილია ჭავჭავაძეს – ლევ ტოლსტოის მაგივრად.

– იყო დრო, როდესაც სამშობლო და მამული ჩემთვის ცარიელი სიტყვა იყო. იყო დრო, როდესაც ვითომ ღმერთს ვეძებდი, სინამდვილეში კი უიმედო, უსაგნო და უმიზნო სიცოცხლეს ვაჩანჩალებდი.

აღსარების გუნებაზე ანეტა ოქრომჭედლიშვილი-ბაბეს წინაშე დადგება, ბაგე თუ ვერ ამოიტყოდა სინანულს, ფურცელს გაანდობდა და ბარათში გამოხვევდა.

– რამდენიმე წელიწადია ყველა ამას თავი დავაღწიე, ჩემს გულში აღმოვაჩინე ის, რაც ჩემი არ მეგონა, ვიპოვე სიცოცხლის საგანი, ადამიანი და ხალხი შემიყვარდა. შევიგნე, რომ განსაზღვრულ წრეში, იმ ხალხის წრეში, რომელმაც მასწავლა და ფეხზე წამომაყენა და რომლის ვალიც მმართებდა, შემეძლო მოქმედება, განხორციელება სიკეთისა, ჭეშმარიტებისა, ყველა იმისა, რაც ღვივის ადამიანის გულში და რაც სურს მას სხვას განუზიაროს.

თითქოს წყალგამყოფი მიჯნა გაჩენილა მის ცხოვრებაში, მდინარის ორ ნაპირს შემაერთებელი ხიდი გამოცლია და ეს განცდა აღაფრთოვანებს კიდეც და სულსაც უამებს, გაღმა ნაპირს აღარასოდეს დავუბრუნდებიო.

– ამ დროდან შედარებით ბედნიერი ვარ, რომ მზად ვარ ყველაფერი მივცე ამ აზრის განხორციელებისათვის, რომელმაც მე გამაცოცხლა.

* * *

1901 წლის გაზაფხულია და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში გიორგი ლასხიშვილი და შაქრო ბილანიშვილი სხედან.

კარი იღება და შემოდის ვიღაც ახალგაზრდა, მეტად სიმპათიური, ვინც გიორგი ლასხიშვილს იკითხავს.

მე გახლავართო, – ეს წამოიწევს, ხელსაც გაუწვდის და ის რომ თავისას შემოაგებებს: არჩილ ჯორჯაძეო, – დაატანს.

– ვიცი, მსმენიაო, – ამას ღიმილი გადაეფინება და სკამსაც რომ შესთავაზებს, ის საზურგეს მოავლებს თუ არა ხელს, ჯერ არც დამჯდარა: რას იტყვით, თქვენთან რომ ვიმუშაოო. შეჰყვებოდნენ და შეჰყვებოდნენ სჯა-ბაასს.

მე იმას არ ვიცნობდი, თუმცა მისი ამხანაგებისგან ცოტა რამ გაგონილი მქონდაო, – ამ შენიშვნას იკმარებს გიორგი ლასხიშვილი მემუარებში და ზუსტად აღარ ახსოვს თუ ზედმეტად მიაჩნია იმის აღნიშვნა, რომ არჩილს „ცნობის ფურცელში“ უკვე აქვს რამდენიმე სტატია გამოქვეყნებული, თედო სახოკიას ხელშია გამოვლილი და პარიზიდან გამოგზავნილი, და ახლა უცხო გარემოში კი არ შეუბიჯებია, არამედ ყველაზე ნაცნობსა და მშობლიურში, იმ ყველაზე მყარ ძაფს მოსჭიდებია, საიდანაც უნდა დაადგეს საქვეყნო გზებს.

ამიტომაც არ უძნელდება, გაცნობისთანავე სამსახური შესთავაზოს იმ კაცს, ვინც ამ რედაქციის სული და გული შექმნილა და გაზეთის პირველი ნომრის მოწინავის დაწერა, რედაქციის საპროგრამო წერილისა, მისთვის ამიტომაც მიუნდიათ.

არჩილი მოუწონებდა იმ წერილს, გულზე მოსჭიდებოდა ეს მრწამსი და ამათთან ამიტომაც ეძიებდა დაახლოების გზას, და თუმც გიორგი ლასხიშვილი შესჩივლებდა, ცენზურამ საკმაოდ დამიმახინჯაო, და რომც არ ეთქვა, ისედაც საფიქრებელი ჩანდა, რომ ლიტერატურული ცერბერი ასეთ სულისკვეთებას სრულ გასაქანს არ მისცემდა.

– 60-იანი წლების თაობამ აღმართა ეროვნული დროშა. ჩვენ ამ დროშას ვიღებთ ხელში, მაგრამ გვინდა ის ახალ ნიადაგზე გადავიტანოთო, – აცხადებდა პროგრამის შემქმნელი რედაქციისა და თანამოაზრეთა სახელით, ილიასა და მისი თაობის მოღვაწეობას პატივს მიაგებდა, დაფასებით დააფასებდა, მაგრამ დროშა კი უკვე უნდა გადმოებარებინათ, ვერ დაელოდებოდნენ, ისინი როდის გამოუწვდიდნენ, ჩვენი კალო გავლეწეთ და ახლა თქვენ დაგკისრებიათ საქვეყნო მოვალეობაო.

ახალ ნიადაგზე გადავიტანოთო, – იმიტომაც უბეჯითებდათ, რომ ამ ახალ ნიადაგს, ამათი შეტყობით, ისინი ვეღარ გაწვდებოდნენ და სასიკეთო წამოწყება იქნებ ჩიხშიც შეეყვანათ.

თავაზიანობის გამოჩენა სჯობდა.

და თავაზითაც ისტუმრებდნენ ასპარეზიდან, აბა, სოციალ–დემოკრატებივით ხომ არ აუხირდებოდნენ, თქვენი დროშები ხალხმა თვითონვე უარყო და მოისროლა და გიჯობთ თავზე ნაცარი წაიყაროთ და მოინანიოთ ის ცოდვები, ხალხს ამდენხანს რომ უმღვრევდით გონებას ნაციონალიზმითა და ოცნების საქართველოთიო.

ელიმებოდა ილიას სოციალ-დემოკრატთა ფართი-ფურთზეც და იმ მოთხოვნაზეც: მოინანიეთო.

ამაზეც ჩაელიმებოდა, ცნობისფურცლელთა თავაზიანობაზე: თქვენს დროშას ჩვენ ვიღებთ ხელშიო.

ახალი ნიადაგი მაინც რას გულისხმობდა?

პროგრამაში ესეც განმარტებულიყო:

– ეს ნიადაგი არის ახალი სოციალისტური სტრუქტურა, რომელიც მოჰყვა გლეხთა განთავისუფლებას. ძველი ფეოდალური ურთიერთობა იშლება და ახალ წესწყობილებას უთმობს ადგილს; ქვეყანა გაევროპიელების გზას დაადგა და საისტორიო არენაზე გამო-

დის თვით ხალხი, მშრომელი ხალხი. ჩვენი ცდა იქნება ეროვნული იდეა შეუფარდოთ ამ ახალ სოციალურ ნიადაგს, ეროვნული დროშა გადავიტანოთ ახალ ელემენტში – ხალხში...

როგორ არ ჩაეღიმა: ხალხი რას ნიშნავს, მათი ერთობა და სულისკვეთება, მათი ისტორიული ფესვი და ძარღვი, მათი მტკიცე მრწამსი და გარდასახვანი ეპოქათა შესაფერისად, ამასაც მე მასწავლიანო?!.

სულ უფრო მონდომებით დაუწყებდნენ ჩაგონებას ცნობისფრცლელები.

მაინც ეს სჯობდა, ჩაბნელებული კუთხეებიდან – აივნისა თუ ბუჩქებისა – მათი თავდასხმა მაინც არა ყოფილა მოსალოდნელი. ჯერ სოციალ-დემოკრატებიც ვერა ბედავდნენ მაუზერიანი ხელის დაქნევას. დრო სჭირდებოდათ, მოვლენები თვითონვე უკარნახებდათ, როდის გამომსხლტარიყო ტყვია.

ჩვენ ამ ეროვნულ დროშას ვიღებთ ხელშიო...

ნოე ჟორდანიასავით კი არ უარყოფდა გიორგი ლასხიშვილი ილიას მიპატიჟებას „ივერიის" რედაქციაში, თითონვე აგრძნობინებდა თანამშრომლობის სურვილს და პირველივე დაძახილზე მასთან გაჩნდებოდა.

ილია თითქმის უკვე ჩამოცილებოდა სარედაქციო საქმეებს, შორიდან თვალს ადევნებდა, ხანდახან კიდეც შეივლიდა და მეთაურ სტატიასაც გაამზადებდა, მაგრამ მის მჩქეფარებას აღარ ქმნიდა და ცოტა გულიც აყროდა: ღირს თუ არა ღირს, რომ გაზეთის გამოცემაზე იზრუნო ადამიანმა, ფუჭად გადაყრილი ფული ხომ არ არის, რაც მისი გამოსვლისათვის იხარჯებაო.

600 ეგზემპლარისათვის ვერ გადაეცილებინა და: ამდენ ადამიანს ისედაც ხშირად ჩამოვივლი და დაველაპარაკები, ამდენი ადამიანისათვის ისედაც არ გამიძნელდება ხმის მიწვდენა და ფული იქნებ უკეთეს საქმეს მოვახმაროო, – საგონებელში ჩავარდნილიყო. ვერც ეთმობოდა და ენთუზიაზმიც განელებოდა. ნეტა საით გადაძლევდა? გიორგი ლასხიშვილი ჯერ ახლა შებმოდა რედაქციის უღელს და ისეთი მსუბუქი ეჩვენებოდა, ვერ აეხსნა, გასაბეზრებელი რა უნდა ყოფილიყო.

– თუ რაიმეში ღირს ფულის დახარჯვა, გაზეთის გამოცემაშიო, – ილიას უმტკიცებდა და თანდათან რომ დაწინაურდებოდა, ერთხანს სულაც იგი განაგებდა „ივერიას". არა, ეს 600 ეგზემპლარი არც მას ეჭაშნიკებოდა და სულ იმის ფიქრსა და განსჯაში რომ გახლდათ, ტი-

რაჟი როგორ შეიძლება გაიზარდოსო, ყველაზე რეალურ და სანდო გზად გაზეთის პოლიგრაფიული იერის გაუმჯობესებას მიიჩნევდა.

ასე რომ მოვიქცეთო? – მოეთათბირებოდა ილიას.

მართალი ხარ, ეგ დიდი ხნის წინათაც მიფიქრია, მაგრამ საამისო სახსარი არ მომდევსო, – ის თავის გულისტკივილს გაუზიარებდა და მაშინვე დასძენდა: ნეტა ფულს ხომ არა ვყრი, ამ გაზეთს ასე რომ ჩამოვკიდებივარო.

ეს სხვა მხრივაც არ იყაბულებდა „ივერიის“ სულისკვეთებასა და შინაარსს: ეროვნულობა და სოციალიზმი თუ არ მოვარიგეთ, დროებას ჩამოვრჩებითო და გაცდენილ წლებს ვერაფრისდიდებით ვერ ავინაზღაურებთო.

მოურიგებლის მორიგება წარმოუდგენელია და ფუჭი სწრაფვაო, – მწარე ღიმილით გადმოუგდებდა „ოთარაანთ ქვრივის“ შემოქმედი და, როდესაც გიორგი ლასხიშვილთან ერთად კიტა აბაშიძე და ილია ნაკაშიძეც რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასა და რომანოვთა დინასტიის დამხობას აუცილებლად მიიჩნევდნენ, ილია ისეთი გზნებით შეებმოდათ, თითქოს წვეულებაზე კი არ არიან, ტრიბუნაზე შეტაკებიან ერთმანეთს პოლიტიკური მოქიშპენიო.

რუსეთის რევოლუციისა არაფერი მწამსო, – განუცხადებდათ, – გლეხობაც, მუშებიც, ჩინოვნიკობაც და ინტელიგენციაც ერთნაირად არ ინდობა, ეს რევოლუცია ძალზე პრობლემატური და შორეული ამბავია და არც არის სახეირო ჩვენთვის, ქართველებისათვის, თვითმპყრობელობის მოსპობა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარებაო:

– თქვენ რომ ოცნებობთ, იმისთანა თანასწორობის, ერთობის და ძმობის, უმაღლესი სამართლიანობის სამეფო ჯერ ძლიერ შორს არის, არა თუ რუსეთისთვის, არამედ განათლებულ და განვითარებულ ინგლისისა და საფრანგეთისთვისაც. ხოლო დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება რუსეთში, ჩვენ, ქართველებს, დიდ საშიშროებას გვიქადის. რუსის საზოგადოებასა და ხალხში დიდი პოტენციალური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს... ამიტომ ჩვენ, არარუსებს, შესაძლებლობა გვაქვს ვიარსებოთ და ვისუნთქოთ. ახლა რუსეთი ვერ გვისწრებს წინ, ჩვენ ვახერხებთ და მივდევთ უკან. იმდენი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა არ შესწევს, რომ საგრძნობლად გაგვისწროს და მერე, როგორც ჩამორჩენილი, ველური ხალხი, გადაგვყლაპოს. ხოლო თუ ბორკილს მოიშორებს და თავისუფლებას მოიპოვებს, იგი ძლიერის სიჩქარით წავა

ნინ, ჯერ ეკონომიურად დაგვიპყრობს და მერე ან გაგვარუსებს, ან აღგვგვის დედამიწის პირისაგან.

პოლონელებსა და ფინელებსაც იგივე საფრთხე არ ემუქრებოდათ?

თურმე არა, რადგანაც მძლავრად გამოიყურებოდნენ როგორც ეკონომიკურად, ისე ეროვნული შეგნებით. ამიტომ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ საკონსტიტუციო რეჟიმსაც და რუსებს თამამად შეემეტოქებოდნენ.

ჩვენც ჯერ ეკონომიკურად და ეროვნული თვითშეგნებით უნდა მოვმძლავრებულიყავით და მერე გვეფიქრა საკონსტიტუციო რეჟიმის დამკვიდრებაზე.

რევოლუცია მიუჩენს ყველაფერს თავთავის ადგილსო. – შეეპასუხებოდნენ ახალგაზრდები, ილია კი მწარედ ჩაიცინებდა: მოეშვით ამ რევოლუციაზე ოცნებას და რეალურ საქმეს მიხედეთო.

რეალური საქმე ეს არისო, – არ დაუთმობდნენ და ისევ საკონსტიტუციო რეჟიმის აუცილებლობას დაუბრუნდებოდნენ: სწორედ ეს წყობა მისცემს ხელთ ქართველ ხალხსაც მძლავრ იარაღს ზრდისა და განვითარებისათვისო.

ტყუვდებით ყმაწვილებოო, – ილიაც იქნებოდა, პასუხი ვერ მოეფიქრებინა და გაყუჩებოდათ, – თანამედროვე საკონსტიტუციო რეჟიმი ძლიერებს ამაგრებს, ხოლო სუსტებს მონებად აქცევსო.

ესენიც იქნებოდნენ, ავტორიტეტის წინაშე ქედი მოეხარათ.

მოსაზრებას მოსაზრებაზე მოიხმობდნენ, ციტატს ციტატზე დაახვავებდნენ.

თავმომწონედაც გამოემშვიდობებოდნენ, მოგერიებით გვიგერიებდა, მაგრამ არგუმენტები არც ჩვენ შემოგვკლებიაო.

საკონსტიტუციო რეჟიმი ძლიერებს ამაგრებსო...

წლებს უნდა გაევლო და გიორგი ლასხიშვილი მემუარებს ჩაჯდომოდა, ილიას ის მტკიცება, ის მსოფლგანცდა, მაშინ ასე უნდოდ და ეჭვით მიღებული, უკვე ასე რომ შეეფასებინა:

– რამდენი სიმართლეა ილიას ამ სიტყვებში, რა ღრმა გაგებაა თანამედროვე ბურჟუაზიულ-პარლამენტარული თავისუფლებისა.

მაშინ კი, გამობრუნებულები, ერთმანეთს შესჩიოდნენ, ეტყობა, გულისყურით არ მოგვისმინა, რომ ეს რეჟიმი მხოლოდ ეტაპია, საფეხურია, რომლის შემწეობითაც გათავისუფლებული კაცობრიობა უფრო მაღალსა და სამართლიან სამეფოს დაამყარებსო. რატომ უნდა აკვროდა ნაღვლიანი ღიმილი და ცივი წყალი რატომ უნდა გადაესხა ჩვენთვის: ჯერჯერობით ეგ ნამდვილი ოცნება და

ზღაპარია, ყოველ შემთხვევაში ისეთი შორეული ამბავია, რომ სანამ პავლე მოვა, პეტრეს ტყავს გააძრობენო.

და გიორგი ლასხიშვილი კიტა აბაშიძეს ჩაეკითხებოდა: თუ არ მეშლება, რევოლუცია ქართულ მწერლობაში პირველად ილიამ ახსენა „მგზავრის წერილებშიო".

მგონი მანამდე მართლა არავის უნდა ეხსენებინაო, – თანამოსაუბრე ვერ დაიბეჯითებდა, მაგრამ ერთი თვალის გადავლებით ასე მოჩანდა და უკვირდა ორივეს, რევოლუციის დითირამბის ავტორმა ასე როგორ აქცია ზურგი კაცობრიობის ხსნის ამ ყველაზე უკეთეს გზას, უკეთესსა და ყველაზე რეალურსო.

– აი, თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფიო, – ილია ჭავჭავაძე თვალს მოჰკრავდა თუ არა სცენაზე კორესპონდენტების სკამზე მოკალათებულ გიორგი ლასხიშვილს, მაშინვე მისკენ გაემართებოდა და გულისწუხილს პირველად მას გაუზიარებდა, ლოდად რომ დასწოლოდა და ვინმესთან უნდა ამოეთქვა, თორემ გასკდებოდა გული, სწორედ ის თანამშრომელი შერჩებოდა ხელთ, ვისთვისაც ციმბირის სატანჯველს ჭკუა ვერ ესწავლებინა და ჟურნალისტისათვის ყველაზე შესაფერის გზად კვლავაც ვითარების უკიდურესი გამწვავება ესახებოდა.

წუხდა, პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად რომ ჯერჯერობით ვერაფერი გაეწყო, ვერც ოფიციალურად გამოცხადებული, ვერც იატაკქვეშა მოძრაობისათვის თავი ვერ მოება და ჟურნალისტობას შერჩენოდა და აქ მაინც მოეოხებინა გული, როგორც თვითონ ენება – არც მის სტატიებს მოკლებოდა სიცხარე და უკიდურესობა და სხვათაც საამისოდ აგულიანებდა. ცენზურა ყველაფერს ვეღარ მიადევნებდა თვალს, წაშლა-წაშლაში რაღაც-რაღაცები გამორჩებოდა და ასე თანდათან დაგროვდებოდა მეამბოხური სულისკვეთებით გაჟღენთილი მასალები.

მოეშვი ამ რევოლუციონერობასო, – აფრთხილებდა ილია, – ბოლოსდაბოლოს ყველაფერი შეიძლება თქვა ისე, საპყრობილესაც გადაურჩე და გაზეთის დახურვასაცო.

რევოლუციონერობა თქვენგან ვისწავლეო, – მორიდებით შეჰკადრებდა კატორღაგამოვლილი ჟურნალისტი.

ილია არ უარობდა რევოლუციის აპოლოგეტობას თავის სიჭაბუკეში, თუმც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენები ისე დატრიალებულიყო, ხელაღებით აღარ უნდა მინდობოდი რევოლუციურ ცვლილებათა კარნახს.

საპყრობილესაც გადაურჩე და გაზეთის დახურვასაცო...

ხელახალ დატუსაღებას გადარჩებოდა, მაგრამ გაზეთი კი...

ამას შესჩიოდა ილია, საყვედურიც რომ გამოერია:

– ეს არის ქაღალდი მომივიდა „ივერიის“ დახურვის შესახებ.

ეგონა, შენიშვნას მაკმარებენო, საცენზურო კომიტეტში რომ გამოიძახებდნენ 1896 წლის 4 აპრილს და „თომაანთ კობას“ ანუ იაკობ ცინცაძის ფელეტონს გაუშლიდნენ მაგიდაზე, უწყინარსათაურიანს – „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან“, მაგრამ შიგ ტრიალებდა, რაც ტრიალებდა. ფელეტონი ავტობიოგრაფიული ყაიდისა გახლდათ და უცოდველ სემინარიელ ფეფენაშვილში თვითონ ავტორი იგულისხმებოდა. მწარედ ჩარჩენოდა ხსოვნაში მაშინდელი თავგადასავალი და სიმძაფრე ამიტომაც არ მოაკლდებოდა სასულიერო სემინარიის იმ უმსგავსი ხანის აღწერას, ჩუდეცკის რექტორობას რომ უკავშირდებოდა, არეულობებსა და ამისთანებს. თხრობა რამდენადაც მიუკერძოებელი და სანდო გახლდათ, იმდენადვე შემაშფოთებელი ხელისუფლებისათვის: გინდა თუ არა, „ივერია“ სემინარიის მოსწავლეებში აღმზრდელთა მიმართ ურჩობისა და სიძულვილის სულისკვეთებას ნერგავსო, – და დაიძრებოდა და დაიძრებოდა. რედაქტორ-გამომცემელს ოფიციალურ შენიშვნას რომ გამოუცხადებდა საცენზურო კომიტეტი, უშუალო ცენზორს მკაცრი საყვედურის ღირსად სცნობდა და, რაც მთავარია, საიდუმლო შეტყობინებით სთხოვდა მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს „ივერიის“ დასჯას ადმინისტრაციული წესით. საბაბად იყენებდნენ იმ ფელეტონს, ხელზე ის დაეხვიათ, თორემ გაზეთის ნომრები წამდაუწუმ უმღვრევდათ გულს და მისი დროული აღკვეთა ერჩივნათ. ამიტომაც მზადდებოდა ყველაფერი თანმიმდევრულად და კანცელარია წერილობით შეტყობინებას მიართმევდა მთავარმართებლის საბჭოს:

– „ივერიის“ მიმართულება არ შეესაბამება მთავრობის სულისკვეთებას. გაზეთი მიჰყვება ქართველებში უაღრესად პოპულარული მისი რედაქტორის – ილია ჭავჭავაძის „პარტიულ ხაზს“, ამავე დროს, დაუსაბუთებლად ჰკიცხავს რუსულ, – თვით გაზეთის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, – კავკასიისათვის უცხო წესებს...

ილია ჭავჭავაძის პარტიულ ხაზს მიჰყვებაო...

აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი, მიზეზი, – უსათუოდ ეს სტრიქონი წამოაგონდება ყველას, ვისაც შექსპირის „ოტელოს“ გადაკითხვა უყვარს და შთამბეჭდავ სტრიქონთა თუ პასაჟთა გამეორება.

ნეტა რა პარტიულ ხაზს გულისხმობენ, სად მყავს პარტიაო, – გაოცებით გაიელვებდა გულში ილია ჭავჭავაძე, იმ საიდუმლო შეტყობინების შინაარსი ვარაუდით რომ ამოეცნო, საბჭო კი ბრძანებას სასწრაფოდ შეადგენდა, 10 მაისით დათარიღებულს და ოფიციალურად დასტურჰყოფდა გაზეთის გამოცემის შეჩერებას.

მოელოდა, როგორ არ მოელოდა!..

ეგაა, გიორგი ლასხიშვილი დარჩებოდა სახტად... გიორგი ზდანოვიჩი ჩამოსულიყო ქუთაისიდან და იმას აიყოლიებდა ბანკის კრებაზე დასასწრებად – სახალისოდ, თითქოს სპექტაკლიაო.

ბანკობიადის სერიაო, ასევე იმიტომაც იხსენიებდნენ, სპექტაკლისაგან არც განერჩეოდათ და სკამზე ჩამოჯდომას ვერც მოასწრებდნენ, ილია რომ მოჰკრავდათ თვალს: თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფიო.

კიდევ რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ამას აღარაფერი ესმოდა და მხოლოდ მისჩერებოდა, როგორ იმსხვრეოდა ბროლის კოშკები.

გიორგი ზდანოვიჩის სიტყვები გამოარკვევდა ბურანიდან:

– არა უშავს რა, ილია, გაზეთის დახურვას და მაგგვარ თავში დაკვრასაც თავისი მნიშვნელობა აქვს ერის გამოფხიზლებისათვის.

ილიას მწარედ გაეღიმებოდა:

– მეტი რაღა დაგვრჩენია, მაგით ვინუგეშოთ თავი!

გასცილდებოდათ. მალე ტრიბუნასაც მოევლებოდა. აბა, ბანკობია და – უიმისოდ?..

მთლად იმასაც ვერ მოახერხებდა ხელისუფლება, რომ „ივერიის“ რედაქცია სამუდამოდ გამოეკეტა. უფრო რას გაუწევდნენ ანგარიშს, უფრო რას გაითვალისწინებდნენ, არსად შემონახულა მთავრობის კულუარული ბჭობა-ბაასი ამ უმწვავეს თემაზე, მაგრამ იოლად რომ არ ჩაუვლიდათ, მიხვედრილიყვნენ. ჯერ შორიდან აფრთხილებდათ ილია ჭავჭავაძე, გადამწყვეტი შეჯახებისაგან თავს იკავებდა, მაგრამ სახიფათოდ მოჩანდა მისი დაქადნება: არ ვაპატიებო. ვერ გაიცინებდა ხელისუფლება, რა უნდა დაგვაკლოსო. აწონიდნენ, დაწონიდნენ და: მკაცრ გაფრთხილებად ჩაგვეთვალოს ეს თვეები, რაც „ივერია“ გაუქმებულად გამოცხადდა, და დაე გააგრძელოს არსებობა. როგორც ჩანს, მისი გამოუსვლელობა უფრო დიდ გამოძახილს ჰპოვებს, ვიდრე მისი ნომრები, ბოლოსდაბოლოს ცენზურამ მეტი გაფაციცებით იკითხოს ყოველი სტრიქონი – ტექსტიც და ქვეტექსტიცა.

თითქოს მოდარაჯე თვალი აკლდა რედაქციას.

ასეა თუ ისე, აღდგენით კი აღდგებოდა.

და ახალგაზრდებსაც გულზე მოეშვებოდათ: ჩვენ აღარ დაგვბრალდება მისი დახურვაო.

ამოისუნთქებდა მთავარი გმირიც მთელი ამ დავიდარაბისა.

ეგაა –

ილიასი კვლავაც სწამდა გიორგი ლასხიშვილს, „ივერიისა“ – აღარ.

ეს თითქოს ერთსა და იმავეს გულისხმობს – ილია და „ივერია“, მაგრამ სული ეხუთებოდა ამ რედაქციაში. პარადოქსია? პარადოქსი გახლავთ, მაგრამ ამ შინაგანი გაორებისათვის ვერაფრისდიდებით ვერ მოევლო, და თუმც რედაქტორობა ახლა სულაც მას ჩაბარებოდა, ისეთი განცდა გასჩენოდა, გაზეთის სახელწოდება მამწყვდევს ჩარჩოში, ტვირთივით დამწოლია და წელში ვეღარ გავმართულვარო. რაღაც ახალი ამიტომაც სურდა, იქ ჩემს ნებაზე გავშლი ფრთებსო. და სულ გარე-გარე იმიტომაც იმზირებოდა.

„მოამბის“ დაარსება ძალიან გაახარებდა გიორგი ლასხიშვილს, ხალხოსანთა წრეები შობდა ამ ჟურნალს, რომელსაც ალექსანდრე ჯაბადარი ჩაუდგებოდა სათავეში. მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიიდან რომ გამორიცხავდნენ, ჯერ ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას მოაბამდა თავს და ისეთ ქმნილებებს გამოაქვეყნებდა ზედიზედ და ფეხსაც ისე მტკიცედ მოიკიდებდა: დიდ საქმეს უძღვებიო, – ყველა აღტაცებით მიაჩერდებოდა ამ სასიკეთო წამოწყებას. სხვას იქნებ კიდეც ეკმარა წიგნების გამომცემლის სახელი, მაგრამ ალექსანდრე ჯაბადარი საკუთარ ჟურნალსაც დაისაჭიროებდა და „მოამბეც“ იმ რანგისა გამოჩნდებოდა თავიდანვე, ყველა რომ დაეშურებოდა იქ თანამშრომლობას.

მკითხველის დიდი ცნობისწადილი და გულთბილი, გამამხნევებელი სიტყვები ვერ დაამშვიდებდა გამომცემელს, ვერ მოუდუნებდა სწრაფვას გაუმჯობესებისაკენ, კვლავ მუშტრის თვალით უტრიალებდა და აკვირდებოდა ყველაფერს და ერთხელაც ჟურნალის თანამშრომლებსა და უახლოეს ავტორებს რომ შეკრებდა, გიორგი ლასხიშვილსაც საგანგებოდ მიიწვევდა და საყვედურს გამოთქვამდა: ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ წელიწადზე მეტია აღარ იწერება სტატიები შინაურ ცხოვრებაზე, უცხოეთის პოლიტიკაზე, და საერთოდ, პუბლიცისტიკა სუსტიაო.

დაეთანხმებოდნენ და გამოსავალს რომ დაუწყებდნენ ძებნას, შინაური და უცხოეთის ყოველთვიური მიმოხილვების მიწოდება მას დაევალებოდა – გიორგის, და 1898 წლის იმ დღიდან ამ საქმეს შეებმოდა ერთგულად.

გაზეთისაკენ უფრო მიუწევდა გული. რაკილა პოლიტიკური მიზნები ამოჭროდა გულში, ამ სარბიელისათვის გაზეთი უჯობდათ. ალექსანდრე ჯაბადარსაც ჩამოუგდებდნენ სიტყვას, იქნებ იქით გადაგვენაცვლებინაო, და მტკიცებასაც რომ დაუწყებდნენ, იმ საზოგადოებრივ რეალობაში რითი სჯობდა გაზეთი ჟურნალს, გამომცემლობისა და „მოამბის“ ხელმძღვანელი დიდხანსაც არ ალაპარაკებდათ: ჩემი სურვილიც ეგ არის, განა გაზეთის დაარსებაზეც არ მიფიქრია, ცდითაც მიცდია გამოცემის ნებართვის მოპოვება, მაგრამ ვერაფრისდიდებით ვერ მივაღწიე, მეცადინეობას კვლავაც არ დავაკლებ, მაგრამ რეალურად რას მივაღწევ, რა მოგახსენოთო.

სიფრთხილეს ამჯობინებდა ხელისუფლება – ამათ ხელში ადვილად რატომ უნდა ჩაეგდოთ გაზეთი. მისი გამოცემის აუცილებლობა ამათ თუ გაეგებოდათ, იმათაც არანაკლებ.

სხედან და ასკდებიან გულს.

ჟურნალზე გული არ აცრუებიათ, მაგრამ შემოსალტულ სივრცეში კი გრძნობენ თავს.

ვიღაც ამბავს მოიტანდა: ვალიკო გუნია თავისი ყოველდღიური გაზეთის დახურვას აპირებსო.

„ცნობის ფურცელი“ შეექმნა, თუმც სრული პროგრამის მოპოვება ვერ მოეხერხებინა მისთვის და მხოლოდ ახალი ამბებისა და განცხადებების დაბეჭდვის უფლება ჰქონდა. მომძლავრებას ვერ ახერხებდა, თავს ძლივს ინახავდა, ქრონიკები და განცხადებებიც ყელში ამოუვიდოდა და, დაკეტვას რომ დაუპირებდა, ესენი უკვე ალექსანდრე ჯაბადართან შერბოდნენ: ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა იქნებ აღარც აღარასოდეს მოგვეცესო.

საუკუნის ზღვარია და დიდხანს იდავებდნენ და შეთანხმებით ვერ შეთანხმდებოდნენ, 1900 წელი მიჩნეულიყო თუ არა XX საუკუნის დასაბამად, ათვლა აქედან დაწყებულიყო თუ 1901 წლიდან. ამათ დიდად არ ენაღვლებოდათ ეს დავა-კამათი, გაზეთის ცხოვრების ათვლა იწყებოდა აქედან, პოლიტიკური პარტიის შექმნაც გაილანდებოდა შორითშორად და ეს გახლდათ ყველაფერი მათთვის. ეს რა კაცს შეგვყარა განგებამო, ალექსანდრე ჯაბადარზე აქამდეც ამას ამბობდნენ და ახლა სულ მისი მლოცველნი შეიქნებოდნენ, ის რომ გუნიასაგან შეისყიდდა „ცნობის ფურცელს“, რედაქტორსაც დანიშნავდა, ალექსანდრე ჭყონიას, სარედაქციო გუნდსაც შეადგენდა და უპირველესად, ცხადია, პროგრამის გაფართოებაზე იზრუნებდა.

წლის დამლევს ნებართვაც ხელთ ექნებოდათ.

გაზეთის წარმოება გიორგი ლასხიშვილს მიენდობოდა და შაქრო ბილანიშვილი ამოუდგებოდა გვერდით, ცოტა ხანში ვლადიმერ ლორთქიფანიძესა და ქაიხოსრო ქავთარაძესაც შეიმატებდნენ და ამ რამდენიმე კაცის მხრებზე წამოიმართებოდა ის შენობა, რომელიც მალე პოლიტიკურ პარტიასაც მოიყოლებდა.

ეროვნულ დროშას ახლა ჩვენ ვიღებთ ხელშიო, – საპროგრამო წერილში რომ გამოცხადდებოდა, რასაკვირველია, მარტოდენ სარედაქციო მოღვაწეობა არ იგულისხმებოდა და პოლიტიკურ ასპარეზსაც მოინიშნავდნენ; და უკვე თვალსაჩინოდ რომ გამოიკვეთებოდნენ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში და გული უგრძნობდათ, დროა დავაარსოთ პოლიტიკური პარტია და საზოგადოებასაც ვამცნოთ მისი მრწამსიც და მიმართულებაცო, მაინც ფეხს ითრევდნენ და რაღაცს ელოდნენ.

რაღაცას თუ... ვიღაცას?

განა ვინ უნდა გამოსჩენოდათ ისეთი, ურომლისოდაც გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადაედგათ?

ვერ გადაედგათ კი...

ჩემთვისაც თუ არის რედაქციაში რაიმე საქმეო, – ეკითხებოდათ არჩილ ჯორჯაძე, ყაბულს გახლდათ, რასაც შესთავაზებდნენ, ესთეტიკოსობა და ფილოსოფოსობა პუბლიცისტობაზე გადაეცვალა და მეტს არც განიზრახავდა, პოლიტიკური ორგანიზაციის მოღვაწეობაში ჩასაბმელად შესაფერისი ჯან-ღონე არ მოსდევდა თითქოს, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ეგონა და ჯერ მხოლოდ ის ახარებდა, ასე მხურვალედ რომ შეეგებებოდნენ რედაქციაში და შეუთანხმდებოდნენ: რაკი კახეთში ჩასვლა განგიზრახავს, იქ შენი მამულის მონახულება, დაბრუნდები თუ არა, მუდმივ თანამშრომლად მოგიწვევთო.

ახლა თუ არ წავედი, მერე იმდენი საქმე დამაწვება, გადამეტება და გადამედება მშობლიური სოფლისა და სახლ-კარის მონახულება, – თავს იმართლებდა არჩილ ჯორჯაძე, თუმც გიორგი ლასხიშვილი გაუიოლებდა: აბა, ეგ რაღა სალაპარაკოაო.

მშობლიური სოფლისო...

იყო ასეთი სოფელი საბუე, უჩინარი, უეცრად საერთაშორისო ასპარეზზეც რომ გახმიანდებოდა, როგორც არჩილ ჯორჯაძის პარტიული ფსევდონიმი.

ჯერ ადრეა პარტია.

ჯერ ჟენევის ის ინტერპარტიული კონგრესიც ადრეა.

რაღაცას თუ ვიღაცასო...

შინაარსობრივ მხარეზე ზრუნვას ტექნიკური გაუმჯობესებაც ემატებოდა და დღითიდღე წინაურდებოდა „ცნობის ფურცელი“ ტფილისშიც და პროვინციებშიც და უფრო რუსული გაზეთებისაკენ გადანაცვლებულ მოსახლეობას კვლავ ქართული გაზეთისაკენ შემოაბრუნებდა.

კარგი ქაღალდი, კარგი ახალი შრიფტი, სურათებიანი დამატება.

სტამბასთან ცინკოგრაფიაც დაარსდებოდა სურათების კლიშეების დასამზადებლად.

გიორგი ლასხიშვილი მაშინაც „ივერიის“ ტირაჟს უდარებდა „ცნობის ფურცლის“ ტირაჟის თანდათანობით ზრდას და მოგონებებშიც მას მოიხმობდა თვალსაჩინოებისათვის: იმის 600 ცალს რამდენით გადააჭარბებდა, როდესაც მათი ახალი გაზეთი 1902-1903 წლებში 8000-9000-მდე ავიდოდა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს კი 13000-მდეც მიაღწევდა. არა, ასეთ რეალობაში საგაზეთო ხარჯები აღარ იყო ფულის გადაყრა, თუმც ალექსანდრე ჯაბადარის მოხერხება და ყისმათი ყველას არ აღმოაჩნდებოდა.

ასე გამართავდა ტფილისში უდიდესსა და პირველ ელექტრო-სტამბას – ვანქის ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, რომელსაც საგანგებოდ გააფართოვებდა და მუშებსა და ასოთამწყობებს სარდაფებიდან დიდსა და ნათელ დარბაზებში ამოიყვანდა.

მემუარისტს არც ის გარემოება გამორჩებოდა, რომ ტფილისში პირველად ამ სტამბაში გახდა შესაძლებელი 8-საათიანი სამუშაო დღე.

და კიდევ – ელექტრო-სტამბის მეშვეობით ჩაიგდებდა ხელთ ალექსანდრე ჯაბადარი ამიერკავკასიის რკინიგზის მთელს სასტამბო საქმეს, რაც თავის მხრივ საკმაოდ შემოსავლიანი გახლდათ და ელექტრო-სტამბას ძალიან შეეშველებოდა.

გაზეთის საინფორმაციო მხარის წარმატებაზე ბევრი რამ ეკიდა?

საამისოდაც ძლიერ გაირჯებოდნენ და გიორგი ლასხიშვილი ყოველთვის სიამაყით გაიხსენებდა, „ცნობის ფურცლის“ საინფორმაციო ნაწილი უნაკლო, საუცხოო იყოო.

მთელი იმპერიის გამოცემები „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ ცნობებით ითქვამდნენ სულს და, „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო“ რომ დაარსდებოდა, კიდევ უფრო ოპერატიული და უხვი ცნო-

ბების გარემო, ეს აქციონერული საზოგადოება გაცილებით ძვირს დააფასებდა თავის მასალებს და ყველას არ მიუწვდებოდა ხელი.

„ცნობის ფურცელი“ თამამად მიადგებოდა კარზე და ისეთი ცნობებით გადაავსებდა თავის გვერდებს, სხვა ტფილისური გაზეთები დაგვიანებით რომ დაბეჭდავდნენ.

მეტიც –

სამსონ ფირცხალავა შედარებისათვის მეტყველ საბუთს მოიშველიებდა მემუარებში: რუსეთ-ისპონიის ომის დროს „ცნობის ფურცლის“ მკითხველმა უფრო ადრე იცოდა ბრძოლის ამბები, ვიდრე კავკასიის უმაღლესმა მმართველობამო.

გიორგი ლასხიშვილი მეტი თვალსაჩინოებისათვის კერძო ამბავსაც გაიხსენებდა, თუ როგორ უმტკიცებდნენ ალექსანდრე ჯაბადარს მთავარმართებლის სასახლეში, საიდან მოიტანეთ ადმირალ მაკაროვის დაღუპვის ცნობა, სენსაციის გამოდევნებამ ხომ არ გაცდუნათ და ცრუხმას შეუმოწმებლად დაეყრდენით, თორემ ჩვენ რატომ არაფერი გვსმენია სახელმწიფოსათვის ამ ყველაზე საიმედო მებრძოლის ტრაგიკულ აღსასრულზეო; და კიდეც შეუტანდნენ „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ ცნობას, რომელიც „ცნობის ფურცლის“ ქრონიკების ჩვენებას ადასტურებდა.

„ივერია“ შორს მოუტოვებიათ.

„კვალი“ კვირაში ერთხელ გამოდის და კონკურენტად არც ჩაითვლება.

ალექსანდრე ჯაბადარს ერთადერთი სათხოვარი აქვს რედაქციის წევრებისათვის – ცენზურას მაინც ანგარიში გაუწიეთ, ძალიან ნუ გადაამეტებთ და ისე ნუ გაიხდით საქმეს, გაზეთი დაგვიხურონ, თორემ, ხომ ხედავთ, არაფერს გიშლით და არც არაფერს გახვევთ თავზეო.

„ცნობის ფურცელი“ დღითი დღე წინაურდებოდაო...

გიორგი ლასხიშვილის მემუარები მკაფიოდ გვიმჟღავნებს არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტურ წერილთა სერიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ თვალსაზრისით, და სამსონ ფირცხალავაც ერთ მთავარ საყრდენად გაზეთის პოპულარობისა სწორედ ამ სტატიებს გამოჰყოფს. ტექნიკურ სრულყოფილებასა, ინფორმაციულ ხვავრიელობასა და გაბედულ პუბლიცისტურ გამოსვლებს, ერთი აკვრით რომ წაეჭარბებინა უკვე გამოცდილ ჟურნალისტთათვის და ახალი ილიას გამოჩენაზეც ალაპარაკდებოდნენ მკითხველთა წრეებში.

უკვირდა სამსონს:

ეს კაცი სამუდამოდ დაკარგული მეგონა სამშობლოსათვის და ეს რა ძალად მოგვევლინაო.

გიორგი ლასხიშვილისაგან განსხვავებით, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ახსოვდა და, მეგობრობა თუ არა, კეთილი ურთიერთობა აკავშირებდა ჯერ კიდევ 1893-94 წლებში. ის ერთი წლით ადრე ჩასულიყო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა, ეს – იურიდიულს ამჯობინებდა.

როგორი იერით ჩარჩებოდა ცნობიერებაში?

– სიმპატიური სახე, გონივრული თვალები და ნაზი გამომეტყველება.

ეს ის გარეგნული ნიშნებია, რითაც თურმე ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას მაშინდელ სტუდენტობაში.

არჩილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილსა და ცოტა შემდგომ შემომატებულ ზურაბ ავალიშვილს ცალკე ჯგუფი ჰქონიათ, კიდევ ერთორ ქართველ სტუდენტსაც, რომელთა ვინაობაც მემუარისტს აღარ მოაგონდებოდა, ის კი დამახსოვრებოდა, რომ ეს ჯგუფი „სევერნი ვესტნიკის“ რედაქტორთან ყოფილა დაახლოებული, კრიტიკოს ანატოლ ვოლინსკისთან, მისგან ითვისებდნენ, თუ რამ აინტერესებდათ ფილოსოფიასა და რელიგიაში; და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მათი საუბრებიდან სხვა სტუდენტებთან, რომ სხვა არც არაფერი აღელვებდათ.

მოგვიანებით, პეტრეს ქალაქში სტუმრობისას, ანატოლ ვოლინსკის გრიგოლ რობაქიძეც გაიცნობს ერთი მხატვარი ქალის სალონში.

საუბრისას – მუსაიფის გრეხილშიო, გრიგოლ რობაქიძეს როგორც უფრო უყვარდა თქმა – ქართველობასაც ახსენებდნენ. და აღიარებული კრიტიკოსი ძალდაუტანებლად მოიგონებდა ოდესღაც მისი ხელმძღვანელობით არსებულ სალიტერატურო რკალსა და იმ საქართველოს, რომელთაგან არჩილ ჯორჯაძეს გამოარჩევდა ლაკონური ფრაზით:

– მათზე დახვეწილი იყო.

და თანამოსაუბრეს არასოდეს დაავიწყდებოდა ეს ფრაზა, როგორც ზუსტი, მოკვეთილი სიტყვის ნიმუში.

და თითქოს იმას ეჯიბრება, როდესაც მოინდომებს, რომ თვითონაც ასეთივე მოკვეთილი სიტყვით წარმოსახოს ამ სამი მეგობრის სილუეტები.

და კიდეც:

ზურაბ ავალიშვილი – ეს ცივი ინტელექტი, მძაფრი ირონიით ამახვილებულიო;

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ეს გიჟი ტემპერამენტი, ხანდახან თავდავიწყებამდე ათარეშებულიო;

და მათთან არჩილ ჯორჯაძე – მდუმარე, ფიქრმორეული, ნელი, ნაზიო.

გაეჯიბრებოდა და... გადაწონიდა.

და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ერთი ფრაზაც თავისთავად წამოტივტივდებოდა:

– პეტრეს ქალაქის იმდროინდელ ახალგაზრდობაში არჩილი გენიალური ყმაწვილის შთაბეჭდილებას სტოვებდა, განსაკუთრებით ძლიერი იყო მასში შემოქმედებისათვის ატეხილი სული.

არა, არ ყოფილა არჩილ ჯორჯაძის გამორჩევა ვოლინსკის სუბიექტური განცდების ნაყოფი.

ის კი არა, მარტო „დახვეწილობასა“ და ამგვარ ეპითეტებს ვინ აკმარებდა, აგერ – გენიალური ყმაწვილიო.

და მისი შემოქმედებისათვის ატეხილი სული ისეთი თვალნათლივია, რომ არჩილის სამეცნიერო და რელიგიურ ძიებებს მწერლური სწრაფვის აუცილებელ ნაწილად მიიჩნევენ, თვითკმარ მოვლენადაც, მაგრამ უფრო მხატვრული წარმოსახვების მკვებავ ძარღვად.

ეს მისთვის მძაფრი სულიერი ძიებების ჟამია.სამსონ ფირცხალავა კი მხოლოდ ამ გაკვრით აღნიშვნას კმარობს, გარედან რისთვისაც ოდნავ შეევლო თვალი, იმას გვამცნობს, და იქნებ ზურაბ ავალიშვილის მემუარულმა ჩანაწერმა გაგვიმჟღავნოს უფრო მეტი. ისინი ერთად სტუმრობენ ანატოლ ვოლინსკის, ერთად ისმენენ მის საუბრებსა და რჩევებს, ერთად უსხედან მის მიერ დასახელებულ ფილოსოფიურ-რელიგიურ ლიტერატურას და მოსაზრებებსაც უზიარებენ ერთმანეთს, და იქნებ არც დავა-კამათს გაურბიან. ან რაღა იქნებ – მაძიებელი ბუნების ჭაბუკები, რომელთაც ის სულიერი თვისებაც აახლოებთ, რომ ვერაფრისდიდებით ვერა ჰგუობენ გაკვალულ გზებს, დადგენილ ნორმებსა და ყალიბებს და გაუვალ სივრცეებში შებიჯება ყველაფერს ურჩევნიათ, ასე ადვილად ერთმანეთთანაც ვერ მორიგდებოდნენ და, ვინ იცის, ცხარე დისკუსიებშიც გაეხვეოდნენ.

და ზურაბ ავალიშვილი:

– იმ წლებში, ე.ი. 1894-97, ის განიცდიდა, ვგონებ, დიდ რყევას და თითქმის სულიერ კრიზისსაც.

„სევერნი ვესტნიკის“ რედაქტორთან სტუმრობას არც კი ახსენებს, არამცთუ დამატებითი ცნობებით შეგვივსოს წარმოდგენა. მისთვის მთავარი სწორედ ეს დიდი რყევა და თითქმის სულიერი კრიზისია, და კიდევ ის, რომ არჩილი უეცრად გრძნობს, თუ როგორ აღარ აინტერესებს სამართალი, სახელმწიფო, როგორ აღარაფრად მიაჩნია იურისპრუდენციაც, ყოველ შემთხვევაში, მათი იმჟამინდელი ფორმები.

მაშ საით გადაუნაცვლებია მის ფიქრს, რისკენ მიილტვის დაჟინებით სული და რა ახალი მიზანი აღმოჩნდება თვალსაწიერზე?

– რაზედ არის დამყარებული ადამიანის სინდისი და როგორ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აი, ამგვარი საკითხები აწუხებდნენ მას და, მათი გაღრმავება, ფილოსოფიური დასაბუთებაც გახდა მისი გულწრფელი მისწრაფების საგნად.

თავის მღელვარე ფიქრებში გარკვევას რომ ცდილობდა და ხან გულს აწყდებოდა, ხან მუსაიფისას გადმოუშლიდა მეგობრებს და ხანაც პირად წერილებს მიანდობდა, ერთ ასეთ ბარათს ელენე ჯორჯაძესაც მოსწერდა, თავის ბიძაშვილს, და მასაც ურჩევდა და საკუთარ თავსაც, მოზღვავებული უბედურების წინაშე მდგარი ადამიანის დანიშნულებას უფრო ღრმად ჩაჰკვირვებოდა.

თუ ცხოვრების უბედურებასთან ადამიანმა დამოკიდებულება არ გამოარკვია, იგი დაჰკარგავს ცხოვრების აზრს და ის წარმოუდგება უაზრო და სულელურ სათამაშოდო, – ასე ლამობდა ჰამლეტური კითხვების ახსნას და განსჯა-ანალიზი ამ შეხედულებამდე მიიყვანდა:

– ცხოვრების სიკეთე უნდა ვეძიოთ არა კერძო ცხოვრების სიკეთეში, არც ოჯახის თუ ხალხის, ან მთელ კაცობრიობის სიკეთეში, არამედ სინდისის ხმაში, ადამიანთადმი უმწიკვლო გრძნობასა და სიყვარულში.

არც კერძო ცხოვრება, არც ოჯახი და ხალხი, და არც კაცობრიობა.

თუმც „ადამიანთადმი უმწიკვლო გრძნობა და სიყვარული“ მაინც კაცობრიობის აღიარებას გულისხმობს და უკან მოიტოვებს სხვა ყოველივეს, როგორც ხელის შემშლელს იმ რეალობაში გასაღწევად, რასაც სინდისის საუფლო და ზოგადი ადამიანის სამკვიდრო ჰქვია. იმის მიუხედავად, ასეთი ზოგადი ადამიანი არსებობს თუ არა.

სხვათა შორის, ეს ბარათი რუსულ ენაზეა შედგენილი.

თუმც რაღა სხვათა შორის...

ქართველი კაცი ქართველ ქალს, უახლოეს ნათესავსა და დასავით ძვირფასს, თავის ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და რჩევებს რუსულად უზიარებს და ამ მოქმედებაში უცნაურს ვერაფერს ხედავს.

რაღაც ძარღვი ჩაწყვეტილა, რაღაც დაკარგული, რასაც არჩილი ჯერ ვერ ხვდება. სინდისის ხმას ისეთი გულმოდგინებით აყურადებს, თითქოს სულერთი იყოს, რა ენაზე გეხმიანება შენი სინდისი.

ზოგადი ადამიანისათვის მაინც ზედმეტი ბარგია ენა, როგორც ყოფიერების სახლი. რას დაგიდევს მარტი, ჰაიდეგერსა და მის მეტაფორულ განსაზღვრებებს, ამ მეტაფორების სიღრმესა და სიზუსტეს. ზედმეტია და... თავის მიზნებს შესთამაშებს.

არც კერძო ცხოვრება, არც ოჯახი და არც შენი ხალხი.

და ხარ უზრუნველი და თავისუფალი.

იჯექი და აყურადე სინდისის ხმას... მშობლიურ ენა-ინტიმცვარდაკარგულ ხმას.

და განიმსჭვალე და განიმსჭვალე და განიმსჭვალე უმწიკვლო გრძნობითა და სიყვარულით ზოგადი ადამიანის მიმართ.

ყველაზე საიმედო სავანედ, სამუდამო ნავსაყუდელად მაშინ დაიგულებდა ტოლსტოველობას, ამ მწერლის რელიგიური ანარქიზმის გავლენა მასაც ჩაითრევდა და „ცაში ღმერთს რომ ეძიებდა და დედამიწაზე იდეურ დასაყრდნობს“, გულს სიამე ჩაეფინებოდა, ასე მალე რომ მიეგნო ცხოვრების აზრისათვის და მთელი სიცოცხლე აღარ გაეტარებინა სულიერ რყევასა და გაუთავებელ ძებნა-რკვევაში.

ხან უეცრად როგორ იოლდება ყველაფერი!..

ყოველ შემთხვევაში, იმ წუთას ასე სწამდა და იურიდიულ ფაკულტეტს ირონიული მზერით გადახედავდა.

თავი მეექვსე

ცნობისფურცლელთა ტფილისური მზადება პარიზული გაზეთისათვის

ახალშენში რამდენხანს დაჰყავი და ისევ ხომ არ მიგიწევს გული იქითკენო, – ეკითხებოდა გიორგი ლასხიშვილი და პარიზულ ამბებსაც მოუსმენდა. აღარ ჰგავდა უკან გამბრუნებელს არჩილ ჯორჯაძე, წამიერ ნოსტალგიად არ მოჭიდებოდა გულზე თავისი ქვეყანა. რაღაც უფრო მეტს აგრძნობინებდა იდუმალი ხმა და, ხელგაშლილნი რომ შეეგებებოდნენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, ერთადერთ სათხოვარს ამას ითხოვდა: კახეთს ჩავაკითხავ, საბუეს მოვინახულებ, ჩემს სამკვიდრო მამულს შევავლებ თვალს და მერე მიმსახურეთ, როგორც გენებოთო.

ასე უბრალოდ და ერთბაშად გადაწყდებოდა მისი ჟურნალისტური კარიერის ბედი.

იქ მიგიყვანს ფეხი შენიო.

ხალხს რა შეეშლება... ცხოვრების სიბრძნისა რა შეეშლება, თორემ წამიერად რამდენიც გინდა.

მიეყვანა კიდეც.

რედაქცია იზრდებოდა – „ივერიიდან“ სამსონ ფირცხალავა, გოგი რცხილაძე და ილია აღლაძე შემოემატებოდათ, რუსეთიდან ახალჩამოსული შიო ჩიტაძეც თავის თანამოაზრეთ შეუერთდებოდა.

ყველას თავთავისი რუბრიკის გაძღოლა ჩაბარდებოდა: ეს სალიტერატურო კრიტიკა და ბიბლიოგრაფიაო, ეს საკვირაო ფელეტონები და პუბლიცისტიკაო, ეს ქალაქის საბჭოსა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა კრებებიო...

მეთაური წერილების შედგენას, „პრესისა“ და „რუსეთის ქრონიკის“ განყოფილებებს გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძე და გიგო რცხილაძე გაინაწილებდნენ და ეს გუნდი შერჩებოდა და შერჩებოდა ერთმანეთს, ვიდრე გაზეთს დახურავდნენ და კოლეგიის

წევრთა უმეტესობას დააპატიმრებდნენ, მათთან ერთად კი ზოგიერთს არაოფიციალურ თანამშრომელთაგან, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი გახლდათ „ცნობის ფურცელი“: ანდრია და გიორგი დეკანოზიშვილები, იოსებ გედევანიშვილი, ივანე ზურაბიშვილი, ავქსენტი ცაგარელი, განდეგილი – დომინიკა ერისთავი, შიო არაგვისპირელი...

მთავარი ბირთვი გაზეთისა ჟურნალისტურ საქმიანობას რომ ვერ იკმარებდა, იმთავითვე მკაფიო ჩანდა. მათ პუბლიცისტურ სტატიებს, მიუხედავად ცენზურული ჩარევებისა, ხელშესახებად დატყობოდა, რომ რაღაც დიდ, გარდამტეხ ცვლილებათა მომლოდინენი იყვნენ, მაგრამ არა შორიდან მოყურიადენი – მოელოდნენ და თვითონვე ლამობდნენ მოვლენათა დაჩქარებას, ცხოვრების ჩარხის შემოტრიალებას, და საამისოდ საზოგადოებრივი აზრის მომზადება მხოლოდ ერთ ეტაპად წარმოედგინათ თავიანთი მოღვაწეობის გზაზე. მოამზადებდნენ ხალხს დიდი გარდაქმნისათვის, ოღონდ სულაც არ აპირებდნენ, რომელიმე პოლიტიკური გუნდისა თუ პარტიისათვის გადაებარებინათ – ჩვენ ჩვენი აღვასრულეთ და ახლა თქვენ გაუძეხით, თქვენთვის მოგვინდია მათი ბედიო.

თვითონვე რა – სხვაზე ნაკლებ უწინამძღვრებდნენ?

ცხადია, რედაქცია ამ მოვალეობას უკვე ვეღარ აიღებდა თავის თავზე, ის მხოლოდ ერთი – თავისთავად უმნიშვნელოვანესი – რგოლი უნდა ყოფილიყო ამ გზაზე, აუცილებელი მხარე თუ საყრდენი პოლიტიკური პარტიისა, რომლის ირგვლივაც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყებდნენ სჯა-ბაასსა და უშეღავათო კამათსაც მომავალი ცნობისფურცლელები, როდესაც „მოამბეს“ შეფარებოდნენ და ეს გაზეთი ჰორიზონტზეც არსად ილანდებოდა.

პოლიტიკური პარტიების შექმნის აუცილებლობა სულ უფრო მკაფიოვდებოდა ქართულ სინამდვილეშიც და წიწამურის საბედისწერო დღემდე ცოტა ხნით ადრე ილია ჭავჭავაძეც გაითვალისწინებდა ამ აუცილებლობას. სწორედაც გარდუვალობად მიიჩნევდა, თორემ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წესდების შედგენას არ მოჰკიდებდა ხელს. საფუძველი ისედაც შეექმნა ამ მიმართულების პარტიისათვის, თუმც თვითონ დარწმუნებული გახლდათ, რომ მთელი ცხოვრება ეროვნული სახელმწიფოს იდეოლოგიურ ქარტიას ქმნიდა, მისი კონსტიტუციის სარჩულს ამზადებდა. ასეც გახლდა, ასეც აღსრულდებოდა ოდესმე, ოღონდ „ივერიის“ რედაქცია, სათავადაზნაურო ბანკი თუ კულტურულ-საგანმანათ-

ლებლო ორგანიზაცია, წერა-კითხვის საზოგადოებად მონათლული, ვერ იტვირთებდა დამოუკიდებლობის ბაირაღის აფრიალებას. ამ ყოველივეს პოლიტიკური პარტია უნდა ამოეზარდა, დროება მოითხოვდა და განსაზღვრავდა მის არსებობას და დრო-ჟამის კანონებს ვინ გადავიდოდა, მარადისობას შერწყმულ ამწამიერებას.

ილიაც გაითვალისწინებდა ამ აუცილებლობასო...

და რაღა უნდა ითქვას ახალ თაობაზე, რომელთაც ჯერ თავი უნდა დაემკვიდრებინათ საზოგადოებრივ სარბიელზე – პოლიტიკური პარტია საამისოდ საკმაო საშუალებებს იძლეოდა, თუკი მარჯვედ გამოიყენებდი. უკან რჩებოდა ის დრო, როდესაც პოლიტიკურ პაექრობებს საბანკო დისპუტები ცვლიდა. იმით ითქვამდნენ სულს, რაკიღა სხვა არჩევანის საშუალება არა ჩანდა. და რადგანაც პოლიტიკური პარტიის შექმნა რეალობად ისახებოდა, გიორგი ლასხიშვილი ამიტომაც ჩამოუვლიდა ცალკე ძველ რევოლუციონერებს – გიორგი ზდანოვიჩს, ალექსანდრე ნანეიშვილსა თუ სტეფანე ჭრელაშვილს – ცალკე კიდევ მეამბოხურად განწყობილ ახალგაზრდებს – კიტა აბაშიძესა თუ ვლადიმერ ლორთქიფანიძეს – დროზე ვიღონოთ რაიმე, თორემ მერე იქნებ სულ გაგვრიყოს განზე მოვლენათა მსვლელობამო.

მერე გეცა თავში.

მერე გაკიდებოდი აბობოქრებულ ყოფას და თავიც გედანაშაულებინა და ხვეწნაც გამოგერია, უჩემოდ რატომ უნდა მომხდარიყო ამხელა ცვლილებანი და იქნებ მეც დამიდოთ წილი მოვლენათა სასიკეთოდ წარმართვაშიო.

გიორგი ლასხიშვილს დროის ალღო არ ღალატობდა.

ამიტომაც დაფაცურებულიყო ასე.

ძველ რევოლუციონერთა აზრი და რჩევა ასეთი იქნებოდა:

– სჯობს რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან შევქმნათ ქართული ავტონომიური ჯგუფი.

იქნებ სამუდამოდ მათთან მიბმას არც აპირებდნენ, მაგრამ დასაწყისისათვის, ვიდრე ფეხს საიმედოდ მოიკიდებდნენ, ამ სახელით მოინდომებდნენ პოლიტიკურ არენაზე გამოსვლა-დამკვიდრებას – ზურგს უკან რუსული პარტია რომ დაეგულებინათ და მასთან შეყუჟვა ეკმარათ. მერე გამოჩნდებოდა, სულ მათთან დარჩენა სჯობდა თუ გამოცალკევება, მაგრამ თავიდანვე დამოუკიდებელი პარტიის სახელით გამოჭრა ასპარეზზე, ვინ იცის, ჩანასახშივე განწირული სითამამე ყოფილიყო.

სითამამე მაშინ არ დაგეშურებინა, როდესაც გორდიას კვანძი იყო გასაჭრელი, თორემ დამღუპველი თუ უნდა ყოფილიო, გაბედულებად კი არა, უგნურებად უფრო ითქმებოდა.

ძველები თავისას მოძღვრავდნენ, ახალგაზრდები კი ძალიან აღშფოთდებოდნენ, როგორ თუ რუსული პარტიის დროშის ქვეშ დავდგეთო.

რად გვინდა ასეთი მრჩევლები თუ თანამზრახველნიო, – გაგულისდებოდა კიტა აბაშიძე, ხოლო ვლადიმერ ლორთქიფანიძეს ვერა და ვერ აწყნარებდნენ ხოლმე, ყოველთვის ისე გაცხარდებოდა, თითქოს პირადი შეურაცხყოფა მიაყენესო:

– რას ჰგავს ეს! რუსეთისაგან გინდათ თავი გაითავისუფლოთ და რუსულ პარტიას კი ემორჩილებით. რომელი რუსული პარტია იქნება გულწრფელი მომხრე საქართველოს გათავისუფლებისა?

რაც მოურიგებელი გახლდათ, მორიგება რატომ უნდა ეცადათ – რა, თავიდანვე გზას ამცდარიყვნენ?

განზე მიიწევდნენ ახალგაზრდები, ბჭობა-ბაასიც მოწყენოდათ და: როდის ვიწყებთო? – ერთმანეთს შესჩიოდნენ. იწყებდნენ და... ვერ იწყებდნენ... აგერ გაზეთიც გამოუჩნდებოდათ – უკეთესი იარაღი რაღა ენებათ; ჰა, დღეს... ჰა, დღეს მაინც ...რაღაც უბორკავდათ ხელ-ფეხს... ქვეშეცნეულად ელოდნენ ვიღაცის გამოჩენას, ვინც პირთამდე ავსებულ ფიალაზე ბოლო ცვარსაც დააგდებდა და კიდეც აატორტმანებდა.

და ის ვიღაცაც მოსულიყო.

გიორგი ლასხიშვილს ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდებოდა ეს შეგრძნება, როდესაც არჩილ ჯორჯაძე უთანხმდებოდა, ვიდრე სარედაქციო საქმეებს ჩავიბარებდე, ჩემს სამკვიდრო მამულში მოვითქვამ სულს წამიერადო.

მოგვიანებითაც გულახდილად აღიარებდა:

– ახალ პარტიაზე ლაპარაკი გაცხოველდა, როცა ჩვენ წრეში არჩილ ჯორჯაძე შემოვიდა.

ახალ მუხტს რეალური ხორცშესხმაც მოჰყვებოდა.

და პარტიაც სრულიად ახალი და დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო.

თანაც შუალედური იმ ორ პოლიტიკურ იდეალს შორის, რომელნიც უკიდურესად დაპირისპირებოდა ერთმანეთს: ეროვნული და მარქსისტული.

ეროვნული იდეალი პარტიას არ შეფარებოდა და ამ მხრივ არც ორგანიზაციული სახე ჰქონია, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მიმართულებად რჩებოდა.

მარქსისტებს კი, მესამედასელთა სახელით მოვლენილთ, პარტიის შექმნაც მოესწროთ და ხალხის მასებსაც შესეოდნენ გადმოსაბირებლად.

„ცნობის ფურცლის“ ჯგუფი ერთ ბანაკსაც გაემიჯნებოდა და მეორესაც, თუმც რაღაც საერთოს ორივე ნაკადთან შეინარჩუნებდა.

პირველს ეროვნული იდეალით დაუახლოვდებოდნენ.

მეორეს – სოციალური მისწრაფებით.

თანამგრძნობელნი არ აკლდათ, მომხრეებს კიდევ შეემატებოდნენ, ოღონდ იმასაც შეატყობდნენ, ამ ხალხის პარტიად გადაქცევა ძალიან გაგვიძნელდებოდა, ვიდრე ახალი მიმართულების იდეურ საფუძვლებს აშკარად, მკაფიოდ და სრულად არ გავაშუქებთ პრესაშიო.

ამას დრო სჭირდებოდა და არც იჩქარებდნენ, ეგაა, უკვე მიზანდასახულად იკრიბებოდნენ ვალერიან გუნიასა თუ ნიკო ქართველიშვილის ბინაზე და ერთობლივად წყვეტდნენ, როგორ გაეღრმავებინათ ზეპირი თუ სამწერლო პროპაგანდა.

ეს გახლდათ მათი პირველი პარტიული კრებები და პირველი იატაკქვეშა შეხვედრებიც და შეხლა-შემოხლანიც, ვიდრე ოფიციალურად გამოცხადდებოდნენ პოლიტიკურ პარტიად. ცხარე კამათი კი იმ ერთი უმთავრესი იდეური საყრდენის ირგვლივ ტრიალებდა, ეროვნულსა და სოციალისტურ იდეებს ერთდროულად რომ აჰყოლოდნენ, უპირატესობა – თუნდ ოდნავი – მაინც რომლისათვის მიენიჭებინათ, შედარებით მთავრად რომელი ეღიარებინათ.

არავითარი შედარებით მთავარი, არავითარი უპირატესობა, თუნდ ოდნავიო, – გიორგი ლასხიშვილი და არჩილ ჯორჯაძე მონდომებით ცდილობდნენ ამ ორი მიმართულების შერიგება-შეთანხმებას.

ტოლსტოური ახალშენის მარცხი მაგალითად არ დარჩენილიყო არჩილისათვის, მოეშვი ამ სოციალიზმს, ქრისტიანობაზე მორგებამ რა ხეირი მოიტანა და ეროვნულობასთან შერწყმაც უკეთეს ნაყოფს ვერ გამოიღებსო.

იქ ადამიანებს ბრალდებოდათ კომუნის დაშლა – თავი ვერ გაართვესო.

ადამიანებს და არაფრისდიდებით – სოციალიზმის შინაგან გაორებასა და რეალობასთან სრულ შეუგუებლობას.

ესენი მაინც – ბუნებრივსა და არაბუნებრივს აწებებდნენ ერთმანეთს, აჯაჭვებდნენ და ვერ აეხსნათ, წარმოსახვაში ასე ჰარმონიულად შეკავშირებული ორი მრწამსი ისე მარჯვედ რატომ ვეღარ ესადაგებოდნენ ურთიერთს ყოფით რეალობაშიც.

ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია, ეს ირწმუნეთ და პარტიის შექმნაც გაგვიადვილდება და შემდგომი მოღვაწეობაცო, – ჯიუტად იმეორებდნენ მთავარი იდეოლოგები და ელოდნენ, ამ შუალედურ გზაზე როგორ იხუვლებდნენ ერთ მშვენიერ დღესაც დანარჩენები და ვეება ნაკადად ამოვიდოდნენ იატაკქვეშეთიდან.

სადამდეც მიუწვდებოდათ თვალი და ხელი, ევროპული პარტიების აღნაგობასა და მოღვაწეობის წესს უკვირდებოდნენ, მათ ისტორიას სწავლობდნენ, და ფილიპე გოგიჩაიშვილიც დაბრუნდებოდა თუ არა საზღვარგარეთიდან, კი არ სთხოვდნენ, დაჟინებით მოსთხოვდნენ ცნობებს ავსტრიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესახებ.

იმ პარტიაში გერმანელებიც გაერთიანებულიყვნენ, ჩეხებიც, უნგრელებიც და კიდევ სხვანიც და არც ერთმანეთთან მორიგება უძნელდებოდათ, არც ეროვნული იდეის წინ წამოწევა და არც პარტიის ორგანიზაციის აგება ეროვნულ პრინციპზე.

ამათ ყურმოკვრით შეეტყოთ, ასე და ასეაო, უფრო მცოდნე კაცს დაეძებდნენ და ფილიპე ღვთის წყალობასავით მოევლინებოდათ. აქ ეს ისე ითქმის, წამიერი განწყობილების თავისებურ მეტაფორად, თორემ ნამდვილი ღვთის წყალობა ის გახლდათ, არჩილ ჯორჯაძეს რომ შეებიჯებინა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში და კართან აიტუზებოდა მორიდებით, ვიდრე გიორგი ლასხიშვილი ასე გულგახსნით მიეგებებოდა.

ახლა ორივე თავს დასდგომოდა კიდევ ერთ ევროპამოვლილ შვილს ჩვენი ქვეყნისა, მოხსენება წაგვიკითხე ავსტრიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ირგვლივ, იქნებ სხვაზე მეტად სწორედ ეს წაგვადგესო.

ცოტა სული მომათქმევინეთო, – ფილიპე უარზე კი არა ყოფილა.

წერისას მოითქვი სულიო, – დაუბეჯითებდნენ.

თუ რაიმე არ ემეტებოდათ – დრო.

სადღაც უკუნში ჩანთქმულიყო ის ჟამი, დრო არჩილს ერთ დიდ მთლიანობად რომ წარმოუდგებოდა, მონოლითურად და დაუნა-

წევრებლად. ქრონოლოგიურად თითქოს ახლახან იყო ის ჟამი, მაგრამ სულიერი გამოცდილების ფონზე დარჩენილიყო შორსა და შორს და არჩილს ისიც ეგონა, სიყმაწვილისას მოსმენილ ზღაპრებს შეზავებია და ბავშვობის კუნძულზე დარჩენილა სამუდამოდ იმ ზღაპრებთან ერთადო.

ერთ დიდ მთლიანობად წარმოუდგებოდათ...

ეს დაუნაწევრებლობა ხიბლავდა მაშინ, ინდურ სიბრძნემდეც ამ შეგრძნებას მიეყვანა და ლუარსაბ ანდრონიკაშვილსა და ზურაბ ავალიშვილთან ერთად სულ უფრო ღრმად შეღწევასაც ლამობდა დროის მარადისობაში, რასთან შედარებითაც რეალური ყოფა უმნიშვნელოდ მოჩანდა, იმ წარმავლობად, რაც მხოლოდ ხელს უშლიდა ზეციურს შეტოლებულ სწრაფვებს.

სარწმუნოება თესლია, სინანული წვიმა, გონიერება ჩემი გუთანია, გონება საბელი, გუთნის ნაკვეთი ღრმა ფიქრიო, – შეაგონებდა ძველინდოელი ბრძენკაცი და მოადევნებდა და მოადევნებდა: თავგანწირულება ჩემი საქონელია, ის ნირვანასაკენ მიიწევს, მიდის და უკან არ იხევს და განშორებული ადგილს აღარ ნატრულობსო. როცა მოხნულია ჩემი მინდორი, მას უკვდავების ნაყოფი მოაქვს. ამ მინდორს თუ მოხნავ, ტანჯვებისაგან გათავისუფლდებიო.

მეტაფორისტიკაში გაზავებულიყო უშორესი წარსულიდან მოღწეული ხმა და არჩილსა და მის მეგობრებს ქარაგმული ფრაზები თავიანთ მეტყველებაზე გადმოჰქონდათ: ეს იგავი მთესველის შესახებ იმას გულისხმობს, რომ შრომა და სამუშაო ცუდი ცხოვრების გასამართლებელი საბუთი არ არის. ადამიანი გონივრულად ვერ ცხოვრობს, რადგანაც მაცდურობისა და მოტყუების მახეშია გაბმული. „მატყუვრობას“ სხვადასხვა პირბადე ახურავს და „შრომაც“ ხშირად ნამდვილი ჰიპნოზია, რომელიც ხშირად ფიზიკურ და ზნეობრივ ძალას ართმევს ადამიანს, ფიზიკურ და ზნეობრივ ძალაწართმეულ ადამიანში კი კრიტიკის გრძნობაც იხშობა და ცხოვრების დაფასების უნარიც იკარგებაო.

ბუდა სწორედ ამ ყაიდის მუშაობას გულისხმობდა, კიდეც ეწინააღმდეგებოდა მას და მორწმუნეთაც შეაგონებდა: უსაქმურობა გერჩივნოთო.

უსაქმურობა – გაჩერებულ, დაუნაწევრებელ დროსთან გაიგივებული და სამყაროს იდუმალ ხმებთან დაახლოება-შერწყმის მოსურნე.

ემილ ზოლა შრომა-გარჯისაკენ მოუწოდებდა ახალგაზრდობას, ლევ ტოლსტოი ზოლას გამოედავებოდა და ახალ თაობას და-

მოძღვრავდა: შრომაც არის და შრომაც, ზოგჯერ შრომას უსაქმურობა სჯობს და ეს ყოველთვის გაითვალისწინეთო.

ტოლსტოის ეს აზრი ბუდიზმისაგან უსესხიაო, – მაშინვე მიუხვდებოდა არჩილი და... მით უფრო დააფასებდა ძველინდურ რელიგიურ-ეთიკურ მოძღვრებას: როგორ შეუნარჩუნებია სიღრმე და ექსპრესია, თანამედროვეობის ყველაზე აღმატებული რელიგიური მიმდინარეობა ამ და სხვა შემთხვევებშიც მის აღმოჩენებს ეყრდნობოდა და საპატიო ადგილსაც მიუჩენს ახალ მოძღვრებაშიო.

თანამედროვეობის ყველაზე აღმატებული რელიგიური მიმდინარეობა – ტოლსტველობა.

ლაოძიც ირწმუნებოდა: ვცდილობდი შემეგნო, რასაც უსაქმურობის მოქმედებას უწოდებენ, მაგრამ ბევრი არ არის იმისთანა, ვინც შეიგნებს უსაქმურობის სარგებლობასო.

იესო მაცხოვარიც განა ამასვე არ შეგვაგონებდა?

– და თქვენ ნუ ეძიებთ, რა ჭამოთ და რა სვათ... რამეთუ ამას ყველასა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ...

ეს სტრიქონებიც ძალდაუტანებლად ამოჩნდებოდა არჩილის გონებაში, მაგრამ მაინც ტოლსტოველობა გადაფარავდა ყოველივეს და ისიც მოეჩვენებოდა, ქრისტიანობამ ამ მიმდინარეობის შემწეობით რომ დაიბრუნოს თავისი პირვანდელი სახე, უმჯობესი იქნებაო.

დროის წიაღში ჩაყურყუმელავებულიყო და: ეს რა გრანდიოზული განცდა ყოფილა, მისი პირველი შრეების შეცნობამ სულ სხვა სამყარო გადამიშალა თვალწინ და სიღრმეში გზის გაკვალვა კიდევ რა სასწაულებს აღმომაჩენინებსო, – ფიქრობდა.

ნელ-ნელა შემოეფშვნებოდა ხელთ ის გრანდიოზულობა.

ერთიანი, მონოლითური დრო თვალსადახელშუა დაუნაწევრდებოდა და, როგორი სინანულითა და ნოსტალგიითაც უნდა მიეხედა იმ წლებისაკენ, იქ დაბრუნებას აღარც აღარასოდეს მოინდომებდა.

მასზე ეკიდა, განა სხვაზე – როდესაც მოიგუნებებდა, მაშინვე შეაქცევდა ზურგს წუთისოფლის აჩქარებულ რიტმსა თუ ნაფლეთებად ქცეულ დროს და კვლავ იმ მონოლითურობას შეაფარებდა თავს, იმ გრანდიოზულობასა და დაუნაწევრებლობას, სულ არ იყო აუცილებელი ტოლსტოველობა, აღარც ბუდიზმი, ოფიციალური ქრისტიანობის აღიარებასაც არავინ ავალებდა – შერჩებოდნენ პირისპირ ერთმანეთს ადამიანი და დრო.

მაგრამ ხელახლა აყოლილიყო ქართლის ბედსა და მის ძებნაში უნდა დაელია თვითონაც სული.

სულ ცოტა მაცალეთო, – ვედრებით შემოხედავდა ფილიპე გოგიჩაიშვილი.

დრო არ ითმენსო, – მოუჭრიდა არჩილი.

ესაუბრებოდათ ფილიპე ავსტრიული სოციალ-დემოკრატიის შესახებ და იმ კრებაზევე ჩამოყალიბდებოდა მათი პარტიის მთავარი საფუძვლებიც:

საქართველოს ავტონომია;

კავკასიის ერთა და შემდეგ მთელი რუსეთის ფედერაცია;

სოციალიზმის მინიმუმი და მაქსიმუმი პროგრამები.

ჩამოყალიბდებოდა და... ახლა უფრო აუცილებელი შეიქნებოდა ფარული ჟურნალის ან გაზეთის გამოცემა.

„ცნობის ფურცელი“ მხოლოდ მორიდებით უკაკუნებდა იმ კარს, რომლის შეხსნაც აღარ ეგვიანებოდა, მაგრამ ოფიციალური გაზეთი უფრო ძლიერად და დაჟინებით ვერც დააკაკუნებდა და ვერც ზარს ჩამორეკდა, შეკრული ხელებით სადამდეც მიწვდებოდა, თავს არ დაზოგავდა, მაგრამ ეს მიწვდენა იმ მიწვდენად არც ითქმოდა, ცხოვრების ჩარხის შემობრუნებას რომ გულისხმობდა.

და ერთ კრებაზე არჩილ ჯორჯაძე ამ გადაწყვეტილებით გამოვიდოდა: არარეგალური გამოცემა თუ არ გვექნა, მინიშნებებით საუბარს, ერთ ადგილას ტკეპნას ვერ გავცილდებით და ან ჩამოვეხსნათ დიდ იმედოვნებას და ან ნუღა ვაყოვნებთ, უკვე მოვკიდოთ ხელი იატაკქვეშა ჟურნალსო.

მხოლოდ ფორმალურ დადასტურებას ელოდა მათგან, რადგანაც, ცენზურისაგან სულშეხუთულნი და გამწარებულნი, სულ ამ გასაჭირზე ლაპარაკობდნენ.

ლაპარაკს საქმეც უნდა მოჰყოლოდა და არჩილი მხოლოდ მოსაზრებად კი არ გაუზიარებდა კრებას, ეს გზა ავირჩიოთო, საკუთარ თავსაც შესთავაზებდათ, მიმსახურეთ და ნუ დამზოგავთ, ოღონდაც ეს წამოწყება დავძრათ და ჩანასახშივე არ დაგვეზროსო.

კრება ერთბაშად გახალისდებოდა და აფოფინდებოდა.

თავისუფალი ორგანო მხოლოდ საზღვარგარეთ თუ დაარსდებაო, – ამასაც დასძენდა ორატორი და ეს მოსაზრება კი კრებას ორად გაჰყოფდა.

საზღვარგარეთ დაარსება ამაოა, მოვლა გაგვიძნელდება და ჟურნალის ნაცვლად შესაძლოა მხოლოდ ერთი-ორი კრებული გამოვცეთო.

ეს ერთნი:

და მეორენი:

აქ პოლიცია არ დაგვანებებს და გამოცემის პროცესი, გვინდა-არ გვინდა, მაინც შეგვიფერხდებაო.

არჩილს წინასწარვე კარგად მოეფიქრებინა:

მხოლოდ საზღვარგარეთო.

საქართველოში არალეგალური ორგანოს დაარსებისათვის ბევრი ძალა იყო საჭირო, უმთავრესად ამ გამოცემის ხანგრძლივი შენარჩუნებისათვის. უცხოეთში კი რამდენიმე კაციც გაუძღვებოდა, ვინც ნებაყოფლობით ემიგრაციას შეეგუებოდა. რამდენ ხანს? რამდენ ხანსაც მოვალეობის აღსრულება მოითხოვდა.

ნათელი და ლოგიკური მტკიცება მთელს კრებას მიიმხრობდა და 1901 წლის შემოდგომაზე „ცნობის ფურცელელთა" წრე ამ საქმისათვის თანხის შეგროვებას მიჰყოფდა ხელს.

სამ კაცს დაევალებოდა ფულის შეკრების ორგანიზება და გაძღოლა: არჩილთან ერთად გიორგი დეკანოზიშვილსა და ევტიხი მიმინაიშვილს.

ოღონდ... ოღონდ ის, რომ ვისაც მიაკითხავდნენ, მხოლოდ თავისუფალი ეროვნული გამოცემის დაარსების განზრახვა უნდა ეცნობებინათ და სოციალიზმზე კრინტიც არ დაეძრათ. შიშობდნენ: სოციალისტური ჰანგების აღნიშვნა ფართო საზოგადოებას დააფრთხობს და თანხის შეგროვებას დაგვიბრკოლებსო. ისედაც ხმა ასე უნდა დაყრილიყო.

ასეთი გახლდათ მოთხოვნა და არა რჩევა, რომელსაც გნებავს გაიზიარებ და გნებავს – არა.

მხოლოდ მემუარებში გამოტყდებოდა გიორგი ლასხიშვილი – სოციალისტური შეხედულებანი განზრახ დავფარეთო.

თუ იცი, რომ ამ მრწამსის აყოლა ხალხში სახელს გაგიტეხს და მომხრეებს დაგიკარგავს, რაღას ეკონიწები, რაღას გაგიხდია შენი პარტიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად?!.

ამის თაობაზე მსჯელობა აღარ გრძელდება მოგონებებში, თუმც საპასუხო ის ექნებოდა, ხალხი ჯერ მზად არ არის ამ იდეების შესათვისებლად და, ვიდრე შევაგონებდეთ ამ მოძღვრების სიკეთესა და აუცილებლობას პროგრესისათვის, იმ შესაფერისი დროის

დადგომამდე და სოციალისტობის აშკარად გამოცხადებამდე, თავის მოკატუნება სჯობდაო.

სამ კაცს დავალებოდა ორგანიზება და სამივე ამ საქმეში ჩაეფლობოდა.

არ ეგონათ, ფულის შეგროვებას ასე მარჯვედ თუ მოაბამდნენ თავს.

განსაკუთრებით გიორგი დეკანოზიშვილი გამოიჩენდა ხერხიანობას, ენერგიულობასა და იმ ორგანიზაციულ უნარს, რაც მას მალე აქცევდა გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად, არა მარტოდენ პარტიულ მოვლენად, არამედ თვალსაჩინო ეროვნულ მოღვაწედ, ვის მართლაც დაუფასებელ წვლილს სხვანი მიიწერდნენ და დაისაკუთრებდნენ, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები და მათი ბოლშევიკური ფრთა გამოიჩენდა თავს ამ მხრივ და ყალბ ისტორიულ ანალებში, ცხადია, ყველგან საგულდაგულოდ ამოიფხიკებოდა გიორგი დეკანოზიშვილის სახელი. ვითომ ასეთ პიროვნებას არც არასოდეს უცხოვრია და არც არავითარი ღვაწლი არ დაუდევს თავისი ქვეყნისათვის. გადაიყრებოდა ცრუქრონიკები, გამოანათებდა საქართველოს იატაკქვეშა ისტორია და წამოიმართებოდა გიორგი დეკანოზიშვილის მონუმენტური ფიგურაც, გადაეცლებოდა ნავლი და მტვერი მის მღელვარე ბიოგრაფიას და ახასხასდებოდა პირვანდელი სიწმინდით.

პეტროგრადის სამთამადნო ინსტიტუტი დაემთავრებინა და სამშობლოში დაბრუნებულს ნიკოლოზ ღოღობერიძე მიიწვევდა ზესტაფონში შავი ქვის მადნების გამგედ. აკაკი წერეთლის სამრეწველო იდეას არამარტო მაშინვე გამოეღო სასიკეთო ნაყოფი, წარმატებით დაწყებული განზრახვა კიდევ უფრო მძლავრდებოდა და აგერ სამთამადნო ინჟინერიც ენერგიულად მოჰკიდებდა ხელს ამ მრეწველობის წინსვლას.

მანამდე უკვე გახმაურებულიყო მისი სახელი, როდესაც სოფლებს ხოლერა მოედებოდა და მათ მისაშველებლად შედგენილ ერთ-ერთ რაზმში გიორგი დეკანოზიშვილიც ჩაეწერებოდა. თავს არ იზოგავდა და ამასობაში თვითონაც დაავადდებოდა ხოლერით. რის ვაივაგლახით მოხერხდებოდა მაშინ მისი გადარჩენა.

სიკვდილის პირას ყოფნა მას შემდეგ სიმბოლურად გამოჰყვებოდა მის ბიოგრაფიას და არაერთხელ ჩავარდებოდა ისეთ დღეში, რომ მის გამოჯანსაღებაზე ხელს ჩაიქნევდნენ.

სიმბოლურად გამოჰყვებოდა ბედისწერის მრისხანების წინაშე უშიშრად დგომაც და უმნიშვნელოვანესი და უმწვავესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შუაგულში ამიტომაც მოექცეოდა.

ნობელის ნავთის მრეწველობაშიც მოსინჯავდა თავს ბაქოში, ევროპასაც მოივლიდა როგორც ზოგადი განათლების, ისე სპეციალური ცოდნის გასაღრმავებლად – ეს იტალიაო, ეს ინგლისიო, ეს გერმანიაო, ეს საფრანგეთიო, გარკვევითაც ყველაფერში გაერკვეოდა და ევროპულ ენებსაც შეისწავლიდა.

კვლავ სამშობლოში დაბრუნებული დრამატულ საზოგადოებაშიც ჩაებმოდა და წერა-კითხვის საზოგადოებაშიც და, ცნობის ფურცლელებსაც რომ დაუახლოვდებოდა, ახალი პარტიის შესაქმნელად ისეთი მონდომებით იღვაწებდა, ის და არჩილ ჯორჯაძე მალევე ყველას წააჭარბებდნენ და თვით გიორგი ლასხიშვილსაც გამოაცლიდნენ ხელიდან წინამძღოლობას.

თუმც იმას გაახარებდა უმცროს თანამებრძოლთა დაწინაურება, წყენას განა დამჩნევით არ დაიმჩნევდა, გუნებაშიც არ ითაკილებდა, როგორც მის პიროვნულ ხასიათს წარმოგვიჩენენ მისი მეგობარ-ახლობელნი.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო სამხრეთ ამერიკაში – კერძოდ, ბრაზილიაში – რომ გაგზავნიდა იქაური შავი ქვის წარმოებისა და ბაზრის შესასწავლად, შესაძლოა ეს სულაც მისი იდეა გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, ისეთი მიზანსწრაფულობით აღასრულებდა ამ დავალებას, კაპიტალურ ნაშრომსაც შექმნიდა ბრაზილიის შავი ქვის შესახებ, ეგაა – რუსულ ენაზე.

ქართულადაც დაწერდა თხზულებას ამ თემაზე – საერთოდ შავი ქვისა და უშუალოდ ჭიათურის შავი ქვის თაობაზე, და „ივერიის" ფურცლებზე გამოქვეყნებული ეს გამოკვლევა პირველი მერცხალი აღმოჩნდებოდა ჩვენს სინამდვილეში.

გადაეცლებოდა ნავლი და მტვერი მის ბიოგრაფიას და ახასხასდებოდა პირვანდელი სიწმინდითო.

ჯერ ფულს დაეძებდა და წინასწარვე შეადგენდა მკაფიო გეგმას. აბა, ნაუცბათევად ხომ არ ჩამოივლიდა!.. საქართველოს ყველა კუთხეში გაიჩენდა მარჯვე აგენტებს, ისინი თავთავის ქსელს გააბამდნენ და გიორგი დეკანოზიშვილი ტფილისიდანვე ადევნებდა თვალს ქვეყნის ყველა მხარეს და, სადაც აუცილებელი შეიქნებოდა, მაშინვე ჩააკითხავდა. თუ აგენტებს გაუძნელდებოდათ სასურ-

ველი შემწის დარწმუნება, გიორგი მოიშველიებდა თავის ორატორულ ხელოვნებას.

ქალთა წრეც ძალიან გამოიდებდა თავს, სარედაქციო საქმიანობაშიც უთანაგრძნობდნენ და პოლიტიკურ პარტიის პირველსაფუძვლების შექმნასაც იმედით შეხვდებოდნენ, და რაკიღა საზღვარგარეთ ჟურნალის დაარსება შთამაგონებლად გახმიანდებოდა და ქვეყნის წინსვლისათვის მტკიცე საყრდენს ქმნიდა, მხოლოდ პირად წვლილს არ დასჯერდებოდნენ და ვის აღარ მიაკითხავდნენ – ეს მარიამ დემურიაო, ეს ოლღა ბეჟანიშვილიო, შემდგომ ილია აღლაძეს რომ დაუკავშირებდა თავის ბედს, ეს ნინო ნაკაშიძეო, ილია ნაკაშიძის ცხოვრების თანამგზავრი...

როგორც ტფილისში იშოვნიდნენ ხელისგამმართველთ, ისე პროვინციებში, და ეს ერთსულოვნება სასიკეთოდ ენიშნებოდათ. მარტო ტფილისში წარმატება ანდა მარტო პროვინციებში მეტად სათუოს გახდიდა პარტიის მომავალს – ბოლოსდაბოლოს, პარტიის შექმნა მათთვის თვითმიზანი ხომ არა ყოფილა, გული მოეოხებინათ, რაღაცას ჩვენც წარმოვადგენთ ამ მიწა-წყალზეო. რევოლუციური გარდაქმნებისა ძალიან სჯეროდათ და უმწვავესი პოლიტიკური ქარტეხილისას საზოგადოებრივი ცხოვრების სადავეების აღებას ეპირებოდნენ ხელში – ავტონომიის პირობებში სულაც მეთაურობას დაიჩემებდნენ და: ძალიც შეგვწევს ქადილისაო, – არც ამ სტრიქონის გახსენებას მოერიდებოდნენ.

რამდენიმე თვეში, 1902 წლის დამდეგისათვის, 6-7 ათას მანეთამდე უკვე მოკრებილი ექნებოდათ.

– წრემ საკმარისად მიიჩნია პირველ ხანებისათვის ეს თანხა და დაადგინა განზრახვის სისრულეში მოყვანა.

მანამდე პარტიის კომიტეტსაც შეადგენდნენ – არჩევნების გზით და არა ამ წამოწყების მეთაურთა პირადი გადაწყვეტილებით.

თუ დემოკრატიაა, დემოკრატია ყოფილიყო.

საიდუმლო კრებისათვის ვალერიან გუნიას სახლს შეარჩევდნენ, შეკრების თავმჯდომარეობას გიორგი ლასხიშვილს სთხოვდნენ, მდივნობას ვლადიმერ ლორთქიფანიძეს. და პირობა კი ასეთი იქნებოდა: ჩამორიგებულ ბარათებზე ყოველი მონაწილე ჩამოწერდა ხუთი კანდიდატის გვარს და წავიდ-ნამოვიდოდნენ, თავმჯდომარე, მდივანი და მათთან ერთად ვალერიან გუნია გასინჯავდნენ ყველა ბარათს, გადათვლიდნენ და დააჯამებდნენ მონაცემებს და არჩეულებს ცალ-ცალკე ეტყოდნენ მათი წარმატების ამბავს. სა-

ბოლოო შედეგი კრებაზე გამოცხადებული არ უნდა ყოფილიყო. ხედავთ, როგორც ფრთხილობენ? ძალიან უფრთხილდებიან ერთმანეთის თავმოყვარეობას, ეკონწიწებიან თვითეულ მონაწილეს.

საიდუმლო ორგანიზაციის კიდევ უფრო გასაიდუმლოებული კომიტეტი – ჯერ ფიქრში შემოხაზული პარტიის რეალური ბირთვი, მემუარისტის მახვილგონივრული განსაზღვრებით: პირველი შტაბი შეუკრებელი ჯარისა.

მაინც ვინ მოხვდა ამ პირველ ხუთეულში?

გიორგი ლასხიშვილიც, არჩილ ჯორჯაძეც, ვლადიმერ ლორთქიფანიძეც, გიორგი დეკანოზიშვილიც, და კიდევ ანდრია დეკანოზიშვილი.

ყოველი შემთხვევისათვის ორ კაცსაც მიუმატებდნენ იმ კანდიდატთაგან, ვისაც სხვაზე მეტი ხმა ამოსვლოდა.

წინ მიიწევენ, მაგრამ პარტიის ოფიციალურ გამოცხადებას არა ჩქარობენ, თუმც არა იმიტომ, რომ ორგანიზაციულად ვერ მოუბამთ თავი – საამისო სამზადისი უკან მოეტოვებიათ, ოღონდ სტრატეგიულად მაინც ასე ამჯობინებენ, ჯერ არტილერია დაეუფლოს ბრძოლის ველსო.

ამ განზრახვას, ერთგვარი ზოზინის გამართლებად რომ ესახებოდათ, ორი ამბავი შეაცვლევინებდათ, ერთი სასიხარულო და მეორე სამწუხარო, ოღონდ ერთნაირად ამაფორიაქებელი ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, განსაკუთრებით მათი, რევოლუციონერებად რომ მოჰქონდათ თავი ანდა ესწრაფოდნენ ამ სამოსის მორგებას.

მემუარისტი ძალიან განიცდის, კვირა დღე იყო, რედაქციაში მაინც ბევრნი ვიყავით და მსწრაფლ გავეშურეთ ალექსანდრეს ბაღისაკენ, მაგრამ მუშათა პირველი დემონსტრაცია უკვე დარბეული იყო, მონაწილენი მიმოფანტულნი შეიარაღებული პოლიციისა და ჯარის მიერ და ჩვენი თვალით ვერ ვიხილეთ ეს ბრწყინვალე სანახაობაო.

თხრობაში პათეტიკა გამოერევა: ასე დაიღვარა ტფილისში მუშის პირველი სისხლი პროლეტარიატის დიადი საქმისათვისო. და 1901 წლის 22 აპრილი დიდმნიშვნელოვანი დღის შარავანდით შეიმოსება: დიადი მომავლის ბორბალი ატრიალდა და მისი შეჩერება აღარაფერს და აღარავის შეეძლოო.

მარქსისტული აბსტრაქციები სძალავდა რეალობას და ცხოვრება ისე მიექანებოდა, სულაც გადაიყოლებდა სინამდვილეს და

მის ნაცვლად სიცრუის ბადეში გახვეულ იმ წეს-წყობილებას გაამეფებდა, რომელიც ხიშტებით, ძალმომრეობით შემაგრების გარეშე ერთ-ორ წელიწადში დაიშლებოდა. მაგრამ ხიშტებს დაეყრდნობოდა, საიდუმლო სამსახურებსა და მილიციას აამოქმედებდა და შვიდი ათეული წელი მორჭმით იმბრძანებლებდა რომანოვების ტახტზე. მომხიბლავი ილუზია თავისით გაიფანტებოდა წუთისოფლის მკაცრ კანონებთან პირველივე შეჯახებისას – ტოლსტოველთა ახალშენისა თუ სხვა ამგვარი კომუნებისა არ იყოს.

არჩილ ჯორჯაძეს საკმაო გამოცდილება რომ შეეძინა იმ ორწლიანი გატაცებისას და ამ ყაიდის აბსტრაქციებს უფრო მეტი კრიტიციზმით მოეკიდებოდა, მთლად მაინც ვერ გამოხსნიდა იმ წარმოსახვებს და ეგონა ეროვნულობასთან შერწყმული სოციალიზმი უკვე სულ სხვა მოვლენა იქნება, ბუნებრივი და წუთისოფლის მდინარებასაც უფრო მისადაგებულიო.

არარსებული პროლეტარიატის პირველ საპროტესტო გამოსვლასაც უფრო თავშეკავებით შეხედავდა, ვიდრე გიორგი ლასხიშვილი, ვინც წლების შემდგომ თავს იმითაც მოიწონებდა: ცენზურა მარჯვედ გავაცურე, როდესაც პოლიციისაგან მოწოდებული ოფიციალური ტექსტი – სხვა გამოცემების მესვეურთაგან განსხვავებით – გაზეთის ფურცლებში კი არ ჩავკარგე წვრილი შრიფტით აწყობილი, არამედ მეთაური წერილის ადგილას მოვათავსე, თანაც ვენური შრიფტით ავაწყობინეო.

ეს ხრიკი შესაძლოა რედაქციას საბედისწეროდაც გახდომოდა და ალექსანდრე ჯაბადარი საყვედურს საყვედურზე ეტყოდა ამ მახვილგონივრული ხერხის ავტორს: რას მერჩი, მაინცდამაინც გაზეთი უნდა დაგვიხურონო?.. საცენზურო კომიტეტი მკაცრ გამოხმაურებას მოერიდებოდა და გაფრთხილებას აკმარებდათ, მეორედ ამგვარი რამ აღარ ჩაიდინოთო. რაც უნდა იყოს, ოფიციალური ტექსტი გამოექვეყნებინა გაზეთს, ერთი სიტყვაც არ შეეცვალათ, ეგაა თვალშისაცემი გაეხადათ მუშათა არეულობის განსაკუთრებულობა.

ეს „მომავლის ქვეყნის“ პირველი საძირკვლის ჩაჭრა.

ესეც „წარმავალი ქვეყნის“ მცდელობა სულის მოსაბრუნებლად.

თავი მეშვიდე

ასწლიანი მონოგბის დღესასწაული

რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავის აღნიშვნას მოინდომებდნენ საიუბილეო დღესასწაულით და თავად-აზნაურთა ერთი გუნდის ამ სულისკვეთების ხორცშესხმას დავით მელიქიშვილი შეეცდებოდა, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მაშინდელი წინამძღოლი, ვისაც, მონარქისტული რწმენით აღსავსეს, ეჭვიც არ ეპარებოდა თვითმპყრობელი მეფის კეთილ განზრახვებში და, რაც უბედურება და უკეთურობა ხდებოდა ჩვენს გასაცოდავებულ მიწა-წყალზე, ყველაფერს მის მოხელეებს აბრალებდა: ყრუ კედლად აღმართულან იმპერატორსა და ხალხს შორის და ხალხის დრტვინვა და ვედრება მეფემდე ამიტომაც ვერ აღწევსო.

რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობაც ვერ დაუკარგავდა, რომ დავით მელიქიშვილი პირად გამორჩენას კი არ ესწრაფოდა ამ დღესასწაულის გამართვით, ქართველი ერის უბედურება და ათასგვარი გასაჭირი სურდა მიეწვდინა მეფის ყურამდე, და გულწრფელი გახლდათ, როდესაც წინასწარვე იწვევდა შინ თავადაზნაურთა წრეებსა და ინტელიგენციას და მხურვალედ უმტკიცებდა იუბილეს აუცილებლობას.

ინტელიგენციაო, – ასე აღნიშნულა მემუარებში, თუმც ეს ფენა ისევე არ გამოკვეთილიყო ქართულ სინამდვილეში, როგორც პროლეტარიატი. სხვა ქვეყნებისათვის ნიშანდობლივი ცნობები ხელოვნურად მიეკერებოდა აქაურ ყოფასაც და დაბნეულობას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

რუსული მოვლენა გახლდათ ინტელიგენციაც და მათი ფენაც.

და ვითომ ქართულიც.

თავადაზნაურთა მარშალი წინასწარი სამზადისისას დაისაჭიროებდა ჟურნალისტებთან შეხვედრასაც, განსაკუთრებით მათთან, ვინც მომხრეებად არ ეგულებოდა – დავუსაბუთებ, შევაგონებ

ამ დღესასწაულის სიკეთეს, და ჩემს გულწრფელ განზრახვას უშუალოდ რომ მოისმენენ, როგორ იქნება არ დამეთანხმონო.

ასე აღმოჩნდებოდნენ მის ბინაში გიორგი ლასხიშვილი, ალექსანდრე ჯაბადარი და არჩილ ჯორჯაძე „ცნობის ფურცელიდან“, ნოე ჟორდანია „კვალიდან“, კიდევ რამდენიმე ჟურნალისტიც, რომელთა დასახელებას მემუარისტი აუცილებლობად აღარ მიიჩნევს. ნოე ჟორდანიას კი ვერ გამოტოვებდა, ყველაზე მეტი გავლენა ვისაც მოეხვეჭა ახალთაობელთაგან და ილია ჭავჭავაძესაც ეყელყელავებოდა, სიშმაგით ანთებული მისდგომოდა მის კვარცხლბეკს და საძირკველს ურყევდა. არც ის ავიწყდებოდა, რომ გვერდითაც არ მოეთმინა ვინმეს დაწინაურება, თვალი არ აერიდებინა გულგრილად თუ ბედოვლათობით, მაინც ვერ გადამასწრებსო, ფრთხილობდა, ძალიან ფრთხილობდა და ყველას სიტყვასა თუ მოქმედებას გულდასმით ჩაჰკირკიტებდა, ვაითუ კონკურენტად მომევლინოს და გავლენაშიც შემეცილოს, დღეს არა, ხვალ ამან იგდოს ხელთ საზოგადოებრივი ცხოვრების სადავეებიო.

ამიტომაც არ ეჭაშნიკებოდა გიორგი ლასხიშვილი.

არჩილ ჯორჯაძე თავიდანვე გააღიზიანებდა – მისი შორეთიდან გამოგზავნილი სტატიებიც, თორემ საქართველოში ჩამოსვლა და „ცნობის ფურცელთა“ წრეში დამკვიდრება უკვე საჭიროებდა მისი ფრთების შეკვეცას.

რა მნიშვნელობა ჰქონდა, სამივე რომ სოციალისტობდა.

პირადობა სძალავდა იდეალს ნოე ჟორდანიას არსებაში, პირადობა განაგებდა მის ფიქრსა და მოქმედებას და, ილია ჭავჭავაძეს რომ ჩამოიცილებდა და არჩილ ჯორჯაძეს კი ბედისწერა ჩამოაშორებდა გზიდან, სხვებს თამამად გაუმკლავდებოდა და ივლიდა ასე – მტკიცედ და თავდაჯერებით – ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების სავარძლამდე.

საგულდაგულოდ მომზადებულიყო მათთან შესახვედრად დავით მელიქიშვილი და ისეთი მარჯვედ აწყობილი სიტყვით მიმართავდათ, ცოტა გულუბრყვილო კაცს კიდეც დააბნევდა.

ესაო და: რუსეთის პრესა და მოხელეობა სეპარატისტობას გვიკიჟინებს და ასეც გვაბეზღებენ იმპერატორთან და რუს ერთან, ჩვენ კი ხმა უნდა ამოვიღოთ და გავახსენოთ, რომ დარიალის კარის გაღებით საშუალება მივეცით აღმოსავლეთში ფეხის მოკიდებისაო; ამასობაში კი ვაცნობებთ, რომ იმედები გაგვიცრუვდა და გადაგვარების გზას ვადგავართ და ამის გამჟღავნებას დიდი პოლი-

ტიკური და მორალური მნიშვნელობა ექნებაო; ამ ყველაფრის თქმა კი მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ჩვენი ნებით ვიდღესასწაულებთ რუსეთთან შეერთების ას წლისთავს, თანაც არაერთი შუამდგომლობაა აღძრული, თუნდაც ერობაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და ტფილისის უნივერსიტეტის დაარსებაზე და ყველა თუ ვერა, ზოგიერთი იქნებ სულაც დღესასწაულის დროს მოვიპოვოთ.

ზოგისთვის იქნებ მაცდურიც აღმოჩენილიყო ეს აღქმანი, მაგრამ ესენი ცრუდაპირებებით ვერ მოიხიბლებოდნენ:

– ქართველი ერის მონობის აღსანიშნავ დღესასწაულში ჩვენ ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებთ.

ამ კერძო შემთხვევაში მოკავშირენი გამხდარიყვნენ და მათი დგომა ერთ მხარის სახუმარო არ გახლდათ მოდღესასწაულეთათვის.

დავით მელიქიშვილი გამოუცდელი არ ყოფილა და ასეთი პასუხისთვისაც მომზადებულიყო, სულაც არა ყოფილა დარწმუნებული, გავაბრუებ და გადმოვიბირებო:

– მე ამას მოველოდი და იმას მაინც გთხოვთ, წინააღმდეგობას ნუ გაგვიწევთ.

და არჩილ ჯორჯაძე:

– სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ ძალა არ არის ლეგალურ პრესაში წინააღმდეგობა გაგიწიოთ, ხოლო თუ ვინმე არალეგალურად თავის აზრს გამოხატავს, ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა ექნება?!.

ამ სიტყვებით დაშორდებოდნენ, მაგრამ თავადაზნაურთა წინამძღოლი მათთან დაახლოების მცდელობაზე ხელს არ აიღებდა, დროდადრო მიიწვევდა ერთად თუ ცალ-ცალკე, ხან თავისი მომავალი გამოსვლის პროექტს გააცნობდათ, ხან საგაზეთო წერილებს წაუკითხავდათ... ძალიან მოეწონებოდა მათთან ლაპარაკი, კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მემუარისტი არც მოგვიანებით დაეჭვდებოდა მის სიწრფელესა და თავისი ქვეყნის სიყვარულში და კეთილად ამიტომაც მოიგონებდა: ძალიან სასიამოვნო მობაასე იყოო.

ერთხელ ეტლსა და პატარა ბარათს გაუგზავნიდა რედაქციაში: გთხოვთ დაუყოვნებლივ მოხვიდეთო. მის მიწვევაზე გიორგი ლასხიშვილი და კიტა აბაშიძე ეახლებიან, არჩილ ჯორჯაძე იქ არა ყოფილა და იქნებ ზედმეტიც იყოს ამ ეპიზოდის ჩართვა ჩვენი თხრობისას? მაგრამ არა, რაკიღა მწვავე თემას ეხება და უშუალოდ ეხმაურება არჩილის განწყობილებასა თუ მოღვაწეობის ყაიდას, და თითქოს იმ ბარათთა თავგადასავალს აგრძელებდეს, ილია ჭავჭა-

ვაძესა და გიორგი წერეთელს რომ მიეწერათ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებისათვის.

დავით მელიქიშვილი დერეფანშივე გამოეგებებოდათ: სტუდენტები მყავს მოწვეული და ვცდილობ დავაჯერო, რომ არა ღირს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა, რადგანაც ქართველმა ახალგაზრდობამ სამშობლოსათვის უნდა შეინახოს თავიო.

ამათში თანამოაზრენი ეგულებოდა, ამ შეხედულების მხარდამჭერნი, მაგრამ გიორგი ლასხიშვილი და კიტა აბაშიძე ცივ წყალს კი გადაასხამდნენ, ჩვენი იმედი ნუ გექნებათო.

კამათს მაინც დაესწარითო, – ნირწამხდარი შეუძღვებოდა სტუმრებს თავის კაბინეტში და ურჩევდათ ყურადღება მიექციათ ერთი სტუდენტისათვის, შესანიშნავი მჭევრმეტყველისა და მეტად მახვილი მოკამათისათვის.

სიმახვილითა და ლოგიკურობით გამოიჩენდა იმ დღეს თავს თავადაზნაურთა წინამძღოლი, მაგრამ სტუდენტთა სიმტკიცეს ოდნავადაც ვერ შეარყევდა, განსაკუთრებით იმ ერთისა, ვინც – რომ გამოიკითხავდნენ – გიორგი წერეთლის ვაჟი აღმოჩნდებოდა.

გიორგი წერეთელი მაშინ რჩევად იმას კმარობდა, ნუ მოერიდებით ხელისუფლების განაწყენებასო, ირაკლის კი – სულ მალე კაკი წერეთლის სახელით გახმაურებულს იმპერიაში – პოლიტიკური მოვლენების შუაგულად მხოლოდ რუსეთი ეგულებოდა, იქ ეწადა თავის გამოცდა, იქაურ წარმატებებზე ოცნებობდა და სასაცილოდაც აღარ ჰყოფნიდა მასპინძლის რჩევა თუ თხოვნა: სამშობლოსათვის შეინახეთ თავიო.

რა სამშობლო, რომელი სამშობლო...

მსოფლიო მოქალაქეს მიწის პატარა ნაგლეჯით რატომ შემოეზღუდა თავი?

თურმე მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებს უნდა ჩამოსცილებოდა და იმ ქიმერაზე ეფიქრა, რასაც საქართველოს ავტონომია ერქვა, დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო თუ გნებავთ.

გული წყდებოდა, მამამისი ძველ წარმოდგენათა ტყვეობაში რომ დარჩენილიყო, მაგრამ ახალ დროებისათვისაც ალღო მარჯვედ რომ აეღო და გზა გაეხსნა მესამედასელთათვის „კვალის“ გადაცემით, ნუთუ ეს გადაწყვეტილება დამსახურებად არ უნდა ჩათვლოდა რევოლუციური მოძრაობის წინაშე?

საუკეთესო ორატორისა და რევოლუციონერის სახელს მოიხვეჭდა თანდათანობით და გრიგოლ რობაქიძე ერთხელაც საგანგე-

ბოდ დაესწრებოდა ირაკლი წერეთლის საჯარო გამოსვლას, რათა მისი ორატორული ჯადოსნობა განეცადა. იქნებ ზოგიერთ ხერხს მჭევრმეტყველებისა კიდეც დასესხებოდა, მაგრამ ამ გულისთქმას აღარ გაამჟღავნებდა, ის კი არა, საშუალო ორატორზე ნაკლებიც მოეჩვენებოდა, ისეთი ძალ-ღონის მეჭვრმეტყველთათვის მომისმენია, იმათ რას შეწვდებოდაო. ძალიან გაზვიადებულად მიიჩნევდა ირაკლი წერეთლის სიტყვის ჯადოსნურ ხიბლსა და შთამბეჭდაობას, თუმც ლეგენდა ლეგენდად დარჩებოდა და შთამომავლობას, ვისაც შალვა ნუცუბიძისათვის მოესმინა და დიდადაც იხიბლებოდნენ მისი მჭევრი სიტყვით, საზომად ეს გადმოცემა ჰქონდა – ხუთ წუთს მარტო იგი უძლებდა საჯარო კამათისას კაკი წერეთელსო. სად შეხვედროდნენ თუ შერკინებოდნენ ერთმანეთს, გადმოცემა ამის თაობაზე არაფერს იუწყებოდა, ერთხელ მომხდარიყო თუ რამდენჯერმე, არც ამას აზუსტებდა. ლეგენდა ტრიალებდა და შალვა ნუცუბიძესაც რგებოდა პატივი ამ ლეგენდის პერსონაჟობისა. უსმენდნენ მის ლექციებს და გონების თვალით წარმოისახავდნენ ირაკლი წერეთლის ორატორულ ხელოვნებასა და ჯადოსნობას. – მსგავსიც არაფერი, რომ მოგესმინათ, ძალიან გაწბილდებოდითო, – ამის უთქმელად ვერ გაძლებდა გრიგოლ რობაქიძე, ამ საუბარს რომ შესწრებოდა და გერმანიასა თუ შვეიცარიაში არა ყოფილიყო გადაკარგული.

საქართველოში არავინ ეგულებოდა ჟორესის ტოლადაც, თორემ ლენინსა და ტროცკის არც შეადრიდა, საუკეთესო ორატორებს მხოლოდ უცხოელებს ჩამოთვლის და მათ ფონზე აკნინებს კაკი წერეთლის ლეგენდას, სულაც აცამტვერებს, და იქნებ კიდეც გვერწმუნა მისი ამ მკაცრი შეფასებისა, ის უცნაური გაორება რომ არა მის მსოფლხედვეში, ლენინი უდიდეს სახელად რომ მიაჩნდა და სტალინი უკნინესად. იმის მიმართ აღმატებულ ეპითეტებს არ იშურებდა და ამის მიმართ – დამამცირებელს. ერთი ოდნავ გერჩივნოს ან თუნდაც ძალიან გერჩივნოს მეორეს, ანდა მეტ-ნაკლები სიძულვილით გძულდეს, ადვილი ასახსნელია, მაგრამ ორ უკიდურეს პოლუსზე მიუჩენდე ადგილს, განმარტება გაძნელდება, თუ იმ ფსიქოლოგიურ იმპულსს არ მიაყურადე, რომელიც არ განებებს შენი თვისტომისათვისაც ის აღტაცება გაიმეტო, რაც სხვა ქვეყნის შვილისათვის სრულებით არ გენანება.

ნოე ჟორდანიას მიმართ აღვლენილი დითირამბის, ახალი დროის მოსე წინასწარმეტყველად შერაცხვის, მამოძრავებელი იმპულსი სულ სხვა ბუნებისაა და „ძლიერი პიროვნების“ კულტზე მეტად

იმას შთაუგონებია, იმჟამად ეს პიროვნება რომ აღზევებულა საქართველოს უმაღლეს მმართველად და მწერალი მის გარემოცვაში მოხვედრას მიელტვის... საბჭოთა იმპერატორის გარემოცვაში მოხვედრის ისედაც სათუო პერსპექტივა კი სრულიად და სამუდამოდ ჩაუხშვია გრიგოლ რობაქიძის გადახვეწას გერმანიაში.

ასეა თუ ისე, მისი მოწმობა არ დაადასტურებდა დავით მელიქიშვილის აღტაცებულ დაკვირვებას. რა ვუყოთ – სხვაც ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდება მემუარებსა თუ გადმოცემებში... დავით მელიქიშვილს დაე პირში შებმოდა ეს ახალგაზრდა კაცი, დაე ერთი სიტყვაც არ შეერჩინა, ადრე თუ გვიან ისიც თავის ფესვებს დაუბრუნდებოდა... დაუბრუნებოდა კი?.. არჩილ ჯორჯაძესავით ჩამოეხსნებოდა მსოფლიო მოქალაქეობაზე ოცნებას თუ სიცოცხლის ბოლომდე ითაკილებდა ქართულ წარმოშობას?.. თავადაზნაურთა მარშალს ამაზე საფიქრელად აღარ ეცალა, ისე ჩაეფლობოდა სადღესასწაულო სამზადისში და „უმაღლეს რესკრიპტსაც“ ისეთი მოუთმენლობით მოელოდა, როგორც ღვთის წყალობას – ასეთი თავგადადებული სამზადისის ჯეროვან დაფასებას.

მანამდე კი –

თავადაზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარები, ამ იუბილეს კი მტრულადაც შეხვდიო, – უსაყვედურებდა დავით მელიქიშვილი ილია ჭავჭავაძეს, თავადაზნაურობის მიერ გამართულ გამოფენაზე რომ შეხვდებოდა დიდუბეში.

ის ილია წინამძღვრიშვილთან ერთად მიჯდომოდა სუფრას და გამაგრილებელ სასმელს მიირთმევდა. თანამესუფრე შემთხვევით მიხეილ ჯავახიშვილს მოჰკრავდა თვალს, თავისი სკოლის ყოფილ მოსწავლეს, და მიიპატიჟებდა. ის მორიდებით ჩამოუჯდებოდათ და ილიას მზერაში რაღაც იელვებდა: ეს ის ყმაწვილი ხომ არ არის, მწერალი რომ უნდა გამოსულიყოო.

ილიაობაზე, საგურამოში, ასე წარედგინა ყმაწვილკაცი წინამძღვრიშვილს მისთვის და ის წუთები გაცოცხლდებოდა მეხსიერებაში.

მარშალიც მაშინ მიადგებოდათ საყვედურით.

პასუხად ილიამ:

– სასიხარულო არაფერია, საქვეყნოდ თავი მოგვჭერით. თავიდანვე გითხარით, მე ჩემი გზა მაქვს-მეთქი.

– ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს, – ჩაურთავდა წინამძღვრიშვილი და მიხეილი კი გუნებაში გაივლებდა: რას აჰხირებია ეს დავით მელიქიშვილი, ამათი გზა ხომ თავიდანვე გაიყარაო.

კამათს შეჰყვებოდნენ, სიცხარეც გამოერეოდა დავას, თუმც წაკიდებამდე არ მივიდოდა საქმე.

– ზოგი ჭირი მარგებელიაო, – ამით მოათავებდა ილია მარშალთან პაექრობას, – ამ იუბილემ ხალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანნი, გაღმა დგახართ, ხალხი კი გამოღმა დარჩა. ამ იუბილის წყალობით ისწავლის ხალხი მტერ-მოყვარის გარჩევას და მისი ეროვნული შეგნებაც საბოლოოდ ჩამოყალიბდებაო.

„უმაღლეს რესკრიპტსაც“ ისეთი მოუთმენლობით მოელოდა, როგორც ღვთის წყალობასო...

მოელოდა და... ნაცვლად ერობის თუ უნივერსიტეტისა, თავადაზნაურობას ებოძებოდა კადეტთა კორპუსი და რაღაც გროშები... მაგრამ დავით მელიქიშვილი იმპერატორზე მაინც არ აიყრიდა გულს და მთავარმართებელს გადააბრალებდა: იმისი ჩაგონებით დაიწერა ეს რესკრიპტიო.

ამ სამარცხვინო იუბილეს პროტესტით თუ არ გამოვეხმარეთ, რაღა კაცნი ვიქნებითო, დრტვინავდნენ „ცნობისფურცლელები“ და მხოლოდ იმის გარშემო კამათობდნენ, დიდ კრებასაც იმიტომ მოიწვევდნენ მარიამ დემურიას ბინაზე, როგორი ფორმით გამოიხატოს ჩვენი აღშფოთებაო.

პროკლამაციის შედგენას იკმარებდნენ და მის დაწერას არჩილ ჯორჯაძეს მიანდობდნენ. ისიც ისეთი გზნებით გაჟღენთდა საპროტესტო ფორმულებს, თანამოაზრენი აღფრთოვანდებოდნენ, დიდ გამოძახილს ჰპოვებს ხალხშიო. დაბეჭდვაზე ვლადიმერ ლორთქიფანიძე იზრუნებდა და კიდეც მოეფინებოდა ტფილისს.

ილია ნაკაშიძეც გატოლსტოვებულიყო, გადაეჭარბებინა არჩილ ჯორჯაძისათვის და ახლაც მისი თაოსნობით დაიწერებოდა ლევ ტოლსტოისთან გასაგზავნი ბარათი. იმის გამოხმაურებას შეუძებელია რუსეთიც და ევროპაც არ აეფორიაქებინა და არ ჩაეფიქრებინა იმპერიის პროვინციად დამცრობილი ძველთაძველი კულტურის ერის ბედსა და იმ დამცირებაზე, რაც ამ ხალხს განეცადა ასწლიანი მონობის იუბილის გადახდით.

სათხოვარი ეს ჰქონდათ – იქნებ ხმა აღიმაღლოთ და აცნობოთ რუსეთის მოწინავე საზოგადოებას, რომ ქართველი ერი და ხალხი არ მონაწილეობდა ამ დღესასწაულშიო.

ისეთივე იმედითა და მოუთმენლობით მოელოდნენ ტოლსტოის საპასუხო ბარათს, როგორც დავით მელიქიშვილი იმპერატორის რესკრიპტს.

დიდი მწერალიო, სწორუპოვარი ჰუმანისტიო, ახალი რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების დამაარსებელიო.

სხვა რაღა იყო საჭირო, რათა მცირერიცხოვანი ხალხის გულისთქმას ჩაწვდომოდა და თავისი წრფელი განცდაც შეეშველებინა. ისეთსაც რას სთხოვდნენ – მონობის დღესასწაულის აღნიშვნა თავს მოგვახვიეს, ჩვენ მისი მსურველნი არასოდეს ვყოფილვართ და ვერც ვიქნებოდითო.

ილია ნაკაშიძე მოახერხებდა, რომ „ანა კარენინას“ შემოქმედის საპასუხო ბარათი მოსულიყო.

ვიდრე კონვერტს გახსნიდნენ და იმ სტრიქონებს გადაავლებდნენ თვალს, ისეთი აღფრთოვანება დაეუფლებოდათ, თითქოს ქვეყნის ავტონომიურობის კარიბჭესთან მიმდგარან და კარი ისისაა უნდა შეიხსნასო. ბარათი და უეჭველი დაპირება მოწინავე საზოგადოებისათვის ხმის მიწვდენისა იმ სიმხნევეს განუმტკიცებდათ, გადამწყვეტ მოქმედებას რომ უნდა ახლდეს.

და, აი, კონვერტის გახსნის საზეიმო წუთი.

მერე რა, რომ ამ წუთის აღწერა არ შემოგვრჩენია მემუარისტთა ჩანაწერებიდან, არც დღიურებსა თუ კერძო წერილებში გამოხატულა მისი სისავსე და განსაკუთრებულობა. იოლად შეიძლება აღადგინოს წარმოსახვამ მოლოდინიც და მისი დამაგვირგვინებელი აქტიც, რომელიც სულგანაბულ ვითარებაში უნდა აღსრულდეს, სრულ მდუმარებაში აღტაცებული ყიჟინის წინ, როდესაც მოწიფული ადამიანები ბავშვებს ემსგავსებიან და სულაც არ ერიდებათ ეს გაბალღება. ყველა ერთი განცდით აღვსილა და ვიღასი შეიძლება მოერიდოთ.

დაპირება მართლაც არის აღნიშნული ბარათში, ოღონდ... ოღონდ ეს რა დაპირებაა, რას მოელოდნენ და ეს რა...

იქნებ თვალი ატყუებს. ვისაც ეს ბარათი უპყრია, მოიცა, ახლა სხვა შეამოწმებს, ახლა კიდევ სხვა... ატრიალე ფურცელი ხელში რამდენიც გენებოს, ეძიე შიგ ფარული აზრი, ქარაგმული მინიშნება, რაც მოლოდინს დაგიდასტურებს, სტრიქონებსა თუ სიტყვებს შრის ამოიკითხე ჰუმანისტური მრწამსი. სული გამოცლია ფურცელს, ნერვი არა თრთის, თავიდან გიშორებენ ზერელე, არაფრისმთქმელი პასუხით, ადგილს მიგიჩენენ სადღაც კუთხეში ღატაკი ნათესავივით და ამასაც დიდ წყალობად იმეტებენ.

– დიდად თანაგიგრძნობთ, მაგრამ ამჟამად თქვენს თხოვნას ვერ ავასრულებ, იქნება შემდეგში მოვახერხო.

დიდი მწერალი, სწორუპოვარი ჰუმანისტი, ახალი რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების დამაარსებელი.

ოღონდ სწორუპოვარი მაშინ არის და მხოლოდ მაშინ, თუ რუსეთის იმპერიულ მიზნებს საფრთხე არ ექმნება.

ხოლო თუ იმპერიული მიზანი მოითხოვს ამა თუ იმ ქვეყნის შერწყმას, კიდეც ბუნებრივად უნდა გაგრძელდეს და მოთავდეს ეს პროცესი.

და ამ ქართველებს ნეტა რა ჰგონიათ – მოწინავე საზოგადოებრივი აზრი რუსმა მწერალმა რატომ უნდა მომართოს ამ მისწრფების წინააღმდეგ.

ჰოი, წმინდა გულუბრყვილობავ!..

ის ნამცეცებიც არ ემეტებოდა, რასაც იმპერატორი გაიღებდა, თვალის ასახვევად, მაგრამ მაინც.

იქნება შემდეგში მოვახერხოო...

თუკი ცნობისფურცლელთაგან ვინმე ამ გარეგნულ ზრდილობიანობას ჩაებღაუჭებოდა, რაღაც ხელისშემშლელი გამოსჩენია, ყველაფერს ჩვენ ხომ არ გაგვიმხელს, და ნახავთ, თუ ეს დაპირება არ აღასრულოსო, გადაიკეცებოდა, დღეებიც, თვეებიც, წლებიც, მაგრამ ასეთი სასწაულის მომსწრე არავინ გამხდარა.

ნეტა არჩილ ჯორჯაძეს იმ წუთას რა განცდა დაუფლებოდა!..

ტოლსტოიზე ნარკვევში ერთი სიტყვითაც არ იხსენებს, მინიშნებითაც არ მიანიშნებს ამ ეპიზოდს, არც ამტყუნებს, არც ამართლებს, ვითომ ასეთი რამ არც მომხდარიყოს. ეტყობა, შინაგანად მაინც ვერ უძებნიდა გამართლებას, თორემ ამ ნარკვევში შესაფერისი საშუალება მისცემოდა განსასჯელად... მთავარი მისთვის იმ საიდუმლოს ამოხსნა გამხდარიყო, რატომ აყრილიყო ტოლსტოი თავისი ოჯახიდან და მამაპაპეული ბუდიდან, სად გარბოდა და რა აზრი და გრძნობა აღაფრთოვანებდა და ამოძრავებდა 83 წლის ბერიკაცს, როდესაც იგი ფარულად და მალულად, ერთადერთი მეგობრის თანხლებით, ამ ცივი შემოდგომის დღეს რიაზან-ურალის რკინიგზით სადღაც მიეშურებოდა.

ძალიან ზერელე მოეჩვენებოდა არჩილ ჯორჯაძეს მოსკოვ-პეტერბურგის გაზეთთა რეპორტაჟები, ამოზრდილი არაფრისმთქმელ, სრულიად გაუგებარ ვარაუდებსა და ჭორებზე და თვითონ შეეცდებოდა მის სულში შეღწევას მისი ნაწერების მოშველიებით. იქ ამოიკითხებოდა საკმაოდ ნათლად, თუ სად გარბოდა ეს

მოხუცი, როდესაც მის გულში სავსებით მომწიფდა მთელი მისი სიცოცხლის ნააზრევი განზრახვა.

ეს ერთი ადამიანია და არა ორიო, – დაიბეჯითებდა.

სხვანი განარჩევდნენ ტოლსტოი-მხატვარსა და ტოლსტოი-მორალისტ-მოაზროვნეს, და ირწმუნებოდნენ, ცხოვრების პირველ ხანაში ერთ რამეს ამტკიცებდა და იცავდა და მეორე ხანაში – მეორესო.

მაგრამ არჩილ ჯორჯაძეს, მის ალღოსა და ფსიქოლოგიურ ანალიზს უფრო დაეჯერებოდა:

დაუკვირდით და თქვენც დარწმუნდებით, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ერთ მრწამსს ემსახურებოდა – სიცოცხლის ბედშაობის აღიარებას სიკვდილის წინაშე და ტიტანურ შებრძოლებას სიკვდილის მარადიულ პრობლემასთანო.

მისი გაქცევა შინიდან არ შეიძლება გააზრებულიყო როგორც უეცარი აფექტი. ის, რაც საკვირველი თანდათანობითა და ჰარმონიით ამოზრდილიყო მისი წარსული ცხოვრებიდან, ცხადია, წამიერ აღტკინებად ვერ შეფასდებოდა:

– მისი გაქცევა განსახიერებული სიმბოლოა იმ დაუსაბამო და უსრულო სულიერ მოძრაობისა, რომელიც საფეხურიდან საფეხურამდე ნელნელა ანთავისუფლებდა მოხუცს საამქვეყნო ტყვეობისაგან, საამქვეყნო სიამეთა-მწუხარებისაგან.

არჩილ ჯორჯაძეს ეჭვიც არ ეპარებოდა, ის იდუმალი ხმა, რომელიც მთელი სიცოცხლე ეძახდა ლევ ტოლსტოის, სახარების სტრიქონებით შეაგონებდა, და ისიც მოუბეზრებლად იმეორებდა იმ იდუმალი სიმის მონაბერს: უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არსო.

და კიდევ:

– ტოლსტოი თავის თავს ასე უყურებდა, როგორც მგზავრს...

წუთისოფლის მგზავრის, ხიზნის მოძღვრებას ქმნიდა, მგზავრის, მწირის სულისკვეთებით აღავსებდა თავის მიმდევრებს და აღსასრულისას სწორედ მგზავრს გაუთანაბრდებოდა. ეს გახლდათ მისი მოძღვრების შესაფერისი გარდაცვალება და ბედისწერის ტრაგიზმი ძალდაუტანებლად აღამაღლებდა ამ მოძღვრების შემქმნელის სახებას.

რასაც ქადაგებდა, თვითონ სწორედ ის ხვედრი მოსწეოდა.

ასეთ სიკვდილს ნატრობენ ახალი სიტყვის მქადაგებელნი, რადგანაც უწყიან, ტრაგიკული აღსასრულის გარეშე უმთავრესი სხივი აკლდება მათ რელიგიურ-ეთიკურ მრწამსს.

იესო ქრისტეს ჯვარცმა ამიტომაც შეხარბებია ხან ვის და ხან ვის – გოლგოთაზე რომ არ დაესრულებინა ამქვეყნიური სიცოცხლე, მარტოდენ მისი მოძღვრება ამხელა შთამბეჭდაობას ვერ შეიძენდა და ვერც ამხელა გამოძახილს ჰპოვებდაო.

ჯვარცმა შარავანდად ადგას მაცხოვრის ამქვეყნიურ მოღვაწეობას, მაგრამ წინასწარ ასე რომც არ განესაზღვრა უფალს, ქრისტიანობა მაინც ვერ ჩაიკეტებოდა ორიოდ თემის საზღვრებში, რადგანაც თვითონ მოძღვრება მოვლენილიყო ადამიანის ფერისცვალებისათვის, იმ სულიერი გარდაქმნისათვის, ურომლისოდაც მაცხოვრის ტრაგიკული აღსასრული ასე ცალკე ვერა ზიდავდა კაცობრიობის მხსნელის ტვირთს.

შინაგანი წინააღმდეგობა რომ ჩაბუდებულიყოს ამ რელიგიურ სისტემაში, გაბზარულიყოს მისი ცალკეული საფეხურები ანდა მოკლებულიყოს სწორედ ამ სისტემურობასა და მონუმენტალიზმს, რაღა დარჩებოდა ჯვარცმის შთამბეჭდაობიდან!..

ჰარმონიულად შეეთანადებოდა ერთმანეთს მოძღვრება და მისი შემოქმედის ტრაგიკული ბედისწერა, ერთიმეორეს განმსჭვალავდა, გააკრისტალებდა და სულ სხვა ძალითა და გზნებითაც ააელვარებდა.

ასეთ სიკვდილს ნატრობენ ახალი სიტყვის მქადაგებელნიო...

ტოლსტოისებურს...

აღსასრული და მოძღვრება ამჯერადაც ჰარმონიულად შეთანადებოდა ერთმანეთს და მაშ რისი ბრალი უნდა იყოს, რომ ტოლსტოველობა არამცთუ უფრო ძლიერად ვერ იხუვლებდა და უფრო შორსა და შორს ვერ გადაწვდებოდა, რაც იყო, ისიც ნელ-ნელა ჩაიწრიტებოდა და დუხაბორთა მოძრაობაში აიზილებოდა?

რისი ბრალი და:

შინაგანი უსისტემობისა და გულგამოჭმულობის, ის მოვალეობა რომ დაჰკისრებოდა მისი შემქმნელისაგან, რისი აღსარებაც არაფრისდიდებით არ შეეძლო და მანამდე იფოჟიალებდა, ვიდრე გარეგნული ეფექტი არ ჩაქრებოდა.

აჰა, მსხვერპლად ვეწირები ჩემს რელიგიურ-ეთიკურ წარმოსახვებს, მაგალითად დაიდეთ და აქედან გამოგვხედეთ მეც და ჩემს მიმდევართაცო, – მხურვალედ ღაღადებდა სახელოვანი ბერიკაცის ეს უჩვეულო და თავგანწირული საქციელი, მაგრამ ფუჭად რჩებოდა ეს ღაღადისი.

არჩილ ჯორჯაძეს მოხიბლვით მოხიბლავდა, მისი ფესვების ამოცნობისა და საქვეყნოდ გამოტანისთვისაც უბიძგებდა, მაგრამ

ველარ მიაბრუნებდა ერთხელ და სამუდამოდ მიტოვებული გზისაკენ, ვერ ჩამოაშორებდა თავისი ერის გამოხსნისაკენ სწრაფვას და ვერ აიყოლიებდა ტოლსტოვურ ახალშენში საცხოვრებლად.

ამჟამად თქვენს თხოვნას ვერ ავასრულებთ...

არადა, რაღაც განსაკუთრებული რამ კი არ ეთხოვათ, მხოლოდ უნდა დაედასტურებინა, რომ ქართველობა არ არის აღტაცებული მონობით და სულაც არ ედღესასწაულება ის დღე, რომელიც გადაგვარებისაკენ მიაქანებს ასეთი მიზანდასახულებით.

ემძიმებოდა.

საკუთარი თავის, საკუთარი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა.

ცრუდაპირება გამოეგლიჯათ: იქნება შემდეგში მოვახერხოო.

ჯერ ბუნდოვანი დაპირება რა არის და არაგულწრფელი და ფუჭი რაღა უნდა იყოს!..

1907 წელს გამოცემულ პატარა წიგნში „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში“ არჩილ ჯორჯაძე ამ ასწლოვან იუბილეს მოიხსენიებს: ღირსების შემლახველად, მონური გრძნობებით აღსავსედ, საზიზღარ მეჯლისად, ქართველი ხალხისა და ქართული ეროვნების შემლახველად, მემკვიდრეობითი ღალატის გამომჟღავნებად, სამარცხვინო დღესასწაულად...

მწვავე შეფასებას მწვავე შეფასებაზე ახვავებს, არ კმარობს ერთსა თუ ორ მძაფრ ეპითეტს, რადგანაც მართლა შეიძლებოდა საგრძნობლად ემოქმედა ასწლოვანი მონობის ასეთ ზარ-ზეიმით აღნიშვნას საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ეროვნულ მოღვაწეთა თავგამოდება რომ არა – როგორც იმთავითვე შეეწინააღმდეგნენ ამ ღირსების შემლახველ განზრახვას, მისი აღსრულების შემდეგაც მიზანმიმართულად განაგრძეს ზეიმის ნამდვილი არსის წარმოჩენა, რათა საზოგადოება არ დაბნეულიყო და ქედმოდრეკა და მორჩილება ერთადერთ აუცილებლობად არ ეღიარებინა.

და არამარტო ახსენებს ამ სამარცხვინო მეჯლისს არჩილ ჯორჯაძე, სულაც ამ ეპიზოდით იწყებს საქართველოში ფედერალიზმ-სოციალიზმის ისტორიის წარმოჩენას, რაც ძალდაუტანებლად მიგვანიშნებს, რომ ასწლოვანი მონობის იუბილემ უნებურად დააჩქარა ახალი და ეროვნული მრწამსის პარტიის შექმნა, დააჩქარა, თუ სულაც არ განსაზღვრა.

საპროტესტო პროკლამაციები რომ დაიბეჭდა და მთელს საქართველოს მოედო „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების“ კომი-

ტეტის ხელმოწერით – პროკლამაციები, როგორც ამ ზეიმის თაოსანთა, ისე მთავრობისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ – ზომიერად შედგენილ ტექსტში მუქარაც გამოერეოდა, მაგრამ არჩილსაც და მის თანამოაზრეთაც გული იმიტომ ეთანაღრებოდათ, რომ მუქარა უძლური გახლდათ, რეალურ ძალას მოკლებული:

– მასში იყო ხალხის დაჩაგვრასა და ეროვნების გათახსირებაზე ჩივილი, ხოლო ამ პროკლამაციებში არსად სჩანდა ის, თუ ვისზედ, ხალხის რომელ ელემენტებზე ამყარებდა თავის იმედებს... კომიტეტი ნაციონალ-დემოკრატებისა.

მთავარია, რომ პროტესტანტული სულისკვეთება აქ არ მოთავებულა და თანდათან უფრო ორგანიზებული შეიქნა, კრებას რომ მოიწვევდნენ ტფილისში სხვადასხვა კუთხიდან და გადაწყვეტდნენ: მთავრობას მუდმივი პროტესტი უნდა გამოვუცხადოთ, ოღონდ ჯერჯერობით პროკლამაციებითა და არალეგალური ორგანოს გამოცემით შემოვიფარგლოთ, რადგანაც სხვაგვარ პროტესტს მსხვერპლი ბევრი მოჰყვება, ნაყოფი კი არავითარიო.

კრება კომიტეტს აირჩევდა.

კომიტეტს კი თავდაპირველად ის უნდა გამოერკვია, რამდენ წევრს შეკრებდნენ ახალი დროშის ქვეშ. წინასწარ რეგისტრაციას შეუდგებოდნენ და პირველი მოულოდნელობაც აქ გაჩნდებოდა. ის რამდენიმე ადამიანიც კი განაცხადებდა უარს პარტიის წევრობაზე, ვინც ფარულ კრებებს ესწრებოდა – ვთქვათ, ილია ნაკაშიძე თუ ფილიპე გოგიჩაიშვილი.

კომიტეტი დიდ ძიებას არ დაიწყებდა, რატომ გაგვიდგნენ განზეო. რომანს ხომ წერდნენ, პერსონაჟთა ამა თუ იმ საქციელის ფსიქოლოგიური მოტივები ერკვიათ და ეზუსტებინათ. ცოტა კი შეფიქრიანდებოდნენ, ესენიც თუ გაგვექცნენ, სხვანი ვითომ რატომ გამოიდებდნენ თავსო, მაგრამ მთავარია გული არ გაეტეხათ და თავიანთი ეცადათ. თუ ვერ გაწვდებოდნენ პარტიის შექმნას, სხვას მაინც აღარ დააბრალებდნენ, მითუმეტეს, ხელისუფლებას: გასაქანი არ მოგვცაო.

მუშათა წრეებში ერთგვარი კოსმოპოლიტური მიმართულება გაბატონებულიყო, არა ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი, რაც სახიფათო სრულებით არ არის ერისათვის, არამედ დამახინჯებული იდეალიზმით გატაცება, რაღაც გაუგებარი „თავგანწირულება“, სულიერი და პოლიტიკური მოუმწიფებლობის მაჩვენებელი. ამიტომაც იყო, რომ ამაყობდნენ ეროვნული აზრის უქონლობით, მათ სოციალურ შეხედულებებს კი მარქსისტული დოგმა ჰკვებავდა.

ასეთია ზოგადი სურათი არჩილ ჯორჯაძის მიუკერძოებელი გადმოცემით. ეს ის განწყობილებაა, რომელიც იმთავითვე უნდა გაეთვალისწინებინა კომიტეტს.

რაკილა თვითონაც სოციალისტობდნენ, განზე ვერ გაუდგებოდნენ მუშათა წრეებს და კვლავ მათი ინტერესების დამცველად გამოვიდოდნენ და სულაც ამ ინტერესებზე დააფუძნებდნენ თავიანთი მომავალი პარტიის პროგრამას.

ეგაა, გაემიჯნებოდნენ მარქსისტულ მრწამსს და სოციალ-დემოკრატთაგან დაბნეული მუშებისათვის თვალის ახელას იმით შეეცდებოდნენ, რომ კოსმოპოლიტურს ეროვნულით ჩაუნაცვლებდნენ.

ხოლო მათი პოლიტიკური გეგმა ასე გამოირკვეოდა:

საჭირო ხდებოდა თვითმპყრობელობის მოსპობა და მის ნაცვლად დემოკრატიული კონსტიტუციის დამყარება, ამ კონსტიტუციის დეცენტრალიზაცია. საქართველოს ავტონომია უნდა მისცემოდა, კავკასიას – ფედერაცია, და დემოკრატიის განმტკიცების იარაღად გამხდარიყო ქართული ავტონომიური პარლამენტი. დემოკრატიული რეჟიმი უნდა ქცეულიყო საფეხურად სოციალისტური წყობის დამყარებისა.

თითქოს რაღა სოციალ–დემოკრატები და რაღა ამ ახალი პოლიტიკური მოძრაობის კომიტეტი.

ამიტომაც არჩილ ჯორჯაძე საგანგებოდ გამოჰკვეთს განსხვავებას, კომიტეტი იმით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატთაგან, რომ მათ არა სწამდათ პოლიტიკური ცენტრალიზაცია, არც პროლეტარიატიზაციისა და კონცენტრაციის დოგმა, არა სწამდათ ისტორიის განვითარების დიალექტიკური პროცესიო.

და ამიტომაც იყო, რომ კომიტეტს – მიუხედავად შინაგანი სოციალ-დემოკრატიზმისა – მარქსისტული აზროვნება არ გააჩნდა.

განსხვავება უკვე შესამჩნევია, თუმც დაპირისპირება ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის აქ არ შეჩერდება და „საქართველოს“ გამოცემის შემდეგ დღითი დღე გაღრმავდება და გაიზრდება.

სხვას მაინც აღარ დააბრალებდნენო...

ხოლო გასაქანს ვინც არ მისცემდათ წლების შემდგომ და ვინც აღკვეთდა მათი პარტიის არსებობასაც, ის პოლიტიკური ძალა ჯერ თვალსაჩინოდ არც გამოჩენილიყო ასპარეზზე, თუმც ის მოძრაობა უკვე შემოჭრილიყო სახადივით ერის სხეულში, საიდანაც წითელი მხეცი ამოიზრდებოდა – ჯერ ფისუნიასავით მოკრუტუნე, უკბილო

და უბრჭყალო, მერე უეცრად ვეფხვის ბოკვერად გარდასახული და სულაც ვეფხვად მოვლენილი, რომელსც ვერავითარი ძალა ვეღარ გამოამწყვდევდა გალიაში. გამოამწყვდევდა კი არა, იმ გალიაში თვითონ შერეკავდა მთელს ქვეყანას და „ბურსად" თუ ყაზარმად გადააქცევდა სახელმწიფოს.

სავალალოდ დასრულდებოდა ჯორჯაძე-ლასხიშვილი-დეკანოზიშვილის თავგამოდებით შექმნილი პარტიის სიცოცხლეც – აკრძალვითა და განადგურებით ქართულ სინამდვილეში.

ჯერ მის დასაბამთან იდგნენ და სარეგისტრაციო კონფერენციას ამზადებდნენ იმ ადამიანთა შემწეობით, რომელნიც საზღვარგარეთ განზრახული გამოცემისათის ფულს აგროვებდნენ.

ჯერ გაოცებას გამოთქვამდა არჩილ ჯორჯაძე: რუსეთის დამკვიდრების დღიდან ჩვენში განუწყვეტელი მოძრაობა იყო, ხან პოლიტიკური, ხან სოციალური და ხანაც ეკლესიური, საუკუნის მიწურულს კი ამ განუწყვეტელი მოძრაობის კვალის ნატამალიც აღმოფხვრილი იყოო. რა რეალობა სუფევდა და: ყველგან გოდება, უილაჯობა, წარსულის მივიწყებაო.

ჩვენს მწერლობაში რომ პატრიოტულ ჰანგებზე ჟღერა არ შეწყვეტილა?

ეს როგორ გამორჩებოდა, მაგრამ დაჩივლებითაც როგორ არ დაეჩივლა: არც მასში და არც მის გარეთ აღარ ჩანს პოლიტიკური მისწრაფების ნასახიც კი. ასე რომ, ვიდრე საქართველოში რევოლუციური მოძრაობა დაიწყებოდა, ჩვენი საზოგადოება მკვდარი, უსიცოცხლო და იმედდაკარგული იყოო.

და მაინც:

გამოარჩევდა ცალკეულ ისტორიულ ეპიზოდებს, საპროტესტო გამოსვლებს და წინამორბედად აღიარებდა – დღევანდელი მოძრაობა და რევოლუცია წარსულთან გადაბმულია, ის არის მწყობრი, ფართო და შეგნებული სისტემატიზაცია წარსულში მომხდარი ამბოხებებისა, შფოთისა და მღელვარებისაო.

რევოლუციის მოლოდინი მალე აუცხადდებოდათ.

ჯერ... მის იდეურ კარიბჭესთან იდგნენ.

თავი მერვე

ოპოზიციური იერიში

მართლაც, რა დროს აკრძალვასა და განადგურებაზე სიტყვის ჩამოგდებაა.

ჯერ პარტიის დასაბამთან დგანან და ფულს აგროვებენ პარიზში ქართული გაზეთის დასაარსებლად.

სასტიკ კონსპირაციას ვიცავდითო, – მემუარისტმა.

უამისოდ ამ განზრახვას, ცხადია, გამოუსწორებელი საფრთხე შეექმნებოდა.

ამიტომაც დაყოფდნენ ჯგუფ-ჯგუფად ჩამოსულებსა და ტფილისელებს და ისე ებაასებოდნენ.

არჩილ ჯორჯაძეს მოწიფული ადამიანების მიმხრობას დაავალებდნენ.

ვლადიმერ ლორთქიფანიძეს – სტუდენტებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისა.

გიორგი ლასხიშვილს პროვინციელები ერგებოდა გადმოსაბირებლად.

მომავალი პარტიის მთავარი დასაყრდენი ტფილისელთა ის თაობა უნდა ყოფილიყო, არჩილ ჯორჯაძე რომ ითავებდა მათთან შეხვედრებს. საგულისხმოა, რომ გადამწყვეტი გუნდის შეკრება მას მიენდობოდა და პარტიაში ჩარიცხვის მსურველთ საკმაოდ შეაგროვებდა. ის ორნიც აცნობებდნენ, გასაჭირს არც ჩვენ განვიცდით, მაგრამ ნაირ-ნაირი შეხედულებების ადამიანები კი გვაწყდებიან და რა ვიღონოთ, აღარ ვიცითო.

ეს სიჭრელე არჩილის მიერ მიმხრობილთა შორისაც სულ უფრო თვალსაჩინოდ იკვეთებოდა. თანახმანი როგორ არ იყვნენ, ორატორის შთამაგონებელი კილო და საბუთიანობა ყველას იმედით განაწყობდა ახალი პოლიტიკური მოძრაობის მიმართ, მაგრამ შინაგანად უფრო იყვნენ აღტკინებულნი და რაღაც სიახლისათვის მზადმყოფნი, თორემ ბოლომდე მასაც ისევე არ უგდებდნენ ყურს, როგორც იმ ორს.

ზოგს მხოლოდ ეროვნული მხარე გაიტაცებდა და სოციალისტობა მაინცდამაინც ჭკუაში არ უჯდებოდა, ზოგს „ნაროდნიკობა“ ერჩივნა, ზოგიც ამ ნაკადს ანარქისტ-სინდიკალიზმისაგან ვერც განარჩევდა, ზოგი რა შეხედულებებს მიაწერდა და ზოგი რას.

ერთსულოვნება მეტად ძნელი მისაღწევი ჩანდა, მაგრამ სამივე შეთანხმდებოდა, ყველა გარემოებას რომ აწონ-დაწონიდნენ: გაცხრილვას მაინცდამაინც ნუ ვიჩქარებთ, მკაცრად ნუ მოვეკიდებით ამ ნაირ-ნაირობას, ვინც თანხმობა განგვიცხადოს, უარით ნურავის გავისტუმრებთ, მალე პარტიის პროგრამა შემუშავდება და პარტიული რიგებიც თავისთავად გაიწმინდებაო. ამასობაში, ვინ იცის, გაურკვევლობაში მყოფი რამდენი ადამიანი გამოეხსნებოდა თავის წარმოსახვებს და ირწმუნებდა იმ პარტიისას, რომლის რიგებშიც თავიდან თუნდ ცოტა ამჩატებულადაც გაწევრიანებულიყოს.

პროგრამის საბოლოო შემუშავებას მაინც როდისთვის ვარაუდობდნენ?

ერთი-ორი წლის შემდეგ, როდესაც საზღვარგარეთული გამოცემა გამოარკვევდა მთავარ საფუძვლებსა და მუხლებს მათი მსოფლმხედველობისას.

ყველაფერი იმ უცხოეთში ნაგულისხმევი გაზეთისა თუ ჟურნალის ირგვლივ ტრიალებს.

„ცნობის ფურცელი“ უკვე განვლილ ეტაპად გამოიყურება მათ თვალში.

ისევ იქ იყრიან თავს, კვლავაც აგრძელებენ ამ გაზეთის სულისკვეთებას – გულმოდგინებას ოდნავადაც არაფერს მოაკლებენ, მაგრამ თავისუფალი გამოცემისა რომ უფრო სწამდეთ და ეიმედებოდეთ, ეს ხომ უდავო და ულაპარაკოა.

საბოლოო პროგრამის შემუშავებამდე სულ ისეც ხომ ვერ იქნებიან და გადაწყდება, მანამდე მოკლე პროგრამით ვისარგებლოთ, ზოგადად რომ მოიხაზება ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძვლებიო.

არჩილ ჯორჯაძის გარეშე არც ეს მოკლე ვერსია შედგებოდა.

მასთან ერთად გიორგი დეკანოზიშვილი და გიორგი ლასხიშვილიც მიიღებდნენ მონაწილეობას, პროგრამის ამ მონახაზს, შესაფერის დირექტივებსა და ინსტრუქციებს სარეგისტრაციო თავყრილობის მონაწილეებს გააცნობდნენ, ახალი პარტიის პროპაგანდასაც დაავალებდნენ და ადგილობრივი დროებითი კომიტეტების არჩევასაც.

საზოგადოებრივ დაწესებულებებშიც მოუწევდათ გამოსვლა.

ცალკეულ წევრთა პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაბმა უფრო იოლი მოჩანდა, სულ სხვა გახლდათ მთელი იმ საზოგადოებრივი უწყების მიმხრობა, განსაკუთრებით მაინც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომელსაც სხვაზე მეტი უფლებაც მოეხვეჭა და გავლენაც და ყველაზე თანმიმდევრულად და მტკიცედაც ის აღდგმოდა წინ გამარუსებელ სამოსწავლო პოლიტიკას.

ამ საზოგადოების ხელში ჩაგდებას კვალელებიც მოინდომებდნენ და ივერია-მოამბეში შეხიზნული ის პიროვნებანიც, მერე „ცნობის ფურცლის“ გარშემო ვინც გაერთიანდებოდნენ და მხნეობაგანმტკიცებულნი ახალი ძალით შეუტევდნენ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, საქმეს შესაფერისად ვერ ასდიხართ, დასუსტდით, გამკრთალდით, იანოვსკის გამანადგურებელ პოლიტიკას ველარ უმკლავდებით, თქვენი მწირი წლიური ბიუჯეტი მხოლოდ უილაჯობის დამადასტურებელია და სხვა არაფრისა, ქართველი ერიც ვერ გეპყრობათ საკმაო ყურადღებით, მაგრამ საზოგადოების საქმიანობის დაქვეითება მაინც თქვენი ბრალია და, ვიდრე სულ წაგიხდენიათ და დაგიღუპავთ ეს სასიკეთო წამოწყება, განზე გადექით და გამგებლობა ჩვენ დაგვითმეთ, ნახავთ, ხელახლა როგორ შთავბერავთ სულსო.

1898 წლის იერიშიდან არაფერი გამოუვიდოდათ.

გამგეობა დაინარჩუნებდა თავის ადგილს და არამკითხე მრჩეველთ იოლად მოიგერიებდა.

სამი-ოთხი წელი ამ ჭიდილსა თუ დავას ახალი თაობის სასარგებლოდ გადაწყვეტდა და გამგეობა დათმობას ამჯობინებდა. კრებაზე ისე შეესეოდნენ კვალელები და ცნობისფურცლელები, ძველები იმასღა მოახერხებდნენ, რომ გამგეობის წევრად რამდენიმე კაცსღა დაიტოვებდნენ – ნიკო ცხვედაძეს, დავით კარიჭაშვილსა და ექვთიმე თაყაიშვილს. უმეტესობა ახლებიდან იქნებოდა – ნიკო ელიავა თუ ივანე გომართელი, არჩილ ჯორჯაძე თუ გიორგი დეკანოზიშვილი, გიორგი ლასხიშვილი თუ სხვანი.

ოპოზიციად მოვლენოდნენ საზოგადოების ცხოვრებას, თუმც... თუმც ძლიერ ძალად ვერ ჩამოყალიბდებოდნენ. სკოლებსა და ბიბლიოთეკებს მეთვალყურეობა თუ აკლდა, მაინცდამაინც არც ახლა მოემატებოდა, ფულადი სახსრების მოპოვება თუ ძნელდებოდა, არც ამჯერად გაადვილდებოდა, ეგაა ახლები იმ იდეას შემოიტანდნენ, აუცილებელია მასებთან დაახლოებაო. იდეა იდეად რჩებოდა და ახალგაზრდები ერთმანეთს შესჩიოდნენ, როგორ იო-

ლად წარმოგვედგინა ყველაფერი, როდესაც ჩეხების „მატიცის“ ამბავს ვკითხულობდით და მასთან გათანაბრებას ვოცნებობდითო.

იმის თქმას მოერიდებოდნენ, რა ტყუილუბრალოდ ვძრახავდით ჩვენს წინამორბედთო.

ილია ჭავჭავაძეს რა ვუყოთო – ამის ირგვლივაც შეექმნებოდათ დავა-კამათი და კვალელები რომ დაიჟინებდნენ, აუცილებლად უნდა გადავაყენოთ, აბა, როდემდე ვითმინოთ მისი მეთაურობაო, ცნობისფურცლელები იმ მოტივით დაიცავდნენ, ძვირფასი მგოსანია და საზოგადო მოღვაწე და ამიტომაც შევიწყნაროთო.

იმ გარემოებისთვისაც ანგარიში უნდა გაეწიათ, რომ ილიას სახელი ასე თუ ისე იფარავდა საზოგადოებას ბიუროკრატიის თავდასხმისაგან, რადგანაც მას ადვილად ვერაფერს შებედავდნენ მაღალ წრეებში. სხვაც რომ არაფერი, ჯერ მარტო ამის გულისათვის უნდა მოფრთხილებოდნენ, მაგრამ კვალელებს რაც არ ესმოდათ, არ ესმოდათ. ილიას დანახვა, მისი სახელის ხსენებაც კი განსჯის უნარს აკარგვინებდათ და ხელახლა იწყებდნენ მისი გამოსტუმრებისათვის ზრუნვას.

რითი გათავდებოდა ეს ჭიდილი, არავინ უწყის, მაგრამ ილია თვითონვე ჩამოსცილდებოდა წერა-კითხვის საზოგადოებას და კვალელებს მისი გაშავებისათვის ენერგიული სამზადისი ფუჭად ჩაუვლიდათ.

მერე უნდა გაიჭრას საძირკველი ქართული გიმნაზიისათვის, ნიკო ცხვედაძეს, ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს უკვე უნივერსიტეტის მომავალ შენობად რომ ესახებათ, და თუმც ცნობისფურცლელებსაც მიიწვევდნენ საძირკვლის ჩაყრასა და კურთხევაზე, ისინი კი იმდღევანდელი გაზეთის ნომრებს ბოთლებში მოათავსებდნენ და საძირკვლისათვის ღრმად ამოთხრილ მიწაში ჩაუშვებდნენ, მაინც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი, ხოლო როდესაც ცერემონიალის დასრულების შემდეგ ნიკო ცხვედაძე ახალგაზრდებს მიუბრუნდებოდათ და ურჩევდათ, აქ სამოსახლო ადგილები შეიძინეთ, დღეს იაფია, რამდენიმე წლის მერე კი აქ დასახლება საკმაოდ გაძვირდებაო, ისინი ასე პირისპირ მოერიდებოდნენ ირონიის გამჟღავნებას, მაგრამ ზურგს უკან კი სიცილს არ დააკლებდნენ, რას ამბობს, ჭკუა სულ გამოცლია, აქ დასახლება ვის გაუგონიაო.

ვაკე მაშინ ოღრო-ჩოღრო უდაბნო გახლდათ და იმის შემხედვარენი იცინებდნენ, აბა, რა იქნებოდა, ეს რა დამართნია ამ ჩვენთვის

საპატივსაცემო კაცს, გიმნაზიას უნივერსიტეტს ეძახის, უდაბნოს – სამოსახლოსო.

ნეტა არჩილ ჯორჯაძეც თუ ერია მკილავთა და მოცინართა შორის?

დაშლით არ დაუშლია თანამებრძოლთათვის სიცილი, თორემ დაამახსოვრდებოდა მემუარისტს, ვინც ამ ეპიზოდს თვითირონიად შემოატრიალებს, და თვითირონია ნამდვილი მწერლური ხელოვნებითაა გამჟღავნებული სტრიქონებს შორის.

ეცინება, ნეტა მაშინ რა მაცინებდა ან ყველა ჩემი თანატოლი ასე რამ გაამხიარულა, ხომ ჩინებულად მოგვეხსენებოდა, რომ ნიკო ცხვედაძე ამჩატებული კაცი არა ყოფილა, რჩევას ჰაიჰარად არავის გაუზიარებდა და, რაკიღა იქ დასახლება გვირჩია, ამ მიდამოს მომავალი ხვედრი შეუმცდარად ექნებოდა განჭვრეტილიო.

საზოგადოების კრებებზე შუალედურ გზას აირჩევდნენ ცნობისფურცლელები და ძველებსაც გაანაწყენებდნენ და კვალელებსაც გააგულისებდნენ. ისინი ღალატს არ დასწამებდნენ, მაგრამ ამ სისუსტეს კი უკიჟინებდნენ: თქვენი ოპოზიცია იმდენად უძლური იყო, „პოზიციის“ დაცვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ოპოზიციურ გამოსვლასო, – და არც ამ ბრალდებას მოერიდებოდნენ:

– თქვენც გეშინიათ დემოკრატიის მოსვლისა საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

დემოსს, დემოკრატიას მხურვალე ქომაგებად მოვლენოდნენ ცნობისფურცლელები, სულ ეს ეკერათ პირზე, კვალელებისა არ იყოს, აკი ძველ გამგეობასაც ამას ედავებოდნენ, დემოკრატიას მეტი გასაქანი უნდა მიეცეს, ხალხი უფრო მეტად უნდა ჩაებას წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობაშიო, და ახლა ასეთი კიჟინა უსამართლობა გახლდათ, მაგრამ გიორგი ლასხიშვილი ამ საყვედურის უსამართლობას რომ აღნიშნავდა მოგვიანებით, მაინც დასძენდა: მის გამოთქმას იდეური აზრი ჰქონდაო.

რა გამოდის – უმართებულო ბრალდებას მაინც რაღაც მნიშვნელობას ანიჭებს?

იდეური აზრიო...

თვითონაც რევოლუციური სულისკვეთებით რომ აღვსილა, წეს-წყობილების ამოტრიალების დაუოკებელი წყურვილით, დიდად არ ეუცხოება, რომ სოციალ-დემოკრატები ამისათვის არაფერს ერიდებიან და მათთვის მიზანი ყოველგვარ საშუალებას ამართლებს. და თუ ცნობისფურცლელები და მათი მეთაურები

ასეთებს არა კადრულობენ, კვალელთა გამტყუნება მაინც უძნელდებათ. „იდეური აზრი“ ამ განწყობილებას უნდა ამჟღავნებდეს ნებითა თუ უნებურად.

ისიც საგულისხმოა, კვალელებს რაღაც გამართლებას მაინც რომ უძებნის, „ივერიის“ კრიტიკულ შეხმიანებას, განკერძოებულად რატომ გამოხვედითო, „გაწიწმატება-გაბოროტებად“ იხსენიებს გიორგი ლასხიშვილი, „უმოწყალო გადაკიდებად“ და „ლანძღვა-გინებად“

ივერიელებთან აახლოებთ ეროვნულობა, კვალელებთან – სოციალისტობა, და, თუმც ირწმუნებიან, ორივე მიმართულება თანაბრად და ჰარმონიულად გვაქვს შეზავებული ჩვენს პროგრამასა და მოღვაწეობაშიო, ქვეშეცნეულად მაინც სოციალისტური დოქტრინა სძალავს და მის დამცველთ მეტ ანგარიშს უწევენ.

ერთობლივად დაამხეს საზოგადოების ძველი გამგეობა.

კვალელთა გამოლაშქრების მიმართ მეტ შემწყნარებლობას იჩენენ.

იდეურობა, ასეა თუ ისე, გამართლებად ეჩვენებათ.

არჩილ ჯორჯაძეც „ივერიის“ მიმართ უფრო განაწყენებულა, მათი სტატიები უფრო აღიზიანებს, სხვა თანამებრძოლებთან ერთად ისიც ალექსანდრე სარაჯიშვილის კილვაშია, „ივერიის“ მაშინდელი ხელმძღვანელის: დარბაისელ კაცად მოაქვს თავი და ეს რა ურიგო პოლემიკას აძლევს გასაქანსო.

– გავაფრთხილეთ რამდენჯერმე, მაგრამ არ მოგვეშვნენ. მეტისმეტად აშფოთებდა პოლემიკის ასეთი მიმართულება და წესი არჩილ ჯონჯაძეს; მეთაურიც – კი დასწერა ამის გამო; მოითხოვდა ნეიტრალურ და პატივცემულ პირების მიგზავნას და სხვა.

გაგულისებას არავინ ფარავს, მაგრამ არჩილ ჯორჯაძეს ასე საგანგებოდ არ გამოაცალკევებდნენ, ყველაზე თვალსაჩინო მისი თავგამოდება რომ არა ყოფილიყო.

ისედაც – რაკიღა ყველაზე მეტად გამორჩეულა, მის ყოველ სიტყვას სხვაგვარად წონიან და უკვირდებიან.

ამასობაში თავიდანვე რედაქტორი გაურისხდებოდათ ცნობისფურცლელებს – ალექსანდრე ჭყონია. ფსიქოლოგიური მიზეზი იმითაა ახსნილი, გამგეობის წევრი ისიც იყო და სხვა ძველ წევრებთან ერთად იძულებული გახდა გამგეობიდან წასულიყო.

მაშინ წყენა არ გამოუხატავს, მაგრამ ერთ დღეს ილია ჭავჭავაძე ბარათს მოსწერდათ: „ცნობის ფურცლის“ რედაქტორის ალექ-

სანდრე ჭყონიას განცხადების მოსასმენად ვთხოვ რედაქციის წარმომადგენლებს მობრძანდნენ საღამოს ბანკის დარბაზშიო.

გაუკვირდებოდათ, თუ განცხადებას წერდა, ჩვენ რატომ არაფერი გვაცნობა წინასწარვე, ასე რატომ უნდა გაესაიდუმლოებინაო.

წარმომადგენლებიო, და ეახლებოდნენ: ალექსანდრე ჯაბადარი, არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ლასხიშვილი.

იქ ვინ დახვდებოდათ? ილიასთან ერთად ალექსანდრე სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე და კიდევ ორი-სამი კაცი, ალექსანდრე ჭყონია თავისთავად.

ილიამ:

– შევიკრიბნეთ ალექსანდრე ჭყონიას თხოვნით. უჩივის „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელთ.

რაო, უჩივისო?

ესენი ერთმანეთს გადახედავდნენ, რა ხდებაო.

მომჩივანი კი:

– რედაქტორი ვარ და ჩემმა თანამშრომლებმა იძულებული გამხადეს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობიდან წავსულიყავი, წინდაწინ არც კი გამაფრთხილეს ოპოზიციის იერიშის შესახებ...

გააგრძელებდა და გააგრძელებდა.

ესენი მოთმინებით დაასრულებინებდნენ, ოღონდ საბრალდებო სკამზე ჯდომას სულაც არ შეეგუებოდნენ და საპასუხო სიტყვას არჩილ ჯორჯაძე ითხოვდა:

– „ცნობის ფურცელი“ თავიდანვე გარკვეულ მიმართულებას დაადგა. თითქმის ორი წელიწადია ამ მიმართულებით და გზით მიდის, რაც ბატონი ჭყონიასათვის საიდუმლოებას არ შეადგენდა. პირველად გვესმის აქ მისგან, რომ ჩვენ ზნეობრივი უფლება არ გვქონია იმ მიმართულებით გაზეთის წაყვანისა, რომელიც მას არ მოსწონს თურმე. რაც შეეხება წერა-კითხვის საზოგადოების ოპოზიციას, ეს პირადად ალექსანდრე ჭყონიას წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული და, საერთოდ, ოპოზიცია პირადად არავის შეეხება; ხოლო ჩვენ რომ გამგეობის წინააღმდეგნი ვიყავით, ამას წელიწადზე მეტია ვწერთ გაზეთში და რაღა გაფრთხილება უნდოდა კიდევ ჩვენს რედაქტორს.

ჯერ მარტო ეს სიტყვები ადასტურებს, რედაქტორი უფრო ფორმალურად რომ ჰყოლიათ და გაზეთის პოლიტიკას არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ლასხიშვილი წარმართავენ, ჩარევის უფლებას საერთოდ არ აძლევენ და ისიც განზე დგას, თორემ ხელის შეშ-

ლა რომ დაეპირებინა, რედაქციიდანაც ისევე გაისტუმრებდნენ, როგორც გამგეობიდან. ისიც ეგუება განზე დარჩენილის ხვედრს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს აუცილებლად უნდა მიეტოვებინა რედაქცია. რაკიღა გულმოსულია, არა სურს რედაქტორობაზე უარის თქმა უჩუმრად ჩაატაროს და წერა-კითხვის საზოგადოება ამიტომაც გაურევია შიდარედაქციულ საქმეში. თანაც გულის სიღრმეში იმედოვნებს, იქნებ საზოგადოებრივი აზრი მივიმხრო და ეს ურჩი ყმაწვილებიც დაისაჯონ, თავიანთ ადგილს დასჯერდნენ და გაზეთის პოლიტიკის წარმართვაც მე დამევალოსო.

ილია ჭავჭავაძე თუ მტკიცედ ამოუდგებოდა გვერდით და ცნობისფურცლელებს მართლა საბრალდებო სკამზე მიუჩენდა ადგილს, ამას შეეძლო არევ-დარევა შეეტანა რედაქციის ცხოვრებაში და იქნებ გაზეთი გაყოფილიყო კიდეც – საზოგადოების კრებაზე თუ თანამშრომელნი ჩაუდგნენ ოპოზიციაში თავიანთ რედაქტორს, ამჯერად რედაქტორი მოევლინებოდათ ოპოზიციონერად. ამიტომაც შეჰყურებს მომლოდინე მზერით ილიას, ის კი:

– ჩვენ აქ მოსამართლეები არა ვართ; გვთხოვეს განცხადების მოსმენა, მოვისმინეთ განცხადებაც და პასუხიც და ამით თავდება ჩვენი მისია.

არ ეჭაშნიკებოდა არჩილ ჯორჯაძე და მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მიმართულება?

არ აჰყვებოდა თავის განწყობილებას, საჯარო პაექრობას არ გაუმართავდა და არ გადაამეტებდა თავის უფლებას.

ყოველივე ისე უნდა აღსრულებულიყო, როგორც წესი მოითხოვდა.

ალექსანდრე ჭყონია მომხრედ რომ ველარ დაიგულებდა ილიას, აღელვებული მოითხოვდა ალექსანდრე ჯაბადარისაგან დაუყოვნებლივ შეცვლას რედაქტორის პოსტზე. ოფიციალურად არც გიორგი ლასხიშვილი მოინდომებდა გაზეთის ხელმძღვანელობას და არც არჩილ ჯორჯაძე და რედაქტორობასაც გამომცემელი შეითავსებდა... ოღონდ ეს რამდენიმე დღეში მოხდება, ჯერ კი ცოტა არ იყოს შეფიქრიანდებიან ჩვენი გმირები, ეს პატიოსანი და დარბაისელი მოღვაწე ასე რატომ გავაჯავრეთო, და კრების დასასრულს მოებოდიშებიან კიდეც, მაგრამ იმას სულაც არ დაპირდებიან, ოღონდაც ნუ წახვალ და ყველაფერში დაგემორჩილებითო. უამისოდ კი ის მობოდიშებას გარეგნულ თავაზიანობად ჩამოართმევს და არამცთუ რედაქციაში მიბრუნება, ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტს მათთან.

ოპოზიცია პირადად არავის შეეხებაო...

სხვა რომ ირწმუნებოდეს, არაგულწრფელი ნათქვამიც შეიძლება იყოს, სწორედაც პირადულის გახვევა საქვეყნო ინტერესთა საბურველში, მაგრამ არჩილ ჯორჯაძისათვის ეს ისეთივე სიწრფელეა, როგორც სუნთქვა. ამიტომაც ჰგონია ყველა მასავით წრფელი და გულმართალი, და თუ სხვათა შეხედულებებს არ იზიარებს, უნებურ შეცდომებად უფრო მიაჩნია და არა განზრახ გაყალბებად, ცოტა ზედაპირულ განსჯად და არა ქვეყნის ბედის სათავისო გამოყენებად.

ვაწყენინეთო, – ძალიან განიცდიდა გზაშიც.

აბა, რა გვექნაო, – ამშვიდებდა გიორგი ლასხიშვილი, – შენ ის თქვი, რომ ორად ორი კაცია ძველებში, ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, რომლებთანაც კამათი შეიძლება, სხვები საზოგადო საქმით გამოწვეულ პოლემიკასა და კრიტიკას შეურაცხყოფად იღებენ და სამუდამო მოსისხლე მტრებად გიხდებიან, აბა, ერთი გაბედე, ეს ორივე კი გამონაკლისია, საზოგადო და პირადული ერთმანეთში არაფრისდიდებით არ აერევათო.

გამონაკლისი რომ არა, საზოგადოსა და პირადულის გამიჯვნა მხოლოდ აბსტრაქცია, რაღაც განუხორციელებელი იდეალი ეგონებოდა ახალთაობას და იქნებ აღარც მოენდომებინა, რომ თავის წიაღშიც ეშვა ასეთივე გამონაკლისები.

ახლა მკრთალ, მაგრამ რეალურ ნაკადად მოწანწკარებდა საქვეყნოსათვის პირადულის შეწირვა, და არა მარტოდენ გადამწყვეტი წუთებისას, არამედ ყოველდღიურობაში, რაც ზოგის თვალში იქნებ ყოფით წვრილმანებადაც გამოიყურებოდეს და ამიტომაც აინუნშიც არ აგდებდეს, მაგრამ ეს ის წვრილმანებია, საზოგადოების ცნობიერებას რომ ამღვრევს, ანდა ზნეობრივ სარჩულად ამოეკერება.

არჩილ ჯორჯაძე განიცდიდა.

გიორგი ლასხიშვილი ამშვიდებდა.

... და ახლოვდებოდა მნიშვნელოვანი ტეხილი მათ ბიოგრაფიაშიც და ქვეყნის ცხოვრებაშიც.

თავი მეცხრე

საერთო ნიადაგის თეორია

პარტიულობა რომ არა ზღუდავდა და სახელმწიფოებრივი სიმაღლიდან გაიაზრებდა ყოველ მოვლენას, ძალაუნებურად ამიტომაც უნდა მოსულიყო ალექსანდრე ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის თეორიების (ერთს წოდებათა შორის მამაშვილური ურთიერთობა რომ ერქვა, მეორეს კი ჩატეხილი ხიდის გამრთელების აუცილებლობა) შენარჩუნება-გაგრძელებამდე ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობის შესაფერისად.

იქ არ უნდა გამწყდარიყო ჯაჭვი.

და თუ ვინმე შეეცდებოდა ხელის ჩაჭიდებას ამ ჯაჭვისათვის და მასზე ამოშენებას თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ქვაკუთხედისა, უსათუოდ და უპირველესად არჩილ ჯორჯაძე. შინაგანი ლტოლვა აქეთ, ამგვარი თეორიებისაკენ იქნებ სხვათაც ჰქონოდათ – და ექნებოდათ კიდეც – მაგრამ ასე მწყობრად ვერ მოუყრიდნენ თავს და ზედ ვერ გაშლიდნენ მომავალი სახელმწიფოს ზოგად ქარგას.

ჯგუფებად დაყოფილიყო საზოგადოება.

ამ ჯგუფების წარმოშობას თავისი საფუძველი ჰქონდა ხალხის მატერიალურ ცხოვრებაში და მიწათმფლობელსა და მიწათმოქმედს, მრეწველს, ვაჭარსა და დღიურ მუშას ეკონომიკური წინააღმდეგობანი რომ შექმნოდათ ერთმანეთთან, ესეც ცხოვრებას მოეტანა და იქნებ ვერც ვერავის უარეყო, მაგრამ ხომ არსებობდა საზოგადოებაში ისეთი მოვლენებიც, რომელნიც არამცთუ ასუსტებდნენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ქმნიდნენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკული მოქმედებისათვის?

და სწორედ ეს მოვლენები ათვალსაჩინოებდა, რომ საქართველო იმყოფებოდა იმ ისტორიულ – და განსაკუთრებულად საბედისწერო – ხანაში, როდესაც საზოგადოებისა და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროებოდა, არამედ მისი გამრთელება და გაერთიანება.

სახელწოდება ამ მრწამსისა თვითონ მსჯელობაში გაიბნეოდა და იქიდან შემოანათებდა მკითხველს, ვირე ოფიციალურად გაფორმდებოდა მის შეგნებაში:

საერთო ეროვნული ნიადაგის თეორია.

და გამრთელებას, ცალკეულ წინააღმდეგობათა მოშლას რომ ირწმუნებოდა, ცხადია, არა ზოგადად თუ მინიშნებით, სავსებით ხელშესახებად გამოკვეთდა იმ ხუთ საკითხს, რომლის გარშემოც უნდა ამოშენებულიყო ერთიანობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც სამი გახლდათ და ისინი ყველას უნდა ელიარებინა საერთო მიზნად, მიუხედავად თავთავისი პოლიტიკური იდეალისა.

ერთია და... ქართული ენის დაცვაო.

მშობლიური ენა იყო და რჩებოდა გონებისა და გრძნობის გამოხატვის აუცილებელ საშუალებად და მისი დაკარგვა გონებისა და გრძნობის დაკარგვას უთანაბრდებოდა. ამიტომაც:

– დროა შევიმუშავოთ პრაქტიკული ღონისძიება, რათა სიკვდილს გადავარჩინოთ მშობლიური ენა და მასთან ერთად მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი.

არადა, სიკვდილს გადასარჩენი როგორ არ იყო. სახელმწიფო ენად – რუსული, სწავლება – რუსულად, გაზეთების დაარსება რუსულ ენაზე, საქართველოს ზოგიერთი კუთხისათვის ქართულისაგან განსხვავებული ანბანის შექმნის ცდა... ერთი და ორი კაცის თავგანწირვა იმ ნაყოფს ვერ გამოიღებდა, რასაც მიზანმიმართული პოლიტიკის დასახვა რუსიფიკატორული ექსპანსიის წინააღმდეგ და ერთხელ და სამუდამოდ უარის თქმა დათმობებზე რუსულის მოძალების მიმართ, თითქოსდა პატარ-პატარა კომპრომისები ბევრს არაფერს დააშავებდა ამ მხრივ. დაეშავებინა, ძალიანაც წაეხდინა ქართული ენაც და ქართველი ხალხიც – თვალნათლივ მოჩანდა, თუკი ძალით არ დაიბრმავებდა ადამიანი თავს, და არჩილ ჯორჯაძე მკაცრად მოკითხავდა ყველას, მშობლიური ენის წინაშე შეცოდებანი მაინცდამაინც დიდი დანაშაული ვისაც არ ეგონა.

მეორეა და – ეროვნული კაპიტალიზმის განვითარებაო.

მხოლოდ ასე შევეწინააღმდეგებოდით სომეხ მრეწველ-ვაჭართა მოძალებას საქართველოში და ჩვენს ეკონომიკაში მათი ბატონობაც აღიკვეთებოდა. და ჩვენი ხალხის ნაციონალური აღორძინების აუცილებელ პირობად ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლებაც იგულისხმებოდა. ქართველი მუშა და ქართველი კაპიტალისტი არაფრისდიდებით არ უნდა დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს, ერ-

თიანი ნიადაგი უნდა შეექმნათ და უცხო კაპიტალის განდევნა მხოლოდ ასე ეცადათ.

ამ მტკიცებას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ეს მოწოდებაც, რაც ასე აღაშფოთებდა სოციალ-დემოკრატებს, რადგანაც რასაც ისინი ასე ენერგიულად ირწმუნებოდნენ, არჩილ ჯორჯაძე საფუძველს აცლიდა; აბა, სხვა რა ითქმის, როდესაც მუშებს შეაგონებდა, კლასობრივზე მაღლა ეროვნული ინტერესები დააყენეთ და მხოლოდ ამით დაამტკიცებთ თქვენი ეროვნული თვითცნობიერების სიმწიფესო.

მესამეა და – ქართული მიწათმფლობელობის საკითხიო.

ქართულ მიწასაც სხვები იგდებდნენ ხელთ, უცხო ტომისანი. წოდებრივ მიწათმფლობელობას ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოღებოდა, ახალ რეალობაში თავადაზნაურობის შენარჩუნება არჩილს აღარც სჯეროდა და ასეთნაირად განარიგებდა: მიწა დარჩება იმას, ვინც მრეწველობას გაუძღვება, ამიტომაც მთავარია გასაყიდი მამულები მიეყიდოს ქართულ მიწათმფლობელობასა და მიწათმოქმედებასო.

მეოთხეა და... ქართველი ინტელიგენცია და კულტურაო.

ის უნდა განაგებდეს და წარმართავდეს სახალხო კულტურულ მოღვაწეობასო, – ამ საქმეს მიანდობდა და ცალ-ცალკეც ჩამოუთვლიდა: საკვირაო სკოლების, სახალხო ბიბლიოთეკების, თეატრებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება და შესაბამის ღონისძიებათა ხელმძღვანელობაო.

მეხუთეა და... ქართველი ინტელიგენცია და ქალაქების თვითმმართველობა.

მოგეთხოვებათ აქტიური მონაწილეობა თვითმმართველობაში, რათა იქ თქვენი წარმომადგენლობა გყავდეთო, – ამასაც ურჩევდა, და თუმც ძნელი მისახვედრი არა ყოფილა, რომ ინტელიგენციის თავგამოდებას აბრკოლებდა მატერიალური ხელმოკლეობა, არჩილ ჯორჯაძე იმედოვნებდა, ქართული მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება მოამზადებს საფუძველს თვითმმართველობაში ინტელიგენციის მომძლავრებისაო. ცალ-ცალკე ორივე ფენას ერთნაირი ინტერესები ჰქონდათ და, თუკი მკაფიოდ გააცნობიერებდნენ საერთო ნიადაგის აუცილებლობას, ვეღარაფერი შეუშლიდა ხელს მათ შეკავშირებასა და მმართველობის სადავეების მისაკუთრებას რუს თუ გადაგვარებულ ქართველთა ხელთაგან.

მსჯელობის სიმწყობრე და შინაგანი ლოგიკა საკმაოდ ნათლად უსაბუთებდა მკითხველს საერთო ნიადაგის თეორიის დამაჯერებ-

ლობასა და აუცილებლობას, თანაც ამ წამოწყების შორეული მომავლისათვის გადადებას კი არა, ახლავე ხორცშესხმას, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ატყობდა, რომ მხოლოდ შთამბეჭდავი მტკიცებით ვერ მოინადირებდა მკითხველის გულს და ამიტომაც საგანგებოდ წარმოსახავდა საერთო ეროვნული ნიადაგის მრწამსს ევროპული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ფონზე. ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ორბელიანის სახელებზე მეტად ამჯერად ევროპულის ხსენება უფრო გაჭრიდა, მითუმეტეს, არჩილ ჯორჯაძეს ისედაც აინტერესებდა, თუ როგორ გამოჩნდებოდა მისი თეორიის ზოგადი ქარგა დასავლელი მოაზროვნეების თეორიათა გვერდიგვერდ – შეინარჩუნებდა თავის სიმტკიცეს თუ გაფერმკრთალდებოდა და რაღაც ამოვარდნილივით იქნებოდა იმ ნაკადში.

და თვითონაც გაიხარებდა და მკითხველსაც დაუბეჯითებდა, ევროპაში ამის თაობაზე ცხოველი მსჯელობაა და უკვე შეგნებული აქვთ პოლიტიკურ პარტიათა ერთიანობის აუცილებლობა ყველაზე საჭირბოროტო თემების ირგვლივ და განსხვავებულ სოციალურ ჯგუფთა შორის წონასწორობის შენარჩუნებაო.

საერთო მოქმედების ნიადაგის გამოძებნა ყველა ევროპულ ქვეყანაში არც უნდა გაგვკვირვებოდა, რადგანაც:

– დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნისათვის საჭიროა ყველა პროგრესული პარტიის შეერთებული ძალა და ამ მიზნით ხშირად საჭიროა კლასთა ბრძოლის სიმწვავის შესუსტება.

ასე ძალდაუტანებლად ვექცეოდით ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში, და ისევე ვხდებოდით საერთაშორისო პროცესების მონაწილე, როგორც წინა საუკუნის 30-იან წლებში შეთქმულების მეთაურებს გავეხადეთ უშუალო მონაწილენი მსოფლიო-ისტორიული ძვრების ერთიანი პოლიტიკური ციკლისა. და რაოდენ დამაფიქრებელია, რომ არჩილ ჯორჯაძის თეორიის სათავეში სწორედ ის ალექსანდრე ორბელიანი მოჩანდა, ვინც თავის დროზე სულ სხვა გზით დაუკავშირა ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ევროპულ თუ სამხრეთამერიკულ აჯანყებათა ნაკადს.

მაშინ პოლიტიკურმა რომანტიზმმა განსაზღვრა ჩვენს შეთქმულთა სიახლოვე მსოფლიო-ისტორიულ პროცესებთან.

ახლა – ერთიანობის ძიებამ მოწინააღმდეგე წოდებათა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გუნდთა შორის.

ჰოი, რას წამოიყალყებოდნენ სოციალ-დემოკრატები:

არჩილ ჯორჯაძეს კლასთა ბრძოლის უარყოფა და კლასობრივი ზავი ეროვნული ბურჟუაზიის მოსამძლავრებლად ესაჭიროებაო. თუმც ქართული ბურჟუაზიის გაძლიერება რისთვის განეზრახა, აღარ განმარტავდნენ. ბურჟუაზიის მომხრეობა მათი თვალთახედვით უკვე დანაშაულად ცხადდებოდა, პოლიტიკური იარლიყი გამზადებული ჰქონდათ და რატომ ჩაკირკიტებდნენ, ქართული ბურჟუაზიის განმტკიცების განზრახვა რას გულისხმობდა.

გულისხმობდა კი:

უცხოელთა ჩაგვრის შესუსტებასა და მათ თანდათანობით განდევნას ჩვენი მიწა-წყლიდან. თუ არა – მაშინ იმ უცხოელებს კეთილი ენებათ და საქართველოს ინტერესები გაეთვალისწინებინათ.

რა უფლებით ართმევთ თავადსა თუ ბურჟუას საერთო საქმისათვის სამსახურის სურვილსო, – არ დაუთმობდათ არჩილ ჯორჯაძე წოდებათათვის სახელის გატეხვასა და მათი მოსპობის განაჩენის გამოტანას და ისეთ რჩევას უზიარებდათ, წონასწორობას აკარგვინებდათ: პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ ამ სურვილის გაძლიერებასო.

როგორ არა, სოციალ-დემოკრატები სულ ამ ჭკუაზე დადგებოდნენ, თავადი და ბურჟუა თავიანთ გვერდით ეგულისხმათ მომავალ საქართველოში.

კი მაგრამ, ამ არჩილ ჯორჯაძეს რა დამართნოდა, სოციალისტური მოძღვრების მიმდევარი ასე ერთბაშად ბურჟუაზიის იდეოლოგად რომ გამოცხადებოდა მტერსა თუ მოყვარეს?

თუმც ისიც ვიკითხოთ, საერთო ნიადაგის თეორია რატომ ნიშნავდა ბურჟუაზიის იდეოლოგობას – ჯერ ქვეყნის გამოხსნაზე რომ უნდა გეფიქრა, მისი ვინაობის აღდგენაზე და მხოლოდ შემდეგ შეგერჩია ყველაზე შესაფერისი პოლიტიკური წყობა, ეს ადამიანური, ჰუმანისტური და ზნეობრივი მოთხოვნა რატომ უნდა ჩამორთმეოდა გარკვეული პოლიტიკური მოძღვრების ღალატად?

ეგეცაა – რა სინამდვილეში ვცხოვრობდით.

ამ იდეის დამკვიდრებას შეწირვოდა ილია ჭავჭავაძე და არც არჩილ ჯორჯაძესა და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას დაანებებდნენ მის ხორცშესხმას.

მარტო სოციალ-დემოკრატები რომ გადაჰკიდებოდნენ, კიდევ რა უშავდა თურმე, გაუძლებდნენ მათ თავდასხმებს პრესასა თუ პოლიტიკურ კულუარებში, მაგრამ სხვაგანაც ვერსად ჰპოვებდა თანამგრძნობელს არჩილ ჯორჯაძე, მხოლოდ თანაპარტიელებს

აიყოლიებდა, იმათ შორის არ მოხდებოდა განხეთქილება, თორემ ვერავის აჯერებდა თავის სიმართლეში და, სხვა რა გზა დარჩენოდა, თვალი უნდა გაესწორებინა მარცხისათვის და საკუთარი თვალით ეხილა ამ თეორიის დასამარება.

* * *

მოგვიანებით, კერძოდ, 1911 წელს, როდესაც „ცნობის ფურცელსა" და „მოამბეში" გამოქვეყნებულ 1901-2 წლებში პუბლიცისტურ წერილებს თავს მოუყრიდა თხზულებათა მეოთხე ტომში, ერთი თვალის გადავლებითაც გამოიკვეთებოდა ის უმთავრესი თვალსაზრისი, საერთო მოქმედების ნიადაგი რომ დარქმეოდა.

ზოგან ზედაპირზევე მოჩანდა ეს კონცეფცია, ზოგან უფრო შეფარულიყო თუ მხოლოდ ცალკეულ დეტალებს ეხმაურებოდა, მაგრამ ავტორის აზრი და განცდა ამ სწრაფვით გაჟღენთილიყო და, ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად, ყველგან ამ სატკივარს უტრიალებდა.

ქართველი ერის უნუგეშო პოლიტიკური ყოფა ძალაუნებურად მხოლოდ აქეთ მიმართავდა მის ფიქრს და მაშინაც მტკიცედ დარწმუნებულიყო და ათი წლის შემდგომაც არ შეეცვლებოდა ეს რწმენა, რომ ყველაზე საღი და სამართლიანი გამოსავლისათვის მიეგნო.

მაგრამ თუ გამოსავალი იყო, გადაულახავი დაბრკოლება საიდანღა ამოსჩეჩოდა?

თვითონვე აღიარებდა: ეს მოწოდება იმხანად სავსებით დამარცხდა და, რომ ვუკვირდები, სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყოო.

მაშინ უფრო თამამად იყო, ვიტყვი, დავასაბუთებ და დამიჯერებენო.

კიდეც იტყოდა მკაფიოდ და შთამბეჭდავად, მარჯვედაც დაასაბუთებდა... დაჯერებისა კი რა მოგახსენოთ.

დაჯერება რომ შესაძლებელი ყოფილიო, განა ჯერ კიდევ ალექსანდრე ორბელიანის ქადაგება არ აიყოლიებდათ? და თუ რამე დაზუსტება მაინც ეწადათ, ილია ჭავჭავაძე საბოლოოდ არ შეაგნებინებდათ ამ აუცილებლობას?

ცხოვრების მდინარება სულ სხვაგან მიიწევდა და უტყუარი დიაგნოზი იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობას ათი წლის შემდგომ დაესმოდა:

– საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის საერთო მოქმედება იმ შემთხვევაშია მხოლოდ შესაძლებელი, როდესაც, ერთის მხრივ, ამ ჯგუფთა ფიზიონომია არის ნათლად გამორკვეული და, მეორეს მხრივ, როდესაც პოლიტიკური სიმწიფე თვითეულ ჯგუფისა იმდენათ არის განვითარებული, რომ პოლიტიკო-ეროვნული განსაცდელის წინაშე, საერთო მოქმედების პრინციპი მათთვის აუცილებელ და ბუნებრივ მოვლენად ხდება.

და ჩვენში კი იმჟამად:

– ჯერ კიდევ არამც თუ დამთავრებული და გარკვეული სახის საზოგადოებრივი ჯგუფები არ არსებობდნენ, არამედ იმათ მხოლოდ იმ დროს დაიწყეს განცალკევებულ ვინაობის და ფიზიონომიის გარკვევა-გამოსახვა.

ამიტომაც:

მარცხნიდან კლასთა ბრძოლის პრინციპის წინააღმდეგ გალაშქრება ამოიკითხეს „ცნობისფურცლელთა" მოწოდებაში, მარჯვნივ – იუკადრისეს შეკავშირება კლასთა ბრძოლის მქადაგებელ ჯგუფთან; მარცხნივ დოქტრინის სიწმინდეს შეწირეს ცხოვრების მოთხოვნილება, მარჯვნივ, ძველი ტრადიციის თაყვანისმცემლობის წყალობით, ვერ დაინახეს ვერც ცხოვრების მოთხოვნილება და ვერც შიგ არსებული ეკონომიკურ ინტერესთა წინააღმდეგობა.

ცოტა უტრირებულადაა ახსნილი, მაგრამ არსი მაინც მკაფიოდაა წარმოჩენილი, თუ რატომ მოხდა, რომ „ცნობის ფურცლის" ჯგუფი, რომელიც უნდა ქცეულიყო შუამავლად და ხიდად ეროვნული მთლიანობისა, დარჩა ასე განკერძოებული და განმარტოებული საზოგადოებრივ ასპარეზზე და მის წრფელ ზრახვებს ყური არავინ ათხოვა.

და სინამდვილეს თუ თვალს გაუსწორებდი, კიდეც უნდა გეღიარებინა, რომ საერთო მოქმედების თეორია დამარცხებულიყო.

დროებითო, – თავს ამით ინუგეშებდა არჩილ ჯორჯაძე.

და თუმც არც იმ ვითარებისათვის აურიდებია თვალი, რომ უთანხმოება და შეურიგებლობა საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის შემდგომ წლებში არამცთუ არ შენელებულა, უფრო თვალსაჩინოდაც გამოიკვეთა, რადგანაც მის გაღრმავებას ხელს უწყობდა რევოლუციური განწყობილება და თვითეული პოლიტიკური გუნდი მეტი თავგამოდებითა და გაბედულებით იცავდა საკუთარ პოზიციასა და იდეალებს, ის იმედი ასულდგმულებდა: პოლიტიკური აზროვნების საძირკველი ჩაყრილია და საზოგადოებრივი დიფერენციაციის პროცესში ვიმყოფებით, ბუნებრივი დანაწილების ხანაში

და ნამდვილი კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრებასთან ერთად, როდესაც პოლიტიკური ცხოვრების ზრდა-განვითარების ხელისშემშლელი პირობები მოისპობა, ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფების, მათი პროგრესული ნაწილის წინაშე ხელმეორედ წარმოდგება და იშვება საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვის საჭიროებაო.

მაშინ ხომ ფუჭად არ ჩაივლიდა საუკუნის დამდეგის თავგამეტება.

საამისო ნიშნებს კვლავაც დაეძებდა, პოულობდა კიდეც და ვალმოხდილი დაჰყურებდა პუბლიცისტური სტატიების იმ ციკლს, მეოთხე ტომად რომ შეკრულიყო და მარტოდენ ისტორიული მნიშვნელობა კი არ შერჩენოდათ, ახალი პოლიტიკური მოვლენების შუაგულშიც ბუნებრივად მოექცეოდნენ.

ამ თეორიას ახალი შინაარსი რომ გაუჩნდებოდა, ესეც მოსალოდნელი გახლდათ, მაგრამ არჩილ ჯორჯაძისათვის მთავარი ის გახლდათ, რომ:

– პრინციპი იქნება ის, რომლითაც ვხელმძღვანელობდი „ცნობის ფურცლის“ წერილებში.

* * *

თავს ინუგეშებდა: დროებითო.

ესეც თუ ნუგეში გახლდათ.

არ მოეშვებოდა მაინც ამ პოლიტიკურ მრწამსს, არ გადააკეთებდა ზოგადი გემოვნებისა თუ მოთხოვნების კვალობაზე, მორჩილად ვერ მიჰყვებოდა დაძრულ დინებას და ტალღების აღმა გაჭრას შეეცდებოდა ისევ და ისევ... ვითომ მწარე მარცხი არც განეცადოს. დროებითო, – ამხნევებდა თანამზრახველთაც.

მაგრამ დროებითია სიცოცხლეც.

და მითუმეტეს არჩილ ჯორჯაძისა – ყოველი დღე, ყოველი საათი მთელი სისწრაფით რომ მიაქანებდა აღსასრულისაკენ.

* * *

მუშები თავიანთი სამკითხველოს გახსნას მოინდომებენ ნახალოვკაში.

ფულს შეაგროვებენ და განზრახვას კიდეც მიიყვანენ ბოლომდე – 1902 წლის შემოდგომაზე თუ 1903 წლის გაზაფხულზე. სოსო მაჭავარიანს თარიღი უფრო ზუსტად აღარ აგონდება, თუმც მოსა-

ლოდნელია, რომ 1901 წლის შემოდგომა ან 1902 წლის გაზაფხული იყოს, რადგანაც არჩილ ჯორჯაძე, ვინც ამ მემუარულ ჩანაწერში იხსენიება, 1902 წლის გაზაფხულიდან რამდენიმე წელიწადს პარიზში იმყოფება და ნახალოვკაში თვალს ვერავინ მოჰკრავდა. ჩართული კი არის ჩანაწერის ავტორი ამ წამოწყებაში და ისეთ გუნებაზეა, ყველა მტერი და მოღალატე ჰგონია, ვინც სოციალ-დემოკრატებისა და მუშათა მოძრაობის წევრად არ აღიარებს თავს. და ილია ჭავჭავაძეც ძალიან აღარ მოსდის თვალში და უკვირს, ასე როგორ ვიყავი გონებადაბნელებული, მუშების ეს მტერი და ორგული სათაყვანო კაცი რომ მეგონა და მისი ნაწერების კითხვაში ვათენ-ვაღამებდი, „კაკო ყაჩაღი“ ხომ ზეპირად ვიცოდიო. თავს იმით ინუგეშებდა – რაღა მე და რაღა სხვა, ყველა ასე ვიყავით ამ ორპირი ადამიანისაგან მოტყუებულნიო.

თვალი რამ აუხილათ?

„ივერიისა“ და „კვალის“ პოლემიკამ და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის და ნოე ჟორდანიას შებმამ, მუშა ხელოსნებმა ნოეს მხარეს რომ არჩიეს დგომა და ერთბაშად გაუნელდათ სიყვარული ილიას მიმართ.

ღმერთი აღარავის სწამდა სოციალ-დემოკრატთა მიერ დარაზმულ მუშებში, მაგრამ საყოველთაო წესს ვერ გადავიდოდნენ – სამკითხველო მღვდელს უნდა ეკურთხებინა და ისე უნდა გახსნილიყო.

მარიამ დემურიასაგან შეიტყობდნენ, „კვალის“ რედაქციაში ილიას სურვილი გამოუთქვამს, სამკითხველოს გახსნას დავესწრებიო.

სოსო მაჭავარიანს ისე ახსოვს, რომ ეს უნდა ყოფილიყო პირველი თავყრილობა, სადაც ინტელიგენცია და მუშები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ.

ილიას გადაწყვეტილება ძალიან შეაფიქრიანებდა „კვალის“ რედაქციას და მაშინვე დაიბარებდნენ მოწინავე მუშებს – თავიანთ პოლიტპროპაგანდისტებს – და დაარიგებდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ: ილია აუცილებლად იტყვის სიტყვას და პირში უნდა შეებათო. ზრდილობიანადო, მაგრამ არაფერი დაუთმოთ და პოლიტიკური პასუხით გაუბათილოთ ნაციონალისტური და ფეოდალური აზრებიო. საგანგებოდ შეარჩევდნენ, ვისაც უნდა შეეტეხა სიტყვა პირში ილიასათვის – გიორგი თელიას, მიხა ბოჭორიძეს, ზაქრო ჩოდრიშვილს, ლასა გელაძეს... სამკითხველოს გახსნას რა აზრი აქვს, თუ სააგიტაციოდ არ გამოვიყენეთ და ქართველ ინტელიგენციას ჩვენი ძალა არ დავანახვეთო, – დასძენდნენ.

გადაწყდებოდა, რომ „კვალის“ რედაქციიდან არავინ დასწრებოდა იმ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო აქციას. თითქოსდა, ბაიბურშიც არ იყვნენ, მუშები ილიას პოლიტიკურ მუშაირას თუ გაუმართავდნენ. არც არაფერი დაერიგებინოთ მათთვის და არც თავიანთი იქ ყოფნით გაემხნევებინოთ.

ცხადია, სულ სხვა გამოძახილი მოჰყვებოდა, მუშა რომ გამოეკამათებოდა და არა ნოე ჟორდენია ან სხვა თვალსაჩინო პარტიული ფიგურა.

პარტიული ზედაფენის უშუალო, თვალითხილული მხარდაჭერის გარეშე მუშის საჯარო გამოსვლა ხალხის აზრად და ნებად აღიქმებოდა.

ჭიპი ჰქონდა მოჭრილი ამისთანებში ნოე ჟორდანიას.

მუშებს ქუჩა ვერც დაიტევდა, იმდენი მოიყრიდა თავს.

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია პირველიდან ბოლო კაცამდე დაესწრებოდა სამკითხველოს გახსნას.

მაგრამ ხალხში ერთი სახელი გადიშრიალებდა, ერთ კაცში გასიმბოლოვდებოდა ქართული ინტელიგენცია:

– არჩილ ჯორჯაძე! არჩილ ჯორჯაძე! არჩილ ჯორჯაძე!

ილია ჭავჭავაძე არსად ჩანს.

დავიწყოთ, რაღას ველოდებითო, – ააჩქარებდათ დეკანოზი სიმონ რცხილაძე.

ცოტაც, სულ ცოტაცო, – გაჭიანურების მიზეზს კი არ გაუმხელდნენ.

კურთხევა თორმეტ საათამდე უნდა დაიწყოსო, – შეაგონებდათ.

ცოტაცო, ცოტაცო, – თავისას უმეორებდნენ.

გამოჩნდებოდა ილიას ფაეტონიც, გადმოვიდოდა ილია, გადმოჰყვებოდნენ არტემ ახნაზაროვი და მარიამ დემურია და სამკითხველოს კურთხევაც დაიწყებოდა. მოათავებდა რიტუალს მღვდელი და ყველა ილიას მიაჩერდებოდა, აი და ახლა იტყვის რაიმეს და აი და ახლაო. მოწინავე მუშები ადგილზე ვეღარ ისვენებდნენ, ლამის სული დალეოდათ.

არადა:

ამოიღებდა ილია თუმნიანს, შეწირავდა სამკითხველოს და გამოვიდოდა გარეთ.

ფაეტონთან რომ მივიდოდა და ერთ ფეხს შედგამდა კიდეც, გიორგი თელიას ხმაც გაისმოდა: ამხანაგებოო! პირში შებმა აღარ გა-

მოდიოდა, ილიაზე თავდასხმას არავითარი გამართლება აღარ გამოეძებნებოდა, ვეღარ მოისაბაბებდნენ, პირველად იმან დაიწყოო, და მცირე მიტინგი სულ სხვა ჰანგზე აეწყობოდა. ილია ბოლომდე მოუსმენდა მუშების სიტყვებს – ფაეტონზე ცალფეხშედგმული... და როდესაც წავიდოდა, მარიამ დემურიასთან ვერ დაფარავდა თავის მოწონებას: თურმე რა შემცდარი აზრი მქონია ქართველ მუშებზეო.

* * *

ნაძალადევში საჯარო ლექციის წასაკითხად რომ მიიწვევდნენ, თემად ირლანდიას შეარჩევდა – მის ტრაგიკულ რეალობასა და ბედისწერას.

საქართველოსა და ირლანდიის სიმბოლური გაიგივება პირველად აქ არ მომხდარა, წლების წინათ დაწყებულიყო და ისეთ ტრადიციად დამკვიდრებულიყო იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის წყალობით (და ალექსანდრე ყაზბეგისაც – გამოუქვეყნებელი მოთხრობით, მაგრამ მთავარია, რომ ეს გაიგივება მანაც დაისაჭიროვა), აშკარაა – გაგრძელებაც შესაფერისი უნდა მოჰყოლოდა.

არჩილ ჯორჯაძე თამასას ქვემოთ არ დაუშვებდა და ისეთ პოლიტიკურ პამფლეტს შექმნიდა, საეჭვოდ აღარავის გაუხდებოდა, რატომ მოჰკიდებოდა ასე ძალიან გულზე ირლანდიის უნუგეშო ხვედრი.

გამჭვირვალეა სიმბოლური მინიშნება და ნიშანდობლივია, რომ ნარკვევის შუაგულში თანდათან მოექცევა ჩარლზ პარნელი, „ყოვლად ღირსშესანიშნავ“ პიროვნებად მოხსენიებული, ვინც ესწრაფოდა არა ცალკეულ დათმობებს ინგლისისაგან, რათა ირლანდიას ცოტათი მაინც ამოესუნთქა მძიმე კირთების ქვეშ, არამედ თავდაღწევას ხუნდებისაგან. მას დაებრუნებინა ირლანდიელებისათვის ეროვნული სიამაყე და სიმხნევე და მანამდე დაბეჩავებული ადამიანები ამიტომაც შეიმართებოდნენ სახელმწიფოებრიობის აღსადგენად:

– ერთადერთი ხსნა ირლანდიისა მის ეროვნულ გათავისუფლებაშია. სანამ ინგლისის თვალს არ მოვშორდებით, ჩვენ შინაურ საქმეებს ვერ მოვარიგებთ.

მსმენელებიც და მკითხველებიც ამ სტრიქონებს ისე აღიქვამდნენ, როგორც არჩილს ჩაეთქვა: სანამ რუსეთის თვალს არ მოვშორდებითო.

და ეს პასაჟიც და მთელი ნარკვევიც „ირლანდია XIX საუკუნეში“ მკაფიოდ გვაგრძნობინებს, რომ არჩილ ჯორჯაძის იდეალი სწორედ ეროვნული თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაა, და თუ ავტონომიის უფლებებს მოითხოვს საქართველოსათვის, ეს მხოლოდ დროებითია, გარდამავალი საფეხური, რომელზე დამკვიდრებაც გახსნის გზას იმ იდეალის აღსრულებისაკენ.

პარნელი ნარკვევის შუაგულშიც მოექცევა და მის დამხობასა და საზოგადოებრივი ასპარეზიდან გაქრობასთან ერთად მთავრდება თხრობა. რაღაც დიდი ხანა დასრულდა მისი განწირვითა და აღსასრულით და ირლანდიის ყოფა უკვე უინტერესო ხდება: ამას იქით შესანიშნავი არა მომხდარა რა ირლანდიის ცხოვრებაშიო.

რაღა ჯეიმზ ჯოისის ხედვა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და რაღა არჩილ ჯორჯაძის!..

ორივე ერთნაირი სიმძაფრით განიცდის პარნელის განწირვას და დიდად აღარაფრად უღირთ უპარნელო ირლანდია.

* * *

1902 წლის გაზაფხულზე „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში გრიგოლ რობაქიძეც გამოჩნდებოდა და სოციოლოგიურ ეტიუდს მიიტანდა დასაბეჭდად – „პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა. სოციალური დიფერენციაცია და სოციალური ინტეგრაცია“. მასზეც მოეხდინა ზეგავლენა საერთო განწყობილებასა თუ ლიტერატურულ მოდას და პუბლიცისტური და პოლიტიკური თემა მოესინჯა. იქნებ კიდეც გაჰყოლოდა ამ ჟანრსა თუ მიმდინარეობას. ჯერ ისე დარწმუნებით ვერც იტყვის, რომ მისთვის კრიტიკულ ჟანრთაგან ყველაზე მშობლიური და ახლობელი ესეისტიკა უნდა აღმოჩნდეს და თავისი უმთავრესი ნიმუშებიც კრიტიკულ-ესთეტიკური პროზის ამ ნაირსახეობაში მოაქციოს. თუმც პოლიტიკას ვერ გაერიდებოდა და დროდადრო მოუწევდა მისთვის ხარკის გაღება.

ჯერ კი ამგვარი ძიება – კერძოდ, გამოხმაურება მიხაილოვსკის სოციოლოგიაზე – ხარკის გაღებად სულაც არ ესახება და მოუთმენლადაც მოელის რედაქციის მსჯავრს.

სარედაქციო კოლეგია წერილს არჩილ ჯორჯაძეს გადასცემდა განსახილველად.

იგი წერილის შინაარსს არ გაიზიარებდა, მაგრამ განსხვავებულ თვალსაზრისს დაშრკოლებით როგორ დააბრკოლებდა:

დაიბეჭდოსო, – ნებას დართავდა.

შინაარსით არც სხვა თანამშრომლები აღფრთოვანდებოდნენ, მაგრამ გამოქვეყნებას არავინ გადაეღობებოდა.

ეგაა, გრიგოლ რობაქიძეს ჩაწვეთებით მაინც ჩააწვეთებდნენ: რა დაწერე ამისთანა, არავინ რომ არ იზიარებსო.

აპრილის სამ ნომერში გამოქვეყნდებოდა და კიდეც შეივლიდა რედაქციაში. არჩილის გაცნობა ძალიან ეწადა და, ბედად, იქ დახვდებოდა.

პირველყოვლისა მისი სიმშვიდე მიიპყრობდა სტუმრის ყურადღებას.

– არც ძალიან ატაცებული და არც ძალიან აგიზგიზებული „ისე": ნელი, ჩუმი, ფიქრიანი. ხოლო ეს „სიმშვიდე" სრულიად „სიცივეს" არ იწვევდა: პირიქით, ძვირად მინახავს ისეთი თავაზიანი და გულთბილი ადამიანი. ემჩნეოდა ქართული „შორიახლოს" ნამდვილი ესთეტიური განსხეულება ურთიერთ მიმოქცევაში. შესაძლოა, სულით ძალიანაც დაახლოებოდი მას, მაგრამ „შენობაზე" ურთიერთობას მაინც არ გადავიდოდა. ეს თვისება მას ბოლომდი შერჩა.

იმ წელს ევროპაში აპირებდა გამგზავრებას გრიგოლი და „კვალში" ამოკითხული ფრაზა – შვეიცარიაში ოცდახუთ მანეთად შეიძლება ცხოვრებაო – თან გაახარებდა და თან ცოტა არ იყოს შეაეჭვებდა.

არჩილს ამიტომაც დაეკითხებოდა: მართალიაო?

– არ გაბრიყვდეთ, – არჩილს ძალიან გააღიზიანებდა „კვალის" ის ყალბი ცნობა და ყმაწვილკაცს მაშინვე რეალურ სურათს გადაუშლიდა, – თუ ევროპის კულტურის ნამდვილი ზიარება გინდათ, სიღატაკეში ამას ვერ მოახერხებთ.

ერთი თვის შემდეგ თვითონ პარიზში გაემგზავრებოდა.

სამი თვის შემდეგ გრიგოლიც დაადგებოდა გზას ლაიპციგისაკენ.

თავი მეათე

„საქართველო“ – პარიზიდან ტფილისამდე

უკან მორჩებოდა წერა-კითხვის საზოგადოების გარდაქმნის წადილი, უკან მორჩებოდა „ცნობის ფურცელზე“ ჩამოკიდებული იმედებიც. 1902 წლის გაზაფხულზე პარტიის პირველი კომიტეტი შეეცდებოდა დაეჩქარებინა საზღვარგარეთ თავისუფალი გაზეთის გამოცემა და თავის ორ წევრს – საუკეთესოსო, დასძენს გიორგი ლასხიშვილი – შეარჩევდა, ერთს, როგორც თეორეტიკოსსა და იდეური მხარის ხელმძღვანელს, მეორეს კი ენერგიულ ორგანიზატორსა და დახელოვნებულ პრაქტიკოსს.

ასე შეიკვროდა არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის ტანდემი, რომელთაც თან წაჰყვებოდათ ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე.

პირველი მერცხალთაგანი მუშაო, საგანგებოდ აღნიშნავს მემუარისტი, ეამაყება, რომ პირველი მერცხალი უკვე გაჩენილა და მისმა გამოჩენამ სხვანიც უნდა მოიყოლიოს. მუშა-პოეტის ფიგურას ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიც მონდომებით ქმნიდნენ და ასე გამოკვეთდნენ იოსებ დავითაშვილს, ვისაც ბედად ეწერა პროლეტკულტურული სამწერლო ნაკადის შორეული წინამორბედი ყოფილიყო. სოციალისტ-დემოკრატებს საკმაოდ მიეზიდათ მუშები თავიანთ წრეში და, ეს ახალი პარტიაც თანდათან რომ იკრებდა ძალას, აუცილებლობად მიიჩნევდა მუშათა შემომტკიცებას.

პირველი მერცხლის მეტაფორა გამჭვირვალედ მიგვანიშნებს ამ მიმართულებით დაუღალავ მცდელობას.

ჩახვალთ თუ არა, სასწრაფოდ დაიწყეთო, – ერთადერთი მოთხოვნა ეს ჰქონდათ რედაქციისა თუ კომიტეტის წევრებს, როდესაც პარიზისაკენ ისტუმრებდნენ ამ ორ რჩეულს. წუთის გამცდენები ისედაც არ იყვნენ, რა დავალება და დირექტივა ესაჭიროებოდათ, მაგრამ პარტიულ კომიტეტს თავისი არსებობა ხომ უნდა გაემარ-

თლებინა და: დაუყოვნებლივო, – შთამაგონებელი სახეებით უმეორებდნენ.

სახელწოდებად „საქართველოს“ შეარჩევდნენ.

ყოყმანით კი იყოყმანებდნენ, იქნებ რაიმე უფრო მარჯვე მოგვეფიქრებინაო, მაგრამ უკეთესი არაფერი მოსდიოდათ გონებაში და ისევ არჩილს მიანდობდნენ: ეს სახელი პირობითად იგულისხმე და, თუკი საჭიროდ დაინახავ, გამოცვალეო.

ესენიც ჩავიდოდნენ თუ არა პარიზში –

შეუკვეთდნენ და მოამზადებდნენ ახალ ქართულ შრიფტს, გარეგნული სიმშვენიერით გამორჩეულს.

შეიძენდნენ ქაღალდსა და ყველაფერს, რაც გაზეთის დაბეჭდვას სჭირდებოდა.

ახალი შრიფტის ჩამოსხმა განსაკუთრებით გაამხნევებდათ, „პარიზულს“ შეარქმევდნენ და არამარტო გაზეთისათვის იგულისხმებდნენ, არამედ ყველა იმ ქართული წიგნისათვის, რაც საფრანგეთის დედაქალაქში უნდა გამოცემულიყო. არალეგალურ წიგნებს წინასწარვე შეეწეოდნენ შრიფტის გამზადებით, ბროშურებსაც და პროკლამაციებსაც. თუკი სხვანიც მოინდომებდნენ გაზეთის ან ჟურნალის გამოცემას, მათაც უშურველად მიაწვდიდნენ.

„საქართველოს“ მე-2 ნომერში სარეკლამო ყაიდის განცხადებასაც გამოაქვეყნებდნენ და დითირამბს უძღვნიდნენ „პარიზულ“ ნაირსახეობას: თავისუფალი ქართული ორგანოს გამოცემა განვიზრახეთ თუ არა, საჭიროდ ვცანით ჩვენი აწინდელი შრიფტი გაგვეუმჯობესებინა. ჩვენი ასოები გარეგნობით უახლოვდება რომანული ხასიათის შრიფტს და თანაც ერთი-ორად ნაკლებ ადგილს იჭერს, ვიდრე საქართველოში აქამდე გამოყენებული ვენური შრიფტიო.

შედარება თვალსაჩინოდ გამოჰკვეთდა, რომ ვენურით აწყობილი ერთი სვეტი უდრიდა პარიზულით აწყობილ ნახევარ სვეტს.

მეტი სარფა რაღა გინდოდა როგორც ადგილის, ისე ქაღალდის დანახარჯის მხრივ.

იმ დითირამბის გამომძახილი იქნებოდა თედო სახოკიას სიტყვებიც მოგვიანო ხანის მემუარულ ჩანაწერში:

– პარიზში ჩამოსხმულ ასოებს... დამტეობით, ხვავიანობით და სილამაზითაც ბადალი არა ჰქონდა.

იმ თედოსი, რედაქციის უახლოესი წევრი რომ შეიქნებოდა და ავტორობასა და შედგენაში მონაწილეობას არ იკმარებდა და გაზე-

თის ახალ-ახალი ნომრების ფარულ გამოგზავნაზეც იზრუნებდა საქართველოში.

სულითა და გულით მშველისო, – თედოს ხსენებისას ყოველთვის ამას დასძენდა გიორგი დეკანოზიშვილი, ოღონდ ჯერ გაზეთია დასაარსებელი, შრიფტი და საგაზეთო მასალა – ჟურნალისტურიც და ტექნიკურიც – ბევრს ნიშნავს, ცხადია, მაგრამ ყველაფერს არა, რადგანაც ის მთავარი აკლიათ, ურომლისოდაც ეს ყოველივე უქმად დარჩება.

მთავარი კი სტამბაა – ან ცალკე ან ვინმესთან ხიზნად.

ცალკე სტამბას რა სჯობს, მაგრამ იმ სახსრებით, რაც ხელთ აქვთ, წარმოუდგენელია, და ამას რომ ელოდონ, ისე მიჰყვება წელი წელს, კვლავ იმავე დახშულ წრეში იქნებიან ჩაკეტილნი. ხიზნობისა თანახმანი არიან, მაგრამ თვითონ რომ თანხმდებიან, ეს სულაც არა ნიშნავს, რომ მათ სურვილს მხურვალედ გამოეხმაურებიან პარიზელები. იქნებ სტამბის მეპატრონენი წინააღმდეგნი არ იყვნენ, ანკი რატომ უნდა გამოაბრუნონ უკან, რაც მეტი დამკვეთი ეყოლებათ, ის არ ურჩევნიათ! მაგრამ სხვა გაზეთების გამომცემელთ არ უჯდებათ ჭკუაში მოცილე – მერე რა, რომ ეს გაზეთი რომელიღაც უცხო ენაზე იბეჭდება და გავრცელებითაც რომელიღაც შორეულ ქვეყანაში უნდა გავრცელდეს. არა სურთ, მორჩა და გათავდა. მაგრამ არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი ის პიროვნებანი არ არიან, დაბკროლებამ ფარ-ხმალი დააყრევინოთ, იმპერიის განაპირა პროვინციის გადაქცევა მოუწადინებიათ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიად და გუმანში აქვთ დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჯარსა და პოლიციას არ ეპუებიან, დაპატიმრებას არ უშინდებიან და სტამბაში შესაფერისი ადგილის მოპოვება ისეთი რა უნდა გაუხდეთ.

გავლენიანი ნაცნობების გამოძებნას რომ შეუდგებიან, დაპირებებს ნაკლებად ენდობიან და ლამობენ ყველაფრის რაც შეიძლება სასწრაფოდ მოგვარებას. აჩქარებით საქართველოდან ძალიანაც აღარავინ აჩქარებთ, მაგრამ თვითონ უსწრებთ სული და ძებნა-ძებნაში ახმედ-რიზასაც მიადგებიან, ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის პარიზული გამოცემის – „მეშვერუდი“ – რედაქტორს, ვინც გულთანაც მიიტანს ქართველთა გასაჭირს და ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც შეახვედრებს – სებასტიან ფორიო, ჟერო რიშარიო, პრესანსეო, ჟორესიო... კიდევ ვინ აღარ, თუმც ესენიც საკმაოდ კმაროდნენ. არჩილი და გიორგი სათითაოდ ჩამოუვლიდ-

ნენ და საქართველოს ყოფასაც გადაუშლიდნენ თვალწინ, ახალი პარტიის შექმნის განზრახვასაც და თავისუფალი გაზეთის შექმნის აუცილებლობასაც.

არჩილი იმასაც დასძენდა:

– განზრახვა გვაქვს ქართულ გაზეთთან პარალელურად რამდენიმე ნომერი მაინც გამოვცეთ ფრანგული გაზეთიც „ჟორჟია" რისთვისაც დახმარებას გთხოვთ.

სახელდახელოდ მოფიქრებულს არა ჰგავს, და თუნდაც ბიძგი შემთხვევითობაც იყოს, ფრანგ პოლიტიკოსებთან საუბრებს ძალაუნებურად მოჰყოლოდეს, შინაგანად მზად არიან ამისათვის, რომ „საქართველოს" ფრანგულ ორეულზეც იზრუნონ. ცხადია, ეს არ იქნება ერთი გაზეთის ორენოვანი გამოცემა, ქართული მასალების პირწმინდა განმეორება უცხო ენაზეც. თარგმნა შერჩევით უნდა მოხდეს, ახალი მასალებიც მიემატოს – ფრანგული გამოცემის შესაფერისად. საამისო ძალა და უნარი შესწევთ, მთავარია ფრანგი პოლიტიკოსები ამ იდეითაც მოიხიბლნონ და შემწეობის აღმოჩენა შორს აღარ გადაიდოს.

აღარც გადაიდება.

ანარქო-სინდიკალისტთა გაზეთის რედაქცია თავიანთი სტამბის ერთ კუთხეს დაუთმობთ.

ესენი მონპარნასის ბულვარზე იქირავებენ ბინას თავისთვისაც და რედაქციისთვისაც. აქ იპოვნიდნენ სავანეს თედო სახოკია და ექიმი ალექსანდრე დიასამიძეც, რომელნიც შემდგომ ამათ პარტიაშიც გაწევრიანდებოდნენ. ზურაბ ავალიშვილიც გამოჩნდებოდა და თანამშრომლობის სურვილსაც განუცხადებდათ.

სად შეეყარა ის და არჩილი ბედისწერას.

ინგლისისაკენ მიმავალ სავაჭრო გემს რომ გაჰყურებდა პეტერბურგის სანაპიროზე, ახლა პარიზში უნდა აღმოჩენილიყვნენ გვერდი-გვერდ და პეტერბურგული სალონური შეხვედრები და ფილოსოფიითა და რელიგიით გატაცება სარედაქციო ყოფასა და პუბლიცისტურ-პოლიტიკურ მიზნებზე გადაეცვალათ. ერთხელ უკვე შეხვედროდნენ პარიზში, განა არა, მაგრამ ამჯერად გარედან კი აღარ აკვირდებოდნენ დიდ პოლიტიკურ მღელვარებებს, უშუალოდ მის შუაგულში მოქცეულიყვნენ.

მალე მომხდარიყო მათი შეხვედრა, თუმც არჩილს ეგონა, მას შემდეგ მთელი ცხოვრება გამოვიარეო. სადღაც შორს დარჩენილიყო მაშინდელი ინტერესები, დიდ გარდატეხას მსოფლხედვასა და

შეგნებაში სიზმარივით აეტივტივებინა ტოლსტოური ხანა და სიყმაწვილის ზმანებებისათვის შეეზავებინა.

პარტიულობა მისი მოქმედების გეზად ქცეულიყო და არა პიროვნულ მრწამსად, აუცილებლობად პოლიტიკურ სარბიელზე და არა სულიერ მოთხოვნილებად და ამიტომაც არ შეიზღუდებოდა პარტიული დოქტრინებით – არც ახლა და არც არასოდეს.

საქვეყნო ფიქრი მსჭვალავდა მის არსებას, ყოველი მოვლენა ამ გადმოსახედიდან აღიქმებოდა და ამ მხრივ ამიტომაც მოჩანდა ილია ჭავჭავაძის უშუალო მემკვიდრედ. პარადოქსია, სხვას რას დაარქმევ, როდესაც პოლიტიკური პარტიის დამაარსებელი სულიერად არაპარტიულია, მაგრამ არჩილ ჯორჯაძეს ორგანიზაციული სიმტკიცე არასოდეს აერეოდა უწყებრივ შეზღუდულობაში და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ამიტომაც ესახებოდა განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებათა ასპარეზად, რომლის მმართველობაც ამ პოლიტიკურ მრწამსთა ბუნებრივი მონაცვლეობა უნდა ყოფილიყო, ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზათა ძიება და არა ერთადერთი ჭეშმარიტება.

ამ სულს ჩაუდგამდა პარტიასაც და პოლიტიკურ გაზეთსაც და მისი პიროვნული ბუნების სიწრფელე ნებას არც მისცემდა, სხვა რამ ექადაგა გარკვეული პროპაგანდული აუცილებლობით და სულ სხვა გეზი დაესახა თავისთვის.

ამიტომაც, როდესაც სარედაქციო სტატია ირწმუნება:

– რადგან ჩვენი გაზეთი ჯერჯერობით ერთადერთი თავისუფალი ორგანოა, ამიტომ შიგ ადგილი დაეთმობა ყოველგვარ მიმართულების წერილებს, რომელთაც აზრად ექნებათ ქართველი ხალხის ინტერესთა გამოსარჩლება...

ეს სიტყვები სავსებით წრფელია და არა ტაქტიკური ხერხი თუ თვალის ახვევის მცდელობა.

და კიდევ გამოუქვეყნებდნენ იმხანად პარიზში მყოფ ნოე ჟორდანიას სტატიას კავკასიაში მუშათა მოძრაობის შესახებ და იმ წყენასა და გაგულისებას, რასაც ეს პუბლიკაცია გამოიწვევს სომეხთა პარიზული გამოცემის – „პრო არმენია“ – თვალში, საკუთარ თავზე დაიტეხდა რედაქცია. თუ სხვანი, სოციალისტური გაზეთები თუ „ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის“ გამოცემა თანაგრძნობით მოეკიდებოდნენ ქართული გაზეთის პირველ ნომერს და იმედებითა და გამამხნევებელი სიტყვებით შეხვდებოდნენ მის მომავალს, სომხური რედაქცია იმთავითვე ათვალწუნებით განეწყობოდა და, მიზე-

ზების ძებნაში, ნოე ჟორდანიას ნარკვევს ხელზე დაიხვევდნენ: კავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიას აღადგენს და სომხებზე კი არაფერს ამბობსო. ეს გარემოება მარჯვე საბაბი აღმოჩნდებოდა იმ ღრეჭვისა და ლანძღვისათვის, რაც სომხური გამოცემის ნომრიდან ნომერში გაგრძელდებოდა.

„საქართველო“ ფეხზე დგებოდა.

1903 წლის 1 მაისი მის დაბადებად და უმნიშვნელოვანეს თარიღად შემორჩებოდა ქართლის ცხოვრების მატიანეს – თუმც ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი იატაკქვეშ მოაქცევდა ამ გამოცემასაც და მის მესვეურებსაც, პირუთვნელი ისტორია შარავანდით შემოსავდა და თარიღთა უღელტეხილებს შორისაც მიუჩენდა ადგილს. სწორედ ამ ფონზე – ქართლის ცხოვრების მატიანის თვალთახედვით – წარმოდგებოდა „საქართველოს“ ჭეშმარიტი სულიერი ღირებულება. თორემ მარტოდენ ემიგრანტული პრესის ისტორიის მიხედვით მისი განსჯა და შეფასება მხოლოდ დაკნინება იქნება „საქართველოს“ ღვაწლისა.

ისე ამ მხრივაც ახალ ერას იწყებდა ეს გაზეთი.

ბედისწერა იმგვარად მოიტანდა, რომ ამ საუკუნეში დახვავდებოდა ქართული ემიგრანტული გამოცემები, უმწვავესი მსოფლიო ძვრები ჩვენს თავზეც რომ გადაივლიდა, ემიგრანტული რეალობა ამ ტკივილებსა და მიწყდომ-მოწყდომას ხელშესახებად და შთამბეჭდავად გამოხატავდა ჟურნალ-გაზეთების მეოხებითაც და ამ ნაკადის სათავეში მოჩანს „საქართველო“ და მისი ფრანგული ორეული, რომლის წინამორბედადაც რამდენიმე ათწლეულის წინათ, კერძოდ 1873 წელს პარიზში გამოცემული გაზეთ „დროშის“ სამად სამი ნომერია საგულვებელი.

სამი ნომერია თუ რა არის, არჩილ ჯორჯაძეს და გიორგი დეკანოზიშვილს ცარიელ ადგილას არ დაუწყიათ საძირკვლის გაჭრა.

არც დაიჩემებდნენ პირველობას. ნიკო ნიკოლაძე წარმართავდა იმ გამოცემას და ეცდებოდა თავისი სულისკვეთებით ევროპული სოციალიზმისათვის დაეახლოვებინა და არა რუსულ-ნაროდნიკულისათვის. ჩაიკარგებოდა ის სამი ნომერი, „საქართველოს“ მესვეურნი სანიშნედ იმას არ გაიხდიდნენ, მაგრამ სოციალისტურ ხაზს იმათებურს აირჩევდნენ, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, და რუსული ნაროდნიკული მოძრაობის გავლენის ქვეშ არ მოექცეოდნენ.

პირველი ნომრის გამოსვლა ქართველთა კოლონიის საერთო ნადიმით აღინიშნებოდა.

ამ საზეიმო სუფრას რომ გაიხსენებდა თედო სახოკია, იმასაც საგანგებოდ გვამცნობდა: პარიზში ოც კაცზე მეტი ვიყავით მოსწავლე ქართველობა და არ გვერია არცერთი მესამე დასელი, სოციალ-დემოკრატიის ბუდედ ჟენევა ითვლებოდა, პარიზი კი, როგორც უფრო არისტოკრატული ქალაქი, „ბურჟუების“ ანუ სოციალისტ-ფედერალისტთა სამყოფელად აღიარებულიყოო.

და იქვე: დაბეჭდვა ადვილი იყო გაზეთისა, მაგრამ საქმე ამ გაზეთის გამოგზავნა გახლდათო.

ადვილი, ცხადია, არც დაბეჭდვა ყოფილა, მარტო ტექნიკური პროცესი ხომ არ წყვეტდა მის გამოსვლას სამზეოზე, გახსოვთ რა მოულოდნელი დაბრკოლებანიც აღემართათ, წინასწარ სავარაუდო დაბრკოლებანი კიდევ სხვანი, მაგრამ ეს საქმე უკვე დაძრულა, შეჩერებით, ჯერჯერობით მაინც, ველარაფერმა უნდა შეაჩეროს, და ყველაფერი უკვე საქართველოში მის ჩამოტანა-გავრცელებაზე ჰკიდია.

ყოველთვის ასეა – ადვილია, რაც მოთავდა, ძნელია – რაც წინ გაწოლილა გაურკვევლობაში.

ამ საქმის ორგანიზაცია გიორგიმ იდო თავსო, – თედო სახოკიამ. აჩუმათებს თავის წვლილს, მაგრამ გიორგი ლასხიშვილი ამ ორ სახელს ერთად მოიხსენიებს, როდესაც გაზეთის ნომრების ექსპედიციას იგონებს და „ერთობ ძნელს“ არ სჯერდება. პირველ ხანებში ეს პირდაპირ უბედურება იყოო.

ის ორნი კი, და მათთან ერთად არჩილ ჯორჯაძე, გამოგზავნის გზებს რომ ეძიებენ, ორ საშუალებას შეარჩევს:

ერთი – მარსელიდან გემზე მოსამსახურეთ გამოატანდნენ და გადმოაზიდვინებდნენ ბათუმში, მეორე კი ხმელეთით წამომსვლელთ ჩაულაგებდნენ გვადრუცების (ჩემოდნების) ძირში. ჩემოდნების ძირს ისე ავსებდნენ, თვალით არც ჩანდა, შიგ თუ რაიმე იმალებოდა.

გიორგი დეკანოზიშვილი კანონად დაიდებდა, ყველა ქართველს, ვინც პარიზიდან საქართველოში ბრუნდება, გაზეთის ნომრები უნდა გავატანოო. ასე დადგინდებოდა პირველივე ნომრიდან და ამ კანონს არც არასოდეს გადაუხვევდა. ანგარიშსაც აღარ გაუწევდა, წამომღები უთანაგრძნობდა თუ არა რევოლუციურ განწყობილებას და სურდა თუ არა აკრძალული ლიტერატურის მალულად შემოზიდვაში მონაწილეობა მიეღო.

თედო სახოკია სიცილით მოიგონებდა, თუ როგორ გამოატანდნენ გავსებულ ჩემოდანს ისეთ ადამიანს, ვისაც რევოლუციის გა-

გონებაც არა სურდა, ან კიდევ ხუთ კაცს ხუთ ჩემოდანს გაუვსებდნენ აკრძალული ლიტერატურით და ხუთივე გვადრუცი ერთი და იმავე ზომისა და გარეგნობისა იქნებოდა, რასაც შეიძლება ეჭვი გამოეწვია, მაგრამ ბედი უშველიდათ ერთხელაც და მეორედაც, სხვა დროს ზურგს რომ აქცევდათ – ჟანდარმები დაუდევრობას გამოიჩენდნენ და „საქართველო" ჩამორთმევასა და განადგურებას გადაურჩებოდა.

თედო სახოკია იქიდან გამოჰყურებდა სამოგზაუროდ დაძრულ თავისუფალი გაზეთის ნომრებს, გიორგი ლასხიშვილი აქ ეგებებოდა მოგზაურობის კეთილად დასრულებას.

– მკითხველი ადვილად მიხვდება, როგორი აღტაცება გამოიწვია ჩვენს ჯგუფში ...გაზეთის პირველი ნომრის მიღებამ.

თუმც მოგზაურობის დასრულება პირობითად უფრო ითქმის, რადგანაც ჯერ თვითეული მკითხველის სახლამდე არ მიუღწევია.

– მის საზღვარგარეთ ექსპედიციაზე არა ნაკლებ გაჭირდა ჩვენში გაზეთის გავრცელება.

თავადაზნაურთა წრეებში უფრო ადვილად მოიფინებოდა, მაგრამ მუშებში კი გაუნძელდებოდათ გაზეთის შეტანა.

არ დაფარავდა გიორგი ლასხიშვილი: ჩვენთვის ეს უფრო საინტერესო იყოო.

მიაჩერდებოდნენ მომლოდინე სახეებით პროპაგანდისტებსა და იმ რამდენიმე მუშას, ამ გუნდის მიმართ თანაგრძნობას ვინც იჩენდნენ და ჩამოვლასა და დამარწმუნებელ ლაპარაკს არ დაიზარებდნენ.

ვერ იყვნენ სასიხარულო ამბის მომტანნი:

– მუშებს არ სურთ ჩვენი გაზეთის კითხვა.

ეს რა უშველებელი კედელი შემოავლეს ამ მესამედასელებმაო, – მიხვედრით მიხვდებოდნენ უნდო, ეჭვიანი განწყობილების მიზეზს, მაგრამ ფსიქოლოგიური მოტივის ამოცნობა არც კმაროდა, კედელი უნდა გარღვეულიყო, ჩამოქცევით არავინ ჩამოაქცევინებდათ, მაგრამ ადგილ-ადგილ გამონგრევა ნუთუ შესაძლებელი არ იყო? დიდი და მიზანმიმართული გარჯა სჭირდებოდა ამ ადგილ-ადგილ ნაპრალების გაჩენასაც? რა პოლიტიკური პარტიის შექმნას იჩემებდნენ, ამასაც თუ ვერ შეიძლებდნენ. ეგაა, ხელშესახებად დარწმუნდებოდნენ, როგორ შეეღწია მუშათა წრეებში მესამედასელთა საცეცებს, რამხელა გავლენა მოეპოვებინათ აწყობილი ორგანიზაციული მუშაობით. ილიასა და მის თაობას ამიტომაც გაკად-

ნიერებოდნენ და აქამდე თუ მოწყალედ ურჩევდნენ: ჭეშმარიტი სიახლისა და პროგრესის დამამკვიდრებელნი ჩვენა ვართ და თუ მაინცდამაინც გსურთ საზოგადოებრივი ცხოვრების მიღმა არ დარჩეთ, მოვლენებს სადღაც ბოლოზედ მოეჭიდენითო, – უკვე ესეც ზედმეტად მიაჩნდა: ჩამოეხსენით ხალხის ყოფაში ხელის ფათურს და ადამიანებისათვის გონების დაბნელებას ფეოდალური აზრებით, თქვენი ეროვნული დროშები სად არის გადაყრილი გამოფხიზლებული ხალხის ხელით, ყველა აშკარად ხედავს და თქვენ რამ დააბრმავათ ასე, რომ რეალობის განსჯის უნარი სრულიად დაგიკარგავთო.

ადრე კატკოვი შეურაცხყოფდა ქართულ დროშას.

ახლა ჟორდანია-მახარაძე გამოსჩენოდნენ მგმობელებად და: ეს რაღა ღვთის წყრომააო, – გაოგნებულიყო ილია.

იმათთვის ილია და მისი თანადასელნი ჩამორჩენილობასთან ერთად ანტიხალხოსანთა და ანტიჰუმანისტთა ნიმუშნიც იყვნენ და ყველაზე დიდ ბრალდებად ათვალწუნებულ პიროვნებათა მიმართ ის მოემარჯვებინათ, ფარულად 60-იანელებთან ხართ შეკავშირებულნიო.

ცნობისფურცლელთა მიმართაც ეს ხმა აემოქმედებინათ – ვითომ განზე უდგანან, მაგრამ სინამდვილეში ილიასთან არიან გადაბმულნი და მათი თავისუფალი გაზეთიც სხვა არაფერი იქნება, თუ არა ილიას შეხედულებათა შეფარული ქადაგებაო.

ამიტომაც ატატანებდნენ ხელს მუშები უარის ნიშნად, თითქოს გაზეთის გადაშლა და შიგ ჩახედვაც რაღაც უკურნებელ ჭირს შეყრიდათ.

ამათი მონდომებაც და დაჟინებაც თავისას მიაღწევდა და სოციალისტ-ფედერალისტებს მალე თავმოსაწონებლად ექნებოდათ: ახალგაზრდობაშიც გავიკაფეთ გზა და მშრომელ ხალხშიცო.

ოღონდ ამ პარტიის დაარსება ჯერ ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს.

და „საქართველოც" რეალობად იქცეს და მისი ფრანგული ორეულიც დატრიალდეს ფრანგ და ფრანგულად მოლაპარაკე პოლიტიკოსთა თუ ჟურნალისტთა წრეებში.

ჯერ პირველი ნომრის ფურცლებიდან ითხოვენ არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი ყოველგვარი მასალის მიწოდებას, როგორც ქართული, ისე მომავალი ფრანგული გამოცემისათვის – დოკუმენტებს, წიგნებს, კორესპონდენციებსა და წერილებს. ით-

ხოვენ ყოველგვარ შემოწირულობას და კიდევ იმას, რომ ყოველმა მკითხველმა გაზეთის ნომრები წაკითხვისთანავე სხვას გადასცეს, რათა ამ სახით შეუწყოს ხელი მის გავრცელებას.

არჩილ ჯორჯაძეს ალღოსა და გამოცდილების ჟურნალისტს არავისაგან ესწავლება რუბრიკების სიუხვის აუცილებლობა, გაზეთის მრავალფეროვნება რომ უნდა განსაზღვროს, და პირველივე ნომრიდანვე ჩნდება: ეს „ჩვენის (ქართულ) ცხოვრების მატიანეო“, ეს „რუსეთის ქრონიკაო“, ეს „ევროპის პრესსაო“, ეს „საქართველოს ფოსტაო“, ეს „სხადასხვაო“, ეს „განცხადებაო“, რასაც თანდათან უნდა შეემატოს „თავისუფალი წერილებიც“, „ფოსტის ყუთიც“, „შემოწირულებაც“, „ტერორისტული ქრონიკაც“...

და მეთაურ წერილთა შედგენის გამოცდილებაც ზუსტ და ტევად ფორმულებში მოაქცევდა ქართული თავისუფალი გამოცემის შექმნის აუცილებლობას – უმთავრეს მიზანსა და ამ მიზნისაკენ მიმავალ გზებს.

არავინ გახდიდა საკამათოს, სარედაქციო სტატია არჩილ ჯორჯაძის დაწერილი რომ უნდა ყოფილიყო და უშუალოდ მისი კალმით წარმოჩენილიყო ყველას გულისთქმა, რაც საქართველოს უნუგეშო ყოფასა და მის უკეთეს მომავალს დასტრიალებდა თავს.

მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვსო, – მკაცრ ტონალობას აირჩევდა და მოაყოლებდა და მოაყოლებდა:

– ასი წელიწადი მონურის და შეურაცხყოფილის სიცოცხლისა ძნელი და მძიმე განსაცდელი ყოფილა. გვეყო, რაც გადაგხვდენია და მოგვითმენია. მწუხარებამ და დაჩაგვრამ ერთი რამ კარგი გვასწავლა: შევიგნოთ, რომ ვისაც სიცოცხლე ჰსურს, თავის თავს თვითონვე უნდა მოუაროს და რომ თავისუფლება ხელგაუნძრევლად არავის ენიჭება.

– ჩვენს უკან ბნელი წარსულია. ულმობელის ძალით გვაწვება მძიმე ტვირთი ჩვენის შეცდომებისა, სისუსტისა და ჩვენის მტრის კადნიერებისა და ძალმომრეობისა. ამ წარსულსა და ჩვენს დამჩაგვრელ მტერს ანგარიში უნდა გავუწიოთ. დღეს ჩვენ გვსურს სიბნელეს, გამოუკრეველობას და გაუბედაობას ზურგი შევაქციოთ და ქართულ თავისუფალ პოლიტიკურ აზრს, თავისუფალ პოლიტიკურ მოქმედებას ნიადაგი მოვუმზადოთ.

არჩილ ჯორჯაძე ამ მხრივაც ილიას გზას აგრძელებს – მარტოდენ გარემოპირობებს, მოძალადის დაუნდობლობას არ მიიჩნევს ქვეყნის უნუგეშო ყოფის მიზეზად და ამ მიზეზს ქართველი

ხალხის ფსიქოლოგიაშიც ეძიებს, ნაკლსა და ზადს არამცთუ თვალს არ არიდებს, სააშკარაოზე გამოაქვს და წინასწარმეტყველის სიმკაცრით შეაგონებს ყველას, რომ ნუ დაელოდებიან ღვთის წყალობასა და ზეციურ ნუგეშს, სიმხნევე მოიკრიბონ, თავისუფლების სუნთქვა შეიგრძნონ და საკუთარ თავში მოხსნან ცენზორი, რომელიც არ ანებებთ დაუბინდავი მზერით შეხედონ და შესცინონ სამყაროს და ამ მრავალფეროვან უსაზღვროებაში საკუთარი სივრცე დაიმკვიდრონ, ეროვნულ-ტერიტორიულიც და კულტურულიც.

წართმეული სიმხნევის მოკრებასა და დაბინდული მზერის გადაწმენდას ეს პარიზული ფარული გამოცემა როგორ უნდა შეეწიოს?

ორი საშუალებითო:

– ვეცდებით გამოვააშკარავოთ და გამოვამჟღავნოთ ყოველი ძალმომრეობა და უსამართლობა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ჩვენში სჩადის. აგრეთვე საჭიროა გამოქვეყნება და გმობა ჩვენის ცხოვრების შინაურ უსამართლობა-უკუღმართობისა.

კმაროდა ეს გამოაშკარავება-გამომჟღავნება?

გულის მოფხანის დრო გარდასულიყო და კარზე მომდგარი პოლიტიკური სიახლე სახიერად უნდა გადაშლილიყო მკითხველის თვალწინ:

საჭიროდ მიგვაჩნია ქართველი ეროვნებისა და ქართველი ხალხის მომავალი ეროვნული და სოციალური ორგანიზაციის შესახებაც ლაპარაკიო.

განცხადება კი ისედაც ირწმუნებოდა განსხვავებულ შეხედულებათა გამოქვეყნების აუცილებლობას, მაგრამ სარედაქციო სტატია კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით გამოჰკვეთდა, რომ რედაქცია ემიჯნებოდა ყოველგვარ მიკერძოებასა და ერთი აზრის გაბატონების მცდელობას და სთხოვდა ყველას, ვინც გაზეთში გამოთქმულ მოსაზრებებს არ გაიზიარებდა და სხვაგვარად ესახებოდა ქართველი ხალხის კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზები, გამოეგზავნათ ის განსხვავებული შეხედულებანი და წინასწარვე დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ უყურადღებოდ არავინ დატოვებდათ:

– ამგვარ წერილებისათვის ჩვენს ორგანოში ცალკე განყოფილება გვექნება. სხვა-და-სხვა მიმართულების წერილების მოთავსების საშუალებით შევიძლებთ გავიგოთ რას ჰფიქრობს მთელი სა-

ქართველო და არა ერთი რომელიმე მისი კუთხე, პროვინცია, წოდება და კლასი.

რაოდენ უცხოა და უცნაური ამგვარი განზრახვა სოციალ-დემოკრატებისათვის. არა, სიტყვით არც ისინი აკლებდნენ და მხურვალე დაპირება-აღთქმით კიდეც წააჭარბებდნენ, მთელი საქართველო და არა მისი ესა თუ ის კუთხე, პროვინცია, წოდება და კლასიო, მაგრამ მკაცრ ჩარჩოებში მოემწყვდეოდა ყოველგვარი განსხვავებული აზრი, რაც მათ საპასუხოდ გამოითქმოდა, წინასწარვე განწირული უარსაყოფად და ჩასახშობად. ყველა სხვაგვარად მოაზროვნე მტერი იყო, არა მოპაექრე, არა კონკურენტი, არა კეთილგანწყობილი კრიტიკოსი, არამედ მტერი, რომელიც აუცილებლად უნდა განადგურდეს, თორემ დააზიანებს და საფრთხეს შეუქმნის სოციალ-დემოკრატიას საზოგადოებრივი ცხოვრების ისე წარმართვაში, რაც ერთადერთი ჭეშმარიტებაა, უზენაესი და მარქსიზმით კურთხეული.

წამგებიანი აღმოჩნდებოდა კეთილშობილებისა და ულმობელობის შერკინება და წინდაწინვე ულმობელობის სასნორი გადასწონიდა?

ეს საშიშროება 90-იანი წლების დამდეგიდანვე მოჩანდა და ახალი საუკუნე დაბეჯითებით დაადასტურებდა სოციალ-დემოკრატთა ბუნების უცვლელობასაც და დაუნდობლობის გარდუვალ ზეობასაც.

იაკობინელები დაბრუნებოდნენ ცხოვრების ასპარეზს სახელშეცვლილნი და სწორედ სოციალ-დემოკრატად გარდასახულნი, რათა ჰუმანიზმის იდეალით საბოლოოდ ჩაეკლათ ადამიანში ბუნებრიობის ყოველგვარი ნიშანწყალი.

სოციალისტ-ფედერალისტები ვერ განჭვრეტდნენ სოციალ-დემოკრატთა აღზევების ფარულ მექანიზმებს, პოლიტიკურ ბრძოლას ტერორში არ აურევდნენ, იდეალს ფარისევლურ ნიღბად არ მოიმარჯვებდნენ და კიდეც დაუთმობდნენ ეროვნულ საბჭოში უმრავლესობას, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ნაცვლად ზეციურ წყალობად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რომ ებოძებოდა ქვეყანას.

საყოველთაო-სახალხო არჩევნები დიდი უპირატესობით არგუნებდა გამარჯვებას სოციალ-დემოკრატთა მენშევიკურ ფრთას, რომელიც ზურაბ ავალიშვილის ზუსტი განსაზღვრებით – ქვეყანას, როგორც სნეულ ავადმყოფს, გაამზადებდა საბოლოო ბოლშევიკური ოპერაციისათვის.

არჩილ ჯორჯაძეს აღარ დასცალდებოდა ამ ფსიქოლოგიის ანალიტიკური განსჯა და წარმოსახვა, აღარც 10-20-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების გააზრება და ეროვნული ცნობიერების კვლევა, შექმნა გაგრძელებისა იმ დოკუმენტური მატიანისათვის, XIX საუკუნეს რომ გამოსდევდა 30-იანი წლებიდან და ახალი ეპოქის გარიჟრაჟსაც მიუკერძოებლად და სრული იერით გამოაჩენდა. მატიანე თვითონვე ითხოვდა განგრძობას, მაგრამ ბედისწერა სხვებს გადააბარებდა, თუ შესაფერისი ძალ-ღონე მოგდევთ, შეუთანასწორდით არჩილ ჯორჯაძის ძიებებს და შთამბეჭდავ სურათს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის დინებისაო.

შეთანასწორება ძნელი გახლდათ, ისე მაღლა აეწია თამასა არჩილ ჯორჯაძეს, ისეთ სიღრმეებში შეეღწია ერის თვისებების კვლევისა და მისი პუბლიცისტური ანარეკლის გააზრებისას, თანაც ქარბორიასავით გიყოლიებდა და, თუ მომზადებული არ შეხვდებოდი მიგნებათა და მარჯვე დაკვირვებათა ფეიერვერკს, დათრგუნულს გამოგისტუმრებდა ამ მხატვრულ-ისტორიული სივრციდან.

ახალი ჰორიზონტი გადაიშლებოდა მისი ნაწერებით და თუ ვინმე აიყოლიებდა მკითხველს, მათ შორის არჩილ ჯორჯაძეც თავიდანვე ჩააგდებდა საზოგადოებას გულისხმაში და მტკიცედ და თანმიმდევრულად უდასტურებდა ყველას იმ დიდი მოლოდინის გამართლებას, მის გამოჩენას რომ მოჰყოლოდა.

თვითონ მაინც გულს აკლდა და თანაც როგორ: ჩემს საქმეს ვერ ვაკეთებო.

თავი მეთერთმეტე

სულხან-საბა ორბელიანიდან არჩილ ჯორჯაძემდე

ახალი ჰორიზონტის გადაშლას რა სჯობდა, მაგრამ ჯერ მონპარნასის ბულვარის 12 ნომერში შეყუჟულა, თავის პატარა ბინაში და ადგენს სარედაქციო წერილის იმ მონაკვეთს, გაზეთის ფრანგული დამატებით მზადება რომ უნდა ამცნოს მკითხველს.

რა ჩაუთქვამთ მისთვის?

– ერთის მხრივ, უნდა იყოს შუამავალი ქართველ ხალხის და რუსეთის მებრძოლ პარტიათა შორის. ამ პარტიებთან საჭიროა ჩვენი შეთანხმება, რათა რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა პროგრამებში ქართული ეროვნების კითხვაც იყოს შეტანილი.

და მეორე მხრივ?

დასავლეთ ევროპასთან საუბრის გამართვა. ევროპისათვის გაცნობა საქართველოსი – მისი წარსულის, აწმყოსი და მომავლის იმედისა.

ოცნებებს არ ასდევს არჩილ ჯორჯაძე, გულუბრყვილოდ არ ასდევენ არც ის და არც მისი თანაგუნდელნი, თანამებრძოლთა სახელი რომ უფრო შეეფერებათ, თორემ ოცნება ჰკვებავს მის ფიქრსა და სწრაფვას, დიდ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებში უშუალო მონაწილეობის წადილი აღანთებს და უფლებას არ უტოვებს, უნუგეშო ხვედრს შეურიგდეს.

არადა, მეტი უნუგეშობა რაღა უნდა იყოს – იმპერიის სასტიკ პოლიტიკას ემატება ის, რომ: საქართველო არ იგულისხმება ეროვნული დიპლომატიის მოქმედების ფარგალში.

– ჩვენ გვესმის, რომ ქართული კითხვა არ არის დაკავშირებული ინტერნაციონალურ პოლიტიკასთან ისე, როგორც მაკედონელთა და სომეხთა კითხვაა მასთან დაკავშირებული; არ გვავიწყდება, რომ ევროპას განზრახვა არა აქვს რუსეთის შინაურ პოლიტიკის საქმეებში ჩაერიოს. არც ფინლანდია, არც პოლონეთი, არც საქართველო ევროპულ სახელმწიფოთაგან დახმარებას არ მოელიან.

მაშ რატომღა იკლავენ თავს ფრანგულენოვანი გაზეთისათვის, ტვირთზე ტვირთს რისთვის იკიდებენ, თუკი გამოსარჩლების არავითარი იმედი არ არსებობს?

– ჩვენთვის ევროპის ზნეობრივი თანადგომაც ძვირფასი იქნებოდა, რადგან ამ თანადგომით გავამხნევებდით და წავახალისებდით უსასოო, დაჩაგრულ ქართველ ერს.

ნეტა როდის მოხდებოდა, რომ ქართულ პოლიტიკურ აზრს თავისუფალი გამოსავალი მისცემოდა, რუსეთის ოპოზიციასთანაც მიღწეულიყო შეთანხმება და ევროპაშიც თანაგრძნობა მოგვეპოვებინა?

არჩილი ოთახში წრიალებდა და ხელის პროთეზს წამდაუწუმ აიღებდა და დადებდა... აიღებდა და დადებდა... ქართული პოლიტიკური აზრის თავისუფალი გასავალიო და – ესეც კარს მომდგარი სუნთქვა იმ თავისუფლებისა, ცერბერი რომ აღარ გადგას თავს.

რუს ლიბერალებსა და სოციალისტებს საგანგებოდ მიმართავდნენ ღია წერილით – და ეს პირველივე ნომერში.

ესეც თავისებური სარედაქციო სტატიაა, მისი უშუალო გაგრძელება, რადგანაც ებღაუჭებიან იმედს, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეებიდანაც შეიძლება თანამგრძნობელთა მოპოვება, შეიძლება, ოღონდ აუცილებლად უნდა დაუმტკიცონ და დაუდასტურონ, რომ ქართველობას მიზნად არა აქვს იმპერიის დაშლა, სულაც არა ლამობს სრული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და სახელმწიფოებრიობის დაბრუნებას, მათ თვალში ეს სეპარატისტული მისწრაფებაა და ამიტომაც წინასწარვე განწირული და დასაგმობი.

ამ თვალსაზრისს ასე პირდაპირ არ მოახსენებენ, მაგრამ ირწმუნებიან, ერთი სატკივარი გვჭირსო.

ეს სტატიაც უშუალოდ არჩილ ჯორჯაძის კალმითაა შექმნილი?

ალბათ ასეცაა, ყოველ შემთხვევაში ამ პოლიტიკური გუნდის საერთო განწყობილებას ვინც უნდა ჩამოაყალიბებდეს ნათელ და ლაკონურ ფორმულებად, არჩილის ხელიც და გონებაც სხვაზე მეტად ურევია.

რუს პოლიტიკოსთაგან არავინ მოტყუვდება, ქართველ პოლიტიკოსთა ახალი თაობა ფიცილს რომ მოჰყვეს, თქვენმა ქვეყანამ მოგვანიჭა ბედნიერება, გადაგვარჩინა მიწის პირისაგან აღხოცვას და დღეცისმარე სულ იმას ვლოცულობთ, ოღონდაც ხელი არ აგვაღოთ და ჩვენს ნებაზე არ მიგვიშვათ და სულ ასეთ კეთილდღეობაში გვამყოფოთო.

არც შეეცდებიან ამ ხერხით მათ გაცურებას.

დაუფარავად უნდა თქმულიყო ის, რაც აღშფოთებასა და პროტესტს იწვევდა ქართველი საზოგადოების თვალში და მისი შენელება თუ გამოსწორება ეთხოვათ, თუმც რეალური ყოფა თვითვე კარნახობდათ, რომ გამწვავება არა ღირდა, ჯერჯერობით მაინც, და იარაღის ხელში აღებაც მაშინ შეიქნებოდა აუცილებელი, როდესაც უამი ჩამოდგებოდა.

მანამდე მუქარა, აბა, რა საჭირო იყო!..

მომავალი პარტიის წესდების ერთ-ერთ უმთავრეს მუხლს ამთავითვე გაუმჟღავნებდნენ – ეროვნული ავტონომიის მოპოვებას, ოღონდ ამ წადილის გამჟღავნებამდე ამ გზით ივლიდნენ: ქართველი ხალხი მოკლებულია შეზღუდულ უფლებათა მცირე შეღავათსაც და მფარველობასაცო, დედა-ენა განდევნილია სკოლებიდან, არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არსებობს და არც ადგილობრივი თვითმმართველობაო, გვინდა თანაგრძნობით მოვეკიდოთ ჩვენში რეფორმების ხორცშესხმას, მაგრამ ამ რეფორმებში ვერ ვპოულობთ ჩვენი ეროვნების დაცვის საწინდარსო.

უამისოდ რაღა რეფორმები იქნებოდა!..

თუ არა, საქართველოს სამეფოს გაუქმებაც რეფორმა გამოდიოდა და ეგაა.

როგორ შევეწინააღმდეგებით რუსეთის ოპოზიციასთან შეერთებასა და საერთო ღონით მონარქიის დასამხობად ბრძოლასა და რუსეთში კონსტიტუციის დამყარებას, მაგრამ ვიდრე გამოირკვეოდეს, რა ხასიათისა იქნება მომავალი რეჟიმი, ცოტა არ იყოს დაეჭვებულნი ვართ, ვაითუ ცენტრალური იქნესო. ცენტრალური პარლამენტური რეჟიმის მეშვეობით უმრავლესობა ხომ ყოველთვის დაჩაგრავს უმცირესობას და ამიტომაც იქნებ წინასწარ მეგობრულად შევთანხმებულიყავით, რათა ეს საფრთხე თავიდან აგვერიდებინაო.

საქართველოს სამეფოს აღდგენაზე არა ვფიქრობთ და ოდნავადაც არ ვუწევთ ანგარიშს იმ ხმებს, უსათუოდ უნდა აღდგეს ის, რაც რუსეთმა ძალმომრეობით გააუქმაო. ჩვენი ხალხი ისე მომწიფდა პოლიტიკურად, რომ თავის ეროვნულ მისწრაფებათა დასაცავად საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენა აღარ ესაჭიროებაო, ჩვენს ეროვნებას სამეფო სახლი კი არ დაიცავს, არამედ ისეთი დაწესებულებანი, რომელთა შემწეობითაც შეეძლება ხალხს თვისი აზრისა და სურვილის გამოცხადებაო.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ და თანმიმდევრულად უნდა გამოიხატოს მთავარი სათქმელი.

წრფელი განცდაა?

დიპლომატიური მანევრი?

თანდათან გამოვარკვიოთ ამ სწრაფვის ფსიქოლოგიური სარჩული.

– ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება – განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ.

ეს მეოთხე გზა ნამდვილ გზად მიგვაჩნიაო, – ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება გამოთქმულიყო ეს მისწრაფება, როდესაც პოლიტიკური ხელოვნებით გაბათილდებოდა ყველა სხვა საეჭვო თუ უარსაყოფი გარემოება და თვითონვე, ძალდაუტანებლად გამოჩნდებოდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ერთადერთ აუცილებლობად, მითუმეტეს, ეს წადილი ოდნავადაც არ შეუშლიდა ხელს რუსეთის მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის ევოლუციას.

საქართველო ეროვნული თვითმმართველობის პირობებში თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების დაცვისა და განვითარების საშუალებას მოიპოვებდა.

და ეს თვითმმართველობა მომასწავებელი იქნებოდა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ევოლუციისა.

თუკი ეს პოლიტიკური ევოლუცია ცენტრალური ყაიდის კონსტიტუციას იგულისხმებდა?

არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი მოერიდებოდნენ ჭკუის დარიგებას რუსი ლიბერალებისა და სოციალისტებისა, რადგანაც მათში თანამდგომთ ეძიებდნენ და რატომ გადაეკიდებინათ, მაგრამ მოიარებით მაინც მიანიშნებდნენ, თუ როგორი წეს-წყობილება უჯობდათ. მსჯელობის ინტონაცია ისეთია, თქვენ ყოველივე ეს კარგად მოგეხსენებათ და ჩვენ მხოლოდ მიგიხვდით და მკაფიოდაც წარმოვიდგინეთ რუსეთის სახელმწიფოს მომავალიო.

იმასაც საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ დიდად არც ცენტრალური ხასიათის კონსტიტუციის შემოღება შეაშფოთებდათ იმ მოტივით: რუსეთში ეს შეიძლება დროებითი მოვლენა, საფეხური იყოს უფრო რთული პოლიტიკური განვითარებისათვისო.

– მიუხედავად იმისა, რომ ველიკორუსთა ელემენტს იმპერიაში დიდი ადგილი უჭირავს, რუსეთი ბევრ უცხო ელემენტებისაგანაც შესდგება, იმგვარ პატარა ერებისაგან, რომელთაც დღემდე დაუცავსთ ეროვნული ფიზიონომია და რომელნიც თითქმის ყველანი ძალათი შემოიერთა რუსეთმა.

რუს პოლიტიკოსებს არ უნდა ჰგონებოდათ, რომ იმპერიული პროპაგანდა ოდესმე გადაფარავდა სიმართლეს და იმპერიის საზღვრებში მოქცეულ ხალხებს ისევე მიაჩნდათ რუსები მხსნელად და მფარველად, როგორც თვითონ აცხადებდნენ საკუთარ თავს.

მიუკერძოებელი რეალობა ეს გახლდათ: ძალათი შემოიერთაო.

მიუკერძოებელი რეალობა ეს გახლდათ: დღემდე დაუცავთ ეროვნული ფიზიონომიაო.

ამიტომაც წარმდგარიყო რუსეთი ამ პრობლემის წინაშე – შეემუშავებინა ისეთი წეს-წყობილება, რომელიც, ერთი მხრივ, ააღორძინებდა სლავიანთა ელემენტს, და, მეორე მხრივ, მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებდა ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის.

ეს წეს-წყობილებაო, – თითქოს სხვათა შორის ჩაურთავდნენ, – რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული. ხოლო განმტკიცებული და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერაციულ წეს-წყობილებამდე მიიყვანსო.

რა მოვალენი იყვნენ, ეროვნული იდეალი გადაეშალათ თვალწინ რუს რევოლუციონერთათვის, ტერიტორიულ-კულტურული ავტონომიის მოპოვება სამუდამო მიზნად კი არა, საფეხურად რომ ესახებოდათ რუსეთთან ურთიერთობისას. არაფრისდიდებით არ უნდა ჩავრჩენილიყავით ფედერაციულ სივრცეშიც, მაგრამ როდესაც საქართველოს საქართველო მხოლოდ ქართველთა წარმოდგენაში ჰქვია, თორემ რუსულ ბიუროკრატიულ-კანცელარიულ ენაზე ეს ტერიტორია ორი გუბერნიის ნაერთია – ტფილისისა და ქუთაისის – ამ ფონზე ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ის დროებითი მოვლენაა, სულიერ ენერგიას ახალი სადინარი რომ უნდა გაუხსნას, მოამძლავროს და საკუთარი ფიზიონომიის შენარჩუნება, თვითმყოფადობის შემონახვა დიდ უკმარისობად შეაგრძნობინოს.

ჯერჯერობით საერთო მიზანი გამოსჩენიათ ქართველ და რუს მეამბოხეებს და თავისუფალი გაზეთი და მომავალი პარტია ამიტომაც სთავაზობთ შეკავშირებას მონარქიის დასამხობად.

არჩილ ჯორჯაძისათვის ეს ისეთი გარდასული ეპოქის ნაშთია, რომელიც აღარასოდეს აღდგება. ამიტომაც არის, რომ ბაგრატი-

ონთა დინასტიასაც აღარ მისტირის, არამცთუ რომანოვების ერთპიროვნულ მმართველობას შეეგუოს.

აჰა, ესეც სამოქმედო პროგრამა, ესეც მიზანი და მისკენ სავალი გზა. ხელი სამეგობროდ გაწვდილია და მალე უნდა გამოჩნდეს, როგორ შეეგებებიან რუსი ოპოზიციონერები ამ გამოწვდილ ხელს.

თეორიულსა და პუბლიცისტურ მტკიცებებს უსათუოდ ესაჭიროება საზოგადოებრივი ყოფის თვალსაჩინო ნიმუშები, რათა რევოლუციური განწყობილება ყველასა და ყველაფერს მოედოს, ადამიანის გონება ამ სიმზე მოიმართოს და პატარა ტალღები ისე მომძლავრდეს, დიდი, გრანდიოზული მღელვარება ატყდეს. ამიტომაც სულ ეს უნდა ხმიანებდეს და ბაგიდან ფურცელზე გადადიოდეს, ფურცლიდან ისევ ბაგეს უბრუნდებოდეს – სად რა არეულობა მოხდა, სად რა დემონსტრაცია გაიმართა, სად რა პროტესტი გამოითქვა, სად ვინ გაიფიცნენ, სად ვინ დაარბიეს, სად გამოჩნდა პოლიცია, სად – სადამსჯელო რაზმი.

„საქართველოს" ფურცლებზეც ეს თემები გადიგამოდის და აფერმკრთალებს ყველა სხვა ამბავსა თუ ეპიზოდს, რაც ქვეყანაში ხდება. თითქოს მხოლოდ რევოლუციური განწყობილება გამეფებულა რუსეთის იმპერიაშიც და მის პროვინციებშიც, რომლის ერთ განაპირა მხარედაც ეს ჩვენი ქვეყანაც ქცეულა და ამ ეგზეკუციებმა ლამის სულ ამოხადოს სული.

სულისკვეთება ისეთი მწვავეა და აზვირთებული, რევოლუციონერებს ილუზია უჩნდებათ, სახელმწიფო გადატრიალებას აღარაფერი უკლია და გარდამტეხი ცვლილებაც ისე ახლოსაა, ხელის განვდენაღაა საჭირო და იმ ნაყოფის მოსთვლა, რისთვისაც თავი არ დაგვიზოგავსო.

ეს განწყობილება განა რუს ლიბერალთა და სოციალისტებისადმი მიწერილ ღია ბარათშიც არ იგრძენით? უკვე სახელმწიფო მოწყობაზე უთანხმდებიან... უკვე ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას ითხოვენ, თითქოს იმპერატორი მმართველობის სადავეების გარეშე დარჩენილიყოს.

სწორედ დროული თადარიგია.

ჩვენს დროშაზე ორ სიტყვას ვაწერთ: ეროვნული თვითმმართველობა და დემოკრატიაო, – ასე პირდაპირ მეორე ნომრის მეთაურ სტატიაში გამოითქმოდა, მაგრამ ისედაც გაზეთის ყველა კუთხე-კუნჭულში ეს ბაირაღი ფრიალებდა, ამაყად წამომართული, ცენზურა ვერაფერს ჩამომფხეკს და ვერაფერს ჩამომაგლეჯსო.

„საქართველოს“ ფრანგულ დამატებას რედაქტორიც ფრანგი უნდა ჰყოლოდა და რედაქციის მუშაკიც, რადგანაც არჩილ ჯორჯაძესა თუ გიორგი დეკანოზიშვილის, ზურაბ ავალიშვილისა თუ თედო სახოკიას ფრანგული სრულყოფილებით არ გამოირჩეოდა. ანკი რატომ უნდა გამოირჩეოდეს და მშობლიური ენის თანაბრად ან სულაც მასზე უკეთესად უცხო მეტყველება რატომ უნდა ემარჯვებოდეს ადამიანს, თუ ეს ხვედრი ბედისწერის დრამატიზმით ან ტრაგიზმით არ არის განპირობებული. რედაქტორული ჩარევა, შალაშინის გაკვრა სჭირდებოდა მათ ნაწერებს? დასჭირდებოდა, მერე რა. მთავარია, რომ თავდაპირველი ადამიანი გამოსჩენოდათ, ვინც არამცთუ ამ საძნელო საქმეს, მათი ნაწერების სწორებას, ერთგულად მიჰყოფდა ხელს, არამედ ფრანგ პუბლიცისტთა და პოლიტიკოსთა დაწერილსაც დაუზარებლად გადახედავდა სტილისტის თვალით, კორექტურასაც თავაუღებლად ჩაუჯდებოდა და კიდევ... ფულსაც უშოვნიდათ.

როცა დაგვჭირდებოდაო, – გიორგი დეკანოზიშვილი აღნიშნავს.

არადა, სულ სჭირდებოდათ და შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არ დარბოდა ეს ფრანგი ქალბატონი თანხის შესაგროვებლად, ხშირად უწევდა საგამომცემლო ხარჯებზე ზრუნვა. და გაბეზრებას კი არავის აგრძნობინებდა.

ასე მხოლოდ იმიტომ არ იქცევა, რომ მე ვუყვარვარო, – ამასაც დასძენდა, – გაიცნო ქართველები, გაიცნო ჩვენი ყოფა და ისედაც სულითა და გულით შველის ყოველ დაჩაგრულსო.

მე ვუყვარვარო...

მისი მეუღლე გახლდათ – ანრიეტა ფრენუა.

საქართველოს მხოლოდ მას შემდეგ მოინახულებდა, რაც გიორგი დეკანოზიშვილი გარდაიცვლებოდა, და 1913 წლის მოგზაურობის ამ შთაბეჭდილებებს კიდეც გამოაქვეყნებდა. საამისოდ ანდერძად დაბარება სულაც არა სჭირდებოდა მეუღლისაგან, ისედაც ენდომებოდა იმისი სამშობლოს მონახულება, მითუმეტეს, იმ ქვეყნის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად თვითონაც ცოტა არ ეღვაწა და ოდესმე ხომ უნდა ეხილა საკუთარი თვალით. ვაი, რომ ქვრივობისას!.. ანდერძად სხვა რამ დავალებოდა – შვილებს აუცილებლად ტექნიკური განათლება მიაღებინეო, შვილებს – ტარიელსა და თინათინს, მარტოდენ სახელები და შორეული ქვეყნის იდუმალი ხსოვნა რომ შემორჩებოდათ. ტარიელი უძეოდ გადაეგებოდა, თინათინის შვილები და შთამომავლობა კი ფრანგებს შეერეოდა და გიორგი დეკანოზიშვილის სისხლი თანდათან ერთ-ორ წვეთად თუ შემორჩებოდა.

ამ ტრაგიზმს მარკოზ ტუღუში იმითაც გამოჰკვეთდა, რომ ამ ორი პიროვნების სამუდამო სამყოფელის სიშორეს წარმოაჩენდა. ერთი ტფილისის წმინდა ნინოს სასაფლაოზე განისვენებდა – კუკიაზე, მეორე პატარა ქალაქ დრავეილის სამაროვანში, და ამ ფრანგული ქალაქის მნიშვნელობას ჩვენი ისტორიისათვის ამ ამაღლებული კილოთი აღნიშნავდა: ჩვენს მახსოვრობაში უნდა აღიბეჭდოს, რადგანაც 1902-6 წლებში იქ იმყოფებოდა ქართული საქმის ნამდვილი შტაბი, რომელსაც ჩვენი გიორგი დეკანოზიშვილი ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდაო.

ის კი, ხელმძღვანელობასთან ერთად, თანამოაზრეთა ფსიქოლოგიურ პორტრეტებსაც ინიშნავდა თავისთვის, უკვირდებოდა ყველას სიტყვას, ყველას საქციელს, ფსიქიკის ღრმა შრეებამდე ჩასდევდა, თითქოს ბელეტრისტია და მომავალ რომანზე ზრუნავსო. იქნებ კიდეც ებელეტრისტა დალხინებულ ქვეყანაში, მაგრამ ახლა ბედისწერა მისგან პოლიტიკურ გაზეთზე ზრუნვას მოითხოვდა, იარაღის შეძენასა და სამშობლოში ფარულად გამოგზავნას კარნახობდა და მხატვრულ აზროვნებაში გადაშვება ისეთი ფუფუნება გახლდათ, რის უფლებასაც ვერაფრისდიდებით ვერ მისცემდა თავს.

არჩილ ჯორჯაძე ფილოსოფიასა და ესთეტიკურ კრიტიკას მოკლებოდა, იქნებ ბელეტრისტიკასაც, მაგრამ ფილოსოფოსობასა და ესეისტიკას მთელი ცხოვრება მისტიროდა და ამაო ოცნებად დაურჩებოდა ქვეყნის უნუგეშო ყოფის გადამკიდეს, და გიორგი დეკანოზიშვილი ოცნებითაც არ იოცნებებდა ბელეტრისტობაზე. დღიურების შედგენაში მოიკლავდა მთხრობელის ჭიას, ფსიქოლოგიური პორტრეტების გააზრებაში ჩახარჯავდა მხატვრის ნიჭს და „საქართველოს“ ფრანგული დამატების რედაქტორს, ქალბატონ რენოს არაერთი ქართველი რომ დაემდურებოდა, ანჩხლია და ფულისმოყვარეო, – ტყუილიაო, – პირში ეცემოდათ გიორგი, – ასეთი კარგი ქალი ძნელი სანახავიაო.

დამდურება რას გამოეწვია?

იგი ასე ახსნიდა: ფრანგები წესრიგს არიან შეჩვეულნი, ასე იზრდებიან, და თუ სადმე დაუდევრობა დაინახეს, ვერ ითმენენ. ამიტომაც მოუვიდა ზოგიერთ ჩემს თვისტომთან უსიამოვნებაო.

– ქალბატონ რენოს სურს ყოველ საზღვარგარეთ წამოსულ ქართველში მძლავრი და პრინციპებით გამსჭვალული ადამიანი ნახოს.

ასე რატომ იდებს თავს ჩვენი გულისათვის? მიფუჩეჩება ვერაფრისა წარმოუდგენია და სადაც არის და რისთვისაც მოუკიდია ხელი, სულითა და გულით უნდა იყოს ჩაფლული.

* * *

კლასთა ბრძოლამ შეცვალა ეროვნული ბრძოლაო, – ირწმუნებოდა სოციალ-დემოკრატია, ახალ სახარებად რომ აეფარებინათ მკერდზე მარქსიზმი და კაცობრიობის მთელს ცხოვრებას ამ სარეცელზე უპირებდნენ გაშოტვას. სახარებისა რა მოგახსენოთ და სახარების პაროდირება და ახალი ეპოქის პროკრუსტეობა კი დაჰკისრებოდა მარქსის მოძღვრებას, რომელსაც, რამდენიც უნდა გეჩიჩინებინა, ვერაფრისდიდებით ვერ დააჯერებდი გეორგ ბრანდესს.

სოციალ-დემოკრატია აღარც შეეცდებოდა მის გადარწმუნებას, რეაქციონერს შეარქმევდა და მოიცილებდა თავიდან... უფრო სწორად, თავიდან მოცილებას შეეცდებოდა, მაგრამ არ ყოფილა გეორგ ბრანდესი ის პიროვნება, ასე იოლად მიფუჩეჩებულიყო მისი გავლენა და მის სიტყვას მომხრე და თანამგრძნობელი დაეკარგა ევროპაში. დანიელთა მცირერიცხოვანება არც სიორენ კირკეგორს შეუშლიდა ხელს, ევროპული ფილოსოფიური აზრი აეყოლიებინა და მისი გავლენა საამაყოდაც ჰქონოდათ მწერლებსაც და მეცნიერებსაც, და არც ბრანდესს, სულმოუთქმელად რომ მოელოდნელ მის ესთეტიკურ-კრიტიკულ ძიებებს და კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ფასეულობათა მისეულ გადაფასებებს.

სხვაგვარად ლაგდებოდა ევროპული მწერლობა გეორგ ბრანდესის გამოჩენის შემდეგ, კლასიკური ლიტერატურაც და თანადროული სამწერლო პროცესიც უფრო შთამბეჭდავად და მიუკერძოებლად გაიაზრებოდა და, თუკი რაიმე აღაშფოთებდა, კლასთა ბრძოლის გამოცხადება ისტორიის მამოძრავებელ ძალად. თავიდან სიცილის გუნებაზე დააყენებდა ასეთი თვალსაზრისი, რა არ მოაფიქრდებათო, მაგრამ მერე და მერე სულ უფრო გათვალსაჩინოვდებოდა, როგორ მოედებოდა ყველასა და ყველაფერს ისტორიის შინაარსის ამგვარი ახსნა, ყოვლად ყალბი და გაუგებარი და თურმე ძალიანაც შესაფერისი ღმერთსმოკლებული სამყაროსათვის.

გეცინა.

უმწეობად შეგერაცხა, როგორც პრიმიტიული აზროვნების ნიმუში.

ის მიჰკვალავდა გზას, ის ღონივრდებოდა, ის აღაგზნებდა მასობრივი ადამიანის გონებას და მასებსაც ისე გადაედებოდა, როგორც შავი ჭირის ეპიდემია – მოსახდელი, გადასატანი, მაგრამ ვიდრე მოიხდიდი?

კლასთა ბრძოლა ყოველ კუთხეში დღითიდღე მწვავდებაო, – ამ რეალობას არც ბრანდესი აარიდებდა თვალს, მაგრამ ნურც სოციალ-დემოკრატია იმეორებდა გაუთავებლად, ეროვნულ ბრძოლას კლასთა ბრძოლა შეენაცვლაო, რადგანაც ისიც არანაკლებ თვალნათლივ მოჩანდა, თუ როგორ მიეღწია უკიდურესობამდე მტრულ დამოკიდებულებას დამჩაგვრელ და დაჩაგრულ ერთა შორისაც.

არა სურდათ თვალის გასწორება?

ბრანდესი შეახედებდათ:

– რამდენიმე უძველესმა ერმა, მთელი საუკუნოების ტანჯვის შემდეგ, ამოიღეს ხმა თავის ეროვნების დასაცველად.

პოლონელებს დაეწყოთ და ბულგარელები მიჰყოლოდნენ, სომხებიც, ფინლანდიელებიც და მაკედონელებიც, აგერ მალოროსებსაც აღემაღლებინათ ხმა და ამ ერთა ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ზოგნი ინგლისური ენის წყალობით აწვდენდნენ ევროპას თავიანთ სატკივარს, ზოგნი ფრანგულად, ზოგნი გერმანულად. რუსეთის მტარვალობის ქვეშ არაერთი ქვეყანა დატანჯულიყო და ევროპის თვალში კიდევ ერთი ერიც რომ მოხვედრილიყო, გეორგ ბრანდესი განსაკუთრებულ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას გამოუცხადებდა ვრცელი სტატიით დანიურ გაზეთში და მისი თარგმანი „საქართველოს“ ფურცლებზეც განმეორდებოდა (1903, 6):

– და, აი, ეხლა ხანს პატარა ერმა, რომლის ისტორია ისეთივე ძველია, როგორც ებრაელთა და სომეხთა, დააარსა პარიზში თავისი ორგანო... ამ ორგანოს საშუალებით მას ჰსურს უზრუნველ ევროპას გაუზიაროს თავისი მწარე ხვედრი. ეს პატარა ერი – ქართველი ერია. აი, სწორეთ მთელი საუკუნეა, რაც რუსეთმა შებღალა ქართველების უფლებანი, დაარღვია ხელშეკრულება და აღიარა საქართველო თავის პროვინციათ.

უძველესი დროიდანვე ეს პატარა ერი იბრძოდა თავისი არსებობის დასაცავადო, – ამასაც მოადევნებდა და მედეასა და არგონავტების მითსაც გაიხსენებდა და ფარნავაზსაც, პირველ ქართველ მეფეს ქრისტეს დაბადებამდე სამი საუკუნით ადრე, რათა არაბთა ხალიფების, სპარსელთა და მონღოლთა მძვინვარე ლაშქრობანიც ეხსენებინა და ევროპისათვის შეეგონებინა: სწორედ გა-

ოცდებით, როგორ დაიცვა ამ პატარა ერმა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1801 წლამდეო.

სახელოვანი დანიელი ისეთი ღრმა ცოდნითა და ნიუანსობრივად წარმოსახავს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების გარემოებებს, მის წინა ხანასა და ხელშეკრულების დარღვევისა და ქართველთა უფლებების სრული დამხობის ზოგად სურათს, ადვილად მისახვედრია, მარტოდენ ზურაბ ავალიშვილის სტატიას არ ეყრდნობა და პირადი სიახლოვეც უნდა აკავშირებდეს ქართული ემიგრანტული გაზეთის რედაქციასთან. ამ კეთილშობილების კაცს პროტესტის გამოსათქმელად ხმა იქნებ ისედაც ამოეღო, მაგრამ ეს უფრო იქნებოდა დეპეშური ყაიდის ტექსტი თავისუფლების მაძიებელი ერის დასაცავად და არა ასე გათვითცნობიერებული პიროვნების მიერ ყოველმხრივ გააზრებული და მომზადებული პოლიტიკური ესეი, რომელშიც განმეორდებოდა ყველა ის მოთხოვნა, არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი რის მოსაპოვებლადაც იღვწოდნენ იმხანად.

ისინი მოიხსენიებოდნენ ერის „წინა რაზმად" და „განათლებულ ახალგაზრდობად" , რომელთაც სრულიადაც არ სურდათ თავიანთი სამეფოს აღდგენა, მაგრამ უნდოდათ საკუთარი ეროვნული საქმეებისათვის თვითონვე მოეარათ.

ამიტომაც იზიარებდა პირწმინდად მათ მოთხოვნებს და თანაც სასწრაფოდ მოსაგვარებლადაც მიაჩნდა – ბოლოსდაბოლოს, იგივე უფლებები მინიჭებოდათ, რაც რუსეთის შიდა გუბერნიებს – ქართველები ხომ უმცირესი სამართლითაც არა სარგებლობდნენ სხვებთან შედარებით. არც ერობა გააჩნდათ და არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, მათი დედა ენა კი სკოლებიდან განდევნილიყო, სამღვდელოება კრძალავდა სამრევლო სკოლებში ქართულ ენაზე სწავლას და ეს, ცხადია, მოსწავლეთა სასარგებლოდ კი არ გამიზნულიყო, რადგანაც რუსული იშვიათად იცოდნენ ყმაწვილებმა, არამედ რუსული ენის გასავრცელებლად და მშობლიური ქართულის გადასაყლაპად. სკოლების რიცხვი დიდად შემცირებულიყო და სწავლითაც ისე ცუდად ასწავლიდნენ, მოწაფეთა მეოთხედმა ძლივს იცოდა წერა-კითხვა. ქართველები ესწრაფოდნენ რუსეთის დეცენტრალიზაციას, რომლის წყალობითაც ყველა დაჩაგრული ერი შეძლებდა წელში გამართვას. მათი სურვილი იყო დაარსება ფედერაციისა, რომელიც ყოველ ერს თანაბარ უფლებას მიანიჭებდა, სომეხი იქნებოდა, რუსი თუ თათარი. ქართველებს ისიც

გამოერკვიათ და პასუხსაც ითხოვდნენ, რატომ ახმარს კავკასიის შემოსავლიდან მთავრობა 67 პროცენტს სულ სხვა გარეშე საქმეებსო, რატომ არ ტოვებენ ჩვენს ჯარისკაცებს კავკასიაში და აგზავნიან რუსეთის განაპირა მხარეში, მაგალითად, ციმბირში, რატომ არღვევენ ამ მხრივაც ხელშეკრულებას და თანაც ისეთ სუსხიან გარემოში ავალდებულებენ სამსახურს, რასაც ქართველობა ვერ იტანს და მრავალნი იხოცებიანო.

ქართველი მეამბოხის დაწერილი გეგონება, მითუმეტეს, ბრანდესის მსჯელობის კილო სულ უფრო მწვავდება და პროკლამაციისაგან აღარც განირჩევა: ქართველების გამოფხიზლება ახალი საბუთია იმისა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის დღენი დათვლილიაო.

მაინცდამაინც ვერ გაიზიარებდა რუს რევოლუციონერთა მოლოდინს, ცარიზმის აღსასრულს წუთი წუთზე შეეგებეთო, მაგრამ ეს სულის შემხუთავი ყოფა ოც წელიწადზე მეტს რომ ვერ გასტანდა, ამის განჭვრეტა თამამად შეეძლო, რადგანაც ეროვნული და სოციალური ბრძოლები ერთიანდებოდა, საერთო ბრძოლად გარდაისახებოდა და ამისთანა უფსკრულიც ბევრგან ივსებოდა, რაც თუნდ ათი წლის წინათ არსებობდა ფინლანდიელებსა და რუსეთის ოპოზიციას შორის, ამჟამად კი ისინიც შეკავშირებულიყვნენ. რუსი ინტელიგენცია და მუშებიც ვერ შეთანხმებულიყვნენ ერთ დროს? აგერ ისინიც ერთობლივად იბრძოდნენ.

თვითმპყრობელობის დღენი დათვლილიაო...

– ზოგს მეტად ხანგრძლივად მიაჩნია ამ რევოლუციის ლოდინი, მაგრამ მისი მოსვლის შესახებ ისე ვართ დარწმუნებული, როგორც ზამთარში ვართ დარწმუნებულნი, რომ მალე გაზაფხული გვეწვევა.

ხანგრძლივი სხვა რამ უფრო აღმოჩნდებოდა – იმ გარდუვალი რევოლუციის მონაპოვრის დამხობა-გაქარწყლების ლოდინი, კომუნისტური დიქტატურის ჟამი, რომელთან შედარებითაც იმპერატორის თვითმპყრობელობა მოკრძალებულ ძალადობად გამოჩნდებოდა. არსებობს კი ასეთი შესიტყვება? თუ არ არსებობს, ამიერიდან გამოვიყენოთ – შედარებითია ყველაფერი ჩვენს წუთისოფელში, ხშირად პარადოქსებითაც დაღდასმული და „მოკრძალებული ძალადობაც“ იმ პარადოქსთა შორის ვიგულვოთ, რეალისტურ აღწერა-შეფასებებს რომ აჭარბებენ სიზუსტითაც და გამომსახველობითაც.

ისედაც წართმეული უფლებები, ისედაც დანამცეცებული სამართლიანობა და... ისიც სანატრელი გაგვიხდებოდა ახალი რეჟიმის ზეობისას, და ეს იმიტომ, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას უკეთესი საზავო პირობებით სურდა ტრაგიკული ყოფისათვის თავის დაღწევა და რუს პოლიტიკოსთაგან ვინც შეპირდებოდა მათთვის ხელსაყრელ საზავო პირობებს გახელისუფლების სანაცვლოდ, კიდეც აღაზევებდნენ ახალი იმპერიის მმართველად.

ასე ჩაგვაგდებდნენ უბედურებიდან უარეს უბედურებაში.

მთელი სისავსით ამოსკდებოდა ის საშინელებანი, რევოლუციის ბუნება რასაც ითხოვს, და ყველასა და ყველაფერს გადაფარავდა ლექი, რათა თანდათან სულ აეზილა და გაექრო ეროვნული თავისებურებანი და ადათ-წესები.

ზამთარს გაზაფხული კი არ მოჰყოლოდა, არამედ... კიდევ უარესი ზამთარი, რასაც არ იცნობს დრო-ჟამის კალენდარული ათვლა, მაგრამ კალენდარულობა რას შეაჩერებდა მის ძლევამოსილ წინსვლას – სოციალისტური რევოლუციისას, გახვეულს კაცობრიობის ხსნის საბურველში და ღმერთსმოკლებული სინამდვილით გულმოცემულს.

გეორგ ბრანდესის ესეიში ცოტა არ იყოს ყურს ჭრიდა ერთი ფრაზა, ქართველთა უფლებების სრულ დამხობას რომ მოადევნებდა:

– მას შემდეგ ერთი საუკუნის განმავლობაში ქართველები დუმდნენ, მაგრამ ახლა დაარღვიეს ეს დუმილი, თავისუფლების ალმა დაუარა მათ სხეულში და კვლავ მიისწრაფიან გათავისუფლებისაკენ.

ამას ჩვენი დიდი კეთილისმყოფელი წერს, არაფრისდიდებით რომ არ გაუშვებს ხელიდან რაიმეს, რაც უკეთესი იერით წარგვადგენს ევროპის თვალში, და ასეთ დროს რატომ უნდა ახსენებდეს „ერთსაუკუნოვან დუმილს“ , რომელიც მხოლოდ ახლა დარღვეულა ქართველთა მოწინავე რაზმის – განათლებული ახალგაზრდობის წყალობით?

ეს ტაქტიკური და პუბლიცისტური ხერხი არ უნდა იყოს – შეგნებული გამოტოვება თუ გადასხვაფერება ამა თუ იმ მოვლენისა უფრო მნიშვნელოვანი მიზნისათვის. რა აუცილებლობას გამოუწვევია იმის მტკიცება, საქართველო სრულ დუმილში ჩაძირულიყო და ახლაღა გამოფხიზლდაო? განა არა სჯობდა, რომ სახელმწიფო-

ებრივი დამოუკიდებლობისათვის მისი დაუოკებელი ლტოლვა გამხდარიყო ცნობილი დასავლელ პოლიტიკოსთა და საერთოდ საზოგადოებისათვის. სულ არ იყო აუცილებელი, სათითაოდ ჩამოთვლილიყო მთიულეთის, კახეთის, იმერეთის, გურიის აჯანყებანი, 1832 წლის შეთქმულება, სამოციანელთა მიერ ხელში აღება ერის წინამძღოლობისა და მათი გამოცემების, საგანმანათლებლო საზოგადოების, ბანკის პოლიტიკური სარჩული და შინაარსი.

ზოგადად ითქმოდა, დამოუკიდებლობის დამხობის პირველი დღიდანვე არ შენელებულა საქართველოში წინააღმდეგობის მოძრაობა და ეს იყო ერთიანი, უწყვეტი პროცესი, რომელსაც სულ ახლახან განათლებული ახალგაზრდობაც გამოუჩნდა მოწინავე რაზმად და ამ უკეთილშობილესი სწრაფვის გამგრძელებლადო.

სიმართლე ესაა.

და ამ სიმართლის ნაცვლად დიდებული დანიელის სტატიაში მისი საპირისპირო თვალსაზრისი ჩაბეჭდილა.

აშკარაა, ბრანდესისათვის არავის უცნობებია აჯანყებათა ეს ეპოპეა, მინიშნებითაც არ გაუმხელიათ და ამიტომაცაა, ტოტლებენის ღალატის ამბავი უწყის, ეკატერინე მეორისაგან ჩაგონებული, XIX საუკუნის მღელვარე პოლიტიკური ცხოვრება კი მკრთალადაც და ფრაგმენტულადაც არა.

იგი იმეორებს იმ შეხედულებას, რაც „ცნობის ფურცლელთა“ თუ „საქართველოისტთა“ წრეში გაჩენილა და არაფრად აგდებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მის არსებობას, ვიდრე ის ადამიანები გამოვიდოდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, სოციალისტ-ფედერალისტური პარტია რომელთაც უნდა შეექმნათ.

საყმაწვილო სენი ამათაც მორეოდათ.

მათ გამოჩენამდე სრული დუმილი და უმოქმედობაა და ეროვნულმა მოძრაობამ ახლა უნდა გამოახილოს თვალი – მხოლოდ და მხოლოდ მათი შემწეობით.

თუ მაინცდამაინც – ის ყოველივე შეიძლება შეფასდეს როგორც მოსამზადებელი, ფერმკრთალი ხანა ნამდვილი პოლიტიკური პარტიის გამოჩენამდე.

არჩილ ჯორჯაძე შესაძლოა ასე მკაცრად და უარმყოფელად განწყობილი არ იყოს წინამორბედთა მიმართ, სხვაგვარად არც მოაფიქრდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანის შექმნა სწორედ იმ „დუმილის“ ხანაზე, არც დიმიტრი ყიფიანს გამოაცალკევებდა ბიოგრაფიული რომანის გმირად და არც ილია ჭავჭავაძეს,

მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც თავიანთ პარტიას ანიჭებს, რომლის კომიტეტმაც ეს დიადი მოვლენა მალე უნდა ამცნოს ქართველ ხალხს და ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნაც რეალობად იქცეს.

ამიტომაც არ დაერთვის ბრანდესის ამ ფრაზას შენიშვნა „საქართველოს“ ფურცლებზე განმეორებისას.

რა შენიშვნა – დანიელი კრიტიკოსი მხოლოდ მათ შეხედულებას იზიარებს, უდასტურებთ, თქვენ, როგორც მოწინავე რაზმმა, შეიძელით თქვენი ხალხის გამოფხიზლება და ამ აქტით თვითმპყრობელობის დღეები დათვლილად აქციეთო.

ელიზე რეკლიუ ზოგადადაც არ გაიხსენებდა საქართველოს ისტორიის სურათს, მარტოდენ იმას აღნიშნავდა თანადგომის სტატიაში, რომ ქართველი ხალხის ყოფაც კარგად მოეხსენებოდა და ჩვენი ისტორიული წარსულის ცალკეული ეპიზოდებიც, განსაკუთრებით, ცხადია, რუსეთისაგან თავსდატეხილი უსამართლობანი ააღელვებდა – ჯერ როგორ შეიქნებოდა ქართველობა მსხვერპლი ფიცისა და სიტყვის გატეხისა და დაუსრულებელ უბედურებას როგორ მიეყვანა მონურ ყოფამდე.

ამიტომაც შეუერთებდა თავისუფლების მაძიებელთა ხმას თავის პროტესტსაც და შეპირებითაც პირდებოდა, არც სხვა ღონეს დავზოგავო.

– დამარცხებული ხალხის ბედი, რა ტომისაც უნდა იყოს იგი, ყოველ ჩვენგანს უნდა აინტერესებდეს. ამგვარ ხალხს ძლიერებმა ტანჯვა მიაყენეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასაც უნდოდა თავისუფლება, მასაც უყვარდა სამართალი.

ერთი და ორი, თუნდ თავისთავად მეტად ფასეული, გამოხმაურების იმედად აღარ იყვნენ, ფრანგული დამატება უფრო მალე შეეშველებოდა მათი სატკივარის მოფენას ფრანგულენოვან საზოგადოებაში, ვიდრე წინასწარ ივარაუდებდნენ და 1903 წლის 15 ივნისის ნომერში საგანგებო სტატია რომ გამოქვეყნდებოდა – „როგორ მიეგებნენ „საქართველოს“ გამოსვლას ევროპის პრესა და ევროპელი საზოგადო მოღვაწენი“ – სასიკეთო სიგნალად აღიქვამდა ქართველობა – ვისთანაც ვაივაგლახით გამოგზავნილი გაზეთი ჩამოაღნევდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსება საქართველოში დიდად მოხიბლავდა რუს რევოლუციონერებს, სოციალისტ-ფედერალისტური მრწამსის თანდათანობითი განმტკიცება და თვალსა-

წიერზე ამ სულისკვეთების პარტიის გამოჩენა კი ძალიან შეაფიქრიანებდათ. ჟურნალის დაფუძნება პარიზში, ქართულთან ერთად ფრანგულ ენაზეც, საუკეთესო პუბლისტურ წერილთა სერია ამ პოლიტიკოსთა უეჭველ წინსვლას მოასწავებდა, და გაფაციცებით რომ უკვირდებოდნენ ყოველ პუბლიკაციას, აღშფოთებას ვერ დამალავდნენ, ეს რას ქადაგებს „საქართველო“ , როგორ თუ რამდენიმე დამოუკიდებელი რესპუბლიკა უნდა შეიქმნას რუსეთის ნანგრევებზეო.

ამ შემთხვევაში ერთსულოვანნი იქნებოდნენ საიმპერატორო წრეები და რევოლუციური პარტიები, ერთნაირად შეიმართებოდნენ ქართული ეროვნული მრწამსის წინააღმდეგ და რაღა ოფიციალური „სვეტი“ გამოხმაურებოდა და რაღა რომელიმე იატაკქვეშა თუ ემიგრანტული გამოცემა, ერთი და იმავე გამოთქმებითა და ფრაზებით დაძრახავდნენ, რომ ქართველებმა ისეთი რევოლუციური პარტია შექმნეს, რომელიც მეტად მტრულად ეკიდება რუსეთს; რომ ყოველთვიური ჟურნალიც დააარსეს პარიზში და – ვერ გაუგიათ, რანაირად და როგორ – ტფილისში იგზავნება და ყველას ურიგდება; რომ არჩილ ჯორჯაძის რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი ისე წერს საქართველოს სახელმწიფოზე, შეურაცხყოფს იმ რუს და ქართველ მოღვაწეებს, რომელნიც კანონიერ გზას ადგანან, რომ ცილსა სწამებს რუსი და ქართველი სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელნიც რევოლუციურად არ არიან განწყობილნი; რომ ჟურნალი ცდილობს დაამტკიცოს, ვითომდა ქართველი არისტოკრატიაც რევოლუციის მომხრეა; რომ თავხედურია მოწოდებაც, მიმართული სოფლის მასწავლებელთა მიმართ, და იმედები კი ამაო, რასაც მათზე ამყარებენ რევოლუციონერები.

კიდევ რას გაენაწყენებინა რუსი საზოგადოება, ერთმანეთს წაკიდებულნი, ოღონდ ამჯერა ერთად შეკრულნი?

– რასაკვირველია, ბევრი მოხვდა ჟურნალისაგან რუს მოხელეებსაც, რომელთაც ლოთობასა და გარყვნილებას სწამებენ, მაგრამ ამ ცრუ და თავხედ ბრალდებებს დროა შესაფერისად ვუყუროთ და სრულიად ყური არ ვათხოვოთ ცილისმწამებელთ.

რაც რუსული ექსპანსია ჩაბღუჯავდა ქართულ მიწა-წყალს, გარდა სამხედროებისა, ჩინოვნიკებიც უამრავ დანაშაულს ჩაიდენდნენ და დასტებად ეწყო მათი ცოდვანი არქივის მტვერში. ალექსანდრე ყაზბეგი კი გახდიდა ხელმისაწვდომს თავისი კავკასიური საგით ამ ცოდო-ბრალს ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ ახ-

ლა ფრანგულ ენაზეც გაეჟონა, კიდევ არაერთხელ იქნებოდა მოსალოდნელი და რუს ჟურნალისტებს – საიმპერატორო კარისა თუ რევოლუციური წრეებისა – სხვა რა დარჩენოდათ, იქნებ რიტორიკით დაებნიათ მკითხველი, ცილისწამებაა და ცილისწამებაო.

* * *

ზურაბ ავალიშვილს არ გაუკვირდებოდა, „საქართველოს“ გამოცემა საგარეო პოლიტიკაში ოფიციალური წრეების მიმხრობას რომ ვერ შეძლებდა. ანკი რანაირად – საფრანგეთს რუსეთი შეეძინა მოკავშირედ და არა ჩვენი უფლებააყრილი ქვეყანა. მესამე რესპუბლიკის ხელისუფლების თვალში ქართველთა ეს მონდომება სეპარატიზმად გამოიყურებოდა და, ცხადია, სეპარატიზმს არ წააქეზებდა, რომელიღაც პროვინციის გულისათვის ამხელა ქვეყანას ვერ გადაიკიდებდა.

რაღა სულხან-საბა ორბელიანის ამაო მცდელობა საფრანგეთის დედაქალაქში და რაღა „საქართველოს“ მესვეურებისა.

ხელისუფლებანი იცვლებოდნენ, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და ამხობდნენ, მაგრამ საქართველოს ბედის მიმართ ერთნაირ შეხედულებას ინარჩუნებდნენ.

თქმით ჭმუნვა ხომ მაინც შემცირდებოდა, რუსთველური შეგონებისა არ იყოს.

უცნობობის წყვდიადიდან ხომ მაინც ამოვაღწევდით დასავლელ პოლიტიკოსთა და ხელოვანთა თვალში და თანაც კიდევ ერთი ხიდი ჩნდებოდა ევროპულ ყოფასთან დასაახლოებლად, რუსეთის საზღვრებს იქით გადასახედად და ცხოვრების ბუნებრივი მდინარებისათვის თვალის მისადევნებლად.

და საგარეო პოლიტიკაზე თუ ვერ მოვახდენდით შესამჩნევ ზეგავლენას, ჩვენს ქვეყანაში ხომ ჰპოვებდა საკმაო გამოძახილს ეს წამოწყება და ხალხის სულიერ სიმხნევისათვის თავის გამორჩეულ როლსაც შეასრულებდა.

ამ გარემოებას ზურაბ ავალიშვილიც ჩაუკვირდებოდა და ისე ძალიანაც აღარ განიცდიდა, საფრანგეთსა და ევროპას ხელი რომ აეღო ჩვენზე და რუსეთისათვის მივეგდეთ – თქვენ იცოდეთ და იმათაო.

თავი მეთორმეტე

„მე კიდევ ორი წელიწადი მინდოდა სიცოცხლე...“

ანეტა ოქრომჭედლიშვილი-ბაბე არჩილს პირველად საავადმყოფოში ნახავდა და გულს შეუღონებდა თეთრი კედლები, თეთრი ლოგინი და ეზოსაკენ მზირალი ფანჯარა. აქ სანდრო დიასამიძეს გადმოეყვანა. ეს ექიმი თვითონაც არა შორდებოდა გვერდიდან და მორიგეობაც მას შემოეღო. იოლადაც აჰყვებოდნენ და ყველა ქართველი თავის მოვალეობად მიიჩნევდა, მოევლო არჩილისათვის და ღამე ეთია. მაგრამ ბოლოს ისევ საავადმყოფოს ამჯობინებდნენ. სნეული ჩივილით არა ჩიოდა, თუმც ვერც იმ განწყობილებას მალავდა, რომ ერთი სული ჰქონდა, ვიდრე აქაურობას მოშორდებოდა. მოუთმენლობაზე ეტყობოდა: აღარ ჩამოვიდა ფულიო? სამშობლოდან ელოდა შვეიცარიაში გასამგზავრებლად.

სტუმარი რომ გამოემშვიდობებოდა, არჩილი ისე, ისე დაღონდებოდა. თეთრად შელესილი ცივი კედლები სარკოფაგივით დააწვებოდა და თაიგულს რომ დაუბრუნებდა: აქაურობას არ უხდება ეს მშვენიერი ცოცხალი და ლამაზი ყვავილებიო, – ეტყობა, დაკრძალვისა თუ საფლავის შეგრძნება-ასოციაციამ ააფორიაქა და თაიგული ამიტომაც ვეღა იგუა.

– ჩემთან გადმოდით, – შებედავს სტუმარი, – მე მოგივლით, ფულიც მალე მოგივათ და წახვალთ შვეიცარიაში.

ძალიან გაუწყრება:

– დედათქვენს რა პასუხი გავცე, ამისთანა ავადმყოფი ადამიანი თქვენ რომ დაგესახლოთ.

არ აღელდესო, შეფიქრიანდებოდა მნახველი, ოღონდ საავადმყოფოდან გამოვიდოდა თუ არა, მაშინვე გიორგი დეკანოზიშვილს მიაშურებდა და ყველაფერს აუხსნიდა. მისი მხარდაჭერისა ეიმედებოდა, ის კი, რა დახმარება – გაუჯავრდებოდა კიდეც. დაღონებუ-

ლი გამობრუნდებოდა, თუმც განზრახვაზე ხელს არ აიღებდა, გზას ეძიებდა, როგორ მოვახერხო, რომ ეს ორი ადამიანი დავითანხმოო.

– ორი დღის შემდეგ გავიმარჯვე კიდეც.

ამ ზოგად ფრაზაშია დაფარული ის გულმოდგინე მცდელობა, რამაც არჩილ ჯორჯაძის მტკიცე უარი გაალხო და აღარც გიორგი დეკანოზიშვილი ახირებულა. ან იქნებ ჯერ დეკანოზიშვილი დაიყაბულა და ერთად შეძლეს არჩილის დარწმუნებაც? რა თილისმა მოიმარჯვა მაინც ასეთი, ან ვინ ჩარია ამისთანა...

ორი დღის შემდეგ გავიმარჯვე კიდეცო...

ესაა და ეს.

ასე გადაინაცვლებდა ანეტას ბინაში, პირადად მის ოთახში, დილიდანვე გაჩახჩახებულში.

– ყოველთვის ახარებდა მზე არჩილს.

თვენახევარი შერჩებოდა აქაურობას. თავიდან ფეხზე ვერც წამოდგებოდა, ქალს კი დათიკო როსტომაშვილი ეხმარებოდა მის მოვლაში. რაკიღა ახალი ჩასული იყო პარიზში დათიკო და თან ჩაყოლილი ფული ჯერ არ შემოხარჯვოდა, იმ თვენახევრის მანძილზე არაფერს დააკლებდა ავადმყოფს.

სულიერ სიმშვიდეს გრძნობდა, ისეთი სიხარულითა და კმაყოფილებით უვლიდა ორივე, რომელნიც კიდევ უფრო გახალისდებოდნენ, სულ უფრო მომჯობინებას რომ შეატყობდნენ.

ბოლოს ლოგინიდანაც წამოდგებოდა.

ის პატარა ოთახი ხშირად ივსებოდა მეგობრებით.

ყველაზე ცხოვლად, ყველაზე ხელშესახებად რა ჩარჩენია ხსოვნაში ანეტას? ბევრი კარგი საუბარი ახსოვს, განა არა, მაგრამ ჯერ ისევ თავისთვის შეინახავს, თუ კვლავ მიეცა შესაფერისი საშუალება, იქნებ კიდეც აღადგინოს, რადგანაც არჩილი როგორ მძიმედაც უნდა ყოფილიყო, მის ფსიქიკაზე ეს ოდნავ გავლენას ვერ ახდენდა და გონების სიმხნევესა და იმედიანობას ინარჩუნებდა. იუმორითაც ამიტომ შეჰყურებდა თავის ფიზიკურ სისუსტეს და ქალს არც ეს მსუბუქი თვითირონია გამორჩებოდა.

მოყვება, ოლონდ მერე, მერე... თუკი დადგა ეს დრო.

ჯერ მაინც ის სურათი ჩნდება მეხსიერებაში, არჩილი ლოგინზე რომ ნამოწოლილა. ოთახში ყველგან ყვავილებია, ბუხარი გუზგუზებს, დათიკო ბუხარში ცეცხლს ასწორებს აქანდაზით. არჩილს საუბარიც მოწყენია, კითხვაც.

– აბა, დათიკო, ერთი შენებური კარგი ზღაპარი გვიამბე!

და იმას თხოვნის გამეორება აღარ სჭირდება:

– იყო და არა იყო რა...

სიყმაწვილის ნოსტალგიაა?

თანაც შემთხვევით არ უნდა გაეკრას ფრთა ბავშვობის მოგონებებს, რადგანაც „ერთი შენებური“ ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, რომ არჩილ ჯორჯაძე ხშირად ისმენს მთხრობელის ხელოვნებით ნაამბობ ზღაპრებს.

რა გასაკვირია, სიყმაწვილის ნოსტალგია იყოს, მაგრამ ამ მონატრებაში მკაფიოდ იგრძნობა, რომ ღრმად მოაზროვნე პიროვნება კვლავ ზღაპარს დაბრუნებია, როგორც გამძლე, მარადიულ მხატვრულ გარსსა თუ ჟანრს.

ეს ის ჟანრი ხომ არ არის, რომელმაც მარჯვედ უნდა წარმოსახოს ფილოსოფიური თუ რელიგიური შეხედულებანი?

ძველი ინდოეთის რელიგიურ-ფილოსოფიური ფესვების ძიებისას არ დაუსაჭიროებია ეს ფორმა. თუმც იქნებ გუმანით გრძნობდა მის განსაკუთრებულ შთამბეჭდაობას და, ამდენად, აუცილებლობასაც კი, ამ ჟანრის საბურველში გამოხვეულიყო უღრმესი და ურთულესი მსჯელობა, და დიდი რელიგიური წიგნები ზღაპრის ქარგასა და კილოზე აწყობილი დაბრუნებოდა კაცობრიობას?

გულისხმობს ასეთ განზოგადებას ის სასხვათაშორისოდ შემორჩენილი ფრაზა?

– აბა, დათიკო, ერთი შენებური..

ზღაპრის დასაწყისის ეს ფორმულა – იყო და არა იყო რა – თხრობის მანერა იქნებ მხოლოდ სმენას უნანავებს და მომავალი რელიგიურ-ფილოსოფიური ძიებების მხატვრული ფორმის ძიების იდუმალ პროცესს სულაც არ მიგვანიშნებს?

ამ პასაჟს იქნებ ასე გულდასმითაც არ ჩავკვირვებოდით და ნოსტალგიასა თუ სენტიმენტალობაზე მეტი არც არაფერი დაგვენახა საუბარ და კითხვამობეზრებული სნეული კაცის ამ თხოვნაში, რომ არა ერეკლე ტატიშვილის ესეები– „კრიშნა“ და „საკია-მუნი“ – 20-იანი წლების დამდეგს რომ შეიქმნებოდა და ინდური რელიგიური წარმოსახვანი ზღაპრის ფორმასა და ქარგაში მოექცეოდა.

ეს იმ განზრახვის ფრაგმენტები გახლდათ, რელიგიათა ისტორია რომ უნდა დარქმეოდა და დიდ რელიგიურ წინამძღოლთა თუ ღვთაებათა ბიოგრაფიები ზღაპრის ჩარჩოებში მოქცეულიყო. დასაწყისთან შეწყდებოდა ეს დიადი განზრახვაც, დაუწერელი დარჩებოდა წიგნი, რომლის შემქმნელიც ქართულ სინამდვილეში მხო-

ლოდ ერეკლე ტატიშვილი იყო – მაგრამ უმკაცრესი პოლიტიკური რეჟიმი ცეცხლითა და მახვილით რომ გამოუცხადებდა ბრძოლას ყველა ბუნებრივსა და საღ აზრს, ყველა ღრმა და იდეალისტურ შეხედულებას, რაც მარქსიზმის პროკრუსტეს სარეცელზე ვერ თავსდებოდა, ასეთი თხზულების შექმნას ვის დაანებებდა. და შემოგვრჩებოდა ფრაგმენტები გაბედული ჩანაფიქრის დასტურად და მისი მოსალოდნელი შთამბეჭდაობისა და ადამიანის სულზე ზეგავლენის ხელშესახებ ნიმუშად.

ერეკლე ტატიშვილი იგრძნობდა ამ აუცილებლობას, ზღაპრის ფორმის გამძლეობასა და მისი ლიტერატურული გადამუშავების სიკეთეს. ფრანც კაფკა ბელეტრისტიკაში მიმართავდა ამ ხერხს, ერეკლე ტატიშვილი ესეისტიკაში მოიშველიებდა და არჩილ ჯორჯაძის მიერ გახსნილ გზას რომ განაგრძობდა ინდური სიბრძნის შესაცნობად, გუმანი უკარნახებდა, ზღაპარი წაგადგება, მოსინჯე და ნახავ, კრიშნასა და საკია-მუნის თავგადასავლები როგორი მისაწვდომი შეიქნება ყველასათვის, სიბრძნის შეთვისება როგორ გაადვილდება, და ამასობაში ისეთი რეალიებიც ამოჩნდება, რაც ზღაპრის ქარგის მოუშველიებლად იქნებ სამუდამოდ დაფარულიც დარჩენილიყოო.

...აბა, დათიკო, ერთი შენებური კარგი ზღაპარი გვიამბეო, – არჩილ ჯორჯაძე ბუხართან ჩამუხლული კაცის ზურგს მისჩერებოდა და ვერ აეხსნა, რატომ მოსწოლოდა ყელზე ეს „იყო და არა იყო რა“... რას ანიშნებდა, რისთვის აგულიანებდა...

* * *

აგრძნობინებდნენ, შენი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდება და იქნებ საკუთარი თავისთვისაც მიგეხედაო.

ვითომც არ გაეგონოს.

გაუმეორებდნენ.

გაზეთს ვჭირდებიო, – მოკლედ მოჭრიდა.

პარტია ჯერაც დასაარსებელიაო, – გუნებაში ამასაც დაუმატებდა.

რა განეზრახა ნეტა – სერგეი მესხივით ხომ არ დააკვდებოდა ზედ გაზეთის გამოცემას?

ჰეროიკულია და მომხიბლავი ასეთი აღსასრული, რომანტიკული გმირის შესაფერისი, მაგრამ როდესაც შენი სიცოცხლე უფრო აუცილებელია ქვეყნისათვის?

სერგეი მესხი ამდენს აღარ განსჯიდა და ცხოვრების წესს არაფრისდიდებით არ შეიცვლიდა.

არჩილიც ამავე ჭკუაზე იდგა, თითქოს „დროების“ რედაქტორის ბედისწერა თვალწინ არა ჰქონდეს.

ისე თვალწინ რომ ჰქონდა, სულაც ეს ხომ არ აგულიანებდა?

არ მოეშვებოდნენ.

ისიც თავისას დაიჟინებდა.

მაგრამ ჭლექიც არ დათმობდა და გადაქანცულ სხეულს უფრო მძლავრად შეუტევდა.

თუ რაიმე დაამახსოვრდებოდა ზურაბ ავალიშვილს პარიზული შეხვედრა-შთაბეჭდილებებიდან ყველაზე მძაფრად და შემძვრელად, ის სურათი, არჩილის მძიმე ავადმყოფობას რომ შეიტყობს 1904 წლის ზამთარში და პატარა სასტუმროში მოინახულებს.

ოთახში შედის და:

არჩილი ფერმიხდილი წამომჯდარა ლოგინში.

იქვე გიორგი დეკანოზიშვილი დგას სისხლით სავსე ტაშტით ხელში.

სისხლი მოულოდნელად წასკდომია პირიდან არჩილს.

არა, მისი გაჩერება იქ უკვე აღარ შეიძლება.

სხვა რა გზა ჰქონდა, გიორგი დეკანოზიშვილისა და თედო სახოკიას რჩევას და ექიმების მოთხოვნას უნდა დაჰყოლოდა და შვეიცარიას შეფარებოდა სამკურნალოდ.

1904 წლის იანვრის დასაწყისია.

არჩილი თავის ბიძაშვილს – ელენე ჯორჯაძეს – ბარათს რომ გამოუგზავნის, იმას კი არ მოსწერს, დაღლილმა და დასნეულებულმა ცოტა მოვისვენე და ამოვისუნთქეო, ექიმებს საყვედურობს: ბარემ არ მინდოდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ პარიზში იმათ არ დამაყენესო.

ეს ავადმყოფობა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყოო, – ირწმუნება, თუმც ბარათის მომდევნო პასაჟიდან იგრძნობა, რომ მთლად ასე მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო, უბრალოდ თვალის არიდებას ლამობს, არაფრისდიდებით არ ეპუება და სულიერ მხნეობას ინარჩუნებს, ვიდრე ფეხზე დგომა შეუძლია.

თორემ, აბა, ჩაიკითხეთ:

– მართალია, ნერვები აშლილი მქონდა, რაც სამშობლოდან წამოვედი, ღამ-ღამ თითქმის არ მეძინა, მართალია, აქ დიდი ჭაპანწყვეტა გვქონდა ხოლმე, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი

სხეული იმდენად დასუსტდა, რომ ცხოვრების პირობებს ვერ გაუმაგრდებოდა, ისე დასნეულდებოდა. ჩემი დასუსტება იქიდან წარმოსდგა, რომ ბევრი სისხლი დავკარგე.

რაც დაკარგა, ის უნდა აღედგინა. მთისა ეიმედებოდა – განმკურნავს და ისევ დავუბრუნდები საქმესო.

რაღა შეცვლიდა.

ნებისყოფას რა გამოაცლიდა.

ამხანაგებსა და მეგობრებს ყოველთვის ძალიან ემადლიერებოდა და ამჯერადაც: ისინი რომ არა მყოლოდა, რასაკვირველია, ჩემი მდგომარეობა ცუდად იქნებოდა, მაგრამ ისე მივლიდნენ, ისე მევლებოდნენ თავს, მე კი არა, მკვდარსაც წამოაყენებდნენო.

საავადმყოფოდან გამოსული ჯერაც სუსტად იგრძნობდა თავს, არც ფული გააჩნდა და სოფლად გამგზავრებაზე ხელს აიღებდა. მაგრამ თავის ბინაში ყოფნაც რომ აღარ შეიძლებოდა?!. ჩაბნელებული საწოლი ოთახი, დიდი ხნის გაუხურებელი.

– აქ დამეხმარა ანეტა ოქრომჭედლიშვილის ქალი. იმას ერთი ცარიელი ოთახი ჰქონდა მზის პირას და იქ გადამიყვანეს. ანეტას სრულებით არ ვიცნობდი. ეხლა კი კარგად გავეცანი. დასავით მივლიდა და მპატრონობდა.

რაკიღა ის დასავით შეთვისებოდა, არჩილი კლარენსიდან ისე მოსწერდა და გულსაც ისე გადაუხსნიდა, თითქოს უახლოესი ნათესავია და ფიქრიც შეიძლება ანდოო:

– ჩემ თავში სხვადასხვა აზრების მისვლა-მოსვლაა. ვფიქრობ და ხანდისხან მომწყურდება ხოლმე ფიქრის გამოსახვა. კალამს ვიღებ და წერას ვიწყებ. ათი წამის შემდეგ ჩემი აღფრთოვანება ჰქრება, აზრის მოძრაობა თითქმის სწყდება და მე ღონემიხდილი ლოგინზე დავეშვები ხოლმე. და ეს იმიტომ, რომ შიგნიდან ვარ დაჭრილი, იარა უხილავია, მხოლოდ სასიკვდილო. დიაღ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი მორჩენა შეუძლებელია. მე კიდევ ორი წელიწადი მინდოდა სიცოცხლე, მაგრამ აშკარაა ჩემი სურვილი გადამეტებულია... იქნება ჰგონიათ, სიკვდილისა მეშინოდეს? სრულიად არა! მე უძლურება მაღონებს, ავადმყოფობის ხანა მაბრაზებს, სხვა არაფერი...

შეგძრავს ეს ფრაზა:

მე კიდევ ორი წელიწადი მინდოდა სიცოცხლეო...

გულმშვიდად მხოლოდ იმიტომ ვერ შეხედავდა სიკვდილის აჩრდილს, რომ აღუსრულებელი ჩანაფიქრები რჩებოდა. ყველაფრის

მოსწრება ყოვლად წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ უმთავრესს რომ გამოაცალკევებდა და მათი მოსწრების ვადებს დაიანგარიშებდა, ორი წლის თავდადებული გარჯა მაინც სჭირდებოდა. თავდადებული, თორემ ასე თუ გაილეოდა ეს ხანა – ფიქრის გამოსახვას რომ ვიწყებ, ათი წამის შემდეგ აღფრთოვანება მიქრება და აზრის მოძრაობა თითქმის მიწყდებაო – რაღა გამოვიდოდა.

უძლურება დააღონებდა?

შეპუებას არ აპირებდა და იმაზე გადადგებოდა, რაც შეიძლება მალე და შესაფერისადაც გავმართოთ ინტერპარტიული კონფერენცია და ამდენი ხნის მზადება პარტიის შესაქმნელად ღირსეულად დავაგვირგვინოთო.

ეხლა საქმეებზე ვილაპარაკოთო, – აგრძელებდა წერილს და ჩაღიმებითაც ჩაიღიმებდა, კიდევ ერთხელ ჩააფიქრებდა ადამიანის სულიერი წინააღმდეგობა, სიცოცხლის აზრს რაც წარმართავდა, ერთმანეთს გადაჯაჭვული ეს ორი განცდა – მზადყოფნა სიკვდილისათვის და საქმეებზე ზრუნვა, მათ შორის სავსებით ყოფითზეც.

ბიძაშვილისაგან წერილი და ფული მოსვლოდა – ასი ფრანკი, და ანეტა ოქრომჭედლიშვილს უთანხმდებოდა: მართალი მითხარით, გიჭირთ ამჟამად ფული თუ არა. თუ გიჭირთ, ცოტას მაინც გამოგიგზავნით და ამჟამად კი ვგზავნი 31 ფრანკს. გთხოვთ გამოახსნევინოთ გიორგის ჩემი წაღები და ტანისამოსი, უსათუოდ გამომიგზავნონ. დარღვეულ წაღებში სიარული სწორედ რომ არ ვარგა (ჯანმრთელობის მხრივ, სხვა რომ არა ვთქვა-რა), მით უმეტეს, რომ გიორგის მიერ ნაქები კალოშებიც უკვე მიმტყუნებს. 15 ფრანკს წაღებში მისცემს (15 ფრანკი მიცემული მაქვს)... ტანისამოსი კი 10 ფრანკად არის დაგირავებულიო.

დარღვეული წაღები... დარღვევაზე მიმდგარი კალოშები... არც თუ რიგიანი სამოსი... ცოტა უკეთესი დაგირავებულია და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი მისი გამოხსნა, თუ ბინის მეპატრონე ვალს კიდევ უფრო გადაუვადებს. ჯერ იმასაც არ გადასდის თავზე ქონება და ამიტომაც გასდევს არჩილის თხოვნას ასეთი მობოდიშების კილო. თან ძალიან სცხვენია, ვაითუ როგორ უჭირსო...

ღონემიხდილი ლოგინზე დავეშვები ხოლმეო...

კონგრესი უსათუოდ უნდა გავმართოთო, – გიორგი დეკანოზიშვილს რომ მისწერდა 30 იანვარს, ეს მოთხოვნა იმისაა, ჩემმა სნეულებამ ხელი არ შეუშალოს ამ აუცილებელ პოლიტიკურ თავ-

ყრილობასო. როგორც უნდა დასუსტებულიყოს, როგორც უნდა მორეოდეს უძლურება, კონგრესი წამითაც არ ავიწყდება და არც შორიდან მაყურებლის როლს დასჯერდება.

და ამ მოთხოვნისას ისეთ ჯავრზეა:

– უნდა შევქმნათ მებრძოლი ჯგუფები. რადგან იქ ვერ მოხერხდა, აქედან დავიწყოთ. და ამასთან პარტიის ფიზიონომია გამოისახება, გაჭირვებაშიაც მოგვეხმარებიან, რადგან ჩვენი ორგანო უსათუოდ პარტიის ორგანოდ უნდა შეიქმნეს. ჩვენს ეხლანდელს სისუსტეს, რასაკვირველია, არ გამოვაჩენთ. პირიქით, სიმტკიცე და ენერგია უნდა დავანახვოთ. დიდი სურვილი და ენერგია ჰქმნის ხშირად ახალ ისტორიულ ხანას. კონგრესისთვის კი უნდა მოვემზადოთ. უსათუოდ საჭიროა, რომ იმ დრომდე საბოლოოდ და გარკვევით ვაჩვენოთ ჩვენი პროგრამა.

სიმტკიცე და ენერგია უნდა დავანახვოთო, – მარტოდენ მოწოდება არ არის. თუ როგორ უნდა გამოაჩინო ადამიანმა სისუსტე და სწორედ ამ სიმტკიცითა და ენერგიით, საკუთარი თავის რწმენით გადაფარო, თვითონვეა ამის ხორცშესხმული ნიმუში და მოთხოვნის უფლებაც ამიტომ მოუპოვებია.

ეპოქათა ცვლილებანი, ახალი ისტორიული ჟამის შექმნა პიროვნებათა ნებისყოფაზე რომ ჰკიდია, მათ თავდაუზოგაობასა და მიზანსწრაფვაზე, მხოლოდ ტომას კარლაილს კი არ ამოუჭრია გულში, მხოლოდ მისთვის არ არსებობს გმირისა და გმირობის იდეალი, არჩილ ჯორჯაძეც ასევე გაიაზრებს წუთისოფლის მდინარებას და საკუთარ თავს გადამწყვეტ ისტორიულ მოვლენათა შუაგულში ხედავს – პოლიტიკურ წინამძღოლად და არა მარტოდენ პუბლიცისტად თუ რედაქტორად, რაც მზადების საფეხური უფროა მისთვის.

ბოლოსდაბოლოს, სიმტკიცე და ენერგია მოსაჩვენებლად კი არა სჭირდებოდა – პროპაგანდისტულ ხერხად, არამედ ორიენტირად, რაც ორგანიზების უნარით უნდა დაადასტურონ.

ჩემი აღფრთოვანება ჰქრება და აზრის მოძრაობა თითქმის მიწყდებაო...

და ეს სულ რაღაც ათიოდე წამში.

მაინც პოულობს საკუთარ თავში ძალას, განაგრძოს „საქართველოსათვის" მასალების გზავნა, ყოველ ბარათში კი დაიჩივლოს: მომბეზრდა ავადმყოფობა და აღარ მინდა ექიმობა, მინდა პარიზში ჩამოვიდე, ვიმუშავო და მუშაობაშივე მოვკვდე, სულერთია, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერიაო.

მართლა კი არ ჩამოვიდეს და გაზეთის გვერდებს დააკვდესო, – გული ეგლიჯებოდა თედო სახოკიას და იმის შემსწრეც შეიქნებოდა, პარიზში დაბრუნებული არჩილი კიდევ უფრო მომეტებულად როგორ გააგრძელებდა შრომას, თუნდაც სიცხე 39 გრადუსიც ჰქონოდა.

იმ მოხსენებასაც უნდა ჩაუჯდეს და უკირკიტოს, კონგრესზე გამოსასვლელად რომ ჩაუფიქრებია და მითუფრო იზრდება პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკური ტექსტისა – „ჩვენი პოზიციის განმარტების გამო“.

თავი მეცამეტე

საიდუმლო გზავნილი

ქრისტეფორე რაჭველიშვილი საგანგებოდ წარმოაჩენდა იმ ფსიქოლოგიურ გარემოებას, რომ მიუხედავად გაჭირვებისა და ავადმყოფობისა, არჩილი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს პარიზიდან თავისი იდეების ზრდას და აღელვებდა უბრალო ცნობებიც კი საქართველოდან.

იმას, რაც სხვათათვის უმნიშვნელოდ გამოიყურებოდა, მის თვალში სულ სხვა განზოგადება ენიჭებოდა.

ვთქვათ –

მისი ბებია შეიტყობდა, „გრანიცაში“ არჩილი საქართველოს ათავისუფლებსო.

შინაურები, ეტყობა, კარგა ხანს უმალავდნენ, არ უმჟღავნებდნენ, რაოდენ სახიფათო ბრძოლაში ჩაბმულიყო მისი შვილიშვილი და საზღვარგარეთ მის გამგზავრებას განსწავლის სურვილით ანდა ევროპის მოხილვის წადილით ხსნიდნენ.

და, აი, მოხუცს „საქართველოს“ ერთი ნომერი ჩაუვარდებოდა ხელთ ვიღაც მეჩექმისაგან და საიდუმლოსათვის ასე შემთხვევით აეხდებოდა ფარდა.

ბებია კი არ შეშფოთდებოდა და დაიზაფრებოდა მწვავე მასალების გადაკითხვით, სიამაყეს იგრძნობდა, არჩილი ამხელა საქმეს რომ შესჭიდებოდა, რასთან შედარებითაც სხვა ყოველივე უმნიშვნელოდ მოჩანდა.

ამ ამბავს არჩილსაც მისწერდნენ, თვითონ შინაურებს ბევრი ეცინათ და იფიქრებდნენ, ისიც იცინებს და იხალისებსო.

მაგრამ არჩილი სად მოიცლიდა სიცილისათვის, ისე აღელდებოდა:

– არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, თუკი საქართველოს თავისუფლების ამბავს მეჩექმეებიც კითხულობენ.

არასოდეს შეშლია, რისთვის როგორ შეეხედა – სასაცილო სად ეპოვნა, ღრმა აზრი სად აღმოეჩინა.

ასე უბრალოდ და ძალდაუტანებლად ჩაუტარებდა შინაურთაც და გარეშეთაც, განსაკუთრებით ახალთაობის მოღვაწეთ საგულისხმო გაკვეთილს.

იმ წუთებსაც სასხვათაშორისოდ ნუ გადავატარებთ, ბებიამ უეცრად რომ უნდა აღმოაჩინოს შვილიშვილის ნამდვილი საქმიანობა და სულ სხვაგვარად წარმოუდგეს მისი სახება.

„გრანიცაში" საქართველოს ათავისუფლებსო...

არა, არ შეიძლება საქმე ცუდად ყოფილიყო.

მეჩექმემდე აღწევდა პარიზში ნაწვავ-ნადაგი ქართული ფურცლები.

დადგებოდა დრო, როდესაც სოფიო ჩიჯავაძე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიაში ადგილს დაიმკვიდრებდა არა მარტო სპირიდონ კედიას მეუღლედ და ათასგვარი ტანჯვა-წვალების გადამტანად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, არამედ საუკეთესო მხატვრულ-დოკუმენტური მატიანის შემქმნელადაც.

საუკუნეს წააჭარბებდა სიცოცხლით და „ნასმენ-ნახულის" სახელწოდებით ჩვენი ტრაგიკული ბედისწერის ღრმა შრეებს გააშიშვლებდა წრფელი და მიუკერძოებელი მზერით, ხასიათების წარმოსახვის იმ ოსტატობით, ბელეტრისტული ნიჭიერების გარეშე რომ სრულიად მიუღწეველია.

ჯერ თავადაზნაურთა გიმნაზიის მოსწავლეა, მთვარელაშვილებისათვის ჩაუბარებიათ მშობლებს, ამ ოჯახისათვის მიუნდვიათ პატარა სოფლელი გოგონას ბედი, და ისიც გიმნაზიელთა და ყმაწვილების საერთო განწყობილების თანამონაწილეა – პოლიტიკით რომ გატაცებულან, იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებას კიდევ უფრო გაუძლიერებია მეამბოხურად მომართული საზოგადოებისა და, მათ შორის, ახალგაზრდობის ცნობისწადილი იატაკქვეშა მოძრაობის მიმართ და გიმნაზიელებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში ჩამორიგებულან.

ერთხელ უფროსი კლასის მოსწავლე აიყოლიებდა სოციალისტების კრებაზე დასასწრებად: ერთი ცნობილი კაციც იქნება, რომელიც კარგად ლაპარაკობსო. ახალგაზრდა აღმოჩნდებოდა ის კაცი, შავგვრემანი, პირველ რიგში იჯდა. თავის სიტყვაში მუშათა მოძრაობაზე ილაპარაკებდა და მოსწავლეებს მოუწოდებდა, სოციალისტებს ამოუდექით გვერდითო.

რა უფერული გამოსვლააო, – იმ უფროსკლასელს გადაულაპარაკებდა, – ისე რა გვარიაო.

ჯუღაშვილიო, – იმან.

სოციალისტებთან რა დამრჩენიაო, – თავისთვის გაიფიქრებდა, – ვინც წმინდა ეროვნულ მიმართულებას ვიზიარებთ, ფედერალისტებთან სიახლოვე გვირჩევნიაო.

– იმ დროს არჩილ ჯორჯაძე საზღვარგარეთიდან ჰგზავნიდა „საქართველოს“ , ავტონომიის დამცველ აზრებით და ჩვენი შეძლების დაგვარად ჩვენ წვლილს ვიხდიდით ამ სასარგებლო გაზეთისათვის.

ყმაწვილებსაც „საქართველოისტთა“ თავისი წრე შეედგინათ – ყველა გიმნაზიას თითო წარმომადგენელი ჰყავს ამ წრეში: მიხეილ დემურია, გრიგოლ ლაღიძე, ძმები მაჩაბლები, ვახტანგ ქართველიშვილი, ქიტიაშვილი და სხვანი კიდევ და მათ შორის სოფიო კედიაც.

ხელმძღვანელობით ამ წრეს მიხეილ ადამაშვილი ხელმძღვანელობდა, „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან მოვლინებული, ერთიორი ნოველით რომ უნდა გამოჩენილიყო სამწერლო სარბიელზე და შემდეგ კარგა ხნით აელო ხელი ბელეტრისტული ქმნილებების გამოქვეყნებაზე, ვიდრე „კვაჭი კვაჭანტირაძითა“ და „ჯაყოს ხიზნებით“ და მიხეილ ჯავახიშვილის გვარ-სახელით სრული ტრიუმფით დაუბრუნდებოდა ლიტერატურას და ერთი აკვრით წააჭარბებდა ყველას პოპულარობით – ყველა მკითხველს თავისაკენ გადაიბირებდა.

არჩილ ჯორჯაძე მაშინ დიდი ხნის გარდაცვლილიც იქნებოდა და სახელსაც უკვე საგულდაგულოდ მიუბინარებდნენ, რათა ახალ თაობებს მაინც არა სცოდნოდათ, მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში ვისი გონება გახლდათ ერთ-ერთი წარმმართველი ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრედ უპირველესად ვინ მოჩანდა.

მერე რა, რომ ილია ამას არაფრისდიდებით არ აღიარებდა.

ახალგაზრდების წრეში კი სამსონ ფირცხალავაც დაიარებოდა – მოხსენებების წასაკითხად.

შეძლებისდაგვარად ჩვენ წვლილს ვიხდიდითო...

აგროვებდნენ საწევრო გადასახადს, ერთხელ კი ისეთ საღამოს გამართავდნენ, არჩილ ჯორჯაძესაც ბლომად ფულს გაუგზავნიდნენ და ქართველ საზოგადოებასაც დიდხანს ეყოფოდა მოსაგონებლად ეს საღამო, რომელიც ქობულაშვილების ახალშეძენილ მშვენიერ სახლში მოეწყობოდა. შობის უქმეები იდგა, ამიტომ ბავშვებისთვისაც იზრუნებდნენ – 5-დან 8 საათამდე ისინი შობის ხის

გარშემო გაერთობოდნენ, რვა საათიდან კი დაიწყებოდა საღამო უფროსებისათვის.

ერთი ოთახი – შობის ხისა – ზღაპრულად მოირთვებოდა, ერთერთ სალონს სპარსულ ოთახად აქცევდნენ და ამისათვის თბილისელ სპარსელებს დაიხმარებდნენ – ისინი ათხოვებდნენ ხალიჩებსა და ყოველნაირ ქსოვილს.

ცხადია, შემთხვევით არაფერი მომხდარა და სპარსული ოთახი ყველაზე მკვეთრი პროტესტია რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. თხრობისას ეს არსად აღინიშნება, არც უშუალოდ და არც ქარაგმულად, მაგრამ გარეგნული დეტალებიც თავისთავად ღაღადებენ ახალგაზრების განწყობილებას – სპარსული მორთულობა პოლიტიკური აქტია და არა ესთეტიკური არჩევანი. ყოველ შემთხვევაში, უფრო პოლიტიკური, ვიდრე ესთეტიკური. ერეკლე მეორის გადაწყვეტილება აქ ასე უბრალოდაა გადასინჯული, რაკიღა ერთმორწმუნეობის ნიღაბქვეშ ჩვენი დასაკლავი დანა ამოიმართა.

რაღაც ამგვარს უკვე ეტყოდათ მიხეილ ადამაშვილი.

დამკვრელთა დასი ამ ოთახში უზუნდარას მოცეკვავეთათვის მოეწვიათ, ლეკურისა და სხვა ცეკვებისათვის კი, უფრო დიდ დარბაზებში რომ გაეთვალისწინებინათ, ორკესტრიც შესაფერისი მოეყვანათ.

ხალხი დიდძალი მიაწყდებოდათ.

უზუნდარას მშვენივრად იცეკვებდა რომელიღაც გრაფის მეუღლე, ქალიშვილობის გვარი ციციშვილი რომ გახლდათ, და ზეიმიც დაიწყებოდა. გამთენიისას ნატო ცაგარელი იმღერებდა დუდუკებზე ბაიათებს, მანამდე კი დროსტარება არ შეწყდებოდა.

სოფიო შემოსასვლელში იჯდებოდა ბილეთების გასაყიდად, მაგრამ არ მოასვენებდნენ და საღამოს ბოლოს ზედიზედ ორჯერ აცეკვებდნენ ლეკურს.

ცივ შემოსასვლელში ჯდომა გააციებდა და ერთხანს ლოგინშიც გამოამწყვდევდა, მაგრამ ოდნავადაც არაფერს ინანებდა, რადგანაც ის საღამო ამ წრის სიამაყედ გადაიქცეოდა.

დედა სოფლისაკენ ეწეოდა, მაგრამ დედობილ-მამობილი არა თმობდნენ და საყვედურს უთვლიდნენ: ამ შვილის ღირსი არა ხართ, რა დროს გათხოვებაა, ქალს სწავლა სურს, ჩვენ კი გვინდა ხელი შევუწყოთ და თქვენ ხელს ნუ გვიშლითო.

მამობილი ხანდახან სთხოვდა, ქართული გაზეთი წამიკითხეო. თვალთ სინათლე სრულიად დაშრეტია, თორემ გოგონას ამისათვის როგორ გარჯიდა.

ერთხელაც არჩილ ჯორჯაძის წერილს უკითხავდა. სხვა დროსაც არაერთხელ ნაუკითხავს, მაგრამ ამჯერად ისე მოხდებოდა, რომ როდესაც მეორე დღეს გაგრძელებას მოსთხოვდა, გოგონას ცოტა არ იყოს დაეზარებოდა წაკითხვა, ძალიან შემოაკლებდა, მთელ მონაკვეთებს გადაახტებოდა და შუა ადგილიდან განაგრძობდა.

მამობილი შეაჩერებდა:

– შეუძლებელია, არჩილ ჯორჯაძეს ასე უცნაურად გაეგრძელებინოს გუშინდელი წერილი, აბა, კარგად ნახე მისი დასაწყისი. მგონი, შენ რაღაცა სხვა წერილს მიკითხავ.

გოგონა შეცბებოდა და ასეთი შეცდომა აღარასოდეს დაემართებოდა.

მრავლისმეტყველი ეპიზოდია.

რაოდენ ხელშესახებად იხატება გემოვნებიანი მკითხველიც და არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტური ხელოვნებაც – ყველაფერი ისეა ასხმული მწყობრ ქარგაზე, ისეთი ლოგიკურობითა და ბუნებრიობით მიედინება, გამოტოვება ყურსა ჭრის.

მერე უკვე თვითონ სოფიო კედიასაც მოჭრიდა ყურს, ვინმეს ადგილების გამოტოვებით რომ წაეკითხა ხმამაღლა არჩილ ჯორჯაძის სტატია, მერე უკვე შეცნობილი და შეგრძნობილი ექნებოდა ეს ხელოვნება და თვითონაც შეაჩერებდა: შეუძლებელია, ასე უცნაურად გრძელდებოდესო. და ისიც უფრო თვალსაჩინო შეიქნებოდა მისთვის, თუ რას ნიშნავდა „საქართველოელთა" წრეში ყოფნა და თავგამოდება ამ გამოცემის შესანარჩუნებლად.

მეტეხის რკინიგზაზე „ვაშლიანი კაცი" არ დახვდებოდათ და შალვა მესხიშვილი მელინიტს რომ ვერ გადასცემდა, ორი ახალი კიდობანი ხელში შერჩებოდა ორმოციოდე ქალსა და კაცს, რომელნიც საქაშეთში მიიჩქაროდნენ კონფერენციაზე.

ამათგან მხოლოდ სამმა იცოდა, რა სახიფათო ტვირთი იმალებოდა ჩემოდნებში – შალვამ, რევაზ გაბაშვილმა და ნინო ყიფიანმა.

სადგურ სკრაში რომ ჩამოვიდოდნენ და ყველა ეტლებისაკენ გაეჩქარებოდა სიბნელეში, ესენი ჩემოდნებიანად განათებულ სადგურს შერჩებოდნენ.

უანდარმი ეჭვით გამოიცქირებოდა მათკენ და, ვიდრე ჰკითხავდათ, ვინა ხართ და რას აკეთებთო, ან ეს რა კიდობანიაო, ეს ორნი – რევაზ გაბაშვილი და ნინო ყიფიანი – შეყვარებულებს გაითამაშედნენ. წინასწარვე ექნებოდათ მოფიქრებული ეს როლები, თო-

რემ ორივე ერთდროულად არ გაითამაშებდა არშიყობის სცენას – სტუდენტი და ახალ მოდაზე გამოპრანჭული, პირბადიანი ქალი. ასეთი სამოსიც საგანგებოდ შერჩეულსა ჰგავს. და ჩემოდნებს კი არ მიაფარებდნენ, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას დააწყობდნენ. ასეთ საქციელს ყოველგვარი ეჭვი ჩანასახშივე უნდა ჩაეკლა და ჩაკლავდა კიდეც, თორემ შალვას მაინცდამაინც მარჯვე ზომები ვერ მიეღო კონსპირაციისათვის – ჩემოდნებს გვერდებში ხუთ-ხუთ კილო მელინიტს ჩააყოლებდა, შიგ კი მხოლოდ ორ ჭუჭყიან საყელოს, ერთ პერანგსა და დაგლეჯილ თავშალს ჩაალაგებდა. ხათაბალა მაშინ გენახათ, ჟანდარმს ჩემოდნების გახსნა რომ მოეთხოვა – ასეთი „სიმსუბუქე“ საგულდაგულოდ გაჩხრეკის აუცილებლობას გამოიწვევდა...

მაგრამ არშიყობის სცენა იხსნიდათ.

ნინო ყიფიანი, ეტყობა, ძალიან დაიძაბებოდა, დაძაბულობის გაჭიანურება – ვიდრე ურემი გამოჩნდებოდა – კიდევ უფრო აამღელვარებდა და ურემში სამშვიდობოს რომ დაიგულებდა თავს, მოშვებულსა და ზედმეტად დაწყნარებულს კინაღამ საბედისწერო შეცდომა მოუვიდოდა:

– შენ ეი, მეურმე, კი არაფერი გაიფიქრო, მე ყიფიანის ქალი ვარ და ფრთხილად იყავ – ბომბები მიმაქვს.

რევაზ გაბაშვილს გული გადაუქანდებოდა.

მეურმე ხმას არ გაიღებდა, ან ხუმრობად ჩამოართვა ანდა თავის საწუხარს მისცემოდა და ახალი მოდის ქალბატონის სიტყვებს გულგარეთ მოისმენდა.

ეს მგზავრობა უხიფათოდ ჩაუვლიდათ.

სამაგიეროდ, სხვა დროს გაეხვეოდნენ ხათაბალაში.

ცუდი თითქოს არაფერი იყო მოსალოდნელი – რევაზი ნინო ყიფიანს ესაუბრებოდა და საუბარ-საუბარში იმას თხოვნაც აღარ დასჭირდებოდა, ისე მიუჯდებოდა პიანინოს და ააჟღერებდა ლისტის რაფსოდიას.

მასპინძლის პორტრეტის ეს შტრიხი საგანგებოდ ჩაერთვის:

– ნინო აქტიურად მუშაობდა ფედერალისტებთან.

რევაზ გაბაშვილისათვის ეს მელოდია გამორჩეულად საყვარელია და მასპინძელმა უკვე იცის, რითაც განაცდევინებს სიამოვნებას.

მაგრამ ვინ გაცლის ხელოვნებით ტკბობას.

ოთახში პოლიციელები უნდა შეიჭრნენ და კიდევ რამდენიმე ჟანდარმიც, გარეთ კი მხოლოდ ჯაშუშები დარჩნენ.

მეთვალყურეები არ აკლია მათ მშფოთვარე ცხოვრებას.

მთელს ოთახს გაჩხრეკდნენ და სტუმარს მახლობელ საპოლიციო უბანში გაიყოლებდნენ, მასპინძელს კი გამოკეტავდნენ საგუბერნიო ციხეში, სადაც მეორე დღეს თავს ამოაყოფინებდნენ სამოციოდე სოციალისტ-ფედერალისტსაც, რომელთა ალყაში მოქცევაც საერთო განკარგულებით მოხდებოდა და ეს თავდასხმა მაშინდელ ღამის ნადირობათა ციკლის ერთ-ერთ გარდუვალ რგოლად ჩაიწერებოდა.

ორი კვირის თავზე ორივეს გაათავისუფლებდნენ და რევაზ გაბაშვილიც და ნინოც – ერთმანეთის შეუთანხმებლად – მაშინვე გაიქცეოდნენ იმ ტკბილ-მწარედ მოსაგონარი ოთახისაკენ და კარებში შეეფეთებოდნენ ურთიერთს.

ასეთი სიჩქარე იმას გამოეწვია, რომ მათი დამლუპველი „ულიკა“ იქ ეგულებოდათ.

ამბავიც არ გამოუკითხავთ ერთმანეთისა.

სურათებით მორთულ ოთახში, ერთ-ერთი ლამაზი ბარათის უკან, კედელზე ინახებოდა ის ბარათი, გიორგი დეკანოზიშვილისაგან გამოგზავნილი.

„ისტორიული დოკუმენტიო“, ირონიით მოიგონებდა რევაზ გაბაშვილი, „შიფრიანი წერილიო“ – ამასაც დასძენდა და, წინწკლებშიც რომ არ ჩაესვა ეს გამოთქმები, სარკაზმი მაინც მკაფიო იქნებოდა.

აი, რა შინაარსის ბარათი მოსვლია პარიზიდან სოციალისტ-ფედერალისტების კომიტეტს:

– ამდენსა და ამდენ ვაშლს და ამდენსა და ამდენ ჯოხს გიგზავნით...

მაშინ სიცილის გუნებაზე ვერ იქნებოდა, შვებით ამოისუნთქავდა, ნინო ყიფიანისა არ იყოს, და რადგანაც ეს მარცხი მაინც ნინოს დაბრალდებოდა, რევაზ გაბაშვილი ჩაიდებდა ჯიბეში მრავლად გადაკეცილს (ამდენი გადაკეცვა რა საჭირო უნდა იყოს, მაგრამ ჯერაც იმ უეცარი თავდასხმისა და საკანში გამოკეტვის შთაბეჭდილების ქვეშაა, იმ შიშის, ვაითუ ეპოვნათო, და, განერვიულებულმა, ლამის წერტილად აქციოს, რათა უფრო უშიშარ ადგილას დაემალა.

ესეც რა მათი ბედი ყოფილა:

ოთახი გადაებრუნებინა პოლიციას, ლოგინი და საწოლი გაეჩხრიკათ, კარადები და მაგიდები გაესინჯათ, რაღაც ქაღალდები წაეღოთ, სურათების უკანაც ეზებნათ და შემთხვევით რამდენიმე

ღია ბარათი და სწორედ ისიც, რომლის უკანაც წერილი ჩამალულიყო, ხელუხლებლად დარჩენოდათ კედელზე.

მაშინ სიცილის გუნებაზე ვერ იქნებოდაო...

მერე იხალისებდა, პარიზიდან თბილისში „ვაშლებისა“ და „ჯოხების“ გამოგზავნა თუ რა ძნელად გამოსაცნობ „საიდუმლო შიფრს“ წარმოადგენდა, ჟანდარმერიისათვის კი არა, ბავშვებისათვისაც სასაცილო გამოცანა იქნებოდაო.

დაშორებოდა სოციალისტ-ფედერალისტებს, აღარც იმათი სოციალისტობა ეჭაშნიკებოდა, აღარც ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიურობაზე შეჩერება, განვლილ ხანად მიაჩნდა და ველარ აეხსნა, როდემდე უნდა ყოფილიყვნენ, ავტონომიის მოთხოვნაზე ჩამოკიდებულნი, როდესაც შეიძლებოდა პირდაპირ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე ეფიქრათ.

ამიტომაც აცინებდა ასეთი კაზუსების გახსენება.

გიორგი დეკანოზიშვილსაც რა ექნა, ათასგვარ გაწამაწიაში ჩაფლულს უნებურად ხან ამგვარი შეცოდებანიც დაემართებოდა.

ზოგჯერ სწორედ ასეთი შეცდომა დარჩებოდა დაუსჯელი.

ზოგჯერ საგულდაგულოდ მომზადებული დავალება ჩავარდებოდა სრულიად გაუგებრად.

ამგვარი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა საიდუმლო ორგანოების ცხოვრებაში.

პიანინოს ახდიდა ნინო ყიფიანი.

– სად შევჩერდითო? – ჰკითხავდა.

ხომ უნდა ჩამთავრებულიყო ლისტის სიმფონია, რატომ გაწყვეტილიყო უადგილოდ და რევაზ გაბაშვილს სამუდამო ნაჭდევად დარჩენოდა ის აკორდები.

მელოდია დაიღვრებოდა ოთახში და ერთბაშად ამოშლიდა იმ უამურ დღეებს, გაამრთელებდა გაწყვეტილ ჯაჭვს და დააამებდა იმ ნაჭდევსაც.

ლისტის რაფსოდიას ესეც შეძლებოდა.

ებორიალათ გარეთ მეთვალყურეებს, მოფარებოდნენ ხეებს, შეყუჟულიყვნენ სადარბაზოებში.

იღვრებოდა ლისტი – რომანტიკად და... ფარულ სევდად.

თავი მეთოთხმეტე

ჟენევა და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაბადება

„ცნობის ფურცელი“ მთავარ კომიტეტს შექმნიდა და პარტიის დაარსებას „საქართველოს“ გადააბარებდა. ტფილისის ოფიციალური გაზეთი – პარიზის ემიგრანტულ გაზეთს. აჩქარებით რომ არა ჩქარობდნენ, უთუოდ იმიტომაც, უფრო ფართოდ რომ აპირებდნენ მისი დანიშნულების გააზრებასაც და წინასწარ მონახაზზე სწორედ ისეთი პოლიტიკური გუნდის დაფუძნებას, რომელიც შეირწყამდა რამდენიმე ხედვასა და მიმართულებას – ეროვნულსაც, რევოლუციურსაც, ლიბერალურსაც.

მთავარია, ავტონომიის იდეას გაეერთიანებინა ყველა და ბოლოსდაბოლოს რამდენიმე ფრაქცია გამოცალკევდებოდა პარტიის შიგნით. შეხედულებათა სხვადასხვაობას პარტია კიდევ უფრო უნდა გაეძლირებინა, არამცთუ დაეშალა და დაესუსტებინა.

აუცილებელია კონფერენციის მოწვევაო, – არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი შეთანხმებით თავიდანვე რომ შეთანხმდებოდნენ, ახლა მხოლოდ შესაფერის ადგილსა და თარიღს არჩევდნენ, ძალიანაც არ გაგვიჭიანურდესო.

* * *

ნინო ყიფიანი არჩილ ჯორჯაძესთან გაგზავნილი ბარათით „საქართველოს“ წლიური ფასის გამორკვევას შეეცდებოდა ორივე ენაზე და შეტყობინება რომ დაუგვიანდებოდა, კიდევ ერთ ბარათს აფრენდა: ფასიც გვაცნობეთ და დროზეც მოგვაწოდეთო.

არჩილს თავის მხრივ ელიზე რეკლუსთან მისვლა და ხელნაწერის გამორთმევა ეთხოვა მისთვის და ახალ წერილში ნინო ყიფიანი შეპირდებოდა: მისვლით აუცილებლად ვესტუმრებით მე და ჩემი დაო.

თუკი ხელნაწერის გამორთმევა მაინც ვერ მოხერხდებოდა?

– მაშინ როგორმე თითონ ვეცდები, თუმცა ცოტა კი გამიძნელდება, რადგანაც ჯერჯერობით, ჩემს საუბედუროდ, არც ქართული, არც ფრანგული ისე არ ვიცი, როგორც ეს რუსული. მე უკვე მაქვს კონსპექთსავით დაწერილი, ყოველ შემთხვევაში გამოგიგზავნით ფრანგულად, მაგრამ, უთუოდ, თქვენი გადასაკეთებელი შეიქმნება.

და იქვე:

– სწორედ ბედნიერი ვიქნებოდით, რომ რამეთი გამოგადგებოდეთ, შეგიძლიათ ყოველთვის ჩვენ მოგვმართოთ, იმ იმედით, რომ ყველაფერს, რაც კი დაგჭირდებათ, აგისრულებთ ძვირფასი საქმისათვის.

ბარათი ბოლონაკლულია, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის საპასუხო წერილის მიხედვით (დათარიღებულია 1903 წლის 16 სექტემბრით) ადვილი ამოსაცნობია, რომ ნინო ყიფიანს ინტერპარტიული კონგრესის მოწვევის თაობაზე ჩამოუგდია სიტყვა, თუმც არჩილს ვერ ითანხმებს: ჯერ ადრეა მისი მოწვევაო, – დაბეჯითებით უმეორებს ადრესატი და ამ ნაადრეობას იმით უმტკიცებს: კონგრესისტები ყოველთვის საბუთებით და მასალით შეიარაღებულნი მოდიან თავთავიანთ კონგრესებზე, რომელიც, უმეტესწილად, დაგვირგვინებაა უკვე დაწყებული მოქმედებისა, განმარტება და გამორკვევაა არსებული მოძრაობისა, კონგრესია დამწიფებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაო.

ქართველები იყვნენ კი საამისოდ მზად?

არაო, – არწმუნებდა არჩილი:

– მოქმედებამ და თავისთავადმა აზრმა უნდა მოამზადოს ისინი. საჭიროა ჩაფიქრება, შესწავლა, შემუშავება პროგრამებისა. საჭიროა „მასალის“ შეგროვება, გამომზევება, რათა ნათელი მოეფინოს საკამათო საგანს, რათა ამა თუ იმ აზრის მიმდევარს საბუთი და ფაქტი ჰქონდეს ხელში. ეს დრო მალე დადგება, ჯერ კი ადრეა.

სხვანიც და ნინო ყიფიანიც რომ შიშობდნენ, კონგრესი თუ დავაგვიანეთ, ვაითუ რუსეთში უფრო ადრე მოხდეს ცვლილება, ვიდრე ჩვენ მოვემზადებოდეთო, არჩილი ასასწრაფებელს მაინც ვერაფერს ხედავდა: კონგრესი ამ შემთხვევაში არას გვიშველის, მაინც მოუმზადებელნი დავრჩებითო.

იმასაც ამცნობდა, რომ მისგან გამოგზავნილი სტატია („შეურიგებელის“ ფსევდონიმით) დიდი ყურადღებითაც წაეკითხა და ძა-

ლიანაც მოსწონებოდა. თუმც ყველაფერს არ იზიარებდა, მაგრამ დაუფასებდა, რომ საბუთიანად და კარგად იყო დაწერილი. ამიტომ უსათუოდ შეუცვლელად დაიბეჭდებოდა. რედაქციის ხმებს რომ უვრცელებდნენ: მათი საწინააღმდეგო წერილების ბეჭდვას გაურბიანო, ამ მიკერძოებული აზრის გასაბათილებლად თუნდ ახალგამოსულ ნომერშიც ჩაეხედა მკითხველს, თუ რედაქციისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს არ წააწყდებოდნენ.

– ჩვენ ყოველ აზრს მივცემთ გასავალს და არცა გვაქვს უფლება არ მივცეთ, რადგან თავს შეუცდომელ პირად არ ვსთვლით.

ზოგიერთი წერილი რომ არ დაუბეჭდავთ?

არა იმ მიზეზით – ჩვენი საწინააღმდეგოაო. ზოგი უმნიშვნელო გახლდათ, ზოგი ძალიან ვრცელი და ზოგადი ხასიათისა. პრესის თავისუფლება მართლა და მართლა ყველაფრის დაბეჭდვას ხომ არა გულისხმობდა, არამედ – აზრიანი და დასაბუთებული შეხედულებების გამოქვეყნებას.

უახლოეს ნომერში ანარქისტული სტატიაც უნდა გამოჩენილიყო, არავითარი საერთო რომ არ გააჩნდა რედაქციის პოლიტიკურ მრწამსთან.

„შეურიგებელის“ წერილიც უსათუოდ დაიბეჭდებოდა. ერთგვარ დაბრკოლებას ქმნიდა მისი სიგრძე, შემოკლება კი არჩილს ძალიან არ უნდოდა. ამიტომაც გადაწყვეტდა გაყოფასა და ორ ნომერში გამოქვეყნებას.

მერწმუნეთ, ამგვარი წერილების გამომჟღავნება მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე კონგრესის მოწვევაო, – არჩილს გაეხარდებოდა, რომ თვალსაჩინოებისათვის შესაფერისი მასალა ეპყრა ხელთ, ორივე მხარისათვის კარგად ნაცნობი; და კვლავ ყველაზე მღელვარე, ყველაზე საკამათო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას დაუბრუნდებოდა:

– კონგრესამდე უნდა იყოს წაკითხული ამ ხასიათის წერილი, აწონილ-დაწონილი, თორემ კონგრესის დროს ვის შეუძლია დამშვიდებით და გულდასმით ჩაუკვირდეს მძიმე პრობლემებს – მხოლოდ იმათ, ვისაც უკვე ბევრი უფიქრია და ბევრი საბუთი აქვს ხელში. ამათი რიცხვი კი ძლიერ მცირეა. ამიტომ, მე ვამბობ, დავაცალოთ ჩვენს საზოგადოებას სთქვას თავისი აზრი, ასწონ-დასწონოს სხვადასხვა მოსაზრება... კონგრესის გამართვა აუცილებელი გახდება, ცოტა კი ვადროვოთ.

მაინცდამაინც არა სჯერა, რომ ნინო ყიფიანს დაითანხმებს და იმისი თაოსნობითა და მიზანსწრაფვით იქნებ კიდეც გაიმართოს

კონგრესი, მაგრამ ის კი ეიმედება, იმ თავყრილობის დამთავრების შემდეგ მაინც რომ ირწმუნებენ მის სიმართლეს. რაღა დროს, არა?.. მერე თვითონაც ინანონ, ავჩქარდითო, უნაყოფოდ ჩავლილ საქმეს რაღა ეშველება.

კვლავ და კვლავ იმეორებს: აზრს დამწიფება უნდაო:

– ზამთრიდან ზაფხულამდე გაზაფხულია: ზაფხულში მზადდება ნაყოფი და ჩვენში აზრის გაზაფხული ჯერ კიდევ არ დამდგარა.

და იქვე ერთ საგულისხმო დაკვირვებასაც გაუზიარებს, რასაც ზოგადსაზოგადოებრივი და ზოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს და ასეთი მალემრწმენობა არამარტო ქართველ პოლიტიკოსებს სჭირვიათ:

– საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს ხშირად ავიწყდებათ ჩვენი სინამდვილე და თავიანთ გულის და წრის აღფრთოვანებას და გამოფხიზლებას ხშირად ათვისებენ მთელ საქართველოს.

არჩილი ამ განწყობილებას – ოცნების გაიგივებას რეალობასთან – სამშობლოდან შორს მყოფობით ხსნის, თუმც ეიფორია საკუთარ ქვეყანაშიც ადვილად ეუფლებოდათ და ეუფლებათ პოლიტიკოსებს და საკუთარი გულისა და თანამოაზრეთა განცდა-მისწრაფება საყოველთაო რწმენად მოეჩვენებათ ხოლმე.

ექსპედიტორს საყვედურობდა, აქამდე როგორ არ გაუგზავნე ნინო ყიფიანს ყველა ფრანგულ-ქართული ნომერიო. ის თავს იმართლებდა: რაღაც შეცდომა მოხდაო. აქამდე როგორ არ გამოასწორეთო, – წყენას ვერ იოკებდა არჩილი და ახლა სხვას დაავალებდა: დაუყოვნებლივ მიაწოდეთო.

იმ ვრცელი წერილის გამოქვეყნებას რომ შეპირდა? პირობას არც გადავიდოდა, მაგრამ ახლა მისი დაბეჭდვა დამატების სახით გადაეწყვიტა. ცოტა შეგვიანებაზეც მოუბოდიშებდა (ეს უკვე 31 დეკემბერს მიწერილ ბარათში), ჩემმა ავადმყოფობამ არივდარია ასე ძალიან ჩვენი საქმე და დროებით ყველაფერი შეაფერხაო. მერვე და მეცხრე ნომრები მხოლოდ ახლა მზადდებოდა და დამატებაც მათ მოჰყვებოდა.

იმასაც აცნობებდა, ექიმებს შრომა-მეცადინეობა სრულიად რომ აეკრძალათ მისთვის და პარიზიდანაც აგზავნიდნენ. უდროოდ ეჩვენებოდა ეს ყოველივე, მაგრამ რა ექნა, უნდა დამორჩილებოდა გარემოებას.

– ორშაბათს და სამშაბათს ვაპირებ წასვლას შვეიცარიაში. სწორე მოგახსენოთ, დარწმუნებული არა ვარ, რომ რაიმე ხეირი

გამოვიდეს ამ ჩემს მოგზაურობიდან, მაგრამ მაინც ვცდი, რადგან საქმე მომავალში ბევრია და საქმის აღსრულებისათვის ჯანია საჭირო. ამ ორ თვეს ჯანმა მიმტყუნა და თითქოს ყოველივე ჩაქრა ჩემში, რითაც აღფრთოვანებული ვიყავ.

მეორე დღეს ახალი წელი თენდებოდა და, ადრესატს ბედნიერებას რომ უსურვებდა, გონება ძალაუნებურად გადაერთვებოდა ეგზისტენციურ ფიქრებზე – მათ შორის, ბედნიერების დაუმცხრალ ძიებაზე, ყოველი წლის ბოლოს ადამიანი თვალს რომ გადაავლებდა ჩავლილ წელიწადს, იშვიათად ან სულ ვერ იპოვნიდა ბედნიერ დღეს, მაგრამ ამით გული არ უტყდებოდა, კვლავაც წინ იყურებოდა და მაინც კეთილს ეძიებდა და კმაყოფილებას ესწრაფოდა.

და არჩილი, ყველას მიმართ სიყვარულით აღვსილი, უსურვებდა ადამიანსაც და კაცობრიობასაც, ნუ გაიუგემურებდნენ გულს დღევანდელი ჭირ-ვარამით და მომავლის იმედიც არ წახდენოდათ.

1904 წლის 12 იანვარს ისევ შეეხმიანებოდა, მადლობას მოახსენებდა მასაც და ყველას, ვისაც ხელი მოეწერა საახალწლო ღია წერილისათვის და ეს თანაგრძნობა მითუფრო ეძვირფასებოდა, რომ ხელისმომწერთა შორის ბევრს პირადად არც კი იცნობდა.

ამასაც დასძენს ჩვეული მორიდებით: გადამეტებულად ადიდებთ ჩემს პატარა შრომას. ჩვენი საქმე ჯერ დასაწყისშია, ყოველ შემთხვევაში, თუ რაიმე წვლილი მიმიძღვის ამ საქმეში, არანაკლები მიუძღვის ჩემს მეგობარს გიორგი დეკანოზიშვილს და სხვა ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც იქ, სამშობლოში მოქმედებენო.

ერთი კვირაა, რაც შვეიცარიაში იმყოფებოდა და უკვე გამოკეთება ეგრძნო. ბევრს დადიოდა მთებში, რადგანაც სიცივით იქ არა ციოდა. სუნთქავდა მთის ჰაერს და შესამჩნევად ღონიერდებოდა. დაიმედდებოდა, სავსებით გამოვჯამრთელდებიო.

ჟურნალის გამოსვლა არ შეწყდებოდა. მე-8 ნომერი გამოიცემოდა. ახლა მე-9 და ფრანგულ მე-7-ს ამზადებდა. გული ეთანაღრებოდა, ჯერ კიდევ ვერ ვშრომობ ისე, როგორც საჭიროა, მალე ვიღლებიო, მაგრამ ორ კვირაში საკმაოდ უნდა მომაგრებულიყო, თუკი ყველაფერი რიგიანპირიანად წარიმართებოდა.

კონგრესის თაობაზე ბევრი ეფიქრა. მაშინ კი არწმუნებდა ნინო ყიფიანს, ნაადრევია და ნაადრევიო, მაგრამ მაინც დაჟინებით უტრიალებდა ამ ჩანაფიქრს, სხვებსაც მოელაპარაკებოდა, აწონ-დაწონიდა და იმ თვალსაზრისამდე მივიდოდა: მგონია მართლაც მალე სჯობდეს მისი გამართვაო.

31 იანვარს ბარათში უფრო ვრცლად შეეხებოდა კონგრესის იდეასაც და მისი გამართვის გარემოებებსაც.

გაახსენებდა: როდესაც პირველად თქვენგან მოგვივიდა წინადადება ამ თავყრილობის მოწვევის საჭიროების შესახებ, ჩვენ, „საქართველოს“ რედაქცია, პრინციპული წინააღმდეგნი არა ვყოფილვართ. პირიქით, როდესაც „საქართველო“ არსდებოდა, ჯერ კიდევ სამშობლოში გვქონდა ლაპარაკი ამ საგნის შესახებ და გადავწყვიტეთ კონგრესის მოწვევა მაშინ, როდესაც ჩვენი ჟურნალი თავის პროგრამას ცოტად თუ ბევრად გამოარკვევდა და უკვე შეძლებდა მებრძოლ ჯგუფთა დაარსებას. მაგრამ თქვენგან წინადადება რომ მოგვივიდა, იმხანად კონგრესის მოწვევა ნაადრევი გვეჩვენა და არც დაგვიმალავსო.

მხოლოდ გაეხარდებოდათ, ამ თავყრილობის იდეა რედაქციის გარეშეც რომ დაბადებულიყო და ნინო ყიფიანის თაოსნობას ძალიანაც თანაუგრძნობდნენ. ოღონდ საქმე რიგიანად აწყობილიყო და რა მნიშვნელობა ჰქონდა, პირველმთქმელის სახელი ვის დარჩებოდა, პარიზელებსა თუ ბრიუსელელებს. დრო და ადგილი კი უმრავლესობას უნდა დაესახელებინა – ბრიუსელი თუ ჟენევა.

თვითონ არჩილი შემოდგომას ამჯობინებდა და ბრიუსელს.

მთავარია, რაც შეიძლება მეტი წევრი დასწრებოდათ და რუსეთში მყოფთაც მოეხერხებინათ ჩამოსვლა.

კონგრესის მიზანს კი ასე ხედავდა: ა) თეორიული და ბ) მებრძოლი პოლიტიკური პარტიის შექმნა.

27 თებერვლის ბარათში ისიც გამჟღავნებულია, თუ რატომ გადაეფიქრებინა შეკრების ადგილად ბრიუსელი. რუს სოციალ-დემოკრატთა კონგრესის ერთ-ერთ მონაწილეს ეთქვა მისთვის, იძულებულნი ვიყავით ბრიუსელიდან სხვაგან წავსულიყავით, რადგანაც ამ ქალაქში პოლიციამ არ მოგვასვენაო.

რაღაც-რაღაც უთანხმოებანი რომ წამოჭრილა ნინო ყიფიანთან, არჩილი ცდილობს ჩააშოშმინოს ყოველგვარი წინასწარი დავა, თავის მხრივაც დაუთმოს, ნინოსაც დაათმობინოს... არწმუნებს, მოუმზადებელნი არ ვიქნებით, მე თვითონ ვიყავი ჟენევაში, კრებაც მოვიწვიე და გამოირკვა, რომ რეფერატების მოსამზადებლად დრო საკმარისიაო.

რუსეთში მყოფნი თუ ვერ შეძლებდნენ ჩამოსვლას, ეს ცნობა გულს კი ჩაჩხვლეტდა, მაგრამ ისეც არა, ამის გულისათვის კონგრესი გადაედოთ.

* * *

1904 წლის 26 იანვარს გიორგი დეკანოზიშვილი ნინო ყიფიანს მისწერდა ბრიუსელში:

„ჩვენ ვაპირებთ ყველა ქართველების კრებას რომელიმე ქალაქში. ჯერ არ არის გადაწყვეტილი, სად და როდის. შეგატყობინებთ. მხოლოდ ეს აზრი გაავრცელეთ ნაცნობებში და ყველამ მოიწეროს, რა დროს ურჩევნია. მგონია, ჟენევა რომ ავირჩიოთ ამ კრებისთვის, კარგი იქნება“.

ჯერ რა – ნინო ყიფიანი თავისი ნებითაა ამ ქალაქში, რომლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაუმთავრებია და ისედაც ძალიან შესჩვევია აქაურობას. ეს მერე მოხდება, რუსეთის იმპერიაში ცხოვრებას რომ აუკრძალავენ და ჯერ ბელგიაში დასახლდება იძულებით და შემდეგ იტალიაში.

საკუთარ თავს ყოველთვის უკიდურეს პატრიოტად მოიხსენიებდა და 1919 წელს იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონების შედგენას რომ განიზრახავდა და ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმნასაც უცხო ენებზე, ამ დიდი, გაბედული, მასშტაბური პროექტის თაობაზე მიხეილ თუმანიშვილს მოსწერდა რომიდან პარიზში, თავისი პიროვნების დასახასიათებლად – და იმ პროექტის მამოძრავებელ საწყისად – სწორედ ამ სიტყვათშეთანხმებას ამჯობინებდა.

ეს განცდა იყო, დაშოშმინება რომ ვერ წარმოედგინა.

ამიტომაცაა –

არც ჟენევის კონგრესის ორგანიზებაში გარეულა უნებურად.

არც მეტეხის ციხეში მოხვედრილა შემთხვევით.

და არც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იტალიაში ჩარჩენილ ქართველ სამხედრო ტყვეთა გათავისუფლებასა და სამშობლოში დაბრუნების თაოსანთა შორისაა გასაკვირი მისი ყოფნა.

უკიდურესი პატრიოტიო...

ჟენევის ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციის მზადებისას იგი 26 წლისაა, მაგრამ როგორ ეკითხებიან და უთანხმებენ ყველაფერს, და თუ ეკამათებიან, არა როგორც ახალგაზრდა ქალს – შემწყნარებლურად, რაიმე შეღავათით, არამედ ტოლფასოვან ეროვნულ და პოლიტიკურ მოღვაწეს. ეს ამ წინასწარ მიმონერაშიც მკაფიოდ ირეკლება და კიდევ უფრო ხელშესახებად გამოიკვეთება კონგრესის გახსნისას, როდესაც ნინო ყიფიანის

მოხსენება გადაიქცევა კონფერენციის უმთავრესი სჯა-ბაასის ამამოძრავებლად თავისი სიმკვეთრითა და სიმწვავით.

ახლა მხოლოდ შესაფერის ადგილსა და თარიღს არჩევდნენო...

ამასობაში პარიზელი და ბრიუსელელი ქართველი სტუდენტებისაგან წერილი წერილზე მოუვიდოდათ, სწორედ ამ იდეით ანთებული. გაზეთის რედაქცია საუკეთესო წინამძღოლად ეგულებოდა ყველას და პოლიტიკურ ბუდედაც ის გადაიქცეოდა. ეგაა, უშუალო ორგანიზაციას დაავალებდნენ ჟენევის ქართულ კოლონიას, საიდანაც მთელს ევროპაში მიმოფანტულ ქართველებთან დაიგზავნებოდა მოსაწვევები – საზოგადო მოღვაწეებთანაც, სტუდენტებთანაც, რევოლუციურ ფრაქციებთანაც: თქვენ-თქვენი წარმომადგენელი გვაახლეთ ჩვენს ქალაქში 1904 წლის 1 აპრილისთვისო.

რა ენერგია და მიზანსწრაფვა სჭირდება ასეთი რანგის პოლიტიკურ თავყრილობათა მომზადებას, ისედაც იოლი მისახვედრია და მკითხველი თავის ამ ვარაუდს ხელშესახებადაც ამოიკითხავს გიორგი დეკანოზიშვილის ბარათებიდან, ნინო ყიფიანს რომ უგზავნიდა და რწმენა და გულის გატეხვა ისე შეენაცვლებოდა ერთმანეთს, სულიერ ფორიაქსა და ცხოვრების მღელვარე სტილს რომ სჩვევია.

რაც შეეხება კონგრესს, როგორც ჩანს, ქართველები ძველებურად ვერ შეთანხმდებიან და არაფერი გამოუვათ, ისევ დარჩებიან უკან სხვა ხალხთან შედარებით. აგერ სომხებს უკვე ჰქონდათ კრება და კიდეც შეუდგნენ მოქმედებასო, – ამ სტრიქონებს რომ ჩაიკითხავს გულუბრყვილო მკითხველი, ვერ იგუმანებს, რომ მისი დამწერი ამ თავყრილობის თაოსანია, და ასე ცალკე, კონტექსტიდან ამოგლეჯილად სხვას ვერც ჩვენ ვიფიქრებდით, მაგრამ როდესაც შენს თვალწინაა არა ფრაგმენტი, არამედ პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტი და მიუკერძოებლად აღდგენილი ბიოგრაფია, მრწამსსა და ნამიერ განწყობილებას უკვე აღარ აურევ ერთმანეთში.

ყოველ შემთხვევაში, გადაღლილსა და ათასგვარი დაბრკოლებით გაწამებულს და გაბეზრებულ გიორგი დეკანოზიშვილს ნინო ყიფიანის გამამხნევებელი სიტყვები დასჭირებია, ოღონდ ის რომ მოსწერდა: იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ამ მოკლე ხანში შეგვეძლება დაბრუნება გათავისუფლებულ ქვეყანაშიო, – დამშვიდების ნაცვლად გაღიზიანდებოდა:

– მერე სად არიან ამ თავისუფლებისთვის მებრძოლნი? მე ჯერ არ ვხედავ! თავისუფლება მოიძებნება შრომით, სისხლით, მსხვერპლით,

სიკვდილით, ტანჯვით და ბრძოლით. მე არ ვხედავ ამას ჩვენში. ჩვენ უბრალო კონგრესზედ ვერ შევთანხმებულვართ და ბრძოლის ველზედ სად გამოვალთ ერთად. სხვების იმედი კი არ უნდა გვქონდეს. ჩვენ თითონ ჩვენის სისხლით უნდა ვიშოვოთ თავისუფლება. თუ ჩვენ, ვისაც ქვეყანა უნახავს, არ ჩავდექით მებრძოლთა რაზმში, სხვა ვინ დაიწყებს. ნუთუ იაპონელების იმედით უნდა ვიყოთ?!?!

იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხების გამოყენება მარჯვედაც რომ შეიძლებოდა და კიდეც უნდა გვესარგებლა ამ საერთაშორისო ვითარებით, განა ბარათის ავტორს სხვაზე ნაკლებ მოეხსენება, და ალბათ ისიც ისევე აფრთოვანდებოდა იაპონელთა სამხედრო წარმატებებით, როგორც აკაკი წერეთელი, იაპონელი სარდლის ოიამას გამარჯვებას დითირამბით რომ შეამკობდა; მაგრამ მარჯვედ გამოყენება ერთია და ყველაფრის სხვისათვის მინდობა კი მეორე. ამიტომაც:

– ისევ ჩვენ უნდა შევერთდეთ, მოვიკრიბოთ ძალა და შევებრძოლოთ მტერს. ამას კი დრო და ბრძოლა უნდა. მტერი ძრიელია, ასე ადვილად ვერ მოვერევით. ჩვენ კი: ერთი იქით მიიწევს, მეორე აქეთ, როგორც იყო ძველათ – იმერეთი იქით მიდიოდა და ქართლი და კახეთი აქეთ და ამით მტერს ახარებდნენ... თქვენ გინდათ ბრიუსელში, ჟენეველებსა და პარიზელებს უნდა ჟენევაში. რა გიყოთ? ერთი იძახის – მე ვერ მოვალ, მეორე იძახის – მე ვერ მოვალ. როგორ შეგათანხმოთ? ამგვარ შემთხვევაში დათმობა გვმართებს. ვისაც უყვარს საქმე, ის გადააგდებს თავმოყვარეობას და წმინდათ ემსახურება თავის სამშობლოს.

„თავმოყვარეობა“ ამ კონტექსტში პატივმოყვარეობას გულისხმობს.

იქნებ შემოდგომაზედ სჯობდესო, თავის აზრს უზიარებდა ნინო ყიფიანი, მაგრამ გიორგი დეკანოზიშვილი დაბეჯითებით იუარებდა: არ უნდა დავკარგოთ ძვირფასი დრო და არ დავრჩეთ კვლავაც მიძინებაშიო.

აპრილში შეიძლებოდა პრაქტიკული გეგმის შედგენა და ზაფხულში უკვე მოქმედების დაწყებაც.

თუ კიდევ დაჭირდებოდათ კრება, განა ვეღარ გამართავდნენ? ნუთუ ამით უნდა გათავებულიყო მათი მოქმედება?

მე მხოლოდ უმრავლესობას ვემორჩილებიო, – ამცნობდა, – ჟენევაში კრებაზე 20-ნი იყვნენ, პარიზში 23-ნი ვიყავით, ასე რომ, 43 ადამიანს სურს ჟენევაში 1 აპრილს, რადგანაც აღდგომააო.

და უეცრად სადღაც ქრება ხელჩაქნეული, ყველაზე გულგატეხილი კაცი და ბარათის კილოს მგზნებარება შემოერევა. ასეა თუ ისე, ადგილიც და თარიღიც გარკვეულა და მაშ:

– დავანებოთ თავი, ვინ იყო პირველი ან ვისი ინიციატივა არის. შევერთდეთ საბრძოლველად საერთო მტრის წინააღმდეგ და პატივი ვცეთ იმათ, ვინც გულწრფელად იბრძვის იდეისათვის... მისწერეთ ახენში და მონსშიც. ჯერ საზღვარგარეთ ვინც ვართ, შევიკრიბნეთ, შევუდგეთ მოქმედებას და მერმე საქართველოდანაც მოვიწვიოთ. ბრძოლა, ბრძოლა და ერთობა გვინდა, თავისუფლებას ისე არავინ მოგვცემს. ვეცადოთ, ჩვენც დავიწყოთ, როგორც სხვებმა. იმედია, თქვენც შეუდგებით, როგორც წინათაც გქონიათ გადაწყვეტილი, ამ კონგრესის მოწყობას. რა ვუყოთ, იყოს ჟენევაში. უმრავლესობას უნდა დავემორჩილოთ.

მომდევნო ბარათში დიდ სიხარულს გამოთქვამდა, რომ ადრესატი დიდი ხანია ემზადებოდა კონგრესისათვის და ეს კი გულისხმობდა, რომ თავყრილობას კარგ მოხსენებას წარუდგენდა. თავისი მხრივ შესთავაზებდა: იქნებ ეს თემა შეგერჩიათ – ქართველი ქალის მოვალეობა ამგვარ მოძრაობაშიო.

რას წარმოიდგენს, რომ ნინო ყიფიანს ისეთი მწვავე, ყველაზე საჭირბოროტო თემა შეურჩევია მოხსენებისათვის, კონგრესის მონაწილეებს დავთრებს აურევს.

და კიდევ:

– კრება მოხდება პირველს ან ორს აპრილს... ამ კრებაში მიმართულებანი უფრო გამოირკვევიან. დავინახავთ, რაში არის განსხვავება და რაშია ერთობა. იმედია, თქვენ აცნობებთ ყველაფერს ბრიუსელის ქართველებს და სხვა ქართველებსაც, ვინც არიან საზღვარგარეთ.

კონგრესის სავარაუდო თარიღი სულ უფრო ახლოვდება და 3 მარტს კვლავ ნინო ყიფიანს შეეხმიანება: როგორც ჩანს ქართველები ვერსად ვერ შეიკრიბებიან ყველანი, რადგან ზოგი ბრიუსელში ვერ მოვა, ზოგი ჟენევაში, ზოგი პარიზში და სხვა. ასე რომ, ერთადერთი საშუალებაა, ყველა ქალაქმა თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს. ამის მოგვარება ძლიერ საჭიროა, რადგანაც კონგრესზე კითხვები ხმის უმეტესობით გადაწყდებაო.

ასე გაიხსნებოდა ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენცია.

განსაკუთრებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭებოდა მის გამართვას, თავის მობმა უდავო წინსვლას

ნიშნავდა, თანმიმდევრული ჯაჭვის მომდევნო რგოლის გამოჭედვას და ყველასათვის მკაფიო რომ გაეხადათ ეს მნიშვნელობა და იქაური სჯა-ბაასი გარკვეულ პროგრამადაც დასახულიყო, გიორგი დეკანოზიშვილი ამიტომაც მოუყრიდა თავს მთელს იმ მასალას, საოქმო ჩანაწერებს წიგნად აქცევდა – პარიზში დასტამბავდა და ჩვეული გზით შემოაპარებდა საქართველოში.

სიფრთხილით იფრთხილებდნენ ისიც და სხვანიც, წინასწარვე შეირჩევდნენ პოლიტიკურ ფსევდონიმებს, რათა მონაწილეთა ვინაობა დაფარული დარჩენილიყო – ოქმებიც და წიგნიც იგუებდა ამ აუცილებელ კონსპირაციას, მერე და მერე კი იდუმალებას შეერეოდა იმ პოლიტიკოსთა გვარ-სახელები, მკვლევართა საძიებელი და გასახსნელი შეიქნებოდა დიდი უმრავლესობა, რადგანაც გიორგი ლასხიშვილი მემუარებში ხუთად ხუთ ფსევდონიმს გაშიფრავდა: დევიანი ნოე ჟონდანიაა, საბუელი – არჩილ ჯორჯაძე, მანაველი – ვარლამ ჩერქეზიშვილი, ორგეიანი – კომანდო გოგელია, ვერმიცანიძე კი ალექსანდრე გაბუნიაო.

მკვლევარების გასახსნელი გახდებოდა, ქართლელი გიორგი დეკანოზიშვილს რომ გულისხმობდა, თერგელი – მიხაკო წერეთელს.

– ვლადიმერ დარჩიაშვილს, ტეზრელი – ნინო ყიფიანს, და თუ დასაზუსტებელი დარჩებოდა, სხვა ფსევდონიმებს ვინ ამოფარებოდნენ, ის ვარაუდი დამაჯერებლად გამოითქმოდა: ჟენევის კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ 1904 წელს ევროპაში მყოფ ქართველ მოღვაწეებს: თედო სახოკიას, ანდრია დეკანოზიშვილს, ევტიხი მამინაიშვილსა და ალექსანდრე დიასამიძეს, შესაძლოა პალიკო ყიფიანსა და რევაზ გაბაშვილსაცო. ოღონდ ყველასთვის ზუსტადაა მოსანახი თავთავისი ფსევდონიმი, მელნობის ალღოთია მისაგვრელი ბატკნები დედებისათვის.

არჩილ ჯორჯაძის ფსევდონიმს მიაქცევდით ყურადღებას.

ის, რაც „სევერნი ვესტნიკში“ თანამშრომლობისას უკვე გამოეყენებინა, კვლავაც იმასვე ამჯობინებდა, ოღონდ რამხელა ნაპრალია იმ არჩილ ჯორჯაძესა და ამ არჩილ ჯორჯაძეს შორის, იმ მსოფლმხედველობიდან ამ მსოფლმხედველობამდე ორი საპირისპირო პოლუსია.

არადა, ფსევდონიმი ერთია – საბუელი.

ახლა მკაფიოა, რას გამოუწვევია მაინცდამაინც ამ ფსევდონიმის არჩევა, ჯორჯაძეთა ისტორიული საცხოვრისი ეროვნულ

ფსევებსაც მიანიშნებს და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლას ავალებს, და არჩილი ადასტურებს ამ მოვალეობისათვის ერთგულებას.

მაგრამ კოსმოპოლიტსაც ეს ფსევდონიმი რამ მოაფიქრებინა?

აკი ახსნით მაშინაც ვერ ავხსენით, ეგზოტიკად უფრო ჩამოვართვით და იქნებ ქვეცნობიერ სურვილადაც, შორეულად მაინც შეენარჩუნებინა რაღაც ნიშანწყალი გაუცხოებული სამშობლოსი, ისიც ალბათ დროებით, ვიდრე ყრუდ, ძალიან ყრუდ მფეთქავი განცდა სულ არ ჩაუქრებოდა.

და უნებური არჩევანი როგორ მომძლავრებულა, სულ სხვა შთამბეჭდაობით აღვსილა და ღრმა სიმბოლიკად განზოგადებულა.

ეგზოტიკა იდეურობად გადაზრდილა.

და არჩილ ჯორჯაძე მართლა გამხდარა საბუელი – პირნათელი თავისი სოფლის, მხარის, ქვეყნის წინაშე, იმ ქვეყნისა, რომელიც ოცნებაშიღა არსებობს სახელმწიფოდ და ამ ოცნების გაცხადება რეალობაში მის სახელსაც უნდა დაუკავშირდეს.

ჟენევის კონფერენცია კი ერთ-ერთი ნიშანსვეტი იყოს ამ ძნელსავალ გზაზე.

კონფერენციის უმთავრეს მიზანს გიორგი დეკანოზიშვილი, როგორც სხდომების თავმჯდომარე, იმთავითვე განაცხადებდა:

– იქნება შესაძლებელი იყოს საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერთა შეერთება რომელსამე პუნქტში.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ალღოსაც მაშინვე აუღებდა კონფერენციის სულისკვეთებას და გაზიარებითაც გაიზიარებდა, და თუ წინასწარ ძალიანაც შეყოყმანებულიყო: მონაწილეობა უნდა მივიღო როგორც ჩემი პარტიის წევრმა თუ როგორც განსაზღვრული ერის შვილმა, ანარქისტად უნდა წარვდგე კონგრესის მონაწილეთა წინაშე თუ ქართველადო, – ახლა მკაფიოდ გააცნობიერებდა, რომ მისი ადგილი აქ მხოლოდ ქართველის ადგილი გახლდათ, თვისტომისა თვისტომთა შორის.

დიდი სახელი მოეხვეჭა საერთაშორისო ანარქისტულ მოძრაობაში, ისტორიაშიც შევიდოდა და... მიხეილ ჯავახიშვილის ნოველის ფურცლებზეც გადაინაცვლებდა, „მიწის ყივილი“ მის ბედისწერას წარმოსახავდა დიდი ხელოვნებით, ოღონდ არა თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწისა თუ დიდ მღელვარებათა უშუალო მონაწილის, ამჯერად მთავარი სულ სხვა რამ გახლდათ, უცნაური და გულისშემძვრელი, სულთმობრძაობისას ყველა ევროპული ენა რომ

დაავიწყდებოდა, რომელთაც ასერიგად შეჩვეოდა, გაშინაურებოდა და თავისუფლადაც მეტყველებდა, და ქართულად ალაპარაკდებოდა, გონებისა და სულის კუნჭულებში ჩაკირული და თითქოს სამუდამოდ მიბინარებული ენა უეცრად ამოსკდებოდა და ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ ენის ნანავში დალევდა სულს.

ასე გამოეხვეოდა კოლორიტული, ორიგინალური პერსონაჟის – ანდრო კაიშაურის – მანტიაში, იქ კი, ჟენევის კონფერენციის ტრიბუნაზე მარტოდენ პირად განცდას კი არ გამოთქვამდა, შეფარულ მოწოდებას გააცხადებდა: აქ ყველა ქართველი ვიყოთ და არა ამა თუ იმ პარტიის წევრებიო.

პარტიულობას ყოველთვის მოასწრებდნენ, თუკი არ დაიშლიდნენ – ერთმანეთთან დაპირისპირებასაც, მთავარია საერთო საყრდენები გამოეძებნათ და დაახლოების გზები საგულდაგულოდ მოესინჯათ.

ასეთი განწყობილება ძალდაუტანებლად გამოიწვევდა სურვილს – ყველა ამ ფრაქციას საერთო რეზოლუციები შეემუშავებინა. ზოგადი შეთანხმების დასტურად და არა სავალდებულოდ. ამ გარემოებას საგანგებოდ გამოჰკვეთდნენ, რათა ყველა მონაწილე იოლად დაყაბულებულიყო. თუკი არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდათ, საერთო რეზოლუციის შედგენას წინ რა დაუდგებოდა.

რა დაუდგებოდა და... სოციალ-დემოკრატთა შეუვალობა, როგორ თუ რაღაც საერთო უნდა გვაკავშირებდეს თქვენთანო.

სასურველი, მხოლოდ სასურველი და არა აუცილებელი?

ესეც არ ეჭაშნიკებოდათ, სულაც დამცირებად აღიქვამდნენ და ნოე ჟორდანია დაურიდებლადაც მიახლიდათ:

– ჩვენ აქ მოვედით, როგორც თქვენი წინააღმდეგნი. აქ საჭიროა მხოლოდ აზრთა გამოთქმა, საერთო რეზოლუციებზედ კი ლაპარაკიც არ შეიძლება.

თავისთვის კი ძალიანაც იბუზღუნებდნენ, იქოთქოთებდნენ და კონფერენციის მონაწილეთაც არაერთხელ გააგონებდნენ: ეს რა მოინდომეს ამ ნაციონალისტებმაო.

ნაციონალისტი მათ პოლიტიკურ ჟარგონზე ყველაზე სალანძღავი, ყველაზე შეურაცხმყოფელი გამოთქმა გახლდათ, ყველა მანკიერებას რომ ითავსებდა და სიმბოლურადაც განასახიერებდა.

ამიტომაც ვერ წარმოედგინათ, რომ გამოცალკევებოდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მათ ერთ-ერთ

ორგანიზაციად ყოფნა კი არ ეკმარათ, დამოუკიდებელ პარტიად დაფუძნებულიყვნენ.

არაქართული სულისკვეთების პოლიტიკოსთა გუნდი წესით არც უნდა ყოფილიყო კონფერენციის მონაწილეთა შორის, რუსების მიერ გამართულ თავყრილობებზე უფრო უპრიანი იყო მათი გამოცხადება, მაგრამ „საქართველოისტებიც“ და სხვა მიმართულების პოლიტიკოსებიც აღიარებდნენ მათ ზეგავლენას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, თანაც, იმედს ებღაუჭებოდნენ, რუსული პარტიის შემადგენლობაში ყოფნა შესაძლოა დროებითია, გარკვეული ტაქტიკით ნაკარნახევი და ჩვენი მხრივ ნუ მოვიწყვეტთ გვერდიდან, პოლიტიკური დავა-პაექრობა პოლიტიკურ დავა-პაექრობად, ოღონდაც მთავარი მისწრაფების ერთიანობას მივაღწიოთო.

ეს მთავარი მისწრაფება აშორებდათ სწორედ ერთმანეთს.

სოციალ-დემოკრატებს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას ვერც გააგონებდი.

და იმედის მობღაუჭება ხავსის მობღაუჭებას უფრო დაემგვანებოდა, რადგანაც არამცთუ უახლოეს ხანს, ნოე ჟორდანია და მისი თანაგუნდელნი მაშინაც ვერაფრისდიდებით ვერ შეელეოდნენ რუსულ სოციალ-დემოკრატიას, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში აღმოჩნდებოდნენ მთავრობის თავმჯდომარედ და მმართველ პარტიად.

კვლავაც იმათ ნაწილად დარჩებოდნენ.

კვლავაც იმათ მიაჩერდებოდნენ იმედიანი და გამამხნევებელი მზერით, თქვენს ხელთაა კაცობრიობის ხსნა და ყველა ქვეყნის პროლეტართა შეერთებაო.

აქ კი, ჟენევის კონფერენციაზე, უფრო დაბეჯითებითაც რომ განემარტათ: ჩვენი რეზოლუცია მხოლოდ სხვადასხვა ჯგუფების აზრთა რეზიუმე იქნება, რომელსაც ეთანხმება თუ ეწინააღმდეგება უმრავლესობა თუ უმცირესობა, არც ერთი და არც მეორე მხარისათვის ეს სავალდებულო არ არისო, – მაინც ვერ მოდრეკდნენ მათ სიჯიუტეს და ჟორდანიელები აყალ-მაყალით მიატოვებდნენ თავყრილობას: ჩვენ არ შეგვიძლია საერთო რეზოლუციები გამოვიტანოთ „საქართველოისტებსა“ და ანარქისტებთან ერთადო.

აყალმაყალი აყალმაყალად და იქვე, ჟენევაშივე დაისტამბებოდა ნოე ჟორდანიას სახელდახელოდ შედგენილი პოლემიკური წიგ-

ნაკი „ქართველი ნაციონალისტები“ , არავინ დამასწროს კონფერენციის პირველი შეფასებაო.

კილო გაკაპასებული შეერჩია. ანალიტიკური განსჯა არც არასოდეს ყოფილა ნიშანდობლივი მისი სტილური მანერისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში კი საკუთარ თავსაც აჭარბებდა – თუნდაც ილია ჭავჭავაძეს როდესაც ახსენებდა... და ამჟამადაც წონასწორობა დაკარგა: თქვენ ბურჟუები ხართ, რადგან ეროვნებას ესარჩლებითო, დეცენტრალიზაციას იმიტომ ებღაუჭებით, რომ ფეოდალურ კარჩაკეტილობას ეტრფითო, კლერიკალები და მატყუარები ხართო, და კიდევ ესო, და კიდევ ისო... არ მოწყინდებოდა შეურაცხმყოფელ ეპითეტთა ფრქვევა და პოლემიკურ ჟინს რუსთველური სტრიქონით მოიკლავდა: უმსგავსი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერიაო.

და არ დაუთმობდა „საქართველოს“ რედაქცია, ანალიტიკური და მოზომილი პასუხით გაუბათილებდა ამ ბრალდებებს და უპირველესად მაინც ბურჟუობის წაძახება გაუკვირდებოდათ: რაკიღა დაჩაგრულ ერს ვესარჩლებით, ეს ბურჟუობას რატომ ნიშნავს დაჩაგრული ერის გამოსარჩლება განა უფრო სოციალისტს არ შეჰფერისო?!.

იმ „სოციალისტს“, როგორც არჩილ ჯორჯაძესა და მის თანამოაზრეთ ესმოდათ – არამარქსისტული სოციალიზმი მთლად ისე არაბუნებრივად და ულმობელად არ გამოიყურებოდა და ეროვნებას დრომოჭმულ მოვლენად სრულიადაც არ მიიჩნევდა. ამიტომაც იყო, რომ არც მისი მოსარჩლეობა ითვლებოდა მათ წრეში სათაკილოდ.

ოღონდ ესეცაა –

როგორი ზედაპირული და არადამაჯერებელიც უნდა იყოს ნოე ჟორდანიას შემოტევა, არჩილ ჯორჯაძე მასში მაინც იპოვნიდა საღ მარცვალს, მაშინვეც და წლების შემდგომაც არ შეეცვლებოდა ეს თვალსაზრისი:

იმ კრიტიკაში, რომელიც „საქართველოს“ წინააღმდეგ იყო მიმართული, საკვირველი სიცხადით გამოაშკარავდა „დემოკრატიული სოციალიზმის“ სიფუყე და სიყალბე. აქ ყოველივე – სოციალიზმი, თავისუფლება და ხალხის ინტერესი – რევოლუციურ ფრაზებს შეწირეს ზვარაკად. სოციალ-დემოკრატიული პოზიციის ნაკლოვანებათა დანახვით კი ჩვენი საკუთარი პოზიციის ნაკლოვანება ვიგრძენით და ამ დროიდან იწყება რადიკალური განსხვავება ჩვენსა და სოციალ-დემოკრატთა შორისო.

ქრესტომათიული ფრაზაა.

ამ პასაჟში ხელშესახებად თვალსაჩინოვდება არჩილ ჯორჯაძის გონების სიღრმეც და წონასწორობის შენარუნების უნარიც, ვნებათა უკიდურესი ჭიდილის ჟამსაც არ გამორჩეს საკუთარი ნაკლოვანებანი მეტოქის წინააღმდეგობრივი მსჯელობის ფონზე და კიდეც შეძლოს თავი დააღწიოს ამ ხარვეზებს.

განსხვავება-დაპირისპირებას – გარდა ეროვნული შეგნებისა – გამოიწვევდა მშრომელ, წვრილ მესაკუთრე გლეხობის თემაც, რომელთათვისაც სოციალ-დემოკრატებს ბურუუები შეერქმიათ და ამ იარლიყით განაჩენიც წინასწარვე გამოეტანათ, როგორც განწირული ფენისათვის, „საქართველო“ კი გადაჭრით ესარჩლებოდა მათაც და ირწმუნებოდა, ეს ფენა პროლეტარიატივით ძლიერი ფაქტორი უნდა გახდეს ახალი წყობილების დამყარებისასო.

სოციალ-დემოკრატები პოლიტიკური ბრძოლისას მარტოდენ აბსტრაქციას ეჭიდებიან – საქართველოს სინამდვილეში არარსებულ პროლეტარიატს.

ამ აბსტრაქციას ზეგავლენა მოუხდენია „საქართველოს“ გუნდზეც და შემდგომ უკვე სოციალისტ-ფედერალისტებზეც, მაგრამ რეალობასაც არა წყდებიან და ამიტომაც უდგანან გვერდით მშრომელ გლეხობას.

და სიხარულს ვერ დამალავდა არჩილ ჯორჯაძე, როდესაც მომდევნო წლები დაადასტურებდა „საქართველოს“ მოლოდინს და რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვან ძალად გამოჩნდებოდა ყველას თვალწინ წვრილი მესაკუთრე გლეხობა. შეფიქრიანდებოდნენ სოციალ-დემოკრატები, დაფაცურდებოდნენ და ნაჩქარევად შეუდგებოდნენ თავიანთი პროგრამის შევსებას, გადაჭრასა და გადაკეთებას.

მაგრამ ამ გადაკეთებით დააღწევდნენ კი თავს ლოგიკურ წინააღმდეგობას?

როგორ დააღწევდნენ, როდესაც გაპროლეტარების თეორიასაც ვერა და ვერ ეშვებოდნენ და, ამასთან, მესაკუთრე გლეხებსაც ორივე ხელით ჩაებღაუჭნენ, მათი ყოფის გაუმჯობესებაზე იწყეს ზრუნვა, მათი მესკუთრეობის განმტკიცებაზე.

რა გამოდიოდა?

თვითონ კი ესახელებოდათ, მარჯვედ ავუღეთ ალღო მოვლენებს და გადავახალისეთ ჩვენი პროგრამაო, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე დაუფარავად მიახლიდათ სიმართლეს:

– ამგვარი მოქმედებით თვითონვე გათელეთ ფეხით იდეური ნიადაგი, რომელზედაც იდექით.

მის ირონიულ განწყობილებას ის კი არ იწვევდა, შეხედულება რომ შეეცვალათ სოციალ-დემოკრატებს. თვითონ არჩილი და მისი თანამოაზრენი აკი გამუდმებით თავიანთი მსოფლხედვისა და პოლიტიკური პროგრამის დახვეწა-გაუკეთესებაზე ზრუნავდნენ. მაგრამ მათ არ ეთაკილებოდათ შეცდომისა თუ ნაკლოვანების აღიარება, და მთავარიც ესაა. სოციალ-დემოკრატებს კი ასეთ რაიმეს ვერ წამოაცდენინებდი. ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებსაც რომ ამტკიცებდნენ, ირწმუნებოდნენ, ორივე შემთხვევაში უდავო ჭეშმარიტებას ვღაღადებთო.

განსახილველ თემებს არჩილ ჯორჯაძე წარუდგენდა კონფერენციას, თემებს, ყველა იმ სატკივარსა და საფიქრალს რომ შემოფარგლავდა, მწვავედ რაც წამოჭრილიყო ქვეყნის წინაშე: სეპარატიზმიო, ავტონომია და ფედერაციაო, გლეხთა კითხვაო, მუშათა კითხვაო, სარევოლუციო ტაქტიკაო.

აუცილებლად უნდა გარკვეულიყო, რა განწყობილებით უნდა მოჰკიდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა პარტიები, ამასთან, სოციალ-დემოკრატთა და გაზეთ „საქართველოს“ მოღვაწეობის გეზიც წარმოჩენილიყო და შეფასებულიყო.

სეპარატიზმის განსახილველად ნინო ყიფიანის მოხსენებას გამოიყენებდნენ, კონფერენციის სახელზე გამოგზავნილს. ტეზრელის ფსევდონიმით წარედგინებოდათ მონაწილეებს და გიორგი დეკანოზიშვილს, არჩილ ჯორჯაძისა და კიდევ ერთი-ორი დამსწრის გარდა სხვანი ვერც მიხვდებოდნენ, ქალი თუ ამოფარებოდა ტეზრელის სიმბოლოს (მამა-პაპათა საცხოვრისის, სოფელ ტეზრის, სახელი გამოეყენებინა პოლიტიკურ ფსევდონიმად), ისეთი მგზნებარებით ამტკიცებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიასაც ასე უსაშველოდ არა კვეცდა და ერთ საუკუნეს არ ჩამოჰკვეთდა, პირდაპირ მოიხსენიებდა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველობა დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძოდა და არა ავტონომიის მოსაპოვებლად.

დიახ: და-მო-უ-კი-დე-ბლო-ბი-სა-თვის!..

40-იანი წლებიდან რუსეთი მტკიცედ რომ დამკვიდრდებოდა ჩვენში, დამოუკიდებლობის იდეა როგორღაც შეირყეოდა, მაგრამ

გაქრობით მაინც არ გაქრებოდა, ეგაა, ამჟამად გაურკვევლობა შექმნილიყო. „საქართველო“ სეპარატიზმს უარყოფდა, სეპარატისტებისათვის ავტონომია მიღწევად სულაც არ მოჩანდა, სოციალ-დემოკრატები კი ერთნაირად ეწინააღმდეგებოდნენ დამოუკიდებლობასაც და ავტონომიასაც. ნინო ყიფიანი იმედით არ შეჰყურებდა რევოლუციურ გარდაქმნას, თვითმპყრობელობის დამხობა არ ეეჭვებოდა, მაგრამ რა ბედენა იყო ერთი ხელისუფლების შეცვლა მეორით – ნაკლებად სწამდა, რომ რუსეთის ახალი ხელისუფლება საქართველოსათვის თავისუფლებას გაიმეტებდა.

დამოუკიდებლობის ბაირაღის აფრიალება ახლავე და გადაუდებლადო, თითქოს ამ მოწოდებაში უნდა გადაზრდილიყო მოხსენების ავტორის მღელვარება თუ დაუშოშმინებელი ჟინი, მაგრამ მარტოდენ გულის კარნახს არ ასდევდა დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, გული და გონება იმ ჰარმონიით შეზავებოდა ერთმანეთს, თავგანწირვისათვის ყველაზე შესაფერის ჟამს რომ ეძიებ და თვალდახუჭული არ მიჰყვები გამოუცნობ ქიმერებს.

დიდი საერთაშორისო გართულებანი გარდუვალიაო, – ეს აიმედებდა და ანუგეშებდა და უმთავრესიც ეს გახლდათ მის მრწამსში – ხელსაყრელი ვითარება თვალსადახელშუა არ ჩაგვკარგოდა, ისტორიული ზარის ჩამორეკვას ქართველობა სულიერადაც და გარეგნულადაც ყოველმხრივ მომზადებული შეგებებოდა და მარჯვედაც ესარგებლა დიდი, მსოფლიო რყევებით, მერე კი რუსეთისათვის გამოგლეჯილი დამოუკიდებლობაც შეენარჩუნებინა. შენარჩუნება მოპოვებაზე რთული გახლდათ, ყველა ქვეყნის ისტორია ამას ადასტურებდა და მატიანეთა ეს უტყუარი მოწმობა იქნებ უგულისყუროდ არ გადაგვეტარებინა.

რაღაც ისეთ ცვლილებას მოელოდა საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ოდესღაც დავით აღმაშენებელს გამოსჩენოდა ჯვაროსთანთა ლაშქრობის სახით, 70 წლის წინათ კი დიმიტრი ყიფიანსა და მის თანამოაზრეთ მოვლენოდათ რომანტიკულ აჯანყებათა მთელ სერიად ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში. დავით აღმაშენებელს გაუმართლებდა, ამათ – ვერა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთ, ბედისწერა წყალობას აღარ გაიმეტებდა, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისათვის მიყურადება და მზადება იმ პროცესში ჩასართველად ყველაზე მარჯვე ჟამს ანდერძად დაეტოვებინათ. მაგრამ რაღა ანდერძი იქნებოდა, თუკი ყურად აღარავინ იღებდა, და ნინო ყიფიანი სწორედ ამას შე-

აგონებდა ჟენევის კონფერენციის მონაწილეებს, თუმც არც დავით აღმაშენებელს ახსენებდა და არც 1832 წლის შეთქმულებას, ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას ნუ ვყოფინობთ, მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გვქონდეს გულზე ამოჭრილი და ამ მიზანს შევყურებდეთ, კონფერენციამ კი მარტოდენ მსჯელობა-ბაასში რომ არ ჩაიაროს, ბარემ დროულად შეიქმნას სარევოლუციო კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლასო.

კომიტეტს უნდა შეედგინა კავკასია-საქართველოს სტრატეგიული რუკა, ბრძოლის გეგმა, დაკავშირებოდა რუსეთის იმპერიის სხვა ერებს, განსაკუთრებით კი კავკასიის ხალხებს.

ნინო ყიფიანის რწმენასაც კავკასიური მთლიანობის იდეა განამტკიცებდა.

არჩილ ჯორჯაძისა და მის თანამოაზრეთა რწმენასაც: ეგაა, ჯერჯერობით კავკასიის ფედერაციას კმარობდნენ რუსეთის კონფედერაციაში შემავალს.

და არჩილი კონფერენციაზეც იმავე მტკიცებით წარდგებოდა, რაც „საქართველოს“ ფურცლებიდან უკვე ექადაგა და მხოლოდ „სეპარატისტის“ ფსევდონიმით გამოგზავნილი სტატიის ავტორს კი არ ეკამათებოდა, არამედ ყველას, ვინც მოითხოვდა რუსეთისაგან პოლიტიკურ განკერძოებას:

– ჩვენ უფრო უკიდურესი თავისუფლების მომხრენი ვართ, მაგრამ ჯერჯერობით იმას ვითხოვთ, რაც უფრო ადვილი მისაღწევი არის.

კვლავ და კვლავ გაიმეორებდა: ვინ იქნება წინააღმდეგი დამოუკიდებლობის იდეისა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლოზუნგი არ გვინდაო.

ვისთვის ეს ერთსა და იმავეს გულისხმობდა, არჩილ ჯორჯაძე დაბეჯითებით განასხვავებდა.

ნინო ყიფიანთან აქ პირველად არ მოუწევდა შეკამათება.

კარგა ხანია ვერ თანხმდებოდნენ.

პირადი შეხვედრები, მიმოწერა სულ ამ განსხვავებულ შეხედულებას ეხლებოდა. არჩილი ყველაფერს დაუთმობდა, არ აუხირდებოდა, რაც უნდა მკვეთრი და მწვავე თვალსაზრისი გამოეთქვა ქალს, მაგრამ ავტონომიის მოპოვების საფეხური – საფეხური, საფეხური და არა საბოლოო მიზანი – მისთვის ისეთი სასიცოცხლო გახლდათ, მასზე შეუბიჯებლად სახელმწიფოებრიობის აღდგენა

სადღაც მირაჟებში იკარგებოდა და ცდილობდა ამაში ნინო ყიფიანიც დაერწმუნებინა.

ის თავისას უმტკიცებდა და 1903 წლის ივლისში ბრიუსელიდან პარიზში გაგზავნილ ბარათშიც ამასვე უმეორებდა: ნუთუ ჩვენი სურვილი ავტონომიაზე უფრო შორს არ მიდის? რატომ ჩვენ არ გაგვაჩნია ნება, მოვითხოვოთ სრული დამოუკიდებლობა რუსეთისაგან? რატომ არ გაგვაჩნია ნება, რომ ჩვენი საქართველო, რომელიც ყველა სახელმწიფოზე უძველესია და რომელსაც უდიდესი ისტორია აქვს, თავისუფალი იყოს? რატომ არ უნდა ვეცადოთ, რომ სრული თავისუფლება მოგვენიჭოს? თუ ბულგარეთი, რუმინეთი და სერბია – და სხვაც – ცხოვრობენ თავისი ისტორიული ცხოვრებით, ჩვენ რატომ ვერ ვიცხოვრებთ ასე, განა საამისო ნიჭი არ გაგვაჩნიაო?

ამ ყოველმხრივ დამაჯერებელ დასაბუთებას განა არჩილ ჯორჯაძე არიდებდა თვალს, თავშეკავებას რომ ამჯობინებდა? მხოლოდ – ჯერჯერობით, მხოლოდ – გარკვეულ დრომდეო.

მაგრამ ზედმეტ სიფრთხილედ ჩამოართმევდა ნინო ყიფიანი, ისეთ გადამეტებულ სიფრთხილედ, რაც საზიანო უფრო აღმოჩნდებოდა ქვეყნისათვის, ვიდრე სასიკეთო.

არა გადამეტებული, არამედ აუცილებელი, თორემ გული ისე ბობოქრობს, მზადებასაც კი ვეღარ ითმენს და შეიარაღებულ ამბოხებას ნატრობს, მაგრამ... მაგრამო...

ვერ დაერწმუნებინათ ერთმანეთი.

მათი კამათი შინაურ გარემოს გაცდებოდა და ინტერპარტიული კონფერენციის შუაგულში მოექცეოდა.

ყველა სხვა თემა, ყველა სხვა სატკივარი ამ მთავარი დილემის ირგვლივ იყრიდა თავს, როგორც მისი შენაკადები.

კამათს შეთანხმებით დასრულება არ ეწერა.

მეფობის აღდგენა რომ ვერ წარმოედგინათ, ამ მხრივ კარგად უგებდნენ ერთმანეთს და ნინო იმის თქმასაც არ დაერიდებოდა: სამეფო ტახტის აღდგენაზე ზრუნვა სისულელე იქნებაო.

როგორ შეცვლილიყო დრო და პოლიტიკური გემოვნება და განწყობილება. დიმიტრი ყიფიანის თვალში უარეს მკრეხელობად არაფერი გამოჩნდებოდა, თუ არა ეს და ამგვარი შეხედულებანი. უხელმწიფო სახელმწიფო მისთვის სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ და მონარქიზმის იდეას ისე შეთვისებოდა, რუსეთის იმპერატორსაც კი აღარ განარჩევდა ქართველი მეფისაგან და ისე

ემორჩილებოდა, როგორც საკუთარი ქვეყნის ხელისუფალს – რაღა რომანოვი და რაღა ბაგრატიონი. შვილიშვილი კი ხელმწიფიან სახელმწიფოს ვერა ჰგუობდა და, არამცთუ რუსეთის იმპერატორი არ ეჭაშნიკებოდა და მის სამსახურს სულაც არ აპირებდა, ბაგრატიონთა სახლის ხელახალ დამთავრებასაც ველარ მოითმენდა.

კამათს შეთანხმებით დასრულება არ ეწერაო...

ისევ ამ პოლიტიკურ გუნდთან ერჩიევა ნინო ყიფიანს დაახლოება, ისევ მათი მოღვაწეობისათვის ხელის შეწყობა და თავის ხიფათში ჩაგდება, მაგრამ მთელი ცხოვრება ვერც „საქართველოს“ შეაჩერდებოდა და ვერც სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას, და გამოუჩნდებოდა თუ არა ნასასვლელი, გამოცალკევდებოდა თუ არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მაშინვე მათ ამოუდგებოდა მხარში.

ალექსანდრე გაბუნიაც არჩილ ჯორჯაძეს შეხედულებას გაიმეორებდა და ერთხელ კიდევ ითხოვდა ჩაკვირვებოდნენ, რომ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია უზრუნველყოფდა ერის კულტურულ განვითარებას, ხოლო ფედერაცია განუმტკიცებდა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობას. ავტონომიას რა მოგვიტანდა? მომხსენებელს რუსეთში დემოკრატიული სისტემის დამყარებისა ეიმედებოდა. იქაური პოლიტიკური პროცესების შუაგულში თუ მოვექცეოდით, ჩვენი ავტონომიის დროულად მოპოვებას დავაჩქარებდით. ისე საქართველოს დამოუკიდებლობისა ცოტა არ იყოს გადამეტებულად ეშინოდა და ამ შიშს იმ მოტივით არ დაფარავდა: დამოუკიდებელ სახელმწიფოებს აქვთ აგრესიის, ტერიტორიული გაფართოების თანდაყოლილი მიდრეკილება და ამ ტენდენციას ვერც ჩვენ გადავურჩებით, ამას კი ის მოჰყვება, რომ მეზობლებთან ომიანობა გარდუვალი შეიქნება და ან საქართველოს შთანთქავს რომელიმე მეზობელი ანდა საქართველო ჩანთქავს რომელიმე მეზობელს.

ალექსანდრე გაბუნია ცოტა უფრო შორს მიდიოდა, მაგრამ ოქმებს ამ კუთხით თუ ჩავუკვირდებით და სეპარატისტულსა და ავტონომისტურ შეხედულებებს შევუპირისპირებთ ერთმანეთს, უნებურად ვიგრძნობთ, თუ როგორ დამგვანებია ეს დოკუმენტური ჩანაწერები გრიგოლ ორბელიანისა და ივანე აფხაზის დავას, შვიდი ათეული წლის წინანდელს და იმასაც დოკუმენტურად – დღიურის სახით – გამოხატულს. არგუმენტების არსი არ შეცვლილა, კამათის შინაარსი ოდნავადაც არ გადასხვაფერებულა და... კვლავაც შეუძლებელია მორგება.

კონფერენციის მონაწილეთა საერთო თვალსაზრისი – ერთის გამოკლებით, ვინც კენჭისყრას გაერიდებოდა – ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის აუცილებლობას გაიზიარებდა და რეზოლუციასაც შესაფერისს გამოიტანდა:

უარვყოფთ სეპარატიზმს, რომელიც ვერ იქნება თავდები ქვეყნის სოციალური განვითარების და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისა და ვაცხადებთ, რომ გათავისუფლებული საქართველოსათვის საუკეთესო და უსაჭიროესი პოლიტიკური წეს-წყობილება უნდა იყოს ავტონომიის მოპოვება და ფედერაციული შეკავშირება სხვა ერებთანო.

ვარლამ ჩერქეზიშვილი 1873 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს გაიხსენებდა და იქ აღნიშნულ აუცილებელ პირობას, რომ რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ ცხოვრებაში და ხელშეუხებლად შეენარჩუნებინა მისი თვითმმართველობა.

ეს რას ნიშნავსო, – შთამაგონებლად დასძენდა ანარქისტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, – რისთვისაც ვაპირებთ ბრძოლას ამ კონფერენციის მონაწილენი, კიდეც არის საქართველოს კანონიერი უფლებაო.

საჭირო არ არის რუსეთს ჩამოვეცალნეთო, – კონფერენციის ზოგად სულისკვეთებას არ გადაუხვევდა ვარლამ ჩერქეზიშვილი, – მაგრამ ნება გვაქვს არსებულ უფლებათა ძალითაც კი მოვითხოვოთ ავტონომიაო.

შესაკამათებელი არაფერი ყოფილა და არც არჩილ ჯორჯაძეს გაუჩნდებოდა გამოპასუხების სურვილი, ეგაა, შეახსენებდა მასაც და სხვათაც, ტრაქტატის პირობებს ამჟამინდელი ხელისუფალი მაინცდამაინც არ დაგიდევსო:

– თუ ჩვენ ისტორიული უფლებები გვაქვს, რასაკვირველია, ვისარგებლოთ ამითი. მაგრამ არც დიდი იმედები უნდა დავამყაროთ მათზედ.

დასავლელი პოლიტიკოსების თვალში ტრაქტატის პირობების წამოწევასა და საზოგადოებრივ მიმოქცევაში შემოტანას თავისი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ამიტომაც იყო აუცილებელი მისი დაჟინებული განმეორება იმის მიუხედავად, რუსი ხელისუფალნი თუ ოპოზიციონერები რაიმედ ჩააგდებდნენ თუ არა ორი ხელმწიფის შეთანხმებას.

გრძელდებოდა კონგრესი.

მიწის სოციალიზაციის მოწინააღმდეგენი იმ მოტივს მოიშველიებდნენ, გლეხობას ვერ შევაგონებთ საზოგადოებრივ საერთო

მფლობელობასო. რატომ? გლეხობა რომ თავადაზნაურობასა თუ ბურჟუაზიას აჯანყებია, ეს არ ნიშნავს, რომ საერთო მფლობელობისაკენ მიისწრაფის, პირიქით, გლეხობა უფროა განმსჭვალული კერძო და მესაკუთრული ლტოლვითო.

მაგრამ მათ მტკიცებას არ გაიზიარებდნენ და, მათ შორის, მიხაკო წერეთელიც სწორედ საერთო მფლობელობისაკენ გლეხობის სწრაფვას აღნიშნავდნენ, თვალსაჩინოებისათვის გაიხსენებდნენ გურიის გლეხთა მოძრაობას, ოღონდ საგანგებოდ დასძენდნენ: ვიდრე იქ სოციალ-დემოკრატები დაიწყებდნენ პროპაგანდასო.

არჩილ ჯორჯაძე ამ გადმოსახედიდან გაიაზრებდა მიწის სოციალიზაციას: როგორ უნდა მოვსპოთ სოფლად არსებული ყოველგვარი უსამართლობაო.

რაკიღა ჩვენში გლეხთა რამდენიმე კატეგორია არსებობდა, ძირითადად კი მესაკუთრენი და საკუთრებამოკლებულნი – ეს დროებით ვალდებულნიო, ეს ხიზნებიო, ეს წმინდა არენდატორებიო, ეს სახელმწიფო გლეხებიო – ყველას თავთავისებურად უნდა მიდგომოდი. სადაც საზოგადო მფლობელობა არსებობდა, იქ ეს სისტემა უნდა შენარჩუნებულიყო – ვთქვათ, ქიზიყში; დროებით ვალდებულებისა, ხიზნებისა და არენდატორებისათვის მიწის მათ ხელშივე მესაკუთრეობა უნდა შეეგონებინათ.

თავადთა, საუფლისწულო და საეკლესიო მამულებს რაღა უნდა დამართოდა?

ჩამოართმევდნენ – აი, რა.

არჩილ ჯორჯაძე ისეთი ფორმულის წამოყენებას მოითხოვდა, რომელიც ჩვენი სოფლისა და მის მშრომელთა ყველა მოთხოვნილებასა და საჭიროებას გამოხატავდა, და მოგვიანებით მკვლევარები წინააღმდეგობას შენიშნავდნენ: ეს ფორმულა გულისხმობს მიწის სოციალიზაციას, მიწის გადაცემას მათთვის საზოგადო, სათემო საკუთრებად და, თუკი გლეხთა სხვადასხვა კატეგორია სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვს და ზოგან კერძო საკუთრების შენარჩუნებაა საჭირო და ზოგანაც საზოგადო მფლობელობისა, მაშ ყველა მათ მაინც ერთი – მიწის სოციალიზაცია როგორღა აკმაყოფილებსო?

მიუხედავად ამ აზრობრივი წინააღმდეგობისა, არჩილ ჯორჯაძეს სწორედ ასე რომ სწამდა და მიწის სოციალიზაციას ემხრობოდა, ეს არც მაშინ გახდებოდა სადავო და არც შემდგომ.

რეზოლუცია ირწმუნებოდა, საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში – თუნდაც ქართლში – ჯერ კიდევ შემორჩენილა ფეოდალუ-

რი წყობილების ნაშთები, თუმც ზოგან – მაგალითად გურიაში – ბურჟუაზიული პირობებიც დამკვიდრებულა, და ეს ყოველივე ამწვავებს ეკონომიკურ წინააღმდეგობას, კლასობრივ ბრძოლას, რომლის მოსასპობადაც აუცილებელია კერძო საკუთრების გაუქმება მიწაზეო.

რეზოლუციისათვის რომ დაგეჯერებინა, მიწის სოციალიზაცია და, ამასთან, გლეხთა სინდიკატების, საწარმოო კოოპერაციათა და სხვა კავშირთა შემოღება ერთი საუკეთესო საშუალება გახლდათ სრული ეკონომიკური თანასწორობისა და სამართლიანობის ხორცშესასხმელად.

ეს შეხედულება არაფრით განსხვავდება სოციალ-დემოკრატთა მრწამსისაგან და ან იმათ რა კლასები აღმოეჩინათ და რა კლასთა ბრძოლა საქართველოში და ან არჩილ ჯორჯაძესა და მის თანამოაზრეთ? ზოგადი აბსტრაქციები სძალავდა რეალობას. დიდი გავლენა მოჰყოლოდა ჟან-ჟაკ რუსოსა და სხვა განმანათლებელთა დაუოკებელ სწრაფვას კერძო საკუთრების მოსაშლელად, იმ რწმენის ჩასანერგად ადამიანის ფსიქიკაში, რომ ყოველივე უბედურების თავი და თავი მიზეზი კერძო საკუთრების შემოღება იყო და ვიდრე საამისო სურვილი იბოგინებდა, კაცობრიობას არაფერი ეშველებოდა. მარქსი ფრანგი ჰუმანისტის ამ ანტიჰუმანურ თვალსაზრისს კლასთა ბრძოლის აუცილებლობის მტკიცებას შემატებდა და ეს უკიდურესად ანტიჰუმანური მრწამსი ამოეკერებოდა ახალი ეპოქის რევოლუციურ მოძრაობას ყველა მისი განშტოებით. ამ საერთოს ყველა პოლიტიკური პარტია შეინარჩუნებდა, სხვა მხრივ როგორი დაუნდობლობითაც უნდა მოჰკიდებოდნენ ერთმანეთის საქმიანობას.

წარმოსახვა მომხიბლავი ფერებით ხატავდა კერძო საკუთრების მოსალოდნელი განქარებით შექმნილ ედემისებურ ყოფას, საყოველთაო სიმშვიდისა და მყუდროების სავანეს – თუკი საერთო მფლობელობაში გადავიდოდა მიწაც და მასთან ერთად სხვა ყოველივე, ერთბაშად ნაიშლებოდა განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის და შინაგანი წინააღმდეგობაც პირწმინდად გაქრებოდა.

რა კარგი ყოფილა, არა?

მაგრამ...

მაგრამ წარმოსახვა ჩქმალავდა კერძო საკუთრების გარეშე დარჩენილი ადამიანის სრულ უმწეობას, საფუძვლის გამოცლას

ფეხქვეშ და გადაქცევას სახელმწიფოს ყურმოჭრილ ყმად და არა თავისუფალ და სრულფასოვან პიროვნებად, რაკიღა თავისუფლებისა და სრულფასოვნებისათვის აუცილებელი საყრდენი სადღაც იკარგებოდა უკვალოდ.

უმწეობა კი შეუძლებელია ბედნიერებასა და ედემის ბაღში ნეტარებას გაუიგივდეს.

რაღა ანთეოსი და რაღა კერძო ადამიანი თუ სულაც კაცობრიობა.

ჰაერში ატაცებული ისე მოიგუდებოდა, თითქოს ჰერაკლეს მკლავებში გათანგულა და მინამდე სულიც აღარ დაჰყოლიაო.

რეალობა გაცილებით მკაცრი ყოფილა ყოველთვის, ვიდრე იდეალური თუ აბსტრაქტული შეხედულებანი.

და არჩილ ჯორჯაძეც უსათუოდ დაიზაფრებოდა, მინის სოციალიზაციას რომ მოსწრებოდა – საამისოდ მაინცდამაინც ბიბლიური ასაკი კი არ იყო აუცილებელი,ნაადრევად ნუ გამოაკლდებოდა საწუთროს და კოლექტივიზაციისათვის ედევნებინა თვალი ემიგრაციიდან.

ემიგრაციიდან, თორემ საბჭოთა საქართველოში 30-იან წლებამდე ვინ მიატანინებდა სულს – 24 წლის აგვისტო-სექტემბერი უსათუოდ შეინირავდა მასაც... ედევნებინა და ეხილა, თუ რას ნიშნავდა, როდესაც ადამიანს აღარაფერს შეარჩენდნენ და გამრჯე გლეხობას, რომლის ამოწყვეტაც – ჯერ კიდევ არჩილ მეფის რწმენით – საქართველოს დაძაბუნებას გაუიგივდებოდა, ბოგანოებად გადააქცევდნენ. განა ამოწყვეტა არ არის, როდესაც შენს დანიშნულებას ჰკარგავ? განა ამოწყვეტა არ არის, ნაშრომ-ნაოფლარი მუქთამჭამელების, დამპატიჟეების ხელში რომ გადადის? ისე არც გაჟუჟვა-გაციმბირებას მოაკლებდნენ... და უკვე ვეღარ გაიმეორებდა, მინის სოციალიზაცია ერთი საუკეთესო საშუალებაა სრული ეკონომიკური თანასწორობისა და სამართლიანობის ხორცშესასხმელადო.

თანასწორობასა და სამართლიანობას უარესად ვერაფერი დააზარალებდა, ვიდრე კერძო საკუთრების წართმევაა.

მაგრამ ამ ზარალის გასასიგრძეგანებლად რეალობა უნდა შეგხლოდა სახეში მთელი თავისი დაუნდობლობით.

მანამდე არჩილ ჯორჯაძე გულმშვიდად ადგენდა რეზოლუციას და კონფერენციის მონაწილეთაც იოლად ითანხმებდა, რაკიღა ეს საერთო განწყობილება მოსდებოდა მეამბოხეთა გონებას.

მუშათა მოძრაობის შეფასებისას კონფერენცია უარყოფდა მარქსისტულ ანუ ცენტრისტულ შეხედულებას და ანარქისტულ-ფედერალისტურ მრწამსს ამჯობინებდა იმ მოტივით, სოციალური რევოლუციური მოძრაობის მიზანი მუშათა კლასის გათავისუფლებაა და ეს გათავისუფლება თითონ მუშების ხელით უნდა მოხდეს, რომელნიც ფედერაციულ გაერთიანებებში ავტონომიურ-რევოლუციურ ორგანიზაციებად უნდა შეკავშირდნენო.

სარევოლუციო ტაქტიკას რომ განსჯიდნენ, სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად ერთადერთი გზის – რევოლუციური ბრძოლის – აუცილებლობაზე ადვილად შეთანხმდებოდნენ. ბრძოლის მეთოდად ინდივიდუალური ტერორის გამოყენებას უარყოფდნენ, მაგრამ... ჯგუფობრივი ტერორის ტაქტიკას ასე იოლად ვერ შეელეოდნენ.

ხალხის ამწიოკებელი ბუდეები უნდა განადგურდესო, – ალექსანდრე გაბუნია ისე გიზგიზებდა ტრიბუნაზე, გულუბრყვილო კაცს მოეჩვენებოდა, აქედანვე გავარდება იმ „ამწიოკებელი ბუდეების“ ასაფეთქებლადო, ის კი ამასობაში სახიერ მაგალითს იშველიებდა:

– მე მომხრე ვარ ვიაროთ ქუჩებში ისე, როგორც მაკედონელები დადიოდნენ სალონიკის ქუჩებში – ყუმბარებით.

არჩილ ჯორჯაძე ასე პირდაპირ არ გამოეკამათებოდა, თუმც ჟლეტვისაკენ მონოდება გულს ჩაჩხვლეტდა და ყუმბარებით სიარულის სხვა მოტრფიალეთაც სიტყვას გადაუკრავდა, რომ: თუ დღესდღეობით შებოჭილი ხალხი მოინდომებდა იარაღის ხელში აღებასა და გათავისუფლებას, პოლიტიკოსთა მოვალეობა გახლდათ მათთვის განეცხადებინათ, ეგ შენი წმინდა მოვალეობააო.

არა შეოკება, არამედ – ნაქეზება, მათი საქმის გამართლება, იმპულსური ქმედებისათვის იდეური სარჩულის გამოკერება.

მაინც არ დაუჯდებოდა ჭკუაში და პირში ეცემოდნენ: არა კმარა აჯანყებულ ხალხს უთხრა, ხელში იარაღი აიღოსო.

უკან მიდევნებულ ლამპარს გულისხმობდა ვითომ არჩილ ჯორჯაძე?

მით უფრო გასაკვირია, შეგონებებს რომ დაუწყებდნენ: აუცილებელია მხურვალე მონაწილეობა დემონსტრაციებში, ჩამოყალიბება რევოლუციური ორგანიზაციებისაო...

სხვა რას საქმიანობდა არჩილი, თუ არა მზადებას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნებისათვის და განა ეს კონფერენციაც, საკმაოდ მასშტაბური და მისი თავგამოდებითაც გამარ-

თული, ახალი პოლიტიკური პარტიის დაარსებას არ ისახავდა? მთავარ იდეოლოგად გამოკვეთილიყო „ცნობის ფურცელშიც“, „საქართველოშიც“ და იმ მომავალ პოლიტიკურ ორგანიზაციაშიც, და ნურავინ მოიტყუებდა თავს, პოლიტიკური მოვლენებისათვის უკან მიყოლას აპირებსო.

მეწინავეთა რაზმში ასე მტკიცედ მდგომი ოდნავ უკანაც არ გადაინაცვლებდა, არამცთუ წინ გაეშვა რევოლუციური მოძრაობა და ნაგვიანევი შეგონებანი ეკმარა.

მაშ რას აჰხირებოდნენ?

რაკი ყუმბარებით არ აპირებდა ქუჩა-ქუჩა სიარულს?

რაკი შეიარაღებული ამბოხის ხელოვნურ დაჩქარებას არ მოითხოვდა?

რევოლუციური გარდაქმნის მოწინააღმდეგე რომ ყოფილიყო, არც ამ ინტერპარტიული კონგრესის მონაწილე – სულაც ერთ-ერთი თაოსანი – იქნებოდა.

ეგაა, არ აქეზებს ველურ ინსტინქტებს და, თუ შესაძლებელია, მაინც უიარაღო ბრძოლა ურჩევნია.

იარაღის ტრიალს ვერ აირიდებს?

დაგმობით არ დაგმობს ამ მოქმედებას და ხალხს მის დაყრას არ მოუწოდებს.

მაინც არ პატიობენ: არ კმარაო.

ტოლსტოველები კი – ეს განცხადება შემთხვევით მათ ყურამდე თუ მიაღწევდა – ამ „დაგვიანებულ“ შეგულიანებაზეც შეშფოთდებოდნენ და საბოლოოდ ამორიცხავდნენ თავიანთ მიმდევართა, მეტიც, თანამგრძნობელთა წრიდან.

ისე მართლაც რამხელა განსხვავებაა – ტოლსტოველობიდან რევოლუციამდე.

განსხვავება იდეალისაკენ მიმავალ გზებს შორის, თორემ საბოლოო მიზანი ერთნაირია – ტოლსტოვური ახალშენი კომუნიზმის თავისებური მოდელია და... მასავით ილუზია და მწარე იმედგაცრუება.

ტოლსტოვური თემის მარცხი ძალაუნებურად ამცნობდა ადამიანს – ჩამოეხსენი სოციალისტურ რელიგიას, ნუ გააცუცურაკებინებ თავს და ნუ გეოცნებება ცხოვრების ბუნებრივი გზიდან გადახვევა, თორემ სინანულის მეტს ვერაფერს მიაღწევო.

არჩილ ჯორჯაძე ამ მთავარ საერთოს ვერ პოულობდა ტოლსტოველობასა და სოციალიზმს შორის და ეგონა, სამუდამოდ გამოვცილდი უტოპიურ თეორიებსო.

ეს მაინც რამხელა ნახტომი გახლდათ მისგან, იარაღის ხელში აღება ხალხის წმინდა მოვალეობააო.

მოვალეობა – სოციალური გარდაქმნისათვის.

მერე რაღა დროსიაო, – გადამეტებულ სიფრთხილედ ჩამოართმევდნენ.

ამასობაში არჩილ ჯორჯაძე მიხაკო წერეთელთან ერთად სარევოლუციო ტაქტიკის შესახებ გაამზადებდა რეზოლუციას, რომელიც დაუპირისპირდებოდა არამარტო იმპერატორის თვითმპყრობელობას, არამედ იმ მომავალ ცენტრალისტურ რესპუბლიკასაც კი, რომელიც შესაძლოა რუსეთში დაარსებულიყო და წინ გადაღობებოდა ქართველი ხალხის სოციალურ, ეკონომიკურსა და ეროვნულ გათავისუფლებას.

და კიდევ:

აკრძალული ლიტერატურის გავრცელებისა და სიტყვიერი პროპაგანდის გარდა აუცილებელი გახლდათ ხალხის ორგანიზაცია პოლიციასა და ჯართან შეტაკებისათვის გაფიცვებისა და დემონსტრაციების დროს, ორგანიზაცია სარევოლუციო რაზმებისა ბიუროკრატიულ, სამხედრო და სხვა დაწესებულებათა დასამხობად და აღმოსაფხვრელად.

არჩილ ჯორჯაძე კონფერენციის საერთო განწყობილებას უწევს ანგარიშს და რეზოლუციას სწორედ შესაფერისს ამზადებს.

რუს და რუსეთში მყოფ სხვა ერთა პარტიებთან რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონოდათ?

ყველას მხარდაჭერას უცხადებდნენ – ყველა ოპოზიციურსა და რევოლუციურ პარტიას, ვინც ცარიზმის დასამხობად და, ამასთან, რუსი ხალხისა და რუსეთის მთავრობის მიერ ყველა დაჩაგრულ ერთა პოლიტიკური გათავისუფლებისათვის იბრძოდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის დანიშნულება და მარქსიზმი ცალკე რომ არ განეხილათ და შეეფასებინათ, უამისოდ არ იქნებოდა და ანარქისტები – ალექსანდრე გაბუნია, ვარლამ ჩერქეზიშვილი, კომანდო გოგელია და მიხაკო წერეთელი – მკაცრად მისდგებოდნენ მათ სწრაფვას ცენტრალიზმისა და პროლეტართა ნაძალადევი ერთიანობისაკენ. უმთავრესად თეორიული კუთხით განსჯიდნენ და განაქიქებდნენ კიდეც, თუმც ოქმების შესწავლა აუცილებლად გვიტოვებს უკმარისობის განცდას. ნუთუ აუცილებელი არ ეჩვენებოდათ, რომ ის მიზეზები ამოეცნოთ და შესაფერისადაც გამოეყენებინათ ამ პარტიასთან მწვავე ურთიერთობისას, თუ რას

გამოეწვია მათი ასეთი მომძლავრება? ზუსტი და მოურიდებელი შეფასებაა: ქართული სოციალ-დემოკრატია მონად და იარაღად გამხდარა სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტისაო, – მაგრამ ამ „მონასა“ და „იარაღს“ ამხელა გავლენა როგორ მოეპოვებინა თავის ქვეყანაში და, რაც მთავარია, როგორ უნდა შესუსტებულიყო ეს გავლენა?

ზედმეტად მიაჩნდათ ასეთი ჩაყოლა, თეორიულ განსჯა-დასაბუთებას ვითომ წინ რა გადაუდგებოდა? მაგრამ არგუმენტაცია ყველას გონებას ვერა წვდებოდა და რაღაც სხვაც იყო აუცილებელი. ყოველ შემთხვევაში, კონფერენციაზე ის მაინც უნდა მოხერხებულიყო, რომ ჟორდანიელები განზე არ გამდგარიყვნენ და იძულებულნი ყოფილიყვნენ თუნდაც თეორიულ დისპუტში ჩართულიყვნენ. მაშინ ხომ თვალნათლივი შეიქნებოდა მათი მტკიცებების პირწმინდად დემაგოგიური სარჩული, თვალნათლივი მათთვისაც, ვისაც ჯერ ალღო ვერ აეღოთ ჟორდანიელთა პოლიტიკური ბუნებისათვის, ყოველ შემთხვევაში, მათი სწრაფვის სიწრფელე არ ეეჭვებოდათ.

ახლა ცალმხრივ დისკუსიას შთამბეჭდაობა აკლდებოდა.

ვის ოდნავადაც არ ააღელვებდა ეს ცალმხრივობა, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე, ეს თანმიმდევრული და შეურიგებელი მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატიისაც, მათი ქართული ფრთისაც და ნოე ჟორდანიასიც, გულდაწყვეტით აღნიშნავდა კონფერენციის უკანასკნელ დღეს – 7 აპრილს:

– სურვილი იყო, რომ სოციალ-დემოკრატებს ეკისრათ ჩვენი პროგრამის გარჩევა.

ფარისევლურ ფანდს ვერავინ დასწამებდა. ყველას კარგად ახსოვდა, როგორ სთხოვდა განაწყენებულ ჟორდანიელებს დარჩენას – დაე ეტრიალა ამ გარემოში მათ განსხვავებულ შეხედულებებსაც, რაც უფრო გაამძაფრებდა კონფერენციის შინაარსს და ანარქისტებსა თუ „საქართველოისტებს“ დამატებითი არგუმენტების მოშველიებას აიძულებდა.

მაშინ ვარლამ ჩერქეზიშვილიც ამოუდგებოდა მხარში არჩილს, მასთან ერთად სთხოვდა, ნუ მიგვატოვებთო. და ახლა მასაც გაუადვილდებოდა თავის მართლება – ანარქისტთა ლიდერს: რა ვუყოთ, აქ არ არიანო.

კონგრესის ბოლო დღეს ის კითხვა უნდა გადაეწყვიტა – შეიძლება თუ არა, რომ გაზეთი „საქართველო“ ყოფილიყო კონფერენციის მონაწილე ფრაქციების შეხედულებათა გამომხატველი?

და კიდევ:

ამიერიდან ვინ უნდა ყოფილიყვნენ კონფერენციის მონაწილენი – კვლავ ცალკე არსებული ფრაქციები თუ გაერთიანებულნი ან შეკავშირებულნი ერთ პოლიტიკურ ორგანიაზციად?

ანარქისტთა საერთო თვალსაზრისს ალექსანდრე გაბუნია გამოთქვამდა: თუ მუშათა ორგანიზაციას საკუთარ თავზე აიღებთ, თუ მიწის სოციალიზაციას გაიზიარებთ,თუ იქადაგებთ ავტონომიისა და ფედერაციის საჭიროებას, თუ „საქართველო“ ამ ყოველივეს გაითვალისწინებს თავის პროგრამაში, მაშინ კონფერენციის საბოლოო მსჯავრი ის იქნება, რომ გაზეთი „საქართველო“ მისი მრწამსის გამომხატველიაო.

ეს ყოველივე ჩამოთვლით უნდა ჩამოთვლილიყო ფორმულებად, თორემ „საქართველოელები“ პირწმინდად რომ იზიარებდნენ ამ გზებსა და მიზნებს, გაზეთის ფურცლებიდანაც მკაფიოდ ჩანდა, კონფერენციაზე მათი გამოსვლებიდანაც და რეზოლუციიდანაც.

რაღა დარჩენილიყო.

ბარემ გაფორმებულიყო ის, რაც ამდენი ხანია გულშიც უღვიოდათ და ხშირადაც ახსენებდნენ, რისთვისაც გადმოხვეწილიყვნენ ამსიშორეს და კონფერენციის გამართვა რისთვისაც მოეწადინებინათ.

და, აი, ვარლამ ჩერქეზიშვილი:

– თანახმა ხართ თუ არა, თქვენ უწოდოთ თქვენს ორგანოს: ორგანო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა.

პასუხად გიორგი დეკანოზიშვილი:

– თუკი ჩვენ თქვენთან ერთად ხმა მივეცით კენჭისყრაში, ამით დავამტკიცეთ, რომ თქვენი თანახმანი ვართ.

და, ცხადია, არჩილ ჯორჯაძე:

– ჩვენს ორგანოს სახელის შესახებ აქ გამოთქმული სახელწოდების წინააღმდეგი არაფერი მაქვს რა. მით უმეტეს, რომ ჩვენი განზრახვა იყო განსაზღვრულ სახელით მოგვენათლა ჩვენი ორგანო.

ასეც აღინიშნებოდა ამ პოლიტიკური თავყრილობის ბოლო რეზოლუციაში:

„საქართველო“ გამოცხადდებოდა კონფერენციის აზრთა გამომხატველ ორგანოდ და, თანახმად რედაქციის წინადადებისა, დაერქმეოდა „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო“

ოქმების ჩაკითხვისას მოულოდნელი მოჩანს „პარტიის“ ხსენება?

თითქოს არაფრითაა შემზადებული და ასე უცრად კი...

არადა, რა აუცილებელი გახლდათ აფიშირება იმისა, რაც ისედაც ხელშესახებად გამოსჭვივის სტრიქონსა და სტრიქონს შუა.

ბოლოსდაბოლოს, პარტიის კომიტეტის შექმნას თვითონ პარტია აღარ უნდა მოჰყოლოდა?

ყურადღებას მიაქცევდით:

ხშირად ახსენებენ მაშინ, როდესაც შორს ილანდება ეს ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია.

და როდესაც ხელის გაწვდენაზეა, დუმილს ამჯობინებენ.

მეტყველი ფსიქოლოგიური შტრიხია.

სტოიკური თავშეკავება ახალი სამოსით ასპარეზზე გამოსვლის წინ.

ისევ ისინი არიან, მაგრამ... აღარც არიან ისევ ისინი.

განსაზღვრული სახელით მოგვენათლაო...

ნათლობა ვარლამ ჩერქეზიშვილს ეტვირთა და ახალი პარტია ბლოკური ყაიდისა გამოდიოდა: „საქართველოლებთან“ ერთად აქ გაერთიანდებოდნენ ანარქისტებიც, ესერებიც, ეროვნულ-დემოკრატებიც და უპარტიო პატრიოტებიც.

ყველა – ვინც ესწრაფოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ოღონდ აუცილებლად ავტონომიურობის საფეხურიდან.

კონფერენციის შეჯამებასაც ნათლიას მიანდობდნენ და ისიც ისეთი მგზნებარებითა და რწმენით დააგვირგვინებდა ერთკვირიან თავყრილობას – დამშვენებულს შთამბეჭდავი ფინალით – თვალნათლივია, რომ ამ გამოცდილი პიროვნებისთვისაც რაღაც ახალი იწყება ქვეყნის ცხოვრებაში, ნიშანსვეტივით გამოკვეთილა და ილუზიას ნაკლებ ჰგავს, თორემ ილუზიების შემსწრე იმდენჯერ ყოფილა, ადვილად არ შეიძლება ცდუნებულიყო.

ბატონებო, გისურვებთ გამარჯვებასო, – პათეტიკა შემოერეოდა მის სიტყვას, მოწოდებას რომ დაემგვანებოდა, და მოწოდება კი იმისაა: ქართველმა ფედერალისტებმა მშრომელ ხალხთან ერთად დროზე აღმართოთ აჯანყების დროშა დესპოტიზმის წინააღმდეგო.

კონფერენციის ნაყოფიერ დაბოლოებასაც მიულოცავდა და იმ აღტაცებასაც გაუზიარებდათ, რომ – ბევრ ამგვარ ყრილობაზე დამსწრეს – იშვიათად შეხვედროდა ამისთანა ერთსულოვნება და ერთმანეთის პატივისცემა, როგორიც ამ კონფერენციაზე იხილა.

და ბოლო აკორდი:

– ჩვენს მიერ წამოყენებული და განმარტებული კითხვები დღეისიქით აერთებენ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს ევროპის სოციალისტების ფრაქციებთან. გისურვებთ მომავალშიაც გამარჯვებას.

მიხაკო წერეთელი ცოტა არ იყოს ირონიული ღიმილით გაიხსენებდა ხოლმე კონფერენციაზე ანარქისტთა გამოსვლებს – ვარლამ ჩერქეზიშვილის, კომანდო გოგელიასა და თავის საკუთარ მოხსენებებს: სოციალურ რადიკალიზმს შეიცავდნენ, ან შორეული იდეალის განხორციელების ოცნებას, ან სულაც არაფერს ანარქისტულს, არამედ წმინდა, ეგრეთწოდებულ, დემოკრატიზმსო.

მაშ რა წარმართავდა ყრილობის შინაარსსა და მის ნიშანსვეტობასაც რა განსაზღვრავდა?

– პრაქტიკული მოღვაწეობის ფორმულები გიორგი დეკანოზიშვილისა და ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური აზრები არჩილ ჯორჯაძის სინამდვილეს ეყრდნობოდნენ და იყვნენ ნათელნი, უშუალო მოქმედებისათვის გამოსადეგნი.

ამავე თვალსაზრისს სხვაგვარადაც გამოთქვამდა:

აქ იყო თავმჯდომარე კონგრესისა გიორგი დეკანოზიშვილი და სული კონგრესისა არჩილ ჯორჯაძე, და მათ მისცეს კონგრესს ის მიმართულება, რომლისაგანაც შეიქმნა – „საქართველოს რევოლუციონური სოციალ-ფედერალისტური პარტია“.

თავი მეთხუთმეტე

კარდუს აჩრდილი და რევოლუციის სუნთქვა

გაგონებით მანამდეც არაერთხელ სმენოდა არჩილის სახელი, პირველად კი 1901 წელს გაიგონებდა პარიზში – იმისი მეგობრები, თედო სახოკია და ალექსანდრე გაბუნია, ყოველთვის სიყვარულით იგონებდნენ და მიხაკოს ამცნობდნენ, რომ არჩილ ჯორჯაძე ერთხანს გატაცებული იყო ანარქისტული იდეებით და ტოლსტოიზმსაც იმიტომ თანაუგრძნობდა, რომ ისიც ანარქიზმის ერთ-ერთ განშტოებად წარმოდგებაო.

მიხაკო ნერეთელი წინა წელს ჟენევაში ყოფნისას ძლიერ დაეინტერესებინა ანარქისტულ მოძრაობას, პარიზში ყოფნისას კიდევ უფრო გაზრდოდა სიმპათია ამ მოძღვრებისადმი და ნატვრით ინატრებდა არჩილთან შეხვედრასა და საუბარს, როგორც ნაანარქისტალთან, რათა ღრმად ჩაკვირვებოდა მის შეხედულებებს ანარქიზმის, სოციალიზმისა და მსგავს მოძრაობათა შესახებ.

ეგაა, ტოლსტოველობასა და არჩილ ჯორჯაძეს ვერაფრისდიდებით ვერ აკავშირებდა ერთმანეთთან, რადგანაც ქართველი კაცის ბუნებისათვის ეს მოძღვრება სრულიად შეუთავსებელი ეჩვენებოდა. ნაციონალიზმსა და ანარქიზმის მორიგება არ აკვირვებდა და ამიტომაც მიელტვოდა ამ მოძრაობას, მაგრამ ტოლსტოველობა?.. მით უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო არჩილთან საუბარი, რა საბუთებს მოიშველიებდა და რამდენად მარჯვესა და სარწმუნოს. და რატომ ექცია ზურგი ტოლსტოველობისათვისაც და ანარქიზმისათვისაც, არც ამას დაუფარავდა... მაგრამ მათი შეხვედრა თურმე ჟენევის კონგრესამდე უნდა გადადებულიყო.

გიორგი დეკანოზიშვილს კი გაიცნობდა, პარიზში ახალჩამოსულს, და მისგან შეიტყობდა, თუ რა ხდებოდა საქართველოს ნაციონალისტურ წრეებში. აღიტაცებდა ის ცნობა, რომ იქ საკმაოდ განმტკიცებულიყო აზრი ქართული ეროვნული მოქმედი ორგანიზა-

ციის, პარტიის შექმნისაც და საქართველოს საკითხის გამოტანის აუცილებლობისაც საქვეყნოდ.

– ეს სრულიად ახალი რამ იყო ჩვენ ცხოვრებაში, უდიდესი მნიშვნელობისა.

იმთავითვე იგრძნობდა ამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ინტერპარტიული კონგრესი როგორ გამორჩებოდა – იმხელა იმედს უკავშირებდა მის გამართვას, სული უსწრებდა, რაღაც ძალიან გაჭიანურდაო.

იქ უკვე ანარქისტული მოძრაობის თვალსაჩინო სახელად წარდგებოდა.

საპასუხისმგებლო დავალებისთვისაც ამიტომ შეარჩევდნენ.

არჩილს პირადად კონფერენციაზე გაიცნობდა.

დამეგობრობითაც მაშინვე დამეგობრდებოდნენ.

პირველი შთაბეჭდილების ლაკონურ მონახაზში რამდენიმე თვისებასა თუ ნიშანს გამოარჩევს:

– ჩემ წინ იდგა მშვენიერი ვაჟკაცი, ტიპიური ქართველი არისტოკრატი, ევროპიულად განათლებული, მაგრამ სრული ქართველი, აღსავსე კახური ჰუმორითა.

ერთადერთია მიხაკო წერეთელი, ვინც არჩილ ჯორჯაძის იუმორის ნიჭს აღნიშნავს – არც გამორჩენია და საგანგებოდაც შემოგვინახავდა, თორემ დაფარული დარჩებოდა მისი პიროვნული ბუნების ეს ერთ-ერთი არსებითი თვისება. ნაწერებში არსად გაიელვებს ეს უნარი, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მათი შემოქმედი გაღიმებითაც არ იღიმებოდა – სატირა, ირონია, სარკაზმი არ არის ნიშანდობლივი მისი პუბლიცისტიკისათვის. თეორიული განსჯანი მითუფრო ძნელად ჰგუობს ამ სტილისტიკას, ბელეტრისტიკაში არაფერი შეუქმნია, თორემ აქ ალბათ იჩენდა თავს, „კაციადამიანისა“ თუ „კვაჭი კვაჭანტირაძისა“ არ იყოს. ისედაც ილია ჭავჭავაძესა და მიხეილ ჯავახიშვილს შორის მიუჩენდა ადგილს ლიტერატურის ისტორია – მრწამსით, მსოფლგანცდით, სულიერი სივრცითა და განცდის სიმძაფრით.

რას ვიფიქრებდით.

მაგრამ მიხაკო წერეთელია მოწმე. ასეთ სანდო მოწმეს კი ყოველთვის სად იშოვნის!..

ხუმრობა იმასაც ჰყვარებია და ამ მხრივაც ძალიან შეთვისებულან.

იუმორი იუმორად და პაროდისტის ნიჭიც არა ჰკლებია არც ერთსა და არც მეორეს. თვითონაც იცინოდნენ და სხვათაც ახარხა-

რებდნენ. ეჯიბრებოდნენ კიდეც ერთმანეთს მეგობართა ხმის წაბაძვაში. მიხაკოს ყოველთვის ესახელებოდა ეს შეჯიბრი და ეამაყებოდა, რომ არჩილს არ დაუვარდებოდა. ერთადერთ შემთხვევაში აღიარებდა მის უდავო უპირატესობას – გიორგი დეკანოზიშვილის გამოჯავრებაში.

– მართლაც, ისე ჰბაძავდა, რომ გიორგი გეგონებოდათ, თუ მარტო ხმა გესმოდა და ვერ ხედავდი მოლაპარაკეს.

ეს ხალისიანი წუთები ხანდახან მოგვიანებითაც გამოერეოდათ. მძიმედ დაავადებული არჩილი ამიტომაც დგებოდა ყოველთვის კარგ გუნებაზე, მიხაკო წერეთელი რომ მოინახულებდა. ერთბაშად ავიწყდებოდა, სიკვდილის აჩრდილი რომ ჩასაფრებოდა იქვე, თავთით, და მიბინარებული და თვალებმილულულიც მაშინვე წამოიწევდა და გამოექილიკებოდა. სუნთქვა უძნელდებოდა, ხველა ამოსდევდა სიტყვებს, მაგრამ აღარას დაგიდევდა და აუცილებლად ვინმეს გამოაჯავრებდა. ამყევიო, – ანიშნებდა, და ისიც, ნაღველშემორეული მიმქრალი მეგობრის ხილვით, უკუყრიდა სევდას და შეჰყვებოდნენ და შეჰყვებოდნენ, ხან ვის გადაწვდებოდნენ და ხან ვის – მონატრების ჭიასაც ამით იკლავდნენ. გაასხივოსნებდა არჩილის სიცოცხლის მიმწუხრს პაროდიული სცენები, რომლის გვირგვინადაც გიორგი დეკანოზიშვილის ნომერს ინახავდა, რასაც უნდა დაერღვია შეჯიბრის წონასწორობა და მიხაკო წერეთლისათვის ხელები აეწევინებინა – ასე მგონია, მართლა გიორგი გამოგვეცხადაო.

ყველამ იცოდა, სულ უფრო და უფრო რომ ერეოდა ჭლექი.

ჯერ ისე არ ეტყობოდა, თვითონ არ შეიტყობდა და მისი ენერგიის შემხედვარენი ძნელადაც ირწმუნებდნენ, სნეულებას ასე რომ გაეთანგა. მალე მოვიდოდა ის დრო, საგანგებო მკურნალობა რომ დასჭირდებოდა და „საქართველოსაც“ ჩამოსცილდებოდა, რაკიღა დაძაბუნებული სხეული ამხელა ჯაფას აღარ დაანებებდა. ყველაფერს ვეღარ გაწვდებოდა. ვერ გაჭრიდა ვერავითარი მკურნალობა და სულაც აგონიაში მოუწევდა უკანასკნელი ნაშრომების შექმნა. არც თვითონ დაინდობდა თავს, არც მეგობრები თუ თაყვანისმცემელნი მოასვენებდნენ – მოესწრო, რაც მისი ხელიდან უნდა შემოგვრჩენოდა. ასე გაჰხვევდნენ დიმიტრი ყიფიანის საარქივო მასალებსა და ცხოვრების მღელვარებაში და ასე შესძენდნენ ქართულ კულტურასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფას ამ მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებას. ასე გაჰხვევდნენ ილია ჭავჭავაძის სარაქივო მასალებსა და ცხოვრების მღელვარებაში და... ასე

დარჩებოდა დაუწერელი ეს ცხოვრების ქრონიკა, შეუცვლელ წიგნად რომ უნდა შემორჩენოდა ჩვენს ცნობიერებას. ის დაკვირვებანი, მეტად საგულისხმო და ფასეულნი, რაც ილიას შესახებ მიმოფანტულიყო მის პუბლიცისტურ-პოლიტიკურ თხზულებებში, ამჯერად ისეთი კუთხიდან და ისე საკმაოდ შეივსებოდა, მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებას რომ შეჰფერის და ფსიქოლოგიური პორტრეტიც ისე ხელშესახებად, ისე რელიეფურად გამოიკვეთებოდა...

არჩილ ჯორჯაძე ხომ იმ მოვლენად შემორჩებოდა, რომელთა ნაღვაწზე არანაკლებ ჩანაფიქრები გვხიბლავს – აღუსრულებულნი, ჩამქრალნი, ჰაერში მიმობნეულნი. მაინც დამაფიქრებელია იმის ძიება, რა ასულდგმულებდათ, რას ესწრაფოდნენ, მომდევნო თხზულებებად რა განეზრახათ... ჩვენ რა უნდა მოვისაკლისოთ... რაზე გვწყდებოდეს გული...

და საიდან ამოვავსოთ გაწყვეტილი ძაფები...

ჯერ მტკიცედ ტრიალებდა პუბლიცისტთა თუ პოლიტიკოსთა წრეებში.

წუწუნი არა სჩვეოდა, მაგრამ უახლოეს ადამიანებთან ხანდახან როგორ არ დაცდენოდა სამდურავი, ისიც იმიტომ, დღეები რომ ძალიან სწრაფად მიქროდნენ და ვაითუ ბევრი არაფერი დაცლოდა, ასე რითაც შეპყრობილიყო.

მიხაკო წერეთელს რაკიღა ასე შეთვისებოდა, გულსაც გაუხსნიდა:

– მე დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს, მაგრამ რა ვუყოთ, არ მრჩება არც ცოლ-შვილი, არც დიდი სიმდიდრე, არც დიდი სიყვარული. ჩვენი ერი პატარა ერია, იგი მძიმე პირობებში იბრძვის არსებობისათვის და ფართხალებს. მას უნდა ვემსახურო, სანამ ცოცხალი ვარ, მეტი არა დამრჩენია რა.

როგორ ნათლად აქვს თავისი მოღვაწეობის გეგმა წარმოდგენილიო, ეს განცდა არა ტოვებდა მიხაკო წერეთელს, როდესაც არჩილს უგდებდა ყურს, – ამის აღსრულებას ჭლექით შეპყრობილ ადამიანს მხოლოდ გიგანტური სულის სიმტკიცე თუ შეაძლებინებსო.

ცოლ-შვილი არა მრჩებაო...

ჯერ ოცდათექვსმეტი წლისაა, მაგრამ თავი უკვე გამოუტირებია და არც იმ სიფრთხილით გამოირჩევა, იაკობ გოგებაშვილს რომ სჩვეოდა და ყოველი ნაბიჯი ისე გამოეზომა, გაყინავდა უღმერთო სენის შემოტევას. ფათერაკიანი ცხოვრება არაფრისდიდებით არ დაანებებდა არჩილ ჯორჯაძეს, რაც შეიძლება გაფრთხილებოდა

საკუთარ ჯანმრთელობას. თავი გადაეღო, ოღონდ ის კი არ სურდა, ცოლ-შვილის ცოდვაშიც ჩამდგარიყო. მემუარისტებს არსად ჩაუნიშნავთ, რომ სწორედ სნეულების მიზეზით არ მოჰკიდებოდა არჩილ ჯორჯაძე ოჯახს – შთამომავლობა ვერ გაემეტებინა ამავე ავადობისათვის, თუმც ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სწორედ ეს მოტივი წარმართავს მის გარიდებას ქალებისაგან – იაკობ გოგებაშვილივით, ვინც გადაწყვეტით გადაწყვეტდა ოჯახზე უარის თქმას და გულში დადებულ ამ პირობას არც დაარღვევდა, მაგრამ ისე, აბა, როგორ იქნებოდა, გულდაწყვეტა არ გამოეხატა, უშვილძიროდ გადაგება რომ ემუქრებოდა.

ეს წუხილი არც არჩილს მოასვენებდა.

ამ სამდურავში მარტო მისი ცხოვრების ტრაგიზმი არ ცნაურდება, ქართველი მოღვაწის ბედისწერაა ნაგულისხმევი – ყველაფერი ქვეყნის სამსხვერპლოზე, არსებობისათვის მოფართხალე ერისა.

ეგაა, სიყვარულისკენაც მოჭროდა გზა.

ის ერთი შემთხვევა არ იქნებოდა მის ბიოგრაფიაში, ვიღაც ქალი რომ გადაეკიდებოდა პარიზში და თაიგულს თაიგულზე უგზავნიდა, ხილს ხილზე და შამპანურს შამპანურზე. მემუარისტებს მხოლოდ ეს შემთხვევა შემოუნახავთ, მაგრამ, ვინ იცის, რამდენს შევარდნია გული მასზე, რამდენი ქალის საოცნებო გამხდარა.

მხოლოდ გაერიდებოდა.

თუ აუცილებელი შეიქნებოდა, სულაც გაექცეოდა.

და სინანულს კი ამ ამოკვნესას გაატანდა თან:

არც დიდი სიყვარული მრჩებაო.

თუმც... მთლად ასეც არა ყოფილა.

არა, არ იყო ასე.

გარდაცვალების შემდეგ გამომზეურებული პირადი ბარათები სულ სხვა შთაბეჭდილებას გვიქმნის, დარჩენოდა თუ არა ამქვეყნად დიდი სიყვარული.

ცოლ-შვილი არა მრჩებაო, – შესჩიოდა მიხაკო წერეთელს.

ჟენევის კონფერენციიდან კი ერთი ფოტოსურათიც შემოგვენახებოდა.

ფოტო ფოტოდ და გრიგოლ რობაქიძე მას რომ დაჰყურებდა, ძალაუნებურად გაუჩნდებოდა სურვილი, არამარტო გარეგნულად აღეწერა, არამედ უაღრესად დაწურული და ტევადი ფსიქოლოგიური სილუეტი წარმოესახა იმ ექვსი პიროვნებისა, რომელთაგან სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია და ვარლამ ჩერქეზიშვილი იდ-

გნენ, არჩილ ჯორჯაძე და მიხეილ წერეთელი ისხდნენ, ამ ორს შუა, დაბლა კი გიორგი დეკანოზიშვილი ჩამომჯდარიყო.

„გრაალის მცველნის“ შემოქმედი ჯერ კუთხური წარმომავლობით გამოარჩევდა თვითეულს:

ორი კახელი – ჩერქეზიშვილი და ჯორჯაძე, ერთი ქართლელი – დეკანოზიშვილი, ერთი მეგრელი – გაბუნია, ერთი გურული – გოგელია და ერთიც იმერელი – წერეთელიო.

მერე პოლიტიკური მრწამსით:

დეკანოზიშვილი და ჯორჯაძე – ნაციონალისტები, ჩერქეზიშვილი, გოგელია, წერეთელი და მგონი გაბუნიაც – ანარქისტებიო.

მერე ეროვნული ფსევებით:

ექვსი ქართველი – თვითეული მათგანი დიდი კარდუს ხალასი ფშანიო.

კარდუს ხსენება, გრიგოლ რობაქიძისათვის ამ უძვირფასესი ცნება-სიმბოლოსი, ყოველივეს ძირისძირობამდე ათვალსაჩინოებს.

ნათელია, რა სულიერი სიმაღლისა და იდეალის პიროვნებათა გამოსახულებებს დაჰყურებს.

ახლა უკვე შეიძლება – ამ გადმოსახედიდან – ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებანი უაღრესი ლაკონურობით მიეწოდოს მკითხველს.

და კიდეც:

ვარლამი – დათუთქული „ქართლის ბედით“, სიმწარეს ოდნავ მონაქროლი ღიმილით იქარვებს.

გიორგი – ურყევი და უტეხი, სჯერა ყველაფერს გადაიტანს.

არჩილი – დაღვენთილი უძირო სევდით, ოღონდ არა სასომიხდილი.

კომანდო – ამაყი, შინაგანი, თავის თავში დაჯერებული, უზადო შუბლით, „ჩახედული“.

სანდრო – გამჭრიახი, ინტუიტივი.

მიხეილი – მოშვილდული, როგორც ჯეირანი ციცაბო კლდის პირას, თუ დასჭირდა, უფსკრულს გადაევლება თავს.

ისე როგორ იქნება, კვლავ „კარდუ“ არ განმეორდეს, გრიგოლ რობაქიძისთვის ასე მოუწყინარი:

ექვსს ქართველს, – გრძნობთ ამას, – მცველად კარდუს აჩრდილი აფარებია. მარჯისათვისო.

რაკილა იმ ხალას ფშანს არ მოწყვეტილან, მფარველადაც ის უნდა ეგულებოდეთ. იქ, სივრცეებში გრიგოლ რობაქიძეც მათი სულიერი

თანაზიარია, თუმც უშუალო ურთიერთობა ყველასთან არა ჰქონია. ცხოვრების მდინარებას ისე მოუტანია, რომ ვარლამს მხოლოდ გაკვრით იცნობდა, გიორგი არც უნახავს, სანდროსათვის თვალი მოუკრავს, კომანდოსთან ერთი საღამო გაუტარებია პარიზში, არჩილთან კი დაახლოებული ყოფილა ფრიად და მიხეილსაც დამეგობრებია.

აღტაცებულ, ჰეროიკული სულით გაჟღენთილ ჩანაწერს წუხილი ამთავრებს, რომ აღარც ვარლამია ამქვეყნად, აღარც გიორგი, აღარც არჩილი, აღარც კომანდო, სანდრო ცოცხალია თუ არა, აღარც იცის, ერთადერთი მიხეილი შემორჩენია საწუთროს და, ვიდრე მის სახელს წარმოთქვამდეს, რუსთაველური ასოციაცია უნდა გამოიხმოს: ვა, სოფელო, რა შიგან ხარო.

44 წელი მიჰყოლოდა თან კონფერენციის დღეებს და გრიგოლ რობაქიძე, ჟენევას თავშეფარებული, მიხეილ წერეთელს რომ ეხმიანებოდა და მეორე მსოფლიო ომის მღელვარებებითა და საქართველოს გამოხსნის ამაო ოცნებით დამწუხრებული გულის დაამებას ცდილობდა, ამ ფოტოსურათის თვალიერებაშიც ეძიებდა შვებას და მის მიღმა კარდუს აჩრდილს შესცინოდა – გული ასე იოლად არ გამტეხიაო. ეს გული იყო, გონების ეჭვს – კონფერენცია ნაციონალისტთა და ანარქისტთა? გაგონილა სადმე ასეთი შეთავსებაო? – იმთავითვე რომ არ იზიარებდა და იდუმალი ხმით კარნახობდა, ოდესმე უფრო ღრმად თუ ჩაუკვირდები ამ თითქოსდა უცნაურობას, ჩემგან მონაქროლი განცდა გონებითაც გამართლდებაო.

აგერ გამართლებულიყო.

მართლაცო – გულის მონაბერს აღარც გონება გადავიდოდა – თუ მოიშლებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ – ანარქიზმის მიზანი რაცაა – მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამუტივით თავს აწვა საქართველოს, დაიმხობოდა სახელმწიფოებრივი მხრით და, როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქებდა.

ამჯერადაც ცხადდებოდა დაფარული და გრიგოლ რობაქიძე გაიხარებდა, ნაციონალისტთა და ანარქისტთა ერთიანობა, უცნაურობის ნაცვლად, საესებით გააზრებულ და კანონზომიერ მოვლენად რომ წარმოუდგებოდა.

ამიტომაც დასძენს:

აი, ქვეშეცნეული ხაზი ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიკური ბრძოლისა, ხაზი, რომელიც, ჩემი წვდენით, გეზად გახდა ჟენევის კონფერენციისაო.

ვარლამ ჩერქეზიშვილს გამოაცალკევებს, როგორც ყველაზე დიდ ავტორიტეტს იმ პოლიტიკური ყრილობისა, თუმც პოლიტიკური ბრძოლის ეს ქვეშეცნეული ხაზი – ცხადია, ანარქისტული მოძრაობის მეწინავისგანაც დიდად მოწონებული – და მისით განმსჭვალვა ინტერპარტიული შეკრებისა გიორგი დეკანოზიშვილისა და არჩილ ჯორჯაძის სახელებს უფრო უნდა უკავშირდებოდეს, როგორც კონფერენციის მთავარ შემოქმედთა, და კიდევ უფრო – არჩილ ჯორჯაძის, როგორც იდეოლოგის.

„ჩემი წვდენა“, როგორც ჩანს, დაფარული მოტივის ამოსაცნობად კმაროდა, თორემ მისი მთავარი ავტორის ვინაობის ამოსაცნობად – არა და არა.

ეს მაშინ, თუ მაინცდამაინც ჩავეძიებით, თორემ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის ხსენება ამ ქვეშეცნეული ხაზის თაობაზე მსჯელობისას არც დიდი რამ შეცდომაა და არც გასაკვირი. მისი მოღვაწეობა – ცხოვრების წესი თუ პოლიტიკური და პუბლიცისტური გამოსვლები – დიდ ზეგავლენას მოახდენდა მაშინდელ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ აზრზე და არჩილ ჯორჯაძეც ძალიან აფასებდა და ყოველთვის ითვალისწინებდა მის შეხედულებებსა და დაკვირვებებს. თავისი თვალსაზრისების სისტემაც ამ პიროვნების გავლენითაც შეემუშავებინა და, როდესაც ჟენევის კონფერენციას ამზადებდა გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად, წინასწარი შეთანხმებანი ცალკეულ დეტალებსა თუ საერთო სულისკვეთებაზე დიდად არც დასჭირდებოდა ვარლამ ჩერქეზიშვილთან – იოლად მიუხვდებოდნენ და გაუგებოდნენ ერთმანეთს.

და მაინც – მთავარი იდეოლოგი მთავარი იდეოლოგია და ქვეშეცნეული ხაზის განსაზღვრა უნებურად ნუ ჩამოერთმევა.

ის გარემოება, რომ „ფრიადი დაახლოებისა“ და უამრავი საუბრის ჟამს არჩილ ჯორჯაძეს არასოდეს არაფერი წამოცდებოდა თავის გამორჩეულ წვლილზე, და როდესაც გრიგოლ რობაქიძე ნაციონალისტთა და ანარქისტთა თანხმობის უცნაურობას ახსენებდა, პასუხად მხოლოდ გაიღიმებდა გულღია, კეთილი ღიმილით, რაც გულისხმობდა, ამოსაცნობი აქ არც არაფერია, ჩაუკვირდი და მიხვდებიო, ამ პიროვნების იშვიათ თავმდაბლობას მეტყველებს, თავმდაბლობას მხოლოდ.

მიხაკო წერეთლისათვის ეკითხა. ის გაარკვევდა იმ მოვლენებში, ქვეშეცნეულ ხაზებსაც ის გადაუშლიდა თვალწინ.

ეკითხებოდა და ეგაა, როდესაც იმ ფოტოსურათს დაჰყურებდა და კონფერენციის იდეური საყრდენის ამოცნობა-დაზუსტებას ესწრაფოდა თავისი „წვდენით".

სული კონგრესისა არჩილ ჯორჯაძე – ყველაფრის პასუხად ეს გამოდგებოდა.

რამდენს ვხუმრობდით და ვიცინოდითო, – გაივლებდა გულში მიხაკო წერეთელი და კიდევ ერთხელ წყდებოდა გული, რომ ბევრი სახალისო წუთი არ წაჰყოლია არჩილს, და არც წაჰყოლოდა, ისიც იმ უძირო სევდის ემბაზში ამოვლებულიყო, გრიგოლ რობაქიძე რომ გაგვაფრთხილებდა: სასოწარკვეთაში ნუ აურევთ, უძირო სევდა უძირო სევდააო.

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა ემიგრანტული გამოცემა „რევოლუციონნაია როსსია" ჟენევის კონფერენციასაც რომ მიესალმებოდა და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შექმნასაც, ამ აქტს გაბედულ, რევოლუციურ ნაბიჯად შეაფასებდა და რეზოლუციებს დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებად, მომავლის პერსპექტივას ასე ივარაუდებდა: სრული ავტონომია და ერთა შორის ფედერაციული კავშირის განმტკიცება თავდები იქნება სოციალისტური მოძრაობის ზრდისა და განვითარებისაო.

სამაგიეროდ, კობა ჯუღაშვილი გაღიზიანდებოდა და ირონიის გუნებაზეც დადგებოდა: უჯაროო ოფიცრებიო.

ეს უჯაროობა კი – მის შეფასებით – იმისი ბრალი გახლდათ, რომ პროგრესული არაფერი შეიმჩნეოდა ამ პარტიის ევოლუციაში, მისი ბუნება და სოციალური მრწამსი იმთავითვე აცდენილიყო ხალხის სულისკვეთებას, შორს იდგა მუშათა ინტერესებისაგან და, აბა, მის მოვლინებასა თუ ოფიციალურ გაფორმებას რა სიკეთე შეიძლება მოეტანა ქვეყნისათვის?

„საქართველოც" ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს გამოხატავდა და სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაც, რომელნიც სოციალისტურ ფრაზეოლოგიას მოჩვენებითად იყენებდნენ, რევოლუციური პროლეტარიატის გულის მოსაგებად და გადასაბირებლად ებღაუჭებოდნენ. ეროვნულ-დემოკრატები და „საქართველოელელები" ერთი და იგივე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გუნდი გახლდათ და, როდესაც ეროვნულ-დემოკრატთა რეაქციულ-უტოპიური მოწოდება რევოლუციური პროლეტარიატისადმი, გაერთიანდით თანამემამულე ბურჟუაზიასთან და ერთიანი ძალით ააშენეთ კაპიტალისტური საქართველოო, სასტიკად

ჩაფლავდებოდა, ეროვნულ-დემოკრატები თავიანთ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მოძღვრებას ცრუსოციალისტური ფრაზეოლოგიით შენიღბავდნენ.

ესეც არჩილ ჯორჯაძისა და მის თანამოაზრეთა იდეური მრწამსი და მოქმედების გეზი და მიზანი ბოლშევიკური სამზერიდან.

ერთხელ ხომ გაგაძევეს ბრძოლის ველიდან სოციალ-დემოკრატებმაო, – ნიშნს უგებდა სოციალისტ-ფედერალისტებს რუსეთის მომავალი იმპერატორი და, თუმც სახელდებით არ მოიხსენიებდა, არჩილ ჯორჯაძეს ეჯავახებოდა, მის საერთო ნიადაგის თეორიას უარყოფდა და უმტკიცებდა: ქართველმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა და ამოიცნეს, რომ „საქართველოისტების“ სახით მათ წინაშე ცრუსოციალისტურ სამოსში გადაცმული ბურჟუა-ნაციონალისტი ეროვნულ-დემოკრატები იდგნენო.

არარსებული, აბსტრაქციებში გახვეული ქართული პროლეტარიატის სახელით ერჩივნა ყველდრება-დამუნათება, ის ფანდი მოეწონებინა, რაც მის პოლიტიკურ გზაზე ყოველთვის მეკავშირედ იქნებოდა – ხალხის სახელით, პროლეტარიატის, მუშათა კეთილდღეობის რწმენით... თვითონ კი მხოლოდ აღმსრულებელი გახლდათ ხალხის სურვილისა, ჩაგრულთა მხსნელი და მიწიერი ედემისაკენ მასობრივი სვლის წინამძღოლი.

სწორედ ის არარსებული რევოლუციური პროლეტარიატი მიხვედრილიყო თურმე, რომ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს ფერი ეცვალათ და არა აზრები და გაზეთ „საქართველოსაც“ მხოლოდ სახელი მოერგო სოციალისტური. ვერა, ვერაფერს შველოდათ ნიღაბი, „საქართველოს“ დონ-კიხოტებს ვერც ამჯერად მოეპოვებინათ რევოლუციურ მასათა თანაგრძნობა და დამარცხებულიყვნენ.

პარტია ის-ისაა შექმნილა, მაგრამ უკვე დამარცხებულად მოიხსენიება.

დონკიხოტობა მომავალი იმპერატორის თვალში სათაკილოა, როგორც ჩანს.

თუ დონკიხოტობას მოინდომებ, წინასწარვე უნდა შეეგუო განწირულებას.

დონკიხოტობა მართლაც განწირულია მარცხისათვის, მაგრამ სათაკილოსი რა მოგახსენოთ. ეს ხომ იმ აბელური სულის გამოსხივებაა, რასაც სიცოცხლის გარიჟრაჟზე ერთხელ და სამუდამოდ ასცდა კაცობრიობა, მაგრამ მთლადაც არ მოწყვეტია აბელსა და მისგან ნაწყალობევ სულიერ სწრაფვებს, ამაღლებულ ოცნებებს, საპი-

რისპიროდ კაენური ცივილიზაციისა, გამომშრალი ცხოვრების წესისა, რომელიც თავის დაგვირგვინებას ჰპოვებდა მატერიალისტურ მოძღვრებასა და მისგან დამკვიდრებულ წეს-წყობილებაში – ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში, სადაც ყველა და ყველაფერი იძირება უსასოობასა და ამაოების შეგრძნებაში, შორს კი, ძალიან შორს კიაფობს კომუნიზმის ყალბი იდეალი, პროლეტარიატის მოჩვენებითი ძალაუფლება და კოლექტივიზაციის ცრუ კეთილდღეობა.

არჩილ ჯორჯაძის სულსა და ბუნებაში მართლა თუ იყო რაღაც დონკიხოტური?

იქნებოდა, უსათუოდ იქნებოდა, რაკიღა საერთო მდინარების წინააღმდეგ მიიკვლევდა გზას – ასეთ დროს სხვა რა შეიძლება გაგულიანებდეს, თუ არა აბელური საწყისი, თუნდ დონკიხოტურის საბურველშიც გამოხვეული.

უჯარო ოფიცრებიო...

რაკიღა არჩილი ილუზიებს არ ასდევდა, არც სხვებში ცდილობდა ილუზიათა გაღვივებას – არც თანამოაზრეებსა თუ თანაპარტიელებში და არც თანამგრძნობთა შორის, რომელთაც ჯერჯერობით დიდ ძალად ვერ აღიქვამდა. აბა, რა დიდი ძალა და საყრდენი შეიძლებოდა ყოფილიყო დაქსაქსული ინტელიგენტური ჯგუფები, მოსწავლეთა ნაწილი და დროგადასული გასათხოვარი ქალები?!. ყმაწვილების, შინაბერებისა და სუსტი, მეოცნებე მამაკაცების იმედად განა რა სახელმწიფოებრივი გარდაქმნები იყო მოსალოდნელი!..

არც მთლად ასეა საქმე, მუშათა წრეებშიც გვემატებიან მომხრეებიო, – ატყობინებდათ გიორგი ლასხიშვილი, ვისაც მალე მოუწევდა პარიზში გამგზავრება არჩილ ჯორჯაძის შემცვლელად.

პანთეონის მოედანზე სასტუმრო „დიდ ადამიანებში" რომ დაბინავდებოდა, თავისთვის გაიფიქრებდა: ასეთი სახელწოდება ალბათ იმიტომ ჰქვია, რომ საფრანგეთის დიდებულ პიროვნებათა განსასვენებლის გვერდითაა, თორემ ეს ხომ ქალაქის ყველაზე დემოკრატიული ნაწილია და სასტუმროშიც ღარიბი და უჩინარი სახლხი ბინადრობსო.

საღამოს თედო სახოკია და გიორგი დეკანოზიშვილი რომ მიაკითხავდნენ, გიორგი ახალ ამბებს ამცნობდა და დასძენდა: კონგრესზე დაიგვიანე, ხვალ უკანასკნელი სხდომაა, მე და სანდრო გაბუნია დავესწარით, მაგრამ ხვალ შენ მაინც წადი. არჩილი ცუდადაა, ჟენევის ახლო სოფელ კლარანსში იმყოფება, დღესვე გავუგზავნი წერილს და შენს ჩამოსვლას შევატყობინებო.

ეს უკვე პარიზის კონფერენციაა, რომლის იმ უკანასკნელ სხდომაზეც დაიგვიანებდა გიორგი ლასხიშვილი – რეზოლუციები უკვე წაეკითხათ, ოქმებზეც ხელი მოეწერათ, და ისღა დარჩენოდათ, რომ სათათბიროდ დარჩენილ რამდენიმე კაცს სანდრო გაბუნია მის თავს წარუდგენდა: წუხელ ჩამოვიდა კავკასიიდან ჩემი ამხანაგი გაბისონიაო. საზღვარგარეთ ეს ფსევდონიმი შეერჩია.

ესეც ჩვენი სტამბაო, – თედო სახოკია ერთ კუთხეს მიუთითებდა და გიორგი ლასხიშვილი მიხეილ კიკნაძეს რომ შეხედავდა, ისე შეეუხერხულებოდა, „საქართველოს“ რედაქციას საკმაო ფულს რომ ვერ აწვდიდნენ, არაერთხელ დაუგვიანებდნენ კიდეც და ასოთამწყობიც სხვებთან ერთად ითმენდა გასაჭირს, თითქოს განზრახ გადაევადებინოთ. – არჩილს მაინც თავი აქვს გადადებული იდეისათვის, მაგრამ ასოთამწყობს რაღას ვერჩოდითო, – ისე საყვედურობდა საკუთარ თავს, თითქოს მიხეილ კიკნაძე ძალით გადმოეხვეწათ უცხო მხარეში და ისიც საყვარელ საქმეს არ დასტრიალებდა თავს. თუმც გაჯავრებაც სცოდნია, განა არა. ერთელ ჯამაგირის მიცემა რომ დაჰგვიანებიათ, მიუტოვებია მუშაობა და სტამბიდან გამოვარდნილა. და რაკიღა მთელ ქართულ სტამბას ის განასახიერებდა, ინგლისური გაზეთის რედაქციის შენობაში მისულ არჩილ ჯორჯაძესა და თედო სახოკიას ფრანგი მუშები სიცილ-ხარხარითა და შეძახილებით შეგებებიან:

– თქვენს სტამბაში საყოველთაო გაფიცვაა!

„საქართველოს“ მომდევნო ორ ნომერს ახლა ეს ორნი მოამზადებდნენ – გიორგი ლასხიშვილი და თედო სახოკია. არჩილ ჯორჯაძის მიერ განსაზღვრულ რელსებს გაუყვებოდნენ, თუმც გაყოლაც რომ არ იქნებოდა იოლი და ახალი ძალები გახდებოდა საჭირო, ეს მანამდე უკვე იგრძნობოდა.

შენც ალბათ მალე ჩამომაკითხავო, – სამსონ ფირცხალავას ამიტომაც დაუბარებდა წინასწარვე, თუმც მისი გამგზავრება აღარ გახდებოდა აუცილებელი, რადგანაც რევოლუციური განწყობილება ყოველდღიურად მატულობდა, რაღაც დიდი ცვლილების სუნთქვა სულ ახლოს გაისმოდა და, არამცთუ შევსება „საქართველოს“ რედაქციისა, გიორგი ლასხიშვილიც საქართველოში ჩამობრუნებას ამჯობინებდა – ჩვენმა გაზეთმა თავისი მისია ამოწურა და ჩვენი ყოფნა თბილისში უფრო აუცილებელია, ვიდრე პარიზში, უშუალო ხელმძღვანელობა პოლიტიკური გამოსვლებისა, ვიდრე შორიდან დარაზმვა ხალხისა, მართლა თუ დამრაზველნი ვართ და

კიდეც ვართ, აქამდეც უნდა მოგვეხერხებინა და მოვახერხეთ კიდეც, რაც შეგვეძლოო.

ყველა თავთავისით კი არ გადაწყვეტდა, თუ როგორ მოქცეულიყო. 1905 წლის გაზაფხულზე პარიზის ქართველობა კრებას გამართავდა და ბჭობა-დისკუსიას გიორგი დეკანოზიშვილი ერთი ფრაზით მოსხეპდა:

– საქართველოში – სამშობლოს სჭირიხართ ყველანი!..

„საქართველოს" ერთადერთი ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძეც? ისიც, ცხადია.

მხოლოდ ალექსანდრე გაბუნიას გზავნის მაკედონიაში – იქაური რევოლუციური მოძრაობის გასაცნობად.

და კიდევ:

– შენ ხომ ქიმიკოსი ხარ?

– ქიმიკოსი ვარ, – პასუხობს გაოცებით ალექსანდრე გაბუნია, ნეტა რისთვის გაახსენდაო.

გიორგის უკვე მოუფიქრებია, რისთვისაც: „მაკედონური სისტემის" ყუმბარების კეთება უნდა შეისწავლო, რათა მერე საქართველოში ყუმბარების ლაბორატორია მოაწყო და მასალა მოუმზადო აჯანყებულთო.

თვითონ რას აპირებს?

რას და... პარიზში რჩება.

არავინ ეკითხება, შენ რატომღა არ მოგვყვებიო.

სხვაგვარად ამოუღიათ თვალში რუსეთის ხელისუფლების აგენტებს, ყველგან თან დაჰყვებიან და პარიზშიც არ ასვენებენ. რასაც სხვანი არიდებულნი არიან, გიორგი დეკანოზიშვილს გასაქანს არ აძლევენ და მისი შემობიჯებაც კი იმპერიის საზღვარზე გარდუვალი დაპატიმრებით დასრულდება.

ამასთან, სოციალისტ-ფედერალისტებს გული უგრძნობთ, რომ გიორგი გულხელდაკრეფილი არ იჯდება პარიზში და რაღაც დიდ განზრახვას მოაბამს თავს.

ტყუილუბრალოდ არ უნდა იმეორებდეს – ამბოხების გარეშე არაფერი გამოვა და აჯანყება კი ცარიელი ხელითა და გაფიცვებით ვის გაუგონია, მტერს შეიარაღებული უნდა გაუმკლავდეს კაციო.

მართალი ხარო, – უდასტურებდნენ და სოციალისტ-ფედერალისტური პარტია ამ აუცილებლობასაც იგულისხმებდა თავის პროგრამაში, ეგაა, გიორგის შეაჩერდებოდნენ: შენ იცი, როგორ რას შეიძლებო.

მართალი როგორ არა ვარო, – გულში გაივლებდა, – მთავარია იარაღი მაშოვნინა და საქართველოში შემაგზავნინაო.

რევოლუცია იმ ნაყოფს ვერ გამოიღებდა, რასაც მოელოდნენ, იმპერატორის ტახტის დამხობის მცდელობა მარცხით დასრულდებოდა, მაგრამ შემბოჭველი არტახები ცოტა მობოშდებოდა, ცენზურა აშკარა შეღავათს მისცემდათ, საპროტესტო მოღვაწეობა აქაც აღარ ძნელდებოდა და შორს გადაკარგვა რაღა აუცილებელი გახლდათ. მეამბოხეებს ამოასუნთქებდნენ, ვიდრე რამდენიმე წელიწადში პოლიტიკური რეჟიმი კვლავ გამკაცრდებოდა და გუშინდელ მოჯანყეებს ერთიმეორის მიყოლებით წამოკრეფდნენ და ვის რომელ ციხეში გამოკეტდნენ და ვის სად გადაასახლებდნენ.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციასაც დაარბევდნენ და, ციხე-გადასახლებაში გამწესებულთ, ის ჯავრი ჰკლავდათ, არჩილიც თუ ვერ აცდება დატუსაღებას, ასე დაავადებული იქიდან ვეღარც გამოაღწევსო.

განმეორდებოდა სოლომონ დოდაშვილის ბედისწერა?

* * *

რა ხდებაო, – საკუთარ თავს ეკითხებოდა მიხაკო წერეთელი, – რატომ მარცხდება უფრო ნიჭიერ ნაციონალისტთა პუბლიცისტიკა და იმარჯვებს პუბლიცისტიკა ნაკლებ ნიჭიერი მარქსისტებისა და რატომ რჩება მოქმედების ასპარეზი ერში მარქსიზმს, რომელიც სავსებით ეპატრონება მის სულსა და გულსო?..

ამ კითხვის ახსნას ცდილობდა ვეღარც ის გამოერკვია, თვით ილია ჭავჭავაძის აზრებიც – განმარტოებულ კლდეებივით თავაღერილნი ნაციონალისტურ იდეათა ქაოსში – რატომ არა კმაროდა მარქსიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის დასამარცხებლად.

ილიას აზრთაგან ხომ ათწლეულების ჩავლის შემდეგაც მრავალი რამ გამოდგებოდა სახელმძღვანელოდ და?..

მაშ რა ხდებოდა?

სწორ ახსნად ვითომ ეს გამოდგებოდა?

– მაშინ მას ამ აზრთაგან ერთი მთლიანი და დიდი სისტემა არ მიუცია მებრძოლი ნაციონალიზმისათვის და არც შექმნილა რევოლუციონურ-მებრძოლთა ორგანიზაციები ილიას ირგვლივ და მისი ხელმძღვანელობით.

ან კიდევ ის, რომ მარქსიზმი, ეს ჩამოსხმულ სისტემათა იდეა:

– იყო მებრძოლი, რევოლუციური მოძღვრება, საერთაშორისო სოლიდარობის მქადაგებელი და ამიტომ ძლიერი, და ძლიერადაც მოედვა იგი მთელი კულტურული კაცობრიობის ერებს. თავისი კლასთა ბრძოლისა და კოსმოპოლიტიკური იდეებით რომ იგი დამღუპველი იყო ერთა, ამაზედ მარქსიზმი ცივ პასუხს იძლეოდა თავისი სოციოლოგიით: გარდაუვალ, რკინის კანონთა ძალით საზოგადოებათა განვითარებისა კაცობრიობა მიდის ერთი დიდი საკაცობრიო საზოგადოებისა, საკაცობრიო კულტურის შექმნისაკენო. ერი აქ მეორე ხარისხის მოვლენად სჩანდა, გარდამავლადაც კი.

თვითონ კარგად ახსოვდა მიხაკო წერეთელს და სხვათაც მოაგონებდა, თუ რა ძალით უპირისპირდებოდა ასეთი მოძღვრება ყოველგვარ ნაციონალიზმს და დათმობით მხოლოდ სოციალისტური პროგრამის მქონე სუსტ ნაციონალიზმს უთმობდა, ანდა შორეული, ბუნდოვანი დაპირებით ანუგეშებდა მათ, ვისაც არ შეეძლო ერის მსხვერპლად მიტანა საერთაშორისო სოციალიზმის საკურთხეველზე: ჯერ სოციალიზმი და მერე ეროვნულიო.

ილიასათვის პირიქით გახლდათ:

ჯერ სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სოციალურ წყობაზე ფიქრი მერეც შეიძლებოდა.

და ვიდრე რევოლუციურ-მებრძოლი ორგანიზაცია არა ჰყავდა, კიდევ ითმენდნენ ილია ჭავჭავაძის არსებობას, მის პუბლიცისტურსა და ორატორულ გამოსვლებს, მაგრამ ხელს მოჰკიდებდა თუ არა პოლიტიკური პარტიის შექმნას, კიდეც ჩასხდებოდნენ წიწამურის ბუჩქებში – უამისოდ არაფერი გამოვაო, და მოხიბლულნი დააცქერდებოდნენ თოფ-იარაღს.

ნოე ჟორდანია თავადაზნაურობას ისე არ ახსენებდა, თუ არა: ეს განზე გამდგარი და მტრულად განწყობილი ინტელიგენციაო. ინტელიგენცია მის თვალში ყოველთვის დაკნინებულად გამოიყურებოდა და მაშინაც ნაკლებ იწამებდა მათ გულწრფელობას, როდესაც 1901 წლის დიდი რეპრესიები გავლენას იმათზეც მოახდენდა და ინტელიგენცია რყევას დაიწყებდა.

კი მაგრამ, განზე გამდგარი და მტრულად განწყობილი ვის მიმართ იყო?

ხალხის, ხალხის მიმართ. მესამედასელებს კი არ უპირისპირდებოდნენ, როგორც თვითონ ამტკიცებდნენ, არამედ ხალხს, როგორც სინამდვილეში იყო. აბა, სხვაგვარად რატომ უნდა შეფასე-

ბულიყო მათი მოქმედება – თუკი არ ეჭაშნიკებოდათ მესამედასელები, ეს უსათუოდ და უთუმცაოდ ნიშნავდა ხალხის უარყოფასაც, რადგანაც ჟორდანიასა და ჟორდანიელებს ხალხი პირად საკუთრებდ მიაჩნდათ და ამ პოლიტიკური გუნდის მოწინააღმდეგე ნებაუნებლიეთ მთელი ხალხის მოწინააღმდეგეც გამოდიოდა.

ამგვარი ლოგიკით, ინტელიგენციას -

ერი სწამდა, ხალხი – არა.

ამ გაუგებარი განმარტებით რას მიხვდები ადამიანი?

მესამედასელთა იდეური მოძღვარი ამდენს აღარ დაგიდევდა და ისე იოლად და განუსჯელად შეარქმევდა განზე გამდგარსა და მტრულად განწყობილს ყველას, ვინც მის მიმდევრობას არ აღიარებდა, თითქოს ამინდზე საუბრობსო.

რყევა ერთგვარ იმედს ჩაუსახავდა – ამ განზე გამდგართა და მტრულად განწყობილთ ერთი ნაწილი რომ გამოეყოფოდა და პროტესტანტებთან ერთად დადგებოდა ახალ გზაზე, სახალხო მოძრაობას რომ სცნობდნენ და იქნებ... იქნებ მათი მეთაური პარტიაც დაესახათ თავიანთ წინამძღოლადაც. მაგრამ ასე იდეალურად არ აეწყობოდა ეს საქმე და ნოე ჟორდანია შეფიქრიანდებოდა, მგონი არჩილ ჯორჯაძემ და გიორგი ლასხიშვილმა თავიანთ რელსებზე მოუნდომეს გადაყვანა ამ მოძრაობასო.

სწორედ ამ პოლიტიკური ჟარგონს გამოიყენებდა თავიანთ რელსებზეო.

ურთიერთობის გამწვავებას არ მოინდომებდა, „საქართველოსა“ და მისი ფრანგული ორეულის გამოცემას რომ შეიტყობდა.

– ამ მათ ინიციატივას შევხვდი დადებითად და კიდევაც მოვათავსე იქ რამდენიმე წერილი მოძრაობაზე ჩვენში.

ვერა, ვერ დამალავდა თავს ფარული ჭიდილი, ვერ მოითმენდა ნოე ჟორდანია მეტოქეს, თანაბარი პოლიტიკური ურთიერთობისაც არაფერი გაეგებოდა – ან უნდა დამორჩილებოდნენ, ან უნდა განადგურებულიყვნენ; სხვა, მესამე გზა მის თვალში არ არსებობდა. ბრძოლა, ბრძოლა გავეშებული და სასტიკი, და არაფრისდიდებით სჯა-ბაასი, არაფრით – მორიგება-შეთანხმება.

ამიტომ, როდესაც ირწმუნება – „ჩქარა გამოჩნდა მათი განსხვავებული ტენდენციები, რის გამო არჩილ ჯორჯაძეს გამოუცხადე პირადათ რომ ჟურნალში მონაწილეობას ვერ მივიღებდი“ – ამ წინადადების ქვეტექსტი მხოლოდ ასე შეიძლება ამოვიკითხოთ – მათთან რა გამაჩერებდა, ჩემს რელსებზე ვერ გამოვიყვანეო.

კიდეც გაეხარდებოდა – თუმც, ცხადია, მემუარებში ამის გამჟღავნებას მოერიდება – სწორედ მისი სტატია რომ გახდებოდა საბაბი სომხური გაზეთის გადმოლაშქრებისა „საქართველოზე“.

უენევის კონგრესზე თუ გამოცხადდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საჯაროდ გამოეთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ კონფერენციის მიმართ და წინასწარვე გამოეტანა განაჩენი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიისათვის, რომლის დოქტრინაც მისთვის ყოვლად მიუღებელი გახლდათ: როგორ თუ საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ყველა რევოლუციური და პროგრესული ძალის გაერთიანება ამ დროშის ქვეშ, როგორ თუ რაღაც „საერთო ნიადაგი“ ყველა კლასსა და წოდებას შორისო.

არა, ეს რა მაინც მოენდომებინათ – ილია ჭავჭავაძის ძველი დებულების აღდგენა, ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, ყველა შევერთდით ვინაობის დაცვაშიო.

უხაროდა, მაშინვე რომ არ ეპატიებინათ ილიასათვის ამ ლოზუნგის გადმოსროლა და ქართველი ნაროდნიკები იმ 80-იან წლებშივე შეებმოდნენ ამ, მათი აზრით, ანტიხალხურ მოწოდებას. რაღა დროს ამ იდეის გაცოცხლება გახლდათ, თავიდანვე მოძველებულისა და რეაქციულის, და რაც მიუღებელი იყო იმჟამად, გაცილებით მიუღებელი მოჩანდა ახლა – ამ გაცხოველებული მოძრაობის ხანაში.

რატომ? – მოესმოდა შეკითხვა და მგზნებარებით მოჰყვებოდა მტკიცებას თავისი უმთავრესი მისწრაფებისა, რისი განმეორებაც არასოდეს არა წყინდებოდა:

– იმიტომ რომ მუშათა მოძრაობა გადავაბით გლეხთა მოძრაობას. პირველი თუ დაპირდაპირებული იყო უმთავრესად არა-ქართული კაპიტალის წინააღმდეგ და აქ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი საერთო ნიადაგზე, მეორე კი მიმართული იყო ქართველების, ქართველი მემამულეების წინააღმდეგ და აქ ამ ორ წოდებათა შორის საერთო ენა შეუძლებელი იყო. ჩვენ მიერ ასეთი ენის ძიება დაბოლოვდებოდა ერთი შედეგით – გლეხობა ჩამოგვშორდებოდა, გლეხთა საკითხი მოიხსნებოდა და ჩავარდებოდით რუსის სოციალ-დემოკრატების მდგომარეობაში. გლეხობის ჩამოშორება გასტეხდა მცირე რიცხოვან, მაგრამ მეტად აქტიურ მუშათა კლასს...

შედეგად რა მოჰყვებოდა?

– გზას გაუხსნიდა ბოლშევიკების გეგემონიას. ქართული მარქსისტული სოციალიზმი სამუდამოდ დაიმარხებოდა.

თვალებს არ გინდა დაუჯერო. არჩილ ჯორჯაძე თურმე გზას უხსნის... ბოლშევიკების ჰეგემონიას.

კიდევ უარესი, თუ ნოე ჟორდანიას გულწრფელად სჯერა თავისი დაკვირვებებისა და ანალიზის სისწორე.

ქართული მარქსისტული სოციალიზმის სამუდამო დასამარება თუ სურდა – და მართლაც ენდომებოდა, ოღონდ სოციალისტურ თეორიებს პირწმინდად უნდა გამოსცლოდა – ამას რა სჯობს, მაგრამ მენშევიკების განდევნით პოლიტიკური ასპარეზიდან ბოლშევიკური თუ უნდა აღემაღლებინა, ეს მაინც რანაირად გამოდიოდა!.. საერთო ნიადაგის რწმენა და ნოდებათა შეთანხმება განა ბოლშევიკებს ნაკლებ გამოაცლიდა ფეხქვეშ იდეურ საყრდენს? განა ნაკლებ დაუფხრეწდა დემაგოგიის საბურველს, მარჯვედ რომ უპირებდნენ შიგ გამოხვევას თითქოსდა კაცობრიობის ხსნას, სინამდვილეში კი მის აცდენას ბუნებრივი გზიდან?

ნეტა რანაირად წარმოედგინა ნოე ჟორდანიას მომავალ სოციალისტ-ფედერალისტთა და ბოლშევიკთა შეკავშირება?

მოგონებებს როდესაც წერს, ბოლშევიკების მიერაა დამხობილი და საზღვარგარეთ გაძევებული და მათი გავლენა იქაც ელანდება, სადაც ყოვლად წარმოუდგენელია. თან თავს იმშვიდებს, მაშინ ხომ მაინც შევუშალე ხელი მათ აღზევებას, ჟენევის კონფერენცია რომ დავგმე და სოციალისტ-ფედერალისტთა დოქტრინა უარვყავიო?!.

ღმერთო დიდებულო!..

ასეთ პასაჟს არაერთს წააწყდებით მის მემუარებშიც და პუბლიცისტიკაშიც, შეუსაბამობანი და გაუგებრობანი არ აკლია მის მტკიცებებს და, თუნდ იმ მეორე წყების მოტივებსაც დავუკვირდეთ, რისი გამოისობითაც მაშინვე შეითხზვებოდა მისი ბროშურა „ქართველი ნაციონალისტები“, ჟენევაშივე დაიბეჭდებოდა და საქართველოშიც სასწრაფოდ გამოიგზავნებოდა.

ახალი პოლემიკის სერია ჩნდებოდა მის ბიოგრაფიაში.

მეორე წყების მოტივად კი იმას დაასახელებდა: ბრძოლა იყო გამოცხადებული რუსეთის თვითმპყრობელობასთან და აქ პატარა საქართველო უნარსა და გამძლეობას იმდენად გამოიჩენდა, რამდენადაც იქნებოდა სხვა ხალხებისა და მათი პარტიების გვერდით, ერთ მებრძოლ რაზმად გადაქცეული. ყოველივე განდგომა, იდეური და ტაქტიკური, გვამარცხებდა და გვრიყავდა მოძრაობისაგანო.

მაგრამ ავტონომიურობის მოთხოვნა განდგომას სრულიადაც არა ნიშნავდა და „საქართველო“ ამიტომაც აცხადებდა საერთო წადილს – არც რუსეთის ძალაუფლების ქვეშ მოქცეულ სხვა ერებს გამოცალკევებოდნენ და არც თვით რუს ოპოზიციონერებს. გამორჩევით კავკასიურ ერთობას ესწრაფოდნენ, აუცილებელ საყრდენს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოსაპოვებლადაც და შესანარჩუნებლადაც.

– ქართველი საზოგადოება შეინძრა და ახალი გზების ძებნას შეუდგა. იწყება საერთო გამოფხიზლება და გადაწყობ-გადმოწყობა, – განაგრძობს ნოე ჟორდანია და მოელი, რომ სიხარული უნდა გამოთქვას ამ ყოველივეს გამო. საზოგადოების ამოძრავებას, საერთო გამოფხიზლებასა და გადაფასებებს რა სჯობს... მაგრამ ისე უცნაურად კი ბოლოვდება ეს პასაჟი:

– ამით საქმე გაგვირთულდა. საშიში იყო ახალ ტალღებს არ დაენგრია ჩვენი ახალი რევოლუციური შენობა.

როგორ დამფრთხალან ჟორდანია და ჟორდანიელები, ათწლეულთა შემდგომაც როგორი შეშფოთებულია, რომ მემუარებშიც ვერ მიუმალავს ეს განცდა. არადა, ისეთიც რა მოხდა – ასპარეზზე გამოვიდა ახალი პარტიაც. პოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთი მოვლენები არამცთუ მოსალოდნელი, აუცილებელიცაა. და უპირველესად ის უნდა უწყობდეს ხელს, დემოკრატობაზე ვინც სდებს თავს. რა შენობა უნდა დაინგრეს ან რატომ უნდა დაინგრეს? მაგრამ რადგანაც მესამედასელები ხალხსაც და მათ მოძრაობასაც თავის პირად საკუთრებად მიიჩნევენ, მოცილეს როგორ აიტანენ!

ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას ისე ეწინააღმდეგება, ვერ წარმოიდგენ, თუ ოდესმე მომხრე ყოფილა ამ იდეისა. თვითონ კრინტსაც არა ძრავს ამის თაობაზე, მაგრამ მიხაკო წერეთელი ირწმუნება, კი არ ეგონა, დარწმუნებული გახლდათ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია სცნობდა საქართველოსა და სხვა ერთა ავტონომიას, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა და 1902 წლის კონფერენციაზე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უარყო ავტონომია, რომელსაც ნოე ჟორდანია და ერთი სხვა ქართველი დელეგატიც იცავდნენო.

მერე განაწყენებით უნდა განაწყენებულიყო და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გაყოფის შემდეგ – მენშევიკებად და ბოლშევიკებად – დიდხანს ეგრეთწოდებულ ჭაობში უნდა ემჯობინებინა ყოფნა – არც ერთს მიმხრობოდა და არც მეორეს. ნეტა გუნებაში

ხომ არ ჩაითქვამდა ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებას? საამისოდ უკეთესი საბაბი რაღა გინდა – პარტიულ კონფერენციაზე აბუჩად იგდებენ შენს მოკრძალებულ სურვილს – საქართველოს გამოყოფას ხომ არა სთავაზობ, არამედ ცოტა უმჯობეს პირობებს რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში, და აინუნშიაც არ აგდებენ. ჰა, ნეტა ხომ არ... ვინ მიხვდება ნოე ჟორდანიას გულის მოძრაობას, მაგრამ მიხაკო წერეთელი შეეცდებოდა ამოეცნო მისი ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური კარდიოგრამა.

ყველაფრის აწონ-დაწონვის შემდეგ გადაუწყვეტია, მაინც პარტიულ დისციპლინას დამორჩილებოდა, და ჟენევის კონგრესიც ამ მოსაზრებით მიატოვა, როგორ თუ ეროვნული პარტია უნდა დაარსდესო.

და მაინც:

– ალბათ გულში საქართველოს ავტონომია სწამდა და დამოუკიდებლობაც, თუ ამისათვის დრო დადგებოდა, რაიცა ვნახეთ მართლაც 1918 წელს.

აშკარად ეწინააღმდეგება ერთმანეთს ეს ორი თვალსაზრისი, აშკარადაც და უცნაურადაც – ავტონომიის მოპოვების წადილი და... მკაცრი პროტესტი ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ – მაგრამ მიხაკო წერეთლის გულსა და გონებაზე, ეტყობა, გავლენა მოუხდენია, რომ დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს რესპუბლიკის მეთაური ნოე ჟორდანია აღმოჩნდა და ამ გარემოებას მიაწერს არა შემთხვევითობას, არამედ ისტორიის ღრმა კანონზომიერებას. რაც უნდა იყოს, საქართველოს სახელმწიფოს წამიერი გაელვება მაინც ნოე ჟორდანიას სახელს უკავშირდება!.. და ამიტომაც ეხატება მისი მოღვაწეობა უფრო მომხიბლავ ფერებში, ვიდრე რეალობაზე დაკვირვება წარმოგვიჩენს.

ამიტომაც ამტკიცებს, ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა პირველად დარაზმეს განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური იდეალის მქონე ქართველობა და ეს იყო დიდი საქმე მათგან ქმნილი მაშინდელ – 90-იანი წლების – მძიმე პირობებში ცარისტული რუსეთის ბატონობისა საქართველოში და ჩვენც – არამარქსისტებმა და ნაციონალისტებმა – დიდი საქმე მოწინააღმდეგისაც დიდად უნდა ვცნოთო.

ამიტომაც ამტკიცებს, პირველი დიდი ომის დროს, როდესაც ქართველ ნაციონალისტთა ჯგუფი გერმანიაში მოქმედებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების აღსადგენად, გამამხნევებე-

ლი ხმა საქართველოდან, გარდა ამ ჯგუფის თანამოაზრეთა, ნოე ჟორდანიასაგან გვესმოდა, ინტერნაციონალისტ-სოციალ-დემოკრატისაგან, და არა ნაციონალისტურ პარტიათაგან; მან იცოდა, რომ დადგა ჟამი რუსეთის იმპერიის მიერ დაჩაგრულ ერთა გათავისუფლებისა და მარჯვე დროს უცდიდა, რომ მისი ქვეყნისათვისაც აღედგინა დიდი ხნიდან დათრგუნული სახელმწიფოებრიობაო.

ამიტომაც გვიმტკიცებს, მცირე ღვაწლი არ მიუძღვის კავკასიის ერთა სოლიდარობის შექმნისათვის, და როდესაც რუსეთის მმართველობა დაიშალა კავკასიაში 1917 წლის რევოლუციის დროს, ამ იდეით იყო მხოლოდ შესაძლებელი ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნაო.

არაერთ საქებურს გაიხსენებდა კიდევ – ეს ოსმალეთის ფრონტიდან დაძრული, ნახევარმილიონიანი დამარცხებული და გაბოლშევიკებული ჯარისაგან მოსალოდნელი ანარქია მისმა ენერგიულმა და ჭკვიანმა მოქმედებამ აარიდა ქვეყანას და ვითარების გაურთულებლად გაგზავნა თავთავის ოჯახებშიო; ეს მაშინდელ პირობებში მის გარდა ვინ შეძლებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზე უფრო დიდი ნაციონალისტი, არასოციალისტი, ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა – ნოე ჟორდანიასა და მისი პარტიის თანხმობის გარეშე სამოქალაქო ომი გარდუვალი შეიქნებოდაო... და იმასაც საქებურთა სიას მიათვლიდა, თუ როგორ განაგრძობდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ ევროპაში გადახვეწილი ნოე ჟორდანია და მისი მთავრობა, 117-წლოვანი ტყვეობა ახალი ტყვეობით რომ შეიცვლებოდა – რომანოვთა ტახტი დაემხობოდა, მაგრამ იმპერიის მძლავრებას არაფერი ეშველებოდა; ანდა როგორ ატირდებოდა განდევნილი მთავრობის თავმჯდომარე, როდესაც ლევილში პატარა გუნდი მშვენიერ გურულ სიმღერებს მოასმენინებდა. ჯერ აღელდებოდა, ხელის მოძრაობას ააყოლებდა სიმღერებს და მერე კი ცრემლიც წამოსცვივდებოდა: რამდენი ხანია, გურიაში აღარ ვყოფილვარო...

როგორ უყვარს თვისი ერი და მისი კულტურაო, გაიფიქრებდა მიხაკო წერეთელი და კიდევ ერთხელ დაიბეჯითებდა, მაშინ, ჟენევის კონფერენციას რომ განუდგა და საჯაროდ გამოუცხადა პროტესტი მის სულისკვეთებას, პარტიულ დისციპლინას ვერ უღალატა, თორემ გულში ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია კი არა, სახელმწიფოებრიობის აღდგენა ედოო.

ზურაბ ავალიშვილი უფრო დაურიდებლად და ზუსტად შეაფასებდა დამოუკიდებლობის ხანას და განსხვავებას ვერც იპოვნიდა მენშევიკებისა და ბოლშევიკების მმართველობას შორის, და იმ ცოდვისკითხვის სათავესაც, საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ერთიერთმანეთს რომ მიჰყვებოდა, პირველი რესპუბლიკის ხანაში იპოვნიდა: ქირურგიული ოპერაციისათვის ავადმყოფი – საქართველო – მენშევიკებმა მოამზადეს, რათა ბოლშევიკებს ულმობლად დაეჩეხათო.

აი, ვის გაეხსნა გზა ბოლშევიკთა ჰეგემონიისათვის, ნოე ჟორდანია არჩილ ჯორჯაძისათვის რომ ცდილობდა ამ დანაშაულის გადაბრალებას.

მიხაკო წერეთელი ალბათ გადამეტებულ სიმკაცრედ მიიჩნევდა ზურაბ ავალიშვილის შეფასებას. ოფიციალურად კი არსად გამოუთქვამს ეს აზრი, მაგრამ მისი მსჯელობიდან, თუნდ ნოე ჟორდანიას ლიტერატურულ-პოლიტიკური პორტრეტიდან, მკაფიოდ იგრძნობა მისი ამგვარი განწყობილება. 177-წლოვანი რეჟიმის დამხობა რომ არ გადაფარავდეს მის თვალში სხვა ყოველივეს, აღარც გარკვეული წინააღმდეგობა გაჩნდებოდა მიხაკო წერეთლის ნაწერებში და აღარც ილუზია, გულში ავტონომიაც სწამდა და დამოუკიდებლობაცო.

ეს რწმენა თუ ასულდგმულებდა ნოე ჟორდანიას; მაშინ ხომ აღარც ილია ჭავჭავაძეს შეეხლებოდა ასეთი გავეშებით და აღარც არჩილ ჯორჯაძეს, ილიას სულიერ მემკვიდრედ რომ მიიჩნევდა და ამიტომაც ამოიძულებდა.

გიორგი დეკანოზიშვილი მალევე დაავალებდა მიხაკო წერეთელს საქართველოში დაბრუნებას, ახალი ორგანიზაციის წევრების მონახულებასა და საზოგადოებრივი განწყობის შეტყობას. ისიც მალულად გამოჩნდებოდა სამშობლოში და ახალ წევრებს რომ გაიცნობდა, დარწმუნდებოდა, რამხელა შთაბეჭდილება მოეხდინა მათზე კონგრესსა და მის დადგენილებებს. დიდხანს ვერ დარჩებოდა: პლევის რეჟიმი ტყვიასავით აწვა მთელს რუსეთსო, – და მალევე გაბრუნდებოდა ჟენევაში, მაგრამ 1905 წლის რევოლუციის დასაწყისიდანვე კვლავ საქართველოში გაჩნდებოდა და უშუალოდ ჩაერეოდა იმ ბრძოლაში, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის სახელით შევიდოდა ისტორიაში.

– მაშინ გამოჩნდა სავსებით, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია არ მოქმედებდა როგორც ქართული სოციალ-დემოკრატია,

არამედ როგორც ნაწილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და უარმყოფელი იყო თვით საქართველოს ავტონომიისა.

რაკიღა ნოე ჟორდანიას უშუალოდ არ იხსენიებს, უფრო პირდაპირ მიუჩენს ადგილს ჩვენს სოციალ-დემოკრატიას ავტონომიის უარმყოფელთა შორის – ეს კი, ცხადია, გულისხმობს ამ მოძრაობის ლიდერის შეურიგებელ დაპირისპირებას ავტონომისტებთან, მაგრამ პირველი რესპუბლიკის მეთაურს საამისოდ მაინც ვერ იმეტებს და, ამ პასაჟში მისი მოხსენიება აუცილებელი რომ ყოფილიყო, უთუოდ ჩაურთავდა – პარტიულ დისციპლინას გაუწია ანგარიშიო. კვლავ შემწყნარებლობას არჩევდა მის მიმართ.

არადა, თვალსაჩინოა, როგორ ეწინააღმდეგებიან ქვეყნის თავისთავადობის შენარჩუნებისაკენ ყოველგვარ მისწრაფებას ჟორდანიელები.

მხოლოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ერთად, თუნდ საქართველოს ამგვარი პოლიტიკა უფლებათა სამუდამო აყრად დაუჯდეს – რუსეთთან შერწყმად.

და როდესაც მიხაკო წერეთელი თვალნათლივ დაინახავს ჟორდანიელთა შეურიგებელ სწრაფვას საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ, კიდევ უფრო დარწმუნდება, რა დიდი საქმე აღსრულებულიყო ჟენევაში.

– ქართული სოციალ-ფედერალისტური პარტია იყო ერთადერთი, რომელმაც შესძლო ხალხში გასვლა ეროვნული და აგრეთვე სოციალური ნათელი პროგრამით, და რევოლუციონური, თავგანწირული ბრძოლით თვის მიზანთა მისაღწევად, ეს აღარ იყო ძველი რომანტიული ქართული ნაციონალიზმი, არამედ მებრძოლი ნაციონალიზმი, რომელსაც ვერც რეაქციონერობას დააბრალებდა მიუდგომელი მოწინააღმდეგე, – თვინიერ დემაგოგთა ვერავინ.

ძველი რომანტიკული ნაციონალიზმი ილიასა და მისი თაობის მოღვაწეობის შინაარსს გულისხმობდა.

* * *

– ეს კაცი ვეღარ იბრძოლებს.

მძაფრი გულისტკივილით განმსჭვალულა ეს ფრაზა, და კიდევ იმ წუხილითაც, უიმისოდ რა გვეშველებაო.

ეს ერთმანეთში შეზავებული განცდები მკაფიოდ ამოიკითხება, და ეს იმიტომ, რომ გიორგი დეკანოზიშვილის დღიურშია ჩარ-

თული – 1904 წლის 27 ივლისის ჩანაწერში – და არჩილ ჯორჯაძეს გულისხმობს. არც არაფერია გადაჭარბებული, თუკი იმისი ჩამოცილება ბრძოლის ასპარეზიდან ძალიან შეაფიქრიანებს „საქართველოს“ გამომცემელსაც და სოციალიზმ-ფედერალიზმის სხვა მოთავეთაც.

ეს პარტია და... უარჩილოდ?

მაგრამ თუკი რეალური იმედი არ მოჩანს?

თურმე არც ასე უსაშველოდაა საქმე და არჩილი კიდევ საკმაოდ დიდ ტვირთს აზიდავს, მაგრამ ეს რომ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით მოხდება – ლამის სხეულიდან გაღწევით, და ბედის წყალობითაც, სულშეხუთულ არჩილს მაინც რომ დააცლის ერთ ენერგიულ მიწყდომ-მოწყდომას, ამის განჭვრეტა ძნელია და გიორგი დეკანოზიშვილიც ამიტომაა ასერიგად შეშფოთებული– როგორი გადასატანია, ამ ძალისა და სიმტკიცის პიროვნება გვერდიდან თუ გამოგეცალა, თანაც რა დროს.

4 საათზე მიეღო არჩილის წერილი, წაეკითხა და საშინლადაც დაღონებულა:

– საშინლად უმოქმედნია ავადმყოფობას არჩილის ხასიათზედ... ვიცი ნამდვილად, რომ არ უმტყუნებს თავის მიმართულებას, არ დასტოვებს თავის ამხანაგებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც მტერს ვებრძვით. საჭიროა კაცები, რომელნიც მზად არიან, მედგრად და უშიშრად შეებრძოლონ მტერს. მაგრამ ეხლა ყველაფერი გათავებულია.

და ამ სასოწარკვეთილ განცდას მოსდევს ის ფრაზა: ეს კაცი ვეღარ იბრძოლებსო.

მერე კი:

– იწერება, ხმა წამივიდაო; რომ ვლაპარაკობ, ნამდვილი ხმა არა მაქვსო... ნამდვილი ჭლექი აქვს. შეიძლება ჩამომავლობით იყოს; რადგან მისი დებიც ავად არიან, მაგრამ ეგ სიჭლექე არ განვითარდებოდა, რომ რიგიანი ცხოვრება ჰქონოდა. ბევრს ვეუბნები, რომ ღამის გატეხა და არარეგულარული ცხოვრება მას გასტეხავს, მაგრამ არ დამიჯერა...

და კვნესაც წაცდება:

– რა ძნელია, როდესაც ავად გყავს ადამიანი, რომელიც გიყვარს.

თავს აყვედრის, უფრო მტკიცედ რატომ არ მოვთხოვე, ღამეების გატეხვაზე მაინც აეღო ხელიო.

ისეთ თვითგვემაშია, თითქოს მოწესრიგებულ ყოფაში უწევდეს არჩილ ჯორჯაძეს მოღვაწეობა და მთლად მის ნებაზე იყოს, დაათენდება თავზე თუ არა. და ჯერ მოწესრიგებულიც რომ იყოს – ნიჭი, ძიებისა და წერის ჟინი არ ემორჩილება დღიურ რეჟიმს და შემოქმედს თავის ნებაზე უფრო დაატარებს, ვიდრე შემოქმედი წარმართავდეს მის კალაპოტს. განა თვითონ გიორგი კი ან საკუთარ თავს დაუჯერებდა ან მეგობრების რჩევას შეისმენდა, ასე უჯიათად ნუ შებმიხარ რევოლუციურ საქმიანობას, თავგადაკლული ნუ დაეძებ ახალსა და ახალ საშუალებებს და ნება-ნება მიჰყევი, იმყოფინე, რასაც მიაღწევო?..

განა არ იცის, რომ ეს შეუძლებელია?

შესაძლებელი მხოლოდ მათთვისაა, ვინც მხოლოდ თითს ურევს პოლიტიკურ თუ სახელოვნო ცხოვრებაში, ოდნავ მიეკარება სიძნელეს და... მის კარიბჭესთან ტრიალი ურჩევნია, შიგნით შეღწევას.

თეიმურაზ ხევისთავს როგორც ერჩივნა, ანუ იმ ადამიანებს, ამ მხატვრულ სახეში რომ განზოგადდნენ და კიდეც ჩაცვივდნენ ქვესკნელურ სინამდვილეში. ჩაცვივდნენ და ნამდვილი სულიერი საუნჯეც თან ჩაიყოლეს, თვითონაც რომ ეძვირფასებოდათ, მაგრამ მოწესრიგებული ცხოვრებით სურდათ მისი შენარჩუნება და სისასტიკის ორომტრიალში ამიტომაც ჩაინთქნენ.

ამ წუთას ძალიანაა აღელვებული გიორგი დეკანოზიშვილი, რადგანაც მკაფიოდ გააცნობიერა, რომ არჩილი, ვინ იცის, ველარც გამომჯობინდეს, და გულსაც ამიტომ აწყდება: ნეტა ჩემთვის დაეჯერებინა და თავგადაკლულ შრომას მოშვებოდაო.

რა არის მაინც ბედის ჟინიანი თამაში.

არადა, ისე მოხდება, რომ გიორგი კი არ დაიტირებს მეგობრის ცხედარს, არჩილი გამოეთხოვება იმის ნეშტს. სნეულება ისე გაუმწვავდება გიორგი დეკანოზიშვილს, რომ, გადაასწრებს არჩილს და პირველი მიებარება მიწას, რომელიც... მოსაპოვებელი გაუხდება. საფრანგეთის მიწა არაფრისდიდებთი არა სურდა, საქართველოს მიწა-წყალზე შემოღწევა ძალიან გაძნელდებოდა – თუმც სიცოცხლეში უფრო, ვიდრე ცხედრად დაბრუნებისას; ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც აქ ჩაიყრებოდა მისი ძვლები და არჩილი ვერ პატიობდა საკუთარ თავს, ეს არ დაემართებოდა, რიგიანი ცხოვრება რომ ჰქონოდა, რა იქნებოდა, ჩემთვის დაეჯერებინაო.

თავი მეთექვსმეტე

ფარული დაბრუნება საქართველოში

„საქართველოს“ ჯერ ერთ და შემდეგ მეორე ნომერსაც რომ შეადგენდა და გამოსცემდა გიორგი ლასხიშვილი თედო სახოკიასთან ერთად, მიიჩნევდა, გაზეთმა თავისი მოვალეობა ამოწურაო.

საქართველოში დაბრუნება ეჩქარება, რადგანაც რუსეთის იმპერიაში დიდი ამბებია მოსალოდნელი და არაფრისდიდებით არა სურს, რომ მღელვარებასა და იქნებ გარდამტეხ ცვლილებებსაც შორიდან ადევნოს თვალი, და შესაძლოა ამიტომაც გაუჩნდა ამგვარი აზრი, თითქოს „საქართველოს“ თავისი როლი უკვე შეესრულებინოს და მისი გამოცემის გაგრძელება – თანაც მეტად და მეტად ძნელ პირობებში – საჭირო აღარც იყოს.

დაბრკოლებად გადაღობვია გაზეთი საქართველოსაკენ მომავალ გზაზე და იქნებ თავის დამშვიდებას იმიტომ ცდილობს, ახალი ნომრების გამოცემა უკვე ზედმეტიაო, რომ ეს დაბრკოლება ერთი ხელის მოსმით გააქროს?

მაგრამ გიორგი ლასხიშვილი იმ ბუნების პიროვნებაა და მემუარებიც ისეთი მანერით, ისეთი იშვიათი გულახდილობითაა დაწერილი, გაზეთის მოვალეობის ამოწურვას რომ ისაბაბებდეს, წლების შემდეგ აუცილებლად გამოტყდებოდა: ასე და ასე დამემართა, ისე მეჩქარებოდა, გაზეთის ზედმეტობის მტკიცებასაც კი მოვყევიო.

მაგრამ არა:

ეს ჩემი გადაჭრილი აზრი იყოო.

ამიტომაც არ ეპარებოდა ეჭვი, მთავარი კომიტეტი გაიზიარებს ჩემს შეხედულებას და ნებას დამრთავს პარიზიდან გამომგზავრებისაო.

კომიტეტის წევრებისათვის ეს დამატებითი არგუმენტიც მოემზადებინა:

„საქართველოს“ სულისჩამდგმელი და მთავარი ხელმძღვანელი არჩილ ჯორჯაძე, როგორც გამოირკვა, დიდი ხნით უნდა ჩამოშორდეს საგაზეთო მუშაობასო.

აშკარაა – ერთი და ორი ნომერი სხვამაც შეიძლება გამოსცეს, მითუმეტეს, გიორგი ლასხიშვილისა და თედო სახოკიას რედაქტორული და ჟურნალისტური უნარის პიროვნებებმა, მაგრამ „საქართველო“ – ინტელექტუალთა აღიარებით – უშუალოდ არჩილ ჯორჯაძის კუთვნილებაა, მისი პირმშოა, და იმ სიმაღლის შემნარჩუნებელნი გარშემო აღარ გამოჩნდებიან, არჩილ ჯორჯაძეს სადამდეც აუზიდავს, დაქვეითება და გაფერმკრთალება კი არა ღირს.

გიორგი ლასხიშვილი ირწმუნება ამას, სარედაქციო საქმეებში რომ მოეჭრა ჭიპი.

და რაკიღა ჩამოშორებით უნდა ჩამოშორდეს დამაარსებელი, დაე დარჩეს ეს გაზეთი მისი მოღვაწეობის თავისებურ ძეგლად და სხვანი ნუღა გაერევიან.

არჩილ ჯორჯაძის გამოცლასთან ერთად „საქართველომაც“ მოათავოს თავისი არსებობა.

მთავრდებოდა ეს დიდი მისიაც – გულსაც ეთანაღრებოდათ, ისე ვერ აეწყო ყოველივე, როგორც ფიქრსა და ოცნებაში გვესახებოდაო, მაგრამ ვალმოხდილადაც მიაჩნდათ „საქართველოს“ მოღვაწეობა; ისტორიაში გადადიოდა, მაგრამ მთლად ისტორიისთვისაც არ ემეტებოდა არავის და, ვალერიან გუნია 1908 წელს ყოველკვირეულ სალიტერატურო ჟურნალს რომ დააარსებდა, „საქართველოდ“ მონათლავდა, იმ პარიზულ გამოცემას ეხმიანებოდა, არჩილ ჯორჯაძის ჟურნალის სამართალმემკვიდრედ აცხადებდა თითქოს თავს.

ან რაღა თითქოს –

რამდენადაც ვალერიან გუნიას მრწამსსა და მსოფლგანცდას ვიცნობთ, მკვლევარები სწორედ ასე ჩამოართმევდნენ, პარიზული „საქართველოს“ გზის გაგრძელება მოუწადინებიაო. და ასევე შეაფასებდნენ მოგვიანებით, 1916 წელს ეროვნულ-დემოკრატთა მიერ ყოველდღიური გაზეთის სახელწოდებად მაინცდამაინც „საქართველოს“ შერჩევასაც. იმათაც კვლავ არჩილ ჯორჯაძესთან გაედოთ ხიდი, მის ხსოვნას ინარჩუნებდნენ და კვლავაც ეროვნული მოძრაობის იდეურ ხელმძღვანელად აღიარებდნენ ილია ჭავჭავაძესთან ერთად, თუმც საკმაოდ დაშორებოდა ეროვნულ-დემოკრატია სოციალისტ-ფედერალისტებს.

პარტიულ მოვლენად არც არასოდეს მიუჩნევიათ ამ პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და იდეოლოგი.

დაიხურებოდა „საქართველო“ თავის ფრანგულ ორეულიანად.

ეს დიდი მისიაც მთავრდებოდა.

1904 წლის შემოდგომაა, და ნოემბრის შუა რიცხვებში, ორი თვის ყოფნის შემდეგ პარიზში, გიორგი ლასხიშვილი გამოეთხოვებოდა იქაურ მეგობრებსა და ნაცნობებს და ჟენევაში გაემგზავრებოდა. იქ მიხაკო წერეთელი უმასპინძლებდა და რუს სოციალ-რევოლუციონერთა გაზეთის რედაქციასაც მიასწავლიდა, სადაც ერთი ახალგაზრდა ესერი ურჩევდა: რუსეთში დაბრუნებისთანავე უნდა გაემგზავროთ პეტერბურგში, იქ ინახულოთ ესა და ეს კაცი და მისი შემწეობით უშუალო კავშირი შეჰკრათ თქვენს პარტიასა და ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს შორისო.

ჟენევიდან კი სოფელ კლარანსში გაემგზავრებოდა არჩილის მოსანახულებლად.

– რკინის გზით გარს შემოვუარე მეტად მშვენიერ სანახავ ჟენევის დიდ ტბას და შემდგომ შვეიცარიის ლამაზ მთებში შევიჭერი.

ამ ტბის აღწერას ვერ მოჰყვება, ვერ დაიყოვნებს ჟან-ჟაკ რუსოსავით თუ ლორდ ბაირონივით და თავის აღტაცებისათვის ამ წამოძახილს იკმარებს: მეტად მშვენიერი სანახავიო. შვეიცარიის მთებში შეჭრილი კი პატარა სადგურიდან ავიდოდა მაღლობზე გადაჭიმულ საკურორტო სოფელ კლარენსში და კარგა ხნის ძებნის შემდეგ მიადგებოდა პატარა კოტეჯს – არჩილის იმჟამინდელ სამყოფელს. კართან მოსამსახურე ქალი შემოხვდებოდა. და სტუმრის შეკითხვაზე: სად შემიძლია არჩილ ჯორჯაძის ნახვაო, – ნაღვლიანად მიუგებდა:

– ავად არის, ძალიან ავად არის.

და წინ გაუძღვებოდა.

არჩილი წევს.

თუმც შეუტყობინებიათ და მოელის გიორგის, მაინც ძალიან აღელდება და ხველება აუტყდება. იმავე წუთს ოთახში გაჩნდება ხნიერი ქალი, პანსიონის დიასახლისი, და სტუმარს სთხოვს, ცოტა ხნით მეორე ოთახში მოიცადეთ, სანამ ავადმყოფი დამშვიდდებოდესო.

ერთ დღე-ღამეს დაჰყოფდა არჩილთან, ვინც ხარბად დაეწაფებოდა (სწორედ ამ შესიტყვებას მოიხმობს მემუარისტი) საქართველოს ამბებს, პარტიის საქმეებს, რუსეთის მდგომარეობას...

საღამოს ისე მომჯიბინდება, რომ ლოგინიდან წამოდგება და, თუმც დიასახლისი ხელებს ენერგიულად გაატატანებდა, გარეთაც გამოვა გასასეირნებლად.

გამოვიდოდნენ და სტუმარს საუცხოო სანახაობა გადაეშლებოდა თვალწინ: ირგვლივ მაღალი მთები, უკვე სპეტაკი თოვლით

გამშვენებული, მრავალი ელექტრონის ლამპით გაჩირაღდნებულიყო. თურმე მთების მწვერვალებზე სასტუმროები გამართულიყო და რამდენიმე ადგილას ფუნიკულიორიც მუშაობდა.

არჩილი პირდაპირ ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზეო:

– მე აქ ვერ მოვრჩები, გიორგი, დავიღუპები... რაც შეიძლება მალე უნდა დავბრუნდე და იქ, კახეთში, უეჭველად ვსძლევ ამ ჩემს საშინელ სენსა.

გახსოვთ მათი პირველი შეხვედრა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში?

თანამშრომლობაზე რომ შეთანხმდებიან, არჩილი აკი ჯერ თავისი სოფლის მონახულებას მოინდომებს, კახეთს მოვივლი, საბუეს ავაკითხავ და ტფილისში დაბრუნებული ჩავერთობი სარედაქციო მუშაობაშიო.

რიტუალივით ქცევია, საქართველოში ფეხის შემოდგომისთანავე ჯერ კახეთში მოითქვას სული და ისე შეებას იმ ათასგვარ საქმეს, მის გასასრესად რომ შემართულან და იქნებ კიდეც გასრისონ, საბუეს მამული რომ არ ანიჭებდეს ხელახალ სიცოცხლესა და ძალას, თითქოს ანთეოსიაო.

შვეიცარიის მთებში თითქოს ჰაერში ატივტივებულა და ასე დიდხანს ვეღარ გაძლებს, თუმც ექიმებს სწორედ ეს პატარა კურორტი ეგულებოდათ ყველაზე შესაფერის ადგილად მისი სნეულების სამკურნალოდ.

მე აქ ვერ მოვრჩებიო...

თვითონ უკეთ მოეხსენებოდა.

დაამშვიდებდა გიორგი ლასხიშვილი:

– რუსეთში მალე საკონსტიტუციო რეჟიმი იქნება და ყველა პოლიტიკურ გადახიზნულს საშუალება მიეცემა დაბრუნებისა და თავისუფლად ცხოვრებისა.

არჩილი არ დასჯერდებოდა ამ პირობას, ვერ დაელოდებოდა საკონსტიტუციო რეჟიმს, და სიტყვას ჩამოართმევდა:

– ეცადეთ, როგორმე დამაბრუნოთ და არალეგალურად მაცხოვროთ საქართველოში.

ის მცირე ხანი, რაც ერთად იქნებიან, ისეთი სავსე და შთაბეჭდილებიანი აღმოჩნდება გიორგისათვის, თითქოს საკმაოდ კარგად არ იცნობდნენ ერთმანეთს მანამდეც და უამრავი საუბარი არა ჰქონოდეთ. შვეიცარიის მთების თავისებურ გარემოში მაინც რაღაც განსაკუთრებული განწყობილება დაეუფლებოდა და თხრობი-

სას ეს მგრძნობიარე პასაჟი ამიტომაც ჩაერთვის: დიდი სიამოვნებით დავყავი არჩილთან ის დღეები; საუცხოო მოსაუბრე იყო, მეტად ნაზი და ნამდვილი კეთილშობილი გულის ადამიანიო.

გამოთხოვებით თვალცრემლიანი გამოეთხოვებოდა მასპინძელი და კიდევ ერთხელ შეეხვეწებოდა.

– აქ არ დამტოვოთ, უსათუოდ უნდა წამიყვანოთ სამშობლოში.

უსათუოდო, – აღუთქვამდა სტუმარი.

უსათუოდო – მისძახოდა და კიდევ დიდხანს ეკიდა ეს სიტყვა გაყინულ ჰაერში.

* * *

1904 წლის 19 დეკემბერს ნინო ყიფიანს ებოდიშებოდა ბარათით: ვერცერთ თქვენ თხოვნას ვერ ვასრულებ, მაგრამ ასეა და რა ვქნა, თქვენ ალბათ კარგად მყოფი გგონივართ, მე კი ამ სამი თვის წინათ სულს ეშმაკს ვაბარებდი, მაგრამ ეს ჩაბარება როგორღაც არ მოხდაო.

– ეხლა უკეთ ვარ, მაგრამ ოთახში მომწყვდეული, არსად არ გავდივარ და ჩემთანაც იშვიათად თუ შემოვა ვინმე. როცა სიცხე დიდი არა მაქვს, ცოტასა ვწერ. მართალია, მეტს, ვიდრე მაშინ ვწერდი, მაგრამ ჩემს მარტოობაში ერთადერთი ნუგეშია ჩემთვის, თუმცა ვგრძნობ, რომ წერა ძალიან მვნებს.

ასე გადაეწყვიტა: მთელი ჩემი „გადარჩენილი“ ღონე ამ წერას მოვანდომო და სხვა არავითარ საქმეში აღარ მივიღო მონაწილეობაო.

კიდევ ერთხელ ებოდიშება: ვერაფერს ვერ გიგზავნით და ვერც შეკითხვებზე გწერთ ვერავითარ პასუხს, მერწმუნეთ, ძალა არ შემწევს და დამხმარებელიც არავინა მყავსო.

ელენე წერეთელი რომ ადგა თავს, განა დამხმარე არ იყო?

თურმე აღარ – საკმაო უკმაყოფილება მოსვლოდათ და გამოესტუმრებინა.

ბარათშიც არ დაფარავდა: მე მას აღარ ვიცნობ, ჩვენ შორის უფსკრულიაო.

მის წერილებს რომ კითხულობდნენ „დროების“ ფურცლებზე, კარგად მყოფი ეგონათ და ბარათს ბარათზე სწერდნენ, ავალებდნენ საქმეებს – იშუამდგომლეო, გაარიგეო, გამოგზავნეო... ბევრისთვის პასუხიც ვერ მიეწერა, გული ისე ეღრინებოდა და უძლურებასაც ისე გაებეზრებინა.

* * *

პასპორტს მოსკოველისას აიღებდა – იქაური ებრაელის გვარს ჩააწერინებდა. თითქოს კავკასიის სილამაზეს გაეტაცა და ბათუმისაკენ გეზი იმიტომაც დაეჭირა. თავს ძალას ატანდა, კილო რომ დაეცვა, და უხაროდა, მგონი ურიგოდ არ გამომდისო. გზაში ვიღაც ბობოლა სამხედრო გაეცნობოდა და გვერდიდან აღარც მოშორდებოდა, განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა.

ჩააცივდებოდა: გარეგნობით ძალიან ჰგავხარ კავკასიელს, კილოც ვერა გაქვთ დაცული, ალბათ კავკასიაში ხშირად გიწევდათ ცხოვრებაო.

ვაი შენს არჩილს!.. რა უბრალოდ შეიძლება გაბმულიყო.

არ ჩანდა ის სამხედრო შემთხვევით დამგზავრებულს, რაღაც ეჭვი აელოთ და უტრიალებდნენ. ეს მოუცილებლობა, ეს ჩაცივება ძალიან შეაფიქრიანებდა და, თუნდ უნებური თანამგზავრიც ალმოჩენილიყო, რა გასაკვირია, არჩილს ეჭვი ძალიან რომ მოჰკიდებოდა და ოფლსაც დაესხა. ძალიან მოინდომებდა კილოს დაცვას, მთელს არსებას აქეთ მიმართავდა, რომ ოდნავი ცთომილებაც აღარ შეტყობოდა და დაემტკიცებინა, მოსკოველი ვარ, კავკასიაში კი არასოდეს ვყოფილვარ და, თუ გარეგნობით კავკასიელს ვგავარ, მე არაფერ შუაში არ გახლავართო.

ის სამხედრო გვერდიდან არა შორდება.

უახლოვდებიან ბათუმს და ემატება მღელვარება არჩილ ჯორჯაძეს. იცის, ნავსადგურში აუცილებლად დახვდებიან, ეს სამხედრო პირი რომ არ მოსცილდება, ამას უკვე შეგუებულია და შიში უჩნდება, ქართულად რომ მომესალმებიან, დაეჭვდება, აბა, რა იქნება, და ცუდად წავა საქმეო.

მართლაც ასე მოხდებოდა.

გემიდან ერთად დადგამდნენ ფეხს ბათუმის მიწაზე და დამხვდურები თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, მისკენ გაექანებოდნენ.

არჩილი რაც შეუძლია ანიშნებს მიმიკით, თავის ქნევით, არ მომიახლოვდეთო.

მიუხვდებოდნენ და უგანებდნენ, ვიღაცებს ჩამოეკონწიალებოდნენ.

როდის-როდის ჩამოიშორებდა იმ სამხედროს, საკბილოს რომ ვერაფერს ჩაავლებდა, ბოლოს თვითონვე გაეცლებოდა; და არჩილი ნლების შემდგომაც მღელვარებით იხსენებდა ამ ეპიზოდს: რაც იმ ხანს ვიგრძენი, ძნელი ასაწერიაო.

მიხეილ ჯავახიშვილს მუნჯად რომ დასჭირდებოდა თავის გასაღება და ცხრაპირი ოფლიც გადასკდებოდა, ვიდრე ამ ფანდით უანდარმებს გააცურებდა, „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ ჩართავდა ამ ეპიზოდს, ფათერაკებით აღსავსე სიუჟეტს მარჯვედ შეურევდა, არჩილ ჯორჯაძეს კი რა ეღონა, ასე თუ გაიხსენებდა, ზეპირი თხრობისას, თორემ არც ბელეტრისტი გახლდათ და არც მემუარებისათვის დაჯდომა დასცალდებოდა.

ბათუმში ჩამოსულს სამსონ ფირცხალავა შეხვდებოდა. შეტყობილი ჰქონდა, ძალიან მორევია უკურნებელი სენი და დაუძლურებულიაო, მაგრამ საკუთარი თვალით რომ იხილავდა მის ძალზე გამხდარ, ჩალურჯებულ სახეს, ისე ჩაწყდებოდა გული, თითქოს ესაა მის თვალწინ დაეცემა და სულს განუტევებსო.

რამდენიმე დღესაც ვეღარ გაძლებსო, – გაიფიქრებდა... და მითუფრო შეიგრძნობდა მისი სულის სიძლიერესა და გაუტეხელობას, მისი რწმენის აღფრთოვანებას, ულმობლად რომ ერკინებოდა დაავადებულ სხეულს და ისე არ ემორჩილებოდა, თითქოს სულაც უარყოფს მის არსებობასო.

ეს შემბოჭველი გარსი აღარც სჭირდებოდა სულს.

მარტო სამსონი კი არ ივარაუდებდა მის მალე გარდაცვალებას, ექიმებსაც, თვით ექიმებსაც ზუსტად იგივე შთაბეჭდილება დარჩებოდათ და დღედღეზე მოელოდნენ არჩილ ჯორჯაძის აღსრულებას.

ეს „დღე-დღე“ ძალიან გაიჭიმებოდა და... შვიდ წელიწადად გადაიქცეოდა.

– და ეს დრო იყო საუკეთესო და უნაყოფიერესთაგანი მთელს მის ცხოვრებაში. მისმა მომწიფებულმა ნიჭმა გამოიჩინა დიდი ანალიტიური და სინთეტიური ძალა ჩვენი საზოგადოების შესწავლაში და ღრმა რწმენა იმ სოციალურ-პოლიტიკური იდეალისა, რომელსაც თავიდანვე ემსახურებოდა. მისი გული იმედისა და სიმხნის კილო იყო და ყოველი განსაცდელის, ყოველი სერიოზული მოვლენის დროს მისკენ იყო მიქცეული ამხანაგების თვალები.

ესენი კი არ ამხნევებენ, თვითონ იგი ამხნევებს ყველას. თანაგრძნობა არა სჭირდება. სჭირდება მხოლოდ ის, რომ ხელი სულ არ დაუდუნდეს და სტრიქონების გამოყვანა შეიძლოს. და არც თვალის ჩინი დაეშრიტოს და დაებინდოს, რადგანაც უამრავი რამ აქვს წასაკითხი და დასამუშავებელი. საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანის შექმნა, რასაც წინამორბედი არ გააჩნია და ყველაფერი მის ანალიტიკურ გონებასა და გამჭრიახობა-ალღოზე ჰკიდია, ის დიდი დაბ-

რკოლებაა, მისმა ნებისყოფამ რომ უნდა გასტეხოს, თორემ დიდი ხნით გადაიდება და ამასობაში ვაითუ ბევრი რამ ისეთი ჩაიკარგოს დროის ბრუნვა-ტრიალში, რომელსაც ვერაფერი ვეღარ აღადგენს.

არაფრისდიდებით არა სურს უარმყოფელად მოევლინოს ქვეყანას, სხვათა წაბაძვით იქიდან დაიწყოს წელთაღრიცხვა, თვითონ როდესაც გამოჩნდა საქვეყნო ასპარეზზე და სხვა ყოველივე ბურუსში გაეხვიოს. პირადადაც ჰკლავს ცნობისმოყვარეობა, ყოველმხრივ გამოიძიოს და გამოარკვიოს, ვის მხრებზე გადაევლო XIX საუკუნეს და ვის თავდადებას მოეტანა აქამდე საქართველო, ვის არ დაენებებინა რუსეთის იმპერიისათვის მის ეროვნულ თავისებურებათა წაშლა-გაქრობა.

ილია ნაკაშიძე ახალ სარბიელსაც რომ მოსინჯავდა – საჯარო ლექციების ციკლს, ბათუმშიც მოუწევდა გამოსვლა და ამ „გამოუცდელობის ხანაში" მის ლექციას არჩილ ჯორჯაძეც დაესწრებოდა.

ამას სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა – ასე სუსტად გრძნობს თავს და ჩემთვის ასეთ მღელვარე წუთებში თანადგომით გამამხნევაო.

ეტყობა, გადამეტებულად განიცდიდა საჯარო ლექციების კითხვას. თან ძალიან უნდა, თან აუდიტორიაც აფრთხობს, მისკენ მომზირალი მრავალი თვალი, მისი ყოველი სიტყვის მკაცრი აწონ-დაწონვა გუნებაში. თუ ასე ეშინია, რატომღა მოუნდომებია საჯარო გამოსვლების ეს ციკლი? გაორება ადამიანის სურვილისა არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი, და ილია ნაკაშიძეც ამ გულისჭიდილში გათანგულა და ყოველთვის ვერ ახერხებს თავის დაძლევას, ფიქრისა და აზრის შემოკრებას.

ეს ლექციაც ვერ გამოუვა მაინცდამაინც მოსაწონი.

არჩილი მისვლით კი მისულა, მაგრამ თეატრის დარბაზში გამოჩენას მორიდებია: ნაცნობებთან შეხვედრა-საუბარი გამიძნელდებაო, – თუმც თვალში მოხვედრას უფრო გაურბოდა და სცენის უკან ჩამალულა, კულისებში.

ლექტორი გამოსვლას რომ მოათავებს, მაშინვე მასთან მივა და ერთად გამოვლენ ქუჩაში.

შეატყობს, ძალიან მოქანცულა არჩილი, თუმც ლექცია ერთ საათზე მეტს არ გაგრძელებულაო.

მიზეზს ჰკითხავდა.

და არჩილი:

– შენი მდგომარეობა მესმოდა, ვშფოთავდი და ოფლში ვიწურებოდი.

და ილია ნაკაშიძე ახლა, მხოლოდ ახლა გააცნობიერებდა, თუ რას ნიშნავდა აბსტრაქტული სიტყვა „თანაგრძნობა“, და არანაკლებ აბსტრაქტული „სიყვარული“, თუ როგორ ხდება, რომ მოსიყვარულე და თანამგრძნობ ადამიანს ეკარგება საკუთარი თავი, პირადი სურვილი, როგორ გაეხვევა ამხანაგის ქერქში, მისი სიცოცხლით ცოცხლობს, მასთან ერთად ღელავს და შფოთავს, მასთან ერთად სწუხს და ხარობს.

აბსტრაქცია მიწაზე ჩამოინაცვლებს, ზოგადი შინაარსი ხელშესახები განცდით ივსება და სიტყვებს უბრუნდებათ თავიანთი ოდინდელი, კამკამა, ფერშეუცვლელი აზრი და შინაარსი.

პარიზიდან დაბრუნებული მაინცდამაინც სააშკარაოზე ვერ გამოჩნდებოდა, ვერც ბათუმში და ვერც – მით უფრო – ტფილისში.

სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა, თანაც სნეულს მარტო ვერ დატოვებდნენ და ნაკაშიძეები შეიფარებდნენ – დიდუბეში, საგურამოს ქუჩაზე. ერთ ოთახს მიუჩენდნენ და იქ ადვილად არავის შეესვლებოდა უახლოეს მეგობართა გარდა.

ერთ დღეს – გაზაფხულზე – ვაჟა-ფშაველა მიაკითხავდათ. ნინო ნაკაშიძე ყურადღებას მიაქცევდა, რომ თვალი აღარ ჰქონდა შეხვეული. ეცრემლებოდა კი. მისი რუხი ფერის ჩოხა და მაღალყელიანი ნაღებიც დაამახსოვრდებოდა.

მისი გამოჩენა ძალზე გააკვირვებდა და გაახარებდა.

მისალმების შემდეგ იკითხავდა: ილიკო შინ არ არისო? – და რაკიღა მასპინძელი შინ არ აღმოჩნდებოდა, ცოტა შეფიქრიანდებოდა: მასთან ერთი ძალიან საჭირო საქმე მქონდაო.

ნინო დახმარებას შესთავაზებდა, იქნებ მე შევძლო მისი მაგივრობაო.

ვაჟა გაიღიმებდა: ეს მართალია, რომ ხშირად დიაცები ენაცვლებოდნენ ვაჟკაცებს, მაგალითად ომიანობისას, მაგრამ ცოტა ხანს დავუცდი ილიკოსო.

რა სათხოვარი აქვს ამისთანა, რომ მხოლოდ მამაკაცს შეიძლება გაანდოს? ნინოს ცოტა კი ეხამუშება დიაცთან შედარება, მაგრამ მიუხვდება, გულწრფელად თქვა, არა საწყენადო, და გაჩუმდება. ვაჟაც ჩუმად ზის კარგა ხანს.

ბოლოს ისევ ღიმილით უნდა უთხრას:

– ილიკო არ ჩანს და, რა გაეწყობა, უნდა გასწიოთ მისი მაგივრობა.

ძალზე საჭირო საქმე რა ყოფილა და:

– არჩილის ნახვა მინდა.

ეს მოულოდნელობისაგან გაშრებოდა, როგორ, საიდან გაიგოო.

– არჩილის? – უნებურად გაიმეორებს და შიში გამოეხატება სახეზე.

ვაჟა, ეტყობა, სწორედ ამას უფრთხოდა, არ ავაფორიაქოო, მაგრამ წასვლითაც ვერ წასულიყო, ისე ამოეჭრა გულში არჩილ ჯორჯაძის მონახულება.

ნუ გეშინიაო, – დაამშვიდებდა, – მისი ჩამოსვლის ამბავი გიორგი დეკანოზიშვილმა მითხრა, ისიც დასძინა, ილიკოს შეუძლია გაჩვენოსო, მაგრამ თუ არ გინდა, ნუ მეტყვიო.

კი მაგრამ გიორგი დეკანოზიშვილი როგორ გაუმჟღავნებდა, როდესაც თვითონ საქართველოში ფეხი არ ჩამოუდგამს და ისე აღესრულებოდა, ერთხელაც ვეღარ დაჰკრავდა თვალს აქაურობას?

მემუარისტს ეშლება სახელი?

თუ ვაჟა-ფშაველამ სხვისაგან კი შეიტყო, მაგრამ ურჩევნია გიორგი დეკანოზიშვილის ავტორიტეტი მოიშველიოს?

საიდუმლოდ რჩება, თუმც ეს მთავარი არ არის და მის ბუნდოვანებას იოლად შევურიგდებით.

ვაჟა თან მოწადინეა არჩილის ნახვისა, თან უხერხულობასაც გრძნობს, ვაითუ რაიმე შავდებოდესო.

ეს მოცდას სთხოვდა და არჩილის ოთახში შევიდოდა.

ის ახველებს, სანთელივით ჩამომდნარი სახე შეწითლებია. და ვაჟა-ფშაველას სახელს გაიგონებს თუ არა, ჩაცვივნულ, შავ თვალებში სიხარული გაიელვებს და ლოგინიდანაც წამოიწევს: მობრძანდესო, – ხველას უმატებს. მასპინძელი დაფაცურდება, რძეს მიაწოდებს და ცოტათი დააწყნარებს.

ნინო სტუმრის შემოსაყვანად რომ დაიძრება, ავადმყოფი თავის ბიძაშვილს მიმართავს: ელენე, ჯერ ხელი მომეციო. და ისიც მიაწოდებდა ლაიკის ხელთათმანიან პროტეზს. გაიკეთებდა და საბანზე დაიდებდა.

ვაჟა შედის.

მასპინძელი ვერ შეატყობს, მანამდეც იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს, მაგრამ ისე კი შეხვდებიან, როგორც ძალიან მოსიყვარულე უფროს-უმცროსი ძმები. არჩილი წამოიწევდა, ვაჟა დაიხრებოდა, ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და გადაკოცნიდნენ. როდესაც ვაჟა წელში გაიმართებოდა, ორივეს ცრემლი ადგა თვალზე.

პირველად ვაჟა უნდა გამოერკვეს:

– დაბრუნდი, არჩილ, სამშობლოში?..

– აი, ხედავ, როგორ დავბრუნდი... მაგრამ, ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით. დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „სისხლის აღებას“, „ალუდა ქეთელაურს“... შედევრებია, შედევრები... საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არა ჰყავთ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ძალიან დაეცა ფრანგული მწერლობა.

არჩილის ხმა თანდათან მიყრუვდებოდა, მისუსტდებოდა, ელენე რაღაც წვეთებს დაალევინებდა და ოდნავ დააწყნარებდა. ვაჟას კმაყოფილებაც გადაუვლიდა სახეზე და მწუხარებაც: რა ვიცი, აბა, კი არაფერი გამოდის ჩემი წერისაგან და... ვინ აფასებსო...

არჩილი ამ სკეპსისს ვერ გაიზიარებდა, მაგრამ მომავალს უფრო იმედიანად შეხედავდა, და როდესაც დაინტერესდებოდა, ახლა რას წერთ, როგორ ცხოვრობთო, ვიღაც დარეკავდა. მასპინძელი სასწრაფოდ გაეგებებოდა, უცხო არ იყოს და რაიმე ეჭვი არ აიღოსო. სტუმარი მათი მეგობარი ექიმი აღმოჩნდებოდა: რამდენი ხანია ვრეკავ და ვერ გაგაგებინეთ, წუხელისაც ვიყავი, თქვენს დერეფანში „კატელოკები“ და პალტოები ეკიდა, ეტყობა, სტუმრები გყავდათ, და ელენემ კი არ შემომიშვა, შინ არავინ არისო. კარი ცხვირწინ მომიკეტა. ნეტავ რას ნიშნავს ეს ყველაფერი, იქნებ კონსპირაციაა და რაიმეს მიმალავთო.

ეს შეეცდებოდა ხუმრობაში გაეტარებინა მისი სიტყვები, მაგრამ ექიმი წასვლას არ აპირებდა და მასპინძელი შეშფოთდებოდა, ვაითუ ვაჟა გამოვიდეს და ერთმანეთს შეეჩეხონო. მაშინვე ელენესთან გაიქცეოდა, ვაჟა მეორე კარიდან გაისტუმრეო. და ელენე მეორე კარისაკენ რომ გაუძღვებოდა, ვაჟა გაჯიუტდებოდა, ისე როგორ წავიდე, ნინოს არ გამოვემშვიდობოო.

ეს ძლივძლიობით გააგებინებდა, სტუმარია მოსული და არ გვინდა შეიტყოს, ვისთან მობრძანდითო.

ბოლოს გაიგებდა, გაიცინებდა და მეორე კარიდან გავიდოდა.

არჩილი ერთხანს კიკეთს შეაფარებდა თავს. ზაფხულის დღეებში კიკეთს რა სჯობდა ტფილისური პაპანაქებისაგან სულის მოსათქმელად, მაგრამ ამჯერად ეს სოფელი საიდუმლო სადგომად უფრო დასჭირებოდა, რადგანაც ტფილისში უკვე აღარ დაედგომებოდა; და ამიტომაც მოხდებოდა, რომ კიკეთიდან ჩამოსულს პარ-

ტიის მთავარი კომიტეტი ახლა უკვე მახინჯაურს შეურჩევდა თავშესაფრად.

ტფილისის საბჭო რამდენჯერმე გამართავდა სხდომას უმწვავეს პოლიტიკურ საკითხებზე და, ხალხი ათასობით რომ მიაწყდებოდა, ნებას დართავდნენ კრებაზე დასწრებისა დემოკრატიულობის მოტივით. და ზოგჯერ თუ „ქალაქის მამები" სხდომას არ იწყებდნენ ანდა წყვეტდნენ ამა თუ იმ გარემოების გამო, ხალხი თვითონ ჩაერეოდა და საკუთარი ნებით აგრძელებდა თათბირს.

იმ დღესაც ასე იყო, იმ საბედისწერო 29 აგვისტოს.

გიორგი ლასხიშვილი მისვლით კი მივიდოდა დარბაზში, მაგრამ კრებაზე დიდხანს დარჩენა არ შეეძლო. სწორედ იმ საღამოს ისტუმრებდნენ მახინჯაურში არჩილ ჯორჯაძეს და მის გასაცილებლად 9 საათზე რკინიგზის სადგურში უნდა მიესწრო. იმდენ ხალხს მოეყარა თავი, ძლივს გამოაღწევდა დარბაზიდან, იქ შეხვდებოდა სანდრო დიასამიძეს და ისიც დაემგზავრებოდა: ჯერ არჩილი გავაცილოთ და კრებას კიდევ მოვუსწრებთო. მატარებლის დაძვრისთანავე უკან გამობრუნდებოდნენ თუ არა, პუშკინის ქუჩამდე მისულები მიხვდებოდნენ, რაღაც უბედურება მომხდარაო. გზები შეკრული იყო და იქით აღარავის უშვებდნენ, ერევნის მოედანი ჯარსა და პოლიციას გადაევსო.

თურმე ბოქაულს მოეთხოვა კრების მონაწილეთათვის, საბჭოს დარბაზი ახლავე გაათავისუფლეთო. ხალხი აჩოჩქოლებულა, ახმაურებულა, ერთბაშად ვერ გამორკვეულა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, ამასობაში კი საბჭოს სადგომს ყაზახთა და პოლიციელთა რაზმი მიდგომია და ჯერ გარეთ აუტეხავთ თოფის გრიალი, შემდეგ კი შიგ შეცვენილან და სროლაც გაუგრძელებიათ, კარებში ჯარისკაცები ჩამდგარან და შუაში მომწყვდეული ხალხი ამაოდ ლამობდა თავდაღწევას. დამფრთხალი ადამიანების ყვირილს ემატებოდა დაჭრილთა გულსაკლავი ღრიალი... 30 კაცამდე დაიღუპებოდა, 60-ზე მეტი დაიჭრებოდა...

ასე დასრულდებოდა დემოკრატიობანა.

* * *

მისკენ იყო მიქცეული ამხანაგების თვალებიო...

თუ რომელიმე თანაპარტიელი მუშაობაში ჩამორჩებოდა, საკმაო ენერგიასა და მუყაითობას არ გამოიჩენდა, არჩილი მოვალეობასაც მაშინვე მოაგონებდა და სამუშაოდაც ნაახალისებდა.

– მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყო. ერთგული ამხანაგიც იყო, მასწავლებელი, მოსამართლე, მსაჯულიც. თუ ტფილისში არ იმყოფებოდა, საგანგებოდ მივდიოდით რომელიმე, სადაც იყო, და იქ ვეკითხებოდით რჩევას და დარიგებას.

პოლიტიკური ლიდერის სიტყვა ასეც უნდა იყოს – ყველასათვის კანონი, პარტიულ დისციპლინას ეს განსაზღვრავს და, თუკი რომელიმე წინამძღოლი ამ მოთხოვნას აინუნში არ ჩააგდებს, პარტია ხელში შემოეფშვნება. დემოკრატია არაფრისმთქმელი სიტყვაა პარტიაში, ფასადის მოსაპირკეთებლად ნაგულისხმევი და არა ჭეშმარიტი რეალობა. და ამჯერადაც თითქოს რა მოხდა, არა? მეთაურის ბრძანებას ყველა ხმისამოუღებლად ემორჩილება. მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ამ ყაიდის პოლიტიკური თუ პარტიული ლიდერი რომ არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო? დემოკრატია მისთვის აუცილებელი მოთხოვნა გახლდათ და ბრძანებასაც ყოველთვის მოერიდებოდა. ვისთვის უნდა ებრძანებინა – ხელქვეითად არავის მიიჩნევდა. მისი სტილი ფიქრის გაზიარება უფრო იყო, ვიდრე დავალებათა შესრულების მკაცრი მოთხოვნა. პარტიული სიმკაცრე და სულიერი სიმტკიცე ერთმანეთში არასოდეს არევია.

მაშ სამსონ ფირცხალავა რომ გვარწმუნებს – მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყოო?

არჩილი მათ თვალში პარტიული ლიდერი კი არა, ზნეობრივი გმირია, იმ ყაიდის წინამძღოლი, ილია ჭავჭავაძე რომ გახლდათ, ვისაც პარტია არასოდეს შეექმნა, მაგრამ თაობის მოწინავე გუნდის სადავეები თავიდანვე მტკიცედ ეპყრა ხელთ და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელს მდინარებას წვდებოდა. არჩილ ჯორჯაძე ამ მხრივაც მის სულიერ მემკვიდრედ მოჩანს და თავის დროზევე ასეც აღიქვამდნენ – და ამ გადასახედიდანაა მისი სიტყვა ყველასათვის კანონი. თუმც ილიასთვისაც რომ გაეგონებინათ, სულიერ ჩამომავლად არჩილ ჯორჯაძე გრჩებაო, გაოგნებული გაასავსავებდა ხელებს, რამ მოგაფიქრათ, რა სულიერი საერთო იპოვნეთ, საიდან მომაშველეთო.

არჩილი მხოლოდ გაიღიმებდა თბილი, კეთილი ღიმილით.

და კიდევ:

ამხანაგიც, მასწავლებელიც, მოსამართლეც და მსაჯულიცო – ამ ნიშნებს რომ უყრიან თავს მის პიროვნებაში, ესეც სხვას არას მეტყველებს, თუ არა ეროვნულ წინამძღოლობას.

გალაკტიონ ტაბიძის იმ ქრესტომათიული სტრიქონების პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, პოეტის დანიშნულებასა და ვალს რომ განსაზღვრავდა და ძველსა და კეთილ დროს იგონებდა, და სამსონ ფირცხალავას მოგონებათა ეს პასაჟი ამ ასოციაციით შევავსოთ, რაც აშკარად აკლია პუბლიცისტის ჩანაწერს, არჩილ ჯორჯაძე იმ ძველი ჟამის სულისკვეთებას ინარჩუნებდა, რადგანაც ამხანაგიც იყო, მასწავლებელიც, მოსამართლეც, მსაჯულიც და უფრო მეტიც.

ეს „უფრო მეტია", ასე კანთიელს რომ ხდის მის პიროვნებას ყოვლად აბურდულსა და ქაოტურ ყოფაში. ამიტომაც არ ჩაიკარგებოდა, არ შეუზავდებოდა ეპოქის სულს, არ გადაკეთდებოდა იმის ცვლილებათა კვალობაზე და მის ზეგავლენას ამთავიდან იმთავამდე ზნეობა წარმართავდა.

ყოველთვის წრფელია ყოველთვის უანგარო.

და ამ სიწრფელესა და უანგარობას უფასებენ.

მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყოო...

ბათუმის ახლოს, მახინჯაურში რომ მიუჩენდნენ ბინას, ერთერთ აგარაკზე, შემოდგომის დამდეგს თედო სახოკია და ალექსანდრე ჯაბადარი ერთმანეთს აიყოლიებდნენ და ავადმყოფს ესტუმრებოდნენ.

– გამოუნებელს სიცხეს აძლევდა. ძალზე ახველებდა, მადა ჭამისა ნაკლებადა ჰქონდა. ლოგინიდანაც ვეღარა დგებოდა. უვლიდა მისი განუყრელი და ენით გამოუთქმელი ამაგდარი ბიძაშვილი ელენე ჯორჯაძისა.

ნუგეშისცემა არა ჭირდებოდა.

ისევ თავისას იმეორებდა: ავადმყოფობისა და თვით სიკვდილისა სრულებით არ მეშინიაო.

სულ სხვაა სტოიკოსის ბაგეთაგან წარმოთქმული ეს ფრაზა.

მაშ რატომ ეღვრებოდა ცრემლები გულში? გულში ჩაღვრილი ცრემლები იოლი დასანახი არ არის, მაგრამ თედოს თვალს რა გამოეპარებოდა.

რატომ და:

– მეორე სიკვდილი ის არის, რომ როცა გარშემო სიცოცხლე სდუღს, ჩვენს ქვეყანას მზიანი დღე უთენდება და თან სჭირია ხალხი, მუშა, მოქმედი ხალხი, იძულებული ვარ ლოგინში ვიწვე და შორიდან გულხელდაკრეფილი შევცქეროდე ქვეყანას.

მხოლოდ ამიტომ გამოუტირებია საკუთარი თავი. უამრავი სურვილითა და სწრაფვით აღვსილი სამარიდან ამოიცქირება და ეგაა.

სხვებს იმიტომ გამოუტირებიათ, რომ სიცოცხლის ნიშანწყალს ნაკლებ ატყობენ.

მაგრამ იგი აკი უფრო მეტი იყო – პოეტიც, ბედუინიც, მეომარიც, მოსამართლეც და რაღაცით კიდევ მეტი. და ეს კიდევ მეტობა და უფრო მეტობა აღავსებდა რომანტიკული გმირის ძალით, იმ შინაგანი მონუმენტალიზმით, სიცოცხლის მიჯნა რომ უნდა გადაელახა და კიდევ ერთხელ მობრუნებოდა სამზეოს.

ნამდვილი არჩილ ჯორჯაძე ახლა უნდა გამოჩნდეს.

უფრო სწორად – გამრთელდეს და სრულყოფილად წარმოდგეს.

მეორე სიკვდილს ახსენებდა სტუმრებთან საუბრისას?

გამოსცადა და მწუხარედ ახსენებდა.

თურმე მეორე დაბადებასაც უნდა მოსწრებოდა.

ნეტა თუ გრძნობდა მოშვებული, მიბინარებული სხეული ხელახალი აღორძინების გარდუვალობას?

ბედისწერას რომ არ ემორჩილებოდა, ამას უთუოდ იგრძნობდა და გაოგნებული ჩაუკვირდებოდა, ეს რა ხდება ჩემს შიგნითო.

გაზეთისა თუ ქრონიკის ენაზე ეს სასწაულებრივი გარდასახვა ასე უბრალოდ გამოითქმის:

– ამის შემდეგ არჩილი მოკეთებულა, პროცესი შესჩერებია და მორჩენის გზაზე დამდგარა. იწყება მისი ნაყოფიერი და სისტემატური მუშაობა „ცნობის ფურცელში“.

თავი მეჩვიდმეტე

ხომალდი „სირიუსი“

თედო სახოკია შუაგულში ტრიალებდა იმ პოლიტიკური ექსპედიციისა, რომელსაც ერქვა საქართველოში იარაღის შემოზიდვა გემ „სირიუსით“ და არაერთ საგულისხმო ცნობასაც ამიტომ შემოგვინახავს, თუმც ყველაფერში ისიც არ ყოფილა ჩახედული.

– და აჰა, გიორგიმ მთელის თავისი ენერგიით, მთელი თავისი ძალ-ღონით ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. სხვადასხვა გზებით მოახერხა იარაღის შეძენა.

იარაღისათვის 60 000 ფრანკი გაუღია იმხანად შვეიცარიაში მყოფ ზუბალაშვილს – სხვა სასიკეთო, საქველმოქმედო საქმეთაგან ამ სახიფათო თამაშშიც გადაეწაცვლებინა.

სამანძიანი ორთქლმავალი გემი „სირიუსი“ ჰოლანდიაში შეუძენია 70 000 ფრანკად გიორგი დეკანოზიშვილს ამსტერდამელი ვაჭრის კორნელისენის – ცნობილი ანარქისტის ქრისტიან კორნელისენის ძმის – შემწეობით და შვეიცარიიდან ჩატანილი იარაღი იქ დაუტვირთავს. გემის კაპიტნად და მეზღვაურებად – ექვსნი იყვნენ – ჰოლანდიელები შეურჩევია, გამოუმგზავრებია და ეს გრანდიოზული განზრახვა ასე თანდათან გამოკვეთილა რეალობად:

1905 წლის 13 ოქტომბერს „სირიუსი“ დაიძრება ამსტერდამის ნავსადგურიდან.

გემზე აწყვია 9000 თოფი თავისი ტყვია-წამლით.

იარაღი შავი ზღვით უნდა შემოზიდულიყო გურია-სამეგრელო-აფხაზეთის სხვადასხვა ადგილებში.

სტამბოლში ეკიპაჟს შეემატებოდნენ: გ. სიხარულიძე, ნაზარი და ერთიც თუში, რომლის გვარი და სახელის ინიციალიც თედო სახოკიას მემუარულ ჩანაწერში მოხსენიებულია, როგორც: გ. ბოლღაშვილი. ცხადია, ეს კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, მაგრამ ეს შეცდომა გადავიდა სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებშიც და აღარ დაადგა საშველი მის გამოსწორებას, მიუხედავად იმისა, რომ

სულაც არ არის საიდუმლოებით მოცული იმ თუში ვაჟკაცის ვინაობა – იასონ ბობღიაშვილის, ვისი ეს თავგანწირული ძიების ჟინიც დაკარგული სახელმწიფოებრიობის დასაბრუნებლად მის ვაჟზეც გადავიდოდა მემკვიდრეობით, სამანური მოძრაობის ერთ-ერთ წინამძღოლსა და, ამასთან, პოეტზეც ადამ ბობღიაშვილზე – ალვანელის ფსევდონიმით ცნობილზე, ვისი შეიარაღებული ბრძოლაც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ტრაგიკულად დასრულდებოდა თორღვას ხეობაში. და ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას შემორჩებოდა მოწამებრივი შარავანდით შემოსილი ადამ ბობღიაშვილის სახებაც – მისი მოკვეთილი თავიც.

თედო სახოკია საქართველოში შეერჩია გიორგი დეკანოზიშვილს თავის მთავარ დასაყრდენად, „სირიუსის" მგზავრობის უშუალო თვითმხილველი არა ყოფილა და, ამდენად, მისი ცნობის შეჯერება სხვათა გადმოცემებთანაც გახდებოდა აუცილებელი, რათა ზოგიერთი გარემოება თუ ნიუანსი უფრო დაზუსტებულიყო.

ევროპაში ეს სამი პიროვნება მოექცეოდა იარაღის შემოზიდვის ორგანიზაციის სათავეში, უშუალოდ ვინც აღასრულებდნენ ხელმძღვანელის დავალებებს: იასონ ბობღიაშვილი, პალიკო ყიფიანი და გიორგი სიხარულიძე, და „სირიუსი" რომ თავის მისიას შეუდგებოდა, იასონი და პალიკო გემს კი არ გამოჰყვებოდნენ, სტამბოლში ჩამოსვლას იჩქარებდნენ, რათა წინასწარვე მოემზადებინათ ყოველგვარი პირობა სრუტეებიდან „სირიუსის" უხიფათოდ გასვლისათვის. იასონი სტამბოლიდან რომ გამოაცილებდა, კვლავ გამოუსწრებდა ხომალდს და ბათუმში დახვდებოდა.

1906 წლის მარტის თვეში მეტეხის ციხეში რა ბრალდებით გამოამწყვდევდნენ?

აღმოჩნდებოდა მისი პირადი წერილები, ციხიდან გამოგზავნილი ნინო ყიფიანთან, მაგრამ ხელნაწერებში არც პირდაპირ და არც ქარაგმულად არ ექნებოდა აღნიშნული მიზეზი. თამაზ ჯოლოგუა – ბარათების პუბლიკაციისას დართულ წინათქმაში – მიუთითებდა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რა სასჯელი დაადეს მეტეხის ტუსაღს და, საერთოდ, დაუმტკიცდა თუ არა „დანაშაულიო". მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ 10-იან წლებში იასონ ბობღიაშვილი უკვე სოფელ ალვანში ცხოვრობს და ოჯახსაც მოჰკიდებია, და 1912 წელს კიდეც შესძენია ვაჟიშვილი ადამი.

20 ნოემბრამდე „სირიუსი" შავი ზღვის ქართულ ნავსადგურებამდე ვერ ჩამოაღწევდა.

ჯერ კი ის-ისაა შემოცურებულა ზღვის ტალღებში და თან მოჰყვება გიორგი დეკანოზიშვილის გული, ფიქრი და ყველაზე გაბედული ოცნებანი, და, რასაკვირველია, გაუთვალისწინებლად გამომტყვრალ ხიფათთა შიშიც, რაოდენ სანდო პიროვნებებსაც უნდა ჰქონდეთ ჩაბარებული იარაღის გადმოტვირთვა და დარიგება ამღელვარებული ქართველი მოსახლეობისათვის.

* * *

აქ კი, საქართველოში:

„სირიუსი“ რამდენიმე თვეში უნდა მოადგეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, ფოთიდან ოცი კილომეტრის მოშორებით.

ივლისი ჩავლილია.

თბილისიდან ბათუმში ალექსანდრე ჯაბადარი ჩადის ცნობების შესაკრებად, როგორ მოიქცევა ადგილობრივი გარნიზონი აჯანყებულთა გამოსვლისასო. ამის გამოსარკვევად აუცილებელია დაკავშირება ბათუმში დაბანაკებული ჯარის ოფიცრებთან, უპირველესად კი დავით კლდიაშვილთან, ვინც ოფიცრებში ყველაზე სანდო ადამიანად აღიარებულა და ცოლშვილიანად „გოროდოკს“ შეფარებია – ბათუმის ერთ მხარეს როგორც ჰქვია.

ალექსანდრე ჯაბადარი თედო სახოკიას მონახავდა და ეტლით მიაკითხავდნენ დავით კლდიაშვილს, რომელსაც ჩინებული მწერლის სახელიც მოეხვეჭა და საუკეთესო პიროვნებისა და ოფიცრისაც.

მის მემუარებში მკაფიოდ არ მოჩანს ის თვალსაჩინო როლი, ბათუმის წინაშე რომ მიუძღოდა, როგორც გრიგოლ ვოლსკის თანამოსაგრეს ქართველობის ინტერესთა დაცვასა და ქალაქის გამშვენიერებაში. მისი მონათხრობის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მხოლოდ შორიდან ადევნებს თვალს და ხარობს ბათუმის გავლენის ზრდით მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გუმანით უფრო გრძნობ მის დაფარულ ღვაწლს.

შოვინისტს რუს ოფიცრობასთან მისი დაპირისპირება უფრო შესამჩნევია და ჯარისკაცებთან მოპყრობის დახვეწილი კულტურაც, თუმც მისი იშვიათი თავმდაბლობა აქაც ფრაგმენტებისა და მინიშნებების ამარა უფრო გვტოვებს.

მის იმდღევანდელ სტუმრებს ჩინებულად მოეხსენებოდათ, ვისაც უნდა მოლაპარაკებოდნენ და ისიც შეეტყოთ, დავით კლდიაშვილის გულისათვის ჯარისკაცები ცეცხლში რომ ჩადგებოდნენ.

ასეთი სიყვარული ადვილად არ მოიხვეჭება, მითუმეტეს, როდესაც ჯარისკაცებს მეთაურობ, ხალხის მღელვარებასა და საპროტესტო გამოსვლებს წაულეკავს ბათუმი, ხალხის დაშოშმინება შენ და შენს რაზმს გევალებათ და ახერხებ რბევაში მონაწილეობა არ მიიღო.

საზოგადოების ყველა ფენას ამიტომაც ეგულება იგი ქომაგად და შემწედ.

და ვისი შეიძლება ეიმედებოდეთ შეიარაღებული აჯანყების თაოსანთა თუ მონაწილეთ, თუ არა დავით კლდიაშვილის, ასეთი აღტაცებით რომ გამოგებებია თავისი საყვარელი ჟურნალ „მოამბისა“ და გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელსა და თანამშრომელს, ცოლ-შვილს გააცნობს და განკარგულებასაც გასცემს, ძვირფას სტუმრებს საკადრისადაც დავუხვდეთო.

ვიდრე სადილი მზადდება, სტუმრობის მიზანს ამცნობენ და თხოვნასაც გადასცემენ, რითი უნდა გამოიხატოს მისი მხარდაჭერა რევოლუციური მოძრაობისათვის.

თედო სიხარულს მოელოდა, კი მოელოდა დავით კლდიაშვილისაგან, მაგრამ ასეთ აღფრთოვანებას არა. ისედაც შთაგონებული თვალები კიდევ უფრო აეგზნებოდა, ისედაც მოძრავი სხეული აუტოკდებოდა და თითქოს გასაჩერებელ ადგილს ვერ პოულობსო.

მადლობას მოახსენებდათ: გამახარეთ და გულს იმედი ჩამისახეთო.

მაგრამ რეალობა მიუკერძოებლად უნდა გადაუშალოს თვალწინ – არც გადამეტებული სიფრთხილე ვარგა, მაგრამ, ცხადია, არც ილუზიების გამოდევნება წაადგება საქმეს, თანაც უმნიშვნელოვანესს, ქვეყნის ბედი რომ უნდა გადაწყვიტოს.

იქნებ მართლა მოესწრნონ ნიკოლოზის ტახტის დამხობასა და რუსეთის ორთავიანი არწივის კლანჭთაგან თავის დაღწევას, გაწამებულ ხალხს ეღირსოს დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრება და სხვა ერთა თანასწორად არსებობა. მისი ოცნება ესაა და მისთვის თავი როგორ დაეზოგება, მაგრამ... მაგრამ ის, რომ:

– მარტო ვარ, მარტო, გარშემო სულ შავრაზმელები მახვევია. ჩემი როტა რომ გამომყვეს, სხვები გამომყვებიან? ამისათვის აქ მუშაობა არავის გაუწევია, არავინ ცდილა გაეღვიძებინა გონება-ჩამორჩენილი სალდათი რუსისა. რევოლუციური პროპაგანდა მიმართული იყო აქაურ ნავთის საწმენდ ქარხანაში მომუშავეებისაკენ. ესენი ჩვენი ხალხია, მკვირცხლი, მიხვედრილი. საკმარისია,

ერთი კი მოჰკრას ყური მისთვის და მისი ქვეყნისათვის სასიკეთო აზრს, რომ მაშინვე ყველაფერს მიხვდეს და მხარში ამოგიდგეს. აქაური ჯარის მიერ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება მაშინღაა მოსალოდნელი, როდესაც ხალხი, უმრავლესობა, გამარჯვებული იქნება.

რეალობა ესაა და მკაფიოდ უნდა გააცნობიერონ – ჯერჯერობით ჯარს თავდებად დავით კლდიაშვილიც ვერ დაუდგება, ვის სიტყვასაც ამხელა ანგარიშს უწევენ და ვინც ისედაც ყოველმხრივ უკვირდება და სწავლობს სალდათურ ყოფას, აჯანყებისათვის რომ არც იყოს აუცილებელი მათი ფსიქოლოგიის გამორკვევა და ენერგიის წარმართვა კაცობრიობისათვის სასიკეთო კალაპოტით.

რუსმა ჯარისკაცებმა უნდა შეიგნონ, რომ დაპყრობა საბოლოოდ მათსავე ქვეყანას აზარალებს.

ქართველმა ჯარისკაცებმა კი უნდა გააცნობიერონ, რისი დაცვა ევალებათ და სწადიათ – რუსეთის იმპერიისა თუ მშობლიური მიწა-წყლისა.

პირადად მე ჩვენი ქვეყნის ჭირის სანაცვლო ვიყოო – დავით კლდიაშვილი აგრძელებდა – როგორც ერთი კაცი, მომიხმარეთ, რაც გენებოთ, ის დამავალეთო.

გამოჰკითხავდათ იარაღის შემოტანის დროს, მისი გასანაწილებელი პუნქტების მდგომარეობას. სამხედრო კაცის თვალსაზრისით გაეცნობოდა გეგმას, რომელსაც დაუფარავად გადაუშლიდნენ, რამდენიმე მოსალოდნელ დაბრკოლებასაც გაუთვალისწინებდათ და დაასრულებდნენ კიდეც ამ თემაზე საუბარს.

თედო სახოკია გაიხსენებდა ამ შეხვედრისა და ბაასის შინაარსს.

დავით კლდიაშვილი კრინტსაც არ დაძრავდა – ნართაულად და მინიშნებითაც არაფერს ამცნობდა მკითხველს.

მისი მემუარები 1925 წელს იწერებოდა, გამწვავებულიყო ბოლშევიკური პარტიის ურთიერთობა ყველა სხვა პარტიასთან, იატაკქვეშეთშიც არ ანებებდნენ მოღვაწეობას და სრული განადგურებით ემუქრებოდნენ; და მწერალი, ეტყობა, შიშობდა, „სირიუსის“ ისტორიული ეპიზოდისა და მისი კულუარების გახსენებამ ვაითუ რა ეჭვები და ჩაძიების წადილი მოიყოლოს ხელისუფლების მხრიდან სოციალისტ-ფედერალისტების მიმართო.

აჭრილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში ყველაფერი მოსალოდნელი გახლდათ.

საიდუმლოდ დარჩებოდა ეს შეხვედრა?

მოთვალთვალეები არ აკლდა ისედაც თვალში ამოღებულ მწერალ-ოფიცერს, და თუნდ ეს სტუმრობა კიდეც გამოპარვოდათ მხედველობიდან, ის მაინც თვალნათლივი გახლდათ, რომ დავით კლდიაშვილი პროტესტანთა მხარეს მიიწევდა, იქით მიილტვოდა მისი გრძნობა და გონება და, პოლიტიკურად არასანდო პირად რომ გამოაცალკევებდნენ, საატესტაციო კომისიას მის ატესტაციასაც წარუდგენდნენ და ქებასთან ერთად – როგორც სამხედრო მოსამსახურე, ჩინებულიაო, – ამ ფრაზასაც ჩაურთავდნენ – დაბეჯითებით ძნელია თქმა, რომ სახალხო გამოსვლისას ეს შტაბ-ოფიცერი ჩვენს რიგებში დარჩებაო; ფრაზას, რომელიც გულისხმობდა მის დათხოვნას სამსახურიდან.

საამისოდ უკვე განწყობილიყო და დიდად არ ინაღვლებდა სამსახურის დაკარგვას, ეგაა, შეუნელებელ აღელვებაში გატარებული წლები ჯანს შეურყევდა და, ნაადრევად მოვტყდიო, თავს შესჩიოდა.

* * *

არჩილ ჯორჯაძე ისე ვერ ჩაერეოდა იარაღის შემოზიდვის ამ მნიშვნელოვან აქციაში, ფეხზე მდგომს როგორც შეშვენის – სნეულება არ დაანებებდა მისვლა-მოსვლასა თუ მოლაპარაკებებში ენერგიულ ჩართვასა თუ სულაც ფარული სამზადისის მეთაურობას, თუმც თვალყურს ადევნებდა ამ სამზადისს და არც აქაურ თანამებრძოლთ აკლებდა რჩევებს და გიორგი დეკანოზიშვილსაც ყველაზე სანდო ცნობებს მიაწვდიდა, მიუკერძოებელს, რადგანაც გადამეტებულ აფოფინებას იქნებ არანაკლებ დაეზარალებინა ჩანაფიქრი, ვიდრე შიშსა თუ სასოწარკვეთას.

საყვარელო ძმაო გიორგიო – მისწერდა – აგერ სამი კვირაა, რაც ჩამოვედი და ვერა მოგწერე რა. შენ რომ მოგშორდი, ძალიან დავღონდი. მთელი გზა შენზე ფიქრში ვიყავი. შენს მეგობრობას და სიყვარულს ჩემდამი არასოდეს არ დავივიწყებო.

წრფელია არჩილი. და თუმც თავშეკავებულია გრძნობის გამოხატვისას, ამჯერად ვერ ითმენს, რომ გული არ გადაუშალოს. რაც უფრო შორს გაიჭიმა მანძილი და ხიფათიც რაც უფრო თვალსაჩინოვდება, მით მეტად ეძალება განცდები და აგერ სულაც: მთელი გზა შენზე ფიქრში გავატარეო.

აქ რა ხდება?

თბილისში ერთ კვირას დაჰყო, მაგრამ ლოგინიდან არ ამდგარა. ყმაწვილები თვითონ დაიარებოდნენ მასთან.

გიორგი ისედაც მიუხვდება, ვინც იგულისხმებიან.

საქმე? ცოტ-ცოტა კეთდება.

ორგანიზაციები? სუსტდებიან, ხოლო წარსულთან შედარებით ორგანიზაციასაც არა უჭირს რა.

თითქოს ბუნდოვანი ფრაზაა და, ეტყობა, არჩილი გულისხმობს, რომ ცალკეული წრეები სხვადასხვა ქალაქებში მთლად მტკიცედ ვეღარ გრძნობენ თავს, თუმც თბილისის ბირთვი თავის სახეს ჯერაც ინარჩუნებს, ყოველ შემთხვევაში, სავაგლახოდ სულაც არ არის საქმე.

გადატანა? იარაღის შემოზიდვაზე მიანიშნებს და ამცნობს: გადაჭრით ვერას ვიტყვიო.

რომ არწმუნებენ, ყველაფერი მოწყობილიაო? საამისო საბუთი ხელთ არაფერი გააჩნია, სიტყვიერ გადმოცემას კი დიდ ფასს არასოდეს ანიჭებდა და ვერც თვითონ მიენდობა უდრტვინველად და ვერც გიორგი დეკანოზიშვილს დააიმედებს.

– სტამბულში ჩემი თბილისში ყოფნის დროს კაცი ჯერ არ წასულა. ახლა თუ წავიდა, არ ვიცი. უცნობია ჩემთვის, მეუბნებიან გამოდგებაო. წინათ რომ მოგწერეს, 4000 თ. გვაქვსო, სულ ტყუილი გამომდგარა, არაფერიც არა აქვთ რა და, საზოგადოდ, არც ისე არის საქმე, როგორც გვატყობინებენ.

ამ ტყუილის გამჟღავნებას დაუეჭვებია და ამიტომაც ეძიებს გულდასმით მოვლენათა ძარღვს, მითუმეტეს, რეალობა უფრო გამკაცრებული დაუხვდა, ვიდრე მოელოდა:

– მართალია, იარაღის საჭიროება დიდია, მაგრამ საქმის მოწყობისა და გაძღოლისათვის ორგანიზაცია სუსტია. ამჟამად ყოველივე თითქოს მიყუჩდა, რასაკვირველია, დროებით. მთავრობა ისევ ძველ სისტემას დაუბრუნდა, პრესასაც მოუჭირეს, ასე რომ, ახლა ისე თავისუფლად ვერ წერენ, როგორც ამ ორი თვის წინათ იყო.

სტამბის საქმეც გამკაცრებულ რეჟიმს დაუბრკოლებია და ვალოდიაც – ვლადიმერ ლორთქიფანიძე – ამას მოუხვედრებია მეტეხის ციხეში, სტამბის მასალა და ლიტერატურა რომ უპოვნიათ მასთან.

თუმც ეს გიორგის უკვე შეტყობილი ექნება.

მიხეილ კიკნაძესაც ამიტომ გამოუცვლია ადგილსამყოფელი.

– ახლა იმის მზადებაში არიან, როგორ მიიღონ შენ მიერ გამოგზავნილი ნივთები, ჯერ არა ვიცი რა.

ეს რაღა კონსპირაციაა, ბარემ პირდაპირ ეხსენებინა იარაღის შემოზიდვაო, – გაიღიმებდა რევაზ გაბაშვილი, ეს ბარათი შემთხვევით რომ ჩავარდნოდა ხელთ და „გადატანა“ და „ნივთები“ ამოეკითხა, და კიდევ ის: იარაღის საჭიროება დიდიაო, – თითქოს ზოგადად რომ აღნიშნულიყო.

არჩილ ჯორჯაძეს იმისი ეიმედებოდა, რომ ხომალდით იარაღის შემოტანა წარმოუდგენელი გახლდათ ხელისუფლებისა და ჟანდარმერიისათვის და ეს ბარათი ხელთაც რომ ეგდოთ, დიდ კირკიტსა და გაშიფრვას აღარ დაუწყებდნენ.

სინანულსაც ამცნობდა, „საქართველო“ რატომ შევწყვიტეთ, რუსის მთავრობა ჯიუტობს და ბოლო არ უჩანს ძალმომრეობას. თუ აქ ვერ მოხერხდა, იქნებ ისევ საზღვარგარეთ განვაგრძოთ გამოცემა, მაგრამ ჯერ აქ ვეცდებიო.

ეს რჩევაც – თუ რჩევაში ნაგულისხმევი გაფრთხილება – აუცილებელია, რათა გიორგი დეკანოზიშვილმა უეცრად ფეხი არ დაჰკრას და აქ არ გამოეცხადოთ, გულმა არ მომითმინაო:

– შენი აქ წამოსვლა, ჩემი აზრით, და ამხანაგებიც მეთანხმებიან, შეუძლებელია. იქ ძლიერ საჭირო ხარ ყოველის მხრივ, რომ წამოხვიდე, კავშირი აღარ გვექნება იქაურებთან და ეს კი დიდ ვნებას მოგვიტანს.

და აქვე ერთი ეპიზოდიც, ნიშანდობლივი იმჟამინდელი სინამდვილისათვის და იმ მოტივითაც შემოსანახი, რომ არჩილ ჯორჯაძეს აუცილებლობად მიუჩნევია მისი აღბეჭდვა ბარათში, თუმც ვარაუდობს, რომ ეს ტრაგიკული ამბავი ისედაც ჩააღწევდა პარიზამდე:

– სტუდენტ ხერხეულიძის სიკვდილს გაიგებდი. მებრძოლი რაზმის დადგენილებით პოლიცმეისტერი უნდა მოეკლა. დასჭრა მხოლოდ. დაიჭირეს და პოლიციის ნაწილში ხმლებით და ხანჯლებით სასიკვდილოთ დასჭრეს. ეს ავაზაკობა ინგუშმა (ჩაკასმა) მოახდინა.

თუ დაეჭვებულიყო – საბაბიც ჰქონდა – იარაღის შემოზიდვის ორგანიზება როგორ მოხერხდებაო, თანდათან გული მოეცემოდა, ახალი, სასიკეთო ცნობები უფრო და უფრო დააიმედებდა და ირწმუნებდა, ხომალდის შემოსვლას შესაფერისად დავხვდებით და გიორგი დეკანოზიშვილს იმედს არ გავუმტყუნებთო.

მაგრამ ახლა ის შეაშფოთებდა, იმისგან რატომ აღარ ისმის აღარაფერი, ჩვენ თუ უკვე ავაწყეთ აქ საქმე და გიორგისაგან მხოლოდ დეპეშას მოველით, რათა მივავლინოთ ჩვენი კაცები ჩანაფიქრის დასაგვირგვინებლად, სად არის ეს დეპეშა, ერთი სიტყვა რატომ აღარ მოგვწვდა პარიზიდანო.

იქნებ კიდეც გამოეგზავნა, მაგრამ ათასგვარი ხიფათიდან ერთ-ერთს შთაენთქა. ამიტომ ისევ თვითონ მისწერდა 9 ივლისს: მოლოდინსაც აუწყებდა და გაფრთხილებასაც არ მოაკლებდა:

– აქ საქმე ძლიერ გამწვავდა. თბილისი სამხედრო ბანაკად გადაიქცა. გამვლელ-გამომვლელებს აჩერებენ, ქუჩაშივე სჩხრეკენ და ატუსაღებენ. ტერორისტებსაც არ სძინავთ, ბევრი ყაზახ-რუსი და პოლიციელი გასწყვიტეს ბომბებით. ერთი სიტყვით, გამწვავებული ბრძოლაა.

და კიდევ ერთი გულთბილი ფრაზა და შეგულიანება გადამწყვეტი მოქმედების წინ:

– აქაურები ხშირად გაიგონებენ და ძალიან მადლიერნი არიან შენი მოქმედებებისა. შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის.

დეპეშა, ერთი დეპეშა და აქაურობა ახალი ჟინითა და ენერგიით ამოძრავდებოდა.

* * *

გიორგობისთვე მოაწევდა.

„სირიუსი“ ფოთის ნავსადგურს მოუახლოვდებოდა და დასაცლელად 20 კილომეტრის მოშორებით დადგებოდა.

საშინელი ღელვა ძალიან დააბრკოლებდა თოფების გადმოზიდვას და მხოლოდ 3000 ცალის გადმოტვირთვა მოხერხდებოდა. კაპიტანი იძულებული შეიქნებოდა დანარჩენი ზღვაში გადაეყარა, რადგანაც სტამბოლში უკანვე შეუმჩნეველად ვეღარ გაატარებდა.

თუმც სხვა ცნობით გუდაუთასთანაც – ბომბორაში – გახდებოდა შესაძლებელი რაღაც ნაწილის გადმოზიდვა.

თუ რა სამარცხვინო როლი ითამაშა ამ იარაღის გადმოტვირთვისას ზოგმა ვითომდა თანამებრძოლმა, ამის შესახებ სხვა უფრო შესაფერ დროს ვიტყვითო, – მკითხველს შეპირდებოდა თედო სახოკია, – დღეს კი იმასღა აღვნიშნავთ, ისინი რომ ამ საქმეში არ გარეულიყვნენ, ათ კაცში, რომელნიც სასამართლოს ჩავუვარდით

ხელში ამ იარაღის შემოტანის გამო და რომელთაც ციმბირი გვაჩვენეს, არცერთი არ დავისჯებოდით, თავიდანვე საქმე ისე გვქონდა დაწყებულიო.

ეს „სხვა უფრო შესაფერი დრო“ აღარასოდეს დადგებოდა.

შეპირება შეპირებად დარჩებოდა და ბურუსით შეიმოსება იმ „ვითომდა თანამებრძოლთა“ ვინაობა, რომელთა სამარცხვინო მოქმედებამაც გაამჟღავნა ეს პოლიტიკური აქცია.

მთავრობა ასე შეიტყობდა იარაღის შემოზიდვის ამბავს და ხალხს, თოფებისა და ტყვია-წამლის მისაღებად ვინც მიადგებოდა ფოთის სანაპიროს, პოლიციასა და ჯარს შეუსევდა.

სროლაც ატყდებოდა.

სისხლიც დაიღვრებოდა.

თუმც არც ხალხი და არც ამ პოლიტიკური აქციის უშუალო აღმსრულებელნი ძალიანაც არ დაზარალდებოდნენ და იარაღსაც ხელთ იგდებდნენ.

არ დაზარალდებოდნენ ერთადერთი მიზეზით -

ფოთის პოლიცმეისტერის აბაშიძის წყალობით.

თავის მემუარულ ჩანაწერებში არსად გამოურევია არც ეს პიროვნება და არც ეს ეპიზოდი თედო სახოკიას, თუმც მოყოლით კი ყოველთვის ხალისიანად ჰყვებოდა თურმე და, საბედნიეროდ, ერთ-ერთი მსმენელი კიდეც აღბეჭდავდა თავის მოგონებაში.

აბაშიძეს სამსახური რევოლუციონერთა დევნასა და დაპატიმრებას ავალებდა, ის კი თავისი ერთ-ერთი ნათესავის პირით წინასწარვე ატყობინებდა მსხვერპლთ: დღეს, საღამოს ამა და ამ საათზე თქვენს დასატუსაღებლად მოვდივარ და თავს უშველეთო.

„სირიუსი გარე რეიდს რომ მოადგებოდა, რევოლუციონერთა დაპატიმრების ოპერაციის ხელმძღვანელობა – ძირითადად და საბედნიეროდ – ამ აბაშიძის ხელთ იქნებოდა თავმოყრილი, და იგი ყველაფერს იღონებდა, ვითომდა აუცილებელი სიფრთხილის მომიზეზებით, რაც შეიძლება დააყოვნებდა ალყის შემორტყმას.

ასე მოასწრებდა „სირიუსი“ გაქცევას.

ხალხიც ასე მოასწრებდა იარაღის დიდი ნაწილით მიმალვა-მომალვას.

თედოც ამიტომ გადაურჩებოდა დატუსაღებას ადგილზევე.

ამ აბაშიძის ღვაწლს კი ყოველთვის ასე შეაფასებდა:

1905 წელს ის რომ არა ყოფილიყო ფოთის პოლიცმეისტერად, ეს ქალაქი ალბათ ნათოფარს დაემსგავსებოდაო.

მერე ბევრი მოიწონებდა თავს – ჩემი თვალით მინახავს ეს თოფები, გრძელლულიანები იყო და ფოთში თითქმის ყველა მუშას ჰქონდაო.

ზოგი კიდეც დაძრახავდა: მეტად დიდი იყო და მძიმე, შიგ შვიდი ვაზნა ჩადიოდა, რომელთა გასროლის შემდეგაც ლულა ხურდებოდა და ტყვიები დნებოდაო.

დიდ როლს შეასრულებდა ეს იარაღი შეიარაღებული აჯანყებისასო, – ერთნი თუ ასე ირწმუნებოდნენ, მეორენი აქიაქებდნენ: ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევდა რევოლუციასო.

ამხელა ხიფათი, ამხელა ენერგია და ამდენი ფული და... ამაოდ უნდა ჩაევლო „სირიუსის“ ექსპედიციას აჯანყებისას?

ზედმეტია ჩაძიება და რკვევა, რა როგორ იქნებოდა, მღელვარება ერთბაშად რომ არ მოეგუდა ხელისუფლებას და მეამბოხეებს დასცლოდათ იარაღის შემართვა. ისტორია სხვა გზით წავიდოდა ერთხანს, თუმც ჩანავლებული ქარიშხალი მაინც მოასწავებდა დიდსა და გადამწყვეტ ქარტეხილებს.

წამიერი ჩაშოშმინება ჩაშოშმინებად არც ითქმოდა.

მთავარი ისაა, რომ „სირიუსის“ ამ გაბედულ ექსპედიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა როგორც ღრმად გააზრებულ პოლიტიკურ აქციას და როგორც იშვიათი მორალური ძალის მქონეს, სიმხნევესა და იმედს რომ შთაბერავდა ქართველობას და მთავარზე მთავარი კი ისაა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი აქცია აღასრულა პოლიტიკოსთა იმ გუნდმა, რომელნიც საქვეყნოდ მოითხოვდნენ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას.

ამ იდეის გასაბრწყინებლად ღირდა თავზე ხელის ასე აღება.

და ის ათი გაციმბირებულიც იარაღის ამაო გადმოტვირთვას კი არა, უშუალოდ ამ იდეის განმტკიცებას შეეწირებოდა.

დაუბრუნდებოდა „სირიუსი“ გიორგი დეკანოზიშვილს.

ერთხანს ძალიან გაუფრთხილდებოდა – იქნებ კიდევ გახდეს აუცილებელი იარაღის შეზიდვა საქართველოშიო.

შეიარაღებულ აჯანყებამდე საქმე ველარ მივიდოდა.

და გიორგი დეკანოზიშვილიც შეელეოდა ამ ისტორიულ გენს.

ფოტოსურათს კი გადაუღებდა, ვიდრე 30 000 ფრანკად გაჰყიდდა.

და იმ სურათს გიორგის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე გაუფრთხილდებოდა.

უკეთესი სახსოვარი ანკი რა უნდა ყოფილიყო ადამიანისათვის, ვინც თავს არ იზოგავდა მეუღლის ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

* * *

პარიზში რომ ხმა ჩააღწევდა, რუსეთის იმპერატორი მანიფესტის გამოცემას აპირებს, მანიფესტისა, რომელიც გამოაცხადებს მოქალაქეობრივი თავისუფლების შეურყეველ საფუძვლებს, პიროვნების ხელშეუხებლობასა და სინდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირის თავისუფლებას; ის კი არა, ნახავთ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულებაც თუ არ გამოქვეყნდაო – „საქართველოს“ რედაქციას გაუკვირდებოდა, ასეთი გულუბრყვილო როგორ არის ჩვენი საზოგადოება, რომ დამფუძნებელი კრების მოლოდინშიაო.

ხოლო იმასაც რომ შეიტყობდნენ, მომავალი პარლამენტის დებულებაში კავკასიელ დეპუტატთა არჩევა გათვალისწინებული არა ყოფილა და კავკასიაში – და, ცხადია საქართველოშიც – ერთი ალიაქოთია, გადაწყვეტილი აქვთ, თუ საჭირო შეიქნა, პეტერბურგში დელეგაცია მიავლინონ, რათა ეს უფლება გამოითხოვონო, მოვალედ მიიჩნევდნენ თავს, აუცილებლად და კრიტიკულად გამოხმაურებოდნენ ამ მოვლენას და დაურიდებლად ემხილებინათ იმათი აჩქარება თუ ამაო გარჯა, რომელთაც ძალიან ეიმედებოდათ შუამდგომლობისა, იქნებ პარლამენტარიზმის სიკეთენი ჩვენც გვერგუნოსო.

– ამოდენა დარბაისელ და სერიოზულ ხალხს სჯერა, გულით სჯერა, რომ მთავრობას მართლაც სურს დამფუძნებელი კრების მონვევა, – ირონიულად ეღიმებოდა გამოხმაურების ავტორს მაშინაც და წლის დამლევსაც, როდესაც იმპერატორი მართლაც გამოაქვეყნებდა ამ მანიფესტს, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულებაც დაიბეჭდებოდა და, იმპერატორისა და მმართველი წრეებისადმი კვლავაც სკეპტიკურად განწყობილი, აღარ დაგიდევდა, რომ კავკასიის ერების დელეგაციაში, პეტერბურგში რომ მივლენილიყო, ილია ჭავჭავაძეც იმყოფებოდა, ვისაც არც აჩქარება სჩვეოდა, არც გულუბრყვილო მოლოდინი და არც ხელმწიფის სიკეთისა სჯეროდა.

ეგაა, ატყობდა, იძულებული იყო ხელისუფლების მხრიდან ეს დათმობა, ძალიანაც არ უნდოდათ, მაგრამ რევოლუციონერთა და-

უშოშმინებლობა აუცილებელს ხდიდა ისეთ კომპრომისებს, რათა გადამეტებული სიჯიუტით მართვის სადავეები არ გასხლტომოდათ ხელიდან, და გონიერ კაცს ამით უნდა ესარგებლა.

მთავრობას არა სურს დამფუძნებელი კრების მოწვევაო, – ირწმუნებოდნენ სკეპტიკოსები.

არა სურს, მაგრამ სხვა გზაც არ გააჩნიაო, – მტკიცე პასუხი ეპყრა ილიას, და პეტერბურგშიც ჩავიდოდა, სახელმწიფო საბჭოს უმაღლესი კომისიის სხდომასაც დაესწრებოდა, პირშიც შეებმოდა სხდომის თავმჯდომარეს, ერთ სიტყვასაც არ შეარჩენდა და ასე გამოგლეჯდა ხელიდან მმართველ წრეებს უფლებას – კავკასიასაც მიეღო მონაწილეობა სათათბიროს არჩევნებში.

შინ მობრუნებული კი კიდევ უფრო გააცხოველებდა საქმიანობას პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად.

* * *

ხელისუფლებას ისედაც ყელზე ადგა „ცნობის ფურცელი" და, როდესაც ის არ მოერიდებოდა არც ქუთაისიდან გამოგზავნილი კორესპონდენციების ბეჭდვას, თუ როგორ აეკლო გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ჯარს დასავლეთ საქართველო – ძარცვა-განადგურება, მკვლელობა, გაუპატიურება ცოდვისკითხვად ტრიალებდა; და აღშფოთების ტალღა რომ გადაივლიდა ტფილისში, გუბერნატორი პასუხს მკაცრად მოსთხოვდა რედაქციას: დაურღვეველი საბუთები წარმოადგინეთ, რომ სინამდვილეში ხდება ასე და თქვენი კორესპონდენტი არ იგონებს, თანაც ერთ კვირაში, თორემ „ცნობის ფურცელი" დაიკეტებაო.

ასეთი მუქარა ქალაქში სენსაციას რომ გამოიწვევა, რედაქციას ვინ აღარ მიაკითხავდა, მათ შორის, სოციალ-დემოკრატებიც გამოიდებდნენ თავს: რას აპირებთო.

ესენი არაფრის დამთმობნი არ იყვნენ, საპასუხოდ მოემზადებოდნენ და ქუთაისიდან გამოითხოვდნენ ყველა მასალას, რისი მოძიებაც შეიძლებოდა. გიორგი ლასხიშვილი მოწინავე სტატიაში აღნიშნავდა იმ სირთულეებს, რაც ელობებოდა სწორედაც დაურღვეველ საბუთთა გამომზეურებას – სახელმწიფო უწყებანი ასაიდუმლოებდნენ ყოველგვარ დოკუმენტს, გამკაცრებული პოლიტიკური რეჟიმი ხელს უშლიდა კერძო გამომძიებელთა მოქმედებას, ხალხიც ძალიან დაშინებულიყო და მოწმედ დადგომა ყველას ეშინოდა,

რადგანაც მეორე დღესვე გაუნადგურებდნენ ოჯახს, დაზარალებულთა კარწინ კი ზარბაზნები იდგა და იქ შეღწევას შეუძლებელს ხდიდა.

რაღაც-რაღაც მასალების შეგროვება მაინც მოხერხდებოდა და საბუთები გაავსებდა გაზეთის მთელ ათ გვერდს, კიდევ ერთხელ რომ წარმოსახავდა საზარელ სურათს; ოღონდ შიშობდნენ, ვაითუ ამ ღამესვე დაგვიკეტონ რედაქციაო, და ამიტომაც შიო ჩიტაძე და პართენ გოთუა „ცნობის ფურცლის“ ამ ნომერს რუსულად თარგმნიდნენ სასწრაფოდ და ჩააბარებდნენ „ეოზროჟდენიას“ დასაბეჭდად, მეორე დღეს კი ოფიციალური რედაქტორი ალექსანდრე ჯაბადარი ნომერს სათანადო ნებართვით გადასცემდა ტფილისის გუბერნატორს.

იმის პასუხიც არ დაიგვიანებდა.

რედაქციას იმ ღამესვე მიუცვივდებოდა პოლიცია, ხელნაწერებს წამოკრეფდნენ და თანამშრომლებს გამოუცხადებდნენ: რედაქცია დაკეტილიაო. გუბერნატორი აკი მხოლოდ გაზეთის დახურვას იმუქრებოდა, მაგრამ ახლა ბარემ გადააჭარბებდა და ალექსანდრე ჯაბადარს აეკრძალებოდა ტფილისში, აგრეთვე ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე.

30 მარტს მეტეხის საპყრობილედან გამოგზავნილ ბარათში იასონ ბობღიაშვილი ამ წუხილსაც გამოთქვამდა: ძალიან მეწყინა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის დაკეტვა და გადასახლება ჯაბადარისაო. და იქვე ნინო ყიფიანს ციმბირში წამსვლელებთან დააბარებდა მრავალ ძმურ მოკითხვას.

* * *

დგებოდა დრო, ჟენევის კონფერენცია ტფილისში გაგრძელებულიყო და საბოლოოდ დამტკიცებულიყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამა. პროგრამის შედგენა და დასაბუთება – ჟენევის კონგრესის რეზოლუციისა და პირველი პროგრამის მიხედვით – მიენდობოდა მთავარი კომიტეტის წევრს გრიგოლ რცხილაძეს.

ეს დრო 1906 წლის მეორე ნახევარს გულისხმობდა და ამასობაში ახალფეხადგმული პარტია უკვე ქცეულიყო მძაფრი შინაური დავისა და კრიზისის ასპარეზად.

გიორგი ლასხიშვილი სამ სხვადასხვა ფრთას გამოარჩევს: მემარჯვენეებს, უფრო ეროვნულ პროგრამას რომ ემხრობოდნენ და სოციალიზმს ნაკლებ იზიარებდნენ; მემარცხენეებს – ანარქოსინდიკალიზმისაკენ რომ მიაქანებდნენ პარტიას; და ცენტრისტებს – ერთადერთ მტკიცე დამცველს სოციალიზმ-ფედერალიზმის პირველსაფუძვლების და მიმართულებისა.

კონფერენცია არამცთუ მშვიდ გარემოში ვერ ჩათავდებოდა, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდებოდა და პარტიაც საბოლოოდ ჩამოყალიბებოდა.

მიხაკო წერეთელი და კომანდო გოგელია – ამ პარტიის თანამგრძნობი ანარქისტები – ენერგიულ ჩარევას რომ მოინდომებდნენ შიდაპარტიულ დაპირისპირებაში, მემარცხენეთა მხარში ამოდგომასა და გადამწყვეტი იერიშის მომზადებას, მთავარი კომიტეტის დავალებით სწორედ გიორგი ლასხიშვილი გამართავდა მათთან მოლაპარაკებას და თითქოს კიდეც დაიყაბულებდა, განზე გამდგარიყვნენ; მაგრამ ვერც ერთი შეიკავებდა თავს კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოსვლისაგან და ვერც მეორე.

თავყრილობა 29 ივნისს გაიხსნებოდა სოფელ ბეკამში, ხაშურის მახლობლად, და 5 ივლისს, როდესაც ჯერ პროგრამაზე კამათი არ დასრულებულიყო, ერთ-ერთი მონაწილე გარედან დარბაზში შევიდოდა და კრების თავმჯდომარეს გიორგი ლასხიშვილს ხმადაბლა გაიხმობდა გარეთ: ტფილისიდან რეზო გაბაშვილია ჩამოსული და დაუყოვნებლივ თხოულობს თქვენს ნახვასო.

განა ასე ასაჩქარებელი რა უნდა ყოფილიყო?..

ბარემ ჩათავებულიყო იმ დღის სხდომაც.

მაგრამ რეზო გაბაშვილი ტყუილუბრალოდ არ გაიხმობდა.

ეს თავმჯდომარეობას სამსონ ფირცხალავას გადააბარებდა, გარეთ გამოსულს კი საშინელ ამბავს ამცნობდნენ:

– გუშინ ტფილისში ყუმბარა ესროლეს პოლიცმეისტერს მარტინოვს. ამის შემდეგ ყაზახები შეცვივდენ ქართულ გიმნაზიაში, მოჰკლეს შიო ჩიტაძე და დასჭრეს რამდენიმე მასწავლებელი.

დაჭრა დაჭრად და ტერორისტული აქტიც მათთვის უნდოდათ გადაებრალებინათ.

კონფერენცია შეწყდებოდა და მხოლოდ მას მერე განახლდებოდა, რაც ტრაგიკულად აღსრულებულ მოღვაწეს დაკრძალავდნენ კუკიის სასაფლაოზე, კაცს, ვისაც სულ ის ბრალი მიუძღოდა, ყაზახები სკოლის შენობაში რომ შეცვივდებოდნენ და აკლებას და-

იწყებდნენ, თავისი კაბინეტიდან გამოსული იკითხავდა: რა ხდება, რას სჩადითო?

საბედისწეროდ ეს უწყინარი შეკითხვა გაუხდებოდა.

შიო ჩიტაძის მკვლელობის გამოძიებას მოინდომებდნენ და მკვლელების დასჯას პირველი სახელმწიფო სათათბიროს შემწეობით, სათათბიროს დათხოვნის გამო ამ წამოწყებას არ ეღირსებოდა კანონიერი მსვლელობა-დამთავრება.

პარტიული თავყრილობა სოფელ რეხაში გაგრძელდებოდა, ძველი ნაროდნიკის ასიკო ერისთავის სახლში და კომანდო გოგელია ალტერნატიულ პროექტს წარმოადგენდა: საზოგადოება შეიძლება არსებობდეს უსახელმწიფოდ, სოციალიზმი უნდა აშენდეს არასახელმწიფოებრივი ფორმითო.

ალტერნატიული პროექტის გამოჩენა ძალაუნებურად გამოიწვევდა იმას, რომ თავყრილობის ბოლოს ორ რეზოლუციას გამოიტანდნენ.

ერთს მთავარი კომიტეტის პროგრამის მიხედვით.

მეორეს – ანარქისტ-მემარცხენეთა.

მომხრეები ამ მეორე რეზოლუციასაც გამოუჩნდებოდა – თერთმეტი კაცი მისცემდა ხმას და პარტიული განხეთქილებაც საბოლოოდ გაფორმდებოდა. აბა, შეურიგებელი წინააღმდეგობა თავს როდემდე დაფარავდა. მემარჯვენეები მიატოვებდნენ სოციალისტ-ფედერალისტურ პოლიტიკურ ორგანიზაციას და შემდგომ სწორედ ისინი გაერთიანდებოდნენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად სპირიდონ კედიას, ისიც ყოფილი სოციალისტ-ფედერალისტის, მოთავეობით.

გიორგი ლასხიშვილი პატივისცემით მოიხსენიებდა ამ პიროვნებას:

– ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე და კარგი ორატორი.

პარტიის შემცირება მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდათ, მაგრამ გულს იმით იკეთებდნენ, რაკიღა ჩვენი ორგანიზაცია თავისთავად გაიწმინდა, მალე უფრო გავიზრდებით და გავძლიერდებითო. და მომდევნო წელს ტფილისში რომ გაიმართებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა მეოთხე კონფერენცია გიორგი ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით, კრება საბოლოოდ დაამტკიცებდა გრიგოლ რცხილაძის მიერ შემუშავებულ პროგრამას.

მემუარისტი პარტიული კრიზისის არსისა და ფსიქოლოგიურ გარემოებათა მკაფიოდ და რელიეფურად წარმოჩენისათვის

თხრობაში ჩაურთავდა ფრაგმენტს გიორგი ზდანოვიჩის პირადი წერილიდან, რომელშიც პარტიის ერთ-ერთი ამაგდარი ირწმუნებოდა: ის დიფერენციაცია, რაც ამჟამად ხდება ჩვენს ორგანიზაციაში, უთუოდ დაუკარგავს ფედერალისტებს იმ ხასიათს, რომლის გამოც ისინი ხანდახან ორ სკამზე სხედან. თუმც ნაციონალურ იდეასა და სოციალიზმს შორის არავითარი შეურიგებლობა არ არსებობს, მაგრამ წინააღმდეგობა უსათუოდ იჩენს თავს იმ მიმართულებაში, სადაც ზოგიერთი სოციალისტია, ზოგიერთი კი – არა, და იმავდროულად ორივეს აერთიანებს ნაციონალური კითხვა – ბოლოსდაბოლოს იდეური კრიზისი უნდა დადგეს და ასეც ხდება ამჟამად ჩვენშიო.

წმინდა გულუბრყვილობის ნიმუში სხვა კი არაფერია.

ვერა და ვერ დააღწევდა თავს გიორგი ზდანოვიჩიც შეურიგებლობის შერიგების მცდელობას. თან რეალობასაც მკაფიოდ ხედავს და კრიზისის საწყისსაც ამჩნევს, მაგრამ თავს არაფრისდიდებით არ უტყდება და ურჩევნია მიზეზი სულ სხაგან ეძიოს. თანაც მოებღაუჭოს მიამიტ რწმენას, რომ კრიზისი წამიერია და თვითონვე ჩაცხრება, და ყოველივე თავთავის ადგილას დადგება.

უანგაროდ სწამს.

ქვეყნის სასიკეთოდ იღვწის ეროვნულობისა და სოციალიზმის მოსარიგებლად.

რაღა ის და რაღა სხვანი, ვინც ასევე წრფელად აღიარებდნენ ნაციონალური და სოციალისტური იდეების შინაგან ერთიანობას.

ეპოქის ტრაგედიაც ეს გახლდათ.

და მათი პიროვნული ტრაგედიაც.

* * *

როგორ გადაჯაჭვოდა ნინო ყიფიანის პიროვნული და პოლიტიკური ბედი სოციალისტ-ფედერალისტებს, როგორი თავდადებით ჩართულიყო მათ მოღვაწეობაში და ჟენევის კონგრესის მზადება უიმისოდ სულაც წარმოუდგენელი მოჩანს... დამუნათებითაც რა სიმკაცრით ამუნათებდა ამ პარტიის დამაარსებელთ, გაუბედაობად, გადამეტებულ სიფრთხილედ ჩამოართმევდა სახელმწიფო დამოუკიდებლობის გადავადებასა და, მის ნაცვლად, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას. და სულ იმის მოიმედე იქნებოდა, ისეთი რა დაგვემართება ქართველებს, რომ ძლიერი

ეროვნული პარტია ვერ შევქმნათ, უპირველესად გაუბედავობასა და სიფრთხილეს რომ დაამსხვრევსო.

ამიტომაც შეხედავდა თანაგრძნობითა და მხურვალედ სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნული ფრთის გამოცალკევებას და სული უსწრებდა, დროულად გაფორმდეს მათი ეს ახალი გაერთიანება, შექმნან პარტიის სტრუქტურა, ამიერ და იმიერ გაიშალონ და ისე ჩაებან პოლიტიკურ მღელვარებებში, მათ სახელწოდებას რომ შეეფერებაო.

აღარ ეგვიანებოდა და 1908 წელს ბრიუსელიდან ამიტომაც მოსწერდა იაკობ გოგებაშვილს ამ შემძვრელ სტრიქონებს:

– ვხედავ საჭიროდ, ახლანდელ ანტინაციონალურ დროში, – გახრწნილ სოციალ-დემოკრატიულ ქადაგებაში, – ძლიერი ნაციონალისტური პარტია დავუპირისპიროთ.

მეფის ხელისუფლებაზე მეტად სოციალ-დემოკრატთაგან მოელოდა საფრთხეს, მერე რომ უკვე ძალიან გაძნელდებოდა მათი ექსპანსიის დაოკება.

გრძნობდა, როგორი უცთომელი სიზუსტით გრძნობდა!..

თავი მეთვრამეტე

სიტყვის იდუმალი მადლი

ილია ჭავჭავაძეს იქნებ ჯონათან სვიფტის კვალობაზეც გაეოცებინა: სამი თვეა, რაც ჩემი „აი, ისტორია“ გამოქვეყნდა და ნიჰილიზმს ბოლო მაინც არ მოეღო ამ ჩვენს ქვეყანაშიო.

სხვა პუბლიცისტურ სტატიათა დაბეჭდვასაც შესაძლოა მოჰყოლოდა მისი ამგვარივე გაკვირვება, მაგრამ „აი, ისტორია“, როგორც ყველაზე ვრცელი და მასშტაბური თხზულება, კიდევ უფრო ნათელსა და შთამბეჭდავ სურათს წარმოსახავდა, თუ რაოდენ აუცილებელი იყო ეროვნული ენერგიის რწმენის შენარჩუნება და მსახვრალ ბედის წინაშე გაუტეხელობა.

და როგორ არ გაოცებულიყო:

რატომ არ გაქრა და გაცამტვერდა ეს ნიჰილიზმიო.

არსად შემოგვრჩენია ილიას ეს გაკვირვებული ფრაზა – არც თვითონ ჩაუწერია სადმე, არც მემუარისტებს ჩაუნიშნავთ... იქნებ ბაგეთაგან არც დასდენია, მაგრამ გონების თვალი ამჩნევს მის გაკვირვებულ მზერას: სამი თვე გავიდა და არაფერი იცვლებაო.

სამი თვეც ჩაიელიდა და... კიდევ რამდენი!..

და თუმც არჩილ ჯორჯაძე ყოველთვის ამჟღავნებდა იმედოვნებასა და რწმენას, 1908 წელს პირდაპირაც მიმართავდა ურწმუნო მწერლებს – საყვედურითაც, მოწოდებითაც: რატომ დამარხეთ და გამოიგლოვეთ ქართული მხატვრული ლიტერატურა, ჭმუნვის ჰანგზე რატომ მომართულა საუბარი ჩვენი ლიტერატურის სიკვდილის შესახებ და გლოვის ზარივით აღწევს გულის სიღრმემდეო.

ვითომ რა – სავაგლახო არაფერი არსებობდა ჩვენს ცხოვრებაში?

თვითონაც ხედავდა და საკმაოდ ბევრსაც – სავაგლახოსაც, სატირელსაც, გულმოსაკლავსაც და ეს მით უფრო შემძვრელი გახლდათ, რომ იმ აღფრთოვანებისა და აღმაფრენის შემდეგ, რაც ქვეყანამ გამოსცადა, ხელთ თითქმის არა შერჩათ რა:

– ვისაც ჰშიოდა, ისევ ჰშია, ვისაც სწყუროდა, ისევ სწყურია და გატიალებული გული კი მეტის სევდით და მწუხარებით აივსო! მე კარგად მესმის ის შიში, რომელიც იპყრობს ქართველ ინტელიგენტს – დიდი ღონე და ენერგია დაიქსაქსა და დანგრეული ოჯახი კი ისევ დანგრეულია და თითქოს არსადა სჩანს დასაწყისი იმ დიად საქმისა, რომელსაც უწოდებენ ერის შემოქმედებით მუშაობას. არა სჩანს ეგ შემოქმედებითი სიცოცხლის ძგერა და აჩქარებული მაჯისცემა და ეს მიდუნებული ტემპი დაძაბუნებულ საზოგადოებრივ მოძრაობისა გამანადგურებელ შთაბეჭდილებას ახდენს ქართველ ადამიანის ცნობიერებასა და სულიერ ვითარებაზე.

ასე იკარგებოდა ხალისი წერისა.

ფიქრისაც.

და აღშფოთებული გრძნობა მოსვენებას დაეძებდა.

ყველა გაუგებდა ამ სასოწარკვეთას და არჩილ ჯორჯაძესაც ესმოდა და იქნებ კიდეც შეეგულიანებინა ინტელიგენცია, მყუდრო სავანე მოძებნეთ და იქ გადაიჩრდილეთო, მწერლობა მართლაც საფრთხის წინაშე რომ არ დამდგარიყო.

ამიტომ თანაგრძნობის ნაცვლად მკაცრი მუნათი იყო აუცილებელი.

მუნათის თავისებურ ხერხად იმ შეპირისპირებას გადაშლიდა თვალწინ: ძალზე ადვილია, მიადგე ღარიბი და დაჩაგრული კაცის კარს და დაიწყო ქვითინი – რა ხარ, რა ადამიანი ხარ, შენს ქოხში ბნელა, შენს ირგვლივ ოხვრაა, შენს გულში სევდაო, სიმამაცე და სიყოჩაღე უფრო ისაა, როდესაც გულგატეხილ ადამიანს ეტყვი – წარბებს ნუ იკრავ, გაიცინე და გაულიმე მზეს, რომელიც ასეთი სიუხვით აბნევს ირგვლივ სითბოსა და სინათლეს, გახედე ლაჟვარდ ცას, სადაც ვარსკვლავნი ციმციმებენ, ჩაიხედე შენს გულში, სადაც ღრმა აუზია სიყვარულისაო.

და პოეტური განცდით სავსე სტრიქონებს სიყვარულის დითირამბი დააბოლოვებდა.

ადამიანს სურვილი და ნება უნდა შერჩენოდა და მერე უკვე ვეღარაფერი გამოკეტდა ბნელსა და ნოტიო სარდაფში, მზისკენ გაექანებოდა და მის ნაზ სხივებში გახვეული გაითბობდა ძვლებს, ხორცსა და გულს.

ეს ექსპრესიული პასაჟი დამაჯერებლად ცხადყოფდა ყველასათვის, რომ ცოდვა იყო, დიდი ცოდვა ანდერძის აგება თვით დავრდომილი ადამიანისთვისაც, და ურწმუნო მწერლები კი მთელს

ერს უგებდნენ ანდერძს, ერს, რომელსაც – ათასგვარი და ათასფერადი ჩაგვრის მიუხედავად – არასოდეს დაეკარგა არც სიცოცხლის უნარი, არც სიყვარულისა და არც სიძულვილის.

სიძულვილის ხსენება ამგვარ კონტექსტში რა აუცილებელი იყო?

არჩილ ჯორჯაძე ერთ განზომილებაში არა ხედავს ამ განცდას, ანალიტიკურად დაშლის მის ბუნებას, ჩაუკვირდება მის ყოველ დანაშრევს და... სიყვარულის თანაბრად აზიდავს მაღლა – მასავით მმოძრავი ძალააო.

ფარისევლური მორალისათვის ასეთი განსაზღვრება ყურსა ჭრის და შეიძლება ცეცხლითა და მახვილითაც გამოენთონონ ამის მთქმელს, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ნაკლებ უწევდა ანგარიშს საზოგადოებრივსა თუ ლიტერატურულ კონიუნქტურას და ამ განსაზღვრებას დაბეჯითებულ განმარტებასაც მოადევნებდა:

– სიძულვილი იბადება იქ, სადაც ჰქრება სიყვარული, სიძულვილი სულის კვეთებაა სიყვარულის დახშობის გამო, სიძულვილი სიყვარულის ნატვრაა. და ვაი იმ ერს თუ ადამიანს, რომელსაც, სიყვარულის დაკარგვის გამო, სიძულვილის გრძნობაც დაეხშო. ამ ერს და ამ ადამიანს სიკვდილი მოელის! და ჩვენ ყველას თუ გვაკლია სიყვარული, სიძულვილის წყარო ხომ დაუშრეტელი გვაქვს და მეც იმედს არა ვკარგავ.

ზედაპირული აღქმა განასხვავებდა და სულაც ერთმანეთს უპირისპირებდა ამ ორ გრძნობას, თორემ მათი შინაგანი დიალექტიკა ურთიერთის გაგრძელებად წარმოგვიდგენდა, და ეს იმიტომ, რომ გონების თვალი გაცილებით მეტს ჭვრეტდა, ვიდრე ფარისევლური მორალის გავლენით გაჩენილი ზერელე შეფასება.

სიძულვილი – დაშრეტაზე მიმდგარი სიყვარულის ბოლო ნამცეცები.

სიძულვილი – თესლის ის გამღივებელი, რომელმაც ხელახლა უნდა ააღორძინოს სიყვარული.

იმედს არა ვკარგავო და:

– ეგ სიძულვილი, რომელიც ჩვენს გულშია, ეგ უკმაყოფილება, რომლითაც გაჟღენთილია ჩვენი არსება, ეს წყურვილი სიცოცხლისა და დაუცხრომელი ძებნა ბედნიერებისა იმისი თავდებია, რომ ჩვენი საქმე ადვილად გამობრუნდება, რომ ის, რაც დაკარგულად გვეჩვენება, ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია, რომ ის, რაც სიკვდილად გველანდება, ძილი და თვლემაა მარტოოდენ.

ცხოვრების განახლებისათვის სწრაფვა არსად მოჩანდა და გულისგატეხვასა და სასოწარკვეთასაც ეს იწვევდა?

რატომ არა ჩანდა, თუკი თვალს გულდასმით მიადევნებდი და ზედაპირის მაგივრად მოვლენათა იდუმალებაში ჩაიძირებოდი. კვალს იპოვნიდი ყველგან – დაქსაქსულ ინტელიგენტთა წრეებშიც და ხალხის გულშიც. იქ, სიღრმეში დუღილიც ბრუნავდა და შეუწყვეტელი ძგერაც. დაფარული აზრი ჯერ თუ არ მომწიფებულიყო და თითქოს ცნობიერების გადაღმა იმყოფებოდა, სწრაფვა ისეთი ძლიერი გახლდათ, დღეს თუ ხვალ გადმოჩქეფდა, ცნობიერების წრეში ჩადგებოდა და მისი ნათელით მოიფინებოდა.

ეს რწმენა მაგულიანებს და მამხნევებს მაშინაც, როდესაც გარშემო გოდება და სევდის ხმა ისმისო, – შეაგონებდათ და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ სულისკვეთების გამზიარებელთ სულ უფრო და უფრო მეტს იპოვნიდა, გაბედულებას რომ შეიძენდნენ და ირგვლივ თამამად მიმოხედვისას უზღვავ მასალას აღმოაჩენდნენ.

ასე შეაბიჯებდნენ ხელოვნების წარმტაც სამეფოში და იქიდან უკვე ვეღარავითარი ძალა ვეღარ გამოდევნიდათ.

ერის შემოქმედებითი მუშაობაო...

ჩაივლის ათ წელზე ცოტა მეტი და ქვეყნის სიღრმისეულ ძალთა ეს სახელწოდება-განსაზღვრება სხვა სიტყვიერი ფორმულით უფრო დამკვიდრდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში: ეროვნული ენერგია – გერონტი ქიქოძე როგორც ამჯობინებდა და მძაფრი პუბლიცისტური სტატიების ამ საერთო სულისკვეთებასა და სახელწოდებას ასე მახლობელს გახდიდა ყველა იმათთვის, ვინც ნიჰილიზმის წინააღმდეგ შეიმართებოდა, ყოველ შემთხვევაში, არ ჩაეთრევინებოდა უიმედებასა და ხელის ჩაქნევას.

ვინ იცის, არჩილ ჯორჯაძე რა სასოებით უხსნიდა გზას თავის იმ წერილს გაზეთის ფურცლებზე – ამოშანთავს სასოწარკვეთის განცდას, ჩააჩუმებს გლოვის ზარს, უკუყრის სევდას და ამიერიდან აღარავის დასჭირდება ხალხის შეგონება – თუ რაიმეა დასამხობი, ნიჰილიზმის მეუფება და მისი ყოველგვარი კვალის წაშლაო.

სასოებდა და... იქნებ ყოველდღეც მიმოიხედავდა გარშემო, რა ცვლილებანი ხდება მკითხველის ცნობიერებაში, არ გამომეპაროსო.

არსად ცვლილება, არსად რაიმე ჩქამი.

უკვე სამი თვე გავიდაო, – ჰკვირობდა.

კიდევ სამიც გადაეცემოდა ისტორიას... და კიდევ...

ის მაინც მოებღაუჭებოდა ოცნებას, ცხოვრების საერთო აღორძინებასთან ერთად კიდეც გაჩნდება ნაწარმოები, რომელიც სიმღერასავით ტკბილი იქნება და სიბრძნესავით ღრმაო. ამ ნაწარმოებში უნდა ამოგვეკითხა ჩვენი სულისკვეთება და ავეღელვებინეთ, რადგანაც იქ იქნებოდა ნაამბობი ჩვენი დიდი ხნის წყურვილი სიცოცხლისა და სიყვარულისა და ჩვენი გაუგებრობა და გაურკვევლობა სიკვდილის წინაშე.

რომანს ითხოვდა, ვრცელ მოთხრობასაც, მაგრამ უფრო რომანს, ნოველასა და მინიატურას ველარ გასცილებოდა ქართული ბელეტრისტიკა და ევროპულ რადიუსზე გამართვის აუცილებლობა ითხოვდა რომანებს, ითხოვდა იმ გაბედულებას, რწმენას რომ მოჰქონდა და ითხოვდა იმ პიროვნებებს, რომელნიც კვლავ ეროვნულ ნიჰილიზმს მიიჩნევდნენ ქვეყნის დაქცევის უმთავრეს მიზეზად.

იქნებ მათ მაინც მოეღოთ ბოლო ამ გრძნობისათვის, სხვა თუ არაფერი, ასე მოდებული აღარ ყოფილიყო ერის სხეულს.

ვრცელი მოთხრობისა ან რომანის მოთხოვნა, რაც მინიშნებულია ურწმუნო მწერალთა მიმართ მოწოდებაში, ორი წლის შემდეგ ცალკე სტატიის („სიტყვა-კაზმული მწერლობა“) თემად იქცეოდა და მიზეზების გამორკვევასაც შეეცდებოდა არჩილ ჯორჯაძე, თუ რატომ გაბატონებულიყო მცირე პროზაული ჟანრები – ესკიზი და ეტიუდი – და რატომ გამხდარიყო შეუძლებელი ცხოვრების სიავკარგის ფართოდ გადაშლა და ტიპების დასახვა და გაღრმავება.

ამ ჟანრებს – და კიდევ ნოველასაც – თავისი დანიშნულება ჰქონდათ და უიმათოდ გაღარიბდებოდა ყოველი ქვეყნის ლიტერატურა, მაგრამ ისეც ხომ არ შეიძლებოდა, რომ საერთოდ განდევნილიყო სამწერლო ასპარეზიდან ვრცელი მოთხრობა და, მითუმეტეს, რომანი!..

არადა... ინტელიგენტურ წრეებში მხატვარი ველარ ხედავდა სახესა და ტიპს.

განსაკუთრებით ველარ ხედავდა ქალის სახესა და ტიპურ ფიზიონომიას.

და მიზეზი კი ის იყო, რომ:

– აქ ადამიანის პიროვნება და სულიერი შემოქმედება სამშობლო ენის და სიტყვის საშუალებით აღარ ისახება და ამიტომ არა სჩანს ამ პიროვნებაში ის, რაც ასე საჭიროა პოეტურ შემოქმედებისათვის, არა სჩანს ორიგინალობა, ბუნება და ფორმის და შინაარსის გარმონიული შეთანხმება.

ყოველივე იქით მიდიოდა – ეროვნულ ფესვებთან და მშობლიურ ენასთან – მის ირაციონალურ სიღრმესთან, სიტყვის იმ საწყისთან, მუსიკალურ შრიალსაც რომ მოგასმენინებს, გაორებული ენობრივი ცნობიერება კი ყოველივეს ამჭლევებდა, აფერმკრთალებდა, სულაც აუფასურებდა და წამიერ განწყობილებათა ჩარჩოში ტოვებდა.

რა გამოდიოდა – ინტელიგენციის ცხოვრების ვრცელ მხატვრულ ტილოდ გადაჭიმვა ძალაუნებურად ითხოვდა პერსონაჟთა მეტყველების საგრძნობ აჭრელებას, ისევე, როგორც ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობის" პირველი გამოცემა ნახევრად ფრანგულად იყო დაწერილი იმ უბრალო მიზეზით, რომ რომანში გამოყვანილი რუსი საზოგადოების ენა ფრანგული გახლდათ. ჩვენს განათლებულ წრეებს კი – განსაკუთრებით ქალებს – ისე შეეთვისებინათ რუსული ენა, როგორც იმათ – ფრანგული, და მაშ რომანი ქართულ ინტელიგენციის ცხოვრებაზე ნახევრად რუსულად თუ დაიწერებოდა... თანაც იმ რუსულით, რომელიც მკრთალია და ფერადებს მოკლებული და მასში არც შეიძლება ჩანდეს მოძრაობა ნამდვილი რუსული სიტყვიერებისა.

ხანი რომ გავიდოდა და ტოლსტოის რომანი მომდევნო გამოცემებისას მთლიანად რუსული ტექსტით მოგვევლინებოდა?

მხატვრულობის მხრივ თხზულებას არა მოაკლდებოდა რა და არჩილ ჯორჯაძე ამ გარემოებას იმით ახსნიდა, რომ: საქმე გვაქვს ტოლსტოის ზომისა და ღირსების მხატვართან, რომლის შემოქმედება, მიუხედავად თავისი რუსული ხასიათისა, ამავე დროს მსოფლიო ხასიათის შემოქმედებაცააო.

ჩვენში კი სად მოგვენახა ამ ყაიდის მწერლები?

ინტელიგენტურ წრეებში თუ ვერ იპოვნებოდა ბელეტრისტისათვის საჭირო მასალა, ხალხის ცხოვრებაში ტრიალი ხომ შეეძლოთ. მაგრამ ეს ცხოვრება მაინც ცალმხრივი გახლდათ, რადგანაც ის მოკლებულიყო ფაქიზ კულტურას და ესთეტური, ფილოსოფიური და რელიგიური მისწრაფებანი განუვითარებელი რჩებოდა ხალხში.

რა გამოდიოდა –

საზოგადოებრივი ყოფის ერთი მხარე ცალმხრივი რჩებოდა.

მეორეს – უჩინმაჩინის ქუდი წაეხურა და გატრუნულიყო.

ამიტომაც ვეღარ აზიდულიყო მოთხრობა თუ რომანი, თანადროულ ქართულ სინამდვილეს ხელშესახებად და შთამბეჭდა-

ვად რომ წარმოსახავდა და არჩილ ჯორჯაძეს საკმაო ეჭვი გასჩენოდა: თუ ძირითადი სოციალ-პოლიტიკური ცვლილება არ მოხდება ჩვენს საზოგადოებაში, ვეღარ გამობრუნდება და ფეხზე ვეღარ დადგება სიკვდილის პირას მიმდგარი სიტყვაკაზმული მწერლობაო.

არა კმაროდა ლირიკა.

არა კმაროდა დრამატურგია.

და ძირითადი სოციალ-პოლიტიკური ცვლილების მოლოდინი და მისი დასახვა აუცილებლობად ლიტერატურულ სტატიას მწვავე პუბლიცისტურ იერს მიანიჭებდა და „სიკვდილის პირას მისვლაც" ის შესაფერისი გამოთქმა გახლდათ, რაც პუბლიცისტური აზროვნებისათვის სწორედაც ნიშანდობლივია.

წუხილი რომანის განდევნით მხოლოდ არჩილ ჯორჯაძეს არ გამოეთქვა. მაშინდელ სალიტერატურო კრიტიკაში ეს მოარულ თემადაც გადაიქცეოდა და ხან თუ გამძაფრდებოდა პუბლიცისტური პათოსი, ხან მსჯელობა პირწმინდად ლიტერატურულ ფარგალში იტრიალებდა, მაგრამ შეთანხმებით ყველა შეთანხმდებოდა, რომ თანადროული ცხოვრების აღწერა თხოულობდა რომანს, თხოულობდა ვრცელ მხატვრულ ტილოს და ეს მძაფრი მოლოდინიც ქმნიდა იმ გარემოსა და პირობებს, რასაც რეალობად უნდა ექცია ეს სწრაფვა.

მხოლოდ სოციალ-პოლიტიკური ცვლილება ვერაფერს გახდებოდა, ეს სულისკვეთება რომ არა.

და კიდეც მოიწონებდა თავს 20-იანი წლები, ერთიერთმანეთზე რომ დახვავდებოდა საუკეთესო რომანები.

ესეც თანადროული ყოფა და ესეც მისი მხატვრული სურათები, მიმზიდველ სიუჟეტებში ჩალაგებულნი.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წამიერად გადაელვებულ ხანას მოეყოლებინა ეს ხვავი.

და კიდევ იმ მძაფრ მოლოდინს, სავაგლახო და სატირალ რეალობას რომ არ ეპუებოდა და მიზნად დაესახა, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა ევროპული რომანისტიკის ნაწილად ქცეულიყო, იმ სალიტერატურო-საზოგადოებრივი პროცესების უშუალო მონაწილედ.

სხვა სატანჯველი წამოეწეოდა, სხვა სირთულეებში მოექცეოდა 20-იანი წლებისა და მომდევნო ჟამის ქართული მწერლობა და აღარც ეროვნული ნიჰილიზმი იქნებოდა ძნელი საძებნელი, მაგრამ

იმედოვნებაც კვლავინდებურად მოსდევდა, ის იმედოვნებდა, არჩილ ჯორჯაძესაც რომ განემტკიცებინა წინასწარმეტყველების მუნათითაც და პირადი ბედისწერითაც.

პირველად...

ამის მტკიცება, რომ ესა თუ ის მოვლენა პირველად მაინცდამაინც აქ აღიბეჭდა, და რომ სწორედ ესაა პირველი შესაფერისი ნიმუში ქართულ ლიტერატურასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველთვის მეტად საფრთხილოა და იქნებ სათუოც და საცილოც.

ისე შევჩვეულვართ ჩვენს დროში ყველასა და ყველაფრის გაპირველებას, იმ მოვლენათა ისტორიის დაურიდებელ ნაშლასა და „წელთაღრიცხვის“ გადმონაცვლებას ჩვენს ნებაზე – ნამდვილის გადაფარვას ცრუ და ყალბით, ლამის ძველ მოღვაწეთაც აღარ დავუჯეროთ ასე იოლად, აღარ ვერწმუნოთ მათაც, რომელნიც ჭეშმარიტი სიფრთხილით ეკიდებოდნენ მოვლენებსაც და მათ ისტორიასაც და პირველობას ხელოვნურად და პირადი გუნება-განწყობილებით არავის არგუნებდნენ.

ამიტომაც ნუ შევხედავთ ირონიით მიხეილ აბრამიშვილის ფრაზას:

– არჩილი პირველი იყო, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში სიტყვას მიაქცია ყურადღება.

განზრახ არ მიაკუთვნებდა პირველის სახელს.

თვალს არ მოარიდებდა თვალნათლივ ფაქტებს.

და განაცხადებდა იმას, რაც თვითონვე ერწმუნა ამ თვალთახედვით ქართული მწერლობის შესწავლით, და მხოლოდ დიდძალი მასალის გადამუშავება მიიყვანდა ძალდაუტანებლად ამ დასკვნამდე:

არჩილი იყო პირველიო.

მიხეილ აბრამიშვილის თხზულება ესეია და არა სამეცნიერო ნარკვევი, მთელი ის მასალა რომ მოეხმო, რაც დაემუშავებინა.

ამიტომ დასკვნა უნდა ვიკმაროთ.

და თუ ვინმე მაინც საცილოს გახდის და არჩილ ჯორჯაძისათვის პირველობის პალმის ჩამორთმევას განიზრახავს, მოვალე იქნება დაადასტუროს, მანამდე სხვას ვის გამოერჩია ასე სიტყვა.

მუსიკალური შრიალის ხსენება მოხიბლავდა არჩილის ნაწერებში, და კიდევ უფრო ის, რომ ეს სიტყვათშეთანხმება ეფექტურ გამოთქმად კი არ გაიელვებდა მსჯელობისას, თითონ მის ფრაზებში მოისმოდა მუსიკალური შრიალი – ესთეტიზმისაკენ სწრაფვა

არჩილ ჯორჯაძეს შინაგანი მოთხოვნილებაც გახლდათ და კიდეც მიეღწია ამისათვის თავისი დახვეწილი ხელოვნებით.

სიტყვის მუსიკალობა ინტონაციას რომ უკავშირდებოდა, ამ გარემოებასაც საგანგებოდ გაიხსენებდა მკვლევარი. ინტონაცია ააშკარავებდა ადამიანის შინაგან გრძნობას, მუსიკას ტონი ქმნიდა და ანიჭებდა სიტყვას განსაზღვრულ მნიშვნელობას. მოიხმობდა მიულერის ტერმინსაც „სუბიექტური რიტმულობა“, რომლისადმი მისწრაფებაც სიტყვაში უნდა გაშლილიყო. ამასთან, ხმა სხვადასხვა ფერს გვაგონებდა, ყოველივე ეს კი დაკავშირებული იყო სიტყვის შემოქმედებასთან, რომელსაც უნდა წარმოეჩინა ადამიანის ირაციონალური „მე“.

მიხეილ აბრამიშვილიც რარიგ ფაქიზად ეკიდება სიტყვას, როგორც ესთეტიკურ მოვლენას და, თუმც პირდაპირ არსად აღნიშნავს, მსჯელობის პათოსი ძალდაუტანებლად მიგვახვედრებს, რომ მისი გატაცებაც სიტყვის ესთეტიზმით არჩილ ჯორჯაძის უშუალო გავლენას გამოუწვევია.

ამიტომაცაა მახლობელი მისთვის არჩილის ის ფრაზაც:

– ენის შემოქმედება იმ ხასიათის საიდუმლოებაა, რა ხასიათის საიდუმლოებაც არის პოეტური შემოქმედების პროცესი.

რაკიღა ხელახლა ეპოვნა მშობლიურ ენასთან მისასვლელი ბილიკი და მის სიღრმეში ჩაღწევაც განსაკუთრებით მოენდომებინა, მით უფრო მწვავედ შეიგრძნობდა ქართული ენის იდუმალ ძალასაც, იმ სტიქიურ ძლევამოსილებას, რასაც უცხო ენა, თუნდ სრულყოფილად შესწავლილი, ვერასოდეს განგაცდევინებდა, და ენის შემოქმედებით პროცესსაც პოეტურ შემოქმედებასთან ამიტომ გაათანაბრებდა და სიტყვასაც შარავანდით შემოსავდა.

არჩილი პირველი იყოო...

მიხეილ აბრამიშვილს არც ის გარემოება გამორჩებოდა, რომ ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, საკმაოდ ფართო აზროვნებისა, ფრთამოკვეცილი შეიქნებოდა სინამდვილის ფარგლებში და ესთეტიკურ საკითხთა შინაგანი თავისუფლება გაუგებარი დარჩებოდა მათთვის.

ვთქვათ, ასეთი ბედი ხვდომოდა რუს პუბლიცისტსა და კრიტიკოსს მიხაილოვსკის, ვინც პოლიტიკით გატაცებას მთლად სინამდვილის ფარგლებში მოექცია და თვითონაც ასე ერწმუნა და სხვათა დაჯერებასაც ლამობდა: არატენდენციური ხელოვნება შეუძლებელიაო.

არჩილ ჯორჯაძე მის საპირისპირო პოლუსზე აღმოჩნდებოდა, რაკიღა პოლიტიკურ მოვლენებს ისტორიული თვალსაზრისით განიხილავდა, ხელოვნების განსჯისას კი აბსოლუტური ზომისაკენ იხრებოდა.,

ესთეტიზმსაც ამიტომ შეინარჩუნებდა და პუბლიცისტიკაში არ გათქვეფდა თუ არევდა.

მკვლევარისა არ იყოს:

– როგორც ესთეტი, ყველაზე უფრო თავისუფლებასა და პიროვნების მთლიანობას აფასებდა, მას ხშირად უხდებოდა ხელოვნების დაცვა სინამდვილის გალაშქრებისაგან.

პოეტური საწყისი ამოძრავებდა მის ესთეტიზმს, პოეტური საწყისი ამოძრავებდა მის წინასწარმეტყველურ სულისკვეთებასაც და პარტიულობის ჩარჩოც ამით გაერღვია. პოლიტიკურ ფიგურას მის არსებაში ამიტომაც გადაწონიდა წინასწარმეტყველის ყაიდის სული და ამიტომაც გაუგებდა პოეტებსაც, წინასწარმეტყველებსაც, ამიტომაც გახდებოდა მისთვის ასე მახლობელი ყოფითი სინამდვილის ფარგლებს იქით გაღწევის ჟინი.

– პოეტი ხშირად არ ჰგავს იმ წრეს, სადაც სცხოვრობს. გონება დამჯდარ ხმაში გაისმის ხოლმე გიჟისებური, ეგზალტაციით ცეცლხლმოკიდებული მოწოდება. გარემოს შესწავლა საჭიროა, მაგრამ ესთეტიური ფენომენის შეგნებისთვის საჭიროა აგრეთვე სუბიექტური ანალიზი ინტიმურ სიცოცხლისა და შემოქმედებით პროცესისა.

მიხეილ აბრამიშვილი ერთგვარ რყევასაც შეამჩნევდა არჩილს ესთეტიკურ და პუბლიცისტურ პოლუსებს შორის („...ძნელი იყო პოლიტიკური იდეების განმარტება, რომელიც გარემო პირობების ფარგალშია მოქცეული და „ესთეტიურ ფენომენის“ გამორკვევაც, რომელიც სცილდება ამ პირობებს“) და ამ რყევის თვალსაჩინოებისათვის დაიმოწმებდა არჩილის კამათს გრიგოლ რობაქიძესთან ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის რაობის ასახსნელად, როდესაც ჯორჯაძე მზად გახლდათ მიეღო ისტორიული საზომი და აბსოლუტური მეთოდი უარეყო.

განსაკუთრებით კი მკითხველის ყურადღებას მიაქცევდა არჩილის ვრცელი ციტატის მელანქოლიურ დაბოლოებას („საიდუმლოების წინაშე ჩაფიქრებული ვდგავართ და თავი არ გვინდა ვიხსნათ „სასწაულის აღიარებით“), სადაც ხელოვანის ინტუიცია ანელებდა პუბლიცისტის სიჯიუტეს.

პუბლიცისტი და პოლიტიკოსი, ცხადია, სავსებით იკმარებდა თეატრის დანიშნულებად აღზრდასა და პროპაგანდას, მაგრამ არჩილისათვის გულსატკენი აღმოჩნდებოდა თეატრის ესთეტურ მხარის მიყრუება. თეატრი სკოლააო, იმეორებდა ინტელიგენცია და, თუმც თავისთავად გეამებოდა, ასე რომ სჯიდნენ და ამ სულიერი სავანისაკენ მიეშურებოდნენ, ცალმხრივობა არც ამჯერად გამოდგებოდა და არჩილ ჯორჯაძე ამიტომაც მოინდომებდა საზოგადოებრივი ცნობიერების მიბრუნებას იმ ძველთაძველი თვალსაზრისისაკენ, ანტიკური ელადიდან რომ მოდიოდა და თეატრალურ ხელოვნებას ერთგვარ დათრობასა და აღმაფრენას უიგივებდა.

დამცინებთ, ეს რომ გითხრათო, – თანადროულ სინამდვილეს ითვალისწინებდა, – მაგრამ კარგად თუ ჩაუკვირდებით, არც ისე სასაცილოა ეს აზრიო.

თუ თეატრი არ იწვევდა ენთუზიაზმსა და აღმაფრენას, ვერ აერთიანებდა მრავალ პიროვნებას ერთ ნაკადულში, მაშინ?

მაშინ თეატრი:

– არ არის ხელოვნება, და არ არის მაშინ არც აღზრდა, არც განათლება და თეატრიც კულტურულ პრობლემის მისიას ვერ ასრულებს.

ამგვარი შეხედულებისათვის არაერთი სანდო წყარო არსებობდა, მაგრამ მკვლევარს უპირველესად ფრიდრიხ ნიცშეს „ტრაგედიის წარმოშობა“ ახსენდებოდა, რაკიღა მიიჩნევდა, რომ არჩილ ჯორჯაძე უშუალოდ ამ თხზულებით საზრდოობდა, გერმანელი ფილოსოფოსის ამ და მსგავსი მტკიცებებით: დიონისოს ტრაგედიის მოქმედების დროს მთელ სახელმწიფოს, საზოგადოებასა და კერძო პიროვნებას, რომელნიც აქამდე დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთს, იპყრობს გარდუვალი გრძნობა-შეგნება თავისი ერთობის, რისი მეოხებითაც ისინი კვლავ უბრუნდებიან ბუნების წიაღსო.

იშლებოდა ყოველგვარი საზღვარი და მიჯნა და ჩნდებოდა თვლემა და თავდავიწყება, რომელშიც ინთქმებოდა ადამიანის მთელი წარსული განცდა და სამყაროც ორად ცალკევდებოდა, ორ სინამდვილედ: ყოველდღიურობად და დიონისესეულად.

ესეც თეატრი და მისი დანიშნულება, და თუ პოლიტიზება მასაც დააჩნევდა თავის კვალს და თავისუფლებისმაძიებელი ერის ცხოვრებაშიც უფრო პოლიტიკური მხარე წამოიწევდა, დასანანი იქნებოდა გასაქრობად ესთეტიზმი, რაც არამცთუ ხელს არ უშლი-

და გარკვეულ იდეათა ზემოქმედებას, კიდევ უფრო აცხოველებდა მათ ძალას. ეგაა, შიშველი პროპაგანდა უნდა შენაცვლებულიყო ჭეშმარიტი ხელოვნებით.

მიხეილ აბრამიშვილი ჰქმნიდა არჩილ ჯორჯაძის იმ სილუეტს, რაც დაჩრდილულიყო მის მოღვაწეობაში და შედარებით მკრთალად მოჩანდა, მაგრამ უიმისოდ შეუძლებელი გახდებოდა მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის გახსნა და გრიგოლ რობაქიძეც აკი ამიტომ აღნიშნავდა საგანგებოდ ამ მხარეს. ეგაა, შესწავლას აღარ მიჰყოფდა ხელს და ორიოდ დაკვირვებას – თავისთავად ფასეულს – იმყოფინებდა... ჯერჯერობით... მიხეილ აბრამიშვილი კი იმითაც დაინტერესდებოდა, როგორც მწერალი, რა მიმართულებას მიეკუთვნება არჩილ ჯორჯაძეო.

პოლიტიკური მიმართულება თვითონვე განესაზღვრა არჩილს და მთელი პარტიის სულისკვეთებად და პროგრამადაც დაესახა, მაგრამ მწერლობაში აღარ დაფიქრებოდა საკუთარ ადგილს.

სავსებით ერთ რომელიმე ლიტერატურულ მიმართულებას არც ეკუთვნისო, – მკვლევარს ეს შეხედულება გაუჩნდებოდა, მაგრამ სავსებით თუ ვერ მოქცეულიყო ამა თუ იმ სკოლის ჩარჩოში, მიდრეკილებას მაინც საით იჩენდა?

სიმბოლიზმისაკენო, – ასეთი გახლდათ დასკვნა, რომელსაც განმარტებაც მოჰყვებოდა: ნუ მოგეჩვენებათ ეს აზრი პარადოქსად და ნუ გაიზიარებთ ჩვენში იმ რატომღაც გავრცელებულ შეხედულებას თითქოს სიმბოლისტობა ხელოვნების პროფანაცია იყოსო.

არჩილ ჯორჯაძის სიმბოლისტობას მაინც რა ადასტურებდა:

მისი მისწრაფება ადამიანის ირაციონალური ბუნების გამოსააშკარავებლად, მისი განმარტება სიტყვის ბუნების შესახებ, და ხელოვნების სპეციფიკური დანიშნულება, რომელშიც სილამაზეა აღიარებული მამოძრავებელ საწყისად.

მტკიცებისას თვითონ არჩილის თვალსაზრისს მოიშველიებდა:

– მითოლოგიური, რელიგიური და მხატვრული შემოქმედება ყოველთვის სიმბოლურია.

თუმც ეს ზოგადი შეხედულება სწორედაც რომ ვერ გამოდგებოდა არჩილ ჯორჯაძის სიმბოლისტობის დამადასტურებლად. ეს გახლდათ მხატვრული აზროვნების უზოგადესი კანონი და არა ერთი რომელიმე მიმართულებისა თუ სკოლისადმი არჩილის გამორჩეული მიდრეკილების მაუწყებელი.

თუმც იქნებ მკვლევარი ალღოთი წვდებოდა, რომ არჩილ ჯორჯაძეს სწორედ სიმბოლისტური სკოლა ეწეოდა თავისკენ და, პოლიტიკურ მოღვაწეობასა და პუბლიცისტიკას რომ არ გადაჰყოლოდა, ქართული სიმბოლიზმის დამამკვიდრებელთა შორის ისიც უდავოდ იქნებოდა და შეასრულებდა იმ როლს ქართულ სამწერლო ცხოვრებაში, რაც – გარემოებათა გამო – გრიგოლ რობაქიძეს დაეკისრა.

ამის განსჯას აღარ შეუდგებოდა, სიმბოლისტს შეარქმევდა და ახლა იმის გამორკვევას შეეცდებოდა, მისი უნივერსალური ღირებულების ნააზრევს რა ასაზრდოებდაო.

მოსკოვი? პარიზი?

გამჭვირვალედ მიანიშნებდა, რომ კინაღამ მიეტაცა ერთსაც, მეორესაც მისი გული და გონებაც, კინაღამ ჩაენთქათ და კიდევ ერთი უსამშობლო კოსმოპოლიტი გაეშვათ მსოფლიო გზებზე, მაგრამ ტფილისი დაიბრუნებდა თავის ძე შეცთომილს და მის სიმბოლისტობასაც – ყოველ შემთხვევაში, მის სულიერ მიდრეკილებას – ფრთას შეასხამდა „მთაწმინდის მწუხრი“ და „ისნის ცისკარი“.

მინიშნებაც ამას გამოეწვია – მაინც გადაილახა მოსკოვისა და პარიზის მიზიდულობის ძალაო.

თავი მეცხრამეტე

სახელმწიფო, სამშობლო, მამულიშვილობა

იყო დრო, როდესაც სახელმწიფო არ არსებობდა. ესაა საგვარეულო წყობილების ხანაო, – არჩილ ჯორჯაძე სახელმწიფოს წარმოშობას რომ დაუკვირდებოდა და შინაგანი მზერით გადაწვდებოდა ძველთუძველეს ხანას, მომავალსაც მასთან ერთად მოიხილავდა – როდესაც კვლავ აღარ იარსებებდა კერძო საკუთრება, აღარც ტერიტორია ადმინისტრაციული სივრცის სახით, ერთად დაამუშავებდნენ საერთო მიწას და მიწის ნაყოფიც საერთო იქნებოდა.

სოციალისტური თეორიები ვერ გასცილებოდა პირველყოფილ ნარმოდგენებს და მეცნიერული აზრის მიღწევად ის ცხადდებოდა, რაც, ვთქვათ, იროკოზების ტომის ინდიელებსაც ასე მკაფიოდ და ზედმიწევნითი სიზუსტით ჩამოეყალიბებინათ. ის უკვე ფედერაციულ წყობაზეც აგებულიყო – იროკეზული გარემო – და არჩილ ჯორჯაძე ამ ტომთა ფედერაციის მსგავს მოვლენას საქართველოში აღმოაჩენდა. დაე უცხოელ მკვლევარებს იროკეზთა საგვარეულო წყობა განეზოგადებინათ შემდგომი დასკვნებისათვის. ქართველი პუბლიცისტი და მკვლევარი სვანურ, ხევსურულ, თუშურ ფედერაციულ აღნაგობას მოიშველიებდა, ამ მაგალითებს შემოურევდა სახელმწიფოს წარმოშობაზე მსჯელობას და იროკეზთა და ჰომეროსისდროინდელ ბერძენთა საზოგადოებრივ წყობილებას შეუდარებდა ერთმანეთს და სწორედ ბერძენ ტომთა ყოფის მიხედვით გამოარკვევდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის მიზეზებს. უპირველესად – კერძო საკუთრებასა და სოციალურ უთანასწორობას.

ასე მოჰყოლოდა პოლიტიკური ორგანიზაცია – ტერიტორიასა და საკუთრებაზე ამოზრდილი – პირველყოფილ საზოგადოებრივ ორგანიზაციას – დაფუძნებულს გვარსა, თემსა და ტომზე, და მათ შორის შესამჩნევი გახლდათ ის არსებითი განსხვავება, რომელსაც

უმნიშვნელოდ მიიჩნევდა ივანე ჯავახიშვილი, არჩილ ჯორჯაძე კი საგანგებოდ განაცალკევებდა, რათა არ ათქვეფილიყო ერთმანეთში სახელმწიფო და საგვარეულო წყობილებანი.

მეფის გვარის ორგანიზაცია ძველ საქართველოში იგივე იყო, რაც ჩვეულებრივი გვარების ორგანიზაცია, და ადმინისტრაციული სისტემაც ამავე საძირკველს ეფუძნებოდაო, – ამტკიცებდა ივანე ჯავახიშვილი, – სახელმწიფოებრივი ტერმინოლოგიის ანალიზი გვაწვდის ამ მხრივ საგულისხმო ცნობებს, საქართველოში, სომხეთშიც, სპარსეთშიც სოფლის უფროსს, ქალაქის მეთაურსა და ქვეყნის მმართველს ყველას ერთგვარი სახელი ჰქვია, რაც ნიშნავს სახლის მამას ანუ სახლის ბატონს, და თუ საქართველოსა და სპარსეთის ტერმინოლოგიას ჩავუკვირდებით, ამგვარი სახელი მეფესაც ერქვაო.

და თუ ტერიტორიული ტერმინოლოგიის შესწავლაზეც გადავიდოდით, აქ უფრო საგულისხმო რეალიებიც აღმოჩნდებოდა: ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, პატარა ორგანიზმიდან დიდამდე, სოფელს, ქალაქს, ოლქსა თუ სახელმწიფოს, ყველას სახლის სახელწოდება ერქვა. ქართულად „სახლი“, სომხურად „ტუმ“, სირიულად „ბეთ“, არაბულად „ბეით და დარ“...

ტერმინოლოგია წყვეტდა ივანე ჯავახიშვილის წარმოდგენაში სახელმწიფოს წარმოშობის გარემოებებს, სახელმწიფო და საგვარეულო წყობილებათა ერთგვარობას, არჩილ ჯორჯაძე კი ამ ანალიზს რომ მიადევნებდა თვალს, ბოლომდე ვერ გაიზიარებდა ამ სახელმწიფოებრივ კონცეფციას.

ტერმინოლოგიის მსგავსება ასეთი თვალნათლივი რომ იყო?

ამ მხრივ არც შეედავებოდა მეგობარ ისტორიკოსს, ეგაა, ტერმინოლოგიის მსგავსებას არ გააიგივებდა წესწყობილებათა მსგავსებასთან. მერე რა, რომ საგვარეულო ტერმინოლოგია გადმოეტანათ სახელმწიფოს ნიადაგზე. განა ამით საგვარეულო და პოლიტიკური საზოგადოებანიც იგივდებოდა?..

ტერმინოლოგიის მსგავსება – არჩილ ჯორჯაძის რწმენით – მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ გვარი იყო პირველყოფილი ფორმა საზოგადოებისა, სახელმწიფო კი გვარის შემდეგ დაარსდა. გვარი დროთა მანძილზე სახელმწიფოს დაუთმობდა ადგილს, ძველი სახელმწიფო კი ბევრ რაიმეს შეითვისებდა გვარისაგან – თუნდაც ტერმინოლოგიას. მაგრამ გვაროვნული წყობილების ტერმინოლოგია ახალ საზოგადოებაში განსხვავებულ შინაარსს შეიძენდა. ვთქვათ, თავდაპირველად ქართული „სახლი“ ქართველ ტომთა

ბინადარ ცხოვრებაზე, მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდებოდა და გარკვეულ საზოგადოებრივ ერთობას ნიშნავდა. თავიდან „სახლის“ სათავეში ქალი ჩადგებოდა და ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ამ ტერმინით აღინიშნებოდა – „სახლისა“ და „დიდი ოჯახის“ ცნებანი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ერთმანეთს დაემთხვეოდა. შემდეგ „მატრიარქალურ“ სახლს შეცვლიდა „პატრიარქალური“ და გვაროვნული წყობილების რღვევაც დაიწყებოდა. და სახლი ერთი მხრივ იგულისხმებდა გლეხურ მეურნეობას, მეორე მხრივ – ფეოდალურ მეურნეობას. მერე და მერე მხოლოდ შენობის აღმნიშვნელად დარჩებოდა.

რჩებოდა ტერმინი და სრულიად იცვლებოდა მისი შინაარსი, და ხომ არ შეიძლებოდა, თანამედროვე მეტყველებაში „სახლს“ რომ გაიგონებდი, შენობისაკენ კი არა, პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობისაკენ გადაგქანებოდა ფიქრი.

თუმცა ისე ბრუნავდა ცხოვრება და სოციალისტური იდეა-თეორიებიც ისეთი მიზანსწრაფულად აღწევდნენ სამყაროს ლამის ყველა კუთხე-კუნჭულში, ხვალ „სახლი“ კვლავ რისი აღმნიშვნელი იქნებოდა, დაბეჯითებით ვერც ივარაუდებდი. იქნებ ისევ უკუღმა დატრიალებულიყო წუთისოფლის ბორბალი, კეხი შეებრუნებინა ისტორიის ჩარხს და ისევ პირველყოფილ საზოგადოებრივ წყობილებასთან ამოეყო კაცობრიობას თავი... კაცობრიობა გადაურჩებოდა ამ ხელოვნურ, ძალმომრეობით გადავარდნას წარსულში, ყველაფრის მოშლასა და ცივილიზაციის პირველ საფეხურზე შედგომას, მაგრამ ის სივრცე ვერ გადაურჩებოდა, რუსეთის იმპერია რომ დარქმეოდა და განაპირა პროვინციად კი ის მიწა-წყალიც შემოემტკიცებინა, რომელიც ერთ დროს სახელმწიფო იყო – მორჭმულიც და ძლევამოსილიც, ახლა კი თავგანწირვით ეძიებდა გზას თვითმყოფადობის ნიშნების გადასარჩენად.

და დარაჯად არჩილ ჯორჯაძეც რომ დადგომოდა, ისე ვერ გაიმეტებდა თავს, თუკი ერთ განცდაში არ მოიქცევდა გარდასულსა და ამწუთიერ ჟამს და ფესვებამდეც არ ჩაჰყვებოდა. მისი მაძიებელი გონება რას აღარ მოსდებოდა, ცნობიერებისა და მატერიის პირველსაფუძველთა მიზეზებსაც არკვევდა, რელიგიების წარმოშობასაც – თავისი ფილოსოფიური გარდასხეულებებითა და განშტოებებით, და ქართული მოდგმის გამოჩენას როგორ არ ჩაკვირვებოდა საქვეყნო ასპარეზზე, მის საგვარეულო და სახელმწიფოებრივ წყობილებათა გარემოებებს.

ისტორიკოსებსაც წაეშველებოდა.

მისთვის უპირველესი სოციალური და ფილოსოფიური მხარე გახლდათ, მაგრამ ძალაუნებურად იჭრებოდა ისტორიკოსთა სამფლობელოშიც, და თუ ვინმე გაუგულისდებოდა კიდეც, თავისი დარგები იმყოფინოს, ისედაც რამდენ რამესაა მოდებულიო, არა ივანე ჯავახიშვილი, ვის თეორიასაც ასე თანმიმდევრულად აცლიდა საყრდენს და უმტკიცებდა, აბა, ცოტა სხვაგვარად შეხედე და ტერმინოლოგიურ მსგავსებას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებ, თუ კიდევ იპოვნი საგვარეულო წყობილებაში სახელმწიფოებრივ ელემენტებსო.

არა გარეგნული ნიშნები, არამედ შინაარსი.

ესეც არჩილ ჯორჯაძის სახელმწიფოებრივი კონცეფციის იდეური ხერხემალი.

– სახელმწიფო ტერიტორიაზე, ქალაქის ერთეულსა და კომუნაზეა დაყრდნობილი, საგვარეულო წყობილებას კი სხვა ერთეული აქვს საფუძვლად, იგი იყო გვარი და პიროვნება. სახელმწიფოს არავითარი კავშირი არ აქვს პიროვნებასთან. სახელმწიფო იცნობს მოქალაქეს... სახელმწიფოს ახალი ელემენტი შემოაქვს – ტერიტორია და საკუთრება, რომელსაც არ ცნობს გვაროვნული წყობილება.

სახელმწიფო არის ძალდატანებითი ორგანიზაცია უმცირესობის ბატონობისა უმრავლესობაზეო, – ასე განსაზღვრავდა სახელმწიფოს არსს, რევოლუციურ განწყობილებათა შესაფერისად, ანარქიზმი და სოციალიზმი რასაც ქადაგებდა და მისი – სახელმწიფო წყობის – სახეცვალების სხვადასხვა გზებს ეძიებდა, ეძიებდა და პირვანდელ კომუნებამდე მიდიოდა.... თან აღიარებდა კერძო საკუთრებამდელ სინამდვილეს, თან ვერც ეშვებოდა კერძო საკუთრებასაც, სახელმწიფოსაც და სოციალ-დემოკრატები ბოლოს იმ ხელსაყრელ საშუალებას გამოძებნიდნენ მმართველობისათვის, რომ კერძო საკუთრებას სრულიად გამოაცლიდნენ ადამიანებს და პარტიული ზედაფენის ხელში მოაქცევდნენ. დემაგოგიური საფანელი – საყოველთაო თანასწორობის იდეა – მარჯვედ შეეშველებოდათ ადამიანისათვის უფლებების სრულ აყრასა და მთავარი დასაყრდენის გამოცლაში, და არჩილ ჯორჯაძე ამ რეჟიმსა და რეალობას რომ მოსწრებოდა, უფრო მკაფიოდ დაინახავდა სახიფათო ტენდენციებს რევოლუციურ თეორიულ აზროვნებაში, ერთი ხელის დაკვრით რომ ითვალისწინებდა ეროვნულ ტრადიციათა შემუსვრასა და ადამიანის გადაქცევას სახელმწიფო ჭანჭიკად, სა-

ხელმწიფოსი, რომელიც შინაგან სიმტკიცეზე კი არ აშენებულიყო, არამედ ისეთ ძალმომრეობაზე, ყველა სხვა ძალმომრეობას რომ გადააჭარბებდა, რაც ისტორიას სმენოდა.

სახელმწიფოს იდეას აქიაქებდნენ და... ყველაზე დიდ დამცველებად კი მოევლინებოდნენ ამ იდეას – მის ყველაზე უკუღმართ ხორცშესხმას რეალობაში.

ფრიდრიხ ნიცშეს რომ არა სწამდა სახელმწიფოს სიკეთე, თვითონ არც შეეცდებოდა მის განმტკიცებას.

თუმც მისი მოძღვრების სახეცვლილი, გამიწიერებული ვერსია სწორედ იმ სახელმწიფოებრივ წყობას დაედებოდა იდეურ საძირკვლად, ყველაზე ძალიან რომელსაც გაურბოდა და რის წინააღმდეგაც შეეთხზა თავისი მძაფრი თეორია.

სულ მაინც ვერ დაეღწია თავი არჩილ ჯორჯაძეს ანარქისტული იდეებისათვის, და თუმც საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო, თუ როგორ შეიძლება გაქარწყლებულიყო კომუნის სულისკვეთება, როდესაც თეორიული ნააზრევი ყოფაში გადაინაცვლებდა, მაინც სოციალური უთანასწორობის დამცველად მიიჩნევდა სახელმწიფო წყობას – მთელი თავისი მრავალგვარობით:

– სახელმწიფო არ აღმოცენებულა თანაბარ-უფლებიან საზოგადოების ნიადაგზე, სახელმწიფომ ამოჰყო თავი იქ, სადაც დაირღვა თანაბრობა, განმტკიცდა უთანასწორობა. სოციალურ ჯგუფთა შორის იმ თავითვე ბრძოლა გაჩაღდა. ერთმა ჯგუფმა (უმცირესობამ) ძალით დაიმონავა მეორე ჯგუფი (უმრავლესობა) და თავის ბატონობის დასაცავად მან შეჰქმნა ძალმომრეობითი ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო.

შემდგომი ხანის ქართული ისტორიოგრაფია არჩილ ჯორჯაძის მოძღვრებას დაეყრდნობოდა და სიმონ ჯანაშია – ივანე ჯავახიშვილის მოწაფე – პირწმინდად გაიმეორებდა არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს, თუმც პირველმთქმელს არსად მიუთითებდა. მკვლევარები შეამჩნევდნენ მსჯელობათა და საბუთთა აშკარა იგივეობას და ვარაუდს გამოთქვამდნენ, სიმონ ჯანაშია ალბათ იცნობდა არჩილ ჯორჯაძის თეორიასო. თუმც სავარაუდოც რა უნდა იყოს, როდესაც ახალი დროის ისტორიკოსიც ირწმუნება, ტერმინოლოგიურ მსგავსებას გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, როდესაც ესა თუ ის ტერმინი სხვადასხვა შინაარსს გულისხმობს – კლასობრივი და გვაროვნული საზოგადოებისა არ იყოსო; ანდა სტრაბონის ცნობების ანალიზით არ დასტურდება, რომ იბერიაში

გვაროვნული წყობილებაა, სინამდვილეში ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება ადრეფეოდალური ცხოვრების გზაზე იდგაო...

არჩილ ჯორჯაძის სახელის ხსენება სრულიად გააუფასურებდა ამ კონცეფციას საბჭოური იდეოლოგიის თვალში, კონცეფცია რომ გაეზიარებინათ, მისი შემქმნელის სახელი უნდა ამოშლილიყო ისევე, როგორც ისტორიიდან ამოეგდოთ არჩილ ჯორჯაძეც და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიაც თავის დამფუძნებელ-წევრებიანად. პოლიტიკური ასპარეზიდან გაძევებას არ აკმარებდნენ და ისტორიიდანაც მოუნდომებდნენ ფეხის ამოკვეთას. და როგორი რა ამოკვეთა გამოდიოდა, თუკი სახელმწიფოს მოძღვრება არჩილ ჯორჯაძისაგან ექნებოდათ ნასესხები – ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფია სიმონ ჯანაშიას გზას გააგრძელებდა. და დაე ამ სახელს დაკავშირებოდა ეს კონცეფციაც და ივანე ჯავახიშვილის თეორიის უარყოფაც, სად ან რატომ ეძებნათ მისი საწყისი, თუკი პირველალმომჩენის მოხსენიების შემდეგ ეს შეხედულებანი მაგიდის უჯრაში უნდა გამოეკეტათ.

არჩილ ჯორჯაძეს კი როდესაც არწმუნებდნენ, სოციალური ჯგუფები ერთმანეთისაგან ეთნიკურად განსხვავდებოდნენ, მათ ჭიდილს ეთნიკური, რასობრივი შინაარსი ჰქონდა და ძლევამოსილი უმცირესობა ყოველთვის უცხოეთიდან მოსული ხალხი იყო, ერთი ეთნიკური ჯგუფი მეორეს იმონებდა და სახელმწიფოც ჩაისახა ამ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ბრძოლა-ჭიდილშიო, ამ შეხედულებას უზოგადეს კანონად ვერ აღიარებდა. ზოგ ქვეყანაში შესაძლოა ასეც მომხდარიყო, მაგრამ ეთნიკური ელემენტი ყველგან და ყოველთვის იყო კი სახელმწიფოს დაარსების შემოქმედი ძალა?

ნაკლებ სარწმუნოდ მოეჩვენებოდა ამის მტკიცება, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოს ისტორიას ჩაუკვირდებოდა.

ძალმომრეობა, დაპყრობა, გარეშე ძალა იქნებ მართლაც აჩქარებდა სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს, მაგრამ მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც საამისოდ წინაპირობები მომწიფებულიყო, თორემ მხოლოდ ძალმომრეობით სახელმწიფო არსად შექმნილიყო.

ასეა თუ ისე, სახელმწიფოს თავისი ბუნებრივი საზღვარიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ სად უნდა გადაწვდენილიყო ეს ბუნებრივი საზღვარი, და საერთოდ, რას გულისხმობდა ეს სიტყვათშეთანხმება: ერთგვარი ეთნოგრაფიული ელემენტებით დასახლების ფარგალს, მთასა და ზღვას თუ იმ უსაზღვრო ლტოლვას სივრცე-სიგა-

ნეში, რომელიც მხოლოდ მაშინ ჩერდება, როდესაც შეეწინააღმდეგებიან და გასაქანს არ აძლევენ?

გულისხმობდა ერთსაც, მეორესაც და განსაკუთრებით იმ მესამეს, რომელსაც სამყაროც თავისი ეგონა და ბუნებრივი საზღარი ერთბაშად არაფრისმთქმელი გამოთქმა ხდებოდა მისწრაფების უკიდურესობის ფონზე.

მაინც რა იყო საქართველოს ბუნებრივი საზღვარი?

არჩილ ჯორჯაძე მოვალედ მიიჩნევდა თავს სახელმწიფოს არსისა და დანიშნულების კვლევა-ძიებისას საგანგებოდ გაეხსენებინა საქართველოს საზღვრები ოქროს ხანის ჟამს – 1122 წლიდან 1226 წლამდე – და დაე მკითხველს, თუკი ენება, თვითონვე შეედარებინა მაშინდელი სივრცე აწინდელი შემოზღუდული ტერიტორიისათვის და ძალაუნებურად გაეიგივებინა თავი მაშინდელი მოქალაქისათვის, იმისი მრწამსისა და საზოგადოებრივ-კულტურული ინტერესებისათვის.

თუმც არჩილ ჯორჯაძეს ამ შემთხვევაში სხვა გარემოება უფრო აღელვებდა და ქვეყნის მაშინელ საზღვრებს რომ შემოსწერდა – კასპიის ზღვა, დარუბანდი, ჩეჩნეთი, ყივჩაღეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩერქეზეთი, ჯიქეთი, ტრაპიზონი, სადაც თამარ მეფეს ცალკე იმპერია დაეარსებინა, კორნე (არზრუმი), კარი (ყარსი), დვინი, ანისი და არეზის მარცხენა მხარე კასპიის ზღვამდე – მსჯელობაში საყვედურსაც გამოურევდა, დიდებულებმა და ლაშქართა ომი სასიამოვნო ხელობად გაიხადეს, გასართობ საქმედ და, სულ რომ ომს ტეხდნენ, ყველა მეზობელი გადაიკიდესო.

მკაცრი თვალით გაიზომებოდა საქართველოს წარსული. და ისე მოჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილის შეფასება განმეორებულიყო არჩილ ჯორჯაძის თხზულების ამ პასაჟებში, მიუკერძოებლობა რომ მოენდომებინა ორიევს და პირუთვნელობა და გადამეტებული სიმკაცრე კი უნებურად ერთმანეთში არეოდათ. ახალი დროის განწყობილებანი იჭრებოდა მათ მსჯელობაში, ისტორიული ეპიზოდები ცოტა არ იყოს ახლებური შეხედულებების ფონზე ფასდებოდა, დროის ქერქი, ასე აუცილებელი ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებზე მსჯელობისას, ალაგ-ალაგ გამორღვეულიყო მათ ნააზრევშიც და ის ხანა ისე მწყობრად ვერ მოჩანდა ასეთი განზოგადებისას, როგორც უნდა გამოჩენილიყო, თუკი იმ დროის ქერქში ჩავსახლდებოდით.

ამიტომაც ირწმუნებოდა ილია ჭავჭავაძე, რომ ყოველ ისტორიულ ეპიზოდს თავისი კერძო ახსნა მოძებნოდა და ზოგად თეორიას არ მისადაგებოდა ხელაღებით, როგორც ხელსაყრელი მაგალითი.

ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის ამ თვალსაზრისსაც წაედავებოდა და იმ კერძო მტკიცებებსაც, ქართველთა ძლევამოსილ ლაშქრობას შორეულ სამხრეთში თავისი ახსნა და გამართლება რომ გამოეძებნებოდა.

გადამეტებულ გაიდეალებად ჩამოართმევდა გამართლების მცდელობას.

თუმც მიუხვდებოდა, მოგვიანებით კი მიუხვდებოდა გადამეტებული სიმკაცრის შერბილების აუცილებლობას ისტორიის გააზრებისას და ვეღარც იმ კერძო მსჯელობაში დაინახავდა გაიდეალების კვალს. გაიდეალება კი არა, მიუკერძოებელი შეფასება სწორედ ის გახლდათ, ლაშა-გიორგის დაბადების აღსანიშნავად ქართველები ყარსზე რომ გაილაშქრებდნენ და ილია სამეფო კარის ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკური საჭიროებით ახსნიდა: სამხრეთის სამეფოს შემუსვრის შემდეგ საქართველოს სამხრეთი საზღვარი ღია დარჩა მტერთათვის და ამიტომაც იყო აუცილებელი იმ ტერიტორიებზე ფეხის მოკიდება, შემდგომ კი სულაც შემომტკიცებაო.

არ ყოფილა ეს მოქმედება ლაშქრობის ნატვრითა და დავლა-ალაფის შოვნით გამოწვეული, არ ყოფილა ზერელე გადაწყვეტილება თუ გასართობი ექსპედიცია, უფრო ღრმა ჩანაფიქრი კვებავდა ამ გადაწყვეტილებას, ჩანაფიქრი, რომლის სიმართლის ფონზეც ფერმკრთალდებოდა ზოგიერთი ხინჯი, ურომლისოდაც, ცხადია, ვერც ეს ლაშქრობა გადარჩებოდა.

მერე და მერე სწორედ ამას მიუხვდებოდა ივანე ჯავახიშვილი და, რასაც თავიდან ვერაფრისდიდებით ვერ იზიარებდა, ქებით მოიხსენიებდა.

არჩილ ჯორჯაძეს აღარ დასცალდებოდა თავისი შეხედულების გადაფასება, თუმც დიდი რამ ვარაუდები არა სჭირდებოდა იმის ამოცნობას, თუ ისიც როგორ შეხედავდა ქართველთა ბრძოლებს სამხრეთის საზღვრის შესანარჩუნებლად.

თავი მეოცე

ნოე ჟორდანია და ახალი ეპოქის პოლემისტობა

გერონტი ქიქოძე არც აღტაცებული იქნებოდა ნოე ჟორდანიას პიროვნებით და არც უმთავრეს დამნაშავედ დასახავდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისა.

არც გრიგოლ რობაქიძესავით განადიდებდა – მოსე წინასწარმეტყველამდე რომ აეტყორცნა მისი სახება და არც კონსტანტინე გამსახურდიასა თუ პავლე ინგოროყვასავით გამოხვევდა ჩვარში.

– ნაცარქექიაო, – პერსონაჟების პირით ასე შეამკობდა „დიდი იოსების“ შემოქმედი დამოუკიდებლობის დაკარგვიდან რამდენიმე წლის შემდეგ „...გაიქცა და მერე როგორ? აბა რა ეგონა მაგ ნაცარქექიას, ბაგრატიონების გვირგვინი არც ისე იოლი სატარებელია!“, პავლე ინგოროყვას შეხედულება კი ფურცელზე არსად აღბეჭდილა, მაგრამ მის ახლობლებს კარგად მოეხსენებოდათ მისი ხშირი დაჩივლება, მაგას რომ არ ჩავარდნოდა ქვეყანა ხელთ, დამოუკიდებლობას ასე იოლად არ დავკარგავდითო.

გერონტი ქიქოძე არც ერთ მხარეს გადაიხრებოდა და არც მეორე.

ცდილობს უფრო მიუდგომელი პორტრეტი აღადგინოს, კარგი და ავი გულდასმით გამოიძიოს და ნოე ჟორდანიას ისე მიუჩინოს ადგილი საქართველოს ისტორიაში, მაინცდამაინც საცილო რომ არ გახდეს.

ყოველ შემთხვევაში, თავშეკავებულად უღრმავდება მის პიროვნულ ხასიათსაც და მაშინდელ მღელვარე ამბებსაც და ლონდონის ყრილობიდან (სადაც სოციალ-დემოკრატია ორად გაითიშებოდა) დაბრუნებული ნოე ჟორდანიას ფარულ მგზავრობას ბათუმიდან თბილისამდე მოიხსენიებს როგორც ტრიუმფალურს.

– თითქმის მთელი სოციალ-დემოკრატიული მასა მას მიემხრო. ამ გარემოებამ ცხადჰყო, რომ ქართველი ერის დემოკრატიული

ფენები პოლიტიკური ინსტინქტის ზეგავლენით რეფორმების იდეას და პარლამენტარიზმს აძლევდა უპირატესობას რევოლუციური ტერორის დიქტატურის წინააღმდეგ.

ეს ტრიუმფი დაგვირგვინება გახლდათ რამდენიმეწლიანი მწვავე კრიტიკული გამოსვლებისა ჟურნალ „კვალის“ ფურცლებსა თუ პოლიტიკურ თავყრილობებზე და წინამორბედი იმ მომავალი წარმატებებისა, თავისუფალი ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის სავარძლამდე რომ უნდა მიეყვანა.

ეგაა, ჯერ ილია ჭავჭავაძე ჰყავდა ჩამოსაშორებელი.

ასე გამოიკვეთებოდა ქართველ დემოკრატთა ბელადად 1921 წლის 25 თებერვლამდე – თითქმის მეოთხედი საუკუნე იტივტივებდა მღელვარე ტალღებს ზემოთ და თანდათან უკან მოიტოვებდა იმ ხანას, როდესაც ჯერ ილია ჭავჭავაძე სჭარბობდა პოპულარობით და მერე არჩილ ჯორჯაძე არ დაუვარდებოდა. ნაჭარბებისა კი ამ შემთხვევაში რა მოგახსენოთ. თუმც რომ არ დაუვარდებოდა, ესეც თავისთავად ბევრს ნიშნავს – ნოე ჟორდანიას პარტია გავლენით აღემატება არჩილ ჯორჯაძის პარტიას, წინამძღოლები კი ერთმანეთს შეთანაბრებიან.

გერონტი ქიქოძე ამ ტემპერამენტიანი პოლიტიკური მოღვაწის ოდნავშესამჩნევ ენაბრგვილობასაც ახსენებს სხვათა შორის, ოღონდ არა ნაკლად – ხელს არ უშლიდა პოპულარული სახალხო ტრიბუნი გამხდარიყო.

იმჟამად ლეგალური სახალხო ტრიბუნა რომ არ არსებობდა?

ამიტომაც გამოიწრთობოდა პრესასა და ფარულ პარტიულ კრებებზე და ორატორულ ხელოვნებას საყოველთაოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტსა და მთავრობაში გამოამჟღავნებდა.

რევოლუციურ მოძრაობას სასულიერო სემინარიიდან შეეკედლებოდა, იმ სემინარიიდან, ნაცვლად სულიერ მოძღვართა, მატერიალისტებსა და ათეისტებს რომ ზრდიდა, და ნოე ჟორდანიასაც ამ გზაზე დააყენებდა. რუსეთის იმპერიის რევოლუციურ წრეებში პირწმინდად მეორდებოდა საფრანგეთის რევოლუციის ის თავისებურებაც, ყოფილი მღვდლები ან სამღვდელოდ გამზადებული ადამიანები უპირველესი მტერნი და მოძულენი რომ შეექნენ უფალსა და ქრისტეს რჯულს.

სინამდვილე არ მიტაცებდა და ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდაო, თვითონ ნოე ასე მოიგონებდა თავის სიყმაწვილეს: რაც

უჩინარი და ფანტასტიკური იყო, ის მღელვარებდა და ადვილი წარმოსადგენია, რა გამეხარდა, როცა ამ უჩინარი ქვეყნის აღწერილობა დაბეჭდილი ვნახეო. შემთხვევით თუ ბედად „ყარამანიანის“ ერთი კარი ჩაუვარდებოდა ხელთ და – რასაც ვეძიებდი, ვპოვეო – აღტაცებისაგან ენა სულ რომ დაებმოდა, მისი საყვარელი საკითხავი ამ წიგნთან ერთად გახდებოდა „ვარშაყიანი“, „ბარამანიანი“, „ამირანიანი“, „ქალ-ვაჟიანი“. ჩაეფლობოდა ამათ თავგადასავალთა კითხვაში და ღრმად იწამებდა ამ ამბების სინამდვილეს, ვიდრე... დიახ, ვიდრე „ბუნების კარი“ დაუნგრევდა რელიგიურ შეხედულებებს და ამ წიგნების რწმენასაც, შეთხზული და გამოგონილი ამბების პატივისცემას, და საკუთარ თავს ეკითხებოდა:

– რატომ ვიყავი ისე გამოსულელებული, რომ ზღაპრები ნამდვილი მეგონა?

სწრაფი კადრებივით მოჰქრის ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიის სურათები, თითქოს მაშინდელი ფილმების კინოსცენარია და აჩქარებული რიტმი მასაც გადმოსდებიაო. არსად შეყოვნება, არსად სულისმოთქმა. უამრავი დეტალია მოხმობილი და მკითხველმა თვითონ უნდა გაიაზროს, შეაფასოს, დაალაგოს ბევრი რამ, მიუხვდეს, ამოიცნოს, ჩაულრმავდეს, სადამდეც შეიძლებს.

ქრონიკის სტილია და არა ფსიქოლოგიური ბიოგრაფიის, უფრო პუბლიცისტიკა, ვიდრე ბელეტრისტიკა, რა მანერაც ყოველთვის უფრო ახლობელი ყოფილა მისთვის, მემუარულ თხზულებაშიც ის უმჯობინებია; და დეტალებს ჩვენით უნდა ჩავუკვირდეთ და მათი მნიშვნელობა არ გამოგვრჩეს.

„ბუნების კარმა“ დამინგრია რელიგიური შეხედულებანიო...

ეს ხომ ის „ბუნების კარია“, პედაგოგიური აზროვნების თვალსაჩინო მიღწევა, „დედა-ენასთან“ ერთად რომ იხსნა ქართველი ბავშვის ფსიქიკა, სკოლა კი დაუბრუნა ქართულ წიაღს, შეუქმნა ის საძირკველი, რასაც უკვე ველარაფერი დაარღვევდა.

ნოე ჟორდანიას მაინც როგორც დაუნგრია რელიგიური შეხედულებანი და, არსებითად, ამოაგდო სემინარიის კალაპოტიდან?

და ეს ვინ – იაკობ გოგებაშვილმა?

მან განსაზღვრა – შეგნებულად თუ უნებლიეთ – ქვეყნის მომავალი მეთაურის რევოლუციური მსოფლმხედველობა და სწრაფვა?

მაგრამ „ბუნების კარით“ როგორ?

ჩარლზ დარვინის შეხედულებანი ჩნდება მის ფურცლებზე, გადატრიალებას რომ მოახდენდა მსოფლიო აზროვნებაში, ვიდ-

რე თანდათან გამოიკვეთებოდა მისი ცალმხრივობა და ხელოვნურობა, მისი შინაგანი სიცარიელე და განიდევნებოდა თეორეტიკოსთა ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ თუ პოლიტიკურ თხზულებათაგან, არადა, თავიდან ვერ შეჯერდა ბუნებისმეტყველებას და საზოგადოებრივ ცხოვრებასაც არანაკლებ მძლავრად გადმოწვდა.

იაკობ გოგებაშვილსაც გაიტაცებდა დარვინის ევოლუციური თეორია, რელიგიურ მრწამსს ვერ შეურყევდა და არც ბიბლიას გააშვებინებდა ხელიდან, მაგრამ აუცილებლად კი მიიჩნევდა ამ დებულებათა, საერთოდ, ევოლუციური მოძღვრების სულისკვეთების გაბნევას „ბუნების კარში" – სცოდნოდათ ყმაწვილებს თანადროული მეცნიერული თვალსაზრისები, უფრო შორს გადაწვდენილიყო მათი თვალსანიერი.

ნოე ჟორდანია მხოლოდ ამ მოძღვრებას ამოიკითხავდა სახელმძღვანელოში და კიდეც გადაუტრიალდებოდა გონება.

თუმც უშუალოდ არც ახსენებს, უსათუოდ ევოლუციის თეორია იგულისხმება, ბიბლიური წარმოდგენა რომ დაუნგრია.

იაკობ გოგებაშვილისა რა ბრალი იყო?

სიკეთე სურდა, სხვა რა, და რას იფიქრებდა ამ ყმაწვილის გონება მაინცდამაინც დარვინის სიახლეს თუ ჩაებღაუჭებოდა – ყალბ სიახლეს, გაუგებარ აბსტრაქციას და არა მეცნიერულ მიღწევას, ჩაებღაუჭებოდა და თანაც ასეთი ჟინით.

ეს იმგვარი შემთხვევაა, „კვაჭი კვაჭანტირაძემ" რომ აურიოს გონება გულუბრყვილო მკითხველს, აღტაცებული დატოვოს კვაჭის სიმარჯვითა და მარიფათით და მისი მიბაძვა მოინდომოს.

ისე, ვინ იცის, რამდენი გადამცდარა გზიდან, რომანის სატირული შინაარსი ვისაც ვერ ამოუკითხავს.

და ნუთუ მიხეილ ჯავახიშვილს უნდა დაბრალებოდა?

იაკობ გოგებაშვილს რომ გაიცნობდა, იქნებ კიდეც უთქვამს მისთვის: თქვენ დამაყენეთ სწორ გზაზე, „ბუნების კარის" დამსახურებაა, საკუთარი თავი რომ ვიპოვნე და ხალხისაკენ მისასვლელი ბილიკიც ადვილად გავჭერიო.

ამ საუბრის კვალი არსად მოჩანს ნოე ჟორდანიას მემუარებში, არც შემსწრე და მომგონებელი ჰყოლიათ ვინმე, თუმც იოლი მოსაღლნელია, რომ ასე ყოფილიყო, მითუმეტეს, იაკობ გოგებაშვილს პირადად რომ იცნობდა და საკმაოდ კარგადაც, „ჩემს წარსულში" მკაფიოდაა მინიშნებული.

„კვალი“ ისედაც მის ხელთ გახლდათ, მაგრამ 1898 წლის იანვრიდან ოფიციალურად დაეპატრონებოდა და შუღლსაც გაამწვავებდა წერა-კითხვის საზოგადოებასთან. ინტელიგენცია გადაუდგებოდა და „ივერიას“ მიაშურებდა.

„ივერიის“ ბანაკში მოიკალათაო, თვითონ ასე იხსენებს, ირონიულად, და დასძენს: ამან შიში გამოიწვია ჩვენს რიგებში, უინტელიგენციოდ ვერას მივაღწევთო. ძალიან შეფიქრიანდებოდა მათი მეთაური ამ განწყობილებით და სასწრაფოდ სტატიების სერიას გამოაქვეყნებდა – „ინტელიგენცია“ – და პარტიულ ამხანაგებსაც დააწყნარებდა და მუშებსაც აღაფრთოვანებდა.

– სამაგიეროთ დიდათ გააბრაზა „ივერიის“ ბანაკი. თუ წინეთ კანტი-კუნტად მაინც ვხვდებოდი ცნობილ ინტელიგენტებს – ცხვედაძეს, გოგებაშვილს, ჭრელაშვილს, ეკა გაბაშვილს და სხვ. „ინტელიგენციის“ შემდეგ სრულიად მოვწყდი მათ, გავირიყე მათგან და მათ მხოლოდ გოლოვინის პროსპექტზე ვხვდებოდი.

გაანაწყენებდა, რადგანაც განსჯა-ანალიზი თუ დარბაისლური კრიტიკა შეეცვალა დამცირება-შეურაცხყოფითა და განქიქებით და თავადაზნაურულ წოდებას გესლს არ აკლებდა: რაღაც ბუმბერაზად წარმოუდგენია თავი, სინამდვილეში კი ნაცარქექიაა და ხალხი და ინტელიგენცია ამიტომაც დაშორებია ერთმანეთსო. ინტელიგენცია ფულიან ადამიანებს ემორჩილება და ემსახურება, მშრომელ ხალხს კი უინტელიგენციოდ ცხოვრება თავისუფლად შეუძლიაო.

ნაცარქექია ვინ ყოფილა სინამდვილეში, კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟებისათვის გეკითხათ!..

თუმც მოსე წინასწარმეტყველთანაც ხომ აიგივებდნენ.

გერონტი ქიქოძის მემუარების მიხედვით ყველაზე მეტად მისი ეს ორი მეტოქე გამოიკვეთებოდა, ეს ორი იდეური მოწინააღმდეგე: იოსებ ჯუღაშვილი და არჩილ ჯორჯაძე.

ჯუღაშვილი მასავით პოპულარული არ იყო საქართველოს ფართო საზოგადოებრივ წრეებში, სამაგიეროდ, სჭარბობდა როგორც კონსპირატორი. იგი გარშემორტყმული იყო მუშებისა და ინტელიგენტების მცირერიცხოვანი, მტკიცედ შემჭიდროებული რაზმით, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდა მომავალი დიქტატორის ნებასო, – ამ დაწურულ ფორმულებში მოექცეოდა ერთი ჭიდილი, თუმც მოგონებათა ეს პასაჟი გვიანდელი განცდებით უფროა შეზავებული, ვიდრე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდგომი გან-

წყობილებებით, თორემ მომავალი იმპერატორი იმ წლებში არამცთუ ძალიან დაუვარდებოდა პოპულარობით ნოე ჟორდანიას, არამედ ლამის საერთოდ არ მოჩანდა მოწინავე პოლიტიკოსთა გუნდში და სულაც ამოუკვეთდნენ ფეხს საქართველოდან.

გუნებაში თუ ეტოქებოდა, თორემ ნოე ჟორდანიას იდეურ მოწინააღმდეგედ მას არავინ ჩააგდებდა.

როდესაც 1906 წელს სტოკჰოლმში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე იოსებ ჯუღაშვილი და მისი მეგობრები ყალბ მანდატებს მიიტანდნენ ბორჩალოს მაზრიდან, სადაც არავითარი პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდა, და მიუხედავად ამ მცდელობისა სამანდატო კომისია არა სცნობდა მათ დელეგატობას და უკანვე გამოაბრუნებდა გაწბილებულებს, ნოე ჟორდანიას ჩაეცინებოდა – როდემდე უნდა ჩაიგდოს უხერხულ ყოფაში თავი, სულ ასე გაცუცურაკებულმა ხომ არ უნდა იაროს მთელი ცხოვრებაო – და კიდეც მიავიწყდებოდა ეს შემთხვევა.

თავისდა საბედისწეროდ.

არჩილ ჯორჯაძის მოხსენიება მის იდეურ მოპირისპირედ უკვე ზუსტად და რელიეფურად აღადგენს მაშინდელ განწყობილებებს – მართლაც ეს ორი კაცი წარდგომია ერთმანეთს, ეს ორი ეცილება პირველობას და ამიტომაც იოტისოდენადაც არაფერია გადაჭარბებული, როდესაც ჯორჯაძის ფიგურა იმჟამინდელ პოლიტიკურ ასპარეზზე ამ ფორმულითაა შეფასებული:

– აგრეთვე ძლიერ პოპულარული.

და ისეთ თვისებებს ჩამოთვლის გერონტი ქიქოძე, ადვილად მიუხვდები, სულიერ სიახლოვეს მასთან რომ გრძნობს: პატრიოტულად მოაზროვნეო, სიცოცხლის აზრის მაძიებელიო, ფილოსოფიური ინტერესების მქონე პუბლიცისტიო.

ტოლსტოის მოძღვრებით მის გატაცებასაც გაიხსენებდა და მის მსოფლგანცდას „რაღაც თავისებური მშვიდობიანი ანარქიზმის“ სახელით მოიხსენიებდა. უფრო აზროვნების კაცი იყო, ვიდრე მოქმედებისაო, – ამ მხრივაც საერთოს პოულობდა მასთან და არჩილ ჯორჯაძის სულიერ ინტერესებს ამ რკალში მოაქცევდა: ბუდიზმი, კანტის ფილოსოფია, სქესობრივი სიყვარულის მეტაფიზიკა და ხელოვნება.

თვითონაც ამ იდეალს ეთვისებოდა:

– ის ოცნებობდა, რომ კაცობრიობას მშვიდობიანი ევოლუციის გზით სისხლის დაუღვრელად დაეძლია ეროვნული და კლასობრივი შუღლი და უზენაესი ჰარმონიისთვის მიეღწია.

კამათს, ამ ორ პოლიტიკურ მოღვაწეს შორის რომ გრძელდებოდა, მემუარისტი ვერ გაჰყვებოდა, მხოლოდ ზოგადად აღნიშნავდა: ზოგიერთ პრობლემას უფრო თეორიული ხასიათი ჰქონდა, ზოგს კი პრაქტიკულიო, – მაგრამ ის მაინც აუცილებლად უნდა გაეხსენებინა, ერის რაობას როგორ განსჯიდნენ ნოე ჟორდანია და არჩილ ჯორჯაძე. თვითონ თითქოს სრულიად არ ჩაერევა, მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს და დასკვნის გამოტანას მას მიანდობს, მაგრამ სტრიქონსა და სტრიქონს შუა ისე მკაფიოდ, ისე ხელშესახებად გამოსჭვივის, ვის მხარეს იხრება და სად ეგულება სიმართლე, რომ უფრო აშკარა გამოხატვა პირადი არჩევანისა ზედმეტი იქნებოდა და გემოვნებიან მკითხველს ყურსაც მოჭრიდა.

ნოე ჟორდანია ირწმუნებოდა, ქართველობა ახალგაზრდა ერია, მისი ნაციონალური შეგნება მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვაო.

რა მოტივით?

თანამედროვე ეროვნება კაპიტალისტური წესწყობილების ნაყოფია, ის ფეოდალური ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში ვერ განვითარდებოდაო.

რუსეთის შესვლას პოლონეთში ასე შეაფასებდა: უფრო დაბალმა კულტურამ უფრო მაღალი დაიმორჩილაო. საქართველოში კი თურმე პირიქით მომხდარიყო – რუსეთს უფრო მაღალი პოლიტიკურ-ეკონომიკური წესწყობილება შემოუტანია ჩვენში.

და ახლა პუბლიცისტი უკვე ქართველი ხალხის სახელს ამოეფარებოდა, მას მიაწერდა თავის შეხედულებას, მე არაფერ შუაში ვარ, მხოლოდ ვადასტურებ, რომ ქართველი ხალხი გრძნობს რუსეთის ყოველმხრივ უპირატესობას და ამიტომაც წინააღმდეგია ყოველგვარი ანტირუსული პოლიტიკისა, და, კერძოდ, ტერიტორიული ავტონომიის იდეა მიუღებლად მიაჩნიაო.

ჰოი, რა მგზნებარებითა და ხატოვანებით, რაოდენი რწმენითა და თავდაჯერებით ამტკიცებდა... დაუმტკიცებელს:

– შეეტაკა ორი დროშა, დროშა საკუთარი და უცხო, ნაციონალური და ანტინაციონალური. ვისკენ უნდა ყოფილიყო ხალხის თანაგრძნობა? რასაკვირველია, უკანასკნელისაკენ, ვინაიდან ამ დროშის ინტერესი იყო ამავე დროს ინტერესი ხალხის, ინტერესი ქვეყნის აღორძინების, გაერთიანების, ახალი ცხოვრების დაწყების. ქართველი ხალხის ნაციონალიზმიდან დაშორება იწყება სწორედ აქ. ის სცდილობს ახალი კულტურის შექმნას არა ნაციონა-

ლიზმით, არა რუსეთთან ბრძოლით, არა ავტონომიით, არამედ რუსეთის დახმარებით, შინაგან ბატონებთან ბრძოლით და ასე თავისი ცხოვრების თანდათან განახლებით.

თავისი გადასახედიდან ყოყმანსაც კი ვერ შეატყობდა საუკუნის წინანდელ ქართველობას. თითქოს ოდნავი დაეჭვების გარეშე შეექცია ზურგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის და განაპირა პროვინციის სახელს სიხარულითაც შეგებებოდა.

წინასწარ რომ არ იცოდე, პუბლიცისტური სტატიის ფრაგმენტს ვკითხულობო, მარჯვე პაროდირების ნიმუში შეიძლება გეგონოს, აბსურდისტი თუ უკიდურესად სატირიკოსი მწერლის წარმატებული მიგნება გონების დეგრადირების გასათვალისწინებლად.

აი, რა შეიძლება დამართოს მარქსიზმმა და კლასობრივმა თეორიამ განათლებულ ადამიანსაც კი.

ქართველი ხალხის მტერი თურმე ქართველი თავადაზნაურობა ყოფილა, თორემ რუსეთი კეთილისმყოფელად მოგვევლენოდა და ჩვენი მოქალაქეობრივი ცხოვრებაც აეყვავებინა და კვლავაც ბედნიერების სავანისაკენ მიგვიძღოდა.

დითირამბებად იღვრებოდა ნოე ჟორდანია რუსეთის წინაშე და ამიტომაც ვეღარ განირჩეოდა მისი შეხედულებანი რუსული შოვინისტური წრეებისა და ოფიციალური ისტორიოგრაფიის აზროვნება-მტკიცებებისაგან.

ზურგს უკან ამხელა ქვეყნის მხარდაჭერას გრძნობდა, მოდიოდა და მოარღვევდა:

– მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი, შეუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურულად ამაღლებისა და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში.

სატირიკოსის ნაწერი რომ ყოფილიყო, არჩილ ჯორჯაძე ღიმილით გადაავლებდა თვალს ამ სტრიქონებს, ახლა კი საკუთარ თავს ჩაეკითხებოდა: რა არის ეს – თავის დამცირება, უვიცობა, აზრის სიმჩატე თუ ყოველივე ეს ერთად შეზავებული.

არსებობდა ასეთი ფორმულა, განა არა, პრიმიტიული ლოგიკა, რომელიც ჩაგაგონებდა გეღიარებინა თუნდ ამგვარი აბდაუბდა: გაველი თუ არა გარეთ, მოვიდა წვიმა, მაშასადამე წვიმა გამოწვე-

ულია ჩემი გასვლით. დავიწყე თუ არა წერა, გაჰქრა სანთელი, მაშ წერამ გააქრო სანთელი...

უბედურება ის გახლდათ, რომ ნოე ჟორდანია სწორედ ამ წესით აზროვნებდა.

რაკიღა მოქალაქეობრივი ცხოვრება ასე თუ ისე განვითარებულიყო XIX საუკუნის საქართველოში, რუსეთი კი XVIII საუკუნის მიწურულს შემოსულიყო ჩვენში, მოქალაქეობრივი ცხოვრების დამკვიდრება რუსეთის ღვაწლი ყოფილა და ეგაა.

მაგრამ რუსეთს შემოსვლისას სულ სხვა განზრახვა რომ ჩაეთქვა და სულ იმ ცდაში იყო, გაეთქვიფა ქართველობა და გაექრო მისი კვალი?

ნოე ჟორდანია სულ ამისთანა გამოპასუხებას დაუგდებდა ყურს! მისთვის მთავარი გახლდათ ბაირაღების თემას არ მოშვებოდა:

რუსეთის გამოჩენისთანავე ქართველი ხალხი მას მიეკედლა, რადგანაც ახალი მთავრობის დროშაზე ეწერა: ძირს ფეოდალი, გაუმარჯოს ბიუროკრატიასო. და ხალხს ბიუროკრატი ერჩივნა ფეოდალს და ბიუროკრატიასაც ამიტომ მიეკედლაო.

არჩილ ჯორჯაძე თავისი მტკიცებისას ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ისტორიკოსთა დაკვირვებებს მოიშველიებდა და ასე შეეცდებოდა მარქსისტულ თეორიაზე ამოშენებული დებულებების უარყოფას: ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის იდეურ და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნამდე ჰქონდათ გამახვილებული ნაციონალური შეგნებაო.

იმასაც დასძენდა: რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის დამყარებას XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი არისტოკრატია უფრო ადვილად შეურიგდა, ვიდრე ქართველი გლეხკაცობა, რომელმაც რამდენიმე მძლავრი აჯანყებით უპასუხა ეროვნული სახელმწიფოს გაუქმებასო.

ამ დებულების მეცნიერული სიზუსტისა რა მოგახსენოთ.

იმ ამბოხებათა მოთავენი უფლისწულები და თავადაზნაურნი იყვნენ და გლეხობა მათ ირგვლივ შემოიკრიბებოდა – ეროვნული აჯანყებანი მოხდებოდა და არა სოციალური, ორივე წოდება ერთსულოვნად იბრძოლებდა და გლეხთა გამოცალკევება და მათი დასახვა ერთადერთ შეურიგებელ ძალად ისეთივე ცალმხრივობაა, როგორც, ვთქვათ, 1832 წლის შეთქმულების მონათვლა მარ-

ტოდენ თავადაზნაურულ მოძრაობად, რომელმაც ვერ ჰპოვა მომხრენი გლეხობაში – ოფიციალური ისტორიოგრაფია რასაც ირწმუნებოდა.

ოფიციალურ ისტორიოგრაფიას სჭირდებოდა სიმართლის ამგვარი გამრუდებანი და მიკერძოებანი, მთავარია, თვალნათლივ არ გამოკვეთილიყო, რომ ერთსულოვანი გახლდათ ქართველი ერი, დაკარგული სახელმწიფოს ამოგებას როდესაც ესწრაფოდა. არც ის დადასტურებულიყო, რომ წოდებათა შორის საქართველოში არასოდეს ყოფილა ისეთი შეურიგებელი ჭიდილი, რაც რუსეთსა თუ ევროპის ქვეყნებს მოსდგამდათ და სოციალური ამბოხებანი ამიტომაც გახლდათ ნიშანდობლივი მათი ისტორიისათვის. ჩვენში კი სწორედ ისტორიულად გამომუშავებულიყო სულიერი ერთობა წოდებათა შორის, მათი გვერდიგვერდ დგომა ქვეყნის მტერთა მოსაგერიებლად, და ამ სულიერ სიახლოეს ვერაფერი დაარღვევდა, თუ არა კლასთა ბრძოლის მოძღვრება, საბედისწეროდ რომ უნდა დასტეხოდა თავს ქვეყანას. ჯერ მხოლოდ იკვეთებოდა ავი ბედისწერა და ასეთ დროს არჩილ ჯორჯაძეს რა ემართება, რატომ მოიხსენიებს აჯანყებათა იმ ციკლს გლეხთა მღელვარებად? ნუთუ მასაც გადმოწვდომია მარქსიზმის სუნთქვა?

მიზეზი აქ სხვაა, ეროვნულს გლეხთა რომ ჩანაცვლებია.

ხელისუფლებასა და ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში საერთო თვალსაზრისი არ არსებობდა ამ აჯანყებათა შეფასებისას. მთავარია წოდებათა ერთსულოვნება არ გამოჩენილიყო და ერთი შეხედულება გლეხთა მღელვარებად მოიხსენიებდა, მეორე კი უფლისწულთა გაბრძოლებად სამეფო ტახტის დასაბრუნებლად. სოციალდემოკრატიაც ეროვნული მოძრაობის დაკნინებას რომ ლამობდა და დაბეჯითებულ მტკიცებად იმეორებდა: ქართველმა ხალხმა იმთავითვე იწამა და აღიარა რუსეთთან შეერთების გარდუვალობა და სიკეთეო, – ერჩივნათ ამ მეორე შეხედულებას მიმხრობოდნენ – ოფიციალური ყალბისმქნელობის ეს ვერსია გაეზიარებინათ.

ამ სიცრუეს აღდგომია წინ არჩილ ჯორჯაძე.

ამიტომაც ცდილობს წამოწიოს გლეხთა როლი პოლიტიკური დრამის იმ სცენებში.

წამოწიოს და გზა მოუჭრას ნოე ჟორდანიას იმ მთავარი თეზისის დასამკვიდრებლად: ქართველი ხალხია წინააღმდეგი ყოველი ანტირუსული პოლიტიკისა და ტერიტორიული ავტონომიის იდეაც მიუღებლად ამიტომ მიაჩნიაო.

აგერ – თუ ხალხი ანტირუსულ პოლიტიკას უპირისპირდებოდა.

სწორედ თვითონ მონაწილეობდა ანტირუსული პოლიტიკის ახალი ტალღის შექმნაში და, არჩილ ჯორჯაძე იმ ეპოქასაც რომ ჩაუკვირდებოდა და თანადროულ რეალობასაც, მისთვის მკაფიოდ გამოჩნდებოდა – უფლისწულებიც რომ არა, ხალხი ისედაც მოინდომებდა მონობის უღლის გადაგდებას.

ეს პუბლიცისტური მუხტი წარმართავს მის მტკიცებათა ამ პასაჟს.

არა შეფასების მიკერძოება თუ ცალმხრივობა, არამედ იმ რეალობის შეგრძნება, რომ ხალხი სახელმწიფოს აღდგენასაც ნატრობდა, თორემ ტერიტორიულ ავტონომიას – თუ ჯერჯერობით ეს უფრო მოსალოდნელი ჩანდა – წინ როგორ აღუდგებოდა.

ასე, რომ:

თუ მეცნიერული თვალსაზრისით ის დებულება მთლად ზუსტი არ აღმოჩნდებოდა, პუბლიცისტური მიზნით მისი მტკიცება უდავოდ გამართლებულია.

არჩილ ჯორჯაძე ვერც ინტერნაციონალიზმის ღალატს ხედავდა ტერიტორიულ ერთეულთა შექმნასა და მათ შეკავშირებაში – რა ღალატი და რომელი ღალატი, პირიქით, ერთა სოლიდარობა განმტკიცდებაო.

ცხადია, ეს ასეცაა, მაგრამ ნოე ჟორდანიასა და ჟორდანიელთა თვალში ინტერნაციონალიზმი მხოლოდ რუსეთის ირგვლივ შეკავშირებას გულისხმობდა და ამ ქვეყნის სრული უპირატესობის აღიარებას, კავკასიის ფედერაციული მოწყობა რუსეთისაგან გამოცალკევებასა და იმპერიის დაშლას მოასწავებდა და ამ მისწრაფების აღკვეთას სწორედ დემაგოგიური ფანდით ცდილობდნენ და ღალატსაც ამიტომ ახსენებდნენ. მტკიცებას მუქარის ინტონაცია შეერეოდა – ინტერნაციონალიზმის ხელყოფას არავის დავანებებთო.

– ხელყოფას არც არავინ აპირებს, პირიქითო, – არჩილ ჯორჯაძე რომ შეებმოდათ, ვითომ მისი არგუმენტი არც გაეგონათ და კვლავ ხალხის სახელს ამოეფარებოდნენ: ქართველ ხალხს ავტონომია არა სურს, თორემ ერთი სული აქვს ინტერნაციონალიზმის სიკეთეს მთელი არსებით როდის ეზიარებაო.

ამის მთქმელებს ხალხისა რამე გაეგებოდათ?..

ერთადერთი ჭეშმარიტება ჩვენს ხელთააო, – თავისას მიერეკებოდნენ, ერთსა და იმავეს ფქვავდნენ წისქვილის დოლაბივით.

ნოე ჟორდანია არც პოლიტიკურ დასმენას ითაკილებდა.

ეროვნული სულისკვეთების პიროვნებანი როგორც უნდა დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს, პოლიტიკურ დასმენას მოერიდებოდნენ, როგორც ზნედაცემულობას, რასაც არაფერი გაამართლებდა.

ამიტომაც იყო:

ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს ჟურნალისტური შეხლა-შემოხლა დუელამდეც კი მიიყვანდათ და მათ პოლემიკურ სტატიებში მინამგვანსაც ვერ იპოვნით პოლიტიკური დასმენისა. შეურაცხმყოფელიც კი არის ამაზე სიტყვის ჩამოგდება. თუმც ნიკო ნიკოლაძესაც საკმაოდ მოერეოდა კოსმოპოლიტიკური იდეები და რუსულ ენაზე წერა და აზროვნება ცოტა არ იყოს დააცილებდა ქართულ რეალობას და ხალხისგანაც ერთგვარად გაუცხოვდებოდა, ფიქრად არაფრისდიდებით არ მოუვიდოდა, ილიას – ამ თავგადაკლული ნაციონალისტის – ცალკეული შეხედულებანი ხელზე დაეხვია და რუსეთის მმართველი წრეებისათვის ხმა მიეწვდინა – დახეთ, რა ხდება, რა მიზნები ასულდგმულებსო!..

არის რაღაც ადამიანის ბუნებაში რასაც კოსმოპოლიტიკური აზროვნებაც ვერ ერევა.

ანდა:

მთელი ცხოვრება ვერ მორიგდებოდნენ იაკობ გოგებაშვილი და გიორგი წერეთელი და ამჯერადაც ნაციონალისტი და კოსმოპოლიტი შეეჯახებოდა ერთმანეთს... და განა ვინმე აღმოაჩენს გიორგი წერეთლის პოლემიკურ ნაწერებში პოლიტიკური დასმენის ნასახს? არადა, იაკობ გოგებაშვილის ნაციონალისტური მრწამსი უხვად მასალას აწვდიდა მას გამოსაყენებლად და პირად – გამწვავებულ – ურთიერთობაში ხელისუფლების ჩასარევად.

დრო-ჟამი სავალალოდ აბრუნებულიყო, სულ სხვა ნაკადი იჭრებოდა ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში სოციალ-დემოკრატების გამოჩენით და ათასგვარ უკადრისობას რომ მოიმარჯვებდნენ გზის გასაკაფად და გავლენის მოსაპოვებლად საზოგადოებრივ ყოფაში, აღარც ბეზღობა-ცილისწამებებს მოერიდებოდნენ, და ნოე ჟორდანია გულმშვიდად გახსნიდა პოლიტიკური მოპირდაპირის ანტიიმპერიულ ფარულ განზრახვას, თითქოს ასეთი ხერხები ნებადართული იყოს თუნდ ზნეობაშერყეულ გარემოში. ბოლოსდაბოლოს, შერყევა არა ნიშნავს სრულ წახდენას, და თვალ-

საჩინო მოღვაწეებად გამოკვეთილი პირნი განა დაცემული მორალის ამაღლებას არ უნდა ესწრაფოდნენ?

თუმც ამაოა შეგონება კაცისათვის, ვისაც შეუძლია ბევრგვარად შემცოდე სტატიაში ამგვარი პასაჟიც გამოურიოს:

– ჯორჯაძე თხოულობს საქართველოს ავტონომიას და არა სრულ დამოუკიდებლობას. ავტონომია ხომ სახელმწიფო არ არის და თუ სახელმწიფოს გარეშე ეროვნება ვერ იხეირებს, აშკარაა, მისი ავტონომია ან მისი ულოღიკობაა ან ფარისევლობა, რასაც მოჰყვება საკუთარი სახელმწიფოს მოთხოვნილების წამოყენება.

ასე გაიშიფრებოდა ფარული სწრაფვაც და ხელისუფლებისათვის მინიშნებაც – საკუთარი სახელმწიფოს მოთხოვასაც ელოდეთ, თუკი ავტონომიის მოკრძალებულ განზრახვას ჩანასახშივე არ აღკვეთთო.

არჩილ ჯორჯაძე ისევ ანარქისტული მოძრაობისათვის მიეკერებოდა ნოე ჟორდანიას და, როდესაც იმათ შეხედულებას იმოწმებდა თავისი ინტერპრეტაციით („სახელმწიფო მოქმედება არის ერთი დაუსრულებელი ბოროტება და მისი ნამოქმედარიც ძირიანფესვიანად ამოსაგდებია და თუ ეროვნება სახელმწიფოს ძალადობის შედეგია – ცხადია, ესეც ბოროტებაა და დასანგრევი ყოფილა!"), მაშინვე სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგს გადაწვდებოდა:

– თუ სახელმწიფომ ეროვნება შეჰქმნა, ცხადია, ეს ეროვნება დაირღვევა მაშინ, როცა აღარ იქნება მისი მიზეზი სახელმწიფო. მარა რადგან ბ-ნ ჯორჯაძეს ეროვნება დიდად უყვარს, ამიტომ ამის თანახმა არ არის და გაიძახის: „სწორეთ მაშინ (როცა კლასები მოისპობიან) უნდა აყვავდეს ეროვნებაო". მაშასადამე, მოვლენა იარსებებს „უმიზეზოდ".

და არჩილს კიდევ ერთხელ მოუწევდა მოკამათის მხილება უწესო საპოლემიკო საშუალებას იყენებსო:

– ეროვნება სახელმწიფო შედეგია, მაშ ეროვნებაც ბოროტებააო. რატომ? მიზეზი და შედეგი ერთი და იგივეა? ნიაღვარი, რომელიც წალეკავს ხოლმე ვენახებს, დიდი ბოროტებაა. ამ ბოროტებას კი მოაქვს ქვიშა და ქვა, რომელთაც ადამიანი თავის სასარგებლოდ იყენებს. მაშ სთქვით, რომ ქვიშა და ქვაც ბოროტებაა. ეროვნება დაირღვევა, როცა არ იქნება მიზეზი სახელმწიფოო? რატომ? ნიაღვარმა მოიტანა ქვიშა და ქვა, ნიაღვარი შესწყდა, ქვიშა და ქვა კი დარჩა.

ლოგიკის ნაბორძიკებას რა უშავდა თურმე, რადგანაც ნოე ჟორდანიას მსჯელობაში სიყალბის ხრიკებიც გამორეულიყო.

ეს მისი ვერსიით იყო ასე: სწორეთ მაშინ, როცა კლასები მოისპობიან, უნდა აყვავდეს ეროვნებაო.

პასუხად არჩილ ჯორჯაძე ხელახლა გაიმეორებდა თავის თვალსაზრისს და დაე მკითხველს განესაჯა, რამდენად მიუკერძოებლად გადმოსცემდა მის შინაარსს მოპაექრე:

– ეროვნება, კლასიკურ საფუძველზე დამყარებული, აუცილებლად უნდა დაირღვეს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში, სადაც კლასები აღარ იქნებიან, ეროვნება ვეღარ იცოცხლებს. პირიქით, იგი სწორედ მაშინ უნდა აყვავდეს და გაშალოს თავის კულტურული შინაარსი, თავისებური გენიოსობა. ეს აღარ იქნება მრისხანე, იარაღიც აღჭურვილი, შიშის ზარდამცემი, ამაყი, მოქიშპე და თავმოყვარე ეროვნული შემეცნება, ეს იქნება განვითარება სულიერ კულტურისა, თანახმად სიცოცხლის მრავალფერადობის და მრავალხასიათობის კანონის მუშაობისა.

მკითხველს მოუბოდიშებდა: პასუხი ძლიერ დამიგვიანდა, თუმც ჩემი ბრალიც არა ყოფილა, რომ შემოდგომის დამდეგს სათქმელი მხოლოდ ახლა მიხერხდება – ზაფხულის პირზეო.

ბარემ გამოხსნა ერჩივნა დავა-კამათისაგან, ერთხელ უკვე გამოეხატა თავისი შეხედულებანი და ხელახალ გამეორებასა და დაბეჯითებულ მტკიცებას თითქოს რა აზრი უნდა ჰქონოდა, მაგრამ პოლემისტობას, ენება თუ არა, ქართველი მწერლის ხვედრად მიიჩნევდა, ერთადერთ გზად, იმ ზღუდედ, საიდანაც გასავალი თითქოს დახშულიყო, ამ ზღუდეში კი თვით ჩვენი ცხოვრება ჩაჭედილიყო.

ქართული პოლემისტობის შინაგანი მექანიზმის ამოხსნას რომ შეეცდებოდა, იმ დასკვნამდე მივიდოდა: მას საზოგადოებრივი დაქსაქსულობა ასაზრდოებსო. ჩვენი საზოგადოება კი ისე არ დაქსაქსულიყო ეკონომიკურად, როგორც ზნეობრივად და იდეურად. კლასობრივი აგებულება თუ თანდათან იჩენდა თავს ჩვენს რეალობაში, ცხოვრების ამ განხეთქილების პირობებში კი არ მუშავდებოდა ნიადაგი იდეური დაქსაქსულობისა, არამედ სულ სხვა პირობებში. ამიტომაც იყო, რომ „ძველსა“ და „ახალს“ შორის კი არ ხდებოდა მკაცრი წინააღმდეგობა და შეტაკება, არამედ „ახლებიც“ ვერ მორიგებულიყვნენ, და არჩილ ჯორჯაძე სწორედ აქ ხედავდა გულსაკლავ სურათს ენერგიისა და ძალ-ღონის უქმად გაფლანგვისა. უქმად გაფლანგვად იმიტომ მოიხსენიებდა, რომ მო-

პირდაპირეთა შორის კამათი ყოველთვის სასურველ სიმაღლეს ვერ ინარჩუნებდა ხოლმე.

მთავარი საწუხარიც სწორედ ეს გახლდათ.

უპირველესად ნოე ჟორდანიას გულისხმობდა, რადგანაც გავლენა სხვაზე მეტი მოეხვეჭა და მისი ტენდენციურობა და პარტიული ნაჭუჭიდან ყურებაც სხვაზე მეტად აზიანებდა ჟურნალისტიკასა თუ საზოგადოებრივ ცნობიერებას. და თუ რაინდული სიმაღლის შენარჩუნებისას პოლემიკა წინ წასწევდა – და საკმაოდ წინაც – საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ აზროვნებას, იმ სიმაღლიდან ჩამოქვეითება მხოლოდ ამღვრევდა რეალობას და მართლაც გულსაკლავს ხდიდა ცხოვრების სურათებს.

არჩილ ჯორჯაძეს ჰქონდა მორალური უფლება ასეთი სუსხიანი საყვედურისა.

პირადი თუ პარტიული ინტერესი არასოდეს განსაზღვრავდა მისი კამათის შინაარსს, მის მტკიცებათა სულისკვეთებას, გამოსცილებოდა ამ შემხუთველ ჩარჩოს და ენანებოდა ყველას ნიჭი და ენერგია, ფუჭად გაფლანგული პარტიულობის პროკრუსტეს სარეცელზე.

საკუთარი თავიც ებრალებოდა, ასეთ პოლემიკაში რომ უნდა ჩართულიყო, მაგრამ რაკიღა ჩვენი ცხოვრება ამ ზღუდეში მოქცეულიყო, თავს ისიც როგორისიც დააღწევდა?

როგორც ყველას მოეხსენებოდა, ისე ნოე ჟორდანიასაც არჩილ ჯორჯაძის გაუნელებელი სნეულება და ეს აფიქრებინებდა, არქეოგრაფიული კომისიის აქტებს რომ იმოწმებს, ალბათ მკითხველისათვის თვალის ასახვევად, თორემ ამ აქტების შესწავლას ვერ მოახერხებდა და ცნობებს პირწმინდად ივანე ჯავახიშვილს წიგნაკიდან – „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში“ – ამოკრებდაო. და ისე როგორ იქნებოდა, თავისი ეს ვარაუდი ბრალდებად არ წაეკეცა მოპაექრისათვის.

მთავარია თვითონ ცნობების სანდოობა და მართებულობა, ცხადია, და რა მნიშვნელობა აქვს, საიდან იმოწმებ, მაგრამ თუკი სხვა მკვლევარს უკვე გამოუყენებია და მის მიერ მოძიებულ მასალებს ეყრდნობი, კეთილსინდისიერება გავალებს, პირველწყაროდ ის ნარკვევი მიუთითო და არა შენთვის ხელმიუწვდომელი დოკუმენტები.

გრძნობ – რაღაც უხერხულად ჩაჩხერილა ნოე ჟორდანია არჩილ ჯორჯაძესა და მკითხველს შორის.

მაგრამ თუკი... თუკი არჩილ ჯორჯაძეს არქეოგრაფიული კომისიის აქტები მართლაც არ უნახავს თვალით?

მაშინ რას იზამ, გამოუჭერია და ეგაა – დიდ ცოდვაში თუ არა, მცირეში მაინც.

თუმც...

თუმც იოლად შეიძლება ივანე ჯავახიშვილის წიგნაკისა და არჩილ ჯორჯაძის პოლემიკური ნარკვევის შედარება და შესაბამის ამონარიდთა გვერდი-გვერდ დალაგება.

და არჩილ ჯორჯაძე, წინასწარვე დარწმუნებული თავის სიმართლეში, მკითხველსაც პირნათლად უსწორებდა თვალს და ნოე ჟორდანიასაც ადვილად მოუგებდა ნიშნს:

კარგად გადაშალე და ჩახედე იმ წიგნაკს, ნეტა ივანე ჯავახიშვილთან სად იპოვნი იმ ცნობებს, რომელსაც მე ვეყრდნობი და ცხადვყოფ, რომ კახეთში ხალხმა გამოუცხადა ომი რუსეთს და საკუთარი მეფეც აირჩიაო.

მოკამათის გაშავებას ვარაუდობდა სოციალ-დემოკრატთა ბელადი მკითხველის თვალში და... მწარედ გაუცუდდებოდა ნახტომი.

თუკი მკითხველთაგან ზოგი თავისთვის დაეჭვდებოდა, ნეტა თუ მართლა ახერხებს ავადმყოფობისაგან გაწამებული არჩილ ჯორჯაძე არქივებში ჯდომასა და იქ კვლევა-ძიებასაცო, აგერ მტკიცდებოდა, რომ გამოქვეყნებული მასალები არა კმაროდა მისთვის და თვითონვე მიაკითხავდა არქეოგრაფიული კომისიის აქტებს.

და ვინც ნოე ჟორდანიას ენდობოდა, შეუმოწმებლად არაფერს იტყვისო, გული აეყრებოდა მასზე, რაკიღა ბრალდებას ისე გამოთქვამდა, არც კი შეედარებინა წიგნაკი და პოლემიკური სტატია ერთმანეთთან.

თუ შეედარებინა, კიდევ უარესი მისთვის!..

ზომიერების დაცვაო, – ყოველთვის ამას შეაგონებდა არჩილ ჯორჯაძე.

და ეყრებოდა კედელს ცერცვი.

და ინაყებოდა წყალი.

და იკერებოდა ნემსით ჰაერი.

მოვალეობას მაინც ვერ გადაუხვევდა – ვიდრე დასცალდებოდა, ძე შეცთომილთა შინ მიბრუნებაზე უნდა ეზრუნა და დაჟინებით გაემეორებინა: ნუ შესწირეთ კლასთა ბრძოლასა და განხეთქილებას ერთობის პრინციპიც და ეროვნული ინტერესიცო.

აჭარბებდა პროლეტარიატიზაციისა და გაქალაქელების პროცესის გააზრების დროსაც, მაგრამ ეს რა მოსატანი გახლდათ კლასთა ბრძოლის ბომონის აღმართვის ფონზე. ერთობისაკენ სწრაფვა და ეროვნული იდეალი თუ განწირულიყო, პროლეტარიატიზაცია-გაქალაქელების მცდარი შეხედულებანიც ბარემ თან მიჰყოლოდა.

სოფელი ნელ-ნელა ქალაქელდებაო, – სიხარულს ვერ იტევდა გულში ნოე ჟორდანია, – უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკურ ვითარებაში ისეთი ცვლილება მოხდა, რაც ოცი საუკუნის მანძილზე არ მომხდარაო.

მეტი სისწრაფე რაღა უნდა ყოფილიყო?

და მეტი შთამაგონებლობისათვის შედარებას მოიშველიებდა:

– ჩვენი ოცი წლის ეკონომიური განვითარება უდრის ინგლის-საფრანგეთის რამდენიმე საუკუნის განვითარებას... კაპიტალიზმი დღეს ჩვენში უფრო ჩქარა არღვევს პატრიარქალურ ურთიერთობას და ათახსირებს ხალხის უმრავლესობას, ვინემ ეს მოხდა წარსულ საუკუნეებში ინგლის-საფრანგეთში.

რა გაქანებანი სჩვეოდა ამ ნოე ჟორდანიას.

პროპაგანდის იქით ვერაფერს ხედავდა ან ისე უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა სხვა ყოველივე, ანგარიშში როგორ ჩააგდებდა.

ინგლის-საფრანგეთის ცხოვრებაც კი ფერმკრთალდებოდა მის თვალში საქართველოს ეკონომიკური ყოფის იმ ფონზე, თვითონ როდესაც მოვლენილიყო საქვეყნო ასპარეზზე და ვის რჩევას დაგიდევდა. არჩილ ჯორჯაძეს კი ვერ აეხსნა, ასე როგორ აეფოფინებინა მესამედასელთა მეთაური შეჩვეული სინამდვილის თვალდათვალ რღვევას. არა ისეთი სისწრაფით, ჟორდანიას როგორც ეგონა, მაგრამ რღვევა თვალნათლივი გახლდათ და ყოველი ტრადიციული რეალიის ამოშლა სოფლის ყოფიდან გულს უკლავდა არჩილ ჯორჯაძეს.

მე უკვე ვხედავ და თქვენც იხილავთ თქვენი ბედნიერი თვალითო, – თავმომწონეობდა ერთ-ერთი ბელადი პოლიტიკური ასპარეზისა და გუნებაში ანგარიშობდა, ერთადერთი როდის შევიქნები, თორემ გავიდა ცხოვრება და ეგააო.

ჩაივლიდა 16 წელი და... ასე ალაპარაკდებოდა:

გვეგონა, რომ ქართული კაპიტალი და ქართული ბურჟუაზია უფრო სწრაფად მომძლავრდებოდა, ვიდრე ეს ნამდვილად მოხდა. ცხადია, მაშინ ინტერნაციონალური კაპიტალის როლი კავკასიაში საზოგადოდ და საქართველოში კერძოდ – ნათლად არ გვქონდა

ნარმოდგენილი. მე მგონია შეუძლებელიც იყო იმ დროს ასეთი წარმოდგენის შექმნა, ვინაიდან უცხო კაპიტალის ძლევამოსილი მსვლელობა შემდეგ დაიწყოო.

თავს იმართლებს, შეუძლებელი იყოო.

კი მაგრამ, სადღაა ბელადის განსაკუთრებული გამჭრიახობა და წინასწარჭვრეტის უნარი?..

საგულისხმო აღსარებაა! და სწორედ მადლობის ღირსია ბ-ნი ჟორდანია, რომ დღეს მაინც თქვა ის, რაც საჭიროა ცხოვრების ნამდვილი განმარტებისათვის, და აგრეთვე, რაც საჭიროა იმის გარკვევისთვისაც, თუ სხვა პატივსადებ საკითხთა შორის, რა იყო მიზეზი შეუთანხმებლობისა მოპირდაპირე მწერალთა შორის ამ 15 წლის განმავლობაშიო, – ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა არჩილ ჯორჯაძე, – დღეს თვითონ გვეუბნება, მხოლოდ ახლა დავინახე ის, რაზედაც მითითებდნენ მოპირდაპირენიო. გმადლობთ გულწრფელობისათვისო.

ირონიული პასაჟია? მადლობა სარკასტულ მინიშნებას გულისხმობს? სხვა პუბლიცისტის თხზულებაში ეს იქნებ ასეც ამოგვეკითხა, მაგრამ არჩილ ჯორჯაძისათვის არასოდეს ყოფილა ირონია, სარკაზმი, სატირა ჩვეული პუბლიცისტური ხერხები და რაღა ამ ერთ შემთხვევაში მოიმარჯვებდა. გულწრფელია მისი მადლობა – თან გაოცებული, თან სიხარულნარევი, რომ თვით ნოე ჟორდანიას არსებაშიც შეუღწევია სიწრფელის სურვილს. რატომ და რა მიზეზით აღიარებს თავის შემცდარობას მესამედასელთა ბელადი, ეს ცალკე სარკვევია, მაგრამ არჩილ ჯორჯაძემ რატომ არკვიოს. მთავარია, რომ ძველი შეხედულება გადაუფასებია და, ასე თუ გაგრძელდა, იქნებ თანდათანობითი გადაფასებებით დააღწიოს თავი სიხისტე-სიჯიუტესა და საკუთარი თვალსაზრისების გამოცხადებას ერთადერთ ჭეშმარიტებად.

ხომ შეიძლება ადამიანმა მის არსებაშიც გაიღვიძოს.

მერე აღარ იქნება სახიფათო მისი დაწინაურება, აღარ შეგაკრთობს მის გავლენის სულ უფრო ზრდა, და მის მიმდევრებშიც გაიღვიძებს მიძინებული განცდა ამ ქვეყნის შვილად თავის შეგრძნებისა. და წოდებათა უკიდურეს დაპირისპირებაში კი არა, მხოლოდ მორიგებაში ჰპოვებდნენ გზას ხსნისას... ოცნება არ მოკლავდა კაცს, უკურნებელი სენი თუ არ მოუღებდა ბოლოს.

გმადლობთ გულწრფელობისათვისო, – მაინც იმედს ებღაუჭებოდა არჩილ ჯორჯაძე.

* * *

ნოე ჟორდანია არც დაიჯერებდა, საიდანმე რომ შეეტყო, ერთხელ მუშები რომ სტუმრებიან არჩილს და რჩევა უკითხავთ, მას შენი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწერების კითხვა ურჩევიაო.

არ დაიჯერებდა და... ნუ დაიჯერებდა.

არჩილს ეს განზრახვა არცა ჰქონია, ნოეს ყურს მიწვდესო.

მისი პიროვნული ხასიათის კაცი ასე არც ვინმეს დასანახად მოიქცეოდა, – ამიტომაც ან გულით ურჩევდა, ან სულ არაფერს ეტყოდა მუშებს ნოეზე.

იქნებ წამიერად გადაწყვიტა, რომ ტაქტიკური ხერხი გამოეყენებინა და მესამედასელთა ბელადი ნამუსში ჩაეგდო, შენ რომ სულ ჩემი ლანძღვა გაკერია პირზე, მე, აი, როგორ ვზრუნავ შენი მკითხველის გასამრავლებლადო.

მაგრამ წამიერი გადაწყვეტილებაც არ უნდა იყოს.

სხვა რომ არაფერი, ტაქტიკური ხერხი ითვალისწინებს ისეთ გარემოსა და თანამოსაუბრეებს, ვინც მაშინვე გაახმაურებს შენს ნათქვამს, თორემ იმის იმედად როგორ იქნები, ეს უბირი ახალგაზრდა, ვინც ეს-ესაა ბაქოდან ტფილისში ჩამოსულა და ჯერ ამაოდ აწყდება აქეთ-იქით ფეხის მოსაკიდებლად, ოდესმე მოგონებას დაწერს ჩემზე და არც ამ ფრაზას დაკარგავსო.

მაშინ ვერაზე ცხოვრობდა.

რამდენიმე მუშა კრძალვით, გაუბედავად რომ შეაღებდა მისი ოთახის კარს გაოცებულნი დარჩებოდნენ იმის საწინააღმდეგოს ხილვით, რაც მანამდე წარმოედგინათ. ეგონათ, არჩილი განცხრომით ცხოვრობს, ოჯახური სიამით ტკბებაო... არადა, ერთი ოთახი ეჭირა და სუფთად მოწყობილ ლოგინზე წამომჯდარიყო მრავალმეტყველ ქანდაკებასავით. თუმც ესეცაა:

– მისი ფიქრის ზღვა თვალები მის მებრძოლ სულს ამხელდა.

მისი ხილვა ორგვარ გრძნობას გაუჩენდათ სტუმრებს – სიყვარულს მტკიცე სულისა და სიბრალულს დარღვეული სხეულის გამო. ორმაგი გრძნობა ენას დაუბამთ, მასპინძელიც გაჩუმებული ზის და ლმობიერი მზერა მიუპყრია მათთვის.

ბოლოს-ბოლოს მუშები შესჩივლებდნენ თავიანთ ყველაზე დიდ სატკივარს: უცხო ტომთა გადმოსახლებას ჩვენს მიწა-წყალზე და მის დატაცებას.

არჩილი არამცთუ არ აღელდებოდა იმათსავით, მეტისმეტად დამამშვიდებელი კილოთიც კი მიუგებდათ:

– ეგ საკითხი ყველა ჩვენგანისთვის ფრიად საგულისხმოა და თქვენც, მუშებმა, აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოთ; მაგრამ სასოწარკვეთილება და სხვა ამგვარი რამე ახლოს არ უნდა გაიკაროთ. თუ ჩვენი გაზეთი ამ საკითხის თაობაზე ძლიერის სიმწვავით სწერს, იმიტომ, რომ თქვენში აღძრას მიმქრალი ეროვნული გრძნობა.

გაზეთი ბევრ სასიამოვნო ცნობას იტყობინებოდა და მასპინძელი საგანგებოდ მიაქცევდა სტუმრების ყურადღებას იმ გარემოებებს, რომ ბევრ ალაგას ჩვენს გლეხებს მიწები შეეძინათ; რომ ბევრ ალაგას მეურნეობის გაუმჯობესებას შედგომოდნენ; და რომ ჩვენი ეროვნული თვითცნობიერებაც წინ მიიწევდა.

ამას თქვენი აქ მოსვლა და მსჯელობაც ამტკიცებსო, – ამხნევებდა სტუმრებს და ურჩევდათ: არ აცდეთ ამ გზას, არც უღალატოთ თქვენს მოვალეობასო.

ბიბლიოთეკებში იარეთო, – ამასაც დასძენდა და ძველ ჟურნალ-გაზეთებს რომ მიუთითებდა, ნოე ჟორდანიას პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწერების გაცნობასაც მაშინ ურჩევდა. – ჩემი ნაწერებიც წიგნად ამ ბოლო ხანში გამოვა, საცა უმთავრესად ეროვნული კითხვის მასალა მოიპოვებაო, – ამცნობდათ, და კიდევ:

– გაეცანით ორივე მხარის ლიტეატურას. რაც შეეხება ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ისინიც, ვფიქრობ, შეცვლიან თავის აზრს და საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას აღიარებენ.

უპირველესად მწერალი რომ არის და ეროვნული მოღვაწე და არა პარტიული მოვლენა, ამ სიტყვებშიც რაოდენ რელიეფურად და ცხადად წარმოისახება.

გაეცანით ნოე ჟორდანიას ნაწერებსო.

გაეცანით ორივე მხარის ლიტერატურასო.

აბა, ახლა წარმოიდგინეთ ნოე ჟორდანია, ვინც მუშებსა თუ სხვა პროფესიის ადამიანებს არიგებდეს, გაეცანით არჩილ ჯორჯაძის ნაწერებს და შეისწავლეთ არამარტო მესამედასელთა, არამედ სოციალისტ-ფედერალისტთა თხზულებანიცო.

არაფრისდიდებით არ მოიქცევა ასე და ნოე ჟორდანია სწორედ ამიტომაა ნოე ჟორდანია.

სწორედ ასე იქცევა და არჩილ ჯორჯაძეც სწორედ ამიტომაა არჩილ ჯორჯაძე.

ის თუ ოდესმე ვინმესთან კეთილად მოიხსენიებს არჩილის ამა თუ იმ სტატიას (არამცთუ მთელს მის თხზულებებს), მაშინვე უნდა მიხვდე, რომ რაღაც მზაკვრობა ჩაუფიქრებია, რაღაც სახიფათო ქსელს აბამს იდეური მოწინააღმდეგის გარშემო და ფარისევლური მოსაზრებით დაუსაჭიროებია მისი შექება.

არჩილი კი ამჯერადაც წრფელია, მართლა გულით მოწადინე, რომ მკითხველი კარგად იცნობდეს მის მოპაექრეთა ნაწერებსაც და ფიქრის, განსჯის, შედარების საშუალება ჰქონდეს.

მერე სულ სხვა ფასი დაედება შენს შეხედულებათა აღიარებას, თორემ თუ არჩევანის გზა არ დაუტოვე და უბირი მკითხველის გულის მოგებას ასე შეეცადე – ცალმხრივ თვალსაზრისთა თავზე მოხვევით, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვისი ან რის იმედად შეიძლება გამოცხადდეს? გამოცხადება კი შეიძლება მაინცდამაინც ძნელი არ იყოს და სულაც ზეციდან ჩამოგივარდეს, მაგრამ მისი შენარჩუნება?

ამ გადასახედიდან თუ შეფასდება არჩილ ჯორჯაძის იმ ფრაზის ეთიკური არსი: გაეცანით ნოე ჟორდანიას ნაწერებსო.

თავი ოცდამეერთე

ინტელიგენციის ხვედრი და ბედი

იმ ახალგაზრდა არჩილ ჯორჯაძეს უთუოდ გულში ჩაიხუტებდნენ სოციალ-დემოკრატები. ნოე ჟორდანია მაშინაც ფხიზლად იქნებოდა და არც ფარული ქსელის ხლართვას მოერიდებოდა მის ირგვლივ, შევაოკო, თორემ ვაითუ გადამასწროსო; მაგრამ ეს მოძრაობა მაინც თავის ერთ-ერთ წინამძღოლად იწამებდა ეროვნული მრწამსის ჩაქოლვისა და გაქარწყლების გზაზე.

ამ არჩილ ჯორჯაძეს კი დასანახავად ველარ იტანდნენ და მისი მოღვაწეობის აღკვეთაც ისევე ჩაეთქვათ, როგორც ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოდასეთა.

არჩილს არასოდეს სჩვეოდა ილუზიების აყოლა, თანამოაზრეთა თუ თანამგრძნობელთა განწყობილების გაიგივება საერთოსახალხო სულისკვეთებასთან და არც ამჯერად მოიტყუებდა თავს, რომ სოციალ-დემოკრატთა გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა საზოგადოებაში – ვინ გულწრფელად დაბნეულიყო, ვინ მოდურ შეხედულებებს გაეტაცა, ვინ მომავლის პერსპექტივას ჭვრეტდა მოძალადეთა გუნდის მიზანდასახულ სწრაფვაში.

მათ გავლენას დამორჩილებოდნენ კია და...

თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ „ქართველობა“ არც გეთაკილებათ და არც გეზიზღებათო, – ილიასებურ ირონიას მოიხმობდა საშველად არჩილ ჯორჯაძე იმ ადამიანთა შესაგონებლად, ლერწმებივით რომ ასდევ-ჩასდევდნენ დროის ქროლვას და ველარ გაერკვიათ, სად ეძებნათ მყუდრო თავშესაფარი, – იცოდეთ, შავრაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი. და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია, შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩა-

ში გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან: აი, ჩვენი მხსნელი, აი, თავისუფლების მოციქული და „შავრაზმელ ნაციონალისტთა“ ამომგდებიო!

1908 წელი დამდგარა.

და საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი სურათი ესაა და ეს.

პუბლიცისტური გაზვიადება არც სჭირდებოდა – ოდნავადაც კი.

მხსნელიც და თავისუფლების მოციქულიც იმ არჩილ ჯორჯაძეს დაერქმეოდა, პეტერბურგში, ლონდონსა თუ პარიზში მყოფი ირონიულად რომ გამოჰყურებდა თავის სამშობლოს, ვითომ ესეც სათვალავშია ჩასაგდებიო; ბედს გმობდა, მაინცდამაინც ქართველად რომ დაიბადა და ჯერაც სულს უხუთავდა მიწის ის ნაგლეჯი, მიუხედავად თავზე მსოფლიო მოქალაქის ჯიღის დადგმისა.

ეს არჩილ ჯორჯაძე კი შავრაზმელ ნაციონალისტებში ჩარიცხულიყო და ამოსაგდებიც ამიტომ გამხდარიყო სოციალ-დემოკრატთაგან.

* * *

– ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა.

უმწვავესი შეფასებაა.

უმწვავესი კი, მაგრამ გადამეტებული თუ სიმართლის დაუფარავი გაშიშვლება?

არჩილ ჯორჯაძე ადვილად ვერ წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, თუ ათასჯერ არ აწონ-დაწონიდა და ისტორიული სიზუსტის ყოველმხრივ დაცვას არ შეეცდებოდა.

ეს არ ყოფილა პუბლიცისტური სტატია, როდესაც ჰიპერბოლურობა თუ სიმკაცრის გადამეტება სტილური ხერხია ეროვნული ცნობიერების შესაჯანჯღარებლად, ადამიანების მოშვებული – რომ აღარ ითქვას გამცონარებული – გონებისა და ნებისყოფის ასამოქმედებლად. პოლიტიკური იერი მის ამ თხზულებასაც გამოსდევს, მაგრამ „მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“ უპირველესად მაინც სამეცნიერო და ლიტერატურის-მცოდნეობითი ნაღვაწია და არა ლიტერატურულ მაგალითებზე დაყრდნობილი ვრცელი პუბლიცისტური ნაშრომი.

მითუფრო მოჭრიდა ყურს ყოველი ხელოვნური ჩარევა რეალობის უფრო გასამუქებლად, ვიდრე სინამდვილეში იყო.

დამზაფვრელიც სწორედ ისაა, რომ „ეროვნული ცხოვრების დასრულებული დეზორგანიზაცია“ ზუსტი ლიტერატურულ-პოლიტიკური ფორმულაა.

ხელახლა აღორძინებულა მას შემდეგ საზოგადოებრივ-კულტურული ყოფა და ის მწარე ჟამი ისტორიაში დარჩენილა, მაგრამ გამაფრთხილებლად კი გაისმის ის ფრაზაც და მთელი ის მსჯელობაც, რადგანაც კვლავ მოსალოდნელია სულიერი დეზორგანიზაციის შემობრუნება. თუკი მოხდა სულ რაღაც ექვსი ათეული წლის წინათ, რატომ არ შეიძლება მოხდეს კიდევ ერთხელაც?

თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ გაგვაჩნია, თუკი რაიმე კულტურული ნასახი მოგვეპოვებოდა, თითქოს წაგვშლოდა, პოლიტიკურად დასნეულებული სხეული დაგვსნეულებოდა ზნეობრივადაც და გონებრივადაც და საკუთარი თვალით გვეხილა, თუ როგორი ულმობელობით მოთავებულიყო ეროვნული ცხოვრების დეზორგანიზაცია, რა შეაჩერებდა ამ ღვართქაფის შემობრუნებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები ან კულტურული აღმშენებლობა მიზანმიმართულად თუ არ წარიმართებოდა.

სანუგეშო ამჯერად იქნებ აღარც არაფერი გამოგვჩენოდა.

პოლიტიკური საფანელიც ეს არის არჩილ ჯორჯაძისათვის, მუდმივი შეხსენება იმ გზისა, დაცემულ საზოგადოებას საკუთარი ვინაობა რომ აპოვნინა, და ეს გზა ჩიხით არ უნდა დასრულებულიყო.

მასალებიო, – ასე მოკრძალებით მოიხსენიებს ქართველი ინტელიგენციის ფსიქიკის კვლევას, ანუ მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების მატიანეს, რომელიც, ცხადია, შორს აჭარბებს მასალების ჩარჩოს და ექსპრესიულ სურათად წარმოგვიდგება, მიუკერძოებელი თვალით გააზრებულ სამყაროდ – თავისი სინამდვილითა და პერსონაჟებით.

მეცნიერება დიდად აფასებს მასალების თავმოყრასაც. ოდნავი ანალიზიც რომ არ შემოგვრჩეს, თვით მასალებიც მკვიდრ საყრდენს უქმნის კვლევა-ძიების გაგრძელებას და თავისთავადი ღირებულებაც ენიჭება.

ასე რომ, მასალების შეკრებით წარმოსახული ქარგაც მნიშვნელოვანი იქნებოდა – ბოლოსდაბოლოს, არჩილ ჯორჯაძის მიერ თავმოყრილი იყო და რის გამორჩევას ამჯობინებდა, რაზე გადაჰქონდა მკითხველის ყურადღება, თუნდ ზედაპირულადაც როგორ ლაგდებოდა მოვლენები...

მაგრამ „მასალები“ თხზულების სათაურშივე სხვა არაფერია, თუ არა არჩილის პიროვნული ბუნების გამჟღავნება. დაე მკრთალადაც არ გახმიანდეს, რომ ამ მატიანეს სოციოლოგიური, პოლიტიკური და ფილოსოფიური დანიშნულებაც აქვს. თუკი მოახერხებს ამ სიმაღლემდე აზიდვას, მკითხველის თვალში მაინც მატიანედ გამოჩნდება და არა მასალებად, და თუ დადრიკა ტვირთმა, დაე ამგვარი სათაური აღიარება იყოს იმ სისუსტისა, რასაც თვით კეთილშობილური განზრახვაც ვერაფერს უხერხებს.

50-იანი წლებიდან გაიაზრებდა ახალ დროებას ქართულ სინამდვილეში, მაგრამ რაკიღა გულს დააკლდებოდა, წინარე ხანა სათანადოდ შეუსწავლელი და გაუაზრებელი დამრჩაო, ჯერ თეზისური ყაიდის მონახაზს „თავადაზნაურულ ინტელიგენციის პლიტიკური აზროვნება XIX საუკუნეში“, შემდგომ კი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების ქრონიკას იგულისხმებდა მის შესავალ ნაწილად, იმ მონაკვეთს ბიოგრაფიული რომანისა, ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ჩაერთვოდა ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებაში.

მონოგრაფიიდან ამ მატიანის ფურცლებზეც გადმოინაცვლებდა მოწამეთა დასის ეს ახალი სახელი, ამ ჟურნალის შექმნისა და საქმიანობის სურათის აღდგენა კი ძალდაუტანებლად წარმოაჩენდა, 32-იანელთა მრწამსი და მონდომება რომ ჰკვებავდა მის არსებობას – თან მოულოდნელს და თან სავსებით ბუნებრივად და დროულად ამოზრდილს 1832 წლის შეთქმულთა წრიდან. რისი ხორცშესხმაც პოლიტიკურ ასპარეზზე არ დაანებეს, ლიტერატურულ-კულტურულ სარბიელზე მაინც მოაბამდნენ თავს და გიორგი ერისთავი მაშინდელ ოცნებას აღადგენდა, დამსხვრეულ ილუზიებს გაამრთელებდა, ისეთ კალაპოტში გადააგდებდა, ცხოველმყოფელ ნაკადს, სადაც აღარც აღარასოდეს დაშრებოდა.

სხვა იოლად განსჯიდა.

ერთ ყისტს წაჰკრავდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევართ: აზროვნების ისტორია თითქმის სრულიად გამოუკრეველია, ზედმიწევნით არ შეგვისწავლია ამ ისტორიის ეტაპები, რის გამოც ნათლად არა ჩანს კავშირი სხვადასხვა, ერთმანეთს დაშორებულ იდეურ მიმართულებათაო – და თავის ვალს მოხდილად ჩათვლიდა.

დაე სხვას ეცა თავში, დაე სხვას ეძებნა ამ აზროვნების შესასწავლად გარკვეული მეთოდი და წესი, სხვას გამოერკვია დასაწყისი და საბაბი იდეური მოძრაობისა.

ვითომ ნიჰილისტური განცხადება ან ირონიული ჩაცინება უშველიდა საქმეს – მართლაც სამკალით გადავსებულს, მცირედი მუშაკნიც რომ ძნელი საპოვნელნი გამხდარიყვნენ.

არჩილ ჯორჯაძე ვერ იკმარებდა სხვათა გაკილვასა თუ შეგულიანებას.

ზოგადი ქარგა და ჩარჩო შემოსასაზღვრი გახლდათ და მძლე მარჯვენას უნდა ეთავა მთავარ ნაკადთა წარმოჩენა, იდეური მოძრაობის ზრდა-განვითარების ნაწილ-ნაწილ, ეპოქა-ეპოქად დალაგება, განმარტება და სხვადასხვა მიმართულებათა კლასიფიკაცია, ოღონდ კლასიფიკაცია არა პარტიულ მითოსს დაფუძნებული, არამედ რეალურ საყრდენს, რათა ამ სახით უფრო გარკვევით და ნათლად აღმოჩენილიყო მიზეზობრივი კავშირი დასთა და ჯგუფთა შორის.

ვერ იკმარებდა და აღარც თავის მართლებას მოჰყვებოდა, ესაო და პარტიაა ფეხზე დასაყენებელი და გასაძლიერებელიო, ესაო და სადღეისო სატკივარი ისე მოგვწოლია, უახლეს წარსულში ჩახედვის დროს აღარ გვიტოვებსო, ესაო და სნეულება ისედაც ყელში მიჭერს და ვრცელი ნაშრომის შექმნა სულ მომითავებს ხელსო...

დაუფასებდა ალექსანდრე ხახანაშვილს, თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლა-გამოკვლევას გაკვრით, სხვათა შორის რომ მაინც ეხებოდა. მანამდე ასეთი განზრახვა ვერავის ედო თავს და მაინც ალექსანდრე ხახანაშვილს ეგრძნო მისი საჭიროება, თუმც უმთავრესად სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიას უკვირდებოდა და პუბლიცისტიკა მხოლოდ საილუსტრაციო მასალად მოეხმო. ცხადია, ასეთ დროს ავტორი ვერ შეიმუშავებდა მკაფიოდ გამოსახულ სახელმძღვანელო მეთოდს და მიმართულებათა შესასწავლად კლასიფიკაციის პრინციპს.

მაგრამ ნოე ჟორდანიას „ქართული პრესაც“ რომ არსებობდა?

მისი მიზანიც ხომ სწორედ ის გახლდათ, რაც არჩილ ჯორჯაძეს მოენდომებინა – საზოგადოებრივი აზროვნების სრული სურათის აღდგენა, დალაგება და მიზეზობრივ კავშირთა მიგნება?

მაშ წინამორბედად ის უნდა ეგულვა და მისი წამოწყების გაგრძელება-გაღრმავება ეცადა და არა თავიდან გაეჭრა კალაპოტი.

მაგრამ გამოადგებოდა კი ნოე ჟორდანია წინამორბედად?

მის მიერ გაჭრილი კალაპოტი თუ ივარგებდა იმ დასაყრდენად, რომელსაც პირუთვნელი მკვლევარი შეიძლება გაჰყოლოდა?

„ჩვენი პრესა“ სწორედ ნიმუში გახლდათ პარტიული მითოსის თარგზე მოჭრილი კვლევა-ანალიზისა და ნაკლებ საიმედოდ და სანდოდ ამიტომაც გამოიყურებოდა მის თვალში.

პარტიულ მითოსს სხვა ტერმინებით მოიხსენიებდა: მიდგომილი და ცალმხრივი აზროვნების ნაყოფიო; ამ მითოსის შემქმნელს კი – სექტანტიო.

ასე ხდება, როდესაც კეთილშობილური განზრახვა კი არ აგანთებს, არამედ პოლიტიკური მოწინააღმდეგის ჩამოცილების შმაგი წადილი.

ამ შემთხვევაში – ილია ჭავჭავაძის.

ეს რა არისო – გაოცდებოდა არჩილ ჯორჯაძე, იმ წიგნაკს რომ ჩაათავებდა – ილიას საზოგადოებრივი მნიშვნელობის დამცირების გარდა სხვა არაფერი უნდა აღელვებდესო?

არ აღელვებდა.

და ნოე ჟორდანიას სხვა წერილები, რომელნიც ამა თუ იმ კუთხით ეხმაურებოდნენ ამ ვრცელსა და რთულ თემას, ნუთუ ისინი მაინც არ წაეხმარებოდნენ რაიმეთი?

ერთხელ წაკითხულს არ დასჯერდებოდა და ხელახლა გადახედავდა, იქნებ საღი რამ ვიპოვნო, ფეხის მოსაკიდებელი გამოვჩხრიკოო.

და კვლავ გაწბილდებოდა.

– რად გინდა ამისთანა სამსახური, როდესაც სიყალბეზეა აგებული.

და ესაა და ეს, რაც არჩილ ჯორჯაძეს დახვდებოდა გაბედული განზრახვის აღსრულების გზაზე – არამცთუ შემუშავებული ისტორია ქართული აზროვნებისა, ცალკე ეპოქებიც არ გამორკვეულიყო და არც კრიტიკული ნათელით გაშუქებულიყო. და დაკვირვება იმ სამწუხარო რეალობასაც გამოააშკარავებდა, რომ ზოგიერთი მიმართულება თითქმის დაკარგულიც კი იყო აზროვნების ისტორიისათვის და თანადროული ინტელიგენციის მეხსიერებიდან წაშლილი.

ერთი მონოგრაფიაც კი არ შექმნილიყო ნაროდნიკული მოძრაობის შესახებ.

სრულიად დავიწყებული და უცნობი გახდებოდა ჩვენი პუბლიცისტიკისათვის ის ხანა, როდესაც სამოციანი წლების მოღვაწეებს ოპოზიცია გაუჩნდებოდათ ჟურნალ „იმედის“ სახით მარქსიზმის აღორძინებამდე.

რამდენიმე ცნობა თუ გაიელვებდა გიორგი მაიაშვილისა და გიორგი ლასხიშვილის შესახებ და ისიც სიმართლეს მოკლებული, ეს ამოავსებდა იმ ბურუსში ჩაძირულ ხანას ოთხმოციანი წლებისა, თუ რას ფიქრობდა ჩვენი საზოგადოება და როგორ მზადდებოდა საფუძველი იმ იდეური მოძრაობისათვის, რომელიც უნდა გამოჩენილიყო სამწერლო ასპარეზზე?!.

არადა, ქართული „ნაროდნიკების" შესწავლა ერთი მხრივ სამოციანი წლების ფიზიონომიას წარმოსახავდა უფრო ხელშესახები ნაკვთებით, მეორე მხრივ კი არამარტო მარქსიზმის შემოსვლას ხდიდა გასაგებს ჩვენს მწერლობაში, არამედ იმ სოციალურ-ეროვნული მიმართულებისაც, მეოცე საუკუნის დამდეგს რომ აღმოცენებულიყო.

სოციალიზმ-ფედერალიზმს გულისხმობდა საკმაოდ გამჭვირვალედ და თავისი პარტიისა და იდეური მიმდინარეობის წინამორბედებს რომ ეძიებდა, ცდილობდა რაც შეიძლება ყოველმხრივ აღედგინა „ნაროდნიკული" მიმართულება.

მასაც პარტიული მითოსის შექმნა რომ მოეწადინებინა, რასაკვირველია, მის თხზულებებში „ნაროდნიკების" ხსენებასაც ვერსად წავაწყდებოდით, არამცთუ გარდამავალ საფეხურად, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენად მიჩნეულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

ნოე ჟორდენიასავით ვერავის და ვერაფერს შეამჩნევდა გარშემო, და თუ შეამჩნევდა – მხოლოდ გასანადგურებლად ამოიღებდა მიზანში.

ჟურნალ „იმედის" ჯგუფიო – თავისი საკვლევაძიებო სარბიელი შემოერკალა არჩილ ჯორჯაძეს – ხალხოსნური მიმართულება, გიორგი მაიაშვილი, გიორგი ლასხიშვილი და ის სოციალ-პოლიტიკური პირობები, როდესაც მარქსიზმმა იჩინა თავი ჩვენს ცხოვრებაშიო.

სარბიელის შემორკალამდე კი ჩვენებურ მიმართულებათა მართებული კლასიფიკაცია იყო აუცილებელი, თორემ ყალბ პრინციპზე აქამდეც აგებულიყო მისი ზოგადი სურათი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური დასების წელთაღრიცხვას სამოციანი წლებიდან იწყებდნენ.

ამ მხრივ შეთანხმებულიყვნენ.

ნოე ჟორდანია ძველ თაობად მოიხსენიებდა იმ მოღვაწეებს, რომელნიც ასპარეზზე გამოსულიყვნენ 60-70-იან წლებში, შუათა-

ნა თაობად – 80-იან წლებში გამოსულთ, ხოლო ახალთაობის მოღვაწეთ 90-იანი წლები რგებოდათ.

ალექსანდრე ხახანაშვილი 60-იანი წლების ერთ ფრაქციასაც – „დროება-კრებულის" ჯგუფს – ცალკე დასად მონათლავდა, ამასთან, გაიზიარებდა ნოე ჟორდანიას თვალსაზრისს, ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების მოღვაწეთა გუნდიდან რომ გამოეყო და კონსერვატორობისა და რეაქციის წარმომადგენლად დაესახა, დანარჩენები კი – განსაკუთრებით გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და ნიკო ნიკოლაძე – პროგრესისტებად გამოეყვანა. ოღონდ არჩილ ჯორჯაძე ამას მექანიკურ გაზიარებად ჩამოართმევდა, რადგანაც ალექსანდრე ხახანაშვილის თხზულების სხვა პასაჟებში არსად მოჩანს ილია ჭავჭავაძის არც კონსერვატორობა და არც რეაქციონერობა.

დამაფიქრებელი სხვა რამ გახლდათ.

უკვე როგორ დაპატრონებოდა ნოე ჟორდანია ქართულ პრესას და როგორ თვალდათვალ იზრდებოდა მისი გავლენა, რომ თვალსაჩინო მეცნიერიც, ვის თვალსაზრისებსაც ყველა ანგარიშს უწევდა, ასდევდა მის გამონათქვამებს და ამიტომაც ჩნდებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი მის მონოგრაფიაში.

ერთი – რასაც გულით ფიქრობდა, მეორე – რაც ჟორდანიასაგან გადმოელო სწორედაც მექანიკურად.

ერთი – კვლევა-ძიების წყალობით დადგენილი, მეორე – ინტერპოლატორის ჩანამატებივით ამოვარდნილი მსჯელობის საერთო ქსოვილიდან.

სიმწრით ეცინებოდა არჩილ ჯორჯაძეს: ასე როგორ უნდა გადალეკოს ამ ნოე ჟორდანიამ ყველა და ყველაფერი, რომ მას უფრო უჯერებედნენ, ვიდრე იმათ, რომელთა მოწმობასაც გაცილებით მეტი ფასი აქვს, სხვა თუ არაფერი, იმ მოვლენების შუაგულში ტრიალებდნენო.

თანაც ნიკო ნიკოლაძე ხომ მაინც არა ყოფილა ხელწამოსაკრავი ლიტერატორი, თვალსაჩინო მოღვაწედ და მწერლად აღიარებულიყო, თვითონ ჟორდანიაც პატივით რომ მოიხსენიებდა, და სწორედ იმისი შეხედულებანი უარყოფდა მცდარ დაყოფას 60-იანი წლების მოღვაწეთა დასისა ორ ბანაკად.

ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვაზე გიორგი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და ამ სტრიქონების დამწერი სხვადასხვა აზრისანი ვართ, მაგრამ ჩვენ ყველას საზოგადო მიზანი გვაქვს ერთი და იგივე და ერთგულადაც ვემსახუ-

რებითო, – ირწმუნებოდა ნიკო ნიკოლაძე და 60-იან წლებს სულაც ამ სახელში გაასიმბოლოებდა:

– რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს.

გინდა თუ არა, ილია რეაქციონერია და შენ და გიორგი წერეთელი კი პროგრესისტებიო, – არ ეშვებოდა ნოე ჟორდანია და: ოღონდ მე თავი დამანებოს და გიორგი წერეთელმა და ნოემ თვითონ იცოდნენ თავიანთი დასობისა, ისე გიორგი წერეთელიც იმ ბაირაღს შეჰყურებდა, ილიას რომ გაეშალაო, – რაღაც ამგვარს უსათუოდ გაიფიქრებდა ნიკო ნიკოლაძე.

დასების ამ ზოგადი სქემისა ხომ ვერაფერი გაეგო, არც ის ესმოდა არჩილ ჯორჯაძეს, ასე რატომ ჩაბღაუჭებოდნენ 60-იან წლებს – მიჯნად და დასაბამად რატომ აღიარებდნენ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და ქართველი ინტელიგენციის ისტორიისა, როდესაც ჩვენს ინტელიგენციას უფრო ადრე დაეწყო მოქმედება და ჩვენს აზროვნებასაც XIX საუკუნის I ნახევარში უკვე განსაზღვრული ფიზიონომია და ელფერი ჰქონდა.

და თუ მაინცდამაინც დასობაზე მიმდგარიყო ლაპარაკი, რატომ უნდა დაგვეწყნოდა ის ხანა, როდესაც ჩვენს ინტელიგენციას შეთქმულება მოეხდინა, როდესაც ჰყვაოდა ჩვენი რომანტიკული ლირიკა, როდესაც დაარსდა ქართული თეატრი და პირველი ქართული ჟურნალი, როდესაც მოღვაწეობდნენ სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი, პლატონ იოსელიანი, ივანე კერესელიძე და მიხეილ თუმანიშვილი...

მოიხსენიებდა „სურამის ციხესაც“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილსაც“, სეპარატისტულ ოცნებათა მსხვრევასაც და ქართველ ინტელიგენციის წრეებში აღმოცენებულ აზრსა და სურვილს მთავრობასთან ერთობლივი მუშაობისა, და ეს უკვე „განათლებულ თ. ვორონცოვის მეცენატობის წყალობით“.

მიხაილ ვორონცოვს ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებდა. არჩილსაც გადმოწვდებოდა მაშინდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-კულტურული წრეების აღტაცება ამ პიროვნებითა და მისი ღვაწლით ქართული სულიერების, კულტურული აღორძინების წინაშე. სხვა რომ აღარავინ შემორჩენოდა დამფასებელი, აკაკი წერეთლის ხოტბაც კმაროდა ახალი თაობისათვის, რათა ვორონცოვის სახელი დიდების შარავანდში გახვეულიყო.

აფსუს, მიყრუებულიყო ალექსანდრე ორბელიანის მკაცრი და სარწმუნო განსჯა ამ პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის ნაყოფისა, გარეგნული ლოიალობის, ეროვნულ წამოწყებათა თანადგომის მიღმა მზაკვრული მიზანი რომ იფარებოდა – საბოლოოდ დასრულებულიყო ქართველი ერის გარუსება და ამ მიწა-წყლის გადაქცევა იმპერიის განაპირა პროვინციად. მიჩქმალულიყო მისი ნაწერები და, მათ შორის, ეს ვრცელი და სანდო დასაბუთება ვორონცოვის ვერაგული პოლიტიკის, და თუმც ალექსანდრე ორბელიანის სახელი კვლავაც მოწიწებით წარმოითქმოდა, უფრო სხვა შეხედულებანი წამოიწევდნენ, მის სხვა დაკვირვებებს მეტი ფასი დაედებოდა.

აღარ დასცალდებოდა არჩილ ჯორჯაძეს, ალექსანდრე ორბელიანის სახებაც ისევე მოექცია ბიოგრაფიულ ქარგაში, როგორც დიმიტრი ყიფიანის მღელვარე მოღვაწეობას მოაქცევდა. ამ ჩამონათვალშიც სხვებივით საგანგებოდ არ გამოიყოფა 1832 წლის შეთქმულების ამ ერთი უპირველესი მეთაურისა და ისტორიული ქრონიკების შემოქმედის სახელი.

ჯერ იქნებ ისე აუცილებლადაც არ მიაჩნდა ამ სახელის წამოწევა.

თუმც უსათუოდ მივიდოდა აქამდე, როდესაც თავის საერთო ნიადაგის თეორიასა და მის წინამორბედ კონცეფციებს ჩაუკვირდებოდა უფრო გულდასმით – ილია ჭავჭავაძის წოდებათა შერიგების თეორიას რომ აღმოაჩენდა მის საყრდენად, იმ თეორიის საფუძვლად ალექსანდრე ორბელიანის მამაშვილობის მრწამსი წარმოდგებოდა და ჯერ მარტო ეს ნათესაობა უმთავრესი შეხედულებისა გააკვლევინებდა გზას იმისი ბიოგრაფიისა და სულიერი მისწრაფებებისაკენ.

ვერ აღდგებოდა XIX საუკუნის I ნახევრის საზოგადოებრივ-კულტურული სურათი მეტ-ნაკლები სისრულით, ეს პიროვნებაც მთელი სისავსით თუ არ მოექცეოდა არჩილ ჯორჯაძის აზროვნების ორბიტაში.

და კიდევ სოლომონ დოდაშვილი, ვისაც სახელიც ხსნის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურებისაგან შემდგარ მოღვაწეთა სიას.

ხსნის ქრონოლოგიურადაც, მოღვაწეობის დიაპაზონითაც, ისტორიის მსვლელობაზე ზეგავლენის ხანგრძლივობითაც.

ილია ჭავჭავაძეს იმასთან გაედო ხიდი, იმას მიიჩნევდა სათავედ 60-იანელთა მოღვაწეობის გეზისაც და ცნობიერების დადგენისაც. და ვინც ილიას მოვლინების საიდუმლოების ამოცნობას შე-

ეცდებოდა, ვინც მის აზრსა და სწრაფვას აღიარებდა მომავლის ორიენტირად, სოლომონ დოდაშვილს როგორ აცდებოდა.

თანაც სულიერ ნათესაობას იმ მხრივაც იგრძნობდა, რომ სოლომონი მწერალიც იყო, მკვლევარიც, ფილოსოფოსიც, რედაქტორიც, პოლიტიკური მოღვაწეც და მოძღვარიც.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ახალ დროში სწორედ არჩილ ჯორჯაძეს დაკისრებოდა განგებისაგან სოლომონ დოდაშვილის გზის განმეორება – თითქოს ყველა საუკუნეს თავისი სოლომონ დოდაშვილი უნდა ჰყოლოდა.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების მატიანეს ვეღარ გადაცილდებოდა უფრო იქით.

მკაფიო განსაზღვრანი თუ ჯერ გაუცნობიერებლად მორიალე ფიქრები ამ მიჯნაზე შეწყდებოდა.

ის მაინც მოხერხდებოდა, წელთაღრიცხვა 60-იანი წლებიდან აღარ დაწყებულიყო.

კლასიფიკაციის გარეთ არ დარჩებოდა ის ხანა ჩვენი ისტორიული სინამდვილისა, საკმაოდ დიდი გავლენა რომ ჰქონდა როგორც მომავალ დასთა წარმოშობაში, ისე ამ დასთა ხასიათისა და მიმართულების არჩევაში.

რა გამოდიოდა?

რასაც მესამე დასი შერქმეოდა, უფრო სანდო კვლევა-ანალიზის მიხედვით მეოთხე ან სულაც მეხუთე დასად მოჩანდა და არჩილ ჯორჯაძეს როგორ არ გასცინებოდა: ისიც ვერ გაურკვევიათ, თავიანთთვის უფრო შესაფერისი სახელი როგორ შეარჩიონ და კლასიფიკაციის დამდგენებად კი მოაქვთ თავიო.

ისე სწორედ ასეთი კლასიფიკაცია შეჰფეროდათ – დომხალივით არეული და აბნეული.

არამცთუ ახლა, თავის დროზევე გაოცებულიყვნენ, თუ რატომ შერქმეოდა „კვალში" დაბუდებულ ახალგაზრდობას მესამე დასი და მკაფიო პასუხი ვერც მაშინ ეპოვნათ, თუმც გიორგი წერეთელი გამოიდებდა თავს დასების ისტორიის დასალაგებლად და მიჯნას აქეთ გადმოსწევდა, 80-იანი წლებისაკენ, და ათი წლის მანძილზე სამი დასის გამოსვლას ივარაუდებდა საზოგადოებრივ ასპარეზზე: იგულისხმება მხოლოდ 80-იანი და 90-იანი წლების თაობანი, რომელნიც პრინციპების მიხედვით დაიყვნენ დასებადო.

უფრო ამ ხანების ინტელიგენციაზე რატომ ჩამოეგდო სიტყვა?

რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას შეუფარდებდა: იქ სწორედ იმჟამად გადატყდა საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობა და ძლიერად წამოჰყო თავი ისეთ ძველებურმა გვაროვნების გამაგრების პრინციპმა, რომელმაც მოითხოვა თავისი წოდების ისევ ხელახალი ძლევამოსილობა. ეს მიმართულება ჩვენს ქვეყანაშიც გადმოინერგა და აი, ამან გამოიწვია საწინააღმდეგოდ ახალი პროგრესული მესამე დასიო.

ჯერ კიდევ როდის წააკეცავდა გიორგი ლასხიშვილი: ჩვენი განვითარების ერთი დიდი და შესანიშნავი ხანა სრულიად დაგვიწყნია – 60-70-იანი წლები, და მითუფრო საკვირველია ეს გულმავიწყობა, რომ თვითონ შენ ბრძანდები ამ ეპოქის ერთი უმთავრესი მოღვაწეო.

უფრო შორსაც მოინდომებდა გადახედვას გიორგი ლასხიშვილი, მოიხსენიებდა საერო ჰანგს, ნაციონალურ მოტივს, მაგრამ უფრო მკაფიოდ და ხელშესახებად ის ეპოქა ზოგად ხაზებში მაინც არჩილ ჯორჯაძეს უნდა წარმოესახა.

გიორგი წერეთელი კი გიორგი ლასხიშვილის გამოკამათებას უპასუხოდ არ დატოვებდა: ამ წარსულ ხანებს ჯერ არ შევხებივართ კრიტიკულად და, როდესაც შევეხებით, ვეცდებით დაგანახვოთ, ვინ იყვნენ იმ დროებში ეროვნული პრინციპის ნამდვილი დამცველნი და ვინ არაო.

ახალი დასი ხართ და ახალი ისტორიული სიტყვაც გქონდათ სათქმელიო, – მათ ორგანიზებულობასა და გავლენას არც არასოდეს უარყოფდა არჩილ ჯორჯაძე, მაგრამ სამართლიანობის საზომის სრული მივიწყება და ფეხქვეშ გათელვა როგორ ეპატიებინა, ძველ მოღვაწეთა გმობა და დაუსრულებელი ბრალდებანი, ფულის, ანგარების ქსელში გაეხვიეთო, როდესაც საამისოდ არავითარი საფუძველი არ გააჩნდათ, როგორ შეერჩინა... და გამოპასუხებას, ცალკეულ მოსაზრებათა თანმიმდევრულ გაბათილებას აღარ იკმარებდა და ზოგადად მოხაზავდა ამ დასის სილუეტს, მის ავადმყოფურსა და უკადრის წესს კრიტიკული მსჯელობისას.

ფსიქოლოგიურ ახსნას მოუძებნიდა ახალი საზოგადოებრივი ჯგუფის წევრთა ცალმხრივობას, მიკერძოებასა და ფანატიკურ სურვილს საკუთარი აზრის გატანის და დაგვირგვინებისა.

სულიერი ჰარმონიის დაცვა თუ ვინმეს შეუძლია, მხოლოდ კულტურული საზოგადოების შვილებს.

და ჩვენ კი – ქართველები?

შფოთიანი ბუნების პატრონნი, წყრომისა და ვნების ადვილად ამყოლნი ამ კულტურულ თვისებას მოკლებულნი ვიყავით.

ეროვნულ ხასიათში ეძიებს მიზეზს, თუმც ეს ყოველივე ისტორიული თვისებანი კი არ უნდა იყოს, არამედ დაბეჩავებული, თავისუფლებაწართმეული ხალხის წიაღში არსებული სიმდაბლენი, რასაც ყველა, ცხადია, არ აჰყოლია, ასეთი ცალმხრივობა და მიკერძოება, საკუთარი აზრის სხვათათვის თავზე მოხვევის ჟინი სხვებს არ გამოუჩენიათ.

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია ჩვენი ვნებებისა და გულისწყრომის ისტორიას მიაგავსო, – ასე რომ განაზოგადებდა არჩილ ჯორჯაძე, თვალს არიდებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სათავეს, რის ერთ ტოტადაც იკვეთებოდა ქართული მესამედასელობა. სათავეშივე ამღვრეულიყო ცნობიერება, ყალბი მოძღვრება ისედაც უზნეობის ბაცილებს გაავრცელებდა და რა დაემართებოდა უფლებააყრილი ქვეყნის შვილებს... მოერიდებოდა, მე თვითონ არ ჩამომართვან პარტიულ დაპირისპირებად და მიკერძოებადო, და რაღაც გამართლებას ამიტომაც მოუძებნიდა.

თუმც სათქმელს მაინც ეტყოდათ.

არც იმის მტკიცებას მოჰყვებოდა, პროლეტარიატის იდეოლოგიას რომ იჩემებთ, სად ნახეთ საქართველოში ეს პროლეტარიატიო... აქ თუ არ არსებობდა, სხვაგან, სხვა ქვეყნებში ხომ იყო და კოსმოპოლიტებისათვის, აბა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, პროლეტარიატს სად დაუდგებოდა დამცველად.

– მესმის, რომ პროლეტარიატის იდეოლოგიამ ამაყური გრძნობებით განგმსჭვალათ, რადგან მისია მუშა ხალხისა დიადი და ბრწყინვალეა, განსაკუთრებით ჩვენს პატარა ქვეყანაშიო, – თავს უქნევდა იმათი პროპაგანდისტული საქმიანობის მთავარ მიზანს, მაგრამ ამ გულწრფელ – და არა ყასიდად ნათქვამ – მოწონებაში გაურევდა ეთიკურ შეგონებას: ამ დიადი და ბრწყინვალე მისიის დროშაზე არ უნდა დაგეწერათ ლოზუნგი, დიდებული აზრის ხორცშესასხმელად ყოველი საშუალება ნებადართულიაო.

ყველაფრის ნებადართულობა – ღმერთსმოკლებული რეალობის ეს სულისკვეთება – ზნეობის ნასახსაც აღარ ტოვებდა და, თვითონ თუ არა სურდათ დანახვა, არჩილ ჯორჯაძე აუყუდებდათ წინ სარკეს:

– საშუალების განურჩევლობის ხმარების პრაქტიკამ დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს ნორჩ მუშათა მოძრაობას, ზიანი, რომელიც ეხლა, ამ მოძრაობის მეჩვიდმეტე წლისთავზე ასე აშკარად და თვალნათლივ მოსჩანს.

მუშათა მოძრაობის მისია რომ აღმოეჩინათ ჩვენი სინამდვილისათვის, ეს აღმოჩენა იქნებ კიდეც იმსახურებდა დაფნის გვირგვინს, მაგრამ ამ მოვლენის განვითარებისა და წინსვლის საფეხურების შესწავლა რატომ იგვიანებდა ასე უსაშველოდ? ან ის შეფასება რატომ არა ჩანდა არსად, რა ადგილი დაეჭირა ამ მოვლენას სხვა მოვლენათა რიგში და რა ძალა და მნიშვნელობა ეკარგებოდა მას იქ, სადაც მისი განვითარებისათვის შესაფერისი პირობები არ არსებობდა?

პროპაგანდას შესწირვოდა მათი ენერგია და მიზანსწრაფვა.

დემაგოგიური საბურველის შემობლანდვას უნდებოდნენ და რეალური ანალიზისა და შეფასებებისათვის აღარც დრო რჩებოდათ და... კაცმა რომ თქვას, სულიერი ძალაც არა ყოფნიდათ, მითუმეტეს – არც ფილოსოფიური გააზრების უნარი.

რა დამართოდა ახალ დასს, მძიმე ტვირთის აწევას რომ ლამობდნენ და ქვეშ კი იდრიკებოდნენ?

არჩილ ჯორჯაძის მოკლე, ტევადი ფორმულები იმთავითვე მიუჩენდათ იმ ადგილს, სადამდეც ადრე თუ გვიან საზოგადოებრივი ცნობიერებაც მიაღწევდა:

– აზრი უკვე მომწიფებული იყო, ცხოვრება კი ჯერ დაუმუშავებელ მასალას მიაგავდა, ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემა მზად იყო, როდესაც მის განხორციელებისათვის ჯერ კიდევ საჭირო ელემენტები არ მოიპოვებოდა. აზრი უსწრებდა სინამდვილეს და რადგან იგი (აზრი) ლამაზი და მომხიბლავი რამ იყო, ამიტომ სინამდვილის მაგიერობას იგი უწევდა...

უკვირდა არჩილ ჯორჯაძეს, რაოდენ მარტივად და საბუთიანად განსჯის ნოე ჟორდანია, როდესაც ქართველ ინტელიგენტებსა და მწერლებს არა გულისხმობს, მაგრამ მიადგება თუ არა რომელიმე მათგანს, გიორგი ლასხიშვილი იქნება თუ სხვა, ისევ ირევა და იხლართება საქმეო.

ეკონომიკურ განვითარებას თან მოსდევს ერის ერთობა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მთელი ერის პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე ეროვნული) და ერის დაყოფა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მისი შემადგენელი ნაწილების პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე პოლიტიკო-სოციალური). ერი ერთდე-

ბა, იმავე დროს იყოფა, სხვადასხვაობა ერთობაში, ერთობა სხვადასხვაობაში. თანხმობა განხეთქილებაშიო, – ირწმუნებოდა ნოე ჟორდანია და ამ ფორმულის საწინააღმდეგო არჩილ ჯორჯაძეს არც არაფერი ჰქონდა, და მოწონებით დასძენდა: მშვენივრად და ნათლად არის გამოთქმულიო.

მაგრამ წამოაგონდებოდა ჟორდანიას ლასხიშვილი, და ის თუ ერთ უკიდურესობაში ჩავარდნილიყო, ეს მეორე უკიდურესობაში გადაეშვებოდა თავით ფეხამდის, და ასე იჩრდილებოდა სასურველი სინთეზი სოციალურისა და პოლიტიკო-ეროვნულის.

სულ ცოტა ხანში შემფასებლადაც მოევლინებოდა და „კვალელებს" თუ დაძრახავდა ცალმხრივობისათვის გიორგი ლასხიშვილის შეხედულებათა შეფასებისას, ვერც იმას დაფარავდა, თვითონ ეს შეხედულებანიც რომ სცოდავდა ცალმხრივობით.

ასეა თუ ისე, დააშორებდა ნაროდნიკულ მსოფლმხედველობას – მისი პოლიტიკო-სოციალური საზომი არ უკავშირდებოდა ამ მიმდინარეობასო – და მის აზროვნებაში კი გამოარჩევდა ორ მომენტს: პოლიტიკო-ეროვნულ თავისუფლებასა და სოციალურ თანასწორობას. უახლოესი საფეხური პოლიტიკო-ეროვნული საფეხური უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგი – სოციალური თანასწორობა, ამის მიხედვით კი უპირატესობას ანიჭებდა ბრძოლის პოლიტიკურ მომენტს, რითაც განმსჭვალულიყო მისი ყოველი ნაწერი.

განმარტოებულად მიაჩნდა არჩილ ჯორჯაძეს გიორგი ლასხიშვილი სალიტერატურო ასპარეზზე და – რაკილა მისთვის ყველაზე შესაფერისი გამოცემა არ გააჩნდა – „ივერიას" მიკედლებოდა დროებით, ნოე ჟორდანიას კი სწორედ ეს გარემოება დაეხვია ხელზე და „ივერიას" რომ უტევდა გაშმაგებით, რათა ქვა ქვაზე არ დაეტოვებინა, ლასხიშვილსაც ზედ წააკეცავდა, თითქოსდა ამ გაზეთის სული და გული ის ყოფილიყოს.

რას ერჩითო – იცავდა არჩილი– ისიც ხომ მკვიდრ ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველს მოითხოვს უპირველეს ყოვლისა, რათა ეროვნული იდეალი ზედ ამოეშენოსო, მაგრამ სწორედ ამას ერჩოდნენ: ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველთან შეჩერებულიყო და ეროვნულ იდეალს ჩამოხსნიდა.

ლასხიშვილის მრწამსის დედააზრი ორ სტრიქონში ასე ჩაიწურებოდა:

საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი იერიშის მიტანა და კლასთა ბრძოლის პრინციპის შეგუება ამ საერთო საქმის მოთხოვნილებასთან.

ნოე ჟორდენიაც ხომ არსებითად ამავე აზრისა გახლდათ და მაშ რატომ ხდებოდა, რომ როდესაც მას აგონდებოდა „ივერია“ და მისი თანამშრომელნი, მყისვე მეომრის გუნებაზე დგებოდა და ბრძოლა-შეტაკების ქადაგებას იწყებდა?

ზოგადად იქნებ იმავე აზრისაც იყო, მაგრამ ის, რაც მის თვალში უპირველესი პრინციპი გახლდათ – კლასთა ბრძოლა – როგორ შეიძლება რაიმეს მისადაგებოდა, სწორედაც პირიქით, მას უნდა მისადაგებოდა სხვა ყოველივე და რაც ბუნებრივად ვერ მოთავსდებოდა მის ჩარჩოებში, სულაც გაძევებულიყო პოლიტიკური ასპარეზიდან და პოლიტიკოსის ცნობიერებიდან.

მეომრის გუნებაზე კი იმიტომ დგებოდა და ბრძოლა-შეტაკებისათვის იმიტომაც აქეზებდა თავის მომხრეებს, რომ მსოფლმხედველობა და თეორიები მისთვის საშუალება იყო ძალაუფლებისაკენ ლტოლვის გზაზე და მისი იდეების პირწმინდა გამზიარებელსაც არ მოითმენდა თავის გვერდით, თუკი ნებით თუ უნებურად შეეტოლებოდა.

გიორგი ლასხიშვილის გავლენასა და პოპულარობას ვერ შეეგუებოდა.

და სასაცილოდაც არ ეყოფოდა არჩილ ჯორჯაძის რჩევა, ჩაუკვირდი, აბა, კარგად ჩაუკვირდი, არსებითად ერთი მსოფლგანცდა გამოძრავებთო.

გიორგი ლასხიშვილი შემაერთებელ რგოლად მოჩანდა XX საუკუნის დამდეგს აღმოცენებული სოციალურ-ეროვნული მოძრაობისა სამოციან წლებთან.

მის პუბლიცისტურ თხზულებებში მოხდა ის ახალი სოციალურ-ეროვნული სინთეზი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა აზრთა შეტაკება-შეჯახებას 60-იანი წლებიდან მოკიდებული.

ასე სჯეროდა არჩილ ჯორჯაძეს და ეს შეფასება განსაკუთრებული შარავანდით შემოსავდა გიორგი ლასხიშვილის სახეს.

შემაერთებელ რგოლად ვერც ვერასოდეს წარმოიდგენდა საკუთარ თავს, ასეთი შეხედულება მეტისმეტად გაზვიადებული მოეჩვენებოდა, გულში რომ გაეკრა უნებურად: ასე როგორ გამბუქვია აზრი ჩემს მოღვაწეობაზეო. მძაფრი ისტორიული მოვლენების, დიდი რყევების შუაგულში მოქცეულიყო და უიმისოდ ვერც გაიკვალებოდა – ყოველ შემთხვევაში, ასე მალე და ამგვარი თანმიმდევრობით – ის გზა, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შექმნამდე რომ მიიყვანდა პოლიტიკოსთა ერთ გუნდს, მაგრამ ჩრდილში

შეფარება ერჩივნა ყოველთვის და არჩილ ჯორჯაძის ამ მტკიცებას რომ გაეცნობოდა, მოერიდებოდა შეეუხერხულებოდა და... უსათუოდ გაივლებდა გუნებაში: რად უნდოდა, რომელი შემაერთებელი რგოლი და ახალი სოციალურ-ეროვნული სინთეზის სიმბოლო მე მნახაო.

არჩილ ჯორჯაძე არც გიორგი ლასხიშვილის მოკრძალებას გაუწევდა ანგარიშს პოლიტიკური აზროვნების ზოგადი სურათისა და მისი მნიშვნელოვანი მონაკვეთების აღდგენის დროს და არც ნოე ჟორდანიას უზომო წარმოდგენას საკუთარ თავზე, პოლიტიკური ცხოვრება მისით რომ იწყებოდა და მის გარშემო ტრიალებდა, არ გაუწევდა და გამოჰკვეთდა, რომ ორმოციანი წლებიდან თანდათან დაირღვეოდა წოდებრიობა და ჩაისახებოდა კლასობრივი იდეოლოგია, რომელსაც ზოგი უარყოფდა, ზოგიც მოფრთხილებას ამჯობინებდა, და სხვანი კი პოლიტიკო-ეროვნული დროშით ცდილობდნენ ეროვნული მთლიანობის დაცვას გაზვიადებული კლასთა განხეთქილების ფონზე.

როგორც უნდა დაელაგებინათ პოლიტიკური აზროვნების ევოლუციის ზოგადი სქემატური სურათი 60-იანი წლებიდან მოკიდებული, არჩილ ჯორჯაძე მარტოდენ სამ მიმართულებას გამოაცალკევებდა, როგორც ყველაზე თვალსაჩინოს, თორემ მისწრაფებანი შესაძლოა მეტიც ყოფილიყო – ზრდადაუმთავრებელნი თუ გარდამავალნი. სამ მიმართულებას, სამ დიდ ორგანულ მოვლენას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა:

60-იანი წლების ნაციონალურ ლიბერალიზმს,

80-იანი წლების მარქსიზმს,

XX საუკუნის დამდეგის სოციალიზმ-ფედერალიზმს.

არც მარქსიზმს, არც სოციალ-ეროვნულ მიმართულებას უთქვამთ თავიანთი უკანასკნელი სიტყვები – დასძენდა – მოსალოდნელია ამ იდეურ მოვლენათა ევოლუცია მახლობელ მომავალშიო.

თავი ოცდამეორე

ჭიდილი გედთან და ქალის სევდა

საქართველოში დაბრუნდებოდა გრიგოლ რობაქიძე, დაბრუნდებოდა დამპყრობლის ჟინით – თითქოს ბალზაკის პერსონაჟია, ვოტრენი ან რასტინიაკიო; დაბრუნდებოდა სიახლეთა დამკვიდრების წყურვილით, საგანმანათლებლო მისიით და ლექციას ლექციაზე გამართავდა. ქართული და ევროპული თემატიკა და სახელები ერთმანეთს შეენაცვლებოდა მის საჯარო გამოსვლებში და ლიტერატურული ძვრების შუაგულშიც ერთბაშად მოექცეოდა.

მოიხიბლებოდა უფროსი თაობა.

ეს აკაკი წერეთელიო.

ეს დავით კლდიაშვილიო.

აღტაცდებოდნენ უშუალო წინამორბედნი.

ერთადერთი ეს თხოვნა ჰქონდათ: ქართულად იკითხე ლექციებიო.

ახალგაზრდობა თავიანთ მეთაურად აღიარებდა და მძაფრი ჭიდილიც გაიმართებოდა მის დასასაკუთრებლად, ბოლოს ყველას მაინც ცისფერყანწელები რომ აჯობებდნენ.

სადავო და საკამათოც უჩნდებოდათ და პოლემიკური გამოხმაურებანიც – იქვე თუ გაზეთის ფურცლებზე – იშვიათობა არა ყოფილა, მაგრამ მოკამათენიც გრძნობდნენ, რომ თვალსაჩინო სამწერლო-კულტურული მოვლენის შემსწრენი და მონაწილენი გამხდარიყვნენ და გამოდავების სურვილსაც გრიგოლ რობაქიძის თამამი, თავისუფალი მსჯელობა იწვევდა, აზრის მოძრაობა, ის დინამიზმი, ურომლისოდაც ყოველგვარი სიახლე თუ სხვა კეთილშობილური განზრახვა საკმაოდ გაფერმკრთალდებოდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ზეგავლენას ვერ იქონიებდა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, რისთვისაც მოწოდებულა ყოველი ორატორი.

გრიგოლ რობაქიძის თავმომწონეობისა მითუმეტეს.

დაბრუნდებოდა და „საარტისტო თეატრში" გამართავდა ლექციას „სქესი და სიყვარული". მოგვიანებითაც ეამაყებოდა, განსაკუთრებით ოტო ვაინინგერის ნაშრომს რომ ეყრდნობოდა, არამცთუ საქართველოში, რუსეთშიც რომ არა ყოფილა ცნობილი.

ლექციას არჩილ ჯორჯაძეც დაესწრებოდა.

ორატორი ვერ შეამჩნევდა.

ისიც საგანგებოდ აღარ დაელოდებოდა ლექციის შემდეგ.

რამდენიმე დღის შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს ექვსი წლის უნახავნი.

ლიტერატურულ ჟარგონზე იქაურობა სალაყბოდ იხსენიებოდა.

გრიგოლ რობაქიძე ამ სიტყვას რომ გამოიყენებს, ფრაზის ინტონაციაში ინტიმს გაურევს – მშობლიურობის განცდას და არა ირონიას.

არჩილი კი საგრძნობლად შეცვლილი მოეჩვენება, სასტიკ სენს ეს როგორ დაუუძლურებიაო.

რა გასაკვირია, იმ ლექციაზე ჩამოვარდნილიყო სიტყვა.

ჯერ ისედაც სალაპარაკოდ ჰქონდათ და მითუფრო ლექტორიც შემოსწრებოდათ.

არჩილი არ გაიზიარებდა ლექციის ამოსავალს – თემის მეტაფიზიკურ გააზრებას.

ლაპარაკისას საშინელი აღელვება დაეტყობოდა, საკმაოდ გაცხარდებოდა.

მოპაექრე არ მოითმენდა და თვითონაც აამაღლებდა ტონს.

და როდესაც არჩილი ევოლუციას ახსენებდა, გრიგოლ რობაქიძე დროს იხელთებდა: ევოლუციის ცნობილი განმარტება ნამდვილი აბსურდიაო.

არჩილისათვის ეს ისე მოულოდნელი აღმოჩნდებოდა.

ევოლუციის მოძღვრება მის თვალშიც რაღაც დიდი შემობრუნების საწყისად მოჩანდა, ახალი აზროვნების საძირკვლად და დახე რა მიეხალათ – აბსურდიაო.

გაცხარება მერე გენახათ.

და გრიგოლ რობაქიძე გაიფიქრებდა: ეს ფრანგები რომ ირწმუნებიან, კამათში იბადება ჭეშმარიტებაო, ჭეშმარიტების დაბადება კი არა, ლამის ერთმანეთს შევაწყდეთო.

ვერ მორიგდებოდნენ.

დავა-პაექრობა სადღაც ხომ უნდა შემწყდარიყო და ყველა აიშლებოდა.

გარეთ რომ გამოვიდოდნენ, არჩილი დამდურებული არ წავიდოდა და გამომშვიდობების წინ აშკარა ლმობიერი კილოთი მიმართავდა:

– არ გეწყინოს, რომ ვცხარობდი: მე ეს „ისე“ მომდის.

და ხველას დაიწყებდა.

შეეუხერხულებოდა გრიგოლ რობაქიძეს, მე როგორ ვერ დავასწარი ერთგვარი მობოდიშებაო, და მაშინდელ თვითყვედრებას იმით გამოასწორებდა, რომ მემუარულ ჩანაწერში ამ ეპიზოდს ყველაზე მეტყველ ნიმუშად მოიტანდა, მისი ხასიათის ხელშესახებ გამოხატულებად: ამ მომართვაში ისახებოდა იგი – სათნო, კეთილი, გულღია და მოსიყვარულეო.

არჩილ ჯორჯაძისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი გახლდათ ლექტორიც და აუდიტორიაც. იგი ლექციის შინაარსს აღიქვამდა არამარტო ესთეტისა და ლიტერატურის მკვლევარის, არამედ სოციოლოგისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანის თვალთახედვითაც, და უპირველესად ის გაახარებდა, რომ სულიერი შემოქმედება ტლანქი სარგებლობის საზომით აღარ იზომებოდა და აღარც პისარევის შეხედულებას აღიარებდნენ უცთომელ ჭეშმარიტებად: კარგად შეკერილი ნაღა შექსპირის დრამას გერჩივნოთო.

საზოგადოება საკმაოდ მომწიფებულიყო, რადგანაც მზად იყო სამი და ოთხი საათის მანძილზე ესმინა პოეზიის შესახებ სჯა-ბაასი, და ესმინა არა შეგირდივით, არამედ შეგნებულად, ჩაფიქრებით, უნდობლობისა და თანაგრძნობის გამოაშკარავების უნარით.

ამიტომაც არ გამორჩებოდა, რომ გრიგოლ რობაქიძის ლექციაზე – 1909 წლის 24 ოქტომბერს – ქართული თეატრის დარბაზში შეგროვდებოდა რჩეული ქართველი საზოგადოება, ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით.

– მოვიდა ლექციაზე ბევრი იმათგანი, ვისაც ეროვნული მწერლობის სვე-ბედი აფიქრებს, ვინც პოეზიაში ეძებს პასუხს იმის შესახებ, რაც სულიერ სიღრმეში გამოუცნობელ ამოცანად ეჩვენება, ვინც ეტრფიალება ოცნებას და ოცნებისადმი სიყვარულში ჰპოვებს ნუგეშს და შვებას.

სხვათა შორის, ლექციების წაკითხვა ქართულ ენაზე რომ ეთხოვათ და გრიგოლ რობაქიძეც შეპირებოდათ, ცოტა ხანში თხოვნას აუცილებლად შეგისრულებთო, მისი „ქართული ლექციები“ სწორედ ამ საჯარო გამოსვლით დაიწყებოდა.

შაბათის აუდიტორიას ლექციის საგანი მიიზიდავდა – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, ეს „შეწუხებული მშვენიერების" დაუშრეტელი წყარო, და ლექტორის პიროვნება, რომლის მიმართაც არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ „ნიჭით დაჯილდოებულს" ვერ იკმარებდა და მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს შემოხაზავდა – ესაა ადამიანის ისეთი ტიპი, რომელიც დღემდე გამოუცნობი რჩება ქართველი საზოგადოებისათვის, გამოუცნობი მისტიკური ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალ და დღემდე თითქმის უცნობ იდეურ მოვლენად ჩაითვლებაო.

იმედიანი მზერა უმცროსი თანამოკალმის მიმართ, მხურვალე თანადგომის წადილი ოდნავადაც ვერ შეუშლიდა ხელს მიუკერძოებელი ყოფილიყო და ყოველივე წარმოესახა ისე, როგორც სინამდვილეში გახლდათ.

ვერ დატოვებდა გრიგოლ რობაქიძის ლექციის პირველი ნაწილი საზოგადოებაზე სასურველ შთაბეჭდილებას, ის ნაწილი, რომელსაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თითქოს რაღაც უხერხულობა შეიქმნებოდა და არჩილი მიზეზს იმით ახსნიდა, ეს ბუნებრიობის დარღვევამ გამოიწვიაო.

ძლიერ ღელავდა ორატორი, ვერ შეიკავებდა დასაწყისში ღელვას და ამაღლებული, პათეტიკური კილოთი ამიტომაც შეუდგებოდა მსჯელობას, ნაცვლად დინჯი, ტკბილი, დამშვიდებული საუბრისა, ისეთი დამშვიდებულის, რომელიც სჩვევია ქართულ ორატორულ ხელოვნებას და თვით აღფრთოვანების წუთებშიც ვერ ჰგუობს პათეტიკას.

საბედნიეროდ, მღელვარებას მოერეოდა, არაბუნებრიობასაც დაძლევდა და ლექციის მეორე და მესამე ნაწილში აუდიტორიას მოევლინებოდა ნამდვილ არტისტად და ბატონად თავისი სიტყვისა.

არჩილ ჯორჯაძე გაკვირვებას გამოთქვამდა, მისტიკოსი-იდეალისტი გრიგოლ რობაქიძე თითქმის იმავე საფუძველზე იდგა, რა საფუძველსაც ეყრდნობა მატერიალისტი და რეალისტი ივანე გომართელიო.

წლების წინათ ილია ჭავჭავაძეს ეს ორნი შეეკავშირებინა ერთად და ერთადაც დაეტუქსა შეგირდებივით – არჩილ ჯორჯაძე და ივანე გომართელი, კოსმოპოლიტურ შეხედულებებში რომ გახლართულიყვნენ და საქართველოს ტკივილებისაკენ გზა ვეღარ გა-

მოეგნოთ. ახლა არჩილი ივანე გომართელს გრიგოლ რობაქიძეს ამოუყენებდა გვერდით და თვითონ შორიდან გამოხედავდა ორივეს, რომელნიც მიზეზობრივი კავშირით აკავშირებდნენ ისტორიულ პირობებს, საზოგადოებრივ გარემოსა და მგოსნის პოეზიისა და სულიერი დრამის შინაარსს.

რეცენზენტს მეტად უკმარი მოეჩვენებოდა ლექციის ეს ერთერთი მთავარი თვალსაზრისი: მარტოდენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ განსაზღვრა ბარათაშვილის პოეზიის სევდიანი და ტრაგიკული სულისკვეთებაო, და უპირატესობას მიანიჭებდა ილია ჭავჭავაძის „მოკლე და საკვირველის ზომით და ჩაფიქრებით დაწერილ წერილს“, სადაც პოლიტიკურ ვითარების გარკვეული მნიშვნელობა აღნიშვნით კი აღნიშნულა პოეტის ჩანგის მაინცდამაინც ასეთნაირად გადაწყობაში, მაგრამ უპირველესად კაცობრიობის ვაებაზე მიაქცევინებს ყურადღებას მკითხველს ავტორი, მთელი არსებით ტრიალს ამ საიდუმლოების უძირო მორევში.

„მერანის“ განმარტების დროსაც ილიას დაკვირვების სიღრმესა და მართებულობას მოიხსენიებდა არჩილ ჯორჯაძე და გრიგოლ რობაქიძის მოსაზრება ამჯერადაც მყიფე მოეჩვენებოდა – როგორ თუ „მერანში“ ისახება პოეტის უკიდურესი სასოწარკვეთილება, რადგანაც მან ვერ ჰპოვა ნუგეში ვერც სიყვარულში, ვერც ბუნების ჭვრეტასა და ვერც რელიგიაში, როგორ თუ მოწყდა მსოფლიოს და ქვესკნელში უნდა შთაინთქას და მერანს, ამ თავის პოეტურ ფანტაზიას, თვითმკვლელობის წინ უხმობსო.

ილიას ხომ ლექსში ბედისწერის წინააღმდეგ გამოცხადებული ომი დაენახა, ზეკაცობისაკენ მისწრაფების ჩანასახი.

ეს შეხედულება აგერ ერთ ახალგაზრდა, ჭკვიან მწერალსაც გაეზიარებინა – გერონტი ქიქოძეს. და ამ აღმატებულ ეპითეტთან – ჭკვიანი – ერთად არჩილი იმ სტატიიდან („ტრაგიკულის გრძნობა ქართულს პოეზიაში“) ციტატასაც დაიმოწმებდა და ასე ძალდაუტანებლად დაულოცავდა გზას კიდევ ერთ ტალანტს ამ მღელვარე სარბიელზე, სადაც ასე გადაჯაჭვოდა მწერლობა და პოლიტიკა და მაინც ლამობდნენ მათ შორის საზღვრის გავლებას, და ლამობდნენ სწორედ ისინი, ამ გამთლიანების შუაგულში რომ მოქცეულიყვნენ და ლიტერატურული ცხოვრების გეზის შემუშავებით ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლებს ქმნიდნენ.

ესაა ბრძოლა მისი თავის თავთანო, – ეს პასაჟი განსაკუთრებით მოსწონებოდა არჩილ ჯორჯაძეს, – თავის საბედისწერო საზ-

ღვრებთან, ტრაგიკული კონფლიქტი, რომლის ახსნა ან დაცხრობა ყოვლად შეუძლებელიაო.

კრიტიკულ შენიშვნებს კვლავ იმ სიხარულის გამოხატვით დააბოლოვებდა: ჩვენშიც გაჩნდა იმგვარი აუდიტორია, რომლისთვისაც საინტერესო ხდება ცხოვრებისა და ხელოვნების ღრმა პრობლემები და ამ საქმეში გრიგოლ რობაქიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვისო.

პრობლემების სიუხვეს დაუმადლებდა ახალმოვლენილ ორატორს და, წლები რომ ჩაივლის და გრიგოლ რობაქიძე შეაფასებს არჩილ ჯორჯაძის გამორჩეული მოღვაწეობის მნიშვნელობას, უმთავრეს ნიშნად ამას გამოჰყოფს: მრავალი პრობლემა არსებობდა ამისთვისო.

მაშინ კი გამოეხმაურებოდა მის რეცენზიას და თავს უფრო იმართლებდა, ვიდრე კრიტიკულ მახვილს კრიტიკულსავე მახვილს შეაგებებდა.

გრიგოლ რობაქიძე ირწმუნებოდა: არჩილ ჯორჯაძის წერილი ჩემი ლექციის თაობაზე დიდი სიამოვნებით იმიტომ კი არ წავიკითხე, რომ იქ ბევრგან ჩემი ქებაცაა, არამედ იმიტომ, რომ მიუკერძოებელი კრიტიკით გამოირჩევაო.

გაბეზრებულიყო ლანძღვა-გინებითაც და არანაკლებ – ქებითაც, მოწყენოდა საერთო შთაბეჭდილების გადმოცემა და ენატრებოდა ლექციის ავკარგიანობაზე მსჯელობა, სწორედ ისეთი – მიუდგომელი, გაზომილი, ობიექტური – ეს გამოხმაურება რითაც აღიტაცებდა და ათქმევინებდა: ეს სასიხარულო მოვლენად მიმაჩნია ჩვენს მოწამლულ ატმოსფეროშიო. საუკეთესო ნიმუშად აღიარებდა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს კრიტიკული შენიშვნა, რადგანაც ნაკლის აღნიშვნა საწყენი არ არის, სრულყოფილებამდე იმდენი აკლია ადამიანს.

თავს უფრო იმართლებდაო:

ლექციისას სხვადასხვა მიზეზით სავსებით ვერ განვავითარე ჩემი აზრი, რაც არსებითად ამგვარიაო: მგოსანი და ეროვნული სხეული ორგანულად შეკავშირებოდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ამით არა წყდებოდა მსოფლიოს. ბარათაშვილი წინ უსწრებდა მთელ მის თანადროულ ქართველობას, თუმც მთელი თავისი არსებით ქართველობის, როგორც სულიერი ერთეულის, სხეულს ეკუთვნოდა, მისი ბუნება განსაკუთრებული იყო, მაგრამ ვითარდებოდა ეროვნულ საზღვრებშიო.

ეს განმარტება უფრო ნათელი მოეჩვენებოდა არჩილ ჯორჯაძეს, მაგრამ მაინც ვერ აღიარებდა ამ ორ საზომს – ერთს აბსოლუტურს და მეორეს ისტორიულს.

ისტორიულს უფრო ტევად შინაარსს მიანიჭებდა. რატომ უნდა გულისხმობდეს ეს სიტყვა მმართველობის პოლიტიკურ ფორმასა და საწარმოო ძალთა ურთიერთობასო, და მიუმატებდა ფილოსოფიურ, რელიგიურ და ესთეტიკურ აზროვნებას, ანუ „ისტორიულში“ ჩააქსოვდა რთულ კომპლექსს მატერიალური და იდეალური ძალებისა, რომელნიც მოქმედებენ ადამიანის ბუნებაზე.

არც ის სურდა, რომ გადაეცილებინა ემპირიულ მოვლენათა საზღვარი და ადამიანის პიროვნება ამიტომაც შემოფარგლა ერთხელ მოვლენილი და განუმეორებელი ინდივიდუალობით, რომელიც არა ისტორიულის, არამედ აბსოლუტურის საზომით უნდა გაზომილიყო.

ვერ დაეთანხმებოდა ორი უკიდურესობიდან მაინცდამაინც ერთ-ერთის არჩევას.

ხომ შეიძლება ჭეშმარიტება მათ შორის ყოფილიყო საძიებელი?

შეიძლებოდა და ყველაზე სანდო და დამაჯერებელ გზად ეს შუაგული ესახებოდა.

რაღა სიცოცხლის და რაღა პოეზიის იდუმალება.

და თუ მიზეზობრივი კავშირი გამოურკვეველს ტოვებდა პოეზიის დიდი შთამბეჭდაობის ძალას, მაინც ზედმეტი იქნებოდა აბსოლუტურის საზომები და ონტოლოგიური არგუმენტები შემოქმედებითი პროცესის ასახსნელად.

საიდუმლოების წინაშე ჩაფიქრებული დგომა – ესეც არჩილ ჯორჯაძისეული იდეალი მკვლევარისა.

არაფრისდიდებით გაიოლება და პროკრუსტეს სარეცელისათვის მისადაგება მხატვრული ნარმოსახვების.

თუ გამოუცნობი გამოსაცნობია, ხომ კარგიაო, – დასძენდა ფილოსოფიურ ანალიზს არჩილ ჯორჯაძე, – ხოლო თუ ის გამოუცნობ კითხვად დარჩება სამუდამოდ, ეს ტრაგიკული ყოფა ხვედრი ყოფილა ადამიანისა და ამ ტრაგიკულის დათრგუნვისაკენ იქნება მიმართული მისი ძალ-ღონე. გამარჯვება დარჩება ადამიანს თუ არა, ესეც საიდუმლოებითაა მოცულიო.

ტრაგიკულს ორჯერ რომ ახსენებს, მეორედ წინწკლებში მოაქცევს.

წინწკლები რას უნდა გულისხმობდეს?

კიდევ ერთხელ შეხმიანებაა გერონტი ქიქოძის წერილის სათაურთან, ტრაგიკულის გრძნობის იმ ღრმა და შთამბეჭდავ გააზრებასთან ქართულ პოეზიაში, არჩილ ჯორჯაძეს ასე ძლიერ რომ მოეჭდობოდა გულზე.

7 ნოემბერს კი ქუთაისში გაიმეორებდა ამ ლექციას გრიგოლ რობაქიძე და იმ გამოსვლასაც მოჰყვებოდა გამოხმაურება – ისიც ასევე მიუდგომელი, გამოზომილი და ობიექტური და იმ დიმიტრი უზნაძისა, ვისაც ოდესმე განწყობის თეორიის შექმნა და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დაფუძნება დაეკისრებოდა. ახლა გრიგოლ რობაქიძესთან კამათში ცდიდა თავს ახალგაზრდა კაცი და მსჯელობისას არჩილ ჯორჯაძესაც წაედავებოდა, ოღონდ ამ თემას ნუღა გავყვებით, მოხსენიება კი იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ არჩილის ბიოგრაფიაში პირველად აქ ჩნდება სახელი იმ კაცისა, ვინც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრიც უნდა გახდეს, არჩილ ჯორჯაძის ეროვნულ-პოლიტიკური შეხედულებანიც გაიხადოს ორიენტირად და პარტიის იდეოლოგიის გარდაცვალების შემდეგ სწორედ მას მოუწიოს ერთი საიდუმლოსათვის ოდნავ ფარდის გადაწევა.

კამათი კამათად, გაცხარება გაცხარებად, მაგრამ ის კი ძალიან მოხიბლავდა არჩილ ჯორჯაძეს, რომ გრიგოლ რობაქიძის ლექციის წყალობით ახალი სიო შემოიჭრებოდა ქართულ საზოგადოებრივსა და ესთეტიკურ ცნობიერებაში, თორემ რა გამოდიოდა – ქართულ მწერლობაში უიშვიათეს მოვლენად შერაცხილიყო ქალის შესახებ ლაპარაკი და თუ კრინტი დაიძვროდა, ამ თემას მხოლოდ სასტიკად განსაზღვრულ კალაპოტში უნდა ეტრიალა.

ჯერ კალაპოტი რა არის, და ისიც სასტიკად განსაზღვრული.

ეს კი იყო:

ქალის უფლებრივი მდგომარეობა და ამ უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება.

ეგაა, მიზნის კეთილშობილებას არ უნდა გადაეფარა სხვა მხარეები და უშუალოდ კი ის მხარე, რომელსაც ახალმოვლენილი ლექტორი შეეხებოდა: ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური.

არჩილ ჯორჯაძე გულისყურით კი უსმენდა, მაგრამ საზოგადოების განწყობილებასაც უკვირდებოდა თურმე და შეამჩნევდა, რომ აუდიტორია თუმც ეჭვის თვალით, მაგრამ ყურადღებით კი უსმენდა ლექციას სქესისა და სიყვარულის შესახებ.

– და ჩვენმა ინტელიგენციამ თითქმის იგემა ამ ხასიათის საკითხების მნიშვნელობა. მას სჯა-ბაასის სურვილიც აღეძრა.

ამ ლიტერატურულ ნარკვევში – „ქალის სევდა" – არსად იგრძნობა ოდნავი კვალიც მაშინდელი გაგულისებისა, რადგანაც ამჯერად არჩილისათვის მთავარია არა ცალკეული სადავო მოსაზრებანი თუ დაკვირვებანი, არამედ ზოგადი შინაარსი და სიახლის შემოტანის მცდელობა, თანაც რა ვითარებისას – არამცთუ მაშინ, ორ-სამი წლის შემდეგაც ამ საგანზე მსჯელობა მაინც საკმაოდ საძნელო გახლდათ.

მიზეზს იმით ხსნიდა: ჩვენებური საზოგადოებრივი ფსიქიკა მეტისმეტად ზერელეა, მეტისმეტად ყალბად მორცხვი და, ამასთან, მიუხედავად თავისი რადიკალური მიდრეკილებისა, საარაკოდ კონსერვატიული და ტრადიციების მოთაყვანეო.

და ამიტომაც გაყინულიყო ქალთა საკითხი ჩვენში იმ წერტილზე, რა წერტილზეც წარსული საუკუნის 60-იანი წლების რუსეთში იდგა.

აღტაცებულიყო არჩილი რადიკალური განწყობილებით, ეს უკიდურესობა სიახლის დამკვიდრებისას ბუნებრივი ეჩვენებოდა, მაგრამ უკიდურესობა ტრადიციების დაცვისას გადამეტებული სიფრთხილე და დროის ჩამორჩენა ეგონა.

ქალის სევდა ურთულეს მოვლენად გამოიკვეთებოდა არჩილ ჯორჯაძისათვის და შეეცდებოდა მისი ყოველი დანაშრევის წარმოჩენას, პოლიტიკური ჩანაფიქრი გადაფარავდა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ მხარეს თუ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განზრახვა პოლიტიკურ ფონს, ეს ყოველივე ერთმანეთს კი გადაეწვნოდა და თავისებურ მანიფესტადაც ჩამოინაკვთებოდა და ერთ საუკეთესო ლიტერატურულ ნარკვევადაც.

რაც კი წაეკითხა ამ თემაზე, უმთავრესად მის სოციალურ ასპექტს განიხილავდნენ ავტორები. არა, სოციალური კუთხით კვლევის წინააღმდეგი კი არ იყო, მხოლოდ სოციალური ანალიზი – მოვლენის უმთავრესი აზრის გაუთვალისწინებლად – გუნებას უწამლავდა: პრობლემის სიძნელე და სირთულე გვერდით რჩება და ზერელე აზროვნება მავნებელი ხდება როგორც თვით ქალებისათვის, ისე კულტურის წინსვლისათვისო.

მარტოდენ კრიტიკულ გამოხმაურებასა და ცალკეულ შენიშვნებს ვერ იკმარებდა.

დაე თვითონ დაედასტურებინა, თუ რას ნიშნავდა ამ მწვავე პრობლემის შესაფერისი ანალიზი, იმ დაფარულის ამოზიდვა სააშკარაოზე, ურომლისოდაც ფუჭი და ამაო იქნებოდა ყოველგვარი

მცდელობა ქალთა სატკივარის მიზეზთა გამოსარკვევად თუ მომავალის განსაჭვრეტად.

თანასწორობისა და თავისუფლების ბრძოლით გატაცებული ქალი – ხან აღფრთოვანებული და ხანაც მოღლილი და მოქანცული – თითქოს კულტურის დაძლევასაც მოინდომებდა – მონოგამიური ოჯახის დანგრევას, გულიდან სექსუალობის აღმოფხვრას, ტრფიალების ნექტარი დაათრობდა და ოცნების სამეფოში გაიტაცებდა, სინამდვილე და აწმყო უფრო გაუმწარდებოდა, გარემო უფრო დაუბნელდებოდა და შფოთვა და ღელვა კვლავინდებურად არ მოასვენებდა.

ესეც მუსიკალური დრამის უვერტიურა, რაც თანამედროვე ქალის გულში აღბეჭდილიყო.

რატომ მაინცდამაინც მუსიკალური დრამა?

არჩილ ჯორჯაძე ადამიანის განცდის ფსიქიკურ მომენტებს მუსიკალური განცდის ემოციას დაუკავშირებდა, სადაც აღფრთოვანება სასოწარკვეთილებას გადაწვნოდა, ტრაგიკული უილაჯობაც ამოჰყოფდა თავს აუცილებლობის წინაშე და ყოველი ღრმა საიდუმლოებაც აქ ინასკვებოდა.

საიდუმლოებათა კარს როგორ მოსინჯავდი?

თანამედროვე ლიტერატურა ამ დრამის მოტივებით გაჟღენთილიყო და უკეთესი გზამკვლევიც რა უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, ხელი მიგიწვდებოდა ჰენრიკ იბსენის დრამებზე, ფსიქოლოგიური ანალიზითა და დიდებული ხელოვნებით რომ წარმოსახულიყო თანამედროვე ოჯახის შეუფერადებელი სურათი. ხელოვნება ხდიდა მკაფიოს, თუ საიდან წარმომდგარიყო და რა ფსიქიკური მოტივებისაგან იქმნებოდა ის ხშირად უხილავი მწუხარება, რომელიც აიძულებდა ქალს ქმართან ბრძოლასა და ოჯახის მიტოვებას.

აღიარებულიყო ჰენრიკ იბსენი მთელს ევროპაში და ისედაც დაისაჭიროებდა არჩილ ჯორჯაძე მის პიესებსა თუ ცალკეულ შეხედულება-დაკვირვებებს, რათა თვითონაც უკეთ გარკვეულიყო აბურდულ რეალობაში და ქართველი მკითხველისთვისაც მახლობელი გაეხადა ის სატკივარი, რის წინაშეც უკვე დგებოდა ქართული გარემოც. ის, რაც ევროპაში ასეთი მღელვარებით ბრუნავდა, ჩვენს მიწა-წყალზეც იჭრებოდა და მაშ იბსენიც ყოფილიყო ჩვენთვის მორალური დასაყრდენი. ჯერ ისედაც. და არჩილ ჯორჯაძეს განსაკუთრებით იმიტომაც ჰგვრიდა სიამეს ამ გვარ-სახელის წარ-

მოთქმა, რომ დიდებული დანიელი „საქართველოს“ ავტორთა შორისაც გამოჩნდებოდა ჩვენი ისტორიული და იურიდიული უფლებების დამცველად.

ის შინაგანი წუხილი, ჩემს ნამდვილ საქმეს მოწყვეტილი ვარ და მთლიანად პუბლიცისტიკაში ჩავიხარჯეო, უფრო და უფრო რომ ემატებოდა, ერთადერთ გამოსავლად სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალის გამოცემისაკენ უბიძგებდა. გაზეთი თუ ჭამდა მის ენერგიას, სალიტერატურო გამოცემა ასე აღარ შთანთქამდა და ძალაუნებურად მოსთხოვდა გადანაცვლებას მეცნიერულ ძიებებსა და ესეისტიკაში; უკვე ფილოსოფიასა და ლიტერატურაში ჩაიძირებოდა და ის, რასაც დროდადრო, მოცალეობის ჟამს მოჰკიდებდა აქამდე ხელს, ახლა ერთადერთი სარბიელი უნდა შექმნილიყო მისთვის.

თვითონ სხვაგვარად ახსნიდა მისი დაარსების აუცილებლობას:

– საზოგადოებაში დიდი უიმედობაა. თუ ეხლა ძალა არ დავატანეთ ჩვენს თავს და რამენაირად არ დავაღწიეთ ამ უიმედობას, ჩვენი საქმე ძლიერ ცუდათ დატრიალდება. აუცილებლივ საჭიროა ჩვენი სალიტერატურო ძალების შეკრებვა და შეკავშირება.

ასეც მისწერდა ივანე ჯავახიშვილს 1908 წლის 12 დეკემბერს, ის კი საპასუხო ბარათით მხურვალე თანამშრომლობას შეპირდებოდა, ასე აღვასრულებ ჩემს ზნეობრივ მოვალეობასო.

როდესაც გაეცნობოდა, თუ ვის ვარაუდობდა არჩილი ჟურნალის თანამშრომლებად, მოუწონებდა არჩევანს: დარწმუნებული ვარ, თავიანთი რწმენითა და ენერგიით თქვენთან ერთად გამოაცოცხლებენ ჩვენი საზოგადოების მიძინებულსა და ზანტ აზროვნებასო.

არც უკვირდა არჩილისაგან ეს წამოწყება, მაგრამ – გამხნევებასთან ერთად – მაინც შეახსენებდა, რომ ჟურნალის წინამძღოლობა აუცილებელი და საჭირო, მაგრამ რთული მოვალეობა იყო.

ამისთანა სირთულენი გადაეტანა?!.

ცხადია, ბროლის კოშკში გამოსაკეტად არ ქმნიდა ჟურნალს და ფილოსოფიურ-ლიტერატურული ძიებებითა თუ ესეისტური ჩანაწერებით კვლავ და კვლავ ერის სულიერი სიმხნევის აღორძინებაგანმტკიცებას შეეცდებოდა, მაგრამ ეს მთავარი მოტივი, თუ რატომ მოუნდომებია ამგვარი წამოწყება, სრულად ვერ განმარტავს მის განწყობილებას.

ხალხზე ზრუნვა უიმედობისაგან თავის დასაღწევად იმითაც შეიძლება, რა გზასაც მიჰყვება და რა ყაიდის გამოცემებშიც თანამშრომლობს – პუბლიცისტიკა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთები.

არა, აუცილებელი სულაც არ არის, რომ რაიმეს ფარავდეს და მთავარ მოტივს განზრახ წარმოადგენდეს ნაკლულად. შესაძლოა თვითონ მისთვისაც არ არის ბოლომდე გაცნობიერებული, თუ როგორ მოწყურებია ლიტერატურა, დროდადრო ან პუბლიცისტიკის თანაბრად კი არა, სულაც იქ ეძიებს სულიერ სავანეს.

მაგრამ ბედისწერას მკაცრად მოუმწყვდევია თავის ჭანგებში და დასაზღვრულ ჩარჩოებს არ გადაალახვინებს.

დაე ერთიანად მოიცვას ამ წამოწყებამ არჩილ ჯორჯაძის არსება.

დაე თანხის შეგროვებასაც მოჰკიდოს ხელი და იმდენს მოუყაროს თავი, რომ ჟურნალის დაარსება რეალობად გამოიკვეთოს.

დაე რუბრიკებიც ჩამოწეროს – ეს მხატვრული ნაწარმოებნიო, ეს კრიტიკული წერილებიო, ეს ისტორიული, სოციოლოგიური, ფილოსოფიური თუ ეკონომიკური ყაიდის თხზულებანიო, ეს შინაური მიმოხილვაო – და ზოგიერთი სხვაც ივარაუდოს.

დაე ბარათი ბარათზე დააგზავნოს და პირადადაც არაერთ მოღვაწეს შეეხმიანოს – ივანე ჯავახიშვილსა თუ მიხაკო წერეთელს, კიტა აბაშიძესა თუ ფილიპე გოგიჩაიშვილს, ვლადიმერ ლორთქიფანიძესა თუ არჩილ ჯაჯანაშვილს, და ვის აღარ.

ცოტას ადროვებდა ბედისწერა, ცოტას და... არჩევანის წინაშეც დააყენებდა.

გაზეთ „ამირანს“ გაუძნელდებოდა არსებობა უსახსრობის გამო და დღედღეზე დახურვა მოელოდა, თუკი შესაფერისი თანხა ვერსად გამოიძებნებოდა.

სად, აბა?

ის ფული, არჩილს რომ ეპყრა ხელთ?

არა, ის არა, ის ხომ მას აღარ ეკუთვნოდა, სალიტერატურო ჟურნალისათვის გადადებულიყო და თითი არ დაეკარებოდა.

„ამირანის“ რედაქციის კარი უნდა გამოხურულიყო.

რაღაც ისეთნაირად გამოდიოდა: ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო.

ვერა, ვერ გაიმეტებდა არჩილი მოქმედ გაზეთს, ვერ შეაქცევდა ზურგს და ვერ გადაეშვებოდა სამეცნიერო-სამწერლო გარე-

მოში. სამუდამოდ სანანებლად წაჰყვებოდა და საამისოდ თავს ვერ გაწირავდა.

ალბათ როგორ ენანებოდა საჟურნალო ფული. ნუ ვიტყვით, ადვილად გადაწყვეტდაო. არ არის იოლი გადასაწყვეტი, მითუმეტეს, ცხოვრების გეზი უნდა შეცვლოდა.

ალბათ როგორ აწყდებოდა გულს.

აიღებდა იმ ფულს და... ისევ დადებდა, აიღებდა და... ისევ დადებდა, ვიდრე... ვიდრე „ამირანის“ რედაქციაში არ მიიტანდა: ესეც ის სახსარი, რომელსაც ასე დავებრკოლებინეთო.

ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო.

„ამირანი“ კი გაიმართებოდა წელში, მაგრამ...

თავს ინუგეშებდა არჩილ ჯორჯაძე, ეს უფრო სასწრაფო იყო, უფრო აუცილებელი, თორემ ჟურნალისათვის ფულს ისევ ვიშოვნი, ისე მაქვს გულში ამოჭრილი, როგორ იქნება თავი ვერ მოვაბაო. და მომავალ თანამშრომლებსაც ასევე გააფრთხილებდა – ცოტა გადაიდო, ეგაა და ეგ, თორემ მის დაარსებას წინ რა დაუდგებაო.

ოცნებად შერჩებოდა სამცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი.

და ბედისწერა სუსხიანად აგრძნობინებდა, შენვე არჩიე ასე და ნურავის დაემდურებიო.

არჩილ ჯორჯაძე პუბლიცისტის სახელით რომ უნდა შემორჩენოდა ჩვენს ისტორიას, გრიგოლ რობაქიძე ამაში სწორედ ბედის უკუღმართობას ხედავდა.

იგი სრულებით არ იყო დაბადებული, არც მოწოდებული, პუბლიცისტიკისათვის. მისი ხვედრი სხვა იყო – ძიებანი ესთეტიკურნი და ლიტერატურულნიო.

ყველაზე მეტყველ საბუთად „ქალის სევდას“ მოიხმობდა, ყოვლის უმჯობესად მის წერილებში, რადგანაც აქ პუბლიცისტიკის ნასახიც არ იყო და მისი მწერლური პროფილიც ყველაზე უკეთ გამოისახა.

– ესთეტიკაში და კრიტიკაში არჩილი, დარწმუნებული ვარ, უფრო საინტერესოდ გადაშლიდა თავის პიროვნებას.

ასე დარწმუნებული რატომ გახლდათ?

– არჩილისათვის მრავალი პრობლემა არსებობდა. ეს კი დიდი სიმდიდრეა პიროვნებისა.

თვითონ გრიგოლისთვისაც არსებობდა მრავალი პრობლემა და ეს მიაჩნდა თავისი ესეისტურ-ლიტერატურული ძიებების ძარღვად და ძალად, და სხვაშიც ამიტომ აფასებდა ამ უნარს, თუნდაც გა-

ფერმკრთალებულს ბედისწერის ულმობელობით. მისთვის მთავარი სულაც არ ყოფილა, რომ ესა თუ ის პრობლემა მაინცდამაინც „ასე“ გადაჭრილიყო ან „ისე“ – ოღონდაც თვითონ პრობლემა არსებულიყო, როგორც პრობლემა.

თვალსაჩინოებისათვის შარლ ბოდლერის სახელს გამოიხმობდა:

კათოლიციზმი მის შემოქმედებით სტიქიონში პრობლემაა – შესაძლოა სათუო და შორეული, მაგრამ ვისთვისაც არსებობს ეს პრობლემა, იგი ამით უთუოდ თავისი სულის უმძაფრეს სირთულეს გვიცხადებსო.

ასეთი წარმოუდგებოდა არჩილ ჯორჯაძე და გრიგოლ რობაქიძე თვალს რომ მიმოავლებდა გარშემო, ვერ იპოვნიდა მეორე ქართველს, რომელსაც არჩილისოდენი პრობლემები ჰქონოდეს.

სხვას სხვა მოეჩვენებოდა ამ მხრივ უფრო აღმატებული? დაე ყოფილიყო ნება მისი, გრიგოლ რობაქიძე თავისას მისდევდა და დაბეჯითებით ამტკიცებდა და ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ყველა შემჩნეველს არჩილის ამ თვისებისა სურვილი გასჩენოდა: ნეტა პუბლიცისტიკის გარეშე ემოქმედაო.

მაგრამ ბედისწერა და მისი ჟინიანობა?

– იგი პუბლიცისტად უნდა გამოსულიყო უთუოდ, ამას მოითხოვდა საქართველოს ინტერესი და თუ მან ვერ გვაჩვენა თავისი ნამდვილი მწერლური სახე, სამაგიეროდ მან მთელი თავისი სიცოცხლით სირაინდე დაამტკიცა. და ქართულს ისტორიაში არჩილ ჯორჯაძე დარჩება ნათელი რაინდის საყვარელი სახელით.

ესეც ილია ჭავჭავაძის კვალი გახლდათ.

მისი მადლი.

მისი ბედისწერის განმეორება.

ეგაა, სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა არ წაჰყოლია ოცნებად ილიას.

ადრევე მოასწრო, თორემ მერე და მერე ყოველდღიური საქვეყნო საზრუნავი წამიერად თუ მიახედებდა თავისი ჭეშმარიტი ხელობისაკენ და სალიტერატურო ჟურნალის რუბრიკები თუ სავარაუდო თანამშრომელთა სია იმასაც გონებაში ან ფურცელზე შერჩებოდა.

აკაკი წერეთელს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მიერ დანიშნული თვეში ასმანეთიანი პენსია რას გაუხდებოდა. ათჯერ მეტიც რომ ჰქონოდა, არ ეყოფოდა. ცოლ-შვილი უნთქავდა და სულ

ხელგამოწვდილნი იყვნენ – ფული და ფულიო. სად წაუვიდოდა, სად გაექცეოდა. თვითონაც ვერსად მოეკიდებინა ფეხი – არადა, სასტუმროებში ცხოვრებას თანხაც ბევრი სჭირდებოდა.

ერთ ადგილას გული არ უდგებოდა და იყო ასე გზაზე გაკრული – სულ ვალებში, სულ ფულის ძებნაში. თითქოს ეს არა კმაროდა, ბანქოთიც რომ არ ყოფილიყო გატაცებული. ის უფხეკდა ჯიბეს, ცოლ-შვილზე არანაკლებად და რა წყალს მისცემოდა, აღარ იცოდა. ბანქოს მაინც რომ ჩამოხსნოდა? ჩამოხსნოდა კი არა, სისხამ დილამდე ვერ ააგლეჯდნენ ხოლმე სათამაშო მაგიდას.

სულ ფულზე მონუწუნე კაცი თითქოს ძალიან ხელმოჭერილი უნდა ყოფილიყო, ყოველ გროშს ჩაბღაუჭებოდა და სესხებაც კი ვერავის შეებედა მისთვის.

გიორგი ლასხიშვილს ისედაც სმენოდა, ასეთი გულკეთილი პიროვნება იშვიათია, გაჭირვებული თუ ნახა, არაფერს დაიშურებს, უკანასკნელ გროშსაც არ დაინანებსო, მაგრამ გადაჭარბება ეგონა.

ზაფხულის დამდეგს მარიამ დემურიას რომ შეუვლიდა, იქ აკაკი წერეთელი დახვდებოდა.

მასპინძელს შესჩივლებდა:

– არჩილის გაგზავნაა აუცილებელი აგარაკზე. ამ ზაფხულს თუ აქ დარჩა, ცუდად იქნება მისი საქმე. ფული კი არა გვაქვს: კომიტეტი ვეღარ იძლევა, რამდენსაც წინედ იძლეოდა არჩილისათვის, რედაქციასაც არა აქვს. იქნება რაიმე მოგვიხერხოთ, ქალბატონო მარიამ.

აკაკის გასაგონად არაფერი თქმულა.

ეგაა, მოერიდა მასპინძელი ცალკე გაეხმო და ჩურჩულით ეუწყებინა სათხოვარი.

– რამდენია საჭირო? – საუბარში აკაკი ჩაერეოდა.

თხუთმეტი-ოცი თუმანი ყოფილა – აგარაკის ქირის, მგზავრობისა და რაღაცების საყიდლად.

აკაკი ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა:

– გიორგი, წაიღეთ ჩემი ფონდიდან ოცი თუმანი. ბარათს მიგიწერთ წერა-კითხვის საზოგადოებაში, როცა შესძლებთ, სესხს დააბრუნებთ: თუ ვერ შეიძლოთ, თქვენი ჭირი წაუღია.

თქვენი ჭირი წაუღიაო – ფრაზის ამ ნაკუწში მთელი აკაკი მოჩანს, ხელგაშლილობითა და უბრალოებით, იმ შინაგანი აუღელვებლობით, თითქოს გროშებს კი არ დასდევდეს, აღარ იცოდეს, ფული სად წაიღოს.

აკაკი იქვე შეადგენდა ბარათს და გიორგი ლასხიშვილს ის სიამეც ჩაეღვრებოდა გულში, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას აკაკის დაუკითხავად დროებით ესესხა მისი ფონდიდან ასი მანეთი სწორედ არჩილ ჯორჯაძისათვის.

ახლაც ას მანეთს გამოიტანდნენ და ვალს კი არ შეიწევდნენ. მარიამ დემურია საღამოს გამართავდა და აკაკის ფონდსაც შეავსებდნენ.

არჩილ ჯორჯაძე იმ ზაფხულს მოსასულიერებლად თელავს გაემგზავრებოდა.

1909 წელია და ის ზაფხული იმით შემორჩება სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცხოვრებას, რომ აბასთუმნიდან 28 ივნისს სამწუხარო დეპეშა აუწყებდათ ვლადიმერ ლორთქიფანიძის გარდაცვალებას, 35-36 წლის კაცისა, ვისაც ბევრი რამ სასიკეთო მოესწრო ქვეყნისათვის როგორც ჟურნალისტსა და როგორც ისტორიის პედაგოგს, პარტიაში ხომ დაარსების დღიდანვე მთავარი კომიტეტის წევრად ირიცხებოდა.

მისი დაავადების გაღრმავებას გიორგი ლასხიშვილი ახსნიდა ვლადიმერ ლორთქიფანიძის მოუსვენარი გარჯითა და ყველგან შესამჩნევი ნერვიული გატაცებით მოღვაწეობისას.

არ დასცალდა, თორემ მეტად მნიშვნელოვანი პარტიული – უფრო კი საზოგადოებრივი – დავალების აღმსრულებლად სწორედ იგი შეარჩია ფედერალურმა საბჭომ.

სულ უფრო გამწვავდებოდა ქართველი სამღვდელოების დაპირისპირება ცენტრალურ სასულიერო მთავრობასთან საქართველოს ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ქართველი საეკლესიო მოღვაწენი დათმობას არ აპირებდნენ, მაგრამ რუსეთის სასულიერო და თვითმპყრობელ ბიუროკრატიას ასეთი ურჩობა აღაშფოთებდა, მკაცრ დევნას გამოუცხადებდნენ. ეპისკოპოსებს – კირიონსა და ამბროსის – რუსეთის მიყრუებულ მონასტრებში გამოკეტავდნენ. ლეონიდეს გაჩხრეკდნენ და პოლიციის ზედამხედველობას დაუნიშნავდნენ. ზოგიერთ მღვდელს დაატუსაღებდნენ. მუქარა-დაშინებანი კიდევ ცალკე.

რევოლუციური პარტიები განზე დგომას ამჯობინებდნენ. მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, ეკლესია განცალკევებული იყოს სახელმწიფოსაგანო, თორემ სხვა მხრივ არ ანაღლებდათ, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიას მოიპოვებდა თუ კვლავაც რუსეთის ეკლესიასთან იქნებოდა შეერთებულ-დაქვემდებარებული.

„ცნობის ფურცელში“ ისეთ ადამიანებს მოეყარათ თავი, ამ შეურიგებელ ბრძოლაში ჩარევით გამომწვევად არ ერეოდნენ, მაგრამ ყურადღებითა და თანაგრძნობით კი ადევნებდნენ თვალს საქართველოს ეკლესიის ყოფასა და მომავლის პერსპექტივას.

პუბლიკაციებს ამ თემაზე უფრო ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პრინციპულიო, – გიორგი ლასხიშვილმა. მაგრამ ინფორმაციათა მიზანდასახული ნაკადი ძალდაუტანებლად ათვალსაჩინოებდა რედაქციის პოზიციას, ამიტომაც პარტიის ფედერალური საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე თავშეკავებულ გამოხმაურებებსაც არ აპატიებდნენ და დიდ საყვედურსაც გამოუცხადებდნენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას: ავტოკეფალიის თემას საერთოდ ჩამოეხსენითო.

მაგრამ ასე იოლად არ მოთავდებოდა.

მოსაყვედურეთ თავიანთი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდათ სხდომაზევე. მემუარული ჩანაწერი არ გვიზუსტებს მათ ვინაობას, მხოლოდ ზოგად განწყობილებას გვამცნობს და მათი მტკიცების შინაარსს: დაწყებული საეკლესიო ბრძოლა თვალსაჩინო ეპიზოდია, პატარა ნაწილია დიდი ეროვნული ბრძოლისა და საკითხისა, ამიტომ ყოველდღიურ გაზეთს, რომელიც ამასთან ოფიციალურად არც არის პარტიული გამოცემა, არ შეუძლია გვერდი აუაროს მნვავე საზოგადოებრივ მოვლენასო.

დამაჯერებელი საბუთიანობა გადაწონიდა.

ფედერალური საბჭო საბოლოოდ ასე გადაწყვეტდა, რომ ეს საკითხი შეეტანა პარტიის უახლოესი კონფერენციის დღის წესრიგში და მოხსენებაც კი მოემზადებინა ცენტრალური კომიტეტისა და რედაქციის წევრს ვლადიმერ ლორთქიფანიძეს.

უთუოდ იმ მოტივით, რომ ყველაზე ახლოს იყო ამ მოვლენებთან.

მოუთმენლად დაელოდებოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის მისეულ ანალიზსა და შეფასებას.

მაგრამ მოხსენება დაუწერელი დარჩება.

ძველი სენი გაუხსენებდა – ჭლექი, და ზაფხულის დამდეგს საჩქაროდ აბასთუმანში წაიყვანდნენ.

ვეღარ უშველიდნენ.

და გიორგი ლასხიშვილი და ალექსანდრე მდივანი – ამავე პარტიის წევრი და ქართული გიმნაზიის გამგე – ცხედრის ჩამოსასვენებლად გაემგზავრებოდნენ.

სამუდამო სამყოფელს კუკიის სასაფლაოზე იპოვნიდა ვლადიმერ ლორთქიფანიძე – შიო ჩიტაძის გვერდით.

იმას თუ აბასთუმანში მოსწეოდა თავისი ბედისწერა, არჩილ ჯორჯაძეს თელავში ხომ არ დაადგებოდა თავს სიკვდილის ანგელოზი?

თურმე არა.

ჯერ კიდევ ადროვებდა.

ზაფხულის მიწურულს უკეთ შეიქნებოდა, ლოგინს თავს დააღწევდა და სამუშაოსაც ჩაუჯდებოდა.

აგვისტოში გიორგი ლასხიშვილი მოინახულებდა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თელავის კომიტეტშიც შეივლიდა და იქ ურჩევდნენ, თუ სურვილი გაგიჩნდეს, აგერ ანტონ ყაზახაშვილს გამოგაყოლებთ, სოფელ გულგულაში ადით და ივანე კოლელიშვილის მიერ დაარსებულ კომუნას გაეცანითო.

იმხანად ივანე კოლელიშვილი ანარქისტობდა და ტოლსტოის მიმდევრადაც მოჰქონდა თავი და სასოფლო-სამეურნეო კომუნის შექმნაც ამიტომ ამოეჭრა გულში. მტკიცე პრინციპების კაცი ყოფილა, მცირე მოთხოვნილებებისა და უბრალო ცხოვრების მოყვარული, საზრდელად ხილსა და პურის მარცვალს მყოფინობდა.

ნეტა არჩილსაც თუ შეეტყო ამ კომუნის დაარსება?

აუცილებლად ამცნობდნენ, მითუფრო ყველას მოეხსენებოდა მისი ტოლსტოვური წარსული და სწორედ ამ ყაიდის გაერთიანებაში მისი ცხოვრება.

სურვილს არ გამოთქვამდა გულგულაში წასასვლელად – არც მანამდე და არც მაშინ, გიორგი ლასხიშვილი ძალიან რომ მოინდომებდა, თბილისში ისე როგორ დავბრუნდე, ეს უჩვეულო გარემო საკუთარი თვალით თუ არ ვიხილეო.

გიორგის გვერდით ყოფნა ყოველთვის ძალიან ახარებდა და აგერ კომუნის მონახულება ხელსაყრელი საბაბი გახლდათ ერთად მგზავრობისათვის.

თავს აარიდებდა იქ წასვლას.

სინანულსაც კი არ გამოთქვამს, სნეულებას რა ვუთხრა, თორემ ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლებაო.

რა დაავიწყებდა იმ გაწბილებას, კვიკექსის საგრაფოში რომ ეხილა, თორემ ისეთი ატაცებული მიეშურებოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელს სიცოცხლეს ამ სრულიად ახალ სინამდვილეში ყოფნას შევწირავო.

სამოთხისდარ გარემოდ ესახებოდა და...

დაშლით გიორგის არ დაუშლიდა – რაკი მონდომებულიყო, დაე ენახა საკუთარი თვალით, თუ როგორ აეყოლიებინა ივანე კოლელიშვილს სხვა გლეხები, და, თავისი მამული რომ შეეწირა კომუნისათვის, კიდევ 17 მამული გაეერთიანებინა და კოლექტიური მეურნეობა ჩამოეყალიბებინა. როგორ იკრიბებოდნენ მუშაობის შემდეგ გლეხები მის მამულში, საგანგებოდ დანიშნულ ბინაზე და ერთობლივად ადგენდნენ მეორე დღის გეგმას. როგორ მუშაობდა ყველა რიგრიგად ერთ დღეს ერთ მამულში, მეორე დღეს მეორე მამულში. როგორ ანაწილებდნენ მოსავალს თვითეული ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

დაატარებდა ივანე კოლელიშვილი სტუმრებს და, რასაც ათვალიერებინებდა, ათვალიერებინებდა, რასაც ვერა, ლაპარაკით უვსებდა წარმოსახვას და გიორგი ლასხიშვილი ამბავს ჩამოიტანდა, ყველა მონაწილის ვენახები, სახნავი მიწები და ხეხილის ბაღები თავის დროზე და კარგად მუშავდება, გლეხებს კი შინაგანი კულტურა მოემატათ, ლოთობას, უწმაწურ გინებასა და უსაქმოდ აქეთ-იქით ხეტიალს სოფლიდან ფეხი ამოუძირკვავს, გლეხობა ძმურად დაახლოებია ერთმანეთს, იჩენენ ინტერესს წიგნისა და გაზეთისადმი და კოლექტიურ მუშაობა-ცხოვრებაში უკვე ქალებიც ჩაებნენო.

კოლელიშვილის კომუნა თითქოს ადასტურებდა სოციალისტ-ფედერალისტთა სოციალურ შეხედულებას – ფანტაზიები მიწაზე ჩამოდიოდა და აგერ, მომხიბლავ გარემოს ქმნიდა. გიორგი ლასხიშვილისათვის კმაროდა ეს წამიერი გაელვება, წვეთში მთელს ზღვას აღიქვამდა და დიდადაც დაუმადლებდა თელავის კომიტეტს, ოცნების შემსწრე გამხადაო.

თავიდან აკი არჩილ ჯორჯაძესაც ეგონა, ბედნიერებას ვეწიე, ტოლსტოვურ ახალშენში მოხვედრა რომ მეღირსაო. რა მარჯვედ, რა კარგად დაწყებულიყო და გრძელდებოდა ყველაფერი, ვიდრე შინაგანი წინააღმდეგობანი თანდათან არ იჩენდა თავს, და თვალსაჩინო და დამაბრკოლებელი არ გახდებოდა ხელოვნურობა, რომლის წამიერი ეფექტიც, გარეგნული მიმზიდველობაც ადრე თუ გვიან გაქრებოდა და, რეალობა რომ შეეხლებოდათ სახეში მკაცრად, კიდეც აიღებდნენ ხელს სამოთხის ამ მიწიერ იმიტაციაზე და ერთმანეთს გამოასწრებდნენ იქიდან.

პირველ ხანებში გულგულის კომუნას ადგილობრივი მთავრობა ხელს არ შეუშლიდა. ალმაცერად რომ უყურებდნენ, ეს განწყო-

ბილება არც დაიმალებოდა და მოახალშენეები წინასწარვეც ივარაუდებდნენ, მაგრამ საყოველთაოდ მოდებული რევოლუციის ტალღები ერთბაშად რომ ჩაწყნარდებოდა და გადაილეკებოდა, ადმინისტრაციაც გამკაცრდებოდა და კომუნის მონაწილეებს შეუტევდა – ეს ჩხრეკაო, ეს დაპატიმრებაო. კომუნართა მოთავეს ხმა მიწვდებოდა, საგუბერნიო მმართველობას გადაუწყვეტია შენი დატუსაღება და საქართველოდან განდევნაო. ივანე კოლელიშვილი დაასწრებდათ და საზღვარგარეთ გაიქცეოდა, ისედაც შევიწროებული და დარბეული გულგულის კომუნა კი სულს დაღაფავდა. და გიორგი ლასხიშვილს ეჭვიც არ შეეპარებოდა, პოლიტიკური დევნა რომ არა, აი, მაშინ გენახათ კოლელიშვილის ახალშენის სიკეთენი და ბედნიერებაო.

თავი ოცდამესამე

ენა – ეროვნული არსების სული

უცნაური ჩანდა, უცნაურიც და გაუგებარიც, რომ ქართველი განათლებული საზოგადოება და ინტელიგენცია, ერთი მხრივ, თითქოს მონდომებული ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვას, მეორე მხრივ, პრაქტიკული მოქმედებით საძირკველსაც კი უთხრიდა ჩვენს ეროვნულ-კულტურულ აღორძინებას.

არადა, მცირე კი არა, ინტელიგენციისა და საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი გახლდათ, რომელიც რუსულად აზროვნებდა, რუსულად წერდა და შემოქმედობდა და მხოლოდ რუსულად კითხულობდა.

ახლა შეამჩნია ეს მოვლენა არჩილ ჯორჯაძემ, 1909 წლის მიწურულს? ახლაღა აღმოაჩინა, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მხურვალედ ირწმუნებოდა: ჩემი მრწამსი ეროვნებაა და ეროვნების სამსახურიო, – ცხოვრებაში უარყოფდა ქართულ ენას, ხელს უშლიდა მწერლობის განვითარებას, ენის გავარჯიშებას და ამით ეროვნულ სულსა ჰკლავდა და ეროვნული ცხოვრების ძარღვს ადუნებდა? ახლაღა აეხილა თვალი იმ განსაცვიფრებელ გარემოებაზე, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში არსებული რუსული პრესის ხელმძღვანელნი, თანამშრომელნი და თითქმის მკითხველნიც უმეტესად ქართველები იყვნენ? ახლაღა დარწმუნებულიყო, რომ ჩვენს ბატონ-პატრონთა პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში გაემარჯვა და ეგაა, რადგანაც მას ძლიერი მეკავშირე გაეჩინა თვით ინტელიგენციის სახით, იმ ინტელიგენციისა, რომელიც ისე გადაგვარებულიყო, რომ ვერ მიმხვდარიყო, რა დამართოდა, და გულწრფელად ეგონა, რომ ხალხის ერთ ნაწილში მშობლიური ენის დახშობა და აღგვა და, ამავე დროს, მთავრობის ვითომდა გაკიცხვა ანტიეროვნული პოლიტიკის გამო სწორედ ის მამულიშვილური მოღვაწეობა გახლდათ, რომელიც ქართველ ხალხს დღეს ასე ესაჭიროებოდა?

დაუკვირდით იმ შესიტყვებებს? –

თითქოს მონდომებულიაო...

ვითომდა გაკიცხვაო...

თუმც მათი გულწრფელობა სჯერა, მაგრამ სულიერი საყრდენების მოშლა ზედაპირულს ხდის მათ გარჯას, ფარისევლობითა და შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსეს, და ისიც ადვილი მოსალოდნელია, რომ პირში მიხლილი სიმართლისათვის შოვინისტობაც კი დასწამონ არჩილ ჯორჯაძესა თუ სხვა ამ შეხედულების ადამიანს, და რუსული მწერლობის მტრადაც გამოიყვანონ.

იქნებ ამ იარლიყებს გაურბოდა აქამდე?

მაგრამ იარლიყებს არ შეუშინდებოდა არჩილი.

და არც ახლაღა აღმოაჩენდა ამ მოვლენას, რომლისთვისაც მავნებელი სენი შეერქმია.

ეგაა, აქამდე ისე მტკივნეულად ვერ განიცდიდა მის მასშტაბსა თუ საშიშროებას, ისე არ გამძაფრდებოდა ქართული ენის მოფრთხილების განცდა, რაკიღა ერთხანს თავს ბრალეულად მიიჩნევდა მის წინაშე – გადავიწყებული ქართული ენის წინაშე, საყველპუროდაც რომ ძლივას ამტვრევდა და კითხვითაც ვეღარ კითხულობდა, თორემ წერას ვიღა ჩივის.

მალე კი აღიდგენდა და გაიკვეთდა მშობლიურ მეტყველებას და თანდათან საუკეთესო სტილისტადაც წარმოდგებოდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ გრძნობდა, ჯერ კიდევ აკლდა მშობლიური ენის სრულყოფილი ცოდნა, აკლდა ენის შინაგანი ბუნებისა და ფარული მუსიკალობის შეგრძნება, რაც წლითი-წლობით, დღითი-დღით მისაღწევი შეიქნებოდა მისთვის და აღტაცებული აყურადებდა სწორედ იმ იდუმალ მელოდიურობას, რაც თურმე ასე ენატრებოდა.

ისტორიულ პირობებს დაეკარგვინებინა მშობლიური ენა მისთვისაც და ყველა იმათთვისაც, რომელთა ენობრივი ცნობიერება ასე გაორებულიყო და თანდათან სულაც რუსულს ემძლავრა მათ გონებაში. და ცოტა არ იყოს გულუბრყვილოდ შეჰყურებდა ასეთი ადამიანების მოზღვავებას – როგორც მე დავაღწიე თავი რუსული ენის მძლავრებას, ისე ესენი დააღწევენ, ეგ არის, ზოგს მეტი დრო დასჭირდება საამისოდ და ზოგსაც ცოტაო.

შემწყნარებლობასაც ამიტომ იჩენდა.

მაგრამ, ერთი მხრივ, ენობრივი განცდის გამძაფრება და, მეორე მხრივ, უფრო რეალისტური თვალით შეხედვა ინტელიგენციის

ამ ნაწილისათვის საკმარისი გამოდგებოდა მკაცრი მუნათის გამოსათქმელად: მაშ რაკი გარემოების ბრალია და ყოველივე გარემოებამ წაახდინა და გარემოების მონები ვართ, საბოლოოდ დავემორჩილოთ ამ გარემოებას და ნუღარ ვფარისევლობთ და ნუღარ ვაჟღერებთ ეროვნულ სიმებსო.

ეს ის ხანაა მისი ცხოვრებისა, როდესაც განსაკუთრებით გაამჟღავნებს შეშფოთებას ქართული ენისა და მწერლობის ბედით, წამდაუწუმ ახსენებს და აგერ „მავნებელი სენით“ წინასწარმეტყველისებურ დოკუმენტს შექმნიდა ამ სატკივრის გასაშიშვლებლად, ქართული ენის უნუგეშო ხვედრი რომ ერქვა და აღარ ეგვიანებოდა – მხოლოდ თვალის დევნება ისედაც სამწუხარო რეალობას, ცხადია, სასიკეთოდ ვერ შემოაბრუნებდა.

ამიტომაც უნდა ჩაჰყოლოდა – თუნდ სამარის კარამდე – ყველა იმ არგუმენტს, რაც რუსულ პრესაში მოღვაწე ქართველებს მოემარჯვებინათ და, თავს იტყუებდნენ თუ სხვათა გაცურებას ლამობდნენ, საკმაოდ მყარი ზღუდე კი ამოეშენებინათ: რუსულ პრესას ქართველებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურადაც და საზოგადოებრივადაც. მხოლოდ ამ პრესის მეოხებით ველაპარაკებით მთავრობას, ვიწონებთ ან ვკიცხავთ მის მოქმედებას და ვაგონებთ ჩვენს საჭიროებას, ხელს ვუწყობთ მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას რუს ინტელიგენციასთან და კავკასიის ერებსაც ერთმანეთთან ვაკავშირებთო.

ყველა ეს საბუთი მომხიბლავად და კეთილშობილურად გამოიყურება, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ამ მყიფე კედელს აგურ-აგურ დაშლიდა: რუსეთის მთავრობასთან ჯერ კიდევ ასი წლის წინათ გავმართეთ ლაპარაკი და ჩვენი ერთგულებისა და მეგობრობის პირობებიც დავუდეთ, მაგრამ პირობებმა ჩაილულის წყალი დალიაო. ქართულ ენას ვიცავდით, საზოგადოებას კი ვავიწყებინებდით ამ ენას, რომელსაც პირველდაწყებითი კლასებისათვის ვიცავდით, სრულუფლებიანი ეროვნული სკოლის შექმნას კი ფიცის მოღალატეობად ვთვლიდითო. ეკლესია გვაფიქრებდა, ავტოკეფალია – არა. ავტოკეფალია ამ რამდენიმე წლის წინათ მოგვაგონდა, მაგრამ დროზე გონს მოვედით და ამოვიღეთ გულიდან უკანონო სურვილიო. ვითხოვდით ერობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, ხანდახან მიწის შესახებად ვლაპარაკობდით, ციფრებით ვამტკიცებდით, რომ საქართველოში მიწის სივიწროვეა და რუსეთის კოლონიზაციას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდესო, მაგრამ ყოველი ამგვარი საჭი-

როების წამოყენებისას არასოდეს გვავიწყდებოდა მოგვეგონებინა ძლიერთა საყურადღებოდ, რომ ერთგულნი ვართ, ნამსახურნი და ღირსნი წყალობისაო. მწყალობელი კი წყალობას არ იმეტებდა და არც სკოლას, არც ეკლესიასა და არც მიწას არა ეშველა რა და ისევ ღარიბნი ვართ და უსწავლელნი, როგორც წინათ, ხოლო, ამასთან, უფრო დამცირებულნი და შეურაცხყოფილნიო.

ესეც ის სარკე, სადაც თვალნათლივ უნდა ამოეკითხათ, რომ რუსულ პრესას, სადაც ქართველები ცდილობდნენ საკუთარ ინტერესთა დაცვას ძალმომრევი პოლიტიკისაგან, არავითარი გავლენა არა ჰქონია მთავრობის პოლიტიკაზე, ამ პოლიტიკის სისტემის შეცვლაზე ჩვენს ქვეყანაში. ის კი არა, ბოლო ოცდაათ წელიწადში ამ სისტემას სიმტკიცე შეეძინა და სწორედ იმჟამად ისახებოდა მთავრობის წრეებში მოქმედების შეგნებულად შემუშავებული პროგრამა. წაეკითხათ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის უქვეშევრდომილესი მოხსენება და საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ.

რაკილა თვითმმართველობას თავისი ლოგიკა და ფილოსოფია ჰქონია და ექნება, ეს ფილოსოფია მხოლოდ ძალას უწევდა ანგარიშს, და რასაც ძალა არ გააჩნდა, რბილ ფაფასავით ჭყლეტდა თავის კლანჭებში.

და ხალხს ისეთი შთაბეჭდილება შექმნოდა, რომ ასე მხოლოდ მონარქიული თვითმმართველობა იქცეოდა?

თურმე არა:

– ხშირად დემოკრატიული წარმომადგენლობაც კი.

როგორ გასტეხია გული დემოკრატიაზე.

რისი თავგამოდებული მომხრეც გახლდათ, თანდათან საბურველმოხდილს იხილავდა და შეზარავდა მისი ნამდვილი ბუნების ამოცნობა – ცხვრის ტყავში გახვეული მგლისა, მიხეილ ჯავახიშვილი მოგვიანებით სხვა სიმბოლიკას რომ მიუმარჯვებდა: ფისუნიას ტყავში გამოხვეული ვეფხვის.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნუ გვეგონება, რომ რუსეთისათვის სხვა კანონები დაწესებულა ისტორიის მიერო, – ამ შეგონებით დაბოლოვდებოდა ეს პასაჟი, რათა მეორე საბუთი გაესინჯა გულდასმით – რუსეთის ინტელიგენციასთან დაახლოება და მისთვის ჩვენი თავისა და ვინაობის გაცნობა.

ეს ხომ ეროვნული ნიჰილიზმის გამოვლენა გახლდათ და სხვა არაფერი, როდესაც ერი, ასურეთ-ბაბილონის მომსწრე და ახლა ტელეგრაფისა და ელექტრონის ხანამდე მოღწეული, ოცდაათი სა-

უკუნის ისტორიას რომ მოჰყვებოდა გულდაჯერებით; ახლა რუს ინტელიგენციას ევედრებოდა: ჩვენც ვარსებობთ და ოღონდაც შეგვამჩნიეთო.

ბობჩინსკები ვართო თუ ვინა ვართო, – წყრებოდა არჩილ ჯორჯაძე, რომ ეს ოცდაათი საუკუნის ისტორია სადღაც ჩაყლაპულიყო, და ჩაყლაპულიყო არამცთუ სხვებისათვის, თვით ჩვენთვისაც კი და წარსულთან ძაფები გაგვწყვეტოდა. რუსებისათვის რა უნდა გაგვეგონებინა,როდესაც ჩვენი ისტორია, კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება ჩვენთვისაც სრულიად უცნობი დარჩენილიყო. მაგრამ ძალიანაც სწავლულნი რომ ვყოფილიყავით, რუსის ინტელიგენციას როგორ გავაცნობდით, როდესაც ეს ინტელიგენცია ჩვენგან შორს იმყოფებოდა, ჩვენს გაზეთებს არა კითხულობდა, კავკასიაში კი ინტელიგენციას ცვლიდნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი, რომელთაგან უფრო ნიჭიერნი თავისიანებს უბრუნდებოდნენ და პეტერბურგსა და მოსკოვში ამიტომაც გაბევრებულიყვნენ ისეთი გამოჩენილი პირნი, რომელთაც თავიანთი ბავშვობა და ხშირად ყმაწვილკაცობაც აქ გაეტარებინოთ.

ის კიდევ ცალკე, ამ გაზეთებსა და პუბლიკაციებს ფლიდობის ელფერი რომ დაჰკრავდა და გულწრფელობის ნიშანწყალიც არ ეცხო, თორემ როგორ შეიძლებოდა ტყავგადაყვლეფილ ადამიანს ეძახა: არა მტკივა, სასიამოვნოც არის, ვენაცვალე იმას, ვინც გამატყავა და გამძარცვაო.

რა ხდებოდა, რისთვის ირჯებოდნენ ქართველი მოღვაწენი? რატომ ხარჯავდნენ ამ უმადურ საქმეზე ამხელა ჯანს, ენერგიასა და ფულს?

ნუ გაირჯებოდა ნურავინ ამ შეკითხვებისათვის პასუხის გასაცემად. მათი რიტორიკული შინაარსი ისედაც ყველაზე უკეთ გულისხმობდა პასუხსაც.

მაგრამ ერთ რეალიას მაინც გამოჰკვეთდა, სატკივრის კიდევ უფრო გასამძაფრებლად.

მაინც ვის გემოვნებასა და მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა რუსული გაზეთები?

ვისი და – ქართველი საზოგადოების გადაგვარებული ნაწილის, რომელთაც ხიბლავდა პატრიოტული თემები. გულში რაღაც ნაშთი დარჩენოდათ, მემკვიდრეობით გადმოცემული, მაგრამ გაბედულად და მკაფიოდ შეხედულების გამოხატვას კი გაურბოდნენ, შეცვლილი სულიერი ყოფა საკმაო ენერგიას არ იძლეოდა მოქალაქე-

ობრივი გაბედულებისათვის და... როგორიც მკითხველი იყო, გაზეთიც ისეთი გახლდათ.

რუსულად ის პიროვნებანიც რომ წერდნენ, რომელთაც ქართულ მწერლობაში დიდი ღვაწლი მიუძღოდათ?

პირადად არავის წყენა არ მინდაო, – დასძენდა, რადგანაც გამჭვირვალე მინიშნება ყველას თვალწინ დაუყენებდა, ვთქვათ, ნიკო ნიკოლაძის სახებას, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა თქმულიყო და იმ საზოგადოებრივ მოვლენას, რომელიც თანდათან მავნე სენის ხასიათს ღებულობდა, თავისი სახელი დარქმეოდა:

– მე მაქვს სახეში ის ცრუ აზრი, ვითომ პირველი საქმე და მოვალეობა ჩვენი იმაში კი არ იყოს, მთელი ჩვენი ძალღონე ეროვნულ ძალთა ორგანიზაციას მოვახმაროთ, არამედ იმაში, რომ ვიღაცა რაღაცაში დავარწმუნოთ და ჩვენსკენ გული მოვუბრუნოთ. ეს აზრი ისეა გამჯდარი ჩვენს ინტელიგენტთა წრეებში, რომ ხშირად ქართველი მწერლებიც კი სტოვებენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს და რუსულ პრესაში აქვეყნებენ თავიანთ გულის კვეთებას. ამგვარი სულიერი განწყობილება ჩვენი ინტელიგენციისა მისს უძლურებას მოასწავებს და ხალხთან ძაფების გაწყვეტას.

არადა, ვისაც სამსახური და შრომა ეწადა, ასპარეზი დიდი გახლდათ. თუ ერის ინტერესი აფიქრებდათ და აღონებდათ, რატომ არა ფიქრობდნენ, რომ თავი და თავი ძალა ერისა მის ძალთა შეგროვებასა და კონცენტრაციაში იყო? და თუ ეროვნული კულტურის აყვავებაზე ზრუნავდნენ, რატომ ავიწყდებოდათ, რომ კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელი ყოფილა ყველგან და ყოველთვის. ენა რა – მარტო იარაღი ეგონათ გრძნობისა და აზრის გადმოსაცემად?

ენა სულია ეროვნული არსებისა, ხალხის ფსიქიკაზე განწყობილების მაჩვენებელიო, – უმწეო მოსაზრებას ღრმა სენტენციას შეაგებებდა არჩილ ჯორჯაძე და ისედაც მკაცრ ტირადას მრისხანედ დააბოლოვებდა: თქვენ ხალხს ამ ენას ართმევთ და ავიწყებინებთ, რადგან ცდილობთ, რაც შეიძლება მეტად და ფართოდ გაავრცელოთ თქვენი ფურცლები ქართულ სინამდვილეში. და ამიტომ შეუგნებლად თუ შეგნებულად თქვენა ხართ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ორმოს მთხრელნი. და ნუ დაგვემდურებით, თუ ისე მოგექცევით, როგორც შეგფერითო.

გახსოვთ, ცხადია, მაგრამ დაე ამ ფონზე კიდევ ერთხელ განმეორდეს ის ფრაზები, არჩილ ჯორჯაძე საქართველოსა და ქართული

კულტურისათვის საბოლოოდ დაკარგულ კაცად რომ მოჩანდა გარშემომყოფთა თვალში, მოჭოჭმანედაც კი აღარ, ჰა, დავწყვიტო ყველა ძაფი უკლებლივ თუ ზოგიერთი მაინც შევინარჩუნოო.

სამსონ ფირცხალავა სწორედ ამას არ ირწმუნებოდა?

– გვეგონა, რომ იგი სამუდამოდ მოწყდა ჩვენს ცხოვრებას და დაიკარგა სამშობლო ქვეყნისათვის.

თედო სახოკიას სიტყვებიდან კი განა სხვა შთაბეჭდილება დარჩება?

– არჩილი მაშინ ეკუთვნოდა ქართული საზოგადოების იმ წრეს, რომელსაც რუსულად ნასწავლ-აღზრდილს, ქართული ფიზიონომია დაკარგული ჰქონდა და თვით საქართველოს პოლიტიკურ კალოს გალეწილად სთვლიდა.

სამშობლოსათვის ზრუნვა, ქართველი ხალხის აღდგენისათვის ფიქრი მოცლილი ადამიანის საქმეაო, – თავიც დაერწმუნებინა არჩილს და უკვირდა, გონიერი და შემძლე პიროვნებანი რატომ გამოსდევნებოდნენ ამ წინასწარვე ფუჭად განწირულ საქმეს. ასე როგორ ჰკლავდათ მოცლილობა, რომ ქართველთა ვინაობის გაცნობიერება დაესახათ მიზნად.

რამხელა გზა გამოევლო ერთი კიდიდან მეორე კიდემდე და გადაგვარებულ თვისტომთ რომ არა პატიობდა ფესვების ამოკვეთასა თუ ფარისევლურ თამაშს ისტორიასთან, მკაცრი მუნათით იმ არჩილ ჯორჯაძესაც ძრახავდა ქვეშეცნეულად, ტოლსტოველობასა და კოსმოპოლიტურ თეორია-იდეებში რომ ჩაფლულიყო თხემით ტერფამდე და ამ მართლაც ფუჭ საქმეს ახარჯავდა ნიჭსაც, ენერგიასაც, დროსაც.

განსაკუთრებით დრო ენანებოდა, ასე ელვის სისწრაფით ჩაფშვნილი ხელში, ყელს შემოჭდომოდა მისი ულმობელი წიკწიკი და ლამის ვეღარაფერი მოესწრო. გვერდით რჩებოდა ათასგვარი განზრახვანი და ლამის ხელი ჩაექნია და ნებისყოფაგამოცლილი მინდობოდა ბედს – ჩათრევისათვის ჩაყოლა ემჯობინებინა. მაინც სულ წოლა უხდებოდა, მაინც სული კბილით ეჭირა... მაგრამ სიკვდილის მოახლოებული სუნთქვა უჩვეულო ძალას აგრძნობინებდა ასე უცნაურად და მოულოდნელად, და ისეთი სიმტკიცით შეიმართებოდა, თითქოს ანტიკური გმირი შესჭიდებია ბედისწერასო.

და შეივსებოდა საუკეთესო ფურცლები.

XIX საუკუნის ცხოვრების საზოგადოებრივ-ლიტერატურული ქრონიკებიც წაეწყობოდა ერთმანეთს და... სიკვდილ-სიცოცხლის

იდუმალებას შეჭიდებულს – და წუთისოფლის სხვა იგავებსაც – ისე კანთიელად ამოესახებოდა თვალწინ წისქვილის გარემო... მართლა აქ მოხვედრილიყო თუ ალფონს დოდეს ნოველების გმირს გაიგივებოდა, პროვანსის მშვენიერების გაქრობის უნებურ მონაწილედ ეგრძნო თავი და ველარც გაერჩია, ცხადში ხდებოდა ეს ყოველივე თუ ზმანებაში?

მძაფრი წარმოსახვა ანკი როდის გაარჩევს მკაფიოდ რეალობასა და სიზმარეთს.

აჩხრიალდებოდა წყლის ნაკადი.

არაკუნდებოდა სარეკელა.

იტრიალებდა დოლაბი და... ფქვილის მარცვლებს ჩამოჰყვებოდა წუთისოფლის გამოცანებიც.

თავი ოცდამეოთხე

რბევა

1910 წელს ხელს რომ მოხვევდნენ ფედერალისტების პარტიას და წინამძღოლებს ციხეში გამოამწყვდევდნენ, სამსონ ფირცხალავა გაიხსენებს: ყველაზე ძალიან ის გვაწუხებდა, ვაითუ არჩილიც დაატუსაღონ და მოუსწრაფონ სიცოცხლე, მაგრამ რაღაც სასწაულით ხელი არ ახლეს სამარის კარზე მდგომს და თავისუფლად დატოვესო.

გერონტი ქიქოძე არჩილის გადარჩენას რაღაც სასწაულით კი არა, სწორედ მისი მძიმე სნეულებით ხსნის და ასეც უნდა იყოს – ჟანდარმერია და ხელისუფლება უთუოდ მოერიდა ასე აშკარა მკვლელობას. გარეთაც კი, მოვლა-მზრუნველობის პირობებში, ორიოდ წელიწადი დარჩენოდა და მეტეხის ციხის საკანს ორ-სამ დღეზე მეტს ვერც აიტანდა. სამსონ ფირცხალავასათვის ეს მაინც სასწაულია – ისე ნაკლებ სჯერა ხელისუფლება – ჟანდარმერიის გულმოწყალებისა და თუნდ სიფრთხილის, ურჩევნია რაღაც სხვა მიზეზები ეძიოს და, თუ ვერ იპოვნა, სასწაული აღიაროს, ვიდრე არჩილის სნეულება იგულისხმოს მისი გადარჩენის მოტივად.

პირადად უკვე გაცნობოდა გერონტი ქიქოძე ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგს.

გაზაფხულზე სტუმრებოდა ამჟამინდელი ილია ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში და წინ შემოეგებებოდა დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი, რომელსაც ცალი ხელი მოჭრილი ჰქონდა და პროტეზს ხელთათმანი უფარავდა.

დაახლოებითი განსაზღვრება რად გვინდა – ზუსტად ოცდათვრამეტი წლისაა.

– ის ძალიან გამხდარი იყო, ტუბერკულოზის უკანასკნელ სტადიაში იმყოფებოდა და თითქოს სულიერ ძალებს იკრეფდა, რათა თავისი სიტყვა ეთქვა, არა მარტო თავისი სამშობლოს ბედზე, არამედ სიცოცხლისა და სიკვდილის ამოცანებზეც. როგორც ეტყობო-

და, მას ძალიან მგრძნობიარე გული ჰქონდა. მისი მოსაუბრე ძალიან დაძაბული უნდა ყოფილიყო.

დაძაბული არა იმიტომ, არ გაგვინაწყენდესო.

წყენას გულშივე ჩაიკლავდა და მოსაუბრეს არაფერს აგრძნობინებდა. ეგაა, ადვილად ხვდებოდა ყველა სიტყვა თუ შეფარული ნიუანსი გულზე – ისედაც მგრძნობიარეზე, დაბადებიდანვე, და დების ტრაგიკული აღსასრული კიდევ უფრო მთრთოლვარეს გახდიდა, მერე ის დახეიბრება, მერე ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჭიდილის შუაგულში მოქცევა, მერე ეს ემიგრანტობა და კონსპირაციული ცხოვრება, მერე ეს დამთრგუნველი სენი ხუთი წლის წინათ უკვე გამოტირებული რომ ჰყავდათ.

კიდევ როგორ ინარჩუნებდა თავშეკავებას.

რა მოხდა, თუ თანამოსაუბრე დაძაბული იქნებოდა, თუნდაც ძალიან – უნებურად ისეთი არაფერი წამომცდესო.

ემიგრანტის გული იფერფლება ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურაში.

არჩილ ჯორჯაძისა – სხეული იფერფლებოდა და გული რჩებოდა, თითქოს პერსი ბიში შელის ბედისწერას იმეორებსო.

ამ გულს შეჰყურებს გერონტი ქიქოძე იდუმალი მზერით.

გარეგნულად სხვა რა – საუბრობენ.

და ვიღაც მოხედნილად ჩაცმული, მიმზიდველი გარეგნობის შუახნის მამაკაცი უნდა შემოესწროთ და იგი გიორგი ლასხიშვილი უნდა აღმოჩნდეს, ვისი სახელიც და საქმენიც გერონტის მანამდეც სმენოდა, ოღონდ აქ პირველად გამოეცნაურებოდა. საქმენი – სტუდენტობისდროინდელ მღელვარებებში მონაწილეობა და რამდენიმეწლიანი ციმბირის კატორღა, მისი ჟურნალისტობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შექმნის მოთავეობა. მის პიროვნულ თვისებებზეც გაეგონა და მერე და მერე უფრო დარწმუნდებოდა, თუ რაოდენ თავმდაბლად აფასებდა გიორგი ლასხიშვილი თავის ლიტერატურულსა და პოლიტიკურ მოღვაწეობას.

– თავისი გულთბილობით, გონებამახვილობით და ტაქტით იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც უფრო საზოგადოების სამკაულს წარმოადგენენ, ვიდრე მწერლობის და პოლიტიკური ტრიბუნისა. და მას საზოგადოებაში მეტი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, ვიდრე ბევრ მასზე უფრო გამოჩენილ მწერალს და პოლიტიკურ მოღვაწეს.

საზოგადოების მხრივ განსაკუთრებული სიყვარულისა და პატივისცემის ხსენება არ არის სასხვათაშორისო ნათქვამი, ის, რაც საბჭოურ ეპოქაში ლიტონ, არაფრისმთქმელ სიტყვებად, გაყინულ კლიშე-ფორმულად დამკვიდრდებოდა, იმჟამად და იმ პიროვნებისაგან წრფელი და ზუსტი შეფასებაა და გვიმჟღავნებს იმ განწყობილებას, რომ გიორგი ლასხიშვილი არავის თვალში არა ყოფილა პარტიული მოვლენა, ერთი რომელიმე გუნდის, გნებავთ ფენისა თუ თაობის კუთვნილება.

ამიტომაც:

დიდად აფასებდა რევოლუციონერთა პირველ თაობად აღიარებულ პოლიტიკოსთა გუნდი.

მოწონებით და იმედით შეგებებოდა ილია ჭავჭავაძე.

მეთაური შექმნილიყო ცნობისფურცლელთა ჯგუფისა, და არჩილ ჯორჯაძისა თუ გიორგი დეკანოზიშვილისათვის სანიმუშოდ გამოიყურებოდა მის მიერ გამოვლილი გზაც და მომავალ მღელვარებებშიც უპირველესად მისი ეიმედებოდათ.

უმცროსი თანამოაზრეების თვალში სულაც გაიდეალებულიყო.

გერონტი ქიქოძემ აგერ: საზოგადოების სამკაულიო.

მიხეილ ჯავახიშვილი კი 30-იანი წლების „უბის წიგნაკში“ ჩაინიშნავდა:

– გიორგი ლასხიშვილი რომ 1000 წლით უფრო ადრე დაბადებულიყო, წმინდანობა არ ასცდებოდა.

უფრო სხარტი და ტევადი შეფასება რა უნდა იყოს პიროვნების ფსიქოლოგიურ-სულიერი აღნაგობის თუ მისი ცხოვრების ფილოსოფიისა.

ეს რა ბედი მქონიაო, – გაუელვებდა გერონტი ქიქოძეს, – ერთდროულად ორი ამხელა პიროვნება... ნეტა ეს დრო არ გარბოდეს ასე სწრაფადო.

ძვირფას წუთებს მაინც გამოგლეჯდნენ.

საუბრობენ გულთბილად, ისე შეეწყობიან ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები არიანო – გერონტიც მათთან ისევე, როგორც ის ორნი ურთიერთთან, და რას წარმოიდგენენ, რომ დიდი ხანი არ გაივლის, რაც გერონტი ქიქოძე და გიორგი ლასხიშვილი მეტეხის ციხეში შეხვდებიან ერთმანეთს. სულიერების სავანიდან ასე მოულოდნელად გადაინაცვლებენ სულისშემხუთავ გარემოში.

თუმც რაღა მოულოდნელად – ხელისუფლება ამკაცრებდა რეჟიმს, პირველი რევოლუციის ჟამს მობოშებული რკინის სალტეები

ნელნელა ძველებურად ეჭირებოდა და ძველებურზე უფრო მტკივნეულადაც.

ჯერ გამოცალკევებიან მთელ სამყაროს და ათას თემას გადაწვდება მათი მუსაიფის მდინარება.

ნეტა ალფონს დოდეც თუ ახსენეს, სიტყვას თუ მოჰყვა მის სახელი, ან ტარტარენ ტარასკონელის, ან კაცუნასი, ან ნოველების იმ განთქმული ციკლისა, თითქოსდა წისქვილის დოლაბის ბრუნვატრიალს რომ ამოსდევდა და მწვავე დრამატიზმი პირადი ბარათების ფაქიზ ინტიმში გაეხვეოდა?!.

რა გასაკვირია, სიტყვას რომ მოჰყოლოდა დოდეს სახელი ან მისი პერსონაჟებისა.

ორივეს უყვარდა ალფონს დოდეც და მისი წიგნების დროდადრო გადაკითხვაც, განსაკუთრებით ნოველების კრებულისა „წერილები ჩემი წისქვილიდან“, რიღაცით ქართულ სინამდვილეს რომ ახსენებდათ და მშობლიურის განცდასაც ამიტომ უტოვებდათ. ოღონდ რას იფიქრებდნენ, ამ წიგნს ასე თუ გადაეჯაჭვებოდა მათი ბიოგრაფია და ერთმანეთთან სულიერი სიახლოვეც უფრო გაუღრმავდებოდათ.

ერთი მის ქარგაზე ამოახვევდა თავისი სიცოცხლის მიმწუხრის ყველაზე მღელვარე განცდებს, ბოლომდე გადახსნილ ტკივილებსა და წუთისოფლისა და საწუთროსიქითა სამყაროს იდუმალების შეცნობის გაათკეცებულ ჟინს.

მეორე მის ქართულ ორეულს შექმნიდა, ახალ სულს ჩაუდგამდა და იმ მომხიბლავი ენით აამეტყველებდა, რა სტილურ მანერასაც მოიმარჯვებდა ალფონს დოდე, ქართველი რომ ყოფილიყო.

თარგმანის შეფასების საზომი ეს გახლდათ გერონტი ქიქოძისათვის – მკითხველს აუცილებლად ის განცდა უნდა გასჩენოდა, უცხოურს კი არა, ქართულ თხზულებას ვეცნობი და მოქმედება მხატვრული მოსაზრებითაა გადატანილი შორეულ გარემოშიო. ქართველია ავტორი, უეცარი შთაბეჭდილებით ასეც უნდა მოსჩვენებოდა, და როდესაც გარეკანს კვლავ დახედავდა წიგნის ჩამთავრების შემდეგ, გულწრფელად ეღიარებინა, მხოლოდ ამ ენობრივი სტილით დაწერდა, ქართველი რომ იყოსო.

მარტოდენ თეორიულ დებულებად არ მოემარჯვებინა შეფასების ეს საზომი.

საკუთარი თარგმანები წარედგინა მკითხველისათვის ამ შეხედულების თვალსაჩინო ნიმუშად, და კიდევ – მთარგმნელთა ახალი

თაობისათვის, რათა გაეთვალისწინებინათ საუკეთესო ოსტატის გამოცდილება.

ვინ გაიზიარებდა ამ შეხედულებას, ვინ საკამათოდ მიიჩნევდა და არგუმენტების ძიებას დაიწყებდა მის დასარღვევად, მაგრამ გულგრილად ვერავინ მოეპყრობოდა, რაკიღა გერონტი ქიქოძის გულსა და გონებაში გამოვლილიყო; და ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან“ ამ მხრივაც მნიშვნელოვან ლიტერატურულ-კულტურულ მოვლენად გამოჩნდებოდა ჩვენს სინამდვილეში, თუ რაოდენ ზუსტად ადასტურებდა ნოველათა ეს წყებაც მთარგმნელის ესთეტიკურ მრწამსს.

ეს საუკეთესო ქართული მაინც როდის და სად შეესწავლა ალფონს დოდეს?

ქართულად ალაპარაკებდა გერონტი ქიქოძე და მთარგმნელობითი ხელოვნების ამ მიღწევით ვალს მოიხდიდა ფრანგი მწერლის წინაშე, და კიდევ... არჩილ ჯორჯაძის წინაშე.

სულ ცოტა ხანი დარჩენილიყო, ვიდრე იტრიაში ურჩევდნენ სულის მოთქმას – ძალიან გიშველის იქაური ჰავაო, და მეწისქვილის სახლში ჰპოვებდა იმ სიმყუდროვეს, რომელსაც თვითონ წისქვილზე გადაცვლიდა.

გადაცვლიდა და... ალფონს დოდეს სამყაროში ამოჰყოფდა თავს კიდევ ერთხელ.

აუცხადდებოდა მხატვრული რეალობა.

თუ სიზმარი შეიძლება აცხადდეს, მხატვრულმა რეალობამ მითუფრო არ უნდა დაიმკვიდროს ხოლმე თავისი ადგილი ყოფით სინამდვილეშიც?

მთავარია, მისი აცხადება მხედველობიდან არ გამოგვრჩეს.

აკი ბაჭიებსაც ამიტომ განაცვიფრებდა და მიმოფანტავდა.

აკი ბებერ, პირქუშ ჭოტსაც დიდად ამიტომაც გააკვირვებდა.

მის თვალწინაც იბრუნებდა წყლის ნაკადი, არაკუნდებოდა სარეკელა, ტრიალებდა დოლაბი და ნიავს მიეცემოდა ფიქრიც მისი შავად მღელვარი, თანდათან გარდაქმნილი „წერილებად იტრიის წისქვილიდან“ და ასე ნაადრევად შემწყდარი, კომპოზიციური ქარგა სულ რომ ვერ ამოეხვეოდა, არამცთუ მარჯვედ – მისი ფრანგი წინამორბედივით.

ასე გაგვიმშობლიურებდა არჩილ ჯორჯაძე პროვანსული სულით გაჟღენთილ ნოველებს, ქართლის ლარნაკში ჩარგავდა ამ სევდიანსა და კეთილ ყვავილებს, და შუაზე გაწყვეტილი სიტყვა აუცი-

ლებლად რომ ითხოვდა შესაფერის გაგრძელებასა და დაგვირგვინებას, გერონტი ქიქოძე სწორედ ამას ითავებდა და საბაბად კი ის გამოუჩნდებოდა, ალფონს დოდეს დაბადების ასი წლისთავი რომ ახლოვდებოდა – 1940 წელს. ბარემ საქართველოდანაც მოჰყოლოდა ექო პარიზიდან დაძრულ ტალღას, ექოდ კი – „წერილები ჩემი წისქვილიდან“ ქართულ სამოსელში.

თბილისში არ ჩაუჯდებოდა ნოველათა ამ რკალის გადმოქართულებას, ქვიშხეთისათვის შემოინახავდა, თბილისურ თაკარას რომ გაეცლებოდა და დიმიტრი ყიფიანის მშობლიურ გარემოში დაიამებდა სულს და მხოლოდ საკუთარ საქმეს მიეცემოდა.

დაწყებითაც არ დაიწყებდა მანამდე.

თავიდან ბოლომდე იქ უნდა ამეტყველებულიყო, ქვიშხეთში – აუცილებლად ერთი შეტევით.

და ვახტანგ ჭელიძე მის ასეთ განზრახვას იმით ახსნიდა:

თარგმანის ენობრივ სტილს ამ სოფლის განუმეორებელი რომანტიკა რომ დატყობოდა, მისი ეშხი და მადლიო.

ცხადია, ასეცაა, ახალი თაობის საუკეთესო მთარგმნელსა და გერონტი ქიქოძის კვალის უშუალო გამგრძელებელს არ შეეშლებოდა ამ მოვლენის შეფასება თუ მისი თავისებურების ზუსტი განსაზღვრა. და მაინც, ეს ორი მოტივია, ერთი ნიშანი, უფრო მთავარი კი ის უნდა იყოს, რომ ქვიშხეთიდან იტრია ორი ნაბიჯის სავალზეა, ერთი სინამდვილის ორი კუთხე-კუნჭულია და რაღა ქვიშხეთის განუმეორებელი რომანტიკა შეგინარჩუნებია, მისი ეშხი და მადლი, და რაღა იტრიისა.

არჩილ ჯორჯაძის ის შავად მღელვარე ფიქრი აქაც ტრიალებდა, ქვიშხეთის სანახებში, და ამრთელებდა გერონტი ქიქოძე ბედისწერის ჟინიანობით გაწყვეტილ სიტყვას.

ექო პროვანსისა და ექო... იტრიის.

ესეც დოდეს ნოველების ქართული ორეული.

ჯერ კი... ჯერ ყოველ გამოთქმასა თუ ფრაზას წონის არჩილ ჯორჯაძესთან საუბრისას, დაძაბულია, ასე მგრძნობიარე გულს უნებურად ჩხვლეტა არ მივაყენოო, და ძალიან გაიხარებს, გიორგი ლასხიშვილი რომ შემოესწრება, ეს გამიადვილებს თუ გამიადვილებს ლაპარაკსო.

ნეტა საუბრის ხვეულმა სადმე დოდეს სახელიც თუ წამოატივტივა?

მეტეხის ციხეში კი ჯერ გიორგი ლასხიშვილი უნდა მოხვედრილიყო.

რევოლუციის ლიკვიდაციის სახელით მონათლულ ლაშქრობას – მთელს იმპერიაში მოდებულ პოლიტიკურ საქმეთა გარჩევასა და უამრავი ადამიანის გადასახლება-დახვრეტას – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სათავეც როგორ გადაურჩებოდა: ტფილისისა და მთავარი კომიტეტები.

დაუსრულებელი პროცესები რომ დაიწყებოდა, ეგრეთწოდებული რესპუბლიკების – გურიის, შორაპნის, სოხუმის, ზუგდიდის, ლეჩხუმისა და კიდევ არაერთი, ამათაც მოადგებოდნენ – ტფილისელებს.

30 აპრილს ილია აღლაძეს ესტუმრებოდა გიორგი ლასხიშვილი და უეცრად კოკისპირული წვიმა რომ დასცხებდა და თითქმის სამ საათს გასტანდა, გიორგიც და კიდევ ორი სტუმარიც იმის ოჯახში შერჩებოდნენ – ამხელა ნიაღვრები როგორ გავტოპოთო. და ღამის ორ საათზე რომ დააპირებდნენ სახლებში წასვლა-წამოსვლას, კარზე გაბმულად აწკრიალდებოდა ზარი და ოთახში პოლიციელები და ჟანდარმები შემოლაგდებოდნენ. ჩხრეკა დილამდე გასტანდა, მასპინძელს დაატუსაღებდნენ, სტუმრებს კი ოქმზე მოაწერინებდნენ ხელს და გამოუშვებდნენ.

ესეც თუ გამოშვებად ითქმის.

შინ დაბრუნებულ გიორგის ბინა აწიოკებული დახვდებოდა და ოჯახი შეშინებული. იმ ღამით ჟანდარმები მასთანაც ყოფილან... ვერა, ვერ გადარჩებოდა – ცოტა ხანში პოლიცია წამოადგებოდა თავს, დააპატიმრებდნენ და ჟანდარმთა სამმართველოში მიყვანისთანავე, პეტრე დიდის ქუჩაზე, სარდაფში დაამწყვდევდნენ.

სარდაფის კარი გაიღებოდა და ორ კაცს ჩაგზავნიდნენ.

ერთი მაღალ-მაღალი იყო, შავ სერთუკში გამოწყობილი და თავზე პატარა ცილინდრიანი.

დამხვდურს უცხოელი ეგონებოდა.

უკან ტანმორჩილი ახალგაზრდა მოსდევდა, ჟანდარმებს აგინებდა და რაღაცას ეკითხებოდა მაღალს, რომელიც ცოტა ხანში გიორგის მიუახლოვდებოდა და პაპიროსის მოკიდებას სთხოვდა. როდესაც მისკენ დაიხრებოდა, მხოლოდ მაშინ იცნობდა – შალვა ამირეჯიბიაო. მაგრამ ხმას არ გასცემდა. ნახევარი საათი რომ გავიდოდა, სარდაფის კარი კვლავ გაიღებოდა და ახალგაზრდობას ზევით გაიწვევდნენ. მარტო რომ დაიგულებდნენ თავს, შალვა ამცნობდა: ეს ვიღაც ჯაშუში ამადევნეს ალბათ იმის გასაგებად, ჩვენ

ერთმანეთს როგორ შევხვდებითო. მისგანვე შეიტყობდა, რომ ბევრი მისი თანამოაზრე დაეტუსაღებინათ იმ ღამეს.

– სამსონ ფირცხალავას მოვკარი თვალი, მიხეილ ადამაშვილსაც, შაქრო ბილანიშვილსაც, სხვებსაცო, – შალვამ.

ნაშუადღევის სამ საათზე სამმართველოში ამოიყვანდნენ გიორგი ლასხიშვილს, სურათს გადაუღებდნენ, თითებს აღბეჭდ-გაზომავდნენ... მერე ჟანდარმერიის პოლკოვნიკის კაბინეტში შეიყვანდნენ. დამხვდური თავაზიანად შეეგებებოდა, სავარძელზე მიუთითებდა და დაკითხვაც დაიწყებოდა:

– თქვენ სოციალ-ფედერალისტური პარტიის კომიტეტის წევრი ბრძანდებით.

– არასოდეს პარტიის წევრი არ ვყოფილვარ.

– ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს ამის შესახებ და უარის თქმა მხოლოდ გააუარესებს თქვენს მდგომარეობას.

არ გამოტყდებოდა გიორგი ლასხიშვილი, დაიჟინებდა: პარტიაში არა ვარ, მხოლოდ თანავუგრძნობდი საქართველოს ავტონომიის იდეას, პარტიამაც რომ წამოაყენა, და გაზეთში ლეგალურად ვწერდი ამის თაობაზეო.

დაკითხვის შემდეგ მეტეხის ციხეში რომ გაგზავნიდნენ, იქ შეიტყობდა, რომ თითქმის მთელი მთავარი კომიტეტი, რედაქციის წევრები და პარტიის სხვა წევრებიც დაეტუსაღებინათ. დაეპატიმრებინათ არაპარტიულნიც, თანამგრძნობნი და რედაქციაში მომუშავენი.

ჯერ ახალ შენობაში მიუჩენდნენ ადგილს. და დაკითხვაზე ხელახლა მიყვანილს ძველ საქმესაც გაუხსენებდნენ, როგორ იყო ნაროდოვოლცების პარტიაში რომ ირიცხებოდი, როგორ იყო, ციმბირი რომ მოიარეო... მეტს აღარც მას გამოიძახებდნენ და მის თანამოაზრეთაც თითოჯერ დაჰკითხავდნენ. ასე მოათავებდნენ საქმეს გამოუძიებლად, მხოლოდ აგენტებისა და პროვოკატორთა ცნობებზე დაყრდნობით.

მეტი არც არაფერი სჭირდებოდათ.

ერთი თვის შემდეგ ძველ კორპუსში გადაიყვანდნენ, მეორე სართულზე, ფანჯრები ეზოს რომ გადმოჰყურებდა. იქ ბევრი თავისიანი დახვდებოდა – გიგო რცხილაძეო, სამსონ ფირცხალავაო, ექიმი ალექსანდრე მაღალაშვილი, ილია აღლაძეო, ალექსანდრე ჯაბადარიო, მიხეილ ადამაშვილიო, სანდრო გრძელიშვილიო, ქაიხოსრო ქავთარაძეო, ესტატე ავალიშვილიო, მიშა ხუციშვილიო, გელიაძეო...

ხან ვინ იტყოდა და ხან ვინ – კიდევ კარგი არჩილ ჯორჯაძე გადაურჩათო.

და თუ ვინმე ეჭვს გამოთქვამდა, ვაითუ მაინც მოკიდონ ხელიო, სანუგეშებლად ის რჩებოდათ, რომ ყველა სოციალისტ-ფედერალისტი ერთბაშად წამოეკრიფათ და, თუ დატუსაღება იყო, არჩილიც უკვე მათ გვერდით უნდა ყოფილიყო – სულამომდინარი.

სოციალ-დემოკრატები მათ სართულზეც ბლომად იყვნენ და მოპირდაპირე კორპუსშიც, სადაც ნოე ჟორდენიაც გამოეკეტათ.

– ციხეში მაშინ მკაცრი რეჟიმი სუფევდა, კამერები მუდამ დაკეტილი იყო; დღეში ერთჯერ გამოგვიყვანდნენ ეზოში სასეირნოდ, ნახევარი საათით. გარედან მოსულების დანახვის ნება კვირაში ერთჯერ იყო „რეშოტკებში“, „გადმოცემა“ კვირაში ორჯერ.

სამოთხე არც ის ციხე ყოფილა, მაგრამ მკითხველმა გონების თვალით შეუდაროს პოლიტიკურ პატიმართა გამკაცრებული რეჟიმის ეს პირობები საბჭოთა ციხე-ლაგერებსა და იმ ახლებურ მოთხოვნებს, როდესაც ჭირისუფალს ისიც არ უნდა სცოდნოდა, ტუსაღი ცოცხალი იყო თუ დახვრეტილი.

სახელოსნოები არ აკლდა მეტეხის ციხეს: სახარაზო, სადურგლო, წიგნების ასაკინძი, სტამბა. და გიორგი ლასხიშვილი გულისდაწყვეტას ვერ ფარავს, რომ იქ მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავეებს ამუშავებდნენ, პოლიტიკურ ტუსაღთათვის კი სასტიკად იყო აკრძალული სახელოსნოებში ტრიალი.

სტამბა ვერ დაუთმეს!.. ვერ შეუქმნეს შესაფერისი პირობები პოლიტიკურ პატიმრებს – გარეთ არ გაცალეთ, სამაგიეროდ, აქ ბეჭდეთ პროკლამაციები და ანტისახელმწიფოებრივი გაზეთიც გამოეცითო!..

ესენი ბედს არ ურიგდებოდნენ და... გასართობს დაეძებდნენ. ციხის უფროსს სთხოვენ ნებართვას საეკლესიო გუნდის შესაქმნელად და, რომ დაიყაბულებენ, მეორე დღესვე გააშანშალებენ დიდ სიას და ბევრს ისეთსაც ჩაწერენ, გალობისა რომ არაფერი გაეგებოდა. ციხის უფროსი სიას შეუმოკლებლად, მაგრამ 30-40 კაცი მაინც დარჩებოდა და ქართულ და რუსულ გუნდებად გადანაწილდებოდნენ. რუსულ გუნდს ხანდახან გიორგი ლასხიშვილი ლოტბარობდა – გინმაზიისდროინდელი წირვა-ლოცვის გალობის გამოცდილება ციხეში წაადგებოდა.

– ამნაირად კვირაში სამჯერ დავდიოდით ჩვენ „სპეკებზე“, სხვადასხვა პარტიის ხალხი ვიკრიბებოდით, ვლაპარაკობდით, ვმღეროდით. ეს კარგი თავშესაქცევი გამოვძებნეთ...

ნეტა საბჭოთა ციხეებში რას მღეროდნენ და ვინ ლოტბარობდა ხოლმე?..

თავმოსაწონებლად იქაც ეს ჰქონდა, მეტეხის ციხეში, და მოგონებებშიც საგანგებოდ ჩაურთავდა:

– ჩვენი გაზეთის გამოსვლა ერთი დღითაც არ შეჩერებულა, თუმცა მთელი რედაქცია დაგვაპატიმრეს. ჩვენს შემდეგ რედაქციაში ჩამდგარიყვნენ: გერონტი ქიქოძე, სვიმონ მაჭავარიანი და სხვები; იყვნენ გადარჩენილებიც, როგორც მაგალითად არჩილ ჯაჯანაშვილი.

გერონტი ქიქოძე თავის მხრივ გაიხსენებდა, თუ როგორ დაცარიელდა „სახალხო გაზეთის" რედაქცია თითქმის სრულიად, როგორ შერჩა მას მხოლოდ ორი-სამი მეორეხარისხოვანი თანამშრომელი, ისედაც შევიწროებული როგორ ჩავარდა დიდ გასაჭირში და როგორ სთხოვეს მასაც, დახმარება გაგვიწიე ყოველდღიურ სარედაქციო მუშაობაშიო.

და იგი უყოყმანოდ დათანხმდებოდა ამ თხოვნას, თუმც რწმენით სოციალ-ფედერალისტების პარტიას არ ეკუთვნოდა.

ეს სამნი, და კიდევ იროდიონ სონღულაშვილი, სანდრო გრძელიშვილი და სიკო ფაშალიშვილი, ძლივს აუდიოდნენ წვრილმან სარედაქციო სამუშაოს, ეს დეპეშების თარგმნაო, ეს წერილებისა და კორესპონდენციების სწორებაო, ეს ქრონიკის შედგენაო, ეს მოლაპარაკება და მიწერ-მოწერა სტატიებისა და მოთხრობების ავტორებთანო... და გაზეთის ტირაჟს მანამდე თხუთმეტი ათას ცალამდე რომ მიეღწია, სამი ათასამდე ჩამოვარდებოდა, სტამბისა და ქაღალდის ხარჯები ძნელი გასასტუმრებელი ხდებოდა და თანამშრომლები გასამრჯელოს თითქმის ვერ ღებულობდნენ.

ცენზურა მკაცრდებოდა, პოლიტიკურ თემებზე წერა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა და გაზეთიც უფერულდებოდა, ახალი ამბების, დეპეშებისა და განცხადებების ფურცლად ქვეითდებოდა და ცოტაოდნავ სანდრო შანშიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლექსები აცოცხლებდა.

ერთ დღესაც – თურმე საბედისწეროს – სვიმონ მაჭავარიანი შესთავაზებდა გერონტი ქიქოძეს, სადმე ერთად ვისადილოთო. სარედაქციო საქმე მოთავებულიყო და ვალმოხდილნი ჩავიდოდნენ სარდაფში და ერთმანეთისა და მეტეხისციხელი მეგობრების სადღეგრძელოს შესვამდნენ... რას იფიქრებდნენ, ცოტა ხანში თვითონაც თუ მეტეხისციხელებს უნდა შემატებოდნენ.

ვილაც უსიამოვნო სახის კაცი რომ ჩამოვიდოდა სარდაფში, ცივი, გამჭვალავი მზერით შეათვალიერებდათ და დახლიდარს ლუდს მოთხოვდა, მაჭავარიანი იეჭვებდა. ჟანდარმერიის მზვერავიაო. გერონტი ქიქოძე ღიმილით გაუარაფრებდა ეჭვს: ჩვეულებრივი რუსი ხელოვანიაო.

სარდაფიდან ამოსულებს პოლიციელთა იმხელა რაზმი დახვდებათ, მთელი მიდამო რომ გადაეჭედათ.

– და ეს ორი უიარაღო ჟურნალისტის დასაჭერადო, – ირონიულად ჩაერთვის თხრობას და კიდევ ერთი ირონიული ფრაზა მოჰყვება: ცოტა მოშორებით თვალი მოვკარი ჩვენს ლუდისმოყვარულ მამაკაცს, ისე ხტოდა და როკავდა, თითქოს ომში მიმავალი იროკეზების ბელადი ყოფილიყოსო.

ჟანდარმთა სამმართველოში მიყვანილებს გაზეთის მესამე თანამშრომელი – სანდრო გრძელიშვილიც – დახვდებოდათ დატყვევებული.

გერონტი თამამად იქნებოდა, დარწმუნებული გახლდათ, რომ დასამალი არც არაფერი ჰქონდა და პოლკოვნიკს მოახსენებდა: ჩემი კავშირი „სახალხო გაზეთთან“ იმით გამოიხატება, რომ ევროპიდან წერილებს ვაწვდიდი ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე, ხოლო უკანასკნელ თვეებში – წინანდელი ხელმძღვანელობის დატუსაღების შემდეგ – სარედაქციო სამუშაოს ვასრულებდიო.

ჟანდარმს ნეტარი ღიმილი მოეფინებოდა სახეზე: ეს აღიარება დანაშაულის უცილობელი საბუთიაო.

ცალ-ცალკე დაამწყვდევდნენ ბნელ საკნებში, იქ გატარებული ერთი დღე და ღამე საუკუნედ მოეჩვენებოდა და, მეტეხის ციხეში რომ გადაიყვანდნენ, ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, აგარაკზე მოვხვდიო.

რედაქციას სტამბასაც წაართმევდნენ და მეტეხის სტამბის გასაძლიერებლად გადაიტანდნენ ციხეში.

სტამბაც დააპატიმრეს და ეგაა.

ციხის უფროსი იმ კამერაში შევიდოდა, სადაც ხუთი სოციალისტ-ფედერალისტი იჯდა, და ახარებდათ:

– გუშინ საღამოს თქვენი სტამბაც მოგვივიდა მეტეხში. პარტიაც აქ არის და მისი სტამბაც.

არჩილ ჯაჯანაშვილი ისევ გადაურჩებოდა დატუსაღებას და გაზეთის გამოცემას ისღა განაგრძობდა.

გიორგი ლასხიშვილს კიდევ ახალი ტუსაღების ხილვა ძალიან ნაუხდენდა გუნებას, მაგრამ ისიც და სხვანიც ყველაზე მეტად იმას განიცდიდნენ, ფერეიდნელი ონიკაშვილი როგორღა დააპატიმრეს, სპარსეთიდან მეორედ ჩამოსულიო. მართალია ისიც მათი თანაპარტიელი გახლდათ, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეობას უნდა დაეფარა. ასეა თუ ისე, ძალიან მოინდომებდნენ, მხოლოდ ამ საქმეზე გადადგებოდნენ და ძლივძლიობით მოხერხდებოდა მისი გათავისუფლება.

არჩილ ჯორჯაძის ბინაში დაწყებული კეთილი ნაცნობობა ასე უცნაურად უნდა გაგრძელებულიყო გერონტი ქიქოძესა და გიორგი ლასხიშვილს შორის, ოღონდ მთავარი ისაა, რომ სიწრფელე და გულითადობა არ მოჰკლებია და „ეროვნული ენერგიის“ შემოქმედისათვის საერთოდაც დაუვიწყარი დარჩებოდა მეტეხის ციხის პატიმართა შორის არსებული ის ზნეობრივი კავშირი, რომლის შემწეობითაც დევნილ ადამიანს უადვილდება ყოველგვარი გასაჭირის ატანა.

მისი საკანი მტკვრის მხარეს გადიოდა და უყვარდა სარკმელში ცქერა, თუმც იქიდან ბევრი არაფერი ჩანდა, მხოლოდ ქოხმახები და ტყავების მთელავი დაბაღები. ერთხელ საღამოს კი... ნაცნობ ქალიშვილს დაინახავდა მტკვრის მარჯვენა ნაპირის ბექობზე, ამის სარკმლისაკენ რომ გამოიცქირებოდა. ქარი ურხევდა კაბის კალთებსა და თხელ თავსაბურავს.

– ეს იყო პირველი და უკანასკნელი პაემანი, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გავუმართეთ, მაგრამ ის ბევრ სხვა პაემანზე უფრო ცხოვლად ჩამებეჭდა მახსოვრობაში.

ციხის უფროსის თანაშემწე მოითხოვდა, ტუსაღთა სეირნობისას (ნახევარ საათს რომ გრძელდებოდა) ეზოში თუ გავივლი, მწკრივის მეთაურმა სამხედრო სალამი უნდა მომცესო. და ერთხელაც მაშინ ჩაივლიდა, როდესაც მწკრივს გიორგი ლასხიშვილი მეთაურობდა.

ლასხიშვილი პოლკოვნიკს არ მიესალმებოდა.

თავისი ბეცი თვალებით ვერ დაინახაო, – გერონტი ქიქოძე ასე აღადგენს იმ წამს, ოღონდ მისთვის მთავარი ისაა და სიამაყის მომგვრელი, რომ:

– თუნდაც დაენახა, სამხედრო სალამს არ მისცემდა.

ყველა პოლიტიკური ტუსაღი ასეც აღიქვამდა ამ ეპიზოდს და, როდესაც გიორგი ლასხიშვილს კარცერში წააწონიალებდნენ ურ-

ჩობისათვის, ისეთ სულიერ სიმხნევეს იგრძნობდნენ, იმ განცდას რომ შეჰფერის: ესენი ჩვენი გამტეხნი არ არიანო.

არ დაკარგავდა გერონტი ქიქოძე ამ ეპიზოდს და ქვეყნის ზნეობრივ ისტორიაში მიუჩენდა ადგილს. ირაკლი ბატონიშვილს არ ახსენებს, თუმც მოსალოდნელია, რომ მის გონებაში გაეელვა იმ გადმოცემას, ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი უსალმოდ რომ აუვლიდა გვერდს დიდ მთავარს ბორჯომში და ცალკე იმას და იმის ამალას გააოგნებდა და ცალკე ქართველ საზოგადოებას ააფორიაქებდა – ეს როგორ გაბედა, იმპერატორის ძმას ასე გამომწვევად როგორ მოექცაო.

ავიწყდებოდათ, რომ ირაკლი ბატონიშვილიც სამეფო გვარის შთამომავალი გახლდათ, მერე რა, რომ ტახტი დაეკარგა.

მამამისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას რომ გადაგებოდა და შესწირვოდა, იმ განწირული სულისკვეთების ერთი გამონასხლეტი ესეც უნდა ყოფილიყო, ის თითქოსდა უმნიშვნელო საქციელი... მაგრამ უმნიშვნელოს ამხელა ხმაური არ მოჰყვებოდა.

და გიორგი ლასხიშვილის იმდღევანდელი გამოკეტვაც კარცერში მოსაგონებელი არ იქნებოდა, ზნეობრივი სულის გამოვლენად რომ არ განეცადათ – მემუარისტსაც, სხვა პოლიტიკურ ტუსაღებსაც.

– კარგი ერთი, ამისთანაც რა იყო, ვერ დავინახე, ხომ იცით, ცუდად ვხედავ, – ამ ან რაღაც ამგვარი ფრაზით მოიგერიებდა გიორგი ლასხიშვილი მაქებართ, ხომ გაამწარე და გული მოგვფხანეო. მაგრამ იმათ იცოდნენ... ძალიან კარგად იცოდნენ...

რა სალაპარაკო გახადეთო, – სად დამალულიყო, აღარ იცოდა გიორგი ლასხიშვილმა.

ამოთავდებოდა მეტეხის ციხის შვიდთვიანი ხანა.

7 დეკემბერს განაჩენს გამოუტანდნენ სოციალისტ-ფედერალისტებს და ხუთ-ხუთი წლით აუკრძალავდნენ კავკასიის სამეფისნაცვლოში ცხოვრებას.

ორი დღით გაათავისუფლებდნენ ციხიდან, რათა ახლობლებს გამოთხოვებოდნენ და გადასახლებისათვის მომზადებულიყვნენ.

საბჭოთა ეპოქაშიც ასევე არა ზრუნავდნენ პოლიტიკურ პატიმრებზე?

მესამე დღეს კი ყველას თავიანთ მიერვე არჩეულ ქალაქებში გაისტუმრებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლება და მართლმსაჯულებაც ასევე არა სთავაზობდნენ ტუსაღებს, სად გირჩევნიათ სასჯელის მოხდაო?

გიორგი ლასხიშვილი საცხოვრებლად ხარკოვს აირჩევდა, თვალებს ვუწამლებ რუსეთის ცნობილ პროფესორ-ოკულტისტთანო.

ამ განზრახვას რომ გაუმჟღავნებს მკითხველს, თანვე დასძენს:

– გადავწყვიტე შემთხვევით მესარგებლა.

რა ექნა, უმძაფრეს პოლიტიკურსა და ჟურნალისტურ მოვლენათა შუაგულში ტრიალისას ვერ მოიცალა საკუთარი თავისათვის, ცოტა ხანი რა არის, იმ ცოტა ხნითაც ვერ გამგზავრებულიყო თუნდაც ხარკოვში, ახლა კი „შემთხვევით სარგებლობა" ისაა, რომ პატიმარია და სასჯელს იხდის.

სხვანი, თითქმის ყველა, როსტოვს არჩევდნენ.

სამსონ ფირცხალავაც გამოაკლდებოდა ამ საერთო გადაწყვეტილებას და ტვერს ამჯობინებდა. მიზეზი არ გაინტერესებთ? მისი მეგობარი ცხოვრობდა იქ, ავადმყოფი სტუდენტი კუჭია მიქელაძე.

გერონტი ქიქოძეს მთავრობის წინაშე გენერალი მაყაშვილი უშუამდგომლებდა და ააცილებდა რუსეთის რომელიმე ქალაქში გადასახლებას. მას ნებას დართავდნენ ისევ გერმანიაში დაბრუნებულიყო.

ციხიდან ორი დღით გამოშვებულები მეორე დღესვე არჩილს მოინახულებდნენ. სამსონ ფირცხალავა არ ჩამოთვლის, რამდენი ესტუმრნენ, ალბათ თითქმის ყველა, თორემ ორ-სამ კაცს დაასახელებდა.

მასპინძელი გადაკოცნიდათ, გაამხნევებდათ.

– ჩვენზე უფრო ახარებდა ჩვენი განთავისუფლება.

გულს უკეთებდათ: მართალია გადაგასახლეს, მაგრამ აქ დარჩენილნი გავაათკეცებთ მუშაობას და საქმეს ერთ წუთსაც არ შევაფერხებთო.

გიორგი დეკანოზიშვილის ცხედარი ახალი ჩამოსვენებული იყო ტფილისში.

6 ნოემბერს აღსრულებულიყო საფრანგეთში, ნოემბერ-დეკემბრის მოჯნაზე კი მისი ნეშტი საიდუმლოდ შემოეპარებინათ მშობლიურ ქალაქში და წმინდა ნინოს კუკიის სასაფლაოზე დაეკრძალათ.

მთელი ცხოვრება იატაკქვეშ მოქმედებდა, არსებობის წესად კონსპირაცია ქცეოდა და გაზეთს, წიგნებს, პროკლამაციებს რომ აგზავნიდა საიდუმლოდ, იარაღი რომ შემოჰქონდა მალულად, ახ-

ლა მისი განსასვენებელიც ფარული უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ასე დაგვირგვინებულიყო მისი წილი ტრაგიკული წუთისოფელი.

ვინ წარმოიდგენდა, მისი ნეშტის ჩამოსვენება თუ შესაძლებელი გახდებოდა სამშობლოში და თანაც ასე მალე. მხოლოდ თვითონ სწამდა – გიორგი დეკანოზიშვილს, და მის აღსასრულს რომ შეიტყობდნენ, ის ტკივილიც გაურბენდათ გულში, ნეტა მის უკანასკნელ განსასვენებელს როდის მოვინახულებთ ან მოვინახულებთ კიო?!.

არ შემიძლია გავამჟღავნო სახელი ჩემი მეგობრისაო, არ შემიძლია საჯაროდ რითიმე პატივი ვცე მის ხსოვნას, გულში უნდა ჩავიმარხო ჩემი სევდა, ჩემი სიყვარული, ჩემი აღშფოთება და გულის სიღრმეში ვატარო ჩემი მწუხარება და ჩემი ტანჯვა – მეგობრობაო, – როგორ განიცდიდა არჩილ ჯორჯაძე, რომ ოფიციალურ პრესაში ნებადაურთველი გახლდათ გიორგი დეკანოზიშვილის სახელის გაელვებაც კი, არამცთუ მისი დატირება და მხოლოდ ასე მინიშნებით თუ გამოიგლოვდა „სახალხო გაზეთის“ 1910 წლის 10 ნოემბრის ნომერში.

საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია გადაიხდიდა ამ გამორჩეული მოღვაწის სულის მოსასხსენიებელ პანაშვიდს, მაგრამ გაზეთიც უნდა გამოხმაურებოდა, თუნდაც ასე – შეფარულად. ყოველ შემთხვევაში, არჩილ ჯორჯაძის ხელმოწერას უნდა მიეხვედრებინა საზოგადოება, თუ ვის გლოვობდა ეს სტრიქონები, გამჭვირვალე ქარაგმით: შორეულ ქვეყანაშია მისი ნეშტიო.

ყველას ჰყოლია მეგობარი, ყველას მოეხსენებოდა, რასაც ნიშნავდა მარტოობაში განცდილი ტანჯვა და, არჩილი იმედოვნებდა, ხამად არავის მოეჩვენება ჩემი გულისტკივილი მეგობრის დაკარგვის გამო და გაუგებარი არავისთვის დარჩებაო.

რისი თქმა შეეძლო ერთი ფრაზით?

– ეს იყო დიდი პიროვნება, დიდი სული სულ პატარა ადამიანის სხეულში მყოფი.

და მისი პიროვნული ხასიათისა და ბედისწერის წარმოსახვასაც რომ შეეცდებოდა, თითქოს საკუთარ ბუნებასაც წარმოაჩენსო. რომ არ იცოდეთ, არჩილ ჯორჯაძე წერს ამას გიორგი დეკანოზიშვილზეო, ხომ გეგონებოდათ, თვითონ არჩილის ფსიქოლოგიურ სილუეტს აღადგენს ვიღაცო:

– ეს იყო ადამიანი, რომლისთვისაც არ არსებობდა პირადი სიცოცხლე, რადგან ყოველივე სხვას მისცა, სხვას გაუზიარა და ეს სხვა იყო მისი ტანჯული სამშობლო. ამ მხრივ იგი ბედნიერი

იყო, რადგან თავის სამშობლოსთან „კრებულად" ყოფნა მის სულს კმაყოფილებას ანიჭებდა და თავის ოცნების ქვეშ სთბებოდა მისი გული, სხვა მხრივ უნუგეშოდ დაობლებული და დაწყლულებული.

არჩილიც მალე გადაინაცვლებდა იმ სამყაროში, რომელსაც გიორგი დეკანოზიშვილი შეერთვოდა, და აღარც მას შეაწუხებდა ის აზრი, რატომ დარჩა აქ ობლად და რატომ გახდა მისი სიცოცხლე ეული და ლტოლვილი, ისიც ხომ სხვისათვის ცოცხლობდა და დაე არც იგი შეეწყალებინათ – არც გაკვირვებას გამოთქვამდა ამისათვის და არც გულისტკივილს.

ახლა ის და გადასახლებამისჯილი სოციალისტ-ფედერალისტები ერთად მოინახულებდნენ მის სამარეს. მიაკითხავდნენ შიო ჩიტაძისა და ვლადიმერ ლორთქიფანიძის ძვალშესალაგთაც, და თავისებურ რიტუალს აღასრულებდნენ, თაყვანს სცემდნენ, მოიგონებდნენ გარდასულ დღეებს და მაინც იმედით შეხედავდნენ მომავალს.

ცოტა ნაწყენი კი დარჩებოდა არჩილი: ისე დაასაფლავეს, რომ არც კი შეგვატყობინეს, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მივედით. გიორგი იყო ლასხიშვილი, სამსონი და სხვანიო. ყველას აღარ ჩამოთვლის.

არადა, მთელი ეს კონსპირაცია თვითონ გიორგი დეკანოზიშვილს დაეგეგმა და ამ საქციელს მიხაკო წერეთელი მისი წინდახედულებით ახსნიდა: ყოველი მოსალოდნელი პრობლემის საპასუხოდ წინდაწინვე გეგმას იმუშავებდაო.

ჩაეთქვა, რომ მისი სხეული აუცილებლად მშობლიურ მიწას მიბარებოდა?

ყველაზე უკეთესი იქნებოდა, თუ სხვებს არ მიანდობდა და თვითონვე განსაზღვრავდა გეგმას მისი ნეშტის მალულად გადასვენებისა საქართველოში.

– ეს გეგმა ზუსტად და ყოველნაირი ცერემონიის გარეშე სისრულეში მოიყვანეს გიორგის ნათესავებმა.

განსაკუთრებით, რა გასაკვირია, განსვენებულის და გამოიდებდა თავს – მარიამ ქანანაშვილი. ვინც როგორღაც შეიტყობდა გიორგი დეკანოზიშვილის დაკრძალვის ამბავს და შეიკრიბებოდნენ, პოლიცია არ მოერიდებოდა მათ დარბევასა და გაფანტვას. კიდევ კარგი, მთელს ქალაქში არ მოეფინათ, თორემ რბევა მაშინ გენახათ.

ვითარება ისეთი შექმნილა, დიდ მანიფესტაციად ხელისუფლება არ გადააქცევინებთ ამ გამორჩეული პროტესტანტის დაკრძალვას და სწორედ ეს განეჭვრიტა გიორგი დეკანოზიშვილს, თორემ საამისო საშუალება რომ ყოფილიყო, იმ გრანდიოზულ დემონსტრაციას რეჟისორად თვითონვე მოევლინებოდა.

მიცვალებულიც ააძოძგინებდათ.

მაგრამ არ იყო შესაფერისი წუთი.

და, აი, არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი გიორგის სამარესთან დაგვიანებით მისულან და თამარ ფალავანდიშვილთან გაგზავნილ ბარათში – 1911 წლის 8 მარტს – იმ განწყობილებებსაც აღწერს და რამდენიმე საგულისხმო დეტალსაც ჩაურთავს:

– მზიანი, თბილი ზამთრის დღე იყო. სასაფლაოზე მყუდრება იყო. ადგილი არ მოგვეწონა, საცა დაასაფლავეს, სხვა ჩვენი მეგობრების საფლავებიც ვნახეთ. გიორგი, სამსონი და სხვანი წასასვლელები იყვნენ ჩრდილოეთისაკენ, ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ და ყველანი ვიყავით შეპყრობილნი მწუხარებით, მაგრამ მზე კი საკვირველად ათბობდა ზამთრის სუსხიან ჰაერს და მისი თბილი სხივები დანაღვლიანებულ გულში რაღაც იმედს აღვიძებდნენ.

არჩილ ჯორჯაძის ბუნების კაცმა – თვით უზომო მწუხარების ჟამსაც, როდესაც უახლოეს თანამებრძოლთაგან ერთი სამარის ბინადარი გამხდარა, სხვანი კი რუსეთის გუბერნიაში უნდა მიმოიფანტონ და ძნელია თქმა, მოახერხებენ თუ ვერა ყველანი უკან დაბრუნებასა და ეროვნული მოღვაწეობის ამ უძნელესი ტვირთის კვლავინდებურად აზიდვას – შეუძლებელია უყურადღებოდ დატოვოს, რომ ზამთრის დღისათვის უჩვეულოდ მზიანი ამინდი დგას. ეს კონტრასტი გულსაც უცნაურად შეუძრავს და მისთვის თავისებური სიმბოლური სურათიცაა; და ბარათშიც ამიტომ უნდა აღიბეჭდოს აუცილებლად.

* * *

იქ ტრიალებდა ხოლმე თედო სახოკია, კუკიის სასაფლაოზე.

გავიდოდა, გამოვიდოდა, ჩაყუნცდებოდა და გაილურსებოდა.

რიტუალი იყო თუ რა.

და თუ ვინმე ნაცნობს მოჰკრავდა თვალს, მაშინვე ხელს წაავლებდა, ალაყაფის კართან მიიყვანდა, კედლის გასწვრივ მარჯვნივ ექვს დაგრძელებულ ნაბიჯს გადადგამდა და მტკიცედ ეტყოდა:

– გახსოვდეს, კარგად დაიხსომე, რომ აქ, – და ხელსაც დაადებდა მოტიტვლებულ ადგილს, – ამ ადგილზე დაკრძალულია გიორგი დეკანოზიშვილი.

დასაფლავებას ვერ დასწრებოდა, იმხანად გაესწრო ემიგრაციაში, დეკანოზიშვილის ცხედარს ფარულად რომ ჩამოასვენებდნენ და დარდად წაჰყვებოდა მთელი სიცოცხლე. გამორკვევით კი გამოარკვევდა სამარის ადგილს, მოსწორებულს, გუმანითაც რომ ვერავინ იგუმანებდა, აქ თუ ვინმეს ძვლები ჩაყრილიყო, მითუმეტეს, ისეთი მოღვაწისა, რომლის ბადალნიც ბევრნი არ იბადებიან.

სარიტუალოც სხვა რა უნდა ყოფილიყო.

მიადგებოდა, გულს მოიოხებდა... თურმე რისთვის ვიკლავდით თავს, უარესი ცხოვრებისთვისო, – ლანდს შესჩიოდა.

ნეშტს სანიშნიც არაფერი ედო.

და როგორც მოსწორებულიყო გიორგი დეკანოზიშვილის სამარე, ისევე მოსწორებულიყო მისივე ბიოგრაფიაც – ზემოდან არაფერი მოჩანდა, სულ არაფერი და აქაც თედო სახოკია აწყდებოდა ყალბი მატიანის ფურცლებს, რათა როგორღაც გაერღვია და რამდენიმე სტრიქონით მაინც აღენიშნა მისი არსებობა.

თვითონაც რომ აღარ იქნებოდა ამქვეყნად?

ამიტომაც მიიყვანდა ხან ვის და ხან ვის ალაყაფთან და მის თვალწინ გადაზომავდა ექვს ნაბიჯს, სათითაოდ დაითვლიდა და ყოველი შემთხვევისათვის მკაფიოდ მიანიშნებდა, ხომ ხედავ, ცოტა გრძელი ნაბიჯებიაო.

და ძვირფას ადგილს რომ მიაღწევდა, ასე შეზელილ-შენივთებულს იქაურობას და ოდნავადაც არაფრით განსხვავებულს, ხელს მოავლებდა მიწას, თითქოს გადახსნილ სამარეში ეს-ესაა უნდა ჩაასვენონ სასახლეო, მოავლებდა და:

– გახსოვდეს, კარგად დაიხსომე!

ვიღაც მაინც ჩაიბეჭდავდა გულზე, ვიღაც მაინც ააკითხავდა ამ რიტუალის გასაგრძელებლად: თედო სახოკიას აქ უყვარდა ობლად სიარული.

* * *

გიორგი ლასხიშვილს არჩილი და რამდენიმე ამხანაგი გააცილებდნენ ნავთლუღამდე. მატარებელი რომ დაიძვრებოდა, ის და სანდრო დიასამიძე კარგა მანძილზე გამოედევნებოდნენ მატარე-

ბელს და ფანჯარაში მდგომ გიორგის ელაპარაკებოდნენ და ელაპარაკებოდნენ.

ეს სადამდე გამოვყოლილვართ, რა მარდად გვირბენიაო, – მერელა გამოერკვეოდა, როდესაც მატარებლის ბოლო ვაგონიც მიიკარგებოდა თვალთაგან.

მაინც მისდევდნენ, მისძახოდნენ.

გადავწყვიტე შემთხვევით მესარგებლაო...

ჯერ ის გაემგზავრებოდა.

მერე სხვა პატიმრებიც დაადგებოდნენ გზას.

და თამარ ფალავანდიშვილთან ბარათში ეს სტრიქონებიც გაჩნდებოდა:

– დავრჩით რამდენიმე კაცი. გული არ გვიტყდება და მხნეობაც არ გვაკლდება. ადამიანი ბევრის მომთმენია.

* * *

– ციხეში ყოფნის შემდეგ მეტის სიცხოველით ვგრძნობდით თავისუფლების სიმშვენიერეს, ადამიანის უფლების აღდგენის ღირსებასო, – სამსონ ფირცხალავამ.

ვიდრე ტვერში გაემგზავრებოდა, ხშირად მიაკითხავდა არჩილს, და უკანასკნელადაც რომ მოინახულებდა და მეგობრული საუბრის შემდეგ გამოეთხოვებოდა, მასპინძელს დასცდებოდა:

– განა ვნახავთ კიდევ ერთმანეთს?

ის ღიმილით მოუჭრიდა სიტყვას:

– აბა, რას ამბობ? არათუ ვნახავთ, ვნახავთ გაცილებით უკეთეს პირობებში.

ეს არ ყოფილა ყასიდად, მხოლოდ დამამშვიდებლად ნათქვამი ნუგეში, გულწრფელია მისი ჩაღიმება, აბა, რას ამბობ, ეგ რამ გაფიქრებინაო.

ხუთი წლის წინათ აკი თვითონვე აუტირდა გული არჩილის შემხედვარეს, ორ დღეზე მეტს ვერ გაატანსო.

რაკიღა ასერიგად დაძაბუნებული სხეული სიცოცხლეს დაბრუნებოდა, სამსონ ფირცხალავა უკვე ვეღარ დაიჯერებს, რომ ამ კაცს სნეულება ოდესმე მოერევა – არა, გაწამებული ეყოლება, მაგრამ სიცოცხლის დშრეტვა?..

გაცილებით უკეთეს პირობებშიო...

მაშინ ის წინათგრძნობა გაუმტყუნდებოდა.

ახლა... ეს წინათგრძნობა უნდა გამტყუნებოდა და გადასახლებიდან დაბრუნებულს არჩილის ახალგათხრილი საფლავისთვისღა უნდა ჩამოესწრო.

მაშინდელი ამბორი უკანასკნელი ყოფილაო, – გულს აწყდებოდა.

რელიგიური დევნის ეპოქაში რომ დაბადებულიყო, მოწამის როლს შეასრულებდაო, გერონტი ქიქოძეს ეს შთაბეჭდილება დარჩებოდა მასზე, ასე აღამაღლებდა სამსონ ფირცხალავას სახებას და მიიჩნევდა, რომ რადგანაც ჩაგრული ერის შვილად დაიბადა, ამიტომაც დაეჩრდილა მის შეგნებაში ყოველი რელიგიური და მეტაფიზიკური იდეა სამშობლოს სიყვარულს.

გასაბჭოებულ საქართველოში ვერ გაძლებდა და ემიგრანტის ხვედრს ამჯობინებდა – მთავრობის ნებართვით. თუმც გაუძნელდებოდა, ძალიან გაუძნელდებოდა განდევნილის ცხოვრებით ცხოვრება, ძვლების საკუთარ მიწაში ჩაყრის ნატვრა ჰკლავდა და მხურვალედ გამოეხმაურებოდა საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებას ემიგრანტებისადმი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ: ოღონდ დაგვიბრუნდით და არაფერს დავიშურებთ თქვენთვის, შიში ხომ, რა სათქმელია, ნურაფრისა გექნებათო.

სამსონ ფირცხალავა არც არაფერს ითხოვდა და არც არაფერს გამოელოდა – ორი ადლი მიწა არ დაემადლებინათ – სხვა სურვილი არა ჰქონია, მანამდე კი კვირაში ერთხელ მთაწმინდაზე ასულიყო და იქიდან გადმოევლო თვალი თბილისისათვის.

ოთხმოც წელს მიაღწევდა და არც თვალთა ელვარებას დაჰკარგავდა და არც რწმენას საქართველოს უკეთესი მომავლისა, გონებას ხომ შეინარჩუნებდა და შეინარჩუნებდა საღსა და ცინცხალს.

თურმე ვინ დაანებებდა მთაწმინდაზე ასვლას სულის მოსათქმელად.

თურმე ვინ არგუნებდა ან იმ ორ ადლ მიწას.

ზარზეიმით მიღებულ ემიგრანტებს ერთ ღამესაც ხელს მოხვევდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში უკრავდნენ თავს.

სამსონ ფირცხალავას დაბრალდებოდა, ტრუმენის მიერ შემოგზავნილი ჯაშუში და დივერსანტი იყავიო.

ტრუმენთან რა საქმე მქონდაო, ვერაფრისდიდებით ვერ გაარკვევდა, ვერც იმას დაადგენდა, რას ჯაშუშობდა და დივერსანტობდა თუნდაც სხვისი დავალებით.

სიზმრად მოევლინებოდა გერონტი ქიქოძეს, სახეგაბრწყინებული ღიმილით ეტყოდა: უკვე გამათავისუფლესო.

სიზმარში თუ გამოიხსნიდა თავს, სიზმარში თუ გაუბრწყინდებოდა სახე.

აღარავინ ეკითხებოდა, რომელ ქალაქში გირჩევნია გადასახლება, შენს არჩევანზე იყოსო.

საკონცენტრაციო ბანაკი კიდევ სხვა ჯოჯოხეთი გახლდათ, მაგრამ იქამდეც ვერ ჩააღწევდა.

– არ ვიცი სად გარდაიცვალა, სატუსაღოს საავადმყოფოში თუ ეტაპშიო, – გერონტი ქიქოძემ.

...რა კარგი იყო ის ნუთები, არჩილს რომ ემშვიდობებოდა სულიერად მხნე და უცნაურად გახალისებული: აუცილებლად შევხვდებით უკეთეს პირობებშიო.

თავი ოცდამეხუთე

მშვენიერების რელიგია

კიდევ კარგი, არჩილი მაინც არ არის ჩვენს გვერდითო, – მეტეხის მძევალნი რომ იტყოდნენ დროდადრო, მიზეზსაც თავთავისას მოადევნებდნენ. ზოგნი სამსონ ფირცხალავასავით: სასწაულმა იხსნაო, ზოგნიც გერონტი ქიქოძესავით: მძიმე ავადმყოფობამ დაიფარაო.

ისე არჩილს რაღა დატუსაღება უნდოდა – ისედაც პატიმარი არ იყო? შალვა მიქელაძე ასეც მოიხსენიებს: ნამდვილი პატიმარიო, – და ოდნავადაც არაფერს აჭარბებს.

მთელს ზამთარს ოთახში გამოემწყვდეოდა, ოთხ კედელს შუა.

ხშირად ლოგინზეა წამოწოლილი – ან კითხულობს, ან ისვენებს.

დილაობით წერს.

მისთვის არ არსებობს არავითარი გასართობი.

ვერ მონაწილეობს ვერავითარ პრაქტიკულ საქმეში – ვერ დაესწრება კრებას, ვერ წავა წარმოდგენაზე, ვერ მოისმენს კონცერტს.

კითხვაა მისი ერთადერთი გასართობი და ბაასი მნახველებთან.

ჰოფმანი რომ ჩამოვიდოდა ტფილისში, არჩილი აღელდებოდა, ამხელა პიანისტის კონცერტს როგორ ვერ უნდა დავესწროო, მაგრამ ვერ გაბედავდა – ავად გავხდები და მუშაობას ვეღარ შევძლებო.

ნაამბობი არ გვიმხელს, დაუშალა თუ არა ექიმმაც. მან მიანიშნა, მოერიდეო, თუ არჩილი თვითონვე შებრკოლდა ბოლო წამს. ასეა თუ ისე, კვლავ მუსიკაზე აღტაცებული საუბრით უნდა მოეკლა მისი მოსმენის ჟინი.

ანდა ხშირად რომ გაიმეორებდა: „მსხვერპლი“ როგორ არ ვნახო, იოსებ გედევანიშვილის პიესა, რომელსაც ასე მიქებენო, – ბოლოს მაინც უნახავი დარჩებოდა.

სამი წლის მანძილზე ერთხელ, ერთადერთხელ გაბედავდა გარეთ გამოსვლას.

ისე მოინდომებდა: ივანე ჯავახიშვილის ლექციას როგორ ვერ უნდა დავესწროო, – აღარც ექიმი აუხირდებოდა და მის მეგობრებთან ერთად დიდი სიფრთხილით წაიყვანდა ქართულ თეატრში და დირექტორის ლოჟაში დააბინავებდა.

გაძლებდა კი ლექციის ბოლომდე?

ნახევარ საათსაც ვერ შეძლებდა თეატრში დარჩენას და შეწუხებულს საჩქაროდ დააბრუნებდნენ ბინაზე.

ავადმყოფობის გამოისობით კიდევ რამდენ რაიმეს უნდა გამოკლებოდა.

დასწრებით ვერც გრიგოლ რობაქიძის ლექციას დაესწრებოდა ოსკარ უაილდზე.

საღამოობით გარეთ გამოსვლას მკაცრად დაუშლიდნენ.

შეუთვლიდა გრიგოლს, ძალიან მინდა ლექციის გაცნობა და იქნებ რვეული მათხოვოო.

ისიც სასწრაფოდ მიუტანდა და მეორე დღესვე შეუვლიდა.

ძლიერ შეწუხებული დახვდებოდა: ჩემი ახალგაზრდა ძმა ვიღაცას შეკვდომიაო.

მაგრამ... ლექციის შესახებ დაწყებული წერილი არ შეეწყვიტა.

სავსებით არ შეევეხებიო, განუმარტავდა მკითხველს და მის ყურადღებას მიაქცევდა იმ მთავარ აზრს, რის წყურვილსაც აემოძრავებინა უაილდის მხატვრული შემოქმედება და მისი შემწეობით შეექმნა მშვენიერების რელიგია – ბოროტებისა და სიკვდილის დასათრგუნად. ეს წყურვილი კი გახლდათ სიცოცხლის ტანჯვისაგან თავის დაღწევა. ნავთსაყუდელის ძებნაში ამოხდა სული უაილდს და გრიგოლ რობაქიძე და არჩილ ჯორჯაძე კვლავ ნავთსაყუდელს ეძიებდნენ და უაილდის მხატვრულ წარმოსახვებს იმ გამოცდილებად გაიაზრებდნენ, რასაც უნდა დაყრდნობოდნენ, ოღონდ საკუთარ ქურაში გამოეტარებინათ მისი განყენებული ესთეტიზმი და არც ის წინააღმდეგობა გამორჩენოდათ, თუ როგორ დაშორებულიყვნენ უაილდი-თეორეტიკოსი და უაილდი-მხატვარი. მომხიბლავი თეორიული შენობანი ყოველთვის უფრო ადვილად აგებულიყო.

მხატვარმა უაილდმა ინტუიციით იგრძნო მშვენიერების ტაძრის ყალბი საფუძველი და შემოქმედის კვერთხით დაამსხვრია და ნანგრევად აქცია ის. დიახ, დიდი შეცდომა მოსდის მას, ვინც სი-

ცოცხლეს უარყოფს, როგორც სინამდვილეს, და მის მაგიერ ხელოვნების მშვენიერ ნიღაბს წამოაყენებსო, – ამტკიცებდა გრიგოლ რობაქიძე და არჩილი ამ თვალსაზრისს რომ გაიზიარებდა („უაილდის თეორია დაირღვა, დაირღვა არა მარტო კრიტიკის, არამედ თვით ავტორის თვალშიაც. უაილდმა თვითონვე დაარღვია თავისი თეორია. ძლიერ მხატვრის თვალწინ იშლებოდა და იხრწნებოდა ის მშვენიერების სამეფო, რომელშიაც მას სწყუროდა თავის შეფარება"), ის ვერაფრისდიდებით ვერ აეხსნა, რისთვის ჭირდებოდა „ახალი სხივის" რედაქციას ლექციის დედააზრის დამახინჯება, თითქოს რობაქიძე მომხრე ყოფილიყოს უაილდის ხელოვნების თეორიისა და უკრიტიკოდ ღებულობდეს მას.

ტანჯვისა და სევდის მოციქულად წარმოდგებოდა უაილდი კაცობრიობის თვალში და არჩილ ჯორჯაძეს არ ეეჭვებოდა, „დორიან გრეის პორტრეტის" შემოქმედს რომ დაცლოდა, კიდევ ერთ მშვენიერ თხზულებას შექმნიდა, მაგრამ, ცხადია, არც ამ ქმნილებას ექნებოდა ჯადოსნური ძალა და ქვეყანას ვერ გარდაქმნიდა, ადამიანის სულს მშვიდობას ვერ მიანიჭებდა და ნავთსაყუდელი, რომელსაც კაცობრიობა დაეძებს, ისევ მიმალული და ბურუსით მოცული დარჩებოდა.

მკითხველი და მსმენელი რაღაც დიდსევდიანი ტრაგედიის მოწმე ხდებოდა, მაგრამ რომ არა ჩანდა არც გამოსავალი და არც საშუალება ამ ტრაგედიის დასათრგუნად?

მსმენელი რომ გატანჯულიყო ამ უილაჯობით?

მადლიერიც ხომ ხარ მხატვარი ლექტორისაო, – არჩილ ჯორჯაძე ურჩევდა ამ განწყობილების პიროვნებებს, ჩაკვირვებოდნენ თავიანთ არსებაში გაჩენილ მადლიერების განცდასა და მის ფსიქოლოგიურ საწყისს: ეს იმიტომ, რომ არ მოინდომა დოგმატური საბუთებითა და მოწოდებებით დაწყლული იარების განკურნება და აღშფოთებული სულის დამშვიდებაო.

არ აეგო ილუზიების კოშკი.

არ მიეპატიჟებინა იქ სულიერი შვების მაძიებელი ადამიანები.

და ეს იმიტომ – ილუზიების მსხვრევა კიდევ უფრო წარუკვეთდათ სასოს.

თორემ უკეთეს გარემოს ვინ გამოძებნიდა, ვიდრე უაილდის მშვენიერების რელიგია გახლდათ და აგერ...

ძალიან დაშორებოდა ინგლისელი მწერლის ესთეტიზმი რეალობას, თორემ გზა, რომელიც აერჩია, სწორედ ის გახლდათ, რო-

მელზე შედგომაც შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო – გზა გაბედული ოცნების, რეალობას რომ ჩაეხლართებოდა და მხოლოდ გაასწრებდა ხოლმე ისტორიის საბედისწერო მოსახვევებში.

ოსკარ უაილდის შემოქმედება არჩილისათვის თავისთავადი ღირებულებაც იყო, ცხადია, მაგრამ უპირველესად იმ თვალთახედვით გაიაზრებდა ამ მხატვრულ ნარმოსახვებსაც და გრიგოლ რობაქიძის ლექციის მნიშვნელობასაც, თუ რა სასიკეთო გავლენას მოახდენდა ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობასა და განსაკუთრებით კი ქართულ რომანზე, რომლის შეთანასწორებაც ევროპული რომანისტიკისათვის ასე ენატრებოდა.

პარადოქსად მოჩანდა ზოგიერთისათვის ეს სწრაფვა?

დაე პარადოქსად ჩამოერთმიათ, მაგრამ ქვეყანას ესაჭიროებოდა გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით.

– ესკიზებმა, ეტიუდებმა, პატარა მოთხრობებმა ვერ გამოსახეს ის, რაც უნდა იყოს გამოსახული. ჩვენ გვესაჭიროება, თუ შეიძლება ითქვას, სინტეტიური სურათი ქართულ ცხოვრებისა. დროა ვნახოთ ჩვენი თავი, ყველანი, ვინცა ვართ, მხატვრულ ნაწარმოებში. ამ სინტეტიურ სურათის შექმნა შეუძლიან დიდ ხელოვნებას, დიდ ოცნებას და თუ არ გამინყრებით „მშვენიერ მატყუვრობას".

ჩვენი ცხოვრება მეტად დაკუწული, განკერძოებული იყო და არა ჩანდა საერთო ძარღვის ცემა, არა ჩანდა მთელი, არამედ მხოლოდ ნაწილი და ვერსად ვხედავდით მთელი ერის სულის ძგერას, მის შემადგენელ ნაწილთა ჰარმონიულ ურთიერთობას?

სინამდვილეს ვერ დაენახვებინა სინთეზი ჩვენი ცხოვრებისა?

ხელოვნებას უნდა გაებედა და მხატვრულ ნაკვთში დაენახვებინა ის, რაც ისახებოდა და ჯერ სავსებით არ გამოსახულიყო, რაც იზრდებოდა და მწიფდებოდა და ჯერ სავსებით არ გაზრდილიყო და მომწიფებულიყო.

ხელოვნებას შესწევს საამისო ძალაო – უბეჯითებდა მკითხველს არჩილ ჯორჯაძე და ოცნებით ფრთაშესხმული, „მშვენიერი სიცრუით" აღფრთოვანებული ხელოვნება რეალური ცხოვრების შემოქმედებითი განმარტება და შევსება იქნებაო.

კი მაგრამ, ეს მსჯელობა ისევ იქით ხომ არ მიიწევდა ნება-უნებურათ, უაილდის მშვენიერების რელიგიისაკენ? წინააღმდეგობა

იჩენდა თავს, როდესაც არჩილს ეგონა, უკვე ფონს გავედი და უაილდის მოჯადოებული გარსი გავარღვიეო? არ იზიარებდა იმ მხატვრულ-იდეურ მრწამსს, მაგრამ მის ხიბლში მოქცეულიყო და, მხატვრული ჯადოსნობით დატყვევებული, ისევ მის სიღრმეში ჩარჩენილიყო?

არაო – ირწმუნებოდა ქართველი მოღვაწე – მოჩვენებითია წინააღმდეგობა და ნურაფერი შეგაშფოთებთო.

მოჩვენებითი როგორღა იყო, როდესაც ასე ცხადლივ, ასე ხელშესახებად გადაგვეშლებოდა თვალწინ ისევ და ისევ უაილდისეული იდეალი ხელოვანისა?

არჩილი კი:

მშვენიერებას რელიგიად არ ვაღიარებთ, ის ერთგვარი ჭვრეტისა და მზერის პროცესია და პროცესი უნდა იყოს ფართო სინთეტური, რათა დავაღწიოთ თავი ესკიზებსა და ეტიუდებს და შევქმნათ ქართული რეალისტური რომანი, სადაც გამოსახული იქნება არამარტო ის, რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ ისიც, რაც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ჯერ არსადაა. ხელოვნების ძლიერებაზეა დამოკიდებული, რომ შესაძლებელი რეალობად იქცეს და მით იგი შემოქმედ ძალად გახდესო.

ასე გადატეხილიყო ეს იდეალი მის მსოფლგანცდაში:

მამოძრავებელ ბიძგად, საწყისად და არა ერთიან სისტემად.

ის, რაც იგულისხმებოდა გრიგოლ რობაქიძის საჯარო გამოსვლისას, არჩილი გაშლიდა და პუბლიცისტურ ფინალად მოაბამდა გამოხმაურებასა თუ ნარკვევს „ნავთსაყუდელის ძებნაში“, ბედნიერების სავანეს არავის შეპირდებოდა, ოღონდ აღთქმული ქვეყნისაკენ კი მიანიშნებდა და ამ გზაზე რეალისტურ რომანს გამოაცხადებდა მოკავშირედ, ქართული ცხოვრების სინთეტურ სურათს, რომელსაც უნდა აეყოლიებინა სინამდვილე.

ლექციის შესახებ დაწყებული წერილი არ შეეწყვიტაო.

სტუმარი გაოგნებული დარჩებოდა, მწუხარებამ როგორ არ გააგდებინა კალამი ხელიდანო.

თქმით რას ეტყოდა, მაგრამ თავისთვის ჩაუკვირდებოდა ყოველმხრივ და ამ საქციელს მისი მტკიცე ხასიათი ახსნიდა.

არა ვარაუდით, არამედ დაბეჯითებით.

გრიგოლსაც კარგად მოეხსენებოდა მისი ოჯახის ტრაგიკული ბედი და ისიც, რომ არჩილს ცხოვრების ყოველი ტეხილი მხნედ გადაეტანა.

და გასაკვირიც რაღა იყო, რომ ახლაც მხნედ იტანდა თავსდატეხილ უბედურებას.

ჩასდევს მის ხასიათს უღრმეს შრეებამდე და კუთხე-კუნჭულამდე განაზოგადებს დაკვირვებას და მიიჩნევს, რომ: ძველ ბერძენთათვის ნიშანდობლივი „ბედის სიყვარული“ ქართველებში ყველაზე უფრო არჩილს მოსდგამდა.

– ეს სიყვარული ჰქმნიდა მის პიროვნებაში საშინელს უტეხელობას.

მე ძველ რომაელს უფრო ვგავარ, ვიდრე დანიელსო, – ჰორაციო უმტკიცებდა ჰამლეტს შექსპირის ტრაგედიაში.

შენ ძველ ელინელს უფრო ჰგავხარ, ვიდრე ქართველსო, – ამას უკვე გრიგოლ რობაქიძე უმტკიცებდა არჩილ ჯორჯაძეს საქართველოს ტრაგედიის ერთ-ერთ სცენაში.

რაღაც ახლის ძიებასაც შეატყობდა თანდათან და ახლა იმაზე მოჰყვებოდა თავის მტვრევას, ეს თვისება როგორღა განვაზოგადო და რას დავუკავშირო.

მოინახულებდა მწოლიარეს.

სიცხე ძალიან მაღლაც არ ავარდნოდა.

ლაპარაკს წყეულ კითხვათა თემაც მოჰყვებოდა.

და უეცრად არჩილი:

– თუ პირადი უკვდავება არ არსებობს, იმ შემთხვევაში სისულელეა ყველაფერი, სისულელეა საქართველოს თავისუფლებაც.

სტუმარი კვლავ გაოცებული უნდა დარჩეს.

ეს რა თქვა, რამ წამოაცდენინაო.

იქნებ აინუნშიც არ ჩაეგდო, ვითომც არაფერი გამიგონიაო?

სნეულებისაგან გატანჯული ადამიანი ათას რაიმეს იტყვის და ყველა ფრაზის გამოდევნებას რა აზრი შეიძლება ჰქონდეს?

მაგრამ როდესაც სნეული არჩილ ჯორჯაძეა, შემთხვევითი არც სიტყვაა და არც უესტი თუ საქციელი.

წამოცდენასაც რაღაც მნიშვნელობა ენიჭება.

ამიტომაც არ დაივიწყებს გრიგოლ რობაქიძე და მის ანალიტიკურ განსჯასაც შეეცდება:

– შესაძლოა ეს მხოლოდ ერთი ამოძახილი იყო მის სულში წარმოებული ბრძოლისა, საინტერესო იყო აქ არა ეს დაბეჯითებითი მტკიცება. არა. აქ იყო სულის წამების ამოთქმა, რომელიც რჩეულთა ხვედრია.

წოდებული ბევრი გახლდათ ბიბლიური და უფრო ადრეული ეპოქებიდან მოკიდებული, რჩეული ყოველთვის ცოტა და ამ რჩეულთა

ერთი შეხედვით უცნაური ფრაზებიც რაღაც ღრმა აზრს გულისხმობდა, იმ დაუმცხრალ სულიერ ძიებებს, რომლის ტეხილებსა და მოსახვევებშიც ურთიერთსაპირისპირო შეხედულებანიც იბადებოდა და პიროვნების არსება დიდი ჭიდილის ასპარეზად გადაიქცეოდა.

ყველაფერი მხოლოდ იდიოტებისათვის არის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილიო, ჩაიცინებდა გრიგოლ რობაქიძე.

საქართველოს ხსენება ასეთ სიტყვიერ გარსში – ყურს რომ ჭრიდა – რა აუცილებელი გახლდათ?

ერთი ხმა ამასაც ჩააგონებდა სტუმარს: თუკი ყველაფერი სისულელეა, მაშინ, რასაკვირველია, საქართველოს სისულელეც იგულისხმება და მისი დასახელება საჭირო არ იყოო, მაგრამ მეორე ხმა უფრო სარწმუნო გამოდგებოდა: აქ არჩილის სული სილოგიზმის ჩამოსხმას არ ეძებდაო.

თუ არ ეძებდა, მაშ ამიტომაც:

– საშინელს გადაწყვეტაში პირველადვე ყველაზე უფრო საყვარელმა არსებამ იელვა მის ფიქრებში, – და ეს საყვარელი არსება მისთვის ხომ საქართველო იყო.

უილიამ შექსპირისთვისაც: სამყარო სულელის მიერ მოთხრობილი ამბავი გახლდათ, თუმც უმნიშვნელო, მაგრამ ხმაურითა და მძვინვარებით აღსავსე. მასხარას ათქმევინებდა და ამით შეანელებდა სიტყვების სიმწვავეს, მაგრამ მასხარა სიმართლისმთქმელად ეგულისხმა და წუთისოფლის ტრაგიზმისათვის თვითონაც თვალის გასწორება ერჩივნა.

არჩილი მაშინაც მწოლიარეა, ილია ნაკაშიძე რომ ესტუმრება და სამწუხარო ამბავს ამცნობს: ჩვენს მეგობარს ცოლი გარდაეცვალა, გაგიჟებით რომ უყვარდაო.

ეს მეგობარი სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ადამიანი ყოფილა, ეს უბედურება კი – ცამოწმენდილზე ჩამოვარდნილი მეხივით – თავზარს დასცემდა ყმაწვილკაცს და მთელს მის ბუნებას შეარყევდა.

ავადმყოფი ძალიან შეწუხდება.

ერთხანს ჩაფიქრდება.

და უეცრად სევდიანი, მაგრამ მტკიცე რწმენით აღსავსე მზერით შეხედავს სტუმარს:

– არაფერია, ეს უბედურება უფრო გააღრმავებს ჩვენი მეგობრის ფიქრსა და გრძნობას.

ილია ნაკაშიძე წამიერად თითქოს შეცბება, მაგრამ მალევე ჩახვდება ნათქვამის აზრს, და არჩილი რომ შეხედავს, იგუმანებს,

ზედმეტი განმარტება აღარ სჭირდებაო. ამიტომაც იკმარებს ამ ერთ წამოძახილს.

რამდენჯერ უთქვამს არჩილს მისთვის: ახალგაზრდა, ცოცხალი ადამიანი, რომელსაც არავითარი უბედურება არ გამოუცდია ცხოვრებაში, თხელ ზედაპირიან ნიადაგსა ჰგავს, სადაც სულიერი ცხოვრება ღრმად ვერ მოიკიდებს ფეხსო.

სტუმარს წამოაგონდება და ძალდაუტანებლად გაიბმის ძაფები ამ ორ თვალსაზრისს შორის, ერთმანეთი რომ უნდა შეევსოთ და დაედასტურებინათ ის ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ იმ მსოფლიო შეხედულებას აქვს სიმტკიცე და გამძლეობა წუთისოფელში, რომელსაც ბედი და უბედობა განუჭვრეტია, მათი შინაგანი ვითარება შეუგნია და თავის უზენაეს იდეალთან შეუთანხმებია.

სიტყვები სიტყვებად, მაგრამ თვალებიც რომ იშვიათი ძალით მეტყველებს იმ წუთას?!.

და როდესაც ფრაზა შესაფერის დროსა და ჟამს წარმოითქმის, ღრმად მოაზროვნე და მგრძნობიარე ადამიანის თვალებივით სიტყვებიც მოგატარებენ დიდ სივრცეს, ნაგულისხმევით ვეება კალაპოტს გაგიჭრიან ფიქრისათვის და მიგახვედრებენ იმას, რის შესაცნობადაც სხვა შემთხვევაში უამრავი მტკიცება იქნებოდა აუცილებელი.

დრო და ჟამის შესაფერისობას შეუმცდარად იგრძნობდა ილია ნაკაშიძე იმ წუთას.

ეს ფრაზა მძიმე და ხანგრძლივი გამოცდილების ნაყოფი გახლდათ და თანამოსაუბრე ამიტომაც ჩახვდებოდა მის სიღრმეს – სიტყვების განმარტებას თვალებში ამოიკითხავდა.

უფრო გააღრმავებს ფიქრსა და გრძნობასო...

მხოლოდ სხვათათვის არ შეეგულებინა ეს რჩევა, არც საკუთარ თავს გამოაცალკევებდა განგების განაჩენიდან და თავის უბედურებათა წყებასაც ასე ახსნიდა.

სულ ახლახან შვილივით გაზრდილი ძმის ტრაგიკულ აღსასრულსაც ამ თვალით გაზომავდა.

გრიგოლ რობაქიძისათვის მისი ეს სტოიკური თავშეკავება ხასიათის სიმტკიცეს თუ მიეწერებოდა, თვითონ არჩილი ამით ფიქრისა და გრძნობის გაღრმავების აუცილებლობას შეიცნობდა.

კი მაგრამ, სადამდე უნდა გაღრმავებოდა ფიქრი და გრძნობა, მაინც რა ენება განგებას, არა კმაროდა დების ის თავზარდამცემი დაღუპვა, ძმაც ასე სავალალოდ არ გამოცლოდა ხელიდან?

არჩილ ჯორჯაძის სიცოცხლე ისედაც ფიქრისა და გრძნობის გაღრმავება გახლდათ და სხვა კიდევ რას მოითხოვდა ბედის განაჩენი მისგან.

მაინც სადამდე?

ლიტერატურული ნარკვევის წერა მწუხარე წუთებში, მშვენიერების რელიგიის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სარჩულის გამორკვევა და თანამედროვე ევროპული ყაიდის რომანის – როგორც სინთეტური ჟანრის – შექმნისაკენ მგზნებარე მოწოდება განა არ მიგვანიშნებს, რომ არჩილი ემორჩილება განგების განაჩენს, ტრაგიკულ მოვლენებში რაღაც ღვთაებრივ კანონზომიერებას გულისხმობს, მიუწვდომელს ადამიანისათვის, მაგრამ რეალურად არსებულს, და თუ რაიმეს სთხოვს საკუთარ თავს ამ შემაძრწუნებელ ჟამს, კვლავ და კვლავ ფიქრისა და გრძნობის გასაღრმავებლად ზრუნვაა?

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზების მიხედვით ვითომ ასე დარწმუნებით შეიძლება რაიმეს მტკიცება?

მაგრამ ეს იმგვარი შემთხვევა უნდა იყოს, გალაკტიონ ტაბიძეს ასეთ შეგონებას რომ გამოათქმევინებდა: სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობაო.

ესეც ფრაგმენტის აპოლოგია და არჩილ ჯორჯაძის ფრაზათა ის ნაკუწები დადასტურება ამ პოეტური კანონისა?

– ჩემი ძმა ვიღაცას შეკვდომიაო...

– არაფერია, ეგ უბედურება უფრო გააღრმავებსო...

და გულში ჩაითქვამდა, ადრე თუ გვიან გავაღწევ იმ ჩარჩოს, საზოგადოების იმ უცნაურ მოთხოვნას, ტაბუ რომ დაუდევს და სიკვდილის თემაზე მსჯელობას არაფრისდიდებით არ გვანებებსო.

* * *

ნეტა გრიგოლ რობაქიძეს გულში ამოეჭრა, მთელი ცხოვრება სტუდენტად დარჩენილიყო თუ რა?

რაღა დროს იმის გასტუდენტება იყო, თანაც წლების წინათ ოთხ თვეზე მეტი ვერ გაეძლო დორპატის უნივერსიტეტში, მიეტოვებინა იურიდიული ფაკულტეტი და, გერმანიაში გამგზავრებულს, ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი ემჯობინებინა. იქ კი დაუდგებოდა გული? დამამთავრებელი გამოცდების ჩაბარებას აღარც დაელოდებოდა, დაჰკრავდა ფეხს და პარიზში

გადაიჭრებოდა. გზად მიაკარგავდა სადისერტაციო ნაშრომისათვის (ისტორიულ პრობლემას იკვლევდა ჰეგელთან) თავმოყრილ დიდძალ მასალას და ჩაეფლობოდა ბოდლერისა და რემბოს, ფლობერისა და სტენდალის სამყაროში.

სამშობლოში დაბრუნებული უკვე ისე იგრძნობდა თავს, რომ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ენერგიულად მოჰკიდებდა ხელს და, მოგეხსენებათ, როგორ გამოაცოცხლებდა მისი საჯარო ლექციები მინავლებულ სამწერლო ცხოვრებას... მაგრამ ახლა იურისტობის ჟინი აღარ მოასვენებდა და ისევ დორპატის უნივერსიტეტს ჩააკითხავდა, გაწყვეტილი სწავლის აღსადგენად.

თავისთავად იუმორისტული ელფერი გადაჰკრავს მის საკმაოდ გახანგრძლივებულ სტუდენტურ ბიოგრაფიას, მითუმეტეს, დორპატში კვლავ ვერ შეაჯერებდა გულს და – შვიდი სემესტრის მოთავების შემდეგ – მერვე სემესტრის მოსმენას ყაზანის უნივერსიტეტში მოიწადინებდა. რაღაც აკლდა გულს და კვლავ სხვაგან ეძიებდა მის დაშოშმინებას.

მაგრამ, ბედის განჩინებით, ესეც არ უნდა დასცალდეს – პირველი მსოფლიო ომი ატყდეს და ახალგასტუდენტებული გრიგოლ რობაქიძე ისევ სამშობლოს დაუბრუნდეს. თუმც ამდენს ნუღა გავყვებით. მის დრამატულ ცხოვრებას სხვა ბიოგრაფოსი გამოსჩენია თვალყურის მადევნებლად და აღმდგენელად. ჩვენი თხრობისას კი ამ იუმორისტული სურათის ჩართვა იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ არჩილ ჯორჯაძე უნდა მოევლინოს გამამხნევებლად, თვითონ სნეულებით გათანგულმა და დროდადრო მწარე სკეპსისმორეულმა უმცროსი თვისტომისა და მეგობრის სულიერი ყოფა ყველაზე მეტად მიიტანოს გულთან და... ჩვენს თვალწინ კიდევ ერთხელ გადაიშალოს ეს ათასგვარი ტკივილით გავსებული გული, მზადმყოფი ყველასთვის გასანაწილებლად.

თანაც – რატომ არ ეძიონ ესტონელებთან დაახლოების გზა იქ მყოფმა ქართველებმა, რატომ არ შესძინონ თავიანთ ქვეყანას ახალი მოკეთენი?

თუ ასეთი რამ ვერ ხერხდება, სჯობს მიზეზი საკუთარ თავში ეძებონ და არა სხვებში.

– ჩვენ იქ, დორპატში არავინ გვიცნობს, არავის აინტერესებს ჩვენი საქმეები. და ეს, ჩემის აზრით, იმ დრომდე იქნება, სანამ ჩვენ თვითონ არ შევიქმნებით ღირსნი გაცნობისა და ინტერესის გამოწვევისა.

ეს სტრიქონები გრიგოლ რობაქიძესთან მიწერილ ბარათშია ჩართული. იგი იმჟამად დორპატის უნივერსიტეტის სტუდენტია და, ესტონეთში სასწავლებლად წასული მარტოსულად რომ შეიგრძნობს თავს და ძალიან შეწუხდება და გუნება მოეშხამება, არჩილს შეეხმიანება და მასთან მიმოწერაში შეეცდებოდა სულიერი სიმშვიდის პოვნას.

როგორ გაიხარებს არჩილი, აშლილი და გულისჭიდილით შეპყრობილი გრიგოლ რობაქიძე სწორედ მასთან რომ მოინდომებს საუბრის გაბმას, ლაპარაკის წყურვილის დაშოშმინებას.

გაამხნევებდა, სულიერ სიმშვიდესაც უსურვებდა, თუმც იქვე დასძენდა: თუკი შესაწყნარებელია ჩვენს დროში ამგვარი სურვილის გამოთქმაო.

მოუწონებდა, რომ მეცადინეობაში ჩაფლულიყო, მაგრამ უსაყვედურებდა, რატომ დაჩნევია თქვენს სიტყვებს რაღაც პესიმიზმის ელფერიო. ძალიან კარგადაც ესმოდა ამ სულიერი განწყობილების მიზეზი, თვითონ განა ნაკლებ ეუფლებოდა მწუხარე განცდები, მაგრამ ნებისყოფის მოკრებას ურჩევდა: მხოლოდ ასე შეავსებთ იმ სიცარიელეს, რომელიც სევდას ასაზრდოებსო.

მეცადინეობა მეცადინეობად, მაგრამ განა გრიგოლს არ უნდა გამოეყენებინა თავისი მჭევრმეტყველების ნიჭი, ლექციების საშუალებით გაეცნო იქაური ლიტერატორებისათვის ჩვენი მხატვრული აზროვნება? რუსულად თუ გაიმეორებდა, რაც აქ ქართულად წაეკითხა ჩვენი პოეზიის თაობაზე, ხომ ძლიერ სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვისაც და თვითონ გრიგოლისთვისაც, რადგანაც ეს ახალი საქმე მის მარტოობის გრძნობას აუცილებლად გააქარწყლებდა.

ასე ტაქტიანად გაუზიარებდა რჩევებს და მოქმედების გეგმასაც შესთავაზებდა, თორემ მარტოდენ წუხილი, დორპატში არც არავინ გვიცნობს და არც არაფერი აინტერესებთ ჩვენიო, რა ბედენა იყო, თუკი გზას იქაც არ გაიკვლევდი.

გრიგოლს შეეძლო ეს ორატორული ხელოვნებითაც, დიდი ერუდიციითაც და პიროვნული მომხიბვლელობითაც. და მაშ რატომ უნდა დარჩენილიყო გამოუყენებელი ეს მარჯვე შემთხვევა, დორპატის უნივერსიტეტში რომ მოხვედრილიყო სტუდენტად?

ანდა ქართულ სათვისტომოს რატომ არ უნდა მოეყარა იქაც თავი და ძლიერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა რატომ არ უნდა შეექმნა?

მართლაც აღსრულდებოდა ეს სასიკეთო ჩანაფიქრი და თვალსაჩინო კერადაც გამოიკვეთებოდა დორპატის ქართული სათვისტომო, რომელიც არჩილსაც აირჩევდა თავის საპატიო წევრად და კიდევ: აკაკი წერეთელსაც, ვაჟა-ფშაველასაც, დავით კლდიაშვილსაც, იაკობ გოგებაშვილსაც, ივანე ჯავახიშვილსაც და ნიკო მარსაც. და სამეცნიერო წრესაც რომ შექმნიდნენ, მას არჩილ ჯორჯაძის სახელს მიანიჭებდნენ, ხოლო როდესაც – სულ მალე – წუთისოფლიდან გასვლის ჟამი დაუდგებოდა, ეს სათვისტომო ითავებდა კრებულის შედგენას, არჩილის ხსოვნისადმი მიძღვნილისა, და წინასწარ ცნობასაც მოათავსებდნენ „სახალხო გაზეთში“, თავიანთ უფლებასა და მოვალეობას კი იმ გარემოების აღნიშვნით განამტკიცებდნენ: არჩილ ჯორჯაძე ჩვენს საპატიო წევრად ითვლებოდაო.

და ნიშანდობლივია, რომ კრებული თავისი აღნაგობითა და მიზანდასახულებით უპარტიო უნდა იყოს.

აღარ გვიკვირს, რომ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მთავარი იდეოლოგის სახელი ამ ემწყვდევა პარტიულ ჩარჩოებში და მთელი საზოგადოება ამას ბნუებრივად აღიქვამს.

გამოცემა ორნაწილიანი უნდა ყოფილიყო.

ერთში მოექცეოდა ფოტოსურათი, ბიოგრაფია და ყოველმხრივი დახასიათება (იქვე დასძენდნენ: რამდენადაც ეს დღეს შესაძლებელიაო, – რაკიღა არჩილს იმ მოვლენად აღიარებდნენ, რომლის პიროვნებაც და ღვაწლიც შემდგომ და შემდგომ უფრო კანთიელად და რელიეფურად წარმოჩნდებოდა), მეორეში კი ბელეტრისტული ყაიდის თხზულებანი, მიძღვნილი განსვენებულის ხსოვნისადმი.

სალიტერატურო მუსიკალური საღამოების სერიას, ეს სამეცნიერო წრე რომ თაოსნობდა, ახლა ეს სიახლეც უნდა შემატებოდა გამოცემის სახით და, ცხადია, იმ კაცის სახელობაზე, თავიანთ უპირველეს შთამაგონებლად ვინც ესახებოდათ.

გამოიყენეთ თქვენი მჭევრმეტყველების ნიჭიო, – განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძისა ეიმედებოდა.

თავისი ამბავი კი რა მიეწერა?

დაზამთრდა და ვარ მომწყვდეული დატუსაღებულ დამნაშავესავით და, როდესაც ავადმყოფობა არ მიშლის, ცოტ-ცოტას ვმეცადინეობო.

ნუ მოიწყენ და გულს ნუ გაიტეხო, – ბარათის ბოლოს კიდევ ერთხელ გაამხნევებდა: მომავალი ოცნებით მაინც ჩვენია და ესეც კარგი ნუგეშიაო.

* * *

ალბათ კარგად ხარ, რომ მუშაობო, – უხაროდათ, საქმეში ჩაფლულს რომ შეუსწრებდნენ ანდა ბარათით შეიტყობდნენ, ფურცელს ფურცელზე ალაგებსო.

ელიმებოდა არჩილს, დროდადრო ცოტა თუ მოვკეთდები, თორემ კარგად აღარასოდეს აღარ ვიქნები. მთავარია, ძალიან არ ვიყო დაძაბნეულები, ცოტ-ცოტა მუშაობა რომ შევიძლო. ჩემი სულიერი ყოფა ისეთია, თვით ავადმყოფობაშიც უნდა ვიმუშაო, თორემ ძალიან გამიძნელდება ამხელა ჭირ-ვარამის გადატანაო.

ერთ პირად წერილში კიდეც ჩაწერდა, ასეა და ასეო, ეს მაშინ, თამარ ფალავანდიშვილს რომ აუხსნიდა სულისა და სხეულის ამ ჭიდილს, ბედისწერად ქცეულს მისთვის და ისე შეჩვეულს, სხვაგვარად ვეღარც წარმოედგინა.

– მუშაობა ხალისს მაძლევს სიცოცხლისას. ამის წყალობით არ მოვწყდი სიცოცხლეს და ჩემი აზრიც არ მიძინებულა. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. მე ძლიერ შევეგუე ამგვარ პირობებს, რომელიც კარგად მყოფს აუტანელი ეჩვენებოდნენ.

იმჟამად საბუეში იმყოფება და, ეტყობა, იქაურობამ იმოქმედა, რომ კვლავაც განწყობილა სამუშაოდ: ამ სოფელში მოსვენებული ვარ, არავინ მიშლისო – იწერება და გახალისებული ამცნობს: იმედი მაქვს ერთ დიდ ეტიუდს დავამთავრებ – მესამე წიგნისათვის, რომელსაც ერქმევა სახელად – ფილოსოფია და ხელოვნება, და რომელიც გამოვა შემოდგომაზე, თუ მეორე წიგნი კარგად გავრცელდაო.

თავი ოცდამეექვსე

იტრიის წისქვილი

კარი რომ გაიღება და გამოჩნდება გამხდარი, მიმდნარი, ჩავარდნილლოყებიანი კაცი, მის დასნეულებულ სახეზე მხოლოდ თვალები, დიდრონი, მშვენიერი თვალები ციმციმებენ სიცოცხლის ნიშნით, სტუმარი აღელვებით ნაილუღლუღებს რაღაცას.

აღელდებოდა – მის გონებაში ეს კაცი შარავანდით შემოსილიყო და რეალურად თუ იხილავდა, რას წარმოიდგენდა.

იხილავდა კიდეც და არაერთხელაც მოუწევდა შეხვედრა მასთან – ვლადის. კი მაგრამ, ვლადი ვინღაა? ჟურნალისტია, რედაქციის თანამშრომელი, ვისაც აგზავნიან ხოლმე არჩილთან მასალებისათვის და ვისაც მიენდობა მისი გამგზავრება სურამისაკენ სააგარაკოდ. ესაა და ეს, რისი ამოკითხვაც შეიძლება იმ მემუარულ ჩანაწერში, ფსევდონიმით რომ გამოქვეყნდებოდა და ქარაგმა „ვლადი“ ჯერჯერობით გაუხსნელი დარჩებოდა. არადა, აუცილებელია ქარაგმის ამოშიფრვა, რაკიღა მემუარული ჩანაწერი მრავალმხრივ საგულისხმო მასალაა როგორც ცნობების, ისე დაკვირვებების თვალსაზრისით.

ჯერ კი იდგა ოთახიდან გამოჭრილი მზის შარავანდის წინაშე და, ამას რას შევესწარიო, მისი გულის ბაგუნი ალბათ ქუჩის ბოლომდე ისმოდა.

არჩილის მეგობართა წრეს თავს როგორ მიაკუთვნებდა.

ეამაყებოდა, რომ მეგობრები მისი თანდასწრებითაც ბჭობდნენ, სადაც გაეგზავნათ სულის მოსათქმელად: გრილი და საღი ჰავა ესაჭიროებაო. ანონეს, დაწონეს და სურამი დაამჯობინეს ყველა სხვა კუთხეს. და რადგანაც ვლადი აქაური გახლდათ, ამ საქმის მოგვარება მას ჩაბარდებოდა.

ეს მოუხშირებდა სიარულს არჩილ ჯორჯაძესთან.

ის ძალიან გაიხარებდა ამ არჩევანით.

ჯერ ჯანსაღი კაცისთვისაც აუტანელი იქნებოდა ტფილისური ხვატი, მითუმეტეს, მისი პატარა ოთახის შეხუთულ გარემოში.

და სულ იქ წასვლა ეკერებოდა პირზე, გეგმებს აწყობდა, როდის რას გააკეთებდა,წინასწარ გულდასმით ანაწილებდა დროს და, სტუმარი რომ ყურს უგდებდა, მის გაკვირვებას საზღვარი არ გააჩნდა: საიდან მილეულ ტანში ასეთი იმედები, აღფრთოვანება და სურვილებიო!

მაისის მიწურულს გაემგზავრებოდა სურამში.

ყველაფერი წინასწარვე გამზადებულიყო.

აგარაკამდე მიცილება არ მოუხერხდებოდა ვლადის, თუმც ეს საჭირო აღარც ყოფილა.

სადგურამდე მიაცილებდნენ.

გზაში სამხედრო პირს გაეცნობოდა, ქართველს, გორის მაზრის მკვიდრს. ადგილობრივ ამბებზე ისაუბრებდნენ და არჩილი ნასიამოვნები დარჩებოდა ამ ლაპარაკით. გორამდე შეუმჩნევლად ჩავიდოდნენ და იქიდან კი სურამამდე რაღა რჩებოდა.

ხაშურში, სადაც მეორე მატარებელში უნდა გადამჯდარიყო, საგანგებოდ დახვდებოდნენ ყმაწვილები.

ბარათს რომ მოიწერდა, კმაყოფილებას გამოთქვამდა მგზავრობითაც და იმ სახლ-კარითაც, სადაც დაბინავდებოდა.

ვლადიც რომ ჩამოვიდა სურამში და ზაფხულს ერთად გაატარებდნენ, უპირველესად არჩილის ოთახს მიაქცევდა ყურადღებას, ხომ ისეა, როგორც შემოვთვალე და დავატრიალე ჩემიანებიო. და გაიხარებდა, მართლაც კარგი მდებარეობა აქვსო.

ქვითკირის სახლში სამფანჯრიანი დიდი და ნათელი ოთახი, მაღალკედლებიანი. უკეთესს რას ინატრებ, მითუფრო, თუ ერთ მხარეს მთები მოჩანს, მეორე მხარეს კი იქვე, ახლოს, გზის მეორე ნაპირას საუცხოო ფიჭვნარი თავად ჩხეიძეთა, სადაც მოაგარაკენი დღეცისმარე დასეირნობდნენ.

მემუარულ ჩანაწერში ქარაგმულადაა მინიშნებული: თავად ჩ-ძეთაო, თუმც ქარაგმა საკმაოდ იოლი გასახსნელია, რადგანაც თავადები იტრიაში ჩხეიძეები იყვნენ და ის ფიჭვნარიც, მოაგარაკეთა სასეირნოდ გადაქცეული, მათ ეკუთვნოდათ.

აივანზე გადმოდგომა ჰყვარებია არჩილს.

იქიდან გადმოჰყურებდა წისქვილსა და მილეთის სოფლელს, მიმსვლელ-მომსვლელს, ზოგს მოჰქონდა დასაფქვავი ურმითა თუ ზურგით, ზოგსაც დაფქული მიჰქონდა, და ვერ ითმენდა, რომ არ გამოლაპარაკებოდა.

მერე ქვემოთ ჩამოინაცვლებდა.

მერე წისქვილშიც შედგამდა ფეხს.

იმ მილეთის ხალხის ტრიალისას თუ მაშინ, როდესაც გამოიკეტებოდა წისქვილი და ჩამტკნარდებოდა იქაურობა? ჯერ ასე ხომ არ ემჯობინებინა – შესჩვეოდა, მყუდროდ და შინაურულად ეგრძნო თავი, ვიდრე ორომტრიალში გაერეოდა, ყოველთვის თუ ვერა, ხანდახან მაინც?

ბაჭიებიც იქნებ მაშინ დააფრთხო, მერე კი მისდევდა მისძახოდა, ჩემი ნუ შეგეშინდებათ, თქვენიანი ვარ, თქვენს ძმად და თვისად მიგულეთო.

ჭოტიც იქნებ მაშინ დაიმეგობრა.

ნეტა არჩილ ჯორჯაძესაც თუ ჰყავდა ისეთი მეგზური, ამჟამად თამაზ ლაცაბიძე რომ ჰყავს მთელს იმ მხარეს, მისი ერთი გოჯიც რომ არ დარჩენია მოუხილავი და შეუსწავლელი. და ოღონდ გიამბოს და თვალწინ გადმოგიშალოს ყველა ის ცნობა, რაც უგროვებია და უზუსტებია.

არჩილი თან ვერ სდევდა იმ თავის მეგზურს თუნდ ერთი მუჭა იტრიაში, მაგრამ თვალნათლივ კი წარმოესახებოდა ის გარემო ღვთისმშობლის ეკლესიისა თუ ჩხეიძეთა ფიჭვნარით, და კიდევ იმ ადგილებით, რაც იქნებ ასე გამორჩეული არ იყოს და ამ სოფლის მშვენება თუ სიამაყე, მაგრამ რაღაც ნიუანსებით უთუოდ კოლორიტული და დასამახსოვრებელი.

სურამულას ხეობას აქვს თავისი პეწი და ლაზათი, რაც ჩვენი მიწა-წყლის სხვა ხეობებში არ აგერევა ქართლურისა და იმერულის მომხიბლავი შერწყმით, ზემოქართლის რეალობაში იმერული შტრიხების შემორევით.

„სურამს ზეით, სამხრიდამ მოერთვის ამ წყალს ურთხვის ხევი, მას ზეით არს იტრიის მონასტერი ყოვლადწმიდისა, უგუმბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად“.

ეს პასაჟი ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიიდანაა“.

დასახლებულიყო ეს სოფელი და ამიტომაც მოიხსენიებს არამარტო იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“, არამედ გერმანელი გიულდენშტედტიც თავის სამოგზაურო ნარკვევში.

პირველად კი დოროთეოზ კათალიკოსი აღბეჭდავდა ამ სახელწოდებას შემოწირულობის სიგელში, როდესაც იმ მრავალმხრივ საგულისხმო ცნობას შემოგვინახავდა, რომ: გიორგი XI-საგან შეიძენდნენ იტრიას 1525-27 წლებში და შემდგომ შესწირავდნენ ახალაშენებულ ღვთისმშობლის ეკლესიას –

„...მოგვიბოძა და მოგვყიდა სურამის პირასა სოფელი ნიტრია დიდის ფასითა“.

რაო, ნიტრიაო?

იტრიის ეტიმოლოგიის გარკვევას რომ შეეცდებოდნენ მკვლევარები, ცხადია, ეს ფორმა – ნიტრიაც – გაუხდებოდათ გასათვალისწინებელი. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს ხან ისე გადაჩხრეკდნენ, ხან ასე, ცალკე იტრიას დაუკავშირებდნენ ძველ ქართულ გამოთქმას – ტრავა, ტრვა – რაც მრავალ სვლას ნიშნავდა, ცალკე ნიტრიას მიუსადაგებდნენ ნიტროიონს, რაც განიმარტებოდა „ყოველთა თეთრთა ლართა სახელად“, და დასძენდნენ, რომ იტრიის შემოგარენი ძალზე მდიდარი იყო კირქვით.

თუმც ახსნა იქნებ სულაც არ გვეძებნა ქართული ენობრივი მონაცემების საფუძველზე და უპირველესად მის საწყისად ბიბლიური ტოპონიმიკა გვევარაუდა – ნიტრიის უდაბნოს ისეთივე გამოძახილად ქართულ რეალობაში, როგორც სიონი თუ ბეთლემია ჩვენს ლანდშაფტში.

ჩხეიძეთა ფიჭვნარი შემთხვევით არ გაჩენილიყო. ამ გვარის ერთი შტო XVII საუკუნის 30-40-იან წლებში გადმოვიდოდა იმერეთიდან იტრიაში და დამკვიდრდებოდა. გადმოსვლა არ მომხდარა კეთილი ცხოვრებითა და მოგზაურობის სიყვარულით, იძულებით უფრო შემოაფარებდნენ თავს აქაურობას, ვიდრე ამ შტოს ერთ გაბაყარს აქაც აღარ დაედგომებოდა და სოფელ ყელქცეულში ამოჰყოფდა თავს და ახლა იქ გამოცდიდა საკუთარ თავზე იმ ჭირ-ვარამს, რაც ქვეყანას დაატყდებოდა.

გარდა ფიჭვნარისა, ეკლესიის სამრეკლოს აშენებაც ამ გვარის ღვაწლი გახლდათ წინამძღვარ ნიკოლოზთან ერთად – ბეჟან ჩხეიძე ააგებდა 1657 წელს უშუალოდ იმ ტრაგიკული ეპიზოდის სახსოვრად, აქედან ძალიან შორს, ქალაქ ჰალებში გიორგი სააკაძესა და მის რაზმელებს თავს რომ მოჰკვეთდნენ და ბეჟანის ნაცვლად, ვისაც ჰქონდა მისჯილი ჯალათის ხელით სიკვდილი, მამამისი – გორგასალ ჩხეიძე – დასდებდა თავს საჯალათო კუნძზე.

გაგახსენდათ ლევან გოთუას ნოველის – „უგზო ქარავანის“ – სიუჟეტური ქარგა?

ისტორიულ ამბავზე ამოშენებულიყო ეს ქარგა, ჩხეიძეთა გვარის ბიოგრაფიის ერთ მღელვარე და სულისშემძვრელ ეპიზოდზე, მამა ციხის მცველებს რომ მოქრთამავდა, რათა შვილი ეხსნა გარ-

დუვალი აღსასრულისაგან, და რათა ერთი თავი სათვალავში არ დაკლებოდათ ჯალათებს, თვითონ შეენაცვლებოდა ვაჟს.

ამ სისხლიან დრამას გაახსენებდა ყოველთვის სამრეკლოს ხილვა ბეჟან ჩხეიძესაც და ყველას, ვიდრე ეს გადმოცემა იტრიალებდა ამ არემარეზე. და თუმც ლევან გოთუა ქართული ნოველისტიკის ამ შედევრით ხელახალ სიცოცხლეს მიანიჭებდა საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულ ეპიზოდს, გარკვეული მოტივით, არ აღნიშნავდა მთავარი გმირების გვარს და გორგასალსა და ბეჟანს სულაც გლეხებად მოიხსენიებდა და არა თავდებად. და მხოლოდ საისტორიო ქრონიკების მჩხრეკელნი თუ გადააწყდებოდნენ მათ ნამდვილ ვინაობას და სამრეკლოს აგების შთამაგონებელ მიზეზსაც იოლად მიაკვლევდნენ.

სამრეკლო თავისებურ ობელისკად წამომართულა.

და თურმე რა ისტორია თვლემს მის საძირკველში.

სხვაგვარად ააღელვებდა ეს სამრეკლო სეხნია ჩხეიძეს, ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი მატიანის შემქმნელს, სხვაგვარად მოეჭდობოდა გულზე უშუალო ნინაპართა ბედისწერა.

ყელქცეულიდანაც კანთიელად მოჩანს იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრეკლო.

იქ ჩატოვებულ საგვარეულო ფესვებზე ამოზრდილად.

ნეტა არჩილ ჯორჯაძის აივნიდან თუ მოჩანდა ეკლესია?

სამრეკლოს ვერა, ვერ დაინახავდა, ამ მხარის ეკლესია აფარებოდა, მაგრამ გადმოცემას მასაც თუ გაუმეორებდნენ? იქნებ ხსოვნა უკვე ჩანავლებულიყო, მაგრამ... ისე როგორ იქნებოდა, ერთსა თუ ორ კაცს საამაყოდ არ დარჩენოდა სამრეკლოს შექმნის ისტორია. და ვისთან შეიძლება მოეწონებინათ თავი ამ ისტორიით, თუ არა ასეთ სახელოვან პიროვნებასთან, თანდათან იქაურობის სული და გული რომ შეიქნებოდა და ის წისქვილიც აღარ იქნებოდა ყოფაცხოვრებითი ნაგებობა, ისტორიული ძეგლის შარავანდედით შეიმოსებოდა და, არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიას რომ გადაეჯაჭვებოდა და მისი უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-ფილოსოფიური ქმნილების შთამაგონებლად წარმოდგებოდა, აღარც აღარასოდეს ამოიშლებოდა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან – ხან იატაკქვეშ მოექცეოდა, ხან ზედაპირზე ამოჩნდებოდა... არ ამოიშლებოდა კი.

თვითონ წისქვილი დროს გადაჰყვებოდა, პროვანსული წისქვილებისა არ იყოს.

ისტორიულ ძეგლადაც ვერ გადარჩებოდა.

და იმ ადგილს იმ სახელწოდებით მიაგნებ, რომ აქაურობას ახლა ნანისქვილარი ჰქვია.

აღარც წისქვილი.

აღარც ის სახლი, ის ოთახი და აივანი.

მხოლოდღა ხსოვნა – პატარა წიგნის ფურცლებს შეფარებული.

ჯერ კი:

გაღვიძებით ადრე იღვიძებდა და, რადგანაც ჩაის სრულებით არ ეტანებოდა, რძიან ყავს სვამდა. დილაობით ერჩივნა წერა. ნოტიოს ერიდებოდა, რის გამოც იშვიათად თუ გამობედავდა სისხამზე გარეთ. ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გაუვლელადაც განიცდიდა, რა იყო მამული. ისე ბარემ ცვრიანი ბალახის შეგრძნებაც ერჩივნა, მაგრამ... თუ არა მუშაობდა, ლოგინზე წამოწვებოდა და ან კითხულობდა, ან თვლემდა. თუ ათბილდებოდა და სტუმრადაც არავინ ეწვეოდა შუადღისას, გადმოდგებოდა აივანზე და გადაჰყურებდა წისქვილს.

საღამოობით ყოველდღე მიაკითხავდა ვლადი.

კმაყოფილებას დილის ნამუშევრით და კარგ გუნებაზე ყოფნას იმით შეატყობდა არჩილს, რომ ის სუფრისაკენ ანიშნებდა ხოლმე. სტუმარი აგროვებდა დაწერილ ქაღალდებს და სიცილით დაუწყებდა დათვლას: ერთი, ორი, სამი, და ასე გავიდოდა ბოლომდე. არჩილი ღიმილით გამოჰყურებდა.

თანდათან შეეჩვეოდა სახლის პატრონებს და დიდ კმაყოფილებასაც გამოთქვამდა მათი მზრუნველობით. სულსაც არ იშურებდნენ მისთვისო, ვლადი გაიხსენებს, შეუძლებელია ახლობელმა ნათესავმაც იმდენი ყურადღება და ძალა შეგალიოსო.

არჩილი ცოტა არ იყოს უხერხულობას იგრძნობდა და ვლადის სიტყვას ჩამოუგდებდა, ალბათ საფასურია მოსამატებელიო.

არაო, ეს უმტკიცებდა, სვიმონი გამორჩენისათვის არა ცდილობს, თავის მოვალეობად მიაჩნია თქვენზე მზრუნველობაო.

ისედაც ატყობდა მზერაზეც, მონიწებულ სიტყვა-პასუხზეც ვლადი, მაგრამ განსაკუთრებით იმას მიაქცევდა ყურადღებას, მასპინძელი რომ იტყოდა ხოლმე:

– არჩილის მზესა ვფიცავ!

არჩილი თუ ჩათვლემდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა და ქათამიც ვერ გაიჭაჭანებდა, არც სტუმარს შეუშვებდნენ ამ დროს და მართლაც კეთილ და ერთგულ დარაჯებად ადგა თავს ცოლ-ქმარი.

დაძინებით როდის იძინებდა?

ესეც აღუნიშნავს მემუარისტს: საღამოს 9-10 საათზეო.

სტუმრობით ვინ სტუმრობდნენ?

ექიმი ივანე გომართელი სტუმრობდა კიდეც და მისი ჯანის სიმრთელესაც თვალს ადევნებდა.

საგანგებოდ ეახლებოდნენ ზურაბ ავალიშვილი, გეგეჭკორი, გრიგოლ რობაქიძე, გრიგოლ დიასამიძე, ვახტანგ ღამბაშიძე... ბორჯომიდან და წაღვერიდანაც მოაკითხავდნენ.

ზურაბ ავალიშვილიც რომ მოინახულებდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, მეწისქვილე არჩილის დიდი მეგობარი შექმნილაო.

ამ გულითადობას ვერ აღიქვამდა სახლის მეპატრონისა და მდგმურის ურთიერთობად.

თავისებური კაცი იყოო – ასე გაიხსენებდა და მოგონებაში რამდენიმე საგულისხმო რეალიასაც ჩაურთავდა: ცოლად ჰყავდა გაქართველებული რუსის ქალი. რომელიღაც სექტის მიმდევარი. წინათ ის კაცი რკინიგზის მუშა ყოფილა – ლიანდაგის ოსტატი, რომელიღაც მიზეზით, ვგონებ, რევოლუციაში მონაწილეობისათვის ადგილი დაჰკარგოდა და მეწისქვილედ გამხდარიყო.

ალბათ ამ ბიოგრაფიის გამოც შეთვისებოდა ასე რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მეთაურს.

სტუმარი არჩილს სიმხნევესაც შეატყობდა და მუშაობის უნარსაც.

რამდენჯერმე გაუმეორებდა ზურაბს:

– აი, მოდი, ერთხელ სხვა მეგობრებთან, ეს კაცი წაგიყვანს „ლინეიკით“ მთაში.

რაკილა მთაში მგზავრობის სურვილიც გასჩენოდა არჩილს, ეს ნიშნავდა, რომ კიდევ უფრო მომატებოდა სულიერი ძალა, ვიდრე გარეგნულად ეტყობოდა, თუმც გარეგნულადაც ვეღარ შეამჩნევდი სნეულების კვალს.

რა სჯობდა – მთაში „ლინეიკით“.

ჯერ ზურაბ ავალიშვილისთვისაც, თორემ არჩილ ჯორჯაძეს ღვთის წყალობასავით დაათოვდა.

რას ნიშნავს მაინც თავისი მიწა-წყალიო, – გაიფიქრებდა ზურაბი, – პეტერბურგში რომ ჩამოვიდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან, ორი დღეც ვერ გაძლო და საავადმყოფოში გააქანეს, და მას შემდეგ რას წარმოვიდგენდი, ასე მოფერიანებულს თუ ვნახავდიო.

მხოლოდ მოგვიანებით წამოაგონდებოდა მწარედ ის მთაში მიპატიჟება: ბედი თურმე სულ სხვა მოგზაურობას უმზადებდაო.

თითქოს სულ მისი პატივისმცემელნი და მოთაყვანენი შეეყარა ბედისწერას იმ ზაფხულს იმ შემოგარენში.

თუმც...

იმასაც შეიტყობდა, ნოე ჟორდანია ჩამოსულა სურამშიო.

როგორღაც გაეგოო, – მემუარისტმა. როგორც ჩანს, მას თვითონ არ უცნობებია არჩილისათვის, კარგად მოეხსენებოდა მათი მძაფრი პაექრობა პრესის ფურცლებზე და მოერიდებოდა ხსენებას, ვაითუ რა გუნებაზე დადგესო.

არჩილს არ გადაჰქონდა ლიტერატურული თუ პოლიტიკური კამათი პირად ურთიერთობაზეც და... თურმე შინაგანად აფორიაქებულა: ნეტა მომინახულებს თუ არაო.

მაგრამ ნოე... ნოე ჩამოვიდოდა და... წავიდოდა.

იქნებ გულისჭიდილშიც იყო, ვინახულო თუ არაო... იქნებ იმაზეც დაფიქრებულიყო, ვინ როგორ შეხედავდა მის საქციელს და, ვაითუ გამამტყუნონო, ეს განცდაც გაკვესავდა გონებაში... სასხვათაშორისო არ იქნებოდა მისთვის ეს გადაწყვეტილება – არა, მაინც არ მოვინახულებო.

უჩუმარის პირით კი გაეცლებოდა იქაურობას.

და გაიღიმებდა არჩილი ალალი, უშურველი ღიმილით, ნოე ჟორდანია გუდა-ნაბადს რომ აიკრავდა დაბიდან. გამოიკითხავდა, ისევ აქ არის თუ არაო, და გამგზავრებას რომ ამცნობდნენ, იმ ღიმილით:

– როგორ მოვიდოდა ჩემთან, მოსისხლე მტერთან!

ვლადის ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ასეთი ლაპარაკი, ხუმრობა იმას მოასწავებდა, რომ არჩილი კარგ გუნებაზე იყოო.

ჩვეულებრივ ჩაფიქრებული და ჩუმი ასეთ წუთებში ენაწყლიანი მოუბარი ხდებოდა ხოლმე.

და გაეხარდებოდა თანამოსაუბრეს მისი გუნების გამოკეთება, კიდევ რამდენ რამეს შევიტყობო.

პირად ცხოვრებაზეც ჰყვებოდა, ამა თუ იმ მოღვაწესა და მოვლენაზეც გამოთქვამდა თავის შეხედულებებს და ნაამბობთა ზოგადი ქარგა მთელს მის ბიოგრაფიას შემოსწერდა: ეს გიმნაზიაო, ეს უნივერსიტეტში გამგზავრება და სამეცნიერო წრეებში მუშაობაო, ეს ინგლისს გამგზავრებაო, ეს პარიზში ყოფნაო, ეს აუტანელი გაჭირვებაო, ეს „საქართველოს“ გამოცემის ამბებიო, ეს სახალისო ეპიზოდებიო... უამისოდაც არ იქნებოდა თხრობა...

ერთ-ორ ასეთ ეპიზოდს ჩაურთავდა ვლადი თავის მემუარულ ჩანაწერში და დანარჩენს შემოინახავდა. ნეტა როდისთვის? ან ჩაწერილ-ჩანიშნული თუ მაინც ჰქონდა, ისე გამოდის, ეკერმანობა დაეკისრებინა არჩილ ჯორჯაძეს – და უფრო კი განგებას – მისთვის და შეიშნოვა ეს როლი თუ ხელიდან გაუშვა ეს საუკეთესო შესაძლებლობა?

სადღაც, რომელიღაც არქივში იქნებ კიდეც თვლემს არჩილ ჯორჯაძის მღელვარე საუბრების ლამის სტენოგრაფიული ჩანაწერები და ხელი ვერ მიგვიწვდენია?

მაშინ კი მოიბოდიშებდა ვლადი, მკითხველს იმ ერთი-ორ ეპიზოდს რომ აკმარებდა, ცნობისწადილს ძალიან გაუღვივებდა და სხვა ეპიზოდთა გადმოცემას კი გადაუდებდა:

– მრავალს მის მოგონებებს და სხვას ჯერ კიდევ ვერ შევეხებით სხვადასხვა მიზეზის გამო.

რა უნდა ყოფილიყო ეს მიზეზები, თანაც არაერთი?

ახალგაზრდობა უყვარდა და არც ისინი ივიწყებდნენ თავის საყვარელ მოძღვარსო – ეს გარემოებაც რომ არ დარჩებოდა აღუნიშნავი, საგულისხმო დეტალებსაც შემოგვინახავდა: სურამში საამაგარაკოდ მყოფი მოსწავლენი, ქალებიც და ყმაწვილკაცებიც, ხშირად ამოაკითხავდნენ მის სახლს, სურამიდან ერთი ვერსით დაშორებულს, და შესვლას რომ ვერა ბედავდნენ, ფანჯრებს მისჩერებოდნენ, იქნებ თვალი მოვკრათო.

ქალიშვილები ხანდახან ყვავილების თაიგულს აუტანდნენ სახლის პატრონს, ჩვენს მაგივრად გადაეციო.

აღელდებოდა არჩილ ჯორჯაძე ასეთი ყურადღებით, შეწითლდებოდა ხოლმე კიდეც.

უკან არ დაუბრუნებდათ, იმ ფრანგ ქალს როგორც ექცეოდა.

ტფილისიდან ესტატე ავალიშვილი ჩამოვიდოდა.

მემუარისტს ის დღე კარგად დაამახსოვრდებოდა: საუცხოო ამინდი იდგაო.

იმისი ჩამოსვლა და გულითადი დაპირება, წიგნების გამოცემის საქმე კარგად მიდის და მესამე და მეოთხე ტომები ზაფხულში გამოვაო, დიდებულ გუნებაზე დააყენებდა არჩილს.

– ნეტა ისე არ მოვკვდე, ჩემი ნაწერების გამოცემას ვერ მოვესწრო. უკვე დაბეჭდილ წერილებში ზოგან კორექტივის შეტანაა საჭირო, ამას კი ჩემ მეტი ვერავინ იზამს.

ეგაა, არ ესიამოვნებოდა, მეხუთე ტომის გამოცემა უკეთესი დროისათვის რომ გადაიდებოდა, მაგრამ გულს ის უკეთებდა, რომ

ყველა მონდომებულიყო მის მხარში ამოსადგომად და მძიმე პირობები არ ანებებდნენ უფრო მეტს.

გლეხკაცობა თანდათან შეიტყობდა, სვიმონაანთ მდგმური დიდი კაცი ყოფილაო, და ხან სახლის პატრონის პირით ეკითხებოდნენ რჩევას და ხანაც ვლადისა. უმთავრესად მიწის შეძენის გარემოებანი აინტერესებდათ.

იმ წლების თვალსაჩინო საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოვლენად გამოჩნდებოდა არჩილ ჯორჯაძის ნაწერების სრული კორპუსის გამოცემის ცდა. თუმც მოთავება არ ეწერა, ოთხი – მის სიცოცხლეშივე 1911 წელს დაიბეჭდებოდა, მეხუთე – მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ – 1914 წელს, მეექვსე კი – მის მიერვე შედგენილი, სამუდამოდ გამოუქვეყნებელი დარჩებოდა, მაგრამ ნაკლული გამოცემაც შეასრულებდა თავის მრავალმხრივ როლს, მითუმეტეს, მკითხველი ჯერ იმედით შეჰყურებს ამ წამოწყებას და მის დროულად გასრულებას მოელის.

ივანე ჯავახიშვილსა და ზურაბ ავალიშვილს პეტერბურგში ჩაუვიდოდათ არჩილის თხზულებათა პირველი ტომი და ისე გაიხარებდნენ, ერთბაშად და სახიერად რომ წარმოჩნდებოდა ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის სიმაღლე, მითუმეტეს, პირველი წიგნი თავისთავად გულისხმობდა მალე მოდევნებას შემდგომი ტომებისა და არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა სრული გამოცემა ქვეყნის სავიზიტო ბარათივით მოჩანდა კაცობრიობის წინაშე თავისი შინაგანი სივრცით, თანადროულ საერთაშორისო სამეცნიერო და საზოგადოებრივ პროცესებში უშუალო ჩართვითა და სწრაფვით ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებათა დასამკვიდრებლად.

თქვენ ეხებით ისეთ საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველი ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებასო, – მოიწერებოდა ივანე ჯავახიშვილი 1911 წლის 31 მარტს და ამ აღმატებულ შეფასებებსაც კი არა კმარობს – „ყოველი ქართველისათვისო" და „სახელმძღვანელოო" – და ახალ-ახალ ეპითეტებს გამოძებნის: თქვენი ნაწერებისა გულწრფელობა და პირუთვნელობა მომწონს, მიუდგომელი, ნამდვილი მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალე, შემატკივარი და თანამგრძნობი გულით დაწერილი. თქვენს გარდა ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივი და ეროვნული მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებანი ამ მხრივ პირდაპირ დაუფა-

სებელია. სწორედ საჭირო იყო ამ საკითხს შეჰხებოდნენ ჩვენს მწერლობაში, რათა ჩვენს თანამედროვე აზროვნებასა და მსჯელობას მუდამ ღრმა საფუძვლიანობა ჰქონდეს და ხვალ არ დავივიწყოთ ის, რაც გუშინ და გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყოო.

რითი არ არის უაღრესად დაწურული რეცენზია?

მეტი რაღა შეიძლება ითქვას ასე სახელდახელოდ?

მაგრამ კალამი თვითონვე გადმოიტანს გულისნადებს:

– მოხარული ვარ, რომ ამ საგნის შესწავლა და აღწერა თქვენ იკისრეთ: თქვენზე უკეთ ამ მიზანს ვერავინ მიაღწევს და განახორციელებს და ამის გამო ყოველს თქვენს წერილს ჩვენს გაზეთში სიამოვნებით ვკითხულობდი და ვკითხულობ ხოლმე.

„უკეთ ვერავინო“ შემთხვევით არ დასცდება – არჩილისათვის ვერავინ შეეტოლებინა; და ორი წლის შემდეგ კვლავ ასე განსაზღვრავს მის ადგილს ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში: ყველაზე კარგად შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერაო.

ზურაბ ავალიშვილიც დიდ სიხარულს გამოხატავდა, და არამარტო იმ ყურადღების გამო, ძველ მეგობარს რომ არ დავიწყნოდა და წიგნი მაშინვე გაეგზავნა, უფრო არჩილის ენერგიისა და ნაყოფიერების ასეთი გამოვლინებით.

– და თუ ამას დავუმატებთ შენს უახლეს წერილებს „სახალხო გაზეთში“, – იგრძნობა შენი სულიერი სიძლიერის შესაშური სურათი, რომელსაც შეუძლია გადალახოს ავადმყოფობაც და ყველა დაბრკოლებაც.

„სახალხო გაზეთი“ შემთხვევით არ არის ნახსენები. რაც უნდა იყოს, თხზულებათა ეს პირველი წიგნი ადრინდელი ნაშრომებითაა შედგენილი, რომელთა ხელახალი გადახედვა და რედაქტორული ჩასწორებანი დიდად საძნელო არ უნდა იყოს, მაგრამ აგერ ახალი თხზულებაც, რომელსაც ოდნავადაც არ ეტყობა მოდუნება, მოდუნება კი არა, სულაც „სულიერი სიძლიერის შესაშური ნიმუშია“ და რატომ არ უნდა იყვნენ იმედიანად ავტორიც და მისი კეთილისმყოფელნიც?!.

* * *

აკაკი პაპავას არჩილის გაცნობა რომ ეოცნებებოდა და მხოლოდ მისი ნაწერების კითხვას კმარობდა, ის დღეც დადგებოდა, პირადი ურთიერთობის ძაფები რომ გაიბმოდა მათ შორის. ის ტფი-

ლისში განიზრახავდა დაბრუნებას, ეს სააგარაკოდ აპირებდა გამგზავრებას და აცდენით აცდებოდნენ. იმას გული წყდებოდა, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, რომ არჩილი მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა.

ისევ ბარათით გადაუშლიდა გულს.

1911 წლის 30 აპრილით დათარიღებული ეს წერილი აღსარების ყაიდისაა, ნრფელი და არა თვალთმაქცური აღსარების, გამხელილი იმ კაცის მიერ, ვინც აბსტრაქტული იდეების ერთგულებაში ჰპოვებდა სიცოცხლის აზრს, მათი ღაღადება არა წყინდებოდა სხვა უამრავი თვისტომის დარად და... უეცრად აღმოაჩენდა, ეს ხომ დიდი ცოდვაა და სხვა არაფერიო.

თავს ინუგეშებს, ჩემი ხმა ყოველთვის სუსტი და უმნიშვნელო იყოო; მაგრამ ისეთ თვითგვემას შეუპყრია, მიაჩნია, რომ ესეც ვერ გამოისყიდის მის დანაშაულს სამშობლოს წინაშე.

ადრე თუ სრულიად არ ანაღვლებდა ქვეყნის ბედი, ახლა დაუნდობლად შოლტავს საკუთარ თავს: როცა სამშობლო დახმარებასა და შველას მოითხოვდა, მაშინ ვაქციე ზურგი, არადა, თუკი ვინმეს სურს საქართველოსათვის რაიმე გააკეთოს, სწორედ თავის მიწა-წყალს არ უნდა მოშორდესო.

აწუხებს, ჯერაც უცხოობაში რომ შემორჩა და ვერა და ვერ ჩამოაღწია ტფილისში, რომელთან სულიერ სიახლოვეს ვეღარ გრძნობს და თავს ყვედრის, მე ხომ არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო. მაინც იმ იმედს ებღაუჭება, ახლა მაინც შევეცდები, მთელი ძალ-ღონე ჩვენს დაჩაგრულ სამშობლოს შევალიოო.

ვიდრე ბედისწერა დააცლიდა, აქ ტრიალებდა და არც თავს დაზოგავდა, „სახალხო გაზეთს" ერთ თავგამოდებულ თანამშრომლად მოევლინებოდა და ყოველთვისაც შერჩებოდა განსაკუთრებული მადლიერება არჩილ ჯორჯაძისადმი, ვისმა გულითადობამ და რჩევებმაც სულ სხვაგვარად დაუყენა თვალწინ რეალობაც და ცხოვრების გეზიც, და ვის კალთას შეფარებულმაც განსაზღვრა თავისი პოლიტიკური არჩევანიც (სოციალ-ფედერალიზმი) და ლიტერატურული მისწრაფებანიც. და მისი „ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე" და „რკალები" რომ გამოქვეყნდებოდა, უპირველესად არჩილი გაამხნევებდა და დაუბეჯითებდა: ამ გზას აღარ გადაუხვიოო.

ის მძაფრი გულისტკივილი, აკაკი პაპავას ბარათი რითაც გაჟღენთილა და ასე ხელშესახებად მოგვაგონებს აღსარების ჟანრს, იმ

მხრივაცაა საგულისხმო, რომ არჩილს თითქოს საკუთარი თავი გამოცხადებია.

ამგვარ მონანიებას თვითონ არჩილი თავის დროზე გულში ჩაიტოვებდა, თუმც სულიერი ფორიაქი არანაკლები – და იქნებ მეტიც – ექნებოდა, როდესაც კოსმოპოლიტიზმის ქადაგებიდან თავისი სამშობლოსაკენ შეეცდებოდა გზის გამოგნებას. განა მასაც ცოდვილად და დამნაშავედ არ მიაჩნდა საკუთარი თავი – როცა საქართველო დახმარებასა და შველას მოითხოვდა, მაშინ მე ზურგი ვაქციეო?

მითუმეტეს, მისი ხმა არასოდეს ყოფილა სუსტი და უმნიშვნელო.

ბრუნავდა წუთისოფელი და ახლა მას მისდგომოდნენ აღსარებით, მას შესტიროდნენ, ამხელა ცოდვას რა მოგვანანიებსო.

ნურაფერი გეფიქრებაო, – რაღაც ამგვარს აუცილებლად ეტყოდა, – არც აღსარებაა არასოდეს გვიანი და არც სამშობლოს სამსახური, ხომ თვითონვე დარწმუნდი, რომ ადამიანმა შენი სამშობლო უნდა შეიყვარო, თუ გინდა კაცობრიობის სიყვარული და სამსახური ისწავლოო.

შეუგნებელი, სტიქიური სიყვარული არა კმარაო, – აკაკი პაპავა ისე ანთებულიყო, ზოგად იდეად კი არა, საკუთარი სიცოცხლისა და მოღვაწეობის აზრად გაიხდიდა უმძაფრესი ტანჯვით მოპოვებულ რწმენას: გმირული თავგანწირვაა აუცილებელიო.

მითუფრო, გმირული თავგანწირვის ხორცშესხმული ნიმუში თვალწინაც ედგა და აღარც ის გამოეპარებოდა, როგორი უბრალოებით, ბუნებრიობითა და ძალდაუტანებლობით შეიძლებოდა ეთიკური ჰეროიზმის გზით სიარული – აგერ არჩილ ჯორჯაძე და მის მიერ გამოვლილი გზა, რომელიც... სწრაფად მიექანებოდა აღსასრულისაკენ.

აკაკი პაპავა კიდეც დაემოწაფებოდა, სნეულებას რომ არ ამოეგდო არჩილი ცხოვრების ბუნებრივი რიტმიდან. ესეც რა ჩემი ბედი ყოფილაო, წუთისოფელს ამუნათებდა, ეს ერთადერთი კაცია საქართველოში, ვისაც ყველაზე ადვილად შევეთვისებოდი და ესეც რა დღეშიაო.

ერთადერთი რატომ, განა ცოტა იყო ტფილისში დიდად დასაფასებელი პიროვნება? ეს აკაკი წერეთელიო, ეს იაკობ გოგებაშვილიო, ეს ალექსანდრე ყიფშიძეო, ეს ექვთიმე თაყაიშვილიო, ეს ნიკო ცხვედაძეო. ანდრია ღულაძეც სასიქადულო, საამაყო მამულიშვილთა შორის იგულისხმებოდა.

აკაკი პაპავა მათ სასიქადულობაში კი არ დაეჭვებულიყო, ეგაა, მათთან მაინც ცოტას ჰპოვებდა საერთოს:

– მათ წრეში მე მუდამ დამორცხვებული, ჩუმი და მშიშარა ვიქნები... შეიძლება მე ძალიან ვცდები, მაგრამ მე ასე მწამს და ჩემი რწმენაც დაკვირვებით შევიმუშავე.

ახალგაზრდა მწერლებიც რომ უკვე გამოსულიყვნენ ასპარეზზე?

– ესენი სულ ბავშვებია, მათში იმოდენს ვერას შეიძენ ადამიანი...

მართლა ერთადერთად რჩებოდა არჩილი – და ისიც ასე თვალდათვალ მიმავალი სამარისაკენ.

იმ ინტერესზე ამას ვერ შეატყობდი, გამორკევას რომ შეეცდებოდა, რა ქალაქებიი არსებობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები. აკაკი პაპავას დაეკითხებოდა და ისიც სიას შეუდგენდა და გამოუგზავნიდა 17 ივლისის ბარათით, შორაპნიდან რომ მოეწერა. ლექციების ციკლის კითხვა წამოეწყო, თემატიკასა და უმთავრეს დებულებებს გააცნობდა და მისი აზრის გაგებასაც მოიწადინებდა, როგორც განსაკუთრებით საინტერესოსა და საჭიროსი. თანაც ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მისი თვალსაზრისი ახალგაზრდა პოეტების შესახებ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებას ეთანხმებოდა.

ეპოსისა და რომანის ადგილი ლირიკას დაეკავებინა, მაგრამ აკაკი პაპავას ეს კი არ აოცებდა – ბოლოსდაბოლოს, ამგვარი შენაცვლებანი ჩვეულებრივი მოვლენაა ლიტერატურის ისტორიისათვის – არამედ ლირიზმის მკვეთრი ინდივიდუალიზმი, რაც აძნელებდა ამა თუ იმ პოეტის მსოფლმხედველობის გამორკვევას. კლასიფიკაციას რომ მოინდომებდა, მალევე ჩაიქნევდა ხელს: იმდენი მიმართულება იჩენდა თავს, რამდენი ლირიკოსიც მოგვეპოვებაო. და ამ თვალით რომ გადახედავდა ქართულ პოეტურ სივრცეს – გვყავს თუ არა იმ რანგის შემოქმედნი, რომელთაც ჩვენს უკვდავ მგოსანთა ადგილი უნდა დაიჭირონო – სანუგეშოს ვერაფერს იპოვნიდა.

საყვედურობდნენ: მეტისმეტ სისასტიკეს იჩენო. და აკაკი პაპავა არჩილს მიაჩერდებოდა მომლოდინე მზერით – არ უნდა ვაჭარბებდე, ყოველ შემთხვევაში, როდესაც გამოვაქვეყნებ თანამედროვე პოეზიის ამ მიმოხილვას, დეტალურად მაშინ გაეცნობითო.

ხუთი დღის შემდეგ – 22 ივლისს – სანდრო შანშიაშვილი შეეხმიანებოდა ბარათით და ისევ ექსტაზზე ააწყობდა თავის განწყობილებას, ცალკეული პასაჟები სულაც ბიბლიური წინასწარმეტყვე-

ლის ღაღადებას მოგაგონებდა. ეს განწყობილება, ეს ექსტაზი არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მესამე ტომს გამოეწვია („ნააზრევი, ხელოვნება, ფილოსოფია“) და ავტორს ეფიცებოდა: ჭეშმარიტად, არცერთ წიგნს, არცერთი პოეტ-კლასიკოსის ნაწარმოებს არ უგრძნობინებია ერთად ისეთი სევდა და სიამოვნება, როგორც შენმა წიგნმა მაგრძნობინაო.

სევდა და სიამოვნებაო...

უფრო ლაკონური და ზუსტი განსაზღვრება რა შეიძლება იყოს არჩილის თხზულებათა ამ რკალისა?

„ჰხარობდეს და ნეტარებდეს ერი ქართველიო“ – ამ ფრაზას სულაც რეფრენად გაიმეორებდა, რაკილა იმ რწმენით აღვსილიყო: ივერიამ ჰპოვა მოძღვარი და სწორი გზის მაჩვენებელიო.

და ექსტაზს ყველაზე უკეთ რა დააგვირგვინებდა, თუ არა მხურვალე ფიცი, რომელსაც სანდრო შანშიაშვილი სხვათა მაგივრადაც წარმოთქვამდა, რადგანაც არჩილ ჯორჯაძის სახით ქვეყნის წინამძღოლი ეხილა.

ფიცს სდებდა პოეტი და არა პარტიული თანამოაზრე. მის თვალში ერთბაშად კნინდებოდა და იმსხვრეოდა ყოველგვარი პარტიულობა და ქვეყანა ღვთიური სინათლის ალმურში ეხვეოდა, იმ მზის სხივებში, რომელსაც აქამდე მოეტანა ქართული მოდგმა და არც ამიერიდან გაწირავდა:

– მამულიშვილო! ვფიცავ შენს მებრძოლ სულს, ვფიცავ წამებულ ილიას და დიმიტრის, ვფიცავ ივერიელთ დღეგრძელობას, ვფიცავ სააკაძის და გარიბალდის ფიცზედ უმტკიცესად, რომ რაც შენ წიგნში აზრია გამოთქმული, სიკვდილამდის თავგამოდებით და გულმხურვალედ მივსდიოთ და მუდამ ღაღადვყო მისი შეუმცდარი და ქართველ ერისთვის სავალდებულო ჭეშმარიტება.

რაღა ახალი აღთქმისაგან განცდილი შთაბეჭდილება და რაღა არჩილ ჯორჯაძის ამ წიგნისაგან!..

მაინც ის ეპოქაა, ახალ სახარებებს რომ დაეძებენ და ხან რას მიუსადაგებენ ამ სახელწოდებას და ხან რას...

სანდრო შანშიაშვილს თავისი სახარებისათვის მიეგნო.

აკაკი პაპავასაც, ოღონდ ის გარენგულ ექსტაზს გაერიდებოდა და ფიცსაც გულში დასდებდა. ერთგულებითაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულებდა, ეგაა, გადახვეწა მაინც მოუწევდა სამშობლოდან, ახალი პოლიტიკური რეჟიმი ყელში რომ წაუჭერდა სასტიკ მარჯვენას.

სანდრო შანშიაშვილი აქაურობას შერჩებოდა, ოღონდ სახარებებს კი მიაფარ-მოაფარებდა თვალთაგან: იმასაც – იესო ქრისტესაგან ნაბოძებს, ამასაც – იმ კვალზე მავალს.

სიცრუე მკვიდრდებოდა, სიცრუე იდგამდა ფესვს ჭეშმარიტებისათვის შერჩეულ ტახტზე...

* * *

ამ დეტალს გრიგოლ რობაქიძე წვრილმანად მოიხსენიებს, თუმც „წვრილმანს“ ახსენებს საყოველთაო თვალთახედვით, თორემ მისთვის, აშკარაა, საკმაოდ ტევადი შინაარსისაა ის ეპიზოდი, რომ თავადი ერისთავი, სურამში იმ ზაფხულს ამდენი ცნობილი პიროვნების მნახველი, სთხოვს ყველას, ჩემს საზაფხულო ეზოში სურათი გადავიღოთო.

არჩილს ვინ გამოტოვებდა.

მაგრამ ყველა დათანხმდებოდა, გარდა არჩილისა.

– არ არის საჭირო, – ოდნავ ცივად მიუგებს მოსალაპარაკებლად მიგზავნილ გრიგოლ რობაქიძეს, ვინც წინასწარვე გრძნობდა ამ უარს: სრულებით არ უყვარდა „გამოჩენაო“.

გინდ ამ უბრალო სახითაც?

საერთო ფოტოსურათია, სამახსოვრო, სხვა ხომ არაფერი.

გინდ ამ უბრალო სახითაც.

* * *

აგვისტო რომ დადგებოდა, უკვე სიტყვას ჩამოაგდებდა ტფილისში დაბრუნებაზე. ჯანმრთელობა აღარ უშლიდა, საშური საქმეებიც ავალებდნენ და შუა თვეში კიდეც გამოემგზავრებოდა აქეთ. ორ კვირაში ვლადიც გაემგზავრებოდა სარუსეთოდ, მაგრამ ისე როგორ დაადგებოდა გზას, არჩილი არ მოენახულებინა. იმედიანად დახვდებოდა მასპინძელი: რა იყო ეს, რა დიდებული იტრიის ზაფხულიო!..

* * *

მეორე და მესამე ტომს თედო სახოკიასაც რომ გაუგზავნიდა, იმას წიგნები წიგნებად გაეხარდებოდა, განსაკუთრებით კი ის ააღელვებდა: ნუთუ ვინმეს კიდევ ვახსოვარო.

წიგნებსა ფურცლავდა. ვიდრე საგულდაგულოდ ჩაუჯდებოდა, ხან სად ჩაჰკრავდა თუ გადაავლებდა თვალს და ხან სად. და გულს სიამე ეფინებოდა: ეს ის კაცი არ არის, უიმედო ავადმყოფი რომ ერქვა, თურმე რა გულდაგულ და გამუდმებით მუშაობს და თანაც რა დროს – როცა მომუშავენი აღარავინ შემოგვრჩენიაო.

სიხარულს ის ტკივილი შეერეოდა, მიხეილ თამარაშვილის დაღუპვის ამბავს რომ დაეზაფრა. ჩივიტა-ვეკიადან მოეწერა ბარათი თედოსათვის: დღეის იქით რომში გამომიგზავნე წერილიო.

ეს თურმე ის დღე ყოფილა – 1911 წლის 12 სექტემბერი – რა დღესაც დამხრჩვალიყო, ველარ მოესწრო რომში გამგზავრება. უკანასკნელ ბარათს ადგენდა, თუმც ავი წინათგრძნობისა არაფერი ეტყობოდა. რამდენიმე საათი აშორებდა საბედისწერო წუთს, ჯან-ღონით აღსავსე სხვის გადასარჩენად რომ გადაეშვებოდა ზღვაში.

იქნებ რაღაც გაუგებრობააო, – ამ იმედს მოეჭიდებოდა თედო სახოკია და გადაწყვეტდა: რედაქციაში მივწერ წერილს რომში და დაწვრილებით გამოვიკითხავ ყველაფერსო.

გუნებაში დაიჩივლებდა და, 8 ოქტომბერს არჩილს მადლობის ბარათს რომ გაუგზავნიდა, ამ წუხილსაც გაუზიარებდა: ვინ იცის, ვინ დაეპატრონა მის ბიბლიოთეკას, ხელნაწერებს. ერთ-ერთ წერილში მწერდა, დიდ შრომას ვამზადებ, გაცილებით უფრო საყურადღებო იქნება, რაც აქამდე დამიწერიაო. ფული რომ იყოს, წავიდოდი რომში, გავიგებდი ყველაფერს, ან ვინ, სად, როგორ დამარხა საცოდავიო...

თავი ოცდამეშვიდე

გაჭრა სივრცეში

გადაუხვევდა იმ კალაპოტს, რომელშიც მკითხველ საზოგადოებას ჩაეყენებინა მწერალი: გაარკვიე, აგვიხსენი, წაგვაქეზე, აგვარიდეო...

პუბლიცისტი დარაჯად უნდა დადგომოდა საზოგადოებრივ ინტერესს? სხვა გზა არ გააჩნდა და კიდეც ჩამოყალიბდებოდა ერთგვარი ნიმუში პუბლიცისტური თხზულებისა, რისი გაუთვალისწინებლობაც სასტიკად იკიცხებოდა საზოგადოებრივი აზრის მიერ.

როგორი გადასატანი გახლდათ არჩილ ჯორჯაძისათვის, რომ ქართულ მწერლობაში მიუღებლად ითვლებოდა პირადი სულიერი განცდის შესახებ ლაპარაკი. მწერალს რაც შეიძლება ღრმად უნდა დაეფარა თავისი მე, თავისი სულისკვეთება. ერთხელ და სამუდამოდ დადგენილიყო, რომ ქართველ მწერალს მარტოდენ ეროვნულ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემატიკაზე უნდა ეფიქრა. მისი სულისკვეთება ამ ფარგალს გარეთ არ უნდა გასულიყო, ამ წრისა და კითხვათა გარეთ არაფრის ძიება არ უნდა დაეწყო. არაფრით დაინტერესებულიყო. სიცოცხლე, სიბერე, ბუნება, სიყვარული, უკვდავება, ღმერთი, სიკვდილი და სხვა ამისთანანი მხოლოდ პოეტის სათავშისაცემო უნდა ყოფილიყო, თანაც ბურჟუაზიული პოეტის, თორემ ნამდვილი მწერალი, ხალხის მეგობარი და მესაიდუმლე აქ, ამ სფეროში ვერავითარ გონებრივ საზრდოს ვერა ჰპოვებდა.

ყოველივე ეს ხომ მეტაფიზიკა გახლდათ და, აბა, ხალხის მეგობარი (რევოლუციონერის მანტიაში გამოხვეული პუბლიცისტიც და თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამის მოზიარეც) მეტაფიზიკას ზიზღით თუ არა, გულგრილად მაინც არ უნდა გამასპინძლებოდა?

საშუალო მკითხველს მიიჩნევდა არჩილი ასეთ განმსაზღვრელად მწერლის მოვალეობისა.

თუმც მხოლოდ საშუალო მკითხველი რომ ყოფილიყო, რა უშავდა.

უკეთესი მკითხველიც ამასვე მოითხოვდა პუბლიცისტისა თუ მოაზროვნისაგან – ეროვნულ-პოლიტიკურსა და სოციალურ თემატიკას არ გასცილებოდა და სადღაც ნავარდი არ წამოეწყო. მკითხველს კი ქვეყნის ტრაგიკული ყოფა უკარნახებდა ამ ჩარჩოს შემოღებას, იმგვარი საზოგადოებრივი აზრის შემუშავებას, რომელიც შემოფარგლული გახლდათ და არა ღია და კარგახსნილი; ტკივილების ემბაზში ამოვლებული, ჭრილობებით დასერილი და ჭრილობას კი პირის მოკვრა და დაამება სჭირდებოდა უპირველესად.

მოჯადოებულ ნრეში ამიტომაც ტრიალებდა ქართული პუბლიცისტიკა და ილია ჭავჭავაძეს თავისი ტრაგიკული ხვედრით – ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე წიწამური დაუდგებოდა – უკვე მიენიშნებინა ყველა მოღვაწისა და მოაზროვნისათვის, რომ მსხვერპლის გაღება მოუწევდათ, თავიანთი ინტერესების მკაცრად შემოფარგვლა და ერთი კალაპოტით წარმართვა.

ერთი, ერთადერთი კალაპოტით, ვიდრე სახელმწიფოებრიობა აღდგებოდა და შენც საკაცობრიო ცხოვრების ბუნებრივი და თავისუფალი გზასავალის მონაწილე შეიქნებოდი.

ამ ჩარჩოში მომწყვდეულიყო არჩილ ჯორჯაძეც.

ამ ჩარჩოში გამოაჩენდა აზრის სიღრმესა და განცდის სიცხოველეს.

ამ ჩარჩოში შემოიტანდა საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანის შექმნის აუცილებლობასაც.

მაგრამ ჩარჩო მაინც ჩარჩო გახლდათ, კალაპოტი მაინც კალაპოტი.

კოსმოპოლიტიკური რწმენა-წარმოდგენებით განმსჭვალული უეცრად თავისი ტრაგიკული ქვეყნისაკენ რომ შემობრუნდებოდა და მინის ნაგლეჯის ნაცვლად მასში შეიცნობდა დიდი კულტურის სამყაროს – ძველთაძველი ჟამის ნაყოფს, რას იფიქრებდა, კალაპოტი თუ ასე შემოსაზღვრული აღმოჩნდებოდა.

მოვალეობის შეგრძნება გვერდით აღარც გაგახედებდა.

და ეს რაღა იყო, მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილება, ამოკვნესადაც რომ აღარ განებებდა, სადღაც მიმრჩა მეტაფიზიკური სამყარო, მასზე საფიქრალად ვეღარ მომიცლია, მაგრამ მაწუხებს სიცოცხლესა და სიბერეს, ბუნებასა და უკვდავებას, სიყვარულსა და ღმერთს ხელშესახებად რომ ვეღარ განვიცდი ჩემს არ-

სებაში, სიკვდილის საიდუმლოს ვეღარ ვუტრიალებ და ამის უფლება მაინც დამიტოვეთ, ტკივილით მტკიოდეს მეტაფიზიკური სამყაროსაგან მოწყვეტაო.

დამიტოვეთო და... ხანდახან თუ გასხლტებოდა ჩარჩოს ღიობში, ისიც ინდური რელიგია-ფილოსოფიისა თუ ტოლსტოველობის ზოგიერთი შეხედულების გასახსენებლად, ამ სურათებსაც გადააელვებდა ქართულ სამწერლო-კულტურულ სივრცეში და აჰა, პროტესტის გრძნობასაც უნდა ამოეხეთქა, რატომ მოვმწყვდეულვართ ასე ამ ვიწრო კალაპოტში, რომ სიცოცხლე, სიბერე, ბუნება, სიყვარული, უკვდავება, ღმერთი, სიკვდილი და სხვა მისთანანი სადღაც გვერდით გვრჩებაო.

ვერა, ვერასოდეს გაცდებოდა იმ კალაპოტს, პირად სულიერ განცდებს გულშივე რომ გიტოვებდნენ, ღრმად ჩაკირულს, მაგრამ ბარათაშვილური გაჭრა შორეულ სივრცეებში წამიერად ხომ მაინც იყო შესაძლებელი, თუკი ძალიან მოინდომებდი და მეკავშირედ წისქვილი მოგევლინებოდა, მისი სარეკელას რაკუნი, მისი დოლაბის ტრიალი და წყლის ის მარადი ჩხრიალი, რომლის იდუმალ მუსიკასაც თუ აჰყვებოდი, უფსკრულშიც ჩაინთქმოდი და ზეცასაც შეწვდებოდი.

საშუალო მკითხველს წაედავებოდა მწერლის მოვალეობაზე არჩილ ჯორჯაძე, ვითომც არ იცოდა, ის საშუალო რომ არ განსაზღვრავდა მოღვაწის ხვედრს – სხვა ქვეყანაში როგორც გინდა, ისე ყოფილიყო, აქ მის – ამ საშუალო მკითხველის – გემოვნებაზე მეტად დაცემული ვინაობა და სახელმწიფოებრიობა მიგაქანებდა იმ კალაპოტით.

ჩვენი კულტურა ვერ იტევს თავის ფარგალში იმ გრძნობებსა და აზრებს, რომლითაც ცოცხლობს დღეს მონინავე კაცობრიობაო, – იმ შემბოჭველ ძალას ამუნათებდა, იმას ეჯავახებოდა და თავსაც ინუგეშებდა და მკითხველსაც ამხნევებდა, ჩვენს ძველ ისტორიაში ქართველ ერსა და მის კულტურას ორგანული კავშირი ჰქონდა დანარჩენ განათლებულ საზოგადოებასთან, არაბებთან, სპარსელებთან და განსაკუთრებით ბიზანტიასთან. მაშინ გვყავდნენ მწერალ-ისტორიკოსები და ფილოსოფოსნი, რომელნიც იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე და, ამასთან, ფართო პრობლემებითაც იყვნენ დაინტერესებულნიო.

ნიმუშთა ჩამოთვლას არ მოჰყვებოდა, ერთ მაგალითს მოიშველიებდა, ნიკო მარის მიგნებულსა და ასე სახიერს: ქართველ ნეოპ-

ლატონიკოსებს უპირველესი ადგილი ეჭირათ ბიზანტიელ ნეოპლატონიკოსთა შორის და დიდი გავლენაც იქონიეს ფილოსოფიური აზრის მსვლელობაზე, ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფილოსოფოსი კი იოანე პეტრინი გახლდათო.

თუმც მოვწყვეტოდით იმ ძველ კულტურას და ახლა ვიგებდით და გვიკვირდა, თუ რა დიდკაცნი ვყოფილვართ, თუმც ნელა-ნელა ავცილებოდით მსოფლიო აზროვნების ცხოვრებას, ხომ ჩნდებოდა გაწყვეტილი ძაფების აღდგენის ნიშნები და ხელმეორედ შობილნი რატომ ვერ ვბედავდით ისევ იმ ფართო ცხოვრების ფარგალში ფეხის შედგმას?

არჩილ ჯორჯაძე დარწმუნებული გახლდათ, რომ თავისთავად არაფერი მოხდებოდა.

პოლიტიკურ ძვრებსა და ვნებათაღელვას კიდევ ერთხელ მოვექციეთ საერთაშორისო ცხოვრების შუაგულში და ჯერ თუ ვერა, ცდით მაინც გვეცადა იმ ყოფასთან ისე დაახლოება, რომ იმპერიული უღლიდან თავდაღწევის შემდეგ მაინცდამაინც აღარ გაგვძნელებოდა ევროპული ცხოვრების მდინარებში ჩვენი ადგილის პოვნა... პოვნაც და შენარჩუნებაც...

ხელმეორედ შობილნიო...

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადიო, – წარსულ დროებზე დარდის მოკვლა აუცილებლობად რომ ესახებოდა ილია ჭავჭავაძეს, სწორედ ხელახალ შობას ემსგავსებოდა ეს იდუმალი და აუხსნელი აქტი და არჩილ ჯორჯაძეს იოანე პეტრინობა ეოცნებებოდა, ის ჰარმონია, ქართულ სინამდვილეს რომ არ მოწყდებოდი და საერთაშორისო მოვლენათა შუაგულშიც თავისუფლად იტრიალებდი, და, რაც მთავარია, დაგაფიქრებდა კაცობრიობის მარადიული სატკივარი – სიცოცხლის ფარული მექანიზმები მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სიდიადით.

ჩვილი ბავშვებივით ვისწავლეთ წერა-კითხვა და ფიქრსა და მსჯელობასაც შევაჩვიეთ თვალი, – არც ამის თქმას მოერიდებოდა, – შევითვისეთ სილოგიზმების კანონები და ასე თუ ისე ჩვენც შევდექით საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ფარგალშიო.

მაგრამ როგორც გადაგვებიჯებინა ამ ჯადოსნური წრისათვის, ისევე მოგვეცარებოდა ხელი და უკან მობრუნება მოგვიწევდა, თუკი კალაპოტს უფრო განივად არ გავჭრიდით.

რა სჯობდა ბჭობასა თუ ფიქრს, როგორ მოგვეწყო ჩვენი ცხოვრება ეკონომიკური, ეროვნული და პოლიტიკური მხრივ, მაგრამ

რატომ გვეპარებოდა ხელთაგან სიცოცხლე და მისი აზრი, მისი დასაწყისი და დასასრული?

– ეს არის გონება და აზრი – წყურვილი ცოდნისა, გაგებისა. ეს არის ჩვენი პირადი მწუხარებით აღსავსე ბედი, ჩვენი სიცოცხლე, რომელსაც მუდამ სდევს ათასგვარი განსაცდელი, ავადმყოფობა, სიბერე, სიკვდილი. ეს არის სიყვარული. ეს უცნაური წყარო სიხარულისა და სევდისა, წყარო შვებისა და იმავე დროს მწუხარებისა. ეს არის წყურვილი ბოროტების დათრგუნვისა, წყურვილი სიკვდილის დაძლევისა, წყურვილი სამარადისო სიცოცხლისა, ერთის სიტყვით, ეს არის ესთეთიური, რელიგიური და ფილოსოფიური მოთხოვნილებანი ადამიანისა.

როგორი ექსპრესიული პასაჟია.

მტკიცებაზე მეტად რაღაც ფარული ძარღვი ახდენს მკითხველის წარმოსახვაზე ზეგავლენას, იდუმალი რიტმიკა გარწმუნებს მარადიულ სატკივართათვის თვალის მიდევნების აუცილებლობაში.

რა უცნაურია:

ჩვენში ყოველი ჭაბუკი მოლექსეობას ჩემობდა და... პოეზიას კი ვერსად ვგრძნობდით.

დიდი და პატარა მღეროდა, ლხინში, ჭირსა თუ მუშაობაში მუდამ სიმღერა-გალობაში ჩავფლულიყავით და... მუსიკა კი არ გვესმოდა, და სიმფონიურ კონცერტზე ასი ქართველი ინტელიგენტი რომ შეგეგროვებინა, ყველა მოწყენილი დარჩებოდა, მუსიკა დაამძიმებდათ, დააოსებდათ და საკონცერტო დარბაზიდან უკმაყოფილონი გამოილალებოდნენ.

პარადოქსული მოჩანდა ეს ყოველივე, მაგრამ პარადოქსსაც ხომ სჭირდება თავისი ამოხსნა, ნიშანდობლივად თუ ვერა, მიახლოებით მაინც, თორემ საბედისწეროდ შემოგვიბრუნდებოდა ეს შინაგანი წინააღმდეგობა.

რაღაც ძარღვი ჩამწყდარიყო – დედოძარღვი, და ის თუ არ გამრთელდებოდა, მოლექსეები პოეზიას ვერ იგრძნობდნენ, მომღერალნი – მუსიკას, და ჩვენს წინაშეც ისევე რომ წარმომდგარიყო სიცოცხლის ტრაგიკული პრობლემა, როგორც კაცობრიობის წინაშე – მთელი თავისი სივრცე-სიგანით, ჩამოაგდებდით თუ არა სიტყვას მასზე, ყურს არავინ დაგიგდებდა, ან თუ დაგიგდებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვა მოეჭრათ: აბა, რას გვაცდენთ ტყუილ-უბრალოდ, განა ცოტა საგანია უფრო მეტი ყურადღების ღირსი და ჩვენ-

თვის უფრო სასარგებლო – გზები არ გაგვაჩნია, ჭაობები ამომშრალი არ არის, განათლება დაქვეითებულია და სხვანი და სხვანიო.

არ გაუკვირდებოდა, ვინმეს ესეცრომ მიეხალა: ეს ყოველივე მეტაფიზიკაა, რევოლუციით მოღლილი და დამფრთხალი ბურჟუაზიის ახალი ნავსაყუდელიო.

მეტაფიზიკა, არჩილისათვის ასე ძვირფასი, ასე სანუკვარი ცნება და მოვლენა, ისეთ დაკნინებულ კონტექსტში მოექცეოდა, ისეთი დამამდაბლებელი კილოთი წარმოითქმოდა, გონებას დაძაბავდა – ამ სიტყვამ მნიშვნელობა ხომ არ შეიცვალა და მე კი არაფერი გამიგიაო.

ან ბურჟუაზია რაღა შუაში იყოო?

მეტაფიზიკისა არ იყოს, ბურჟუაზიისთვისაც გაეტეხათ სახელი და ყველაფერი – ყველა ცოდვა და ნაკლი – იმას ბრალდებოდა – სიცოცხლესა და მის დანიშნულებაზე ფიქრიც კი, ცხოვრების ჭეშმარიტ გზას სურთ აგვაცდინონო.

დანაშაულად შერაცხილიყო ფიქრი სიცოცხლესა და ადამიანის დანიშნულებაზე.

არადა, ყველაფერი ზერელეობის ბრალი გახლდათ – სტიქიურად, გონების დაუტანებლად რომ ვიცინოდით, ვტიროდით, ვმღეროდით, გრძნობები კი გულში ვერ ჩაგვეტოვებინა ღრმად და სიხარული თუ მწუხარება გულის ზედაპირს არა სცილდებოდა. აბა, ჩაეღწია უშორეს კუნჭულებამდე, იმწამსვე თუ არ ამოძრავდებოდა მთელი ჩვენი სულიერი ბუნება და არ შეგვაცნობინებდა, რომ სიცოცხლე უცნაური საიდუმლოებაა, და სიხარული სევდასთანაა რაღაც საიდუმლო კავშირით გადაბმული და გრძნობით დამთვრალი ადამიანი სამყაროს მფლობელი ხდება.

ეს რა აზრები შეიძლება დაგეუფლოს ადამიანს წისქვილშიო, – გაივლებდა არჩილ ჯორჯაძე და სარეკელასაც შესცინებდა და დოლბსაც, წყლის ნაკადს მიადევნებდა მზერასაც, ყურსაც, გონების თვალსაც. ბოლოსდაბოლოს რა იყო ადამიანის სწრაფვა – თუ არა გადალახვა იმ კანონებისა, რომელთაც სიცოცხლის კანონები ერქვა და ფილოსოფიური მსჯელობის წამოწყება, ინტელექტუალური, ესთეტიკური და რელიგიური სიხარულის განცდა.

შენ რა გიჭირდაო, – წყლის ნაკადისაგან მზერა იოანე პეტრიწის აჩრდილზე გადაინაცვლებდა, ხელახლა რომ დაბრუნებოდა იმ სივრცე-სინამდვილეს, რომლის კულტურის შესანარჩუნებლადაც გადაედო თავი და, თუმც მიწრეტილიყო, მინავლებულიყო ის სუ-

ლიერი მონაპოვარი, გაქრობა არ ეწერა და კიდევ ერთხელ ამიტომაც უნდა დაბადებულიყო ქართული ცივილიზაცია მითოსური გმირივით... სფინქსივით, თუ გნებავთ...

შენ რა გიჭირდაო, – შეხარბებოდა მისი ბედი ახალი ჟამის მოაზროვნეს, ვისაც ბედისწერა და ის საშუალო მკითხველიც – თვითონ როგორც ეგონა – არ ანებებდა ფილოსოფიურ-რელიგიურ ფიქრსა თუ განსჯას.

თქვენ რა გიჭირთ, თორემ უარესად დამიტრიალდა ცხოვრება, ვინ მაცალა მეარისტოტელურაო, – აქეთ შემოსჩიოდა აჩრდილი და იქნებ არჩილ ჯორჯაძისაც ეხარბებოდა: დღეს მაინც შეგიძლია კაცს რაღაცას მიაღწიო, მე სულ რა შემატოვეს ხელშიო.

ერთმანეთის წინაშე წარმდგარიყო ორი აჩრდილი.

არჩილს რაღა უკლდა აჩრდილობას, ისე დადნობოდა და გამჭვირვალე გახდომოდა სხეული...

წარმდგარიყვნენ ერთი ნაღველით გათანგულნი.

წისქვილი კი ფქვავდა, ცივილიზაციის დასაბამს შემოჰყოლოდა და მას შემდეგ ფქვავდა დარდსაც და სიხარულსაც, სიკვდილსაც და სიცოცხლესაც...

ახლა არჩილ ჯორჯაძის სიცოცხლის დღეებიც უნდა ჩამოეფქვა.

რაც გენება, მიაღწიეო, – შენატროდა იოანე პეტრინის აჩრდილს.

ის აქეთ შემონატროდა და გულს უკლავდა ქვიშასავით ჩაბნეული წუთისოფელი, არისტოტელეობას რომ არ დაანებებდა.

რომ არ გადაკიდებოდნენ ასე უსაშველოდ და არსებობა არ გაეძნელებინათ მისთვის, კი იცოდა, როგორ შეუთანაბრდებოდა თვით არისტოტელესაც, მაგრამ რა ელონა, საკუთარ ფიქრსა და ძიებებთან რომ არ დატოვებდნენ და ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, შუაგულ ბრძოლაში მოვყოლივარ და შიგ არ ჩავინთქაო.

სად ბრძოლა და სად ფილოსოფიური აზროვნება, ისიც რომ ბრძოლის საბაბად ექციათ!..

შენ რა გიჭირდაო, – გაჰყურებდა პეტრინის ლანდს.

შენ რა გიჭირსო, – შემონატროდა ლანდი.

რაკუნობდა სარეკელა.

ტრიალებდა დოლაბი.

და გადაედინებოდა და გადმოედინებოდა წყალი წუთისოფლიდან მილმა სამყაროში.

სხვებს ირონიითა და დაცინვით ლაპარაკი ერჩიენათ?

არჩილ ჯორჯაძეს უნდა შეეჩვია საზოგადოება, რომ სიცოცხლის წარმოშობა ის მოვლენა გახლდათ, რომელსაც ყველაზე ნაკლებ შეჰფეროდა გულგრილი თუ პრიმიტიული მსჯელობა და ადამიანის გონება ყოველთვის მიპყრობილი უნდა ყოფილიყო ამ იდუმალების კარიბჭისაკენ, საამისოდ კი აუცილებელი გახლდათ მეცნიერულად გამორკვეული დასკვნების ცოდნა, ის საფეხური, რომელიც გაგიადვილებდა ზოგიერთი გარემოების შეცნობას და შეგაგრძნობინებდა სიცოცხლის არსის მოწესრიგებულობას.

ბიოლოგიური მეცნიერება მას შემდეგ დამყარებულიყო მკვიდრ ნიადაგზე, როდესაც – რთულ სხეულთა შესასწავლად – ჯერ ამ სხეულთა ელემენტებს შეიცნობდა.

მაგრამ ბიოლოგიური განმარტებაც რომ არა კმაროდა?

არც ფსიქოლოგიური, არც ფიზიკური, არც ქიმიური?

მოსდევდა და ლაკონურ ფორმულებში მოაქცევდა ამ განსხვავებულ შეხედულებებს, რათა თანდათან გამოკვეთილიყო ის სისტემა მატერიალური და ფსიქო-ფიზიოლოგიური მონიზმისა, რაც ჯერჯერობით საბოლოო გააზრებად მოჩანდა სიცოცხლის არსისა.

მეცნიერება ამის იქით ვეღარ მიდიოდა და არჩილ ჯორჯაძე სხვადასხვა დარგის საუკეთესო მკვლევართ კამათს არც გაუმართავდა. ეგაა, მოვალე გახლდათ საკუთარი თავისა და მკითხველის წინაშე, გულწრფელად გამოეთქვა თავისი ეჭვი, თუ რა ეჩვენებოდა ამ სისტემის სისუსტედ თუ შინაგან წინააღმდეგობად, ანუ ის დიდი გარემოება, რაც გამოჰპარვოდათ მეცნიერებს „ფსიქიურს“, „სულისა“ და „მე“-ს განმარტებისას.

გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ყოველი ფაქტორი, ყოველი მოვლენა და ყოველი ელემენტი, რომელიც ჩნდებოდა სიცოცხლის პროცესისას. საგნის შესწავლა მისთვის იმას გულისხმობდა, რომ ის შესწავლილი ყოფილიყო მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, რასაც ამ შემთხვევაში ვერ ხედავდა, არამარტო გაჩენა და არსებობა, არამედ თვითონ გაჩენის პროცესი, თორემ რა გამოდიოდა – გამოკვლევა იწყებოდა უკვე გაჩენილი უმარტივესი ორგანიზმიდან და მასზე შენდებოდა მთლიანი სისტემა, მაშინ, როდესაც ამოსახსნელი იყო ის ელემენტები, ფაქტორები და ძალები, რომელთაც – ადამიანისათვის გაუგებარი კანონის ძალით – შეექმნათ სიცოცხლე. მაძიებელი გონება როგორ შეიძლება შემკრთალი შეჩერებულიყო უმარტივეს უჯრედთან და არ ეცადა ჯადოსნური წრის სულ ოდნავ მაინც გადალახვა.

მკრთალი და ნაკლულევანი ცოდნა თუ არ შეივსებოდა, თანდათან დაუძლეველ დაბრკოლებად გადაიქცეოდა და უნდილ გონებას კიდევ უფრო დააძაბუნებდა.

ფილოსოფიის ისტორიის შინაარსი სხვა რა იყო, თუ არა მატერიისა და სულის ანუ მატერიალიზმისა და იდეალიზმის ჭიდილი და ცვალებადი წარმატებანი – ხან ერთი გადაძლევდა, ხან მეორე, ხანაც ზავი ჩამოვარდებოდა მათ შორის.

ორმაგი აზროვნება დიდად არ ეჭაშნიკებოდა ადამიანს, მთლიანი შეხედულების შემუშავება უფრო უძნელდებოდა და ამიტომაც ერჩივნა ერთი პრინციპიდან გამოყვანილი სისტემა. დუალიზმს მონიზმი ერჩივნა, მონისტური სისტემები უხვად იქმნებოდა, მაგრამ მათი სისუსტე ის დოგმატურობა გახლდათ, რომელსაც თავს ვერაფრისდიდებით ვერ აღწევდნენ მათივე შემქმნელნი.

არჩილი ყოველთვის ამრეზილად უყურებდა ამ სისტემებს, მაგრამ ენერგეტიკა კი მოხიბლავდა – ახალი დროის მონისტური სისტემა, რომელიც უფრო მკვიდრი და საიმედო მოეჩვენებოდა – იგი ხსნის არამარტო ორგანულ, არამედ არაორგანული სიცოცხლის პროცესებსაცო.

ამჯერადაც მიმოხილვითი სურათი იქმნებოდა – ხელი მიუწვდებოდა უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებზე, შეესწავლა, გადაეხარშა და დაწურულად და მიმზიდველი ენით წარმოსახავდა ენერგეტიკული მიმართულების ძიებებს, იმ ურთულეს ჩაღრმავებებს სიცოცხლის არსში, რაც მკითხველს უთუოდ გაუძნელებდა აღქმას, სტილური მიმზიდველობა და არტისტიზმი რომ არა.

ეს რა ადვილი ყოფილა, ვინ გვაფრთხობდა და რატომ გვაფრთხობდაო, – უპირველესად ეს აზრი გაუჩნდებოდა მკითხველს და თვალს მიადევნებდა თუნდ იმ შემოტრიალებას თეორიულ აზროვნებაში, რომ მატერია, რომელიც მანამდე შეურყეველი ეგონათ, ნელა-ნელა იშლებოდა შემადგენელ ატომთა დისოციაციის საშუალებით.

იტრიის წისქვილიდან გამოგზავნილი წერილების ეს ფრაგმენტი იმ მკაფიო ფორმულებით მოთავდებოდა, რომელიც ყველაზე ხელშესახებად წარმოსახავდა ენერგეტიკული ფილოსოფიის მთავარ აზრს და გვირგვინდებოდა იმ დებულებით, რომ: ევოლუციის კანონს ძალა აქვს არამარტო ცოცხალ არსებათათვის, არამედ უბრალო საგნებისთვისაც. ამიტომაც ქიმიური ელემენტები იმგვარადვე იცვლებოდნენ, როგორც ცხოველთა სახენი.

ევოლუციის თეორია შეჭრილიყო ყველგან, არა მხოლოდ ბიოლოგიურ მეცნიერებაში გაბატონებულიყო, ახალი ფილოსოფიური ძიებანიც თავის თარგზე მოეჭრა და, ნუ გაგიკვირდებოდათ, ვთქვათ, არქიტექტურის ისტორიასაც თუ გადაწვდებოდა. ქართულ საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო ცხოვრებაში ამ თეორიას ერთი პირველთაგანი იაკობ გოგებაშვილი შემოიტანდა და შეეცდებოდა ქრისტიანობისა და დარვინიზმის მორიგებას ერთმანეთში... მის ზეგავლენას ვერც არჩილ ჯორჯაძე აირიდებდა, თუმც მოთაყვანედ არ დაუდგებოდა ამ მოძღვრებას.

სურათები ჩნდებოდა სხვადასხვა მეცნიერული ძიებისა, განვითარების პროცესი თვალსაჩინო ხდებოდა და მისთვის ეს სავსებით კმაროდა იმ აზრით, რომ ყოველ მეცნიერულ ჰიპოთეზას თავისი სასიკეთო მხარე აქვს, რაკიღა ლამობს გარეგნულ მოვლენათა ნიშანდობლივი ბუნების ახსნასა და შესწავლას.

მაინც რომელი სჯობდა: მატერიალისტურ-ბიოლოგიური ახსნა სიცოცხლის არსისა თუ მონისტურ-ენერგეტული განმარტება მსოფლიოსი?

მისთვის ორივე განმარტებას ერთი და იგივე ღირსება ჰქონდა:

– ყოველ ამგვარ სისტემას და სწავლას უღრმესი მნიშვნელობა აქვს ხელ-შესახებ და ხილულ საგანთა გასაცნობად. და რადგან ჩვენ, ადამიანებიც, ჩვენის ბუნების ერთის ნაწილით იმავ ხელ-შესახებ საგანთა სამეფოს ვეკუთვნით, ამიტომ აღნიშნული მეცნიერული ჰიპოტეზები ჩვენს ბუნებასაც ხსნიან, იკვლევენ და აღრმავებენ ადამიანის ცნობიერების წყაროს. მაგრამ, არც ერთ ამ ჰიპოტეზას არ მოეთხოვება იმაზე მეტი, რისი მოცემაც მას არ შეუძლიან.

მეცნიერული კვლევის სამფლობელო წინასწარვე ისაზღვრებოდა, მას მეცნიერება ვერ გადააბიჯებდა და, თუკი მაინც მოისურვებდა ამ ნაბიჯის გადადგმას, მას უნდა გადაეკეთებინა ცნობიერების თეორია.

მაგრამ არსებობდა მეორე მიმდინარეობაც თანამედროვე აზროვნებისა, რელიგიურ-ფილოსოფიური, რომელიც ცდილობდა ცვლილებების შეტანას მეცნიერულ მსოფლმხედველობაში და მის ნაცვლად თავისი რელიგიური მსოფლმხედველობის დამყარებას.

მეცნიერება ვერ პასუხობდა სამ უმნიშვნელოვანეს კითხვას:

საიდან? სად? რად?

ასე ნელ-ნელა მიჰყავს მკითხველი არჩილ ჯორჯაძეს ცოდნისა და რელიგიის ურთიერთობამდე – ცოდნა სჯერდებოდა გარეგ-

ნობას, რადგანაც აბსოლუტებსა და არსებას გაურბოდა, რელიგია კი აბსოლუტსა და არსში ჩაფლულიყო. ცოდნა ამბობდა – არ ვიციო, რელიგია ამბობდა – ვიციო. ცოდნა იკვლევდა, რელიგია ამშვიდებდა.

ამიტომაც ჰქონდა რელიგიას არსებობის საფუძველი.

განმანათლებლობის ეპოქამ დაამხო რელიგია და უფლის სახელი, მატერიალისტური მოძღვრებანი ერთიანად ამ მრწამსით გაინიმსჭვალნენ და უფალს აღარსად დაუტოვეს ადგილი – აღარც მიწაზე, აღარც ზეცაში, სულაც ცხედრად შერაცხეს და რელიგია გამოაცხადეს ბოროტების უმთავრეს წყაროდ.

მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ვერ აჰყვებოდა ლაშქრობას რელიგიის წინააღმდეგ.

ვერ დაიჯერებდა ღმერთის სიკვდილს.

მეცნიერების განვითარებაში ვერ ხედავდა რელიგიისათვის საყრდენის გამოცლას.

პირიქით – მეცნიერების წინსვლა მისთვის კიდევ ერთხელ ადასტურებდა სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის ღვთაებრივ მიზეზს და ამის ხშირი შეხსენების აუცილებლობას, რადგანაც აგერ, თვალნათლივ აშკარავდებოდა, რომ ადამიანის გულის წყურვილს მეცნიერება ვერა ჰკლავდა, რელიგია კი აწვდიდა წყურვილის მოსაკლავ წყაროს.

ეგ კია, როდესაც რელიგიაზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, აუცილებლად უნდა გამიჯნულიყო ერთმანეთისაგან რელიგიური მოძღვრება და მსჯელობა ამ მოძღვრების შესახებ.

არჩილ ჯორჯაძეს ვერ აეხსნა, თუ რატომ არ იმიჯნებოდა ეს ორი მოვლენა და თავის მხრივ ურჩევდა ყველას ამ დაშორიშორების აუცილებლობას.

ვისაც რელიგიური წყურვილის დაკმაყოფილება უნდა, საღვთო წიგნებს უნდა დაეწაფოსო, – შეაგონებდა მკითხველს არა ეკლესიის ამბიონიდან, არამედ მეცნიერული აზროვნების უკანასკნელ მონაპოვართა გადმოსახედიდან, – იქ ნება, გრძნობა და აზრი ერთ დიდ ემოციურ ნაკადულში არიან დარუვებულნი. აქ აზრი სრული ყმაა ნებისა და გრძნობისა და ვის გულსაც ამგვარი ყმობა ყმობად არ მიაჩნია, არამედ უმაღლეს ნეტარებად და თავისუფლებად, მას უნდა ჰქონდეს გადაშლილი სახარება, უპანიშადები, ზენდ-ავესტა და სხვა ამგვარი საღვთო წიგნები და იქ უნდა ეძებდეს გამამხნევებელ და მანუგეშებელ სიტყვებსო.

იმის მიხედვით, ვინ რომელი რჯულის აღმსარებელი გახლდათ.

დღევანდელ ადამიანს განა თავის წინაპარზე ნაკლებ სწადდა სიმშვიდე თუ სულიერი მყუდროება, მაგრამ ეს მყუდროება დარღვეოდა იმ მიზეზით, რომ თუ ძველად ნება და აზრი ერთი პიროვნების სულის კუთვნილებას შეადგენდნენ, ახლა ნებასა და აზრს შორის ღრმა უფსკრული გაჩენილიყო და ადამიანიც ორად გაყოფილიყო. თანამედროვე ადამიანის სულიერ ტანჯვასაც სწორედ ეს გაყრა იწვევდა – მთლიანობის რღვევას სულის სიმშვიდის რღვევა მოეტანა თან.

რაკილა არჩილ ჯორჯაძის მზერა ევროპული ცხოვრების ყოველ მხარეს წვდებოდა, დამაჯერებლად შეეძლო ემტკიცებინა, რომ მეცნიერნი, მოკლებულნი რელიგიურ გრძნობებს, თითქოს ხალისიანად მსჯელობდნენ რელიგიის შესახებ, და თეოლოგები და ღვთისმეტყველნი კი, რომელთაც ხელიდან გასხლტომოდათ მეცნიერების ხელმძღვანელობა, ასე ცხარედ და გულმხურვალედ ცდილობდნენ წაჩხუბებულ მხარეთა – გრძნობისა და აზრის – ერთმანეთში მორიგებას. ერთნიცა და მეორენიც თითქოს პიროვანდელი მთლიანობის აღდგენის ნატვრაში იყვნენ.

აქ მარჯვე შემთხვევა მიეცემოდა, მკაცრად გაეკილა რუსული ლიტერატურა: არ მოეპოვებათ საფუძვლიანი შრომა რელიგიის შესახებო, – და ნიმუშად ევროპის იდეურ მოძრაობას დასახავდა. ქართულ სოციალ-დემოკრატიას რუსეთი რომ აეზიდა ფარზე და საყოველთაო სიკეთის დამამკვიდრებლად აცხადებდა, მომავალში კი თითქოსდა მას და მხოლოდ მას უნდა ჩამოჰკიდებოდა ყველა ადამიანი, ვისაც ამქვეყნიური ბედნიერება ენება, არჩილ ჯორჯაძისათვის ეს მტკიცება უმძიმესი ცოდვის ტოლფასი გახლდათ, საკუთარი ერისათვის მხნეობის წართმევის მცდელობად, რათა დამოუკიდებელ სახელმწიფოზე კი არ ეფიქრათ, არამედ რუსეთის ქვეშევრდომობა – ოღონდ არა იმპერატორის, არამედ მარქსისტული რუსეთისა – ეღიარებინათ ყოვლისუმჯობესად და მის პროვინციად დარჩენა – უზენაეს სიკეთედ.

სოციალ-დემოკრატია გაუთავებლად ჩასჩიჩინებდა ქართველ ხალხს რუსეთისა და რუსების უპირატესობას და, შემთხვევა ჩაგვარდებოდა ხელთ თუ არა, ეს იდეური ექსპანსია უნდა მოგეშალა, ამ შემობურვილი გარსის გარღვევა გეცადა და ხალხისათვის სულიერი სიმხნევე აღგედგინა, ის ორიენტირიც დაგესახა, საითკენ სვლაც უჯობდათ, თუკი ძველთაძველი კულტურის გადარჩენა სურდათ და ეროვნული ნიშნებისა და თავისებურებათა შენარჩუნება.

და არჩილ ჯორჯაძე კმაყოფილებას ვერ დამალავდა, როდესაც ამის თქმის საშუალება მიეცემოდა: აუარებელი წიგნაკი და წერილია დასტამბული რუსეთში, მაგრამ ყველგან გამოსჭვივის სენსაციისა და ეფექტის მოხდენის სურვილი და არა ღრმა, დალაგებული ლაპარაკი უღრმესი პრობლემის შესახებ, ამას გარდა ამ რელიგიური ხასიათის მწერლობაში – ორი-სამი კაცის გარდა – სიტყვას ვერ იტყვიან, რომ გრეხვა-პრანჭიაობა არ დაიწყონ. ისე იგრიხებიან, თითქოს შეთქმულან, არავის სწორად არ გავაგებინოთ ჩვენი აზრიო.

მიუდგომლობა ავალებდა, ის „ორი-სამი კაცი" გამოეცალკევებინა საერთო მდინარებიდან.

ისე კი გულს სიამე ჩაეფინებოდა დმიტრი მერეჟკოვსკი ვიაჩესლავ ივანოვს ბერიკად რომ მოიხსენიებდა, და თავისი მხრივ დაუმატებდა: ბერიკად გამოწყობილი მარტო ივანოვი არ დაიარება, არამედ თვითონ მერეჟკოვსკიც და ძმანი მისნიცო.

რაც ხანი გავიდოდა, ვიაჩესლავ ივანოვის სახელი სულ უფრო შეიმოსებოდა შარავანდით და გრიგოლ რობაქიძის თვალში ლამის იდეალად დაისახებოდა... ან რაღა ლამის... ეამაყებოდა, პირადადაც რომ იცნობდა და, სადაც მოხვდებოდა, მსჯელობისას ხშირად გამოურევდა იმის მოსაზრებებსა თუ ციტატებს. იქნებ არჩილთანაც მოეწონებინა თავი, ნახე, რა ღრმად გავერკვიე მის თეორიებშიო, ეს კი, თუ გუნებაზე ვერ იყო, უთუოდ სიტყვას ასე მოუჭრიდა: ეგეც ბერიკაა და მაგისი უარყოფითად შემფასებელი მერეჟკოვსკიცო.

გრიგოლ რობაქიძე არ მოეშვებოდა, თავისი განწყობილება სურდა გადაედო არჩილისთვისაც და, ეტყობა, სულაც თვითონ ათხოვა ვიაჩესლავ ივანოვის კრიტიკული, ესთეტიკური და ფილოსოფიური ნაკვეთები „ვარსკვლავეთში", მისი წარმოდგენით შესანიშნავი თხზულება, და წამდაუწუმ ჩამოუგდებდა ხოლმე სიტყვას.

ბევრჯერ უბაასიათ წიგნის უმთავრეს თემებზე. არჩილი მკვეთრ დასკვნებს პირად საუბარშიც მოერიდებოდა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ გაზიარებით არ იზიარებდა. გულის სიღრმეში რომ არა წყენოდა, ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა:

– საშინელი ინტერესით ეკიდებოდა იქ წამოყენებულ საკითხებს.

და ისიც ძალიან გაახარებდა, რომ ამ ბაასის ერთ ნატეხს – თუნდაც მქრალს – აღმოაჩენდა მის ნარკვევში „რა არის ხელოვნება".

თუმც გულდაწყვეტით დასძენს: აქ გამოუშვა მან, არ ვიცი რად, უფრო საინტერესო შეხედულებანიო.

არც მერეჟკოვსკის სახელის გაბიაბრუებას მოითმენდა და პირში წვდებოდა არჩილს: რომ იცოდე, ყოველი ჩემი ლექცია თავისი განსაკუთრებული მანერითაა შეთხზული, რადგანაც სხვადასხვა თემა სხვადასხვა მანერას მოითხოვს. შეთხზვის მეთოდს კი დიდ ყურადღებას ვაქცევ მას შემდეგ, რაც ფრიდრიხ ნიცშემ, ოსკარ უაილდმა და დმიტრი მერეჟკოვსკიმ დამანახვეს მისი მრავალი საიდუმლოებაო.

ამ სახელებს გვერდი-გვერდ რა უნდა, სად ნიცშე და უაილდი და სად მერეჟკოვსკიო, – უკვირდა თანამოსაუბრეს, – ისინი გასაგებია, მაგრამ ამან რა საიდუმლოება დაგანახვა მაინც ამისთანაო.

ის მაინც მოეკონწიწებოდა.

იმ მოწინებით განმსჭვალულიყო რუსული ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების მიმართ, რაც არჩილ ჯორჯაძეს წლების წინათ გამოევლო და სულაც ქართული ენა შეეწირა რუსული კულტურისათვის.

ამ წლებსა და გამოცდილებას კი დაერწმუნებინა:

ევროპული აზროვნების ნასუფრალს სჯერდებოდნენ რუსი სწავლულები და ქართველი მოღვაწენი ნასუფრალის ნასუფრალს რატომ უნდა შეგუებოდნენ, როგორც ვითომდა დიდ რამ წყალობას.

აგერ თვითონ ევროპა და მისი იდეური მოძრაობა.

რელიგიათა დამაარსებელნი ყოველთვის განსაზღვრულ მსოფლმხედველობას ქმნიდნენ, თუმც მათთვის განცალკევებულად არ არსებობდა შემეცნების თეორიული პრობლემა. რასაც რელიგია აღიარებდა ადამიანის ბედის, სულის და თავისუფლების თუ ბუნების შესახებ, იყო არამარტო ამ მოვლენათა დაფასება, არამედ ცოდნაც. ცოდნა და დაფასება გათიშულნი არა ყოფილან და მათი კავშირი დაფუძნებული გახლდათ ნება-გრძნობისა და აზროვნების კავშირზე.

ეს აზრი საყოველთაოდ აღიარებულიყო და ისიც აშკარად ჩანდა, რომ რაც შესაძლებელი იყო ძველ დროში, ახლა მეტისმეტად გაძნელებულიყო, თანადროულ ფილოსოფიას კი სწორედ ეს თემა აერჩია გამოსარკვევად: გვაძლევს თუ არა რელიგია იმ ხასიათის ცოდნას, რა ხასიათის ცოდნასაც გვანიჭებს მეცნიერება? და აქვს თუ არა რელიგიურ ჭეშმარიტებას ობიექტური საყრდენი, თუნდ ისეთი, როგორიც მეცნიერულ ჭეშმარიტებას?

კვლავ სხვადასხვა თვალსაზრისთა მოხმობა და შეჯერება.

კვლავ ზოგადი სურათის გამოკვეთა ზუსტი და მახვილგონივრულად შერჩეული შტრიხებით.

და საბოლოოდ კი დაუთანხმებლობა იმ შეხედულებისა, რომ რაკი მწუხარება და ტანჯვა არსებობს, მას უსათუოდ და აუცილებლად უნდა მოჰყვეს დამშვიდება და გათავისუფლება ტანჯვისაგან. და რაკიღა ჩვენი ცოდნა უსრული და დაუმთავრებელია, უსათუოდ უნდა არსებობდეს სრული და დამთავრებული ცოდნით აღვსილი არსიც.

არჩილ ჯორჯაძისათვის ღმერთი და ქრისტიანული რჯული არ არის ერთხელ და სამუდამოდ ბოძებული რწმენა – ღმერთსმოკლებულ გარემოს მისთვისაც გაუკრავს ფრთა, მისს სულზეც დაუჭდევია სკეპსისის ბაცილა, მაგრამ მთავარია წრფელი იყოს სკეპსის გამოხატვის დროს, ოდნავადაც არ ეცადოს თავის მოტყუებას და თვალი გაუსწოროს მკაცრ რეალობას. მხოლოდ ასე შეძლებს საკუთარ არსებაში ჭეშმარიტი რწმენის მოძიებას, არა ბოძებული ღმერთის გულუბრყვილო აღიარებას, არამედ საკუთრივ მის მიერ მოძიებული უფლისა.

ღვთისმაძიებლობით გაჟღენთილა იტრიის წისქვილიდან გამოგზავნილი ბარათების სულისკვეთება, განსაკუთრებით კი ამ წერილისა. და არჩილ ჯორჯაძე მზადაა მოერიოს სკეპსისს, ღვთისმაძიებლობის იმ საფეხურზე შედგეს, როდესაც ამაოების შეგრძნება დაიძლევა, და დაიძლევა ჩვენი საიდუმლოებით აღსავსე გულის ნატვრით.

ერთმანეთს დაცილებული ნატვრა და ნატვრის განსახიერება?

წუთისოფლის ტრაგიზმიც ეს ყოფილა, და როდესაც ამ განსახიერებას ვპოვებდით რელიგიურ გრძნობასა თუ პოეტურ შემოქმედებაში და აღტაცებაც გვეუფლებოდა, არ უნდა დაგვვიწყნოდა, რომ ეს იყო განსახიერებული ილუზია და არა სინამდვილე. სინამდვილე კი – ბუნება თუ ადამიანის სიცოცხლე – ის არ გახლდათ, რაც შეწუხებულ გულს ელანდებოდა თუ ესიზმრებოდა და რაც აღფრთოვანებულ ფანტაზიას ეჩვენებოდა.

არ არსებობდა საბუთი იმის დამტკიცებისათვის, რომ ადამიანი ოდესმე მიაღწევდა უტანჯველ სიცოცხლეს და მისი ცოდნაც ოდესმე სრული და დამთავრებული გახდებოდა?

ვის ეს დასკვნა კიდევ უფრო გაუღრმავებდა სკეპსისს და სულაც ნიჰილიზმით გათანგავდა.

არჩილ ჯორჯაძე კი აქ ჰპოვებდა ცხოვრების აზრს და სხვათაც შეაგონებდა: იქნებ სწორედ ეს არის მამოძრავებელი ძალა სიცოცხლისა და არა გათავისუფლებისა და სულის ცხონების მოლოდინიო?

ანარქისტული და სოციალისტური მოძღვრებანი წინ კი ეღობებოდა მის ღვთისმაძიებლობას, და ტოლსტოველობაც – საკმაოდ, მაგრამ არა ბოლომდე უარყოფილი მის მიერ – განაწყობდა ისტორიული ქრისტიანობისა და ეკლესიის წინააღმდეგ: დაშორდა პირვანდელ ქრისტიანობას და შეეგუა პოლიტიკურ-სოციალურ წყობას, რათა შეექმნა იერარქია, გაემართლებინა სახელმწიფოს ძალდატანება და ამით თავი გადაერჩინაო, – მაგრამ იმ პირვანდელ ქრისტიანობას ხომ ყოველთვის აღიარებდა და სულიერი სიმხნევითაც ეს განცდა აღავსებდა. თანაც იმ გარემოებასაც უკვირდებოდა, რომ იესოს რჯულის დასაწყისი სიახლოვეს ამჟღავნებდა პლატონის აზრთა სამეფოსთან ანუ სიცოცხლის იდეალურ დასაბამთან.

რელიგიის არსსა და დანიშნულებას განსჯიდა ფილოსოფიის თვალით და არა თეოლოგისა, და კიდევ – ეროვნული მოღვაწის მრწამსით.

თეოლოგი არც ყოფილა, ფილოსოფოსი გახლდათ. ეგაა, პუბლიცისტიკა უჭამდა ფიქრებს, მიწისაკენ ექაჩებოდა ზეცას შეწვდენილს.

ისტორიული ეკლესიისა და პირვანდელი ქრისტიანობის დაშორებაზე რომ ჩამოაგდებდა სიტყვას, იმასაც დასძენდა: ისტორიული ეკლესიის ძალისა და მნიშვნელობის შენარჩუნებას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა შინაარსი შეუძენიაო.

ზოგან თუ იმ ორგანიზაციად გადაქცეულიყო, რომლის მეშვეობითაც ძველი ებრძოდა ახალს, საქართველოს მიწა-წყალზე ეკლესია თუ გამოაცოცხლებდა თავის ოდინდელ ტრადიციებს ეროვნულობის დაცვისას, მისი ღირსება თვალსაჩინოდ ამაღლდებოდა. ნუ დავივიწყებდით, რომ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას დიდი ქონება და სიმდიდრე ჰქონდა და ავტოკეფალურობის აღდგენა – რისი ასეთი მოსურნეცაა არჩილ ჯორჯაძე – თუ არ ნიშნავდა ამ ქონების სავსებით დაბრუნებას, მისი ერთი ნაწილის დაბრუნებას მაინც მოასწავებდა. თანაც ჩვენს ეკლესიასთან ხელოვნების ორი დარგიც რომ დაკავშირებულიყო – მუსიკა და ხუროთმოძღვრება?

– სასურველია ამიტომ საეკლესიო კულტის გამშვენება, საეკლესიო გალობის განვითარება და ძველ ტაძარ-ეკლესიათა აღდგენა. ასეთია გაკვრით ის კავშირი, რომელიც შესაძლებელია ჰქონ-

დეთ დღეს საქართველოს ისტორიულ ეკლესიასთან იმათ, ვისთვისაც ამ ეკლესიას სარწმუნოებრივი ხასიათი დაკარგული აქვს.

ურწმუნოება თანდათან თუ ედებოდა ქვეყნის სხეულს, რუსული ეკლესიის გაბატონება და ეგზარხოსთა მძლავრება საკმაოდ თუ ამცირებდა და აქვეითებდა რელიგიურ განცდასა და სწრაფვას, ეს მოწიწება მაინც უნდა გამძაფრებულიყო საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომელიც მხოლოდ წარმოსახვაში არსებობდა, მაგრამ წარმოსახვაც ცოტას არა ნიშნავდა, თუკი საეკლესიო კულტის გამშვენებასა და გალობისა თუ ხუროთმოძღვრების შენარჩუნება-ამაღლებაზე იზრუნებდა ქართველობა – თუნდ ეროვნული მრწამსის გამო. ის, რაც ისტორიულად მოსდგამდა ჩვენს ქვეყანას – ეროვნულობისა და ქრისტეს რჯულის ერთიანობა – არჩილ ჯორჯაძის თეორიულ ნააზრევში კვლავ დაბეჯითებით გაისმოდა და ავტოკეფალიისათვის წამოწყებულ საეკლესიო მოძრაობას ასეთნაირად შეაშველებდა თავის ხმასაც.

რევოლუციურ განწყობილებას ეს მოძრაობაც ამოდგომოდა გვერდით და იქმნებოდა წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტი, რასაც სულ მალე ჯერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა მოჰყვებოდა და მერე ქართული სახელმწიფოსი.

განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველი საფლავსა ამას შინაო, – იუწყებოდა სოლომონ მეფის სამარის ლოდის წარწერა, არჩილ ჯორჯაძე კი არ შეეპუებოდა წყვდიადით მოცულ არარაობას და კვლავ და კვლავ გვიმეორებდა, რა არის ჩვენი სიცოცხლის მიზანი სრული ბედნიერება და სრული ცოდნაო. გვეკმარა ის სიხარული, რომელსაც – რაც გინდა გეთქვა და – მაინც გვაწვდიდა ეს ჩვენი გაუგებარი სიცოცხლე, დავჯერებოდით მისწრაფებასა და არა მიღწევას. თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავდა წყურვილი ყოველივეს შეცნობისა და ეს სულიერი წყურვილი უნდა გაგვეღრმავებინა გულში და გარდაგვესახა გრძნობად ერთობისა და განუყრელობისა ადამიანის სიცოცხლისა მსოფლიოს სიცოცხლესთან, და თუ შევეჩვეოდით იმ აზრს, რომ ამ კოსმიური გრძნობით ადამიანი ეზიარებოდა იმ დიდ საკრებულოს, რომელსაც სამყარო ჰქვია, და ამ საკრებულოსთან გაერთიანებით ქარწყლდება სიმწვავე ადამიანის მარტოობისა – თუ ამ ყოველივეს ვაღიარებდით და შევისისხლხორცებდით, გაუგებრობით დატვირთული აღარ დარჩებოდა ჩვენი ყოფნა ამ წუთისოფელში, ჩვენი გარჯა და შრომა ადამიანის მიწიერი კეთილდღეობისათვის.

ეს მტკიცება ახალი რელიგიისაკენ მოწოდებას ხომ არ წამოჰგავდა?

ეჭვიან მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს ასეო – თვითონვე დაეჭვდებოდა არჩილ ჯორჯაძე თავის შეხედულებათა გადმოლაგებაში და წინასწარვე შეეცდებოდა მოსალოდნელი საყვედურის არიდებას: არა და არა, რასაც თეორიულად უარვყოფ, მე თვითონ იმას სულაც არ ვეძიებო.

მაგრამ ეჭვიან მზერასაც რომ შეიგრძნობდა?

ახალი რელიგიის კონტურები რომ გაიელვებდა მის განსჯა-გააზრებებში?

ტოლსტოვური რწმენის ელემენტებიც დარჩენილიყო ამ ახალ გააზრებაში, ოღონდ კოსმოპოლიტური შინაარსი გარდაისახებოდა და შეერწყმოდა ეროვნულ მრწამსს, შეუდუღაბდებოდა და პირვანდელი ქრისტიანობაც და ისტორიული ეკლესიაც მის საფუძველზე ჰპოვებდნენ საერთოს.

ჩემი ნუგეშისცემა „თუობაზეა“ აგებული, ერთგვარი რელიგიისაკენ მოწოდებად არ ჩამომართვათო.

გრძნობდა, მკაფიოდ გრძნობდა, მისი ღვთისმაძიებლობა ქრისტიანობის ახლებურ გააზრებას რომ მიადგებოდა და თავსაც აფრთხილებდა – მხოლოდ მკითხველს კი არა – არ განმიზრახავს ახალი ეპოქის შესატყვისი რელიგიური სისტემის შექმნაო.

მაგრამ მისი კონტურები რომ გაილანდება?

მოჩვენებითია ეს შთაბეჭდილება თუ რაღაც საყრდენი მართლა ასაზრდოებს?

რაკილა არ დასცალდა სისტემის გამოკვეთა თუ გამოუკვეთელობა, რაც დაბეჯითებული დასკვნის საშუალებას მოგვცემდა, ვარაუდებმა შესაძლოა შორს გაგვიტყუოს და „წერილებს ისტრიის წისქვილიდან“ ის გადაჭარბებული მნიშვნელობა მივანიჭოთ, რაც არჩილ ჯორჯაძეს სულაც არ განეზრახა.

მაგრამ „ეჭვიანი მკითხველისადმი“ მიწერილ-მიკუთვნებული მოსაზრება მთლად ისეც, ცარიელ ადგილას არ უნდა გაჩენილიყო.

ამ ფილოსოფიურ განსჯას რომ წამოიწყებდა, იქნებ წამითაც არ გაევლო გუნებაში, ახალი რელიგიისაკენ მიმავალ გზებს ხომ არ ვეძიებო, მაგრამ ფიქრი თავისთავად გაიტყუებდა ცოტა უფრო იქით, ვიდრე წინასწარ განესაზღვრა.

არადა, რა უბრალო და ძალდაუტანებლად გაჩნდებოდა ეს ჩანაწერები:

საქათმეში სიცოცხლე დუღდა.

კვერცხი კი შიგნიდან გაპობილიყო და ნისკარტის წვერი ოდნავ მოჩანდა.

და საოცარი გარკვეულობითა და სიმკაცრით განიცდიდა ამ ბუნებრიობის შემხედვარე სიცოცხლის ცვალებადობის უცნაურ პროცესს.

და გაჰყვებოდა ფიქრი სამყაროს დასაბამამდე.

გამოჰყვებოდა ქრისტეს რჯულის შექმნამდე.

გადმოაბრუნებდა მეცნიერების მიღწევებს.

და იტრიალებდა წყლის ნაკადი.

არაკუნებდა სარეკელა.

იბრუნებდა დოლაბი.

და მარცვალ-მარცვალ ჩამოიფქვოდა წუთისოფლის გამოცანები.

ჩანაწერები გარკვეულ სისტემასა და ფორმას მოითხოვდა, ციკლის სტრუქტურას დაისაჭიროებდა და გაცილებით ვრცელ სარბიელსაც იგულისხმებდა, ვიდრე ამჟამად გვაქვს ხელთ – არამარტო შინაგანი სივრცით, არამედ მხატვრული ქარგის გაშლითაც.

* * *

არავინ არ უნდა მიიღოს ეს წერილები არჩილის საბოლოო მსოფლმხედველობის გამოთქმად: აქ მხოლოდ უბრალო ქარაგმებია მისი სულის ძიებისა – ბევრი რამ მნიშვნელოვანი მისი სულის ნაცადითგან ამ წერილებში არ არისო, – გრიგოლ რობაქიძეს დაეჯერებოდა, რადგანაც საკმაოდ ესაუბრა არჩილთან თუნდაც იტრიაში. თვითონ სურამში შეფარებოდა მზეს იმ ზაფხულს, არჩილსაც ხშირად ამიტომაც ააკითხავდა და წისქვილი და მისი ხმაურიც ისე გაიტაცებდა, მასპინძელს გაუმხელდა: ფიქრის ასაყოლებლად რა კარგიაო.

თან ისეთი მახვილი ფიქრისა, არჩილ ჯორჯაძეს რომ სჩვეოდა.

და გრიგოლ რობაქიძე ირწმუნებოდა და ვერც ვერავინ გადააჯერებდა, რომ სწორედ წისქვილს გაეძლიერებინა მასპინძლის რელიგიურ-ფილოსოფიური ძიება.

თხზულების სახელწოდება მხოლოდ მეტაფორად არ იგულისხმოთ, მართლა წისქვილმა შეგვძინა „წერილები იტრიის წისქვილიდანო", – ეს განწყობილება აშკარად გამოსჭვივის მის მემუარულ ჩანახატში.

ბევრი რამ მნიშვნელოვანი მისი სულის ნაცადითგან ამ წერილებში არ არისო...

არ მოთავებულა წერილების ეს ციკლი და იმიტომ.

„გველის პერანგის“ შემოქმედი სხვა მიზეზს დაასახელებდა:

– არჩილი აზრის გამოთქმაში ფრთხილი იყო მეტად.

ეს რაღაც გადამეტებული სიფრთხილე არ უნდა იყოს – არჩილს ევროპული სკოლა გაევლო და კატეგორიულ მსჯელობა-მტკიცებებს ამიტომ უფრო ერიდებოდა. მისი პიროვნული ბუნებაც ეთანხმებოდა ძიების ასეთ მანერას. ბუნებაც, თორემ ეს სკოლა გაევლო გრიგოლ რობაქიძესაც, უფრო მკვეთრი შეხედულებანი რომ ერჩივნა და არჩილსაც შეჰბედავდა, მინიშნებებსა თუ ქარაგმებს ნუ კმარობო.

პუბლიცისტიკაში არ იჩენდა სიფრთხილეს არჩილ ჯორჯაძე, იქ ვერც სტილის სიბასრეს დაუწუნებდი ვერც მსჯელობის სიმძაფრეს, ვერც აზრის სიმკვეთრეს, მაგრამ წუთისოფლის სატკივარი წუთისოფლის სატკივარი გახლდათ, ყოველდღიურობასა და ყოფითობას გარიდებული და სტილური მანერაც ცოტა სხვაგვარი მოუხდებოდა, ვიდრე კატეგორიულობაა.

გრიგოლ რობაქიძის ახალი საჯარო ლექციაც ფრიდრიჰ ნიცშეზე მწვავე დავას გამოიწვევდა, ყველა ერთნაირი მოწონებით არ შეხვდებოდა ევროპის ახალი ჟამის ერთი უპირველესი მესიტყვის გამოჩენას ქართულ სინამდვილეში, მისი ფილოსოფიური ნააზრევის – ახალ რელიგიასაც რომ უტოლებდნენ – რობაქიძისეულ ინტერპრეტაციას, და დავით კასრაძე იმათ შეხედულებას გამოხატავდა, რომელთაც ეს ანალიზი ცალმხრივი და ალაგ-ალაგ მცდარიც ეჩვენებოდათ. გრიგოლ რობაქიძე არ დათმობდა და, პაექრობა აუდიტორიიდან „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე რომ გადაინაცვლებდა, ორივე მოწინააღმდეგე მხარეს ერთნაირად აინტერესებდა არჩილ ჯორჯაძის მსჯავრი – დისკუსიის მსვლელობაზეც, თვითონ ნიცშეზეც... არ ეეჭვებოდათ, ყურადღებით მიადევნებს თვალს საგაზეთო პუბლიკაციებსო.

– ნიცშეს შესახებ საინტერესო აფორიზმებს ისროდა, – იტყვის მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძე.

არც თვითონ ჩაუნიშნავს არჩილს, არც მემუარისტი აღადგენს, თუმც ერთ ფრაზას მაინც შემოგვინახავს:

– ნიცშეს გაგებისათვის საქართველოში არ არის ნიადაგი.

განმარტებას აღარ მოადევნებდა და რობაქიძე თავისთვის დაიწყებდა მარჩიელობას: ეს თქმა, რასაკვირველია, არავინ უნდა გა-

იგოს ისე, თითქოს საქართველოს ინტელექტი ვერ მიწვდებოდეს ნიცშეს. არა. ნიცშე ერთგვარი პრობლემაა კულტურაში და ეს პრობლემა საქართველოში არც კი არსებობსო.

ასეთ ახსნასაც აქვს თავისი მოტივი, აგერ, საკმაოდ დამაჯერებელიც, მაგრამ იქნებ ნიცშეს ხსენება საბაბი უფრო იყო მისთვის და ამ ფრაზის ქვეტექსტი იმდენად გერმანელი ფილოსოფოსის ნააზრევის მოსალოდნელ ხვედრს კი არ გულისხმობდა ჩვენს ქვეყანაში, რამდენადაც ახალი რელიგიისათვის გზის გაკვლევის შეუძლებლობას, ახალი რელიგიისათვის, ქრისტიანობის თავისებური ნაირსახეობა რომ იქნებოდა, ოღონდ ტოლსტოველობისაგან – როგორც განვლილი საფეხურისაგან – საგრძნობლად განსხვავებული.

ასეთ სურვილს იქვე ეკვეცებოდა ფრთები.

ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

გრიგოლ რობაქიძე თუ სიფრთხილეს მიაწერს ფილოსოფიური შენობის დაუმთავრებლობას იტრიის წერილების ციკლში, კოკი აბაშიძე ამგვარ ფსიქოლოგიურ ნიაღსვლებს მოერიდებოდა ამ თხზულების განსჯისას და ყველას, ვინც ნაკლულევნად მიიჩნევდა ფილოსოფიური სისტემის უქონლობას, რჩევად გაუზიარებდა: ის მაინც უნდა აღიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ეს პირველი, ასე თუ ისე, დაწყობილი მსჯელობა გახლდათ სიცოცხლის აზრის, სიცოცხლის დასაბამისა და მისი წარმავლობის, შინაარსის ძებნით გამოწვეულიო.

* * *

გაცილებით ვრცელ სარბიელს იგულისხმებდაო...

და ამას სწორედ თხზულების შინაგანი სივრცე მიგვახვედრებს.

სხვა შემთხვევაში ახალი რელიგიის ხსენება და იქვე მოთავება ფილოსოფიურ-რელიგიური ძიებებისა მხატვრულ ხერხადაც შეიძლება მიგვეჩნია, მოხდენილ აკორდად, ღია ფინალის თავისებურ სახესხვაობად, მაგრამ სახელწოდება ამ ჩანაწერებისა – „წერილები იტრიის წისქვილიდან“ – და ბუნებრივი გადაძახილი ალფონს დოდეს ნოველების კრებულის სათაურთან – „წერილები ჩემი წისქვილიდან“ – ძალაუნებურად მიგვანიშნებს, რომ ეს ფილოსოფიურ-რელიგიური ფონი დასაწყისისთვის უფროა გამოყენებული, და იმ პასაჟით ერთი რკალი მთავრდება და არა მთლიანად თხზულება,

რომლის სულისკვეთებაც ამ გადაძახილის წყალობით ისეთი გამჭვირვალეა, ისეთი ხელშესახები:

როგორ კვდება პროვინცია თავისი განუმეორებელი ხიბლითა და მშვენიერებით, თავისი სიცინცხალითა და პირველქმნილი უბრალოებით, თავისი იდილიითა და უმანკო გულისთქმით.

იქ – პროვანსი.

აქ – ზემოქართლის მხარე.

ინდუსტრია იჭრება ალფონს დოდეს პროვინციაში, ვეღარ უძლებს მის შემოტევას პროვინციული სინამდვილის ციხე-გალავანი, მოჩვენებითი უფრო აღმოჩნდება თავდაცვითი ზღუდეები და ის, რაც საუკუნეებს გამოსცილებია შეუმუსრავად და შეუბღალავად, ერთბაშად უნდა ჩამოიქცეს და განქარდეს.

ფრედერიკ მისტრალი ეკონიება მის გადარჩენას პროვანსული მეტყველების შემონახვით თავის პოეზიაში და ალფონს დოდე, მისი ლექსის მშვენიერებითა და დახვეწილობით რომ ტკბება, ხელშესახებად წარმოიდგენს იმ რღვევით ყოფას, რომელშიც მისტრალმა თავისი დედაენა იპოვნა, და შემდეგ იმ გარჯას, რისი შესრულებაც მოუწია.

მას ეს ყოველივე გაახსენებდა ერთ ძველ კოშკს, რომელსაც არც სახურავი გააჩნდა, არც რიკული, არც ფანჯრის მინები, კამარებში სამყურას რელიეფი გატეხილიყო, კარიბჭეზე გერბი ხავსით დაფარულიყო, ეზოში ქათმები საკენკს დაეძებდნენ, გალერეის ნატიფ სვეტებქვეშ ღორები გორაობდნენ, სამლოცველოში, სადაც ბალახი ამოსულიყო, ვირი ძოვდა, დიდი ემბაზები წვიმის წყალს აევსო და სასმელად მტრედები მოფრენილიყვენ.

გულისმომკვლელი სურათი ამოჩნდებოდა დოდეს წარმოსახვაში, მაგრამ თავზარდამცემ სინამდვილეში იმედად გამოჭიატდებოდა ის გლეხის ვაჟი, ვინც ამ დიდებულ ნანგრევებს გაუმიჯნურდებოდა და აღშფოთდებოდა მისი შებღალვით, და ფერიების დახმარებით მარტოდმარტო აღადგენდა დიდ კიბეს, შეაკეთებდა კედლის ხის ნაწილებს, ფანჯრებში მინებს ჩასვამდა, კოშკებს აამაღლებდა, მოავარაყებდა სეფედარბაზს და ფეხზე წამოაყენებდა ძველი დროის სასახლეს.

ამ აღდგენილ სასახლეს პროვანსული ენის სიმბოლოდ დასახავდა „ტარტარენ ტარასკონელის“ შემოქმედი და მაშ გლეხის ვაჟი მისტრალი გამოდიოდა.

მარტოდმარტო... ფერიების დახმარებითო...

კიდევ კარგი, პოეზია არსებობდა თავისი ჯადოსნური უნარით – გაქრობისაგან ეხსნა სამყაროს ყოველი მშვენიერი კუთხე-კუნჭული. და რაც მისტრალს დაეკლო პროვანსიისათვის, მიუხედავად დიდი მონდომებისა, დოდე შემატებდა თავისი ლირიკული თუ ეპიკური განცდებით, რეალობასა და ფანტაზიას, ყოფითობასა და ზღაპარს ერთმანეთს რომ შეუზავებდა და ჩამოქნიდა ერთ გაბმულ მოთქმად, მშვენიერების სავანის დატირებად.

„მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება" ამ გაბმული მოთქმის ერთი რგოლიცაა და კრებულის სულისკვეთების დამაუნჯებელიც თავის თავში.

ნისქვილები ამ მხარის სიხარულსა და სიმდიდრეს წარმოადგენდნენ და ცეკვა-სიმღერაც მათ რიტმს ასდევდა – გაჩერებული დროის სულს გამოხატავდა მთელი თავისი ფერადოვნებით და წუთისოფლის უსასრულობის შეგრძნებას გიჩენდა, რადგანაც დრო აქ არ დანაწილებულიყო კალენდარულ განზომილებათა მიხედვით.

პროვანსი ცოცხლობს.

პროვანსი ბედნიერების ალმურშია გახვეული.

და თურმე რაოდენ მყიფეა მარადისობის შეგრძნება და რაოდენ იოლი ბედნიერების განქარება.

პარიზელებს აზრად მოუვათ ორთქლის წისქვილის აშენება ტარასკონის გზაზე – ეს დიდი სიახლე გახლდათ, საკმაოდ მძლავრი და პროვანსის ცხოვრების გადამგდები სულ სხვა კალაპოტში, სადაც ქარის წისქვილები ერთიმეორის მიყოლებით უნდა დაიკეტონ – აღარსად მოჩანდნენ პატარა ვირები, ზედ აკიდებული ხორბლის ტომრებით, მეწისქვილე ქალებმა გაყიდონ თავიანთი ოქროს ჯვრები, დროსტარებაც მოიშალოს, სიმღერაც ჩაკვდეს და ბოლოს სოფლის თემმა დაანგრევინოს ქოხმახებად გადაქცეული ეს ოდინდელი მშვენებანი ამ მხარისა და მათ ადგილას ვაზი და ზეთისხილი დარგოს.

მაგრამ ამ ნგრევაში ერთმა ქარის წისქვილმა მაინც უნდა გაანაგრძოს ფეხზე დგომა და თავის გორაკზე მამაცურად ტრიალი მექარხნეების გამოსაჯავრებლად.

მოხუცი კორნილი არ შეეპუება სიახლესა და სიმძლავრეს, არ შეეპუება შეჩვეული ყოფის ხელაღებით მოშლის ჟინს.

შერკინება მეტად უთანასწოროა, მაგრამ მოხუცი მეწისქვილე სოფელში დარბის, ხალხს იკრებს თავის გარშემო და, რაც ძალ-ღონე აქვს გაიძახის, პროვანსის მოწამვლა უნდათ ამ ქარხნების ფქვილით, ხორბლის დასაფქავავად ორთქლს იყენებენ, ორთქლი კი ეშ-

მაკის მოგონილია, ხოლო მე მისტრალისა და ტრამონტანის, ამ ჩვენი მშობლიური ქარების, შემწეობით ვმუშაობ, ისინი თვით მამაღმერთის სუნთქვას წარმოადგენენო.

ყურს აღარავინ ათხოვებს.

რღვევის შეჩერება შეუძლებელია.

მაგრამ მოხუცი კორნილი ჯიუტად აწყდება რეალობის ჩამოხუფულ კედლებს და, თუმც ხორბალი აღარავის მიაქვს მასთან, წისქვილის ფრთები წინანდებურად ტრიალებენ.

ეს გარემო იდუმალებით შეიბურება.

ხალხში ათასგვარი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ მეწისქვილე ცხვირსაც არავის აყოფინებს თავის საბრძანებელში.

ბოლოსდაბოლოს ეს საიდუმლოც უნდა გაიფანტოს და წისქვილს საკვები, ნაცვლად ხორბლისა... ღორღი და კირი აღმოჩნდეს, კორნილს კი საღამოობით ეს ნაგავი ეტარებინა სოფლის ქუჩებში, რათა წისქვილის ღირსება დაეცვა და ყველას ჰგონებოდა, იქ პური იფქვებაო.

მოხუცის ეს, ერთი შეხედვით, კომიკური საქციელი სოფელს სიცილის გუნებაზე კი არ დააყენებს, არამედ სინდისს აუფორიაქებს, რადგანაც კომიკურის მიღმა შეიგრძნობენ იმ ტრაგიზმს, რასაც თვითონ თვალს არიდებდნენ და იოლად დათმეს პროვანსის მშვენების ეს ერთი სახიერი ნიშანი... და აღარც იდუმალი ხმის კარნახს უგდეს ყური, ერთი დათმობა სხვათაც მოიყოლებსო.

ამიტომაც უნდა მიადგნენ ტომრებით კარს თანასოფლელები მშობლიურ ქარებსა და უფლის სუნთქვას მიყურადებულ მეწისქვილეს და ეს რიტუალი წმიდათაწმინდად შეინარჩუნონ, ვიდრე მოხუცი სამზეოზე იქნება.

მის გარდაცვალებასთან ერთად კი პროვანსის ამ უკანასკნელი წისქვილის ფრთებმაც უნდა შეწყვიტოს ტრიალი.

ყველაფერს დასასრული აქვს ქვეყნად და უნდა ვიფიქროთ, რომ ქარის წისქვილების დროც ნავიდაო, მწუხარედ შესჩივიან დოდეს, ვინც ერთხელ კიდევ ცდილობს აახმაუროს და გამოაცოცხლოს ის პროვანსული ყოფა, წარსულში რომ ჩაძირულა და შორეული სევდითა და მშვენიერებით გველამუნება.

რევოლუცია იჭრებოდა არჩილ ჯორჯაძის პროვინციაში.

ინდუსტრიას კიდევ რა უშავდა, რაღაც ძვირფასსა და სანუკვარს კი მიაფარებდა თვალს და იდილიასა და პირველქმნილ უმანკოებასაც დადაღავდა, მაგრამ ზოგიერთ ნიშანს მაინც შეინარჩუ-

ნებდა, სახიერად თუ ვერა, ფერმკრთალ ანარეკლად მაინც. რევოლუციას კი რა გადაურჩებოდა, იმ რევოლუციას არა, არჩილ ჯორჯაძის წარმოსახვაში რომ რიალებდა და გარეგნულ მდუღარებას შინაგანი წესრიგი და კანონზომიერება წარმართავდა, და ამიტომაც მისი ტალღები რომ გადაივლიდა, ფერნაცვალი სამყარო შემოგცინებდა, ახალი ცა და მიწა შემოგეგებებოდა და ცხოვრებაც ბუნებრივი გზით განაგრძობდა სვლას, არამედ იმ რევოლუციას, სინამდვილეში რაც მოხდებოდა და სოციალ-დემოკრატია დაეუფლებოდა ყველასა და ყველაფერს – ჯერ მენშევიზმი მოშლიდა ცხოვრების საყრდენებს და მერე ბოლშევიზმი კალოსავით გალეწავდა, თუ რამ გადარჩებოდა.

იტრიის მხარეც რევოლუციის ზღვაში ეფლობოდა და ვინ დაანებებდა კუნძულივით ამოჩენილიყო.

პროვინციის თანდათანობით კვდომის სურათები ფურცლებზე ვერ გადაინაცვლებდა.

არჩილ ჯორჯაძის ხელით შევსება არ ეწერა.

მაგრამ ჩვენი დრამატული ისტორიის ეს აბურდული ხანაც და ეს მეტად მტკივნეული პროცესიც წარმოისახებოდა ნოველების ციკლად.

რასაც დასრულება არ ეღირსა არჩილ ჯორჯაძის ხელში, გიორგი ლეონიძე დააგვირგვინებდა – და უდავო წარმატებითაც – ათწლეულთა შემდგომ.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ „ნატვრის ხე“ თავისებური გაგრძელებაა „წერილებისა იტრიის წისქვილიდან“.

თუმც ჯერ არჩილ ჯორჯაძის ბედისწერას ჩავყვეთ ბოლომდე.

მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი უფრო კანთიელად და რელიეფურად გამოიკვეთოს და თხრობაც იქ გაწყდეს, სადაც ახალი რეალობის სუნთქვა უნდა გაძლიერდეს, და ახალ პერსონაჟთათვის გაიხსნას გზა.

„ნატვრის ხე“ მაშინ უფრო ხელშესახებად აღმოჩნდება... და ის სულიერი საერთოც, „იტრიის წისქვილის წერილების“ გაგრძელების აუცილებლობას რომ გულისხმობდა.

თავი ოცდამერვე

„მე აგრერიგად ჩემს ბედს არ ვემდური“

მიხეილ გედევანიშვილი 1912 წლის 11 თებერვალს ოფიციალურად ითხოვდა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი გამგეობისაგან ნებართვას: თუ თქვენ ვერ შეძლებთ მოკლე ხანში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემას, მე დამანებეთ, რათა შესაფერისი და ღირსეული სახით წარვუდგინო მკითხველს – განსაკუთრებულ ქაღალდზე, ილუსტრირებული, და ყოველგვარი მასალაც შევკრიბო, რაც ასე თუ ისე ახასიათებს ამ დიდებულ მამულიშვილს და მის თხზულებებსა და მოღვაწეობასო.

ნაცვლად ორტომეულისა, ერთადერთი ტომის გამოცემა მოხერხდებოდა, თუმც ეს წიგნი თავისი დროის საუკეთესო გამოცემათა შორისაა საგულვებელი – აღნაგობითაც და გარეგნობითაც, და არა მარტო მიხეილ გედევანიშვილისა თუ სარედაქციო კომისიისათვის გახლდათ ღირსების საქმე, წიგნი მონუმენტურ ქმნილებად გამოჩენილიყო და მნიშვნელოვან რგოლად ილიას სახელის აღზევებისა და უჩვეულო შარავანდით შემოსვის გზაზე, არამედ ყველასათვის, ვინც მოსალოდნელ თავდახსნას იმპერიისაგან და სახელმწიფოებრიობის აღდგენას უპირველესად ილიას სახელს უკავშირებდა.

სარედაქციო კომისიის პირველივე სხდომაზე არა, მაგრამ მომდევნოზე უკვე გამოჩნდებოდა არჩილ ჯორჯაძეც.

ილიას ბიოგრაფიის შედგენა დაევალებოდა გრიგოლ ყიფშიძეს, წლები რომ იცნობდა ქვეყნის პირველ პრეზიდენტად ნავარაუდევ კაცს და მის მარჯვენა ხელადაც აღიარებულიყო „ივერიის“ რედაქციაში, შემოქმედების კრიტიკული განხილვა – კიტა აბაშიძესა და გერონტი ქიქოძეს, ვინც იმხანად ბერნში იმყოფებოდა, და ავტოგრაფების შედარება და ვარიანტული სხვაობის დადგენა კი – კომისიის მდივანს იოსებ გედევანიშვილს.

არჩილის გარდაცვალების შემდეგ მის ქაღალდებში აღმოჩნდებოდა მცირე ჩანაწერი, შენიშვნად სახელდებული, ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა გამოცემის გამო, დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა ამ განზრახვის აღსრულებას და ილიას მიმართ კიდევ ერთხელ რომ აღავლენდა დითირამბს („ილია ჭავჭავაძის გაცნობა, შესწავლა და დაფასება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ამ დიდბუნებოვანი ადამიანის აზროვნების ყველა ნიმუშს დავაკვირდებით და როდესაც გვექნება სრული კრებული მის გონებრივ ნაწარმოებისა"), დიდად დაუმადლებდა მიხეილ გედევანიშვილს, რომ ამ საშვილიშვილო საქმისათვის – მისი სიძნელე და სირთულე რომ გაეთვალისწინებინა – მოეწვია მცოდნე პირნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, შეედგინა სარედაქციო კომისია და ყოველი საკითხი, სალიტერატურო თუ ტექნიკური, ამ კომისიის მონაწილეობით, რჩევა-დარიგებითა და ხელმძღვანელობით გადაეწყვიტა.

– ამგვარად, ჩვენს წინაშე არაჩვეულებრივი გამომცემლობაა.

უკვე ცნობილი ნაწარმოებნი ხელნაწერებს შეუდარდებოდა და ტექსტის სრული შესწავლის შედეგად განმეორდებოდა, ახალაღმოჩენილი ვარიანტებიც გამოჩნდებოდა და ჯერაც დაუბეჭდავი თხზულებანიც მიხეილ გედევანიშვილის ამ თაოსნობის წყალობით.

თავის ადგილს ასე განსაზღვრავდა:

– რამდენადაც ვაკვირდები ამ გამომცემლობის მუშაობას...

ვაკვირდებიო...

ისედაც ადვილი მისახვედრია, ამჯერადაც გადამეტებულ მოკრძალებას რომ იჩენს, თავისი წვლილის მისაჩუმათებლად იყენებს ამ სიტყვას, თორემ დამკვირვებლობას როგორ იკმარებდა და, აღტაცებული, სწორედ ისე მოიქცეოდა, რასაც მიხეილ გედევანიშვილი აღნიშნავდა პირველი ტომის წინასიტყვაობაში: აწ განსვენებულმა ჩვენმა ცნობილმა პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ დიდი სამსახური გაუწია ამ გამოცემას რჩევითა და დარიგებით და მანვე იკისრა კომისიის დავალებით ილიას სრული ბიოგრაფიის შედგენა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დააცადა დაემშვენებინა თავისი ნიჭიერი კალმის ნაწარმოებით ეს პირველი ტომიო.

გრიგოლ ყიფშიძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ქრონიკით მაინცდამაინც ვერ აღფრთოვანდებოდნენ, შენიშვნას შენიშვნაზე გამოთქვამდნენ და ბოლოს გიორგი ლასხიშვილს სთხოვდნენ ბიოგრაფიის გასწორებასა და მასში ისეთი ცვლილებების შეტანას, რაც საშუალებას მისცემდათ არ გაეწბილებინათ მკითხველი და პირველი ტომი უბიოგრაფიოდ არ გამოცემულიყო.

ეს პირველი ცდაა ამ ყაიდის თხზულების შექმნისაო, – ასე მოუბოდიშებდნენ მკითხველს და დააიმედებდნენ, ილიას სრული, სამეცნიერო ბიოგრაფიაც დაიწერება ოდესმე, როდესაც შეისწავლება ყველა მისი თხზულება და ის მასალები, რაც მის ცხოვრებას ეხებაო.

ნეტა არჩილ ჯორჯაძისათვის როდის შეეთავაზებინათ?

თუ მხოლოდ გუნებაში ჰქონდათ, ეს ხომ არ გვემჯობინებინაო?!,

ასეა თუ ისე, ივანე ჯავახიშვილი 1913 წლის 3 აპრილს მწარე სინანულით კი მოსწერდა გამომცემელს პეტერბურგიდან:

– საუბედუროდ, ის, ვისაც ყველაზე კარგად შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჯორჯაძე, სამარეში დევს! ესეც ჩვენი ბედი!

* * *

არისტოტე გაბიჩვაძეს წაღვერში ამბავს რომ დაახვედრებდნენ, არჩილ ჯორჯაძე ამ ზაფხულს აქ გაატარებსო, სიხარულით ცას ეწეოდა: თუ პირადად ვერ გავიცნობ, შორიდან ხომ მაინც შევაცქერებ თვალს, ვინც საოცარი მაგალითი მოგვცა უკეთილშობილესი იდეური ბრძოლისაო.

წინასწარვე გაარკვევდნენ, არჩილი 2 მაისს მოვა საღამოს მატარებლით ბორჯომიდანო და სადგურზე დახვდებოდნენ, არ გამოგვეპაროს მისი გამოჩენაო. თვალგაცეცებით მისჩერებიან, როგორ ჩამოდიან მგზავრები, არჩილს კი ვერსად დალანდავენ.

რას წარმოიდგენენ, რომ სნეულებისაგან მისუსტებულს არ შეეძლო ვაგონიდან დაუხმარებლად გადმოსვლა და ამიტომაც მშველელს ელოდა.

მშველელიც მალე გამოჩნდებოდა და არჩილს ხელმოკიდებულს ჩამოიყვანდა ვაგონიდან – ფერმიხდილსა და გაყვითლებულს, სნეულებისაგან დავრდომილს.

ერთი კვირის შემდეგ მიაკითხავდა არისტოტე გაბიჩვაძე.

მგზავრობას ისე ემოქმედა, ფეხზე დგომა ჯერაც უძნელდებოდა, სკამზე ჯდომაც არ შეეძლო და ლოგინზე წამოწოლილიყო გულაღმა.

ეს მალე გამოეთხოვებოდა, ძალიანაც არ შევაწუხოო, მაგრამ არჩილი მალ-მალე შველას სთხოვდა და მეორე შეხვედრისას, რო-

დესაც უარესობა კიდევ უფრო შეეტყობოდა, რადგანაც მუშაობაზე ხელის აღებას არ აპირებდა, კარგა ხნის ბაასის შემდეგ მორიდებით სთხოვდა სტუმარს: გეცოდინება ექიმ გედევანიშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემის ამბავი. ამ გამოცემის მეორე წიგნისათვის მონდობილი მაქვს კრიტიკული განხილვის დაწერა, მასალებს მე გავარჩევ და დავამზადებ, წერისას კი თქვენ მომეხმარეთ, რადგან სკამზე ჯდომა და წერა არ შემიძლიაო.

თუმც მასალების წაკითხვასა და გარჩევას თვითონ აპირებდა, მაინც ვერ მოახერხებდა მეტისმეტი სისუსტის გამო – ლოგინიდან ველარც დგებოდა. არადა, უმთავრეს მასალათა შორის „ივერიაც“ იყო, თითო წლისა ცალ-ცალკე წიგნად აკინძული. კარადიდან მათი გადმოღება, ისევ დაწყობა და გადაშლა მეტად გაუძნელდებოდა და არისტოტეს ახლა ამასაც სთხოვდა: ორივემ ერთად გადავათვალიეროთ და საქმეც დაჩქარდება. თქვენ წაიკითხავთ და მე ყურს დაგიგდებთ, ისევ ასე სჯობსო.

გადაშლიან „ივერიის“ ნომრებს და ეს კითხვას შეუდგება.

არჩილი გულაღმა წევს.

ეს მაგიდას ახლოს მიადგამს, რათა არჩილმა უფრო მარჯვედ ადევნოს თვალყური.

უმთავრესად ეკონომიკური, ეროვნული, კლასობრივი და ბანკის პრობლემატიკა აინტერესებს.

ცალკეულ ადგილებს ჩაახაზინებს.

მასალების გარჩევასა და შესწავლას რამდენიმე კვირას მოუნდებიან.

საყურადღებო პასაჟებზე შეჩერდება ხოლმე და მთელს ლექციას კითხულობს აღფრთოვანებული და აღელვებული.

ქებას ხომ არ იშურებს და არა, არაერთხელ კრიტიკული მოსაზრებანიც გაუჩნდება.

და საერთოდ – ილიას ხსენებისას რაღაც განუსაზღვრელი აღფრთოვანება ემართება, გული უძგერდება და ენაც უნებურად ამეტყველდება ხოლმე... სახეც რომ არ გაუბრწყინდეს, შეუძლებელია.

როგორც იქნა დასრულდებოდა მასალების განხილვა და წერას უნდა შედგომოდნენ.

წინაც რა ჯაფა ელოდა.

მხნეობას იკრებდა:

ოლონდ ეს შრომა გავათავო და მერე თუნდ მოვკვდე, არა უშავს რაო.

და არისტოტე გაოგნდებოდა, ეს ხალისი და ენერგია საიდან გაუჩნდაო.

ასე თვალდათვალ როგორ გამოცელილიყო – ნუთუ ეს ლოგინად ჩავარდნილი არჩილი იყო? სახეს საუცხოო გამომეტყველება დაბრუნებოდა, ფერდაკარგულს ფერი მისცემოდა და აწითლებულიყო, შავი და ფართო თვალ-წარბი თითქოს ზეკაცური იერით განათებულიყო, გული აბორგებულიყო და მკვეთრი სიტყვები ანკარა წყაროს ნაკადულივით მოედინებოდა.

ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, არჩილის სხეულში არავითარი სენი არ ჩაბუდებულაო.

სულ ილიას სახელი ეკერა პირზე, ცხადია, მაგრამ ხან უეცრად იმ საფიქრალსაც გაუზიარებდა:

– ახლანდელი ჩვენი ახალგაზრდობა დიდი მჭმუნვარებითაა შეპყრობილი, თავჩაქინდრული დაიარება, წარბებმოღუშული, ისე ჩაფიქრებულან, თითქოს ცა და ქვეყანა თავზე ემხობოდეთ; თუ ცოტა ოდნავ მაინც აწყენია ცხოვრებამ, მყისვე რევოლვერს იკრავენ შუბლში.

არისტოტეს სმენოდა, სიცხე ორმოც გრადუსამდე და ხან მეტზეც რომ ასდის, კალამს მაშინაც არ იშორებს ხელიდანო.

აჭარბებენო, ფიქრობდა.

აგერ თვითონვე გამხდარიყო შემსწრე.

ასე იქმნებოდა „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“.

* * *

სურამიდან თუ იტრიაში ააკითხავდა ხოლმე გრიგოლ რობაქიძე, ბორჯომიდან წაღვერში ესტუმრებოდა – მდინარის პირას, სადგურის პირდაპირ.

ერთხელ სადილზე სთხოვდა დარჩენას მასპინძელი.

მშვენიერი „კახურის“ ხათრით.

თვითონ არა სვამდა.

სიამით კი დასცდებოდა:

– ოჰ, რომ შემეძლოს, როგორ გიახლებოდი!

და სახეზე მოწყენის ჩრდილი გადაურბენდა.

ეს რა თაიგულიაო? – ეკითხებოდა გრიგოლ რობაქიძე.

და ის, დიდად ნასიამოვნები კილოთი:

– ვიღაცა ქალმა გამომიგზავნა.

სხვა მხრივ კი:

საქართველო და საქართველოო...

ეჭვებიც არ ასვენებდა:

– შესაძლოა მართალი იყოს, ვითომ ჩვენ ხელმწიფება არ შეგვეძლოს. ჩვენი ისტორია ამისათვის ბევრს საბუთს მოიყვანს.

წევს, ცარიელ სივრცეს გაჰყურებს ჩაფიქრებული და გრიგოლ რობაქიძეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდაო.

ანდა:

– შესაძლოა ეს სლავური ტალღა განგებ იყოს მოვლენილი ჩვენდა – და სხვებისაც – წასალეკად. ყოველ შემთხვევაში ანტროპოლოგიურად დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიურ ზრდას: ერთსა და იმავე პირობებში ერთი ერი საშინლად მრავლდება, მეორე კი ოდნავ; ხომ იცით, როგორ მრავლდება რუსობა? ჩვენ კი...

და უიმედობა აღებეჭდებოდა სახეზე.

ხანდახან სოციალიზმზეც ჩამოვარდებოდა სიტყვა და გრიგოლი მიუხვდებოდა: მისთვის სოციალიზმი პრობლემაა და არა უთუო რამო.

საერთოდ კი ვერ შეატყობდა სავსებით გამოკვეთილ მსოფლმხედველობას და ამის ხელისშემშლელად მისსავე ბედს იგულისხმებდა. და ამასთან საქართველოსიც: სადაც ინდივიდუალურად ბევრი იტეხს კისერსო.

... ოჰ ნეტა მეც შემეძლოს დალევაო, – და გრიგოლ რობაქიძეს კახურით აუშუშხუნებდა ჭიქას, – შენ მაინც, შენ მაინცო...

ეს სტუმრობა, მემუარულ ჩანაწერში საგულისხმო ყოფითი დეტალებით შეზავებული, მანამდე გრიგოლ რობაქიძის ერთი ესეის – „ერის სული და შემოქმედება“ – მიძღვნით წარწერაშიც გაიელვებდა:

– ძვირფასო არჩილ! ამ მკრთალ სიტყვას ვუძღვნი ორ საათს შენთან წაღვერში გატარებულს.

არა ზოგადად არჩილის პიროვნება თუ ნაწერები, არამედ სწორედ ის სტუმრობაა გამოცალკევებული, როგორც უშუალო შთამაგონებელი ამ ლიტერატურული თხზულებისა.

ესეი „სახალხო გაზეთის“ 1913 წლის 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდებოდა, არჩილის დაკრძალვის შემდგომ. მისი ხსოვნის მა-

რადისობაც უნდა მიენიშნებინა ამ წარწერას, და საერთოდაც, ის სულიერად დამუხტული ორი საათი ადვილად როგორ გაეტარებინა დავიწყებისათვის.

მაგრამ მხოლოდ არჩილს არ შეეხმიანებოდა.

არჩილის სიცოცხლეშივე მოასწრებდა ბარათებად ჩაფიქრებული ესეის „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაგედია" დაბეჭდვას იმავე გაზეთის 1912 წლის 30 დეკემბრისა და 1913 წლის 1 იანვრის ნომრებში და ორი ბარათიდან ერთი თუ ივანე გომართელს მიეძღვნებოდა, მეორე – არჩილ ჯორჯაძეს.

ილიასეული იმ პოლემიკური სტატიის დაწყვილება გამეორდებოდა, ოღონდ სტილური მანერა იქნებოდა სულ სხვა – ნაცვლად სარკაზმისა რომანტიკული.

ჭეშმარიტად საქართველოს ტრაგედიამ ილია ჭავჭავაძეში მოახა თავისი უკანასკნელი სიტყვაო, – გაზეთის ფურცლებიდანაც უზიარებდა მკითხველს და უპირველესად არჩილს იმ ფიქრს, რაც პირადად გამოეთქვა მასთან, რათა შეემოწმებინა თავისი შეხედულებანი და მტკიცედ დარწმუნებულიყო, რომ:

– საქართველო შეიცნობს თავისს ტრაგედიას უკანასკნელ სიღრმემდე და ხსნის ტანჯვას ხელოვნური გამოთქმით: ეს იყო გმირის პასუხი ბედისწერის მიმართ. მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ცას გამოეფინა მთელი გუნდი ვარსკვლავთა-ხელოვანთა: ნიკო ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სანდრო ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი. ყოველი მათგანი იტანჯებოდა ხალხის ტანჯვით, ყოველი მათგანი მოსთქვამდა და გამოსთქვამდა მშობელი ერის საშინელს ხვედრს. მაგრამ მათგან გამოირჩევა ილია ჭავჭავაძე როგორც მრავალმხროვანი შემოქმედებით, ისე თავის სიცოცხლისა ტრაგიზმით; იმ დროს, როცა ყოველი სხვა იშვოდა მგოსნად და რჩებოდა დიდ ხელოვანად (და ზოგიერთი უფრო მაღალ მგოსნადაც), ილია ჭავჭავაძე გამოვიდა როგორც მგოსანი-მოქმედი, როგორც ხელოვანი-გმირი...

ასე მოენახა საქართველოს ტრაგედიას ამ პიროვნებაში თავისი უკანასკნელი სიტყვა.

მაგრამ რომ არ არსებობს ტრაგედია გარეშე გამომსყიდველი მსხვერპლისა?

არ არსებობს და:

– სისხლით შეღებილ ხელში დედამ ქართლისამ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში პირველად იხილა თავისი სახე.

ასე იჭედებოდა ახალი ლეგენდით სულიერი ხმალი, სიტყვა წინასწარმეტყველური, სიმბოლო ეროვნული რენესანსისა.

ვინ იცის, შეიძლება გამოსყიდულ იქმნას სისხლი გმირი მგოსნისა, ასრულდესო – ეს იმედიანი სტრიქონი რომ დააბოლოვებდა ბარათებს, უპირველესად არჩილ ჯორჯაძეს შეჰყურებდა გონების თვალით გრიგოლ რობაქიძე, მას იგულისხმებდა ილიას მემკვიდრედ და მოზიარედ სისხლის გამოსყიდვისა, თუმც არჩილი პირადი წერილით თავის დიდ მადლიერებას რომ გამოთქვამდა ამ მოძღვნის გამო, მსჯელობას სხვაგან გადაიტანდა, ილიას პიროვნებისა და ღვაწლის გააზრების მსგავსებას აღნიშნავდა მეგობრისა და თავის ძიებებში:

– ვიგრძენ, რომ თითქმის ერთი და იგივე აზრი მუშაობდა თქვენსა და ჩემს გულში და ამ აზრმა სხვადასხვა ფორმით ერთი და იგივე გამოხატულება ჰპოვა.

და პირველ ყოვლისა წარმოსახვაში წაღვერის ის საუბარი ამოუტივტივდებოდა, რომელსაც გრიგოლ რობაქიძეც ასეთი ტკივილით მოიგონებდა სულ მალე, ვიდრე მემუარულ ჩანაწერში სახიერ სურათად აღადგენდა და საგულისხმო რეალიითაც შეავსებდა არჩილის ბიოგრაფიის წაღვერულ ქრონიკას, ერთიანად შთანთქმულს ილია ჭავჭავაძის მსოფლგანცდასა და ბედისწერაში.

* * *

– არჩილ, თქვენთვის ახლა მოსვენებაა საჭირო, – წამდაუწუმ და დაბეჯითებით ურჩევენ.

– ეს შრომა დავასრულო და მერე მოვისვენებ.

„მოსვენებას“ ყველა მეტაფორული შინაარსით იგებდა და არა ყოფითი მნიშვნელობით, და ავადაც შეჰკვნესდათ გული... მეტაფორულად, თორემ მისი მოსვენება სად თქმულიყო – წუთითაც... ჯერ წუთიც რა არის.

ვერაფრისდიდებით ვერ იგებდა, რატომ უთანაგრძნობდნენ, რატომ აწუხებდათ ასე ძალიან მისი ყოფა. და არისტოტე გაბიჩვაძესაც ისევე უმეორებდა, როგორც სხვებს:

– მე აგრერიგად ჩემს ბედს არ ვემდური და ვერც დავემდურები.

წევს გულაღმა და კარნახობს.

გაათავებს თუ არა კარნახს და მუშაობას შეწყვეტენ ხოლმე, სიცხე ერთბაშად აუვარდება უზომოდ მაღლა და მთლად ანთების ალში ეხვევა.

– მიუხედავად იმისა, რომ არჩილს ასეთ აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, მის შრომას ოდნავადაც არ დასჩენია კვალი მისი ავადმყოფობისა; როგორც იქნა, დაასრულა თავის შრომა არჩილმა და კიდევაც გაუგზავნეთ მიხეილ გედევანიშვილს.

გაგზავნით კი გაიგზავნებოდა „ძირითადი მოტივი“, მაგრამ – მიუხედავად თვითმხილველის მოწმობისა – მთლად დასრულებულიც არა ყოფილა.

გული ეთანაღრებოდა, წერილი საბოლოოდ მოთავებული რომ ვერ იყო, ჩალხის გაკვრა, შევსება-დაზუსტება კიდევ სჭირდებოდა და, ნაცვლად იმისა, საგულდაგულო რედაქციის შემდეგ მიეწოდებინა გამომცემლისათვის, ასე აჩქარებულიყო.

ვინ არჩილ ჯორჯაძე და ვინ ასეთი სულსწრაფობა?..

მითუმეტეს, ყოველი თხზულების დასრულებისთანავე ისეთი შეგრძნება უჩნდებოდა ხოლმე, ვინ იცის, ესაა ჩემი უკანასკნელი ნაშრომიო, და ეს განცდაც გავალებს ადამიანს, გულნაკლული არ იყო.

ცოტა უჩვეულოდ კი გამოიყურება ასეთი მოქმედება იმ პიროვნული ხასიათის მკვლევარისაგან, ვისაც – პოეტური აღმაფრენის მიუხედავად – არც პედანტიზმი ჰკლებია.

ეშურებოდა დაედასტურებინა გამომცემლისათვის, ნარკვევი არსებითად მოთავებულია და ბევრი აღარაფერი დამრჩენიაო?

პირობის შესრულება ერთ პატარა ჩაჯდომაზეღა ეკიდა და -

ვაითუ ეს „პატარა ჩაჯდომა“ გამიჭიანურდესო?

ხდება, როგორ არ ხდება – ხან აუხსნელ დაბრკოლებად ჩნდება საბოლოო წერტილის დასმა და ეს დაბრკოლება ფსიქოლოგიურად რომ გადაილახოს, გამომცემლისათვის შეპირებული თხზულების ნაადრევ მოწოდებას ამიტომაც გირჩევს გონებაც.

იქნებ ამჯერადაც ასეა?

მაგრამ არა –

თურმე ივანე ჯავახიშვილი ჩამოსულა პეტერბურგიდან და ამიტომაც ეშურება, რომ იმის გამგზავრებამდე განიხილოს სარედაქციო კომისიამ.

იოსებ გედევანიშვილთან 9 აგვისტოს მიწერილი ბარათი გვიმჟღავნებს ამ აჩქარების მიზეზს:

გუშინ გავგზავნე ჩემი ხელნაწერი ბატონ მიხეილის სახელზე, თუ ვანო ჯავახიშვილი დაესწრება კომისიის სხდომას და იმის თანდასწრებით წაიკითხავთ, ძალიან კარგი იქნება. წერილში ისტორი-

ული საკითხებიც არის აღძრული (ორი უკანასკნელი თავი) და სპეციალისტის აზრს ჩემთვის მნიშვნელობა ექნება. ამის თაობაზე ვწერ წერილს ვანოსაც ხოვლეში, მაგრამ არ ვიცი, იქ არის თუ არა ამჟამადო.

ჩემი წერილი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გაშალაშინებულიო, – გამოუტყდებოდა, – ტფილისში ჩამოსვლისთანავე კიდევ გადავიკითხავ. ახლაც არ მინდოდა ჯერ გამოგზავნა, მაგრამ ვანოს გულისათვის დავეშურე. ყოველ შემთხვევაში, წერილი იმგვარ მდგომარეობაშია, რომ მისი წაკითხვა შესაძლებელია, თუმც ზოგიერთი შესწორება კიდევ ესაჭიროებაო.

ველარც საბოლოო ჩასწორება-გაშალაშინება მოხერხდებოდა.

ველარც მეორე ტომს დაერთვოდა.

ის მეორე ტომი გადაიდებოდა, გადაიდებოდა, და 1922 წელს მიხეილ გედევანიშვილი ხელახლა რომ მოინდომებდა იმ განზრახვის დაგვირგვინებას, თვითონაც სიკვდილი მოუსწრებდა და დარჩებოდა ის ერთი ტომი მისი ხსოვნის ნიმუშადაც.

ეს ნარკვევი – სრულყოფილებით რომ ვერ გამოირჩევა – მხოლოდ არჩილ ჯორჯაძის არქივს არ შემორჩებოდა. 1917 წელს „სახალხო საქმე“ 29 აგვისტოს ნომერში ილიას ტრაგიკულად დაღუპვის ათი წლისთავის აღნიშვნას რომ მოინდომებდა, ამ ნარკვევიდან ამოიღებდა ერთ თავს – „აზროვნების ხასიათი“ – და გამოაქვეყნებდა.

ლიტერატურული ღირებულება არ აკლია ამ დაუმთავრებელ თხზულებას, მაგრამ სხვა მხრივ მაინც განუზომელია მისი მნიშვნელობა – მას უნდა ამოეხვია კომპოზიციური ქარგა – და კიდევ ფიქრში, სამწუხაროდ, მხოლოდ ფიქრში აგებულ ქრონიკას ილიას ბიოგრაფიისა – იმ პირველი შეხვედრისა საზოგადოებრივ სარბიელზე და მწვავე პოლემიკისა, ილია მკაცრ განაჩენს რომ გამოუტანდა და არჩილ ჯორჯაძესაც ნოე ჟორდანიასა და მის ამქარს მიათვლიდა. თუნდ ერთმანეთშიც ვერ მორიგებულიყვნენ ეს ორნი, ვერც ერთს მიიჩნევდა ეროვნული იდეალების აღმსარებლად და ვერც მეორეს.

როგორც ჟორდანიას დაშოშმინებას არ დაადგა საშველი, ესეც ადვილად ვერ დაცხრება და, ვინ იცის, რამდენ ხანს გაგვიგრძელდება შეხლა-შემოხლაო, – რაღაც ამგვარს უსათუოდ გაიფიქრებდა.

არჩილს სხვა განზომილებაში გადაეტანა ილიასთან ახალი შეხვედრა.

იქ, სივრცეებში ამჯობინებინა.

და იქ უკვე მორკინლად აღარ გამოჩნდებოდა, მის სულიერ მემკვიდრეობაზე უფრო დასდებდა თავს და არაერთხელ მოუწევდა ილია ჭავჭავაძის სახელის ხსენება ქართველი ინტელიგენციის ცხოვრების მატიანეში, მოუწევდა მესამედასელთა მიერ აგორებული დემაგოგიური ტალღების შეოკებაც, ლაფის ნაწუწების ჩამორეცხვაც მისი პორტრეტიდან და მთელი ამ გარჯის დაგვირგვინებაც მისი პუბლიცისტიკის მთავარი მოტივების წარმოჩენა-გააზრებით.

ეგაა, ილიას ცხოვრების ქრონიკა...

ესეც ჩვენი ბედიო, – გულს აწყდებოდა ივანე ჯავახიშვილი.

ვისაც ყველაზე კარგად შეეძლოო...

არისტოტე გაბიჩვაძე „ძირითადი მოტივის“ თაობაზე რას ირწმუნებოდა?

მის შრომას ოდნავადაც არ დასჩენია კვალი მისი ავადმყოფობისაო...

თუკი ვერ დაასრულა, დაჩნევია და ეგაა.

მაგრამ არა – მთავარს ვერ დააკლო ვერაფერი სნეულებამ. ილიას პუბლიცისტიკის ძირითადი მოტივი საკმაოდ რელიეფურად გამოიკვეთა და ექსპრესიულადაც, და ავადმყოფობის წინაშე შეუდრეკლობადაც ეს მოჩანს მემუარისტის თვალში. და ეამაყება, რარიგ ეამაყება, თვითონაც რომ დაუდევს წილი ამ თვალსაჩინო თხზულების შექმნაში.

მე აგრერიგად ჩემს ბედს არ ვემდური და ვერც დავემდურებიო, – არწმუნებდა არჩილ ჯორჯაძე.

* * *

11 ივნისს იოსებ გედევანიშვილი ექიმის დავალებითაც მიმართავდა: თქვენი ჯანმრთელობისათვის მეტად საჭიროა დიდხანს დარჩეთ წაღვერშიო.

საწყენად ნუ მიიღებთო, – ამასაც ჩაურთავს, რადგანაც „დიდხანს დარჩენა“ დამატებით ხარჯებს მოითხოვს და ფულის ყოველი შეხსენება არჩილის თავმოყვარეობაზე ძალიან მოქმედებს.

იოსები, რაც შეუძლია, ხელის გამართვას ცდილობს: მკათათვის დამდეგს ჯერჯერობით ავანსად მოგართმევთ 50 მანეთს და მარიამობის თვეში კიდევ ხუთ თუმანსო.

გაზეთის მეშვეობით ტფილისურ ამბებს თვალს რომ ადევნებს არჩილი, ბარათის ავტორს არც ეეჭვება, მაგრამ იმ უბედურებით გამოწვეული გულისტკივილი მაინც უნდა აღნიშნოს:

– ჩამოგვშორდა კიდევ ერთი დიდებული მუშაკი და მოღვაწე – იაკობ გოგებაშვილი, ჩვენი პედაგოგიკის მამამთავარი. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო...

„სახალხო გაზეთის“ საქმე ჯერ ვერ აეწყო ისე, როგორც ესწრაფოდნენ, არსებობას ინარჩუნებს და ეგაა, მაგრამ იოსები თავსაც ინუგეშებს და არჩილის გამხნევებასაც ლამობს: მგონია მალე ღონეს ვიღონებთო.

* * *

ეს ამინდიც რაღა ჭირად გადაეკიდა.

წაღვერის ჰავაო – დიდებულიო, სანეტაროო, ასეთიო, ისეთიო.

განა რაიმეს აჭარბებდნენ.

მაგრამ იმ ზაფხულს წაღვერში თითქმის განუწყვეტლივ ცხელი ქარი ჰქროდა და საშინელი პაპანაქება იდგა.

და თუ კარჩაკეტილ ოთახში არ იწვებოდა არჩილი და გარეთ გამოუცდებოდა ფეხი ქარში, შერყეული ჯანი სულ უუარესდებოდა და უუარესდებოდა.

წაღვერში სიკეთე არ დამადგებაო, – გადაწყვეტდა, და თუმც განზრახული ჰქონდა სექტემბრის მიწურულამდე აქედან ფეხი არ გაედგა, 17 აგვისტოს ტფილისისაკენ დაადგებოდა გზას.

ბორჯომამდე ეტლით იმგზავრებდა.

იქაურებს გული უგრძნობდათ, ვეღარასოდეს ვნახავთო. ეთხოვებოდნენ და... თვალი ისევ მისკენ რჩებოდათ.

არისტოტე გაბიჩვაძეს თავის თხზულებათა სრულ კრებულს დაუტოვებდა სახსოვრად, ძვირფას ყდაში ჩასმულს, და ღიმილით ამასაც დასძენდა: მოხუცებულობის ჟამს ამ წიგნს რომ გადაშლი, მომიგონებო.

თავი ოცდამეცხრე

„ისე გამიტაცა ამ ბიოგრაფიამ“

შემოდგომაზე ნინო ყიფიანი სოფლიდან რომ ჩამოვიდოდა, მაშინვე არჩილის ამბავს იკითხავდა.

ეს სხვა ნინო ყიფიანია – არა ჩვენთვის უკვე ნაცნობი შვილიშვილი მონამისა, არამედ რძალი, საკუთარ გვარს – ტატიშვილი– მეუღლისას რომ ამჯობინებდა და ასეც დამკვიდრდებოდა სამწერლო ასპარეზზე.

ქართველ ქალთა მოღვაწეობის მიმოხილვით გამოჩნდებოდა და პუბლიცისტურ სტატიებს მონაცვლეობით ხან მოთხრობებს მოაყოლებდა, ხან საყმაწვილო ნოველებს, ხანაც თარგმანებს ფრანგულიდან – ბავშვებისათვის. ქართულ მემუარისტიკასაც დაუჩნევდა კვალს და ბელეტრისტული ხელოვნებით გამოჰკვეთდა მწერალთა თუ მოღვაწეთა პორტრეტებს.

და მაინც – მისი სახელი უპირველესად რაფაელო ჯიოვანოლის რომანის ქართული ორეულის შექმნას უკავშირდება – „სპარტაკი“. ეს ისტორიული პერსონაჟი და მისი აჯანყება რომის ხელისუფლების წინააღმდეგ მეტად პოპულარული გახდებოდა ახალი ეპოქის რევოლუციონერთა წრეებში და თავიანთ შორეულ წინამორბედადაც აღიარებდნენ – გმირად, სიმბოლოდ, ნიშანსვეტად, თვით რომის ძლევამოსილი სახელმწიფო რომ ჩაეგდო საგონებელში. მაგრამ ეს მეამბოხე ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მოთავეთა თუ მონაწილეთათვისაც ახლობელი შეიქნებოდა – ბოლოსდაბოლოს, იმპერიას დაპირისპირებოდა, იმ სამხედრო ექსპანსიას, რომი რასაც მიელტვოდა. და ყველა, ვინც მესამე რომსა (მეორე რომობას ბიზანტია დაირქმევდა) და მის პოლიტიკას ჩადგომოდა კრიჭაში, სპარტაკის სახელსაც გამოიხმობდა დავიწყების ბურუსიდან, მის თავგანწირულ ბრძოლაში თავიანთ ბედსაც განჭვრეტდნენ და იმ იმედსაც ჩაებღაუჭებოდნენ, იქნებ ჩვენც მასავით სავალალოდ არ დაგვიმთავრდეს ეს სულისკვეთება და მეამბოხეთა მაშინდელი მარცხი ამჟამინდელი ტრიუმფით შეიცვალოსო.

ასეა თუ ისე, დათმობას არ აპირებდნენ.

და „სპარტაკის“ გამოცემა ამ განწყობილების გაღრმავებასაც დაისახავდა მიზნად მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე.

რევოლუციონერებიც თავიანთ საკბილოს აღმოაჩენდნენ რომანში?

უამისობაც არ იქნებოდა, ისე ბრუნავდა წინააღმდეგობის მოძრაობა თავისი ორი ნაკადით, ხან ერთმანეთსაც რომ შეერეოდა.

ნინო ყიფიანი ეროვნულ მოჯანყეთა შორის გულისხმობდა თავს. მთლად „ტეზრელივით“ ვერა, თვით არჩილ ჯორჯაძესა და გიორგი დეკანოზიშვილსაც რომ ამუნათებდა, რატომ ფრთხილობთ, ვის ერიდებით, რომ ერიდებით, რას აგიხირებიათ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ბარემ მოვითხოვოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეგაა. მაგრამ თავის ტვირთს ისიც ერთგულად მიეზიდებოდა და დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების ქრონიკის შექმნასაც მისი მონდომება გადაწყვეტდა.

საბაბი ის აღმოჩნდებოდა, ტფილისში ჩამოსული პირველად არჩილ ჯორჯაძის ამბავს რომ იკითხავდა.

აგარაკიდან დაბრუნდაო, – ამცნობდნენ, – მომჯობინებულა, მაგრამ კარგად მაინც ვერ არის, სიცხეს აძლევსო.

რაღა მომჯობინებაა!..

ეს მაშინვე მისკენ გაეშურებოდა, სასახლის ქუჩაზე, სასტუმრო „პალე როიალის“ სულ ზემო სართულზე და ჯერ მოსამსახურეს შეაგზავნიდა, შეიძლება თუ არა შენი მონახულებაო.

ჩაცმული დახვდებოდა, ოღონდ ლოგინზე წამოწოლილი. წამოდგომას მოინდომებდა, მაგრამ სტუმარი ხელს მიატანდა და შეემუდარებოდა, არ შეწუხდეო. ის მოიბოდიშებდა და მუსაიფიც გაიბმოდა.

სტუმარს თითქოს მზერა აუჭრელდაო, დიდი ხნის შემდეგ ასეთ გამოცვლილს რომ იხილავდა – ძალიან გამხდარს, მხოლოდ თვალები, ღრმა შავი თვალები ენთებოდა მომეტებული ცეცხლით.

– ვერა ვარ კარგად, სიცხეს მაძლევს, – სიტყვებს ღიმილს დაატანდა, – მაგრამ არა უშავს რა, ერთი ისიც დავსწერო, რის დაწერაც გულში მაქვს ამჟამად და მერე რაც იქნება – იყოს.

მაინც რას გულისხმობდა, რისი მოსწრება ენატრებოდა ასე ძალიან, რომ მერე თავი აღარ ენანებოდა?

სტუმარი ისეთი ცნობისწადილით მიაჩერდებოდა, შეკითხვას კი ვერ შებედავდა, მაგრამ რაღა შეკითხვა უნდოდა.

არ დაუმალავდა:

– ილიას ბიოგრაფია მინდა დავსწერო.

სტუმარს შეეხარბებოდა, ძალიან შეეხარბებოდა ილიასი: ნეტავი იმას, რომ მისი ბიოგრაფია დაიწერება და მერე ისიც თქვენგანო.

ეგონა, არაფერი შემტყობია, უნებურად ჩემი მამამთილის სახელი რომ გაკრთა გონებაში და მისი დაუწერელი ბიოგრაფია დარდად დამაწვაო, მაგრამ მასპინძელს რა გამოეპარებოდა:

– ჰო, მართლა, ვკითხულობდი გაზეთებში დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის შესახებ. მგონია, დაწერას აპირებენ.

ეს მტკიცედ იუარებდა და შეაპარებდა: აი, ბატონო არჩილ, თქვენ რომ ოდესმე მოგენდომებინათო...

– მე? – ის გაფაციცდებოდა და ლოგინიდანაც წამოიწევდა.

ეტყობა ისედაც უტრიალებდა გუნებაში, ხიბლავდა მისი მღელვარე ბიოგრაფია და ტრაგიკულ აღსასრულს სულაც წმინდანთა დასში შეეყვანა. პიროვნებაც, ეპოქაც დიდ ხელოვანს საჭიროებდა ხორცშესასხმელად და არჩილს გული იმაზეც წყდებოდა, რომ შეჩერებულიყო მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში, წმინდანთა ცხოვრებებს პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიული ქრონიკა შემატებოდა გიორგი მეთორმეტეზე და... იქვეც გაყინულიყო ახალი დროის ეს წამოწყება თუ ძველის თავისებური გაგრძელება.

დიდი სახელები ჩნდებოდნენ თავისუფლებადაკარგული ერის ცხოვრებაში, ერთანეთზე თავგანწირულნი, ერთმანეთზე ტრაგიკულნი, ერთმანეთზე უფრო მღელვარე ცხოვრებაგამოვლილნი და არჩილი ერთხანს სწორედ დიმიტრი ყიფიანზე რომ ჩაითქვამდა მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების შექმნას და გონების თვალს გადაავალებდა, სად უნდა მოძიებულიყო მასალები მის შესახებ, ერთბაშად შეშფოთდებოდა, ბევრ ალაგას იქნება გაფანტულიო.

სნეულება არ დაანებებდა ყველაფრის შემოვლასა და მოჩხრეკას და სტუმარს ასეც ამცნობდა: იმათ ძებნა არ შემიძლია, ღონე არ შემწევსო.

ყასიდი ლაპარაკი ისედაც არა სჩვეოდა და ახლა ნინო ყიფიანი მისი ხმის კილოშიც და თვალთა მზერაშიც დაბეჯითებით რომ იგრძნობდა, მართლა უფიქრია, გადაუწყვეტია, მაგრამ ამ დაბრკოლებას შეუჩერებიაო – ვისთვის მცირეს, სნეულისათვის კი გადაულახავს – თავის სამსახურს შესთავაზებდა: თქვენ ოღონდ დაწერა

შეძელით, მოინდომეთ და დიმიტრის სახლშიც ბევრია მასალა, მისი ხელნაწერები, ყველას აქ მოგართმევთო.

– მაშ კარგი, – მასპინძელი მაშინვე დაყაბულდებოდა, – ილიას ბიოგრაფიას გადავსდებ. იმისი მასალა ბევრი მაქვს და მოვკიდებ ეხლა ხელს დიმიტრის ბიოგრაფიას. მხოლოდ ამას გთხოვთ, რაც შეიძლება მალე, მალე მომაწოდეთ სახლიდან მისი ხელთნაწერები.

ისე აენთებოდა, აშკარად შეეტყობოდა ლაპარაკში, თუ როგორ აფასებდა მის პიროვნებას, მოქალაქეობასა და ღვაწლს.

საჩქაროდ იმიტომ ითხოვს, რომ ყელზე აწევს ბიოგრაფიული თხზულების შექმნა, ეს სიახლე იქნება მის შემოქმედებით ცხოვრებაში და აღელვებს და აფორიაქებს მისი ხორცშესხმა.

აგერ – დათანხმდა, ჯერ დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფია იყოსო.

თუ დაუგვიანეს მასალები, მთელი არსებით გადაერთვება ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკაზე. ამ ჟანრს კი ველარ აცდება. ერთ კვირაში ჩამოუტანენ სოფლიდან იმ ფურცლებს? ესეც არ გადავა პირობას. სიტყვა ნათქვამია – არჩილ ჯორჯაძის სიტყვა.

ჩამოუტანდნენ.

და ერთი კვირის თავზე კიდევ ერთხელ ესტუმრებოდა ნინო ყიფიანი. პატარა ოთახი ქაღალდებით მოფენილიყო და ისედაც შეხუთულ ჰაერს ძველი ქაღალდების შმორის სუნიც დამატებოდა. ამას გული დაეთანაღრებოდა, მასპინძელი კი, ჰაერის უმნიშვნელო ცვლილებაზეც მიყურადებული, ახლა სრულიად ველარაფერს გრძნობდა, გაფაციცებით შლიდა ფურცლებს და კითხულობდა.

მასალა კიდევ არაერთი იყო მოსაძებნი და მათ გზაზეც საოჯახო არქივი დააყენებდა. გამოჩნდებოდა თუ არა ახალი დოკუმენტების მონახვის საშუალება ამა თუ იმ დაწესებულებაში, ბარათით ამცნობდა ნინოს და მასაც საჩქაროდ მოჰქონდა ეს მასალებიც.

ერთი თვე ათასგვარი დოკუმენტის შესწავლა-გააზრებას მოუნდებოდა.

ორი თვე – ბიოგრაფიული ქრონიკის შექმნას.

ნინო ყიფიანი თან ასე აგულიანებდა, თან შეწუხებულიც გახლდათ, როგორ უდიერად ექცევა თავსო. ასეთი უჯიათი გარჯა მართლაც მხოლოდ მას შეიძლება აეწონა და დაეფასებინა, ვისაც გადაუთვალიერებია ექვსი ფუთის წონის მასალა.

უკვირდა, ერთი თვალის გადავლებით ასე სწრაფად როგორ ჩახვდება ხოლმე წაკითხულსო.

ეპოქას იცნობდა ზედმიწევნით – საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ ფონს, იცნობდა ისტორიულ პერსონაჟებს, იცნობდა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების სულისკვეთებასა და ზოგად ქარგას, გარეგნულ იერსა თუ შინაგან ლოგიკას და ამიტომაც აღარ უძნელდებოდა აუარებელ ფურცლებში იოლად გარკვევა, მითუმეტეს, ცოდნას ალღოც ემატებოდა და ერთი შეტევით ამიტომაც შეიქმნებოდა ქართული ბიოგრაფიული რომანისტიკის ეს თვალსაჩინო ნიმუში.

და კიდევ – სნეულება მიერეკებოდა, ის ყველაზე ძალიან ააჩქარებდა, მოუთავებელი არ დამრჩესო.

ნინო ყიფიანი ორ ცეცხლშუა იწვოდა.

ვერც გადადებას იყაბულებდა, ვაითუ სულიერი წვა განელდეს და ძალიან გაჭიანურდეს, თუ სულაც არ გაუნელდა მონდომებაო.

თან გულს აწყდებოდა – გამეტებული აქვს თავი და ეგაო.

კი მაგრამ, პირადი ექიმი ხომ ჰყავდა, იმჟამად შალვა მიქელაძე, ვინც თავზე ადგა გამუდმებით, არც წამალს აკლებდა და არც რჩევას და, როდესაც არჩილი ძლიერ ცუდად შეიქნებოდა ხოლმე, მის წინანდელ ექიმსაც მიიწვევდა სათათბიროდ – მარტო საკუთარ თავს არც ენდობოდა.

და განა ექიმი დაანებებდა ასე უჯიათად მოქცეოდა საკუთარ ჯანმრთელობას?

რას გახდებოდა, თორემ...

რამდენიმე დღეს აღარ მიაკითხავდა, პაციენტი საკმაოდ კარგად იგრძნობდა თავს და აღარ ღირდა თავზე დგომა, რამდენიმე დღის შემდეგ შეუვლიდა და...

ეს უკვე ის დღეებია, როდესაც ქვიშხეთიდან ის ძველი წიგნები და ხელნაწერები ჩამოუზიდეს და მთელი ოთახი იმით გამოუტენია.

არჩილი ჩვეულებისამებრ გულაღმა წევს და რაღაც ხელნაწერს კითხულობს.

ოთახს დაძველებული ქაღალდის სუნი მოსდებია.

ექიმს გულს შემოეყრებოდა:

– რათ შემოგიტანინებია ეს მტვერიანი და ძველი წიგნები და ხელნაწერები და რათ აფუჭებ ოთახის ჰაერსა?

საყვედურს იოლად ვერა ჰკადრებდა, მაგრამ ახლა თავი ვერ შეეკავებინა – წყალში ეყრებოდა მთელი თავისი მონდომება და გარჯა.

არჩილი დაირცხვენდა, ეტყობა რაღაც ვერ მომივიდა ისეო და გაიოლებას ამ სიტყვებით შეეცდებოდა:

– არა უშავს რა.

და უეცრად აღფრთოვანდებოდა:

– რომ იცოდე, რა ძვირფასი მასალაა, რა ძვირფასი მასალა!

დიმიტრი ყიფიანის არქივი ყოფილიყო.

მასპინძელი შეეცდებოდა აეხსნა, რომ დიმიტრის მოღვაწეობის გააზრება მისთვის ორგვარად იყო საგულისხმო, მაგრამ შალვა მიქელაძეს ახსნა აღარც სჭირდებოდა, ისე ღრმად ჩაეხედა არჩილის ინტერესებსა და შემოქმედებით ლაბორატორიაში, და მაშინვე მიუხვდებოდა, ერთი მხრივ, თავისთავად აინტერესებს ისეთი რთული და შესამჩნევი პიროვნების ბუნება და დახასიათება, როგორიც ეს წამებული მოღვაწეაო, და მეორე მხრივ, ამ არქივის შესწავლით საშუალება ეძლევა დაამუშავოს და გაიაზროს ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი თავი და განზრახული მატიანე ქართული ინტელიგენციისა წინ წასწიოსო.

რასაც ექიმი ენუკვა და ემუდარა:

წიგნებსა და ქაღალდებს სხვაგან გადავიტან და ნაწილ-ნაწილად მოგიტანო.

არაფრისდიდებით არ დათანხმდებოდა არჩილი:

– ყველაფერი მჭირია, ხშირად ხან ერთში უნდა ჩავიხედო და ხან მეორეში.

ეს არ არის მონოგრაფიის შექმნის რაღაც თავისებური სტილი. დიდტანიანი სამეცნიერო თხზულებანი მეტწილად ასე იწერება. ეგაა, ზოგ მკვლევარს მთელი ოთახი შეიძლება ერჩივნოს ხელნაწერებისა და დოკუმენტების მოსაფენად, ზოგი უფრო ნაკლებ ადგილსაც კმარობს. არჩილ ჯორჯაძე ყველაფრის თვალსაჩინოდ გადაშლას ამჯობინებდა და მათ მიფარებას როგორ შეეგუებოდა, ნაწილ-ნაწილ მოტანა და მოუტანლობა მისთვის არც არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

მუშაობა დილაობით ერჩივნა.

ამ დროს არ უნდა შეგეწუხებინა, თორემ მერე მიმსვლელები სიამოვნებდა კიდეც და არც აღტაცების გამოხატვა ბეზრდებოდა ამ არქივის თაობაზე.

განსაკუთრებით გაკვირვებული რითი ყოფილა?

დიმიტრი ყიფიანი უმნიშვნელო მოვლენასაც რომ არ გამოტოვებდა, თავის დღიურში თუ არ ჩართავდა, და უმნიშვნელო საბუთსაც არ დაკარგავდა.

და მისი ბიოგრაფოსი ყველას უმეორებდა:

ნამდვილი ევროპელი ყოფილა, ნამდვილი ევროპელიო.

რეჟიმის დაცვას კიდევ რა უშავდა, მაგრამ რაც უფრო წინ მიიწევდა, ჟინიც უფრო ემატებოდა და ხან რომ გამოერკვეოდა, აღმოაჩენდა, რომ შუაღამისას წამომხტარა და, ნაცვლად ქვეშაგებისა, ქაღალდებში ჩაფლულა.

– იცით, ისე გამიტაცა ამ ბიოგრაფიამ, რომ ღამით წამოვიჭრები ხოლმე და გათენებამდინა ვწერ.

ნინოს გამოუტყდებოდა, ექიმს – არა, არასდიდებით.

თავს საკმაოდ მძიმედ გრძნობდა, წაღვერში გატარებულ ზაფხულს მოკეთებით ვერ მოეკეთებინა, ტფილისს ისევ დასუსტებული დაბრუნებოდა. ჩამოსვლის დღეს ქუჩაში გულიც რომ წასვლოდა? ძლივს მოებრუნებინათ... შემოდგომამაც ვერაფერი უშველა.

ექიმი, ცხადია, ზუსტად აღადგენს არჩილ ჯორჯაძის გაწამებულ ყოფას:

ფილტვებში უკვე ერთი საღი ადგილიც აღარ მოეძებნებოდა, ნაწლავებიც დაზიანებოდა ჭლექით, ყელშიც გასჩენოდა ჭლექი და ყლაპვის დროს ტკივილებს გრძნობდა.

შალვა მიქელაძე ყელის ექიმს რომ დაეკითხებოდა, იმან: ყელში მხოლოდ მეოთხედი აქვს დარჩენილი მრთელიო.

ყოველ საღამოს სიცხეს რომ აძლევდა, ამას უკვე შესჩვეოდა.

საოცრება იყო სწორედ, რომ შეძლო სიცხით გავარვარებულმა ადამიანმა ამხელა მასალის გადაკითხვა და რომ მთლად გადაიკითხ-გადაათვალიერა, ეს აშკარა იყო დამთავრებული ბიოგრაფიის კითხვის დროსო, – ნინო ყიფიანი თან გაკვირვებას გამოთქვამდა და თან საკუთარ თავსაც უწყრებოდა: გასაოცებელიც რა იყო, როცა ამისათვის თავს არა ზოგავდაო.

სიცხის ალმურს ხედავდა, მაგრამ ისიც ისე ნიშანდობლივ რომ სცოდნოდა, რაც ექიმს მოეხსენებოდა?!.

წუხდა, ეს უჯიათი შრომა და ხან ეს გულაღმა წერაც ძვირი დაუჯდებაო, და ჰოი რას ნანობდა, რას ვერჩოდი, რატომ მივაჩეჩე ხელში ეს არქივი და კიდეც გადავიყოლეო.

სინანულში კიდევ კარგი ის ფიქრიც შემოერეოდა, ამ ბიოგრაფიას რომ არ ჩაჯდომოდა, აკი ილიას ცხოვრების ქრონიკას უტრიალებდა, მე არ გამოვუჩნდებოდი საბედისწეროდ და ის ბიოგრაფიული ქმნილება მაინც შეისრუტავდა მთელი არსებითო.

ფსიქოლოგიისათვის ნაცნობი თემაა – ადამიანი ისეა შეპყრობილი რაღაც იდეით, ვიდრე არ აღასრულებდეს, ყოველგვარ

ჯაფას უძლებს მისი სხეული, ძალ-ღონის ყოველი ნამცეცი ერთად იკვრის და ამ მიზანს მიელტვის. და მანამდე ინარჩუნებს ადამიანი სულიერ სიმხნევეს, ვიდრე განზრახვას მოათავებდეს – ერთი თვე სჭირდება? ერთ თვეს წააჭარბებს საკუთარ თავს. ერთი წელი? ერთ წელიწადს. რამდენიმე წელი? იმ რამდენიმეს. მეორე დღესვე კი, რაც მიზანი აღსრულებულია, ერთბაშად მოირღვევა და გიკვირს – ასე როგორ ჰქონდა გათვლილი, რომ ერთი დღეც არ დაკლებია, თორემ დაუმთავრებელი საქმე შერჩებოდა ხელთო.

არა, ადამიანი ამას ვერ გათვლის და თავის მტვრევასაც არ მოჰყვება – ერთი დღით დავასწრო სულთამხუთავსო, სნეულება იქნება თუ წუთისოფლიდან გასვლა. მისთვისვე აუხსნელი მოტივი წარმართავს ამ ჭაპანწყვეტას და იმედითაც ის აღავსებს, რაღაც იდუმალი ხმა – დაუმთავრებელი არ დაგრჩებაო. ძალიან კეთილმოწყალეც ვერ არის ის იდუმალი ნოტა, ყველა ჩანაფიქრი რომ მოგათავებინოს. რასაც დაგითმობს – იკმარე.

რამდენი რამ არ დაეთმო არჩილ ჯორჯაძისთვისაც.

სხვა რომ არაფერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვისაც არ შეავლებინებდა თვალს.

არც სტატიების იმ ციკლს დაანებებდა, თუ როგორ უნდა შეგვენარჩუნებინა თავისუფლება.

არც პოლიტიკურ ბრძოლას საამისოდ, რათა სოციალ-დემოკრატებისათვის არ გადაგვეყოლებინა სიცოცხლის ეს ბედნიერი ჟამი – საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

მისადგომებამდეც ვაივაგლახით მიატანინებდა სულს.

ილიას ცხოვრების ქრონიკას ოცნებაში შეატოვებდა.

მაგრამ ამ ქმნილებას მაინც არ გაუწყვეტდა უადგილოდ – დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიულ ქარგას.

მოთავებამდე შეუნარჩუნებდა ჟინსაც და წერის უნარსაც.

ფსიქოლოგიური დაკვირვება ადვილად გამოარკვევდა, თუ რატომ არ დაკლებოდა თუნდ ის ერთი დღე.

შალვა მიქელაძემ:

– დასწერა კიდეც და ბეჭდვაც დაიწყო, მაგრამ აქამდის თუ მისი ნება და ენერგია ძალას ატანდა მის დაავადებულ ორგანიზმს, ეხლა კი სნეულებამ სძლია და არჩილი ძლიერ ცუდად შეიქნა. ამის შემდეგ არჩილი უკვე მომაკვდავი იყო, მისი დღეები დათვლილი იყო.

ნინო ყიფიანმა:

– გაათავა წერა და კიდეც მოსწყდა. სიცხემ უფრო მოუმატა.

ცხადია, ის, რაც უკვე ცნობილია ექიმისათვის, ქალისათვის დაფარულია – მისი დღეები დათვლილი იყო.

არჩილი კმაყოფილებას ვერ მალავდა, დიმიტრის შინაურები ასე რომ ემადლიერებოდნენ.

– შიში მქონდა, – მისწერა ნინოს, – ვაითუ მახლობლებმა არ შეიწყნარონ ჩემ მიერ დასახული „დიმიტრი", წყენა არავის მინდოდა და არც სინამდვილისათვის უნდა მეღალატნა და არც ვუღალატე, მგონი, და რაკი ეს მომიწონეთ, ძლიერ მოხარული ვარ.

ჭირისუფალი ყოველთვის უფრო მძაფრად აღიქვამს თვითეულ წვრილმანსაც – ნებით თუ უნებურად ზადად არ დაემჩნეს ბიოგრაფიასო. ის კიდევ ცალკე, უშუალო შთამომავლებს თავისი ხატი რომ შეუქმნიათ და ამ ხატისაგან გადახვევა – თუნდ ოდნავი და, კაცმა რომ თქვას, არც არაფრით საზიანო – მკრეხელობად აღიქმება მათ თვალში. მონუმენტივით შეჰყურებენ საგვარეულოს ამ რჩეულს და მონუმენტი კი სწორხაზობრივ გააზრებას უფრო გულისხმობს. მაგრამ რომ არ არის თუნდ რჩეულთა ცხოვრება სწორხაზობრივი?.. ჭირისუფალს მაინც არავინ ამტყუნებს, თუ გადახვევა მათი წარმოდგენისაგან გაანაწყენებთ, და არჩილ ჯორჯაძეც ამიტომ შიშობდა, ვაითუ უნებურად გული ვატკინოო. მაგრამ რეალობა მხოლოდ ისე უნდა გამოხატულიყო, როგორც იყო სინამდვილეში, და სწორედ ამ სიწრფელესა და სიმართლისმოყვარეობას დაუმადლებდნენ.

დაემთხვა მის მიერ წარმოსახული დიმიტრი ყიფიანის ხატი ოჯახურ, საგვარეულო მოდელს?

თუ ეს ახალი ხატი კიდევ უფრო უკეთესი მოეჩვენათ და უყოყმანოდ აღიარეს?

ქებით კი აქებდნენ და ბიოგრაფოსსაც გულს მოეფონებოდა.

თავი ოცდამეათე

აჩრდილები

თითქოს პლუტარქეს პარალელური ბიოგრაფიების ფრაგმენტიაო.

იმ სიმაღლეზე აზიდავდა არჩილ ჯორჯაძე ბიოგრაფიული რომანის ფინალურ მონაკვეთს.

აზიდავდა ზუსტი ისტორიულ-ლიტერატურული ფორმულებითაც და მძაფრი შინაგანი ექსპრესიითაც.

შემთხვევითობად არ მიიჩნევდა, ეს ორი – სხვადასხვა გზით მოსიარულე – მოღვაწე ერთ შესაფარში მეზობლად რომ დაბინავებულიყო: დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

ღრმა კანონზომიერებას განესაზღვრა, რომ ქართველ ერს ენება ასე.

მაინც რა ღრმა აზრსა და სიმბოლიკას გულისხმობდა ასეთი გადაწყვეტილება?

რაკიღა სხვადასხვა გზით ვიდოდნენ, საქართველოს გენიის სხვადასხვა სახით გამომსახველნიც იყვნენ, ცხადია.

მითუფრო აუცილებელი გახლდათ მარჯვე შედარება-შეპირისპირება მათი გზებისა, სწორედ პლუტარქეული ხელოვნებით, რაც არჩილ ჯორჯაძესაც მოსდევდა.

ილია – თითქოს ჭმუნვისა და ფიქრის სიმბოლოა.

დიმიტრი – სიმბოლო ნებისა და მოქმედების.

ილია – პოლიტიკური აზროვნების მხრივ ახალი დროის კაცი, თუმც ძველი დროისა და ნააზრევის კვალი მის გულში წაშლილი არ ყოფილა.

დიმიტრი – ამ მხრივ სავსებით ძველი ეპოქის კაცი. სამაგიეროდ, მასში ამ ეპოქის ძლიერი ნებისყოფა ჩანერგილიყო, რომელიც ამოძრავებდა მის მოღვაწეობას, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანაში.

ილია – თუმც არსებითად ოპტიმისტი, რეფლექსიით შებოჭილიყო და მის მოქმედებას მთლიანობა და პირდაპირობა აკლდა.

დიმიტრი – მთელი, მაგარი და მთლიანი, როგორც ბუნების წიაღში ნაპოვნი ტინი და მის ყოველ გადაწყვეტილებას შეურყეველობის სიმაგრე ჰქონდა.

კიდევ შეიძლებოდა გაგრძელება, მართლა პლუტარქული სტილის განმეორება რომ მოენდომებინა. ძალაუნებურად გამოდიოდა ასე და გული გწყდება, ამ მიმართულებითაც რომ არ დასცალდა ძიებანი, თორემ XIX საუკუნის ქართული ინტელიგენციის სრული და მართალი სურათის აღდგენას უსათუოდ დამშვენდებოდა ფსიქოლოგიურ პორტრეტთა ამგვარი შეპირისპირებანიც.

ჭეშმარიტება და სიმართლე მწუხარებასა და ტანჯვაში იშვებიანო, – მოარულ ფრაზას რომ გაიმეორებდა, ქართველობასა და მის პირობებში მყოფ ერებს მიუსადაგებდა: მწუხარებამ შეგვძინა ახალი ძალა, ახალი შემეცნება, ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მწუხარებამ ჭეშმარიტებისა და სიმართლის გრძნობა გააკაჟეს ჩვენს გულში და ეს ხომ ისეთი სიმდიდრეა, ისეთი ბედნიერება, რომ აღარა გვეფიქრება-რაო.

ეს მარტო ჩვენ კი არ შეგვეგნო, მტრებსაც გაეცნობიერებინათ ჩვენი ამ შეგნების გზაზე დადგომა და დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებისას ათასგვარი დაბრკოლება ამიტომაც შეიქმნებოდა.

მთავრობა ძალიან შეფიქრიანდებოდა, დაკრძალვა ეროვნულ-პოლიტიკურ დემონსტრაციად არ გადაქცეულიყო, და ამიტომაც:

სასახლის წინ კუბოს გატარება არ შეიძლებაო.

სიტყვით გამოსვლა აკრძალულიაო.

ეკლესიის გალავანში ყველას არ შეესვლებაო...

არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ ბიოგრაფიულ რომანს არა ქმნის, პოლიტიკურ პამფლეტადაც განუზრახავს თავისი ეს მატიანეც და ამიტომაც ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ ეროვნულ-პოლიტიკურ აქციას, რომელმაც – მისი რწმენით – ერთი საფეხურით აამაღლა პოლიტიკური განწყობილება.

აქეთ მოისწრაფის ყველაფერი – მძაფრი პოლიტიკური აკორდისაკენ, რომელიც დასაფლავების დამაგვირგვინებელ შარავანდად უნდა მოევლოს თავს ერის ბედისწერასთან გადაჯაჭვული კაცის ცხოვრების მდინარებას.

რა აღტაცებით გადააქვს რომანის ფურცლებზე ხალხის შეუპოვრობა, მთავრობის განკარგულებას აინუნშიც რომ არ აგდებს

და სამგლოვიარო პროცესიაც ჩაივლის სასახლის წინ, გამოსათხოვარი სიტყვებიც წარმოითქმის და გალავნის კარიც ხელჩართული ბრძოლის შემდეგ გაინგრევა.

და არც ის საყოველთაო გაოცება გამორჩება – ხალხისაც და ადმინისტრაციისაც.

ხალხი იმას გაეკვირვებინა, რომ დაენახა და ეგრძნო შეერთებული ძალის აზრი.

ადმინისტრაცია კი იმას, ეს რა მოუმზადებელი აღმოჩნდი ასეთი ამბების წინაშეო.

ჯერ კიდევ უნახავი ეროვნულ-პოლიტიკური დემონსტრაციაო – ამ შეფასება-ფორმულით შემოუნახავდა ამ სამგლოვიარო პროცესიას შთამომავლობას არჩილ ჯორჯაძე. გაზვიადება არაფრისა დასჭირდებოდა, ეგაა, შესაფერისადაც უნდა აღბეჭდილიყო უტყუარი ქრონიკის ფურცლებზე: შეფასებითაც და ყველაზე ნიშანდობლივი რეალიების აღდგენითაც.

ჯერ კიდევ უნახავად მოჩანდა, თუმც თავისი წინამორბედიც ჰყავდა.

არა, დავით ერისთავის „სამშობლოს" იმ ისტორიულ დადგმას რომ მღელვარება მოჰყოლოდა და სპექტაკლი ქართული დროშების აფრიალებით ეროვნულ-პოლიტიკურ აქციად რომ გადაექციათ, ეს ამჯერად არ იგულისხმება.

ეს დღეც – 1882 წლის 20 იანვარი – წინამორბედი გახლდათ შემდგომი შფოთვისა და პროტესტანტული განწყობილების გამძაფრებისა საზოგადოებაში, მაგრამ უშუალოდ სამგლოვიარო პროცესია უძღოდა წინ დიმიტრი ყიფიანის ჩამოსვენებას – გლოვა მწვავე პროტესტად აღზევებული. ეგაა, ირაკლი ბატონიშვილის დასაფლავებისას საგანგებო განკარგულებანი აუცილებელი არ შეიქნებოდა, მთავრობა აკრძალვით არაფერს აკრძალავდა – ალბათ იმიტომაც, რომ ამდენი ხალხის მოზღვავებას ვერ წარმოიდგენდა. უტახტო უფლისწული, დევნილი და სახელმწიფო დამნაშავედ შერაცხილი ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი, ხელისუფლების თვალში არ იწვევდა ისეთ საფრთხეს, საგანგებო ზომებისათვის მიემართათ მისი სამგლოვიარო პროცესიის წინააღმდეგ.

მაშინ მიხვდებოდნენ, რამხელა პროტესტი დაგუბებულიყო ხალხში და გამოსავალს ეძიებდა.

მაშინ ჩაითქვამდნენ ხელისუფალნი, ამის შემდეგ ნუღა ექნებათ იმედი, თავიანთ ნებაზე რომ მივუშვათო.

მაგრამ ვერ ამოეჭირათ სადავეები.

რაც აეკრძალათ, ერთიც ვერ გაეტანათ.

და გაგულისებულნი იმ ხმებს გაუვრცელებდნენ „ივერიის“ რედაქციას: შენ თვითონ თხზავდი იმ აუარებელ სამძიმრის დეპეშებს, თორემ გაუგებარია ასეთი აზვირთება საზოგადოების აღშფოთებისაო.

კოტე ყიფიანი გვირგვინების ლენტებს სთხოვდა ვალერიან გუნიას, ის კი ამცნობდა: ილია ჭავჭავაძემ გუშინ გადმომცა ეს ლენტები, რაც შეეხება ტელეგრამებსა და სხვა მრავალ წერილს, ჯერ არ შეუძლია ჩაგაბაროს, რადგანაც საქმე ძლიერ გამწვავებულიაო.

ილია გასამართლებელ საბუთად ინახავდა თურმე, ცილისმწამებელთა გასამტყუნებლად: მე არ შემითხზავს ეს დეპეშები და წერილებიო.

პეტერბურგიდან აქაურ ცენზურასთან დიდი მიმოწერა გამართულიყო, მზაკვრულ რჩევებს მოაწვდიდნენ, საბაბის გამოძებნას ჩასჩიჩინებდნენ, და ვიდრე გადასაწყვეტი გადაწყდებოდა, კოტე ყიფიანსაც უნდა მოეთმინა.

მოთმინება რა სათქმელია, ასეთ ხმებს რას წარმოიდგენდა, თორემ სულ არ ითხოვდა იმ დეპეშებს.

ჯერ კიდევ უნახავიო...

გადმოცემით ეცოდინებოდა ირაკლი ბატონიშვილის დაკრძალვის ამბები, ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შედგენილ წიგნაკსაც უსათუოდ გაეცნობოდა, მაგრამ რაკიღა იქ შეხლა-შემოხლა არ მომხდარა ადმინისტრაციასა და პროცესიის მონაწილეთა შორის, მის წარმოდგენაში რაღაც გამორჩეულ მნიშვნელობას ვერ შეიძენდა. მითუმეტეს, გადმოცემით მოღწეულს ყოველთვის გადააჭარბებს საკუთარი თვალით ხილული.

დიახ, არჩილ ჯორჯაძე, იმხანად გიმნაზიის მეორე კლასის შეგირდი, მონაწილე გახლდათ იმ ეროვნულ-პოლიტიკური დემონსტრაციისა და ის დღე აღავსებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წყურვილით, ვიდრე ეს წყურვილი თანდათან არ ჩაიშრიტებოდა და... ხელახლა არ აგიზგიზდებოდა. და ამ აგიზგიზებას – მოულოდნელს მის ნაცნობთათვის – იქნებ იმ დღის ხსოვნაც განსაზღვრავდა. ნავლწაყრილი ნაკვერჩხალი ამობრიალდებოდა და კაცობრიობის ხსნაზე მოფიქრალი ესთეტი და ფილოსოფოსი მიხვდებოდა, რომ ჯერ ის მიწა-წყალი იყო გადასარჩენი, რომელიც კოსმოპოლიტური გადმოსახედიდან ერთ ნაგლეჯად მოჩანდა, არა-

და, თურმე სამყაროსხელა გახლდათ და ვისაც მისი მნიშვნელობისა არ გაეგებოდა, ტყუილუბრალოდ დაიჩემებდა კაცობრიობის ბედზე ზრუნვას.

ხალხის გულისწყრომას, მის აღშფოთებულ სინდისსა და აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი არ გააჩნდა. მთელი საქართველო დუღდა სამართლიანი გულისწყრომით და არსება მისი ავსილიყო მართებული შურისძიებითო, – ირწმუნებოდა ვალერიან გუნია მემუარულ ჩანაწერებში და არჩილ ჯორჯაძე ეთანხმებოდა: ამ სიტყვებში გაზვიადებული არა არის რაო.

საიდან მოეხსენებოდა ასე დაბეჯითებით?

გაამყლავნებდა უშუალო მოწმის უფლებითაც და ერთგვარი სიამაყითაც, რადგანაც მისი ბიოგრაფია ამ საპროტესტო აქციასაც დაემშვენებინა:

ამ სტრიქონების დამწერს კარგად ახსოვს ის დღეო.

ასეთი ექსპრესიით ამიტომაც გადმოიტანდა მის ზოგად განწყობილებას თავის ბიოგრაფიულ რომანში.

დიდებულ ცერემონიებს ახლა ჩვეულნი ვართო, – უხსნიდა იმ მკითხველს, ვისაც საპროტესტო, პოლიტიკური გამოსვლების გარეშე ცხოვრება ვეღარც წარმოედგინა, – მაგრამ იმ დროისათვის ის ზღვა ხალხი, საქართველოს ყველა კუთხიდან შეგროვილი, ეროვნული გრძნობის აპრიალება და საზოგადოებრივი სოლიდარობის განმტკიცება დიდებული მოვლენა იყოო.

დიდებულ ცერემონიებს ახლა უკვე შეჩვეულიყო საზოგადოება, მაგრამ ეს დიდებულება გარეგნული უფრო იყო და აკლდა ის შინაგანი, სულიერი ერთიანობა, ის საყოველთაობა, რაც დიმიტრი ყიფიანის სამგლოვიარო პროცესიის სულისკვეთებად მოჩანდა, თუკი ჩაუკვირდებოდი.

არჩილ ჯორჯაძე სწორედ იმ ერთიანობას მიაქცევს ყურადღებას, თავის გულისტკივილს კი, იმ სახალხო ერთიანობისა და ამაღლებული განწყობილების გაფერმკრთალებითა თუ სულაც დაკარგვით გამოწვეულს, ქვეტექსტში იგულისხმებს. მიმხვედრი მიმხვდარიყო, მკვეთრი აღნიშვნა კი იქნებ არც ღირდა, შინაგანი განხეთქილება კიდევ უფრო რომ არ გაღრმავებულიყო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა შორის.

– და საკვირველი ის არის, რომ ყველანი, უზომო მწუხარებასთან ერთად, განიცდიდნენ რაღაც სევდიან სიხარულს, რომელიც საერთო უბედურების დროს ისადგურებს ხოლმე ხალხის გულში.

ისადგურებს იმიტომ, რომ ამ დროს საკვირველის სიცხადით იღვიძებს გრძნობა საერთო ნათესაობისა, მახლობლობისა და ერთობისა. და სწორედ ამისთანა გრძნობად იყო შეპყრობილი ქართველი საზოგადოება დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს. ამიტომაც არის, რომ ეს დღე ქართულ ეროვნულ თვითშემეცნების ისტორიაში ისტორიულ დღედ დარჩება.

ამ საერთოს ნათესაობას, ახლობლობასა და ერთობას ველარ გრძნობდა და ნოსტალგიასავით ამიტომაც ჩარჩებოდა ხსოვნაში მაშინდელი შთაბეჭდილება, ასეთი თვალნათლივი მეორე კლასის შეგირდისთვისაც.

ახლა კი, იმ მოვლენის ფსიქოლოგიურ სარჩულს რომ არკვევს, არ მოინდომებს უამრავი დოკუმენტური წყაროს დახვავებასა და ვრცელ აღწერებს. ჯერ ბიოგრაფიულ რომანსაც რამდენად მოუხდებოდა ზედმეტი დეტალიზება და, მითუმეტეს, პოლიტიკური პამფლეტის იერის მქონე თხზულებას, როდესაც შთაბეჭდილების ერთიანობამ და სიმძაფრემ, შინაგანი მუხტის სიცხოველემ უნდა შთანთქას მკითხველი. ამიტომაც კმარობს ვალერიან გუნიას მოგონებას და იმ რამდენიმე რეალიას, რაც ძალდაუტანებლად უნდა განზოგადდეს და უფრო სახიერად შეაცნობინონ მკითხველს მაშინდელი სულისკვეთება, ვიდრე ვრცელი აღწერილობანი მოახერხებდა.

კვირას, 25 ოქტომბერს, როდესაც თეატრში გაცხარებული მუშაობაა და ზარდამცემი ხმა მოაღწევს დიმიტრი ყიფიანის მკვლელობისა, გაფითრებულმა და ხელებაკანკალებულმა ივანე მაჩაბელმა – ბანკისაკენ გაჩქარებულმა – მაშინვე კაცი უნდა აფრინოს ილია ჭავჭავაძესთან, და ისიც მალე მოვიდეს წარბშეკრული და პირმოკუმული.

ესეც ის მძაფრად მეტყველი და სიმბოლური სცენა:

– ვანო მაჩაბელს ნერვიული ქვითინი აუვარდა. ილიას ჯერ ქვემო ტუჩმა დაუწყო თრთოლა და მერე გაწითლებულ თვალთაგან ცრემლები წამოსქდა...

მე არასოდეს არ მინახავს ასეთი ჩუმი, მუნჯი და ამავე დროს უმაღლესად მეტყველი მწუხარებაო, – დასძენს ვალერიან გუნია და არჩილ ჯორჯაძე ამ უმაღლესად მეტყველი მწუხარების ბლონდით შემოგარსავს დიმიტრი ყიფიანის თავდადების სიუჟეტს, ახალი ჟამის ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ ნიშანსვეტს.

და ამ ნერვიულ ქვითინსა და თვალთაგან წამომსკდარ ცრემლებში უკვე კრთის ის გრანდიოზული პოლიტიკური აქცია, სამ-

გლოვიარო პროცესიამ სასახლის წინაც რომ უნდა ჩაიაროს, გამოსათხოვარი სიტყვებიც ითქვას და გალავნის კართანაც ხელჩართული ბრძოლა გაიმართოს, ბრძოლა, როდესაც ხალხმა თავისი სულიერი ენერგია და დაუოკებელი ძალა ხელისუფლებასაც უნდა დაანახოს და საკუთარ თავსაც. და ეს ვინ ვყოფილვარო, გაკვირდეს.

მოწამის შარავანდი ბურავს არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიული ქრონიკის გმირს, მაგრამ ოდნავადაც არაფერია შეფერადებული, გაიდეალების გამო მიჩქმალული ან გაზვიადებული. ყოველივე უნდა წარმოისახოს ისე, როგორც სინამდვილეში იყო – არც რა მოაკლდეს და არც რა მიემატოს. არჩილიც ამ ანდერძის აღმსრულებელია, ალექსანდრე ორბელიანის ისტორიულ ქრონიკებს რომ გამოსდევს და ვერაფრისდიდებით ვერ წარმოუდგენია ხელოვნური ჩარევა – წვრილმანიც ისეთივე ძვირფასი და მოსაფრთხილებელია მისთვის, როგორც პიროვნული ხასიათისა თუ ბიოგრაფიის არსებითი, უმნიშვნელოვანესი თვისებები თუ მოვლენები. და თუკი ასეა, არც დიმიტრი ყიფიანი უნდა გამოჩნდეს სწორხაზობრივ მოვლენად, რაღაც უცთომელ, ზებუნებრივ არსებად, ვისაც ნაბიჯი რა არის, ნაბიჯიც არ შეშლია და იცხოვრა არა ადამიანის, არამედ სქემატური პერსონაჟის ცხოვრებით.

გაორებულიყო დიმიტრი ყიფიანის შეგნება?

თან მოვალედ მიაჩნდა თავი რუსხელმწიფის ერთგულებისად და თან თავისი ქვეყნის ეროვნულ თავისებურებათა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის თავი არ ეზოგებოდა?

რას იზამ – ასეთი გახლდათ, და ბიოგრაფიული ქრონიკის ფურცლებზეც ამ შეუფერადებელი სახით უნდა დაბინავებულიყო, თორემ სიყალბეს ისედაც წაელეკა ქართული სინამდვილის იერი, ქართულად თუ რუსულად წარმოსახული, და მიმატება აღარ ღირდა, მითუმეტეს, არჩილ ჯორჯაძის ხელიდან, პირუთვნელ მემატიანეობას ვინც იჩემებდა და ძალიც შესწევდა ქადილისა.

თან ცოტა გულსაც ეთანაღრებოდა, დიმიტრი ყიფიანის ოჯახობა, მასალებით რომ მამარაგებს და დაუფარავი მოლოდინითაც შემომყურებს, როდის დავასრულებ და საქვეყნოდ გამოვიტან ამ ნაღვაწს, ვაითუ უკმაყოფილო დამირჩეს ჩემი პირდაპირობისათვისო, მაგრამ ეთიკურ მრწამსს ვერ გადაუხვევდა და იმ იმედს მოებღაუჭებოდა: ჭირისუფლობა ჭირისუფლობად, მაგრამ ასეთი შეგნებული ადამიანები, თვით დიმიტრის გარემოცვაში აღზრდილნი, გამიგებენ და გულში წყენას არ ჩაიდებენო.

აკი არც ჩაუდევთ.

აკი უპირველესი მოთაყვანენი ისინი შეიქნენ ამ თხზულებისა და უხაროდათ, ოცნებად რომ არ დარჩა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების ქრონიკა – არჩილ ჯორჯაძის ხელოვნებით გამოკვეთილი.

როდესაც დიმიტრი ყიფიანი შეეცდებოდა გამოერკვია, თუ რა იყო მიზეზი ქართველთა უკმაყოფილებისა XIX საუკუნის დამდეგს და რამ გამოიწვია შეთქმულება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, თხრობისას ირწმუნებოდა, ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდგომ გიორგი მეთორმეტემ გადაწყვიტა უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა რუსეთს, რათა რუსეთს თავის ქვეშევრდომობაში მიეღო საქართველოო.

ვერ გაუჩუმდებოდა ამ პასაჟს არჩილ ჯორჯაძე:

იმ დროის ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი დიმიტრი ყიფიანის წერილში სისწორით არ არის გადმოცემულიო.

ერთადერთი კანონიერი ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შეერთებისა იყო 1783 წლის ტრაქტატი, რომლის გარდაც სხვა რამ ხელშეკრულება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი, არ არსებობდა. მაშ რატომ უნდა გვერწმუნა, რომ სრული ქვეშევრდომობა გიორგი მეთორმეტემ ითხოვა, როდესაც მის მიერ შედგენილი – ეგრეთწოდებული თხოვნის პუნქტები – ხელმოუწერელი დარჩა და ხელშეკრულების მნიშვნელობა არც არასოდეს ჰქონია.

ან ის რაღა დასაჯერებელი გახლდათ, რომ ალექსანდრე პირველი ყოყმანობდა და ბოლოსდაბოლოს როგორც იქნა დათანხმდებოდა და შესაფერის მანიფესტსაც გამოსცემდა, მანიფესტს, რომელსაც დიმიტრი ყიფიანი ასეთ დითირამბს აღუვლენდა: ისეთი ენით არის დაწერილი, საცა აშკარად მოსჩანს დიდსულოვნება და კეთილი განზრახვანი კურთხეულ მეფისა. ამ მანიფესტს იმდროინდელ ქართველობაზე ისეთივე დამამშვიდებელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, როგორც ახდენს იგი დღესაცო.

მომავალი მოწამის განმარტება ისეთი მკაფიო და დამაჯერებელი გახლდათ – სრული უპირობო ქვეშევრდომობა ქართველების სურვილი ყოფილა, რუსეთს კი ეს სურვილი დაუკმაყოფილებია.

როდესაც შემოგვედრებიან, აუსრულებ ამ სათხოვარს, აბა, რა იქნება, მაგრამ... მაგრამ ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგებოდა ისტორიულს მოვლენას და საუკუნის შემდგომ აღარავისათვის იქნებოდა საკამათო ის გარემოება, რომ ალექსანდრე პირველის ყოყმანი იმას გამოეწვია, აშკარად გრძნობდა უკანონობას, რომელზეც

დგებოდა რუსეთი საქართველოს შინაური თვითმმართველობის მოსპობით და მისი ინკორპორაციით.

– ამ შეცდომის აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან ამ შეცდომის წყალობით, რომელიც, აშკარაა, უნებური იყო დიმიტრის მხრივ, წარსულ ისტორიის მეცნიერულად შეუსწავლებლობის გამო, განსაზღვრული ელფერი მიეცა დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკურ აზროვნებას, რომელსაც იგი არ ღალატობდა თავის ხანგრძლივ სიცოცხლის განმავლობაში და რომლის აღსარებამ ტრაგიკული ხასიათი მისცა მის მოღვაწეობას.

ერთ მოტივს დაასახელებდა არჩილ ჯორჯაძე: წარსული ისტორიის მეცნიერულმა შეუსწავლებლობამო.

თუმც არსებობდა სხვა მოტივიც: ეპოქისმიერი დაღი.

და კიდევ სხვა და უმთავრესი: მისი პიროვნული ბუნება და საგვარეულო ანდერძი, მეფის ერთგულებასა და მისთვის თავდადებას რომ უნერგავდა და მეფის მორჩილების გრძნობა კი ისეთი უსაზღვრო გახლდათ, დიმიტრი აღარც დაგიდევდათ, საქართველოს მეფეს მორჩილებდა თუ რუსეთისას. კანონიერად აღიარებდა გეორგიევსკის ტრაქტატს, მაგრამ კანონიერად აღიარებდა იმ არარსებულ ხელშეკრულებასაც, რომელიც საქართველოს შინაური თვითმმართველობის გაუქმებას ბუნებრივ აუცილებლობად აღიარებდა. ამიტომაც კანონს ვერ გადაუხვევდა, თუნდ ეს კანონი რეალური კი არა ყოფილიყო, არამედ მის გონებაში გაჩენილი. და რუს მოხელეთა ანტიქართულ საქმიანობას რომ შეჰყურებდა, ვერ იჯერებდა, რომ ისინი ერთგულად ასხამდნენ ხორცს იმპერიულ პოლიტიკას, მისდევდნენ იმპერატორის ნებას, და, იმავდროულად, პირად კეთილდღეობაზეც თუ ზრუნავდნენ, ეს არ ყოფილა გადამწყვეტი საქართველოს დაქცევაში.

გადამწყვეტი სწორედ ის გახლდათ, რომელ წინააღმდეგობაშიც მოყოლილიყო დიმიტრი ყიფიანის ცნობიერება – რუსეთის იმპერატორის გაიდეალება – და მისი მოღვაწეობა შინაგანი ტრაგიზმით ამიტომაც აღიბეჭდებოდა.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაშიო...

რა ისეთი ხანგრძლივია 76 წელი, მაგრამ არჩილ ჯორჯაძისათვის ეს ისეთ მიუღწევლად მოჩანდა, როგორც მათუსალას ასაკი.

დიდი და გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე გახდებოდა დიმიტრი ყიფიანი, და თითქოს სახელმწიფო მოღვაწეობა იმ დროის კავკასიაში მისთვის კომპრომისი და ტვირთი უნდა ყოფილიყო, ან-

და პოლიტიკანობა – თავს ერთგულად ვაჩვენებ და რაიმეს გამოვრჩებიო, ან პირადი ანგარიში – კეთილდღეობისა და პატივის მოხვეჭა.

არჩილ ჯორჯაძეს შეეძლო მის გულში ჩაეხედა ნათელმხილველის მზერით და დაბეჯითებით განეცხადებინა, არა მიახლოებით და ვარაუდად, სწორედაც დაბეჯითებით: ასეთი განზრახვანი ახლოსაც არ გაკარებიანო.

– ერთგული იყო არა იმიტომ, რომ ერთგულება ქვეყნისათვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის იმპერატორებისადმი ერთგულების გრძნობა ის ტინი იყო, რომელზედაც აგებული იყო მისი აზროვნება და მოქმედება, როგორც ქართველი მოღვაწისა, საქართველოს შვილისა.

ქართველი სახელმწიფო მოღვაწის სამ ტიპს გამოარჩევს, ყველაზე გამოკვეთილს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

რუსეთის ერთგულნი, რომელთაც ეროვნული გრძნობა სრულიად ამოშლილი ჰქონდათ და მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის იღვწოდნენ – გიორგი მუხრან-ბატონივით. ისე გახმაურებულიყო მისი ის წიგნაკი, ქართულ ენას გარდუვალ აღსასრულს რომ უწინასწარმეტყველებდა, ამ ტიპის მოღვაწეთა სიმბოლოდ წარმოდგებოდა და არჩილ ჯორჯაძეც ამ სიმბოლიკაში მოაქცევდა ამ პოლიტიკურ მიმართულებას.

ლოიალურნი, რომელთა ლოიალიზმიც პოლიტიკური ფორმულა იყო, არა აბსოლუტური ღირებულებისა, არამედ დროებითი, როგორც იარაღი ეროვნების დაცვისათვის, თითქოს იმგვარი საშუალება, როდესაც სხვა გზა და გამოსავალი არ გაგაჩნია და ისევ ეს ხერხი უნდა მოიშველიო. ამ მიმართულებას ბიოგრაფიული რომანის ავტორი ახალი ტერმინით განსაზღვრავდა: პოლიტიკური ოპორტუნიზმი.

და მიმართულება, რომელსაც დიმიტრი ყიფიანი განასახიერებდა – პოლიტიკურ ცვლილებას არავითარ ანგარიშს რომ არ გაუწევდა და ცოცხალ განცდაში შეინარჩუნებდა ძველ ქართველთა იდეალისტურ გრძნობას ერთმეფობისადმი.

მარტოდ შერჩებოდა დიმიტრი ყიფიანი პირისპირ იმპერიულ პოლიტიკას.

ამ მარტოსულობას საგანგებოდ გამოჰკვეთდა ბიოგრაფოსი: გაჭირვების დროს, დიდი შებრძოლების მომენტში ხელი არავინ გაუწოდა, ვისი იმედიც ჰქონდა, იქიდან შველა არ მოსდიოდა და ეს

უანგარო ადამიანი გახდა მსხვერპლად როგორც ვერაგი მოხელეებისა, ისე თავისი საკუთარი პოლიტიკური რომანტიზმისაო.

მოხელეთა მიზანმიმართულ შემოტევას გრძნობდა, ცხადია, და ალბათ პოლიტიკური რომანტიზმის უკმარისობასაც ახალ პირობებში.

არა, ამ გარემოებას ვერა გრძნობდაო, – მისი სულის ხვეულებიდან ეს განცდაც ამოჰქონდა, – სიკვდილამდე სჯეროდა, რომ ბოლოსდაბოლოს გამარჯვებული თვითონ იქნებოდა, მისი მოპირდაპირენი კი დამხობილნიო.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება ღრმა დრამად ამიტომაც გამოჩნდებოდა შთამომავლობისათვის და ტრაგედიად იმიტომაც ჩაებეჭდებოდათ ცნობიერებაში, რომ გაცრუებული იმედების სისასტიკე კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოსახავდა მის მთლიან პიროვნებას, იმ ყაიდის რომანტიკოსობას, რომლისთვისაც არ არსებობს სასტიკი რეალობა იმ ძალისა, რის მსხვერპლადაც ხდება იგი.

– ტრაგიკული მომენტი იქ იწყება, სადაც დიდ ადამიანს განადგურება მოელის ამისთანა უჩინარ გარემოებათა და ძალთა მხრივ, რომელთა შესახებ მას არა ჰქონდა შეგნება.

ხელისუფლება დიდად აფასებდა დიმიტრი ყიფიანის ერთგულ სამსახურს და ისეთ პასუხსაგებ საქმეთა მოწესრიგებას დაავალებდა, რაც ბევრწილად განსაზღვრავდა ქვეყნისა და მისი კულტურის ბედს.

ენდობოდნენ მის თავდადებას, ქართულ საქმეთა გაძღოლას უნებურ ცთომილებად ჩამოართმევდნენ და მანამდე უსრულებდნენ სხვადასხვა თხოვნას – ეს ჟურნალის დაარსებაო, ეს თეატრალური დასისაო, ეს ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისაო, ეს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაო, კიდევ ესაო, კიდევ ისაო – ვიდრე ერთგული ჩინოვნიკის ნაცვლად თავზეხელაღებული პროტესტანტი არ შერჩებოდათ ხელთ.

ეგაა, ვერც თვითონ დიმიტრი ყიფიანი მაშინ, დაპატიმრება-გადასახლებას რომ გადაუწყვეტდნენ, და ვერც მკვლელობის წინა წუთებში ვერ გააცნობიერებდა თავის პროტესტანტობას, მითუმეტეს, თავზეხელაღებულს.

ვალს თვისას კი აღასრულებდა და წმინდანის ნიმბითაც შეიმოსებოდა.

რაკიღა პოლიტიკური პამფლეტის მნიშვნელობაც დაეკისრებინა, მარტოდენ შიგადაშიგ გაბნეულ განწყობილებებს არ იკმარებდა

და ფინალურ აკორდად პოლიტიკურ შესხმას გამოიყენებდა, თითქოს პროკლამაციას ლიტერატურულ ფორმას უძებნისო.

ერთი საფეხურით წინ წარვმდგარიყავით პოლიტიკურ ორომტრიალში?

აშკარად მოჩანდა ეს საფეხური ისტორიის მდინარებაში და მოულოდნელობის ის განცდაც, ხალხი ერთიანობას რომ შეიგრძნობდა და აღმოაჩენდა, თვითშემცნე და თვითშემგნე ერი ვყოფილვართო.

სასწაულს გაუტოლებდა ამ განცდას არჩილ ჯორჯაძე, ოღონდ სასწაული ზეციდან კი არ ჩამოშვებულიყო თავისთავად, ოთხმოცდაშვიდი წელიწადი მზადდებოდა, ოთხმოცდაშვიდი წელი კი საკმაო მანძილი იყო მიძინებული შემეცნების გამოფხიზლებისათვის.

მიძინებულიყო საზოგადოება, მაგრამ გამართლებად იმას უძებნიდა, ძილი მაინცდამაინც მაგარი არა ყოფილა და წინათაც, სხვადასხვა ჟამს მცონარენი შევკრთებოდით ხოლმე და ილიას, აკაკისა და სხვათა დაძახილზე ვიღაცის მოლოდინში გაოცებულნი გავყურებდით ამ ჩვენს დამშვენებულ ქვეყანასო.

ამ ორ სახელს გამოარჩევს.

სხვათ დაე ზოგადი მინიშნება იკმარონ.

მიჯნად იდებოდა 1887 წელი, ნიშანსვეტად აღიმართებოდა და პროკლამაციური სტილი იმ იმედოვნებითა და მიზანსწრაფვით უნდა აღბეჭდილიყო: ამ მოხუცის წყალობით გადაჭრით და სამუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგანო.

ისტორიულ რეალობაში მეორე თარიღიც ამოდგომოდა გვერდით 1887-ს.

მაგრამ 1907 წელს აქ აღარ მოიხსენიებდა არჩილ ჯორჯაძე.

ილიას სახელის გაელვება კმაროდა, რადგანაც მისი ცხოვრების ქრონიკა მაინც შესადგენი ჰქონდა და იქ შეიკვროდა ყველა მოვლენა იმ თარიღის გარშემო, როგორც ამ ბიოგრაფიულ რომანში 1887-ის ირგვლივ ტრიალებდა. შეიკვროდა და მთელი ბრწყინვალებითაც ამოკაშკაშდებოდა მღელვარე ამბების მდინარებაში მოქცეული.

ისიც ბიოგრაფიული რომანი.

ისიც პოლიტიკური პამფლეტის იერით აღბეჭდილი.

და... ოცნებას შეყინული.

მაინც ილია ჭავჭავაძეზე ფიქრში რომ ამოხდებოდა სული არჩილ ჯორჯაძეს.

* * *

კიტა აბაშიძეს სად ეძია და ეჩხრიკა, როგორ წარმართულიყო ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის პირადი ურთიერთობა.

სხვებივით მასაც მოეხსენებოდა, განა არა, ხელი რომ არასოდეს გაუწვდიათ ერთმანეთისათვის, მაგრამ ყოფითობა უკან იხევდა იმ მარადიულის წინაშე, ვინ ჯადოსნურ დროს რომ არქმევდა, ვინ მისტიკურ სივრცეს, ვინ რას და ვინ რას. მარადისობას თავისი წეს-კანონები ჰქონდა და მაინცდამაინც არ დაგიდევდა ყოფითობის კაპრიზებს.

და ამჯერადაც:

– ილიამ და არჩილმა ერთმანეთს უკანასკნელად მისცეს ხელი, როცა მარად სახსოვარი „პეტიციების“ დროს ილიამ პირველმა წამოაყენა „საქართველოს ავტონომია“, როგორც პოლიტიკური მოთხოვნილება.

„უკანასკნელადო“ – გულისხმობდა, რომ მანამდეც არაერთხელ მომხდარა მათ შორის ხელის გაწვდენა.

ჯადოსნურ დროსა თუ მისტიკურ სივრცეს ასე განესაჯა და კიტა აბაშიძე მხოლოდ ადასტურებდა ისტორიის განაჩენს. და სამ დიდ ეპოქას თავთავის ემბლემას რომ მიუსადაგებდა, კვლავაც ისტორიის კარნახით, ამ ემბლემებს დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის სახელებში განაზოგადებდა.

დიმიტრი ყიფიანის კეთილსინდისიერი „ლოიალიზმი“ საოცარი ბარბაროსული მკვლელობით დამთავრდა. „ერთგულება“ მისი დასჯილი იქნა, ვინაიდან იგი ყოველივე „სერვილიზმს“ იყო მოკლებული, – ესეც ის დაწურული, ლიტერატურულ-პოლიტიკურ ფორმულებში მოქცეული ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც კიტა აბაშიძემ ასეთივე ფორმულებით უნდა გააგრძელოს და დააბოლოვოს, და ხელშესახებად გამოკვეთოს ამ სამი პიროვნებისა და მათი ღვაწლით აღბეჭდილი ეპოქების ღრმა სულიერი საერთო, ერთიერთმანეთის განმსაზღვრავი:

– ილია ჭავჭავაძე „ერთგულების“ მაგიერ განაცხადებს: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო“, და ამ პრინციპს ტრაგიზმით აღსავსე მსხვერპლად ეწირება.

და არჩილ ჯორჯაძე?

მისი მოვალეობა ამ ფორმულის ხორცშესხმულ პოლიტიკურ მოთხოვნილებად ქცევა გახლდათ და ამ ვალს მოუხდელს არ დატოვებდა.

და საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა კიდევ უფრო შეადუღაბებდა მათი სულისკვეთების ერთიანობას.

ასე გაიწვდებოდა ორი ხელი სხვა განზომილების დროსა და სივრცეში.

თუმც არჩილი კიტა აბაშიძის ემბლემათა შემსწრე რომ ყოფილიყო, აუცილებლად არიდებდა მისი სახელის ასეთ განზოგადებას და ეპოქის სიმბოლოდ დასახვას, და ემბლემად აზიდვას მთლიანად თავის უშუალო წინამორბედს გადაულოცავდა იმ სიტყვებით, რისი საქვეყნოდ გაცხადებაც მოესწრო და გულნაკლულობად არ წაჰყოლოდა: ილიას ცხოვრება და სიცოცხლე განაწამები სახეა ქართველი ერის ცხოვრებისაო.

* * *

გმირული საუკუნის დოკუმენტი თითქოს შეცდომით აღმოჩნდა XIX საუკუნეშიო, – მხოლოდ ეს შეფასება შეჰფეროდა 1886 წლის 8 ივნისს სადგურ მიხაილოვიდან საქართველოს მწყემსთავართან გაგზავნილ წერილს, ნიმუშს მჭევრმეტყველების, სისადავისა და მორალური გამარჯვების.

ისედაც ღვთის მოციქულად აღიარებულა ეგზარხოსი, და გაბეჩავებულ ქვეყანაში კიდევ უფრო გაბუქულა და გაზვიადებულა მისი ფიგურა. ვინ რა შეიძლება შებედოს, თუნდაც მთელი ერი დაწყევლოს, როგორც მკვლელის მშობელი.

თითქოს შეცდომითო...

აბა, მაშ სად გმირული ეპოქა და სად ეს საუკუნე:

– სადაც ყოველივე გაზომილია, ანონილ-დაწონილი, ზომიერი, ქედმოხრილი და მორჩილი.

და ასეთ სინამდვილეში უნდა გამოჩნდეს კაცი, ვინც მკაცრ წერილს ამ მტკიცე მოთხოვნით დააბოლოვებს:

– თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გასული. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდამ ააცილოს ქვეყანას ახალი დიდი შეცოდება.

აცნობიერებს დიმიტრი ყიფიანი, თუ რას სჩადის?

ცხადია, ეს მკაცრი პროტესტი შეგნებული აქტია, მაგრამ გაუცნობიერებელიც რომ იყოს, არჩილ ჯორჯაძისათვის ეს არ არის

იოტისოდენა ნაკლიც კი – დიმიტრი ხომ ამ თავზეხელაღებული მოქმედებით ძველ გმირთა სულს ეზიარა, მათ ნებისყოფას, და წარსულთან მსწრაფლ გააბა საიდუმლო კავშირი:

– შეწყვეტილი ძაფები გამთელდნენ. საუკუნოებით შეჩერებული ამბები ერთმანეთს გადაებნენ, ისტორიული წარსული თავის კულტურით გამომთელდა და გამომთელებული დაუკავშირდა აწმყოს, აწმყოში მყოფ ერთი ადამიანის ნების-ყოფას. და თითქოს აღსრულდა ამ სახით საიდუმლოება ერის განუყოფლობისა და უკვდავებისა!

ნაბიჯი გადაედგა დიმიტრი ყიფიანს წმინდანთა დასისაკენ და მთელი მისი ამქვეყნიური ცხოვრება ამ მკაცრი პროტესტის ირგვლივ შეიკვროდა, იმ სამზერიდან გამოჩნდებოდა და ხელახლა გაიაზრებოდა ყველაფერი და საიდუმლოს ამოხსნაც გმირული ჟამიდან ამ დროებაში „შეცდომით" მოხვედრილი ბარათის წყალობით გახდებოდა შესაძლებელი.

აცნობიერებდა თუ არაო...

არამცთუ იგი, ამ უძლური, შეუკავშირებელი, დაქსაქსული საზოგადოების ყველა წევრს მოეხსენება, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეგზარხოსის ავტორიტეტის წინაშე ქედმოუხრელობა.

თუ რაიმე არ შეიძლება დარჩეს უპასუხოდ, ქვეყნის შეურაცხყოფაა. ახლა მაინც, ამ ყველაზე მწვავე ჟამს უნდა მოაგონო იმ კერძო პიროვნებასაც და იმ სახელმწიფოსაც, ვინც უმაგრებს ზურგს მის აბუჩადამგდებ სიტყვასაც და საქმესაც, რომ მთლად ისეც არ არის, როგორი ილუზიებიც გასჩენიათ და დაცემული, დაქსაქსული საზოგადოების წიაღიდანაც შეიძლება ამოიტყორცნონ გმირული სულის ადამიანები.

ასეთ გაბედულებას არავის აპატიებენ, რაგინდ დიდი ხარისხის პატრონიც იყოს?

თუ ხმას ამოიღებს, მხოლოდ სამსახურებრივ დაქვეითებას არ აკმარებენ?

ყველასათვის თვალნათლივია –

პროტესტი თავგანწირვას გატოლებია.

უმსხვერპლოდ მამულის ღირსების დაცვა შეუძლებელი გამხდარა.

იმ წუთებს უტრიალებს არჩილ ჯორჯაძე, თხრობას აგუბებს იმ გადამწყვეტი ნაბიჯის წინ, როდესაც დიმიტრი ყიფიანი მრისხანებით უნდა აღივსოს და მისი არსებობა ერთი, ერთადერთი სურვი-

ლით განიმსჭვალოს – აუცილებელია ეგზარხოსის გმობა, აუცილებელია ქვეყნის შეგინებული ღირსების აღდგენა.

1832 წლის სული აბობოქრდებოდა მასში, ის ააჟრჟოლებდა და აღანთებდა, ის არ დაანებებდა აქეთ-იქით მიხედვ-მოხედვას, იქნებ ჯერ სხვამ ამოიღოს ხმა, იქნებ სხვამ გაწიროს თავი, მე ცოცხალი უფრო ვჭირდები ჩემს ქვეყანასო.

1832 წლის სული იწვევდა.

ის დღეები ამოჩნდებოდა, ფარული ორგანიზაციის მთავარ ბირთვში რომ დაიმკვიდრებდა ადგილს დიმიტრი ყიფიანი, „აქტი გონიურს" ერთ-ერთი პირველი რომ გაეცნობოდა, პროკლამაციამოწოდების ტექსტის შედგენას რომ დაავალებდნენ, პირველი ღამის განკარგულების მომზადებაში რომ მონაწილეობდა და შეთქმულები იმაზეც მსჯელობდნენ, დიმიტრის რა საქმე ჩავაბაროთო... ის ღამეც შემზარავად ამოანათებდა, სხვა მთავარ მოთავეებთან ერთად დიმიტრისაც ავლაბრის ყაზარმებისაკენ რომ გაუყენებდნენ გზას და სიკვდილით დასჯის გარდუვალი განცდაც გაუჩნდებოდა, ალექსანდრე ორბელიანისა არ იყოს, აბოს ნიშისაკენ რომ გაინევდა, ბარემ აქვე მომკვეთეთ თავი და მომასვენეთო.

სული იწვევდა და... სოლომონ დოდაშვილის აჩრდილიც გამოეცხადებოდა.

არჩილ ჯორჯაძის თხრობისას არსად გამოჩნდება ეს აჩრდილი.

მისი ბიოგრაფიული რომანი უფრო ქრონიკისაკენ იხრება და ბელეტრისტულ გადახვევებსა თუ მისტიკური ეპიზოდების ჩართვას ამიტომაც მოერიდებოდა.

თუმც ძალიან არ უნდა დაგვეძრახებოდეს, თუკი დიმიტრი ყიფიანის იმ მრისხანების წუთებში ახლო-მახლო სოლომონ დოდაშვილის აჩრდილიც დავლანდეთ.

სხვა თუ არაფერი, უილიამ შექსპირი უბიძგებდა, აბა, კარგად მიმოიხედე გარშემო, ნუთუ ვერავის ამჩნევო.

და იდგა სოლომონის ლანდი, როგორც ჰამლეტის წინაშე მამის აჩრდილი.

ჰამლეტს მამის ლანდი მოვლენოდა, დიმიტრის – სულიერი მამისა.

და თუ სადმე, გულის სიღრმეში ყოყმანი შემოიჭრებოდა: რაღა მეო, – აჩრდილი დაუდასტურებდა, რომ სწორედ იგი, სწორედ დიმიტრი ყიფიანი არჩეულიყო ზვარაკად და ღვთის განგებას ვერავინ გადავიდოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა.

მეც იქნებ ცოცხალი უფრო ვჭირდებოდი ჩემს ქვეყანას, მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენი ბედისწერაც ეს ყოფილაო, – ყოველი შემთხვევისათვის უბეჯითებდა არჩილი, თუმც დიმიტრი იმ გზიდან უკან გამომბრუნებელს ისედაც აღარ ჰგავდა, სადაც მრისხანებას შეეყენებინა.

აუცილებელი იყო ეგზარხოსის გმობა და ქვეყნის შეგინებული ღირსების აღდგენაო...

– ეს აზრი და ეს გრძნობა ბატონობდნენ მის გულში, სადაც იმ დროს არც ერთ ეგოისტურ, თავის გამოზოგვის ფიქრი არ ეკარებოდა. ძლიერი ნება, მის ბუნებაში ჩანერგილი – ნება, შემეცნების წრის გადაღმა მყოფი, ისევ ამოძრავდა და მას წინ ვერა დაუდგებოდა რა.

ისევო...

ეს ერთი სიტყვა გულისხმობს 1832 წლის შეთქმულების სულისკვეთებასაც და სოლომონ დოდაშვილის აჩრდილის მოლანდებასაც, თუკი წარმოსახვას ოდნავ დაძაბავდა მკითხველი.

დიაღ, საკვირველებაა ადამიანიო, – გაჭიანურებული წუთის აღწერას ამ აღტაცებული კილოთი დააბოლოვებდა ბიოგრაფოსი: იგი წყაროა საიდუმლო ძალისა, რომელიც ისე მოქმედებს, როგორადაც ადამიანი ვერ იმოქმედებდა, ცარიელი გონებით რომ ეხელმძღვანელაო.

მაინც რა ძალა იყო?

ძალა შეუცნობელი, სტიქიური, ძალა, რომელთანაც დანათესავებულნი არიან ნება, ინსტინქტი და ინტუიცია, ძალა სასწაულმოქმედი, რადგან როდესაც ის შემეცნების წრეში აღმოჩნდება, ადამიანს ალაპარაკებს და ამოქმედებს ისე, როგორადაც იგი ჩვეულებრივ არ ლაპარაკობს და არ მოქმედებს.

ასე ახსნიდა.

და მეტი მკაფიობისათვის დასძენდა: ამ ფსიქიურ თვისებას, რომელიც შეადგენს კაცის „მე"-ს, განზრახ ვაქცევ მკითხველის ყურადღებას, რადგან უამისოდ გაუგებარი იქნება ჩვენთვის ის გარემოება, თუ რატომ იდო თავს თავად-აზნაურთა მარშალმა და „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა" მეამბოხის თანამდებობა და ეგზარხოსს მრისხანე წერილი მისწერაო.

აინტერესებს, ძალიან აინტერესებს ერთი პიროვნების ფსიქოლოგიური მამოძრავებელი, მისი ფარული მექანიზმის ამოხსნა, თანაც ისეთი პიროვნების, ვისი მაგალითიც ძალდაუტანებლად განზოგადდება ყველა მოწამეზე.

მაინც საიდან ჩნდება ეს სტიქიური ძალა, რომელსაც ამხელა ნათესაობა აღმოაჩნდება ნების, ინსტინქტის, ინტუიციისა და სხვა თვისებათა სახით?

მაინც რა მიგაქანებს საჯალათო კუნძისაკენ, რა შეგახედებს გულმშვიდად გილიოტინას?

უნებურად საკუთარი ბედიც გამოეხვია არჩილ ჯორჯაძეს ამ იდუმალ საბურველში, შეგნებულად იქნებ არც შესტოლებოდა ქვეყნისათვის თავდადებულ პიროვნებებს, მაგრამ იმ ფსიქოლოგიურ მამოძრავებელს თავის არსებაშიც უკვირდებოდა, იმ სტიქიურ ძალას, მის ფარულ მექანიზმს თავის არსებაშიც დაშლიდა თვისებებად, რაღაცას მიწვდებოდა და... ვერც მიწვდებოდა, ვრც იმას ჩახვდებოდა, რას შემოეტრიალებინა ასე ერთბაშად და საბედისწეროდ მიწის იმ ნაგლეჯისაკენ, რომელიც მსოფლიო მოქალაქის გადმოსახედიდან წერტილადაც აღარსად მოჩანდა, რას შემოეგლიჯა მისთვის იმ მსოფლიო მოქალაქის სამოსი და მეამბოხის ქულაჯაში გამოეწყო.

დიახ, საკვირველებაა ადამიანიო, – მაშინაც ასე გაშლიდა ხელებს, ვინმე ძალიან რომ ჩასძიებოდა, გაიხსენე, შენ თვითონ გაიხსენე, სამშვიდობოზე გასული რამ შემოგაბრუნა სატანჯველისაკენო.

საკვირველებააო, – გამეორებით კი გაიმეორებდა, მაგრამ ამჯერად მის კილოს აღტაცების სხივი გამოეცლებოდა, მოერიდებოდა, აღფრთოვანებული მზერა შეევლო საკუთარი „მე“-სა და ღვაწლისათვის.

სტიქიური ძალა არ მოასვენებდა, დიმიტრი ყიფიანის აჩრდილიც ადგა თავს და ის მიერეკებოდა: მოემზადე შურისძიებადო, – ჰამლეტის მამისა არ იყოს.

და თავმოყვარეობასაც აუფორიაქებდა: თუ კაცი გქვიან, ნუ აიტან შენ ამასო, – კვლავ იმ ბედკრული აჩრდილისა არ იყოს.

დაე ამასაც შექსპირის გმირივით დაეჩივლა ხანდახან დროთა კავშირის დარღვევასა და იმ წყეულ ბედზე, ახლა მისთვის რომ ერგუნებინა ამ კავშირის შეკვრა.

შთაენთქა დიმიტრი ყიფიანი.

აგერ ილია ჭავჭავაძეც თავის ამოუვსებ წიაღში გადაესროლა.

ახლა მსხვერპლი მზადდებოდა, და არჩილ ჯორჯაძე მოქცეოდა სათავეში მიწაზე, ჰაერში, წყალზე ამოტვიფრულ ამ საბედისწერო სიას.

დიახ, საკვირველებაა ადამიანი, – გულმშვიდად მიაწერდა განგების ანაბეჭდს და ეს ნაღველი ჩაეკირებოდა სულში, ნეტა ილიას ბიოგრაფიის შექმნა მაინც მომასწრებინაო.

გაუმაძღარია ადამიანი, საკვირველებასთან ერთად – გაუმაძღარიცაა. და მერე სოლომონ დოდაშვილის ცხოვრების ქრონიკაც მოუნდებოდა, მერე სხვათა ცხოვრება-ბედისწერაშიც ჩაიძირებოდა და... განგებას სად ეცადა მის ბიოგრაფიულ რომანთა მოთავებისათვის.

სოლომონ დოდაშვილის ცხოვრების ქრონიკაც მოუნდებოდაო...

იქნებ ასეთი რამ გუნებაშიც არ გაუვლია და... მაშ საიდან გიჩნდება ადამიანს ეს ვარაუდი?

თუ დაკვირვებიხართ იმ პასაჟს ნარკვევში „თავადაზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება XIX საუკუნეში"?

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ფსიქოლოგიური პორტრეტის ზოგიერთ შტრიხს რომ გამოჰკვეთს, მსჯელობას ამგვარად აბოლოვებს:

– სოლომონ დოდაშვილი, პირველი ქართველი ინტელიგენტი, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, მეტად საყურადღებო პიროვნებაა და მის შესახებ ლაპარაკი კიდევ მოგვიხდება.

ეს დაპირება – „მის შესახებ ლაპარაკი კიდევ მოგვიხდებაო" – სხვა შემთხვევაში იქნებ სტატიადაც გვეგულისხმა, თუნდაც ვრცელ ნარკვევად, მაგრამ რაკიღა წარმატებით მოსინჯავდა ბიოგრაფიული რომანის ჟანრს და დიმიტრი ყიფიანის შემდგომ ილია ჭავჭავაძის ლანდი არ ასვენებდა, სოლომონ დოდაშვილის პიროვნებასა და ღვაწლზე მრავალწლიანი ფიქრიც, რა გასაკვირია, ბიოგრაფიული რომანისათვის მიენდო.

წრე იკვროდა.

დღეები იფერფლებოდა.

იკუმშებოდა შაგრენის ტყავი, ყველა სურვილი აპატარავებდა და აპატარავებდა და სულაც ხელში გაუქრებოდა არჩილ ჯორჯაძესაც.

... ქვეყანა თავის წესს ვერ გადაუხვევდა.

* * *

– ვგონებ საჭირო არ არის იმის თქმა, თუ რა გაფაციცებით ვეწაფები ყოველ ნომერს, სადაც კი არის თქვენი ფელეტონები ჩემი მამამთილის შესახებ. ვფიქრობ რა, რომ შემდეგში თუ უკეთესს

არა, ნაკლებ შთაბეჭდილებას ხომ არ მოახდენს ჩემზე, ვერ მომითმენია, რომ ეხლავე არ გითხრათ ის, რასაც ვგრძნობ, - მოსწერდა ნინო ყიფიანი 1912 წლის 20 იანვარს და მართლაც ადვილი მისახვედრია, რა გაფაციცებითაც დაეწაფებოდა „სახალხო გაზეთის“ ყოველ ნომერს და მონოგრაფიის ბეჭდვის დასრულებას აღარც დაელოდებოდა.

შინაც ეახლებოდა, მაგრამ შეუძლოდ გამხდარა, ერთ კვირას წოლილა, იმ დღეს წამომდგარა და გარეთ გასვლას ჯერ მოერიდებოდა.

ბარათის შედგენა ხომ მაინც იყო მის ხელთ და აღფრთოვანების სიტყვებს არ დაიშურებდა: ის ჩემთვის ღმერთკაცი თქვენი აღწერის წყალობით თანდათან უფრო ბუმბერაზად იქცევა ჩემს თვალში თავისი პიროვნებითო... ხშირად მომდის აღტაცების ცრემლი და იმ დროს რომ ახლოს იყოთ, მხურვალედ გადაგიკოცნიდით შუბლს, რომელიც სიყვარულით ცდილა და მგონი მიუღწევია კიდეც, რომ არ გამოჰპარვოდა არცერთი ნაკვთი დიმიტრის პიროვნებისაო...

არალიბერალისა და არარადიკალის პორტრეტი რომ იკვეთებოდა მონოგრაფიაში?

ისედაც მოეხსნება ყველას და ამ ფრაზის ქვეტექსტი ისედაც მიგვახვედრებს, რომ მაშინდელ საზოგადოებაში – არამარტო ჩვენში, რუსეთის იმპერიაშიც და მთელ ევროპაშიც - ძალიან მოდურია და დიდადაც ფასობს ლიბერალიზმი და რადიკალიზმი. არჩილ ჯორჯაძის ნაცვლად სხვას რომ მოეკიდა ხელი დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიული ქარგის აღსადგენად, ცდუნება წაძლევდა და გმირის პორტრეტს თანადროულ საზოგადოებრივ აზრსა და მოდას შეუფარდებდა, შეუფარდებდა და ლიბერალიზმისა და რადიკალიზმის ემბაზში ამოავლებდა. საერთო განწყობილებებს კი მოელამუნებოდა, მაგრამ რეალობას უნუგეშოდ დაშორდებოდა. მაგრამ იყო კი არჩილ ჯორჯაძე ის კაცი, სიმართლეს ოდნავ მაინც რომ გადაუხვევდა?!.

ნინო ყიფიანს სწორედ ეს აღიტაცებს, ფსიქოლოგიური პორტრეტი ასეთი სიზუსტით რომ გადაიშლება მკითხველის თვალწინ, და თუმც აშკარად ამჩნევს, თუ როგორ დაცილებია დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების წესი ამჟამინდელ პოლიტიკურ მისწრაფებებს, მასაც რეალური სურათის შენარჩუნება ურჩევნია და ერთგვარ ნიშნისმოგებასაც გამოურევს თანადროული საზოგადოებრივი მორალის მიმართ:

– ღმერთსა ვსთხოვ, რომ მთელი ჩემი ქვეყანა ისეთი არალიბერალებითა და არარადიკალებით გავსილიყვეს!

თან გულისფანცქალით მოელის, როგორი იქნება მკითხველის ერთიანი შთაბეჭდილება. მოწონებით რომ ძალიანაც მოიწონებენ, ეჭვიც არ ეპარება, მთავარია, შესაფერის გამოძახილად გადაიზარდოს, მნიშვნელოვანი ქმნილების გამოჩენას რომ უნდა ახლდეს ხოლმე წესითა და კანონით.

ღმერთს შესწირავდა მადლს, არჩილმა რომ მოჰკიდა ხელი და ასე მოულოდნელადაც დაამთავრა დიდი ხნის ნანატრი ბიოგრაფია.

თუ... შემთხვევის წყალობითაც მოხდა?..

შემთხვევის, რომელსაც იდუმალი კანონზომიერება განსაზღვრავს, და მაშ ისევ ღვთის ხელი გარეულიყო ამ განზრახვის აღსრულებაში.

„ზაკავკაზსკიე რეჩის“ მეთაურს წაიკითხავდითო, – ამასაც საგანგებოდ მოადევნებს, რადგანაც თვითონ ძალიან აუღელვებია იქ გამოთქმულ აზრებს და დარწმუნებულია, რომ არც არჩილი გადააატარებდა გულგრილად: ნადელების ფულიდან გამოღებული წვლილი კახეთის რკინიგზის აქციებს მოხმარდესო!

ხედავთ სადამდე მიდიანო? – აღშფოთებას ვერა ფარავდა, - ჩვენ ღმერთს ვეპოტინებით, იქნებ როგორმე გამოვართვათ ეს ფული და ათასგვარ გაჭირვებულ საქმეს რაიმე ვუშველოთ, ესენი კი მომავალ რკინიგზას იმიტომ ამბობენ, რომ ის იმხელა ფული თავისებურად უნაყოფოდ გაფლანგონო.

არც ნინო ყიფიანს სჯეროდა ქართველთა ვაჭრობის უნარისა და იმ მეთაური სტატიის რჩევას ფულის გაწირვად ამიტომაც მიიჩნევდა. და „სახალხო გაზეთსა“ და არჩილს შეაჩერდებოდა იმედის თვალით, ეგაა, გული ეთანაღრებოდა, ვაითუ არც გამოეპასუხოს, ან, თუკი გამოეპასუხა, დაგვიანებითო. ამიტომაც გადააბამდა მონოგრაფიის ხოტბას ამ გულისტკივილს.

1913 წლის 2 თებერვალს აკაკი შანიძე შეეხმიანებოდა ბარათით. იმ წელს ამთავრებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსს და კიდეც დატოვებდნენ საპროფესოროდ მოსამზადებლად. ფშავი და ხევსურეთი უკვე მოევლო და დიდძალი დიალექტოლოგიური მასალისთვისაც მოეყარა თავი – ცალკე ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს აგროვებდა, ცალკე ენათმეცნიერული თვალსაზრისით აკვირდებოდა საქართველოს მთის კილოებს. ვაჟა-ფშაველაც გაეცნო ჩარგალში და თა-

ვისი მიზნები გადაეშალა. სხვათა შორის, აკაკი წერეთელი გერმანიის ქალაქ კენიგსბერგში გაეცნო პირადად. ეს გერმანულ ენაში გასაწაფად მიეველინებინათ იქ, ის პარიზიდან ბრუნდებოდა.

ეს ვითომდა შემთხვევითი შეხვედრებიც მიგვანიშნებს, თუ როგორ ცდილობს ახალგაზრდა კაცი, მთელი არსებით ჩაეფლოს თავისი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში და ის ბარათიც არჩილ ჯორჯაძესთან ამ სწრაფვის კიდევ ერთი დასტურია.

ქების შესხმა რა საჭიროაო, – უღრმესი მოკრძალებით მიმართავდა მისთვისაც რჩეულ მოვლენად აღიარებულ პიროვნებას: თქვენ ახლა არ გამოდიხართ სამწერლო ასპარეზზე და ეგეც რომ არ იყოს, ჩემი მოწონება ვის რას შემატებს ან დაწუნება ვის რას მოაკლებსო.

ღრმა მადლობა მაინც როგორ არ მოეხსენებინა იმ სიამოვნებისათვის, რასაც მისი სტატიების კითხვა განაცდევინებდა, განსაკუთრებით ეს მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანზე:

– გულახდილად უნდა გითხრათ, მხოლოდ ახლა გავიცანი თქვენი წერილების წყალობით. წრფელი გული, ნათელი აზრი, საღი და მიუდგომელი მსჯელობა, აი, რა მახარებს ყოველთვის თქვენს ნაწერებში. გმადლობთ, დიდად გმადლობთ!

„თქვენი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის მოსურნეო“ – არა ეპისტოლური ეტიკეტის აუცილებლობით მიაწერდა, არამედ იმ მღელვარე განცდით, რასაც ქართულ განათლებულ საზოგადოებაში იწვევდა არჩილ ჯორჯაძის სხეულის თვალდათვალ დნობა და მისი გადადება სასიკვდილოდ.

დღეგრძელობა კი არა, დათვლილი დღეები რჩებოდა...

6 თებერვალს ალექსანდრე წერეთლის ბარათიც შედგებოდა მის სახელზე, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის, ძველი მსოფლის ისტორიას რომ სწავლობდა და უახლესი ისტორიის გამორჩეული სახელები და მოვლენებიც არანაკლებ აღელვებდა. ამიტომაც არ გაუშვებდა ხელიდან „სახალხო გაზეთის“ ამ გულისშემძვრელ პუბლიკაციას – ზოგადეროვნული თალსაზრისითაც და პირწმინდად პროფესიული მიზნითაც, თუ როგორ უნდა გამოიკვეთოს ისტორიული პიროვნების სახება საზოგადოებრივი მოვლენების ფონზე, და როგორი თანაზომიერებით შეერწყას ღრმა ანალიტიზმი თხრობის მიმზიდველი მანერას.

– ჩვენი ეროვნული შემეცნების მოწამის დიმიტრი ყიფიანის პიროვნება თქვენი ძვირფასად დახასიათების შემდეგ ნათლად ირ-

კვეოდა ჩემთვის და ნათლად მიდგებოდა თვალწინ არაჩვეულებრივი ნებისყოფის, მთლიანის, გმირულის პიროვნების მქონე ადამიანი, რომლის მოწამებრივმა სიკვდილმა ისეთი დიდი როლი ითამაშა ჩვენს ეროვნულს შემეცნებაში.

ეს მონოგრაფია საბაბი აღმოჩნდებოდა ალექსანდრე წერეთლისათვის, რათა ახლა მაინც გაემჟღავნებინა: პირველად თქვენგან ვისწავლე ეროვნული საქმის სიყვარული თქვენი სამწერლო მოღვაწეობის გავლენით, და დღეს კი ის რწმენა უფრო განმიმტკიცდა და გამიძლიერდაო.

თავი ოცდამეთერთმეტე

„საქართველოს პრობლემა“ – ფიქრში

ნამეტანი ბევრს მუშაობსო, – გრიგოლ რობაქიძე შეწუხდებოდა, თუმც თქმით არაფერს ეტყოდა.

შემჩერებელს მაინც არა ჰგავდა. ცოტას ვერც ამჯერად იკმარებდა.

1912 წლის შემოდგომაა და რობაქიძე რუსეთში ბრუნდება. არჩილის უნახავად გამგზავრება კი არ უნდა. გამოეთხოვება და კიბეს რომ მოაწევს, ისევ შებრუნდება.

მექანიკურადო, – თვითონ ასე აღადგენს მაშინდელ განცდას.

ხელახლა აპირებს გამოთხოვებას და მიზეზს გუმანი კარნახობს:

– ალბათ უკანასკნელად თუ ვხედავდი.

მიუახლოვდება კარს, შეჩერდება და... აღარ შევა.

– უთუოდ იფიქრებდა, რომ მე მისი „ბოლო“ გავიფიქრე.

არჩილი ღრმა ფსიქოლოგია და შეუძლებელია გრიგოლ რობაქიძის შემობრუნების ნამდვილი მიზეზი გამოპარვოდა, იმის მიუხედავად, თუ რას მიკიბავ-მოკიბავდა სტუმარი, ამისათვის შემოვბრუნდიო.

ესეც მათი უკანასკნელი შეხვედრა.

სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა ბესლანიდან მოუწევდა:

„სიცოცხლე, აღსავსე შვენებითა და ტანჯვით გაჰფრინდა მარადისობის წიაღში. უდაბნოსებურმა სიცარიელემ მოიცვა ჩემი გული“.

სამშობლოში დაბრუნებული ძალიან დაინტერესდებოდა არჩილის სიცოცხლის ჩანავლებული დღეებით და ვის აღარ გამოჰკითხავდა, რას აკეთებდა, რას ამბობდაო. და დეტალებს რომ მოკრებდა, განსაკუთრებით ის ააღელვებდა, რომ სიკვდილის წინახანს არჩილი გერშენზონის გამოკვლევას კითხულობდა პეტრე ჩაადაევის შესახებ.

ცხადია, გრიგოლ რობაქიძე წამითაც არ გაივლებდა, რაც ხელში მოჰყვა, ის გადაიკითხა სულის მოსათქმელადო.

ყველაფერში ისედაც ღრმა სიმბოლოს ეძიებდა, ისედაც განზოგადებული მხარე უფრო აინტერესებდა ამა თუ იმ მოვლენისა და ამჯერად მით უფრო ჩაუკვირდებოდა ამ საქციელის ფარულ მოტივს და მის ამოხსნას: შესაძლოა იგიც ფიქრობდა „საქართველოს პრობლემის“ დაყენებას, – როგორც პეტრე ჩაადაევმა „რუსეთის პრობლემა“ დააყენაო.

იგივეობით რომ არა, რა მტკიცება სჭირდება და რობაქიძე ამასაც აღნიშნავდა, თუმც დასძენდა: თვითონ პრობლემის ერთგვარი გამონახვითო.

ჯერ ხომ ვარაუდად გამოთქვამს: შესაძლოაო.

და ეს „შესაძლოა“ მეორე წამსვე დაბეჯითებულ თვალსაზრისად გარდაესახება: სიკვდილს რომ ეცლია, ამ პრობლემას უთუოდ წამოაყენებდა, ამისათვის ტალანტიც ჰქონდა და სიყვარულიცო.

ექიმი ხშირად ურჩევდა და საყვედურსაც ჰკადრებდა: ეს კი კარგად იცი, შენი სიცოცხლე განსაცდელში რომ ვარდება, გულმოდგინედ წამლობ და ჩემს ყველა დარიგებას ასრულებ, მაგრამ საკმარისია ცოტა უკეთესობა დაგეტყოს, უკვე იმას ფიქრობ, რაზე დაიწყო მუშაობა. ფეხზეც არ წამომდგარხარ, ჯერაც სიცხეს გაძლევს საღამოობით და უკვე სიას ადგენ საჭირო წიგნების და მასალისა და მეგობრებს სთხოვ, ესა და ეს წიგნი მიშოვნეთ და ესა და ეს მასალა მოიტანეთო. მოითმინე, აცალე შენს ორგანიზმს გამაგრდეს და მერე შეუდექი ამეებსო, – მაგრამ მორჩილი პაციენტი უეცრად ურჯუკი ხდებოდა და რჩევა-საყვედურს ყურსაც აღარ ათხოვებდა.

პასუხად ეს ჰქონდა:

– თუ ვცხოვრობ, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიმუშავო და რამე დავსწერო, ამის მეტი დაავადებულს არავითარი ინტერესი აღარა მაქვს ცხოვრებისა და თუ ესეც მომესპო, მაშინ სიცოცხლე რათ მინდა, თუკი ჩემს თავს ზედმეტ ბარგად ვიგრძნობ.

მაშინ რა ეღონა, განძრევაც რომ უჭირდა, თორემ ახლა ერთ დღესაც რა გააცდენინებდა.

ექიმიც შეგუებული გახლდათ და სხვას რას სთხოვდა: ცოტა მაინც მომაგრდიო.

არადა, რა ექიმი და რა სხვანი – მეცადინეობას, წერას, კითხვას ჩამოეხსენი და სადმე გაემგზავრე ჯანის მოსაკრებად, რათა შემდეგ უფრო კარგად შეძლო მუშაობაო.

ეს რჩევა რომ მიმეღო და ამ გზაზე დავმდგარიყავი, მთელი ჩემი სიცოცხლე ჯანმრთელობისათვის უნდა შემეწირაო, – შესჩიოდა ილია ნაკაშიძეს, – ისეთი ავადმყოფობა მჭირს, რომელსაც მუდამდღე წამლობა და დასვენება სჭირია. როცა ვეუბნები მრჩევლებს, რომელთა შორის ზოგიერთები მხოლოდ თავის კუჭს აღმერთებენ და ემსახურებიან, რომ უწიგნოდ, უსანერკალმოდ და უმუშაოდ ცხოვრება არ შემიძლიან, ბევრს ჩემი სიტყვები არ ესმის. რა სასარგებლოა ჩემთვის მუდამ ჟამს სხეულის ჯანმრთელობაზე ვიბრძოლო და სული, სხეულის ლამპარი, სიბნელესა და უძრაობაში დავტოვო. მოკლე სულიერი ცხოვრება სჯობია სხეულის ხანგრძლივ სიცოცხლესო.

თავისი ფსიქიკური წყობით, შინაგანი კონსტიტუციით სხვა პიროვნებაა, ვიდრე იაკობ გოგებაშვილი, თორემ იქნებ მასავით შეიძლებოდა თავგადაკლული შრომა-გარჯის მორიგება სნეულებასთან, შეუპოვარი სულისა დაუძლურებულ სხეულთან...

აქ რევოლუციურ, იატაკქვეშა მოღვაწეობასაც უნდა ჰქონდეს თავისი მნიშვნელობა – გამუდმებულ თვალთვალსა და – მის ასარიდებლად – კონსპირაციის აუცილებლობას, რაც არ განებებს ყოველდღიური რეჟიმის მკაცრ დაცვას.

საერთო განწყობილება ნიჰილიზმისა და აპათიისა საერთო განწყობილებად, თანაც მხოლოდ ჩვენში ხომ არა, უუფლებო გარემო, თვით ევროპასა და მის ძლევამოსილ სახელმწიფოებშიც.

ისედაც გაუგებრობით გადატვირთულა ადამიანის ყოფნა ამ წუთისოფელში, ჩვენი გარჯა და შრომა მოყვასის კეთილდღეობისათვის და მწვავედ შევიგრძნობთ სულიერ მარტოობა-მიუსაფრობას?

და, მითუმეტეს, რა უნდა დაემართოს სნეული პიროვნების სიმხნევესა და სიმტკიცეს, მოჭარბებულიც რომ ჰქონდეს ეს თვისებანი, თანდათან ხომ დაეშრიტება დაუსრულებელ გაუგებრობათა შემყურეს და კიდევ უფრო უმწეოდ შერჩება პირისპირ მკაცრ სინამდვილეს.

არჩილ ჯორჯაძეს იმთავითვე, ადრეული სიჭაბუკიდანვე რომ ეძია ჭეშმარიტი – და არა მოჩვენებითი – გამოსავალი, იმ მრწამსამდე მივიდოდა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავაღწიოთ თავი იმ აზრსა და სურვილს, თითქოს ჩვენი სიცოცხლის მიზანი, გინდა თუ არა, სრული ბედნიერება და სრული ცოდნა იყოსო.

გვეკმარა ეს სიხარული, რომელსაც, რაც გინდა გეთქვა, მაინც გვაწვდიდა ეს ჩვენი გაუგებარი სიცოცხლე.

დავჯერებოდით მისწრაფებასა და არა მიღწევას, ინტელექტუალურ სიამოვნებას, რაც გულისხმობდა ყველაფრის გაგებისა და უკანასკნელ საგნამდე მიღწევის წყურვილს, ოღონდ სასო არ უნდა წარგვკვეთოდა, წყურვილი თუ დაუშიშმინებელი დაგვრჩებოდა, მთავარია გაგვეძლიერებინა გრძნობა ადამიანის სიცოცხლის ერთობისა და განუყრელობისა მხოლოდ სიცოცხლესთან და შევჩვეოდით იმ აზრს, რომ ამ კოსმიური გრძნობით ადამიანი ეზიარებოდა იმ დიდ „საკრებულოს", რომელსაც სამყარო ჰქვია.

ამ საკრებულოსთან გაერთიანება გაგვიქარწყლებდა მარტოობის განცდასაც და მოყვასის კეთილდღეობისათვის ზრუნვაც აღარ მოგვეჩვენებოდა ამაო გარჯად.

სიცოცხლეს რომ ებღაუჭებოდა, ეს აეხსნათ, მაგრამ ადამიანისათვის ასეთი თავგამოდება მის ბედში მყოფი პიროვნებისათვის გაუგებარი ჩანდა და, თვითონაც რომ არიგებდნენ ჭკუას და ერთმანეთშიც ტუტუნ-ჩურჩულებდნენ, მიხვედრით მაინც ვერ მიმხვდარიყვნენ, რა უნარჩუნებდა ასერიგად სულიერ ძალ-ღონეს, რა ჰკვებავდა მის დავრდომილ სხეულს და რა ათამამებდა ასე ძალიან, მაინცდამაინც ყველაზე რთულ თემებს რომ მისტანებოდა.

ისეც განუმარტავდათ, პირადი საუბრებისას, მაგრამ ლიტერატურული ფორმის მინიჭებაც აუცილებელი გახლდათ ამ მრწამსისათვის, მისი სულიერი სიმტკიცის ქვაკუთხედად რომ მოჩანს და იმ შეგონებად, საკუთარი ტანჯული ყოფით რომ დაედასტურებინა, თორემ მასობრივ ადამიანზე გაანგარიშებული თეორიული სენტენციები ნაკლებად წვდება სულდიდი ქმნილების გულს, თუ მწერლის ბიოგრაფიიდანაც არ ამოზრდილა.

* * *

ილია ნაკაშიძეს როგორც კი სევდა შემოაწვებოდა გულზე, მაშინვე არჩილთან გარბოდა და შინ ყოველთვის ნუგეშცემული ბრუნდებოდა.

მაშინაც, არჩილ ჯორჯაძისათვის უკანასკნელი ტფილისური ზამთარი რომ აღმოჩნდებოდა.

განსაკუთრებით მაინც რელიგიაზე საუბარი უყვარდა მასთან და ამ დროს ყველაზე მკაფიოდ გრძნობდა, თუ როგორ განირჩეოდა მასპინძელი ბევრი თანამემამულისაგან, რომელნიც ერთი წკიპურტით ანგრევდნენ ცხოვრების ამ უდიდეს მოვლენას – რელიგი-

ას – და არც კი გრძნობდნენ, რომ ამ ნანგრევებქვეშ მოქცეული მათი გრძნობა და ფიქრი საკუთარ სამარეს ჰპოვებდა და საუკუნო ძილით განისვენებდა.

თვისტომთა დარღვეულ ცნობიერებასა და ფსიქიკას რომ შეჰყურებდა, ლევ ტოლსტოის სიტყვები აგონდებოდა ილია ნაკაშიძეს, როგორც შეუმცდარი ჭეშმარიტება: ყალბი რელიგიის მოციქულებმა თავიანთი ტლანქი თითებით ისე დაჩხვლიტეს ბავშვობიდანვე ადამიანის სული, რომ იგი ბოლოსდაბოლოს წარმოადგენს რაღაც საცერის მსგავსს, სადაც ვერავითარი რელიგია ვერ დამაგრდებაო, – და თუმც თვითონ სიტყვები მართლაც უცდომელი ჭეშმარიტების გამომხატველია, და საკმაოდ დაწურული და ექსპრესიული, თვითონ ტოლსტოის რელიგიური ძიებანი შეფასდებოდა სწორედ ასევე: სიყალბის მოციქულობად და იმ საცერად, რომელზეც ვერაფერი ვერ მაგრდებოდა.

აკი ვერც დამაგრდა.

არჩილი საცრისაგან აღარც განარჩევდა ტოლსტოის მოძღვრებას.

ილია ნაკაშიძე კი ისე ჩავიდოდა სამარეში, ოდნავადაც არ დაეჭვდებოდა, ჭეშმარიტი რელიგია ტოლსტოიმ წარმომისახა თვალნინო.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

ილია ნაკაშიძეც ნეტარ იყო...

* * *

როგორ დასუსტებულხარო, – შებედავდა ნინო ყიფიანი, – როგორ გაზარალა ამ უდიერმა შრომამო.

ის კი:

– რა ვუყოთ მერე, მაშ რად მინდა სიცოცხლე თუ არა ამისათვის, რომ ვიშრომო, აი, ერთი ილიას ბიოგრაფიაც დავსწერო და მერე აღარას ვინაღვლი.

ჯერ სანაღვლელი აქვს.

ეს ბიოგრაფია ჯერ შესაქმნელია.

ჯერაც და...

დასვენება გჭირდება, ბათუმში წასვლაო, – არ მოეშვება.

– დიახ, ძალიან კარგი იქნებოდა და ექიმიც მირჩევს, მაგრამ მაგას ხარჯი უნდა. ჩემი ამხანაგები ბევრს ამაგს მდებენ და ეხლაც

ცდილობენ. თუ მომიხერხდა წასვლა, ვიცი, ძალიან მომიხდება და მოვლონიერდები.

მოლონიერდება... მოლონიერდეს იმიტომ, რომ ილიას ბიოგრაფიას რომ ჩაუჯდეს – მოაღავოს ოთახში ფურცლები, შეეჭმევინოს მათ სუნს, ხან გულაღმა წეროს, ხან ღამით წამოიჭრას და შეწყვეტილი პასაჟი განაგრძოს.

ექიმიც მირჩევსო...

ურჩევდა, აბა, რა იქნებოდა – ტფილისში შენი დარჩენა აღარ შეიძლება, სასტუმროს ერთ ოთახში ხარ გამომწყვდეული და წმინდა ჰაერით ვერ სარგებლობ, აუცილებლად ბათუმში უნდა წახვიდეო. უარზე დადგებოდა არჩილი: ჯერ კიდევ არა მიშავს რა, ჩემი დღეები ჯერ კიდევ არ არის დათვლილიო.

რისი თქმაც იმასთან მოერიდებოდა, ქალს გამოუტყდებოდა: თუ მომიხერხდა, ჩემთვის თავგამოდებულმა მეგობრებმა ამჯერადაც თუ მისაშველესო.

ნინო ყიფიანს გულში გაჰკრავდა, მგონი მივაგენი გზასო, მაგრამ იმ წუთას თქმას ვერ გაუბედავდა და ცდით კი შეეცდებოდა.

იმ საღამოს დეპუტატთა მარშალთა კრება დანიშნულიყო და, არჩილის მდგომარეობას რომ ამცნობდათ, სთხოვდათ, იქნებ სამკურნალო თანხა შეუგროვდესო. მეორე დღეს მდივანი ილია ზურაბიშვილი სიხარულით მოახსენებდა, კრებამ დიდი თანაგრძნობით გადაწყვიტა არჩილისათვის 500 მანეთის გამოყოფა, და იმავე დღესვე გადასცემდა ამ ფულს ნინოს, ვინც მაშინვე სასტუმროსაკენ გაეშურებოდა.

არჩილის ნაცვლად სხვა რომ ყოფილიყო, ოთახში შესვლისთანავე სიხარულით გადაუშლიდა ამ თანხას: ხვალვე გაუდექი ბათუმის გზასო, მაგრამ ამ პიროვნებასთან ასე მოქცევა არ შეიძლებოდა, საქმე სულ წახდებოდა, და შორიდან ამიტომაც მოუვლიდა.

რას იტყვი, თავადაზნაურობას რომ ვთხოვოთ დახმარებაო.

ლმობიერი უარით აირიდებდა:

– ეგ შეუძლებელია! მიტომ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე იმათ კიცხვაში ვიყავი და რა ნება მაქვს იმათი ფული მოვიხმარო. არა, ისევ სხვანაირად როგორმე მოვახერხებ, როგორც აქამდინ.

განა რას კიცხავდა ამისთანას, კიცხვაც და მუქარაც ის იყო, სოციალ-დემოკრატია რასაც ახორციელებდა მიზანდასახულად, ლაფში სვრიდა თავადაზნაურობის სახელს და მათ მოსპობა-გასა-

ნადგურებლად მოუწოდებდა გონებაარეულ ადამიანებს, მიწიერ სამოთხეში შესვლის აუცილებელ წინაპირობად უსახავდა ამ განადგურებას, თვითონ კი იმათი ქონების დაპატრობას ოცნებობდა. მანამდე კი ოღონდ რაიმე გამოეცინცლათ მუქარით თუ თავის შებრალებით.

არჩილ ჯორჯაძე სწორედ საპირისპირო პოლუსია, მისი მორალი ვერ ჰგუობს ძალადობას, ვერ ჰგუობს ერთი ნოდების მოსპობას მეორის საკეთილდღეოდ, ვერ ჰგუობს მონყალებას ყველასაგან.

მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია?

დაე ისევ სხვაგვარად, როგორც მანამდე.

ლმობიერი კილო ლმობიერ კილოდ, მაგრამ გუმანი უკარნახებს, ნინო ყიფიანი მომავალ მოქმედებაზე კი არ გელაპარაკება, უკვე გადაწყვეტილ საქმეს გამცნობსო, და მისი ტონის შეცვლა ქალს სახტად დატოვებს.

– უეცრად შევკრთი, დამნაშავე მოწაფის უფროსისადმი შიში ვიგრძენ. ამ შეშინებაზე შემრცხვა კიდეც ჩემი თავისა. მხოლოდ მაშინ დავუკვირდი, თუ მის სათნო ხასიათს როგორი მკაცრი ძალაც თან ახლდა, როდესაც რამე მის თავმოყვარეობას შეეხებოდა.

ღრმა ფსიქოლოგიური დეტალია.

თითქოს რა – ერთ წუთში შეეცვალა კილო არჩილ ჯორჯაძეს, მაგრამ ეს ცვლილება რელიეფურად წარმოსახავს მის პიროვნულ ბუნებას. სხვა რომც არაფერი გვეპყრას ხელთ მისი ხასიათის შესაცნობად, ეს პასაჟი მიგვახვედრებდა მისი ბუნების სისპეტაკეს და ეს კი მემუარისტის ბელეტრისტული უნარია, რომ არც იმ წუთას გამორჩა ეს მეტყველი დეტალი და არც თხრობისას გამოტოვა, როგორც თითქოსდა ნაკლებმნიშვნელოვანი.

თავმოყვარეობა ისედაც უამრავი ადამიანის სამყოფი აქვს და სნეულებას კიდევ უფრო გაუმძაფრებია.

ალღომ ხომ სიფრთხილე და შორიდან მოვლა უკარნახა ნინო ყიფიანს, არჩილის ეს გამძაფრებული თავმოყვარეობა მაინც ვერ ჩააშოშმინა. და ქალს მთელი თავისი დიპლომატიური ხელოვნების მოხმობა სჭირდება, რათა ნაამაგარი თანხა ფუჭად არ დარჩეს. ხელოვნება კი აქ ისაა, რომ ბუნებრივად შეუზავდეს ერთმანეთს საყვედური და თხოვნა, და აგრძნობინოს, უარის თქმა სხვათა თავმოყვარეობას შელახავსო.

თუ სიტყვას მარჯვედ ვერ მოუჭრიდა, ფულის გადაცემის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა და: უსამართლოდ იქცევითო, – პირდაპირ

მიახლიდა, – თქვენ კი იცით, რომ ფული იმ ბანკის მოგებაა, დიმიტრი ყიფიანმა რომ დააარსა, მისი ბიოგრაფიის დაწერამ კი თქვენ ასე გაზარალათ. ისიც კარგად მოგეხსენებათ მისი ნაწერებიდან, თუ რა მიზნით შექმნა ბანკი და განა თქვენ, ასეთმა საზოგადო მოღვაწემ, იმ ბანკის მოგების თანხა რომ მოიხმაროთ, თქვენი აზრების საწინააღმდეგო იქნება? რა შუაში არიან აქ თავადაზნაურები, როგორც ასეთნი? მათ ხომ მარტო განაწილება აბარიათ ამ ფულისა და თვითონ ისინიც ვიწრო კლასობრივ ფარგლებში არ იყენებენ ამ დახმარებასაო.

გონივრული საბუთებია, ადვილად რომ ვერ გააბათილებ, მაგრამ თუკი არჩილი მაინც მოინდომებს შემოკამათებას, ეს მსჯელობა ისეთმა არგუმენტმა უნდა დააბოლოვოს, რომ ოდნავი საორჭოფოც მოისპოს:

– თქვენს შესახებაც ერთსულოვანი აზრი გამოსთქვეს თქვენი დახმარებისათვის. თქვენ სცოდავთ იმათი წრფელი გულის წინაშე ამ შემთხვევაში, ვინაიდან ისინიც სრულ უფლებას განიჭებენ მათგან დახმარების მიღებაში. თქვენი უარი საწყენია, შეურაცხმყოფელია მათთვის.

რაო, წრფელი გულის წინაშეო?

და არჩილის ხმის კილო ისევ მოლბება და სინანულიც გაიელვებს, რატომ ავჩქარდი, იმ ადამიანთა გულის სიწრფელე რატომ არ გავითვალისწინეო.

– მე არავისი წყენა და მეტადრე შეურაცხყოფა არ მინდოდა, მადლობის მეტი რა მეთქმის და რომ შემეძლოს, პირადადაც ვეტყოდი ამ მადლობას ჩემი თანაგრძნობის გულისათვის!

აბა, ნინო ყიფიანი არ მდგარიყო მის წინაშე, სხვა ყოფილიყო, იმასავით ალალი, მაგრამ ნაკლებ გამოცდილი დიპლომატიურ საუბარსა და დამარწმუნებელი არგუმენტების მოშველიებაში.

– ამ ლაპარაკის დროს მთლად გადმოიშალა კეთილი, ნაზი და ჩვილი გული არჩილისა, მოყვასისადმი განურჩეველი მისი სიყვარული. მისი დაავადებული სხეული დაემორჩილა ამ თანდაყოლილ თვისებებს, და ამ დროს მას მხედველობაში აღარა ჰყავდა თავადაზნაურნი, ლაპარაკობდა როგორც კერძო პირებზე...

მოტყდა, აშკარაა, მაგრამ დარწმუნებითაც არ დაპირდება:

– ვნახოთ, კიდევ ვნახოთ.

სტუმარი კმაყოფილი წამოვიდოდა, გამოთხოვებისას გაიფიქრებდა: ფულს არჩილის ახლობელს, ექიმ გეგე მაღალაშვილს გა-

დავცემ, ის კი შეძლებს საკმაოდ შემზადებული საქმე კარგად მოათავოს და ეს თანხაც დაუტოვოსო.

ექიმი ნინო ყიფიანის იმედს სავსებით გაამართლებდა, არჩილს დაარწმუნებდა: დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის დაწერისათვის ეს 500 მანეთი ჯილდოდ დაგინიშნესო, – და კიდეც დაიყაბულებდა.

მადლობის წერილს რომ მისწერდა თავისი მაზრის მარშალს, ის მოინდომებდა პირადადაც მოენახულებინა, მაგრამ გადაიფიქრებდა, რაკიღა ამცნობდნენ, ძალიან დასუსტებულია და ლაპარაკმა შესაძლოა ააღელვოსო. ამიტომაც საპასუხო ბარათს იკმარებდა.

ეს თავგადასავალი ფულის მოპოვების და არჩილისათვის გადაცემისა ბოლოს მაინც ამაოდ ჩაივლიდა და ნინო ყიფიანი ამ მოვლენაში მის ზოგად მხარეს ჩაუკვირდებოდა: რატომ ხდება, რომ მეტწილად დაგვიანებულია ადამიანთა ცხოვრებაში ყოველი კეთილი საქმის დროზე ხელის მიტანებაო.

უმეტესი ნაწილი ამ თანხისა არჩილის დამარხვას მოუნდებოდა.

და არჩილს ისე ვერასოდეს გაიხსენებდა, რომ ფულის ეს დრამატული ბედიც არ წამოჰგონებოდა და ყოველთვის მწარე სინანული არ განეცადა.

ჯერ კი ბათუმში ისტუმრებდნენ და მეგობრებს არასოდეს ამოეშლებოდათ წარმოსახვიდან მისი ბავშვური სიხარული, როდესაც ტანისამოსსა და სხვა საჭირო ნივთებს ყიდულობდნენ მისთვის.

დიდი იმედით მიემგზავრებოდა.

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ შალვა მიქელაძეს შესჩივლებდა: ცუდად არის ჩემი საქმე, ამ ღამეს ველარ გავატანო.

ექიმისათვის შუაღამისას ეცნობებინათ, საჩქაროა შენი მოსვლაო, და ისიც სასტუმროს რომ მიაშურებდა, თვალწინ საშინელი სურათი გადაეშლებოდა: არჩილს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, პირი გაეღო, ნესტოები გაფართოებოდა და ძალიან ხრიალებდა. ექიმს იგი შეშინებული არასოდეს ენახა, იცოდა, რაც სჭირდა, განუკურნებელი იყო, და შეგუებოდა იმ აზრს, ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ დამრჩენიაო. იმ ღამეს კი თითქოს ეს სიმტკიცე გაიბზარებოდა, თითქოს იმიტომ, კვლავაც სტოიციზმს შეინარჩუნებდა, მაგრამ იმ წუთას ექიმს რომ ამოსძახებდა: ამ ღამეს ველარ გავატანო, – შეშინებული მოეჩვენებოდა.

რა აუცილებელია ამ წუთის აღბეჭდვაც მისი ცხოვრების ქრონიკაში?

ჩაიკარგოს და ჩაიკარგოს მემუარულ ჩანაწერში?

ასე ადვილად ვერაფერს გავატანთ ქარს, რაც მისი ბიოგრაფიის ნაწილია. და ეს წუთი რომ არსებობს, ამიტომაც გჯერა მისი სულიერი სიმტკიცე – არა მოჩვენებითი, გარეგნული, არამედ გულისგულში გამოტარებული. შეუძლებელია ამგვარ წუთს არ ამოეჩინა თავი, როდისმე შიშს ერთბაშად არ დაერია ხელი მისთვის, იესო მაცხოვრისა არ იყოს, ამქვეყნიური სიცოცხლის მიწურულს ზეციურ მამას რომ შეღაღადებდა: რაისთვის დამიტევეო. სახარების შემოქმედთათვის ეს ის აუცილებელი წუთი და აუცილებელი ფრაზაა, ფსიქოლოგიურად ასეთი სარწმუნო და ეჭვშეუვალი, რომ მისი მიჩუმათება არაფრისდიდებით არ შეიძლება. ამ „გაბზარვაში“ დიდი სიმართლე ძევს – აუცილებელი რეალია იესო ქრისტეს ბიოგრაფიაში და მრავლისმეტყველი მისი რჯულის აღმსარებელთათვის. როგორც უნდა იყოს მიჯაჭვული ზეცას და მალე მშობლიურ წიაღს უბრუნდებოდეს, გაუსაძლისმა ტკივილმა და ამაოების შეგრძნებამ ეს ისტორიული ფრაზაც უნდა დააცდენინოს, და ამის შემდეგ ნუღარასოდეს იკითხავ, არის თუ არა საჭირო ამგვარი დეტალების მოფრთხილება და შემონახვა.

უამისოდ ხელთ მკრთალი ანარეკლი შეგვრჩება დიდი სულიერი დრამისა.

მართლაც საშიშ ყოფაში იყო და ჰაერი იმიტომ არა ჰყოფნიდა, ფილტვები თითქმის აღარ გააჩნდაო, – ექიმმა, ვინც საჩქაროდ გაგზავნიდა ვიღაცას ჟანგბადის მოსატანად.

ამ დროს გრიგოლ რცხილაძეც მოვარდებოდა.

როგორც კი შეიტყობდა, ცუდად შეიქნაო, მაშინვე სასტუმროსაკენ გამოქანდებოდა. არჩილს შეეტყობოდა, მისი მოსვლა ძალიან რომ გაახარებდა, მაგრამ სუნთქვით კვლავ საშინელი გაჭირვებით სუნთქავდა.

ექიმი ამშვიდებდა, თუმც თვითონვეც ეშინოდა.

ჟანგბადი მოახედებდა, სულის მოთქმას დააცდიდა, სახეც დაუმშვიდდებოდა და მიხვდებოდნენ: ეს საშინელი ღამეც გადატანილიაო.

ამ დღიდან იყო, ბათუმს არჩილიც რომ დაიჟინებდა.

ექიმი აქამდე თუ თვითონ ურჩევდა იქ გამგზავრებას, ახლა შეეცდებოდა გადაეფიქრებინა, გზაში არაფერი მოუვიდესო, მაგრამ არჩილი თუ რაიმეს გადაწყვეტდა, ვერაფერი გადაათქმევინებდა.

რაკილა ასე წაეწყო ეს ამბები, ექიმი გამგზავრების დღეს მაინც შეურჩევდა: სჯობს თბილი ამინდი იყოსო.

* * *

– შალვა, შენ ხანდახან მეტისმეტი იცი, აბა, რა მიშავს, რომ ნებისად მწოლარემ ოდნავ გადავავლო თვალი, აი, თუნდ ჩაადაევსა.

გერშენზონის წიგნს გულისხმობდა – „პეტრე ჩაადაევის ცხოვრება და აზროვნება“, და ამ წიგნის წაკითხვის ასეთ წადილში მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძე თავისებურ სიმბოლიკას ამოიკითხავდა.

თითქოს რა ნეტარი გარემოა, არა?

ნებისად მწოლარემო.

თვალი გადავავლოო.

მაგრამ შალვა მიქელაძეს კარგად მოეხსენებოდა, რა ნებისად წოლა და თვალის გადავლებაც იგულისხმებოდა: მაშინაც კი ძალით გართმევთ ხელიდან წიგნს, ხელოვნური სუნთქვით ძლივს რომ გიბრუნებთ სულსო.

თავი ოცდამეთორმეტე

„ჩვენ სულ სხვა პირობებში დავიწყეთ მუშაობა“

ის დილა მართლაც თბილი და კამკამა იქნებოდა.

ის დილა – გამგზავრებისა და უკან ველარ დაბრუნების.

შეფუთნიდნენ, შეახვევდნენ და სიფრთხილით წაიყვანდნენ სადგურისაკენ.

არისტო ჭუმბაძეს – ვისაც მიანდობდნენ სნეულს – გონებიდან რა ამოუშლიდა ან იმ წუთებს, ან მგზავრობას ბათუმისაკენ.

თითქოს გამოცოცხლდებოდა, თვალები გაუნათდებოდა. პირველი კლასის ცალკე კუპეს დაუქირავებდნენ, ექიმის მზრუნველი ხელი რბილად დაუგებდა და დააწვენდა და არჩილიც ჩვეულებრივი მშვიდი და ღრმა მზერით მოათვალიერებდა ამხანაგ-მეგობრებს, გარს რომ შემოხვეოდნენ. ალაპარაკდებოდა კიდეც, მაგრამ, აი, ჩამოჰკრავდა მეორე ზარი, მეგობრები გამოეთხოვებოდნენ და მალე დაბრუნებას უსურვებდნენ.

არჩილს აღელვება დაეტყობოდა მათი გასვლისთანავე, პირს იბრუნებდა და ერთხანს რაღაცას იჩურჩულებდა, უხმოდ, თავისთვის.

რა სურდა, რას ამბობდა?

არისტო ჭუმბაძე არ ჩაეკითხებოდა, ვაითუ უფრო აღელდესო.

მატარებელი მოსცილდებოდა სადგურს.

არჩილი უძრავად იწვებოდა, თვალდახუჭული, მიბნედილი, თითქოს სძინავსო, მაგრამ არა, მხოლოდ გაყუჩებულიყო.

უეცრად თავს წამოსწევს, წამოწითლდება, ცხვირის ნესტოები ოფლით დაეწინწკლება და აუტყდება დაჟინებული ხველა.

ეს დეტალებიც როგორ დამახსოვრებია მემუარისტს.

წამსვე იქ გაჩნდებოდა მისი ერთგული მომვლელი, ახალგაზრდა მსახური შალიკო და მიეშველებოდა. როცა ხველება ჩაუცხრებოდა, ოფლს დაასხამდა და კვლავ მიყუჩდებოდა, წაუძინებდა კი-

დეც და ეს ცოტა სიმხნევეს შემატებდა, თავისით წამოიწევდა სავარძელზე და არისტოს ჰკითხავდა:

– მოგეწყინა განა?

ის იუარებდა.

– ნეტავ რომელი სადგურია?

გორს უახლოვდებოდნენ.

– ეცადე, არ მოიწყინო, ჯერ კიდევ შორსაა ჩვენი აღთქმის ქვეყანა, – და აღტაცებული მოჰყვებოდა ბათუმის აღწერასა და ქებას.

თანამოსაუბრე მიუხვდებოდა, მტკიცედ სწამს ამ ქალაქის მკურნალი ჯადოსიო, და თვითონაც ერთიორად გაამსხვილებდა მის ნათქვამს შესაფერისი დასტურით, თან ეხვეწებოდა, ცოტა ილაპარაკე, ასეთ აღტაცებას მალე რეაქცია მოჰყვებაო. ვერ დაიყოლიებდა. და როდესაც ლაპარაკს მორჩებოდა არჩილი, ეს გარეთ გამოვიდოდა, რათა საბაბი აღარ მიეცა საუბრის კვლავ განახლებისა.

არისტოს გამოსვლა იქნებოდა ტალანში და... ის გამოაძვრენდა „ჩაადაევს“ და გულდასმით ჩააცქერდებოდა.

უბეში დაემალა, ექიმს რომ არ წაერთმია გამოცილებისას.

იმას კი ტალანში ხველება შემოესმოდა თუ არა, კუპეში შებრუნდებოდა და არჩილი სუნთქვაშეფერხებული დახვდებოდა. მიაწოდებდა ჟანგბადის ბალიშს და რის ვაივაგლახით მოასულიერებდა.

სინანულს გამოთქვამდა არჩილი:

– სულმა წამძლია, ვეღარ მოვითმინე.

თანამგზავრი გამოართმევდა წიგნს და ჩემოდანში ჩაკეტავდა, მაგრამ გვიანღა იყო – წუთი წუთზე უარესად ხდებოდა. რაც უფრო მიუახლოვდებოდნენ ბათუმს, მით მეტი მოუთმენლობა შეიპყრობდა, თან მგზავრობასაც ადვილად მოეღალა.

გვირაბს რომ გასცდებოდნენ, მზე უკვე დაიწურებოდა, მოლითის სადგურზე კვლავ მომჯობინდებოდა, თვალგაშტერებული შეაცქერდებოდა დათოვლილი მთების კალთებს და თვალებსაც თითქოს ღიმილი გაუცისკროვნებდა.

ეს სიამის წუთიც ჩაშხამდებოდა.

ასე თანამგზავრი აღიქვამს, თორემ არჩილ ჯორჯაძეს ძალზე სასიამოვნოდაც დაურჩებოდა.

ამისთანა მაინც რა მოხდა?

კუპის კარი უეცრად უნდა გაღებულიყო და შემოსულიყო უცნობი ახალგაზრდა, როგორც შემდეგ გაირკვეოდა – იქაური სოფ-

ლის მასწავლებელი, ვინც ათრთოლებული, თითქმის აკანკალებული მიუახლოვდებოდა არჩილს და აღელვებისაგან ძლივძლიობით წარმოთქვამდა:

– მაპატიეთ, გავიგე, რომ აქ ბრძანდებოდით და ვეღარ მოვითმინე... მინდოდა მენახა ის ადამიანი, რომელიც... რომელმაც სამშობლოს...

აიბნეოდა, სიტყვის გაგრძელებას ვეღარ მოახერხებდა, მერე უეცრად დაიხრებოდა და ხელზე მოუნდომებდა კოცნას არჩილს, მაგრამ იგი, ცხადია, ხელს წაართმევდა.

ვინ ახსნის იმ საიდუმლოებას, რომელიც მაშინ კრთოდა ღვთისნიერი მომაკვდავის თვალებში, – ამ ეპიზოდის ყველაზე მძაფრ განცდად ისევ და ისევ არჩილ ჯორჯაძის თვალები შემორჩებოდა მის თანამგზავრს, ვინც იმასაც იგრძნობდა, რომ ეს შემთხვევა პირამდე აავსებდა ფიალას. ჩაშხამდაო – აკი ამიტომაც დაცდებოდა. მას შემდეგ არჩილს აღარ მოუსვენია. სამტრედიის სადგურში ისევ ცუდად შეიქნებოდა, ეს შესთავაზებდა, ამ ღამით აქ ხომ არ დავრჩეთო.

არჩილი ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა.

– ან ბათუმი ან აქ, ამ ვაგონში სიკვდილი.

რა ჩარა იყო, ისევ არისტო ჭუმბაძე უნდა დამორჩილებოდა.

ბათუმს შუაღამისას მიატანდნენ და, როდესაც იქაურ ამხანაგებს დაინახავდა, სადგურში რომ ელოდებოდნენ, თითქოს მოცოცხლდებოდა, თავს შეიმაგრებდა და ხუმრობით მიმართავდა სიმონ მდივანს:

– ექიმი რომ გამოგიყოლებია, ავად ხომ არა ხარ?

დამხვდურთა შორის ექიმი კონდრატე მხეიძეც იმყოფებოდა და იმიტომ.

სასტუმრო „ფრანციაში“ დააბინავებდნენ.

იმ ღამით მოსვენებით იქნებოდა, მეორე დღეს კი ისეთი დარი დადგებოდა, მისი ფართო ოთახი მთლად მოვარაყებული სხივებით გადაივსებოდა.

ესეც გამოუკეთებდა გუნებას – იღიმებოდა, სახესა და თვალებში სიცოცხლის იერი უთამაშებდა. მსახურიც თვითონ ურჩევდა: ასე და ასე დაალაგე ოთახში ავეჯი და ნივთებიო.

იქ მყოფნი ისე გაიხარებდნენ, და ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ, როგორი ხალისით ეკიდება ახალ ბინასა და ახალ ცხოვრებასო.

რაკი მგზავრობა კეთილად დაგვირგვინდა, არისტო იმ დღესვე დააპირებდა გამობრუნებას და არჩილიც აღარაფერს ეტყოდა – ისედაც არ მოაკლდებოდა იქაური ამხანაგების მზრუნველობა.

გამოთხოვებისას დააბარებდა:

– გადაეცი შალვას, რომ უეჭველად გამომიგზავნოს მასალები. ამ ორ კვირაში დავისვენებ და მერე კი მუშაობას უნდა შევუდგე.

მასალები მონოგრაფიისათვის ილია ჭავჭავაძეზე.

ეს აღუთქვამდა.

ეგაა გულში გაივლებდა, ორი კვირა არ ეყოფა დასასვენებლად და მასალებსაც ცოტა მერე მოვაწვდითო.

ეს ფიქრს მიუხვდებოდა:

იცოდე, ორ კვირას არ გადაშორდესო.

რაც ასერიგად გვაინტერესებს ხოლმე ყველაფერს მაინც არ გვიმჟღავნებენ მემუარული ჩანაწერები და ამჯერადაც არისტო ჭუმბაძის ნაამბობი იქ უნდა შეწყდეს: მერე კი მუშაობას უნდა შევუდგეო.

ის არ დავიწყნია, როგორ წამოწითლდა არჩილი მატარებლის დაძვრისას და ცხვირის ნესტოები ოფლმა როგორ დაუწინწკლა. ეს თავისი განაფიქრი და არჩილისეული ამოცნობა ამ განაფიქრისა კი ვითომც არა ყოფილა!

მაგრამ სტრიქონებს შორის ისე მკაფიოდ ილანდება ზოგიერთი რეალია, თითქოს ტექსტშივე ჩაწერილიყოს.

თუმცა რა – სტრიქონებია თუ სტრიქონთაშორისი, განა ერთნაირად არ წარმოგვისახავს თვალწინ რეალურ სურათს?

* * *

სპირიდონ კედია გაზეთების თვალიერებისას ვარლამ გელოვანის ერთ ასეთ ინტერვიუ-განცხადებასაც გადააწყდებოდა, სოციალისტ-ფედერალისტისა და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატის:

– სათათბიროში წამოვაყენებ საქართველოს ავტონომიის საკითხს.

გადააწყდებოდა და იმწამსვე ის ფიქრი გაჰკრავდა: ეგებ საკმარისი ძალები არც ჰყავდეთ ეროვნული იდეის მესვეურ-მებრძოლთ, რათა საქართველო-რუსეთის საზღვრებს გადაღმაც გასწიონ წინასწარი პროპაგანდაო.

საზღვრებს გადაღმა იმიტომაც გაექცევა უპირველესად ფიქრი სპირიდონ კედიას, რომ საკუთარი ადგილის მოძებნა მოუნდება იმ მოძრაობაში, რომელიც უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს ამ უმაღლესი ტრიბუნიდან საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას.

სორბონის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი აერჩია სწავლის გასაგრძელებლად და სტუდენტთა სათვისტომოს შექმნის ერთ-ერთი მოთავეც შეიქნებოდა. ამ მხრივაც ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრედ ესახებოდა თავი – იმას პეტერბურგის უნივერსიტეტში დაეარსებინა ოდესღაც ქართველ სტუდენტთა სათვისტომო და შეეგულიანებინა რუსეთის იმპერიის მინა-წყალსა თუ ევროპაში მიმოფანტული ქართველი ახალგაზრდობა ამ ყაიდის სულიერ კერათა შესაქმნელად. და პარიზი და სპირიდონ კედია რატომღა უნდა გამოკლებოდა ამ მოძრაობას, მითუმეტეს, სოციალისტ-ფედერალისტებს რომ ჩამოსცილდებოდა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში ამჯობინებდა გაწევრიანებას, ამ პარტიის დაარსებასაც ილია ჭავჭავაძე უმეთაურებდა.

თვალნათლივ არ მოჩანდა მისი მონაწილეობა წესდებისა და პროგრამის მომზადებაში?

ვითომ იფარებოდა ეს კვალი?

ამ პარტიის წევრებს ხომ ჩინებულად მოეხსენებოდათ, ვისაც შეეგულიანებინა ისინი სოციალისტ-ფედერალისტებისაგან ჩამოსაცილებლად და იმ პოლიტიკური ერთობის დასაფუძნებლად, რომელიც კერძო საკუთრებას ადამიანის უზენაეს უფლებად გამოაცხადებდა, უმთავრეს და საიმედო დასაყრდენად გაბედულ განზრახვათა აღსასრულებლად, ანდა უბრალოდ ყოფითი ცხოვრების მოსაგვარებლად, თორემ მხოლოდ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა, თუკი ეს მთავარი დასაყრდენი გამოგეცლებოდა ხელიდან შენივე სურვილითა და ნებით, სიკეთეს ვერ მოუტანდა ქვეყანას და რომელ ჩიხში ამოჰყოფდა თავს, იქნებ ზუსტი განსაზღვრა გაძნელებულიყო, მაგრამ ჩიხში რომ აუცილებლად აღმოჩნდებოდა, დიდი მიხვედრა აღარ სჭირდებოდა.

აბა, თავს რატომ გადგა, რატომ ცდილობდა შენს შეგონებას ასე მონდომებით წინასწარმეტყველი?

სოციალიზმი შემოქმედი პრინციპი არ არისო, – მიუხვდებოდა სპირიდონ კედია, და თუმც ათი წელიც უნდა გასულიყო, ვიდრე დაწურულ, მწყობრ მსჯელობად ჩამოასხამდა, გრძნობით უკვე მაშინვე გრძნობდა, რომ სოციალიზმი სპობდა როგორც შემეცნებაში,

ასევე პრაქტიკასა და სინამდვილეში ცნებას თავისას, ცნებას საკუთარისას, სპობდა საკუთრებას, გადალახავდა ეროვნულ საზღვრებს და ფეტიშად იხდიდა ინტერნაციონალს.

კერძო საკუთრებაზე ხელის აღება ახლო მომავალში მშობლიურ მიწა-წყალზე ხელის აღებასაც გულისხმობდა, საკუთარ ეზო-მიდამოში ღობის აშლა – ქვეყნის საზღვრების არაფრად ჩაგდებასაც.

ესენი ერთმანეთს იწვევდნენ, ერთმანეთს განსაზღვრავდნენ და თვითმოტყუება გამოდიოდა – შეგნებული თუ უნებური – თუკი კერძო საკუთრების უარყოფას სამშობლოს უარყოფას არ გაუიგივებდი.

სოციალიზმიც გენება და დამოუკიდებელი სახელმწიფოც? დროებით ესეც შესაძლებელი გახლდათ, მაგრამ მერე, მერე რას აპირებდი? ან შეგუებოდი სახელმწიფოს განწირვასაც ანდა... ანდა სოციალისტურ მოძღვრებას გაატანდი ქარს.

აი, ასე:

– იგი პყრობილია პლატონური სიყვარულით, სოლიდარობის გრძნობით, რომელიც ჩამორჩენილი ერის ცხოვრებაში გულუბრყვილო ჰუმანურობამდე და თეორიულ ქრისტიანობამდე მიდის. დემოკრატიულად შეცნობილი და შეგრძნობილი სოციალიზმი შეურიგებელია და თავის შინაარსს მიუკიბ-მოუკიბავად მთელი სისავსით ქადაგებს... მისი არსი უარყოფითია.

ხომ ასე გაემიჯნებოდა სოციალიზმ-ფედერალიზმს, სპირიდონ კედია, არჩილ ჯორჯაძის მიმართ ყოველთვის შეინარჩუნებდა უღრმეს მოწინებას და მისი სახელის ხსენებისას სურვილი ებადებოდა პოეტურ ენაზე ამეტყველებულიყო, თითქოს შორეული წინაპრისადმი იჩენს პათეტიკაშერეულ აღტაცებას და არა თანამედროვე პოლიტიკოსის მიმართ, ვის პარტიასაც უპირისპირდებოდა და გავლენის წართმევას ლამობდა.

– ქალწულებრივი სიფაქიზით ელოლიავება სამშობლო ქვეყნის გულისცემის საყვარელ ჰანგებს.

ეს... არჩილ ჯორჯაძეა – სპირიდონ კედიას წარმოსახვაში.

და ვარლამ გელოვანის ინტერვიუ-განცხადებას რომ ჩაავლებდა თვალს და მიიჩნევდა ჩუმი მზადების ხმად, რომელიც ახალი საქართველოს სულიერ მისწრაფებას მესაიდუმლოებდა; და საზღვარგარეთისა და, უპირველესად მაინც, პარიზის ქართველობას გადახედავდა გონების მზერით – რას შევიძლებთ ჩვენი მოვალეო-

ბის აღსასრულებლადო, იმათ ცალკე ჩამოუვლიდა, შეკრებდა და სამოქმედო მიზანსაც გააცნობდა, და იმ გამოცოცხლების ამბავს ვის ახარებდა და ვისგან მოელოდა რჩევებს, თუ არა არჩილ ჯორჯაძისაგან.

რა სხვა პარტია... რომელი სხვა პარტია... ასეთ დროს ეროვნულ მოღვაწეს სად ახსოვს პარტიული განკერძოებანი.

და ადგენდა არჩილის სახელზე წერილს 1913 წლის 13 იანვარს და ამცნობდა, რომ პარიზის ქართველობას ავტონომიის მოთხოვნის ეს ოფიციალური განცხადება ძალიან მოსწონებოდა, თავის მხრივ მონაწილეობის წადილიც გამოეთქვა და სამოქმედო პროგრამაც შეემუშავებინა:

ვიდრე საკითხი სათათბიროში წამოიჭრებოდა:

გამართულიყო ერთდროული კამპანია გავლენიანი პოლიტიკური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

გამოცემულიყო და დარიგებოდათ დეპუტატ-სენატორებს -

საქართველო-რუსეთის 1783 წლის ხელშეკრულება;

წიგნაკი საქართველოში რუსეთის პოლიტიკის შესახებ.

გამართულიყო პოლიტიკური მიტინგები.

ბარათის შემდგენელი და მისი მომხრენი აღუთქვამდნენ არჩილ ჯორჯაძეს და მისი სახით მთელს ქართველობას, რომ თვითონვე მოამზადებდნენ ყველა საჭირო მასალის თარგმანს ევროპულ ენებზე და გავრცელებითაც გაავრცელებდნენ.

ვიდრე უშუალოდ მოჰკიდებდა საქმეს ხელს, სპირიდონი შეეცდებოდა დაეზუსტებინა, ჯერ ერთი, როდისთვის აპირებდა ვარლამ გელოვანი სათათბიროს ტრიბუნაზე გამოსვლას, და მეორეც, უმთავრესად რას ეყრდნობოდა მისი მოთხოვნა – ხელშეკრულებაზე ისტორიულ უფლებას თუ იმ გარდაუვალ უფლებას, რომელიც აქვს ყველა დაჩაგრულ ერს, მონობის უღელს ბრძოლა გამოუცხადოს.

მარტოდენ გუმანით არა გრძნობს სპირიდონ კედია, რომ ყოველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქციას აუცილებლად ესაჭიროება დიდი და ყოველმხრივ გააზრებული სამზადისი, რათა უეცარი აღტკინება მალევე არ ჩაიფერფლოს და თანაც ისე, ევროპის საზოგადოებრივ აზრს სრულიად გამორჩეს მისი გაელვება.

თვალწინ მეტად სახიერი მაგალითები უძევს, თუ როგორ უნდა გახმაურდეს საქართველოს ბედისწერა და სახელმწიფოებრივი უფლება ევროპაში, და მათ შემოქმედთა შორის ერთი უპირველესთაგანი არჩილ ჯორჯაძეცაა.

იანვრის მიწურულს თედო სახოკიას შეეხმიანებოდა ბრიუსელში: ის მენანება, რომ გაოხრებული სიკვდილი მომიახლოვდა, ძალზე მომიახლოვდა და კარზე მიკაკუნებს კიდეც. მუშაობას თავს არ ვანებებ, მაგრამ მადლი კი არ გააჩნია ასეთ მუშაობასაო.

* * *

გიორგი ლასხიშვილი ჩამოუსწრებდა ცოცხალს.

პეტერბურგში მიმავალი თუ იქიდან გამობრუნებული ქართველი მოღვაწენი, რა გასაკვირია, რომ მას აუცილებლად მიაკითხავდნენ ხარკოვში და ზოგი რამდენიმე საათით, ზოგიც ერთი დღით ჩერდებოდა მის ბინაზე. გიორგი ზდანოვიჩი ხშირად მოინახულებდა ხოლმე და ერთ-ერთი ჩამოსვლისას ამცნობდა, პირველი სათათბიროს ყოფილი წევრი პროკოფი შარვაშიძე შევიპირე, რომ მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს სთხოვოს ნებართვა საქართველოში შენი დაბრუნებისაო.

მეფისნაცვალი აიმრიზებოდა, როგორ თუ გიორგი ლასხიშვილს მშვიდობიან მოღვაწედ იხსენიებენო:

– თქვენ მისი ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეს იცნობთ; ჩვენ კი ვიცით, რომ იგი არის ისეთი სარევოლუციო პარტიის წევრი, რომელიც ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდება.

შუამდგომლობამ მგონი მაინც გაჭრაო, – ეს შთაბეჭდილება დარჩებოდა ხარკოვის ტუსაღს, როდესაც ნებას მისცემდნენ ბაქოში გადასვლისა.

იქ რომანოვთა სამეფო გვარის არსებობის 300-წლოვანი იუბილის მანიფესტი მოუსწრებდა, რომელიც ცოტათი პოლიტიკურ პატიმრებსაც შეეხებოდა. გიორგი მარჯვედ გამოიყენებდა ამ მანიფესტს და ორი წლით ადრე დაუბრუნდებოდა ტფილისს და მაშინვე „სახალხო გაზეთის“ რედაქციასა და პარტიას მიაშურებდა. გაზეთის ხელმძღვანელებადაც და მომუშაკედადაც ახალგაზრდობა ჩამდგარიყო, სოციალ-ფედერალისტთა მეორე თაობა. პარტია საკმაოდ გაზრდილიყო და მის მომძლავრებას ახალდასრულებული მეოთხე სათათბიროს არჩევნებიც დაადასტურებდა – 38 სოციალ-დემოკრატს რომ აირჩევდნენ და 36 სოციალ-ფედერალისტს.

სხვა მხრივ კი... ეს სამწუხარო ამბავი დახვდებოდა:

– არჩილ ჯორჯაძე უარესად შეიქნა, ამჟამად ბათუმშია და კარგა ხანია ლოგინიდან ვეღარ დგება.

არამარტო საქართველოს, არამედ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდანაც მოსდიოდა რედაქციას წერილები, რომლითაც პარტიული ამხანაგებიც და არაპარტიულნიც თანაგრძნობას უცხადებდნენ ავადმყოფ მწერალს და განკურნებას უსურვებდნენ.

არა ჟურნალისტს, არა პუბლიცისტს, არა პარტიულ წინამძღოლს, არამედ სწორედაც მწერალს.

რაც ეოცნებებოდა სულ სხვა გზაზე ასწრაფებულს ბედისწერისაგან, ასე უბრალოდ და ძალდაუტანებლად შეერქმეოდა ხალხისაგან. ხალხი რომ არა, თუნდ თანაგრძნობის ის ბარათებიც პარტიული თანამზრახველებით შემოირკალებოდა.

მარტის დამდეგს დეპეშა მოუვიდოდა სოსიკო მდივნისაგან:

– არჩილს შენი ნახვა უნდა და ჩამოდი.

ისედაც აპირებდა მის მონახულებას და ახლა სულ რაღა გააჩერებდა – იმავე ღამეს გაემგზავრებოდა ბათუმში და დილით სასტუმრო „ფრანციას" მიადგებოდა.

არჩილი დიდ, მზით უხვად განათებულ ოთახში დახვდებოდა.

ტყავისა და ძვლების მეტი აღარაფერი დარჩენილიყო.

მხოლოდ... მხოლოდ ფერმიხდილ სახეზე ისევ ძველებურად ანათებდნენ მისი შავი თვალები.

თვალთა ეს მზერა და ელვარება გიორგი ლასხიშვილს როგორ გამორჩებოდა.

სუნთქვა გაძნელებოდა და ბევრი ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა არჩილს, ხანდახან თითო-ოროლა სიტყვით ჩაერეოდა გარშემო შემომსხდარ სტუმრებს, რომელნიც რაზე აღარ საუბრობდნენ და რას აღარ იხსენებდნენ, ოღონდაც ოდნავ მაინც გაეხალისებინათ.

სასტუმროს ვინ აღარ მოდიოდა მის მოსანახულებლად და გიორგი ლასხიშვილი ამჯერადაც მიაქცევს ყურადღებას, რომ სხვა პარტიების წევრებიც აკითხავენ სნეულს. არამარტო ეროვნულ-დემოკრატები, არამედ სოციალ-დემოკრატებიც, და სულაც უპარტიონიც.

განა ესეც ხელშესახები დასტური არ გახლდათ, რომ არჩილ ჯორჯაძეს პარტიულ მოვლენად არავინ აღიქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ არამცთუ წევრი, სულაც დამაარსებელთა შორის გახლდათ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიისა, რომლის მომძლავრებაც ასე შეაფიქრიანებდათ სხვა პოლიტიკოსებს.

პარტიის იდეოლოგი შორს სცილდებოდა პარტიულობას.

კიტა აბაშიძეც ჩამოსულიყო ქუთაისიდან, სოსიკო მდივანი და ანდრია დეკანოზიშვილი ხომ ისედაც ბათუმში ცხოვრობდნენ.

აღელდებოდა არჩილი გიორგი ლასხიშვილის დანახვაზე, გამოიძიებდა, დროზე ადრე როგორ მოახერხე დაბრუნებაო.

– მანიფესტი რომ გამოქვეყნდა, არც მის განმარტებას მოვუცადე და არც არავითარ განკარგულებას, მაშინვე ტფილისისაკენ გამოვწიე. ბაქოს პოლიციამ ეს თვითნებობა ტფილისს აცნობა და, მეფისნაცვლის სამმართველოს საპოლიციო ნაწილში რომ დამიბარეს, მრისხანედ მკითხეს, ნებართვა ვინ მოგცა, მანიფესტს მთავრობის აგენტები აღასრულებენ და არა თვით დასჯილები, დაუყოვნებლივ უნდა გაბრუნდე ბაქოში და დაელოდო ჩვენს განკარგულებასო. მე გადაჭრით ვიუარე, ჩემი ნებით აქედან არსად წავალ-მეთქი. მაშინ იკადრეს და თვითონ მოძებნეს გამოსავალი: ტფილისში დროებით ხართ ჩამოსული, ვიდრე ჩვენ ამ საქმეს გადავწყვეტდეთ. მეფისნაცვლის სახელზე კი განცხადება დაწერეთ, რომ თქვენზეც გავრცელდა მანიფესტის ძალაო.

საბჭოთა ციხე-გადასახლებათა მეტ-ნაკლებად მცოდნეს უთუოდ ჩაეღიმება ამ პასაჟის ჩაკითხვისას, ეს რა ფანტაზიებში გახლართულა გიორგი ლასხიშვილი, სნეული კაცის – თანაც მისთვის ასე ძვირფასის – მოტყუება რისთვის სჭირდება, ბოლოსდაბოლოს ასეთ გულუბრყვილობას მაინც ვერ დააჯერებდაო.

არადა, ზუსტად აღადგენს, რაც მოხდა – როგორც სჩვევია მემუარების მანძილზე, ამჯერადაც არც არაფერს უმატებს და არც არაფერს აკლებს რეალურ ამბავს.

თვითნებურად გაუთავისუფლებია თავი და ეგაა.

თანაც იქით უტევს მაღალჩინოსან მოხელეს.

ისიც ხომ მორჩილად ეგუება მის ნებას?

არჩილი შეუქებდა სიმარჯვეს და თავისთავად ამოუჩნდებოდა თვალწინ ის სურათი, სანდრო დიასამიძესთან ერთად რომ მისდევდა ხარკოვისაკენ დაძრულ მატარებელს და რაღაცას მისძახოდა ფანჯარას მომდგარ შერისხულს. გახსოვს? – ეკითხებოდა და აციმციმებულ თვალებს ერთბაშად ნაღველი შემოეღრეოდა:

– თითქო გუშინ იყო ის ამბავი, რა მარდად მივდევდი მატარებელს, ახლა კი... – და არჩილი ხელებს გაშლიდა და თავის დაუძლურებულ, დავრდომილ სხეულს დახედავდა.

ბათუმში სამ დღეს დარჩებოდა გიორგი ლასხიშვილი და კიტა აბაშიძესთან ერთად თითქმის არ მოშორდებოდა მის ლოგინს, ცდილობდნენ სასიამოვნო მოგონებებით გაერთოთ.

– ეს საკვირველად სულით ძლიერი ადამიანი კიდევ მედგრად ებრძოდა საშინლად შორეულ სენს, მაგრამ ცხადი ხდებოდა, მისი დღეები დათვლილი იყო.

გამოთხოვების დღეს რა დაავიწყებდა.

არჩილი რამდენჯერმე გამოემშვიდობებოდა და... ხელის ქნევით ყოველთვის უკანვე მიიხმობდა. ვერ ელეოდა, ვერ უშვებდა, მაგრამ გიორგი ლასხიშვილი იქ, გარეთაც ძალიან სჭირდებოდათ, მღელვარება მატულობდა, გარემო ბორგავდა და გადამწყვეტი მოვლენები უზარმაზარი ტალღებივით წამოქოჩრილიყო.

ამიტომაც:

– წადი, წადი, გიორგი, საქმეებს მიხედე.

ამას თვალზე ცრემლი მოადგებოდა, გამოუსხლტებოდა ხელიდან და გარეთ გამოვარდებოდა.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ ათი დღეც არ გავიდოდა, რომ დეპეშა მოუვიდოდა:

– გუშინ, 21 მარტს, ღამის 11 საათზე მშვიდად მიიცვალა არჩილი, მეგობრებით გარშემორტყმული. სოსიკო მდივანი.

ელოდა, ყველა ელოდა ამ წუთს, განა არა, ან რაღა იხსნიდა, მაგრამ ვიდრე კიდევ სუნთქავდა, მაინც რაღაც სასწაულს ეჭიდებოდნენ.

ერთხელ აკი უკვე გამოეტირებინათ – ემიგრაციიდან ფარულად დაბრუნებული.

და იქნებ...

მაგრამ დეპეშა ულმობელ სიმართლეს ადასტურებდა.

უამრავი ადამიანი მიაწყდებოდა „სახალხო გაზეთის“ რედაქციას.

იქ კი, ბათუმში, სასტუმრო „ფრანციაში“:

– თქვენმა მოსვლამ მომარჩინა, ასე მგონია, კიდევაც გამოვბრუნდებიო, – კიტა აბაშიძეს ალერსიანად მოჰკიდებდა ხელს მკლავზე, – მე, ერთმა უპატრონო, მარტოხელა კაცმა ვიგრძენი, რომ ჭირისუფლები მყოლიხართ ჩემი მეგობრები, ვერ წარმოიდგენთ, რანაირად მიორკეცებს ეს ძალას, რა სიხარულით ავსებს ჩემს გულსო.

კიდევ გამოვბრუნდებიო...

რა სჯობდა იმედოვნებას!..

ეგაა, დათვლილმა დღეებმა, მერე უკვე დათვლილმა საათებმა არაფერი უწყის იმედოვნებისა!..

კვირა იქნებოდა, დილის შვიდი საათი, დავით მესხი „ფრანციას“ კარს რომ მიადგებოდა.

არჩილს რომ იკითხავდა, სასტუმროს მსახური დაფაცურდებოდა და სიამოვნებით ახარებდა:

– უკეთაა, ბატონო, ცოტა უკეთ, ძალიან ავათ იყო, ახლა კი...

მსახურის ასეთი შეხვედრა დაუდასტურებდა გიორგი ლასხიშვილისა და კიტა აბაშიძის ნათქვამს ქუთაისში: არჩილი ძალიან კმაყოფილია ბათუმელთა ყურადღებით, სასტუმროს მსახურნი კი სიხარულით ეგებებიან ყველას, ვინც არჩილის მოსანახულებლად მიდისო.

გულდამშვიდებული შევიდოდა ოთახში და გუნება წაუხდებოდა: ეს არის უკეთ ყოფნაო?

თურმე მანამ რა დღეში ჩავარდნილიყო.

სტუმარს ერთბაშად ვერ იცნობდა. წლების წინათ გაეცნოთ ერთმანეთი ქუთაისში და მალევე დაშორებოდნენ. ახლა მოაგონებდა დავით მესხი, მეგობრებისა და რედაქციის კოლეგიის მოკითხვას გადასცემდა.

იქნებ სასიამოვნო გამომეტყველება მივიღო და ამით ვანუგეშოო, – გაიფიქრებდა სტუმარი, მაგრამ, მიუხედავად საკუთარ თავზე ძალდატანებისა, ვერ შეძლებდა.

ისე ცხადად, ისე კანთიელად დაინახავდა მისი სარეცელიდან წამომართულ სიკვდილის ლანდს, გაითანგებოდა.

სნეული კი:

– არ ვიცი, ღირსი კი ვარ ამდენი ყურადღებისა... ნამეტნავათ ქუთათურები... აი! – და თვალით ანიშნებდა დასტად დაწყობილ დეპეშებზე იქვე პატარა სუფრაზე, – აქაც, ბათომშიც ყველა თავს დამტრიალებს... ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ ყველასი...

თან ხშირი ხველება აწუხებდა.

სილოვანი ხომ არ მემდურებაო, – ხუნდაძეს იგულისხმებდა, ცოტა ხნის წინათ მძაფრი კამათი მოსვლოდათ გაზეთის ფურცლებზე. და დავით მესხი რომ მოახსენებდა: აბა, რას ამბობთ, პირველი სალამი მისგან მომაქვსო, – თვალები დაენამებოდა, ქუთუთოს ნაპირებზე ცრემლი მოადგებოდა. და სტუმარი პირს იბრუნებდა შეშფოთებული, მეც ცრემლები არ წამსკდესო.

სილოვან ხუნდაძე თავს ვერ აპატიებდა: ყველასათვის სავალალოა არჩილის სიკვდილი, მაგრამ განსკუთრებით საგრძნობლად შეიქნა იგი ჩემთვის იმ უსიამოვნო მიწერ-მოწერის გამო, რომელიც განსვენებულთან ასე უდროოდ შემემთხვაო.

ცხადია, სავალალო ის არ ეჩვენებოდა, რომ ერთმანეთს საზოგადო საქმის გამო შეეკამათნენ, არამედ ის, რომ სიკვდილს არ დაეცლია, ერთი მიზნით განმსჭვალულნი ერთმანეთს უფრო ახლოს გასცნობოდნენ, გული გადაეშალათ და მიტევებით მიეტევებინათ, რაც ცხელ გულზე საწყენი სიტყვები წამოსცდენოდათ.

თუნდ დანაშაული არც მიმიძღოდეს, ჩემი თავი მაინც დამნაშავე მგონია ამ წამს, როდესაც ძვირფასი არჩილის ნეშტი თვალწინ მიდგას და ყოველი საშუალება მომესპო, ჩემი გულის პასუხი გადავცეო, – მწარედ განიცდიდა და მის აჩრდილს შენუკვოდა:

– მე შენგან არაფერი მწყენია, რადგან ვიცი, რომ უმაღლესად პატიოსანი ხარ: შენებრ-ადამიანი მხოლოდ შეცთომით, უნებლიეთ თუ აწყენიებს ვისმე დაუმსახურებლათ. მეც კეთილშობილურათ, დიდსულოვნად მაპატიე, თუ რამე გაწყენიე.

აჩრდილისაგან პასუხი არ ისმოდა, მისჩერებოდა, მიყურადებოდა, მაგრამ სილოვანამდე ჩქამიც არ აღწევდა და რა წყალს მისცემოდა, აღარ იცოდა: ალბათ მეც ისე უიღბლო, ისე უბედური ვარ, როგორც ჩემი სამშობლო, რომელსაც ასე უდროოდ, ასე უწყალოდ ეცლება ზეციდან არჩილისთანა მაღალნიჭიერი, მაღალზნეობრივი მოღვაწეო.

ჯერ არჩილს თვალები დანამვია და დავით მესხი, ცრემლებმომდგარი, ის-ისაა ფეხზე წამომდგარა, და სნეული: მიდიხართ, აბა, რა სასიამოვნოა ჩემი ხველების ყურებაო. – აბა, რა სათქმელიაო, – ეს უარობდა და არჩილი სთხოვდა: ჯერ თუ არ ეპირებით ქუთაისისაკენ, კიდევ მნახეთო.

საღამოსაც რომ მოინახულებდა, ავადმყოფი სიცხემომატებული დახვდებოდა, სოსიკო მდივანი – შეშფოთებული, და არჩილი შეხუმრებით ეხუმრებოდა: ნუ გეშინია, სოსიკო, მე ამის წამალიც ვიცი... ხშირად ადრეც მიცდია. აი, მომიტანეთ ცხელი აბაზანა, ჩავარდები, ამოვევლები, ამოვვარდები, გავეხვევი საბანში და სიცხეც დავარდებაო.

სოსიკო მდივანი შეეცდებოდა ხუმრობის კილო შეენარჩუნებინა: შენ რომ ეხლა ავარდები, აბაზანაში ჩავარდები და ამოვარდებიო...

სიცხისაგან გარინდული თვალებით არჩილი ერთ წერტილს უნდა დააშტერდეს... ჩამოვარდეს დუმილი – დამტანჯავი, მწარე ნაღველის მომგვრელი.

რაღა რჩება...

აი, უკვე 1913 წლის ის საბედისწერო 21 მარტია, ხუთშაბათი, საღამოს 9 საათი.

არჩილი განუწყვეტლივ ლაპარაკობს, მაგრამ გაუგებრად.

მარჯვენა ხელით ჰაერში რაღაცის დაწერასაც ლამობს.

სასოწარმკვეთი სურათია.

ლულლულიდან მხოლოდ ამ სიტყვების გარჩევა ხერხდება:

– ჩვენ სულ სხვა პირობებში დავიწყეთ მუშაობა... კულტურა...

და გრძნობა უნდა დაკარგოს.

11 საათსა და 25 წუთზე კი განშორდეს მისი სული ამ ცოდვილ სამყაროს.

სულ სხვა პირობებშიო...

ნანობს, ძალიან ნანობს, რომ დაუმთავრებელი რჩება ის მისია, რისთვისაც მოვლინებულიყო. ვიღაცის წინაშე იმართლებს თავს, რომ პირობები შეხვდა გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე ადამიანი იფიქრებდა, და გზაც ნაადრევად მოეჭრა, თორემ სანანებელი იქნებ ბევრიც აღარაფერი ჰქონოდა.

შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი სიტყვა, რაც მის ბაგეს დასცდა – კულტურაა.

ბიოგრაფოსებს უყვართ ზოგჯერ მოვლენების შელამაზება, ხან სულაც შეთხზვა, და ეს სიტყვაც იქნებ რეალობის კი არა, ლეგენდის ფრაგმენტი უფროა – არჩილ ჯორჯაძე ამ და მხოლოდ ამ სიტყვითა და ამ განცდით შეიძლებოდა გამოთხოვებოდა წუთისოფელს, ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის გადარჩენაზე ფიქრითა და ლოცვით... მაგრამ გამოგონილს არა ჰგავს ქრონიკის რამდენიმე ცნობა, დოკუმენტური სიზუსტეა და სხვა არაფერი, საქმიანი დეტალები და არა მომხიბლავ წარმოსახვებში გახვეული სურათი.

ჩვენ სულ სხვა პირობებში დავიწყეთ მუშაობაო...

ცოტა, სულ ცოტა გვიან მაინც დავბადებულიყავიო, – ამას განიცდის, – ახლა რომ გამოვსულიყავი საქვეყნო ასპარეზზე, და მერე თუნდ კიდევ უფრო ნაადრევად მომღებოდა ბოლოო.

რამდენიმე წელი აკლდებოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფომდე.

მაგრამ არავინ იყო ამ წლების მჩუქებელი და... დავით კლდიაშვილი, კიტა აბაშიძე, სილოვან ხუნდაძე და ჯაჯუ ჯორჯიკია მის ნეშტსღა გამოჰყვებოდნენ ტფილისამდე არჩილის ბათუმელ მეგობრებთან ერთად.

ჯაჯუ ჯორჯიკია პირველად მაშინ იხილავდა არჩილს ასე პირისპირ – სასახლეში ჩასვენებულს.

ეოცნებებოდა მასთან შეხვედრა და ასე კი...

გული უცნაურად აუძგერდებოდა და თვალი ხარბად დაეწაფებოდა გაციებულ ნეშტს.

კუბოს თავს ნელა გადახდიან.

და თვალებს ცრემლი რომ მოსწოლია, ძლიერი ძალდატანებით ერთხანს შეაჩერებს, რათა ღრმად აღიბეჭდოს ხსოვნაში ეს ხილვა:

„მაღლა ავარცხნილი თმა, ფართო შუბლი, ორი სქელი წარბი დასწოლოდა ჩამქრალ თვალებს, ტუჩების ნაცვლად ორი შავი ზოლი.

ჩაფეთქილ სახეს ჭაღარაშერთული თმა, მილეული ტანი და უსიცოცხლო ხელის გაყვითლებული თითები.

იგი კუბოში ისე იწვა, თითქოს სძინავსო...“

უეცრად აზრი გაუჩნდებოდა, კუბოს წინ თავი დაეხარა და კვნესით დაეძახა:

– არჩილ!

მაგრამ შეჩერდებოდა, გული ვეღარ გაუძლებდა მწარე სევდის მოზღვავებას, ძარღვები აერეოდა, თავს ჩაჰკიდებდა და თვალები ცრემლით აევსებოდა.

უკვე შეიძლება ცრემლებში აიბლანდოს არჩილის სახება. ის ისე მძაფრად ჩაბეჭდვია გონებაში, რაღა ამოშლის.

და ეს წამიერი შთაბეჭდილება მინიატურის ქარგაში უნდა მოექცეს.

ეს ჟანრი ყველაზე მეტად იტაცებდა ჯაჯუ ჯორჯიკიას. არამარტო საყოველთაო მოდურ გატაცებას აჰყოლოდა, მისი მწერლური ბუნებისათვის ყველაზე შესაფერისი მცირე ფორმის პროზა აღმოჩნდებოდა, და თუმც არჩილ ჯორჯაძე ასეთი გზნებით მოითხოვდა რომანს თანამედროვე შემოქმედთაგან, ჯაჯუ ამ შემთხვევაში მხარს ვერ აუბამდა. იქნებ თვითონაც ერჩიენა, რომანები რომანებზე დალაგებულიყო და თვითონ ეკითხა და ეკითხა, მაგრამ რაც მისი ჟანრი არ იყო, არც წაეპოტინებოდა.

ბედის ირონია იყო თუ რა:

20-იანი წლებისა თუ მოგვიანო ხანის რომანებში არსად გამოჩნდებოდა არჩილ ჯორჯაძის სახება, არავინ დაისაჭიროებდა პროტოტიპად პერსონაჟისათვის – მინიშნებითაც კი.

მაინცდამაინც მინიატურა მიეძღვნებოდა მის ხსოვნას.

მთლად საუკეთესო ვერა, მაგრამ თვალსაჩინო მინიატურისტისა.

აღარ მობეზრდათ ეს ჟანრიო? – გულგაწვრილებული იკითხავდა ხოლმე არჩილი და ენანებოდა თანადროული სინამდვილე, მარტოდენ მინიატურებად დატეხილ-დაფშხვნილი.

* * *

სილოვან ხუნდაძე ორ კვირას არ გამოჩენილიყო რედაქციაში და არჩილის გარდაცვალების მეორე დღესვე შევიდოდა.

– გაჭირვებამ მომიყვანა, – და გამოსათხოვარ წერილს ამოიღებდა, – ხვალის ნომერში გაუშვით.

დაიწყებს კითხვას და... შუამდეც ველარ მიაღწევს, ცრემლები გადმოსკდება.

დავით მესხიც აქვითინდება და დიდხანს შესტირიან ერთმანეთს.

იმას ის პოლემიკა ვერ მოუნელებია.

ეს კი სილოვან ხუნდაძის წრფელ გრძნობას, მის წუხილს მიადევნებს ცრემლს და იმ წამს თითქოს... თითქოს არჩილი არც აგონდება.

ფსიქოლოგიურად უაღრესად დამაფიქრებელი სურათია.

მეტყველი – გრძნობის უკიდურესი გაშიშვლებით.

დავით მესხს, ვინც ასე მტკივნეულად განიცადა არჩილის აღსასრული, უფრო აღელვებს სილოვან ხუნდაძის სინანულნარევი ტირილი, ვიდრე არჩილის ჯერაც თბილი ნეშტი.

თავი ოცდამეცამეტე

აკაკი წერეთლის უთქმელი სიტყვა

ნეშტს 23 მარტს წამოასვენებდნენ, ყოველ სადგურზე აუარებელი ხალხი დახვდებოდა, ამბობდნენ გამოსათხოვარ სიტყვებს და კუბოს გვირგვინებითა და ყვავილებით ამკობდნენ.

თუნდაც ეს:

ქუთაისიდან რიონის სადგურზე არჩილის ნეშტს დიდძალი ხალხი შეეგებებოდა. ვინც მატარებლით წასვლას ვერ მოასწრებდა, ეტლით ჩავიდოდა. სერგო გერსამიასაც ახსოვს, სადგურის ბაქანი მთელ სიგრძეზე და მისი მიდამოები როგორ გადაევსო ჩამოსულ ხალხს.

ვიღაცის წამოძახილიც ჩარჩებოდა ხსოვნაში:

– კირილე ლორთქიფანიძეც მოსულა!

და საყოველთაო გაკვირვებაც – რამ გამოიყვანა გარეთ ეს ახალნაავადმყოფარი კაცი, ექიმებს მაინც არ გაეფრთხილებინათ: ვიდრე კარგად არ გამოჯანსაღდები, შინიდან ფეხი არ გამოადგაო.

ასაკი რომ მოერეოდა, ისედაც გაუმძაფრდებოდა საკუთარ თავზე ზრუნვა. ძველი ამბების მოყოლა კი ძალიან უყვარდა და ისიც სიამოვნებდა, ახალგაზრდები სულგანაბულნი რომ მიაჩერდებოდნენ, მაგრამ ისე მაინც არ ჩაიფლობოდა ლაპარაკში, დრო დავიწყნოდა. დახედავდა საათს, გაიღიმებოდა და თანამოსაუბრეთ თავაზიანად გამოემშვიდობებოდა: უკვე დროა მოხუცებულმა დაისვენოს, იმისთვის, რომ არ განისვენოსო.

ქუთაისის სულიერი სიწმინდის, სიწრფელის, უბრალოებისა და სიმრთელის სიმბოლოდ დაესახათ კირილე ლორთქიფანიძე თანაქალაქელებს და მისი არცერთი ნაბიჯი ამიტომაც არ გამოეპარებოდათ. ამჯერადაც – გულის სიღრმეში თუ ძალიანაც სურდათ, ისიც ეხილათ არჩილის ნეშტის გამცილებელთა შორის და უპირველესად სწორედ ის, გამტყუნებით ვინ გაამტყუნებდა, როდესაც ექიმების გაფრთხილებაც ჩინებულად მოეხსენებოდათ.

და უეცრად...

თანაც თურმე ეტლით ჩამოსულიყო.

– უჰ, უჰ, როგორ ჰქნა ეს, არ გაცივდეს! – წყენით იტყოდა პეტრე ყიფიანი, ჟურნალისტი და ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, და კირილესაკენ გაეშურებოდა. მას სხვებიც მიჰყვებოდნენ და ყველა ერთად უსაყვედურებდა: რატომ ჩამოხვედი, ისიც ეტლით, როგორ გაბედე მოგზაურობა ავადმყოფობისაგან ჯერაც დასუსტებულმაო.

ის ცოტათი ზემოთ ასწევდა თავს, თითქოს კიდეც გაიღიმებდა და დინჯად მიუგებდა:

– სანამ ადამიანი ცოცხალია და ძალა ოდნავადაც თუ შესწევს, ქვეყნის ჭირსა და ლხინს აუცილებლად უნდა გამოეხმაუროს. ეს ქვეყნის ყველა გულშემატკივრის ვალდებულებაა...

არჩილ ჯორჯაძის წინაშე მოვალეობის შეგრძნებას დაევიწყებინა თავისი სენტენცია: სჯობს მოხუცებულმა დაისვენოს, რათა არ განისვენოსო.

* * *

აუარებელიო... დიდძალიო...

მაგრამ 24 მარტის დილას ტფილისის სადგურს ხალხი რომ მოაწყდებოდა, აუარებელსაც ბევრად გადააჭარბებდა. სადგურისწინა მოედანი, დარბაზი და დებარკადერი მთლად გადაიჭედებოდა.

– აქ იყვნენ ყველა პარტიის წარმომადგენლებიც.

ვაგონი, რომელშიც არჩილი ესვენა, სწორედ იქ გაჩერდებოდა, სადაც მისი მეგობრები და რედაქციის წევრები იდგნენ, და ბათუმელი მეგობრები და მწერალთა დელეგაცია სასახლეს რომ გადმოასვენებდნენ და გადასცემდნენ დამხვდურთ, ახალგაზრდები და მუშები ძლივს გუკაფავდნენ გზას და პროცესია რუსთაველის გამზირისაკენ გაემართებოდა.

მეორე დღეს დიდუბის პანთეონში უნდა დაკრძალონ.

ოღონდ ჯერ:

კუბოს ხელით მიასვენებდნენ ქაშვეთის ეკლესიამდე. სანდრო კავსაძის მგალობელთა გუნდი გამოჰყვებოდა სამგლოვიარო პროცესიას, და კიდევ ქოროები – ფილარმონიული საზოგადოებისა და გიმნაზიის მოსწავლეების.

ერთ პანაშვიდს აქ გადაუხდიდნენ, მეორეს კი... ყაზანის ტაძარში, და მისი სულის მოხსენიება ვარლამ გელოვანის თაოსნობით

მოხერხდებოდა, და ივანე ჯავახიშვილსა, ზურაბ ავალიშვილსა და პეტერბურგში მყოფ სხვა ქართველებთან ერთად ეპისკოპოსი კირიონიც აღავლენდა ლოცვას.

თავისებურად სიმბოლური სურათია.

კირიონის გარეშე ის პანაშვიდი ვერ აღესრულებოდა, და დევნილი სულიერი მამა სულ მალე საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლად უნდა წარუდგეს ქვეყანას, რუსეთის ხუნდებისაგან თავდაღწეულს, არჩილ ჯორჯაძესაც რომ გაეკვალა ეს გზა და სულიერი მამა თუ მისი სულის საოხად ლოცულობდა, იმას კათოლიკოს-პატრიარქის ტახტისაკენ დაელოცა სავალი კირიონისათვის.

და კიდევ ერთი პანაშვიდი უნდა გადახდილიყო მის სახელზე – ეს უკვე „სახალხო გაზეთის“ რედაქციის წინ, „ცნობის ფურცლის“ მემკვიდრე და შთამომავალი არჩილ ჯორჯაძის პირმშოდაც მიიჩნევდა თავს, „საქართველოსი“ არ იყოს – პარიზული გამოცემისა, და განსაკუთრებითაც ამიტომ გამოიდებდა თავს.

თუმც გულით სურდათ სხვათაც, მაგრამ შეცილებით ვერავინ შეეცილებოდათ.

პროცესიას კვლავ უთვალავი ხალხი უნდა მიჰყვებოდეს.

გვირგვინებს ველარც ითვლიდნენ.

კუბოს წინ კი ქალები უნდა მიდიოდნენ და ყვავილებს აბნევდნენ.

ეტლს ნინო ყიფიანიც მიაცილებდა.

და იქიდან ყვავილი რომ გადმოვარდებოდა, აიღებდა, შინ წამოიყოლებდა და წიგნში ჩასდებდა.

გახმებოდა ყვავილი, მაგრამ ნინოსათვის რომ გეკითხათ: საამო სუნი მაინც შერჩენიაო.

სტუმრებს აუცილებლად გადაუშლიდა თვალწინ იმ ყვავილს, უყნოსეთ და სურნელიც შეიგრძენითო.

მართლა როგორ შერჩენიაო, – გაოცებული მზერით შეხედავდნენ.

ვერაფერს გრძნობდნენ.

ჩაკარგულიყო სადღაც სურნელი, გაბნეულიყო ამხელა სამყაროში, მაგრამ ნინო ყიფიანის სულიერ სინამდვილეში ერთად იკვროდა ეს დაფანტული ნამცეცები, იკონებოდა და ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის გადაკვეთაზე აბურბულდებოდა, სურნელიც ამ გარდამავალი სივრცისა მოჰქონდა.

მაგიდაზე დაისვენებდა წინ.

მისი ცქერა არა წყინდებოდა.

შეჰყურებდა და... არჩილს ადარებდა – როგორც ეს ყვავილი გახმა და სურნელება მისი ისევ საგრძნობელია, არჩილის სხეულიც ასევე გამოიფიტა, მაგრამ ფაქიზი სული მისი ჩვენთვის მუდმივი საკმეველიაო.

თქვენც ხომ გრძნობთო, – სტუმრებს აჩეჩებდა ხელში.

და ისინიც:

– რა საოცრად შეუნარჩუნებია სურნელებაო.

პანაშვიდის გადახდას „სახალხო გაზეთს" შეცილებით ვერავინ შეეცილებოდაო...

და არისტო ჭუმბაძე, როგორც „სახალხო გაზეთის" რედაქტორი და ამიტომაც სხვაზე უფრო უფლებამოსილი ჭირისუფალთაგან, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიზღვავებულ ხალხს აუწყებდა:

– განსვენებულის ამხანაგებისა და ჭირისუფალთაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მიცვალებულის ხსოვნისადმი აღსანიშნავი სიტყვები არ წარმოითქმის და გთხოვთ მუხლმოდრეკითა და ღრმა დუმილით ვცეთ პატივი ძვირფას ცხედარსო.

ერთი აჩოჩქოლება გადაიქცა ხალხში, მაგრამ არ მოინდომებდნენ ბრძოლით მოპოვებას გამოსათხოვარი, უფრო კი მძაფრი პროტესტით განმსჭვალული გამოსვლებისა. ის, რაც მომხდარიყო დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას, ამჯერად აღარ განმეორდებოდა. მაშინაც გამკაცრებულიყო ხელისუფლება, მაშინაც არ ანებებდნენ სამგლოვიარო პროცესიის გადაქცევას საპროტესტო დემონსტრაციად, მაგრამ აზვირთებული ხალხის წინაშე დათმობდნენ. ხალხი კვლავაც აზვირთებულიყო, მაგრამ სიმკაცრე სისასტიკეში გადაზრდილიყო და, რასაც მაშინ ასე თუ ისე მოითმენდნენ, ამჟამად არაფრისდიდებით აღარ დათმობდნენ.

მუქარას მისი აღსრულება მოჰყვებოდა.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამოო...

სამგლოვიარო სიტყვებში გამოხვეულ მგზნებარე მოწოდებებს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ აუცილებლად სისხლიანი კალო მოჰყვებოდა.

ამიტომაც გააფრთხილებდა სიტყვაში გამოსასვლელად შეგულებულ ადამიანებს, ხალხს ნუ გაიმეტებთ, ნუ წაგიცდებათ ფეხი საპროტესტო ღაღადისის აღსავლენადო.

უპირველესად, ეტყობა, აკაკი წერეთელს გულისხმობდა ეს გაფრთხილება.

ყველას რომ შეეკავებინა თავი, ის მაინც არ მოითმენდა და წაესწრაფებოდა წინასწარმეტყველური მუნათის გადმოსაფრქვევად.

ისედაც სასაფლაოების ნაცად ორატორს ეძახდნენ სახელისუფლებო წრეებში და გული მოსდიოდათ, ეს სარბიელი რომ ვერა და ვერ გამოეცლიათ ხელიდან.

საქვეყნო ტრიბუნა მარჯვედ გამოეძებნა.

სამგლოვიარო პროცესია, ჭირისუფლობა ანიჭებდა იმ უფლებას, დაურიდებლად ელაპარაკა და ვერავის აღეკვეთა მისი მგზნებარე მოწოდებანი, ყალბი იდეალის სანაცვლოდ ჭეშმარტ იდეალს რომ შეახსენებდა ხალხს და ამიტომაც ეგულებოდა სასაფლაო, სამარე, გლოვა თავისი ორატორული ხელოვნების საუკეთესო ასპარეზად. მისი პოეზია ისედაც გლოვისა გახლდათ, ისედაც ჭირისუფლობისა, პოეზიაც და ბელეტრისტიკაც და პუბლიცისტიკაც, ამ თემატიკის გარშემო იკვროდა მისი ტკივილებიც და ამაღლებულის ძიებაც ყველგან და ყველაფერში, და იმ ოცნების საქართველოს დამკვიდრებაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში, თანდათან რეალური კონტურები რომ უნდა შეეძინა და რუსეთის განაპირა პროვინციიდან კვლავ სახელმწიფო წყობას დაბრუნებოდა.

აკი მაშინაც მკაცრად გაეფრთხილებინათ, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას, სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმა არავინ გაბედოსო.

ვერ შეეჩერებინათ მაშინ აკაკი წერეთელი, კიდეც აღენთო და აეფორიაქებინა იქაურობა და მერე ნიშნისმოგებითაც გადაკრავდა ყველას, ვინც სთხოვდა, ვიფრთხილოთ, ვაითუ მთავრობამ მწარედ გამოიღოს ხელი და სამგლოვიარო პროცესია ახალ გლოვად გადაგვიქციოსო.

ნიშნისმოგება ნიშნისმოგებად და ილია ჭავჭავაძესაც დაძრახავდა ხან ვისთან და ხან ვისთან: როგორი ფრთხილი კაცია, ზოგჯერ ასე ზედმეტიც მოსდის, თორემ რა იქნებოდა, მასაც ერთი კარგად შეენთო მთავრობისათვის, საუკეთესო ორატორობაზე რომ სდებს თავსო.

რაც მოხდა, ამას ვერაფერი შეედრებაო, – ირწმუნებოდა ილია ჭავჭავაძე და იმით ხსნიდა გამოსათხოვარი სიტყვის უთქმელობას, რომ საპროტესტო დემონსტრაციად გარდასახულმა გლოვის რი-

ტუალმა უკვე აღასრულა თავისი ვალი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ქვეყნის მომავლის წინაშე და ჭირისუფალთა საჯარო გამოსვლები ზედმეტიც გახლდათ.

ვინ დაუჯერებდა, ვინ არა.

აკაკი წერეთელი – არაფრისდიდებით: ძალიან ფრთხილია, დალოცვილიო.

რა გამოდიოდა – მაშ მის დაკრძალვაზეც არ უნდა გამოსულიყო სიტყვით?

ილიას დასაფლავებაც გრანდიოზულ მანიფესტაციად გადაიქცეოდა და ამ აქციასაც ვერ შეედრებოდა ვერაფერი, მაგრამ აკაკი მაინც გადმოდგებოდა სასტუმროს აივანზე, ავადმყოფიც არ მოერიდებოდა არაფერს და, შემკრთალი, ჩუმი ხმით დაიტირებდა ნეშტს იმ კაცისა, ვისაც საქართველოს ბედისწერამდე აზიდავდა და ეს სიმბოლური გაიგივება შემორჩებოდა და შემორჩებოდა ქართულ ცნობიერებას.

ჩუმი, აკანკალებული ხმა დიდ გამოძახილს მოიყოლებდა, ქვეყნის კიდით კიდეს გადაწვდებოდა ის სიტყვები, სახელმწიფო მოღვაწეთა შესაფერისი და არა მხოლოდ ორი მწერლისა, რომელთაგან ერთი უკვე შერთვოდა მარადისობას და მეორეც იქით მიიწევდა, აქ უფრო კარგად ვგრძნობ თავს და დიდი ხანია აქ მერჩივნა, საქვეყნო საზრუნავი ასე რომ არ დამწოლოდა თავსო.

იმ სულისკვეთების გასაგრძელებლად შემართულიყო ამჯერადაც და არისტო ჭუმბაძე კი სწორედ მას მიმართავდა და ემუდარებოდა ფარული მეტყველებით, ოღონდ ახლა დაიოკე თავი, არა ღირს, დამერწმუნე ნამდვილად არა ღირს, სხვა დროს კიდევ მოგეცემა მარჯვე შემთხვევაო.

გაისუსებოდა ხალხი.

უსიტყვო გლოვაო და... უსიტყვო გლოვით მოიოხებდნენ გულს.

გაოგნდებოდა აკაკი წერეთელი, ამასაც მოვესწარი, აქედან თუ ფეხს ამომიკვეთდნენ, რას ვიფიქრებდი, აღარ ყოფილა საშველი და ეგააო.

გრძნობდა, მთავრდებოდა მისი წუთისოფელი, ისე ვიწროვდებოდა რკალი – აგერ, სასაფლაოზეც შემოჭროდნენ.

და მხოლოდ გულში იმეორებდა, რაც საქვეყნოდ უნდა წარმოეთქვა სამარესთან. და დაელოცა და ეკურთხებინა ის ქვეყანა, რომელიც არჩილ ჯორჯაძისთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობდა და წყევლა-კრულვა შეეთვალა იმ გარემოსათვის, რომე-

ლიც უდროოდ სტაცებდა ხელიდან ცხოვრებას ამხელა ნიჭიერების ადამიანებს.

გულში იმარცვლებოდა, გულში ბორგავდა და კედლებს აწყდებოდა აკაკის ფრაზა – უბრალოებითა და შინაგანი ექსპრესიით აღვსილი, თითქოს ისეთი არაფერი, მაგრამ მადლით მოფენილი და იმ პიროვნების სიმაღლიდან წარმოთქმული, საქართველოს ბედისწერას რომ გაიგივებოდა თვითონაც და განსაკუთრებული მნიშვნელობა ამიტომაც მინიჭებოდა მის ყოველ სიტყვას.

და ეს კაცი ირწმუნებოდა, რომ სწორედ არჩილ ჯორჯაძე და მისი რანგის მოღვაწენი იგულისხმებოდნენ ძველი თაობის ფიქრსა და ოცნებაში: ჩვენ წარმავალნი ვართ, მოვლენ სხვები, უფრო მომზადებულნი, უმეტესის ენერგიით და ჩვენს ნაკლს შეავსებენო.

აღარ დასცალებოდა არჩილს „ნაკლის შევსება“?

– მე კი მოხუცი, როგორც მამა, საიმედო და სანუგეშო შვილის დამკარგავი, ვსდგავარ შენ წინ და პირი მიშრება, სიტყვა ველარ მომიხერხებია, მაგრამ ამ დუმილში მეტი თანაგრძნობა იხატება, ვიდრე მრავალმეტყველებაში.

„დუმილში მეტი თანაგრძნობა იხატებაო“ – ორატორული ხერხი გახლდათ, შინაგანი დიდი მდუმარების მიმანიშნებელი და... უეცრად მართლა დაადუმებდნენ, მხატვრულ ხერხს რეალობად გადაუქცევდნენ და შეეცდებოდნენ დაერწმუნებინათ, საცა არა სჯობს, ასე სჯობს, სამარისებური დუმილი უფრო ღაღადებს ჩვენს გაუნელებელ ტკივილსო.

სამარისებური დუმილი სამარეშიც გვეყოფაო, – გულს აწყდებოდა აკაკი წერეთელი.

გასუდრულიყო ირგვლივ ყოველი.

და დიდუბის პანთეონს ეს წუთებიც უნდა გამოეცადა: მუქარის სათავეც და სულიერი გაუტეხელობისაც.

დამორჩილებოდა ამ მოთხოვნასა თუ საერთო განწყობილებას „განთიადის“ შემოქმედიც და ხელში შერჩენოდა ობოლი ფურცელი, ისევე ობლად და უთვისტომოდ დარჩენილი ხელნაწერი, როგორც ის ნეშტი, სამარეში რომ უნდა ჩასვენებულიყო წუთი-წუთზე და ეს ობლობა ისე აშკარად, ისე ხელშესახებად შეტყობოდა... ისიდორე ვარაზაშვილი მეუღლეს რომ მოუთხრობდა პირად ბარათში, ვერა წერეთელს, არჩილის ცხედრის გადმოსვენების ამბავს – შორაპანში რომ დახვედროდნენ იქაურები, საგანგებოდ გაუზიარებდა ამ შთაბეჭდილებასაც: არსად მოჩანდა მისი ნათე-

სავი და ახლობელი, იშვიათად მინახავს ასეთნაირად დაობლებული ადამიანიო.

თუმც ამ შთაბეჭდილებას ის განცდა გადაფარავდა, რომ ნეშტს გარს ეხვია უამრავი ახალგაზრდობა – მეგობრები, მიმდევარნი, მოწაფენი, თაყვანისმცემელნი – თვალცრემლიანნი და გულდათუთქულნი.

დიდი კაცი დავკარგეთო, – პირადი განცდაც გახლდათ და საყოველთაო განწყობილების ამრეკლავიც, – და არა მარტო დიდი – წმინდა, უმწიკვლო და სამაგალითო სული მოგვშორდა და დაგვაობლაო.

...ბაგეზე შეყინვოდა სიტყვები აკაკის, დაჰყურებდა და ველარც ხედავდა ხელში შერჩენილ ფურცელს.

ნოე ჟორდანიას კურცხალიც დაეწვეთებოდა მის კუბოს:

– დიდად ვსწუხვარ ნიჭიერ, თავდადებულ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მებრძოლ არჩილ ჯორჯაძის უდროო გარდაცვალებას.

ოღონდ წრფელია ეს წვეთი თუ ნიანგის ცრემლივით ნაპკური?

იდეური დაპირისპირება, თუნდ შეურიგებელი, ყოველთვის სულაც არა გულისხმობს, რომ პოლიტიკოსები ხარობდნენ ერთმანეთის აღსასრულით; და იქნებ ეს სწორედ იმ იშვიათ შემთხვევათაგანია?

იტრიაში თუ არ მოინახულა, მაშინ იქნებ იმიტომაც რჩებოდა ფეხი უკან, ვაითუ როგორ შემხვდესო, რას წარმოიდგენდა, რომ არჩილი ასე მოუთმენლად მოელოდა მის გამოჩენას და აღტაცებითაც შეეგებებოდა.

და თუნდ მაშინ ბოლმას ვერ მოერია, იქნებ არჩილის გარდაცვალებამ აუხილა თვალი, მოანანიებინა, რა წყენაც მიეყენებინა იმისათვის და წრფელად გაეზომა მისი ამქვეყნიური ღვაწლი, რომლის შეფასებისას აღმატებული ეპითეტები აღარ დაეშურებინა.

დაუფასებდა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე რომ იბრძოდა?

მაგრამ ეს ბრძოლა იმ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებას ესწრაფოდა, რაც ნოე ჟორდანიას ასე აღაშფოთებდა და, ვინ იცის, რამდენჯერ გაევლო გუნებაში, თუ კვდება, მოკვდეს და მოგვცილდეს, არა და არ დაადგა საშველი მაგის გაჩუმებასო.

მაგრამ თუ მართლა ნანობს?

ღვთის წინაშე ხომ არა ვცოდავთ, ნიანგის ცრემლებს რომ ვახსენებთ?

მაგრამ არა, არ იყო ნოე ჟორდანია ის პიროვნება, რაიმე ენანა, მითუმეტეს, ყველაზე ძლიერი მეტოქე ჩამოსცილებოდა პირველობისათვის ბრძოლაში და, რასაც სხვა შემთხვევაში თვითონ ნოე აღასრულებდა გულცივად და ულმობლად, ახლა ბედისწერა მას წახმარებოდა და მისი საქმე ეკისრა.

ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის ის პიროვნული ხასიათიც ცნობილია, რომელიც ცხოვრების ინტერესს ჰკარგავს, როდესაც ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ჩამოშორდება, და გულწრფელად მისტირის, გულწრფელად განიცდის და გლოვობს იმის გარდაცვალებას.

მაგრამ ნოე ჟორდანია არა ყოფილა ამ ბუნების ადამიანი.

თორემ აგერ მისი ბიოგრაფიაც და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტიც.

არც ბრძოლის რაინდული სიმაღლე შეეძლო შეენარჩუნებინა და სენტიმენტალობაც არა სჩვეოდა.

არადა, ასეთი გამოთხოვება!..

თუმც მიზეზი არ უნდა იყოს ძნელი მისაკვლევი.

ძალიან როყიოდ მოუვიდა ის ფრაზა, ილია ჭავჭავაძის მოკვლისას რომ დასცდა: როდესაც ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივაო.

ძალიან გასცა თავი.

და თანამებრძოლებში თუ კიდევ უფრო აამაღლა მისი გავლენა ამ აგდებულმა გამოსვლამ პრესის ფურცლებზე: როგორი მტკიცე მეთაური გვყავს, რევოლუციის ჭეშმარიტი რაინდი და მისი გადმოსახედიდან რა უმნიშვნელოდ გამოიყურება თვით ილია ჭავჭავაძის ფიგურაო, გაოგნებით გაოგნდებოდა ხალხი და დაეჭვდებოდა მის პიროვნებასა და მოღვაწეობის სიმართლეში.

როგორ, ილია და... ნაფოტი?

ბარემ ინანებდა, რამ წამომაცდენინაო, მაგრამ გაფრენილ სიტყვას რაღა დააბრუნებდა და ახლა მარჯვე შემთხვევა მისცემოდა ავტორიტეტის აღსადგენად.

დიდად ვსწუხვარო...

თავდადებულიო...

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მებრძოლიო...

დიპლომატიური ხერხი მოეშველიებინა, ეგაა და ეგ.

აღარ გააგულისებდა არჩილ ჯორჯაძის აჩრდილი.

ილია ჭავჭავაძისა აჩრდილიც აღაშფოთებდა.

ამიტომაც ვერ მოერია მაშინ თავს.

ახლა უფრო დაიოკებდა შინაგან მრისხანებას და სათნო სახით დახედავდა ყველაზე ძლიერი და გავლენიანი მოქიშპის ცხედარს – 1907 წლის აგვისტოს იმ ავბედითი დღის შემდგომ.

არჩილ ჯორჯაძეს დღეს მარტო ჩვენ კი არა – მისი მიმდევრები, ქართველი ერი იგონებსო, – თედო ღლონტმა.

რაღაც განსაკუთრებული არა თქმულა ამ სიტყვებით, არჩილი რომ ეროვნული მოღვაწეა და არა პარტიული მოვლენა, რა თედო ღლონტის მოწმეობა გვინდა, მაგრამ მის მოსაგონარში ის პასაჟია გამორჩეულად საგულისხმო, თუ როგორი წინააღმდეგობრივი გზით შეიძლო არჩილმა თავისი ქვეყნისაკენ ბილიკის გამოჭრა: ერს მან ადრევე მიაქცია თვალის ისარი, ვიდრე თვით ერმა გულისყური მიაპყრო არჩილს. ყველა რომ ვაგინებდით მას, მაშინ იგი ჩვენთვის ზრუნავდა, ჩვენ გავრბოდით მისგან, ის კი ჩვენსკენ, ერისაკენ მოისწრაფოდა. დღეს დავინახეთ შეცდომა და არჩილი შეყვარებული გულის საგანძურად გადაგვექცაო.

ყველა რომ ვაგინებდითო...

აღმოსავლეთის საზღვარზე და თანაც იმპერიის პროვინციად დაკნინებულ მიწა-წყალზე ახალი, ევროპული სულისკვეთებისათვის უნდა გაეკაფა გზა, ცენტრალისტურ მსოფლმხედველობას ფედერალისტური მრწამსით შებმოდა, ეგრძნო, XX საუკუნე ფედერალიზმის ხანა იქნებაო და ამ სულისკვეთებას დასნაფებოდა XIX საუკუნის მიწურულს.

მისი მსოფლმხედველობის ეტაპებსაც ამ თარგზე წარმოსახავდა თედო ღლონტი – საქართველოში დაიბადა, აზიის საზღვარზე, რუსეთში მომწიფდა და ევროპაში დაგვირგვინდა მისი პოლიტიკური იდეალიო.

საფლავზე ძეგლის აგება მაშინვე უნდა გადაწყდეს, ფულიც შეგროვდეს, პროექტიც შეუკვეთონ და იაკობ ნიკოლაძემაც სწორედ შესაფერისი ნიმუში წარმოადგინოს.

მაგრამ განზრახული მარმარილო ტფილისში რომ არ აღმოჩნდებოდა?

იტალიიდან გამოიწერდნენ, მაგრამ ცოტა დაუგვიანდებოდათ, ამასობაში მსოფლიო ომიც ატყდებოდა, გზებიც შეიკვრებოდა და ჩანაფიქრი... ჩანაფიქრადვე დარჩებოდა.

ამ უხერხულობას ქართველი მუშები გამოასწორებდნენ და გიორგი ლასხიშვილიც და სხვანიც, ვინც ქვეყნის ბედს აყოლილიყო, იმათ ემადლიერებოდნენ, რომ პატარა ძეგლი – მარმარილოს გვირგვინი – მაინც აიგო სამარეზე მოკლე წარწერით:

– ჩვენს მასწავლებელს ქართველ მუშებისაგან.

კეთილ განზრახვადვე დარჩებოდა „სახალხო გაზეთის“ წინასწარი ცნობაც, ელოდეთ არჩილ ჯორჯაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულს, რომელშიც თავს მოიყრის სამგლოვიარო წერილები და დეპეშებიო. ამ აღნაგობისა და შინაარსის წიგნი მიეძღვნებოდა ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, მერე იაკობ გოგებაშვილისას, მაგრამ ამჯერად...

ტომების გამოცემასაც ომი ჩაშლიდა.

ეგონათ, ცოტა გადაავადა და ესაა, დასრულდება თუ არა, გამომცემლობაც მაშინვე წელში გაიმართება, ქაღალდის ფასი ასე ავარდნილი რომ აღარ იქნებაო. ვინ იფიქრებდა, სულაც იატაკქვეშ თუ მოექცეოდა არჩილ ჯორჯაძის სახელი, საქართველოს ფარულ ისტორიას გამოჰყვებოდა და ლამის საუკუნე მოუნდებოდა ამ სახელის ხელახალ აღორძინებას. თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას კი ასე ადვილად ვერც მოებმოდა თავი და ვიქნებოდით იმ ხუთტომეულის ამარა, რომლის მეხუთე წიგნიც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოაღწევდა მზის სინათლეზე.

წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირავდა თავის ყველა თხზულებას და გამგეობა კიდეც გადაწყვეტდა მათ თავმოყრასა და გამოცემას – ხუთტომეული აღარსად იშოვნებოდა და მათი განმეორებაც აუცილებელი გახლდათ, მათ შემდეგ შექმნილი მრავალი პუბლიცისტური თუ მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილება კი ახლა მოელოდა – ზოგი ტომეულთა გარეკანში მოქცევას და ზოგი სულაც პირველად მოხვედრას მკითხველის ხელში.

სადღა იქნებოდა მკითხველი, თორემ...

პატარა, დაწრეტილი გუნდი შემორჩებოდა, ახალ-ახალი თაობით რომ შეენაცვლებოდა ერთმანეთს და, ყოველმხრივ შეიწრებული, იმედს მაინც არ დათმობდა – კვლავ დადგება არჩილ ჯორჯაძის ჟამიო.

არჩილ ჯორჯაძის ჟამი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას გულისხმობდა, არა წამიერს, გადაელვებულსა და მირაჟებში ჩაკარგულს, არამედ ნამდვილსა და მტკიცედ დამკვიდრებულს, ამოშენებულს იმ ფანატიკურ რწმენაზე, კაცობრიობის ხსნაზე მეოცნებე არჩილ ჯორჯაძესაც რომ შემოუბრუნებდა აზროვნებასა და მსოფლგანცდას და დააჯერებდა, რომ ადამიანის გადარჩენა აქედან იწყებოდა, მხოლოდ აქედან – მიწის ამ პაწია ნაგლეჯიდან, შენი ქვეყანა რომ ერქვა, თავისი ცოდვა-მადლით,

თავისი ტკივილებით, დაცემითა და აღმაფრენით, მაგრამ ყველაზე მძაფრად ჩაფესვილი შენს სულსა და ისტორიულ მეხსიერებაში და მსოფლიო იდეალისაკენ ერთადერთი გზის გამკაფავი. ლევ ტოლსტოის გამოგლეჯდა სულის კუნჭულიდან დაძრული ტალღა და ილია ჭავჭავაძის კალთას შეაფარებდა და აქედან დაიწყებოდა ის ნამდვილი არჩილ ჯორჯაძე, საქართველოს თავისუფლების ძიებასთან რომ გაიგივდებოდა ჯერ უამრავი ადმიანის თვალში, შემდეგ... ერთი მუჭა პიროვნებებისა, მერე და მერე კი თანდათან დაიბრუნებდა მკითხველსაც იმ ალალი, გულისგულში გამოტარებული ბარათებით, ტომებად რომ განფენილა და რომელთაგან ზოგს რომელი ჟანრი მიესადაგება უფრო და ზოგსაც რომელი, მაგრამ ერთ რკალს მაინც შერჩებოდა მოხდენილ განსაზღვრებად ეს – წერილები იტრიის წისქვილიდან, თანაც – ამოვლებული თავთუხის სურნელებაში.

* * *

თავის ნაწერებს არჩილ ჯორჯაძე წერა-კითხვის საზოგადოებას რომ უანდერძებდა, 28 მარტს „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში მისი ბარგი გაიხსნებოდა და ოქმიც შედგებოდა, თუ რა აღმოჩნდებოდა შიგნით:

დალუქული კონვერტი შემდეგი წარწერით – ამ ქაღალდების გახსნის უფლება აქვს მხოლოდ კიტა აბაშიძეს ჩემი სიკვდილიდან ხუთი წლის შემდეგ, მანამდე კი ქაღალდები უნდა ინახებოდეს „სახალხო გაზეთისა“ ან მისი მიმდევარი გაზეთის რედაქციაშიო (თავისთავად საგულისხმო დეტალია, რომ არჩილ ჯორჯაძეს მაინცდამაინც არ ეიმედება, ხუთი წლის შემდეგ კვლავაც თუ იარსებებს ეს რედაქცია და მის მემკვიდრე გაზეთს ამიტომაც გადასცემს ამ უფლებას).

ტყავის პორტფელი, რომელშიც ინახებოდა მისი მიმოწერა სხვადასხვა პირებთან (აქვე ჩაედო ქაღალდის საჭრელიც).

ქაღალდის პორთფელი, მისი თხზულებათა მეხუთე ტომისათვის გამზადებული მასალები.

და კიდევ ერთი ქაღალდის პორთფელი, ზოგიერთ ხელნაწერს რომ ინახავდა.

ანდერძი დოკუმენტურად არ შეედგინა და, წერა-კითხვის საზოგადოება რომ ითავებდა მოვლა-პატრონობას, დაეყრდნობოდა

მის სიტყვიერად გამოთქმულ სურვილს გიორგი ლასხიშვილსა და სოსიკო მდივანთან.

სხვა რამ ქონება არ დარჩენია.

რაც მთელი ცხოვრება ეგროვებინა, იტევდა გამოცემული ოთხი ტომი და ეს ხელნაწერები თუ გამოქვეყნებული ტექსტები.

ესეც არჩილ ჯორჯაძის მონაგარი – სულიერიც და მატერიალურიც – და, თუ ვინმეს მაინც ეგონა, დიდ სიმდიდრეს თუ ვერა, რაღაცას კი მოუყრიდა თავს და გასანაწილებელი უსათუოდ იქნებაო, რეალობას სად ნაუვიდოდა.

შიშველი მოსულიყო ამქვეყნად, შიშველივე ტოვებდა სამზეოს და ამგვარ დაგვირგვინებას მისი ღვაწლისა ყველაზე ხელშესახებად ეს ოფიციალური დოკუმენტი დაადასტურებდა.

ოქმს ხელს მოაწერდნენ ის პირნი, რომელთა თანდასწრებითაც გაიხსნებოდა არჩილ ჯორჯაძის ბარგი:

გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლასხიშვილი, არისტო ჭუმბაძე, კიტა აბაშიძე, მიხეილ ჯავახიშვილი და არჩილ ჯაჯანაშვილი.

* * *

მწერლის ორ ფსიქოლოგიურ ტიპს განასხვავებდა გრიგოლ რობაქიძე, ორ სახეს, ორ მიმართულებასა თუ ყაიდას:

ერთი ქმნიდა და თვითონ ქმნილების უკან რჩებოდა.

მეორე ქმნიდა და თვითონ ქმნილებაში გადადიოდა.

პირველის პიროვნებას ვერ ამოიკითხავთ მის ნაწერებშიო, – დასძენდა, – მეორის პიროვნება კი უხილავ სდევს მის თხზულებასო.

პირველი სახის მწერლებს აღარ ჩამოთვლიდა, არც ერთ რომელიმე მათგანს გამოარჩევდა თავისებურ სიმბოლოდ, რადგანაც მისთვის მთავარი ეს მეორე ფსიქოლოგიური ტიპი უფრო გახლდათ და ის სიმბოლური სახება, რომელსაც უნდა ეგულისხმა ეს მიმართულება: არჩილ ჯორჯაძე.

და ამ ფრაზასაც მოადევნებდა:

– ყოველს მის წერილში სიტყვასა და სიტყვას შუა მისივე პიროვნებაა მოქცეული.

თხზულებათა სრული კრებული მონუმენტურად აზიდავდა მის სახებას, და თუმც ნაკლული აღმოჩნდებოდა ეს გამოცემა, მკითხველი თავის წარმოსახვაში დაასრულებდა ამ მონუმენტურ სუ-

რათს – უხილავსაც და თან ისეთ კანთიელსაც, სიკაშკაშემ რომ უწყის, მაგრამ არა დამაბრმავებელმა. თუმც იქითაც მიილტვოდა მისი სულიერი მზერა და სწრაფვა, მაგრამ თვითონ არ შერევია დამაბრმავებელ ნათელს, რელიგიის ბილიკებზე ხეტიალისას ხან იქნებ გადაცდენია ნაბიჯი უფრო სიღრმეშიც, მაგრამ შიგნით მაინც არა შთანთქმულა ნეტარი ავგუსტინესავით, ვის ბიოგრაფიასაც გარეგნულად ასე დაემგვანებოდა არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფია.

ის რწმენის უარყოფით მივიდოდა რწმენასთან.

ეს სამშობლოს უარყოფით მივიდოდა სამშობლოსთან.

შიგნით მაინც არ შთანთქმულაო...

თავის ნაწერებს კი შეერეოდა უხილავად და გამოჰყვებოდა, სტრიქონსა თუ სტრიქონს შუა ყველგან ხელშესახებად ნაგულისხმევი.

ვითომ ასე მკვეთრად იმიჯნება ეს ორი ფსიქოლოგიური ტიპი?

სიმკვეთრე ანკი რა აუცილებელია, პირობითობაც კმარა, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ სიმბოლიკაში მოაქცევდა არჩილ ჯორჯაძეს ახალი თაობის თანამოკალმე და თვითონაც სადღაც იქვე გულისხმობდა საკუთარ თავს.

მიჰყვებოდა მის სტრიქონებს და ყველგან მისი ლანდი ამოუჩნდებოდა თვალწინ.

იმ დაკვირვებასაც ეს ხილვა შობდა.

...ნეტა დაცლოდა საქართველოს პრობლემის დაყენებაცო, – ფიქრობდა გრიგოლ რობაქიძე და ვეღარც ვერავინ გადაარწმუნებდა, – აბა, ჩაადაევის რუსეთის პრობლემას რატომ უტრიალებდა სულის ამოხდომის წინო.

თავი ოცდამეთოთხმეტე

სფინქსიც და... იოანე ნათლისმცემელიც?

ჯერ – ახალ ტომს ითხოვს მკითხველი.

ჯერ – მანამდელი ტომების განმეორებას იხვეწება.

ჯერ – მხურვალეა დაპირება ხალხის წინაშე, წიგნებისაც, ქანდაკებისაც, და ამაღლებულ წარმოდგენებში გახვეულა არჩილის სახება.

წლისთავი რომ მოაწევს, ცხრა საათიც არ იქნებოდა, მიხაკო წერეთელი დიდუბის ტაძრისაკენ გაეშურებოდა. ეგონა, პირველი მივალ და თავისუფლად დავათვალიერებ საფლავსაც და მუშების მიერ მიძღვნილ მარმარილოს გვირგვინსაცო.

მოტყუვდებოდა, მაგრამ ისე სასიამოვნოდ და გასახარად დაურჩებოდა ვარაუდის ეს გამტყუნება.

სამარესთან უკვე მრავლად მოეყარათ თავი მუშებს, გვირგვინი დილითვე გაემართათ და საფლავი კი გაზაფხულის ვარდ-ყვავილებით მოერთოთ.

მატულობდა ხალხი.

მუშათა ჯგუფიც თანდათან მრავლდებოდა.

თეთრ მარმარილოს ფიცარზე დაფნისა და მუხის ფოთლით დაწნული გვირგვინი ამოეჭრათ და მიხაკო წერეთელს ძალიან მოეწონებოდა გულითადი და ფაქიზი ნამუშევარი. – არ ველოდიო, – გაიფიქრებდა და უფრო დააკვირდებოდა.

ერთი მუშა მიადგებოდა, ახალგაზრდა და სიხალისის განსახიერება, და გვირგვინის სიმბოლიკის განმარტებას მოჰყვებოდა:

ეს დაფნის ფოთოლი ნიშანი ნიჭიერებისა, გონებრივი შემოქმედებისა და ღრმა აზროვნებისა, მუხის ფოთოლი კი სიმტკიცისა, მხნეობისა და მარადისობისაო.

მიხაკოს რა განმარტება სჭირდებოდა, მაგრამ მაინც გულდასმით მოუსმენდა მუშას, სულს დაუამებდა მისი სიტყვები და თვალს

რომ მიმოატარებდა, ძალაუნებურად გაიცლებდა გუნებაში: რა სწორად, რა უტყუვრად უგრძვნიათ მის მიმდევარ მუშებს არჩილის ორი ნიშანდობლივი თვისება – ყველას სახეზე ეს ორი რამ აღბეჭდვია, იმედი და ფიქრიო.

წარწერა მასაც ძალიან მოეწონებოდა თავისი სისადავით, სიდინჯითა და უბრალოებით.

და მის თვალში ეს პატარა მარმარილოს ფიცარი ამაღლდებოდა სიმბოლოდ, როგორც უტყუარი მოწმე ჩვენი ცხოვრების მრავალმნიშვნელოვანი ხანის – დემოკრატიის გამოფხიზლებისა; და დროის გადმოსახედიდან, მოსალოდნელია, მიჯნადაც დადებულიყო:

აქეთ არცნობა საკუთარი თავისა, საკუთარ ინტერესთა გაუთვალისწინებლობა და ეროვნული სასოწარკვეთილობა, იქით კი მტკიცე შეგნება, ნათელი გზა და უძლეველი იმედიანობა.

ხალხის ეს სიმრავლე და ტორტმანი იმედს განუმტკიცებდა: ვიწრო რკალი შემოევლება არჩილის აზრების გარშემო და არ გახდება საჯიჯგნი უგვანთა და გარეწართაო.

ყურს მოჰკრავს ერთი მუშა მეორეს რომ ეტყვის:

– შარშან არჩილის დასაფლავებაზე მხოლოდ სამიოდე კაცი ვიყავით; და ეხლა კი, აი, ნახე რამდენია.

და თან ამაყად გადაავლებს თვალს თანამოაზრეთ.

ეს ფრაზა საკმარისია, რათა მიხაკო ნერეთელს ფიქრი ფიქრზე წამოეშალოს და კვლავ თავის ყველაზე დიდ სატკივარს დაუბრუნდეს: მართლაც ეს სამი კაცი ობლად, განმარტოებით განიცდიდა თავის ტკივილს; ვინ იცის, შეიძლება მეორე კუთხეში კიდევ სამი იდგა და თავს ასევე ობლად გრძნობდა. მათ არ იცოდნენ, რომ იქვე, მათ გვერდით, მათსავე მდგომარეობაში მყოფი ხალხი ამავე გრძნობას განიცდიდა და საერთო აზრით იყო შეპყრობილი. ისინი ვერ სცნობდნენ ერთმანეთს და შესაძლოა უნდობლადაც უყურებდნენ; და, აი, დღეს, წლისთავზე, იმ ობლად მდგარ მუშას ეამაყება, ასე რომ გაბევრებულან, და დღეს ყველა ერთმანეთის ნაცნობია, ერთმანეთის მეგობარიო.

სხვა ფრაზასაც მოჰკრავდა ყურს:

– არჩილის საფლავი ჩვენი ძალის გამოსაცდელი უნდა იყოს, აქ უნდა გამოვიტანოთ, გამოვამზეურთ ჩვენი ცხოვრების ყოველი წლის ნაყოფი, შედეგი.

საკულტო ადგილის ნიშნებს იძენს არჩილ ჯორჯაძის საფლავი.

და მთავარი ისაა, რომ არც ხელისუფლებაა მონდომებული საამისოდ და არც სოციალისტ-ფედერალისტური პარტია. ერთი სუ-

ლაც დაუპირისპირდება ასეთ განზრახვას, მეორეს ძალიანაც გაახარებს, მაგრამ თვითონ არ უდგას სათავეში ამ წამოწყებას და მადლიც ესაა – ბუნებრიობა, ძალდაუტანებლობა, სახალხო განცდა.

მიხაკო წერეთელს სწორედ ეს ბუნებრიობა გაუხალისებს გულს და ერთი სურვილი აქვს, იდგეს ასე ხმაგაკმენდილი და გახევებული და არც კი ჩაერიოს მუშათა წრფელ ლაპარაკში, თავისთვის იფიქროს მხოლოდ, რომ: მართლაც არჩილი ცხოვრებაში ჩვენი სურვილების, ზრახვათა და ფიქრის შუაგული იყო. იმის გარშემო იკრიბებოდა ძალა ეროვნული დემოკრატიისა და სიკვდილის შემდეგაც იმავ ცენტრად რჩება, იმავ დედაგულად, საცა ჩვენ უნდა შევამოწმოთ ჩვენი ძალა და სისუსტე, საცა უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი ავი და კარგიო.

იმედს რა სჯობს... იმედოვნებას მაინც არ უნდა გამოეხსნა კაცი.

...კიდევ ერთხელ გამოსულიყო მთესვარი თესვად.

კიდევ ერთხელ ვერ უნდა ეცნოთ წინასწარმეტყველი თავის მამულში.

როდესაც მსოფლმხედველობას ნაციონალიზმი და სოციალიზმი შეადგენს, რომელნიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, მათ მოსათავსებლად ერთმანეთში ხდება საჭირო შექმნა რაღაც მესამის – ფედერალიზმისაო, – შალვა ამირეჯიბს არჩილ ჯორჯაძის აპოლოგია უკვე შეეთხზა, სიმბოლურ სახებამდე აეზიდა და თავს ნებას მისცემდა პარტიულ დაპირისპირებაში გადაშვებულიყო.

თუმც ნაციონალიზმი და სოციალიზმი ორი საწინააღმდეგო პოლუსი რომ არის და მათი გადაბმა-შეკავშირება ნაკლებ მოსალოდნელი, ამის სამტკიცებლად სულაც არ არის აუცილებელი პარტიული ბრძოლა-ქიშპობა.

ყოველ შემთხვევაში, არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის წინაშე პირნათელი გახლდათ და ალბათ შეიძლებოდა, სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას მკაცრად რომ განსჯიდა – მათ პროგრამას სული არ გააჩნია, დამრაზმველი და გამწყობი სული, არც ფილოსოფია გააჩნიათ და მოკლებულნი არიან თუნდ ისეთ რაიმესაც, რაც სოციალ-დემოკრატებისათვის მეცნიერული კომუნიზმია; შეხედულებებს მუდამ სხვებისაგან სესხულობენ და ამიტომაცაა, რომ მათ ფილოსოფიურ შემეცნებაში ყველა თეორია მოისინჯა, პროგრამაში კი სინდიკალიზმი, სოციალიზმი და ფედერალიზმიო – ძალაუნებურად პარტიის შემქმნელსაც გადაწვდენოდა – უფრო მოაზროვნე იყო, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწეო.

– მასში ჭეშმარიტების სული იბრძოდა და ამ ჭეშმარიტებას შორს მიჰყავდა იგი. იყო რა შეუდრეკელი მომხრე ეროვნებათა თავისუფლებისა და გამსჭვალული ამ მარტივი ჭეშმარიტებით, მისთვის არა მარტივსა და დიდს საბუთებს ეძებდა და მან ეს საბუთი სოციალიზმში ნახა.

ეს მსჯელობა ცოტა არ იყოს რთული მოეჩვენებოდა და იქვე მეტაფორებს მოიშველიებდა, რათა მკითხველისათვის უფრო გაეიოლებინა მისი აღქმა.

ეროვნული თავისუფლება არჩილ ჯორჯაძისათვის ვარსკვლავი იყო, სოციალიზმი მზე, შეცდომა კი ის, რომ მზის შუქზე სურდა ვარსკვლავის დანახვა. ამიტომ ის დაემართა, რაც ყველას ემართება – მზის დროს ვარსკვლავს ველარ ხედავდა და ვარსკვლავის დროს მზესო.

განა შეიძლება პარტიას, რომელიც ეროვნულ უფლებათათვის ბრძოლას აპირებს, სარჩულად პოლიტიკური ფედერალიზმი დასდებოდაო? – უკვირდა შალვა ამირეჯიბს, მაგრამ ამ რიტორიკულ შეკითხვას არა კმარობდა და სათქმელს უფრო ანაწევრებდა: ფედერალიზმით არჩილ ჯორჯაძემ მხოლოდ თავისი ძიება დააგვირგვინა, მან ავანსი გაიღო მომავლისათვის და ამით დროებით გადაარჩინა თავისი თეორია დაღუპვასო.

გადარჩენა გადარჩენად, მაგრამ ეს ფედერალიზმი მაინც რა არის?

უაზრობააო, ესეც წაცდებოდა, მაგრამ მერე მოთმინებით აუხსნიდა მკითხველს: ფედერაცია თანასწორუფლებიან ერთა, ორგანიზაციათა, ერთეულთა კავშირია, სხვა შინაარსი არ გააჩნია, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მოკლებული შინაარსს, ის არც ფორმაა მართვა-გამგეობის, სახელმწიფოსი, კონსტიტუციის, მხოლოდ კომბინაციაა. და განა შესაძლებელია პარტიულ პროგრამას ან, რაც უკეთესია, ეროვნულ პროგრამას სარჩულად კომბინაცია დაედოს? ფედერალისტთა პროგრამას კი სწორედ მარტო კომბინაცია უდევს საფუძვლადო.

ფედერალისტთა პროგრამაში ფედერალიზმი არ მოჩანდა შორეულ მოთხოვნილებად, ის ისეთივე მინიმუმად წარმოდგებოდა პროგრამისა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც შესაძლოა ბურჟუაზიულ და სახელმწიფო პირობებშიც მობმოდა თავი. რუსეთში მოსახლე ერების ფედერაციული კავშირი – ეს ხომ რუსული ფედერალიზმის მიზანი გახლდათ, მაგრამ მეტად საეჭვო, და შალვა ამირეჯიბი მომხიბლავი ფასადის მიღმა ჩამალულ წინააღმდეგობას წარმოაჩენდა:

– რუსეთში ერები ისეთ პოლიტიკურ პირობებში სცხოვრობენ, რომ ფსიხოლოგიურად წარმოუდგენელია, რომ მათ ერთსა და იმავე დროს რუსულ მონობიდან განთავისუფლების სურვილიც ჰქონდეთ და კვლავ შეკავშირებისაც.

რა გამოდიოდა?

რუსეთის კავშირი თუნდ საქართველოსთან ფედერაციას შექმნიდა?

პუბლიცისტს ეს უფრო სოციალურად უთანასწორო პირთა ქორწინებას აგონებდა, რაც თავისთავად ცხადყოფდა ამგვარი კავშირის უსარგებლობას – აბა, რა ხელსაყრელი შეიძლება ყოფილიყო საქართველოსათვის რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკაში ჩაბმა?

ფედერალისტთა პროგრამის ამგვარი კომბინაცია აბუნდოვანებდა ეროვნულ-დემოკრატთა თვალში ავტონომიასაც.

ნუთუ ავტონომია თვითარსი გახლდათ?

ის მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას სახელმწიფოებრივი განვითარებისაო, – ფედერალიზმის რაობის გამოსარკვევად შეთხზული პუბლიცისტური სტატია ამ მთავარი მოტივის ირგვლივ შეჰკრავდა მსჯელობას და ამ მოთხოვნილების შინაგან რღვევას ასე დაასაბუთებდა: წინ ფედერაცია უდგას და არსად არ უშვებს. ამრიგად, ის ქართველი ერის სრულ პოლიტიკურ იდეალს არ გამოხატავს და პროგრამის უვარგისობაც სწორედ ეს არისო.

ისეთი დაბეჯითებით უკუაგდებს არა პროგრამის ცალკეულ მუხლებს, არამედ მთელს პროგრამას, თითქოს ეროვნულ-დემოკრატთა ფედერალისტური პარტიის წიაღში არ იყოს შობილი – მის ერთ ნაკადად, რომელიც თანდათან ასე შორს გაიწევდა, სრულიად დაშორდებოდა და სულაც იმ წიაღს მიადგებოდა ამოსაშრობად.

დაპირისპირება კიდევ უფრო მკვეთრი გამხდარიყო სოციალ-დემოკრატიის ორ ფრთას შორის, გაცილებით სასტიკი და დაუნდობელი, მაგრამ იქ სრულიად მოჩვენებითია იდეური განსხვავება და შეჯახება ორგანიზაციულ მხარეს გამოეწვია, გავლენისათვის ბრძოლას ჩაეთრია შეურიგებელ ჭიდილამდე მენშევიკები და ბოლშევიკები, აქ კი, სოციალისტ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის მართლა იდეური სხვაობა გამოკვეთილიყო და სად ედევნათ, ფესვები სად ჩაკირვოდათ.

არა, საკუთარი პარტიის ისტორიას ლეგენდებში კი არა ჰხვევდნენ და ფედერალისტებს იმთავითვე კი არ ემიჯნებოდნენ, არც

იმას ამტკიცებდნენ, ჟენევის კონფერენციაზე ჩვენი თითო-ოროლა თანამოაზრე შემთხვევით მოხვდა, თორემ იქ რა დარჩენოდათო.

ისტორია ისტორიად, მაგრამ შეხედულებათა სრული სხვაობაც აღარ უნდა დაფარულიყო, თუნდ არჩილ ჯორჯაძის სახელი შარავანდითაც შეემოსათ – არამარტო სხვებს, არამედ თვითონ ეროვნულ-დემოკრატებსაც.

ეამაყათ, რომ პირადადაც იცნობდნენ.

მისი ნაწერებიც დროდადრო გადმოელოთ და იქ ბევრი რამ სასარგებლო აღმოეჩინათ, მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ მღელვარებათა ხანაში.

მთავარი ისაა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება წასწრაფებულა წინ, კი არ წასულა, სწორედაც წასწრაფებულა და რაც რვა-ათი წლის წინათ დიდ გაბედულებად ითქმოდა – სიტყვის დაძვრა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიაზე – ახლა ცოტა არ იყოს მოძველებულა და ისეთ გადამეტებულ სიფრთხილედ მოჩანს, რაც ახალ ჟამს ნაკლებ შეეფერება.

მაშინ ნინო ყიფიანის მოთხოვნა გაისმა დისონანსად – ახლავე დამოუკიდებლობა გვერჩიენოს ავტონომიასო.

ახლა ავტონომიის მოთხოვნა ჭრიდა ყურს – გაცილებით მეტი შეიძლება და ვის ვერიდებით და რატომ ვერიდებითო.

მაშინ ანგარიში უნდა გაეწიათ იმპერიული მიზნებისთვისაც?

ახლა რაღა უჭირდათ საიმისო, რუსეთის ინტერესებისათვის შეეფარდებინათ თავიანთი იდეალი, ერთ ადგილას ტრიალი ვითომ სიკეთეს მოიტანდა?

შალვა ამირეჯიბიც მზად გახლდათ შარავანდით შეემოსა არჩილ ჯორჯაძის სახელი. ეს არ ყოფილა ვალის მოხდა განსვენებულის წინაშე, სამარესთან მდგომის სამგლოვიარო სიტყვა, თავისი აუცილებელი ჰიპერბოლიზებით.

იგი განსჯიდა საქმეთა და ღვაწლს პიროვნებისა, რომლის ამქვეყნიური არსებობის დასასრულიც ეპოქის მოთავებას გაუიგივდებოდა.

იმხელა ეპოქისა იქნებ ვერა, წიწამურის იმ საბედისწერო დღეს რომ მოჰყოლოდა, მაგრამ უშუალოდ გადაჯაჭვოდა იმ წუთებს, მის გაგრძელებად აღიქმებოდა და გააზრება და შეფასებაც შესაფერისი ესაჭიროებოდა – ისტორიული ფონი შემორკალული არ უნდა ყოფილიყო, მარტოდენ არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიის ირგვლივ განფენილი – 1801 წლის სექტემბრის იმ ავბედითი დღიდან უნდა

გადალაგებულიყო ისე ისტორიული მოვლენები, ყოველი დიდებული პიროვნების გამოჩენა რომ იწვევს. თავისთავად გიბიძგებს ყველაფრის სრულ გადასაფასებლად, რადგანაც გარდასული მოვლენები თუ პერსონაჟები ახლებურად გაიელვებენ.

სხვაა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისთავად.

სხვაა ილია ჭავჭავაძის გამოჩენის შემდგომ.

სხვაა არჩილ ჯორჯაძე რომ მოევლინება საქვეყნო ასპარეზს.

კიდევ სხვათა ჩამოთვლაც შეიძლება, მაგრამ ამჯერად ესეც კმარა, და შალვა ამირეჯიბიც ამ გადმოსახედიდან გაიაზრებდა მღელვარე ეპოქებს, რომელთა ფესვი და ძირი ჩაყინულიყო და მღელვარებაც პირობითობად უფრო ითქმოდა, ვიდრე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგებოდა და ნაპირს მიჯაჭვული ხომალდიც საკაცობრიო ოკეანეს შეერეოდა.

დრო-ჟამის ტრიალიც მაშინ სულ სხვაგვარად გაიზომებოდა, პირობითობას რეალობა წააჭარბებდა და გაყინული შრეებიც ისე გალხვებოდა და ამოელვარდებოდა, გული მოგეცემოდა, აღარც არასოდეს ჩაიყინებაო.

თაყვანება თაყვანებად, მაგრამ სიწრფელე ავალებდა შალვა ამირეჯიბს, ოდნავი ხინჯიც არ ჩაეტოვებინა გულში და არჩილ ჯორჯაძის ნაწერი, ნაფიქრი და განცდილი სფინქსად მოეხსენიებინა.

როგორ თუ... როგორ თუ სფინქსად?..

ერთი მხრივ იგი თითქოს პირველი იყო, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ქართველი ხალხის პოლიტიკურ პროგრამას და სურდა ყოფილი სამეფოსათვის დაებრუნებინა სახელმწიფოებრიობის ელემენტი ანუ თვითმმართველობა, მეორე მხრივ კი, სოციალური სამართლიანობის ნიადაგზე, სახელმწიფოს სრულ უარყოფამდე მივიდაო.

ორი საწინააღმდეგო თეორია როგორ თავსდებოდა მის აზროვნებაში?

სფინქსის გამოცანად ეს რჩებოდა შალვა ამირეჯიბისათვის, და თუმც ვერ უარყოფდა, რომ ეს ორი მოწინააღმდეგე აზრი ლამაზადაც კი შეკავშირებულიყო, მაინც აქ ეძიებდა მისი სულის ტრაგედიას.

ტრაგედიას ხსენებით ახსენებს, მაგრამ აღარ სურს ამ მხრივ საგანგებოდ ჩაუკვირდეს და მისი მიზეზები არკვიოს. დაე გაკვრითი გაელვება იკმაროს მკითხველმა, და კიდევ – არჩილ ჯორჯაძის აზროვნების განსაზღვრება რთულ მსოფლმხედველობად. ავტორს

ურჩევნია ის სფერო წამოწიოს წინ, რითაც არჩილ ჯორჯაძე პირველად ეჩვენა საზოგადოებას – როგორც მებრძოლი ეროვნული უფლებისათვის.

შალვა ამირეჯიბი იმაზე დააფიქრებდა მკითხველს: საქართველოს კულტურული ძალღონეც და ეკონომიკური ყოფაც მაშინაც არსებითად იგივე იყო, როცა იგი გამოვიდა ასპარეზზე, რაც მის გამოსვლამდეო.

აშკარად მოჩანდა:

არც არჩილ ჯორჯაძე და არც მისი პროგრამა ცხოვრების ზრდა-განვითარებით არა ყოფილა გამოწვეული.

მოულოდნელობა თან დასდევდა ქართული ცხოვრების რეალობას.

ჩაძიება და ღრმა კანონზომიერების აღმოჩენა მიახვედრებდა ადამიანს, რომ ყოველგვარი მოულოდნელობა გარეგნული ყოფილა და მოვლენათა ფარულ თანმიმდევრობას გარკვეული ლოგიკა წარმართავდა, მაგრამ ამ კანონზომიერებას ყოველთვის ვერც მიაგნებდი და თვალში კი ცხოვრების მბრუნავი ნაკადი გხვდებოდა თავისი უცნაური გამოვლინებებით.

არჩილ ჯორჯაძის ბუნებისა და სულიერი სიმაღლის პიროვნება შესაძლოა ათი წლით ადრე გამოჩენილიყო? ან ათი წლით გვიან?

შალვა ამირეჯიბი სხვა პარტიაშიც რომ ყოფილიყო გამოკვეთილი ფიგურა და სოციალიზმ-ფედერალიზმი სულაც მოძველებულ და დამაბრკოლებელ პოლიტიკურ ორგანიზაციადაც მიეჩნია, აღიარებით მაინც აღიარებდა იმ უმთავრესს:

– ნამდვილად კი, უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის ისტორიაში, იგი გამოდის როგორც შემქმნელი თვით ამ ვითარებისა და ქართული პოლიტიკური აზროვნება დავალებულია სწორედ მისგან.

ცხოვრების ზოგადი გეზის წარმმართველად სახავს და არა ერთი რომელიმე პარტიის იდეოლოგად.

ვინმეს ყურს მოჭრის ასეთი შეფასება?

შალვა ამირეჯიბი არ დაგიდევს, რაკიღა გამორჩეულ პიროვნებად იწამა და ახლა პოულობს შესაფერის ჟამსაც, მისი ბიოგრაფია აღამაღლოს რელიგიურ სიმაღლემდე.

ის არ ყოფილა ღმერთი, რომელმაც პირველად თქვა კეთილი სიტყვა, მასზე ადრეც გვყავდნენ მოღვაწენი, რომელთაც უკვე თქვეს ეს კეთილი სიტყვაო, – ისეთი კილოთი აგრძელებდა მსჯელობას, თვალნათლივ გრძნობდი, სახარების მოტივი ხელშესახე-

ბად რომ გამოიკვეთებოდა და ახალი ჟამის ოთხთავში, რომელიც წარმოსახვაში არსებობდა, არჩილ ჯორჯაძე თავის ადგილს იმკვიდრებდა.

აღსრულებულიყო, რისთვისაც მოვლენილიყო ამქვეყნად.

მასზე ადრე ეთქვათ კეთილი სიტყვა?

– სამაგიეროდ, ის იყო ნათლისმცემელი, რომელმაც მონათლა „ღმერთიც“ და თვით „სიტყვაც“. და ამის შემდეგ იმ „ღმერთმა“ ხალხში დაიწყო სიარული, ამის შემდეგ „სიტყვა“ იგი მოიფინა ხალხში. აი, მისი დიდი ღვაწლი.

იოანე ნათლისმცემელს გაუიგივდებოდა.

ამ ქარაგმულ პასაჟში მხოლოდ ის გაიშიფრებოდა და „ღმერთიც“ და „სიტყვაც“ გამჭვირვალე მინიშნებად დარჩებოდა.

ერთ პიროვნებას გულისხმობდა?

თუ მთელს პოლიტიკურ გუნდს ეროვნულ-დემოკრატებს, რომელნიც როგორც უნდა დაცილებოდნენ, მაინც მისი კალთიდან რომ ამოზრდილიყვნენ და თურმე ეამაყებოდათ, არჩილ ჯორჯაძემ გვცხო ნათელი, მან შეგვაყენა მისიონერულ გზაზეო.

აი, მისი დიდი ღვაწლიო და:

მის საზოგადო ასპარეზზე გამოსვლამდე ქართველი საზოგადოება თავის პოლიტიკაში მხოლოდ კეთილი სურვილებით იქცევდა თავსო, – წინარე ხანას ამ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ფორმულაში რომ მოაქცევდა, ამ მკაცრი განაჩენის დასაბუთებას იმით შეეცდებოდა: მანამდე არავის გააჩნდა გარკვეული პროგრამა, აღმოცენებული ეროვნულ ნიადაგზეო.

კი მაგრამ, ილია ჭავჭავაძე და მისი თაობელები?

სოლომონ დოდაშვილი და მისი თაობელები?

ანდა...

ნუ ჩავეჭრებით შალვა ამირეჯიბის მსჯელობას, ჯერ ვაცალოთ, იქნებ რას გულისხმობს... იქნებ სწორედ პარადოქსს უნდა მიანდოს გულისნადების ამოთქმა?

– ჩვენ გვიყვარდა ანგარიშმიუცემლად და კი არ ვიცოდით, რა გვიყვარდა. ჩვენ მივისწრაფოდით, როგორც „თავგანწირული მხედარი“ და კი არ ვიცოდით საით? ჩვენი ცხოვრება დახასიათდებოდა იმავ მერნის ლტოლვით, რომლის სადავე მიუშვა ოდესღაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა და რომლის შემდეგ რიგ-რიგად ყველა ჩვენი საზოგადო ბელადი იჯდა მაზედ. ეს იყო დრო თავგანწირულ მხედართა, რომელნიც გაურბოდნენ ცხოვრების სიდუხჭირეს, რო-

მელთაც თავის ქვეყნის ბედი საკუთარ ქუსლებზედ გამოეკრათ, რომ გადაერჩინათ შავ ყორნისაგან. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს არ იყო ბრძოლა! ეს იყო ბრძოლა, ეს თუ გნებავთ იყო სროლა გაშმაგებულ მონადირისა, მაგრამ სროლა უმიზნოდ და სწორედ ასეთ დროს გამოჩნდა არჩილ ჯორჯაძე.

პოლიტიკური პარტიის შექმნა რელიგიური მოძრაობისაგან არ განერჩევა.

მკვიდრი და საიმედო მხოლოდ ის ჰგონია.

სხვა ყოველივემ წინამორბედის, გზის გამკვალავის საპატიო ვალი უნდა მოიხადოს, ესაა და ეს. და თვით ილია ჭავჭავაძეც, ვინც თავის არსებაში შეკრიბა ყოველგვარი მიმართულება და სწრაფვა, შეანივთა, გადაადნო და მოსე წინასწარმეტყველივით აიყოლია ერი უდაბნოს გადასალახად, დამცრობილი მოჩანს მის მზერაში, რაკიღა ისე გალია წუთისოფელი, პოლიტიკური პარტია ვერ მოიქცია თავის ხელქვეით.

რელიგიური საბურველით ამიტომაც ვერ შეიმოსა.

პარტიების ეპოქა დამდგარიყო და ცხოვრებისა და ისტორიის ამ ახლებურ განზომილებას ისიც გაერია – ილია ჭავჭავაძეც.

თან აღიარებდნენ, თან ეროვნული პროგრამის შემოქმედის სახელი მისთვის მთლად ზედგამოჭრილიც არ ეჩვენებათ.

და არჩილ ჯორჯაძეს გადალოცვია არა მხოლოდ შენარჩუნება ამ ეროვნული პროგამისა, არამედ მისი შექმნაც.

მეტაფორულად – არა სახარებისეული, არამედ პოეტური ასოციაციებით – მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისია ასე ითქმოდა, რომ: მას გაეწვრთნა ბარათაშვილის მერანი, რომლის ლტოლვილებისთვისაც საზღვარი დაედო, უფრო დაეახლოვებინა თავისი მიზნისათვის და ნიშანიც მოეცა, ურომლისოდაც მანამდე გაურკვეველი იყო, ვარტყამდით თუ არა მიზანს.

– ეხლა ჩვენი მდგომარეობა ისეთი თავგანწირული აღარ არის, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რადგან იმის გარდა, რომ ჩვენი მერანი ისევ მედგრად მიჰქრის, ჩვენ ვიცით აგრეთვე ის საიდუმლო, რაც არ იცოდა ბარათაშვილმა. ჩვენ ვიცით ახლა საით მიჰქრის ჩვენი მერანი.

შალვა ამირეჯიბიც იქ, იმ ტრაგიკულსა თუ დრამატულ მოვლენებში ჰპოვებდა სიმხნევისა და თავზეხელაღებული მოქმედების წყაროს, და თუ ასე სჯერა, იმ თაობებმა – „მერანის" შემოქმედის სახელში რომ გასიმბოლოვდებოდნენ და მთელს XIX საუკუნეს

გამოჰყვებოდნენ – მკაფიოდ მაინც არ იცოდნენ საით ისწრაფოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გარჯა და თავგანწირვა არ დაუკლიათ ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენისათვისო, უთუოდ იმიტომ, რომ თვალთაგან მიფარებულიყო ის სამზადისი, რაც თუნდ 1832 წლის შეთქმულთა სახელსა და ფარულ საქმიანობას უკავშირდებოდა. მკრთალად და ფრაგმენტულად აღწევდა მისი ექო და თვით კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმიც“ ერთბაშად ვერ შემოაბრუნებდა ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებას ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის გასააზრებლად მთელი თავისი სიდიადით.

კიტა აბაშიძესაც მეტაფორების მოშველიება ერჩივნა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ლექსსაც ჯერ იგი დასახავდა სიმბოლოდ ჩვენი ერის ბედისწერისა წინა საუკუნეში: მას მერე, რაც ჩვენმა პოლიტიკურმა თვითარსებობამ დალია სული ისე საბრალოდ და ისე საცოდავად, ჩვენ ერს თითქოს გონება დაეკარგაო, აღარ იცის საით მიისწრაფის, სად მიილტვის, რა უნდა და რას ელტვის. მთელმა საუკუნემ გაიარა ისე, რომ ჩვენ ერს და მის მეთაურებს ვერ გამოუკვლევიათ და ვერ გამოურკვევიათ, რა გვმართებს ახალ მდგომარეობაში, რას უნდა ვცდილობდეთ, რას უნდა ვაკეთებდეთო.

და არანაკლები სიმწვავით მოადევნებდა: არც ერთ პარტიას ჩვენში არა აქვს ნათლად გარკვეული, რა გზას უნდა ადგეს ჩვენი ერის ბედ-იღბლის საქმეშიო.

პუბლიცისტურად გაემწვავებინა მსჯელობა – ჩარჩო სწორედაც პუბლიცისტური ემჯობინებინა, თუმც თვითონ ნარკვევი პირწმინდად სამეცნიერო ღირებულებისა გახლდათ და როდის-როდის, მაგრამ ისტორიის, იმ დრამატული ისტორიის პირველ მხატვრულ-დოკუმენტურ ქარგას ქმნიდა და გზას ხსნიდა ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის ღრმა და რელიეფური შესწავლისაკენ.

ყველა ის ორიენტირი უკვე მოხაზულიყო მის ნარკვევში, თუ როგორ უნდა გააზრებულიყო 1832 წლის შეთქმულების არსი და რაობა, და პუბლიცისტური მუხტი კი პოლიტიკური პამფლეტის მნიშვნელობასაც სძენდა.

საზოგადოების დასამუნათებლადაც გამოიყენებდა იმ ისტორიულ სურათებსა და პერსონაჟებს: ეს რომანტიკული პოლიტიკური ამბავი გახლდათ უკანასკნელი როლი, რომელიც ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში თავადაზნაურობამ. იმ დღიდან ის გადაგვარების გზას

დაადგა, ვითომდა პოლიტიკური რეალიზმის თაყვანისმცემელი შეიქნა, ნამდვილად კი დაცემისა და გათახსირების მაგალითის მეტს აღარას იძლევა რას ერთ დროს ბრწყინვალე წოდებაო.

თვალსაჩინო ნიმუშიც ეს იყო:

თუ მაშინ თავადაზნაურობამ დაუმტკიცა რუსეთის მთავრობას, რომ მისი საწინააღმდეგო შეთქმულება კიდევ გულში ჰქონდა ჩახვეული, ახალი საუკუნის დამდეგის თავადაზნაურობა უდასტურებდა, რომ მისი გული წმინდა გახლდათ და მოშორებული ყოველგვარ „ზრახვასა მზაკვართასა“, მადლიერია და კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული. და ჩამომავალნი იმ ადამიანებისა, რომელნიც რუსეთში გააციმბირეს 1832 წელს იმისათვის, რომ სურდათ სათავადაზნაურო ბალი გაემართათ და ამ ბალზე წარჩინებული რუსი მოხელენი გაეწყვიტათ, დიახ, იმ ადამიანთა ჩამომავალნიც ცოტა ხნის წინათ ბალს გამართავდნენ, ოღონდ სულ სხვა აზრით: რუს მოხელეთა უმაღლესი წარმომადგენლობის წინაშე ფიანდაზად გავაფინოთ ჩვენი ერთგულებისა და მორჩილების გრძნობებიო.

ასეთი თაყვანება, ერთგულებისა და მორჩილების ღაღადისი ჯერ კიდევ როდის მომხდარიყო, ჯერ კიდევ როდის ამოჩენილიყო საზოგადოების მორალისა და ცნობიერების რღვევა – 1837 წლის ოქტომბრის თვეში გამართულ ბალზე, ნიკოლოზ პირველის წინაშე უმდაბლესი ქვეშევრდომული გრძნობებით რომ განერთხოდნენ იატაკს, მაგრამ კიტა აბაშიძე იმ შორეულ ამბავს კი არ გადაწვდებოდა, არამედ ახალთახალ მაგალითს მოიშველიებდა, რათა თანამედროვეთა სულიერი დაცემა ემხილებინა და იქნებ მათ გულში როგორღაც გაეღვიძებინა თავმოყვარეობის განცდა. მათ ვერ გაუღვიძებდა? ახალი თაობა ხომ ჩნდებოდა საქვეყნო ასპარეზის მისადგომებთან და მათ მაინც აღარ არეოდათ ერთმანეთში საკუთარი ქვეყნის ერთგულება და ერთგულება რუსეთის იმპერიისა, რომელსაც შესაძლოა სახე ეცვალა, მაგრამ არსით იგივე რჩებოდა.

და კიტა აბაშიძეს საუკუნის წინანდელი სურათები და რეალიები რომ ამოჰქონდა მზის სინათლეზე და ათვალსაჩინოებდა, რომ, გარეგნული თავადური ელფერის მიუხედავად, შეთქმულებაში ქვეყნის ყველა წოდება ჩაბმულიყო, ურთიერთთანადგომის გარდა კავკასიურ ერთიანობასაც რომ ესწრაფოდნენ და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებასაც, რას როგორ ვერ მოებმოდა თავი იმჟამად და რა დაბრკოლებანი ვერ გადაილახებოდა, მხოლოდ ისტორიის თეთრ ფურცლებს კი არ ავსებდა და წინაპართა სწრაფვასა

და მოქმედებას შთამომავლობის გასამხნევებლად კი არ წარმოსახავდა, ახალი დროების პოლიტიკური სტრატეგიის უმთავრეს მუხლებსაც შეაგონებდა, ვისაც ყურნი ასხდა სმენად.

საგანგებოდ შეიქმნებოდა და გამოქვეყნდებოდა „პოლიტიკური რომანტიზმი" ჟურნალ „მოამბის" 1905 წლის 1 ნომერში – კარზე მომდგარი რევოლუციის ხანაში.

სოციალისტ-ფედერალისტებისათვის მარჯვე შემთხვევა ჩნდებოდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მეტი გზნებით საქადაგებლად და იქნებ სულაც მოსაპოვებლად, სახელმწიფოებრივიმპერიულ რყევებს ძალაუნებურად უნდა გამოეწვია მნიშვნელოვანი ცვლილებანი და დაე ერთი ცვლილებათაგანი საქართველოს ავტონომიაც ყოფილიყო.

კიტა აბაშიძე ამ მრწამსს ასეთნაირადაც გამოხატავდა – 1832 წლის შეთქმულების რელიეფური აღდგენითა და პოლიტიკური პამფლეტის საბურველში გამოხვევით.

განა ეს სტრატეგიული პროგრამა არ აღმოჩნდებოდა დასაყრდენი 20-იანი წლების შეთქმულება-აჯანყებებისა, 1924 წლის აგვისტო-სექტემბერი რომ დააგვირგვინებდა და რომანტიკული სულის კვლავ არსებობასაც დაადასტურებდა და 32-იანელებთანაც გასდებდა ხიდს? ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ქართველთა ყველა წოდების შეთანხმება-მორიგებაზე იზრუნებდა უპირველესად, მთელი კავკასიის შემომტკიცებაზეც და იმ საერთაშორისო დახმარების – მორალური თუ იარაღით – მოპოვებაზე, რაც ყველაზე მყიფე აღმოჩნდებოდა და გადამწყვეტიც საბედისწერო დღეების გასათენებლად მოჯანყეთათვისაც და სულიერად ამაღლებულ იმ პიროვნებათათვისაც, რომელთა გაჟლეტვითაც უმთავრესი ძარღვი ჩაწყდებოდა ერის ზნეობასა და შეგნებაში.

აჯანყების მეთაურებს, პარიტეტული კომიტეტი რომ შეედგინათ, შიომღვიმის ტაძრის მიდამოებში შეიპყრობდნენ და – ჩეკას ჯურღმულებში გამოკეტვამდე – ამ ტაძარშივე შერეკავდნენ. ერთადერთი შალვა ამირეჯიბი გადაურჩებოდა დატუსაღებას და გერონტი ქიქოძე ამ იღბლიანობას იმით ხსნიდა, რომ მისი ცოლისძმა თამამად დაიარებოდა დედაქალაქის ქუჩებში და ჩეკელთა ეჭვსაც უფრო ნაკლებად იწვევდა, ვიდრე წვერულვაშშეღებილი და შავსათვალიანი შეთქმულები.

გამოცდილი კონსპირატორი რომ არ ყოფილა და თანამოაზრეებს იმავე ბინაზე ხვდებოდა, სადაც ღამეს ათევდა? კიდეც ამიტომ

მიაგნებდა საგანგებო კომისია მის კვალს, მაგრამ ბედი ამჯერადაც დაიფარავდა.

როგორც პოეტი თუ დაგვიანებულ რომანტიკოსად ითქმოდა, პოლიტიკაშიც რომანტიკა ხიბლავდა და რეალიზმის გრძნობას ფილისტერობისა და ქედმოხრისაგან არც განარჩევდა. მაინც ბარათაშვილის მერანი იზიდავდა და თუმც მასზე მხოლოდ საზოგადო ბელადებს ხედავდა და უპრიანიც მათთვის უფრო ეგონა, იქ, სივრცეებში ალბათ თვითონაც იგრძნობდა მხედრის იმ ქროლვას და უჩვეულო ნეტარებითაც აღივსებოდა.

არჩილ ჯორჯაძეს უფრო მძლავრი განცდები დარევდა ხელსო, – გაიფიქრებდა და თავის გამოსათხოვარ სიტყვას რომ ჩაიკითხავდა, გულში გაჰკრავდა, მეტაფორები იქნებ ყველამ ერთიანი ექსპრესიით ვერ შეიგრძნოსო, და ამიტომაც ურჩევდათ: ვისაც გნებავთ ეს ყოველივე პოლიტიკურ ენაზე გადათარგმნეთ და ასე შეიმეცნეთ მისი სახება, იმ დიდი მოღვაწისა, თავის სამშობლოს გარკვეული პოლიტიკური პროგრამა რომ შეუქმნაო.

ვერცერთმა პარტიამ ვერ გაარკვია ნათლად მიზანიო, – კიტა აბაშიძე პუბლიცისტურ ფანდს მოიმარჯვებდა პოლიტიკოსთა თავმოყვარეობის ასაფორიაქებლად.

არჩილ ჯორჯაძემ და მისმა მიმდევრებმა გავაცნობიერეთ ეს მიზანიო, – შალვა ამირეჯიბი სხვა პუბლიცისტურ ფანდსა თუ ილეთს ამჯობინებდა, ვაითუ დამუნათება მეტი მოგვივიდეს და ყველდრება-ყველდრებაში სიმხნევე არ წავართვათ თავისუფლებისათვის მებრძოლთო.

თითქოს ფარული გამოკამათებაა კიტა აბაშიძის ნარკვევთან.

ან რაღა თითქოს –

მერანის სიმბოლიკას ისიც კიტა აბაშიძესავით განაზოგადებს მთელს XIX საუკუნეზე და ახალ დროებასაც უსადაგებს, ეგაა, გადაჭარბებაზე მიანიშნებს ანდა იმ პუბლიცისტური ხერხის უკმარისობაზე.

გამოკამათებაა და... რომ ვუკვირდებით, კი არ უარყოფს, ავსებს, იმ შეხედულებას სხვა კუთხიდანაც განსჯის, რათა ერთ განზომილებაში არ მოექცეს და ცალმხრივ თვალსაზრისად არ დარჩეს. კიტა აბაშიძის მიზანი ეს გახლდათ – აეღელვებინა საზოგადოებრივი აზრი, ამ მტკივნეულ თემებსა და სტრატეგიულ პროგრამაზე დაეფიქრებინა, თუნდაც კამათის გუნებაზე დაეყენებინა, მთავარია, ეროვნული ენერგიის არსებობაში არ დაეჭვებულიყვნენ, ნი-

ჰილიზმის ბაცილა არ შეჭროდათ გულსა და გონებაში და სხვა მხრივ, როგორც გნებავთ, ისე შეევსოთ და გაემძაფრებინათ.

შალვა ამირეჯიბს კი ასე მოენდომებინა.

და კიტა აბაშიძე არც ახირდებოდა, არჩილ ჯორჯაძის სახებას რომ დაინახავდა ასე აზიდულს ზევით და ზევით. ბოლოსდაბოლოს, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის იდეოლოგს სახავდა ახალი ეპოქის შემოქმედად და გზის გამკვალავად და მისით გულმოცემული შეჰყურებდა რევოლუციის ხელახალ წამოზვირთებას. მწარედ ახსოვდათ მაშინდელი მოგონებანი იმ მღელვარებათა მონაწილეებს? იქნებ ახლა სხვებს დამახსოვრებოდათ მწარედ – ჯებირი იბზარებოდა, ჩამონარღვევები ისე თვალსაჩინოდ, ისე ხელშესახებად მოჩანდა, ნუთუ ამჯერადაც ამაოდ უნდა ჩაევლო თავგამეტებული მხედრის სრბოლას?

* * *

ჩამთავრდებოდა ეროვნული ყრილობა 1917 წლის 22 ნოემბერს და სოციალისტ-ფედერალისტური ფრაქცია თავის კრებას გამართავდა.

აჰა, აღსრულებულიყო არჩილ ჯორჯაძის ოცნება, ორიოდ წუთიღა აკლდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ოფიციალურ გამოცხადებას და ვისთვის უნდა მიელოცათ ეს არნახული წარმატება და ეხარებინათ გაცისკროვნების ჟამის შემოსვლა, თუ არა არჩილის ნეშტისათვის.

და კრებიდანვე გაეშურებოდნენ დიდუბისაკენ, მოინახულებდნენ მის საფლავს, რომლის თავზეც ორი დროშა ფრიალებდა – სამფეროვანი (ეროვნული) და წითელი (რევოლუციური), სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ და სურათსაც გადაიღებდნენ – შუაში გიორგი ლასხიშვილს ჩაიყენებდნენ, როგორც პარტიის დაარსების სათავეში მყოფს და ამჟამინდელ წინამძღოლს.

ერთი აზრი და განცდა მსჭვალავდა ორატორთა გამოსვლებს – სამგლოვიაროსა და იმედიანს, ერთსა და იმავე დროს, და ერთნაირადვე მომართულს, საფლავიდან, როგორც წმინდა ადგილიდან, ახალი ძალითა და მხნეობით რომ უნდა აღვსილიყვნენ.

ახლა სჭირდებოდათ თუ სჭირდებოდათ არჩილ ჯორჯაძის რჩევა, შეგულიანება, ახალი ჟამისათვის შესაფერისი გადაწყობა სოციალისტ-ფედერალისტური პროგრამისა. სჭირდებოდათ და...

არც ეს დაახანებდა. რაკიღა რეალობაში შეჰყურებდნენ არჩილ ჯორჯაძის სახებას, რაკიღა იდუმალებითა და სიწმინდის შარავანდით შემოსილიყო მისი სახელი, კვლავაც ფარულ წინამძღოლად რჩებოდა, გზის გამკვალავადაც და პირველ შემტაკებლადაც ბედისწერასთან.

სხვებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიაც გადმომდგარიყო საკულტოდქცეულ ძვალშესალაგზე და ახლაც ისევე შეჰყურებდა გვერდი-გვერდ ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის აჩრდილებს, როგორც აქამდეც ეხილა ფიქრსა და წარმოსახვაში. ილიას უპირველეს მემკვიდრედ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ეს ყველაზე კაშკაშა მნათობი ეგულებოდა და სასაცილოდ არა ჰყოფნიდა, კიტა აბაშიძეს ზოგი გულბოროტად რომ წაედავებოდა და ზოგიც გაოცებით გაოცებულიყო: როგორ თუ ამ ორ სახელს გვერდი-გვერდ მიუჩენს ადგილს ქართული აზროვნების ისტორიასა და ეროვნულ გმირთა პანთეონშიო... ილიას ხომ არაფერი არა სწამდა არჩილ ჯორჯაძისა და ვერც ისტორიასა და პანთეონში იგუებს მემკვიდრედ და მისი საქმის უპირველეს გამგრძელებლადო...

დაე ნუ დაუჯერებდნენ, დრო მოვიდოდა და ეს შეხედულება ერთადერთ მართებულ შეფასებად დამკვიდრდებოდა. ჯერჯერობით კი კონსტანტინე გამსახურდია გაცინებას არ იკმარებდა და პოლიტიკურ ესეის „ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე“ სწორედ ამ თვალსაზრისზე ააგებდა, თუ როგორ ეტვირთა ერთს მეორის დაწყებული ბრძოლის შენარჩუნება და დაგვირგვინება.

ისე ხელშესახებად იკვეთებოდა მათი სულიერი სიახლოვე, ძალით უნდა დაგებრმავებინა თავი, ეს რომ ვერ შეგემჩნია.

დიდი რიტუალი აღესრულებოდა დიდუბის ეკლესიის შემოგარენში, ოღონდ რაღაც დააკლდებოდა ამ რიტუალს, თუ აქედან კიტა აბაშიძისაკენ არ გაეშურებოდნენ.

ისიც ამათთან ერთად იდგებოდა ამ წმინდა ადგილას, ლოგინად რომ არ ყოფილიყო ჩავარდნილი. და თუ იგი ვერ მოსულიყო თანაპარტიელებთან ერთად, ისინი მოინახულებდნენ და ამ სტუმრობას სიმბოლიკის მწვერვალამდე აზიდავდნენ.

დიდხანს არ ეწერა კიტა აბაშიძეს სამზეოზე ყოფნა, ჩათავდებოდა 1917 წელი და თან წაიყოლებდა მასაც. 31 ივლისს გიორგი ზდანოვიჩი გადასულიყო აჩრდილთა საუფლოში, 17 დეკემბერს კიტა აბაშიძეც შეემატებოდა ამ პანთეონს და მძიმედ დააჩნდებოდა

მისი გამოცლა ხელიდან სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასაც და ქვეყანასაც.

სულის ამოხდომაც არ ეცლიათ მშვიდად... სოციალ-დემოკრატები ახლა მის ნეშტზე იყაშყაშებდნენ და თავსაც მოიწონებდნენ, მათი ხელი უშუალოდ რომ ერია ამ გამორჩეული კაცის სიცოცხლის უკანასკნელი ჟამის გამწარებასა და ზეზეურად დანგრევაში, ულმობელი სენი უკვე ადვილადაც რომ დაჯაბნიდა.

მასაც მხურვალედ დაიტირებდნენ და მისი წასვლა კიდევ ერთხელ ენიშნებოდათ ცუდად, რაღაც ავის მაუწყებლად, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით კოშმარულსა და სავალალოს არაფერს ამცნობდათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დინება – ყოველივე თითქოს წესსა და რიგზე ლაგდებოდა, შორეული ოცნება ხელშესახები გამხდარიყო და მის საბოლოო დამკვიდრებას ხელს ვეღარაფერი უშლიდა.

მაშ რატომ გრძნობდნენ რაღაც საბედისწეროს?

რატომ ვერ ენდობოდნენ ხალხის ამოძრავებულ ნაკადებს და, აღტაცებითაც რომ აღტაცებულიყვნენ, დიდ გამოღვიძებას მოვესწარით, თან შიშიც ნელ-ნელა ეპარებოდათ გულში, ვაითუ ხელიდან გაგვისხლტეს სადავეები და უფსკრულის პირასაც კი აღმოვჩნდეთო.

ჩვენი წმინდა სამებაო, – იმეორებდნენ და იმეორებდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და, თუმც ისედაც ყველამ იცოდა, ვისაც გულისხმობდნენ, ამ პარტიის წევრებმაც, პოლიტიკურ პროცესებში ღრმად ჩახედულმა ადამიანებმაც და საზოგადოებრივ ყოფისაგან შორს მდგომთაც, იმათ მაინც უხაროდათ ამ სახელების კვლავ და კვლავ ხსენება სწორედ ამ კონტექსტში – წმინდა სამებად მონათვლისას: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანოვიჩი და კიტა აბაშიძეო.

...დიდხანს არ გააჩერებენ აქ არჩილ ჯორჯაძის ნეშტსო, – თავისას განიცდიდა დიდუბის მიწა და დანანებით გახედავდა მთაწმინდას: მაინც შენი ჩასახუტებელია გულში ეს საშვილიშვილო სამარეცო.

თავი ოცდამეთხუთმეტე

„ეს წერილები ხუთი წლის შემდეგ გახსენი“ ანუ იდუმალი ქალი

1918 წლის 21 მარტს, ღამის 12 საათზე დიმიტრი უზნაძე, თანახმად კიტა აბაშიძის უკანასკნელი სურვილისა, გახსნიდა არჩილ ჯორჯაძის ბარათებს – კერძო მიმოწერას.

გაზეთი „საქართველო“ 24 მარტის ნომერში ამ ცნობას დაბეჭდავდა და დასძენდა:

– წერილები, რომლებშიაც, თვით არჩილის მთელი მისი სულის ინტიმური მხარეა გამოხატული, მრავალმხრივ საინტერესოა არჩილის ბიოგრაფიისათვის და ზოგჯერ მისი შემოქმედების ზოგი მხარის სათანადო გაგებისათვის.

მეორე დღეს კი „სახალხო საქმე“ გამოაქვეყნებდა დიმიტრი უზნაძის სტატიას, აგებულს არჩილ ჯორჯაძის ბარათების ცალკეულ პასაჟებზე, იმაზე, რასაც ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მომავალი დამაარსებელი და განწყობის თეორიის შემქმნელი საზოგადოებრივ მნიშვნელობას მიანიჭებდა.

მაგრამ ბარათები ინტიმური გახლდათ.

და ჰყავდა ადრესატი, ვისი ვინაობაც საგულდაგულოდ შეინიღბებოდა.

იდუმალებაში გახვეული დასაწყისი ამ წერილების გამოსამზეურებლად კვლავაც იდუმალებაში მოექცეოდა და ზოგიერთი პასაჟის გაცნობა მხოლოდ გააღვივებდა მკითხველის მძაფრ ცნობისწადილს, რომელსაც დაკმაყოფილება არ ეწერა.

დიმიტრი უზნაძე – და მასთან ერთად გარკვეული წრე – ასე ამჯობინებდა.

თან არჩილის ანდერძის აღმსრულებლებად გამოიდებდნენ თავს.

თან მის უკანასკნელ სურვილს ასე დაამცრობდნენ და, ნაცვლად მიმოწერის სრულად გამოტანისა სამზეოზე, ორიოდ ფრაგმენტს იკმარებდნენ.

რა ვითომ – პარტიულ მითოსს შეუშლიდა ხელს?

სოციალიზმ-ფედერალიზმის შემქმნელის ამაღლებულ, იდეალურ ბურუსში გახვეულ სახებას ერთგვარად გაამიწიერებდა და ამას მოერიდნენ?

რუსეთის იმპერია დაშლილია.

კავკასიის ქვეყნებს ფედერაციული წყობა შეუქმნიათ და პოლიტიკური პროცესი თანდათან უახლოვდება დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაფუძნებას.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია მთელი ძალ-ღონით მიისწრაფის ქვეყნის გამგებლობაში რაც შეიძლება მეტი გავლენის მოსაპოვებლად – ხალხის განწყობილება საკმაოდ აიმედებთ. და თუმც სოციალ-დემოკრატებს უფრო გადაუბირებიათ მოქალაქენი, ესენიც ცოტა მომხრეებს არ მოიხვეჭენ.

ჭიდილი და დაძაბულობა უკიდურესობამდე მწვავდება და არჩილ ჯორჯაძის მიერ თხოვნით ნათხოვნი თარიღი – წერილები ჩემი გარდაცვალებიდან ხუთის წლის შემდეგ გახსენითო – მაინცდამაინც ამ დროს ემთხვევა?

ამიტომაც აუცილებელია ინტიმური შინაარსის მიყრუება, ამით ბარათების ერთგვარი „გაუვნებლება“ და არჩილ ჯორჯაძის სახების წარმოჩენა ისე, როგორც უკვე შესჩვევია საზოგადოება – თავისუფლებისათვის მებრძოლის, პოლიტიკური ლიდერის, ახალი მოძღვრების იდეოლოგის.

თვითონ არჩილს სულ სხვაგვარად ერჩივნა:

ის, რაც საქვეყნო ასპარეზზე ასე მიჩუმათებულიყო, მაგრამ მისი პიროვნების ბირთვს შეადგენდა.

ამიტომაც დაუბარებდა კიტა აბაშიძეს, ის უკანასკნელად რომ მოინახულებდა:

– კიტა, წერილებს ვსტოვებ შეკრულსა და დაბეჭდილს, ხუთი წლის შემდეგ გახსენი, შენ შეგიძლიან გამოიყენო იგი... საზოგადო ხასიათის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც შენ შეგიძლიან გამოიყენო. იმ პირს, რომლის წერილებსაც მე შენ განდობ, აქვს ჩემი მინაწერი წერილები. ვსთხოვე გადმოეცა შენთვის, ცოტა ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა, რაც შეიძლება მალე გამოართვი ის წერილები...

და კიდევ რამდენიმე სიტყვას დასძენდა, რომელსაც თანამოსაუბრე ჯერჯერობით საიდუმლოდ შემოინახავდა: თავის დროზედ იქნება გამოქვეყნებულიო.

ეს „თავისი დრო“ ვერ დადგებოდა.

ბარათების პუბლიკაციისას კიტა აბაშიძე ცოცხალი აღარ იქნებოდა და იმ განდობილ ფრაზას ვეღარ დაურთავდა.

საზოგადო მნიშვნელობა რომ არ გააჩნდა, კიტას ამიტომაც ანდობდა ბარათებს – არა როგორც პოლიტიკოსსა და თანაპარტიელს, არა როგორც საზოგადო მოღვაწეს, არამედ როგორც ესთეტიკოსსა და ფსიქოლოგიით გატაცებულ პიროვნებას, ვისაც ჩინებულად მოეხსენება ამ ყაიდის კერძო მიმოწერის განსაკუთრებული ღირებულება ადამიანის სულში შესაღწევად, მით უფრო თვალსაჩინო მოღვაწის ბიოგრაფიისათვის, შთამბეჭდავი, ფერადოვანი იერით, კოლორიტული შტრიხებით რომ უნდა შემოსოს მისი სახება.

რაც შეიძლება მალე გამოართვიო...

ეს ერთბაშად ვერც მიუხვდებოდა: თუ გინდა ამავე საღამოს წავალ და ავასრულებ შენს სურვილებსო.

არჩილი ცოტა არ იყოს გაწყრებოდა:

– არა, არა, ეხლა კი არა, როცა ყველაფერი გათავდება.

რა უბრალოდ ითქმის, მითუმეტეს, სტოიკური პიროვნების მიერ: როცა ყველაფერი გათავდებაო.

და კიტა აბაშიძეს ისე შეეძვროდა გული, როდესაც მიუხვდებოდა, თუ რაზე მიანიშნებდა ავადმყოფი.

უკანასკნელი ამბორის შემდეგ არჩილ ჯორჯაძის ნეშტსაც რომ ჩაიკრავდა გულში დიდუბის მიწა, კიტა აბაშიძე მის ხელნაწერებს მოკრებდა და წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას ჩააბარებდა, და მათთან ერთად იმ შეკრულ წერილებს, რომლისთვისაც არჩილს წაეწერა: ბარათების გახსნის უფლება კიტა აბაშიძეს აქვსო.

და კანცელარიიდან კი პირდაპირ გაემართებოდა იმ პირთან, ვისი წერილებიც არჩილს ასეთი სასოებით შემოენახა, და გადასცემდა განსვენებულის სურვილს, ჩემი ბარათები გამოართვიო.

კიტა აბაშიძის ჩანაწერიდან ეს ზოგადი აღნიშვნა უნდა ვიკმაროთ: ის პირი.

და კიდევ ის, რომ ეს ქალი თავზე არ დგომია არჩილს სულის ამოხდომის წინ და ეს დიდ სატანჯველად გადაქცევია.

სტუმარს შესჩივლებდა ამას.

ბარათების გადაცემაზე მაშინვე თანხმობას რომ განუცხადებდა და მხოლოდ ნებას სთხოვდა წერილების გადაწერისა სრული

თავგანწირულებით, საუბრითაც გამოესაუბრებოდა უმაღლესი სიმშვიდით, თუმც კიტა აბაშიძეს რა გამოეპარებოდა, რომ მის გულში მთელი გენია ენთო და სულს ცეცხლი უწვავდა.

– რა ადგილი აქვს ჩემს პირად მწუხარებას ამისთანა საზოგადო მგლოვიარობასთან, აქ პირადი ტანჯვა უნდა დუმილით იყოს მოცული, უნდა დაფარული იყოს იგი და არა გამხელილი.

და ტანჯვის ხსენებას მოადევნებდა იმ უზომო საწუხარს, უკანასკნელ წუთებში ვერ ვნახეო.

თავს ინუგეშებს – ესეც თუ ნუგეშია – ეტყობა, ასეც უნდა მომხდარიყო, ეტყობა, ეს საჭირო, აუცილებელი იყოო.

არჩილს ეთქვა:

როცა შეგატყობინო, მაშინ მნახეო.

არ შეეტყობინებინა.

და ქალი იმ ფიქრს ებღაუჭებოდა: ეტყობა, ასე უნდა მოქცეულიყოო.

ახსნით ვერ აეხსნა, ის კი დაბეჯითებით უწყოდა, რომ არჩილი სასხვათაშორისოდ არაფერს იტყოდა და მის ყოველ გადაწყვეტილებს ღრმა საფუძველი ჰქონდა.

ამიტომაც:

ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

მაინც ვერ დამშვიდებულიყო და ცრემლიც წამოსცვივოდა.

ხოლო ბარათები...

– მაგ წერილების შესახებ მე არჩილმა უკვე ნოემბერში მითხრა. გახსოვთ, ჩვენ არჩილთან ერთმანეთს შევხვდით. თქვენ რომ გადით, მითხრა, ჩემი წერილები ამას გადაეციო. არჩილს ვერ გაუგია ჩემი სიტყვები, მე მაშინვე დავეთანხმე, ოღონდ პირველად გავიოცე, რათ უნდა მივცე ჩემი წერილები მაგას-მეთქი?

– ახლა არა, როცა მოვკვდებიო, – არჩილმა.

ქალი უარს რატომ ეტყოდა.

და, აი, პირობის აღსრულების წუთიც დამდგარიყო და ქალი, გადაწერით რომ გადაწერდა ბარათებს, ძვირფას ხელნაწერებს გამოემშვიდობებოდა.

ესეც არჩილის უკანასკნელი და ერთადერთი სურვილიო, – გაჰკრავდა გულში კიტა აბაშიძეს და თავს შეუწყრებოდა, ერთადერთი რამ მაფიქრებინა, სხვაც ექნება დაბარებული და საზრუნავს ხომ არ ვიცილებო. იფიქრებდა, იფიქრებდა... გაიკითხ-გამოიკითხავდა კიდეც: რას ითხოვდა, რის აღსრულებას გვავალებდა

გარდაცვალების შემდეგ პირადად თავისთვისო, – და ვერავინ ვერაფერს ამცნობდა.

მგონი მართლა ერთადერთი სურვილი ეს დარჩაო, – გაოცებული დაიბეჯითებდა კიტა აბაშიძე.

რას ითხოვდა, რის აღსრულებას ნატრობდა და:

ხუთი წლის შემდეგ გახსნილიყო მისი სასიყვარულო მიმოწერა და კიტა აბაშიძეს თვითონ გადაეწყვიტა, რა გზას უპოვნიდა არჩილის პირად გრძნობათა ამ გამჟღავნებას, როგორ გადაიშლებოდა საზოგადოების თვალწინ უცნობი თვისებანი რჩეული პიროვნებისა, ვის პირად ცხოვრებასაც ასე მიყურადებოდნენ და ვის რა თაიგული გაეგზავნა მისთვის და ვის რა გაცისკროვნებული თვალებით შეეხება, საგულდაგულოდაც იმახსოვრებდნენ, იქნებ აქედან ვუპოვნოთ იდუმალ ძაფს წვერიო. და ერთბაშად ამხელა მასალა, მხოლოდ ხუთი წლით გადანაცვლებული პაკეტებში მაგიდის უჯრებიდან.

ეს ხუთი მაინც რატომ დაეთქვა, რაღაც ღრმა სიმბოლურ აზრს ანიჭებდა თუ სასხვათაშორისოდ წარმოეთქვა?

მაგრამ სასხვათაშორისოდ რომ არაფერს იტყოდა და მის ყოველ გადაწყვეტილებას ღრმა საფუძველი ჰქონდა?!.

ასე დატოვებდა არჩილ ჯორჯაძე ორ პაკეტს – მისი გარდაცვალებიდან ხუთ წლისთავზე გასახსნელად.

თან ანდერძის აღმსრულებელიც საგანგებოდ შეერჩია.

იმ მღელვარე წლების მიუხედავად, წიგნიერი საზოგადოების ცნობისწადილს არ მიჰფარებია არც ეს პაკეტები და არც ეს თარიღი.

დიმიტრი უზნაძეს ეს არც გააკვირვებდა:

– ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ჩვენი კულტურულ აღორძინებისა მეორეს, არანაკლებ მნიშვნელოვან მოღვაწეს, თავის გულის საიდუმლოს ანდობდა. ეს გარემოება საკმარისი იყო, რათა ჩვენს საზოგადოებას ნაანდერძევ წერილების შინაარსი ჩვენი ეროვნული ცხოვრების საერთო მიმდინარეობისთვის დაეკავშირებინა.

ნეტა რას მოელოდნენ?

დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია ხომ არ უნდა აღმოჩენილიყო იმ პაკეტებში?

თუ არა, მაშ რა იმედის გაცრუებას ახსენებს დიმიტრი უზნაძე?

რას მოელოდნენ და რა არ დახვდათ?

ბოლოსდაბოლოს, მართლა საზოგადოებრივ ცხოვრებასთანაც რომ ყოფილიყო ეს ბარათები გადაჯაჭვული, ისეთი რა ეწერებოდა,

რაც დიდი პუბლიცისტის ეროვნულსა და სოციალურ აზროვნებას ნათელს მოჰფენდა? უდავოდ საგულისხმო იქნებოდა მისი მსოფლმხედველობის შესაცნობად, მაგრამ საამისოდ ისედაც გამოდგებოდა არჩილ ჯორჯაძის ყველა მნიშვნელოვანი თხზულება. მისი აზრი და ფიქრი იქ ისე სავსედ და ხელშესახებად წარმოჩენილიყო, ბარათები მხოლოდ გაიმეორებდნენ ცალკეულ თვალსაზრისებსა და დაკვირვებებს, ავტორისათვის უფრო მნიშვნელოვანს, მაგრამ მხოლოდ გაიმეორებდნენ.

მოლოდინი მოლოდინად და... ნაანდერძევი პაკეტები კერძო შინაარსის მიმოწერა გამოდგებოდა.

მით უკეთესი ჩვენთვისო, – არწმუნებდა დიმიტრი უზნაძე საზოგადოების იმ ნაწილს, რომელნიც რაღაც დიდ აღმოჩენასთან შესახვედრად ემზადებოდნენ, – არჩილის სულის სიღრმეში წვდომისათვის ამას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეცნიერულ ტრაქტატს ან განყენებული აზროვნების ნაყოფს, თუნდ ეს აზროვნება ძლიერ საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხის გამოც ყოფილიყო ამოძრავებულიო.

და დაბეჯითებით შეაგონებდათ:

– რაც უნდა იყოს, ადამიანის აზროვნების პირველი წყარო მაინც მისი გრძნობების სამყაროა. თუ გსურთ სრული, მთლიანი სახე მიიღოთ მისი აზროვნებისა, თუ გსურთ მის შინაარსს გულში წვდეთ, ჯერ თვითონ ადამიანის გულში ჩაიხედეთ; გაიგეთ, რა ამოძრავებს და აღელვებს მას, და მხოლოდ შემდეგ სთქვით, როგორია ნამდვილი სახე მისი მსოფლმხედველობისა.

და ხატოვანებასაც გამოურევდა რიტორიკულ შეკითხვაში:

– ინტიმური და ფარული ჩვენი ბუნებისა განა ის გარემოა, ის არის, სადაც პირველად ითესება და ხარობს თესლი ჩვენი პიროვნების მიმართულებისა და ინდივიდუალობისა?

არჩილის ბარათები სწორედ ასეთი გახლდათ – მისი სულის ინტიმური მხარის გადამშლელი მკითხველისათვის. და დიმიტრი უზნაძე თვალნათლივ დარწმუნდებოდა, რასაც ალღოთი ისედაც მიხვდებოდა: ნაზი გრძნობისა და კდემამოსილების პატრონს არ უნდოდა ასეთი შინაარსის წერილები მანამ ჩავარდნოდა ხელთ საზოგადოებას, სანამ მათი მნიშვნელობა არ მომწიფდებოდაო.

– მან აქაც სწორად გაზომა.

მკვლევარი ასე უბრალოდ მიგვანიშნებს, რომ არჩილ ჯორჯაძემ წინასწარმეტყველის უნარით გამოიანგარიშა ეს ხუთი წელიწა-

დი, როგორც ახალი დროების დამდეგი, რომლის გადმოსახედიდანაც სულ სხვაგვარად წარმოდგებოდა სულიერი პროცესებიც.

აქაც სწორად გაეზომა დღევანდელი დღე, როდესაც არჩილის მღელვარების ჩანგი, მისი ხალხი და მისი ქვეყანა თავის ბედის გამოჭედვას თვითონვე ჰკიდებდა ხელს.

უკეთესი გადმოსახედი რა უნდა ყოფილიყო.

ეს დღევანდელი დღე გვავალებსო, – ფიცივით დასძენდა დიმიტრი უზნაძე, – არჩილ ჯორჯაძის აზრთა, ფიქრთა და ფიქრთა შესახებ ჩვენს თავს ანგარიში ჩავაბაროთ. და ამ მიზნისათვის მისი სულიერი ცხოვრების ინტიმური მიმდინარეობის ცოდნა საუკეთესო იარაღიაო.

ასეთი პათოსი გაფიქრებინებს, რომ ამ სტატიაში უპირველესად ეს ინტიმური მხარე წამოიწევს, მაგრამ ის „ორიოდე მნიშვნელოვანი მომენტი", რაც ჯერჯერობით ამოიკრიბება პაკეტებიდან, პირად განცდებზე ნაკლებად მეტყველებს.

განსაჯე როგორ გინდა, ბოლოს მაინც იქამდე მიხვალ, რომ ამ მხარის გულალალი გადმოშლა პარტიულ მითოსს დააზიანებს რაღაცით.

დაე დროული იყოს ბარათების გამომზეურება და არჩილ ჯორჯაძეს უცდომელ წინასწარჭვრეტადაც ჩამოართვან, მაშინ გახადა ცნობილი საზოგადოებისათვის, როდესაც მათი მნიშვნელობა მომწიფებული იყოო.

ასეა თუ ისე, პუბლიკაციისას მაინც საზოგადოებრივი ღირებულების რეალიებმა თუ პასაჟებმა უნდა წამოიწიოს.

როგორ ახასიათებდა არჩილი თავისი მოღვაწეობის მთავარ ძარღვს?

და დიმიტრი უზნაძე თავს ვერ იკავებს, აქვე არ მოადევნოს: რა ჰკვებავდა, აგროვებდა და ამოძრავებდა მის სუსტ სხეულში იმ დიდ სულიერ ენერგიას, რომელიც სიკვდილის უფსკრულის პირზე მდგომს უკვდავების კვარცხლბეკს უახლოვებდაო?

იდუმალებაში გახვეულ ქალს მისთვის ერთხელ ეთქვა: მოაზროვნე უფრო ხარ, ვიდრე პუბლიცისტიო.

და არჩილი ამ თვალთახედვით გადაიკითხავდა თავის ნაწერებს, თუმც ისედაც გადამეტებული მოეჩვენებოდა ქალის აზრი: სად მე და სად მოაზროვნეობაო.

არა, რაღაც ელემენტებს ისედაც ატყობდა და ახლა საგანგებო ჩაჯდომა უფრო დაარწმუნებდა, ეს მიმართულება შენი შემოქმე-

დებითი ბუნებისათვის უცხო არ არისო, მაგრამ ის კიდევ უფრო თვალშისაცემი გახლდათ, რომ ხშირად ამოძრავებდა ნამდვილი საზოგადო მოღვაწის სული და მთელი მისი სულიერი განწყობილება თავს იყრიდა თავისი სამშობლოს მტანჯველი პრობლემების გარშემო:

– მე საოცრად მიტაცებს ძველი, მრავალსაუკუნიანი ქართული კულტურა და ხალხი, მიტაცებს აზრი, რომ მისი აღორძინების ხანა იწყება, მაგრამ ეს აღორძინება ფრიად მძიმესა და პირდაპირ ტრაგედიულ პირობებში ხდება. ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოებრიობასა და ქართულ კულტურასა და ხალხს შორის მძაფრ გამოძახილს პოულობს ჩემს სულში და მე არ მინდა უკან დავიხიო და არც არასდროს დავიხევ უკან, მართალია, მე მიყვარს ცხოვრების ემპირიული გარსი, მაგრამ ასეთი სულიერი განწყობილების გავლენით ადვილად ვიტყვი უარს უსინანულოდ და უსევდოდ ცხოვრების ჭრელ ფერადებზე.

დიმიტრი უზნაძისათვის უამრავი მაგალითი გახლდათ ცნობილი, თუ როგორ აღიზიანებს სნეულს განუკურნებელი ავადმყოფობა და სულის სიღრმეში მტრულად განაწყობს კაცობრიობის, მთელი სამყაროს მიმართ, და სიამე ჩაეფინებოდა, როდესაც ბარათებში, სადაც არჩილის განცდა და ფიქრი უკიდურესობამდე გაშიშვლებულია და ოდნავადაც არ არის შეფერადებული ლიტერატურული თუ ჟურნალისტური მოტივით ან განწყობილებით, ასე ხელშესახებად წარმოჩნდებოდა მისი სიყვარულის გრძნობის ფეთქვა.

– მე ერთგვარი კეთილგანწყობილების გრძნობები მაქვს ყველა ადამიანისადმი (ეს მე ხშირად მემართება), და ეს უკეთესია, ვიდრე მტრული დამოკიდებულება მსოფლიოსთან. უფრო ადვილი ხდება ცხოვრება, და გულში მეტ სიხარულს ვგრძნობ, რაღაც საკვირველ „სიხარულ-სევდას“, რომელიც ცოტათი გულს გტკენს, მაგრამ ასე უფრო სრულად ცხოვრობ.

ეს მისი პიროვნული ბუნებაა, ცხადია, სულის ის სიწმინდე, რასაც ვერც ოჯახური ტრაგედია მოერევა, ვერც ეროვნული ტკივილები – პირად ცხოვრებას რომ აღარც უტოვებს, ვერც განუკურნებელი სნეულება და ვერც სატუსაღოს კართან დგომა გამუდმებით – აი, ახლა შეუცდება შიგ ფეხი და, აი, ახლაო. ვერც ის, თავის საყვარელ საქმეს რომ გამოკლებოდა და პუბლიცისტობა შერჩენოდა ხელთ სასჯელივით. ვერა შველოდა თავის ნუგეში – ნამდვილი

საზოგადო მოღვაწის სული მამოძრავებსო. სხვა რა გზა დარჩენოდა, თორემ ხომ შეიძლება არ არსებულიყო მისი ქვეყნის წინაშე ის მტანჯველი პრობლემები და მთელი გატაცებით ჩაფლულიყო ლიტერატურულ და ფილოსოფიურ წარმოსახვებში.

პიროვნულ ბუნებას მაღლადმხედი გონებაც შეშველებოდა, გულსა და გონებაში ერთდროულად გამოვლილიყო კაცობრიობის სიყვარული და ეს ამდენი ბარიერიც ვერაფერს დააკლებდა მის სიმტკიცეს.

რაღაც საკვირველ სიხარულ-სევდასო...

სიხარულს სევდაც უნდა გამორეოდა, სწორედ განცდის სისავსედ და არა იმ სულიერი სიმტკიცის დასაჩვრეტად, სევდა – თავისი სიღრმითა და კეთილშობილებით, თავისი ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური ძირებით.

დიმიტრი უზნაძეს არჩილის თხზულებანი ისედაც მიახვედრებდა მისი სულის სიდიადეს, მისი სიყვარულის უზღვავობას, მაგრამ ბარათების გადაკითხვა მონუმენტურ სიმბოლომდე აზიდავდა მის სახებას, ნაგუმანევს დაბეჯითებით დაუდასტურებდა და აღარც ამის თქმას მოერიდებოდა:

– ეს წმინდანი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს იგი საფლავისაკენ მიდიოდეს და ამავე დროს ყოველ ცოცხალ არსებას ლოცვასა და კურთხევას უგზავნიდეს.

თითქოს უოლტ უიტმენის ლექსის სტრიქონიაო.

უცნობი ლექსის, ოღონდ უიტმენის, ვინც ამას სხვაზე კი არა, საკუთარ თავზე იტყოდა, თუნდაც გამანძილებოდა თავის არსებას და სხვისი იერით წარმოესახა – პროტოტიპი თვითონ იქნებოდა.

ისე მხატვრულად შთამბეჭდავი სახეა – სამარისაკენ მიმავალი წმინდანი გარშემო ლოცვა-კურთხევას რომ აფრქვევს.

გამოძებნა ეს ჩინებული მხატვრული სახე, მაგრამ თითქოს შეკრთაო.

შესაკრთობი რა არის?

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვით ვაითუ ვინმეს მოეჩვენოს – უმოქმედო, პასიური კეთილგანწყობით უცხოვრიაო.

ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოაყოლოს მტკიცება, რომ ეს არ ყოფილა უმოქმედობა, არ ყოფილა მარტოდენ ჭვრეტა თუ პასიური კეთილგანწყობის გამოვლენა, და რომ იგი იმიტომ ცოცხლობდა, განუწყვეტელი და დაუღალავი შრომა სწყუროდა ადამიანისა და ერისათვის.

საიმისოდ თუნდ ეს პასაჟიც გამოდგება:

– ძალიან ავადა ვარ. ძალას წამლებით ხელოვნურად ვიწვევ. მაგრამ ჩემთვის სულერთია: მუშაობა მაინც შემიძლია, და მე ძალიან ბევრს ვმუშაობ.

ქალსაც ამასვე ურჩევდა – მუშაობა და მუშაობაო.

ის შემოსჩივლებდა: ყურადღებას აღარ მივაქცევ ჩემს სულიერ სევდას, მაგრამ მაშ რა ვქნაო? – ეგაა, ამჯერად სევდა დეპრესიას გულისხმობდა და არჩილი მის გამოფხიზლებას შეეცდებოდა მძიმე სულიერი განწყობილებიდან. დატუქსვასაც არ მოერიდებოდა, ოღონდაც შეენჯღრია და ისე აეფორიაქებინა, დეპრესიისათვის ვეღარც მოეცალა:

– თქვენ არ ხართ მართალი. არ შეიძლება ხანგრძლივად იცხოვროს ადამიანმა სულიერი სევდიანობით. არ შეიძლება მუდამ გრძნობდე ქრონიკულ ბოროტებასავით სულიერ სიცარიელეს. მაშ რა ვქნაო? რაც გინდათ, ხოლო უნდა ქნათ კი რამე, უნდა იმუშაოთ!..

ესეც ის უებარი მალამო, რასაც თვითონ მალიმალ იცხებდა გულზე და აკი გრიგოლ რობაქიძეს გააოგნებდა, სტატიას რომ უჯდა და გაცხარებით აგრძელებდა წერას, ის ის იყო კი ძმის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი შეეტყო.

ქალი სულიერ სიცარიელეს რომ გრძნობდა, არჩილი ამ უკმაყოფილების გაჩენისა და ზრდის მექანიზმსაც აუხსნიდა: ეს იმიტომ ხდება, რომ ძალები გეზრდებათ და გემატებათ, გამოსავალი კი ვერ მიგიციათ მათთვისო. გარეგნული ჩიხი სულიერ ჭიდილში გადაინაცვლებდა, ჭიდილს გულგრილობა მოჰყვებოდა და უმოქმედობა. და არჩილი შეაგონებდა: ნებისყოფა და მოქმედება – აი, რა წყვეტს ცხოვრების ყველა უმძიმეს პრობლემას, რა ანიჭებს სულს წონასწორობასა და სიმრთელესო.

და პირად გამოცდილებას გაუზიარებდა, რადგანაც ქალისათვის ეს უფრო დამაჯერებელი გახლდათ, ვიდრე ბრძენკაცთა სიტყვების მოშველიება თუ ზოგადთეორიული შეხედულებანი: როდესაც ვმუშაობ, სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემას ნათელი ეფინება, მაშინ სიკვდილი აღარ არსებობს ჩემთვის, თავს უკვდავად ვგრძნობ, სრულ ბედნიერად, ჯანმრთელად, ჩემი ავადმყოფობის მიუხედავად. ტყუილად ხომ არ მიმართავს ადამიანის ნებას ყოველი რელიგიაო.

იმუშავეთ, იმუშავეთ, იმუშავეთ – ეს ერთი, ოღონდ მრავალშრიანი სიტყვა რეფრენივით გაჰყვებოდა არა მხოლოდ ერთი ბარა-

თის განწყობილებას, არამედ ყოველ სტრიქონს, რაც არჩილს შეექმნა – ნებისყოფის დაძაბვის ფასად. არც თავს დაინდობდა, არც სხვას, ილუზიებით არ გააბრუებდა და თვალს გაასწორებინებდა სინამდვილისათვის.

მეცნიერი ვერასოდეს გავხდებიო, – შესჩიოდა ქალი, ეტყობა, გულით მოწადინებულიყო ამ სარბიელზე დადგომას, საკმაო განათლება თუ დახვეწილი გემოვნება აგულიანებდა საამისოდ, არჩილიც ამხნევებდა, თემებსა და პრობლემებს აწვდიდა, შეარჩიე შენთვის შესაფერისი და გულდასმით შეისწავლეო. სწავლით სწავლობდა, მუყაითობა არ აკლდა, მაგრამ ნაფიქრისათვის თავი ვერ მოეყარა, ვერ ჩამოექნა, ვერ განეზოგადებინა და თავს აბრალებდა: სისტემატური მეცნიერული მუშაობის უნარი არ გამაჩნიაო.

ნაღველი მორეოდა – აქ თუ ვერ ვივარგე, რაც ასე მიტაცებს, სხვაგან, სხვა ასპარეზზე სულ ვერ გამოვდგებიო,

და გახლართულიყო საწინააღმდეგო განცდებში.

სისტემატური მეცნიერული მუშაობის უნარი თუ ვერ გიპოვნიათ საკუთარ თავში, მე ეს სრულიადაც არ მაღონებსო, – არჩილი კაეშანს გაუქარვებდა, – როდესაც ამას აღიარებთ, ამით იმ „წამებულ ქალებზე" გაცილებით უფრო მომწიფებულად და შეგნებულად მეჩვენებით, რომელნიც არაფერს ანგარიშს არ უწევენ და ჰგონიათ, თითქოს ადამიანს შეეძლოს იცხოვროს საკუთარი ბუნების რესურსებისა და ძალების შეუთანხმებლად საკუთარი სულის მიდრეკილებასთანო.

ხარებით ახარებდა: ვასრულებ ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპოქას. დამრჩა კიდევ ერთი. ამგვარად, მონოგრაფიათა მთელ რიგში ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ყველა ტიპური მომენტი იქნება შესწავლილი. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ხელი მოვკიდო დიდ შრომას – თვით ისტორიას ქართველი ინტელიგენციისაო.

თავის მთავარ ქმნილებად ესახება და ასეთი მიზანდასახულებით ამიტომაც აგებს ამ შენობას, თითქოს ალყას არტყამს სრული სურათის, მონუმენტური ტილოს აღდგენას ცალკეულ მნიშვნელოვან ეპოქათა წარმოსახვით. ერთად რომ მოიყრიან თავს, უკვე გაადვილდება გაბედული განზრახვის ხორცშესხმა – XIX საუკუნის ტრაგიკული რეალობის მოქცევა ფილოსოფოსისა და სოციოლოგის მზერის არეალში.

რაღაც ამგვარს ილია ჭავჭავაძეც ლამობდა, 30-სა და 40-იან წლებს რომ გადაწვდებოდა და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკური რაობის გამორკვევას მოინდომებდა, იქნებ სრული მატიანის შექმნაც განეზრახა გულის სიღრმეში, მაგრამ ვეღარ აუვიდოდა ათასგვარ გაწამაწიას, ყოველდღიურ მოვლენათა აბურდულობასაც თავისი მიმხედავი სჭირდებოდა – ბანკირადაც, რედაქტორადაც, პუბლიცისტადაც. ბელეტრისტობას შეშვებოდა და მკვლევარ-ისტორიკოსობას ვეღარ მოჰყვებოდა. დაე სხვას ედო თავს პირუთვნელი და სრული მატიანის შექმნა... ვისაც გნებავთ, ოღონდ არჩილ ჯორჯაძეს არა – რაკიღა ერთი და ერთი გასტეხოდა გული მასზე, გასტეხოდა.

მაგრამ ბედისწერა არჩილს აჰკიდებდა ამ ტვირთს და მწერლურ ჟინსაც ამ ლიტერატურულ-პოლიტიკური ქრონიკების შექმნაში ჩააშოშმინებინებდა.

სრულიად შეუფერებელ დროს გავხდი ავადო, – ამასაც მისწერდა, თითქოს ამ რანგისა და ყაიდის მოღვაწისათვის რაიმე შესაფერისი დრო არსებობდეს სნეულებისათვის. ყოველთვის რაღაცას უზის, ყოველთვის რაღაცას არკვევს და ჩაჰკირკიტებს, ყოველთვის რაღაც ტვირთი დასწოლია, მაგრამ ამჯერად თხზულებათა სრულ კრებულს ამზადებს, ხელახლა ამუშავებს ცალკეულ ქმნილებებს, ხვეწს, გულში ხინჯად რომ არაფერი ჩარჩეს. თუ გამოცემაა, გამოცემა იყოს, მექანიკური თავმოყრა კი არა პრესაში გაბნეული მასალებისა, არამედ კომპოზიციური შეკვრა და მოწესრიგება, ერთ ხერხემალზე ასხმა, მოტივთა, პასაჟთა, განწყობილებათა გადაძახილებმაც რომ განამტკიცოს მათი შინაგანი ერთიანობა.

პირველი ტომის რედაქციას მოასწრებდა.

მეორე ტომისათვის ზოგიერთი რამის დაწერა იყო საჭირო, მაგრამ ვერ მოუხერხდებოდა და „შეუფერებელ დროსაც“ ამიტომ ახსენებს.

მომავალი წლისათვის მაინც ეიმედება მთელი გამოცემის დასრულება.

– თუ მოვასწარი ჩემს სიცოცხლეში ყველას განხილვა, ჩემთვის ეს დიდი კმაყოფილება იქნება. მაგრამ თუ ყველა ვერ მოვასწარი, სამი ტომის განხილვა მაინც ძალიან მინდა, რადგანაც თუკი რამ მნიშვნელოვანი დამიწერია (რა თქმა უნდა, შედარებით), ყველა ამ სამ ტომში იქნება მოთავსებული.

ყველა საჭირო მასალას რომ მოიპოვებდა, თავისი ერთ-ერთი დიდი შრომისათვის რომ ვარაუდობდა, იმ ზაფხულს დათქვამდა ამ შრომის მოთავების ვადად და ეს განწყობილება მხნეობას რომ შეჰმატებდა, ქალსაც კვლავ გაუმეორებდა შეგონებას, რათა დარდს არც ის შეჭმევინებოდა:

– შრომა და მოქმედება ერთადერთი გადაწყვეტაა სიცოცხლის პრობლემისა! ვერავითარი თეორია, ვერავითარი მეტაფიზიკა ვერ იქმს იმას, რაც ნათლად გეჩვენება, – როდესაც თავს მოძრაობასა და წინლტოლვაში გრძნობ.

ძლიე მისტიკას თუ მან გძლიაო, – აინტერესებდა ქალს, და არჩილი დარწმუნებით რომ მიუგებდა: მან ვერ მძლიაო, – მთლად ასე მტკიცედაც ვერ ეპასუხა: თვითონ დაეძლია თუ არა მისტიკა. ერთი რამ კი ცხადად მოეხსენებოდა: ყოველთვის, როდესაც მოქმედებდა, გამარჯვებულად მიაჩნდა თავი, და მთავარიც ეს გახლდათ – ყოველთვის მოქმედი ყოფილიყო, თვით ავადმყოფობის დროსაც.

– აი, ეს ჯერ კიდევ მიჭირს. როდესაც ჩემს სულიერ ძალებს სძინავთ, მაშინ სიკვდილი თავისაკენ მიზიდავს და მეც ადვილად ვთმობ სიცოცხლეს; მაშინ ყველა ჩემი სააქაო გრძნობები, ყველა ჩემი პლანები და ნამუშევარი ამაოდ მიმაჩნია.

თუ სიწრფელეა, სიწრფელე იყოს.

განდობა იმისა, რასაც საკუთარ თავს ვერ გაუმჟღავნებ.

ფსიქოლოგისათვის ეს პასაჟი ღრმა აზრს იძენდა და მრავალმხრივ დამაფიქრებელ პრობლემად წარმოუდგებოდა, პრობლემად სიკვდილ-სიცოცხლისა, ნებისყოფის ამოძრავებასთან რომ არის დაკავშირებული.

ამ პასაჟზე კიდევ დიდხანს იფიქრებდა დიმიტრი უზნაძე, ამჯერად კი ლაკონურ მინაწერს ამჯობინებდა: არჩილის აზრით, ვინც თავისი დანიშნულების მიმართულებით მოქმედებს, მისთვის სიკვდილი არ არსებობს. ხოლო ვინც უმოქმედოა, მისთვის სიცოცხლე ყველა თავის მიმზიდველ ფერს ჰკარგავს და სიკვდილი წარმტაც სახეს აჩენსო.

არჩილის ორიოდე წერილშიც სიბრძნის უშრეტი წყარო მოჩანსო, – ამ აკორდით მოთავდებოდა დიმიტრი უზნაძის სტატია, და კიდევ ამ დაპირებით – დრო მოვა და არჩილის სულის ინტიმურ მხარეს მაშინ შევეხებითო.

ცნობისწადილს გააღვივებდა, გაამძაფრებდა და... შეწყვეტდა.

პარტიულ-პოლიტიკურ მიჯნას არ გადალახავდა.

დეტექტიური სიუჟეტივით იბლანდებოდა არჩილ ჯორჯაძის დრამატული სიყვარულის ამბავი, და იქნებ ამაო ხერხადაც არ დარჩენილიყო, ის დრო მალე არ დამდგარიყო... მაგრამ არამცთუ მისი სულის ინტიმური მხარე, არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიაც და თხზულებათა სრული კრებულიც იატაკქვეშეთში მოექცეოდა, თვითონვე გაიდუმალდებოდა და ვიღას ეძებნა მისი ბარათების იდუმალებით მოსილი ქალბატონი.

თავი ოცდამეთექვსმეტე

პარტია და მისი მითოსი

საქართველოს ძილად მივარდნილ ქვეყანას რომ შეადარებდა ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივ-სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას, ეს მაინც პუბლიცისტის ხედვა გახლდათ, ზედმეტი გამძაფრება რეალობისა და არა თვით რეალობა. მარტოდმარტო ვარო, ცასა და მიწას რომ შესჩიოდა, ეს წინასწარმეტყველის მარტოობა გახლდათ, მკაცრი მუნათის აუცილებლობა, რადგანაც უკმარი მოჩანდა მამულიშვილთა მცდელობა და – თავზე ხელის აღების გარეშე – იქნებ მართლაც ძილსა და სიზმარში ჩაძირულიყო ყოველივე. ეს იყო ის წინასწარი გაფრთხილება, ეროვნული თავმოყვარეობა რომ უნდა შეენჯღრია და შორეული იდეალი რაც შეიძლება ახლოს მოეზიდა.

განაწყენდებოდნენ, ვისაც ქვეყნისათვის უძგერდა გული: ძილად მივარდნილს რა გვიგავს, ანდა მარტოდმარტო რატომ ჰგონია თავი ამ უთანასწორო ბრძოლაში, ჩვენს გარჯასა და თავგამეტებას რატომ ვერა ხედავსო.

ის, რაც რეალისტური მზერისათვის გადამეტებულ სუბიექტურობად ან ეგოცენტრიზმადაც კი შეიძლება გამოჩნდეს, პუბლიცისტიკისათვის განუყრელი ხერხია.

ვახტანგ კოტეტიშვილიც ამ ხერხს მოიმარჯვებს, როდესაც XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ბინდით მოცულად მოიხსენიებს, სადაც პირქუში აჩრდილები იზმორებიან, და ამ გულისშემაღონებელ სინამდვილეს უნდა მოევლინოს არჩილ ჯორჯაძე ახალი ცხოვრების მახარებლად.

– მისმა მდიდარმა არსებამ მიიზიდა ახალი თაობის ჭაბუკი სული და საკაცობრიო ლაბირინთში მის მიერ საქართველოსათვის გაკვალულ გზას გაუყენა ამ ახალთაობის მცირე რაზმი. საქართველოს ასწლოვან გაყინულ მკერდზე არჩილ ჯორჯაძემ დაამყნო ახალი, ცოცხალი ვარდი, და იქ, სადაც ელოდნენ საქართველოს აღ-

სასრულს, მან აღმართა ახალი დროშა საქართველოს აღორძინებისა. ჩვენი ცხოვრების დროს, არჩილ ჯორჯაძემ პირველმა სთქვა ახალი სიტყვა ახალ საქართველოზე, და ამაშია მისი სიძლიერე.

ეს ექსპრესიული, პათეტიკაშერეული პასაჟი უთუოდ შეგაცბუნებს, თუ გაიხსენებ, რომ ეს „ბინდით მოცული" და „პირქუში აჩრდილების ზმორების" ხანა გულისხმობს ილიასა და მის თაობას – ისინი ჯერაც აგრძელებენ მოღვაწეობას, ჯერაც წარმართავენ საზოგადოებრივ აზრს და, თუმც მათთვის სადავის წაგლეჯვას ლამობენ სოციალ-დემოკრატებიც და სოციალისტ-ფედერალისტებიც, ბინდისა და პირქუში აჩრდილების ხსენება მაინც უცნაურია და აუხსნელი, თუკი ვახტანგ კოტეტიშვილის თვალსაზრისს პირწმინდად რეალისტურ შეფასებად აღვიქვამთ და არა მარჯვე პუბლიცისტურ ხერხად.

ნუთუ მანამდე იდეალი არა ყოფილა?

ჩვენს ცხოვრებას ჰქონდა იდეალიო.

აბა, მაშ?

მაგრამ ახალი ცხოვრების ბრძმედში გაუვლელიო.

უფრო ნიშანდობლივ?

საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდა მთელი XIX საუკუნე, მაგრამ იგი ოცნება ვერ განკურნავდა ქართველი ერის წყლულს. ის ოცნება ისტორიულ ტრადიციებზე შენდებოდა, და თავისუფლების მებაირახტრენიც უკან იცქირებოდნენო.

მაგრამ პოლიტიკური ფორმულა რომ ითქვა: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო?

მაგრამ სისტემა არ არსებობდაო.

და, აი, ასეთ ჟამს:

– არჩილ ჯორჯაძემ კი ბნელ სარდაფებში ჩასძახა ერის სახსნელი სიტყვები, და ჩვენს ეროვნულ იდეალს მისცა დემოკრატიული ხასიათი. ეროვნული პრობლემა პირველად არჩილ ჯორჯაძის მიერ იქმნა დასმული, და მან პირველმა იწყო მისი ისტორიულ-ფილოსოფიური რკვევა. ეს არ იკმარა მან; თეორიის სფეროდან საქმის ქვეყანაში გადმოიტანა, გააღვივა ის ცეცხლი, რომლის ალში დღესაც იფერფლება უცხო დოგმათა გადუსინჯავი თეზისები.

მტკიცებიდან აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე არჩილ ჯორჯაძის წინამორბედის სახელს უნდა დაყაბულდეს, თავისთავად იქნებ საპატიოსაც, მაგრამ ასეც არ ყოფილა, რომ არჩილ ჯორჯაძეს გადაეჭარბებინოს ილიასათვის და მისი ოცნება სისტემად გარდაესა-

ხოს. ეს სისტემა უკვე იქაა – ილიას თეორიულ ნააზრევშიც და მხატვრულ წარმოსახვებშიც, მის პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც ხელშესახებია ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლები, რასაც შენარჩუნება სჭირდებოდა და დაცვა სოციალ-დემოკრატიის მძაფრი შემოტევისაგან. თვითონვე რომ მძლავრად იცავდა, ამ სიმძლავრესა და სიმტკიცეს გადააყოლებდნენ და შესანარჩუნებლად არჩილ ჯორჯაძეს მოუწევდა მიზანმიმართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა. ოცნებას კი არ გარდასახავდა რეალობად, რეალობას გამოუჩნდებოდა ღირსეულ გამგრძელებლად და ამით ამაღლდებოდა მისი სახება, თორემ ილიას დაკნინების ხარჯზე გაზვიადება შინაგან სიმართლეს იქნება მოკლებული.

პუბლიცისტურ ხერხად – დროის მომენტის გათვალისწინებით – თავისი გამართლება აქვს, განა არა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისტორიულ ჭეშმარიტებადაც ვაღიაროთ.

ისტორიული ჭეშმარიტება დროის მომენტს არ დაგიდევს.

პუბლიცისტური ხერხი პუბლიცისტურ ხერხად, ოღონდ ვახტანგ კოტეტიშვილის ეს სილუეტი – „ფხიზელი დარაჯი" – იმ მხრივაც დასაკვირვებელია, როგორც პარტიული მითოსის შექმნის ნიმუში. შესაძლოა მთლად სრულყოფილი ქმნილება არ იყოს ამ ჟანრისა, მაგრამ საკმაოდ მოჭარბებულია ეს ელემენტები და არჩილ ჯორჯაძის სახება მითოსურ პანთეონში გადაინაცვლებს. ასეთ დროს კი აუცილებელი ხდება სხვა ყოველივე ამ ახალმა გაიდეალებულმა სახელმა გადაფაროს – სხვათა მითოსი შეავიწროვოს ან სულაც განდევნოს და სამყაროს შუაგულად ეს ამაღლებული სახება გამოცხადდეს.

ამ ჟანრობრივ თავისებურებასაც მოჰყვა „ბინდით მოცული" თუ „პირქუშ აჩრდილთა ზმორება"; მას მოჰყვა ილიას პოლიტიკური ფორმულის მიჩნევა იმ ბიძგად, რომელსაც სისტემის შექმნა უნდა გამოეწვია; მას მოჰყვა მტკიცება, რომ ეროვნული პრობლემა პირველად ახლა გადმოვიდა თეორიის სფეროდან საქმის ქვეყანაში.

სოციალისტ-ფედერალისტთა ახალი თაობა უკვე საძირკველს უჭრიდა პარტიულ მითოსს.

საამისოდ კი სწორედ მისწრება გახლდათ არჩილ ჯორჯაძის ისედაც ლეგენდური იერით შემოსილი ხატება – მისი დრამატული ბიოგრაფია, მისი ზეგავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მდინარებასა თუ აზროვნებაზე... მაინცდამაინც შეთხზვა არაფრისა სჭირდებოდათ – ზოგიერთი გაზვიადება სავსებით

იკმარებდა და ლეგენდური იერი შედარებით ადვილად გარდაისახებოდა მითოსად.

მთავარი ის იყო, მისი მოღვაწეობის დაწყება მონათლულიყო სრულიად ახალ ერად, ახალ წელთაღრიცხვად.

სხვა მხრივ სავსებით რეალისტური შტრიხები და დეტალებიც ამ ფონზე ახლებური შარავანდით ბრწყინდებოდა, თორემ ეროვნების ფილოსოფიისა და სოციალიზმის იდეათა შეუღლებას ხელოვნურობად, ძალდატანებად, შეუთავსებლის შეთავსებად რომ არ ჩამოართმევდნენ და დამსახურებად მიუთვლიდნენ, ამას რა ახსნა უნდა.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია თავის რაობას ხომ არ უარყოფდა.

არჩილ ჯორჯაძის მდიდარი ბუნება ამით ვერ ამოიწურებაო, – ირწმუნება ვახტანგ კოტეტიშვილი და წარმოსახავდა სოციოლოგად, ვინც არკვევდა მასალებს ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად, და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიკოსად, ვინც წარსულის გაკვეთილისა და დოკუმენტების მიხედვით აღადგენდა სარწმუნო სურათს, თუ რა მოხდა 1905 წლის რევოლუციამდე, რევოლუციის შემდგომ კი მიუძღოდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას. წარმოსახავდა იმ რანგის პუბლიცისტად, ვინც ფხიზელ დარაჯად ედგა ჩვენს უნიათო ცხოვრებას და ეძიებდა ჩვენს საჭირბოროტო კითხვებს, და ახალგაზრდობას ასწავლიდა, თუ როგორ უნდა დაჩქარებულიყო „ძველი წესის სულთა ბრძოლა“. წარმოსახავდა დიდი ხნის დადუმებული ქართული ფილოსოფიური აზრის ამამეტყველებლად და ფილოსოფიური აზროვნების ახალი დასაბამის შემოქმედად.

უკვე აღარ ვიცოდით, რანი ვიყავით?

აი, გამოჩნდებოდა არჩილ ჯორჯაძე და გნოსეოლოგიური პესიმიზმით დაიწყებდა, მძიმედ დათალხავდა რაციონალიზმის სამფლობელოს, გადახსნიდა ძიებით მოღლილი ადამიანის შემეცნებით ტრაგედიას და ინდოელთა ფილოსოფიის მთავარ დებულებაზე აასხამდა თავის ნააზრევს: არ იცი, საიდან მოდის, არ იცი, საით მიდის, არ იცი ამ გზის თავი და ბოლოო.

ვახტანგ კოტეტიშვილს არც ის გამორჩებოდა, რომ: იგი პოეზიის სამფლობელოშიც გადადიოდა და ნავსაყუდელის ძებნაში ურწმუნო მწერლებს უხსნიდა, ასწავლიდა, თუ რა იყო სიტყვაკაზმული მწერლობა და ხანგამოშვებით ეს სევდის ადამიანი ექსტაზამდეც კი მიდიოდა.

და მაინც:

იგი მსხვერპლი გახლდათ.

მსხვერპლი – საქართველოს საკურთხეველზე ნებიერად შეწირული.

ეს შეფასება პარტიული მითოსის გავლენით არ ხდება, პირიქით – ამგვარი რეალობა ჰკვებავს მის მითოსში გადასულ სახებას. და მსხვერპლობა და ტრაგიზმი კი ისაა, რომ:

– საქართველოს ყოველდღიურ კითხვათა გადაჭრას მოანდომა თითქმის მთელი თავისი ენერგია და დიდი ნიჭი.

ამ ტრაგიზმს თვითონაც მკაფიოდ ხედავდა და გულს აწყდებოდა, რომ ქვეყნის უბედურებას არჩევანის საშუალება არ დაეტოვებინა მისთვის, თავის ნებაზე არ მიეშვა და მოვალეობის ტყვედ გაეხადა.

მაინც ეს ტყვეობა ერჩია.

რაც კოსმპოლიტიზმის ბანგს გამოაღწევდა, ოდნავადაც აღარ შეშლილა ნაბიჯს ამ გზაზე, და მხოლოდ სოციალისტური თეორია შემორჩენოდა ნაშთად თავისი ბიოგრაფიის იმ კოსმოპოლიტიკური ხანისა.

ნიჭი დაახურდავაო, – ზოგი ამასაც იმეორებდა?

ვახტანგ კოტეტიშვილსაც გააგონებდნენ და ის პირად შეურაცხყოფად აღიქვამდა, ლეგენდის ხელყოფის მცდელობად, და არც აპატიებდათ: ლამაზად დამწვარ სიცოცხლეს სოვდაგრული თქმით ნუ შელახავთო.

მაშ როგორ უნდა თქმულიყო?

როგორ და:

– არჩილ ჯორჯაძემ საქართველოს შესწირა ყოველივე, ემსხვერპლა მას და აქ ჰპოვა თავისი უკვდავება. მასში სცხოვრობდა საქართველო და საქართველო აცოცხლებს მას, მისთვის სევდიანს, მისთვის ტანჯულს.

და მის აჩრდილს პოლიტიკურ მოღვაწეთა და პუბლიცისტთა ახალთაობის სახელით ასე ეხმიანებოდა: გავიგეთ შენი ტრაგედიის არსებობის მთელი საშიშროება, დავაფასეთ შენი წამება და ჩვენი ცხოვრების დიდი სარდლის წინაშე შევჩერებულვართ არა სევდით, არამედ ფიცის დასადებად, რომ თუმც ჩვენს აღფრთოვანებას, რწმენას ფრთები შეკვეცია, არც ჩვენ დავსხდებით გულხელდაკრეფილნი და არ შევწყვეტთ ძახილს, ვიდრე ხალხი არ ამოგვყვება იმ მთაზე, რომელზედაც შენ იდექი და ვიდრე არ დაიწყება საქართველოს რენესანსიო.

მითოსის ზოგადი ქარგა შემოიხაზებოდა ამ ესეიში, თეზისებივით ჩამოიწერებოდა ის მთავარი ნიშნები, რასაც მითოსი საყოველთაო და სარწმუნო უნდა გაეხადა, არ გაჰყვებოდა ავტორი ცალკეულ პასაჟთა თუ ფრაგმენტთა დამოწმებას არჩილ ჯორჯაძის ნააზრევიდან, თუმც ერთ ნაწყვეტს მაინც მოიხმობდა და ეს ნაწყვეტი განზოგადებულ ფონზე კიდევ უფრო გამორჩეულ მნიშვნელობას შეიძენდა.

საქართველოს დარაჯობა მხოლოდ მეტაფორა კი არ არის მისთვის, არამედ შეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი შეხედულებისადმი, ეროვნული საკითხი ბურჟუაზიულ-ფეოდალურ მოვლენად რომ მიაჩნდათ და ეს აზრი უამრავი ადამიანისათვის ჩაეგონებინათ.

– მთავარი პოზიციები უკვე დაპყრობილი ჰქონდათო, – ამ რეალობას ასე გამოთქვამდა ვახტანგ კოტეტიშვილი და ასეთ დროს უნდა გამოჩენილიყო ქართულ სინამდვილეში ის ზუსტი და დაწურული მტკიცება, რომელიც ამ პარტიის არსს ასე ხელშესახებად გამოაშკარავებდა, მარქსიზმის უნიადაგობის თვალნათლივ დასტურს:

– სულით და გონებით თქვენ არა ხართ დაკავშირებულნი არც ჩვენს ძველ მწერლობასთან, არც პოეზიასთან, არც ხუროთმოძღვრებასთან, არც მხატვრობასთან, არც მუსიკასთან, არც ისტორიულ-ფილოსოფიურ ნაწარმოებთან, არა ხართ დაკავშირებულნი ქართულ კულტურასთან, და რა გასაკვირველია, რომ დღეს, ამ კულტურულ ტრადიციებს მოკლებულნი, შემთხვევით გამვლელ-გამომვლელ „გმირებს“ ეთაყვანებით, წარმავალ და უდღეო დოქტრინებს აღიარებთ, უშინაარსო და უსიცოცხლო ფორმულებს იცავთ!

ასეთ დროს, ასეთ საბედისწერო ჟამს აუცილებელიც კი ხდება დარაჯის ხელობა. უკმარია მხილება, სარეველა ისე მოსდებია ერის სხეულს, ამოუძირკვავად ვეღარაფერს გააწყობ. ამხილე, იძახე: სარეველაა, სარეველა, სარეველა... ამ მხილება-მხილებასა და ძახილ-ძახილში გშთანთქავს კი და, ასპარეზის ერთადერთი მეპატრონე, კიდეც გადააგვარებს და გადააჯიშებს ყოველივეს.

წინ ქვეყნის დარაჯი თუ აღუდგებათ:

რწმენით, სულიერი სიმტკიცით, მეომრის გულოვნებით.

რაკიღა ამ ესეით პარტიული მითოსის თავისებური ვერსია იქმნება, საქართველოს დარაჯად მხოლოდ არჩილ ჯორჯაძე უნდა იყოს მოხსენიებული, თორემ ლიტერატურისა – და მასთან ერთად

საზოგადოებრივი ცხოვრების – ისტორიის შედგენისას ვახტანგ კოტეტიშვილი ამ ეპითეტს სხვა მოღვაწესაც მიუსადაგებდა, და არ გაიოცებთ, როდესაც გამცნობთ, რომ ეს მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი გახლდათ.

მიეგებოდა კეისარს კეისრისა – იმ კეისარსაც თავისი წილი.

ეგაა, პარტიული მითოსის მონახაზში ეს სახელი აღარ განმეორდებოდა.

ყოველ ჟანრს თავისი კანონები აქვს და ავტორის ნებას ასე ადვილად აღარც ემორჩილება.

არჩილ ჯორჯაძის სული და იდეები სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში კვლავაც რომ ცოცხლობდა, ქრისტეფორე რაჭველიშვილს ესეც საამაყოდ დაურჩებოდა – ყოველი წლის გადაკეცვა მოწმობდა, რომ პარტიის იდეოლოგი არასოდეს არავითარ ანგარიშს არ უწევდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონიუნქტურას და მისი წრფელი ძიება სახელმწიფოებრიობისა ისევ ბაირაღად შემორჩენოდა მისი დასის ნევრთა თუ მემკვიდრეთ, თუმც ქვეყანა სრულიად სხვა სინამდვილეში შესულიყო – ნაცვლად რუსეთის კაბალისა, დამოუკიდებელი მმართველობა მოეპოვებინა.

და კიდევ უფრო აამაყებდა ის ზეგავლენა, რაც შორს გასცილებოდა ერთი პარტიის ფარგლებს და მთელ შეგნებულ ქართველობას გადაწვდენოდა.

გუსტავ ლებონის ერთი ფრაზა ამოუტივტივდებოდა გონებაში, ფრანგი მწერლის, ვინც ირწმუნებოდა: მიცვალებულნი ერთადერთი უდავო ბატონები არიან ცოცხლებისა, ისინი საუკუნეობით ჰქმნიდნენ იდეებსა და ემოციებს, რაც ჩვენს დღევანდელ მოქმედებას განსაზღვრავსო. ამოუტივტივდებოდა და კიდევ უფრო დაზუსტებასაც მოინდომებდა: თუ ეს ითქმის საერთოდ წარსულ თაობაზე, მითუმეტეს ითქმის იდეოლოგზეო.

არჩილ ჯორჯაძის სახელი ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირდებოდა ეროვნულისა და სოციალიზმის მორიგების მცდელობას.

და იოსებ იმედაშვილის ლიტერატურულ-ისტორიულ ჩანახატშიც „ზაქარია ჭიჭინაძის სამოვარი“ მისი ხსენება სწორედ ამ ორი მოვლენის ფონზე ამიტომ ხდება.

ნუთუ სამოვარზეც შეიძლება მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება შეიქმნას?

რატომაც არა, თუკი მღელვარე თავგადასავალი აქვს და ენაწყლიანადაც გადმოიცემა მისი ისტორია.

სათავე ფილადელფოს კიკნაძემდე მიდიოდა – ეს ბერი ამ სამოვრის შიშინის დროს წერდა შუამთის მონასტერში ქართველ შეთქმულთა წესდებასო.

მერე სოლომონ დოდაშვილის ხელში გადმოსულიყო და იგი აქედან დასხმული ჩაის მირთმევისას გაიხსენებდა, რომ ეკატერინე მეორეს მეფე ერეკლესათვის პირველ საჩუქრად სამოვარი გამოეგზავნა და მაშ ეს ძღვენი დანაელთა საჩუქარს ემგვანებოდა.

ამ სამოვრით გამოწვეული ფიქრი იყო იმის მიზეზი, რომ ერთ ღამეს სოლომონი რუსეთის ცივ ქვეყანაში გააქროლეს შავი კარეტით, სადაც უგზო-უკვლოდ გაჰქრა, ხოლო მის ავეჯეულობასთან ერთად ეს სამოვარი, ჯერ ერთ კუთხეში, შემდეგ ჩარდახქვეშ ბევრი გდებისაგან ფერდაკარგული, საქართველოს სხვა მრავალ ძველისძველ ხელნაწერ წიგნებსა და სიგელ-გუჯრებთან ერთად სახლის ახალმა პატრონმა, ვინმე მკრტიჩ ხაჩატრიანცმა, ბაზარში გაიტანა, როგორც ნავსი ავეჯიო, – ასე დრამატულად გრძელდებოდა სამოვრის თავგადასავალი და ფილადელფოს კიკნაძისა და სოლომონ დოდაშვილის სახელები ძალაუნებურად შესძენდა ამ ნივთს – ზაქარია ჭიჭინაძის მამის მიერ შესყიდულს ბაზარზე და საგვარეულოდ გადაქცეულს – ისეთ რეპუტაციას: ვინც ამ სამოვრიდან ჩაის დალევს, ყველა ხელმწიფის წინააღმდეგი გამოვაო. თუკი ხელმწიფის წინააღმდეგი იქნებოდა, მაშ მეშფოთვარადაც მოგვევლინებოდა, ღვთის ურწმუნოდაც და მამა-პაპათა ჩვეულების დამამხობლადაც.

არსებობდა ჩვენს ქვეყანაში ამგვარი განწყობილებაც, რუსეთის იმპერატორსა და ჩვენს ეროვნულ წეს-ჩვეულებებს ერთმანეთთან რომ აიგივებდა, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ სამოვარი მეამბოხურ სულიკვეთებას გადაეჯაჭვებოდა და მის შიშინს ვინ აღარ მოისმენდა და იქიდან დასხმულ ჩაის ვინ აღარ მიირთმევდა.

ეს ლიტერატურულ-ისტორიული ჩანახატი ქართული ინტელიგენციის ცხოვრების კონსპექტურ მონახაზადაც წარმოგვიდგება, თითქოს არჩილ ჯორჯაძის „მასალების" გავრცობილი სარჩევიაო. და, რა გასაკვირია, მოღვაწეთა და რევოლუციონერთა ამ გალერეაში თვითონ არჩილ ჯორჯაძეც გამოჩნდეს, და გამოჩნდეს ამ ფრაზითა თუ ყველაზე ნიშანდობლივი შტრიხით:

– ეროვნულ გზას მივყევართ სოციალიზმში.

იოსებ იმედაშვილი ვერ დაიჟინებდა, რომ ვინც სამოვრის სიმბოლური საზოგადოების სიაში მოაქცია, ყველა მართლაც უსმენდა

მის შიშინს. სინამდვილეს იქნებ ფანტაზიაც შერეოდა და ზაქარია ჭიჭინაძე ვისაც კი იცნობდა, ყველა თავისი ვიწრო სენაკის სტუმარი ეგონა; მაგრამ ზოგადი სურათი უტყუარი გახლდათ და სწორედ ამით მიმზიდველი. და ავტორი ერთგვარ ირონიასაც გამოურევდა, როდესაც რევოლუციურ განწყობილებას წარმოსახავდა.

ჯერ მწარე ღიმილს ვერც მიუხვდებოდი.

– ვინც ზაქარიას ამ სამოვრიდან ჩაის მიირთმევდა, თამასუქს სდებდა: შეუდრეკლად ვებრძოლოთ უსამართლობას, თვითმპყრობელობას... მოვსპოთ სახრჩობელა, სიკვდილით დასჯა, დავამყაროთ სრული თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, ერთობა.

და უეცრად:

– მთა და ბარი გავასწოროთ, თხა და მგელი ერთად ვაძოვოთო.

იყო დრო, თხემით ტერფამდე ჩაფლულიყო რევოლუციურ მოძრაობაში იოსებ იმედაშვილი, არც დევნა-შევიწროება დაკლებოდა, არც ციხე, აღთქმულ მიწასთან შეხვედრასავით მოელოდა ახალი ეპოქის დადგომას და... მართლა რეალობად რომ გადაიქცეოდა ახალი ეპოქაც და ახალი ქვეყანაც, არც დაძრახვას მოაკლებდა საკუთარ თავს, არც ირონიასა და სარკაზმს – თურმე რას ვწირავდი სიცოცხლეს, რას მოველოდი და რას მოვესწარიო.

ეს განწყობილება გამოჟონავს ამ ორიგინალურ ჩანახატშიც, დეტექტიური შეფერილობით რომ იწყება და არანაკლები ექსპრესიით გრძელდება.

საგვარეულო, ისტორიული სამოვარი.

იქმნებოდა „აქტი გონიური“ მის შიშინში.

ითხზვებოდა თავისუფლების საგალობელიც – შეთქმულების პროკლამაცია.

ეროვნული გზით შევაბიჯებთ სოციალიზმში და ყველა სოციალური სატკივარი ერთბაშად განიკურნებაო, – მხურვალება არ აკლდა არჩილ ჯორჯაძის მტკიცებას.

და ნელი ყლუპებით მიირთმევდა სურნელოვან სითხეს.

ისე რა ხალხის ხელშია გამოვლილიო, – აღტაცებულ მზერას შეავლებდა დროდადრო სამოვარს.

ეს ჯადოსნური უნარიც უთუოდ იქიდანვე დაბედებოდა:

ვინც იქ ადუღებულ ჩაის იგემებდა, ყველა იმპერატორის წინააღმდეგ შეიმართებოდა – მტკიცედ და შეუდრეკლად.

ეპილოგი

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ „ნატვრის ხე“ თავისებური გაგრძელებაა „წერილებისა იტრიის წისქვილიდანო“...

ეგაა, მოქმედების სარბიელი ქართლის ამ მხარიდან კახეთის მხარეშია გადატანილი, იტრიას პატარძეული ჩანაცვლებია, მაგრამ სოფლის სახელის ცვლილება რა ბედენაა, როდესაც იდუმალი ძაფებით გადაბმია ეს ორი თხზულება ერთმანეთს და გიორგი ლეონიძე სულთმობრძავ წინამორბედს შეშველებია. იმჟამად პატარა ბიჭი ამ ტვირთს რანაირად წამოიკიდებდა, მაგრამ იგრძნობდა თუ არა ძალღონეს, ბელეტრისტიკისთვისაც მოეკიდა ხელი და თავისივე პოეზიის თანასწორად აეზიდა, ყრმობის მოგონებებს ჩაუჯდებოდა, ოღონდ ნებისმიერად კი დაახვავებდა, იმ ქარგის ირგვლივ ამოახვევდა, თუ როგორ დგება ქართული სოფელი, ქართული პროვინციული გარემო დიდი განსაცდელის წინაშე – რევოლუციის პირველი ტალღების ქვეშ როგორ ატორტმანდება და ჩაებღაუჭება იმ ძვირფასსა და სანუკვარს, რომლის განქარებაც მისი აღსასრულის ტოლფასია.

ეს აჩრდილები კარგა ხანია ასდევნებოდნენ და ემუდარებოდა: ამოდით ჩემს აივანზე, მომაგონეთ და შთამაგონეთო.

ისინი კი მოაგონებდნენ, შთააგონებდნენ კიდეც, მაგრამ მხატვრული ფორმა ვერა და ვერ გამოენახა, სიუჟეტი ვერ გამოძებნილიყო, ამ ლანდებს ერთად რომ შეჰკრებდა და ქართული სოფლის ბედისწერას წარმოსახავდა.

და, აი, ოთარ ჩხეიძის ნოველების ციკლი გამოჩნდებოდა – „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან“, დატირება ქართული სოფლის მწარე ხვედრისა, იმ დაქცეული მშვენიერებისა და სიცინცხალის, იმ პირველქმნილებისა და უმანკო გულისთქმის, ურომლისოდაც ეროვნულ ტრადიციებს თანდათან ეცლებოდა ძარღვი და უსიცოცხლო ხდებოდა. რევოლუციას თავისი უკეთური მოვალეობა ამ მხრივაც აღესრულებინა და ჩაეკლა პროვინციის პირვანდელი უბრალოება და განუმეორებელი ხიბლი.

რისი პირველი ნიშნებიც არჩილ ჯორჯაძის თვალწინაც ასე ხელშესახებად წარმომდგარიყო, ახლა უკვე იმ საბედისწერო პრო-

ცესის მოთავებად მოჩანდა და მხატვრულ ქარგაშიც ეხვეოდა იმ მიუკერძოებლობითა და შთამბეჭდაობით, ჩეკისტური კრიტიკა მახვილით რომ აღიმართებოდა მის თავზე.

ოთარ ჩხეიძეს რა სინამდვილეც ეხილა, ის გადმოეტანა მხატვრულ წარმოსახვებში – დაებოლოვებინა გულსაკლავი პროცესის სურათი და სათავემდე აღარ მიდიოდა. ასე რომ, რევოლუციის სუნთქვის გამოჩენა ან დაუხატავი უნდა დარჩენილიყო, ანდა იმას აეღო თავის თავზე, ვინც უშუალო შემსწრე გახლდათ და იმ ფარულ დინებასა და ნიუანსებსაც გრძნობდა, რომელსაც ქრონიკები და მატიანეები ნაკლებად ან სულაც ვერ ინახავენ. მეგზურად ვერავინ დაუდგებოდა გიორგი ლეონიძეს, თვითონ უნდა ყოფილიყო მეგზურიც აჩრდილთა სამეფოში, და უმცროსი თანამოკალმის მიგნებით აღფრთოვანებული თამამად გაუსწორებდა თვალს ლანდებს: მომაგონეთ და შთამაგონეთ, ახლა უკვე მზად გახლავართ თქვენს შუაგულში ხელახლა შემოსასვლელადო.

მთავარი ის ბიძგი იყო, ის ზეგავლენა, „ჩემი სოფლის ეტიუდებიდან" რომ გადმოწვდებოდა „ნატვრის ხეს" და ზოგად აღნაგობას აპოვნინებდა – დამოუკიდებელი სიუჟეტები და სურათები, შემოფარგლული ერთი სოფლის სარბიელით, რომლის მიღმაც ხელშესახებია წუთისოფლის ტრაგიკული ფონი; თორემ სხვა მხრივ სრულიად ორიგინალურ თხზულებას შექმნიდა გიორგი ლეონიძე – თავისი სიუჟეტებითა და ხასიათებით, ნასესხობა არ დაჭირდებოდა, გასამეორებელი არაფერი ექნებოდა და ყრმობის მოგონებებს მემუარულ ჟანრში კი არ მიუჩენდა ბინას, არამედ ქართული ნოველისტიკის მიღწევათა შორის აღმოჩნდებოდა „ნატვრის ხე".

გიორგი ლეონიძეს რა სინამდვილეც ეხილა ბავშვობა-სიჭაბუკისას, ის გადაეტანა მხატვრულ წარმოსახვებში, ყველაზე მძაფრი მოგონებანი აეკინძა და უნებურად შენაცვლებოდა არჩილ ჯორჯაძეს.

თავიდან ეს იქნებ არც უფიქრია: რაც იმას დაუწერელი დარჩა ანუ მეორე ნაწილი „წერილებისა იტრიის წისქვილიდან" ჩემი შესავსები გახდაო, – მაგრამ „ნატვრის ხე" რომ მოთავდებოდა, შეუძლებელია ძალდაუტანებლად არ ამოსჩენოდა გონებაში არჩილ ჯორჯაძის სახება. სხვა თუ არაფერი, იმისი აჩრდილიც გამოეცხადებინა, გულნაკლულობა შემივსე, სანანური აღარა მაქვს, ჩემი ჩანაწერები მხოლოდ რელიგიურ-ფილოსოფიურ წარმოსახვებში გავხვიე და იტრიის მიწაზე ჩამოტანა აღარ დამცალდაო.

ლიტერატურის ისტორიკოსისათვის ქრონოლოგია სხვაგვარად დალაგდება: ჯერ ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებია“, შემდეგ გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, არჩილ ჯორჯაძის სახელი კი ახლომახლო არსად გაიელვებს.

მაგრამ ისტორიული ქრონოლოგია, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან შეფარდებული, სხვაგვარად გადაალაგებს ამ წყობას, თავის თარგს გამოუძებნის და ჯერ არჩილ ჯორჯაძის „იტრიის წისქვილის წერილებსა“ და გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეს“ მოათავსებს გვერდიგვერდ და შემდეგ ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებიც“ იპოვნის თავის ადგილს.

ასე შეიკვრის რკალი.

ასე გადაგვეშლება თვალწინ საბედისწერო პროცესის დასაწყისი და დასასრული, დასაწყისი – ერთბაშად მოკვეთილი, დასასრული – გაყინულ დროზე გადაჭიმული, მწერალი მთელი ცხოვრების მანძილზე რომ შეავსებდა და შეავსებდა.

რევოლუცია იჭრება გიორგი ლეონიძის პროვინციაშიც.

ანარქისტი იორამი ქადაგებს მის აუცილებლობას, დაიარება სოფლად და გაიძახის: ძირს მეფე, ბატონი, მღვდელი და პოლიციელიო. ყველას ემუქრება გილიოტინით და არც მთავრობას უფრთხის: მზად ვარ, პირველმა მივიღო ბრძოლა კაცობრიობის თავისუფლებისათვის! კლდეზე გადავჩეხ თვითმპყრობელობასო.

ახარებს, ჰოი რას ახარებს ივრის ყოველი ადიდება. მისთვის ეს ნამდვილი სტიქიონია, ისევე, როგორც ჭაბუკი ილია ჭავჭავაძისათვის თერგის რბოლა და ღრიალი. და როგორც ის შეჰხაროდა თერგს, ისე იორამია აღტაცებული ივრის სიშმაგით:

– ეგრე, ეგრე, შეაზვინე ზვირთი! მძულს მდორე და გუბე! შეულეწე მტერს გული! ყბები ჩაუმტვრიე! გაწმინდე შმორი, გაასუფთავე ჰაერი! ვიშ, სიცოცხლის სუნი ტრიალებს.

მისთვის იორი რევოლუციასთან გაიგივებულა და აღტაცებაც ამას გამოუწვევია.

და როდესაც მეზობელი გლეხი შესჩივის – რა გენაღვლება, რომ წაიღო ჩვენი ბოსტნები, სიმინდები, ვენახები, სათიბები, ნერგი აღარ შეგვარჩინა და ვაზი! გაგვძარცვა, გაგვლოკა, გაგვატიალა! – ამ წრფელი, ალალი გულისწუხილის მიღმა ძალაუნებურად წარმოსდგება მკითხველის თვალში რევოლუციის რეალური სახე, გაძარცული გარეგნული ხიბლისა და მიმზიდველობისაგან... მაგრამ რასაც უნებურად ამჩნევს თვით უბირი ადამიანიც, ვერაფრით

ვერ შეისმენს ანარქისტი: ეგრე, ვეფხვო, ეგრე იბობოქრე, სიცოცხლე მაგრძნობინე! უჰ, შენი ჭირიმე!

მისგან ან ის რა გასაკვირია, ერთ გავარვარებულ შუადღეს მეზობლის ბავშვს რომ შესძახოს: მიწის ქვეშიდან ხმა ისმის! აბა, ჩამოდი ყური დაადე მიწას! – და ძალით ჩაათრიოს კიბეზე: აბა, დაადე ყური, როგორ გუგუნებს! ხომ იცი, რასაც ნიშნავს?

ბავშვი გაოგნებული შეჰყურებს.

ის კი:

– მოდის... მოდის... მოდის გუგუნით, ჭექით, ძლიერებით მოდის რევოლუცია! განა არ გესმის? – გაცოფებული მღელვარება, დელგმა, ნიაღვრის როხი, ჰაერშიც თოფის სუნი ტრიალებს.

კომიკური ფერებით წარმოისახება იორამის პორტრეტი და მაინცდამაინც ანარქისტის სახელი სინამდვილეში ცენზურისაგან თავდასაღწევ ხერხად სჭირდება მწერალს, თორემ იორამი სოციალ-დემოკრატს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ანარქისტს, და ის ქარხნის ახალგაზრდა მუშაც, ქალაქიდან ჩამოსული და იქ გაფიცვების მონაწილე, უსათუოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აჰკვრია და ამიტომაც შეჰბედავს ციციკორეს, სოფლის კითხულსა და გულთამხილავს: შენ ვინ გკითხავს სოფლის საქმეს, რა პირისა და პასუხის გამცემი შენა ხარ? ქვეყანა წინ წავიდა, შენ კი ადამის ჟამის ამბებს გველაპარაკები! ვისაც უნდა იცხოვროს ძველ ჭკუაზე, წავიდეს სასაფლაოზე, იქ უქადაგოს მკვდრებს, ჩვენ კი ჩამოგვეცალოს თავიდანო.

ასე ერთბაშად უნდა შეიმუსროს ციციკორეს, სოფლის თავკაცისა და კითხულის, მპყრობელობა.

და მერე ვინ უნდა შემუსროს?

ქალაქში ნათრევმა, ფეხშიშველა და თავშიშველა მუშამ.

შემუსროს იმიტომ, რომ იგი მარტოდმარტო კი არ შეეწინააღმდეგება სოფელსა და მისი თავკაცის გავლენას, ზურგს უკან დიდი ძალა უდგას მოსალოდნელი ცვლილებების სახით, მიწისქვეშეთიდან რევოლუცია შემოჰგუგუნებს – იორამისა არ იყოს – და მისმა უკმეხმა სიტყვებმა ამიტომაც უნდა აგრძნობინოს ციციკორეს, რომ ძველი ცხოვრება წასულა დაუბრუნებლად და ახალი ცხოვრების სიო დატაკებია ზედ მკერდზე.

ასე უნდა გადაიქცეს სოფლის კითხული გამომტვრეულ ნაპრალად.

არა იმ ერთი მუშის შემოღრინვით, ცხადია.

ტრადიციული წეს-ჩვეულებანი და ურთიერთობანი სიძლიერეს კარგავენ, ზემოქმედების უნარს ველარ ინარჩუნებენ, იწრიტებიან

და მყიფე ძაფებზეღა ჰკიდიან – ეს სიმყიფე კი ან რაღაც სასწაულით კვლავ ძლიერ ნაკადად უნდა გარდაისახოს ან სულ დაიშალოს და დაღავდეს.

ციციკორე მისი შემნარჩუნებელი აღარ არის.

და ისიც სიმბოლურია, 1915 წელს კახეთის პირველი მატარებელი ივრის სადგურიდან რომ შეჰკივლებს პატარძეულის მიდამოებს, სწორედ იმხანად უნდა დამარხონ სოფლის ეს გულთამხილავი და მეზობლები ატუტუნდნენ: აკი ეშინოდა და, დახე, რა დროზე გაეცალაო!

წიგნის შესავალში დიდხანს უტრიალებდა გიორგი ლეონიძე ამ თხზულების ჟანრს, განსაზღვრავდა და... ვერც განსაზღვრავდა, თუმც ეპითეტს ეპითეტზე მოიხმობდა, ცნებას ცნებაზე: ეს ყრმობის მოგონებანიო, ეს სახილე ტაბაკი თუ ხახალიო, ეს ვაზფურცელაო... ვერ მიმხვდარიყო, რა ძალის წიგნს ქმნიდა და თავს იზღვევდა, ნოველებად თუ ვერ ივარგა, მემუარულ ჩანაწერებად ჩამითვალეთ და შეღავათით მოეპყარითო? შესავალი თავით ბოლომდე ჟანრის ძიებაზეა აგებული და თამაზ ბიბილური ამ ძიებას მართლა ვერმიხვედრად კი არა, მარჯვე ლიტერატურულ ხერხად შეუფასებდა, ტრადიციული დასაწყისის სამოსელად.

მაგრამ ძიება მაინც ძიებად რჩება და ეპითეტთა ნაკადში, რა დაშავდება, ეს ჟანრობრივი განსაზღვრებაც რომ ჩავრთოთ: წერილები პატარძეულის წისქვილიდან.

იქნებ წისქვილი სულაც არსად მოჩანს „ნატვრის ხის“ პეიზაჟების ფონზე?

მაშინ „წერილები პატარძეულის წისქვილიდან“ ცოტა ყურს ეხამუშება, თუმც გაუმართლებელი მაინც არ იქნება.

მაგრამ როგორ შეიძლება გიორგი ლეონიძის მხატვრულ სამყაროში წისქვილი არ იდგეს სახიერ სურათადაც და თავისებურ სიმბოლოდაც იმ რეალობისა, რომელმაც თანდათან უნდა დაჰკარგოს თავისი ადათ-წესები და ფრაგმენტულადღა შეინარჩუნოს.

ეს სიმბოლიკა ძალდაუტანებლად შეერევა თხრობას და შინაგანი სხივით გაანათლებს ყოფით სურათს.

ზვარში ჩარხიანი წისქვილი დგას.

და მბრუნავ ჩარხზე ალმასჩქერებად იმსხვრევა წყალი.

ყმაწვილს უყვარს წისქვილის გვერდით დიდ, გადაჩრდილული კაკლის გრილოში ჩამოჯდომა და ტკბობა წყლის ჩქერალის ფრქვევით, თითქოს ჩარხზე ათასი ცისარტყელა დახვეულაო.

ერთ დღეს წისქვილი მოულოდნელად დაკეტილი უნდა დახვდეს.

სიბერით დახვეწილი მეწისქვილე ჩალხია უეცრივ გადაცვლილიყოს, თითქოს მისძინებოდეს ფქვილის ტომრებსა და საცალოებს შუა მიწოლილს.

არ არის ეს მხოლოდ ყოფითი ცხოვრების ნატეხი.

მთლად შუაგულშიც ვერ მოაქცევდა თხრობისა, წისქვილის ირგვლივ არ დატრიალდებოდა უმთვარო, უმთენარო ცხოვრების მძაფრი დრამები და ვნებები. მაშინ ხომ ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან" პირდაპირ განმეორდებოდა და გიორგი ლეონიძის ნოველების ციკლს რაღაცას მოაკლებდა – ორიგინალური წიგნი ფრანგი მწერლის მიმდევრობას ვეღარ აცდებოდა.

ტკივილი ისედაც საერთოა.

მოვალეობაც ერთი დაჰკისრებიათ – ფურცლებს მაინც შემორჩეს ის სინამდვილე, რაც აღარასდროს განმეორდება.

პროვინციას კი სულთმობრძაობის წუთები დასდგომია.

პროვანსსაც, ზემოქართლსაც, გარეკახეთსაც...

წისქვილის ახმაურებით ლამობს ალფონს დოდე ბედისწერასთან შეჭიდებას, მაგრამ დეკორაციადღაა შემორჩენილი ეს შენობა მის ნოველებში, თეატრალურ ფონად, რომელიც გავლენას ვეღარ ახდენს ცხოვრების დინებაზე.

წისქვილის კარი იკეტება გიორგი ლეონიძის ნოველაში და სასწაულებრივი გარემო ჩვეულებრივი ხდება, ნაცრისფერდება მისი ბრწყინვალებაც.

დიდ ფიქრსა და ვნებებს შეჭიდებია არჩილ ჯორჯაძე და ალმასჩქერებად დამსხვრეულ წყალს რომ შეჰყურებს, ათასი ცისარტყელა ერთდროულად აწყდება მის მზერასაც.

რაღაცის ნიშანია ეს ცისარტყელები, მითუმეტეს – ამდენი ერთად, და ამ იდუმალი ნიშნის ამოსაცნობად ხდება აუცილებელი ერთდროული განცდა წამისა და მარადისობის, ყოფისა და საუკუნო ცხოვრების. ამიტომ მიწიდან თუ დაიწყებ ძიებას, ზეცას უნდა ააღწიო, ზეციდან თუ მოჰყვები, მიწამდე უნდა ჩამოხვიდე.

საბაბსღა ელოდები.

და უეცრად წიწილას ნისკარტი ამოტეხს კვერცხის ნაჭუჭს.

2006
28 აგვისტო

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი პირველი
ჟემაპიდან იტრიამდე, პროვანსიდან ზემოქართლამდე . . .3

თავი მეორე
ახალი ფსიქოლოგია ან რას გაეგულისებინა
ილია ჭავჭავაძე 16

თავი მესამე
მხოლოდ ტოლსტოველობა – სხვა არაფერი 42

თავი მეოთხე
ტოლსტოვური ახალშენის ხიბლი და მარცხი 76

თავი მეხუთე
ძე შეცდომილის დაბრუნება 105

თავი მეექვსე
ცნობისფურცელთა ტფილისური მზადება
პარიზული გაზეთისათვის 123

თავი მეშვიდე
ასნლიანი მონობის დღესასწაული 138

თავი მერვე
ოპოზიციური იერიში 153

თავი მეცხრე
საერთო ნიადაგის თეორია 162

თავი მეათე
„საქართველო“ – პარიზიდან ტფილისამდე 175

თავი მეთერთმეტე
სულხან-საბა ორბელიანიდან არჩილ ჯორჯაძემდე ..188

თავი მეთორმეტე
„მე კიდევ ორი წელიწადი მინდოდა სიცოცხლე...“ 205

თავი მეცამეტე
საიდუმლო გზავნილი 214

თავი მეთოთხმეტე
ჟენევა და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაბადება 222

თავი მეთხუთმეტე
კარდუს აჩრდილი და რევოლუციის სუნთქვა 254

თავი მეთექვსმეტე
ფარული დაბრუნება საქართველოში 279

თავი მეჩვიდმეტე
ხომალდი „სირიუსი“ 294

თავი მეთვრამეტე
სიტყვის იდუმალი მადლი 312

თავი მეცხრამეტე
სახელმწიფო, სამშობლო, მამულიშვილობა 325

თავი მეოცე
ნოე ჟორდანია და ახალი ეპოქის პოლემისტობა 333

თავი ოცდამეერთე
ინტელიგენციის ხვედრი და ბედი 354

თავი ოცდამეორე
ჭიდილი ბედთან და ქალის სევდა 371

თავი ოცდამესამე
ენა – ეროვნული არსების სული 391

თავი ოცდამეოთხე
რბევა 399

თავი ოცდამეხუთე
მშვენიერების რელიგია 420

თავი ოცდამეექვსე
იტრიის წისქვილი 433

თავი ოცდამეშვიდე
გაჭრა სივრცეში 450

თავი ოცდამერვე
„მე აგრერიგად ჩემს ბედს არ ვემდური“ 475

თავი ოცდამეცხრე
„ისე გამიტაცა ამ ბიოგრაფიამ“ 487

თავი ოცდამეათე
აჩრდილები 496

თავი ოცდამეთერთმეტე
„საქართველოს პრობლემა“ – ფიქრში 519

თავი ოცდამეთორმეტე
„ჩვენ სულ სხვა პირობებში დავიწყეთ მუშაობა“ 530

თავი ოცდამეცამეტე
აკაკი წერეთლის უთქმელი სიტყვა 546

თავი ოცდამეთოთხმეტე
სფინქსიც და...იოანე ნათლისმცემელიც? 560

თავი ოცდამეთხუთმეტე
„ეს წერილები ხუთი წლის შემდეგ გახსენი“ ან იდუმალი ქალი 577

თავი ოცდამეთექვსმეტე
პარტია და მისი მითოსი 591

ეპილოგი 600